საქართველოს ეროვნული მუზეუმის

მოამბე

I

(46-B)

თბილისი
2010

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე
I
(46-B)

ტონდო წმ. მამაის გამოსახულებით. გელათი, XI ს.
Tondo with representation of Saint Mamas. Gelati, 11th c.

საქართველოს მუზეუმის

მოამბე

ტომი I.

(1920—1922).

BULLETIN DU MUSÉUM DE GÉORGIE

t. I.

(1920—1922).

ტფილისი.
უ. ს. ს. ს. პოლიგრაფგანყოფილების მე 3 სტამბა.
1922.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის

მ ო ა მ ბ ე

I
(46-B)

საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია

გამოდის 1920 წლიდან

Bulletin

of the

Georgian National Museum

I
(46-B)

Series of Social Science

Issued since 1920

თბილისი 2010 Tbilisi

უაკ(UDC)069(479.22)(051.2)
902+903+737+736.2+39+904+93/94+930.27+7
ს-323
G-37

სარედაქციო კოლეგია: დავით ლორთქიფანიძე, ზურაბ თვალჭრელიძე, ნოდარ ბახტაძე, თეიმურაზ ბერიძე, ნანა ბურჭულაძე, იულონ გაგოშიძე, დარეჯან კაჭარავა, გიორგი მარსაგიშვილი, გიორგი მინდორაშვილი, ელდარ ნადირაძე, ზაზა სხირტლაძე, †სოსო ჭანტურიშვილი, მედეა წოწელია, ოთარ ჯაფარიძე

Editorial Board: David Lordkipanidze, Zurab Tvalchrelidze, Nodar Bakhtadze, Teimuraz Beridze, Nana Burchuladze, Iulon Gagoshidze, Darejan Kacharava, Giorgi Marsagishvili, Giorgi Mindorashvili, Eldar Nadiradze, Zaza Skhirtladze, †Soso Chanturishvili, Medea Tsotselia, Otar Japaridze

სარეცენზიო საბჭო: ვლადიმერ ასათიანი, რუსუდან დოლაბერიძე, დავით ლომიტაშვილი, თემურ შარიქაძე, თინათინ ქუთელია, გურამ ჩხაიძე, ნინო ჯაყელი

Review Committee: Vladimer Asatiani, Rusudan Dolaberidze, David Lomitashvili, Teimur Sharikadze, Tinatin Kutelia,Guram Chkhaidze, Nino Jakeli

რედაქტორი: ზურაბ თვალჭრელიძე
Editor-in-chef: Zurab Tvalchrelidze

პასუხისმგებელი მდივანი: ლუიზა გვრიტიშვილი
Executive secretary: Luiza Gvritishvili

ინგლისური თარგმანი: ივანე მენთეშაშვილი, არიანე ჭანტურია, მედეა წოწელია
English translation: Ivane Menteshashvili, Arrian Chanturia, Medea Tsotselia

ISSN 1512-1895

© საქართველოს ეროვნული მუზეუმი, 2010
Georgian National Museum, 2010

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბის წინამდებარე ტომი წარმოადგენს საქართველოს მუზეუმის მოამბის (1920-1935 წწ.), საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბის (საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია – B, 1936-1944 წწ.) და ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბის (საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია – B, 1947-2004 წწ.) ტრადიციული, სერიული გამოცემების გაგრძელებას – საზოგადოებრივი მეცნიერების მიმართულებით.

ტომში წარმოდგენილია ნაშრომები ისტორიის, არქეოლოგიის, ნუმიზმატიკის, გლიპტიკის, ეთნოგრაფია/ეთნოლოგიის, ეპიგრაფიკისა და ხელოვნების ისტორიის შესახებ, რომლებშიც ქართული კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი საკითხებია განხილული.

ტომს ერთვის ბიბლიოგრაფია და საქართველოს ეროვნული მუზეუმის 2005–2010 წლების ქრონიკა.

The present volume of the Bulletin of the Georgian National Museum is continuation of the serial publications of the Bulletin of the Georgian Museum (1920-1935), the Bulletin of the Georgian State Museum (series of social sciences – B, 1936-1944) and the Bulletin of the S. Janashia Georgian State Museum (series of social sciences – B, 1947-2004).

The volume presents papers dealing with archaeology, numismatics, glyptics, ethnography, ethnology, history, epigraphics and art history, in which the main aspects of Georgian cultural heritage are discussed.

The issue is supplied with a bibliography and the 2005-2010 chronicle of the Georgian National Museum.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბის ტომი ეძღვნება
აკადემიკოს ლევან ჭილაშვილის დაბადებიდან 80 წლისთავს

The present issue of the Bulletin of the Georgian National Museum is dedicated to the 80th anniversary of Academician Levan Chilashvili



ლევან ჭილაშვილი – 80

ქართველი ერის კულტურის ისტორიაში ჟამთა განგება დროდადრო წარმოაჩენს პიროვნებებს, რომლებიც რუტინული სამუზეუმო და ღირებული სამეცნიერო მოღვაწეობით მნიშვნელოვან კვალს ავლებენ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, შესწავლისა და პოპულარიზაციის საქმეში. ასეთი რანგის მოღვაწეთა შორის ღირსეული ადგილი უკავია ცნობილ ქართველ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს აკადემიკოს ლევან ჭილაშვილს, რომელსაც ბედმა არგუნა დიდად საპატიო, მაგრამ იმავდროულად მეტად საპასუხისმგებლო მისია – ოცდაათი წლის განმავლობაში ყოფილიყო ქართული კულტურული მემკვიდრეობის უმთავრესი საცავის და უძველესი სამეცნიერო კერის, აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის წინამძღოლი.

ლევან ალექსანდრეს ძე ჭილაშვილი დაიბადა 1930 წლის 17 აგვისტოს ქ. გურჯაანში, მოსამსახურის ოჯახში. 1948 წელს საშუალო სკოლის წარმატებით დასრულების შემდეგ, მან სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე, რომელიც 1953 წელს წარჩინებით დაამთავრა. იმავე წელს, ბატონი ლევანი ჩაირიცხა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის ასპირანტურაში, არქეოლოგიის სპეციალობით. ასპირანტურაში სწავლის პერიოდში, აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით განისაზღვრა ახალგაზრდა მკვლევარის უმთავრესი სამეცნიერო მიმართულება – შუა საუკუნეების საქართველოს ქალაქების პრობლემატიკის ისტორიულ-არქეოლოგიური ასპექტით შესწავლა. ბატონ ნიკოსთან სამეცნიერო ურთიერთობამ, მის მიერ მიცემულმა რჩევებმა, იმთავითვე მყარი საფუძველი შეუქმნა ლევან ჭილაშვილის წარმატებულ სამეცნიერო მოღვაწეობას.

1957 წლიდან ლევან ჭილაშვილის ბიოგრაფიაში იწყება ახალი, მომავალი ცხოვრების განმსაზღვრელი ეტაპი – მისი მოღვაწეობა ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს უკავშირდება. იგი მუშაობას იწყებს მუზეუმის ფეოდალური ხანის საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიის განყოფილებაში, უმცროს მეცნიერ თანამშრომელის თანამდებობაზე. სწორედ ამ დროიდან, იგი, მთელი არსით ნამდვილი მუზეუმელი ხდება.

ასპირანტურაში სწავლისა და მუზეუმში მუშაობის საწყის პერიოდში, არქეოლოგიის თეორიული საფუძვლების დაუფლების პარალელურად, ლევან ჭილაშვილი აქტიურად ჩაერთო საველე არქეოლოგიური ექსპედიციების მუშაობაში (ხოვლე, წოფი, ნოსტე, დმანისი). იგი, ასევე წარმატებით მონაწილეობდა ურბნისის არქეოლოგიურ ექსპედიციაში ჯერ როგორც წევრი, ხოლო 1957 წლიდან – რაზმის ხელმძღვანელი.

1963 წელს ბატონი ლევანი დაინიშნა გრემის ნაქალაქარის შემსწავლელი არქეოლოგიური ექსპედიციის (პრობლემის საერთო ხელმძღვანელი აკად. ნ. ბერძენიშვილი) ხელმძღვანელის მოადგილედ სა-

მეცნიერო ნაწილში. ექსპედიციებში მუშაობის შედეგად მან მიიღო საჭირო წრთობა და შეიძინა მნიშვნელოვანი გამოცდილება, როგორც საველე არქეოლოგ-მკვლევარმა. ამასთანავე, გრემში პროფესორ პარმენ (ნაპო) ზაქარაიასთან ერთად წარმართულმა კვლევამ, ლევან ჭილაშვილს კლასიკური და შუა საუკუნეების არქეოლოგისათვის, ესოდენ, აუცილებელი განსწავლულობა შესძინა ხუროთმოძღვრების ისტორიაში. ექსპედიციებში სისტემატიურმა მონაწილეობამ, იქ მიღებულმა გამოცდილებამ ბატონ ლევანს მყარი საფუძველი შეუქმნა, რათა მომავალში თავად ეხელმძღვანელა შუა საუკუნეების ძეგლების შემსწავლელი არა ერთი მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ექსპედიციისათვის (სამშვილდე, არეში, გავაზი და ნეკრესი).

ექსპედიციებთან დაკავშირებით ხაზი უნდა გავუსვათ ერთ ნიშანდობლივ ფაქტორს, კერძოდ 1960-იან წლებში ლევან ჭილაშვილი დაქორწინდა ცნობილი ქართველი გეოლოგის არჩილ ცაგარელის ქალიშვილზე, ქალბატონ ელენეზე (ცუცა): შეიქმნა მისაბაძ პატივისცემაზე დამყარებული, ტრადიციული ქართული ოჯახი. იმ თანადგომიდან, რაც ათწლეულების მანძილზე ამ წყვილს ერთმანეთთან აკავშირებდა, ამჟამად, მხოლოდ ერთს გამოვყოფდით – ქალბატონი ელენე პროფესიით პალეონტოლოგი, ბატონ ლევანს ხშირად თან ახლდა არქეოლოგიური ექსპედიციებში (იგი მეუღლის გვერდზე იმყოფებოდა ე.წ. თბილისის ომის დროსაც – მუზეუმის დაცვის დღეებში, როდესაც მან ქართველი ქალისთვის ესოდენ დამახასიათებელი, საუკუნეების სიღრმეებიდან გადმოსული თავდადებისა და ეროგულების საუკეთესო მაგალითი გვიჩვენა), სადაც მას თან დაჰყავდა ვაჟიშვილები – დავითი და გიორგი. ბატონი ლევანისთვის მეუღლისა და შვილების ექსპედიციაში ყოფნა ერთგვარი მასტიმულირებელი ფაქტორი გახლდა საველე მუშაობის დროს, ხოლო მეორე მხრივ – ექსპედიციაში თბილი, ოჯახური ატმოსფერო იქმნებოდა.

მრავალწლიანი საექსპედიციო გამოცდილება უფლებას გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ საქართველოში იშვიათად თუ მოიძებნება საველე ხელმძღვანელობის ისეთი თვისებებით დაჯილდოვებული პიროვნება, როგორიც ლევან ჭილაშვილი გახლდა: აქ იგულისხმება ექსპედიციის წევრებთან და რაიონის მაცხოვრებლებთან მისი გულთბილი, კეთილგონივრული და დიდსულოვანი დამოკიდებულება – ინტელექტუალური თუ ფიზიკური მუშაობის სტიმულირება, ლხინის, ექსკურსიებისა და სპორტული შეჯიბრებების ორგანიზება (თვითონ, ხომ საკმაოდ აღიარებული ფრემბურთელი იყო). ერთი სიტყვით, ბატონ ლევანთან ველზე მუშაობა, რასაც ექსპედიციაში არსებული თბილი ატმოსფეროც უწყობდა ხელს, ახალი თაობის არქეოლოგებისათვის ნამდვილად ღვთის მიერ ბოძებული სიკეთე, კარგი ცხოვრებისეული სკოლა და საველე კვლევებისათვის საჭირო თვისებების შეძენის მნიშვნელოვანი პირობა იყო.

გარდასული დროების, ექსპედიციაში ყოფნის შთამბეჭდავი დღეების გახსენება, წარსული წლების კარგ მოგონებებთან ერთად, ჩვენში დღეს, უპირველესად დიდი დანაკლისის განცდას აღძრავს.

* * *

ლევან ჭილაშვილის მოღვაწეობა შეიძლება დაიყოს რამდენიმე ძირითად მიმართულებად: სამეცნიერო მოღვაწეობა, ადმინისტრაციულ-სამუზეუმო საქმიანობა, საფონდო-საგამოფენო მუშაობა, სარედაქტორო-საგამომცემლო საქმიანობა და პედაგოგიური მოვაწეობა.

ლევან ჭილაშვილის სამეცნიერო მემკვიდრეობა საშუალებას იძლევა თვალი გავადევნოთ მისი, როგორც მკვლევარის განვლილ რთულსა და ღირებულ გზას. ბატონი ლევანის სამეცნიერო მოღვაწეობის სფერო განისაზღვრებოდა საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის პრობლემების კვლევით, ძირითადად კი ანტიკური და შუა საუკუნეების ქართული ქალაქების შესწავლით. აღნიშნული პრობლემის კვლევას, როგორც ცნობილია საფუძველი ჩაუყარა დიდმა ივანე ჯავახიშვილმა, ხოლო მატერიალური საფუძველი შეუქმნა პროფესორ ლევან მუსხელიშვილის ხელმძღვანელობით განხორციელებულმა დმანისის ნაქალაქარის არქეოლოგიურმა გათხრებმა. ლევან ჭილაშვილმა დროულად და სავსებით კანონზომიერად გააგრძელა აღნიშნულ პრობლემაზე მუშაობა და საფუძვლიანი კვლევებით წარმატებით გადაწყვიტა შუა საუკუნეების ქართული ქალაქების გენეზისისა და პერიოდიზაციის უმნიშვნელოვანესი საკითხები. მოგვიანებით, მისი სამეცნიერო კვლევების არეალში მოექცა არქეოლოგიური გათხრებით გამოვლენილი ძეგლებისა და წერილობითი წყაროების ანალიზზე დამყარებული – წარმართული რელიგიის, მონასტიციზმისა და ქართული დამწერლობის ისტორიის საკითხების შესწავლა.

1958 წელს, ლევან ჭილაშვილი რუსთავის ნაქალაქარზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალებისა და წერილობითი წყაროების ანალიზზე დაყრდნობით იცავს საკანდიდატო დისერტაციას თემაზე: **ქალაქი რუსთავი (ისტორიულ-არქეოლოგიური ნარკვევი).** დისერტაციის დაცვის შემდეგ, 1960 წელს, იგი ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის უფროსი მეცნიერ თანამშრომელის თანამდებობას იკავებს და წარმატებით აგრძელებს სამეცნიერო კვლევა-ძიებას შუა საუკუნეების ქალაქების პრობლემებზე. შედეგიც არ აყოვნებს და 1967 წელს, იგი იცავს დისერტაციას ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: **ქალაქები ფეოდალურ საქართველოში.**

ლევან ჭილაშვილმა ძველი ქართული ქალაქების და საქალაქო ცხოვრების, წარმართული რელიგიის, მონასტიციზმისა და ქართული დამწერლობის ისტორიის პრობლემათა კვლევას მიუძღვნა რამდენიმე ათეული სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის მონოგრაფიები: „ქალაქი რუსთავი“, „ნაქალაქარი ურბნისი“, „ქალაქები ფეოდალურ საქართველოში,“ „ძველი გავაზი,“ „კახეთის ქალაქები (XIV-XVIIIსს.),” „არეში“, „ნეკრესის წარმართული სამლოცველოები,” „ნეკრესის უძველესი ქართული წარწერები და ქართული დამწერლობის ისტორიის საკითხები“ და სხვ.

ქალაქების და საქალაქო ცხოვრებისადმი მიძღვნილ პუბლიკაციებში, არქეოლოგიური და წყაროთმცოდნეობითი მასალების მაღალ მეც-

ნიერულ დონეზე გაანალიზებით, შესწავლილია ანტიკური და შუა საუკუნეების ქალაქების წარმოშობის ძირეული საკითხები, განხილულია ისტორიული გეოგრაფიის, ტოპონიმიკის არაერთი მნიშვნელოვანი პრობლემა და სხვ.

მონოგრაფია ქალაქი რუსთავი (ისტორიულ-არქეოლოგიური ნარკვევი) – 1958 წ., ეძღვნება შუა საუკუნეების საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქის ისტორიულ-არქეოლოგიური ასპექტით შესწავლას. ნაშრომში წერილობით წყაროებზე და არქეოლოგიურ მასალაზე დაყრდნობით განხილულია: კუხეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, რუსთავის ისტორიული განვითარების ეტაპები – ლევან ჭილაშვილის აზრით, რუსთავის როგორც დასახლებული პუნქტის აღმოცენება და შემდეგ მისი გაქალაქება დაკავშირებული იყო მხარის მდიდარ სამეურნეო და ეკონომიკურ ფაქტორებზე, მის კარგ სტრატეგიულ მდებარეობაზე; ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი შუა საუკუნეების ეპოქას – ნაჩვენებია ქალაქის საერთო სახე, სოფლის მეურნეობისა და ხელოსნური წარმოების დარგები, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა, საქარავნო გზების მნიშვნელობა; განხილულია არქეოლოგიური ძეგლები და ნივთიერი მასალები, გამოთქმულია მოსაზრება ქალაქის სახელწოდების ეტიმოლოგიაზე და ქრონოლოგიის საკითხებზე, აგრეთვე ქალაქისა და საქალაქო ცხოვრების დაცემის გამომწვევ მიზეზებზე.

მონოგრაფია **ნაქალაქარი ურბნისი (ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა)** – 1964 წ., ეძღვნება ანტიკური და ადრეული შუა საუკუნეების ხანის ქართული ქალაქის ისტორიულ-არქეოლოგიური ასპექტით შესწავლას, რომელიც დამყარებულია ნაქალაქარის ტერიტორიაზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალისა და წერილობითი წყაროების ერთობრივ ანალიზზე.

ლევან ჭილაშვილი არქეოლოგიურ ძეგლებს და ნივთიერ მასალას განიხილავს ცალკეული ქრონოლოგიურ პერიოდების მიხედვით – ადრებრინჯაოს ხანიდან დაწყებული – ახ.წ. VIII საუკუნის ჩათვლით. კერძოდ, ნაშრომში განხილულია: ადრებრინჯაოს ხანის სამარხები, გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის მასალები, გამოყოფილია ძვ.წ. IV-III საუკუნეების კერამიკული ნაწარმი, შესწავლილია ელინისტური ხანის საწარმოს ნაშთები, ახ.წ. IV-VIII საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები; აღსანიშნავია არქეოლოგიური მასალის ავტორისეული ინტერპრეტაცია, მის მიერ გამოყოფილი და დადგენილია ურბნისის კერამიკის ქრონოლოგიური ჯგუფები, მათი კრიტერიუმები.

ლევან ჭილაშვილმა სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ გამოსცა ფუნდამენტური ნაშრომი – **ქალაქები ფეოდალურ საქართველოში** (ტ. I, 1968 წ.; ტ. II, 1970 წ.). ნაშრომში წერილობით წყაროებზე და არქეოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით განხილულია საქართველოს ანტიკური და შუა საუკუნეების ქალაქების ისტორია, მათი სოციალურ-ეკონომიკური, სტრუქტურული და ფუნქციონალური მდგომარეობა, ტიპოლოგია, ქალაქების გარეგანი სახე, საქალაქო მეურნე-ობის დარგები, გზები; დადგენილია ქალაქების წარმოშობის განმსაზღვრელი მიზეზები – ქალაქური დასახლების გაჩენა შიდა ის-

ტორიული და სოციალური განვითარების შედეგია, რომელიც დაფუძ-ვნებული იყო მძლავრ ეკონომიკურ ფაქტორზე.

საქართველოს შუა საუკუნეების ურბანისტული ცხოვრების სურათს მნიშვნელოვნად ავსებს მონოგრაფიები, რომლებიც ლევან ჭილაშვილის ხელმძღვანელობით გათხრილი ძეგლების არტეფაქტების ანალიზს ეფუძნება, ესენია:

მონოგრაფია **ძველი გავაზი (ისტორიული - არქეოლოგიური გამოკვ-ლევა)** – 1975 წ., საინტერესოა იმით, რომ ამ პერიოდში ლევან ჭილაშ-ვილი საველე არქეოლოგიურ კვლევას იწყებს კახეთის რეგიონში და სწორედ, ნაქალაქარი გავაზი იყო პირველი ძეგლი, რომელიც მკვლე-ვარმა დამოუკიდებლად შეისწავლა.

გავაზი, წერილობით წყაროებში პირველად IX საუკუნეში იხსენი-ება. ნაქალაქარზე, **კოპალედ** წოდებულ ტერიტორიაზე,არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩნდა განვითარებული შუა საუკუნეების სარწყავ სისტემაზე დამყარებული, მეღვინეობასთან დაკავშირებული სამეურნეო კომპლექსი და ეკლესია. მდინარეების – ავანის წყლისა და ქვაწერას შესართავთან არსებულ კონცხზე შესწავლილი იქნა დიდე-ბულის რეზიდენცია – X-XI საუკუნეების დარბაზული ეკლესიითა და ციხე-კოშკით, აგრეთვე X-XIII საუკუნეების სამაროვანი, ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების საეტაპო ძეგლის – **ძველი გავაზის** (VI ს.) ტეტრაკონქის ტიპის ეკლესიასთან. ნაშრომში ტოპონიმიკურ საკითხებთან ერთად განხილულია ავტორის მიერ მიკვლეული გრემი -ირანის გზის, ნაქალაქარ გავაზის მონაკვეთი, იქ გამოვლენილი ქარ-ვასლით.

ლევან ჭილაშვილის დასკვნით, ნაქალაქარი გავაზი როგორც მთისა და ბარის შესაყარზე ბრინჯაოს ხანიდან აღმოცენებული დასახლება, მისთვის დამახასიათებელი გეოგრაფიული და ეკონომიკური თავისე-ბურებებით, შუა საუკუნეებში ხეობის კარის მნიშვნელოვან პუნქტს წარმოადგენდა.

მონოგრაფიაში **კახეთის ქალაქები (XIV-XVIII სს.)** – 1980 წ., შესწავ-ლილია გვიანი შუა საუკუნეების ქალაქების წარმოშობის, ფორმირების და განვითარების საკითხები, ქალაქების დაცემის ტენდენციები; განსაზღვრულია მათი პოლიტიკური და ეკონომიკური სახე, დადგე-ნილია საქალაქო მეურნეობის დარგები.

ნაშრომის დიდი ნაწილი ეძღვნება კახეთის სამეფოს დედაქალაქების – გრემის და ბაზარის (ზაგემი) ისტორიულ-არქეოლოგიური კუთხით შესწავლას. ქალაქი გრემი ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი მშვენების, მთავარანგელოზთა საეკლესიო კომპლექსის გარდა, ცნობი-ლი გახდა არქეოლოგიური გათხრებით გამოვლენილი ობიექტებითაც: სავაჭრო უბანში დადასტურებულია საზოგადოებრივი დანიშნულების არქიტექტურული ნაგებობები – ქარვასლა, სასტუმრო (“ქულბაქე-ბი”), აბანო, ბაზარი. იქვე, რამდენიმე ეკლესია, სახელოსნოებისა და საცხოვრებელი ნაგებობის ნაშთებია გამოვლენილი; სამეფო უბანი მოიცავს სამეფო სასახლეების, აუზიანი პავილიონის, აბანოს და სხვა ნაგებობების ნაშთებს. ნაქალაქარის ტერიტორიაზე გამოვლენილი ერთ-ერთი სასახლე სასწავლო-სამეცნიერო ტიპის დაწესებულებად –

“აკადემიად” არის მიჩნეული, ხოლო უჩვეულო გეგმარების რვაწახნაგა ნაგებობა – ობსერვატორიად.

ნაშრომში განხილულია გვიანი შუა საუკუნების სავაჭრო-საქარავნო და საქალაქთაშორისო გზები, მათზე მდებარე პუნქტებით. საგანგებო ყურადღება აქვს დათმობილი საქართველოს გვიანი შუა საუკუნეების ე.წ. „მცირე ქალაქების“ ისტორიას, მათი მოსახლეობისა და საქალაქო მეურნეობის საკითხების განხილვას.

მონოგრაფია **არეში (ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა)** – 1991 წ., დამყარებულია ავტორის მიერ ნაქალაქარზე ჩატარებული საველე კვლევა-ძიების შედეგად მოპოვებული მასალის ინტერპრეტაციაზე. ძველი ნაქალაქარის, როგორც მნიშვნელოვანი პუნქტის განსაზღვრა, უდაოდ, ლევან ჭილაშვილის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს. მკვლევარმა შესძლო საისტორიო წყაროებში დადასტურებული ტოპონიმ – „არეშის“ ლოკალიზაცია ისტორიული ჰერეთის ტერიტორიაზე; დაადგინა, რომ ნაქალაქარის ისტორია მოიცავს ვრცელ ქრონოლოგიურ პერიოდს – ახ.წ. IV საუკუნიდან – XIV საუკუნემდე.

ნაქალაქარის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილია სხვადასხვა პერიოდის, მათ შორის ადრე ქრისტიანული ხანის საკულტო და საერო ნაგებობები. გაირკვა, რომ ადრეულ შუა საუკუნეებში არეშის ტერიტორიაზე მოქმედებდა ოერომეტი ეკლესია: ერთი სამნავიანი, ხუთი სამეკლესიანი ბაზილიკა და ხუთიც დარბაზული ტიპის ეკლესია. ლევან ჭილაშვილის აზრით, ერთდროულად მოქმედ ეკლესიათა ასეთი უჩვეულოდ დიდი კონცენტრაცია, არეშის ნაქალაქარს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა.

ნაშრომში **ნეკრესის წარმართული სამლოცველოები** – 2000 წ.,განხილულია ნაქალაქარ ნეკრესის წარმართული სამლოცველოები,რომელთა შორის ორიგინალური გეგმარებით, მასშტაბურობითა და ინტერიერის რთული არქიტექტურული გადაწყვეტით გამოირჩევა წარმართული ტაძარი, რომელიც არქეოლოგიური მონაცემებისა და ხუროთმოძღვრული ანალიზით ახ.წ. II-IV საუკუნეებით თარიღდება.

ნაშრომი **ნეკრესის უძველესი ქართული წარწერები და ქართული დამწერლობის ისტორიის საკითხები** (რედაქტორი ნ. ბახტაძე, 2004 წ.) სამწუხაროდ, ლევან ჭილაშვილის გარდაცვალების შემდგომ გამოქვეყნდა. ნაშრომში განხილულია 1986-2003 წლებში, განსვენებული მეცნიერის ხელმძღვანელობით ნეკრესის ნაქალაქარზე დაზვერვითი და სტაციონარული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული – ქართული წარწერიანი ძეგლების ქრონოლოგიის საკითხი.

ლევან ჭილაშვილი ნეკრესის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ქართულ წარწერიანი ათი ძეგლიდან გამოჰყოფს – ექვს ასომთავრულ წარწერიან ნიმუშს. მკვლევარის აზრით, აღმოჩენილი წარწერები „აშკარად მიუთითებს წერა-კითხვის ფართო გავრცელებაზე ნეკრესის მოსახლეობაში“.

ბატონ ლევანს, წარწერების დათარიღებამ (ძვ.წ II ს. – ახ.წ. IV ს.) და მისმა ინტერპრეტაციამ საშუალება მისცა, რომ ქართული დამწერლობის წარმომავლობის თარიღი საუკუნეთა სიღრმეში – წინარე ქრისტიანულ ხანაში გადაეტანა.

* * *

1972 წელს, ლევან ჭილაშვილი დაინიშნა ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის მოადგილედ – სამეცნიერო ნაწილში, ხოლო 1974 წლის 29 მარტს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მიერ იგი დამტკიცებულ იქნა მუზუმის დირექტორად. საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დიდი დრო, ენერგია და ნერვიული სისტემის დაძაბვა სჭირდება **ადმინისტრაციულ მუშაობას** და თვალით შეუმჩნეველ **სამუზეუმო საქმიანობას**. მაგრამ, სწორედ ამ დროიდან იწყება ბატონი ლევანის ორგანიზატორულ-ადმინისტრაციულ მუშაობასთან შეთავსებული სამუზეუმო და სამეცნიერო პოტენციალის მთელი ძალით ამოქმედება, რასაც იმჟამად, უკვე ასოც წელს გადაცილებული დიდი სამეცნიერო და სამუზეუმო ტრადიციების მქონე კერის ხელმძღვანელობის მისია მოითხოვდა.

ბატონი ლევანი დირექტორის ამპლუაში წარმოდგა, როგორც ჭილაშვილების ცნობილი გვარის ღირსეული წარმომადგენელი, სიდარბაისლით გამორჩეული პიროვნება და ზედმეტი ამბიციებისაგან სრულიად თავისუფალი ხელმძღვანელი, რომელიც გვერდზე არ დგებოდა თუ საქმე ეხებოდა მუზეუმის ინტერესების დაცვასა და ერის ღირსების საქმეს. მან თავის თანამოაზრეებთან – ალექსანდრე (ლალი) ჯავახიშვილთან, ოთარ ჯაფარიძესთან, გიორგი ჯალაბაძესთან და სხვა ცნობილ მეცნიერებთან ერთად, მუზეუმში მკაცრი ადმინისტრირებული მართვის სისტემის სტერეოტიპის რღვევა დაიწყო – მეცნიერებისა და კულტურის ეს დიდებული კერა თანდათანობით თავისუფალ სამეცნიერო-შემოქმედებითი მუშაობის პრინციპებზე გადაიყვანა, სადაც უპირატესობა მიენიჭა ტრადიციულ სამუზეუმო ურთიერთობათა დაცვას, სამეცნიერო პოტენციალის დონის ამაღლებაზე ზრუნვას და თაობებათა შორის ურთიერთობის დაბალანსებას, რომელიც ურთიერთ პატივისცემის პრინციპს ემყარებოდა.

ბატონი ლევანის ხელმძღვანელობის პერიოდს ემთხვევა საქართველოსა და კავკასიის ბუნების ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლის მიმართულებით,საექსპედიციო მუშაობის ფართოდ გაშლა, მეცნიერთა სტაჟირებები – რუსეთის, ბალტიის ქვეყნებისა და დასავლეთ ევროპის სამეცნიერო ცენტრებში,აგრეთვე თანამშრომელთა ექსკურსიები საქართველოს ისტორიულ ძეგლებზე და ახალ არქეოლოგიურ აღმოჩენებზე. ასევე, წარმატებით ტარდებოდა მუზეუმის კეთილმოწყობის რიგგარეშე სამუშაოები, რომლებიც ბატონი კოტე ჩოლოყაშვილის თამადობითა და ქართული მრავალხმიანი სიმღერებით მთავრდებოდა. ყოველივე აღნიშნული, ხელს უწყობდა მუზეუმის თანამშრომლების დამეგობრება-შეკავშირებას, ახალგაზრდებში ტრადიციული სამუზეუმო ჩვევების დანერგვასა და მათ დაწესებულების ერთგულ დამცველებად ჩამოყალიბებას. ასეთი გონივრული “პროექტის” შედეგი თვალნათლივ გამოჩნდა ე.წ. თბილისის ომის დროს, როდესაც დირექციის თაოსნობით თანამშრომელთა ერთმა ნაწილმა, რომლებიც მუზეუმის დაცვის დამატებით ღონისძიებებს ატარებდა, თავგანწირვის

ფასად შესძლო შუა საუკუნეების საექსპოზიციო დარბაზში გაჩენილი ხანძრის ლოკალიზაცია და ბუნების ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობის მთავარი ეროვნული საცავი სრული კატასტროფისაგან იხსნა. თანამშრომელთა აღნიშნული ქმედება, მოგვიანებით ასახული იქნა ლევან ჭილაშვილის მცირე ფორმატიან წიგნში – **თხუთმეტი მძიმე დღე**, ხოლო თანამშრომელები გამოჩენილი თავდადებისათვის სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოვდნენ.

ბატონმა ლევანმა მუზეუმის სამეცნიერო წარსულის ჯეროვანი შეფასებით, სამეცნიერო, საგანმანათლებლო და საფონდო პოლიტიკის სწორად წარმართვით, თავის თანამოაზრეებთან ერთად, სავსებით დამსახურებულად შესძლო, რომ მუზეუმი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შემავალ სტრუქტურულ ერთეულებს შორის ერთ-ერთი წარმატებული სამეცნიერო დაწესებულება ყოფილიყო. ამ პერიოდში მუზეუმში მოღვაწეობდა: ერთი აკადემიკოსი, ერთი აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ათი მეცნიერებათა დოქტორი და სამოცდაერთი მეცნიერებათა კანდიდატი.

1982 წელს ლევან ჭილაშვილს მნიშვნელოვანი სამეცნიერო მიღწევების გამო, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება მიენიჭა. 1988 წელს იგი არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 2001 წელს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად.

ბატონი ლევანის მოღვაწეობის სრული სურათი ჯეროვნად ვერ წარმოისახება, მისი **საგამოფენო და საფონდო** საქმიანობის წარმოდგენის გარეშე. უშუალოდ, მისი კონცეფციით მუზეუმში მოეწყო შუა საუკუნეების მატერიალური კულტურის ამსახველი გამოფენა, რომლის შესახებ – 1990 წელს, მან გამოსცა **გზამკვლევი: „საქართველოს IV-XVIII სს. მატერიალური კულტურა”.** გამოფენამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა შუა საუკუნეების ქართული კულტურული მემკვიდრების მაღალ პროფესიულ დონეზე წარმოჩენასა და მის პოპულარიზაციაში.

ბატონი ლევანი განსაკუთრებით იღწვოდა ქართული კულტურის საერთაშორისო ასპარეზზე ღირსეულად წარმოჩენისათვის, რასაც კარგად ადასტურებს მისი ორგანიზებითა და მონაწილეობით მოწყობილი გამოფენები: ტოკიოში, პარიზში, ოსაკაში, ზაარბრიუკენში, მიუნხენში და დრეზდენში. აქვე ხაზგასასმელია, რომ გამოფენების მოწყობასთან ერთად, უცხოელი პარტნიორების დახმარებით ხდებოდა საგამოფენო ექსპონატების რესტავრაცია და კატალოგების გამოცემა.

ბატონმა ლევანმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა 1999 წელს, ქალაქ ლონდონში,ვაზისა და ღვინის ისტორიისადმი მიძღვნილი მუდმივმოქმედი გამოფენის „ღვინის ქალაქი-ვინოპოლისი“-ს ორგანიზებაში – გამოფენა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპოზიციის ჩვენებით გაიხსნა, სადაც საქართველო წარმოჩინდა როგორც მევენახეობისა და მეღვინეობის უძველესი კერა. გამოფენაზე წარმოდგენილ ექსპონატებზე დაყრდნობით, აგრეთვე მუზეუმის ფონდებში დაცული არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და დოკუმენტური მასალების გაანალიზებით, ქართული მევენახეობისა და ღვინის კულტურის უკეთ

წარმოჩენის მიზნით გამოქვეყნდა წიგნი-ალბომი – „ვენახი, ღვინო და ქართველები" (ტექსტის ავტორი ლევან ჭილაშვილი, იდეის ავტორები - ლევან გაჩეჩილაძე, თამაზ კანდელაკი, 2004 წ.).

ბატონ ლევანს, აგრეთვე მნიშვნელოვანი როლი მოუძღვის ცნობილი გერმანელი მხატვრის მაქს ტილკეს მუზეუმის ფონდებში დაცული ნამუშევრების პოპულარიზაციის საქმეში, რაც ნიშანდობრივად გამოიხატა მისი რედაქტორობით, მაღალ პროფესიულ და პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული კატალოგის გამოცემით (გარდაცვალების შემდგომ – 2004 წ.).

აღნიშვნას იმსახურებს მუზეუმის ღვაწმოსილი დირექტორის **საფონდო საქმიანობა**. ბატონ ლევანს კარგად ესმოდა, რომ მუზეუმის ქვაკუთხედი სამუზეუმო ნივთია, ხოლო მისი მოპოვება და შეძენა დაწესებულების ძირითად დანიშნულებას წარმოადგენდა. იგი, როგორც შემსყიდველი კომისიის თავმჯდომარე დიდად ზრუნავდა ახალი ექსპონატების შესაძენი თანხების მოძიებაზე. ამავე დროს, კონტროლს უწევდა ფონდების დაცვა-აღრიცხვის საქმიანობას და ხელს უწყობდა როგორც ტრადიციული ფონდების ექსპონატებით შევსებას, ისე ახალი ფონდების შექმნის იდეის განხორციელებას. ეს პროცესი, ძირითადად, ბუნების ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობის შემსწავლელი ექსპედიციების მიერ მოპოვებული მასალების საფუძველზე ხდებოდა.

ბატონი ლევანი თვლიდა, რომ წარმატებული სამეცნიერო მუშაობის ერთ-ერთი მთავარი ხელისშემწყობი ფაქტორი **სარედაქციო-საგამომცემლო** საქმიანობის სწორად წარმართვა იყო. ამისათვის იგი კარგად იყენებდა სამეცნიერო და სარედაქციო საბჭოების ხელმძღვანელობის ფუნქციას – მისი რედაქტორობით გამოდიოდა ტრადიციული სერია – **საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე** და **საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციების ანგარიშები** (რედაქტორები მონაცვლეობით: ლ. ჭილაშვილი, ალ. ჯავახიშვილი), ასევე რეკომენდაციას და რეცენზირებას უწევდა მნიშვნელოვანი სამეცნიერო ღირებულების ნაშრომებისა და მონოგრაფიების გამოცემას.

ბატონი ლევანი სამეცნიერო და სამუზეუმო საქმიანობას წარმატებით უთავსებდა **პედაგოგიურ მოღვაწეობას**, ახალგაზრდა თაობის აღზრდას. დიდი სამეცნიერო პოტენციალი და პრობლემათა მასშტაბური ხედვა მას საშუალებას აძლევდა, რომ მისი ხელმძღვანელობით მომზადებულიყო საკანდიდატო დისერტაციები და ღირებული კონსულტაცია გაეწია სადოქტორო თემაზე მომუშავე კოლეგებისათვის.

1960 წლიდან ლევან ჭილაშვილი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის არქეოლოგიის კათედრის წევრი იყო, ხოლო 1968 წელს იგი პროფესორად იქნა არჩეული, სადაც წლების განმავლობაში კითხულობდა მის მიერ შემუშავებულ ლექციების კურსს – შუა საუკუნეების არქეოლოგიასა და მუზეუმმცოდნეობაში. მკვლევარმა მუზეუმმცოდნეობის საკითხების შესწავლას მიუძღვნა არაერთი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის – **მუზეუმმცოდნეობა და სამუზეუმო საქმის საფუძვლები** (1984 წ.), ასევე **მსოფლიო დიდი სამუზეუმო ცენტრები** (I, II-1985 წ.). ნაშრომებში განხილულია სამუზეუმო ცხოვრების განვითარების ისტორია, მუზეუმმცოდნეობის როგორც სამეცნიერო

დისციპლინის არსი, მისი თანამედროვე მდგომარეობა და პრობლემები.

ხანგძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის გამო, ბატონი ლევანი ფლობდა სხვადასხვა სამეცნიერო და სახელმწიფო **რეგალიებს,** მას მინიჭებული ჰქონდა: საქართველოს მეცნიერის დამსახურებული მოღვაწის წოდება (1982 წ.), სიმონ ჯანაშიას სახელობის პრემია (1997 წ.), საქართველოს სახელმწიფო პრემია (2002 წ.), ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენი (2002 წ.) და მუზეუმის საიუბილეო ვერცხლის მედალი (2003 წ.), რომელსაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა; იყო ღირსების ორდენის კავალერი და საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს დეპუტატი (1990-1991 წწ.) – მისი ხელმოწერა დაფიქსირებულია საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აქტზე.

ასეთი წარმატებული და აღმავალი მოღვაწეობის დროს, რასაც ასაზრდოვებდა დიდი პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისა და ერის წინაშე, თანდაყოლილი კეთილსინდისიერება, სიდარბაისლე, ღრმა ერუდიცია და პრობლემათა დიპლომატიური გადაჭრის უნარი, 2004 წლის 25 აპრილს, სრულიად მოულოდნელად, ბატონი ლევანის გულისცემა შეწყდა.

დღევანდელი გადასახედიდან შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ფიზიკურმა გარდაცვალებამ ვერ შესძლო ბატონი ლევანის სიცოცხლის შეწყვეტა – მან, როგორც ცნობილმა მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ, მრავალმხრივ პრობლემებში ჩართულმა პიროვნებამ, სავსებით შინაარსიანი ცხოვრებით იღვაწა და დიდი ამაგი დასდო ქართული ისტორიული და არქეოლოგიურ მეცნიერების განვითარებას, ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და მის მრავალმხრივ წარმოჩინებას, ასევე ღრმა კვალი დატოვა საქართველოს მუზეუმის ცხოვრებაში და საზოგადოებრივი მეცნიერების განვითარებაში. თუმცა, მას როგორც მეცნიერსა და შემოქმედს მრავალი ჩანაფიქრი დარჩა განუხორციელებელი, ხოლო მისმა მოულოდნელმა გარდაცვალებამ მის ოჯახს, თანამშრომლებს და ახლობელთა წრეს დიდი ტკივილი დაუტოვა.

გულწფელად გვჯერა, რომ საქმე რომელიც ლევან ჭილაშვილმა წამოიწყო და დაუსრულებელი დარჩა – ესაა, მუზეუმის ხვალინდელი დღე, მისი რეფორმირების პროცესი, ღირსეულად გაგრძელდება მისი თანამოაზრეებისა და მოწაფების მიერ.

ბატონი ლევანის ჩანაფიქრს, მაგრამ უფრო დიდ მასშტაბებში გადაზრდილს, დღეს სათავეში უდგას საქართველოს ეროვნული მუზეუმის რეფორმატორული ხელმძღვანელობა, რომელიც ცდილობს ჩამოაყალიბოს ეროვნულ ტრადიციებზე დაფუძნებული, დასავლური ტიპის სამუზეუმო გაერთიანება, რომლის დედაბოძად განსვენებული მოღვაწის მიერ სამი ათეული წლის მანძილზე, ასე, სათუოად ნაამაგარი, ამჟამად, რეფორმირების პროცესში მყოფი – სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი გვევლინება.

აკადემიკოს ლევან ჭილაშვილის მიერ გავლილი ცხოვრების რთული და მეტად საპატიო გზის წარმოჩენა, გვერწმუნეთ, ჩვენთვის ამ მცირე ფორმატის წერილში იოლი არ იყო. გვჯერა, რომ მისი პიროვნების

გაცილებით ღირსეული შეფასება მომავალი ისტორიკოსების საშური საქმე გახდება.

ზურაბ თვალჭრელიძე, თეიმურაზ ბერიძე

Levan Chilashvili - 80

Summary

It fell to Professor Levan Chilashvili's lot to serve respectful, but at the same time, responsible mission - to be Director of one of the main treasure-depositories and the major scientific centres of Georgian cultural heritage - the S. Janashia Georgian Museum for thirty years.

Professor Levan Chilashvili's creative work might be broken down into several basic trends: scientific, administrative, museum work, depository-exhibition, editorial-publishing and pedagogical activities.

The main field of Levan Chilashvili's scientific work was an investigation of medieval Georgian town problems from historical and archaeological point of view. Later on his scholarly interests concerned on the questions of pagan religion, monasticism and the Georgian scripture.

Professor Levan Chilashvili devoted several dozens of scientific works to the research of abovesaid problems. Among them are the following monographs: "City of Rustavi", "Site of ancient town Urbnisi,",,Towns in the feudal Georgia" (two volumes), "Old Gavazi", "Towns of Kakheti" (the 14th-18th cc)'', "Areshi", "Pagan chapels of Nekresi", "The oldest Georgian inscriptions of Nekresi", "Questions on the history of the Georgian scripture", etc.

Professor Levan Chilashvili successfully directed the Georgian Museum depository, editorial and exhibition activities during thirty years.

The exhibitions representing the medieval Georgian material culture (the 4th-17th cc.) were organized under the direct guidance of Professor Chilashvili and according to his conception.

Professor Levan Chilashvili always tried to represent Georgian culture suitably on the international scene. The exhibitions reflecting the history of Georgian culture which were held in Tokyo, Paris, Osaka, Saarbrucken, Mùnich, Dresden are good evidences of this.

Professor Levan Chilashvili combined museum work with pedagogical activities perfectly. He was Professor of the Archaeology Department at the Iv.

Javakhishvili Tbilisi State University where he delivered lectures in the medieval archaeology and museology for years.

Levan Chilashvili's unexpected death is a heavy loss for science, education and for those people who work in the field of the Georgian cultural heritage.

At present, a reformative guidance of the Georgian National Museum is going on started by Levan Chilashvili efforts in forming a new, based on the national traditions, western type museum union.

Zurab Tvalchrelidze, Teimuraz Beridze

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია №1 (46-B), 2010, 19-37
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences №1 (46-B), 2010, 19-37

არქეოლოგია

ნიკოლოზ თუშაბრამიშვილი

საქართველოს ეროვნული მუზეუმი, რუსთაველის გამზირი 3, 0105,
თბილისი, საქართველო, ელ.ფოსტა: ntushi@museum.ge

ზემო იმერეთის მღვიმეები და ზედა პალეოლითელ ადამიანთა სამეურნეო საქმიანობა

ზემო იმერეთის რეგიონი, კერძოდ კი, ჭიათურა-საჩხერის ადმინისტრაციული რაიონების ტერიტორია უაღრესად მდიდარია ძველი ქვის ხანის ძეგლებით. ეს ფაქტი ცნობილია ჯერ კიდევ XIX ს-დან. სწორედ ეს რეგიონი ფაქტიურად ერთ-ერთი ის ტერიტორია გახლდათ, სადაც დაიწყო ძველი ქვის ხანის კვლევა საქართველოში.

ჯერ კიდევ XIX ს-ის 70-იანი წლებიდან ა. იოაკიმოვიჩმა, ს. სიმონოვიჩმა, ა. ბერნაცკიმ და სხვებმა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მათ შორის მდ. ყვირილას ხეობაში, ქვის ხანის ცალკეული იარაღებისა და ცხოველთა ძვლოვანი ნაშთების არსებობის ფაქტები დაადგინეს. ამ პერიოდისთვის ა. ბერნაცკიმ გამოაქვეყნა ცნობები ჭიათურის მახლობლად, სოფ. რგანის ტერიტორიაზე ერთ-ერთ მღვიმეში განათხარი ადამიანისა და მღვიმური დათვის ძვლოვანი ნაშთების აღმოჩენის შესახებ [А.Бернацкий. Газета 84, 255].

მეტად მნიშვნელოვანი იყო პოლონელი მკვლევარის – სტეფანე კრუკოვსკის მოღვაწეობა ჩვენში. იგი საქართველოში კავკასიის მუზეუმის (დღეს საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ს. ჯანაშიას მუზეუმი) მოწვევით ჩამოვიდა.

სტ.კრუკოვსკის, რომელიც ეყრდნობოდა ა. ბერნაცკის იფორმაციას ჭიათურის რაიონის სოფ. რგანის ტერიტორიაზე მდებარე მღვიმეში განამარხებულ ცხოველთა და ადამიანის ძვლოვანი ნაშთების აღმოჩენის შესახებ [Замятнин 1957: 24-37], 1916-1917 წწ. მოუსინჯავს ჭიათურის რ-ის სოფ. რგანის ტერიტორიაზე მდებარე მღვიმეები: „გვარჯილას კლდე," „ბნელი კლდე," „საქაჯი კლდე," „საძროხიას," „ჩელტის თავის" მღვიმეები. საბოლოოდ მას განსაკუთრებული ყურადღება „გვარჯილას კლდისთვის" მიუქცევია და იგი ნაწილობრივ გაუთხრია კიდეც [Круковский 1916:6] [იხ. გვარჯილას კლდეში მოპოვებული მასალების მუზეუმისადმი გადაცემის აქტები. Акт о приеме материалов по пещерным\остаткам Имеретинского района. 1918].

1957წ-დან საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილების არქეოლოგიურმა ექსპედიციამ დ. თუშაბრამიშვილის ხელმძღვანელობით ჭიათურა-საჩხერის რაიონებში გეგმაზომიერი კვლევა-ძიებითი სამუშაოები დაიწყო.

დ. თუშაბრამიშვილმა ამ რეგიონში 70-ზე მეტი პალეოლითური (მათ შორის 13 სტრატიფიცირებული) ძეგლი გამოავლინა. სხვადასხვა ტიპის პალეოლითური ძეგლებიდან აღსანიშნავია ჯრუჭულის მღვიმე, სამგლე კლდე, შვალიეთის მღვიმე, ორთვალა კლდე, სამერცხლე კლდე, ტოღონ-კლდე, ძუძუანას მღვიმე და კაცხის, ჭილოვანის, სარბების, კაუნარის, ჯოყოეთის ღია სადგომები. ეს ძეგლები პალეოლითის სხვადასხვა ეპოქას განეკუთვნება. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ დ. თუშაბრამიშვილის მიერ აღმოჩენილი და შესწავლილი მღვიმეებიდან რამდენიმე – ჯრუჭულა, ორთვალა კლდე, ძუძუანა, კოტიას კლდე და სხვ. საერთაშორისო მნიშვნელობის არქეოლოგიური ძეგლია. პალეონტოლოგიური თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია შვალიეთის მღვიმე.

1993 წ-დან აღნიშნული ექსპედიცია ორად გაიყო. ერთმა – ბ-ნ თ. მეშველიანის ხელმძღვანელობით მუშაობა გააგრძელა დ. თუშაბრამიშვილის მიერ გამოვლენილ და ნაწილობრივ შესწავლილ მღვიმურ ძეგლებზე - ძუძუანის მღვიმესა და კოტიას კლდეში, მეორემ კი ჩვენი ხელმძღვანელობით სამუშაოები გააგრძელა ადრე აღმოჩენილ ძეგლებზე ("ჯრუჭულის მღვიმე", "სამგლე კლდე", "ორთვალა კლდე", "ცუცხვათის მღვიმოვანი კოპლექსი"), გამოავლინა 15-მდე ახალი მღვიმური სადგომი და დაიწყო ახალ ძეგლთა კვლევაც. გადაუჭარ-ბებლად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ მიერ გამოვლენილი და კვლევის პროცესში მყოფი ორი მღვიმური სადგომი "უნდო კლდე" და "ბონ-დის მღვიმე" საერთაშორისო მნიშვნელობისაა და უკვე საკმაოდ ცნობილია სამეცნიერო წრეებში. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ 1996 წლიდან რიონ-ყვირილას აუზის ძველი ქვის ხანის შემსწავლელი არქეოლოგიური ექსპედიცია აქტიურად თანამშრომლობს უცხოურ სამეცნიერო ცენტრებთან და მათთან ერთად იკვლევს ქვის ხანის სხვადასხვა პერიოდის ძეგლებს. ეს სამეცნიერო ცენტრებია – ჰარ-ვარდის უნივერსიტეტი (აშშ), იერუსალიმის ებრაული მუზეუმი (ისრაელი), საფრანგეთის ბუნების ისტორიის მუზეუმი და ადამიანის პალეონტოლოგიის ინსტიტუტი, ტარაგონასა (ესპანეთი), კონექტიკუტის (აშშ), კორკის (ირლანდია) უნივერსიტეტები. სავარაუდოდ, 2010 წ-დან ერთობლივ სამუშაოებში ოქსფორდის უნივერსიტეტი და ბრიტანეთის ბუნების მუზეუმი ჩაერთვება. ეს თანამშრომლობა საშუალებას გვაძლევს, უახლესი მეთოდიკისა და თანამედროვე ლაბორატორიული კვლევის საფუძველზე შევისწავლოთ კაცობრიობის ისტორიის ეს უმნიშვნელოვანესი მონაკვეთი.

ძეგლების ასეთმა რაოდენობამ, მეცნიერული კვლევის ინტენსიობამ და ახალმა აღმოჩენებმა ახალი შესაძლებლობები გამოკვეთა: კონკრეტული ძეგლების შესახებ ინფორმაციების მოკრების გარდა შესაძლებელი გახდა გარკვეული განზოგადებული დასკვნების გამოტანა ძველი ქვის ხანის ეპოქის ძეგლების შესახებ. აგრეთვე:

1. გაჩნდა საშუალება ძეგლების ზუსტი დათარიღებისა, მათ შორის ისეთი ძეგლებისა, რომლებიც 1960-1970-იან წლებში ითხრებოდა.

2. შეიცვალა თვითონ ქვის ტიპოლოგიური შესწავლის პრინციპები, რაც ადრე აღმოჩენილი მასალების რევიზიასა და ხელახალ დამუშავებას მოითხოვს.

3. დადგინდა, რომ რამდენიმე შუა პალეოლითური ძეგლი, კერძოდ, ჯრუჭულის მღვიმე, სამგლე კლდე და სხვ. მიეკუთვნება ადრე შუა პალეოლითს და არა მის მოგვიანო პერიოდს, როგორც ეს მანამდე იყო მიჩნეული.

4. შესაბამისად, აუცილებელი გახდა ფინალური ქვედა პალეოლითის კულტურების ადრე შუა პალეოლითურ კულტურებთან დაკავშირება, აგრეთვე, შუა პალეოლითის ზედა პალეოლითზე გადასვლის გზებისა და შუადან ზედა პალეოლითზე გარდამავალი საფეხურების შესწავლა, ანუ ამ რეგიონში თანამედროვე ადამიანის გამოჩენის გზებისა და მექანიზმების გარკვევა.

5. შესაძლებელი გახდა ინტერდისციპლინარული კვლევების წარმართვა პალეოეკოლოგიის რეკონსტრუქციის მიმართულებით.

6. დაგროვილი ინფორმაცია და ახალი აღმოჩენები უკვე საშუალებას გვაძლევს პირველყოფილი ხელოვნების საკითხები გაცილებით უკეთ და სრულყოფილად შევისწავლოთ.

7. არის სიახლეც კვლევის მეთოდოლოგიაში – დაიწყო პალეოსეისმოლოგიის მიმართულებით მუშაობა, რაც საშუალებას იძლევა უკეთ იქნას გააზრებული პალეოკლიმატისა და სედიმენტაციის საკითხები.

ასეთი სახის კვლევების შედეგად მიღებული ინფორმაცია საშუალებას იძლევა რამდენადმე სრულად წარმოვიდგინოთ ისტორიის უზარმაზარი ეპოქის განმავლობაში მიმდინარე ცვლილებებთან დაკავშირებული ისტორიული პროცესები; თვალ-ყური ვადევნოთ ადამიანთა სოციალურ და სამეურნეო ცხოვრებას, პალეოგარემოსა და სხვ.

ჩვენი საველე სამუშაოების მიზანია ნეანდერტალელებისა და თანამედროვე ადამიანების კონკრეტული დასახლებებისა და სადგომების კვლევა. ჩვენთვის საინტერესოა ის საკითხები, თუ რით იკვებებოდნენ ეს ადამიანები, როგორ მოიპოვებდნენ საკვებს, როგორი იარაღებით სარგებლობდნენ, როგორ ითვისებდნენ და გამოიყენებდნენ ლანდშაფტს, რა ტიპის სოციალური ურთიერთობები იყო მათთვის დამახასიათებელი. ასევე, ვცდილობთ გავარკვიოთ, არსებობდა თუ არა რაიმე სახის კონტაქტები ამ კულტურულად და ბიოლოგიურად განსხვავებულ პოპულაციებს შორის იმ კრიტიკულ ეპოქაში (37-34000 BP), როდესაც ნეანდერტალელთა გადაშენება დაიწყო და პირველი თანამედროვე ადამიანები გამოჩნდნენ. **საქართველოს ტერიტორია, კონკრეტულად კი დასავლეთ საქართველო (იმერეთი), ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რეგიონია, სადაც შესაძლებელია ნეანდერტალელთა და თანამედროვე ადამიანთა ურთიერთობების კვლევა.**

როგორც ცნობილია, სამხრეთ კავკასია და საქართველოს ტერიტორია გზაჯვარედინია ევროპასა და აზიას შორის, რომელიც მთლიანად შემოსაზღვრულია დიდი და მცირე კავკასიონის ქედებითა

და შავი და კასპიის ზღვებით [ტაბ. 1. სურ. 1,2]. რეგიონი პალეოლითური ეპოქის დროს გეოგრაფიული "ჩიხი" იყო, სადაც არეალის სიმცირის გამო, სხვადასხვა კულტურა იძულებით კონტაქტობდა, იმ ფონზე, რომ ეს კულტურები ერთმანეთის კონკურენტები იყვნენ – ტერიტორიისა და საარსებო რესურსების ათვისებასა და სარგებლობის საკითხებში [Adler, Bar-Oz, Vekua, Tushabramishvili 2004. 52-55].

სამხრეთ კავკასიის იმ ტერიტორიაზე, სადაც განსახილველი ძეგლები მდებარეობს (იმერეთის რეგიონი), ფინალური შუა პალეოლითისა და ზედა პალეოლითის ეპოქაში, მთიანი რეგიონებისთვის დამახასიათებელი კლიმატი იყო – რბილი, ტენიანი. ისევე როგორც დღეს, ზედა პლეისტოცენში ღრმა ხეობებით დასერილი ეს ტერიტორია მდიდარი იყო ფლორითა და ფაუნით. ტყეებს ენაცვლებოდა ღია ლანდშაფტები, რაც უფრო მეტად მრავალფეროვანს ხდიდა გარემოს, მცენარეულ საფარსა და ცოცხალ ბიომასას, ვიდრე ეს არის ხშირი ტყეებით დაფარულ ადგილებში. ძველი ქვის ხანის, კაცობრიობრიობის ისტორიის ამ ყველაზე ხანგრძლივი ეპოქის განმავლობაში ჰავის პერიოდული ცვლილება ფოთლოვანი ტყეების წიწვოვანით ჩანაცვლებას განაპირობებდა, თუმცა ეს დიდად არ მოქმედებდა მსხვილ ძუძუმწოვართა მრავალფეროვნებასა და გავრცელებაზე. რეგიონი ბიოგეოგრაფიულ რეფუგიუმს წარმოადგენს, რომელიც შემორჩენილია ზედა პლეისტოცენის ეპოქიდან (დაახლ. 140000-130000 წწ-დან). ეს გარემო პირობები გამოწვეული იყო შავი ზღვიდან წამოსული თბილი და ტენიანი ჰავითა და დიდი კავკასიონის ქედით, რომელიც ჩრდილოეთიდან ცივი კლიმატის გავრცელებას ხელს უშლიდა.

ის, რომ ჩრდილოეთის ცივი ჰავა დიდ ზეგავლენას არ ახდენდა სამხრეთ კავკასიაზე, კავკასიონის სამხრეთ მთისწინა ზოლში, 1300 მ-ის სიმაღლეზე ზედა პალეოლითური ძეგლების არსებობით დასტურდება. აქვე აღვნიშნავთ, რომ ადრე ზედა პალეოლითის ვერტიკალური გავრცელების ლიმიტად მიჩნეული იყო 800 მ., რაც სწორედ ცივი კლიმატური პირობებით აიხსნებოდა [Тушабрамишвили 1991. 453].

წინამდებარე სტატიაში შევჩერდებით ზედა პალეოლითურ ძეგლებზე, თანამედროვე ტიპის პირველყოფილ ადამიანებზე **(**Homo sapiens**),** მათ ადაპტაციებზე, სოციალური ცხოვრების ნირზე, ეკონომიკურ სტრატეგიაზე და ა.შ.

განხილვის ობიექტებად, გეოგრაფიული მდებარეობის გამო, სამი მღვიმური ძეგლი შევარჩიეთ: ორთვალა კლდე, ძუძუანას მღვიმე და ბონდის მღვიმე. ისინი სულ რამდენიმე კმ-თაა ერთმანეთისგან დაშორებული, სამივე მღვიმე მდებარეობს ხეობაში, კანიონში, რომელთა თავზეც პლატო და მეტნაკლებად გაშლილი სივრცეებია, რომლებიც რამდენიმე კმ-ში (2-4 კმ) მორიგი კანიონისებური ხეობით იზღუდება. ეს მღვიმეები, რა თქმა უნდა, ერთ კარსტულ სისტემაშია გამომუშავებული, მდინარეებით პლატოს ჩაჭრა-დანაოჭებაც მეტ-ნაკლებად თანადროულად ხდებოდა.

ორთვალა კლდე

მდებარეობს ქ. ჭიათურასთან, ოდნავ ჩრდ-დას-ით, სოფ. დიდი რგანის ტერიტორიაზე, მდ. ჭერულის, იგივე რგანისწყლის (მდ. ყვირილის მარჯვენა შენაკადი) მარჯვენა ნაპირზე, მდინარის დონიდან 35 მ-ის სიმაღლეზე, ზღვის დონიდან 530 მ-ზე [ტაბ. 1. სურ. 1, 2].

ორთვალა კლდე არის ეხი, რომელშიც ორი დარბაზი გამოიყოფა. აქედან მომდინარეობს მისი სახელწოდებაც. ორივე დარბაზის საერთო სიგანე 35 მ-ია, სიღრმე-14,5 მ, სიმაღლე – დიდი დარბაზის ცენტრში 7 მ-ია, შესასვლელში 2 მ. მღვიმეს აღმოსავლეთის ექსპოზიცია აქვს. იგი მშრალი და ნათელია.

მღვიმე აღმოჩენილია 1973 წ-ს ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის (დღეს ეროვნული მუზეუმი) რიონ-ყვირილას აუზის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმ. დ. თუშაბრამიშვილი). 1993 წ-დან ექსპედიცია ნ. თუშაბრამიშვილის ხელმძღვანელობით მუშაობს. 1997-2001 წწ. ექპედიცია თანამშრომლობდა ჰარვარდის უნივერსიტეტის, ხოლო, 2006-07 წწ. პარიზის ადამიანის პალეონტოლოგიის ინსტიტუტის პრეისტორიის მკვლევარებთან.

მღვიმეში დაფიქსირებულია 11 ლითოლოგიური ფენა. მე-2 და მე-3 ფენები ზედა პალეოლითის ეპოქას მიეკუთვნება, მე-4 კი ფენა მიჩნეული იყო შუადან ზედა პალეოლითზე გარდამავალ ფენად [თუშაბრამიშვილი 1994] [ტაბ. 1. სურ. 3,4,5]. 1997-2001 წწ-ის კვლევების შედეგად მე-4 ფენაც ზედა პალეოლითის პერიოდს მიეკუთვნა და ამასთან მისი გარკვეული მონაკვეთები არეულად ჩაითვალა: ამ მონაკვეთებში შერეულია შუა და ზედა პალეოლითური მასალა [Adler, Bar-Oz, Belfer-Cohen, Bar-Yosef 2006]. ჩვენ მიერ მასალის ხელახალი შესწავლის, რეგიონში არსებული სხვა ზედა პალეოლითური ძეგლების მასალების გადახედვის, ასევე, ახალი ზედა პალეოლითური სადგომების აღმოჩენის შედეგად ხელახლა დგება ორთვალა კლდესა და სხვა სადგომებში გარდამავალი (შუადან ზედა პალეოლითზე) საფეხურის არსებობის საკითხი. ამის შესახებ მოგვიანებით ვისაუბრებთ.

ორთვალა კლდის შუა პალეოლითური ფენები 50000-36000 წწ-ით თარიღდება, ხოლო, ზედა პალეოლითური ფენები – 34000-19000 წწ-ით. ეხში, ფაქტიურად, წარმოდგენილია ამ ორ ეპოქას შორის არსებული ორიათასწლიანი ინტერვალი (36000-34000), ეს ის პერიოდია, როდესაც აქ ადამიანი არ სახლობდა. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ სხვადასხვა მეთოდით მიღებული თარიღების ინტერპრეტაცია განსხვავებულადაც შეიძლება. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ გარკვეული თარიღები კარგად ავსებს აღნიშნულ დროის შუალედს, შესაძლებელია ამ პერიოდისთვის მღვიმის უწყვეტი დასახლებაც ვივარაუდოთ.

[ტაბ.1].

Lab №	Layer	Material	14Cage BP+/-1σ	Weighted Mean	Age Cal BPhulu +/-1	Weighted Mean
RTT3824	2	Bone	21170+/-140	21170+/-140	25329+/-363	25329+/-363
AA38195	3	Charcoal	21580+/-230	21664+/-159	25799+/-534	25885+/-394
AA38196	3	Charcoal	21740+/-220		25987+/-583	
RTT3964	4b	Charcoal	27000+/-260	27000+/-	31742+/-201	31742+/-201
RTT3825	4b	Bone	23770+/-200	23770+/-200	28694+/-421	28694+/-421
AA38193	4c	Charcoal	30660+/-430	30486+/-323	34889+/-451	34704+/-316
AA38197	4c	Charcoal	30260+/-490		34520+/-444	
RTT4207	4c	Charcoal	31900+/-780		36380+/-1205	36269+/-344
RTT4210	4c	Charcoal	31800+/-500		35785+/-723	
RTT4209	4c	Charcoal	32200+/-400		35825+/-632	
RTT4208	4c	Charcoal	32200+/-550		36701+/-982	
RTT4211	4c	Charcoal	32300+/-550	34188+/-328	36809+/-966	
RTT45865	4c	Charcoal	32510+/-530		37020+/-897	
RTT4214	4c	Charcoal	34100+/-800		39146+/-1340	39475+/-559
RTT4213	4c	Charcoal	34600+/-600	38100+/-935	39781+/-911	
AA45864	4c	Charcoal	33700+/-620	38389+/-768	38861+/-1506	
RTT4212	4c	Charcoal	34300+/-650		39560+/-999	
RTT4725	4d	Bone	38100+/-935	42764+/-806	42714+/-805	42714+/-805

[Adler D., Bar-Oz G., Belfer-Cohen A., Bar-Yosef O. Tushabramishvili N. Boaretto E., Mercier N., Valladas H., Rink W. 2008. 8]

ორთვალა კლდის ზედა პალეოლითისთვის დამახასიათებელია, როგორც წაგრძელებული, ლამელარული ფორმები (მახლობელი აღმოსავლეთის აჰმარიისა და დასავლეთ ევროპის გრავეტის მსგავსი), ასევე, ორინიაკული ნიშნებიც: კარენეს ტიპი, დიდი ზომის ლამელაზე ნაკეთები საფხეკი, არის ბიუსკეს ტიპის საჭრისები და რამდენიმე ორინიაკული ძვლის წვეტანა, ორნამენტირებული ძვლები [ტაბ. 2. სურ. 1, 2, 3].

მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ორთვალა კლდის ყველა კულტურულ ფენაში, მათ შორის იმ ყველაზე ძველ ფენაშიც კი, რომლის შემდეგაც ადამიანმა დროებით დატოვა ეს სადგომი, ფაუნისტური მასალის შემადგენლობაში ჯიხვის (Capra caucasica) ნაშთები ჭარბობს [ტაბ. 2. სურ 4]. ჩვენს ერთ-ერთ პუბლიკაციაში აღნიშნული გვაქვს, რომ მღვიმე ძირითადად გამოყენებული იყო სეზონურად – გვიანი შემოდგომიდან ადრე გაზაფხულამდე [Adler, Bar-Oz, Belfer-Cohen, Bar-Yosef 2006]. ეს დასკვნა გამოიტანა არქეო-ზოოლოგ გაი ბარ-ოზმა, რომელმაც ფაუნისტური მასალა შეისწავლა. მისი აზრით, ძირითადად მონადირე-

ბული იყო საშუალო ასაკის ცხოველები, რაც მან მათი გამრავლების ციკლსაც დაუკავშირა [Bar-Oz, Adler 2004]. იმ ფაქტს, რომ ორთვალა კლდის ბინადარი, როგორც ნეანდერტალელი, ისე თანამედროვე ადამიანი ერთნაირად ნადირობს ჯიხვზე, ვხსნიდით და ვხსნით ორივე სახეობის მიერ ჯიხვის საარსებო არეალისა და ქცევების შესახებ თანაბარი დონის ცოდნითა და ნადირობის მსგავსი მეთოდებით. ჩემს ადრინდელ შრომებში აღნიშნულია, რომ ადამიანი, რა თქმა უნდა, იმ ცხოველზე ნადირობს, რომელიც უფრო ხელმისაწვდომია. შესაბამისად, ამას ხელს უწყობს აღნიშნულ ტერიტორიაზე ამა თუ იმ სახეობის ცხოველის, ამ შემთხვევაში Capra caucasicas სიმრავლე. ამ მოსაზრებას, ვეყრდნობოდით რა სხვადასხვა მეცნიერის, ასევე საკუთარ დაკვირვებას, ვხსნიდით არა მარტო სეზონური, არამედ, Capras დღე-ღამური მიგრაციებით. ამ სახეობისთვის დამახასიათებელია დღე-ღამეში დაახლოებით 2000 მ-ის სიმაღლეზე მიგრაციები (მაგ. ყუროს ქედი, ნაქერალა) [მარუაშვილი 1981]. ეს ინფორმაცია ბარ-ოზს არა აქვს გათვალისწინებული. მას დასკვნები გამოაქვს ზოგიერთი მეცნიერის მონაცემებზე დაყრდნობით (მაჭარაშვილი) [Adler, Bar-Oz, Vekua, Tushabramishvili 2004] და არ იყენებს სხვა ინფორმაციას, გარდა იმისა, რომ ჯიხვს ახასიათებს სეზონური მიგრაციები.

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ პალეოლითის ეპოქაში, განსაკუთრებით მის ცივ მონაკვეთებში, ვერტიკალური ზონები დაბლა იყო დაწეული, ზოგიერთ შემთხვევაში 800-1000 მეტრითაც კი [Тушабрамишвили 1991]. ეს იმას ნიშნავს, რომ Capra caucasica მუდმივად არსებობდა იმ ტერიტორიებზე, სადაც ორთვალა კლდე მდებარეობს და, შესაბამისად, ეს არსება ყველა სახეობის ადამიანისთვის მუდამ ხელმისაწვდომი იყო.

სხვადასხვა ძეგლის კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციები გვიბიძგებს საიმისოდ, რომ სხვა ვერსიებიც ვივარაუდოთ და მომავალში ამ მიმართულებებითაც ვიმუშაოთ.

საქმე ის არის, რომ ორთვალა კლდიდან სულ რამდენიმე კმ-ში არსებულ ძეგლებზე – ძუძუანასა და ბონდის მღვიმეებში დადასტურებულია ამავე პერიოდის, ამავე ასაკით დათარიღებული ზედა პალეოლითური ფენები. ეს ძეგლები გარკვეული ნიშნებით ერთმანეთს ჰგავს თუმცა, ამ მღვიმეების ბინადარი ზედა პალეოლითელი ადამიანის ნადირობის ძირითადი ობიექტი სხვა ცხოველებია. მიუხედავად ამისა, აღნიშნული მღვიმეების მოსახლეებს შორის, შესაძლოა, რაღაც კავშირებიც არსებობდა.

ბონდის მღვიმე ორთვალა კლდიდან დაახლოებით 7-8 კმ-ით არის დაშორებული. იგი მდებარეობს ქ. ჭიათურიდან 6 კმ-ის მანძილზე მის ჩრდ-დას-ით, სოფ. წირქვალის ტერიტორიაზე, თაბაგრების ღელის მარჯვენა ნაპირზე, მდინარიდან 30 მ-ის სიმაღლეზე. მღვიმის აბსოლუტური სიმაღლე – 477 მ-ია. სოფ. წირქვალსა და სოფ. თაბაგრებს ბონდის ხიდი აკავშირებს, რომლის ერთი საყრდენი ზუსტად მღვიმის თავზეა, რის გამოც ძეგლს აღნიშნული სახელი შევურჩიეთ.

ბონდის მღვიმის საერთო ფართობი დაახლ 101 კვ.მ. (121 არასრული კვადრატი). მისი ორიენტაცია (შესასვლელი) სამხრეთისკენ არის

მიმართული. სიმაღლე შესასვლელთან 9 მ-მდეა. მღვიმის სიღრმე-11 მ, სიგანე-7მ.

მღვიმეში ითხრებოდა მხოლოდ 9 კვადრატი. ჯერჯერობით დადგენილია 8 ლითოლოგიური ფენა. მათი სიღრმე 0-ის ხაზიდან 3,30 მ-ია, ხოლო მიწის თანამედროვე ზედაპირიდან – 0,90 მ, ე.ი. ფენების მთლიანი სიმძლავრე 2,40 მ-ია. I შრე არეულია და გვიანდელ ეპოქებს მიეკუთვნება. კერძოდ, აქ წარმოდგენილია ნეოლოთისა, თუ ენეოლითის, რკინის, ბრინჯაოსა და ფეოდალური ხანის არეული მასალა. დანარჩენ ფენებში ზედა პალეოლითის სხვადასხვა საფეხურის მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი მასალა აღმოჩნდა. უნდა აღინიშნოს, რომ ექსპედიციამ ჯერ დადაქანამდე (იატაკამდე) დასვლა ვერ მოახერხა. შესაძლებელია, ქვედა ფენაში წარმოდგენილი იყოს უფრო ადრეული, მათ შორის შუა პალეოლითური ხანის მასალაც, რისი ნიშნებიც გამოჩნდა.

ბონდის მღვიმის ზედა პალეოლითურ ფენებში სულ 6883 ქვის ნივთი აღმოჩნდა. ნედლეულად ძირითადად გამოყენებულია კაჟი, მხოლოდ 63 ნივთია ობსიდიანის, 22-ანდეზიტ-ბაზალტის.

ყველაზე ინტენსიურად ათვისებული იყო IV და V ფენები.

საერთო იერით ბონდის ქვის ინდუსტრია ძუძუანის მასალას მოგვაგონებს. თუმცა, ბონდის მღვიმეში ინდუსტრია ძირითადად არამიკროლითური, ლამელარულია. საკმაოდ დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი ანატკეცებიც. იარაღთა უმეტესობა ანატკეცებზეა ნაკეთები, თუმცა, არც ლამელები და მიკროლამელებია ცოტა [ტაბ. IV სურ. 1,3,6] ძუძუანისა და ორთვალა კლდის მსგავსად გარკვეული ორინიაკოიდული ნიშნებიც შეიმჩნევა, კერძოდ, კარენეს ტიპის ფორმები (ნუკლეუსები, საჭრისები, შალაშინები), ასევე, არის დიდი ზომის ოვალურ ნამზადსა და ლამელაზე ნაკეთები რამდენიმე საფხეკი, ზურდაბლაგვებული ლამელები და მიკროლამელები, აგრეთვე, ძვლის იარაღები. აღსანიშნავია, ბაზალტის რიყის ქვებისგან დამზადებული ნივთების არსებობა. მსგავსი ნივთები ორთვალა კლდეში არ არის, მაგრამ მცირე რაოდენობითა და შედარებით განსხვავებული ფორმებით ძუძუანაში გვხდება.

მღვიმეში დადგენილია ძვლის ნივთები, რომლებსაც ეტყობა ნაკაწრები (ძვლის დამუშავებისას შერჩენილი). ამას გარდა, მე-2 ფენაში 1 ცალი ძვლის იარაღი აღმოჩნდა (გახეხილ-გაპრიალებული წვეტანა, თუ საჭრისი) და ერთი ორნამენტირებული, დამწვარი ძვლის ფრაგმენტი. წიწვოვანი (თევზიფხური) ორნამენტი სამწახნაგა, გაგლუვებული ძვლის ბრტყელ წიბოზეა ნაკეთები. ორნამენტი (ნაკაწრები) ერთმანეთისგან თანაბარი მანძილით დაშორებულ რვა რიგად არის განლაგებული. ჯერჯერობით ამ სიმბოლოების სახე და ფუნქცია გაურკვეველია [ტაბ. 4].

აღსანიშნავია, მე-5 ფენაში აღმოჩენილი მძივი, რომელიც, შესაძლებელია, ზედა ფენებიდან იყოს აქ მოხვედრილი.

ძეგლების ასაკი [ლიონისა და მაიამის ლაბორატორიის მონაცემებით] :

Beta - 239225 19270 +/- 120 BP -19.4 o/oo 19360 +/- 120 BP

SAMPLE : S1: Bondi Cave (Georgia) B4 z= 110-140

ANALYSIS : AMS-Standard delivery

MATERIAL/PRETREATMENT : (bone collagen): collagen extraction: with alkali

2 SIGMA CALIBRATION : Cal BC 21670 to 20590 (Cal BP 23620 to 22540)

Beta - 239226 10850 +/- 40 BP -20.5 o/oo 10920 +/- 40 BP

SAMPLE : S2: Bondi Cave (Georgia) A4 z=145-165

ANALYSIS : AMS-Standard delivery

MATERIAL/PRETREATMENT : (bone collagen): collagen extraction: with alkali

2 SIGMA CALIBRATION : Cal BC 10980 to 10880 (Cal BP 12930 to 12830)

Beta - 239227 34940 +/- 340 BP -16.9 o/oo 35070 +/- 340 B

SAMPLE : S3 Bondi Cave (Georgia) B4 z= 230-280

ANALYSIS : AMS-Standard delivery

MATERIAL/PRETREATMENT : (bone collagen): collagen extraction: with alkali

Lab №	კვადრატი	ფენა	(სიღრმე სმ)	Age radiocarbone conventionnel BP	Age Cal BP 2 Sigma
SacA-12064	C3	III	130-150	14330+/-90	17636 -16655
Beta 2392225	B4	IV	110-140	19360+/-120	23620-22540
SacA-12065	C3	IV	150-160	14050+/-90	17150-6298
SacA-12065	C3	IV	170-190	20080+/-170	24491 -23608
Beta 2392226	A4	V	145-165	10920+/-40	12930-2830
SacA-12068	C3	V	203-230	24620+/-300	----
SacA-12067	C3	V	200-210	18010+/-140	21940-20840
SacA-12069	C3	VI	240-250	31270+/-640	----
Beta 2392227	B4	VII	230-280	35070+/-340	----

ახალი მონაცემების მიხედვით ყველაზე ქვედა ფენა 37000 BP თარიღდება, რაც ჯერჯერობით საქართველოს ზედა პალეოლითისთვის ყველაზე ადრეულია.

გათხრებისას აღმოჩენილი ფაუნისტური ნაშთები სულ 11 სახეობას ეკუთვნის. მათ შორის ბიზონის ნაშთები დომინირებს [ცხრ. 5]. არის Capra caucasica-ც. სამი განამარხებული ნაშთი გვიდასტურებს ძეგლზე ცხენის (*Equus*) არსებობას [ნიკოლოზ თუშაბრამიშვილი, თამარ აღაპიშვილი, მაია ბუხსიანიძე, ელისო ყვავაძე, ალექდანდრე მუსხელიშვილი, მარი-ელენ მონსელი, დავიდ პლოდდო 2009].

როგორც ვხედავთ, ორთვალა კლდისგან განსხვავებით, სადაც დომინირებს კავკასიური ჯიხვი, ბონდის მღვიმეში ბიზონი ჭარბობს. მსგავსი ვითარებაა ძუძუანის მღვიმეშიც.

აღსანიშნავია, რომ ბონდის V ფენაში ბავშვის საძირე კბილი აღმოჩნდა. [ცხრ. 5]

ძუძუანის მღვიმე მდებარეობს ბონდიდან სულ 3-4 კმ-ში, სოფ. მღვიმევის ტერიტორიაზე, ნიკრისის ხეობაში.

ძუძუანის მღვიმის ზედა პალეოლითი შემდეგნაირად ხასიათდება:

შრე A: ~5,000-6,300 BP; შრე B: ~11,000-13,000 BP: ბიპოლარული ნუკლეუსებიდან ატკეცილი ლამელები და მცირე ზომის ლამელები; შრე

C: ~19,000-23,000 BP: ჭარბობს ლამელები, მცირე ზომის ლამელები და მიკროლითები, საფხეკები ანატკეცებზე, კარენეს ტიპის ნუკლეუსები; შრე D: ~26,000-32,000 BP: მიკროლითები, საფხეკები ანატკეცებზე, ორმაგი და ფრჩხილისებური საფხეკები. აქვე აღვნიშნავთ, რომ გამთხრელები უკანასკნელ ფენას ამ ბოლო დროს 34000 წლით ათარიღებენ.

ფაუნისტური მასალიდან აქ დომინირებს ბიზონი. ისევე, როგორც ბონდის მღვიმეში, ძუძუანაშიც წარმოდგენილია ცხენი.

როგორც ვხედავთ, ბონდისა და ძუძუანის მღვიმეების ათვისების პერიოდები თითქმის ერთი და იგივეა. ბონდის თარიღები რამდენადმე მაინც ავსებს ძუძუანის ჰიატუსებს, მაგრამ ჯერჯერობით არასრულად.

პალინოლოგიური და არაპალინოლოგიური მასალა. როგორც ძუძუანას მღვიმეში, ისე ბონდის მღვიმის ყველა ფენაში აღმოჩნდა შეღებილი გრეხილი მატყლის (ჯიხვის ბეწვი) და სელის ნაშთები. ეს არის ჯერჯერობით ყველაზე ადრეული ასეთი აღმოჩენა (35000 BP ბონდის მღვიმე, 34000-32000 BP -ძუძუანას მღვიმე). აღსანიშნავია, რომ მათი სიჭარბე დადასტურებულია იმ ფენებში, სადაც პალინოლოგიური და მიკროფაუნისტური მონაცემებით უფრო ცივი პერიოდებია ნავარაუდევი. ეს არის IV-VI ფენები. აცივების პერიოდში მღვიმე უფრო ინტენსიურად იყო ათვისებული. ამის დასტურია დამწვარი ფიჭვის ხის ბევრი მიკრონაშთის არსებობა. ასევე, მატულობს იმ სარეველათა რაოდენობა, რომლებიც ადამიანის მიერ დატკეპნილ ადგილას იზრდება. მატულობს ჯიხვის ბეწვისა და სელის ბოჭკოს ოდენობა, მათ შორის არის დაგრეხილი და შეღებილიც. ეს საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ამ დროს არა თუ ძაფი არსებობდა და მოიხმარებოდა, არამედ უკვე ქსოვაც შეეძლოთ. მეცნიერებაში ადრეც იყო გამოთქმული ეს მოსაზრება (Soffer et all.2000), რომლის მიხედვითაც ზედა პალეოლითურ ვენერებს სელისგან დამზადებული თავსაბურავები ახურავთ [ტაბ. V]. ჩვენი მასალა ამ სენსაციურ თეორიას ადასტურებს.

აღმოჩენილი პალინოლოგიური მასალის მიხედვით, ზედაპალეოლითურ დროს კოლხეთის მთისწინეთში ცივი პერიოდები უფრო ხანგრძლივი იყო, ვიდრე თბილი (Э.В. Квавадзе Н.Д., Тушабрамишвили. 2008).

ამრიგად, ერთ რეგიონში, ერთი და იგივე პალეოგარემოში, სადაც კლიმატური პირობები და ლანდშაფტი ერთნაირია, ერთმანეთისგან მხოლოდ რამდენიმე კმ-ით დაშორებულ მღვიმეებში, რომლებიც თანადროულად არის ათვისებული ადამიანთა მიერ, რამდენადმე განსხვავებული ვითარებაა წარმოდგენილი: ორთვალა კლდეში ადრე ზედაპალეოლითელი ადამიანი ნადირობს, ძირითადად, კავკასიურ ჯიხვზე. ძუძუანასა და ბონდის მღვიმეების ბინადარნი – უმეტესად ბიზონზე, ორთვალა კლდის მონადირეებისგან განსხვავებით, ისინი ცხენებსაც მოინადირებდნენ. ძუძუანისა და ბონდის მცხოვრებლებმა იცოდნენ სელისა და ჯიხვის ბეწვის გამოყენება, პრიმიტიულად ქსოვა და ღებვა. მსგავსი რამ ორთვალა კლდეში ჯერ არ არის დადგენილი. მატერიალური კულტურის თვალსაზრისით, ბონდისა და ძუძუანას მასალა უფრო ახლოს დგას ერთმანეთთან, ვიდრე ორთვალა კლდის, თუმცა მათ შორისაც არის განსხვავება (ძუძუანის მღვიმეში მასალა უფრო მიკროლითურია, ვიდრე ბონდსა და ორთვალა კლდეში). აქვე ისიც გვინდა

აღვნიშნოთ, რომ ყველა ძეგლს ერთი რამ აქვს საერთო – ორინიაკოიდული და გრავეტული ნიშნების თანაარსებობა. როგორც ჩანს, ეს საქართველოს ზედა პალეოლითისთვის დამახასიათებელია.

ზემო იმერეთის რეგიონში არსებულ ძეგლებზე მცირედ, მაგრამ მაინც განსხვავებული ქვის ინდუსტრიების, საარსებო-სამონადირეო სტრატეგიებისა და ტრადიციების არსებობა, შესაძლებელია, პირველყოფილ ადამიანთა ჯგუფების თანაცხოვრება-ადაპტაციასა და ბუნებრივი რესურსების და საარსებო არეალების გადანაწილებსთან იყოს დაკავშირებული. თუმცა, შესაძლებელია, ამ ძეგლების უკეთ დათარიღებამ მათ შორის ქრონოლოგიური განსხვავებები დაგვანახოს, რაც, ალბათ, იმის დამადასტურებელი იქნება, რომ ერთი და იგივე კულტურის მქონე ხალხი სხვადასხვა ხეობაში სეზონურად, ან სხვადასხვა დროს სახლობდა, ან ადამიანთა ეს ჯგუფები განსხვავებული სახის მეურნეობისა თუ ნადირობის სტრატეგიას იყენებდა.

ARCHAEOLOGY

NIKOLOZ TUSHABRAMISHVILI

Georgian National Museum, Rustaveli Avenue 3, 0105 Tbilisi, Georgia,
Email:ntushi@museum.ge

CAVES OF ZEMO IMERETI AND THE AGRICULTURAL ACTIVITIES OF UPPER PALEOLITHIC PEOPLE

SUMMARY

Our ongoing research in the caves of Western Georgia focuses on the settlement and subsistence behaviors of the Neanderthals and Modern Humans. Specifically we are interested in understanding what the Neanderthals and Modern Humans ate, how they acquired their foods, what kind of tools they made, how they moved around the landscape, and what their social relations were like. We are also interested in studying the nature of any contacts between these two culturally and biolologically different populations during the critical period about 40000 years ago when Modern humans entered the Southern Caucasus and local Neanderthal population began to disappear.

In this article we deal with three Upper Paleolithic cave sites which are located in Upper Imereti- region just in few km from each other (4-8 km). These are well-known sites - Ortvala Klde, Dzudzuana Cave and newly found Bondi Cave.

The landscape where these caves are situated are similar. All are located in parreallel gorges. The distance between the gorges is 4-8 km. According to pollen analysis and obtained datings the environment around these caves was simillar.

The inhabitants of Dzudzuana and Bondi caves were hunting mostly on *bisons*

and *equses*. In the same time the Neandrthals and the Modern humans of Ortvala Klde traditionally were extracting the *Capra caucasuica* (95%).

The industry of Bondi and Dzudzuana cave are more or less simmilar but there are differences-the microliths are dominated in the material of Dzudzuana. The blade and bladelet oriented technology are represented in both sites.

The blade technology is represented in Ortvala Klde as well, but there are some orignacian features which are better represented in this cave than in other above mentioned sites.

Co-exsistance of orignacian and gravettian features is one of the charachters of Upper Paleolithic of Western Georgia.

In Bondi and Dzudzuana caves there were discovered the most ancient flax and coloured fibers dated from 35000-34000.

Perhaps the differences between those contemprorary sites can be explained by different economical activities of different groups or by distribution of the habitat areas between them.

ბიბლიოგრაფია

1. თუშაბრამიშვილი ნ., აღაპიშვილი თ., ბუხსიანიძე მ., ყვავაძე ე., მუსხელიშვილი ა., მონსელი მ-ე, პლოდდო დ. 2009: რიონ-ყვირილას აუზის ძველი ქვის ხანის შემსწავლელი საერთაშორისო ექსპედიციის მიერ 2007 წ. ბონდის მღვიმეში ჩატარებული კომპლექსური კვლევის შედეგები. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. მოამბე. საბუნებისმეტყველო და პრეისტორიული სერია, 1. თბილისი.

2. ჯაყელი ნ. 2006: მიკროლითური ტექნიკის როლი დასავლეთ საქართველოს ზედაპალეოლითში,ძუძუანას მღვიმის ზედაპალეოლითური ფენების მასალებზე დაყრდნობით. ისტ.მ.კ. სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი. თბილისი.

3. Тушабрамишвили Д.М. 1991: Развитие Культуры. Грузия в антропогене. Тбилиси.

4. Бернацкий А. 1884: Ископаемые остатки пещерного человека и пещерных животных на Кавказе. Газета “Кавказ”, №255, 17 ноября, Тифлис.

5. Замятнин С.Н. 1957: Палеолит Западного Закавказья. I. Палеолитические пещеры Имеретии. Сборник Музея антропологии и этнографии. т. XVII. М.-Л.

6. Известия Кавказского музея. 1917: т. XI, вып. 1-2. Тифлис.

7. Квавадзе Э. В., Тушабрамишвили Н. Д. 2008: Микроостатики Волокон льна и шерсти в Палинологическом Материале Верхнепалеолитических Слоев пещеры бонди. Труды Института Палеобиологии Тбилиси.

8. Круковский С. 1916: Акт о приёме материалов по пещерным остаткам Имеретинского района. 1918. дело 4. с.6.

9. Adler D., Bar-Oz G., Belfer-Cohen A., Bar-Yosef O. 2006: Ahead of the Game. Middle and Upper Paleolithic Hunting Behaviors in the Southern Caucasus. Current Anthropology. Vol. 47, Number 1.

10. Adler D, Bar-Oz G., Vekua A., Tushabramishvili N. 2004:Paleolithic Hunting Practices. Caucasus Environment. 2 (7).

11. Adler D., Bar-Oz G., Belfer-Cohen A., Bar-Yosef O. Tushabramishvili N. Boaretto E., Mercier N., Valladas H., Rink W. 2008: Dating the Demise: Neanderthal Extinction and the Establishment of Modern Humans in the South Caucasus. 2008. Journal of Human Evolution. V.55 N.5. 1-17. A-267.

ილუსტრაციების აღწერილობა

ტაბ. I
სურ. 1. კავკასია.
სურ. 2. ზემო იმერეთი და პალეოლითური ძეგლების რუკა.

ტაბ. II
სურ. 1. ორთვალა კლდე. ხედი.
სურ. 2. ორთვალა კლდე. ხედი. არქეოლოგიური გათხრები.
სურ. 3. ორთვალა კლდე. მცირე დარბაზი. ჭრილი.
სურ. 4. ორთვალა კლდე. მცირე დარბაზი. ჭრილი. დეტალი
სურ. 5. ორთვალა კლდე. ჭრილი.

ტაბ. III
სურ. 1. ორთვალა კლდე. ქვის იარაღები.
სურ. 2. ორთვალა კლდე. ძვლის იარაღები.
სურ. 3. ორთვალა კლდე. ორნამენტირებული ძვლები.
სურ. 4. Capra caucasica. კავკასიური ჯიხვი.
სურ. 5. ბონდის მღვიმე. ხედი და გეგმა.

ტაბ. IV
სურ. 1. ბონდის მღვიმე. ქვის მასალა. V ფენა.
სურ. 2. ბონდის მღვიმე. ქვის მასალა. II ფენა.
სურ. 3. ბონდის მღვიმე. ქვის მასალა. IV ფენა.
სურ. 4. ბონდის მღვიმე. ნუკლეუსი. I ფენა.
სურ. 5. ბონდის მღვიმე. ქვის მასალა. III ფენა.
სურ. 6. ბონდის მღვიმე. ქვის მასალა. IV ფენა.
სურ. 7. ბონდის მღვიმე. ქვის მასალა. VI ფენა.
სურ. 8. ბონდის მღვიმე. ძვლის იარაღი.
სურ. 9. ბონდის მღვიმე. ორნამენტირებული ძვალი.

ტაბ. V
სურ. 1. ბიზონი.
სურ. 2. ბონდის მღვიმე. მძივი.
სურ. 3. ბონდის მღვიმე. ადამიანის კბილი.
სურ. 4. ბონდის მღვიმე. გრეხილი, შეღებილი ძაფი.
სურ. 5. ბონდის მღვიმე. სელის ბოჭკო.
სურ. 6. ვილენდორფელი ვენერა.

LIST OF ILLUSTRATIONS

Tab. I
Fig. 1. Caucasus.
Fig. 2. Map of Upper Imereti Region. Paleolithic Sites.

Tab. II
Fig. 1. Ortvala Klde. View.
Fig. 2. Ortvala Klde. View. Archaeological excavations.
Fig. 3. Ortvala Klde. Section.
Fig. 4. Ortvala Klde. Section. Detail.
Fig. 5. Ortvala Klde. Drawing of the section.

Tab. III
Fig. 1. Ortvala Klde. Stone tools.
Fig. 2. Ortvala Klde. Bone tools.
Fig. 3. Ortvala Klde. Ornamented bones.
Fig. 4. Capra caucasica.
Fig. 5. Bondi Cave. View and a plan of the site.

Tab. IV
Fig. 1. Bondi Cave. Upper Plaleolithic. Stone Material. Layer V.
Fig. 2. Bondi Cave. Upper Plaleolithic. Stone Material. Layer II.
Fig. 3. Bondi Cave. Upper Plaleolithic. Stone Material. Layer IV.
Fig. 4. Bondi Cave. Upper Plaleolithic. Stone Material. Layer I.
Fig. 5. Bondi Cave. Upper Plaleolithic. Stone Material. Layer III.
Fig. 6. Bondi Cave. Upper Paleolithic. Stone Material. Layer IV.
Fig. 7. Bondi Cave. Upper Paleolithic. Stone Material. Layer VI.
Fig. 8. Bondi Cave. Bone tool.
Fig. 9. Bondi Cave. Upper Paleolithic. Ornamented bone.

Tab. V
Fig. 1. Bison.
Fig. 2. Bondi Cave. Bead.
Fig. 3. Bondi Cave. Human's tooth.
Fig. 4. Bondi Cave. Twisted, colored thread**.**
Fig. 5. Bondi Cave. Flex.
Fig. 6. Venus of Willendorf**.**

ცხრ. I Tab.



სურ. 1 Fig.



სურ. 2 Fig.

ტაბ. II Tab.

სურ. 1 Fig.

სურ. 2 Fig.

სურ. 3 Fig.



სურ. 4 Fig.



სურ. 5 Fig.

ტაბ. III Tab.

სურ. 1 Fig.

სურ. 2 Fig.



სურ. 3 Fig.

სურ. 4 Fig.



სურ. 5 Fig.

ტაბ. IV Tab.



სურ. 1 Fig.



სურ. 2 Fig.

სურ. 3 Fig.



სურ. 4 Fig.

სურ. 5 Fig.

სურ. 6 Fig.



სურ. 7 Fig.

სურ. 8 Fig.

სურ. 9 Fig.

ტაბ. V Tab.

სურ. 1 Fig.



სურ. 2 Fig.



სურ. 3 Fig.



სურ. 4 Fig.



სურ. 5 Fig.



სურ. 6 Fig.

სურ. 7 Fig.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია №1 (46-B), 2010, 38-45
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences №1 (46-B), 2010, 38-45

არქეოლოგია

თენგიზ მეშველიანი*, ოფერ ბარ-იოზეფი, ანა ბელფერ-კოენი***, ზინოვი მაცკევიჩი**, ერეკლე ქორიძე*, ნინო ჯაყელი***

* საქართველოს ეროვნული მუზეუმი, რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო, ელ.ფოსტა: tengizmeshveliani@gmail.com
nino_jakeli@yahoo.com
**ანთროპოლოგიის დეპარტამენტი, ფიბოდი მუზეუმი ჰარვარდის უნივერსიტეტი, აშშ, ელ.ფოსტა: maskev@fas.harvard.edu
obaryos@fas.hrvard.edu
*** არქეოლოგიის ინსტიტუტი, ჰიბროუ უნივერსიტეტი, ისრაელი, ელ.ფოსტა: belferac@mscc.huji.ac.il

ზოომორფული ფიგურა კოტიას კლდის მღვიმიდან

ადამიანის ევოლუციის ისტორიაში ბევრი გარდამავალი პერიოდია, მათ შორის განსაკუთრებულ ინტერესს ნადირობა-შემგროვებლობიდან მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლა იწვევს. დასავლეთ საქართველოს გეოგრაფიულმა მდებარეობამ, მისმა სიახლოვემ აღმოსავლეთ ანატოლიასთან და ჩრდილოეთ ლევანტთან, ასევე იმერეთის პლატოსა და კოლხეთის დაბლობის ბუნებრივმა პირობებმა და, რაც მთავარია, პალეოლითური ძეგლების სიმრავლემ ნადირობა-შემგროვებლობიდან მწარმოებლურ მეურნეობაზე, ე.ი. პალეოლითიდან ნეოლითზე გადასვლასთან დაკავშირებით ბევრი პრობლემა წამოჭრა და შეკითხვებიც გააჩინა. ქართველი არქეოლოგები [გაბუნია, წერეთელი: 1991, გოგიტიძე 2008, გრიგოლია 1977, ნებიერიძე 1972, 1975] უკვე დიდი ხანია მუშაობენ საქართველოში ნეოლითის წარმოშობაზე. მასალის ტიპოლოგიურ-შედარებითი ანალიზის საფუძველზე დადგენილია დასავლეთ საქართველოს ნეოლითის ქრონოლოგია და მისი გენეტიკური კავშირი მეზოლითთან.

ბოლო წლებში სულ უფრო კრიტიკულად აფასებენ იმ მონაცემებს, რომლებიც მხოლოდ მასალის ტიპოლოგიაზე და შედარებით მეთოდზეა დამყარებული. ეჭვის ქვეშ დადგა ჩრდილო კავკასიის ნეოლითური ძეგლების ქრონოლოგიაც [Трифонов 2009]. საქართველოში პირველად ამ საკითხს შეეხო თ. კიღურაძე [Kiguradze 2001, Kiguradze and Menabde 2004] და აღნიშნა, რომ სტრატიფიცირებული და ზედაპირული ძეგლების მასალების კორელაცია საკმარისი არ არის, საჭიროა განხორციელდეს სისტემატური გათხრები და რაც მთავარია, ზუსტად უნდა დათარიღდეს ძეგლები. ამ პრობლემას ითვალისწინებს 2007 წ. კონკურსში გამარჯვებული ჩვენი სამეცნიერო გრანტიც "ნადირობა-შემგროვებლობიდან მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლა." ჩვენი

სტატიის ავტორები [Мацкевич З., Мешвелиани Т. 2009] იგივე საკითხს განიხილავენ და დასავლეთ საქართველოს ნეოლითური ძეგლების ქრონოლოგიის გადასინჯვაზე ამახვილებენ ყურადღებას.

კოტიას კლდის მღვიმის შესწავლამ, აბსოლუტური თარიღების სერიამ, არქეოლოგიურმა მასალამ და სტრატიგრაფიამ, ჩვენი აზრით, სწორედ ამ გარდამავალ პერიოდთან დაკავშირებულ კითხვებს უნდა გასცეს პასუხი. სამუშაოები კოტიას კლდის მღვიმეში სულ რამდენიმე სეზონის განმავლობაში მიმდინარეობდა (2003 წელს გაკეთდა მხოლოდ ერთი შურფი, 2004, 2005 და 2006 წწ.), არსებული მონაცემები განსაკუთრებული დასკვნების გამოტანის საშუალებას ჯერჯერობით არ იძლევა. აღსანიშნავია, რომ უკვე გვაქვს საინტერესო აღმოჩენები, როგორიცაა პალეოლითური ხანის სამარხი [მეშველიანი და სხვ. 2006], ზოოარქეოლოგიური მონაცემები მეზოლითელ მონადირეთა საქმიანობის შესახებ [Bar-Oz et al. 2009] და აბსოლუტური თარიღების სერია (იხ. ცხრილი). 2006 წელს, პრეპარირებული მიწის 2X2 სმ საცერში გარეცხვისა და შემდგომ მისი დამუშავების შედეგად ცხოველის პატარა ზომის ზოომორფული ფიგურა აღმოჩნდა.

კოტიას კლდის მღვიმე მდებარეობს ჭიათურის რ-ნის სოფ. სვერში, მანდაეთის პლატოზე, საძალისხევის ხეობაში. მღვიმე კარსტულია, მისი სიგანე 24 მ-ია, სიმაღლე 8 მ. (სურ. 1), მღვიმის ჩრდილოეთ ნაწილში საკმაოდ გრძელი გალერეაა, რომლის სიგრძე დადგენილი არ არის. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ყვირილის აუზის ექსპედიცია ბ-ნ დავით თუშაბრამიშვილის ხელმძღვანელობით ამ რეგიონში წლების განმავლობაში მუშაობდა. დ. თუშაბრამიშვილმა კოტიას კლდის მღვიმეშიც მცირე ზომის სადაზვერო-გათხრითი სამუშაოები ჩაატარა და ძეგლი ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანას მიაკუთვნა [თუშაბრამიშვილი 1971:10, თუშაბრამიშვილი და ნებიერიძე 1974:7]. 2001 წელს, ჭიათურა-საჩხერის ქვის ხანის შემსწავლელ საერთაშორისო (საქართველო-ამერიკა-ისრაელი) ექსპედიციამ (ხელმძღვანელი თ. მეშველიანი) მოინახულა მღვიმე და უკვე 2003 წელს I10 კვადრატში ერთი შურფი გათხარა. არქეოლოგიური მასალა იმდენად საინტერესო აღმოჩნდა, რომ 2004 წელს სამუშაოები გაგრძელდა. ამ წელს აღმოჩნდა სამარხი. ფენა რომელშიც სამარხია, დათარიღდა 11-10.000 კალიბრირებული B.P. წლით [მეშველიანი და სხვ. 2006], თუმცა შემდეგ, უკვე ჩონჩხის წვივის ძვალზე გაკეთებულმა ანალიზმა RTT-5246 აჩვენა 8665 ± 65 არაკალიბრირებული B.P. წელი, რომელიც შეესაბამება კალიბრირებულ – 7980 – 7580 წელს BC/AD.

სტრატიგრაფიულად ძეგლზე დაფიქსირებულია სამი A, B და C ფენა, თავის მხრივ A ფენა A1 და A2 ქვეფენად, ხოლო B ფენა – B1, B2, B3 ქვეფენებად დაიყო (იხ. ჭრილი).

ფენა A1: ქვიანი ფენაა,რომლის სიმძლავრე 30-დან 50 სმ-მდე მერყეობს, სხვადასხვა ზომის ქვებს შეიცავს,რომლებიც მღვიმის კედლების გამოქარვის შედეგად გაჩნდა. ფენაში აღმოჩენილია ისეთი ტიპის კერამიკული მასალის ფრაგმენტები, რომლებსაც ლ. ნებიერიძე ადრებრინჯაოსა და ადგილობრივი ნეოლითის ხანისთვის დამახასიათებლად მიიჩნევს [ნებიერიძე 1972].

ფენა A2: თიხა-თიხნარი ფენაა, რომელშიც პატარა, 30 სმ სიღრმის ორმოა ჩაჭრილი. ამ ორმოდან ამოღებული მასალა განსხვავებულია ფენის მასალისაგან და "განივ" ისრისპირებსა და ტრაპეციებს, მუცლის მხრიდან დაკბილულ-რეტუშირებულ ანატკეცებს და ანატკეცებზე დამზადებულ საფხეკებს შეიცავს. კოტიას კლდის მღვიმიდან 5 კმ. დაშორებულ დარკვეთის მღვიმეში დაფიქსირებულია იგივე ტიპის მასალა, რომელსაც გამთხრელი ნეოლითურად მოიხსენიებს [ნებიერიძე 1972, ტ. II-VI].

ზრდასრული მამაკაცის სამარხი, რომლის ჩონჩხი სრულად არის შენარჩუნებული, ჩაჭრილია B ფენაში, მაგრამ A2 ფენას განეკუთვნება. სამარხის თავზე განლაგებულმა ქვებმა ჩონჩხის მუხლები და ქვედა კიდურები დააზიანა. სამარხის თავზე 20 სმ სიმაღლეზე აღმოჩენილია კერის სუსტი კვალი, რომელიც თითქოსდა ხურავდა სამარხს.

B ფენა: თიხა-თიხნარი, კირქვის ფრაგმენტებით შევსებული.

B1: ქვის მცირე ზომის იატაკი.

B2: დაახლოებით 30 სმ-იანი მონაცრისფრო თიხის ფენა კირქვის პატარა ზომის ჩანართებით. არქეოლოგიური და ფაუნისტური მასალით ეს ფენა ყველაზე მდიდარია.

B3: მონაცრისფრო თიხნარი დიდი რაოდენობით შეიცავს კირქვის პატარა ფრაგმენტებს. ფაუნა და არტეფაქტები ამ ფენაშიცაა აღმოჩენილი. ოთხი S. D. თარიღი, რომელიც ამ ფენიდან არის მიღებული, 12.850-10.240 კალიბრირებულ B.P.წელს აჩვენებს.

C ფენა: ღია მოყავისფრო თიხნარი, სხვადასხვა ზომის კირქვის ჩანართებით (გათხრილია ძალიან მცირე ნაწილი).

კოტიას კლდის ადამიანი ძირითადად კაჟს, რადიოლიტს, უფრო მცირე რაოდენობით კი ობსიდიანს იყენებდა. ამ მასალის ტიპოლოგიურ-რაოდენობრივი შესწავლის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ქვის იარაღების უმეტესი ნაწილი მღვიმეში უკვე გამზადებული მიჰქონდათ. ნაპოვნია მხოლოდ რამდენიმე ათეული ნუკლეუსი და მცირე რაოდენობის ნუკლეუსის დამუშავების დროს მიღებული ანატკეცები. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გათხრილია მღვიმის პატარა ფართობი და სამუშაოების გაფართოებასთან ერთად შესაძლებელია ისეთი ადგილიც აღმოვაჩინოთ, სადაც ქვას ამუშავებდნენ.

მღვიმის A ფენაში ნაპოვნია კერამიკის დაახლოებით 1000 ფრაგმენტი. ნატეხები ძალიან მცირე ზომისაა, მათი შეერთება ვერ ხერხდება, შესაბამისად, ჭურჭლის ფორმის აღდგენაც ვერ მოხერხდა. აქ ყურადღებას გავამახვილებთ ზოომორფულ ფიგურაზე (საინვენტარო № 10-2004:801), რომელიც აღმოჩნდა J11b კვადრატში – 320-325 სმ სიღრმეზე და განეკუთვნება A2 ფენას (სურ. 2,3; ნახატი შესრულებულია ც. თურქიაშვილის მიერ). A2 ფენიდან აღებული ნახშირი RTT-5220 დათარიღდა 8370 ± 55 არაკალიბრირებული B.P. და 7571 – 7306 კალიბრირებული BC წლით. ცხოველის სტილიზებული გამოსახულება 1.9 სმ სიგრძისაა, ტორსი 0.9 სმ, შერჩენილი აქვს ფეხებისა და რქის ნაშთები, თიხა ზერელედ გამომწვარია და მოწითალო-მონაცრისფრო ფერისაა.

დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე ეს ერთადერთი ზოომორფული ფიგურაა, რომლის აბსოლუტური თარიღი და ზუსტი

სტრატიგრაფიული მონაცემები დადგენილია. კოტიას კლდის მღვიმის ეს ზოომორფული ფიგურა უფრო ადრეულია, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ფიგურები. ფიგურა სრული სახით არ არის შემორჩენილი, მაგრამ შეგვიძლია ვთქვათ, აღმოსავლეთ საქართველოს ზოომორფულ ფიგურებთან შედარებით ცხოველის ეს გამოსახულება უფრო სტილიზებულია და ზომითაც პატარაა. კოტიას კლდის უკვე შესწავლილ ფაუნაში ყველაზე მეტად დათვი და ტახი გვხვდება [Bar-Oz et al.2009], თუმცა ეს უფრო B ფენას შეეხება.

აღმოსავლეთ საქართველოში ზოომორფული ფიგურებია ნაპოვნი წოფის ნამოსახლარზე, რომელიც მარნეულის რ-ის სოფ. წოფის სამხრეთით მდებარეობს, აქ აღმოჩენილია მოზვრის ქანდაკება [Кушнарева, Чубинашвили 1970: ст.31, рис.9 (17)]. ნამოსახლარი ერთფენიანია და ენეოლითურადაა მიჩნეული.

ზოომორფული ქანდაკებები ნაპოვნია ქვაცხელას ნამოსახლარზე (ქარელის რ-ნი, სოფ. ურბნისი). ერთ-ერთი [ჯავახიშვილი, ღლონტი 1962:36] B_3-B_2 ფენაშია (საინ. № 15-55:755). ეს არის მონაცრისფრო თიხისაგან ნაძერწი ცხვრის მომსხო ფიგურა მოკლე ტანით, დაბალი ფეხებით, მსხვილი წინ წაწეული კისრით, მოკლე თავით, წატეხილი რქებითა და აშკარად გამოხატული ცხიმკუდით [ჯავახიშვილი, ღლონტი 1962: ტაბ. IV (298)]. B_1 ფენაში ნაპოვნია ცხოველის ერთადერთი ფიგურა (საინ.№ 15-55:504) – ცხიმკუდიანი ცხვრის გამოსახულება [ჯავახიშვილი, ღლონტი 1962: 41, ტაბ. IV(95)], C_1 ფენის დონეზე აღმოჩენილია ცხვრის ორი (საინ. № 1-55:278,699) ზოომორფული ფიგურა [ჯავახიშვილი, ღლონტი 1962: 32, ტაბ. IV(283,420)]. ავტორები B ფენას III ათასწლეულით ათარიღებენ და აღნიშნავენ, რომ თარიღი ძვ. წ. XXIV საუკუნეს არ უნდა ცილდებოდეს [ჯავახიშვილი, ღლონტი 1962: გვ 59]. ხოლო C ფენას მტკვარ-არაქსის ე.წ. ენეოლითს, III ათასწლეულის I ნახევარს მიაკუთვნებენ.

ბეშთაშენის (თრიალეთი) ციხესიმაგრის ტერიტორიაზე, ერთ-ერთ თხრილში ზედა კულტურულ ფენაში, რომელიც ენეოლითური პერიოდითაა განსაზღვრულ, სავარაუდოდ, ხარის (საინ. № 43-68:53) ფიგურაა ნაპოვნი [Куфтин 1941: 110, 150-151, ტაბ. CXX].

ისრაელის ტერიტორიაზე ნეოლითურ ნასახლარ შა'არ-ჰაგოლანზე (Sha'Ar-Hagolan), უამრავ ანთროპომორფულ ფიგურასთან ერთად აღმოჩენილია ცხვრის მხოლოდ 15 გამოსახულება, ყველა მათგანი გამომწვარი თიხისაგან არის დამზადებული [Garfinkel 2004, pp195-196].

ზოომორფული გამოსახულების კიდევ ბევრი მაგალითის მოტანა შეიძლება ნეოლით-ენეოლითური ძეგლებიდან, მაგრამ ჩვენი ფიგურა ქრონოლოგიურად უფრო ადრეულია. ძნელია თქმა, თუ რომელი ცხოველის გამოსახულებასთან გვაქვს საქმე. მისი ასაკიდან გამომდინარე, გამორიცხულია, რომ ის დომესტიცირებული ცხოველი იყოს. ეს რომელიღაც გარეული ცხოველის გამოსახულებაა.

TENGIZ MESHVELIANI*, OFER BAR-YOSEF, ANNA BELFER-COHEN***, ZINOVI MATSKEVICH**, EREKLE KORIDZE*, NINO JAKELI***

*Georgian National Museum, Rustaveli Avenue 3, 0105 Tbilisi, Georgia,
Email:tengizmeshveliani@gmail.com
nino_jakeli@yahoo.com
** Peabody Museum, Harvard University,
Email: maskev@fas.harvard.edu
obaryos@fas.hrvard.edu
*** Institute of Archaeology, Hebrew University, Israel,
Email: belferac@mscc.huji.ac.il

ZOOMORPHIC FIGURINE FROM KOTIAS KLDE CAVE

SUMMARY

A zoomoprphic figurine was found at Kotias Klde cave (Western Georgia, Chiatura region) in layer A_2. The layer produced a radiocarbon date $8370^{+}_{-}55$ uncalibrated B.P (RTT-5220), 7571 – 7306 calibratedi BC prior to the arrival of agriculture in the western Caucasus. On the basis of this date we assume that unlike the finds from Neolithic-Eneolithic sites of Eastern Georgia, our figurine portrays a wild, non-domesticated animal.

ბიბლიოგრაფია

1. **გაბუნია მ., წერეთელი ლ. 1991:** მეზოლითი, საქართველოს არქეოლოგია, ტ. I: 196-222.
2. **გოგიტიძე ს. 2008:** კინტრიშის ხეობის ქვის ხანის არქეოლოგიური ძეგლები (ქობულეთის ადრენეოლითური ნამოსახლარი).
3. **გრიგოლია გ.** 1977: ცენტრალური კოლხეთის ნეოლითი პალური.
4. **თუშაბრამიშვილი დ. 1971:** ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის 1968-1969 წლების ანგარიში, სსმაე, ტ. II, გვ. 3-11.
5. **თუშაბრამიშვილი დ., ნებიერიძე ლ. 1977:** ყვირილის ხეობისა და ცუცხვათის არქეოლოგიური ექსპედიციების 1970-1971 წლების ძირითადი შედეგები, სსმაე, ტ. III, გვ. 5-13.
6. **მეშველიანი თ., ჯაყელი ნ., ბარ-იოსეფ ო., ბელფერ-კოენ ა. 2006:** კოტიას კლდის მღვიმე, პალეოლითელი ადამიანის პირველი სამარხი კავკასიაში, ძიებანი, საქართველოს არქეოლოგია, 17-18, გვ.10-17.

7. ნებიერიძე ლ. 1972: დასავლეთ საქართველოს ნეოლითი.
8. ნებიერიძე ლ. 1978: დარკვეთის მრავალფენიანი ეხი.
9. ჯავახიშვილი ალ., ღლონტი ლ. 1962: ურბნისი, I, ქვაცხელების (ტვლეპია-ქოხის) ნამოსახლარზე 1954-1961 წწ. ჩატარებული გათხრები.
10. Куфтин Б. А. 1941: Археологические раскопки в Триалети, опыт периодизации памятников.
11. Кушнарева К. Х., Чубинишвили Т. Н. 1970: Древние Культуры Южного Кавказа, Ленинград, из-во Наука.
12. Мацкевич З., Мешвелиани Т. 2009: Переход к Неолиту в Западной Грузии, проблемы хронологии и культурных взаимодействий, Археологическая конференция посвященная Н. Гуриной, Санкт-Петербург (тезисы докладов).
13.Трифонов В.А. 2009: Адаптация Культур Палеолита-Неолита к изменениям природной среды на Северо-Западном Кавказе. ТЕЗА, Санкт-Петербург.
14. Bar-Oz G., Belfer-Cohen A., Meshveliani T., Jakeli N., Matskevich Z., Bar-Yosef O. 2009: Bear in Mind: Bear Hunting in Mesolithic of Southern Caucasus, Archaeology, Ethnology, Anthropology of Eurasia 37/1, pp. 15-24.
15. Garfinkel Y. 2004: The Goddess of Sha'Ar Hagolan, Excavations at Neolithic site in Israel.
16. Kiguradze T. 2001: The Caucasian Neolithic, Encyclopedia of Prehistory, vol.4, N4, Boston, Dordreecht, London, Moscow, pp.55-78.
17. Kiguradze T., Menabde M. 2004: The Neolithic of Georgia, Ancient Near Eastern Studies, suppliment 12. A View from the Highlands, Archeological studies in honor of Charles Kuuney, edd. Sagona A. pp.346-398.

ილუსტრაციების აღწერილობა

სურ. 1. კოტიას კლდის მღვიმე.
სურ. 2, 3. ზოომორფული ფიგურა კოტიას კლდის მღვიმიდან.
ჭრილი. კოტიას კლდის მღვიმის დასავლეთი ჭრილი.
ცხრილი. აბსოლუტური თარიღების სერია კოტიას კლდის მღვიმიდან.
ნახატი. ზოომორფული ფიგურა კოტიას კლდის მღვიმიდან.

LIST OF ILLUSTRATIONS

Figs. 1. Kotias Klde Cave.
Figs. 2, 3. Zoomorphic figurine from Kotias Klde Cave.
Section. West section of Kotias Klde Cave.
Table. List of absolute dates from Kotias Klde Cave.
Drawing. Zoomorphic figurine from Kotias Klde Cave.

სურ. 1 Fig.

სურ. 2 Fig.

სურ. 3 Fig.



ჭრილი (Section)



by elevation:

Name	uncal. BP	Unmodelled (BC/AD) from	to	%	square	elevation	layer	material
OS-71406	10850±40	-10944	-10861	95.4	J10a	365-370	B	charcoal
OS-71404	9910±35	-9451	-9282	95.4	I10b	365-370	B	charcoal
RTT-4699	9940±80	-9796	-9263	95.4	I10	360-370	B	charcoal
RTT-4703	10400±60	-10663	-10111	95.4	I10	360-370	B	bone
RTT-4698	9270±60	-8692	-8307	95.4	I10	350-360	B	charcoal
RTT-4702	9840±70	-9652	-9180	95.4	I10	350-360	B	bone
OS-71405	10150±35	-10042	-9675	95.4	I10d	350-355	B	charcoal
OS-71403	10900±40	-10969	-10879	95.4	J10d	350-355	B	charcoal
OS-71402	9910±35	-9451	-9282	95.4	J10a	340-345	B	charcoal
RTT-5246	8665±65	-7939	-7580	95.4	tibia of skeleton	330 (?)	A2	bone
RTT-5220	8370±55	-7571	-7306	95.4	H9	310-315	A2	charcoal

by date

Name		Unmodelled (BC/AD) from	to	%	square	elevation	layer	material
OS-71403	10900±40	-10969	-10879	95.4	J10d	350-355	B	charcoal
OS-71406	10850±40	-10944	-10861	95.4	J10a	365-370	B	charcoal
RTT-4703	10400±60	-10663	-10111	95.4	I10	360-370	B	bone
OS-71405	10150±35	-10042	-9675	95.4	I10d	350-355	B	charcoal
RTT-4699	9940±80	-9796	-9263	95.4	I10	360-370	B	charcoal
RTT-4702	9910±35	-9652	-9180	95.4	I10	350-360	B	bone
OS-71404	9910±35	-9451	-9282	95.4	I10b	365-370	B	charcoal
OS-71402	9840±70	-9451	-9282	95.4	J10a	340-345	B	charcoal
RTT-4698	9270±60	-8692	-8307	95.4	I10	350-360	B	charcoal
RTT-5246	8665±65	-7939	-7580	95.4	tibia of skeleton	330 (?)	A2	bone
RTT-5220	8370±55	-7571	-7306	95.4	H9	310-315	A2	charcoal

ცხრილი (Table)



ნახატი (Drawing)

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია №1 (46-B), 2010, 46-69
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences №1 (46-B), 2010, 46-69

არქეოლოგია

ზიზი თორთლაძე

საქართველოს ეროვნული მუზეუმი, რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო, ელ.ფოსტა: stortladze@yahoo.com

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი უძველესი კერები და მათი ფუნქციური დატვირთვა

ყოველი ძველი საზოგადოების ძირითადი განმსაზღვრელი მისი მითოსური ცნობიერებაა და შესაბამისად, ამ საზოგადოების პირველი გონებრივი ნააზრევიც ისტორიულად მითოსურ ამბებშია გადმოცემული. მითოლოგიაში ასახულია ადამიანის აზროვნების დონე სამყაროში საკუთარი არსის, ადგილის, საგნების წვდომისა და მათი შემეცნების შესახებ [ბერიაშვილი 1991: 137].

მითოსური „კონცეფციის“ მიხედვით, სამყარო შეიქმნა კოსმოგონიური აქტის შედეგად, რომელსაც ქაოსის ნგრევა და კოსმოსის წარმოქმნა მოჰყვა [Golowin., Eliade., Campbell 2002: 18]. კოსმოგონია განხილულ უნდა იქნას, როგორც პირველი კულტურშემოქმედებითი აქტი, რის შედეგადაც ადამიანი უპირისპირდება ბუნებას ანუ შიშველ ინსტინქტურ მდგომარეობას. იქმნება გლობალური ოპოზიცია: ქაოსი – კოსმოსი, ბუნება – კულტურა, ანუ რეალურად კულტურის დაფუძნების შედეგად ადამიანური საზოგადოება იქმნება, რომელიც გაემიჯნა რა ბუნებრივ სამყაროს, ისტორიულობის არეალში შემოვიდა, როგორც მოაზროვნე სოციუმი და გარკვეული საარსებო-სააზროვნო სტრუქტურა ჩამოაყალიბა. საზოგადოება (სახელმწიფო) კი ადამიანის არსის გამოვლინებისა და რეალიზაციის ადგილია.

მითოსი უძველესი „კულტურული“ რელიგიის საფუძველია. მას საზოგადოება და შესაბამისად, ადამიანი უპირობოდ ემორჩილება. ეს მისი შინაგანი კანონია - განმსაზღვრელი ადამიანის ყოფნისა არსებულ საზოგადოებაში და იქ მისი ქმედების მარეგულირებელი. მითოსი საზოგადოების საფუძველია და იდენტურია მისი ყოველი სოციალურ-ეკონომიკური, სამართლებრივი თუ სულიერი ინსტიტუტისა, რომელიც ამ შინაგანი კანონის (მითოსის) კვალს ატარებს ყოველ გარეგან, სოციალურ გამოვლინებაში [ბერიაშვილი 1991: 137-139].

ვინაიდან, საქართველოს უძველესი კულტურის შესწავლისათვის ჯერჯერობით არ მოგვეპოვება წერილობითი წყაროები და შესაბამისად, ამის საფუძველზე არ შეგვიძლია კოსმოლოგიური თუ სხვა მითოსური სტრუქტურის აღდგენა, არქეოლოგიური მასალა ძველი კულტურის

რეკონსტრუქციისთვის უმნიშვნელოვანესი წყაროა. თითოეული არქეოლოგიური არტეფაქტი მითოლოგემის შემცველია და განსაზღვრულ რიტუალში ჩართულობით გარკვეული ადგილი უჭირავს ცალკეული მითოლოგიური აქტის განხორციელებისას. რიტუალი კი ამ ტიპის რელიგიების არათუ ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, არამედ რელიგიისა და თავად კულტის მანიფესტაციის მატერიალიზებული სახეა

ჩვენი კვლევის საგანი – კერა და მასზე დანთებული ცეცხლი, ის კულტურული ფენომენია, რომელიც განსაზღვრულ როლს ასრულებს ძველი საზოგადოების დაფუძნებაში, რადგან მას მითოსური ცნობიერებიდან გამომდინარე დემიურგული პოტენცია აქვს. წინამდებარე ნაშრომი ყოველივე ამის ჩვენების მცდელობაა.

რადგან ძველი ქართული კულტურა ეგეოსურ-წინააზიურ კულტურათა არეალში ექცევა, კვლევისას გამოყენებული იქნება მითოსური ტექსტები, რომლებიც ხსენებულ კულტურებში კერის დაარსებას ეხება; ყველა ეს მონაცემი კი არქეოლოგიური მასალით მოძიებულ ინფორმაციას გაამყარებს.

ამ ტიპის საკითხების კვლევა, რომელიც დაფუძნებულია შესაბამის მეთოდოლოგიაზე, შესაძლებლობას იძლევა არტეფაქტებისა თუ საკულტო დანიშნულების საგნების ფუნქციური ანალიზის საშუალებით, გააზრებულ იქნას ძველი საზოგადოების არსი და ხასიათი.

* * *

ადამიანის მიერ ცეცხლის გამოყენების უძველესი კვალი სავარაუდოდ 1 მლნ-ი წლით თარიღდება. ამის დამადასტურებელ მაგალითად პრეისტორიის მკვლევარებს მოჰყავთ დამწვარი განამარხებული ძვლებისა და მიწის ზედაპირზე შემორჩენილი მოწითალო ლაქების არსებობა Swartkrans-ის მღვიმის (სამხრეთ აფრიკა), Chesowanja-ს და Koobi fora-ს ადგილსაპოვნელის (კენია), 1-1,4 მლნ-ი წლებით დათარიღებულ არქეოლოგიურ ფენებში. ცეცხლის გამოყენების კიდევ ერთმა ახალმა აღმოჩენამ, ამჯერად Gesher Benot Ya'aqov-ის ძეგლზე (ისრაელი), რომელიც 790 ათასი წლით არის დათარიღებული, მეცნიერებს განუმტკიცა მოსაზრება *Homo erectus*-ის მიერ ცეცხლის შესაძლო მოხმარებაზე[1]. [Sappa., Roussel 2008: 25-27]. არქეოლოგიური გათხრებიდან მოპოვებული დამწვარი მასალა – მარცვლეული, ხე და კაჟი მიგვანიშნებს, რომ ადამიანისათვის ცეცხლი მხოლოდ ბუნებრივი ფენომენი კი არ არის, არამედ ის მის სამოქმედო სივრცესაც განსაზღვრავს – ნადავლის მოსაპოვებლად ადამიანები ჯგუფებად ერთიანდებოდნენ, ანთებდნენ ცეცხლს, ამზადებდნენ საჭმელს და ერთმანეთში ინაწილებდნენ. სწორედ ეს პროცესია საწყისი მათი სოციალურ ჯგუფებად ჩამოყალი-

[1] აფრიკის ძეგლების და თავად გეშერ ბენოთ იაკოვის ცეცხლის კვალზე მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. მკვლევართა ნაწილი არ ეთანხმება იმ აზრს, რომ არქეოლოგიური მასალა ბუნებრივად გაჩენილმა ცეცხლმა დაწვა და არა ადამიანის მიერ დანთებულმა.

ბებისა. უძველესი კერების აღმოჩენამ კი რეალურად ადამიანის მიერ ცეცხლის "მოშინაურების" ფაქტი დაასაბუთა. ამის ყველაზე უტყუარი კვალი ევროპისა (Terra amata ნიცაში და Menez Dregan ბრეტონში, საფრანგეთი; Vertesszöllös-ს უნგრეთში) და აზიის (Zhoukoudian-ი ჩინეთში) ტერიტორიაზეა აღმოჩენილი და 400 ათასი წლით თარიღდება. ტერა ამატას ძეგლზე გამოვლენილი რამდენიმე კერა, რომელიც რიყის ქვებით მოპირკეთებული ორმოებია, 380 ათასი წლის წინანდელია [Sappa., Roussel 2008: 25]; ამ დროიდან მსგავსი კერების არსებობა მსოფლიოს სხვადასხვა ადგილას მრავლადაა დადასტურებული.

კერამ უდიდესი როლი შეასრულა ადამიანის ცხოვრების ორგანიზაციაში. საჭმლის მომზადებით ადამიანმა საკუთარი საქმიანობის რეალიზაცია შეძლო; კერა ანათებდა და ათბობდა. კერამ შეუქმნა ადამიანს, როგორც ინდივიდს, შესაძლებლობა სოციალურ ჯგუფში ინტეგრაციისა. საცხოვრებელში ადამიანები კერის გარშემო იკრიბებოდნენ და ურთიერთობდნენ. შესაბამისად, კერა მათთვის საკომუნიკაციო საშუალება გახდა. სავარაუდოდ, ამ ურთიერთობების ზეგავლენით დაჩქარდა მთავარი საკომუნიკაციო საშუალების, ენის განვითარება, რამაც გამოიწვია პირველი მითებისა და ტრადიციების შექმნა. ამ პროცესმა კი თავის მხრივ, გადამწყვეტი როლი შეასრულა პირველი კულტურული საზოგადოებების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი ცეცხლის კვალი უკვე მუსტიეური ხანის ძეგლებზე – წონა, ჯრუჭულა, ოროვალა კლდე და სხვ. გამოვლინდა. ამ მღვიმეებში მნიშვნელოვან პალეოზოოლოგიურ ნაშთებთან ერთად კაჟისა და ობსიდიანის იარაღ-ანატკეცები, ძვლისა და რქის იარაღები – შუბისწვერები, საფხეკები და საჭრისები, სადგისები და ნანადირევის დამწვარი, დამტვრეული ძვლები აღმოჩნდა. პალეოლითის ხანის მღვიმე-სადგომებზე დადასტურებული მძლავრი კულტურული ფენები მოწმობენ, რომ ადამიანები ერთსა და იმავე ადგილას საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე ცხოვრობენ [ლორთქიფანიძე 2002: 46].

რთულია განისაზღვროს თუ როგორი "სოციალური" გაერთიანება "ბინადრობდა" ამ მღვიმეებში, მაგრამ ფაქტია, რომ მათი ცხოვრების წესი – შემგროვებლობა და ნადირობა ამ ადამიანთა ორგანიზებულ აქტივობას მოითხოვდა.

პროფესორი ო. ლორთქიფანიძე მიიჩნევს, რომ "საქართველოში აღმოჩენილი ქვედა პალეოლითის ხანის არქეოლოგიური ძეგლები წარმოგვიდგენენ ჩვენი მიწა-წყლის პირველმოსახლეთა მრავალმხრივი, მიზანსწრაფული და უთუოდ ასაკობრივ-სქესობრივ პრინციპებზე აგებული საქმიანობის სხვადასხვა მხარეებს (ნედლეულის მოძიება და ყოველდღიური მოხმარების ქვის იარაღების დამზადება, მონადირეობა, საკვები მცენარეულობის შეგროვება, საოჯახო კერიისა და ცეცხლის მოვლა თუ დაცვა-პატრონობა, საკულტო რიტუალების შესრულება)" [ლორთქიფანიძე 2002: 43]

მკვლევარი მ. ნიორაძე ზედა პალეოლითური ხანის (35 ათასი – 10 ათასი წლები) ძეგლზე სამერცხლე კლდის მღვიმის მე-4 ფენის $1_{13-\partial 13}$ კვადრატებში გამოვლენილ ცეცხლის კვალს კერას უწოდებს. მისივე განმარტებით, ეს ფენა დიდი რაოდენობით შეიცავდა ქვისა და ძვლის

იარაღებს, წარმოების ნაშთებს, დამტვრეულ ძვლებს, ნახშირის ნამცეცებს და სხვ. კაჟისა და ძვლის იარაღთა უმრავლესობა სწორედ კერის ირგვლივ იყო თავმოყრილი [ნიორაძე 1975: 30, 120-121].

ყოველ კონკრეტულ ძეგლზე კერის არსებობას ჩვენთვის ის მნიშვნელობა აქვს, რომ ამით საშუალება გვეძლევა დადასტურებულ იქნას ჩამოყალიბებული (ან ჩამოყალიბების გზაზე მდგარი) სოციალური ერთობა, რომელიც მისთვის დამახასიათებელ ყოველ ცალკეულ სისტემას მოიცავს: საკულტო-რელიგიურს, სამეურნეოს და სხვ. საერთოდ, ადამიანთა ყოველ ერთობას, მისთვის დამახასიათებელი სოციალური სისტემებით რელიგია აყალიბებს. სწორედ ამიტომ ურყევ ჭეშმარიტებადაა მიჩნეული, რომ რელიგია და საზოგადოების საფუძველი იდენტურია [ბერიაშვილი 2009: 31-32]. თითოეული ადამიანის მსოფლაღქმა, თუკი იგი ჭეშმარიტად ამ საზოგადოების წევრია, განსაზღვრავს მის ყოველ პრაქტიკულ ქმედებას, იქნება ეს სამეურნეო თუ საკულტო-რელიგიური ხასიათის. თავის მხრივ, მსოფლაღქმა და ეს განსაკუთრებით ნიშანდობლივია ძველი საზოგადოებებისათვის, მთლიანად რელიგიური წარმოდგენების იდენტურია. ამდენად, ცეცხლის გარშემო შემოკრებილი ადამიანთა გაერთიანება თუ ისინი ერთმანეთთან საზოგადოებისათვის დამახასიათებელ პრაქტიკულ ქმედებებს ეწევიან, ყოველთვის ჩართულნი არიან იმავდროულად რელიგიურ პრაქტიკაში; ამ აზრით კერა მართლაც პირველი მატერიალური გამოხატულება და დასტურია ნამდვილი კულტურული საზოგადოების არსებობისა.

საქართველოში მეცნიერთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ, კერები ადრესამიწათმოქმედო კულტურებზე ადრე ჯერჯერობით არ აღმოჩენილა; მაგრამ, იმის წარმოდგენა კი შესაძლებელია, რომ ამ ტერიტორიაზე არსებული უძველესი მოსახლეობა მაინც შეადგენს გარკვეულ კულტურულ ფენომენს შესაბამისი სოციალური ინსტიტუტებით. ამ მოსაზრების დასტურად შეიძლება გამოდგეს ქვის ხანის სხვადასხვა არქეოლოგიური აღმოჩენა. კერძოდ: რგანში, გვარჯილას-კლდის მეზოლითურ ფენაში კერის არსებობას თამამად ვერ დავადასტურებთ, მაგრამ საგანგებოდ აღსანიშნია ამ ძეგლის პირველ ფენაში ნაპოვნი ძვლის ფრაგმენტი, მასზედ გამოსახული სიმბოლური ნიშნებით, რომელსაც პირობით "წინამძღვრის კვერთხი" შეარქვეს [თუშაბრამიშვილი 1960: 81-82]. მკვლევარი ი. კიკვიძე ამ ნივთს საკულტო ნივთად მიიჩნევს და სიმბოლურ გამოსახულებებს ამ ხანის მცხოვრებთა კოსმოგონიური შეხედულებებისა და სოლარულ რწმენათა არსებობას უკავშირებს [კიკვიძე 1976: 152-154]; ანუ, თუნდაც ამ პერიოდში დადასტურებული არ იყოს კერის, როგორც სამეურნეო და, იმავდროულად, საკულტო ფენომენის არსებობა, ხსენებული საგანი, თუ ის მართლაც, სავარაუდოდ "მეთაურის კვერთხია," ამ შემთხვევაში მაინც მიგვანიშნებს ამ "სოციალურ" გაერთიანებაში საკულტო-რელიგიური წარმოდგენების არსებობაზე.

ი. კიკვიძე კავკასიაში დადასტურებულ უძველეს კერად ადრესამიწათმოქმედო კულტურის (ძვ. წ. VI–V ათასწლეულები) ადრინდელ ძეგლზე შულავრის გორაზე აღმოჩენილ "კვერცხისებური" ფორმის კერას ასახელებს [კიკვიძე 1976: 163]. სწორედ ამ პერიოდში ყალიბდება

კერა, როგორც საცხოვრებლის აუცილებელი ატრიბუტი და მისი გავრცელების არეალში არსებულ თითქმის ყველა დასახლების ნაგებობისთვისაა დამახასიათებელი; კერძოდ, ამ კულტურების ნასოფლარები სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ და აღმოსავლეთ მხარეებში – მდ. მტკვრის დინების შუა წელზე, მტკვრისა და არეზის ორმდინარეთში, ალაზნის ველზე მილის, ყარაბაღის და მუღანის სტეპებში, არარატის ველზეა გამოვლენილი; ხოლო საქართველოს ტერიტორიაზე ამ პერიოდის ნამოსახლარები ძირითადად მის აღმოსავლეთ ნაწილში – ქვემო ქართლში მარნეულის ველზე, მდ. მტკვრის შუა წელზე, მარჯვენა შენაკადების ხრამისა და დებედას აუზებშია კონცენტრირებული [ჯაფარიძე 2003: 61].

შესაბამისად, ადრეული კერებიც ამ მხარის უძველესი არქეოლოგიური ძეგლებიდან – შულავრის, იმირის, არუხლოს, ხრამის დიდი გორებიდანაა ცნობილი. ეს კერები ერთმანეთისგან დიდად არ განსხვავდება და ძირითადად კვერცხისებურ-ოვალური (შულავრის, იმირის გორა) და სქელკედლიანი, დაბალქუსლიანი, ცილინდრული (ხრამის დიდი გორა) ფორმისაა. კერა თავდაპირველად, ნაგებობის კედლის ძირშია ამოყვანილი, შემდგომში კი საცხოვრისის ცენტრში სტაციონალურად თავსდება. სადავოც კი არ არის მისი სარიტუალო ფუნქცია და საკულტო-რელიგიური დანიშნულება – მუდმივი ცეცხლის შენახვა; წმინდა, მტკიცე ნაცრით ამოვსებული კერები შიგ ჩალაგებული სხვადასხვა შეწირულობით (ცხვრის ძვლები, თიხის კვერები, ანთროპომორფული ფიგურები, სხვადასხვა იარაღი) საოჯახო რელიგიის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა [ღლონტი, ჯავახიშვილი, კიღურაძე 1973: 6]. კერიდან ამოღებული ნაცარი გარეთ არ იყრებოდა; მას იქვე იატაკზე ამოლესავდნენ, რაც იატაკის ამაღლებასა და შემდგომში შენობის რეკონსტრუქციას იწვევდა. სარიტუალო კერა წმინდად ინახებოდა, საყოფაცხოვრებო დანიშნულებისათვის განკუთვნილი კერა და ღუმელი კი შენობის გარე კედელთან იმართებოდა [ჯაფარიძე., ჯავახიშვილი 1971:51].

სრულიად ლოგიკურია, რომ ძველ საზოგადოებაში კერა დასახლების, კიდევ უფრო კონკრეტულად საცხოვრისის გარეშე არ მოიაზრება. პრაქტიკულად ყველა მითოლოგიურ კულტურაში დასახლების, შესაბამისად საცხოვრისის დაფუძნების აქტი კოსმოგონიურ აქტს იმეორებს. ადამიანის სამყაროში არსებობას საფუძველი მისი დასახლებიდან, სახლიდან ეყრება. ამ კულტურას მიკუთვნებულ ადამიანს არ შეეძლო ისე ადვილად დაეტოვებინა თავისი საცხოვრებელი (ზოგადად თავისი მიკროკოსმოსი), როგორც ეს თანამედროვე ადამიანისათვისაა შესაძლებელი; რადგან საცხოვრისი მისი სამყაროში არსებობის საფუძველია და მისი მიტოვება ფაქტობრივად მისთვის თავისი კოსმოსის ანუ კულტურული სამყაროს დატოვების და ქაოსში დაბრუნების ტოლფასი იქნებოდა; ქაოსი კი ის სივრცე და დროა, სადაც და როდესაც არაფერი არ არის, არ არიან თვით ღვთაებებიც; შესაბამისად, თავად ადამიანსაც მათ გარეშე ვერ და არ შეეძლებოდა არსებობა. აქედან გამომდინარე, როდესაც ადამიანი, ადამიანთა ჯგუფი თავის კულტურულ სივრცეს და შემდგომ საცხოვრისს აფუძნებს (აშენებს) ის იმეორებს ღვთაებების მიერ განხორციელებულ დემიურგულ აქტს და სწორედ

ამიტომ იყო, რომ ახალი საცხოვრისების მშენებლობა ყოველთვის უთანაბრდებოდა ახალი ცხოვრების ახალ დასაწყისს, რაც მითოლოგიურად სიკვდილ-სიცოცხლის ციკლის მუდმივი განმეორების ტოლფასია, და რადგან საცხოვრისი თავისი არსით *imago mundi*-ს ეკვივალენტურია, ერთი მხრივ საცხოვრისი თავად განასახიერებს სამყაროს ცენტრს, მეორე მხრივ თავად არის მოცემული ლოკალური სამყაროს ცენტრი (ოჯახის ცენტრი) [Eliade 1965: 49-53]. ეს საკრალური არქიტექტურა, რომლითაც აღინიშნება მთელი ძველი სამყარო, სიმბოლურად მოიცავს თავისთავში მითოლოგიურ ცნობიერებას და იმ კულტურაში მცხოვრებ ადამიანს შეუძლია მხოლოდ საკრალურ სამყაროში არსებობა, რადგანაც მხოლოდ ეს სამყარო აძლევს მას იმის საშუალებას, რომ რეალობაში იარსებოს [Eliade 1965: 58].

კერისა და მისი ატრიბუტის, სადგარის საკულტო ხასიათის ჩამოყალიბება, მათი როგორც თიხის ნაწარმის ტიპოლოგიური განვითარება მტკვარ-არაქსის კულტურაში (ძვ. წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევარი და III ათასწლეულის პირველი ნახევრი) უფრო თვალსაჩინო ხდება. ისინი სამხრეთ კავკასიის თითქმის ყველა ნასახლარზეა გამოვლენილი, როგორც საქართველოში (თეთრი წყარო, ოზნი, ქულბაქები, ხიზანაანთგორა, ქვაცხელა, ციხიაგორა, გუდაბერტყა, ამირანის გორა, არგვეთი და სხვ), ისე სომხეთსა (არმავირ-ბლური, შრეშ-ბლური, შენგავითი, გარნი, არიჭი და სხვ) და აზერბაიჯანში (ქიულთეფე I, II, ბაბადერვიში და სხვ). მათი პარალელები ჩრდილო კავკასიის ძეგლებიდანაცაა ცნობილი (ლუგოვოე, სერჟენიურტი, დოლინსკოე, ჩირკეი, გალგალათლი და სხვ.).

კერა, მტკვარ-არაქსული კულტურის განვითარების ყველა საფეხურზე გვხვდება (სურ.1)[2]. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი მტკვარ-არაქსული თიხის კერები, ზოგადად ასე ხასიათდება: მათ წრიული ფორმა აქვთ, შიდა ზედაპირი მოპრიალებულია, გარედან კი უხეშადაა დამუშავებული, გვხვდება სტაციონალური, ნაგებობის ცენტრში დამაგრებული კერები ასევე, მათი მინიატურული მოდელები და მცირე ზომის გადასატანი ასეთივე ტიპის, ჯამისებური მოყვანილობის კერები (სურ. 2, 3, 4, 5, 6, 7).

მტკვარ-არაქსული კერები ტიპოლოგიურად რამდენიმე სახისაა: ბორდიურიანი, შუაგულამოღარული – ძირზე გახვრეტილი, ქორდიანი და შვერილებიანი. მკვლევარი გ. ფხაკაძე ამ ტიპებიდან ყველაზე ადრეულად ბორდიურებიან კერას მიიჩნევს (ტაბ. I–1) და მის პროტოტიპად ქვემო ქართლის ადრესამიწათმოქმედო ძეგლებისთვის დამახასიათებელ (შულავერი, ხრამის დიდი გორა) ოვალური ფორმის კერებს ასახელებს [ფხაკაძე 2000: 15]. კერის ეს ტიპი ამ კულტურის ისეთ ადრეულ ნასახლარ ფენებშია დადასტურებული, როგორიცაა ხიზანაანთ გორის დონე და თეთრი წყაროს ნასოფლარის ქვედა ჰორიზონტი; ამ ძეგლზე კერა ერთ შემთხვევაში ნაგებობის კარის პირდაპირ უკანა კედლის მახლობლადაა ჩაძერწილი, სხვა შემთხვევაში წრიული ქვაფენილის შუაგულში [გობეჯიშვილი 1978: 37, 28. ტაბ. X-2. სურ. 15].

[2]ფოტო მოგვაწოდა არქეოლოგმა გიორგი მინდიაშვილმა, რისთვისაც მადლობას ვუხდით.

ხიზანაანთ გორის კერები იატაკში ჩაჭრილი, თიხით ნალესი ცილინდრული ფორმის ორმოებია, რომელთა ზედაპირიც იატაკზე გადადის და ფართო, ოდნავ შემაღლებულ ბორდიურს ქმნის [კიკვიძე 1972: 49].

გვიანდელ ეტაპზე კერის გვირგვინი, თიხით ნალესი ბორდიურის ნაცვლად, გამომწვარი თიხის ფილებისგან შედგება. კერა მიწაში უფრო ღრმადაა ჩამჯდარი და ფილაც იატაკის დონეს უსწორდება [ჩუბინიშვილი 1963: 64]. გვხვდება ისეთი კერებიც, რომელთა ბორდიური ქვისგან არის გაკეთებული (ოზნი, თეთრი წყარო) და ზოგ შემთხვევაში ორნამენტითაა შემკული (ამირანის გორის კერა – წეროს გამოსახულებით და სხვ.).

კერის მეორე ტიპი – შუაგულამოღარული, ღრმა თასის ფორმის, განიერი და გადმოშლილი ნაპირით – თეთრი წყაროს ნასახლარის მრგვალ ნაგებობაში აღმოჩნდა (ტაბ. I – 2). კერის მესამე ტიპი – ქორდიანი, შედარებით იშვიათი სახეობაა [ტაბ. I – 3]. სადღეისოდ ის მხოლოდ ორ ძეგლზე დაფიქსირდა – თეთრი წყაროსა და არგვეთის ნამოსახლარზე.

დასახელებული ტიპებიდან ყველაზე გავრცელებული სახეობა შვერილებიანი კერაა; არსებობს, როგორც სტაციონარული (ტაბ. II – 4, 5); ასევე მცირე ზომის გადასატანი კერები [მახარაძე 1994: 28, 29]. არქეოლოგიური მონაცემებით, ისინი განსაკუთრებით მრავლადაა აღმოჩენილი ისტორიული შიდა ქართლის ტერიტორიაზე დადასტურებულ ნასახლარებზე (ხიზანაანთგორა, ქვაცხელები, ციხიაგორა, ორხევი, ჟინვალი, დიდუბე და სხვ.).

მსხვილმარცვლოვანი თიხის კეცის მქონე სტაციონარული კერები შენობათა მთავარი ოთახის იატაკში ამოთხრილ ორმოებშია ჩალესილი და ადგილზევეა გამომწვარი; მათი პროფილირებული ფართო პირი, რომლის ზედაპირი წმინდა თიხითაა მოლესილი იატაკის დონეს ოდნავ სცილდება. კერის შიდა მხარეს მიძერწილია და არათანაბრადაა განაწილებული სხვადასხვა რაოდენობისა (1-5) და ფორმის (ქიმისებრი, მომრგვალებული, დაწახნაგებული) შვერილები. კერის ეს მხარე კარგად გაპრიალებულია და ზოგჯერ ორნამენტით არის შემკული.

მტკვარ-არაქსულ კულტურაში არანაკლებ საყურადღებოა თიხის სადგრები (სურ. 8). სადგარი კერის უშუალო ატრიბუტია და ძირითადად კერებში ან მათთან ახლოს არის აღმოჩენილი. თიხის სადგრები სხვადასხვა ფორმისაა და კლასიფიკაციიდან გამომდინარე, ძველი კულტურების მკვლევარი ნ. შანშაშვილი მათ სამ ტიპად ჰყოფს: ნალისებრი (ანთროპომორფული, ზოომორფული), რქისებრი ანდა ზოომორფული და გეომეტრიული (ცილინდრული, კონუსისებრი) [Шаншашвили 2003: 58]. კერისა და სადგრის ერთიანობას სხვადასხვა ძეგლზე მოპოვებული მასალა ადასტურებს; კერძოდ, ხიზანაანთ გორის ფენიდან ბორდიურიანი კერის ძირზე მიძერწილი სადგარი; ქვაცხელას ნასახლარის E ფენაში აღმოჩენილი კერის თიხის მოდელი – სამფეხა სადგარზე მდგარი ოთხშვერილიანი მოდელი და სხვ.

სადგრების დანიშნულების შესახებ (სამეურნეო თუ საკულტო-სარიტუალო) სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. ნ. შანშაშვილი მიიჩნევს, რომ კერისა და მასთან დაკავშირებული ნივთების გაღმერთება, სა-

ვარაუდოდ ხეთურ-ხურიტულ კულტმსახურების პრაქტიკასთანაა დაკავშირებული, რომელიც ამ კულტურათა კონტაქტებიდან მომდინარეობს [Шаншашвили 2003: 60].

კერების მსგავსად, სადგარებიც მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების არეალიდანაა ცნობილი, რომელიც მისი არსებობის ყველა ეტაპზე ვითარდება. მათი ანალოგები სამხრეთ და ჩრდილო კავკასიაში გვხვდება, ასევე აღმოსავლეთ ანატოლიასა და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში, რაც კიდევ ერთხელ მიანიშნებს მტკვარ-არაქსული კულტურის სხვადასხვა ეტაპზე ამ რეგიონებთან ძველი ქართული კულტურის სიახლოვეს [ორჯონიკიძე 1999: 19-20].

ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან II ათასწლეულის პირველ ნახევრამდე აღმოსავლეთ საქართველოში ორიალეთური კულტურა ვითარდება, რომელიც ძირითადად დიდი ყორღანებითაა ცნობილი. ვინაიდან, იმდროინდელი ნამოსახლარები დღემდე არ არის მიკვლეული, შეუძლებელია იმის განსაზღვრა ამ ეტაპზე კერამ თუ რა ტიპოლოგიური განვითარება განიცადა.

თუმცა კი შიდა ქართლში გამოვლენილი ორიალეთის ადრეული ყორღანების ე.წ. ბედენური კულტურის ნამოსახლარები ჩვენი საკვლევი თემისათვის საინტერესო მასალას გვაწვდის.

ამ მხრივ აღსანიშნავია ქარელის რაიონში აღმოჩენილი მრავალფენიანი არქეოლოგიური კომპლექსი – ბერიკლდეების ნამოსახლარი და იქ გამოვლენილი კერები. თოთხმეტი ჰორიზონტისაგან შემდგარი ძეგლის ხუთ ქრონოლოგიურ ფენაში, მესამე ფენა ბედენური კულტურისათვის დამახასიათებელ რვა სამშენებლო და კულტურულ ჰორიზონტს მოიცავს [ღლონტი., ნემსაძე., ჯავახიშვილი 1986: 36-44]. ამ ფენაში 14 მეტ-ნაკლებად გადარჩენილი შენობაა, 20 სამსხვერპლო ბაქნის ნაშთი და 233 რიტუალური ორმო აღმოჩნდა. მკვლევართა ვარაუდით, ძეგლი სამლოცველო-საკულტო დანიშნულებისაა და რიტუალი სამ აღნიშნულ ადგილას კომპლექსურად ვითარდებოდა [ჯალაბაძე 1998: 11-12].

ბერიკლდეების ნასახლარის სწორკუთხა შენობების ცენტრში სტაციონარულად დამაგრებული კერის ორ ტიპს გამოყოფენ: ერთი – წრიული, პროფილირებული და მეორე – წრიული, ანთროპომორფული დანაძერწებით. ეს უკანასკნელი გვხვდება ყველაზე ქვედა სამშენებლო ჰორიზონტზე (№12 შენობა) და ასევე ზედა ჰორიზონტებშიც (№№7, 8 შენობები), რაც მათ თანაარსებობაზე მიუთითებს.

ბერიკლდეების ნასახლარზე გამოვლენილ კერებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია №8 და №12 შენობის წრიული, „ბორტიანი“ ანთროპომორფული კერები.

№8 შენობის კერა, რომელშიც ანთროპომორფული წყვილადი გამოსახულება იკვეთება, მოთავსებულია ნაგებობის ცენტრალურ ნაწილში და შემოსასვლელი კარისკენაა ორიენტირებული. გამოსახულების თვალები მოდელირებულია კონტურზე შემოვლებული რელიეფით, რომელიც ინკრუსტირებულია ობსიდიანის თვლებით. ცხვირი სუსტად გამოხატული რელიეფური ზოლითაა შესრულებული [ჯალაბაძე 1998: 62]. ამ კერის ანალოგიურია ქვემო ქართლში, სოფ. ზველში, ადგილ

„რაბათთან“ აღმოჩენილი ზოომორფულ გამოსახულებიანი თიხის კერა თუ კერის სადგრის ფრაგმენტი. ეს არის კუს თავის ფორმის წყვილი შვერილი, რომელსაც შავი ფერის ობსიდიანით ინკრუსტირებული თვალები აქვს [Чубинишвили.,Небиеридзе.,Пхакадзе., Григолиа.,Орджоникидзе., Эсакиа., Гогелиа., Прищепенко 1976: 17].

ბერიკლდეების ნასახლარის ბედენის ბოლო ეტაპზე კერის ამ ტიპებში ცვლილება ხდება, რაც გამოიხატება სანაცრე ღარის მქონე ბრტყელზედაპირიანი, სხვადასხვა ფორმის ბაქნების დამატებით. ეს ცვლილება ნაგებობების არქიტექტურაშიც ვლინდება. სწორკუთხა შენობას, ცენტრში წრიული კერით სამსხვერპლო ბაქნებიანი მსუბუქი კონსტრუქცია ენაცვლება. ძეგლის გამთხრელი და მკვლევარი ალ. ჯავახიშვილი ამ მოვლენებს საკულტო ქმედებაში მომხდარ ცვლილებებს უკავშირებს [ჯავახიშვილი 1997].

მსგავსი ცვლილებები, რაც კერის ფუნქციურ დატვირთვაზეც აისახება,განსაკუთრებით საქართველოს უძველესი ისტორიის განვითარების შემდგომ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში (ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარი და I ათასწლეულის პირველი ნახევარი) იჩენს თავს. არქეოლოგიურმა გათხრებმა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მრავალი ძეგლი ე. წ. გორა-სამოსახლოები გამოავლინა, სადაც თითქმის ყველა ნაგებობის კომპლექსში კერებთან ერთად საკურთხევლები, სამსხვერპლოები, სხვადასხვა შესაწირი სარიტუალო ორმო და სამლოცველო სენაკები აღმოჩნდა. წრიული ფორმის კერა კვლავ ნაგებობის ცენტრშია ფიქსირებული. ის საცხოვრისში საოჯახო რელიგიის კულტმსახურების ადგილია და მისი მნიშვნელობა დასახლებათა საზღვრებში გამართულ სამლოცველოებში კიდევ უფრო იზრდება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუ წინა კულტურებში, არქეოლოგიური მასალების მიხედვით, სამლოცველოსა და საცხოვრებელი ნაგებობების ერთმანეთთან მიმართება სუსტადაა გამოკვეთილი, ამ პერიოდისათვის აშკარაა, რომ სამლოცველოს უკვე გამიჯნული ფუნქცია აქვს.

ამის საუკეთესო მაგალითია შიდა ქართლის მრავალფენიანი ძეგლი ცხინვალის ნაცარგორა და მისი ნასახლარის მესამე ფენაში (ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრული და I ათასწლეულის პირველი ნახევარი) გამოვლენილი №5 სამლოცველო სენაკი. ნაგებობის სამ კუთხეში თიხატკეპნილ იატაკზე სამი საკურთხეველი და სამსხვერპლო აღმოჩნდა. სენაკის აღმოსავლეთ კუთხეში „რქებიანი“ საკურთხეველი იყო დამაგრებული. ის მცირე ზომის ქვით, როჭკით, კერამიკული ნატეხებით და თიხით ამოყვანილი მცირე ნაგებობაა და დაბალი ოთხწახნაგოვანი პრიზმის ფორმისაა. საკურთხეველი სათავსოს კედელთან იყო ამოშენებული. მის ჩაზნექილ ზედაპირზე წმინდა ნაცრით ამოვსებული ნალის თუ „ამბიონის“ ფორმის კერა იყო მოთავსებული. ავტორის ცნობით, კერას ორი დაბალი კოპი ჰქონდა დამაგრებული, რომელშიც ხარის რქების სქემატური გამოსახულება იკითხებოდა; მის უკან კი, საკურთხევლის კედელზე სქემატურად გამოძერწილი ხარის თავი ყოფილა; ჩრდილოეთ კუთხეში მზის სიმბოლო – სვასტიკა და მასზე გადაბმული მეანდრის ქიმები იკვეთება. საკურთხევლისა და სენაკის

კედლებს შორის ამოჭრილ ღარში, სავარაუდოდ საკურთხევლის უკანა კედელთან ამოყვანილი ორი ჩაღრმავებიდან გადმოღვრილი სითხე (ზეთი, ქონი) ჩაედინებოდა (ტაბ. III6)[3]. სენაკში ასევე, თიხისგან გამოძერწილი ხარის 4 ქანდაკება აღმოჩნდა: სამი – საკურთხეველთან და ერთიც – სამსხვერპლოსთან.

მეორე კერა, განსხვავებით "რქისებრი" კერისგან, სენაკის ჩრდილოეთ კუთხეში გამართულ იმავე ტიპის საკურთხეველის სამხრეთ-აღმოსავლეთ კედელზე იყო მიძერწილი. იგი თავდაპირველად ნალისებრი მოყვანილობის უნდა ყოფილიყო და შემდგომ ოთხკუთხედის ფორმა მიუღია. იმავე კედელზე ოთხკუთხედი ფორმის ჭრაქი აღმოჩნდა [გობეჯიშვილი 1951: 255-257]. ნაცარგორის შენობებში არაერთი საკურთხეველი, სამსხვერპლო, საკულტო სენაკის ნაშთი და შეწირულობის ორმო გამოვლინდა. ვინაიდან, ნაგებობათა არქიტექტურული რეკონსტრუქცია ვერ ხერხდება (კულტურული ფენები ძლიერ გადამწვარია და ძირითადად, ნაცრისა და ნახშირის სქელი შრეებია დარჩენილი). ძნელია არსებული ძეგლის ფუნქციის განსაზღვრა, როგორც საკულტო-რელიგიური თუ საცხოვრებელი კომპლექსისა. ამ ძეგლზე აღმოჩენილი საყოფაცხოვრებო-სამეურნეო და სარიტუალო დანიშნულების ნივთების თანაარსებობა ვერ გამოდგება იმის დამადასტურებლად, რომ ძეგლი მხოლოდ სარიტუალო-საკულტო თუ სამეურნეო-ყოფითი დანიშნულებისაა.

როგორც ცნობილია, ძველი სამყაროს საკულტო ტაძრები რთული კომპლექსი იყო. ის ერთდროულად სამეურნეო დანიშნულების სათავსოებსა და შენობებსაც მოიცავდა. ამ ნაგებობებში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა ადასტურებს, რომ სამეურნეო-ყოფითი დანიშნულების შენობები, იმავდროულად, სარიტუალო უჯრედებსაც შეიცავდა. ეს კი სრულიად ბუნებრივია, რადგან ამ ტიპის საზოგადოებებში სამეურნეო-ყოფითი ქმედებები რელიგიით იყო განსაზღვრული და მის საფუძველს შეადგენდა. შესაბამისად, სამეურნეო ხასიათის საქმიანობები: ხვნა, თესვა, საქონლის მოვლა და თუნდაც საკვების მომზადება სათანადო რიტუალის შესრულებით იწყებოდა [ტატიშვილი 2001: 19-35]. საზოგადოების განვითარების ადრეულ ეტაპზე, როდესაც საზოგადოება ჯერ კიდევ დიფერენცირებული არ იყო და სოციალური სისტემები ერთმანეთს მსჭვალავდნენ, საცხოვრებელი სახლი საკულტო დანიშნულებასაც ითავსებდა. თითოეულ ოჯახს თავისი საკულტო შენობა ჰქონდა ანუ ერთი მხრივ, "წილი" საერთო სათემო კულტში, მეორე მხრივ, სწორედ თითოეულ ოჯახში არსებული საკულტო უჯრედი დასტური იყო ოჯახის საერთო რელიგიაში მონაწილეობისა.

მტკვარ-არაქსის ხანის უძველეს სამოსახლოებში თითქმის ყველა ოთახის ცენტრში თიხატკეპნილ მიწაში ნაცრით ამოვსებული სტაციონარული კერაა ჩადგმული. ფაქტია, რომ თითოეული ოთახი, სადაც ოჯახი ცხოვრობს, საკულტო დანიშნულებისაა და ამ კულტში საოჯახო რელიგია დიდ როლს ასრულებს [კიკვიძე 1972: 44].

უძველესი ცივილიზაციების მქონე თითქმის ყველა ხალხის რწმე-

[3] აქ წარმოდგენილ ნახატზე არ არის გამოსახული ზემოაღნიშნული ფიგურები ორიგინალში არსებული უხარისხო ფოტოს გამო

ნა წარმოდგენაში კერა საოჯახო რელიგიის შემადგენელი ნაწილია, ის ოჯახის დამფუძნებელი და მისი სტრუქტურის განმსაზღვრელია. ამის ფიზიკური გამოხატულებაა კერაში ანთებული ცეცხლი, სიმბოლო – წესრიგისა და იმ ურთიერთობისა, რაც ღვთაებათა სამყაროს, გარდაცვლილებსა და ოჯახის წევრებს აერთიანებს. მისი ჩაქრობა უბედურების ტოლფასია, ოჯახი ნადგურდება ანუ ირღვევა ის ბალანსი, რაც ოჯახის წევრებს ერთმანეთთან აკავშირებს და მათ სიცოცხლისუნარიანობას უნარჩუნებს. კერას მჭიდროდ და მუდმივად დგამდნენ შენობის ცენტრში. ოჯახს კერა ამაგრებდა, კერას – მიწა [Hom. Himnen XXXIX, Orph. Himnen LXXXIV. Hesiod, opera, 679. Aischylos, Agam. 1056].

საზოგადოების განვითარების შედეგად მისი სოციალური სისტემები თანდათან დიფერენციაციას განიცდის. ეს ჩანს, როგორც ყოველ სოციალურ სისტემაში, ისე მის შემადგენელ სეგმენტებშიც. რადგან არქიტექტურაც ყოველთვის საზოგადოების განვითარებისა და მოთხოვნილებების დონეს გამოხატავს, შესაბამისად, სხვადასხვა ფუნქციის მატარებელი ნაგებობებიც ცვლილებებს განიცდის. ნაგებობები უფრო დიფერენცირებული ხდება; თუ საზოგადოების განვითარების ადრეულ ეტაპზე ერთი შენობა რამდენიმე ფუნქციას, მათ შორის საკულტოსაც ითავსებდა, განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე ნაგებობების ფუნქციები მეტად გამიჯნულია და ერთი კონკრეტული შენობა სხვადასხვა ფუნქციას ნაკლებად ითავსებს. აქედან გამომდინარე, საერთო სათემო თუ საზოგადოებრივი რელიგიების განვითარების კვალდაკვალ საოჯახო კერას, რომელიც ჩვეულებრივ საცხოვრებელ შენობაში მდებარეობდა, ტაძრებში არსებული საკურთხევლები ემატება, რომელთა ფუნქციაც პრაქტიკულად იდენტურია; თუმცა საოჯახო კერა კვლავ განაგრძობს არსებობას საცხოვრებელში, რადგან, როგორც კერიდან, ისე საკურთხევლიდან დანთებული ცეცხლის საშუალებით მყარდება კავშირი სამ სკნელს შორის, რაც კოსმოსის, წესრიგის ანუ კულტურის არსებობის ტოლფასია.

ამ ტრანსფორმაციის გამოხატულება შეიძლება იყოს ამ შემთხვევაში ნაცარგორის მესამე ფენის №5 სამლოცველო სენაკში აღმოჩენილ საკურთხეველზე მოთავსებული კერა (ტაბ. III 6). მან, როგორც რიტუალური ცეცხლის დასანთებმა ადგილმა, სახეცვლილება განიცადა, თუმცა მისი ფუნქციური დატვირთვა იგივე დარჩა.

ზემოაღნიშნული პროცესის დასტურად შესაძლებელია მივიჩნიოთ ე. წ. "იბერიული ცეცხლის ტაძრების" ის ჯგუფი, რომელშიც ციხიაგორას, ღართისკარის, სამადლოსა და უფლისციხის (ორსვეტიანი დარბაზი) ტაძრებია გაერთიანებული [ნარიმანიშვილი., ხიმშიაშვილი 1993].

„ციხიაგორას" ნამოსახლარი 4 კულტურულ-ქრონოლოგიური ფენისგან (ადრებრინჯაოს, შუაბრინჯაოს, გვიანბრინჯაოსა და ანტიკური ხანის) შედგება. ადრებრინჯაოს ფენა მტკვარ-არაქსის კულტურის ფინალურ ეტაპს განეკუთვნება და ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრით თარიღდება. ამ ფენაში განათხარ შენობებში სტაციონარული შვერილებიანი კერები ოთახის ცენტრში, იატაკშია ჩადგმული. ოთახების საკულტო დანიშნულებას ადასტურებს – კერასთან იატაკში ამოჭრილი სხვადასხვა სიმბოლური გამოსახულება, რომელთა შორის

აღსანიშნავია „გასხივოსნებული“ წრის, მზის გამოსახულება (2 დონის №1 შენობა); ასევე ოთახის კედლებზე გამართულ თაროებზე მოთავსებული ნაცრის გროვები, რომლებიც წითლად შეღებილი თიხის თხელი ფენითაა გადალესილი და სხვ. [ცქიტიშვილი 2003: 7; მახარაძე 1994: 15-16]. ნამოსახლარის შენობებში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა სტაციონარული და მცირე, სხვადასხვა ზომის, ჯამისებური მოყვანილობის გადასატანი კერები და მათი ფრაგმენტები; მკვლევარ ზ. მახარაძის განმარტებით, გადასატანი კერის უმარტივესი ფორმა უნდა იყოს სტაციონარულ კერასთან, იატაკში საგანგებოდ გაკეთებულ ფოსოში ჩადგმული ჯამისებური ჭურჭელი, რომელიც მსხვილმარცვლოვანი თიხითაა ნაძერწი და შიდამხარე პირთან ახლოს წითელი საღებავით აქვს შეღებილი [მახარაძე 1994: 34; ტაბ. XZVIII 3].

ციხიაგორას სატაძრო კომპლექსი (დათარიღებული ძვ. წ. IV-III სს.) ნამოსახლარის III კულტურულ ფენაში გამოვლინდა. იგი, გარდა თავისთავად ტაძრისა, ბეღლის, მარნის, საფქველი ოთახის, სათონის, სატრაპეზოსა და საცხოვრებელი ნაგებობებისაგან შედგება. ტაძრის შემორჩენილი კედლის სიმაღლე 4,25 მ-ია. ტაძარი კვადრატული გეგმარების მქონე ნაგებობაა, რომელიც კორიდორისმაგვარი სათავსოებითაა ფლანკირებული. ცელაში იატაკზე თიხით ნაკეთები სვეტისებური საკურთხეველი მდგარა. ნაგებობის ინტერიერის ცენტრში სავარაუდოდ, ხარის ორმაგპროტომიანი კაპიტელით შემკული ხის სვეტი იყო აღმართული. ტაძარს სამი მხრიდან შიდა ეზო საზღვრავდა, სადაც ტაძრის კარის გასწვრივ 2,8 მ-ის დაშორებით, ეზოს ცენტრში მშრალი წყობით ნაგები მართკუთხა გეგმარების ქვის საკურთხეველი იყო განთავსებული. საკურთხეველზე ცხვრის დამწვარი ნეკნები და პატარა დანა აღმოჩნდა. ტაძრის ეზოს სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში ფლეთილი ქვისა და თიხისგან მოწყობილი ბაქანი დაფიქსირდა; მისი ზედაპირი თიხით იყო გადალესილი და შუაგულისკენ ღრმავდებოდა. სავარაუდოდ, ეს ბაქანი შეწირული ცხოველის დასაკლავად იყო განკუთვნილი. ტაძრის შიდა ეზოში მრავლად აღმოჩნდა ალიზის შელესილობის ფრაგმენტები, რომლებზედაც სხვადასხვა ფორმის ანაბეჭდებია. მრგვალი ფორმის ანაბეჭდებზე გამოსახულია ფასკუნჯი (სავ. №16/77-79), მზე (სავ. №16/77-96, 98), ირემი (სავ. №16/77-107); ოთხკუთხა ფორმის ანაბეჭდებზე კი – ფროოსანი ირემი ან ცხენი (სავ. №16/77-81) და სხვ. [ცქიტიშვილი 2003: 11-12].

სატაძრო კომპლექსის სამოთახიანი ნაგებობის დასავლეთით ალიზით ნაგები მარანია განთავსებული. მარნის სამხრეთ კედელზე კვადრატული ფორმის, ალიზით ნაგები დაბალი საკურთხეველი იყო მიშენებული. შიდა ზედაპირზე თავმოყრილ სუფთა ნაცრის გროვას ზემოდან 0,6 მ. დიამეტრის თიხის დისკო ეფარა; მასზე ტოლმკლავა ჯვარი იყო დაძერწილი. მარნის ჩრდილო კედელთან კიდევ ორი, ერომანეთისგან განსხვავებული კონსტრუქციისა და, ძეგლის გამთხრელის გ. ცქიტიშვილის განმარტებით, განსხვავებული რიტუალის შესასრულებელი საკურთხეველი აღმოჩნდა. სწორედ ამ საკურთხეველში იყო ჩადგმული უხეში თიხის სქელკედლიანი ნახევარსფერული სამი სარიტუალო ჯამი. სამივე ჭურჭელი სუფთა ნაცრით იყო ამოვსებული

[ცქიტიშვილი 2003: 17].

შემთხვევითი არ არის მკვლევართა დაინტერესება ამ ჭურჭლებით, რომელთა ანალოგებიც უფლისციხეში [ხახუტაიშვილი 1970: 132. ტაბ. XXX-1], ნასტაკისში [Бохочадзе ., Мирианашвили ., Нариманишвили 1981: 19, таб. XXX-2] და სამადლოში [გაგოშიძე 1971: 56-57, სურ. 5] აღმოჩნდა. სარიტუალო ჭურჭლები ოთხკუთხაბაკოიანი ფორმისაა, მსხვილმარცვლოვანი თიხისგანაა დამზადებული, სქელკედლიანია, მუქად გამომწვარი და ზედაპირი გაპრიალებული აქვს. ცეცხლის ზემოქმედების კვალი ჭურჭელზე მათ საკულტო დანიშნულებას უტყუარს ხდის. ისინი ძირითადად ძვ. წ. III – II სს. თარიღდება (ტაბ. III-7).

სამადლოს ტაძარში აღმოჩენილი ანალოგიური სამი ჭურჭელი ძეგლზე გამოვლენილ საკურთხეველზე უბრალოდ მიდგმული იყო. მკვლევართა განმარტებით, ჭურჭლის სტაციონარული მდგომარეობა (ციხიაგორა) რიტუალის ადგილზე შესრულების დამადასტურებელია, მათი გადაადგილება კი რიტუალის სხვა ადგილას ჩატარებას გულისხმობს [ნარიმანიშვილი., ხიმშიაშვილი 1993: 106].

ბუნებრივია, რომ ეს ჭურჭლები ისეთ რიტუალში გამოიყენებოდა, რომელშიც ცეცხლის მონაწილეობა აუცილებელი იყო და არც ის არის გამორიცხული, რომ მათში ცეცხლი ინთებოდა. თუკი ამ ჭურჭლებს ერთ შემთხვევაში (სამადლოს ტაძრის საკურთხევლიდან) გადასატანი და სხვა შემთხვევაში სტაციონარული (ციხიაგორას საკურთხეველში ჩაშენებული) კერის ფუნქციის მატარებელ ნივთებად მივიჩნევთ, შესაძლებელია, ეს იყოს ამ ტაძრებში საოჯახო რელიგიისა და საერთო სათემო (ტაძარში) რელიგიების თანაარსებობის დასტური.

გადასატანი კერების ფუნქცია კი იმაში გამოიხატებოდა, რომ კერას, ტრადიციის მიხედვით, გადაადგილების შემთხვევაში თან დაატარებდნენ, როგორც საკუთარი კულტურული სამყაროს ნაწილს.

ანტიკურ წყაროებში გადასატანი კერების შესახებ ინფორმაციას არაერთი ნაწარმოები გვაწვდის [Vergil, Aen. I, 67-68, 378-379; II, 297, 717-720, 747-748]. ენეოსს ტროას ომიდან სამშობლოში დაბრუნებისას ერთადერთი განძი – კერა ებარა, რომელიც ზღვით გადაჰქონდა; იგი მას, თავისი წინაპრის სულის მოსახსენებლად, ლარი ასარაკუსის სახელს უწოდებდა[4] [Fustel de Coulange 1988: 51].

ის ფაქტი, რომ ციხიაგორაზე და სამადლოს მიწებზე სამ-სამი ასეთი ჭურჭელი აღმოჩნდა, მეცნიერთა ვარაუდით მათ გარკვეულ კანონზომიერებაზე მიუთითებს. მათი აზრით, ეს სამი ჭურჭელი ერთ კომპლექსს წარმოადგენს [ნარიმანიშვილი., ხიმშიაშვილი 1993: 107].

თუკი გადავხედავთ კერის ფუნქციას უძველესი ცივილიზაციების მითოკულტურაში, მივხვდებით, რომ ეს კანონზომიერება ხშირ შემთხვევაში წერილობითი წყაროებითაც დასტურდება.

ძველი ცივილიზაციების მითოსურ კულტურებში კერის ფუნქციო-

[4] ლარები (არეს) ჭერის, კერის, ოჯახის მფარველი რომაული ღვთაებებია. ისინი ფუძის ანგელოსთა მსგავსად არა მარტო ოჯახს, არამედ მის თითოეულ წევრს მფარველობდნენ. მათ გამოსახულებებს კერის მახლობლად ათავსებდნენ; ოჯახის სუფრიდან საკვებს უნაწილებდნენ და მათთვის საგანგებო მსხვერპლშეწირვას ასრულებდნენ. ლარები ქალაქსა და სახელმწიფოსაც ჰყავდა.

ნალური დატვირთვა მრავალმხრივია. ამ ფუნქციების შესახებ ინფორმაციას ძველ მითოსურ ტექსტებში ვკითხულობთ; კერძოდ, რამოდენიმე მაგალითს მოვიყვანთ ძველინდური ლიტერატურისა და კულტურის შედევრიდან რიგვედა (დათარიღებული ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრული), რომლის ძირითადი ჰიმნები სწორედ ცეცხლის ღვთაებას *agnis* ეძღვნება [RB., 1972, 1989].

ვედურ და ინდუსურ მითოლოგიაში საოჯახო და სამსხვერპლო ცეცხლის ღვთაება აგნი სწორედ კოსმიური "კერიდან" ამოიმართება; ის მარადიულია, ვინაიდან ყოველთვის იბადება, როცა კი სამსხვერპლო ცეცხლს ანთებენ. აგნი ყველა ოჯახში ანთია; იგი შუამავალია ადამიანთა და ღვთაებებს შორის და წესრიგსა და კანონს ამკვიდრებს (RB.,I,13,4,6). აგნის ადიდებენ და სთხოვენ მუდამ ვერტიკალურ მდგომარეობაში ყოფნას, ანუ იმ ძალისა და ფუნქციის შენარჩუნებას, რაც კოსმიური ღერძისთვისაა დამახასიათებელი (RB.,I,36,13,14). მისი ვერტიკალურობა კი უმნიშვნელოვანესია ყველა ზოგადი კრიტერიუმისა იმ მოლიანობის აღსადგენად, რომელიც ადამიანთა და მათ წინაპრებს შორის არსებობდა.

ცეცხლის ღვთაება აგნი სამყაროს შექმნის საწყისია. მისი დაბადება კოსმოგონიურ აქტს შეესაბამება. ამდენად ის იბადება ქაოსში, ოკეანის წყლებში (მითოლოგიებში ოკეანის წყლები კი ის პირველადი საწყისია, საიდანაც კოსმოსი და შესაბამისად სიცოცხლეც წარმოიშვება). აგნი ამოიმართება და ადამიანებს კარგ საცხოვრებელ გარემოს უქმნის (RB.,X,88,1-5).

ეს მითოლოგემა ქართულ სინამდვილეშიც დასტურდება. მაგალითად, ერთი ხევსურული თქმულება "შუბნურთა" შესახებ მოგვითხრობს თუ როგორ ამოიზრდება კერიდან, როგორც სამყაროს ჭიპიდან იფანი მიწაში ვერცხლის თასის ჩაფვლის შედეგად, ნიშნად იმისა, რომ აქ უნდა დაარსებულიყო ჯვარი – საყმოს შესაკრებელი ცენტრი [ოჩიაური 1967: 185]. წრე და ცენტრი ერთმანეთის ეკვივალენტურია და ასოცირებულია სამყაროს შექმნასთან. წრეს თასის ფორმა აქვს. თასის კავშირი კერასთან არ არის შემთხვევითი.

ხეთურ ღვთაებათა აღწერილობის ლურსმულ ტექსტებში ვკითხულობთ, რომ ღვთაებებს მარჯვენა ხელში სხვა ინსიგნიებთან ერთად ხელში თასიც უჭირავთ [Jakob-Rost 1961: 175, 177, 178, 181]. ღვთაება და ინსიგნია (თასი) კი სამყაროს ცენტრს, კულტურის დასაბამს განასახიერებს, რომლის გარშემოც მისივე დაარსებული კულტურა ვრცელდება [კიკნაძე., ბერიაშვილი: 1997. 216].

თავად აგნის დაბადება, სხვა ვერსიის მიხედვით, სამ განზომილებაში სამჯერ ხდება (RB., X,45,1-6; X,88,10). ეს არ არის რიგითობრივი მოვლენა, ერთდროულია, რადგან კავშირი ამ სამი განზომილებისა არსებული კოსმოსისათვის მუდმივად საჭიროა. მისი უქონლობის შემთხვევაში ისევ ქაოსი დამყარდება. შესაბამისად, აგნი ეროგან ზეცაში იბადება, ღვთიურ სამყოფელში, მეორეგან – მიწაზე, ადამიანთა სამყოფელში და მესამეგან – წყლებში, როგორც ქვესკნელში, რაც, იმავდროულად, სამყაროს დასაწყისია; ამ სამი განზომილების ერთიანობა ჰქმნის კულტურულ გარემოს და ამ ერთიანობის შემქმნელი და გარანტი სწორედ

აგნია.

შესაბამისად, აგნისადმი მიძღვნილი სამსხვერპლო ცეცხლი, სამ ადგილას ინთება. ღვთაებები ზღვიდან ამოდიან და ცეცხლის გარშემო სამსხვერპლო, ერბოგაქონილ თივაზე სხდებიან (RB.,I,15,4; I,13,4-5). აქ განიხილება კოსმიური კანონი, რომელიც სამყაროს ხის გარშემო მყარდება. აგნი თავად კანონია, შესაბამისად, ტრადიციის, ადამიანთა საზოგადოების დამფუძნებელი და სამყაროს წესრიგის მცველი. აგნი კოსმიური ღერძია, ხეა, რომელსაც აქვს ტოტები; ის არის ჭიპი კაცობრიობისა, დასაყრდენი ბოძი; ის არის მეფე სამყაროში, სიფართე ყველა ღვთაებისათვის, რომლის დიდება და ძალაუფლება ცის საზღვარს ცდება (RB., I, 59,1-3).

ამას ადასტურებს ცხენის მსხვერპლთშეწირვის ძველინდური რიტუალი “ asvamedha”. სამლოცველოში ცეცხლს სამ ადგილას, სპეციალურ მოწყობილობაზე ანთებდნენ: დგამდნენ მსუბუქ კონსტრუქციას, რომლის ჭერზეც აღმოსავლეთით ორიენტირებულ კოჭს ამაგრებდნენ, მის შიგნით სამ კერას ათავსებდნენ სამი სარიტუალო ცეცხლისთვის. დიდი საკურთხეველი, ფრინველის გამოსახულებიანი კერით, აღნიშნული კონსტრუქციის აღმოსავლეთით იდგმებოდა; ამ კერის ცენტრში, როგორც “სამყაროს ჭიპში” მსხვერპლშეწირვა სრულდებოდა [Dumont 1927]. ცხენის მსხვერპლთშეწირვის კიდევ ერთი რიტუალი მთლიანად კოსმოგონიური ხასიათისაა. ამ შემთხვევაში აგნი, როგორც კოსმიური ღერძის ეკვივალენტი, მის მიერ დაფუძნებული კულტურის, საზღვრის მფარველი და თავისთავში მომცველია. იგი სამყაროსეული წესრიგის სიმბოლური გამოსახულებაა. ცხენი კი, როგორც სარიტუალო წმინდა ცხოველი, მზის ღვთაების ატრიბუტია და მისი სიმბოლური სახე [თორთლაძე 2003: 59, 60]. შესაბამისად, მზის ღვთაებას, როგორც განუსაზღვრელი ძალაუფლების მქონეს, თაყვანს სცემდნენ რიტუალებში, მის მიმართ პატივისცემა აგნის პატივისცემის ტოლფასი იყო (RB., I, 27, 1).

მაგრამ ცეცხლის ღვთაება, აგნი შეიძლება გამანადგურებელიც იყოს, რაც მითოსური ცნობიერებიდან გამომდინარე, სრულიად ბუნებრივია. სამყაროს, კოსმოსს მუდმივად ქაოსში, პირველსაწყისში დაბრუნება ემუქრება. ამდენად აგნი, როგორც კოსმოგონიური აქტის მონაწილე და კოსმოსის მდგრადობის გარანტი თავისი გაუჩინარებითა და დაქრობით ადამიანებს საფრთხეს უქმნის; ადამიანები გამუდმებით ცდილობენ მისი გულის მოგებას. მასზე ღვთაებებიც ზრუნავენ. ოკეანის წყლებში დაბადებული აგნი პერიოდულად თავის ემბრიონულ მდგომარეობას უბრუნდება, გარბის და წყალს აფარებს თავს. ღვთაებები აგნის პოულობენ და მის მოვალეობას უბრუნებენ (RB., I, 65. 1-2, 3-4).

ამრიგად, კერიდან, როგორც “სამყაროს ჭიპიდან,” ამოზრდილი კოსმიური ღერძი, ცეცხლი აფუძნებს მაკროსამყაროს, რომელსაც მითოსური ცნობიერებიდან გამომდინარე, მის საზღვრებში აღმოცენებული წესრიგის, კულტურის ფარგლებში შეუძლია მხოლოდ არსებობა და ეს არსებობაც მის მდგრადობაზეა დამოკიდებული.

ჩვენ მიერ განხილული არქეოლოგიური არტეფაქტი – კერა ძველი კულტურების საცხოვრისებისათვის არის არა მხოლოდ ფორმალური

კულტმსახურების ადგილი, არამედ მიკროსამყაროს ცენტრი, ქვეყნიერების ჭიპი. მისგან ამოიზრდება მითოსური ანუ რელიგიური ღერძი და კერა გვევლინება მის გარშემო არსებული, რეალური სოციალური გარემოს (ოჯახის) დამყარების ტოპოსად; აქედან გამომდინარე, კერა არის ტრადიციის, როგორც დამფუძნებელი, ისე მისი შემდგომი არსებობისა და გაგრძელების გარანტი. სწორედ ამიტომ, ფაქტიურად ყოველი სოციალური ხდომილება, როგორიცაა ადამიანის დაბადება, ქორწინება, სამართალწარმოება და სხვ. მის გარშემო და მისი საშუალებით ხორციელდება. კერა, როგორც ტრადიციის მცველი, ამავე დროს წინაპართა კულტის განსახიერებაცაა.

კერიდან დანთებული ცეცხლის საშუალებით სწორედ კერაში (როგორც "სამყაროს ჭიპში") ხორციელდება კავშირი ადამიანთა და ღვთაებათა შორის. ამიტომ ლოგიკურია, რომ საზოგადოების დიფერენციაციასთან ერთად კერის ფუნქცია, მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც დიდი ტაძრების საკურთხეველს ერწყმის. საკურთხეველი კი ის ადგილია ტაძარში, საიდანაც ფაქტიურად ღვთაებათა და ადამიანთა შორის კავშირი მყარდება.

ამით იმის თქმა არ გვსურს, რომ საკურთხეველმა მთლიანად შეითვისა ოჯახური კერის დანიშნულება, რადგან მითოსური ცნობიერების საზოგადოებებში, თუნდაც ისინი მაღალგანვითარებული ყოფილიყო, მკაცრად დიფერენცირებული საერო და სასულიერო, უფრო ზუსტად საკულტო ცხოვრება არ არსებობს. პირიქით, საერო ცხოვრება პრაქტიკულად მთლიანად რელიგიითაა განსაზღვრული და საკრალიზებული. ამიტომ, დიდ ტაძრებში, როგორც დიდი სოციალური გაერთიანების რელიგიურ ცენტრებში არსებულ საკურთხევლებთან ერთად, კერა, რა თქმა უნდა, განაგრძობდა საოჯახო შენობებში არსებობას და ამით ადასტურებდა თითოეული ოჯახის კუთვნილებას მოცემული მითო-კულტურისადმი.

ყოველივე ზემოთქმული ნათლად გვიჩვენებს იმას, რომ კერის დანიშნულება არა მარტო ყოფითი-სამეურნეო იყო, როგორც ეს შეიძლება თანამედროვე ადამიანისათვის იყოს გასაგები, არამედ როგორც ეს უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ და ამას ადასტურებს ამ საკითხის ყველა მკვლევარი, როგორც დასავლეთში, ისე ჩვენში, კერას პირველ რიგში კულტურშემოქმედებითი დანიშნულება გააჩნია.

კერის დადასტურება კონკრეტულ არქეოლოგიურ ძეგლებზე მიუთითებს იმაზე, რომ ამ ძეგლებზე მცხოვრები ხალხი წარმოადგენდა ჩამოყალიბებულ ან ჩამოყალიბების გზაზე მდგარ სოციალურ გაერთიანებას მთელი თავისი შესაბამისი ინსტიტუტებით.

Zizi Tortladze

Georgian National Museum, Rustaveli Avenue 3, 0105 Tbilisi, Georgia,
Email: stortladze@yahoo.com

The Oldest Hearths Discovered in Georgia and their Functional Purpose

Summary

The article reviews existence of hearths that were found during archaeological excavations in Georgia and reveals their typological development and subsequent functioning.

The researched thesis is based on the fact that the culture, created by the inhabitants and ancient communities who lived on the territory of Georgia, bears mythological meaning. The nations' religion takes roots from their social existence. Accordingly, each thing used for domestic usage, carries religious and cultic character.

All social systems such as family, cult and justice, etc. that existed in the early period of social development, are included into general mythical system. During development of society when differentiation of all social structures took place, each significant thing and hearths as well experienced transformation and their function corresponded to the society's requirements.

The survey aims to inventory typology of hearths and their functional changes, to study and reveal hearth types appearing on each level of society's development and to reveal what functional meanings fire, hearths and an altar carried.

ბიბლიოგრაფია

1. **ბერიაშვილი მ. 1991:** ადამიანი,მითოსი და მითოსური ცნობიერება. მსოფლმხედველობა, რწმენა, ადამიანის ღირსება. – გურ. თევზაძე (რედ), გვ.137-142. თბილისი.

2. **ბერიაშვილი მ. 2009:** სეკულარიზაციის არსის გაგებისათვის. სეკულარიზაცია: კონცეპტი და კონტექსტები. – გ. ზედანია; მ. ღაღანიძე (რედ), გვ. 17-63. თბილისი.

3. **გაგოშიძე ი. 1971:** ქსნის არქეოლოგიური ექსპედიციის 1968-1969 წლების მოკლე ანგარიში. სსმაე, II. – ლ. ჭილაშვილი (რედ), გვ. 53-59. თბილისი.

4. **გობეჯიშვილი გ. 1951:** სტალინირის ნაცარგორა. – მიმომხილველი, II. ნ. ბერძენიშვილი (რედ), გვ. 239-276. თბილისი.

5. **გობეჯიშვილი გ. 1978:** თეორიწყაროს ნასოფლარი. თბილისი.

6. თორთლაძე ზ. 2003: ბრინჯაოს ჭვირული ბალთების სემანტიკური ანალიზისათვის. ენა და კულტურა. – ლ. გორდეზიანი; ი. მოსიძე (რედ), გვ. 46-68. თბილისი.

7. თუშაბრამიშვილი დ. 1960: გვარჯილას კლდის პალეოლითური ნაშთები. თბილისი.

8. კიკვიძე ი. 1972: ხიზანაანთ გორის ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარი. თბილისი.

9. კიკვიძე ი. 1976: მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში. თბილისი.

10. კიკნაძე ზ., ბერიაშვილი მ., 1997: თასის მნიშვნელობა მითოკულტურაში. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე XLII-B – ლ. ჭილაშვილი (რედ), გვ. 213-219. თბილისი.

11. ლორთქიფანიძე ო. 2002: ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან. თბილისი.

12. მახარაძე ზ. 1994: ციხიაგორის მტკვარ-არაქსული ნამოსახლარი. თბილისი.

13. ნარიმანიშვილი გ., ხიმშიაშვილი კ. 1993: იბერიული ცეცხლის ტაძრების ერთი ჯგუფი. ლიტერატურა და ხელოვნება. – გ. ბარნოვი (რედ), გვ. 102-119. თბილისი.

14. ნიორაძე მ. 1975: სამერცხლე კლდის მდვიმე და დასავლეთ საქართველოს ზედა პალეოლითი. თბილისი.

15. ორჯონიკიძე ა. 1999: მტკვარ-არაქსის კულტურის კერა-ზესადგარი (საქართველოს მასალების მიხედვით) – ო. ლორთქიფანიძე (რედ), ძიებანი №4, გვ. 13-22. თბილისი.

16. ოჩიაური თ. 1967: მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. თბილისი.

17. ტატიშვილი ი. 2001: ხეთური რელიგია. გენეზისი, ფორმირება, პანთეონის სტრუქტურა. თბილისი.

18. ფხაკაძე გ. 2000: მტკვარ-არაქსული კერებისა და სადგრების გავრცელების საკითხისათვის. – ო. ლორთქიფანიძე (რედ), ძიებანი №5, გვ. 15-26. თბილისი.

19. ღლონტი ლ., ნემსაძე გ., ჯავახიშვილი ალ. 1986: ქარელის რაიონში, ბერიკლდეებზე, 1979-1981 წლებში ჩატარებული მუშაობის ანგარიში. სსმაე. – ალ. ჯავახიშვილი (რედ), VIII, გვ. 36-44. თბილისი.

20. ღლონტი ლ., ჯავახიშვილი ალ., კიღურაძე თ. 1973: ხრამის დიდი გორის ანთროპომორფული ქანდაკებები. – ა. აფაქიძე (რედ), ძეგლის მეგობარი, №33. გვ. 5-16. თბილისი.

21. ჩუბინიშვილი ტ. 1963: ამირანის გორა. თბილისი.

22. ცქიტიშვილი გ. 2003: ციხიაგორას სატაძრო კომპლექსი. ძიებანი, დამატება XI. – ზ. მახარაძე (რედ). თბილისი.

23. ხახუტაიშვილი დ. 1970: უფლისციხე II. თბილისი.

24. ჯავახიშვილი ალ. 1997: საერთო ანგარიში (ბერიკლდეებზე ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების შესახებ). ხელნაწერი.

25. ჯალაბაძე მ. 1998: ბედენის კულტურა შიდა ქართლში (ბერიკლდეების ნამოსახლარი). ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი სადისერტაციო

ნაშრომი. ხელნაწერი. თბილისი.

26. ჯაფარიძე ო, ჯავახიშვილი ალ. 1971: უძველესი მიწათმოქმედი მოსახლეობის კულტურა საქართველოს ტერიტორიაზე. თბილისი.

27. ჯაფარიძე ოთ. 2003: საქართველოს ისტორიის სათავეებთან. პირველყოფილი ეპოქა. თბილისი.

28. Бохочадзе., Мирианашвили Н., Нариманишвили Г. 1981: Настакисская археологическая экспедиция Мцхетского района, в ПАИ 1978 года. ст. 143-159. Тбилиси.

29. Ригведа. 1972: Избранные гимни, - Г. М. Бонгард-Левин (ред). Москва.

30. Ригведа. 1989: Мандали I-IV, - П.А. Гринцер (ред). Москва.

31. Чубинишвили Т., Небиеридзе Л., Пхакадзе Г., Григолиа Г., Орджоникидзе А., Эсакиа К., Гогелиа Д., Прищепенко Л. 1976: Итоги полевой экспедиции. ПАИ в 1974 году. ст. 14-20. Тбилиси.

32. Шаншашвили Н. 2003: Происхождение и функции очажных подставок Куро-Аракской культуры. Материалы международной конференции – Археологиа, Этнологиа и Фольклористика Кавказа, 58-60. Ереван.

33. Dumont P. 1927: Asvamedha, Description du sacrifice solennel du cheval dans le culte vedique, Paris.

34. Eliade M. 1965: Le Sacre` et le profane. Gallimard.

35. Fustel de Coulange N. D. 1988: Der antike Staat. Kult, Recht und Institutionen Grichenlands und Roms. Munchen.

36. Golowin S., Eliade M., Campbell J. 2002: Der Grossen Mythen der Menschheit. Mythen und Mythologien, 10 -38. Munchen.

37. Jakob-Rost L. 1961: Zu den hethitischen Bildbeschreibungen (I Teil), MIO, Band VIII, Heft, 2.

38. Sappa F., Roussel B. 2008: Le feu et l` homme - 400 000 ans d histoire. Archeologia, 454, p. 24-33. Dijon.

ილუსტრაციების აღწერილობა

სურ. 1. ოთხშვერილიანი კერა. გუდაბერტყას ნამოსახლარი, ნაგებობა №2. ძვ. წ. 2800 – 2900 წწ. (2005 წლის გათხრები).

სურ. 2. სამშვერილიანი კერა. დუშეთი. საინ. №09–XIX-75-118.

სურ. 3. გადასატანი კერა. ქვაცხელას ნამოსახლარი. საინ. №15-55: 379.

სურ. 4. გადასატანი კერა. ქვაცხელას ნამოსახლარი. საინ. №15-55: 962.

სურ. 5. გადასატანი კერა. ქვაცხელას ნამოსახლარი. საინ. №15-55: 907.

სურ. 6. მინიატურული გადასატანი კერა. დიდუბე, თბილისი. საინ. №2-52: 58.

სურ. 7. მინიატურული სადგარი. ქვაცხელას ნამოსახლარი. საინ. №15-55: 404.

სურ. 8. ანთროპომორფული სადგარი. ამირანის გორა. ახალციხე.

ტაბ. I

სურ. 1. კერა ბორდიურით, თეთრი წყაროს ნამოსახლარი.

სურ. 2. კერა ნახვრეტით, თეთრი წყაროს ნამოსახლარი.

სურ. 3. კერა ქორდიანი, თეთრი წყაროს ნამოსახლარი.

ტაბ. II

სურ. 4. კერა შვერილებიანი, ციხიაგორის მტკვარ-არაქსული ნამოსახლარი.

სურ. 5. კერა შვერილებიანი, ციხიაგორის მტკვარ-არაქსული ნამოსახლარი.

ტაბ. III

სურ. 6. "რქებიანი" საკურთხევლის დეტალი, ცხინვალის ნაცარგორის ნამოსახლარის მეხუთე სამლოცველო.

სურ. 7. სარიტუალო ჭურჭელი, სამადლო.

LIST OF ILLUSTRATIONS

Fig. 1. Fourfold protruding hearth. Gudapertka Settlement , construction N 2.B.C. 2800 – 2900 yy (2005 excavations).

Fig. 2. Threefold protruding hearth. Dusheti. Inv. №09–XIX-75-118.

Fig. 3. Portable hearth. Kvatschela Settlement. Inv. №15-55: 379.

Fig. 4. Portable hearth. Kvatschela Settlement. Inv. №15-55: 962.

Fig. 5. Portable hearth. Kvatschela Settlement. Inv. №15-55: 907.

Fig. 6. Tiny portable hearth. Didube, Tbilisi. Inv. №2-52: 58.

Fig. 7. Tiny prop. Kvatschela Settlement. Inv. №15-55: 404 .

Fig. 8. Anthropomorphic support. Amirani Hill, Achkaltsichke.

PL. I

Fig. 1. Round hearth with bordure from Tetritskaro settlement.

Fig. 2. Round hearth with a hole in the bottom from Tetritskaro settlement.

Fig. 3. Round hearth with chord from Tetritskaro settlement.

PL. II

Fig. 4. Round hearth with projections from Tsikhiagora Kura-Araks Settlement.

Fig. 5. Round hearth with projections from Tsikhiagora Kura-Araks Settlement.

PL. III

Fig. 6. Detail of a "horned" altar from the fifth temple of Tskhinvali Natsargora settlement.

Fig. 7. Ritual pottery, Samadlo.

სურ. 1 Fig.



სურ. 2 Fig.

სურ. 3 Fig.

სურ. 4 Fig.

სურ. 5 Fig.

სურ. 6 Fig.

სურ. 7 Fig.

სურ. 8 Fig.

ტაბ. I PL.

სურ. 1 Fig.



სურ. 2 Fig.



სურ. 3 Fig.

ტაბ. II PL.





სურ. 4 Fig.

სურ. 5 Fig.

ტაბ III PL.



სურ. 6 Fig.

სურ. 7 Fig.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია №1 (46-B), 2010, 70-81
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences №1 (46-B), 2010, 70-81

მანანა წერეთელი

საქართველოს ეროვნული მუზეუმი, რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო, ელ.ფოსტა: mtsereteli1@ yahoo. com

მეტალურგიული წარმოების ზოგიერთი საკითხი /საირხის მასალების მიხედვით/

საირხის ნამოსახლარის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ფერადი და შავი ლითონების ცალკეული საწარმოო უბნები და სახელოსნოს ნაშთები მეტყველებს იმაზე, რომ საირხის მოსახლეობის ერთ-ერთი ძირითადი საქმიანობა მელითონეობა იყო. არქეოლოგიური მასალები მიუთითებს, რომ აქ არსებულ საწარმოებში მეტალურგიული პროცესის მთლიანი ციკლი ხორციელდებოდა [ნადირაძე 1990: 20, 139]. ფერადი მეტალურგიისთვის საჭირო მადნები, რომელთა რესურსებზეც უნდა ყოფილიყო დაფუძნებული ამ კუთხის უძველესი მეტალურგია ცნობილი არ არის. ზემო იმერეთის ტერიტორიაზე სპილენძის გამონამუშევრები ჯერ კიდევ მიუკვლეველია. საბადოები, საიდანაც შეიძლება ესარგებლათ ადგილობრივ მელითონეებს აღმოჩენილია რაჭაში. ჯ. ნადირაძე ასეთი დაშორებული პუნქტიდან მადნის გადმოტანას საეჭვოდ მიიჩნევდა და ვარაუდობდა, რომ სპილენძის გამოსავლები უნდა მოიძებნოს რაჭის ქედის სამხრეთ ფერდობზე, მდ. ჩიხურის, ღებერისა და ყვირილას სათავეებში, სადაც, ზოდების სახით, წინარეანტიკური ხანის მძიმე წონის განძებია აღმოჩენილი. ნიშანდობლივია, რომ უკანასკნელი ხანის აღმოჩენებმა ძირულას მასივებში კალის საბადოების არსებობა დაადასტურა [Хорашвили 1958: 165-167].

გვაქვს გარკვეული ცნობები ამ რეგიონში ოქროს მოპოვების შესახებაც. ადგილობრივ მცხოვრებთა ზეპირი გადმოცემით, გასული საუკუნის ოციან წლებში, სოფ. კორბოულთან ბელგიური კონცესია მუშაობდა, რომელიც ოქროს რეწვას აწარმოებდა. უფრო მეტიც, მდ. ძირულასა და ყვირილას ხეობებში (დარყულას ღელე, სოფ. ჭალოვანი) მცირე რაოდენობით ოქროს მადნის შემცველი ქვიშის მოპოვება დღესაც მიმდინარეობს.

საირხის ნამოსახლარის ტერიტორიის თითქმის ყველა უბანზე, სადაზვერვო თხრილებშიც კი, ლითონის წარმოებასთან დაკავშირებული ნივთებია დამოწმებული. 60-იან წლებში ადგილ "სახოველში" ბრინჯაოს სადნობი სახელოსნო გაითხარა. ქვის საძირკველზე, რომლის სიგანე 30-40 სმ ფარგლებში მერყეობს, დაფუძნებული იყო საწარმო-

სათვის განკუთვნილი ხის ნაგებობათა კომპლექსი. ნაგებობის შიგნით და გარეთ დაახლოებით 150 კვ. მ ფართობზე ორი სხვადასხვა ხანის ფენა დასტურდება, რომელიც ჭრილში ორ სამშენებლო დონეს იძლევა. სტერილური შრე არ შეინიშნება. ორივე კულტურული ფენა ბრინჯაოს წიდებსა და ბრინჯაოს ზოდის რამდენიმე ფრაგმენტს შეიცავს. განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს მეორე სათავსოს ცენტრში დაფიქსირებული ტიგელების გროვა, რომელიც მთლიანად პირველ ფენას მიეკუთვნება და ათეულობით ტიგელის ფრაგმენტს შეიცავს. პირველი ფენის კერამიკულ მასალასთან ერთად ბრინჯაოს ანკესი, სამაჯურები, სატეხი, სადგისი და ბრინჯაოსგან ჩამოსხმული ქალის მცირე ქანდაკება აღმოჩნდა. ეს უკანასკნელი, ავტორის აზრით, საწარმოო წუნი უნდა იყოს [ნადირაძე 1975; 118].

1986 წელს ჩატარებული სამუშაოების შედეგად ანალოგიური სიტუაცია ადგილ "კარახტინში" დაფიქსირდა. კარახტინი სახოველს ებმის. ეჭვს გარეშეა, რომ სახოველი და კარახტინი საირხის ქალაქობის წინა პერიოდიდან ბრინჯაოს მეტალურგიის წარმოების ერთი კომპლექსი იყო. თავად კომპლექსი ძლიერ დაზიანებულია, აქ მხოლოდ საქშენი მილი, ტიგელის ნატეხები და ბრინჯაოს წიდები აღმოჩნდა [მახარაძე, ბრაგვაძე 1990: 32-33].

მოგვიანებით, 2006 წელს ჩატარებული სამუშაოების პროცესში, ამავე ადგილზე მცირე ზომის კოლხური ცულის ჩამოსასხმელი ყალიბი /ნაკლული/, ბრინჯაოს ნივთისა და ტიგელის ფრაგმენტები აღმოჩნდა. ნიშანდობლივია, რომ დასახელებულ არტეფაქტებთან ერთად წინარე და ადრეანტიკური ხანის არქეოლოგიური მასალაა მოძიებული [მახარაძე და სხვები 2006: 8].

ჭურჭლის ძირზე შემორჩენილი ლითონის ფენის სპექტრულმა და ქიმიურმა ანალიზმა დაადასტურა – ტიგელები კალიანი ბრინჯაოს ზოდების დასაყალიბებლად გამოიყენებოდა. გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ ადგილ სახოველში გათხრილ სახელოსნოში დამოწმებულია, როგორც წინარე ანტიკური, ისე ადრეანტიკური ფენის მასალა, სავარაუდოა მისი მოქმედება ძვ.წ. VIII-IV საუკუნეებში გრძელდებოდა.

საბადურის გორის თხემზე მდებარე წინარეანტიკური ხანის დასახლება გადამწვარია. ეს მოვლენა ლოკალური უნდა ყოფილიყო. ხანძრის კვალი არ დასტურდება, არც საირხის სხვა უბნებზე და არც ყვირილის ხეობის სინქრონულ ნამოსახლარებზე. ამგვარად, წინარე და ადრეანტიკური ხანის კულტურული ფენები, პრაქტიკულად უწყვეტად არის გადაჭიმული კოდისწყლიდან სკომიეთის გორამდე [მახარაძე 1991: 1-24].

საბადურის გორის II კულტურულ ფენაში, რიგითი მოსახლეობის საცხოვრებელ ტერიტორიაზე გამოვლენილია მხოლოდ რკინის ცულები, თოხები, დანები, ჩამჩა და სხვ. [მახარაძე 2000: 54]. რკინა გაბატონებული ჩანს ყვირილის ხეობის წინაანტიკური ხანის სამაროვნებზეც (საირხე, მოდინახე).

მიუხედავად იმისა, რომ ნამოსახლარის მეორე კულტურული ფენა (ძვ.წ. VI ს.) ბრინჯაოს საბრძოლო და სამეურნეო იარაღებს არ შეიცავს, სახელოსნო ინტენსიურ ფუნქციონირებას აგრძელებს. რასაც

ადასტურებს, როგორც ძეგლის სტრატიგრაფიული მონაცემები, ისე გათხრის პროცესში მოპოვებული სამეთუნეო ნაწარმი და ძვ. წ. VI-IV სს-ით დათარიღებული სამარხების ინვენტარი. საირხეში ძვ.წ. VI ს-ით დათარიღებული სამაროვანი გათხრილი არ არის. შემორჩენილია მხოლოდ სახოველის მიმდებარე ტერიტორიაზე გამოვლენილი დანგრეული კოლექტიური სამარხის ნაშთები (“ღელისპირი”) – ბრინჯაოს სამაჯურები, გვერგვი (გრავირებული გეომეტრიული ორნამენტით შემკული) და რკინის ცული. შედარებით სრულად არის წარმოდგენილი საბადურის ბორცვზე გათხრილი ძვ.წ. V-IV სს-ით დათარიღებული მდიდრული სამაროვნის არქეოლოგიური მასალა /რიტუალური და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთები, ცხენის მოსართავის ნაწილები და ჭურჭელი, მათ შორის გრავირებული ნახატით შემკული ყურმილიანი დოქები, ასევე დიდი ზომის ორყურა სიტულები/.

სამაროვანზე გათხრილ ცხრა სამარხში /№1,4,5,6,8,9,13,14/ დამოწმებულია ადგილობრივი წარმოების ბრინჯაოს თერთმეტი ჭურჭელი [ნადირაძე 1990: 22-97]. თუ გავითვალისწინებთ იმასაც,რომ ორი სამარხი ბავშვისაა, სადაც ბრინჯაოს ჭურჭლის არსებობა ნაკლებ სავარაუდოა, ხოლო სამარხების ნაწილი ნაწილობრივ გაძარცულია, დასახელებული ექსპონატების რაოდენობა მიუთითებს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ადრეანტიკური ხანის სიტულების მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ საირხეშია აღმოჩენილი.

ამ ერთობლიობაში ცალკე გამოიყოფა ერთნაირი ტექნიკით დამზადებული ბრინჯაოს სიტულები. აღნიშნულ ფორმათა ზოგადი ხასიათი შემდეგნაირია: განიერი პირი, დაბალი ყელი, მხრებაზიდული გამობერილი სხეული, რომლის ბოლო სადგარივითაა გამოყვანილი და ოდნავ პირგადაშლილი, დაპირქვავებული ჯამის მოყვანილობის ფსკერზეა შემოჭედილი. ნიშანდობლივია, რომ ამ ტიპის სიტულებთან ერთად აღმოჩენილ შედარებით დიდი ზომის ორ ჭურჭელს განსხვავებული ფორმის ძირი აქვს. სადგარისებური ფორმა კი შეცვლილია ბრტყელი, წრიული ფირფიტით, რომელიც მანჭვლებით უშუალოდ კორპუსს უკავშირდება. განსხვავებულია თავად კორპუსის პროფილიც.

ცალკე უნდა განვიხილოთ №№13,14 სამარხებში აღმოჩენილი ამავე ტექნიკით დამზადებული მცირე ზომის ოთხი ჭურჭელი. ორი ძლიერ ფრაგმენტულია, ფორმის აღდგენა ვერ ხერხდება, შედარებით კარგად დაცული ქუსლისა და მრგვალგანივკვეთიანი, ბოლოგადეკეცილი ღეროს არსებობის გამო შეიძლება ვივარაუდოთ ვანის №11 სამარხის მინიატურული სიტულის ანალოგიური ფორმა [ლორთქიფანიძე ოთ., თოლორდავა ვ., ჭყონია ა. 1972: 238]. დანარჩენი ორი ჭურჭლისგან კი ყურმილიანი დოქის ყური და გრავირებული ნახატით შემკული რამდენიმე ფრაგმენტია დარჩენილი. ყური წნული ორნამენტით გაფორმებული ღეროს საშუალებით უკავშირდებოდა ყელს. ყურმილისა და ღეროს შეერთების ადგილზე მირჩილულია ყუნწი, რომელზეც ძეწკვია დამაგრებული [წერეთელი 2000: 67-72].

დეკორაციული შემკულობით საირხულ ყურმილიან დოქებს ყაზბეგის განძის სპილენძის ფირფიტებისაგან დამზადებული მათარები უახლოვდება [წითლანაძე 1976: 23], ასევე, ვანის ძვ. წ. V ს-ის შუა წლებით

დათარიღებული №11 სამარხის მცირე ზომის სიტულა [Лордкипанидзе 1979: 83], ზოომორფული მოტივების შემცველი კომპოზიციებით.

კომპოზიციური გადაწყვეტისა და გრავირების ტექნიკური შესრულების თვალსაზრისით საირხულ ჭურჭელთან განსაკუთრებულად ახლოა ვანის სიტულა, რომლის სახურავზეც გრავირებულია ტახის, ჯიხვის, ლომისა და მამლის ფიგურები.

გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ საირხესა და ვანში აღმოჩენილ ჭურჭელზე ასახული გამოსახულებები ადგილობრივია, რაზეც მიუთითებს როგორც მათი ფორმა, ისე დამზადების ტექნიკა, სავარაუდოა, რომ ისინი შინაარსობრივად და სტილურად ე.წ. კავკასიურ გრაფიკულ სტილს უკავშირდება. მიუხედავად მსგავსი წინაპირობებისა /ქრონოლოგიური სიახლოვე – ძვ. წ. VIს.; ტრადიცია; გრავირება/, ვანიდან და საირხიდან მომდინარე ეგზემპლარები ვიზუალური შედარებისას ნახატის შესრულების მხატვრული სტილით ერთმანეთისგან განსხვავდება. თუ გამოთქმული მოსაზრება მართებულია, უნდა ვივარაუდოთ, რომ დასახელებული ეგზემპლარები ერთი მოვლენის ილუსტრაციაა, მაგრამ სხვადასხვა ცენტრშია დამზადებული, რამაც განაპირობა შესრულების განსხვავებული მანერა.

ასევე გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება №8 სამარხის სიტულა. ამ შემთხვევაში ტრადიციული ფორმა გართულებულია შემდეგი დეტალებით – რკინის სადგრითა და რკინის ჯაჭვით დამაგრებული ბრინჯაოს ხუფით. დეკორაციული შემკულობის თვალსაზრისით გამოირჩევა ჯამისებრი ფორმის ჭურჭელიც №14 სამარხიდან. თავად შემკულობის მოტივი – რომბებისგან შედგენილი სარტყელი და ვერტიკალური კანელურები ძველი კოლხური ნაწარმისათვის ტრადიციულია (მაგ. ლეჩხუმის განძის შემადგენელი ერთ-ერთი ჭურჭელი) [სახაროვა 1965: 46], თლიას სამაროვანი [Техов 1981: 30], მაგრამ ფორმა და დეკორაციული მოტივის შემკულობის მხატვრული დონე სრულიად განსხვავებულია.

პარალელურად, ბრინჯაოს ფრაგმენტები დიდი რაოდენობითაა დამოწმებული ადრეანტიკური ხანის კულტურულ ფენაში. ვინაიდან, ნამოსახლარი გადამწვარია, შემორჩენილი ნაწილები იმდენად დაქუცმაცებული და დეფორმირებულია, რომ პირვანდელი ფორმის აღდგენა შეუძლებელია. გამონაკლისია შემორჩენილი ყურის ნაწილები – ერთ შემთხვევაში ეს არის მრგვალგანივკვეთიანი, გრეხილი ღეროსგან დამზადებული, მცირედ მორკალული ყურის ნაწილები /20-84-954/, მასიური, მრგვლგანივკვეთიანი ყურის მორკალული ნაწილი /20-83-434/, მარყუჟისებრი ფორმის, ასევე მრგვალგანივკვეთიანი ღეროსგან დამზადებული მცირე ზომის ეგზემპლარი /20-84-967/, რაც საფუძველს იძლევა ვარაუდისა, რომ ნამოსახლარზე თიხის ჭურჭლის პარალელურად ფართოდ გამოიყენებოდა ბრინჯაოს ნაწარმი.

ჩამოთვლილი ნიშნების ერთობლიობა შესაძლებელს ხდის ეჭვი შევიტანოთ საქართველოს ტერიტორიაზე ბრინჯაოს ჭურჭლის დამზადების ერთი ცენტრის არსებობაში და ვივარაუდოთ, რომ გარკვეულ ეტაპზე მისი დუბლირება მოხდა.

თუ გავითვალისწინებთ ერთი მხრივ, შავი და ფერადი ლითონების

წარმოების ასეთ კონცენტრაციას, ხოლო მეორე მხრივ, საირხის სამაროვანზე დაფიქსირებულ საიუველირო ნაწარმის მრავალფეროვნებას, მათთვის დამახასიათებელი ფორმების არქაულ ხასიათს, შესაძლებელია კომპლექსში საოქრომჭედლო სახელოსნოს არსებობაც ვივარაუდოთ. მსგავსი მაგალითი დამოწმებულია აღმოსავლეთ საქართველოში /გვიანანტიკური ხანა [აფაქიძე 1963: 206-214,228-231]. ამ რეგიონში მეტალურგიის ძველი და მყარი ტრადიციის არსებობის პირობებში, ოქრომჭედლობის, (რაც მისი ორგანული ნაწილია), როგორც სრულიად დამოუკიდებელი მოვლენის განხილვა მართებულად არ გვეჩვენება. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ადრეულ ეტაპზე ოქროს ნივთებიც სწორედ ამ რეგიონშია დაფიქსირებული. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამუშაო და საბრძოლო იარაღთან ერთად დამოწმებული განსხვავებული ლითონის მხატვრულად დამუშავებული არტეფაქტების დიდი რაოდენობა. ამჟამად, ანტიკური ხანის საქართველოში ოქრომჭედლობის რამდენიმე ცენტრია /მცხეთა, სარკინე, ბიჭვინთა, ვანი/ [აფაქიძე 1963: 209-212, 229-232; მისივე 1970: 751; ჩიტაია 1956: 17-18; ხახუტაიშვილი; ჭყონია 1976: 205-214]. არსებული მასალა გვიჩვენებს, რომ ხშირ შემთხვევაში განსხვავებული მასალის მხატვრული დამუშავება ერთ სახელოსნოში ხდებოდა. ამის თვალსაჩინო მაგალითია სარკინე.

მანამ, სანამ კონკრეტულ საკვლევ საკითხს შევეხებით, შევნიშნავთ, რომ სახელოსნო ცენტრი საირხის ნაქალაქარის ტერიტორიაზე, დღეისთვის გათხრილი არ არის. მისი არსებობის დამადასტურებელი აუცილებელი ნიშნების, როგორიცაა ლითონის მხატვრული დამუშავების ნაშთებისა და სამუშაო იარაღების ერთმნიშვნელოვანი ატრიბუცია ხშირ შემთხვევაში ძნელდება. მაგ.: სამარხებში აღმოჩენილი ზოდი, სწორკუთხაგანივკვეთიანი ოქროს ღერო, გადაჭრილი თხელი ოქროს ფირფიტები, ლითონის ნაღვენთების დიდი რაოდენობა, შესაძლებელია გარკვეული ხასიათის რიტუალის ჩატარების შედეგად მიღებულ ნაშთს წარმოადგენდეს.

კონკრეტულ რეგიონში შექმნილი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა გარკვეული სახის პროდუქციაზე მოთხოვნილებას განაპირობებს.

ამგვარად, ერთი მხრივ, ლითონმქანდაკებლობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია და მეორე მხრივ, ახლად შექმნილი მმართველი ფენის არსებობა, საიუველირო ნაწარმზე მზარდ მოთხოვნილებას იწვევს.

მოპოვებული არქეოლოგიური მასალა ადრეანტიკური ხანის კოლხეთის მხატვრული ხელოსნობის დარგების განვითარების მაღალი დონისა და თავისებურებათა შესახებ საკმაოდ ნათელ სურათს გვიქმნის. სპეციფიკური ნიშნები განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება ოქრომჭედლობაში. სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილია ადრეანტიკური ხანის კოლხეთის საზოგადოების მატერიალური კულტურის სრული ერთიანობა /როგორც მთიან, ისე დაბლობ რეგიონებში/. ამასთან აღნიშნულია ისიც, რომ კერამიკა, ბრინჯაოს ნაწარმი, სამეურნეო და საომარი იარაღი, ოქროსა და ვერცხლის სამკაული კოლხეთის მატერიალური კულტურის ეროგვაროვნებას, საერთო კოლხურ ტიპს ქმნის.

კოლხეთის ტერიტორიაზე, განსაკუთრებით ვანსა და საირხეში მოპოვებული ლითონის ნაწარმი და მხატვრული ნაკეთობანი, იმასაც ნათელყოფს, რომ ქვეყანაში არსებობდა ერთიანი იდეოლოგია, რაც გარკვეულწილად განპირობებული იყო ქვეყნის პოლიტიკური და რელიგიური ერთიანობით, კოლხეთის საზოგადოების გაერთიანებით ერთ სახელმწიფოებრივ სისტემაში. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით თვალსაჩინოა საირხე-ვანის მასალების შედარება. სრული ტიპოლოგიური ერთიანობის ფარგლებში მნიშვნელოვანი მხატვრულ-სტილური განსხვავება წარმოჩნდა. ეს მომენტი ქ-ნ ან. ჭყონიამ, ჯერ კიდევ საირხის სამაროვნის აღმოჩენამდე აღნიშნა. ვერძის თავის გამოსახულებიანი საკიდებით შედგენილი ყელსაბამის განხილვისას, ავტორი მიუთითებს შესრულების განსხვავებულ მანერაზე და გამოთქვამს ვარაუდს მისი კოლხეთის სხვა ცენტრიდან წარმომავლობის შესახებ [ჭყონია 1981: 37].

მოგვიანებით საირხეში ორი განსხვავებული ზომის, ანალოგიური საკიდებისგან შედგენილი ყელსაბამი აღმოჩნდა /სამარხი №5, 13/. ამავე დროს ყელსაბამებთან ერთად დაფიქსირებული საკიდები შესრულებულია იმავე სტილით. მაგ. საკიდები ფრინველის თავის გამოსახულებით /სამარხი №5/ [წერეთელი 1991: 143-144].

ამგვარად, ვანსა და საირხეში დამოწმებული მსგავსი დაკრძალვის წესი, სამარხების ერთნაირი მოწყობა, სამარხეული ინვენტარის თანხვედრა და მისი ტიპოლოგიური ერთიანობა, ქვეყნის ერთიან იდეოლოგიაზე მიუთითებს. სავარაუდოა, რომ შესრულების განსხვავებულ სტილურ მანერას განსხვავებული სახელოსნო ცენტრების არსებობა განაპირობებს. ამ შემთხვევაში ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტილური განსხვავების დამახასიათებელი ნიშნები. საირხეში მოპოვებული ოქროს ნივთების დიდი უმრავლესობისთვის დამახასიათებელია დამატებითი დეტალების შეზღუდულად გამოყენება, გამოსახულების ყველა დეტალი გამოტვიფრულია. იგრძნობა სწრაფვა ფორმის გამთლიანებისკენ, მეტი განზოგადოებისკენ, შედარებით შეზღუდულია ცვარას გამოყენება. ეს განსხვავება განსაკუთრებით შესამჩნევია ძვ. წ. V საუკუნის მასალასთან მიმართებაში. ნიშანდობლივია, რომ სწორედ ამ ეტაპზე გვხვდება მოძრაველემენტებიანი საკიდები, რომლებიც არატიპურია დროის ამ მონაკვეთისთვის. ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით ჩვენ მიერ გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ დასახელებული სტილური ნიშნები განპირობებულია ბრინჯაოს მხატვრული დამუშავების ძირძველი ტრადიციით [წერეთელი 1991: 143]. ამ თვალსაზრისით უფრო დამაჯერებლად გვეჩვენება ბრინჯაოს სახელოსნოს საფუძველზე საოქრომჭედლო სახელოსნოს არსებობაც. საირხის სამაროვანზე აღმოჩენილი სამკაულებისთვის დამახასიათებელი სტილის თავისებურებებზე აქ წარმოდგენილი ვერცხლის სამკაულიც მიუთითებს. ა. ჯავახიშვილი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში აღნიშნავდა: "ვერცხლის ნივთებზე – დიადემებზე, სამაჯურებზე და სხვა სამკაულზე ზერელე დაკვირვებიდან ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ვერცხლის სამკაულის ორნამენტაცია უფრო თვითმყოფადია, ნაკლებადაა აღბეჭდილი უცხო გავლენებით, ვიდრე ოქროსი, რომელიც საერთაშორისო მოდას კარგად გაცნობილი არის-

ტოკრატიისთვის იყო ხელმისაწვდომი; ვერცხლი უფრო ახლოა მოხმარების ბრინჯაოს ნაწარმთან, რამაც შეიძლება მეტი შუქი მოფინოს ზოგიერთი დეკორატიული მოტივის შინაარსს" [ჯავახიშვილი 1987: 106]. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვნად გვეჩვენება აქ დამოწმებული დიადემები, რომლებიც როგორც ფორმით, ისე დეკორით კირკალებს უკავშირდება [წერეთელი 2006: 68]. ზოგადად, ძვ.წ. V-IV სს-ით დათარიღებულ სამარხებში დაფიქსირებული ვერცხლის ნივთები, შესაძლებელია პირობითად ორ ჯგუფად გავყოთ – პირველი, რომლის შესახებაც უკვე ვისაუბრეთ, ანუ რომელიც გვეხმარება მთლიანობაში გავიაზროთ ბრინჯაოსა და ოქროს ნაკეთობანი, მათ შორის არსებული შესაძლო კავშირები და მეორე – ვერცხლისა და ბრინჯაოს ის ნივთები, რომლებიც ოქროს ნიმუშებს იმეორებს. ხშირ შემთხვევაში მათ დასამზადებლად გამოყენებულია ის ელემენტები, რომლებიც დამახასიათებელია ოქროსგან დამზადებული სამკაულებისთვის (ცვარა).

აღნიშნული ცენტრის, კონკრეტულად ამ რეგიონში არსებობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამადასტურებელი არგუმენტია თვით სამარხეული ინვენტარის შემადგენლობა. სამაროვნის ხანგრძლივი და უწყვეტი ფუნქციონირება საშუალებას იძლევა დროის მოცემულ მონაკვეთში, ცალკეული ფორმის ან მოტივის ევოლუცია დავაფიქსიროთ.

ძვ.წ. V-IV სს სამარხებში, ჩვენ უკვე სრულიად ჩამოყალიბებული სტრუქტურის არტეფაქტები გვაქვს, ფუნქციიდან და შესაბამისი შინაარსიდან გამომდინარე, მკაფიო იკონოგრაფიული სქემებით, რომელთა ფარგლებში შენარჩუნებულია შემოქმედებითი ვარირების საშუალება. კონკრეტული სიახლე, რაც დამახასიათებელია დროის ამ მონაკვეთისთვის ვარდული და დეკორატიული სარტყელია. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ადრეანტიკური ხანის საქართველოს ტერიტორიაზე დამოწმებული საკიდების დიდი ნაწილი ადგილობრივი /ბურთულიანი, სხივანა/ თუ შემოტანილი ფორმისა /მთვარისებური/ შემკულია დეკორატიული სარტყლით და ვარდულით. თავსამკაულის შემადგენელი ეს ელემენტი, ამჟამად არსებულ არქეოლოგიურ მასალაში პირველად გვხვდება ძვ.წ. V ს-ის შუა წლებში, თითქმის პარალელურად ვანსა და საირხეში. ნიშანდობლივია ისიც, რომ საყურე-სასაფეთქლეების ამგვარი შემკულობა, განსაკუთრებით საწყის ეტაპზე, მდიდრულად დაკრძალულ პირთა სამარხებში ჩანს. უფრო მეტიც, ვანში დამოწმებულ ორივე ოქროს დიადემასთან ერთად დაფიქსირებული სასაფეთქლეების ყურსაკიდი რგოლი შემკულია "მარყუჟების" ორი რიგით გაფორმებული სარტყლით. დასახელებული მოტივი შენარჩუნებულია ადრეანტიკურ ხანაში /ევოლუციის პროცესში მნიშვნელოვნად იცვლება მისი სახე – ახალგორის განძი/. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ყურსაკიდის ამგვარი შემკულობა დეკორის ერთ-ერთ ვარიანტი კი არ არის, არამედ მასში კოდირებულია გარკვეული იდეა და იმ პირების თავსამკაულში, რომელთაც ოქროს დიადემები აქვთ, მათი არსებობა აუცილებელია. აქვე უნდა დავაზუსტოთ, რომ ოქროს დიადემებთან ერთად დამოწმებულია ამ მოტივის კონკრეტული გამოვლენა, მარყუჟების ორი რიგით შემკული სარტყელი [წერეთელი 1991: 146-147] რომელიც, ჩვენი აზრით, შედარებით ადრეულ ეტაპზე ჩნდება.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ მხატვრული გადაწყვეტის მსგავსი პრინციპი შემოტანილია გარედან მზა სახით ან ადგილობრივი, ორიგინალური მოვლენაა, რომლის განვითარებისა და დასრულებული სახით ჩამოყალიბების ამსახველი ნიმუშები უკანასკნელ დრომდე მიკვლეული არ იყო. კოლხური ოქრომჭედლობის ქრონოლოგიური და ტიპოლოგიური კლასიფიკაციის, ტექნიკის, სტილის ანალიზის საფუძველზე დასახელებული მოტივის ადგილობრივი წარმომავლობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს. ამ შემთხვევაში ეს მოტივი ძვ.წ. VI-V სს–ს მიჯნაზე უნდა ჩამოყალიბებულიყო.

კოლხეთის მსხვილი ცენტრებისგან განსხვავებით, საირხეში სტრატიგრაფიულად გამოყოფილია ძვ.წ. VI ს კულტურული ფენა [მახარაძე 1990: 4-7]. იგი წინ უსწრებს სამაროვნის ფუნქციონირების პერიოდს, "დაცხრილულია" სამარხი ორმოებით, რომელთაგან უძველესი, №13 აკლდამა ძვ.წ. Vს-ის პირველი მეოთხედით თარიღდება [მახარაძე 2000: 43]. საამისოდ, რომ ოქრომჭედლობაში მიმდინარე პროცესების შინაარსი სრულად გავაცნობიეროთ, სასურველია ამ პერიოდის სამარხეულ ინვენტარს ვიცნობდეთ. სამწუხაროდ, საირხეში II კულტურული ფენის შესატყვისი სამაროვანი ამჟამად მიკვლეული არ არის. ამ ინფორმაციულ ვაკუუმს გარკვეულწილად სამარხი №13 ავსებს, იგი მნიშვნელოვანია სწორედ ამ თვალსაზრისით. ქრონოლოგიურად დროის ამ ორი მონაკვეთის მიჯნაზე თავსდება და მასში გაერთიანებულია ორივე ეტაპისთვის დამახასიათებელი ნიშნები. სამარხი №13, როგორც კულტურული მოვლენა, ძვ.წ. VI ს უკავშირდება და ამ დროის მიმდინარე პროცესების ბოლო დამაგვირგვინებელი სტადიაა, ამავე დროს, როგორც აგებულებით, ისე სამარხის მოწყობის წესითა და ინვენტარის შემადგენლობით იგი ძვ.წ. V ს სხვა მდიდრული სამარხებისგან არ განსხვავდება.

ჩვენ მიერ გამოთქმული იყო ვარაუდი, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში სხივანა საყურე, ზოგადად კი სადა ყურსაკიდი რგოლის შემცველი საკიდი, მცენარეული მოტივითა და სოლარული ნიშნებით გაფორმებული საკერებელი – ეს ორი დამოუკიდებელი ელემენტი შემდგომი დახვწისა და გამარტივების შედეგად ერთმანეთს ერწყმის, რის საფუძველზეც ჩამოყალიბდა ადრეანტიკური ხანის საყურეების შემკობის ზოგადი პრინციპი [წერეთელი 2006: 66]. თუ ჩვენი ვარაუდი მართებულია, მაშინ საკერებელზე მოცემული ასტრალური ნიშნები და ყურსაკიდ რგოლზე მირჩილული ვარდული იდენტური შინაარსის გამოსახულებებია და ორივე შემთხვევაში ცარგვალის სიმბოლურ სახეს წარმოადგენს. გამოსახულების ვიზუალური მსგავსება მცენარეულ მოტივთან, რაც ჩვენი აზრით, მისი შექმნის საფუძველი გახდა, დამახასიათებელია მარყუჟების ორი რიგით შემკული სარტყლების შემცველი საკიდებისთვის. ასეთი ნიმუშები ვანის №11 და №6 სამარხებში გვხვდება [ჭყონია 1981: 17-20], მთისძირსა [გამყრელიძე: 59-60] და საირხეში. მიუხედავად იმ დიდი მსგავსებისა, რაც დამახასიათებელია ყველა აქ დასახელებული საკიდის ყურსაკიდის რგოლის შემკულობისთვის, შესამჩნევია მნიშვნელოვანი სხვაობა მათი ტექნიკური შესრულების თვალსაზრისით – თუ ვანის, მთისძირის ყველა ეგზემპლარზე მარყუ-

ჟები ქვემოთ არის მიმართული, საირხის სამკაულებზე მათი მიმართულება საწინააღმდეგოა. ეს დეტალი, რომელიც ამ ნივთების ესთეტიკური აღქმის თვალსაზრისით ნაკლებ მნიშვნელოვანია, შესამჩნევი ხდება მასალის პარალელური შესწავლისას. ნიშანდობლივია ისიც, რომ სწორედ ზეაღმართული მარყუჟები ამ გამოსახულების სიმბოლურ შინაარსს ვიზუალურად გადმოსცემს.

ადრეანტიკურ ხანაში საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ყველა ტიპისა და სახეობის სამკაული სამაროვანზე აღმოჩნდა. ესენია: სხივანა საყურეები /მათ შორის ცალსხივიანი ეგზემპლარი/; ბურთულიანი – განსხვავებული ფორმისა და დეკორის საკიდებით; ნახევარმთვარისებური ფორმის საყურეები, რომლებიც განსაკუთრებული მრავალფეროვნებით ხასიათდება. ამავე ჯგუფში განვიხილავთ იგივე ფორმის ფირფიტოვან საყურეებს. საირხეში ამ სახის რვა ეგზემპლარია. ხოლო ერთადერთი ვერცხლის ანალოგი დამოწმებულია ამავე რეგიონში, ითხვისის სამაროვანზე /ძვ. წ. IV ს./. ანუ, შესაძლებელია ვივარაუდოთ, კონკრეტული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად მათი ადგილობრივ სახელოსნოში დამზადება. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ საირხის სამაროვანზე დასახელებული საყურეების გარდა მნიშვნელოვანი რაოდენობითაა ყელსაბამები, ამავე ფორმის საკიდებით, შესაძლებელია დავუშვათ მთვარის ასტრალური კულტის განსაკუთრებული მნიშვნელობა იქ მიმდინარე საკულტო რიტუალში, რაც თავისთავად არ ეწინააღმდეგება არსებულ რწმენა-წარმოდგენებს.

ასევე, მხოლოდ ამ რეგიონისთვის დამახასიათებელ სამკაულად შეიძლება განვიხილოთ მოდინახეზე შემთხვევით ნაპოვნი ოქროს საყურე. იგი სადა, მრგვალგანივკვეთიანი ღეროსგან დამზადებული ყურსაკიდია, რომელზეც მირჩილულია ბიკონუსური ფორმის საკიდი. საკიდის ზედაპირი დაფარულია ჰორიზონტალური, რელიეფური ზოლებით, ხოლო უდიდესი დიამეტრის გაყოლებაზე გარს შემოყვება ცვარას ბურთულები. ასეთივე ოღონდ დიდი ზომის ბურთულებით არის შემკული საყურის ბოლო ნაწილი. [ნადირაძე 1975: 27] ანალოგიური სამკაული აღმოჩენილია ითხვისის №2 და №4 სამარხში [გაგოშიძე 2006: 49,53]. უფრო შორეული პარალელი მოდინახესა და ითხვისის ეგზემპლარებისა ჩრდილოეთ კავკასიის ადრეანტიკური ხანის სამარხეულ კომპლექსებშია [Крупнов 1960: 297.]. ნიშანდობლივია, რომ მსგავსი ფორმის საყურე აღმოჩნდა ასევე მოდინახეზე, გვიანანტიკური ხანის სამარხში [ნადირაძე 1975: 63]. აქ მიკვლეული სხვა სამკაულებისგან იგი განსხვავდება, როგორც ფორმით, ისე დამზადების ტექნიკით. ავტორის აზრით, თუ ეს ნივთი შემთხვევით არ არის სამარხში მოხვედრილი, მაშინ იგი გვიანი და ადრეანტიკური ხანის ძეგლებს შორის დამაკავშირებელ რგოლად გვევლინება. ამდენად მის აღმოჩენას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ანტიკური ხანის ქართული საიუველირო ხელოვნების გენეზისის შესასწავლად.

ჩვენ შევეცადეთ საირხის სამაროვანზე მოკვლეული არტეფაქტების ანალიზის საფუძველზე გამოგვეყო მხატვრული სტილისა და ტექნიკური დამუშავების ის თავისებურებანი, რომლებიც განასხვავებს ამ ნაწარმს თანდროული არქეოლოგიური მასალისგან. ვფიქრობთ, რომ

როგორც ვერცხლის, ისე ოქროს ნივთების ესთეტიკა მნიშვნელოვან წილად განპირობებულია ბრინჯაოს ნაწარმისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნებით. ეს მომენტი განსაკუთრებით თვალსაჩინოა ძვ.წ. V ს არქ. მასალასთან მიმართებაში. ამის საფუძველზე შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ საოქრომჭედლო სახელოსნო მოვიაზროთ, როგორც მეტალურგიული წარმოების ერთი სეგმენტი, რომელსაც საფუძველი ეყრება ამ ტიპის ნაწარმზე გაჩენილი მოთხოვნილების შესაბამისად. მოცემული ვარაუდი უფრო დამაჯერებელი გახდება თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს რეგიონი არქეოლოგიური მონაპოვრების საფუძველზე მეტალურგიის მძლავრ და უძველეს კერადაა აღიარებული. ნიშანდობლივია ისიც. რომ ამავე ტერიტორიაზეა მიკვლეული ყველაზე ადრეული ოქროს ნივთი კავკასიაში [ლომთაძე 1997: 8].

შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტიც, რომ საირხეში, ითხვისსა და მოდინახეზე აღმოჩენილია ტიპური სამკაულის რამდენიმე ვარიანტი, რომლის ანალოგი კოლხეთის სხვა ძეგლებზე არ გვხვდება.

და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი №13 სამარხის თავსამკაულთან დაკავშირებით. ჩვენ შევეცადეთ თვალსაჩინოდ წარმოგვეჩინა, რომ იგი შექმნილია სამკაულის ევოლუციის იმ ეტაპზე, როდესაც ჯერ არ ჩამოყალიბებულა ადრეანტიკური ხანის საყურეების დეკორაციული შემკულობის ისეთი მნიშვნელოვანი ელემენტი, როგორიცაა სარტყელი და ვარდული. უფრო მეტიც, ჩვენი ვარაუდით ისინი სწორედ №13 სამარხის თავსამკაულის შემადგენელი დეტალების შემდგომი განვითარების შედეგი უნდა იყოს. ანუ, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ საირხის სამაროვანზე წარმოდგენილი საიუველირო ნაწარმი იმ სახელოსნოში შეიქმნა, რომელიც სამკაულის საერთო კოლხური ტიპის ჩამოყალიბების პროცესში მონაწილეობდა.

ძვ.წ. V-IV სს-ში საირხე, ისე როგორც ვანი, მმართველი ფენის რეზიდენციითა და მსხვილი სატაძრო ორგანიზაციით, კოლხეთის სამეფოს ადმინისტრაციული დანაყოფის ეკონომიკურ, რელიგიურ და პოლიტიკურ ცენტრს წარმოადგენდა. აქ კონცენტრირებული იყო ხელოსნობის ძირითადი დარგები, აქედანვე ხდებოდა ნაწარმის განაწილება მთელ კონტროლირებად ტერიტორიაზე. [ნადირაძე 1990: 138-153; მახარაძე 1991: 17; Лордкипанидзе 1989: 255; ინაძე 1994: 47].

ვფიქრობთ, რომ ამ რეგიონში კეთილშობილი ლითონის დამუშავების დამოუკიდებელი სახელოსნოს არსებობა, რომელიც დააკმაყოფილებდა ადგილობრივ მოთხოვნილებას, ეჭვს არ უნდა იწვევდეს. თუმცა, ასეთი კომპლექსური სახელოსნოს მიბმა სახოველსა და კარახტინში გათხრილ სახელოსნოსთან /ფუნქციონირებს ძვ.წ. VIII-IV სს-ში/, დღეს არსებული მონაცემების მიხედვით შეუძლებელია.

MANANA TSERETELI

Georgian National Museum, Rustaveli Avenue 3, 0105 Tbilisi, Georgia,
Email:mtsereteli1@ yahoo. com

SOME ASPECTS OF METALLURGICAL PRODUCTION (ACCORDING TO THE SAIRKHE ARCHAEOLOGICAL MATERIAL)

SUMMARY

Sairkhe represents an urban-type settlement. Some unearthed there local production spots of ferrous and non-ferrous metal workshops and other remains point to the metal production to be the main field of Sairkhe populations' activity. The archaeological remains show that the entire cycle of metal industry process took place in the various workshops of Sairkhe, in the site which functioned in the eighth-fourth centuries B.C.

If taking into consideration the concentration of ferrous and non-ferrous metal production on one hand and a great variety of jewellery items on the other-fixed in Sairkhe burrial mounds, peculiar to them forms of archaic character suggest us the existence of a goldsmith workshop on the territory of Sairkhe, more over the same patterns have been attested in eastern Georgia in the period of Late Antiquity. Our research is directed towards the lining out the peculiarities of the artistic style and process of technical treatment,that distinguishes it from the contemporary archaeological samples. Aethetic side of silver things as well as of gold ones, in our opinion, is greatly stipulated by the peculiarity that characterize bronze items. This moment is especially obvious in the context of archaeological material of the 5th century B.C. Proceeding from the above-mentioned data, we are inclined to suggest a goldsmith workshop to be a single segment of metal production, the foundation of which is connected with rising demand for such kind of production. This view is supported by the fact that thanks to the rich archeological findings this region is considered to be one of the most significant and ancient centers of metallurgy.

ბიბლიოგრაფია

1. **აფაქიძე ა. 1970:** ანტიკური ხანის საქართველოს კულტურა – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I. გვ. 661-783.
2. **აფაქიძე ა. 1963:** ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში. თბილისი.
3. **გაგოშიძე ი., გოგიბერიძე ნ., მახარაძე გ.** 2006; ითხვისის სამარხი

– არქეოლოგიური ჟურნალი IV. გვ. 36-59.

4. გამყრელიძე გ. 1977: მთისძირის არქეოლოგიური ძეგლები – ვანი III. რედ. ოთ. ლორთქიფანიძე/გვ. 58-70.

5. ინაძე მ. 1994: ძველი კოლხეთის საზოგადოება, თბილისი.

6. ლომთაძე გ. 1995: ახლად აღმოჩენილი სამარხი მოდინახედან – ნარკვევები III გვ. 3-11.

7. ლორთქიფანიძე ოთ., თოლორდავა ვ., ჭყონია ა. 1972: არქეო - ლოგიური გათხრები ვანში 1969 წელს – ვანი I. გვ. 198-239.

8. მახარაძე გ., ბრაგვაძე ზ. 1990: არქეოლოგიური გათხრები კარახტინში – ძეგლის მეგობარი, №1, გვ. 29-35.

9. მახარაძე გ. და სხვები. 2006: ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის 2006 წლის ანგარიში.

10. მახარაძე გ. 1991 : საბადურის გორის სტრატიგრაფია და საირხის ნაქალაქარის ისტორიის ძირითადი ეტაპები. თბილისი.

11. მახარაძე გ. 2000: საირხის ნაქალაქარის ისტორიის მნიშვნელოვანი ეტაპი – არქეოლოგიური ჟურნალი, №1. გვ. 43-66.

12. ნადირაძე ჯ. 1990: საირხე საქართველოს უძველესი ქალაქი, თბილისი.

13. ნადირაძე ჯ. 1975: ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი.

14. სახაროვა ლ. 1965: ბრინჯაოს უძველესი მხატვრული ჭურჭელი საქართველოში – საბჭოთა ხელოვნება, №12. გვ. 46=48.

15. ჩიტაია გ. 1956: რეცენზია „მცხეთა I“-ის შესახებ – ჟურნალი „დროშა“ №5. გვ.17-18.

16. წერეთელი მ. 1991: საირხეში აღმოჩენილი საიუველირო ნაწარმის მხატვრული გადაწყვეტა – “მაცნე”, ისტორიის...სერია, №3, გვ. 140-153.

17. წერეთელი მ. 2000: გრაფიკული ნახატით შემკული ჭურჭელი საირხიდანვ არქეოლოგიური ჟურნალი, I. გვ. 67-73.

18. წერეთელი მ. 2006: ხატისუღელი – დიადემა – არქეოლოგიური ჟურნალი, IV. გვ. 61-68.

19. წერეთელი მ. 1992: კოლხური თავსამკაულის შემადგენელი ახალი ელემენტი – ძეგლის მეგობარი. №1. გვ. 65-69.

20. წითლანაძე ლ. 1976: ხევის არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი.

21. ჭყონია ა. 1981: ოქროს სამკაულები ვანის ნაქალაქარიდან – ვანი VI.

22. ჭყონია ა. 1976: ოქროს მხატვრული დამუშავება ძველ ვანში – ვანი II. გვ. 205-214.

23. ხახუტაიშვილი დ. 1966: იბერიის ქალაქთა ისტორიისთვის. თბილისი.

24. ხოშტარია ნ. 1959: ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები დასავლეთ საქართველოში – საქართველოს არქეოლოგია, თბილისი, გვ. 223-329.

25. ჯავახიშვილი ა. 1987: რეცენზია ა. ჭყონიას ნაშრომზე «ოქროს სამკაული ვანის ნაქალაქარიდან» – სსმმ XXXIX–B, გვ. 103-108.

26. Крупнов Е.И. 1960: Древняя история Северного Кавказа. Москва.

27. Лордкипанидзе О.Д. 1979: Древняя Колхида. Тбилиси.

28. Лордкипанидзе О.Д. 1989: Наследие Древней Грузии. Тбилиси.
29. Техов Б.В. 1981: Тлийский могильник II. Тбилиси.
30. Хорашвили И. Г. 1958: Олово. Природные ресурсы ГССР, Москва.

დავით ლომიტაშვილი

საქართველოს ეროვნული მუზეუმი, რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო, ელ.ფოსტა: dlomitashvili@gmail.com

სოციალ-პოლიტიკური ვითარება IV-VI სს. სამხრეთ-დასავლეთ კავკასიაში

ნოქალაქევის ნაქალაქარზე გამოვლენილი არქეოლოგიური ძეგლების შესწავლა საშუალებას გვაძლევს თვალი ვადევნოთ არა მხოლოდ საკუთრივ ნაქალაქარში, არამედ საერთოდ ეგრისის სამეფოში IV-VI სს. მიმდინარე რთულ სოციალ-პოლიტიკურსა და ეკონომიკურ პროცესებს. შესაბამისად მიგვაჩნია, რომ მიზანშეუწონელია ამ არქეოლოგიური წყაროების მხოლოდ ლოკალური გეოგრაფიული არეალის თვალსაზრისით გააზრება. ჩვენი აზრით, აუცილებელია იმ საშინაო და საგარეო ფაქტორების გათვალისწინება, რომელთა ერთიანობამაც ეგრისის სამეფოს ჩამოყალიბება-გაძლიერებასა და ოდნავ მოგვიანებით კი, მის დედაქალაქად ციხეგოჯის გადაქცევას შეუწყო ხელი. გასათვალისწინებელია ის ურთულესი პოლიტიკური ვითარება, რომელიც ამიერკავკასიაში IV-VI სს შეიქმნა, აგრეთვე, III ს-ის მიწურულს რომის იმპერიაში განვითარებული მოვლენები.

აღმოსავლეთისაკენ გადმონაცვლებულმა იმპერიის ცენტრმა რომის ბატონობის გაძლიერებას შეუწყო ხელი, მაგრამ მისი ინტერესები სასანური სპარსეთის ინტერესებს შეეჯახა და რამდენჯერმე სერიოზული მარცხიც განიცადა. ცხადია, ასეთი ვითარება რომის /ბიზანტიის/ პოზიციებს აღმოსავლეთში მნიშვნელოვნად არყევდა. IVს-ის II ნახევარში ამ ორი დიდი იმპერიის – ახალგაზრდა ქრისტიანული ბიზანტიისა და სასანიდური სპარსეთის ინტერესების ურთიერთდაპირისპირების დროს ახლად გამოჩენილ ეგრისის სამეფოს, გეოგრაფიული მდებარეობის გამო უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა მიენიჭა. ახალგაზრდა ეგრისის სამეფო პოლიტიკური დამოუკიდებლობისკენ ისწრაფოდა. ადვილი მისახვედრია, რომ ამ რეგიონის დაუფლება ამიერკავკასიასა და შავი ზღვის სანაპიროზე პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენის მოპოვების საშუალებად განიხილებოდა. გარდა ამისა, როგორც ლაზები, ისე იბერიელები ბუნებრივი დარაჯები იყვნენ კავკასიონის გადასასვლელებისა, ისინი საუკეთესო მოკავშირეები გახდნენ იმ იმპერიისა, რომლის პოლიტიკური გავლენაც მოცემულ მომენტში უპირატესი იყო [Успенский 1913: 492].

ამ პერიოდში (IV-VI სს) ეგრისის სამეფოსათვის ასეთი მოკავშირე ქრისტიანული ბიზანტია გახლდათ. მის ხელისუფალთ აღმოსავლეთში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ძლიერი მოკავშირე უფრო მეტად სჭირდებოდათ, ვიდრე სუსტი ვასალი. ამდენად, შესაძლებლობის ფარგლებში, ბიზანტია მზად იყო დახმარებოდა კიდეც ეგრისის სამეფოს გაძლიერებაში, თუმცა გარკვეული პირობების გათვალისწინებით. საქმე ის არის, რომ აღმოსავლეთში ძლიერი მოკავშირის არსებობა ბიზანტიის სასიცოცხლო ინტერესს წარმოადგენდა. ეგრისის სამეფოს სახით მას ეყოლებოდა მოკავშირე, რომელიც კავკასიის ზეკარებს დაიცავდა, რადგან "...მტრულად განწყობილი ჰუნები მათი მოსაზღვრე კავკასიის მთებიდან ლაზიკაზე გადმოვლით რომაელთა მიწა-წყალში არ შემოჭრილიყვნენ" [პროკოპი კესარიელი. 1965: 182]. ამდენად, ბიზანტიის ინტერესები – დაეცვა თავისი ტერიტორიების უშიშროება და ეგრისის მიზანი – გაძლიერებისაკენ სწრაფვისა გარკვეულ პერიოდში, ერთმანეთს დაემთხვა. ცხადია, ბიზანტიის იმპერია ასეთ ხელსაყრელ მომენტს აუცილებლად გამოიყენებდა. მით უმეტეს, რომ ეგრისის სამეფო ფორმალურად, მაგრამ მაინც იმპერიის ვასალურ ერთეულად რჩებოდა.

ვითარება აღმოსავლეთში კიდევ უფრო დაიძაბა VIს-ის დასაწყისში, როდესაც მსოფლიო ბატონობის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა აღმოსავლეთში გაბატონება გახდა, რადგან იმდროინდელი აღმოსავლეთი, დასავლეთთან შედარებით, მეტად აქტიური კულტურული და ეკონომიკური ცხოვრებით ცხოვრობდა. მსოფლიო ბატონობისათვის საჭირო იყო საქართველოში გაბატონებაც. საქართველოს უდიდესი სამხედრო-სტრატეგიული და პოლიტიკურ-ეკონომიკური პოტენციალი ჰქონდა. ეკონომიკური თვალსაზრისით, საქართველოს ტერიტორია იყო გზა, ირანის გვერდის ავლით, ინდოეთთან ვაჭრობისა, რაც ძალიან მნიშვნელოვანი გარემოება გახლდათ. ბიზანტიელებს ეძლეოდათ საშუალება სამხრეთ კავკასიის გავლით კასპიის ზღვასთან მისვლის, კასპიის ზღვიდან კი, ჩრდილოეთის გზით შეიძლებოდა სოგდიანის ოაზისის ისე გადალახვა, რომ სპარსეთის ტერიტორიაზე მოხვედრა საჭირო აღარ იყო [Диль 1908: 544].

ერთ-ერთი და ყველაზე არსებითი პირობა, რამაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა ახლად აღმოცენებული ეგრისის სამეფოსა და მისი საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების გენერალური ხაზი ის ბაზისური ცვლილებანი იყო, რომლებიც ქრონოლოგიურად გვიან რომაულ-ადრებიზანტიურ პერიოდებს დაემთხვა. მხედველობაში გვაქვს ძველი მონათმფლობელური საზოგადოების რღვევისა და მის წიაღში თვისობრივად განსხვავებული საზოგადოებრივი წყობის – ფეოდალიზმის აღმოცენება. შესაბამისად, ახალი იდეოლოგია – ქრისტიანობა გაჩნდა, რამაც საბოლოოდ განსაზღვრა ეგრისის სამეფოს ბედი. სწორედ ახალი რელიგია გახდა ის საშუალება, რომლითაც ფეოდალიზმმა საკმაოდ დიდი წარმატებით გაიკვლია გზა არა მარტო ეგრისის სამეფოში, არამედ მთელ ამიერკავკასიაში [Новосельцев. 1980: 202-204].

ქრისტიანობის გავრცელება ეგრისის სამეფოში, განსაკუთრებით საწყის ეტაპზე საკმაოდ რთულად მიმდინარეობდა. საერთოდ, დიდი ხნის განმავლობაში სამეცნიერო ლიტერატურაში საკამათო იყო ეგრი-

სის სამეფოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების საკითხი. მეცნიერთა ერთი ნაწილი (ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია) ამ თარიღად 523 წელს – ეგრისის მეფის წათეს მეორედ მონათვლის წელს მიიჩნევდა. ეს თარიღი თეოფანე ჟამთააღმწერლის ცნობების მიხედვით დადგინდა [თეოფანე ჟამთააღმწერელი. 1950]. ძველი ბიზანტიელი ქრონოგრაფის იოანე მალალას თხზულებაში კი, რომელიც თავის მხრივ თეოფანე ჟამთააღმწერლის დებულების წყაროა, ავტორი მიანიშნებს, რომ ეგრისის მეფე მის მეორედ მონათვლამდე ქრისტიანი იყო და მეფის რელიგიის შეცვლა გარკვეული დროით პოლიტიკური მიზნებით იყო გამოწვეული [იოანე მალალა. 1936]. აღნიშნული ცნობა გვაფიქრებინებს, რომ ეგრისის სამეფო სახლის გაქრისტიანება 523 წელზე ადრე მომხდარა.

მეცნიერთა მეორე ნაწილი (ს. ყაუხჩიშვილი) კი თვლიდა, რომ ქრისტიანობა ეგრისის სამეფოში სახელმწიფო რელიგიად IVს-ის შუა ხანებში გამოცხადდა, მატერიალურ მტკიცებულებად კი ბიჭვინთის IVს-ით დათარიღებული ეკლესიის აღმოჩენა ითვლებოდა. ცნობილია, რომ ბიჭვინთის საეპისკოპოსო ნეოკესარიის სამიტროპოლიტოში იყო გაერთიანებული, ხოლო მისი მეშვეობით კონსტანტინეპოლის პატრიარქს ემორჩილებოდა. ეს ბუნებრივია, რადგან II-IV სს-ში პოლიტიკურად ქალაქი პიტიუნტი უშუალოდ რომის იმპერიის, კერძოდ კი პროვინცია კაპადოკიის შემადგენელი ნაწილი გახლდათ.

ის რომ ახალ, ქრისტიანულ მოძღვრებას IVს-ის ეგრისის მმართველები კარგად იცნობდნენ ეჭვგარეშეა,მაგრამ სხვა საკითხია სახელმწიფო პოლიტიკა და ახალი იდეოლოგიის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება.

ამასთან დაკავშირებით ბოლო სამი ათეული წლის განმავლობაში ნოქალაქევში გამოვლენილი IVს-ის შუა ხანებით დათარიღებული ეკლესია ახალ სიტყვად ითვლებოდა [კაპანაძე 1987: 37-41]. ამ კუთხით კვლევა ბოლო წლებში კიდევ უფრო წინ წავიდა, რაც დაკავშირებულია ნოქალაქევში მომუშავე ერთობლივ ქართულ-ინგლისურ ექსპედიციის საქმიანობასთან. ექსპედიციამ 2001 წელს ნაქალაქარის ქვედა ტერასაზე, ცენტრალური შესასვლელის სამხრეთით ქვაში გამოკვეთილი ჯვრის მარცხენა მკლავი გამოავლინა ორსტრიქონიანი ბერძნული წარწერით (ტაბ. II). ამ წარწერას ერთდროულად სწავლობდნენ თბილისსა და ლონდონში. თბილისში, აკად. თ. ყაუხჩიშვილი, ლონდონში კი, სამეფო კოლეჯის ძველი ბერძნული ეპიგრაფიკის სპეციალისტი შარლოტა როჩე.

ჩენ შეგვიძლია შემოგთავაზოთ აკად. თ. ყაუხჩიშვილის წაკითხვის ვარიანტი: „2001 წლის ივლისში ნოქალაქევის ქვედა ტერასის ერთ-ერთ თხრილში აღმოჩენილი ქვაჯვარის მარცხენა ფრთაზე გამოყვანილია ბერძნული წარწერა ორ სტრიქონად, რაც სავარაუდებელია არის ფრაგმენტი ასევე ორ სტრიქონიანი (?), ქვის დაკარგულ, მარჯვენა ფრთაზე შესრულებული წარწერისა. მთლიანი წარწერის აღდგენა არ ხერხდება. ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით ის ასე იკითხება:

[(?)Y(?) AYP.ETI (M ან N) || ΔΟΥ – **ტრანსკრიფცია**
Αὐρ[ήλιος] ἐτίμ[?ησε] || δού [λος] – **გაშიფვრა**

თარგმანი: "...ავრელიუსმა მიანიჭა (ან პატივი სცა) ...მონა (?ღვთისა)... (არ გამოვრიცხავთ, რომ აღნიშნული ბერძნული წარწერა შესრულებული ყოფილიყო არა მხოლოდ მარცხენა და მარჯვენა ფრთებზე, არამედ დაწყებული იყო ქვის ზედა და ქვედა მკლავებიდან – დ.ლ.).

ასეთი ფრაგმენტის მიხედვით ძნელია წარწერის შესახებ დაბეჯითებით მსჯელობა, მაგრამ შეიძლება გამოვთქვათ ვარაუდი: ავრელიუსმა დააჯილდოვა, შესწირა მას რაღაც, ხოლო δούλος უნდა იყოს δούλος (θεού), მონა ღვთისა. ეს პირი, როგორც ჩანს უნდა იყოს ის, ვისთვისაც რაღაც გაკეთდა, თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ „მონად ღვთისა" თვით ავრელიუსი მოიაზრება.

მნიშვნელოვანია AYP რაც წარმოადგენს რომაული სახელის Aurelius-ის შემოკლებას. ეს სახელი სრული ფორმით პირველი საუკუნეების ბერძენ მწერლებთან (მემნონი, პლუტარქე, აპიანე, დიონ კასიუსი) გვხვდება. სახელი შემოკლებული სახით (AYP) დადასტურებულია III ს-ის წარწერაში ოლიმპიიდან [Guarducci 1978: 180. სურ. 48]. ასეთივე ფორმითაა ეს სახელი მცხეთის IVს-ის წარწერაში [Kauchtchischvili 1999: 30].

წარწერის უფრო ზუსტად დათარიღება ასოთა მოხაზულობის მიხედვით ხდება. A ტიპის (ე.წ. უღელჩატეხილი ამიკრონი – დ.ლ.) მოხაზულობის ასოები სხვადასხვა დროის წარწერებში გვხვდება. მაგალითად, ძვ.წ. IV-III სს-ში (მაგ. ატიკიდან) [Guarducci 1978: 118. სურ.38] VIს-ში პელოპონესიდან [Guarducci 1978: 331. სურ.94] ასევე [Δ, E, P, Y]

გვხვდება ძვ.წ. IIIს-დან ახ.წ. IVს-მდე და შემდეგაც [Соломоник1964: 189. M.Guarducci 1978: 349 სურ.100. :373 სურ.109]. დასათარიღებლად გამოდგება 0, რომელიც შემდეგნაირი სახითაა წარმოდგენილი: ◊ ეს დამწერლობა ადრე შუა საუკუნეებში არ არსებობს და ძირითადად ჩანს III, უფრო იშვიათად IVს-ში. [Надписи Ольвии (1917-65). 1968. M.Guarducci 1978: 356 სურ.102. :361 სურ.103]. ამდენად, იმ მონაცემების მიხედვით, რის საშუალებასაც იძლევა ნოქალაქევის წარწერის ფრაგმენტი, ის III-IVსს-ით უნდა დათარიღდეს." (თ. ყაუხჩიშვილი 1. III. 2002წ.).

მოსაზრება იმის თაობაზედ, რომ ნიმუში შესაძლოა მართლაც IIIს-ის დასასრულითა და IVს-ის დასაწყისით დათარიღდეს, იმდენად არის მისაღები, რამდენადაც ქართულ მხარეს საშუალება ჰქონდა კონკრეტულად ნივთზე მუშაობისა, რაც შესწავლის უკეთეს პირობებს გულისხმობს და მცდარობის კოეფიციენტს ამცირებს. გამოვლენილი ქვაჯვარის ფრაგმენტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმის გათვალისწინებით, რომ მისი აღმოჩენა ხდება არა რომელიმე პროვინციულ ქრისტიანული თემის ტერიტორიაზე, არამედ ქვეყნის დედაქალაქში, მეტიც, მის ყველაზე პრესტიჟულ და პრეტენზიულ ადგილას (მხედველობაში გვაქვს ქალაქის ძირითადი შესასვლელი), რაც დედაქალაქისა და შესაბამისად სახელმწიფოს რელიგიური ორიენტაციის მაჩვენებლადაც შეიძლება მივიჩნიოთ. იმთავითვე აღვნიშნავთ, რომ არ იქნებოდა მართებული გვეფიქრა, თითქოს გაქრისტიანების შემდგომ თუნდაც ძირითადი მოსახლეობა ახალი სარწმუნოების ერთგული იყო და წარმართობას ძალა აღარ გააჩნდა. ბრძოლა ეროვნულ წარმართობასა და ქრისტია-

ნობას შორის, როგორც ჩანს, მოქცევის შემდეგაც არ შეწყვეტილა, წარმართობის მიმდევართა შორის თვით სამეფო სახლის წევრებიც კი მოიაზრებიან [ჯავახიშვილი 1979: 270-271]. უფრო მეტიც, ზოგ შემთხვევაში არაქრისტიანულ ხაზს ატარებდა თვით მეფეც [პრისკე პანიონელი 1960:]. სხვა საკითხია, ასეთი პოზიცია წმინდა რელიგიური მრწამსიდან გამომდინარეობდა, თუ რთული საგარეო-პოლიტიკური ვითარებიდან. როგორც ჩანს, ეგრისის მმართველები თავიანთ აქტიურ საგარეო პოლიტიკაში რელიგიას ქვეყნის ფიზიკურად გადარჩენისათვის იყენებდნენ. ეს პრობლემა განსაკუთრებით მას შემდეგ გამოიკვეთა, რაც ეგრისის ტერიტორია სადავო გახდა, ორი უდიდესი პოლიტიკური ერთეულის – ქრისტიანული ბიზანტიისა და სასანიდური ირანის ომების დროს.

მეფისა და სამეფო საგვარეულოს წევრთა ასეთი, შესაძლოა იძულებითი, მერყევი სარწმუნოებრივი პოზიცია (რითაც არ უნდა ყოფილიყო იგი განპირობებული) ცხადია, სერიოზულ გავლენას მოახდენდა ქვეყანაში ახალგაზრდა ქრისტიანული მოძღვრების მტკიცედ დამკვიდრებაზე. თუნდაც სიმბოლური ვასალური დამოკიდებულების მიუხედავად, ეგრისის სამეფოს სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობის გარკვეული პრეტენზია ჰქონდა. შესაძლოა ეს იყო ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ ეკლესიათა სიმრავლის მიუხედავად (მხედველობაში გვაქვს ექვსი, სხვადასხვა დროის ეკლესია: IV, V და VIს-ის ოთხი ეკლესია) ნოქალაქევში საეპისკოპოსო ცენტრი არ შექმნილა. ეგრისის სამეფოს საეკლესიო მოწყობის საკითხმა არაერთი მკვლევარი დააინტერესა. ისინი ძირითადად ეყრდნობოდნენ და დღესაც ეყრდნობიან VII-IXსს-ის ბიზანტიის საეკლესიო ცენტრების ნუსხებს, ე.წ. "ეკოეზისებს" [ლორთქიფანიძე ბ. ლომიტაშვილი დ. 2000: 28-34]. ამ ნუსხებში კონსტანტინეპოლის პატრიარქისადმი დაქვემდებარებულ ეპარქიებს შორის იხსენიება ლაზეთის სამიტროპოლიტო ცენტრი ფაზისში, რომელსაც ემორჩილებოდნენ როდოპოლისის (ვარდციხე), პეტრას (ციხისძირის), ძიგანევის (გუდავის) და საესინის (საისენის, საისტას, აბისენის) ეპისკოპოსები [ბასილი სოფენელი 1952: 130,140,142,144,184]. ბევრ მკვლევარს საკმაოდ უცნაურად ეჩვენებოდა და ეჩვენება ის ფაქტი, რომ აღნიშნულ ნუსხებში ეგრისის სამეფოს დედაქალაქი ციხეგოჯი - ეპისკოპოსი არ არის მოხსენიებული. ინტერესი განსაკუთრებით მას შემდგომ გაძლიერდა, რაც ნაქალაქარზე IV-Vსს-ით დათარიღებული ექვსი ეკლესიის გამოვლენა გახდა შესაძლებელი [ზაქარაია, კაპანაძე 1991: 165-228]. ნაქალაქარზე ექვსი ეკლესიის გამოვლენა თავისთავად ადასტურებს ციხე-გოჯში ძლიერი საეკლესიო ორგანიზაციის არსებობას.

მკვლევართა ნაწილი "ეკოეზისებში" არქეოპოლისის მოუხსენიებლობის მიუხედავად, მაინც ვარაუდობს, რომ არქეოპოლისი საეპისკოპოსო ცენტრი იყო [ჯაფარიძე ვ. 2002: 95-98]. ნ. ბერძენიშვილმა ამ საკითხთან დაკავშირებით ორი ვარიანტი დაუშვა: 1. ლაზეთის სამიტროპოლიტო, "ეკოეზისებში" გადმოცემული სტრუქტურით, არქეოპოლისის დაცემის შემდგომ შეიქმნა, რაც თავადვე შეუძლებლად მიაჩნდა, ან კიდევ აბისენონის საეპისკოპოსო, რომელიც IXს-ის ერთ "ეკოეზისში" "საესინის" ნაცვლად იხსენიება, აბაშას გულისხმობდა და, შესაბამისად,

არქეოპოლისსაც მოიცავდა [ბერძენიშვილი 1975: 517-518]. ნოქალაქევში გამოვლენილი ეკლესიების სიმრავლის გამო აქ საეპისკოპოსო კათედრის არსებობას ნ. ლომოურიც ვარაუდობდა, თუმცა იგი არ გამორიცხავდა საეკლესიო ცენტრის მდებარეობას ფაზისში [ლომოური 1981: 42,43; ლომოური 1987: 39-40].

ამ საკითხთან დაკავშირებით მეტად საინტერესო მოსაზრება გამოთქვა ვ. გოილაძემ. მან ყურადღება მიაქცია ნ. მარის თეორიას, რომელიც თავის მხრივ აგათანგელოსის ცნობებს ეყრდნობოდა. აღნიშნული ცნობის თანახმად საქართველოს პირველი მიტროპოლიტი "იბირბზხუა" იყო (ნ. მარის-იბირსკუა ანუ იბერის ძე), რომელიც თვითმხილველი გახლდათ ორმოცი სებასტიანელი ქრისტიანის წამებისა. ნ. მარის აზრით მარტვილის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი თავდაპირველად ორმოცი მოწამის სახელობისა უნდა ყოფილიყო. ამას თავად სახელწოდება "მარტვილი" უნდა მიუთითებდეს. სახელის წარმომავლობა სხვა შემთხვევაში გაუგებარი რჩება და ასევე, ეგრისის პირველი მიტროპოლიტის, ორმოც მოწამეთა ამბავთან სიახლოვე [Марр 1905: 172]. ვ. გოილაძემ გაიზიარა ნ. მარის მოსაზრება, რომ ეგრისის პირველმა მიტროპოლიტმა ეკლესია ალბათ ორმოცმოწამის სახელზე ააგო. მან ყურადღება მიაქცია ნოქალაქევში ახლაც მდგარ VIს-ის ორმოცმოწამეთა ეკლესიას, რომელიც აშენებულია IV და Vსს ორი ეკლესიის ნანგრევებზე. მან ჩათვალა, რომ ეს ორი ეკლესიაც იგივე მოწამეთა სახელზე უნდა ყოფილიყო აგებული. შესაბამისად, როდესაც ეგრისში ქრისტიანობამ გაიმარჯვა, ციხეგოჯი-არქეოპოლისი დედაქალაქი უნდა ყოფილიყო და მიტროპოლიტსაც იქ უნდა დაედო ბინა [გოილაძე 1991: 121,122].

აგათანგელოსის თხზულება ოთხ ენაზეა შემორჩენილი – სომხურად, ქართულად, ბერძნულად და არაბულად. თხზულებაში გადმოცემულია გრიგოლ პართელის მიერ სომხეთის მოქცევის ისტორია. ნაშრომი არარეალურ პლასტებს შეიცავს, რამაც მრავალი მეცნიერი დააინტერესა, მათ შორის ვ. გოილაძე, რომელმაც საფუძვლიანად შეისწავლა ეს საკითხი [გოილაძე 1991: 34,49]. გასაკვირია, ის ფაქტი, რომ მაშინ როდესაც იგი კრიტიკულად უდგება აგათანგელოსის ცნობებს ქართლის მოქცევის შესახებ, პირიქით იქცევა ეგრისთან მიმართებაში.

ეგრისის გაქრისტიანების ამბავი აგათანგელოსის თხზულების მხოლოდ ბერძნულ და არაბულ რედაქციებშია დაცული. ვ. გოილაძე ეყრდნობა არაბულ ვერსიას,რომლის მიხედვითაც გრიგოლმა საქართველოში მიტროპოლიტად გამოგზავნა ქართველი სახელად byrbzhm. ამ სახელს ნ. მარი იბირბზხუად, ანუ იბერის ძედ კითხულობდა. არაბული ვერსიის თანახმად აფხაზეთში ეპისკოპოსად გაიგზავნა სოფრონი [აგათანგელოსი 1961: 73]. ბერძნული რედაქციის მიხედვით იბერბზხუა მოიხსენიება როგორც ირენარხე, ხოლო აფხაზეთში ეპისკოპოსად იგზავნება სოფრონი. იმავე რედაქციაში, სადაც კავკასიის ქვეყნების მმართველებია ჩამოთვლილი, იხსენიება ლაზეთის მეფე, ხოლო არაბულ ვერსიაში აბხაზთა მეფე [აგათანგელოსი 1961: 72,73]. ცხადია, რომ არაბული ვერსიის მთარგმნელი იმ დროს მოღვაწეობდა, როდესაც დასავლეთი საქართველო, ანუ ეგრისი აფხაზეთად იხსენიებოდა,

ხოლო ბერძნული ვერსიის ავტორის მოღვაწეობის დროს იგი კიდევ ჯერ ლაზეთი იყო. როგორც ჩანს ორმოცი სებასტიელი ქრისტიანის წამების თვითმხილველი "იბერბხზუა" – "ირენახე" ეგრისში საერთოდ არ ყოფილა და იქ სოფრონი გაუგზავნიათ. ამ დასკვნის გამოტანა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ ვენდობით აგათანგელოსის ბერძნულ და არაბულ ვერსიებში დაცულ ცნობებს კავკასიის გაქრისტიანების თაობაზე. თუმცა შევნიშნავთ, რომ სამართლიანია გოილაძის მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ "ცხოვრების" ის ცნობები, რომლებიც გრიგოლის მიერ სხვადასხვა ხალხის ხელდასმის ამბავს გადმოგვცემს, მართლაც არარეალურია [გოილაძე 1991: 39]. ასე რომ, ეგრისის, ისე როგორც ქართლის, გაქრისტიანება მისი და მისი მოწაფეების მიერ რეალობას არ უნდა შეესაბამებოდეს. (მაგალითისათვის გამოდგება აგათანგელოსის ცნობა გრიგოლის მიერ რუსთა მოქცევის შესახებ). სიმართლის გარკვეულ ელემენტებს, ალბათ, აგათანგელოსის თხზულება შეიცავს. მასში დასახელებული კესარიის ეპისკოპოსი ლეონტი ცნობილი საეკლესიო მოღვაწე იყო და იგი ნიკეის 325 წლის საეკლესიო კრებაშიც მონაწილეობდა [გეორგიკა 1961: 132]. 325 წლის შემდგომ ეპისკოპოსი ლეონტი არიანელობის მიზეზით გადაუყენებიათ. კესარიელი და სებასტიელი საეკლესიო პირების მისიონერული მოღვაწეობის დამადასტურებელი უნდა იყოს დასავლეთ საქართველოში ორმოცმოწამეთა სახელზე აგებული ეკლესიები. სხვა საკითხია, იყო თუ არა ციხეგოჯ-არქეოპოლისში საეპისკოპოსო კათედრა. ყოველივე ამის გარკვევისთვის, პირველ რიგში უნდა დავეყრდნოთ ოფიციალურ საეკლესიო დოკუმენტებს "ეკოეზისებს," ბიზანტიის საეკლესიო ცენტრების ნუსხებს. როგორც აღვნიშნეთ, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ექვემდებარებოდა ლაზეთის სამიტროპოლიტო ცენტრი ფაზისში. მას ემორჩილებოდნენ როდოპოლისის, საესინის, პეტრასა და ძიგანევის ეპიკოპოსები. თუ გავიზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ პირველი სამიტროპოლიტო ციხეგოჯ-არქეოპოლისში იყო, მაშინ გამოდის, რომ შემდგომში მოხდა მისი ჩანაცვლება ფაზისში, რაც შეუძლებელია. პრინციპში ჩვენ ვეთანხმებით მოსაზრებას, რომ ფაზისი გარკვეულ პერიოდში, ციხეგოჯის დედაქალაქად გადაქცევამდე, ქვეყნის ცენტრი იყო [Ломоури 1993: 114].

ნოქალაქევის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგად დადგინდა, რომ ციხეგოჯი თავიდანვე დედაქალაქად იყო ჩაფიქრებული [ლომიტაშვილი 1990; ლორთქიფანიძე 1993: 176-199]. არქეოპოლისის აღმავლობის პარალელურად მიმდინარეობდა ფაზისის, როგორც ცენტრის დამცრობა. VII ს-თვის კი, როდესაც შედგენილა „ეკოეზისების" ადრეული ნუსხა, საქალაქო ცხოვრება ფაქტიურად მოშლილი იყო. ასე რომ, სამიტროპოლიტოს ფაზისში დაარსება იმ დროს არის მოსალოდნელი, როდესაც იგი ჯერ კიდევ ძლიერად გვევლინება, სავარაუდოდ II-Vსს-ში. არიანეს ცნობით IIს-თვის ფაზისი ძლიერ გამაგრებული ქალაქი ჩანს: თიხის კედლები და ხის კოშკები აგურის კედლებით შეუცვლიათ, ირგვლივ ორმაგი თხრილიც შემოუვლიათ [არიანე 1983]. III ს-ის 70-იან წლებში გუთებმა ვერ მოახერხეს ფაზისის აღება [ლომოური 1958: 40-43; Меликишвили 1958: 379-380]. VIს-ის შუა ხანებში კი ქალაქი

საკმაოდ დამცრობილია. აგათია სქოლასტიკოსის ცნობით ქალაქის კედლები კვლავ ხისა ყოფილა და დროთა ვითარების გამო საკმაოდ დაზიანებული [აგათია სქოლასტიკოსი 1936: 101]. ასე რომ, აქ სამიტროპოლიტოს დაარსება სწორედ IVს-ში იყო მოსალოდნელი.

რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს საეპისკოპოსოებს, სამი მათგანის ლოკალიზაცია დიდი ხანია მოძებნილია პეტრა-ციხისძირში, როდოპოლისი-ვარდციხეში, ძიგანევი-გუდავაში. რჩება საესინის საეპისკოპოსო, რომლის ადგილმდებარეობა ჯერჯერობით გაურკვეველია. მართალია, ს. ყაუხჩიშვილი მას „ცაიშთან" აიგივებდა [ყაუხჩიშვილი 1952: 188-189], მაგრამ ეს კავშირი ხელოვნური ჩანს.

ბ. ლორთქიფანიძის ვარაუდით საესინის საეპისკოპოსო არგვეთში მდებარეობდა (თუმცა მისივე თქმით ეს ვარაუდია და დამატებითი დამამტკიცებელი არგუმენტები არ მოიპოვება) [ლორთქიფანიძე, ლომიტაშვილი 2000: 32]. არქეოპოლისში საეპისკოპოსოს არსებობის თაობაზე რამდენიმე ვარიანტს უშვებს ნ. ლომოური. ერთ-ერთი მათგანის თანახმად, პეტრას საეპისკოპოსო მხოლოდ VIს-ში უნდა შექმნილიყო, როდესაც აქ ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანე I-ის (527-565 წწ.) ინიციატივით ქალაქი დაარსდა. ნ. ლომოური ვარაუდობს, რომ საეპისკოპოსო შესაძლოა თავდაპირველად არქეოპოლისში იყო და შემდგომ მას პეტრა ჩაენაცვლა [Ломоури 1993: 115]. ასეთი ჩანაცვლების პრეცენდენტი დასავლეთ საქართველოში არსებობს. (მაგ. 325წ-ს ბიჭვინთელი ეპისკოპოსისა და „ეკოეზისებში" სებასტოპოლისის საეპისკოპოსოს მოხსენიება). ეს ვარიანტი მიუღებელი აღმოჩნდა ბ. ლორთქიფანიძესათვის. რამდენიმე მიზეზის გამო იგი ჩვენთვისაც ძნელად გასააზრებელია: ციხისძირში ახ.წ. IV-Vსს საკმაოდ ძლიერი დასახლება არსებობს [ინაიშვილი 1993:]. (არანაკლები ვიდრე ვარდციხე-როდოპოლისი ან გუდავა-ძიგანეოსი) გარდა ამისა, ბიჭვინთა-სებასტოპოლისის ჩანაცვლება ერთ მხარეში ხდება, ხოლო პეტრა-არქეოპოლისის ჩანაცვლების შემთხვევაში აუხსნელია არქეოპოლისის ეპარქია თავისი სამწყსოთი და "ქვეყნით" როგორ გადავიდა აბსოლუტურად სხვა რეგიონში.

აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით მეტად საინტერესო მოსაზრება გამოთქვა ვ. ლექვინაძემ. ამ მოსაზრებას ნ. ლომოურიც ერთ-ერთ ვარიანტად განიხილავს. მან საეპისკოპოსო ცენტრის არარსებობა არქეოპოლისში იმით ახსნა, რომ ეგრისის მეფეს არ სურდა გვერდით ყოლოდა კონსტანტინეპოლის პატრიარქისადმი (451 წლამდე ალბათ კესარიის ეპისკოპოსისადმი – ვ. გოილაძის აზრით) და საზოგადოდ ბიზანტიისადმი დაქვემდებარებული ეპისკოპოსი, რომელიც ჯაშუშის ან ზედამხედველის ფუნქციას შეასრულებდა.

ვფიქრობთ, გაერთიანებული ეგრისის მეფეებს დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარება სურდათ და ბუნებრივია, ბიზანტიის მიტროპოლიტისაგან შორს ეჭირათ თავი. ბიზანტია-ეგრისის კონფრონტაციის დროს ფაზისის სამიტროპოლიტო ხშირად ბერძენ ჯაშუშთა თავშესაფარი ხდებოდა. ეს კარგად ჩანს VIIIს-ის I ნახევრის მაგალითზე, როდესაც ლაზიკის მმართველი არაბთა მხარეზე გადავიდა, ბიზანტიამ ეგრისის საწინააღმდეგო ქმედებები განახორციელა.

ლეონ ისავრიელი ალანთა ჯარის დასაქირავებლად სწორედ ფაზისის

გავლით მიემართება[1] [გოილაძე 1991: 119; Krumbacher 1897: 475]. ამასთან, აუცილებლად გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ V–VIსს ეპისკოპოსთა გავლენა იმდენად იზრდება, რომ დროდადრო ოფიციალური ხელისუფლებაც ვეღარ აკონტროლებს მათ. ცხადია, ეგრისის მეფეებს არ მოსწონთ ასეთი ვითარება და წინააღმდეგობის გაწევას ცდილობენ. შესაბამისად, ბუნებრივია ადმინისტრაციული და საეკლესიო ცენტრები სხვადასხვა ადგილას ყოფილიყო. ე.ი. ფაქტიურად იგივე მდგომარეობასთან გვაქვს საქმე, რაც Vს-ის ქართლში შეიქმნა (თუმცა გამომწვევი მიზეზები შესაძლოა სხვადასხვა იყოს [ლოროქიფანიძე, ლომიტაშვილი 2000: 33] .

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ვფიქრობთ, ქრისტიანული ეკლესია დაწყებული III ს-ის II ნახევრიდან, ძნელად, მაგრამ მტკიცედ იმკვიდრებს შეუცილებელ ადგილს სამეფოში, ხოლო VI ს-ის 20-იანი წლების შემდგომ უკვე აშკარაა მისი რელიგიური ბატონობა. სავარაუდოა, რომ ამ დროიდან ქრისტიანული ეკლესია უმაღლესი ფეოდალური ელიტის შემადგენლობაშია და მეფე-დიდებულებთან ერთად აქტიურად ჩართულია ქვეყნის მართვა-გამგებლობაში.

AHAEOLOGY

DAVID LOMITASHVILI

Georgian National Museum, Rustaveli Avenue 3, 0105 Tbilisi, Georgia,
Email:dlomitashvili@gmail.com

THE SOCIO-POLITICAL SITUATION IN THE SOUTH-WEST CAUCASUS IN THE 4TH-6TH CC.

SUMMARY

The research of Nokalakevi archaeological monuments revealed complicated socio-political processes. It is wrong to discuss these monuments as the part of only this region.

In the I st millennium AD a new socio-political reality was followed by the new ideology. It was Christianity. Because of the lack of suitable evidences, it was problematic to understand the place of Christianity in a newly formed Egrisi kingdom. There are different opinions about the role of Christianity as a state religion. Scientists had equal facts from the written and archaeological sources.

The monuments found in Nokalakevi during the last achaeological expeditions

[1] თეოფანე ჟამთააღმწერელი ისევე როგორც "პასქალური ქრონიკის " ანონიმი ავტორი წყაროდ იოანე მალალას "ქრონოგრაფს" იყენებს.

are the most important means for explaining of this issue. We mean a fragment of the cross made of stone dated back to the 3th-4th centuries with Greek inscription on it.

The work shows in details the reasons why there was no Episcopal centre in the political-administrative center of the country.

ბიბლიოგრაფია

1. **აგათია სქოლასტიკოსი. 1936:** გეორგიკა III, თბილისი.
2. **აგათანგელოსი. 1961:** გეორგიკა, წიგნი V, თბილისი.
3. **არიანე. 1983:** გეორგიკა, ტ. V, თბილისი.
4. **ბასილი სოფენელი. 1952:** გეორგიკა ტ. IV ნაკვ. II, თბილისი.
5. **ბერძენიშვილი ნ. 1975:** საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბილისი.
6. **გოილაძე ვ. 1991:** ქართული ეკლესიის სათავეებთან, თბილისი.
7. **თეოფანე ჟამთააღმწერელი.** "ქრონოგრაფია" გეორგიკა, ტ. IV. I.
8. **ინაიშვილი ნ. 1993:** ციხისძირი ახ. წ. I-VI სს, თბილისი.
9. **იოანე მალალა. 1936:** "ქრონოგრაფია" XVII, გეორგიკა, ტ. III, თბილისი.
10. **ზაქარაია პ. კაპანაძე თ. 1991:** ციხეგოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი ხუროთმოძღვრება, თბილისი.
11. **კაპანაძე თ. 1987:** ნოქალაქევის ბაზილიკები. – პ. ზაქარაია (რედ), ნოქალაქევი-არქეოპოლისი II. თბილისი. გვ. 90-124.
12. **ლომოური ნ. 1968:** ეგრისის სამეფოს ისტორია. თბილისი.
13. **ლომოური ნ. 1981:** ნოქალაქევი-არქეოპოლისი-ციხეგოჯი (ისტ. ნარკვევი) – პ. ზაქარაია (რედ), ნოქალაქევი-არქეოპოლისი I. თბილისი.
14. **ლომოური ნ. 1987:** ნოქალაქევის გათხრების მნიშვნელობა საქართველოს ისტორიის შესწავლისათვის. – პ. ზაქარაია (რედ), ნოქალაქევი-არქეოპოლისი II. თბილისი. გვ. 17-45.
15. **ლომიტაშვილი დ. 1990:** ცენტრალური ეგრისი. ახ.წ.IV-VIსს. (საკანდ. დისერტ.) თბილისი.
16. **ლორთქიფანიძე ბ. 1993:** ქალაქის გარეგნული სახე – პ.ზაქარაია (რედ), ნოქალაქევი-არქეოპოლისი III. თბილისი. გვ.176-199.
17. **ლორთქიფანიძე ბ., ლომიტაშვილი დ. 2000:** ეგრისის ეკლესიის ისტორიიდან – გ. ლორთქიფანიძე (რედ.) კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები X. თბილისი. გვ. 28-34.
18. **ნიკეის პირველი მსოფლიო კრება. 1960.** გეორგიკა I. თბილისი.
19. **პრისკე პანიონელი. 1960:** „ისტორია" გეორგიკა ტ. I. თბილისი.
20. **პროკოპი კესარიელი. 1965:** „ბრძოლა სპარსელებთან", გეორგიკა ტ. II. თბილისი.

21. ყაუხჩიშვილი ს. 1952: გეორგიკა. ტ. IV. ნაკვ. II, თბილისი. გვ. 188-189.

22. ჯავახიშვილი ივ. 1979: ქართველი ერის ისტორია. ტ. I. თბილისი.

23. ჯაფარიძე ვ. 2002: პროკოპი კესარიელის ნაშრომში (“ნაგებობათა შესახებ”) მოხსენიებული ლაზიკის ძველი ეკლესიის ლოკალიზაციის საკითხისათვის. – (რედ.) ქრისტიანული არქეოლოგიის VI სამეცნიერო კონფერენცია. (მოხსენებათა შინაარსები) თბილისი. გვ. 95-98.

24. Диль Ш. 1908: Юстинян и византииская цивилизация в VI. Спб.

25. Ломоури Н. 1993: Археополис-Цихегоджи-Нокалакеви. – პ.ზაქარაია (რედ), ნოქალაქევი-არქეოპოლისი III. თბილისი. გვ. 92-147.

26. Меликишвили Г. 1958: К стории древней Грузии. Тбилиси.

27. Марр Н. 1905: Крещение армян, абхазов и албанов святым Григорием.

28. Надписи Ольвии (1917-65) 1968: №48, №50, №166 Ленгинград.

29.Новосельцев А.П. 1980: Генезис феодализма в странах закавказья. Москва.

30. Соломоник Э.И.. 1964: Новые эпиграфические памятники Херсонеса. Киев.

31. Успенский Ф.И. 1913: История Византииской империи Т.1. Спб.

32. Guarducci M., 1978: Epigrafia greca IV. Roma.

33. Kauchtchischvili T. 1999: Korpus der Griecgischen Inschriften in Georgien. T. I. Tbilisi.

34. Krumbacher K. 1897: Geschichte des Byzantinischen Literatur. Munchen.

ილუსტრაციების აღწერილობა

სურ. 1. ქვაჯვარის ფოტო.
სურ. 2. ქვაჯვარის გრაფიკული რეკონსტრუქცია.

LIST OF ILLUSTRATIONS

Fig. 1. Photo of the Cross made of stone.
Fig. 2. Graphic reconstruction of the Cross.

სურ. 1 Fig.



სურ. 2 Fig.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია №1 (46-B), 2010, 94-115
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences №1 (46-B), 2010, 94-115

არქეოლოგია

ზურაბ თვალჭრელიძე*, ზაზა სხირტლაძე**

* საქართველოს ეროვნული მუზეუმი, რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო, ელ.ფოსტა: ztvalchrelidze@museum.ge
** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჭავჭავაძის გამზირი 13, 0179, თბილისი, საქართველო, ელ.ფოსტა: zazaskhirtladze@hotmail.com

მონასტრები და დასახლებები ივრისპირა გარეჯში. ქვაბები

ბოლო სამი ათეული წლის განმავლობაში მიმდინარე გარეჯის სამონასტრო გაერთიანების არქეოლოგიური შესწავლა, მრავალმთის კომპლექსური კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. არქეოლოგიურმა მონაპოვარმა სამონასტრო ანსამბლთა ისტორიის ცალკეული მონაკვეთები ახალი მასალებით შეავსო, გამოავლინა უცნობი სტრუქტურები, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ძეგლები. არქეოლოგიურმა კვლევამ დამატებითი მონაცემებითა და ფაქტებით საგრძნობი წვლილი შეიტანა გარეჯის მონასტრების შესწავლის, მათი ქრონოლოგიისა და ტიპოლოგიის საკითხების დაზუსტების საქმეში. ახლად გამოვლენილმა კომპლექსებმა გარეჯის სამონასტრო ცხოვრების ისტორიული, კულტურული, სამეურნეო და ყოფითი საკითხების რეკონსტრუქციისათვის მნიშვნელოვანი საფუძველი შექმნა.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში სტაციონარული არქეოლოგიური გათხრები განხორციელდა წმ. იოანე ნათლისმცემლის [თვალჭრელიძე 1988: 12-21; თვალჭრელიძე 2002: 27-48; თვალჭრელიძე, სხირტლაძე 2004: 87-94] და ქვაბების მონასტრებში [მჭედლიშვილი 1977: 158-162;მჭედლიშვილი 1978: 114-119; თვალჭრელიძე, ქებულაძე 2000: 18-23; თვალჭრელიძე 2003: 42-46], ხოლო შედარებით მცირე მასშტაბის გაწმენდითი არქეოლოგიური სამუშაოები ჩატარდა – წმ. დავითის ლავრაში (ფერისცვალების ეკლესიაში წმ. დავით გარეჯელის განსასვენებელი გაიხსნა), საბერეების, წმ. დოდოს, წამებულისა და უდაბნოს მონასტრებში [თვალჭრელიძე 2004, 110-126; თვალჭრელიძე, სხირტლაძე 2001: 50-55; სხირტლაძე 2006; სხირტლაძე 2007: 319-330]. ეს სამუშაოები ძირითადად, გარეჯში სამონასტრო ცხოვრების სხვადასხვა ასპექტის მიზანმიმართულ კვლევასთან, აგრეთვე არქიტექტურულ ანსამბლებში საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოთა ჩატარებასთან და მრავალმთაში სამონასტრო ცხოვრების აღდგენა-განმტკიცების შეუქცევადი, პოზიტიური პროცესებისადმი თანადგომასთან არის დაკავშირებული.

ამასთან, ბოლო წლების განმავლობაში გარეჯში საველე კვლევითი სამუშაოების შედეგად არაერთი ახალი კომპლექსი გამოვლინდა (თეთრი უდაბნო, შავი სენაკები, მრავალწყარო, სატორგე, კოწახურა, ბერთა მთა) [Eastmond, Skhirtladze 2001: 36-38; Skhirtladze 2001:149-167; სხირტლაძე 2004ა: 115-122; სხირტლაძე 2004ბ: 253-269; Skhirtladze 2006: 61-88]. ყოველივე ეს ცხადყოფს, რომ სამოწესეო ცხოვრებისა და აღმშენებლობის პროცესების სრულყოფილი შესწავლისათვის ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

კვლევის თვალსაზრისით განსაკუთრებულად პერსპექტიულია მრავალმთის აღმოსავლეთი მასივის, ივრისპირა გარეჯის კომპლექსები: ქვაბები, პატარა ქვაბები, საბერეები, პირუკუღმარი, ქოლაგირი და სატორგე. უნდა აღინიშნოს, რომ მრავალმთის ეს ნაწილი ნაკლებად არის შესწავლილი; ამასთანავე, მასალები და მონაცემები, რომლებიც ბოლო ათწლეულების განმავლობაში დაგროვდა, ცხადყოფს გარეჯის უდაბნოს ამ ნაწილის დიდ მნიშვნელობას ქვეყნის ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე, მისი სულიერი, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სურათის ნათელსაყოფად.

საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა, სწორედ ამ მიზნით, გარეჯში სამონასტრო ცხოვრების სხვადასხვა ასპექტის შესწავლა დაიწყო, რასაც საფუძვლად დაედო მრავალმთის აღმოსავლეთი ნაწილის გამოქვაბული კომპლექსებისა და მათთან მიმდებარე დასახლებების (ნამოსახლარების) მრავალდარგობრივი კვლევა. სხვადასხვა კომპლექსის კვლევასა და მასალის თავმოყრას თან სდევს მისი უმთავრესი მიმართულებების კიდევ უფრო მკაფიოდ გამოკვეთის მცდელობა, სამომავლო პერსპექტივების, პრობლემებისა და ამოცანების შემდგომი განსაზღვრა-სრულქმნის მიზნით.

არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, სახელოვნებათმცოდნეო და წყაროთმცოდნეობითი კვლევის დაწყებამ ქვაბებში, რომელიც ივრისპირა გარეჯის მონასტერთა შორის აშკარად გამოირჩევა როგორც მასშტაბებით, ისე საერთო სახით, და, რაც მთავარია, ზედაპირულად არსებული არტეფაქტების უჩვეულო სიუხვით, საინტერესო და მნიშვნელოვანი მასალები წარმოაჩინა მონასტრისა და დასახლების ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით. ეს გარემოება მეტად მნიშვნელოვანია გარეჯის მრავალმთის სამონასტრო გაერთიანების ცხოვრების სურათის, მისი უმთავრესი ეტაპებისა და მახასიათებლების შეძლებისდაგვარად სრული სახით წარმოჩენისთვის.

* * *

„მთა ქვაბების" სახელით ცნობილ, 700 მეტრი სიგრძის კლდის მასივში ექვს იარუსად გამოკვეთილი ქვაბთა კომპლექსი კლდეში ნაკვეთ სტრუქტურათა ხუთ დამოუკიდებელ ჯგუფს მოიცავს და, მრავალმთის მონასტერთა შორის, მასშტაბებით უდავოდ გამორჩეულია. კომპლექსის წინა, საფასადო მხარე, იარუსების დამაკავშირებელი ღია და გვირაბული ტიპის გასასვლელები, კიბეების სისტემები და ტალანები, ამჟამად, ძირითადად ჩამოშლილია. შემორჩენილ გამოქვაბულთა რაოდე-

ნობა სამოცდაათს აღწევს. მათი უმეტესობა მიუვალია და სათანადო სამთამსვლელო აღჭურვილობისა და ალპინისტთა დახმარების გარეშე იქ შეღწევა შეუძლებელია (სურ. 1).

კლდეში ნაკვეთ სტრუქტურათა შორის ტიპოლოგიური კლასიფიკაციით გამოიყოფა ადრე და განვითარებული შუა საუკუნეების საკულტო, საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების ქვაბები. კლდის მასივის სამხრეთ ფერდზე, მიუდგომელ სიმაღლეზე გამოკვეთილია ორი გუმბათიანი ეკლესია, ხოლო აღმოსავლეთი ფერდის ქვედა იარუსის ცენტრში – სატრაპეზო. ეს გარემოება უნდა მიუთითებდეს, რომ კომპლექსი საერთო საცხოვრებელ მონასტერს წარმოადგენდა.

ქვაბების კლდეში ნაკვეთ სტრუქტურათა უმეტესობა ასკეტური იერით გამორჩეული სენაკებია (სურ. 2). ეს არის, ძირითადად, სწორკუთხა ფორმის, მომცრო ზომის სათავსები, რომლებსაც ცალკეულ შემთხვევაში, კედელს გაყოლებული დაბალი თაროები ახლავს.

ქვედა იარუსის ქვაბთა შორის არის მომცრო ზომის სატრაპეზოც. იგი სამნაწილიანია, გეგმარებითა და არქიტექტურული ფორმებით საბერებისა და წმ. დოდოს მონასტრის ძველ სატრაპეზოებს ჰგავს (ორივე შექმნილი უნდა იყოს არაუგვიანეს IX საუკუნისა). სატრაპეზოს იატაკში ამოკვეთილი ლაკვების არსებობა მოწმობს, რომ სამეურნეო დანიშნულების სათავსები სატრაპეზოშივე იყო განთავსებული.

განსაკუთრებულად საინტერესოა კომპლექსის ეკლესიები:

№1 ეკლესია ცენტრალურ-გუმბათოვანი ტიპისაა, ცენტრალური კვადრატის (2X2 მ.) აღმოსავლეთით არსებული საკურთხევლით და სამ მხარეს გამოკვეთილი მცირე სიღრმის (0,3 მ.) სწორკუთხა მკლავებით. მკლავებში შექმნილია ერთი საფეხურით ამაღლებული, თაღოვანი, სწორკუთხა ნიშები. თაღები არასწორი ნახევარწრიული და მკაფიოდ გამოკვეთილი ნალისებრი მოხაზულობისაა. დარბაზს გუმბათის ლილვმოვლებული ნახევარსფერო აგვირგვინებს. ეკლესიის ფასადზე სატრიუმფო თაღისა და შეწყვილებული ლილვების ფრაგმენტებია შემორჩენილი. კლდის სიღრმეში გამოკვეთილი ეკლესია მასთან გრძელი ტალანით იყო დაკავშირებული.

№2 დარბაზული ტიპის ეკლესია ზომით რამდენადმე დიდია – კვადრატულ დარბაზს (6X6 მ.) აღმოსავლეთით ვიწრო და საპირშემოვლებული, შემაღლებული პროპორციების მაღალი ნიშა-საკურთხეველი ებმის. კარის ღრმა, დაბალი ღიობი დასავლეთი კედლის სამხრეთ კუთხეშია გაჭრილი. ღიობი ინტერიერში გაფორმებულია ორქანობიანი ლავგარდანით. მის ზემოთ ჩაჭრილსაპირიანი დიდი თაღოვანი ნიშაა. დარბაზის სივრცეს აგვირგვინებს პირამიდალური ფორმის გუმბათი, დიდი ზომის რელიეფური ჯვრით.

ორივე ეკლესია თავისი ფორმებით მრავალმთის სამონასტრო ცხოვრების იმ ეტაპს ეკუთვნის, როდესაც ადრეული ხანის ასკეტური ნიშნით აღბეჭდილ გამოქვაბულ სტრუქტურებს თანდათანობით ცვლის არქიტექტურულად რამდენადმე უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბებული ფორმების მქონე ქვაბ-სამლოცველოები. შესაბამისად, მათი შექმნის სავარაუდო პერიოდი „გარდამავალი“ ხანით, სახელდობრ IX-X საუკუნეებით უნდა განისაზღვროს.

1974-1976 წლებში ბ. მჭედლიშვილის ხელმძღვანელობით ქვაბებში მცირე მასშტაბის არქეოლოგიური სამუშაოები ჩატარდა, რომელთა შედეგად ნაწილობრივ იქნა შესწავლილი საკულტო, საყოფაცხოვრებო, სამეურნეო და საწარმოო დანიშნულების ძეგლები – ლითონის სახელოსნო ქურებით, იმავდროულად, იყო მცდელობა სამაროვნის შესწავლისა და ძეგლის სტატიგრაფიის დადგენის [მჭედლიშვილი 1977: 158-162; მჭედლიშვილი 1978: 114-119].

ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის კლდის ძეგლების არქეოლოგიურ ფონდში, ჩვენს მიერ ქვაბების შესახებ დაცული ნივთიერი მასალების ტიპოლოგიისა და ქრონოლოგიის საკითხების დამუშავებამ, აგრეთვე ქრისტიანული აღმოსავლეთის ანალოგიურ ძეგლთა შესახებ არსებული კვლევების ძირითად შედეგთა, ისევე როგორც მათზე დაფუძნებული დასკვნებისა თუ მოსაზრებების გაცნობამ ცხადყო, რომ ქვაბების კომპლექსი მრავლმთის სამონასტრო გაერთიანების სხვა ძეგლებისგან როგორც მასშტაბებით, ისე ტიპოლოგიურად, სრულიად განსხვავებულია. კვლევის საწყის ეტაპზე გაჩნდა არსებითი პრობლემა – გამოქვაბული კომპლექსისა და მასთან უშუალოდ მიმდებარე დასახლების ურთიერთმიმართების საკითხის დადგენა, სახელდობრ, გარკვევა იმისა, ქვაბები წარმოადგენს მონასტერს სამოსახლოთი თუ იგი კლდის სოფელია ირგვლივ არსებული ინტენსიური დასახლებით. ეს პრობლემა დღეისათვის განსაკუთრებით აქტუალურია, იმდენად, რამდენადაც ქრისტიანული აღმოსავლეთის სამონასტრო გაერთიანებათა კვლევის დროს, მსგავს ძეგლთა შესახებ ამომწურავი ინფორმაცია არ არსებობს. პრობლემის კვლევას წერილობითი წყაროების სიმწირეც ართულებს.

ქრისტიანულ აღმოსავლეთში, სახელდობრ, კაპადოკიაში, კლდეში ნაკვეთი სამონასტრო კომპლექსისა და დასახლების თანაარსებობა-ურთიერთმიმართების პრობლემას ჯერ კიდევ ამ ოთხი ათეული წლის წინ მიაქციეს ყურადღება, თუმცა მისი კვლევა, არქეოლოგიური გათხრების საფუძველზე, ბოლო დროს დაიწყო. ამასთანავე, დღემდე განსხვავებული მოსაზრებები არსებობს კაპადოკიის ცალკეულ გამოქვაბულ კომპლექსთა ფუნქციასთან დაკავშირებით.

ლ. როდლის დაკვირვებით, ქრისტიანული აღმოსავლეთის მონასტრები შეიძლება ორ ტიპად დაიყოს: ე.წ. „შიდა ეზოიან“ და „სატრაპეზოიან“ მონასტრებად. პირველი აერთიანებს სათავსებისგან შემდგარ, კარგად ორგანიზებულ ჯგუფებს კლდეში ნაკვეთი ეზოს გარშემო, რომელსაც ძირითადი ფასადის გასწვრივ აქვს გალერეა და ეკლესია. ამ რიგის მონასტერს, როგორც წესი, ოთახების ძირითად რიგში ვრცელი, კვადრატული, წაგრძელებული ან განივი დარბაზი ახლავს. მეორე ტიპის მონასტრებს აქვს სატრაპეზო, კლდეში ნაკვეთი მაგიდითა და სკამებით; ისინი, როგორც წესი, მცირე ზომისა და არასწორი გეგმარებისაა, თუმცა კი, ეკლესია და სატრაპეზო წესისამებრ, კომპლექსის ცენტრშია [Rodley 1985].

ნ. ტეტერიატნიკოვას მითითებით, გღორემის მასივის X საუკუნის სამონასტრო კომპლექსები ლავრულ ტიპს განეკუთვნება, მაშინ როდესაც XI საუკუნის კომპლექსები აშკარად გამოხატულ მონასტერთა

ჯგუფს წარმოადგენს, გაერთიანებულს სამონასტრო თემად. ამასთანავე, X-XI საუკუნეების ბიზანტიაში სამონასტრო კომპლექსთა შორის გამოიყოფა როგორც განცალკევებული საერთო საცხოვრისი მონასტრები, ისე ლავრები, დასახლებების ჯგუფები, განსაშორები და განმხოლოებით არსებული სენაკები. ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მონასტერთა გვერდით ადრეული ხანიდანვე არსებობდა დასახლებებიც. მეტიც – მონასტრები ხშირად განლაგებულია უშუალოდ საერო ცენტრების – სოფლებისა და მცირე დაბების ტერიტორიაზე ან მათ გვერდით [Teteriatnikov 1994: 21-50].

ერთ-ერთი ამგვარი კომპლექსის – ჩანლი ქილისეს კვლევა 1990-იან წლებში დაიწყო [Ousterhout 1997a: 301-306]. მკვლევართა ნაწილი მას მონასტრად მიიჩნევს (გ. ბელი, ლ. როდლი) ნაწილი კი – დასახლებად (რ. ოსტერჰუდი). რ. ოსტერჰუდის აზრით, კომპლექსის მონასტრად გაიგივების მუდმივი მსაზღვრელი ეკლესიისა და სატრაპეზოს არსებობა არ უნდა იყოს. ავტორის მითითებით, წყაროები მოწმობს, რომ კლდეში ნაკვეთ დასახლებათა ფუნქციური ორგანიზაცია შუა ბიზანტიური ეკლესიებისა და მონასტრების მსგავსი იყო – მცირეოდენი ცვლილებების შედეგად სამოსახლო იოლად შეიძლებოდა მონასტრად გადაკეთებულიყო. ამასთანავე, იგი მიიჩნევს, რომ არ არსებობს რაიმე მოწმობა კაპადოკიის ტრადიციულად სამონასტრო დასახლებად მისაღებად – ეს რეგიონი არ უნდა ყოფილიყო იმაზე მეტად მონასტრული რიგისა, ვიდრე იმპერიის სხვა რეგიონთა სამონასტრო გაერთიანებები. რ. ოსტერჰუდს შეცდომად მიაჩნია თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც კაპადოკიის ყველა გამოქვაბული კომპლექსი, რომელშიც მოხატული ეკლესიაა, მონასტერი უნდა ყოფილიყო. ჩანლი ქილისეს მკვლევარი ადარებს ბიზანტიურ დასახლებას – დიდი და პატარა სახლებით, სამლოცველოებით, სამეურნეო სათავსებით, საჯინიბოებით, საწყობებით, სამაროვნებით და რამდენიმე მონასტრით. ამ მოსაზრებას ავტორი მოგვიანებითაც დაუბრუნდა და აღნიშნა, რომ შიდა ეზოიან კომპლექსებს საცხოვრისის დანიშნულება უნდა ჰქონოდა. სახელდობრ, ჩანლი ქილისე შეიძლება ჩაითვალოს აყვავებულ სასოფლო დასახლების ტიპის კომპლექსად, დიდი და მცირე სახლებით, მრავალი პირადი სამლოცველოთი, ბეღლებით, საჯინიბოებით, საკუჭნაოებით, სამტრედეებით, სახიზრებით, დასაკრძალავებით, ეკლესიებით – როგორც კლდეში ნაკვეთი, ისე ნაგები სტრუქტურები, აქ ერთმანეთთან არის დაკავშირებული [Osterhout 1997b: 420-431].

ეს თვალსაზრისი მიუღებელია ნ. ტიერისთვის. იგი თვლის, რომ კაპადოკიის გამოქვაბული კომპლექსები მონასტრებია. საკუთრივ, ჩანლი ქილისეს გეგმარებით-არქიტექტურულ თავისებურებებს განიხილავს და სხვა მაგალითებიც მოჰყავს (Halac Manastir), რის საფუძველზეც ამტკიცებს, რომ კომპლექსები აშკარად მონასტრული ცხოვრებისათვის იყო განკუთვნილი [Thierry 2002: 205-209].

მართებული ჩანს ნ. ტიერის მითითება, რომ პრობლემა განსახილველია სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით, ვინაიდან, სავარგულები და სხვადასხვა დანიშნულების სათავსი მონასტერსაც ჰქონდა. ზოგ შემთხვევაში მონასტერი ეპისკოპოსის ან საერო ხელისუფლის

დროებითი საცხოვრებელი ან სიბერის დროს თავშესაფარი ხდებოდა. შუაბიზანტიურ ხანაში ხშირდება მაგალითები, როდესაც მონასტრები მათი დამფუძნებელი დიდებულის ნების შესაბამისად ყალიბდებოდა – მათ შორის იყო ისეთი მონასტრები, რომლებიც რეგიონის მფლობელის ან სოფლის პატრონაჟით სარგებლობდა. ამ მხრივ უთუოდ საგულისხმოა მნიშვნელოვანი სამიწათმოქმედო მეურნეობის არსებობა, რომელშიც ბერ-მონაზვნობის მონაწილეობა ეჭვს არ იწვევს. მონასტრის კუთვნილ მარნებსა თუ ბეღლებს, სხვა სამეურნეო დანიშნულების სტრუქტურებს ახლომდებარე კლდის სოფელიც იყენებდა. დიდი დარბაზები და კარგად მოწყობილი საჯინიბოები მრავალრიცხოვან მლოცველთა მიღების შესაძლებლობას ადასტურებს.

არსებულ მოსაზრებათა ეს მოკლე მიმოხილვაც კი ცხადყოფს **ქვაბების კომპლექსის კვლევის მნიშვნელობას ქრისტიანულ აღმოსავლეთში სამონასტრო მოძრაობის სხვადასხვა მიმართულების სრულყოფილი შესწავლის საქმეში.** გარეჯის მრავალმთის ძეგლთა შესახებ ადრეული პერიოდის წერილობითი წყაროების სიმწირის მიუხედავად, ქვაბები მაინც გამორჩეულია, რადგან იგი, როგორც აღინიშნა, არქეოლოგიური მასალების უჩვეულო სიუხვით გამოირჩევა. შესაბამისად, სავსებით ნათელი უნდა იყოს, რომ ამ პრობლემის გადაჭრაში სხვა (საეკლესიო, სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ) ასპექტებთან ერთად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ძეგლის არქეოლოგიური კვლევას ენიჭება. ძეგლის მიზანმიმართული, თანამიმდევრული არქეოლოგიური შესწავლით შეიქმნება რეალური წინაპირობები, რათა განისაზღვროს როგორც ქვაბების კომპლექსის, ისე ახლომდებარე დასახლების ტიპი, მასშტაბები, ურთიერთმიმართება და ქრონოლოგია.

2005 წელს, თითქმის ოცწლიანი წყვეტილის შემდეგ, საქართველოს ეროვნული მუზეუმის სამეცნიერო პროექტის – „მონასტრები და დასახლებები ივრისპირა გარეჯში“ ფარგლებში, გარეჯის სამონასტრო კომპლექსის შემსწავლელი არქეოლოგიური ექსპედიციის (ხელმძღვანელი – ზ. თვალჭრელიძე, წევრები: ზ. სხიტლაძე, ე. ნადირაძე, ს. ბურდილაძე) მიერ, ქვაბოვანი კომპლექსის წინ არსებულ ერთ-ერთ ნამოსახლარზე ჩატარდა მცირე მასშტაბის არქეოლოგიური გათხრები.

* * *

ქვაბების კლდეში ნაკვეთი სამონასტრო კომპლექსის მიმდებარე ტერიტორიაზე – აღმოსავლეთით, დასავლეთით და სამხრეთით არსებულ დაფერდებებსა და გორაკებზე ნამოსახლარების კვალია (სურ. 4). აქ ზედაპირულად არსებული, ძირითადად IX-XI საუკუნეებით დათარიღებული ნივთიერი მასალების უჩვეულო სიუხვეა. საყურადღებოა სხვადასხვა ტიპოლოგიური სახეობის საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების ჭურჭელი, სამკაული, მინისა და რკინის ნაწარმი – მათი წარმოების ნაშთები, იქვე, მიკვლეულია სამაროვნები. შესაბამისად, სურათი ძალზე მრავლისმომცველი და მნიშვნელოვანია კულტურული ცხოვრებისა თუ სამეურნეო ყოფის სხვადასხვა მხარეთა შესწავლისთვის.

ზედაპირულად დაფიქსირებული ნივთიერი მასალის მიხედვით,

ქვაბების მონასტრებთან ახლომდებარე დასახლება, დაახლოებით 30 ჰექტარ ფართობს მოიცავს. კვლევის დღევანდელი ეტაპისათვის ექსპედიციის ამოცანა იყო გამოქვაბული კომპლექსის უშუალო სიახლოვეს, მის გარშემო არსებული ნამოსახლარების ზოგადი ტოპოგრაფიული სურათის დადგენა, ძეგლებზე მოპოვებული ნივთიერი მასალის ქრონოლოგიური და ტიპოლოგიური კლასიფიკაციის ჩატარება,[1] რაც კვლევის საწყის ეტაპზე საშუალებას მოგვცემდა განგვესაზღვრა ნამოსახლარების ფუნქციონირების ქრონოლოგიური საზღვრები და მათი მიმართება ქვაბოვან კომპლექსთან.

ნამოსახლარი №1 (ნაკვეთი – 12) მდებარეობს ე.წ. „კლდეკარის" ჩასწვრივ, სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით – 80 მეტრში. იგი ხუთი მეტრი სიმაღლის გორაკისებური შემაღლებაა, რომლის პარამეტრებია: აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძზე – 30 მეტრი, სამხრეთ-ჩრდილოეთის ღერძზე – 40 მეტრი.

ნამოსახლარზე მოპოვებული არტეფაქტები: დოქის ორნამენტირებული ყური, კოკის პირ-ყელი, ჩაფის პირ-ყელი რელიეფური და ნაკაწრი ორნამენტით, თხელკედლიანი დოქის გვერდისა და ყურის ფრაგმენტი, წითელკეციანი ჯამის ძირ-გვერდი, მოწერნაქებული ჯამის პირი, ქოთნის გვერდები, დერგის პირ-გვერდი, გულებითა და რგოლებით მოხატული, მწვანედ მოჭიქული ჯამის პირ-გვერდი, მოჭიქული ჭურჭლის პირ-გვერდისა და ძირი ფრაგმენტი, მწვანედ მოჭიქული სამარილე, მინის სადა, ღარიანი და ინკრუსტრირებული ტიპის სამაჯურები, მინის წიდა.

ნამოსახლარი №2 (ნაკვეთი – 11) მდებარეობს გამოქვაბული კომპლექსის №1 და №2 ქვაბების (სურ. 3) ჩასწვრივ, სამხრეთით – 65 მეტრში. იგი ორი სამოსახლო ბორცვისაგან შედგება: ნამოსახლარის დასავლეთ ნაწილში არსებულ ფლატეში (კულტურული ფენის სიმძლავრე – 1 მ.) დაზიანებული ქვევრი დაფიქსირდა; ფლატის წინ, სამხრეთის მიმართულებით, ბუნებრივი ფაქტორების ზემოქმედების შედეგად გამოყოფილი სამი მეტრი სიმაღლის ბორცვი (სიგრძე – 30 მ.), ამავე ნამოსახლარის შემადგენელი ნაწილია.

ნამოსახლარზე მოპოვებული არტეფაქტები: დოქის ყურებისა და გვერდების ორნამენტირებული ფრაგმენტები, წითელკეციანი ჯამების ძირ-გვერდები, კოკის პირ-ყელი რელიეფური ზოლით, გულებითა და რგოლებით მოხატული, მწვანედ მოჭიქული ჯამის გვერდი და მწვანედ მოჭიქული სამარილე (ნაკლული).

ნამოსახლარი №3 (ნაკვეთი – 10) მდებარეობს ქვაბოვანი კომპლექსის წინ, სამხრეთით – 30 მეტრში. იგი ხუთი მეტრი დიამეტრის გორაკისებური შემაღლებაა, რომლის აღმოსავლეთი მხარე დახრამულია.

ნამოსახლარზე მოპოვებული არტეფაქტები: ქვაბ-ქოთნის პირ-გვერდი, ლანგრის პირ-გვერდისა და ქუსლის ფრაგმენტი, წითელკეციანი ჯამების ძირ-გვერდები, მწვანედ მოჭიქული თეფშის პირ-გვერდი და მწვანედ მოჭიქული სამარილის ძირი.

---

[1] ნამოსახლარებზე მოპოვებული არტეფაქტები ფრაგმენტულია; ნამოსახლარების განლაგების ტოპოგრაფიული სურათისათვის იხ. სურ. 4.

ნამოსახლარი №4 (ნაკვეთი – 11) მდებარეობს №3 გამოქვაბულის ჩასწვრივ – 80 მეტრში. იგი დავაკებული ფორმისაა, თუმცა ნამოსახლარის სამხრეთ-აღმოსავლეთისა და დასავლეთის მხარეებზე საკმაოდ ღრმა ფლატეებია წარმოქმნილი. ნამოსახლარის სიგრძე ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით – 30 მეტრია, სიგანე აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით – 35 მეტრი, სიმაღლე ფლატის ქვედა დონიდან – 6 მეტრი.

ნამოსახლარზე მოპოვებული არტეფაქტები: ჩალისფერკეციანი, თხელკედლიანი ჭინჭილას პირ-ყელი, წითელკეციანი ჯამების პირ-გვერდები, ქოთნის ყური და მწვანედ მოჭიქული სამარილე (ნაკლული).

ნამოსახლარი №5 (ნაკვეთი – 4) მდებარეობს №4 გამოქვაბულის ჩასწვრივ, მისგან – 20 მეტრში არსებულ წრიული ფორმის გორაკზე. ნამოსახლარის სიგრძე ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით – 20 მეტრია, სიგანე აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით – 15 მეტრი, სიმაღლე – 3 მეტრი.

ნამოსახლარზე მოპოვებული არტეფაქტები: ჭინჭილას პირ-ყელი, ქვაბ-ქოთნის პირ-გვერდები, ჩაფის ყურისა და გვერდის ორნამენტირებული ფრაგმენტი და ჩამოდვენთის წესით მოჭიქული ჯამის გვერდი.

ნამოსახლარი №6 (ნაკვეთი – 10) მდებარეობს №4 გამოქვაბულის სამხრეთით – 25 მეტრში, №5 ნამოსახლარის სამხრეთ-დასავლეთით არსებულ წრესთან მიახლოებული ფორმის ბორცვზე (დიამეტრი – 22 მეტრი, სიმაღლე – 4 მეტრი).

ნამოსახლარზე მოპოვებული არტეფაქტები: წითელკეციანი ჯამის ძირ-გვერდი, მწვანედ მოჭიქული სამარილე და მინის ინრკუსტრირებული სამაჯური.

ნამოსახლარი №7 (ნაკვეთი – 10) მდებარეობს სამონასტრო კომპლექსის ცენტრალური ნაწილის აღმოსავლეთით მდებარე გამოქვაბულების ჩასწვრივ – 40 მეტრში, გადაჭრილი კონუსის ფორმის ბორცვზე (სიგრძე ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით – 40 მეტრი). ნამოსახლარის დასავლეთი მხარე დახრამულია, რომლის ფლატეში კერამიკის ფრაგმენტებთან ერთად, თონის ნაშთები დაფიქსირდა.

ნამოსახლარზე მოპოვებული არტეფაქტები: ჩალისფერკეციანი, თხელკედლიანი დოქის ყურისა და გვერდის ფრაგმენტი, ქოთნის გვერდები, მოწერნაქებული ჯამების პირ-გვერდები და მწვანედ მოჭიქული ჯამის გვერდი.

ნამოსახლარი №8 (ნაკვეთი – 13) მდებარეობს სამონასტრო კომპლექსის სამხრეთ-დასავლეთით, №2 სამაროვნის დასავლეთით მდებარე, 30X30 მეტრი ფართობის ბორცვზე.

ნამოსახლარზე მოპოვებული არტეფაქტები: დოქის გვერდები, მოწერნაქებული ჯამის პირ-გვერდები და ლურჯი ფერის მინის, გრეხილი ტიპის სამაჯური.

ნამოსახლარი №9 (ნაკვეთი – 13) მდებარეობს №8 ნამოსახლარის სამხრეთის მიმართულებით – 10 მეტრში, ტერასულად განლაგებულ, ოთხი ბაქნისაგან შედგარ მაღალ ბორცვზე (სიგრძე – 130 მ., სიგანე – 30 მ.).

ნამოსახლარზე მოპოვებული არტეფაქტები: წითელკეციანი ჯამის პირ-გვერდი, თხელკეციანი დოქის პირ-ყელისა და გვერდის ფრაგმენტი, მწვანედ მოჭიქული ჯამის გვერდი.

ნამოსახლარი №10 (ნაკვეთი – 13) მდებარეობს №9 ნასახლარის აღმოსავლეთით არსებულ მაღალ ბორცვზე (სიგრძე აღმოსავლეთიდან დასავლეთის ღერძზე – 30 მ., სიგანე ჩრდილოეთიდან სამხრეთის ღერძზე – 20 მ.).

ნამოსახლარზე მოპოვებული არტეფაქტები: თხელკეციანი დოქის გვერდი, მოწერნაქებული ჯამის პირ-გვერდი, ყავისფრად მოჭიქული სამარილე და შავი ფერის მინის, გლუვზედაპირიანი სამაჯური.

ნამოსახლარი №11 (ნაკვეთი – 13) მდებარეობს №10 ნამოსახლარის სამხრეთით – 30 მეტრში მდებარე მაღალ ბორცვზე. ნამოსახლარს სამხრეთის მხრიდან მშრალი ხევი საზღვრავს, რომელიც მას გამოქვაბული კომპლექსის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარე საყოფაცხოვრებო, სამეურნეო და საწარმოო კერებისაგან გამოყოფს.

ნამოსახლარებზე მოპოვებული არტეფაქტები ტიპოლოგიური და ქრონოლოგიური კლასიფიკაციით IX-XI საუკუნეებით თარიღდება.

* * *

2005 წელს, არქეოლოგიურმა ექსპედიციამ დაიწყო №11 ნამოსახლარი ბორცვის განსაზღვრული ნაწილის (თხრილის სიგრძე – 10 მ., სიგანე – 4 მ.) შესწავლა (სურ. 5). ჰორიზონტალურად დაკვადრატებულ (2X2 მ.) ბადეზე (სურ. 6), კორდოვანი ფენის მოხსნის შემდეგ, ეტაპობრივად განხორციელდა გასათხრელი ფართობის ნიველირება – დადაბლება. გამოვლინდა ერთმანეთზე დაშრევებული, განსხვავებული სიმძლავრის კულტურული ფენები, რაც აქ დაფიქსირებულ სათავსთა სტრუქტურული მოწყობითა და რელიეფის კონფიგურაციით აიხსნება (სურ. 7).

I (ზედა) – ფხვიერი სტრუქტურის თიხნარი ფენა (სიმძლავრე 0,5-0,55 მ.) დაფიქსირდა c-3 და d-4 კვ-ში, ნულოვანი წერტილიდან 15 სმ. სიღრმეზე. იგი შეიცავდა საოჯახო დანიშნულების ჭურჭლის ფრაგმენტებს, მინის სამაჯურებს, მინის წიდებს, ოსტეოლოგიურ მასალასა და ხის ნახშირს.

II (შუა) – მოწითალო, დამწვარი ფენა (სიმძლავრე – 0,1-0,2 მ.) დაფიქსირდა c-3 და d-3,4 კვ-ში, ნულოვანი წერტილიდან 0,7 მეტრ სიღრმეზე. იგი წარმოქმნილი იყო ალიზის შელესილობისა (ბათქაში) და ხის წნულის ერთდროული წვის შედეგად. მასში გამოიყო: a-1, დამწვარი ბათქაშის წითელი შეფერილობის შრე (d-5 კვ.; სიმძლავრე – 10 სმ.; სიგრძე – 1,6 მ.) და a -2, ნაცროვანი შრე (c-3, d-3, d-4 კვ.; სიმძლავრე 5-10 სმ., სიგრძე – 3,7 მ.). იქვე, იატაკის დონეზე c-2, d-3 კვ-ში დაფიქსირდა 1,2 მეტრი დიამეტრისა და 10-12 სმ. სისქის ნაცროვანი შრე.

III (ქვედა) – მკვრივი სტრუქტურის თიხნარი ფენა (c-3, d-4კვ.; სიმძლავრე 10 სმ., სიგრძე - 5,2 მ.), შეიცავდა ნახშირის ჩანართებსა და

მცირე რაოდენობის კერამიკის ფრაგმენტებს.

კულტურული ფენის მოხსნის შემდეგ სათავსში თიხატკეპნილი იატაკი დადასტურდა, რომელშიც ჩაჭრილი იყო ორი მცირე ზომის ორმო: პირველი (c-3, d-5 კვ-ის გადაკვეთაზე) წარმოადგენდა მრგვალი გარშემოწერილობის სიღრუვეს (დიამეტრი – 0,3 მ., სიღრმე – 0,1 მ.), რომელიც სათავსის გადახურვის საყრდენი ძელის ფიქსაციისათვის უნდა ყოფილიყო ამოჭრილი, ხოლო მეორე (d-4 კვ-ში) ოვალური ფორმის იყო (დიამეტრი – 0,12 სმ., სიღრმე – 0,9 სმ.). რაც შეეხება c-3 კვადრატში დაფიქსირებულ, დამუშავებულ ბრტყელი ფორმის ქვას, სავარაუდოდ, იგი გადახურვის საყრდენი ძელის ე.წ. ბალიშს წარმოადგენდა.

სათავსის იატაკის დონე c-4 კვადრატში შეწყდა, რის გამოც კულტურული ფენის შესწავლის მიზნით განხორციელდა თხრილის c-4-6 კვ-ში და d-5, 6 კვ-ში გაფართოვება (სიგრძე აღმოსავლეთიდან დასავლეთის ღერძზე – 3 მ., სიგანე ჩრდილოეთიდან სამხრეთის ღერძზე – 1,8 მ., სიღრმე – 0,55 მ.). კულტურული ფენა ნამოსახლარის ამ მონაკვეთშიც თიხნარისაგან შედგებოდა, რომელიც დამწვარი წნულის ჩანართებსა და კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტებს შეიცავდა. ნულოვანი წერტილიდან 1,4 მეტრ სიღრმეზე, კვლავ, სათავსის მოტკეპნილი იატაკი გამოვლინდა.

არქეოლოგიური გათხრებიდან ჩანს, რომ აქ საქმე უნდა გვქონდეს ერთი ნაგებობის ორ სათავსთან, რომელთა იატაკების დონეთა სხვაობა (0, 55 მ.) რელიეფის კონფიგურაციით იყო განპირობებული (სურ. 8).

ქვაბების ნამოსახლარების სტრუქტურული აღნაგობის სურათის ნათელსაყოფად, გარკვეულ მნიშვნელობას იძენს №11 ნამოსახლარის აღმოსავლეთით – 6 მეტრის დაშორებით, სამხრეთ-დასავლეთის ღერძზე დამხრობილი, ალიზის ხსნარზე ნაგები ქვის კედლის წყობის (სიგრძე – 2 მ., სიგანე – 1 მ., სიმაღლე – 0,3 მ.) გამოვლენა.

როგორც ირკვევა, ქვის კედელი ნამოსახლარის ერთიანი კონსტრუქციული სისტემის შემადგენელი ნაწილი იყო. მისი დაფიქსირება შესაძლებლობას იძლევა დავასკვნათ, რომ ქვაბებში ნამოსახლართა მშენებლობის დროს, ხის მასალასთან ერთად ქვის კონსტრუქციებიც გამოიყენებოდა – ქვის საძირკველი უშუალოდ კლდის გრუნტზე იყო მოწყობილი. იქ, სადაც კლდის გრუნტის ღრმად ჩაჭრის შესაძლებლობა არ იყო, ნაგებობის საძირკვლის შესაქმნელად ქვის კონსტრუქცია გამოიყენებოდა, რომელზეც შემდგომ ხის წნულის შებათქაშებული კედლები ამოჰყავდათ.

ძეგლზე გამოვლენილი არქეოლოგიური მასალა წარმოდგენილია: დოქების, კოკების, ჩაფების, ჯამების (მოუჭიქავი და მოჭიქული), ქოთნების, ლუთერიის, ქვევრების, მინის სამაჯურების (ინრკუსტრირებული, ზურგიანი და გრეხილი ტიპები) ფრაგმენტებით, სარდიონის მძივით, აგრეთვე რკინისა და მინის წიდებით (სურ. 9). გამოვლენილი არტეფაქტები ნამოსახლარის მკვიდრთა დაწინაურებულ კულტურულ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე მიუთითებს – ისინი IX-XI საუკუნეების ქრონოლოგიური საფეხურით თარიღდება.

ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგები, ქვაბების ნამოსახლარი კომპლექსის კონსტრუქციული აღნაგობის შესახებ,

წინასწარი მოსაზრებების გამოთქმის საშუალებას იძლევა. სავარაუდოდ, აქ ორსათავსიან ნაგებობასთან უნდა გვქონდეს საქმე და, როგორც აღინიშნა, სათავსთა იატაკების დონეებს შორის არსებული სხვაობა რელიეფით უნდა იყოს განპირობებული. როგორც ჩანს, სათავსის აგების დროს, იქ სადაც ამის შესაძლებლობა იყო, რელიეფს თითქმის ხელუხლებლად ტოვებდნენ და მხოლოდ დამრეც მონაკვეთებში მიმართავდნენ გრუნტის ჩაჭრა-მოსწორებით სამუშაოებს, შესაბამისად, მიწურის ტიპის კონსტრუქციის შექნას.

კულტურული ფენების შედგენილობა, მათ შორის დანახშირებული ხის ნაშთები სავარაუდოს ხდის, რომ ნაგებობას შიდა პერიმეტრში, მიწის კედლის გასწვრივ, გარკვეული ინტერვალით აღმართული ხის წვრილი ძელები – ე.წ. დგარები შემოუყვებოდა. ისინი იმავდროულად, გადახურვის კოჭების საყრდენის ფუნქციასაც ასრულებდნენ. ძელთა შორის არსებული სივრცე შევსებული უნდა ყოფილიყო წვრილი წნელის წნულით, რომელიც შემდგომ ბათქაშით ილესებოდა. სწორედ აღმართული ხის დგარები ორმოებში იქნებოდა ჩასმული, რიგ შემთხვევაში კი, ლპობის პროცესის თავიდან ასაცილებლად ისინი ქვის ბალიშებს დაეყრდნობოდნენ. სათავსში ორმოს გამოვლენა, სავარაუდოა, დედაბოძის არსებობაზე მიგვანიშნებდეს.

ნაგებობას გადახურვა ბანური ტიპის უნდა ყოფილიყო. სახურავზე თარაზულად გაწყობილ კოჭებზე დალაგებული წვრილი წნელის კონებზე ე.წ. ლელზე, თიხატკეპნილი ბანი იქნებოდა მოწყობილი. როგორც ჩანს, იატაკის დონეზე მიკვლეული დანახშირებული წვრილი ღეროები და დამწვარი თიხის დატკეპნილი ფრაგმენტები, სწორედ ამგვარი კონსტრუქციული გადახურვის ნაშთები უნდა იყოს.

მოპოვებული არტეფაქტების მიხედვით ნამოსახლარი IX-XI საუკუნეებში ფუნქციონირებდა. როგორც გაირკვა, ნაგებობა ხანძრის შედეგად მთლიანად განადგურდა და, იგი შემდგომ აღარ აღდგენილა. მოპოვებული არტეფაქტები თანხვედრია წერილობითი წყაროების ცნობისა, რომლის მიხედვითაც XI საუკუნის ბოლოს ივრისპირები თურქ-სელჩუკების მიერ იქნა აოხრებული [ჯავახიშვილი 1983: 160-163]. ნამოსახლარის ფუნქციონალური დანიშნულების სრულ სურათს (ინტერესს იწვევს საყოფაცხოვრებო ნივთებთან ერთად რკინისა და მინის წიდების აღმოჩენა), ისევე როგორც მის საბოლოო სტრუქტურას, ძეგლის არქეოლოგიური შესწავლის შემდგომი ეტაპი დაადგენს.

ქვაბების №11 ნამოსახლარზე არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული არტეფაქტების ქრონოლოგიური და ტიპოლოგიური მსგავსება მონასტრის ტერიტორიაზე არსებულ სხვა ნამოსახლარების მასალებთან, აგრეთვე ქვაბობანი ძეგლების ქრონოლოგიური მონაცემები გვაფიქრებინებს, რომ IX-XI საუკუნეებში გამოქვაბული კომპლექსი როგორც სამონასტრო ორგანიზაცია მჭიდროდ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული კლდოვანი მასივის ქვემოთ, მის უშუალო სიახლოვეს არსებულ ნამოსახლარებთან, ხოლო იქ არსებული ფართობი ინტენსიურად იყო ათვისებული – საცხოვრებელი, სამეურნეო და საწარმოო დანიშნულების ნაგებობებით.

საეკლესიო მიწათმფლობელობისა და სამეურნეო ორგანიზაციის ფორმითაც ქვაბები სრულიად განსხვავდება მრავალმთის სხვა მონასტრებისაგან, ვინაიდან კლდეში ნაკვეთი მონასტერი მასთან დაკავშირებული საყოფაცხოვრებო, სამრეწველო და სამეურნეო ნაგებობებით, ასევე მონასტრის ფარგლებს გარეთ სამ ათეულ ჰექტარ ფართობზე გაშლილი ნამოსახლარები, უთუოდ სამონასტრო კომპლექსური სისტემის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენენ.

ქვაბების სახით, ჩვენ საქმე გვაქვს საეკლესიო სენიორიის ისეთ ტიპთან, როდესაც სასულიერო კერის გარშემო გაერთიანებულია კომპაქტური დასახლებები თავისი სამრეწველო-სახელოსნო კერებით (ნამოსახლარებზე დაფიქსირებულია კერამიკის, ლითონისა და მინის წიდები, ასევე ამ სახეობის წუნდებული ნაწარმი – კერამიკისა და მინის სამაჯურების სახით) და როგორც გამოქვაბულ კომპლექსთან ისე სამოსახლოებთან დაკავშირებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულები.

ქვაბებში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოები, მიუხედავად მცირე მასშტაბისა, იძლევა საგულისხმო მასალებს მონასტრისა და მასთან დაკავშირებული სამოსახლოს ურთიერთმიმართების დასადგენად, ნამოსახლარების ტიპლოგიის განსასაზღვრად, აგრეთვე ივრისპირეთის მოსახლეობის სულიერი, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების რიგი საკითხების გასაშუქებლად, კომპლექსის ერთიანი სტრატიგრაფიული სურათის დასადგენად.

ამასთანავე, ქვაბებში განახლებული არქეოლოგიური გათხრებით საფუძველი ჩაეყარა მრავალწლიან სამუშაოს, რომელიც მიზნად ისახავს ივრისპირეთში სისტემატიურ ინტერდისციპლინარულ კვლევას. გარეჯში ჩატარებულმა კვლევა-ძიებამ თავისთავად წამოჭრა ახალი საინტერესო პრობლემები, გაჩნდა სამომავლო პერსპექტივები, თანდათანობით გამოიკვეთა კონტურები მრავალდარგობრივი პროექტისა, რომელიც ფართო ასპექტით წარმოაჩენს ამ რეგიონში ბუნებისა და ადამიანის ურთიერთმიმართების სურათს სხვადასხვა ქრონოლოგიურ ეტაპზე. თავისთავად, ამ რიგის კვლევები მეცნიერთა ფართო ჯგუფის თანამშრომლობას გულისხმობს და მისი განხორციელება მრავალი საყურადღებო საკითხის ახლებურად გააზრების საწინდარი გახდება.

Zurab Tvalchrelidze*, Zaza Skhirtladze**

* Georgian National Museum, Rustaveli Avenue 3, 0105 Tbilisi, Georgia,
Email: ztvalchrelidze@museum.ge
** Tbilisi State University, Chavchavadze Avenue 13, 0179 Tbilisi, Georgia,
Email: zazaskhirtladze@hotmail.com

Monasteries and Settlements in the Iori Area Gareja Desert Kvabebi

Summary

Archaeological study of the Gareja desert, which has been under way for the last three decades, constitutes one of the important directions of the complex research of the Monastic association. Especially prospective from this viewpoint appear to be the complexes lying in the eastern part of the desert: Kvabebi, Sabereebi, Pirukughmari, Kolagiri, Satorghe. This part of Gareja is little studied; yet the material and data, accumulated here over the last decades, demonstrate the high significance of this part of the monastic association for the history of the country at its different stages.

The Georgian National Museum has begun multidisciplinary research (archaeological, ethnographic, art history and source study) with a view to studying the cave complexes and adjacent settlements of Kvabebi.

Kvabebi clearly stands out among the monasteries of the Iori area Gareja both typologically and by its scale and, which is most important, due to the unusual abundance of surface material.

The cave complex, cut in six tiers in a 700 m rock massif, known under the name of 'Mta Kvabebi', comprises five independent groups of rock-cut structures, doubtless standing out among the monasteries of the Gareja desert. The frontal, facade side of the complex, open and tunnel-type corridors linking the tiers, staircase systems and caves are at present basically in a crumbled state. The number of surviving caves reaches seventy. Their majority is inaccessible, and it is not feasible to penetrate into them without mountaineers equipment and alpine climbers.

By typological classification, early and developed medieval cultic, household and economic-purpose caves stand out among the rock-cut structures. On the south side of the rock massif, at an inaccessible height, two domed churches are cut, and a refectory at the centre of the eastern slope. This must be indicative of the complex having served as a monastery of common residence.

A basic problem came to the fore at the initial stage of study: determination of the

interrelationship of the cave complex and its immediately adjoining settlement. In particular, it needs to be ascertained whether Kvabebi is a monastery with a settlement or it is a rock village with an intensive settlement around it. This problem appears to be topical today, for the existing picture of sites of similar order is so far not clear and comprehensive in the study of the monastic associations of the Christian East. Research into the problem is rendered difficult by the paucity of written sources as well. The problem of the coexistence and interrelationship of rock-cut monastic complex and settlements in the Christian East, namely in Cappadocia, was given attention some four decades ago. However, its study on the basis of archaeological excavations commenced recently. To date opinions differ in connection with the function of separate cave complexes of Cappadocia (L. Rodley, N. Teteriatnikov, R. Ousterhout, N. Thierry).

In 1974-1976 small-scale archaeological work was carried out at Kvabebi, resulting in a partial study of cultic, household and economic-production sites (B. Mchedlishvili).

After a suspension of almost twenty years, in October-November 2005, the archaeological expedition of the Georgian National Museum (director Z. Tvalchrelidze, members: Z. Skhirtladze, E. Nadiradze, S. Burdiladze) studying the Gareja monastic complex carried out small-scale excavations in front of the cave complex and at former settlement sites to the east and south.

According to the surface materials of the 9th-11th centuries, the settlement lying in immediate proximity of the cave monastery covers an area of about 30ha.

By the present stage of study, the task of the expedition was general description of the former settlement sites immediately adjoining the cave complex, determination of their topography, chronological and typological classification of the artefacts obtained on the sites, allowing the definition of the chronological framework of the functioning of the settlement sites and their relation to the cave complex.

Eleven settlements with material of the 9th-11th centuries were brought to light at this stage of study.

Part of settlement mound N11 was studied archaeologically. The cultural layer (1.4 m thick) embraced a single construction period, comprising layers of various structural components, spread horizontally:

I (upper) - loose clayey layer (thickness: 0.5-0.55 m), containing fragments of household utensils, bracelets, glass slag, osteological material and charcoal.

II (middle) – reddish-burnt layer (thickness: 0.1-0.2 m); two sub-layers with artefacts were identified: a) red layer of scorched plaster (thickness: 10 cm) and b) ashy layer (thickness: 5-10 cm).

III (lower) – loamy layer of solid structure (thickness: 0.1 m), containing charcoal interlayers and a small quantity of artefacts.

Removal of the cultural layer revealed a rammed-clay floor, with two round and oval shaped holes for the supporting beam of the roof, as well as the base – treated stone – of the beam. The excavations have shown that here we must be dealing with two rooms of a single structure, the existing difference (0.55 m) between the floor was due to the differing configuration of the relief.

The archaeological material brought to light on the site is represented by fragments of jugs, bowls (unglazed and glazed), pots, luteriai, wine jars and glass bracelets, as

well as iron and glass slag. The artefacts point to the advanced cultural and economic status of the residents of the settlement site, and are dated to the 9th-11th cc.

Close to the settlement site, eastward of it, a stone masonry wall came to light (length:2m, width:1m, height: 0.3 m), apparently forming parts of the single constructional system of the settlement.

In constructing the Kvabebi settlements stone structures were used, along with wood; the stone base was arranged on the rock ground. Where it was not feasible to cut deep into the rock, stone material was used for a foundation, on which plastered wattle was built as walls. The around the monastery was maximally utilized for various types of dwelling, household and manufacturing structures.

The excavations, carried out, allow one to express tentative views on the construction of the buildings in the Kvabebi settlement complex. We are presumably dealing with a two-room facility in the area excavated, the difference in the floor levels must be due to the configuration of the relief.

The remains of charred wood in the cultural layers of the facility suggest that the inner perimeter of the structure was surrounded, at a definite interval, by thin wooden stakes, the latter serving at the same time as supports for the roof beams. The space between stakes was filled with plastered wattle. The wooden stakes were set in holes; in a number of cases, to prevent the process of rotting, they rested on stone pads. The discovery of a hole in the centre of the facility must be indicative of the presence of the central pillar (so-called *dedabodzi*).

The roofs of the facilities must have been of the flat earth roof type. On beams laid on the roof were placed thin wattle bundles, above which a rammed floor flat roof was made. The charred stems and fragments of burnt rammed clay, traced at the level of the floor, must be the remains of such structure.

According to the artefacts brought to light, the settlement functioned in the 9th-11th centuries. The structure appears to have been completely destroyed by a fire, after which it was not restored. Further archaeological study of the site in question will ascertain the functional purpose, as well as structure, of the settlement (the discovery of iron and glass slags, along with household items evokes interest).

The archaeological and typological classification of the artefacts from excavations at the settlements, their resemblance to other materials obtained from the territory of the monastery give ground to assume that the case complex, as a monastic organization, must have been directly connected to the settlement in immediate proximity below the rock massif. In terms of the form of church land ownership and economic organization too Kvabebi differed absolutely from the monasteries of the Gareja desert, from the rock-cut monastery with related household, economic and production structures and the former settlement sites outside the boundaries of the monastery, covering some 30 ha of area, form a complex system.

In the shape of Kvabebi we are dealing with a type of church seigniory with complex settlements clustered round the church centre, with its production artisan quarters (pottery, metal and glass slags are attested on the settlement sites, as well as rejected wares of this variety – in the shape of pottery and glass bracelets), and farmland connected with it (both with the cave monastery and the settlement).

Notwithstanding the small-scale archaeological work carried at Kvabebi, it has yielded noteworthy material towards determining the interrelationship of the

monastery and the settlement linked to it, shedding light on questions of the socio-economic and cultural life of the population in the Iori area, as well as establishing the stratigraphy.

At the same time, the renewed excavations have laid the foundation for a multidisciplinary project which will highlight, on a wide scale, the picture of interrelationship of nature and man in this region at various chronological stages. Studies of this order imply cooperation of a broad group of specialists, and implementation of the studies will be a pledge of a novel conceptualization of many noteworthy issues.

ბიბლიოგრაფია

1. **თვალჭრელიძე ზ. 1988:** გარეჯის ნათლისმცემლის უდაბნო-მონასტერი (არქეოლოგიური კვლევა-ძიება), ძეგლის მეგობარი, №2, გვ. 12-21.

2. **თვალჭრელიძე ზ. 2002:** გარეჯის სამონასტრო ცხოვრების განვითარების ეტაპები არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, ზ. სხირტლაძე (რედ.), სამონასტრო ცხოვრება უდაბნოში. გარეჯა და ქრისტიანული აღმოსავლეთი [გარეჯის კვლევის ცენტრის შრომები, II], თბილისი, გვ. 27-48.

3. **თვალჭრელიძე ზ. 2003:** გარეჯის სამონასტრო გაერთიანების არქეოლოგიური შესწავლისთვის, კავკასიის მაცნე, №8, გვ. 42-46.

4. **თვალჭრელიძე ზ. 2004:** გარეჯის სამონასტრო გაერთიანების კერამიკის კვლევისათვის (დოდოს რქის მოჭიქული ჯამები), ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, 45 გვ.110-126.

5. **თვალჭრელიძე ზ., სხირტლაძე ზ. 2001:** გამოქვაბული სამარტვილე წამებულში, Academia, №1, გვ. 50-55.

6. **თვალჭრელიძე ზ., სხირტლაძე ზ. 2004:** ლითონის ახლად გამოვლენილი ნივთები გარეჯის წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტრიდან, კავკასიის მაცნე, №9, გვ. 87-94.

7. **თვალჭრელიძე ზ., ქებულაძე ნ. 2000:** გარეჯის სამონასტრო კომპლექსის არქეოლოგიური კვლევის ახალი ასპექტები (ნავთობი IX-X სს. ჭრაქებში), ძეგლის მეგობარი, №2, გვ. 18-23.

8. **მჭედლიშვილი ბ. 1977:** ივრისპირა ქვაბების არქეოლოგიური დაზვერვები, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, V, გვ. 158-162.

9. **მჭედლიშვილი ბ. 1978:** ივრისპირა „ქვაბების“ 1976 წლის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, VI, გვ. 114-119.

10. **სხირტლაძე ზ. 2004ა:** ბერთა მთის ქვაბებში, კავკასიის მაცნე, №10, გვ. 115-122.

11. **სხირტლაძე ზ. 2004ბ:** მასალები გარეჯის მრავალმთის ადრეულ მოხატულობათა შესწავლისათვის. მრავალწყაროს ეკლესია, ქრისტიანობის ოცი საუკუნე საქართველოში, თბილისი, გვ. 253-269.

12. სხირტლაძე ზ. 2007: წმ. ელია წინასწარმეტყველის ეკლესია უდაბნოს მთაზე: გაწმენდითი და საკონსერვაციო სამუშაოები, თამარ გამსახურდია – 70, თბილისი, გვ. 319-330.

13. სხირტლაძე ზ., თვალჭრელიძე ზ., აბაშიძე ქ., ბერიძე თ., დადიანი კ., კიკნაძე მ. 2006: წმ. დავით გარეჯელის განსასვენებელი, თბილისი.

14. ჯავახიშვილი ივ. 1983: ქართველი ერის ისტორია, თხზულებები, ტ. II, თბილისი.

15. Eastmond A., Skhirtladze Z. 2001: Final report on an INTAS project to survey, record and restore a number of newly discovered rock-cut monasteries in the Gareja desert, Georgia, *Bulletin of British Byzantine Studies*, 27, გვ. 36-38.

16. Ousterhout R. 1997a: Survey of the Byzantine Settlement at Çanli Kilise in Cappadocia: Results of the 1995 and 1996 seasons, *Dumbarton Oaks Papers*, 51, გვ. 301-306.

17.Ousterhout R. 1997b: Questioning the Architectural Evidence: Cappadocian Monasticism, M. Mullett and A. Kirby (eds.), *Work and Worship at of the Theotokos Evegertis, 1050-1200, [Belfast Byzantine Texts and Translations: 6,2]*, Belfast, გვ. 420-431.

18. Rodley L. 1985: *Cave Monasteries of Byzantine Cappadocia*, Cambridge.

19. Skhirtladze Z. 2001: Newly discovered early paintings in the Gareja desert, A. Eastmond (ed.), *Eastern Approaches to Byzantium* (ISPBS Publications, 9), Aldershot, გვ. 149-167.

20. Skhirtladze Z. 2006: Martyrs and Martyria in the Gareja Desert, M. Kaplan (ed.), *Monastères, images, pouvoirs et sociète à Byzance [Byzantina Sorbonensia – 23]*, Paris, გვ. 61-88.

21. Teteriatnikov N. 1994: Monastic Settlements in Cappadocia: the Case of the Göreme Valley, M. Mullett and A. Kirby (eds.), *The Theotokos Evergetis and Eleventh-century Monasticism [Belfast Byzantine Texts and Translations: 6,1]*, Belfast, გვ. 21-50.

22. Thierry N. 2002: *La Cappadoce de l'antiquite au Moyen Age*, Paris, გვ. 205-209.

ილუსტრაციების სია

სურ. 1. ქვაბები. გამოქვაბული კომპლექსის საერთო ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.
სურ. 2. ქვაბები. კომპლექსის ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან.
სურ. 3. ქვაბები. №1 და №2 გამოქვაბულები კომპლექსის სამხრეთ-აღმოსავლეთ სექტორში.
სურ. 4. ქვაბები. ტოპოგეგმა (ბ. მჭედლიშვილის მიხედვით) ნამოსახლარების განლაგების სქემით.
სურ. 5. ქვაბები. №11 ნამოსახლარი. გათხრების საწყისი ეტაპი. ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან.
სურ. 6. ქვაბები. №11 ნამოსახლარი. გეგმა.
სურ. 7. ქვაბები. №11 ნამოსახლარი. ჭრილი.
სურ. 8. ქვაბები. №11 ნამოსახლარი. გათხრების პროცესი.
სურ. 9. ქვაბები. ნამოსახლარებზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალა (IX-XI სს.).

List of Illustrations

Fig.1. General view of the cave complex from south-east.
Fig. 2 Kvabebi. View of the cave complex from south-west.
Fig. 3. Kvabebi. Caves N1 and N2 in the south-eastern part of the complex.
Fig. 4. Kvabebi. Topographic plan (according to B. Mchedlishvili) with the settlement sites.
Fig. 5. Kvabebi. Settlement N11. Initial stage of the excavations. View from north-west.
Fig. 6. Kvabebi. Settlement N11. Plan.
Fig. 7. Kvabebi. Settlement N11. Section.
Fig. 8. Kvabebi. Settlement N11. Process of the excavations.
Fig. 9. Kvabebi. Archaeological material obtained during the excavations.

სურ. 1 Fig.



სურ. 2 Fig.

სურ. 3 Fig.



სურ. 4 Fig.

სურ. 5 Fig.



სურ. 6 Fig.



სურ. 7 Fig.

სურ. 8 Fig.



სურ. 9 Fig.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია №1 (46-B), 2010, 116-138
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences №1 (46-B), 2010, 116-138

ნოდარ ბახტაძე

საქართველოს ეროვნული მუზეუმი, რუსთაველის გამზირი 3, 0105,
თბილისი, საქართველო, ელ.ფოსტა: nodarbakh@yahoo.com

ნეკრესის მონასტრის მემორიალური სამლოცველოს არქეოლოგიური კვლევის შედეგები

ნეკრესის სამონასტრო კომპლექსი თანამედროვე ყვარლის რაიონში მდებარეობს, ყვარელი-თელავის გზატკეცილის მერვე კილომეტრზე, ხელმარჯვნივ, „ნაზვრევი გორის“ სახელით ცნობილ მთის კალთაზე, ისტორიული ნეკრესის ნაქალაქარის მიდამოებში.

წერილობითი წყაროებითა და ჩვენ მიერ ჩატარებული არქეოლოგიური კვლევებით დადასტურებულია, რომ ქალაქი ნეკრესი ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში, იბერიის სამეფოს დიდი პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობის ურბანისტული ცენტრი იყო [მროველი ლეონტი 1955: 29, 33; ჭილაშვილი 2004: 8-10]. ქართლის სახელმწიფოს შემადგენლობაში ამ ქალაქმა ადრეულ შუა საუკუნეებშიც შეინარჩუნა ფრიად დაწინაურებული მდგომარეობა, რის შესახებაც თუნდაც შემდეგი ფაქტი მეტყველებს: ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით, ხელისუფლების მიერ ქრისტიანობის ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიად აღიარებიდან (დღესდღეობით ყველაზე დასაბუთებული სამეცნიერო თეორიის მიხედვით, ეს იყო 326 წელი [მუსხელიშვილი 2003: 26] დაახლოებით 4-5 ათწლეულის შემდეგ, მეფე ორდატის[1] ძალისხმევით, აქ იმდენად გამორჩეული ქრისტიანული ტაძარი აშენდა, რომ ეს ფაქტი ისტორიულ ქრონიკებში განსაკუთრებულადაა აღნიშნული, როგორც საქვეყნო მნიშვნელობის მოვლენა – „და დაჯდა მეფედ ორდატ ..... და მეფემან რუისთვისა რუ გამოიღო და ეკლესიისა საფუძველი დადვა, და მის ზევე ნეკრესს კახეთისასა ეკლესია აღიშენა განსრულებით“ [მოქცევაჲ.. 1979: 354]; „ხოლო მან [მეფე ორდატმა. ნ.ბ.] გამოიღო რუსთავი და აღაშენა ეკლესია; და მანვე აღაშენა ეკლესია ნეკრესისა“ [მროველი ლეონტი 1955: 137].

[1] მიღებული ისტორიული ვერსიით, ორდატი იყო ქართლის გამაქრისტიანებელი მეფე მირიანის შვილიშვილი. თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია ქართლში მისი მეფობის ხანად დაახ. 369-393 წლებს განსაზღვრავს [გოილაძე 1990: 110-114].

უკვე V ს-ში, ნეკრესის ეპარქია ქართული სამოციქულო ეკლესიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საეპისკოპოსოდ გვევლინება [ჯავახიშვილი 1979: 399; მუსხელიშვილი 2003: 249]. ამ საეპისკოპოსოს აღმავლობა,მისი საქართველოს მთიან რეგიონებსა და ჩრდილოეთ კავკასიაში ქრისტიანობის გავრცელების ფლაგმანად გადაქცევა, მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია VI ს-ის დიდი ქრისტიანი მოღვაწის, საქართველოში ასკეტიზმის იდეების საყოველთაოდ განმავრცელებლად მიჩნეულ „ათცამეტ ასურელ მამათაგან“ ერთ-ერთის, წმინდა აბიბოს ნეკრესელის სახელთან, რომელიც ერთხანს სათავეში ედგა აღნიშნულ ეპარქიას და მოწამეობრივად აღესრულა ჩვენში ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცებისთვის. ისტორიული ტრადიციით ამ წმინდა მამას ქალაქ ნეკრესის მიმდებარე სერის კალთაზე მონასტერი დაუარსებია, რომელიც შემდგომ, მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში, ქართული ქრისტიანული კულტურის ერთ-ერთ მძლავრი კერა იყო [მარტვილობაღ... 1964: 207; ბატონიშვილი... 1973: 545].

ნეკრესის სამონასტრო კომპლექსში, ამჟამად ზეზეურად, მხოლოდ ორი მოზრდილი ეკლესია, ორი მცირე სამლოცველო, სატრაპეზო, ეპისკოპოსის სასახლე, საბრძოლო კოშკი, აგრეთვე რამდენიმე საყოფაცხოვრებო-სამეურნეო ნაგებობა და საფორტიფიკაციო სისტემების ნაშთებია შემორჩენილი [Чубинашвили 1959:37-38; ელიზბარაშვილი 1986; ბახტაძე, თევდორაშვილი... 2010: 19-43]. შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლთა ეს საყოველთაოდ ცნობილი ანსამბლი და მისი შემადგენელი ცალკეული ნაგებობანი უკანასკნელი ასწლეულის განმავლობაში არაერთხელ გახდა ქართველ ხელოვნების ისტორიკოსთა კვლევის საგანი; ამის საპირისპიროდ, ქართული ქრისტიანული კულტურის ეს უძველესი და უმნიშვნელოვანესი კერა, არქეოლოგიური თვალსაზრისით ბოლო დრომდე სრულიად შეუსწავლელი იყო.

ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნეკრესის ნაქალაქარის შემსწავლელი არქეოლოგიური ექსპედიცია, ჯერ კიდევ მისი პირველი ხელმძღვანელის,აკადემიკოს ლევან ჭილაშვილის სიცოცხლეშივე და უკანასკნელ წლებშიც[2], ამ ნაქალაქარის არეალში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის სხვა ძეგლების კვლევის პარალელურად, მუდამ ეძებდა შესაფერის დროსა და რესურსებს, რათა მოქმედი მონასტრის განაწესის მაქსიმალურად მცირე დარღვევით, ამ ანსამბლის არქეოლოგიური შესწავლა განხორციელებულიყო. სწორედ ასეთი ხელსაყრელი პირობები შეიქმნა 2009 წელს, ნეკრესის მონასტრის სარეაბილიტაციო სამუშაოების თანმხლები არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარების დროს. მართლაც, არქეოლოგიურმა გათხრებმა მეტად საყურადღებო ინფორმაცია მოგვაწოდა ამ მონასტრის რამდენიმე უძველესი ნაგებობის ავთენტური სახის, შექმნის თარიღისა და დანიშნულების ობიექტურად გასააზრებლად. ქართული ისტორიული მეცნიერების წინაშე, ამჟამინდელ აქტუალურ პრობლემათა გადაჭრის თვალსაზრისით, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ამ ანსამბლის ცენტრში

[2]ბოლო 6 წელია, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნეკრესის არქეოლოგიურ ექსპედიციას ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნ. ბახტაძე უძღვება.

მდებარე, ამ დრომდე „IV ს-ის ბაზილიკის“ სახელწოდებით ცნობილი მცირე სამლოცველოს არქეოლოგიური კვლევის შედეგები (სურ. 1,2,3).

ეს სამლოცველო დაზიანებამდე ქვის სუბსტრუქციაზე ამოყვანილი, სამი სხვადასხვა სიმაღლის მოცულობისგან შედგენილი ნაგებობა იყო (სურ. 3). ცენტრალურ ნაწილს დარბაზული ეკლესიის გეგმა აქვს და მის აღმოსავლეთით მინიატურული საკურთხეველია (სურ. 4)[3] ეს დაახ. 4 კვ. მ ფართობის სათავსი ძალზე მაღლა, კოშკისებურადაა აზიდული. მას ჩრდილოეთითა და სამხრეთით ფართო ღიობები ჰქონია დატანებული, რომლებითაც ოდნავ უფრო განიერ და მნიშვნელოვნად დაბალ, ოთხივე მხრივ ფანჩატურისებურად გახსნილ სივრცეებს უკავშირდებოდა (სურ. 5). ამ გვერდითა სათავსებს გაცილებით დაბალი, კამარისებური გადახურვა ჰქონია – ჩრდილოეთისას, ცენტრალური სამლოცველო „დარბაზის“ მსგავსად, გრძივი, ხოლო სამხრეთისას კი განივი. შესაბამისად, ჩრდილოეთის „სტოას“ ცალქანობიანი სახურავი ფარავდა, სამხრეთისას კი ორქანობიანი (2009 წელს ჩატარებულ რესტავრაციამდე სამხრეთის სათავსისგან მხოლოდ მცირე დეტალები იყო შემორჩენილი; მისი აღნაგობის თეორიული რეკონსტრუქცია არქეოლოგიურად გამოვლენილი გეგმის საშუალებით მოხერხდა. სურ. 8). ჩრდილოეთის სათავსის ქვეშ სარდაფის ტიპის კრიპტა მდებარეობს, რომლის ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის კედლები სამლოცველოს გარეთა ფარგლებიდან დაახ. 0.5 მ-ით გარეთ გადის (სურ. 5, 6, 7)

აღწერილი მცირე სამლოცველო, ქართული ხელოვნების ისტორიის სკოლის ფუძემდებელმა, აკადემიკოსმა გ. ჩუბინაშვილმა ჩვენში მეცნიერების ამ დარგის გარიჟრაჟზე, საქართველოში ქრისტიანული ბაზილიკების თემის ერთ-ერთ ემბრიონულ, ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი აღნაგობის ნიმუშად მიიჩნია და IV ს-ით დაათარიღა. მანვე, მნიშვნელოვანწილად სწორედ ამ ძეგლის აღნაგობის გათვალისწინებით, ქართულ ეკლესიათა მშენებელ-ხუროთმოძღვრების პირველი მცდელობანი მთელი IV ს-ის განმავლობაში დაახლოებით იგივე მასშტაბის, ბოლომდე გაუაზრებელი კონცეფციით ნასაზრდოები ნაგებობების სახით წარმოიდგინა [Чубинашвили 1959: 37-45; ჩუბინაშვილი 1936: 23-27]. საქართველოში აგებული უადრესი ქრისტიანული ტაძრების თითქოსდა მინიატურული ზომებისა და პრიმიტიული გეგმარებითი სქემების მიზეზის ასახსნელად, გ. ჩუბინაშვილი იმ შესაძლებლობასაც არ გამორიცხავდა, რომ პირველი ქართული ქრისტიანული სამლოცველოები ადგილობრივმა ოსტატებმა, აღმოსავლეთ რომის იმპერიის სასულიერო ცენტრებიდან ჩამოსული მისიონერების მიერ (მაგ. წმ. ნინოს ქადაგე-

[3] სამლოცველოს ცენტრალურ დარბაზს დასავლეთიდან აღმოსავლეთით დამხრობის ღერძზე წაგრძელებულ სივრცედ მხოლოდ პირობითად ვთვლით – სინამდვილეში ეს ღერძი და, შესაბამისად, მისი პარალელური, სამლოცველოს დანარჩენი კედლების მიმართულება, თითქმის 40 გრადუსითაა გადახრილი სამხრეთ-აღმოსავლეთით. მიუხედავად ასეთი მნიშვნელოვანი ცდომილებისა, ნაშრომის ტექსტში, ქრისტიანული ტაძრების ჩვეული გეგმარებითი კანონზომიერების გათვალისწინებით, მკითხველის მიერ ნაგებობის მინიშნებული დეტალების ადვილად აღქმის მიზნით, სამლოცველოს ცენტრალური „ნავის“ გრძივ ელემენტებს ჩრდილოეთისად და სამხრეთისად მოვიხსენიებთ, განივ გეგმურ ელემენტებს კი აღმოსავლეთისად და დასავლეთისად. ასევითვე პირობითობით აღვნიშნავთ სამლოცველოს დანარჩენ, აღნიშნული კედლების პარალელურ მიმართულებებს.

ბისას) იქ არსებული ეკლესიების ზეპირი აღწერის საფუძველზე ააგეს [Чубинашвили 1959: 134; ჩუბინაშვილი 1936: 26]. გარდა ამისა, მან ივარაუდა, რომ რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ისეთი უნდობლობით ან უჩვეულო მოკრძალებით ეკიდებოდა ახალ რელიგიას, რომ ამ ეკლესიებში წირვისას მხოლოდ სასულიერო პირები შედიოდნენ და, ამდენად, მრევლის თავშეყრისთვის საკმაო მოცულობის ტაძრების აგების საჭიროება იმ დროს არ არსებობდა [Чубинашвили 2002: 10-11].

ამრიგად, ამ თეორიის მიხედვით, საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარების შემდეგ, თითქმის 7-8 ათწლეულის განმავლობაში მრევლი ლიტურგიაში არ მონაწილეობდა, ხოლო ადრებიზანტიურ თუ აღმოსავლურ-ქრისტიანულ სამყაროს პრაქტიკულად ყველა პროვინციაში ესოდენ სწრაფად და საყოველთაოდ გავრცელებული ნამდვილი, მოზრდილი ბაზილიკები ამ მიზეზისა თუ საეკლესიო არქიტექტურის პრინციპებში ბოლომდე გაურკვევლობის გამო, არ იგებოდა.[4]

გარდა აღნიშნული მოსაზრების შეუსაბამობისა აღმოსავლურ ქრისტიანული სამყაროს ეკლესიათმშენებლობის საერთო ისტორიულ ტენდენციებთან, ლოგიკური მსჯელობიდან გამომდინარე, საჭოჭმანო გახდა ნეკრესის განხილული სამლოცველოს კონკრეტული ფუნქციაც: გამოდიოდა, რომ ახალი აღმსარებლობის პირველი ტაძარი ქვეყნის ხელისუფალმა ამ სამეფო ქალაქიდან საკმაოდ მოშორებულ, იმჟამად უკაცრიელ მთაზე ააგო, ამასთან, ეს ეკლესია იმდენად მცირე ზომის იყო, რომ წირვისას მასში მღვდლის გარდა ათიოდე ადამიანის ერთდროულად ყოფნაც კი გაჭირდებოდა (თითქოსდა ოფიციოზს შეგნებულად არ სურდა ქრისტიანობაზე ახლად მოქცეული მოსახლეობის ეკლესიის წიაღთან მასობრივად დაახლოება და ამით მისი რწმენის გაღრმავება); საკმაოდ გაუგებარი ჩანდა ისიც, თუ რატომ ჰქონდა ასეთ ადრეულ, პატარა და „განმხოლოებულ“ ეკლესიას შეუსაბამოდ ვრცელი კრიპტა. აგების ხანის აღნიშნულ ვერსიას თუ ამოსავალ წერტილად ჩავთვლით, ეს აკლდამა მხოლოდ ახლად შემოღებული სარწმუნოების მიმდევარი, ქალაქის (პროვინციის) მმართველი საგვარეულო ოჯახის წარმომადგენლებისა ან წმინდანის რანგში აყვანილი მისიონერი სასულიერო პირების დასაკრძალავად უნდა ყოფილიყო განკუთვნილი. მაგრამ რატომ დასჭირდებოდა ქრისტიანობაზე ახლად მოქცეული ქვეყნის ოფიციოზს ამდენად მნიშვნელოვანი პირების ქალაქიდან ესოდენ მოშორებით დაკრძალვა? ჩვენთვის ხომ ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ადრეული ქრისტიანული ლიტურგიისას წარსულში გამორჩეული სასულიერო პირებისა თუ ქრისტიანობის მეცენატი არისტოკრატების მემორიუმებსა და რელიქვარიუმებს. გარდა ამისა, ნეკრესის მონასტრის დაარსების ხანის შესახებ ჩვენში ამ დრომდე სა-

[4] ბატონი გ. ჩუბინაშვილის წარმოდგენილი მსჯელობა ნეკრესის უძველესი სამლოცველოს აგების თარიღისა და ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების განვითარების საწყისი ეტაპის თავისებურებათა შესახებ, შემდგომ მრავალმა ცნობილმა ქართველმა ხელოვნების ისტორიკოსმა პრაქტიკულად უკრიტიკოდ გაიზიარა [ბერიძე 1974: 18, 22 და სხვ.].

ყოველთაოდ მიღებული ვერსიის გათვალისწინებით გამოდიოდა, რომ წმინდა აბიბოს ნეკრესელის თაოსნობით ამ სამლოცველოს შემოგარე ტერიტორიაზე დავანებულმა პირველმა ასკეტმა მონაზვნებმა, ორი საუკუნის შემდეგ გამოიყენეს ხელახლა ეს კაპელა და აკლდამა ახალი დანიშნულებით.

რიგმა ქართველმა ისტორიკოსებმა და კულტუროლოგებმა დიდი ხანია შენიშნეს ის შეუსაბამობა, რაც ერთი მხრივ, ქართული ისტორიული წყაროების მონაცემებსა და აღმოსავლეთ ქრისტიანულ სამყაროს დანარჩენი ქვეყნების ადრეული ქრისტიანული სატაძრო ხუროთმოძღვრების საერთო ტენდენციებს, მეორე მხრივ კი, ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების გენეზისის აღნიშნულ ვერსიას შორის არსებობდა. ამ მკვლევართა არგუმენტებში ნეკრესის სამლოცველოს უფრო ზუსტად დათარიღების მცდელობაც ერთ-ერთი საკვანძო საკითხია. უნდა ითქვას, რომ საკითხისადმი ასეთი მიდგომა ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების გენეზისის ტრადიციული ვერსიის მომხრე მრავალ ცნობილ მეცნიერს, არასაკმარისად დასაბუთებულად და მიუღებლად მიაჩნია [კიკნაძე, მირზაშვილი 1985, 1987; ლომოური, ანდღულაძე, თუმანიშვილი 1984; ბერიძე 1986 და სხვ.].[5]

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ჩვენ მიერ ამ სამლოცველოს თანადროული, მის საფუძვლად გამოყენებული ქვით ნაგები პლატფორმის კედლებს შორის მოქცეული სივრცის შიგთავსის არქეოლოგიურმა კვლევამ, ძეგლის პირველმკვლევართა მიერ შემოთავაზებული, ზემოთ აღწერილი ვერსიისგან საკმაოდ განსხვავებული სურათი წარმოგვიდგინა. გამოირკვა, რომ ეს სუბსტრუქცია სრულიადაც არ ყოფილა ნაგებობის საყრდენი მასიური მოცულობა ჩრდილოეთის კიდეში დატანებული ერთადერთი სიცარიელით, კრიპტით – პედესტალის შიდა სივრცე პრაქტიკულად მთლიან სიღრუეს წარმოადგენს და, თავდაპირველადვე, რამდენიმე აკლდამის მოსაწყობი კედლებით ყოფილა დატიხრული (სურ. 4, 5, 9, 10, 11). ამ აკლდამათა აღნაგობა არაეროგვაროვანია: განსხვავებით ჩრდილოეთის დიდი, სამლოცველოს პერიმეტრის გარეთ (აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით) გასული, მძლავრი კედლებით მოზღუდული, კამარით გადახურული სარდაფი-კრიპტისგან, მის სამხრეთით, სამლოცველოს სამხრეთისა და ცენტრალური ნაწილების ქვეშ მდებარეობდა ქვიტკირის კედლებით ერომანეთის გვერდით გამოყვანილი 5 „ქვა-ყუთის“ მოყვანილობის, უხეშად ნათალი ქვის ბრტყელი ფილებით გადახურული აკლდამა. №1 და №2 აკლდამა სამლოცველოს სამხრეთის „ნავის“ კედლების მაღალ საძირკვლებს შორის მოქცეულ სივრცეში იყო „ჩაწერილი“ და ისინი ერომანეთისგან 25-30 სმ სისქის ტიხრით იყო გამოყოფილი; №3, აღნაგობით ამ ორი აკლდამის მსგავსი აკლდამა სამლოცველოს ცენტრალური სივრცისა და სამხრეთის ეკვდერის გამყოფი სქელი კედლის ქვეშ არის მოქცეული

[5] არ შეგვიძლია გვერდი ავუაროთ იმ გარემოებას, რომ აოწლეულების განმავლობაში საყოველთაოდ მიღებული, პირველი ქართული ეკლესიების ხუროთმოძღვრული აღნაგობის საკითხის ახლებურად გააზრების მცდელობისას გამართულმა დისკუსიამ რიგ შემთხვევებში, სამწუხაროდ, სამეცნიერო კამათისთვის მიღებულ საზღვრებს გადაცილებული ფორმაც კი მიიღო.

და თითქმის ზუსტად ამ კედლის საძირკვლის სიგანისაა. რაც შეეხება №4 და №5 აკლდამებს, სტრუქტურითა და მშენებლობის ტექნიკით ისინიც აღნიშნული სამარხების მსგავსია, მაგრამ, ვინაიდან მათი გათხრისას დასავლეთით კლდოვანი მასივი აღმოჩნდა, აკლდამების ეს წყვილი მნიშვნელოვნად აღმოსავლეთით არის გაწეული და თითქმის სანახევროდ საკურთხევლიანი კედლის შიგნით შედის. №3 აკლდამის გარეგანი შესწავლითა და № 4 – 5 აკლდამების გათხრის შედეგად თვალნათლივ გამოჩნდა, რომ ისინი სამლოცველოს აგების შემდეგ კი არ არის მოწყობილი, არამედ მათზე დაფარებულ ქვის ფილებზე თვით სამლოცველოს საძირკვლები და საკურთხევლის კედლებია დაშენებული. ამრიგად, აღნიშნული აკლდამიდან უკანასკნელი სამი მაინც, აშკარად თვით სამლოცველოს ნაგებობაზე ადრეა მოწყობილი. სრული ტიპოლოგიური მსგავსებიდან გამომდინარე და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ №2-სა და №3 აკლდამებს ავთენტური საერთო ტიხარი ყოფს, უნდა ჩავთვალოთ, რომ ხუთივე აკლდამის მოწყობა წინ უსწრებდა სამლოცველოს მშენებლობას; არქეოლოგიური სურათიდან გამომდინარე ისიც აბსოლუტურად ცხადია, რომ სამლოცველო სწორედ ამ აკლდამებში (და, როგორც ნახავთ, კრიპტის კამერებში) დაკრძალულ პირთა ხსოვნისადმი და მათ სულთა უფლისადმი შესავედრებლად არის აგებული.

ჩვენ არქეოლოგიურად შევისწავლეთ № 1, 2, 4 და 5 აკლდამების შიგთავსები (№3 აკლდამის გათხრა ნაგებობის კონსტრუქციას შეუქმნიდა საფრთხეს, გარდა ამისა, ამ აკლდამის მომავლისათვის გაუთხრელად შენახვა არქეოლოგიური მემკვიდრეობის შენარჩუნების ეთიკური კოდექსითაც მიზანშეწონილი იყო). №1 და №2 აკლდამები კოლექტიური სამარხები აღმოჩნდა – მათში გაშოტილ, ქრისტიანულ პოზაში დაუკრძალავთ ინდივიდები, რომელთაგანაც მხოლოდ უკანასკნელი 3 მიცვალებულის ნეშტი აღმოჩნდა ერთმანეთის გვერდით ან ერთმანეთზე დასვენებული, ადრე დაკრძალული მიცვალებულების ძვლოვანი ნეშტები კი, საქართველოში მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში გავრცელებული წესისამებრ, აღმოსავლეთ კიდეში მიუხვეტავთ (ნეშტების პრეპარაცია სრულყოფილად მხოლოდ №2 აკლდამაში მოხერხდა, №1-ში კი ნესტისგან დაშლილი ძვლები მხოლოდ დაკრძალულთა ზოგად მდებარეობაზე მიგვანიშნებდა). აღსანიშნავია, რომ შესწავლილი ორივე აკლდამა ოჯახური განსასვენებელი აღმოჩნდა – მათში დადასტურდა, როგორც მამაკაცების, ისე ქალებისა და მცირეწლოვანი ბავშვების ნეშტები. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ოჯახური სამარხები ნეკრესის მონასტრის მეცენატი ფეოდალური საგვარეულოთა წარმომადგენლების ძვალთშესალაგია[6].

სამარხები თითქმის უინვენტარო აღმოჩნდა: მხოლოდ №1 სამარხის

6 მონასტრებში, ამ სავანეებზე მზრუნველ ფეოდალურ საგვარეულოთა ოჯახების წევრთა სამარხების მოწყობა წმინდა მოდვაწე ბერების საძვალეების ახლოს შუა საუკუნეების საქართველოში მეტად გავრცელებული მოვლენა იყო. ამასთან დაკავშირებით გავიხსენოთ ერთი ეპიზოდი გრიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“ – სამეფო აზნაური გაბრიელ დაფანჩული გრიგოლ ხანძთელს სთხოვს: „...თქვენ მონაწილე გვყვენით წმიდათა ლოცვათა თქვენთა ცხოვრებასა ამას და შემდგომად სიკვდილისა, და ძვალნი ჩვენნი დირს ყვენით დასხმად წმინდათა თანა ძვალთა თქვენთა“ [მერჩულე 1964: 126].

აღმოსავლეთით მიხვეტილ ძვლებში დადასტურდა შავი მინის მრგვალგანივკვეთიანი სამაჯურის ფრაგმენტები (ქალის დაკრძალვაზე, ე.ი. საერო-ოჯახურ აკლდამაზე მიმანიშნებელი უტყუარი ფაქტი), რომელიც IX ს-ით თარიღდება [დოლაბერიძე, 1969: 105-106]; სწორედ ამიტომ, ამ აკლდამათა მოწყობის ხანაზე და ფუნქციონირების ქრონოლოგიურ ჩარჩოებზე დასაფლავებისას მიცვალებულებთან ერთად შემოხვევით (მიწის მიყრისას) მოხვედრილი კერამიკული ნაკეთობების მცირე ფრაგმენტების მიხედვით უნდა ვიმსჯელოთ (ტაბ. I, 11-17). ამ თიხის ნაწარმს შორის უადრესია გარედან მოვარდისფროდ გაპრიალებული, პირმოყრილი, დაბალქუსლიანი ჯამისა და ამგვარადვე გაპრიალებული, მსხლისებრი მოყვანილობის დოქების ნაწილები, რომელთა ტიპოლოგიური ანალოგიები ქართველ არქეოლოგთა მიერ აღმოსავლეთ საქართველოში მდებარე, ძირითადად VI-VII საუკუნეებით დათარიღებული არქეოლოგიური ძეგლებიდან კარგადაა ცნობილი (მათ შორის თვით ნაქალაქარი ნეკრესის განათხარი ძეგლებიდან, მაგალითად „ჭაბუკაურის“ ბაზილიკის ნანგრევებზე VI ს-ში მიშენებული ეკლესიიდან, რომლის ფუნქციონირებამაც, მის იატაკზე მიკვლეული ბიზანტიური და ირანული მონეტებიდან გამომდინარე, მხოლოდ VIII ს-მდე გასტანა) [ბახტაძე 2010: 209-210, 213]. მსგავსი ნაწარმის ზოგიერთი, ოდნავ სახეცვლილი, გარედან ნაკლებად გაპრიალებული ნიმუშები VIII ს-ის II ნახევარში და IX ს-შიც კი გვხვდება [ჭილაშვილი 1964: 113, ტაბ. XI-XII; მამაიაშვილი 2004: 129-131]. ასევე დანამდვილებით ცნობილია, რომ IX საუკუნეს უნდა განეკუთვნებოდეს №1 სამარხის შემავსებელი მიწის ზედა ფენაში აღმოჩენილი, თიხის ჯამის პატარა ფრაგმენტი, რომლის შიშველი შიდაპირი თეორი ანგობით ყოფილა მოხატული, შემდეგ კი მწვანედაა მოჭიქული [მიწიშვილი 1969: 14-15; ბახტაძე, ზენდერი... 2005: 257 და სხვ.].

№4 და №5 აკლდამები კონსტრუქციულად ერომანეთისა და №2 სამარხის იდენტურები აღმოჩნდა, მაგრამ დიდი ხნის განმავლობაში წყლის ჟონვის გამო, მათში ჩასვენებული მიცვალებულების ნეშტების მიახლოებული სიზუსტით პრეპარაციაც კი ვერ მოხერხდა. მხოლოდ იმის დაფიქსირება შევძელით, რომ თითოეულ მათგანში ერთზე მეტი ინდივიდი ყოფილა დაკრძალული, ამასთან, აღმოსავლეთ კიდეში დაფშვნილი ძვლის გაცილებით დიდი რაოდენობა მათში ჩასვენებული მიცვალებულების ნეშტების არაერთგზის მიხვეტაზე უნდა მეტყველებდეს, რაც კოლექტიური სამარხების ნიშანია. ეს სამარხებიც უინვენტარო აღმოჩნდა, აქაც არტეფაქტები მხოლოდ შემთხვევით, მიწასთან ერთად მოხვედრილი, ზემოთ აღწერილი ტიპის მოვარდისფროდ და მოწითალოდ გაპრიალებული ჭურჭლის მცირე ფრაგმენტებითაა წარმოდგენილი. დანამდვილებით VIII-IX საუკუნეებით დათარიღებული თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები მათში არ აღმოჩნდა, ამიტომ გამორიცხული არ არის, რომ მათ VI-VII საუკუნეების შემდეგ აღარ იყენებდნენ.

ჩვენი კვლევის უმნიშვნელოვანეს პრობლემა იყო იმის დადგენა, თუ როდის, რა მიზნით შეიძლებოდა აეგოთ ეს სამლოცველო აკლდამების ერთობლიობით შედგენილ ქვის პლატფორმაზე და რა მიმართებაში იყო ეს ნაგებობა VI საუკუნეში ამ ტერიტორიაზე დაარსებულ (ან სა-

ფუძვლიანად რეორგანიზებულ) მონასტრის სტრუქტურასთან.

ამ კითხვაზე საკმაოდ ცალსახა პასუხი გაგვცა სამლოცველოს ჩრდილოეთის „ნავის" ქვეშ მდებარე დიდი, კამარით გადახურული კრიპტის არქეოლოგიურმა კვლევამ (სურ. 5,6,7). ამ სათავსის მიწით კარგად მოტკეპნილი იატაკის გათხრისას აღმოჩნდა, რომ მისი ფუნქციონირების საწყის ეტაპებზე (დაახ. IX ს-ის ჩათვლით), მიცვალებულების ნეშტები პირდაპირ ღია სივრცეში კი არ იკრძალებოდა – ქვის ტახტებზე, თაროებზე ან სულაც იატაკზე (როგორც, ვთქვათ, თიანეთის სიონის, წილკნის ან კასპის ნეკროპოლის კარგად ცნობილ აკლდამებში [რამიშვილი 1970; ნიკოლაიშვილი 1983; ბახტაძე 2007]), არამედ იატაკის სიღრმეში, აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძის გასწვრივ ერთმანეთის გაყოლებაზე ჩაჭრილ, ქვის წყობით მართკუთხა პარალელეპიპედის ფორმაზე გამოყვანილ 2 კამერაში. ეს სამარხი კამერები იატაკთან ერთად კირით მთლიანად ყოფილა მოლესილი, ხოლო ზემოდან ქვის უხეშად ნათალი, 2-3 ფილით იყო გადახურული; კამერები ერთმანეთისგან ქვით ნაგები, ვიწრო ტიხრითაა გამოყოფილი (სურ. 7, 12). გამყოფ ტიხარში დატანებული მართკუთხა კვეთის გამჭოლი, კირით კარგად შელესილი ხვრელი[7] იმაზე მეტყველებს, რომ ეს ორი, სრულიად იდენტური კონსტრუქციის კამერა ერთმანეთის თანადროულია. დასავლეთის, №1 კამერის სიგრძე 1.9 მ-ია, სიგანე 80-88 სმ; აღმოსავლეთის, №2 კამერის სიგრძე 194, სიგანე 83 სმ. ორივე მათგანის სიღრმე 90 სმ-ია. აღმოსავლეთის კამერა ნაწილობრივ კრიპტის კედლის ქვეშ შედის (სურ. 6,7), მაგრამ ეს კამერის ქრონოლოგიურად განსხვავებულ ფაზისადმი კუთვნილებაზე არ მიგვანიშნებს – სათავსის აღმოსავლეთის კედელი, რომელიც თავის მხრივ, სხვა კედლების თანადროულია, კამერის თავზე თაღურად ამოყვანილ კონსტრუქციაზე დგას და კამერის გადამხურავი ერთი ქვის ფილა ამ კედლის ორგანული ნაწილია. როგორც გათხრისას გამოირკვა, ჩვენთვის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილი, ადრეული შუა საუკუნეების ამ მასშტაბის სხვა აკლდამებისგან განსხვავებით, ამ კრიპტაში მოწყობილ კამერებში ცალკეული ან რამდენიმე მიცვალებულის ნეშტები გაშოტილ პოზაში კი არ იკრძალებოდა, არამედ ადგილი ჰქონია მიცვალებულთა ძვლების ხელმეორედ ჩასვენებას (პირველადი დაკრძალვის ადგილებში რამდენიმე წლის განმავლობაში მიცვალებულთა რბილი ქსოვილების ხრწნის პროცესის დასრულების შემდეგ). ამ ძვლოვანი მასით კამერები თითქმის პირთამდე იყო ამოვსებული და აშკარაა, რომ ხელმეორედ დაკრძალვისას მიცვალებულთა გაშიშვლებულ ძვლოვან ნეშტებს კამერებში სრულად ჩაალაგებდნენ ხოლმე – იქ აღმოჩნდა, როგორც თავის ქალები, ისე სხეულის სხვა ნაწილები (სურ.12)[8]. გარდა ამისა, ორივე კამერაში ერთი და იგივე საყურადღებო დეტალი დადასტურდა: მათი ჩრდილოეთის კედლებში ზედაპირიდან

[7]ჩვენი აზრით შესაძლოა, რომ ამ ხვრელის საშუალებით ერთ-ერთ კამერაში მოთავსებული ჭურჭლიდან გამომდინარე საკმევლისა და სურნელოვანი ზეთის სურნელით გაჟღენთილი ჰაერი მეორე კამარაში დაკრძალულებზეც ვრცელდებოდა.

[8] ასეთ კოლექტიურ, მეორადად დაკრძალულ ნეშტთათვის განკუთვნილი საძვალეები, მთელი აღმოსავლური ქრისტიანული სამყაროს შუა საუკუნეების მონასტრებში, ზუსტად აქ დადასტურებული წესით ეწყობოდა – იატაკში ჩაჭრილ, თავდახურულ კამერებში (გავიხსენოთ თუნდაც პეტრიწონის ცნობილი ქართული მონასტრის საძვალე, რომლის იატაკიც ასეთი კამერების ერთობლიობაა).

20-ოდე სმ-ის სიღრმეზე, დატანებულია მართკუთხა კვეთის კირით კარგად მოლესილი ნიშები, რომლებიც დამრეცი ხვრელების საშუალებით იატაკის მიმდებარე ზედაპირებში ამოჭრილ ორმოებთანაა დაკავშირებული (სურ. 6,12). დიდი ზომიდან გამომდინარე (კვეთა საშუალოდ 15 სმ X 15 სმ), ეს მოწყობილობანი სამარხში წმინდა ზეთის ჩასასხმელად არ უნდა იყოს გამიზნული (ასეთი ტრადიცია ზოგიერთი ქრისტიანული რეგიონის ადრეულ სამარხებში დადასტურებულია); სამაგიეროდ, ამ მოწყობილობებს თითქმის უეჭველად შემდეგი ფუნქციონალური დატვირთვა ჰქონდა: აკლდამაში დასავლეთის კედლის გასწვრივ მოწყობილი საფეხურებით ჩასული ადამიანი (მომლოცველი, პილიგრიმი) სწორედ ამ წაგრძელებულ ფართობზე ხვდებოდა და სამარხებთან დაჩოქვისა და თაყვანისცემის შემდეგ,მიწაზე გართხმულ მდგომარეობაში თავისუფლად ჩაყოფდა ხელს ამ ხვრელებში და კამარის კედლებში დატანებული აღნიშნული კვადრატული ფორმის ღიობების საშუალებით თავისუფლად შეეხებოდა ქვის ფილებით მჭიდროდ გადახურული სამარხების შიგთავსს – მიცვალებულთა ძვლებს და მათზე თხლად მოფენილ მიწას. წმინდა ადგილების მოლოცვისას გამორჩეულ მიცვალებულთა თაყვანისცემის, მათთან თანაზიარობისა და შევედრების ეს ფორმა მრავალგანაა დადასტურებული სრულიად ქრისტიანული სამყაროს მონასტრებსა თუ ეკლესიებში, შუა საუკუნეების სხვადასხვა ეტაპზე: საყოველთაოდ ცნობილი წმინდანებისა თუ წმინდა მოღვაწეობით ადგილობრივ სახელგანთქმული სასულიერო პირების სამარხებში დასვენებულ წმინდა ნაწილებს მომლოცველები ამგვარი ან სხვა ფორმის ღიობების საშუალებით ხელით ეხებოდნენ, ეთაყვანებოდნენ და ხშირად ევლოგიად (წმინდა რელიქვიად) მცირე რაოდენობით მიწაც მიჰქონდათ [Walters 1974: 34; Hirschfeld 1992: 137, სურ. 68; Malone 1950: 106].

ამრიგად, აღნიშნულ კრიპტაში მოწყობილი, მეორადად დაკრძალული მიცვალებულის ნეშტებით პირთამდე სავსე საძმო საძვალეებისა და პილიგრიმთათვის ევლოგიის მისაღებად მოწყობილი ხვრელების დადასტურებით, დამტკიცებულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ეს კამერები მხოლოდ მონასტერში ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოღვაწე ბერ-მონაზვნების ძვალთშესალაგი შეიძლება ყოფილიყო. შესაბამისად, ვინაიდან, ეს კამერები კრიპტის მშენებლობის თანადროულადაა მოწყობილი (აკლდამის კედლები უშუალოდ კამერას და მათი კირით მოლესილობის ფენას ზოგიერთ ადგილზე ზედაც ადგას), უნდა ცალსახად ჩავთვალოთ, რომ კრიპტის კედლებსა და კამარაზე დაშენებული აღნიშნული სამლოცველოც სხვა არაფერია, თუ არა მონასტრის კრიპტაზე და აკლდამების სისტემაზე მდგარი „ღია ეკლესია," იგივე კაპელა (მემორიუმი), რომლის ანალოგიურ მომცრო სამლოცველოებშიც მთელ ქრისტიანულ სამყაროში მიცვალებულთა სულის მოსახსენებელი წირვები და პანაშვიდები აღვლინდებოდა ხოლმე შუა საუკუნეების ყოველ სტადიაზე [ვაჩეიშვილი 2002:24-33].[9] ასეთი მცირე ზომის,

[9]როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს კრიპტა ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით სამლოცველოს ფართობის გარეთ გადის და, ამრიგად, სამლოცველოს შესაბამისი კედლების ასაგებად კრიპტის კედლები კი არ არის გამოყენებული საძირკვლად (რაც კონსტრუქციული თვალსაზრისით ლოგიკური იქნებოდა), არამედ ამ მიწისზედა ნაგებობის

კედლებში მეტ-ნაკლებად ფართო ღიობებდატანებული სამლოცველოები საქართველოს სხვა რეგიონებშიცაა დადასტურებული და მათი უმრავლესობაც სხვადასხვა ტიპის აკლდამებზეა დაშენებული. როგორც ამ ტიპის სამლოცველოების მკვლევარი მეცნიერები აღნიშნავენ, ეს ფართო ღიობები ნაგებობის გარეთ მდგომი დიდი რაოდენობის მლოცველთა წირვაში მონაწილეობას უზრუნველყოფდა. ჩვენი მხრივ, ნეკრესის ამ სამლოცველოს ქვემოთ დადასტურებული აკლდამებისა და ძვალთშესალაგი კამერების რაოდენობის გათვალისწინებით დავამატებდით, რომ აკლდამებზე დაშენებული სულთა მოსახსენებელი სამლოცველოების ფართო ღიობები, შესაძლოა წირვა-ლოცვისას სათავსთა ვენტილაციის მიზნითაც იყო მოწყობილი (ნეკრესის კერძო შემთხვევაში, აკლდამათა გადამხურავ ფილებსა და სამლოცველოს იატაკს შორის მიწის საიზოლაციო ფენის სისქე ხომ 50 სმ-იც კი არ არის, ხოლო კრიპტის საძვალე კამარაზე კი მხოლოდ ქვის ფილები იყო დაწყობილი, ჰერმეტიზაციის გარეშე). ასეც რომ არ იყოს, სათავსთა შორის დატანებული დიდი ღიობები საფლავების კურთხევისას და პანაშვიდების დროს, სამღვდელოების წარმომადგენლებს თითოეულ აკლდამასთან და კამერასთან მისვლას გაუადვილებდა.

რაც შეეხება ამ სამლოცველოს აგების ხანასა და კრიპტის კამერების მიცვალებულთა ჩასასვენებლად გამოყენების ხანგრძლივობას, ამის თაობაზე კამერების შიგთავსის არქეოლოგიურმა კვლევამ მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელი პასუხი გაგვცა. კერძოდ, მათში სხვადასხვა ჰორიზონტზე აღმოჩნდა ტიპოლოგიურად ზუსტად ისეთი მოუჭიქავი თიხის ჭურჭლის მომცრო ფრაგმენტები, რომლებსაც ზემოთ აღწერილ, სამხრეთის სათავსის ქვეშ მდებარე №1 და №2 აკლდამებში მივაკვლიეთ: ეს არის კარგად განლექილი, თხელკეციანი თიხის მსხლისებრი ფორმის ცალყურა და ორყურა დოქების, ამავე ფორმის თხელკეციანი ჭინჭილების და პირმოყრილი ჯამების ნაწილები, რომლების ზედაპირებიც მოფხეკითაა გასუფთავებული და კარგადაა გაპრიალებული მოვარდისფრო-მოწითალოდ, აგრეთვე ღია ყავისფრად (ტაბ. V, 1-10). ამ ტიპის ნაკეთობათა ანალოგიები კარგადაა ცნობილი ადრეული შუა საუკუნეების ქართული არქეოლოგიური ძეგლებიდან (ურბნისი, რუსთავი, ჭერემი, ლოჭინი და სხვ.). ისინი, მკვლევართა აზრით, ძირითადად დაწყებული V საუკუნის მიწურულიდან, VII-VIII საუკუნეების ჩათვლით მზადდებოდა (იშვიათად IX ს-შიც) [ჭილაშვილი 1958: 58-59; ჭილაშვილი 1964: ტაბ. XLI-XLIII; მამაიაშვილი 2004: 128-130; აბრამიშვილი, ჭილაშვილი 1962: 199-201]. აღსანიშნავია, რომ მსგავსი ნაწარმი აღმოჩენილია თვით ნეკრესის ნაქალაქარის „ჭაბუკაურის ბაზილიკის“ დანგრევის შემდგომ (V ს) სტრატიგრაფიულ ჰორიზონტებზეც და VI-IX საუკუნეთა შორის მოქცეული ქრონოლოგიური შუალედით თარიღდება. უნდა აღინიშნოს, რომ ამ კამერებში შემთხვევით მოხვედრილი თიხის ნაკეთობათა სტრატიგრაფიული განფენა შეესაბამება დროის

მზიდი კედლები ზედ კრიპტის გადამხურავ კამარაზე ამოუყვანიათ. ეს უჩვეულო გარემოება შესაძლოა იმაზე მიგვანიშნებდეს, რომ კრიპტა დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში დამოუკიდებლად ფუნქციონირებდა და სამლოცველო მასზე ოდნავ მოგვიანებით დააშენეს, მიწისქვეშა კონსტრუქციების გაუთვალისწინებლად.

მსვლელობას აღნიშნულ პერიოდში: VI-VII საუკუნეებისთვის დამახასიათებელი მასალა ქვედა ფენებში აღმოჩნდა, VIII-IX საუკუნის კერამიკის ფრაგმენტები კი სულ ზედა შრეებში.

გარდა ამისა, კრიპტის ორივე კამერის ქვედა, ანუ საძვალის ფუნქციონირების საწყისი ეტაპების ფენებში აღმოჩნდა ტანისამოსის (ქამრის) ლითონის (რკინის, ბრინჯაოს) აქსესუარები, როლებიც მიცვალებულთა პირველადი დაკრძალვის ადგილებიდან, ალბათ ძვლოვან მასასთან ერთად შემთხვევით ან შეგნებულად გადმოიტანეს საძვალეებში (ტაბ. II, III). ამ რიგის ნაკეთობათა შორის უმეტესობა ე.წ. ნახევარწრიული, ნიღბისებრი საკიდი ბალთებია (ზოგჯერ მათ „ჰერალდიკური“ ტიპისასაც უწოდებენ. ტაბ. II, 1-4, 8-9; ტაბ. III, 1-3), რომელთა საკმაოდ ახლობელი პარალელები საქართველოში აღმოჩენილია სამთავროს სამაროვნის, ურბნისის ნაქალაქარის და ადრეული შუა საუკუნის სხვა განათხარი ძეგლების VII საუკუნის I ნახევრის ფენებში [აფხაზავა 1979: 51-54, ტაბ. XXXII]. საზღვარგარეთის მეზობელი ქვეყნებიდან მსგავსი ნაკეთობები გვხვდება ხერსონესის ნაქალაქარის ამავე ხანით დათარიღებულ ფენაში [Якобсон 1952: 277-78]. ამავე ეპოქას განეკუთვნება აკლდამებში აღმოჩენილი ოვალურჩარჩოიანი აბზინდები, რომლის ანალოგიები სამთავროს სამაროვნის VII ს-ის ფენებშია აღმოჩენილი (ტაბ. II, 5) [აფხაზავა 1979: 11-13, 54, ტაბ. XXXIII].

ჩატანებულ ტანისამოსის აქსესუართაგან ყურადღებას იპყრობს ტიპოლოგიურად თითქოსდა რამდენადმე ადრეულეპოქაში დამზადებული ნაკეთობები. მაგალითად: ბრინჯაოს ორწილადი „აბზინდის მინაბაძი“ („პორტუპეის“ ტიპის) (ტაბ. II, 10), რომლის ჩვ. წ. II-III სს-ით დათარიღებული ანალოგიები არქეოლოგებისათვის კარგადაა ცნობილი სამთავროს სამაროვანიდან და არმაზისხევიდან; ასევე ადრეული ტიპისას (V ს-ით დათარიღებულს) გვაგონებს ბრინჯაოს სპირალისებრი „საბნევი,“ ხოლო „რქისებრი ანაშვერებიანი,“ ორწილადი ნიღბისებრი ბალთა კი ატენის ხეობაში აღმოჩენილი, ჩვ. წ. I ს-ით დათარიღებული ნიმუშის მსგავსია. (ტაბ. II, 8) [აფხაზავა 1979: ტაბ. XXV, 15, 17, 27].

ამ ნივთების მოხვედრას აკლდამაში ორგვარი ახსნა შეიძლება მოვუძებნო: ისინი ან უფრო ადრეული ნაკეთობების რემინისცენციებს წარმოადგენს და VI-VII სს-ში არის დამზადებული, ან 2-3 საუკუნის განმავლობაში მოიხმარდნენ (უფრო ადრეული პერიოდისა და შემდგომი დაკრძალული ნეშტების აღრევა ამ აკლდამებში ხომ ნაკლებად სავარაუდოა – ამ შემთხვევაში უნდა დავუშვათ, რომ მონასტერი IV-V საუკუნეშია დაარსებული, და რომ წმ. აბიბოს ნეკრესელს მხოლოდ ამ სავანის განახლება-აღორძინებაში მიუძღვის წვლილი).

განსაკუთრებულად საყურადღებოა ერთი გარემოებაც: კრიპტის №2 კამერაში, გამორჩეულად საპატიო ადგილზე (კედელში შეჭრილი, თაღით გადახურულ ფართობის ძირზე) ჩადგმული აღმოჩნდა თავდაპირველად სრულიად მთელი, VI-VIII საუკუნეებისთვის დამახასიათებელი შავად გამომწვარი, გადმოკეცილპირიანი, წვრილი პარალელურ-რელიეფური ზოლებით შემკული თიხის ჭურჭელი [სინაურიძე 1966: 52-53], რომელშიც ადამიანის ძვლოვან ნეშტის მცირე ნაწილები ელაგა (ტაბ. IV). ნეკრესის ეპარქიის მესვეურების დაკვეთით განზრახულია

ამ ჭურჭლის შიგთავსის ოსტოლოგიური მასალის ტექნიკური მეთოდებით გამოკვლევა, რათა შევამოწმოთ შემდეგი ვერსია – ხომ არ შეიძლებოდა მის მიერვე დაარსებული მონასტრის მთავარ საძვალეში, მომლოცველთა მიერ თაყვანისცემისთვის ხელმისაწვდომ ადგილზე ამ ქოთნით წმინდა აბიბოს ნეკრესელის ნეშტის გარკვეული ნაწილებიც გადმოეტანათ (მაგალითად, ამ დიდი წმინდანის თავდაპირველი განსასვენებლიდან, სამთავისის ეკლესიიდან სამთავროს მონასტერში გადასვენების დროს, რაც დაახლოებით VII საუკუნეში უნდა მომხდარიყო) [მარტვილობა... 1964].

შემდეგ ეპოქებში ნეკრესის მონასტერში მოღვაწე გარდაცვლილი ბერების დასაკრძალავად, როგორც ჩანს, ამ კრიპტას კვლავაც იყენებდნენ, მაგრამ იატაკში ჩაჭრილ, მონასტრის ფუნქციონირების პირველი საუკუნეების განმავლობაში მოღვაწე მამების ნეშტებით პირთამდე სავსე კამერებს მოკრძალებით ეპყრობოდნენ და არ ათავისუფლებდნენ ძვლოვანი მასისგან – პირიქით, ალბათ ეს განსასვენებლები კვლავაც თაყვანისცემისა და მომლოცველობის ობიექტები იყო. ახლად გარდაცვლილი ბერების ძვლების მეორადად დაკრძალვა, იმჟამად, ალბათ პირდაპირ კრიპტის იატაკზე ხდებოდა (იმ დროს სამლოცველოდან პირდაპირ ჩასასვლელი კიბის ზედა ლუკი სარქვლით იქნებოდა დახშული): მონასტრის მახლობელი სოფლის, შილდის ასაკოვან მოსახლეობას დღესაც ახსოვს, რომ აკლდამის იატაკი ინტენსიურად ყოფილა მოფენილი ადამიანის ძვლებითა და თავის ქალებით. ჩვენ მიერ ჩატარებული გათხრებისას, კრიპტის კირით მოფენილი იატაკის ზედა, წყლისაგან ჩატანილი მიწის თხელ ფენაში ადამიანის ძვლების მხოლოდ მეტად მცირე ფრაგმენტებს მივაკვლიეთ. როგორც ჩანს, ამ ნეშტებისგან აკლდამა „ძეგლის მოწესრიგების“ სამუშაოებისას გაათავისუფლეს XX ს-ის 50-იან წლებში. გარდა ამისა, არქეოლოგიური კვლევით დავადგინეთ, რომ განვითარებულ და გვიან შუა საუკუნეებში მონასტრის საძმოს გარდაცვლილ წევრთა მნიშვნელოვან ნაწილს უკვე სხვაგვარად, ჩვეულებრივ ქვა-ყუთებში მარხავდნენ მონასტრის ტერიტორიის სხვადასხვა მონაკვეთში, უფრო კი ეკლესიების მიმდებარე ტერიტორიებზე.

ამრიგად, როგორც ჩვენმა არქეოლოგიურმა კვლევამ დაადასტურა, დღემდე ქართული არქიტექტურის ისტორიაში თითქმის უპირობოდ IV ს-ში აგებულ, ბაზილიკის მინაბაძ ეკლესიად მიჩნეული ეს სამლოცველო ნეკრესის მონასტრის ორგანული შემადგენელი ნაწილი ყოფილა. გამოდის, რომ ან ნეკრესის მონასტერი ყოფილა წმ. აბიბოს ნეკრესელის მოღვაწეობამდე 2 საუკუნით ადრე დაარსებული (რაც უძველეს ქართულ წერილობით წყაროებში დადასტურებული ცნობების საფუძვლიან რევიზიას მოასწავებს), ან მონასტრის აღნიშნული, კრიპტა-აკლდამების სისტემაზე დაშენებული სულთა მოსახსენებელი სამლოცველო VI საუკუნეზე ადრეული ძეგლი არ არის. იმის გათვალისწინებით, რომ IV საუკუნეში (თუნდაც V ს-ში), ქრისტიანულ სარწმუნოებაზე შედარებით ახლად მოქცეული ქვეყნის ამ მიდამოებში ერთ-ერთი პირველი სამონასტრო ორგანიზაციის ნიშნების დადასტურების შემთხვევაშიც კი, მომავალში საძმოს გაფართოებაზე გათვლილი,

აღნიშნული მასშტაბის საძვალის აგების ვერსია არადამაჯერებელია, ჩვენ ვფიქრობთ, რომ აღწერილი მემორიუმი (საძვალეები და მათზე, იმავდროულად დაშენებული კაპელა) VI ს-ის დასაწყისზე ადრეული ძეგლი არ უნდა იყოს. ამ მოსაზრების სისწორეზე ის გარემოებაც მეტყველებს, რომ ჩვენ მიერ ნეკრესის ნაქალაქარის ტერიტორიაზევე მდებარე, IV ს-ის „ჭაბუკაურის“ ბაზილიკის გათხრებისას აღმოჩენილი ნივთიერი მასალის ზუსტი ანალოგები, ამ სამლოცველოსა და მისი მიდამოების სტრატიგრაფიულად სულ ქვედა ჰორიზონტების არქეოლოგიური კვლევის შედეგად სრულიად არ დადასტურებულა.

ARCHAEOLOGY

NODAR BAKHTADZE

Georgian National Museum, Rustaveli Avenue 3, 0105 Tbilisi, Georgia, Email: nodarbakh@yahoo.com

THE RESULTS OF ARCHAEOLOGICAL RESEARCH OF THE NEKRESI MONASTERY MEMORIAL CHAPEL

SUMMARY

The Nekresi Monastery is situated in Georgia, Kvareli district. According to the historical sources it was founded in the 6 th century by St. Abibos Nekreseli, who came from Syria and was a the follower of early Christian ascetic ideas.

This monastic ensemble includes a miniature building which visually resembles basilica. Several decades ago famous Georgian art historians, taking into consideration the archaic planning of this building, came to the conclusion that it was one of the oldest Georgian Churches and it was dated from the 4 th century, though the time of building and its function are still being discussed by the Georgian scientists.

Archaeological researches have revealed the ancient foundation of the building that stands on the pedestal with a complicated system of tombs. The largest and the most important of these tombs is a crypta, where there are chambers cut in the floor, which are full of remains of deceased monks.

Buildings of this structure have a lot of parallels with the architecture of the Eastern Christian monasteries, which are known as Memorial Chapels. The Nekresi Chapel might have had the same function and it could not have been built earlier than the 6 th century when the monastery itself was founded. This dating coincides with the materials which date from the 6 th -9 th centuries and were revealed during

the archaeological researches.

ბიბლიოგრაფია

1. **მროველი ლეონტი. 1955:** ცხოვრება ქართველთა მეფეთა. ქართლის ცხოვრება, ტ. I. თბილისი.
2. **მოქცევაჲ ქართლისაჲ. 1979:** შატბერდის კრებული X საუკუნისა. თბილისი.
3. **ბატონიშვილი ვახუშტი. 1973:** აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება, ტ. IV. თბილისი.
4. **აბულაძე ი. 1955:** ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები. თბილისი.
5. **აბრამიშვილი რ., ჭილაშვილი ლ. 1962:** ლოჭინის ნასოფლარის არქეოლოგიური გათხრები. – ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XXIII. 197-206. თბილისი.
6. **აფხაზავა ნ. 1979:** ადრეული შუასაუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ნივთიერი კულტურა, თბილისი. (ერთად არ უნდა იყოს?).
7. **ბახტაძე ნ. 2007:** კლდის ხუროთმოძღვრების გენეზისი და განვითარების გზები საქართველოში. თბილისი.
8. **ბახტაძე ნ. 2009**: ნეკრესის ნაქალაქარზე გამოვლენილი ჭაბუკაურის ბაზილიკის დათარიღებისათვის. – ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში, 19, 209-220. თბილისი.
9. **ბახტაძე ნ., ზენდერი კ., მირიანაშვილი ლ., კუპრაშვილი ნ., ჯოჯუა თ. 2005:** პირღებულის მონასტერი. თბილისი.
10. **ბახტაძე ნ. 2001:** ქართული სამონასტრო მოძრაობის სათავეებთან. – ძეგლის მეგობარი, 112, 17-27. თბილისი.
11. **ბახტაძე ნ. 2003:** შუა საუკუნეების ქართული მონასტრების გენეზისისა და სტრუქტურის ზოგიერთი პრობლემა თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში. – ლოგოსი, 1, 13-21. თბილისი.
12. **ბახტაძე ნ., თევდორაშვილი ნ., ბაგრატიონი გ. 2010:** ნეკრესი (ცნობარი მომლოცველთა და მოგზაურთათვის). თბილისი.
13. **ბერიძე ვ. 1986:** კვლავ ადრექრისტიანული ქართული ხუროთმოძღვრების შესახებ. – მნათობი №7. 123-134. თბილისი.
14. **ბერიძე ვ. 1974:** ძველი ქართული ხუროთმოძღვრება. თბილისი.
15. **დოლაბერიძე რ. 1969:** საქართველოს მინის სამაჯურები. – ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXVIII–B. 105-112. თბილისი.
16. **გოილაძე ვ. 1990:** ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა ქრონოლოგია. თბილისი.
17. **ელიზბარაშვილი ი. 1986:** ნეკრესი. თბილისი.
18. **ვაჩეიშვილი ნ. 2002:** ერთი უცნობი მოვლენის შესახებ ქართულ საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში. – საქართველოს სიძველენი, 1, 24-33.

თბილისი.

19. თუმანიშვილი დ. 2008: უძველესი ქართული საეკლესიო ნაგებობების გამო. – ი. ხუსკივაძე (რედ.), გზაჯვარედინზე, 144-161. თბილისი.

20. კიკნაძე ზ., მირზაშვილი თ. 1985: რას მოგვითხრობს მირიანის წიგნი. – კრიტიკა, №6, 105-126. თბილისი.

21. კიკნაძე ზ., მირზაშვილი თ. 1987: კულტურის ისტორიის კვლევის მეთოდებისთვის. –კრიტიკა, №2, 142-161. თბილისი.

22. ლომოური ნ., ანდღულაძე ნ., თუმანიშვილი მ. 1984: ბოლნისის სიონის საკითხისათვის. – მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიისა, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, №3, 189-204. თბილისი.

23. მამაიაშვილი ნ. 2004: ქალაქი ჭერემი. თბილისი.

24. მარტვილობაჲ აბიბოს ნეკრესელისაჲ, 1964: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I. თბილისი.

25. მერჩულე გიორგი. 1964: გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I. თბილისი.

26. მირიანაშვილი ლ. 2004: გარეჯის ადრეული მონასტიციზმი და ჩიჩხიტურის ზოსიმე-პიმენის კერძო სამლოცველოს მოხატულობის პროგრამა, როგორც ბერული ცხოვრების ანარეკლი. – Analecta Iberica, 1, 164-241. თბილისი.

27. მიწიშვილი მ. 1969: მოჭიქული ჭურჭელი ძველ საქართველოში IX–XIII სს. თბილისი.

28. მუსხელიშვილი დ. 2003: საქართველო IV-VIII საუკუნეებში. თბილისი.

29. მუსხელიშვილი ლ., ხიდაშელი შ., ჯაფარიძე ვ. 1954: გუდარეხის პირველი და მეორე (1938 და 1939წწ) არქეოლოგიური კამპანიის ანგარიში. თბილისი.

30. ნიკოლაიშვილი ვ. 1981: ახლადაღმოჩენილი ძეგლები ისტორიული დიდი მცხეთის ტერიტორიაზე. – ძეგლის მეგობარი, 36. 17-25. თბილისი.

31. რამიშვილი რ. 1970: ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, I. სიონი. თბილისი.

32. სინაურიძე მ. 1966: აღმოსავლეთ საქართველოს ადრეფეოდალური ხანის კერამიკა. თბილისი.

33. ყიფიანი გ. 2000: კოლხეთისა და იბერიის წარმართული ტაძრები და ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების წარმოშობის საკითხები. თბილისი.

34. ჩუბინაშვილი გ. 1936: ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. 1. თბილისი.

35. ჭილაშვილი ლ. 1964: ნაქალაქარი ურბნისი. თბილისი.

36. ჭილაშვილი ლ. 2004: ნეკრესის უძველესი ქართული წარწერები და ქართული დამწერლობის ისტორიის საკითხები. თბილისი.

37. ჭილაშვილი ლ. 2000: ნეკრესის წარმართული სამლოცველოები. თბილისი.

38. ჭილაშვილი ლ. 1958: ქალაქი რუსთავი. თბილისი.

39. ჯავახიშვილი ივ. 1979: ქართველი ერის ისტორია, წ.I. თხზულებანი 12 ტომად, ტ.1. თბილისი.

40. ჯღამაია ჯ. 1980: სამშენებლო კერამიკა ფეოდალური ხანის საქართველოში. თბილისი.

41. Кверфельдт Э. 1947: Керамика Ближнего Востока. Ленинград.

42. Кондаков Н. 1904: Археологическое путешествие по Сирии и Палестине. С.П.

43. Чубинашвили Г. 1959: Архитектура Кахетии. Тбилиси.

44. Чубинашвили Г. 1970: К вопросу о началъных формах Христианского Храма. – Вопросы истории искусства, 1, 36-43. Тбилиси.

45. Чубинашвили Г. 2002: Пути развития Грузинской архитектуры. – Вопросы истории искусства, 2, 5-16. Тбилиси.

46. Якобсон А. 1950: Средневековый Херсонес (XII-XIV вв.). – Материалы и исследования по археологии СССР, №17, 9–255. Москва.

47. Beyer W. 1925: Der Syrische Kirchenbau. Berlin.

48. Butler H. 1929: Early Churches in Syria. London.

49. Hirschfeld Y. 1992: The Judean Desert monasteries in the Byzantine Period. New Haven and London, Yale University Press.

50. Koch G. 1995: Frühchristliche Kunst. Stuttgart; Berlin - Köln.

51. Malone E. 1950: The Monks and Martyr. Washington.

52. Meinardus O. 2003: Monks and Monasteries of Egyptian Deserts. Cairo, New York.

53. Nango C. 1976: Byzantine Architecture. New York.

54. Walters C. 1974: Monastic Arcaeology in Egypt. Warminster.

55. Wandering Monks, Virgins and Piligrims. 2005: Ascetic Travel in the Mediterranean World A.D. 300-800. Pensylvania.

ილუსტრაციების აღწერილობა

სურ. 1. ნეკრესის მონასტრის გენგეგმა მემორიალური სამლოცველოს ჩვენებით.

სურ. 2. ნეკრესის მონასტრის მემორიალური სამლოცველო. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.

სურ. 3. ნეკრესის მონასტრის მემორიალური სამლოცველო. ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან.

სურ. 4. ნეკრესის მონასტრის მემორიალური სამლოცველო. გეგმა (№№1,2,4,5 განათხარი აკლდამების ჩვენებით).

სურ. 5. ნეკრესის მონასტრის მემორიალური სამლოცველო. ჭრილი 1-1 (კრიპტის, სამხრეთის ბაქნისა და ცენტრალური დარბაზის ქვეშ მდებარე აკლდამების ჭრილების ჩვენებით).

სურ. 6. ნეკრესის მონასტრის მემორიალური სამლოცველო. ჭრილი 2-2 (კრიპტის და მისი სამარხი კამერების ჭრილების ჩვენებით).

სურ. 7. ნეკრესის მონასტრის მემორიალური სამლოცველო. გეგმა სარდაფის დონეზე –კრიპტის გეგმა.

სურ. 8. ნეკრესის მონასტრის მემორიალური სამლოცველოს ხედი დასავლეთიდან რესტავრაციის შემდეგ.
სურ. 9. ნეკრესის მონასტრის მემორიალური სამლოცველო. სამხრეთის ბაქნის ქვედა აკლდამები (№№ 1,2) გათხრის პროცესში.
სურ. 10. ნეკრესის მონასტრის მემორიალური სამლოცველო. №2 აკლდამა პრეპარაციის შემდეგ.
სურ. 11. ნეკრესის მონასტრის მემორიალური სამლოცველო. საკურთხევლიანი სათავსის იატაკის ქვეშ აღმოჩენილი აკლდამები (№№ 4,5).
სურ. 12. ნეკრესის მონასტრის მემორიალური სამლოცველო. კრიპტა გათხრილი კამერებით.
ტაბ. I. ნეკრესის მონასტრის მემორიალური სამლოცველო. №1 და №2 აკლდამებში აღმოჩენილი თიხის ნაკეთობების ფრაგმენტები.
ტაბ. II. ნეკრესის მონასტრის მემორიალური სამლოცველო. კრიპტის აღმოსავლეთის კამერაში აღმოჩენილი ბალთები და აბზინდები.
ტაბ. III. ნეკრესის მონასტრის მემორიალური სამლოცველო. კრიპტის აღმოსავლეთის კამერაში აღმოჩენილი ბალთები და აბზინდა (გრაფიკული გამოსახულება).
ტაბ. IV. ნეკრესის მონასტრის მემორიალური სამლოცველო. კრიპტის აღმოსავლეთის კამერის თაღურ ნიშაში აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი წმინდა ნაწილებით.
ტაბ. V. ნეკრესის მონასტრის მემორიალური სამლოცველო. კრიპტის კამერებში აღმოჩენილი თიხის ნაკეთობების ფრაგმენტები.

LIST OF ILLUSTRATIONS

Fig. 1. Plan of the Nekresi Monastery (with indication of memorial Chapel).
Fig. 2. The Nekresi Monastery memorial Chapel. View from south-east.
Fig. 3. The Nekresi Monastery memorial Chapel. View from south-west.
Fig. 4. The Nekresi Monastery memorial Chapel. Plan (with indication of N 1-5 tombs)
Fig. 5. The Nekresi Monastery memorial chapel. Section 1-1 (with indication of N1-5 tombs and cryptas cross-section.)
Fig. 6. The Nekresi Monastery memorial chapel. Section 2-2 (with indication of Cross-section of crypta and it's burial chambers .)
Fig. 7. The Nekresi Monastery memorial Chapel. Plan at the level of a cellar - plan of crypta.
Fig. 8. View from West to Nekresi Monastery memorial chapel after restoration.
Fig. 9. The Nekresi Monastery memorial chapel. (with indication of N1 tomb after excavations).
Fig. 10. The Nekresi Monastery memorial chapel (with indication of N2 tomb after excavations).

Fig. 11. The Nekresi Monastery memorial chapel (with indication of N4 and N5 tombs after excavations).

Fig. 12. The Nekresi Monastery memorial chapel. Crypta with excavated chambers.

Tab. I . The Nekresi Monastery memorial chapel. Found in N1 and N2 tombs fragments of ceramic ware.

Tab. II. The Nekresi Monastery memorial chapel. Buckles and absinth found in eastern chamber of a crypta.

Tab. III. The Nekresi Monastery memorial chapel. Buckles and absinth found in eastern chamber of a crypta.

Tab. IV. The Nekresi Monastery memorial chapel. Ceramic pot with remains of deceased monk found in eastern chamber.

Tab. V. The Nekresi Monastery memorial chapel. Fragments of ceramic ware found in chambers of a crypta. .



სურ. 1 Fig.



სურ. 2 Fig.

სურ. 3 Fig.



სურ. 4 Fig.



სურ. 5 Fig.



სურ. 6 Fig.



სურ. 7 Fig.



ტაბ. I Tab.



ტაბ. III Tab.

ტაბ. IV Tab.

ტაბ. II Tab.



ტაბ. V Tab.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია №1 (46-B), 2010, 139-157
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences №1 (46-B), 2010, 139-157

არქეოლოგია

იულონ გაგოშიძე

საქართველოს ეროვნული მუზეუმი, რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო, ელ.ფოსტა: iulongagoshidze@yahoo.com

ღალიას ღვთისმშობლის მონასტერი –ქართული სავანე კვიპროსზე

ღალიას ღვთისმშობლის (პანაგია ხრისოიალიოტისა) მონასტერი კვიპროსის რესპუბლიკის პაფოსის ეპარქიაში მდებარეობს, კუნძულის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში ხრისოხუს ყურის სანაპიროდან აღმოსავლეთით 9 კმ მანძილზე, მთაში, სოფელ იალიას (Gialia) ზემოთ, 5 კმ-ში, ტყიან გორაკზე, ზღვის დონიდან 280 მ-ის სიმაღლეზე, სოფლის მოსახელე მცირე ღელის მარჯვენა ნაპირას.

ეს მონასტერი, ღალიას ან ჟალიას სახელწოდებით, რამდენჯერმეა მოხსენიებული ძველ ქართულ წერილობით წყაროებში, რომელთა შორის უძველესი XI-XII სს-თა მიჯნით თარიღდება. ეს არის სანკტ-პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში დაცული №H-18 ქართული ხელნაწერი,რომლის ანდერძი გვამცნობს,რომ იგი დაუწერიათ „კვიპრეს ქართველთა მონასტერსა ჟალიას, არა ხოლო შინა, არამედ ორ მილიონ შორ მონასტრისაგან“ [ჟორდანია 1892: 128; შანიძე 1971: 72].

იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს ბიბლიოთეკის №85 ქართული ხელნაწერის ანდერძი XII ს-ის მეორე ნახევრით – XIII ს-ის დასაწყისით თარიღდება და იგი გვამცნობს, რომ გარეჯის დოდოს რქის მონასტრის ბერმა, რომანოზმა ეს ხელნაწერი „წმიდა ღმრთისმშობელისა საყოფელს ჟალიას ქართველთა მონასტერს“ შესწირა და რომ მან ეს მონასტრის წინამძღვრის, იოანე მწიგნობრისა და მონასტრის ძმათა თხოვნით მოიმოქმედა [ცერაძე 2002: 246-262].

XIII ს-ის მეორე დეკადაში დაწერილ საისტორიო თხზულებაში „ისტორიანი და აზმანი შარავანდეთთანი“ ნათქვამია, რომ თამარ მეფემ „კვიპრეს ღალია შეამკო და უყიდნა შესავალნი და აღაშენა მონასტერი და შეამკო ყოვლითა წესითა პატიოსნისა მონასტრისა“ [ქც 1959: 91].

სხვა პირდაპირი ცნობა ღალიას//ჟალიას მონასტრის შესახებ ქართულ წყაროებში არ ჩანს, თუმცა კვიპროსზე არსებული ქართული მონასტერი თუ მონასტრები შეტანილია „ლავრათა, საკრებულოთა და მონასტერთა“ იმ ჩამონათვალში,რომელიც დავით აღმაშენებელმა (1089-

1125) „აღავსნა კეთილითა“ [ქც 1955: 353]. თამარის მეორე ისტორიკოსი, ბასილი ეზოსმოძღვარიც მოიხსენიებს „კვიპრისა ჭალაკით“ მოსულ ბერებს, რომლებიც მეფემ “აღავსნა ყოვლითა სახმრითა“ [ქც 1959: 142].

კვიპროსზე ქართული მონასტრის არსებობის შესახებ ირიბ ცნობას იერუსალიმელი ქართველი მოწამის, ნიკოლოზ დვალის „წამება“ გვაწვდის, რომელიც XIV ს-ის პირველ ნახევარშია შექმნილი (ნიკოლოზ დვალი 1314 წელს იერუსალიმში ეწამა). „წამების“ ტექსტიდან ვიგებთ, რომ იერუსალიმელ ძმებს ნიკოლოზი კონფლიქტური სიტუაციისაგან გაურიდებიათ და კვიპროსზე გაუგზავნიათ [უცნობი 1988: 326-328], სადაც, როგორც ჩანს, მისთვის იქ არსებულ ქართულ საკრებულოს უნდა ემასპინძლა. არსებობს მოსაზრება, რომ ეს საკრებულო, შესაძლებელია ყოფილიყო სწორედ ღალიას მონასტერი, რომლის ერთ-ერთ ბურჯზე ამოკვეთილ წარწერაში მოხსენიებულია ნიკოლოზი [ჯობაძე 1987: 167-179]. წარწერა XIII-XIV ს-თა მიჯნით თარიღდება, რაც ნიკოლოზ დვალის კვიპროსზე ყოფნის პერიოდს ემთხვევა.

XIV ს-ის დასაწყისში ღალიას მონასტერში ქართველების ყოფნას ვატიკანის 1306 წლის 3 დეკემბერს შედგენილი №1298 დოკუმენტი ადასტურებს, რომელიც გვამცნობს, რომ კვიპროსზე, „ხრისოხუს უბის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ქალაქების Yailia-სა და Finekli-ს შორის“ მდებარე Yail-ის მონასტრის იღუმენი ქართველი იყო (ეს ცნობა, ისე როგორც, საერთოდ, კვიპროსზე ქართული მონასტრებისა და, კერძოდ, ღალიას მონასტრის არსებობის შესახებ ლათინურ და ბერძნულ წერილობით წყაროებში შემონახული ყველა სხვა ცნობა, რომელთა ნაწილსაც ამავე სტატიაში ჩამოვთვლი, კვიპროსში მცხოვრებმა ჩვენმა თანამემამულემ, სოფიო ლაჭყეპიანმა მოიძია და მომაწოდა, რისთვისაც მისი უზომოდ მადლობელი ვარ).

ღალიას მონასტრის წერილობით წყაროში უკანასკნელი მოხსენიება 1460 წლის მოვლენებს უკავშირდება. გეორგიოს ვუსტრონიუსი თავის „ქრონიკებში“ მოგვითხრობს, რომ მეფე იაკობის (1460-1473) ოფიცრებმა დედოფალ შარლოტას (1458-1460) მომხრეების დევნისას იალიას მონასტერი (*monastero de Giaglia*) დაარბიეს: „წავიდნენ ხრისოხუს მხარეს, იალიას მონასტერს და შეამთხვიეს ერთ ბერს ბევრი ბოროტი“ [იხ. ანდრო პავლიდის გამოცემა, 1989, გვ. 46-48]. ამ ცნობიდან ჩანს, რომ XV ს-ში ღალიას მონასტერი ჯერ კიდევ მოქმედი იყო.

როდის შეწყვიტა ღალიას მონასტერმა არსებობა და როდის დაინგრა იგი, არ არის ცნობილი. ქართველი პილიგრიმები – ტ. გაბაშვილი და გ. ავალიშვილი, რომლებმაც 1758 და 1820 წლებში მოილოცეს კვიპროსის სიწმინდეები და მოგზაურობათა აღწერილობებიც დაგვიტოვეს, არაფერს ამბობენ კვიპროსზე ქართველთა ყოფნისა ან იქ ოდესღაც არსებული ქართული მონასტრების შესახებ [გაბაშვილი 1956; ავალიშვილი 1967]. როგორც ჩანს, XVIII ს-ის შუა ხანებში ეს მონასტრები უკვე დიდი ხნის მიტოვებული იყო, კვიპროსზე ქართველთა ოდინდელი მოღვაწეობის ხსოვნა კი დაკარგული.

თუმცა 1971 წელს, პაფოსის მიტროპოლიტ გენადის ხარჯით, იოანე პ. ციკნოპულოს მიერ ნიქოზიაში გამოცემულ „პაფოსის ეკლესიის ისტორიაში,“ 270-ე გვერდზე, №40-ით აღწერილია მონასტერი

ხრისოიალიოტისა: „იალიასაგან ერთი მილით დაშორებული ქართული მონასტერი, ძალიან დიდი, მოქმედებდა 1935 წლამდე (?! ი.გ.). ახლა დგას მხოლოდ კედლები ძალიან დაზიანებული ფრესკებით. ამ მონასტერს ჰქონდა შემოსავალი სამასი დუკატი, იმდენივე, რამდენიც კიკოს“.

უაღრესად საინტერესო ცნობაა. ცხადია, „ისტორიის“ შემდგენელს ხელთ ჰქონია ღალიას მონასტრის შესახებ სხვებისათვის უცნობი რომელიღაც წყარო, რადგან უკლებლივ ყველა სხვა თანამედროვე გამოცემა, რომელიც ღალიას ქართველთა მონასტერს ახსენებს, პროფ. ვ. ჯობაძის 1984 წელს გამოქვეყნებულ გამოკვლევას ეყრდნობა [Djobadze 1984], „პაფოსის ეკლესიის ისტორია“ კი 10 წლით უსწრებს წინ პროფ. ვ. ჯობაძის 1981 წლის ექსპედიციას კვიპროსზე, როდესაც მან ღალიას მონასტრის ნანგრევები აღმოაჩინა და მისი იდენტიფიცირება მოახდინა.

მაგრამ ღალიას მონასტრის არქეოლოგიური გათხრების პირველივე კამპანიის დასრულების შემდეგ (2006 წ.) აშკარა გახდა, რომ აქ რაღაც გაუგებრობასთან გვაქვს საქმე, რადგან მონასტრის ნანგრევების ქვეშ სამონასტრო ცხოვრების XVI საუკუნეზე უფრო გვიანი ხანის არანაირი კვალი არ შეგვხვედრია, რაც წარმოუდგენელია იმ შემთხვევაში, თუ მონასტერი XX საუკუნემდე მოქმედი იყო. შესაძლებელია, ეს, უბრალოდ, კორექტურული შეცდომაა (1635 ხომ არ უნდა ეწეროს, 1935-ის ნაცვლად?).

არქეოლოგიურ მონაცემებს უკეთ ეხმაურება თქმულება, რომელიც ადგილობრივმა მცხოვრებლებმა გვიამბეს: ოსმალების მიერ კვიპროსის დაპყრობის (1571 წელი) შემდეგ თურქების რაზმს ღალიაც დაუკავებია, სადაც მათ 7 ქართველი ბერი დახვედრია; ექვსი მათგანი წამებით დაუხოცავთ, მეშვიდე კი მომხდურებს გაქცევია; გაქცეულს მდევარი გამოჰკიდებია, მაგრამ ბერი ფრიალო კლდიდან გადამხტარა და უვნებლად დაშვებულა მიწაზე. ბერის სასწაულებრივ გადარჩენას მდევრები ისე შეუშინებია, რომ მათ დევნას თავი დაანებეს, უკან დაბრუნდნენ, ბერმა კი ქოხი აიშენა და ღრმა სიბერემდე იქ იცხოვრა. მთხრობლები გვიჩვენებენ იმ კონკრეტულ ადგილს, სადაც ეს სასწაული მოხდა. მას „ბერის ნახტომი” ეწოდება.

არქეოლოგიურმა გათხრებმაც ცხადყო, რომ ღალიას მონასტერში მისი არსებობის დასასრულამდე ქართველი ბერ-მონაზვნები მოღვაწეობდნენ. ამის დასტურია ღალიის მონასტრის ნანგრევებში აღმოჩენილი XVI საუკუნის მოჭიქული ჯამი, რომლის ძირზე ამოკვეთილია ქართული წარწერა: “შემეწიე”.

ქართველები რომ ოსმალთა შემოსევამდე ისევ ცხოვრობდნენ კვიპროსზე, ეტიენ ლუზინიანის მიერ XVI ს-ში შედგენილი “კვიპროსის აღწერიდან” ირკვევა, რომელშიც, მართალია, კონკრეტულად ღალია არ არის მოხსენიებული, მაგრამ ნათქვამია, რომ ქართველებს კვიპროსზე აქვთ მონასტრები, ძირითადად ალამინის რაიონში. ეს არის ყველაზე გვიანდელი ცნობა ქართული მონასტრების შესახებ კვიპროსზე.

ამრიგად, როგორც წერილობითი წყაროების ცნობები, ისე არქეოლოგიური მონაცემები უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ღალიას მონასტერმა არსებობა შეწყვიტა XVI საუკუნის ბოლოს, ოსმალთა მიერ კვიპროსის ოკუპაციის შემდეგ. რაც შეეხება საკითხს, თუ როდის და ვისი ინიციატივით დაარსდა ღალიას ყოვლადწმინდა

ღვთისმშობლის სახელობის მონასტერი, ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ ვახსენოთ ერთი ცნობა, რომელიც კვიპროსზე ქართველთა ყოფნას ეხება. სინას მთაზე, წმ. ეკატერინეს სახელობის მონასტერში ახლახან აღმოჩენილი ერთ-ერთი ქართული ხელნაწერის (Sin.Geo.№19) ანდერძ-მინაწერში, რომელიც 980 წელს შეუსრულებია ცნობილ ქართველ სასულიერო მოღვაწესა და ჰიმნოგრაფს იოანე ზოსიმეს, საუბარია კვიპროსიდან სინას მონასტერში ქართულ ენაზე ახლად ნათარგმნი ხელნაწერი წიგნების მიტანის თაობაზე: „რომელი ახლად გამოვიდა ჩვენდა ენად კვიპრით სინაზე," წერს იოანე ზოსიმე [ალექსიძე და სხვ. 2005: 265]. ღალიას მონასტრის არქეოლოგიური გათხრების შედეგების გააზრება კვიპროსის ქართული დიასპორის შესახებ არსებული წერილობითი წყაროების,შუასაუკუნეების ქართული და ბიზანტიური ხუროთმოძღვრების ისტორიისა და საქართველო-ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობის ისტორიის მონაცემთა გათვალისწინებით, უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ იოანე ზოსიმეს მიერ მოხსენიებული ქართული თარგმანები შესრულებული უნდა ყოფილიყო სწორედ ღალიას ქართულ მონასტერში, სადაც სკრიპტორიუმი, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, შემდგომშიც, XI-XII საუკუნეებშიც მოქმედებდა და რომლის ერთ-ერთი წინამძღვარი XIII ს-ში, იოანე „მწიგნობრად" იწოდებოდა.

მაგრამ თუკი სარწმუნოა მოსაზრება, რომ იოანე ზოსიმეს მიერ ნახსენები თარგმანები ღალიაშია შესრულებული, მაშინ გამოდის, რომ 980 წელს ღალიას მონასტერი უკვე არსებულა. მართლაც, ღალიას მონასტრის შესწავლის ზოგიერთი შედეგი გვაფიქრებინებს, რომ მონასტერი X ს-ში უნდა იყოს დაარსებული და რომ ქართული მონასტრის კვიპროსზე დაარსების ინიციატივა უშუალოდ ტაო-კლარჯეთიდან მოდიოდა,რომელიც X ს-ში განსაკუთრებულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ აღმავლობას განიცდიდა და სადაც იმ დროისათვის სამონასტრო ცხოვრებას უკვე ხანგრძლივი და ნაყოფიერი ტრადიცია ჰქონდა. ტრიკონქიც ხომ IX-X საუკუნეების ტაო-კლარჯეთში სატაძრო ნაგებობათა ყველაზე მეტად პოპულარული ტიპი იყო, ხოლო ღალიას მონასტრის მთავარი და უძველესი ნაგებობა, ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი ერთადერთი ტრიკონქია მთელ კვიპროსზე, მაშინ როდესაც მისი (ღალიას ღვთისმშობლის ტაძრის) მშენებლობის ტექნიკა მთლიანად ადგილობრივი, კვიპროსულია. როგორც ჩანს, მშენებლობის დამკვეთებმა – ტაო-კლარჯეთიდან მოსულმა ქართველმა ბერებმა მათთვის ჩვეული და სასურველი გეგმარებითი კონსტრუქციის ტაძარი ადგილობრივ, კვიპროსელ მშენებლებს ააშენებინეს.

უკვე ითქვა, რომ ღალიას ქართული მონასტრის ნანგრევების აღმოჩენა და იდენტიფიცირება პროფ. ვ.ჯობაძეს [Djobadze 1984] ეკუთვნის. მონასტრის სრულმასშტაბიანი არქეოლოგიური შესწავლის იდეა 2001 წლის ივნისში დაიბადა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის კვიპროსში ვიზიტის დროს, რომელიც კვიპროსსა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნებში საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენლის, დეკანოზ ზაქარია ფერაძის მცდელობითა და კვიპროსის სასულიერო და საერო ხელისუფლების მხარდაჭერით შედგა.

კვიპროსის მხარემ სიამოვნებით მიიღო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის წინადადება, სამონასტრო კომპლექსი არქეოლოგიურად გამოკვლეულიყო და მიმდებარე ტერიტორიაზე მცირე ტაძარი აგებულიყო, როგორც სიმბოლო ორი ქვეყნის ეკლესიების მეგობრობისა. მხარეებს შორის მიღწეული შეთანხმების პრაქტიკულ განხორციელებას მამა ზაქარია შეუდგა [ლაჭყეპიანი 2009: 415-416].

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროების შუამდგომლობის საფუძველზე კვიპროსის რესპუბლიკის კომუნიკაციებისა და სამუშაოთა სამინისტროს სიძველეთა დეპარტამენტმა (დირექტორი პავლოს ფლორენცოს) 2006 წლის 7 ივლისს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის პირველი მოადგილის ნიკოლოზ ვაჩეიშვილის სახელზე გასცა ლიცენზია ღალიის მონასტრის (კვიპროსი, პლანშეტი XXVI/32, ნაკვეთი 11) არქეოლოგიური გათხრების ჩასატარებლად.

ლიცენზიის მიღების შემდეგ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრმა და საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა კომპლექსური სამეცნიერო ექსპედიცია შეადგინა, რომელიც საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის კურთხევით კვიპროსის რესპუბლიკაში სამუშაოდ გაემგზავრა. ექსპედიციის დაფინანსებაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდმაც.

2006-2009 წლებში ექსპედიციამ კვიპროსზე ხუთი საველე კამპანია (2007 წელს – ორი) ჩაატარა, 2006-2007 წლებში ი. გაგოშიძის, 2008-2009 წლებში კი დ. მინდორაშვილის ხელმძღვანელობით. ექსპედიციაში მუშაობდნენ: არქიტექტორი თ. გაბუნია, ხელოვნებათმცოდნე გ. გაგოშიძე, არქეოლოგი რ. ისაკაძე (2007წ.), ტოპოგრაფი ა. კონიაშვილი (2006წ.), გეოლოგი ს. გოგმაჩიძე (2006წ.), კონსტრუქტორი გ. გორდელაძე (2006წ.), ანთროპოლოგი ლ. ბითაძე (2007-2008წ.), მხატვარ-რესტავრატორი დ. გაგოშიძე (2008წ.). ასევე, ახალგაზრდა არქეოლოგთა არასამთავრობო ორგანიზაცია "დრო და მემკვიდრეობის" წევრები. კვიპროსის მხრიდან ექსპედიციაში მუდმივად მუშაობდა ნიქოზიის მუზეუმის თანამშრომელი, არქეოლოგი გეორგიოს ფილოთეოსი.

ექსპედიციას დახმარება გაუწიეს საქართველოს ელჩმა ლ. ჟვანიამ და კონსულმა პ. კანკავამ. დეკანოზ მამა ზაქარიას მიერ ორგანიზებული იყო კვიპროსის ქართული დიასპორის წარმომადგენელთა ჯგუფები, რომლებიც რეგულარულად მონაწილეობდნენ საველე მუშაობაში და ექსპედიციას არა მხოლოდ ფიზიკურად, არამედ მატერიალურადაც კი ეხმარებოდნენ.

ღალიას მონასტრის ნანგრევები ექსპედიციას, დაახლოებით, ისეთივე მდგომარეობაში დახვდა, როგორიც პროფ. ვ. ჯობაძეს 1981 წელს: იალიას ღელის მარჯვენა (ჩრდილო) ნაპირას აღმართული, აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძზე წაგრძელებული გორაკის თხემზე მონასტრის ნანგრევები ქმნიდა 2-3 მ. სიმაღლისა და 40-ოდე მ. სიგრძე-სიგანის მცირე

ბორცვს, საიდანაც ამოშვერილი იყო ეკლესიის სამხრეთი და ჩრდილო აბსიდების კედლები და სამხრეთი კარიბჭის ორი ოთხწახნაგა ბურჯი, რომელთაგანაც ერთ-ერთზე ქართული ასომთავრული წარწერებია ამოკვეთილი.

ბორცვს სამხრეთიდან სოფლის მოსახელე მცირე ღელე ჩამოუდის, რომელიც ზაფხულობითაც კი არ შრება, რაც კვიპროსისთვის დიდი იშვიათობაა. ამ წყალზე ღალიას მონასტერს წისქვილიც ჰქონია,რომლის ნანგრევები შემორჩენილია მონასტრიდან სამხრეთ-დასავლეთით 200-ოდე მეტრში. (ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ასეთი ლეგენდა გვიამბეს: ეს წისქვილი, თურმე, მხოლოდ მონასტრის საფქვავს ფქვავდა და თავისით ჩერდებოდა, როგორც კი ხვიმირში სხვისი კუთვნილი მარცვლეული აღმოჩნდებოდა).

მონასტრის ნანგრევების ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაახლოებით 200 მ მანძილზე შემორჩენილია ნანგრევები წმ. ნიკოლოზის სახელობის პატარა ზომის დარბაზული ეკლესიისა შვერილი წრიული აფსიდით, რომელიც, როგორც გათხრების შედეგად გაირკვა, ღალიას მონასტრის მონაზონთა განსასვენებელ მიწისქვეშა თაღოვან აკლდამაზე დადგმული სამლოცველო ყოფილა.

ტყის მცველებმა მონასტრიდან აღმოსავლეთით, 2-2,5 კმ მანძილზე ქვიოკირის კედლით ამოშენებული კლდოვანი ეხი გვაჩვენეს, რომელიც ძალიან ჰგავდა მარტომყოფელი ბერის სენაკს. გათხრების შედეგად გაირკვა,რომ,მართლაც, ეს უნდა ყოფილიყო ღალიას მონასტრიდან ორი მილით (მილიონით) დაშორებული ის ადგილი,სადაც XI ს-ში ფსალმუნთა თარგმანის ზემოთ ნახსენები № H-18 ხელნაწერი შეიქმნა, რომელიც ღალიადან ჯერ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ბიბლიოთეკაში, შემდეგ კი სანკტ-პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში მოხვდა და რომლის გადამწერი თავის ანდერძ-მინაწერში საყვედურობს, რომ მუშაობის დროს მარტო იყო, ღვთისმშობლისა და უფლის გარდა მას არავინ დახმარებია [ჟორდანია 1892: 128].

2006-2009 წლებში მთლიანად გაითხარა საკუთრივ მონასტერი, წისქვილი და მარტომყოფელის სენაკი, ხოლო წმ. ნიკოლოზის ეკლესია და აკლდამა – ნაწილობრივ. მათი გათხრა 2010 წელს დასრულდება.

ღალიას მონასტრის ღვთისმშობლის სახელობის მთავარი ეკლესია (13.5x9.5მ) დაგრძელებული ტრიკონქია, რომლის აღმოსავლეთის (საკურთხევლის) აფსიდი უფრო ღრმაც არის (ბემის ხარჯზე), ვიდრე სამხრეთი და ჩრდილო აფსიდები და მათზე მეტად განიერიც. ამიტომ ტრიკონქის გუმბათქვეშა სივრცე კვადრატი კი არ არის, არამედ ჩრდილო-სამხრეთის ღერძზე მცირედ წაგრძელებული მართკუთხედია. გუმბათი ეყრდნობოდა ჩრდილო და სამხრეთი აბსიდების პილასტრებად შვერილ ბოლოებზე გადაყვანილ თაღებს. გუმბათქვეშა კვადრატიდან (მართკუთხედიდან) გუმბათის ყელის წრეზე გადასვლა აფრების საშუალებით ხორციელდებოდა: ერთი ამ აფრათაგანი ეკლესიის ნანგრევში აღმოჩნდა (აფრაში შერჩენილია კედლის მხატვრობა – ექვსფრთედის გამოსახულება) . ტრიკონქის დასავლეთის მკლავი მოკლეა, რაც საერთოდ დამახასიათებელია სამონასტრო ეკლესიებისათვის, მაგრამ ამ მკლავის დასავლეთ ბოლოში, ორივე კუთხეში არსებული

პილასტრი, რომლებსაც თაღი ეყრდნობოდა, გვაფიქრებინებს, რომ ეს მკლავი თავდაპირველად, შესაძლებელია, უფრო გრძელი იყო და თაღი მას ორად ჰყოფდა, ხოლო მკლავის დამოკლება ერთ-ერთი ადრეული რემონტის დროს უნდა მომხდარიყო: ტაძრის დასავლეთი კედელი აშკარად გვიან არის ჩაშენებული.

ღვთისმშობლის ტაძრის სოლეა დაბალია (25 სმ), ერთსაფეხურიანი. საკურთხევლის ბემაში,ჩრდილოეთით,სამკვეთლოში გასასვლელი კარია გაჭრილი. ჩრდილოეთ აფსიდში შერჩენილია სარკმლის დასავლეთი წირთხლი. ეკლესიას ორი შესასვლელი ჰქონდა: ერთი კარი ეკლესიის დასავლეთ კედელშია გაჭრილი, მეორე კი სამხრეთ აფსიდში.

მძარცველებისგან დათხრილ-დაზიანებული იატაკი თავის დროზე კირხსნარით მოლესილი და თეორი მარმარილოს ფილებით იყო მოფენილი. სოლეის წინ და საკურთხევლის სამხრეთ ნაწილში ნალესობა, სამხრეთ აფსიდში კი მარმარილოს ფილების ნატეხებია შემორჩენილი.

ეკლესიის ინტერიერი მთლიანად მოხატული ყოფილა. ჩრდილო აფსიდში შემორჩენილია გარდამოხსნის სცენა, სამხრეთ აფსიდში – ნათლისღება, საკურთხევლის სამხრეთი ბემის ნიშში კი წმინდა მამათა ნახევარფიგურები სამ რეგისტრად. ეკლესია გარედანაც მოხატული ყოფილა: ტრიკონქის ჩრდილო კედელზე, გარედან შერჩენილია მხატვრობის კვალი; ჩრდილო აფსიდის გარე კედელზე კი დახატული ჯვარი ჩანს. გათხრების დროს ნანგრევში, როგორც ეკლესიის შიგნით, ისე გარეთაც დიდი რაოდენობით გვხვდებოდა კირის ნალესობის ფრაგმენტები კედლის მხატვრობით,რომლებიც ექსპედიციის მოპოვებულ სხვა არქეოლოგიურ მასალასთან ერთად პოლისის მუზეუმს გადაეცა დასაცავად.

ტრიკონქის კანკელიც მოხატული ყოფილა. ნანგრევებში შეგვხვდა კანკელის სვეტების ოთხმხრივ მოხატული ნაწილები და კანკელისავე თაღები, შიგნით მოხატული. კანკელის მხატვრობა ცოტა უფრო მოგვიანო ხანისა ჩანს, ვიდრე ეკლესიის კედლის მხატვრობაა. ღალიას მონასტრის კედლის მხატვრობის ძირითადი ფენა შესრულებული უნდა იყოს განსწავლული ბიზანტიელი ფერმწერის მიერ,ალბათ,კომნენოსების დროს, XII ს-ში და ბიზანტიური მხატვრობის საუკეთესო ნიმუშებს მიეკუთვნება. ფერწერაში გამოყენებულია ისეთი ძვირფასი პიგმენტები, როგორიცაა აური-პიგმენტი, სინგური და ლაჟვარდი (ლაპის-ლაზური), ხოლო ფიგურათა ნიმბები ოქროს ფურცლითაა შესრულებული. ფრესკული წარწერები ბერძნულია.

ტრიკონქი აშენებულია კირდუღაბში ჩაფლული ნატეხი ქვით (გარდა დასავლეთი კედლისა, რომელიც თლილი ქვითაა ნაგები) და მას, პრაქტიკულად, საძირკველი არ გააჩნია, მხოლოდ ჩრდილო აფსიდს აქვს ერთსაფეხურიანი ცოკოლი (რელიეფი დაქანებულია ჩრდილოეთისკენ), რომელიც სამკვეთლოში შეიმჩნევა. ასე რომ ღალიას მონასტრის მთავარი ტაძრის კედლები საძირკვლის გარეშე უშუალოდ ეყრდნობა მკვრივ თიხნარ გრუნტს. ნაგებობათა, მათ შორის, ეკლესიების უსაძირკვლო მშენებლობა ჩვეულებრივი წესია კვიპროსისათვის, რადგან უსაძირკვლო შენობა ნაკლებად ზიანდება მიწისძვრისაგან,

რაც ძალიან ხშირია კვიპროსზე, სადაც ძლიერი მიწისძვრა თითქმის ყოველწლიურად ხდება, ხოლო დამანგრეველი – საუკუნეში ერთხელ მაინც. ღალიას მონასტრის მესვეურებს, ალბათ, ერთ-ერთი ძლიერი მიწისძვრის შემდეგ მოუხდათ ტაძრის მთავარი, აღმოსავლეთი აფსიდის კედლის გამაგრება სეგმენტის ფორმის ორი ბურჯი-კონტრფორსით, რომელთაგანაც სამხრეთის ბურჯი-კონტრფორსი გათხრებამდე ჩანდა, ჩრდილო კონტრფორსი კი გათხრის შედეგად გამოჩნდა.

ღვთისმშობლის ტაძარს დასავლეთიდან ვრცელი პორტიკი (6.75x6.5მ), ეკვრის, რომელიც, ისე როგორც ტაძრისა და ამ პორტიკის გამყოფი კედელი, თლილი ქვითაა ნაგები. პორტიკიდან ტაძარში შესასვლელი კარი ზუსტად კედლის შუაშია გაჭრილი. კარგადაა შემორჩენილი კარის ამყოლები, სამხრეთი ამყოლის ძირში კი კარის ღერძის ჩასასმელი ფოსო ჩანს. კარიბჭე ორადაა გაყოფილი სამხრეთ და ჩრდილო კედლებზე მიყრდნობილი პილასტრებით, რომლებზეც თაღი გადადიოდა, დასავლეთით კი მთლიანად გახსნილია მძლავრ ოთხკუთხა ბურჯებზე დაყრდნობილი ფართო თაღით, რომელიც ფართო კიბის ხუთ განიერ საფეხურს ხურავს.

ტაძარსა და კარიბჭეს ჩრდილოეთიდან აბსიდიანი სამლოცველო (7.5x4.5მ) ეკვრის, რომელიც, როგორც გაირკვა, წმ. გიორგის სახელობაზე იყო ნაკურთხი. ამის თქმის უფლებას გვაძლევს სამლოცველოს კედლებზე არსებული ქართული ფრესკული წარწერები, რომლებშიც წმ. გიორგია მოხსენიებული, ასევე, ის ფაქტი, რომ ამ სამლოცველოს პორტიკის (კარიბჭის) სამხრეთ-აღმოსავლეთი ბურჯის დასავლეთ სიბრტყეზე, სამლოცველოში შესასვლელი კარის მარჯვნივ გამოსახულია გველეშაპის მსახვრელი შუბოსანი მხედარი წმ. გიორგი.

წმ. გიორგის ეკლესიის სამხრეთ კედლად მთავარი ტაძრის დასავლეთი მკლავის ჩრდილო კედელია გამოყენებული, ხოლო აფსიდს, რომელიც გარედან ეკვრის ღვთისმშობლის ტაძრის ჩრდილო აფსიდის დასავლეთ კალთას, მთლად სწორი ნახევარი წრის ფორმა არა აქვს. ეკლესია კირდუღაბში ჩაფლული ნატეხი ქვითაა ნაგები, ისევე როგორც მთავარი ტაძარი, მაგრამ, ცხადია, რომ იგი მთავარ ტაძართან ერთად კი არ არის აგებული, არამედ უკვე აშენებულ ტაძარზეა მიდგმული, შესაძლებელია, მშენებლობის დასრულების შემდეგ ძალიან მალეც კი. მოგვიანებით წმ. გიორგის ეკლესიის გადახურვის კონსტრუქცია შეუცვლიათ: დარბაზის ოთხივე კუთხეში თლილი ქვით პილასტრები ამოუყვანიათ და ეკლესია ამ პილასტრებზე გადაყვანილ თაღებზე დაყრდნობილი გუმბათით გადაუხურავთ. ნანგრევში, რომლითაც მთლიანად იყო დაფარული წმ. გიორგის ეკლესია, გუმბათქვეშა წრიული კარნიზის პროფილირებული ქვები გამოირჩა. ამ რემონტის დროს ამოიქოლა წმ. გიორგის ეკლესიის სამხრეთი კედლის დასავლეთ ბოლოში არსებული კარი, რომლითაც ეს ეკლესია მთავარ ეკლესიას უკავშირდებოდა. წმ. გიორგის ეკლესიაზე დასავლეთიდან თაღოვანი პორტიკი იმავე დროს მიუშენებიათ. პორტიკს შესასვლელი ჩრდილოეთიდან აქვს და შესაძლებელია, მეორე სართულად სამრეკლოს ფანჩატური ედგა. პორტიკის იატაკი კერამიკული ფილებით (აგურით) არის მოგებული და თითქმის დაუზიანებლად შემორჩა, მაშინ როდესაც მარმარილოს ფილებით მოგებული წმ.

გიორგის ეკლესიის იატაკი მოლიანად გადათხრილია.

წმ. გიორგის ეკლესიაც და პორტიკიც შიგნიდან მოხატული გახლდათ. კირით შელესილი და მოხატული იყო ეკლესიის ქვის კანკელიც. ეკლესიის შემავსებელ ნანგრევში ნაპოვნ კანკელის სვეტის ერთ-ერთ ფრაგმენტზე ქართული ასომთავრული გრაფიტოები – ნაკაწრი წარწერებია შემორჩენილი. ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთი კუთხის პილასტრის აღმოსავლეთ წახნაგზე, იატაკის დონიდან 1,58 მ სიმაღლეზე შერჩენილია თეთრი ფერის კირის პრიალა ნალესობაზე შავი ტუშით შესრულებული ულამაზესი ქართული ასომთავრული წარწერა, დიდი ზომის ურთიერთჩაწნული ასოებით. პალეოგრაფიული ნიშნებით წარწერა XIV ს-ს განეკუთვნება და ეს არის წმ. გიორგის ეკლესიისა და მთავარი ეკლესიის ნარტექსის ხსენებული რემონტის terminus ante quem.

წმ. გიორგის ეკლესიას აღმოსავლეთიდან და ღვთისმშობლის ტაძარს ჩრდილოეთიდან აფსიდით დაბოლოებული გრძელი სათავსო აქვს მიშენებული, სადაც მოხვედრა მხოლოდ მთავარი ტაძრის საკურთხევლიდან იყო შესაძლებელი. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ეს სათავსო-ეკვდერი სამკვეთლოს ფუნქციასაც ასრულებდა. იმ მიზნით,რომ სამკვეთლოს იატაკი საკურთხევლის იატაკის დონემდე აემაღლებინათ, მშენებლებს სუბსტრუქციის ამოშენება მოუხდათ,რომელსაც ეყრდნობა სამკვეთლოს სუფთად ნათალი ქვითა და აგურით ნაგები ჩრდილო კედელი. კედელი ჩრდილოეთისკენ გადაწვენილი დაგვხვდა ისე, რომ ქვების წყობა არ იყო დარღვეული, განსხვავებით მონასტრის სხვა ნაგებობებისაგან, რომელთა კედლების ნანგრევები სხვადასხვა მხარეს უსისტემოდ იყო გაფანტული. სამკვეთლოს იატაკი ქვის ფილებით არის მოგებული და, მონასტრის სხვა სათავსებისაგან განსხვავებით, თითქმის დაუზიანებლად შემორჩა. იატაკზე მნიშვნელოვანი რაოდენობით აღმოჩნდა ნივთიერი არქეოლოგიური მასალა: მინის ლამპრისა და ბოთლის ფრაგმენტები, თიხის ფიალა, ბრინჯაოს ჯვარი და საცეცხლურის ნაწილები, კვიპროსის მეფის James II Cartezias-ის 1323 წელს მოჭრილი ვერცხლის მონეტა – დენიე [Metealf 2006: ტაბ.33,7] და სხვ. ყველაფერმა ამან გვაფიქრებინა, რომ ეს ეკვდერი-სამკვეთლო XIV ან XV ს-ში მიწისძვრას დაუნგრევია და იგი აღარ აღუდგენიათ, მონასტრის საბოლოო გაძარცვისა და ნგრევის დროს ისევ დანგრეული ყოფილა.

ღვთისმშობლის ტაძრის სამხრეთ აფსიდაზე მიშენებულია თაღოვანი პორტიკი, რომლის ორი სამხრეთი ბურჯი გათხრებამდეც ჩანდა (ერთ-ერთ მათგანზე ქართული წარწერებია ამოკვეთილი), ჩრდილო ბურჯები კი, რომლებიც ტაძრის კედელზეა მიშენებული, გათხრის შედეგად გამოჩნდა. პორტიკი ჯვრული კამარით იყო გადახურული. ასომთავრული წარწერები ამ პორტიკის აგებას XIII-XIV საუკუნეთა მიჯნით ან ცოტა უფრო ადრეული ხანით ათარიღებს. პორტიკის სამხრეთი ბურჯები ზღვის სანაპიროდან ამოტანილი ქვიშაქვის კვადრებით არის აგებული.

პორტიკის აღმოსავლეთით, მთავარი ტაძრის საკურთხევლიანი აბსიდის გარე კედელთან გამოვლინდა სათავსი (შემორჩა კირხსნარით მოლესილი იატაკის ფრაგმენტი), რომლის თავდაპირველი ფუნქცია,

თითქოს, ცხადია: იგი ერთ-ერთი პასტოფორიუმი, სადიაკვნე უნდა ყოფილიყო.

პორტიკის ქვეშ, დასავლეთ ნაწილში გაითხარა უფრო ადრეული აფსიდის მაგვარი კონსტრუქცია, რომელიც გახსნილია დასავლეთით და აქ კარგად მოლესილ მართკუთხა აუზს უერთდება. ეს აფსიდიანი აუზი მიდგმულია მთავარი ტაძრის დასავლეთი მკლავის სამხრეთ კედელსა და სამხრეთი აფსიდის დასავლეთ ნახევარზე. აუზის აფსიდი შუაში გაჭრილია და ამ ღიობში კერამიკული წყალსადენის დასავლეთი ბოლო შედის. აშკარაა, ეს უნდა ყოფილიყო კონქით დახურული წყარო, მიმდებარე წყალშემკრები აუზით.

აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიმართული წყალსადენის კერამიკული მილები კირის დუღაბშია ჩასმული, რაც იმაზე მიუთითებს, რომ წყალი მასში წნევით მიდიოდა. წყალსადენს აღმოსავლეთისკენ 15 მ-ის მანძილზე გავყევით.

ამ წყალსადენთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული დიდი ზომის ცისტერნაც (10x3x6მ), რომელიც სამონასტრო კომპლექსის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში, წყაროს აუზის სამხრეთით გაითხარა. მისი ძირითადი ნაწილი მიწის ქვეშ იყო მოქცეული. ცისტერნის კედლები კლდის ქვით კირის ხსნარზე საგულდაგულოდ ნაშენია და ჰიდრავლური ხსნარით იყო შელესილი. ასევეა მოლესილი ცისტერნის იატაკიც. ცისტერნის აღმოსავლეთი კედლის ზედა ნაწილში, რომელიც თავიდანვე მიწის ზემოთ ყოფილა, გაჭრილია ორი ვიწრო სარკმელი, კედელს კი გარედან, სარკმლების ძირის დონეზე (ე.ი. მიწის ძველ ზედაპირზე) კირქვის ბლოკებში ამოკვეთილი ღარი-სადინარი მიუყვება, რაც გვაფიქრებინებს, რომ ზემოხსენებული სარკმლები, ცისტერნის განიავების გარდა, ტრაპის ფუნქციასაც ასრულებდა და, როდესაც ცისტერნა ივსებოდა, მათში გადმოედინებოდა წყალი. ცისტერნა ღალიას მონასტრის ერთ-ერთი ადრეული ნაგებობაა, წყალსადენის გაყვანისთანავე აშენებული, არაუგვიანეს XII-XIII ს-თა მიჯნისა.

ღალიას მონასტრის არსებობის საწყის ეტაპზე მონაზვნები სახმარ წყალს ჰიდრავლური ხსნარით კედლებმოლესილ ორმოებში ინახავდნენ, რომლებიც ზამთრის წვიმების წყლით ივსებოდა. ოთხი ასეთი ორმო ტაძრის სამხრეთით გაითხარა. წყალსადენის გაყვანისა და ცისტერნის აგების შემდეგ ეს ორმო-წყალსატევები ნანგრევითა და ნაგვით ამოივსო.

ღალიას მონასტრის არსებობის რომელიღაც ბოლო ეტაპზე ცისტერნა, ისე როგორც წყარო და აუზი (ალბათ, წყალსადენიც), დაზიანებულა და მათ თავდაპირველი ფუნქცია დაუკარგავს, მაგრამ ერთხანს სხვა დანიშნულებით იყენებდნენ: აუზის მოლესილი იატაკი ჩატეხილია და მის სამხრეთ კედელში გაჭრილია კარი, საიდანაც ტაძრის ნანგრევებით ნახევრად შევსებულ ყოფილ ცისტერნაში სამსაფეხურიანი კიბით ჩადიოდნენ. ცისტერნაშივე მოწყობილ მეორე სათავსოში მოხვედრა ცისტერნის დასავლეთ კედელში გაჭრილი კარით შეიძლებოდა. ცისტერნასა და მთავარი ტაძრის ნარტექსს შორის მოქცეული სათავსი მარანი უნდა ყოფილიყო.

XIV-XV სს-ში ტაძრის სამხრეთით და აღმოსავლეთით მიმდებარე ფართობზე სამარხები ჩნდება. გარდაცვლილ მონაზონს, როგორც წესი,

მოჭიქულ ჯამს ატანდნენ. მონაზვნების საფლავების გარდა აქ საერო პირების, მათ შორის, ქალისა და ბავშვის სამარხებიც აღმოჩნდა.

XII-XVI სს-ში ბერ-მონაზონთა ძირითადი საძვალე მთავარი ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე წმ. ნიკოლოზის სახელობის დარბაზული ტიპის პატარა ეკლესიის ქვეშ არსებული კრიპტა იყო, სადაც ადამიანის მრავალრიცხოვან ძვლებთან ერთად XII-XVI სს-ის კერამიკული ნაწარმიც აღმოჩნდა. კრიპტასა და ეკლესიას მონასტრის გაუქმებასთან ერთად ფუნქციონირება უნდა შეეწყვიტა.

გათხრების პროცესში ნივთიერი არქეოლოგიური მასალაც საკმაოდ დიდი რაოდენობით გვხვდებოდა. მასალაში ჭარბობს კერამიკული ჭურჭელი, მათ შორის მოჭიქულიც, მაგრამ გვაქვს ძვლის, ქვისა და ლითონის ნივთებიც (მაგ., ბრინჯაოს საცეცხლური და ჯვარი) და XIII–XIV სს-ის ვერცხლის კვიპროსული მონეტები. არ შეიძლება არ აღინიშნოს სეფისკვერის კერამიკული საბეჭდავისა და ქვის სამელნის აღმოჩენა.

მოჭიქული კერამიკული ჯამების, სასმისებისა და დოქების უდიდესი ნაწილი ადგილობრივი, კვიპროსული ნაწარმია და, ძირითადად, XIII-XV სს-ით თარიღდება [ΠΑΠΑΝΙΚΟΛΑ-ΜΠΑΚΙΡΤΖΗ 1996], თუმცა გვაქვს უფრო ადრეული ნაწარმიც, რომელთა ნაწილი, შესაძლებელია, კონტინენტიდან შემოტანილი იყოს. მაგრამ ეს შემდგომ კვლევა-ძიებას მოითხოვს, ისევე, როგორც მოუჭიქავი კერამიკა, რომელთა შორის ერთი ნამდვილად იმპორტული (ბიზანტიური) ამფორის ფრაგმენტია.

გაოცებას იწვევს მინის ნაწარმის სიუხვე. არაფერი რომ არ ვოქვათ სარკმლის მინისა და საეკლესიო ლამპრების ნატეხების დიდ რაოდენობაზე, რაც დამახასიათებელია მონასტრისათვის, აქ მინის სუფრის ჭურჭლის საკმაოდ ბევრი ნატეხიც აღმოჩნდა. მათ შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია XV-XVI სს-ის ვენეციური მინის მოოქრული და მინანქრით მოხატული სასმისები და ე.წ. „პილიგრიმის ფლაკონები" [შესადარებლად იხ.: Beakers №№156-159 და Pilgrim flask №163 კატალოგში: Venice and the Islamic World 828-1797. The Metropolitan Museum of Art, New York, March 27-July 8, 2007].

ღალიას მონასტრის არქეოლოგიური გათხრებით გამოვლენილი ნაგებობების ზემოთმოტანილი აღწერილობიდანაც ცხადი უნდა გამხდარიყო, რომ მონასტერი მთელი მისი არსებობის განმავლობაში მრავალჯერ აშენდა და გადაკეთდა. მოხერხდა ღალიას სამონასტრო ნაგებობების მშენებლობის 6 ეტაპის გამოყოფა და მათი თანამიმდევრობის დადგენა.

1. პირველი ეტაპი. შენდება ტრიკონქი – ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი, რომლის დასავლეთი მკლავი თავდაპირველად, შესაძლებელია, უფრო გრძელი იყო.

2. მეორე ეტაპი. შენდება დარბაზული ტიპის სამლოცველო – წმ. გიორგის სახელობის ეკლესია, რომელიც ჩრდილოეთიდან ტრიკონქის ჩრდილო აფსიდის დასავლეთ ნაწილსა და დასავლეთი მკლავის ჩრდილო კედელს ეკვრის. წმ. გიორგის სამლოცველო თავდაპირველად ტრიკონქს სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში გაჭრილი კარით უკავშირდებოდა.

3. მესამე ეტაპი. წმ. გიორგის ეკლესიას დასავლეთიდან ორსართულიან

ნაგებობას ადგამენ,შესაძლებელია,სამრეკლოს,რომლის ჯვრული თაღით დახურული პირველი სართული წმ. გიორგის ეკლესიის პორტიკად იქცევა. ამავე დროს ხელახლა შენდება მთავარი ტაძრის დასავლეთი მკლავი და იცვლება წმ. გიორგის ეკლესიის გადახურვის სისტემა: დარბაზის კუთხეებში შენდება ბურჯები, რომლებზეც გადაყვანილ თაღებს გუმბათს აყრდნობენ. ამ გადაკეთების შედეგად წმ. გიორგის ეკლესიის სამხრეთი კარი ამოიქოლა.

ამ სამივე ეტაპის მშენებლობა კირის დუღაბში ჩაფლული ტეხილი ქვით ხორციელდება.

4. მეოთხე ეტაპი. ტრიკონქს უშენდება პასტოფორიუმები – ტაძრის აღმოსავლეთ ნაწილს ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან მინაშენებს ადგამენ, მინაშენებისა და ტრიკონქის აღმოსავლეთი აფსიდის შეხვედრის ადგილებზე ტაძრის მორყეული აფსიდის გასამაგრებლად კონტრფორსები შენდება. მთავარი ტაძრის იმ დროისათვის, ალბათ, დანგრეული დასავლეთი მკლავი ხელახლა შენდება, ასევე პორტიკი – მძლავრ ბურჯებზე დაყრდნობილი, ფართო და მაღალი თაღით დასავლეთისკენ გახსნილი საზეიმო კარიბჭე. ღვთისმშობლის ტაძარი დასრულებულ სახეს იღებს.

ეს მშენებლობა თლილი ქვითა და აგურით ხორციელდება. იმავე დროს გაჰყავთ წყალსადენი და ცისტერნას აშენებენ, მთავარი ტაძრის, მისი ნარტექსისა და წმ. გიორგის ეკლესიის იატაკებზე მარმარილოს ფილებს აფენენ.

5. მეხუთე ეტაპი. ტრიკონქის სამხრეთ აფსიდას ჯვრული თაღით დახურული ოთხბურჯიანი პორტიკი მიადგეს, ხოლო მონასტრის დასავლეთ ბოლოში რამდენიმე ნაგებობა აშენდა. ამ მშენებლობისთვის ზღვის სანაპიროდან ამოზიდულ ქვიშაქვას იყენებენ.

6. მეექვსე ეტაპი. ტრიკონქის დასავლეთ მკლავსა და ნარტექსს სამხრეთიდან ორი სათავსო მიადგეს, რომლებიც დასავლეთიდან სამხრეთის ოთხბურჯიან პორტიკს ეკვრის, დაზიანებული (ალბათ, მიწისძვრისაგან) ცისტერნა ნაწილობრივ ამოავსეს და იქ ორი სათავსო მოაწყვეს. ოთხივე სათავსოს სამეურნეო დანიშნულება უნდა ჰქონოდა.

ამის შემდეგ მონასტერს არსებობის ბოლომდე აღარაფერი შემატებია. მონასტრის მიტოვებისა და დანგრევის შემდეგ, არა უადრეს XVIII საუკუნისა, შესაძლებელია, უფრო გვიანაც, ვიღაცას სამხრეთი პორტიკი და პასტოფორიუმი საცხოვრებლად გამოუყენებია: თიხის ხსნარზე ნაწყობი ყორე ქვის კედლებით ღიობები ამოუშენებია და ყოფილ პასტოფორიუმში ბუხარიც გაუმართავს.

რაც შეეხება საკუთრივ მონასტრის მშენებლობის ეტაპების ქრონოლოგიას,დარწმუნებით შეიძლება ითქვას,რომ მშენებლობის მეხუთე ეტაპი XIII ს-ის ბოლოს,ან ცოტა უფრო ადრე უნდა განხორციელებულიყო, რამდენადაც ამ ეტაპზე აშენებულ ერთ-ერთ ბურჯზე XIII-XIV ს-თა მიჯნის წარწერებია ამოკვეთილი; ხოლო, თუ კი ეს ასეა, მაშინ დალიას მონასტრის მშენებლობის მეექვსე ეტაპი XIV-XV სს-ით უნდა დათარიღდეს, ხოლო მშენებლობა-გადაკეთების ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და მდიდრული მეოთხე ეტაპი დარწმუნებით შეიძლება დავუკავშიროთ საქართველოში თამარის (1184-1207) მეფობის ხანას, ანუ XII-XIII ს-თა

მიჯნას. შესაბამისად, მონასტრის მშენებლობის პირველი სამი ეტაპი XII ს-ს და უფრო ადრეულ ხანას უნდა მიეკუთვნოს, პირველი ეტაპი კი X ს-ის 70-იან წლებს. უკვე ითქვა, რომ მონასტერი, როგორც ჩანს, 980 წელს უკვე არსებობდა.

ARCHAEOLOGY

IULON GAGOSHIDZE

Georgian National Museum, Rustaveli Avenue 3, 0105 Tbilisi, Georgia,
Email:iulongagoshidze@yahoo.com

THE MONASTERY OF THE HOLY VIRGIN IN CHIALIA - GEORGIAN HAVEN ON CYPRUS

SUMMARY

According to the 10th -16th cc Latin, Greek and Georgian written sources there existed several Georgian monasteries on Cyprus one of which was known as Ghialia, Zhalia or Ialia. The monastery was very wealthy and it had a scriptorium as well. After the Osman conquest of Cyprus (1572) mentioning of Ghialia Monastery disappears. In 1981 Vakhtang Jobadze Professor of the California University managed to identify the ruins of the Virgin's Georgian monastery at Ghialia in the western part of Cyprus, at 11 km from Khrisokhu Bay, east of village Ialia.

In 2006-2009, with the permission and support of the government of Cyprus, a multi-profile expedition organized by the Ministry of Culture, Monument Protection and Sports and the Georgian National Museum studies of the remains of Ghialia monastery were carried out. During the five field campaigns the expedition excavated the main the Virgin's and two more churches of the monastery (one of them is St. George's church), a western gate-bell-tower, a water reservoir, a water pipe, graves of the 14th -16th cc, etc. The excavations also revealed the 12th century murals, Georgian inscriptions and rich archaeological material.

The 12th century crypt and St. Nicolas's church mounted upon it, the 11th century hermit monk's cell and a mill-all belonging to the monastery were uncovered near it.

It became clear, that the Georgian heaven at Ghialia was founded in the 70s of the 10th century by the initiative of King David III Kuropalates (958-1001) and the fact that the main church of the monastery - a triconch is conditioned by the popularity of this type of constructions throughout Tao-Klarjeti. The monastery belonged to the Georgians until the end of the 16th century, when the monastery stopped its existence.

ბიბლიოგრაფია

1. **ავალიშვილი გ. 1967:** მოგზაურობა თბილისიდან იერუსალიმამდე. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელენე მეტრეველმა, თბილისი.

2. **ალექსიძე ზ. და სხვ. 2005:** ალექსიძე ზ., შანიძე მ., ხევსურიანი ლ., ქავთარია მ. ახალი აღმოჩენები სინას მთაზე. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, კატალოგი, ათენი.

3. **ფერაძე ზ., ლაჭყეპიანი ს. 2009:** დეკანოზი ზაქარია ფერაძე.,სოფიო ლაჭყეპიანი, კარონოს წმიდა საბასა და ლაკრონას ღვთისმშობლის სახელობის მონასტრები. – საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „დიდაჭარობა“, ხულო-დიდაჭარა, 2009 წლის მაისი (მასალები), გვ. 402-405.

4. **ტიმოთე გაბაშვილი 1956:** მიმოსვლა. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელენე მეტრეველმა, თბილისი.

5. **ლაჭყეპიანი ს. 2009:** ქართული დიასპორა და ქართული ეკლესია კვიპროსზე. – საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „დიდაჭარობა“, ხულო-დიდაჭარა, 2009 წლის მაისი (მასალები), გვ. 415-422.

6. **უცნობი ავტორი 1988:** ნიკოლოზ დვალის წამება. – ქართული მწერლობა, ტ. V, თბილისი, გვ. 326-328.

7. **ქართლის ცხოვრება 1955**: ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი.

8. **ქართლის ცხოვრება 1959**: ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბილისი.

9. **ჟორდანია თ. 1892:** ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, წ. I, ტფილისი.

10. **შანიძე მ. 1971:** ეფრემ მცირეს ფსალმუნთა თარგმანების ტექსტისათვის. – ქართული წყაროთმცოდნეობა III, თბილისი, გვ. 70-97.

11. **ცერაძე თ. 2002:** ერთი ფაქტი ქართული სამწიგნობრო კერათა ურთიერთობების ისტორიიდან. – ანიმკი: ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, თბილისი, გვ. 246-262.

12. **ჯობაძე ვ. 1987:** შენიშვნები კვიპროსზე ქართული მონასტრის ჟალიას (ღალიას) შესახებ. – მაცნე. ენისა და ლიტერატურის სერია, №4. გვ. 167-179.

13. **Gagoshidze G. 2008:** Georgian Monastery in Gialia (Cyprus). -Vakhtang Beridze 1st International Symposium of Georgian Culture, Georgian Art in the Context of European and Asian Cultures. June 21-29, 2008 Georgia, Tbilisi, 2009, გვ. 254, 255.

14. **Djobadze W. 1984:** Observations on the Georgian Monastery of Yalia (Galia) in Cyprus. – Oriens Christianus, band 68, გვ. 196-209.

15. **Metealf D.M. 2006:** The Silver Coinage of Cyprus, Nicosia.

16. **ΔΗΜΗΤΡΑ ΠΑΠΑΝΙΚΟΛΑ-ΜΠΑΚΙΡΤΖΗ 1996:** ΜΕΣΑΙΩΝΙΚΗ ΕΦΙΑΛΩΜΕΝΗ ΚΕΡΑΜΙΚΗ ΤΗΣ ΚΥΠΡΟΥ ΤΑ ΕΡΓΑΣΤΗΡΙΑ ΠΑΦΟΥ ΚΑΙ ΛΑΠΗΘΟΥ, ΘΕΣΣΑΛΟΝΙΚΗ.

ილუსტრაციების აღწერილობა

სურ. 1. კვიპროსი. ღალია. ქართული მონასტერი. გეგმა.
სურ. 2. კვიპროსი. ღალია. წმ. ნიკოლოზის ეკლესია და კრიპტა.
სურ. 3. კვიპროსი. ღალია. მონასტერი. ნანგრევების საერთო ხედი გათხრების შემდეგ.
სურ. 4. კვიპროსი. ღალია. მონასტერი. ხედი დასავლეთიდან.\ დასავლეთი კარიბჭის კიბე.
სურ. 5. კვიპროსი. ღალია. წმ. ნიკოლოზის ეკლესია. კრიპტა. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.

სურ. 6. კვიპროსი. ღალია. ქართული მონასტერი ღვთისმშობლის

სახელობის ტაძარი, კედლის მხატვრობა, მოწამის გამოსახულება.

DESCRIPTION OF THE ILLUSTRATIONS

Fig. 1. Cyprus. Ghialia. The Georgian monastery. Plan.
Fig. 2. Cyprus. Ghialia. St. Nicolas's church and crypt.
Fig. 3. Cyprus. Ghialia. General view of the excavated remains of the Monastery.
Fig. 4. Cyprus. Ghialia. The Monastery. View from the west. Stairs of the western portikos.
Fig. 5. Cyprus. Ghialia. St. Nicolas's church. The crypt. View from the south-east.
Fig.6. Cyprus. Chialia. The Georgian monastery. St. Mary's church. Mural. Design of a martyr.



სურ. 1 Fig.



წმინდა ნიკოლოზის სახ. ეკლესია
გ ე გ მ ა

სურ. 2 Fig.

სურ. 3 Fig.

სურ. 4 Fig.

სურ. 5 Fig.

სურ. 6 Fig.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია №1 (46-B), 2010, 158-174
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences №1 (46-B), 2010, 158-174

არქეოლოგია

თინათინ კერესელიძე*, რუსუდან დოლაბერიძე*

* საქართველოს ეროვნული მუზეუმი, რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო

არქეოლოგიური მასალა მუზეუმის ახალი კორპუსის მშენებლობიდან [1]

1986 წელს, მუზეუმის ახალი კორპუსის მშენებლობის დროს, ფურცელაძის ქუჩაზე საძირკვლის ამოღებისას, მშენებლებმა რამდენიმე დაზიანებული ორმო გამოავლინეს.

აღმოჩენა მუზეუმის დირექციისათვის გვიან გახდა ცნობილი. ამ ფაქტის შეტყობინებისთანავე მუზეუმის შუასაუკუნეების განყოფილების უფროსმა მეცნიერ თანამშრომლებმა – ნ. აფხაზავამ, მ. გოცაძემ და ნ. ბახტაძემ ობიექტის მეთვალყურეობა დაიწყეს, მაგრამ სათანადო ფიქსაცია მაინც დაგვიანებული აღმოჩნდა. ორმოები ერთმანეთისაგან 2–3 მ-ით იყო დაშორებული. ეს იყო სანაგვე ორმოები, რომლებიც მიწის სამუშაოების დროს დაზიანდა. ამიტომ მათი ზომის, სიმაღლისა და სხვა დეტალების დადგენა ვერ მოხერხდა. როგორც ჭრილში ჩანდა, ორმოებს კონუსური ფორმა უნდა ჰქონოდა. მათში აღმოჩნდა კერამიკის, მინის, ლითონისა და ფაიანსის ჭურჭლის ნატეხები, ცხოველთა ძვლები, ნაცარი, წიპწები, ნახევარფაბრიკატები და წუნდებული პროდუქცია. გამოვლენილი არქეოლოგიური მასალა მეტად საინტერესო, მრავალრიცხოვანი და მრავლისმთქმელია. მასალაში ჭარბობს თიხის ჭურჭელი, გვხვდება როგორც ნახევარფაბრიკატი, ისე წუნდებულები. მრავლად იყო, სამშენებლო კერამიკაც – კრამიტები, აგურები, ფილები და სხვ. შედარებით მცირე რაოდენობით გვხვდებოდა მინის, ფაიანსისა და ლითონის ჭურჭლის ნაშთები. აღმოჩენილი მასალა ეროვნული მუზეუმის შუასაუკუნეების არქეოლოგიის დეპარტამენტის განყოფილების „მიმდინარე“ ფონდშია დაცული.

თბილისის ამ უბანში სპეციალური არქეოლოგიური კვლევა არ ჩატარებულა. მხოლოდ სხვადასხვა დროს, მიწის სამუშაოების შესრულებისას, საზოგადოება შემთხვევითი აღმოჩენების თვითმხილველი ხდებოდა. მაგალითად, მუზეუმის ძველი კორპუსის მიდამოებში, ლ. გუდიაშვილის ქუჩაზე ძვ. წ. II–I სს. ბაქტრიული მონეტა აღმოჩნდა [ბერიძე 1977 A; 46 ლომთათიძე 1960].

[1] მასალა აღმოჩნდა 1986 წელს, ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ადმინისტაციული კორპუსის მშენებლობის დროს.

ამდენად, 1986 წელს გამოვლენილ არქეოლოგიური მასალის შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. იგი ახლა იკიდებს ფეხს სამეცნიერო მიმოქცევაში და მისი შესწავლა საშუალებას გვაძლევს თბილისის ამ უბნის ისტორიას მეტ-ნაკლებად გავეცნოთ. მით უმეტეს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით, წერილობითი წყაროები მწირ ცნობებს გვაწვდის. ამავე უბანში, სხვადასხვა დროის კერამიკული ჭურჭელიც არის აღმოჩენილი. ახლახან, 2008წ. შემოდგომაზე რუსთაველზე, ყოფილი „ინტურისტის“ შენობის ადგილას, ქვაბულის ამოღების დროს XVIIIს. მიწურულისა და XIXს. დასაწყისის ნაგებობის ნაშთი და ამავე პერიოდის საკმაოდ მრავალრიცხოვანი მასალა აღმოჩნდა [მინდორაშვილი, 2009: 40–42]. ორმოების გარშემო თავმოყრილი, დაზიანებულ-დამტვრეული, ხმარებიდან გასული ნივთები მიუთითებს იმაზე, რომ ეს ადგილი ნაგავსაყარი იყო, ორმოები კი სანაგვეები.

ყურადსაღებია, რომ ამ ორმოებში ქრონოლოგიურად განსხვავებული არქეოლოგიური მონაპოვარი გამოვლინდა. კერძოდ, აღმოჩნდა ადრეული (IXს), განვითარებული (XII–XIIIსს) და გვიანი (XVII–XVIIIსს) შუასაუკუნეების ნივთიერი კულტურის ნაშთები. ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ ეს ორმოები პერიოდულად, მთელი შუასაუკუნეების განმავლობაში, ფუნქციონირებდა. სამწუხაროდ, მათი დაზიანების გამო მასალა ერთმანეთში იყო არეული, ამიტომ ქრონოლოგიის დადგენა ჩვენთვის მხოლოდ არქეოლოგიური პარალელური მასალის მიხედვით გახდა შესაძლებელი.

დღევანდელი ფურცელაძის ქუჩა (არქეოლოგიური მასალის აღმოჩენის ადგილი) გარეუბანშია. გარეუბნის წარსული ისტორია და მისი გეოგრაფიული საზღვრები უცნობია. XVIIIს. ვახუშტი ბაგრატიონის მიერ შედგენილი თბილისის 1735 წლის გეგმის მიხედვით ვიგებთ, რომ იმდროინდელი გარეუბნის განაშენიანება ქალაქის გალავნიდან იწყებოდა და დაახლოებით ჯორჯიაშვილის ქუჩამდე აღწევდა [ბერიძე 1977 B, 27]. თ. ბერიძის ვარაუდით, ძველი გარეუბნის ტერიტორია დღეს ამგვარად შეიძლება წარმოვიდგინოთ: სამხრეთით და დასავლეთით მას დღევანდელი ბარათაშვილისა და პუშკინის ქუჩები, სოლოლაკის ქედის ჩრდილოეთი ფერდი საზღვრავდა, ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით მთაწმინდის კალთები და ელბაქიძის დაღმართი, აღმოსავლეთით მტკვარი [ბერიძე 1977: 46 ლომთათიძე 1960: I,V ნარკვ.].

„გარეუბანი,“ როგორც ადგილის გეოგრაფიული სახელწოდება, პირველად XVIს. 1562წ. გაცემულ საბუთში – წყალობის წიგნში გვხვდება. მასში აღნიშნულია: „ქ. გარეუბანს კალოუბნის აქეთ ნასახლარი რომ არის.“ ამ მოკლე ამონარიდიდან ვიგებთ, რომ გარეუბანი თბილისის ერთ-ერთი უძველესი უბნის – კალოუბნის გვერდით მდებარეობდა და რომ XVI ს. იგი ნასახლარი იყო. თბილისის ამ უბნის ნასახლარად გადაქცევის პროცესი გაცილებით ადრე უნდა დაწყებულიყო. ამის მანიშნებელი უნდა იყოს განათხარ მასალაში გამოვლენილი ქრონოლოგიური ხარვეზი, რომელიც საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდს – XIV–XVI საუკუნეებს მოიცავს. განათხარში ამ პერიოდის მასალის არარსებობა, შესაძლოა, 1226 წ. ჯალალ-ედ-დინის მიერ თბილისისა და, შესაბამისად, ამ უბნის, სასტიკად დარბევას უკავშირდება [ბერიძე 1977:

26].

საყურადღებოა, რომ VIს. გარეთუბანში დავით გარეჯელის სახელზე ქაშვეთის ტაძარი აუგიათ. ტაძრის აგება გარეთუბანში მიუთითებს იმაზე, რომ იგი VI საუკუნეში თბილისის მნიშვნელოვანი უბანი იყო და ქალაქის ცენტრში მდებარე VI–VII სს. სიონისა და ანჩისხატის ეკლესიების მსგავსად, ქაშვეთის ეკლესიასაც საკუთარი მრევლი ჰყავდა, ანუ გარკვეულ როლს ასრულებდა მართლმადიდებლური რელიგიის დაცვა-გავრცელების საქმეში. კალოუბანში, ახლანდელ კინოთეატრ „რუსთაველის“ ადგილზე, აგრეთვე ადრეული შუასაუკუნეების ეკლესია იყო [ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თ. ბერიძე, 1980, ტ. 5, 340.]. ქაშვეთის ეკლესია XVIIIს. ამილახვრების მიერ აგურისაგან აგებულმა ტაძარმა შეცვალა, მაგრამ XIX ს. მიწურულს იგი დაზიანდა და ლ. ბილფელდის პროექტით სამთავისის ტაძრის ნიმუშის მიხედვით, იმავე ადგილას ახლანდელი წმ. გიორგის სახელობის ტაძარი აშენდა [ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 1986 ტ.10 495 ვ. ბერიძე].

კარიჭაშვილის კატალოგში კალოუბნის ეკლესია ამგვარად არის აღწერილი – წმ. გიორგის სახელობისა, უგუმბათო, ხის ჭერით დახურული, გუმბათიანი სამრეკლოთი [ბერიძე 1977: 46: ლომთათიძე, 1960 V ნარკვევები].

თბილისის ამ უბნის სიძველეზე განსახილველ მასალაში აღმოჩენილი ადრეშუასაუკუნეების მოჭიქული ჯამების ფრაგმენტები მიანიშნებს. ორმოებში აღმოჩენილი სამშენებლო კერამიკა აგურით ნაშენი და კრამიტით გადახურული სახლების არსებობაზე მიუთითებს.

როგორც აღვნიშნეთ, არქეოლოგიური მასალა მრავალფეროვანია. მთელი ეს მონაპოვარი ფეოდალურ ხანას მიეკუთვნება. მასში გამოიყო IX–X სს., XII–XIII სს. და XVII–XVIII სს. ნივთიერი ძეგლები, დაჯგუფებულია მასალების – თიხის, მინის, ფაიანსის, ლითონისა და სხვ. მიხედვით.

მოჭიქული ჭურჭელი

IX–X სს. ამ პერიოდის მასალა მცირერიცხოვანია, მაგრამ ძალზე საინტერესო. იგი წარმოდგენილია თიხის მოჭიქული ჯამების ფრაგმენტებით. ჯამების უმრავლესობა დაბალქუსლიანია. ზოგს ქუსლი ძირისგან მეტნაკლებად გამოყვანილი აქვს. პირები ერთნაირია – თანაბარი, მომრგვალებული, ბაკოსა და ქიმის გარეშე, ოდნავ შიგნით დაქანებულ-შევიწროებული უშუალოდ მომრგვალებულ კალთაზე გადადის. ყველა ეს ჯამი სწორედ ამ ნიშნის მიხედვით – ეროგვაროვანი პირის მოყვანილობითაა გაერთიანებული. ამ ნიშნითა და მხატვრული შემკულობის თავისებური ხერხებით ისინი XII–XIII სს. ჯამებისაგან განსხვავდება.

მხატვრული შესრულების თვალსაზრისით ორი ჯგუფი გამოიყოფ**ა.**

პირველი ჯგუფი – შიშველ კეცზე ფუნჯით მრავალფრად მოხატული მოჭიქული ჯამები. მოსახატავად გამოყენებულია თეთრი ანგობი, ყავისფერი და მწვანე საღებავები. ორნამენტი მარტივია: ერთმანეთში

ჩასმული რომბები, ცენტრიდან რადიალურად გამომავალ სხივებს შორის რკალებია, ცენტრში კი ყვავილისებური სახე. ხაზები და სხვა ორნამენტული სახეები დაუდევრადაა შესრულებული – საღებავები გაღვრილია. ზედაპირზე თხელი, გამჭვირვალე ჭიქურია გადავლებული [№2–2008; 74 ტაბ I, სურ. 2].

მეორე ჯგუფი – ანგობირებული, მოჭიქული ჯამები, რომლებზეც გრავირებული და ფერადი ჭიქურით შესრულებული ორნამენტული სახეები ერომანეთს არ ემთხვევა. ჯამების შიდაპირი დაფარულია ანგობის სქელი ფენით, მასზე კი მარტივი ხაზოვანი ორნამენტი მკრთალად არის ამოკაწრული. ანგობზე ფუნჯით დადებულია ლაქები, ზოლები ან რკალები, წინასწარ შესრულებული გრავირებული ნახატის გაუთვალისწინებლად. გამოწვის შედეგად ფერები ერომანეთში არეულა და პოლიქრომული, ქაოტური სახეა მიღებული. ზედაპირი დაფარულია ჭიქურის სქელი ფენით. ჯამების დახვეწილი ფორმა და ფერადოვნება, კრიალა, მბრწყინავი ზედაპირი (რასაც კარგი ხარისხის უფერო ჭიქურის სქელი ფენა განაპირობებს), მიუთითებს იმაზე, რომ საქმე გვაქვს მაღალი ხარისხის პროდუქციასთან [№2–2008; 73 ტაბ. I სურ. 1]. აღსანიშნავია, რომ განათხარ მასალაში ამგვარი ჯამების ორი წუნდებული ფრაგმენტი აღმოჩნდა, რაც მათ ადგილობრივ წარმოშობაზე მიანიშნებს.

ზემოაღნიშნული დამახასიათებელი ნიშნებით, ჯამის ფორმის, ორნამენტის შესრულების მანერით, სახეზეა მათი მსგავსება უმთავრესად, IX–X სს. ქართულ, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე აღმოჩენილ და სპარსულ ჯამებთან [გრძელიშვილი, ტყეშელაშვილი 1961, 46 სინაურიძე ხელნაწერი]. ამ მასალების გათვალისწინებით ისინი IX–X სს. და, შესაძლებელია, უფრო ადრეული ხანითაც დათარიღდეს.

მესამე ჯგუფი – ჯამების ეს ჯგუფი დმანისში, გუდარეხსა და განჯისკარში აღმოჩენილი XI–XII სს. ჯამების მსგავსია. გვხვდება პირგვერდის ნატეხები. მათი შიდაპირი დაფარულია ანგობით. ხაზოვანი და ყვავილოვანი ორნამენტი ამოკაწვრით არის შესრულებული. ზოგს ბაკო ბრტყელი აქვს და ისიც ამოკაწრული ორნამენტითაა შემკული. ნაწილი ჯამებისა ეროფერად მოჭიქული ძირებისა და გვერდის ნატეხებითაა წარმოდგენილი. მათი შიდაპირი ანგობითაა დაფარული და გადავლებული აქვს მწვანე ან ცისფერი ჭიქური. არის, აგრეთვე ამავე ხანის მოჭიქული ჭრაქები, სამარილეები, დოქის პირი და სხვ. ჭრაქები პირგადმოკეცილია. მათი ყური შვერილისებურია, ბოლოში შევიწროებული. ერთი ჭრაქი ცისფრად, ხოლო მეორე მწვანედაა მოჭიქული. მსგავსი ჭრაქები შუაფეოდალური ხანის თითქმის ყველა განათხარ ძეგლში გვხვდება [№2–2008; 84, ტაბ I, სურ. 3].

გვაქვს სამარილის 2 ნატეხი. ერთი ნატეხის ძირი ბრტყელია (d=6სმ). შიდაპირი დაფარულია ანგობით, გადავლებული აქვს ცისფერი ჭიქური, გვერდები ჩამოტეხილია. მეორე სამარილე უფრო თხელკედლიანია. შემორჩენილია ძირ-გვერდის ნატეხი. აქვს სწორი ბაკო, შიდაპირი დაფარულია ანგობით, გადავლებულია მწვანე ჭიქური. ისე, როგორც ჭრაქები, ამგვარი სამარილეებიც შუაფეოდალური ხანის თითქმის ყველა განათხარ ძეგლში გვხვდება.

აღსანიშნავია წითელკეციანი დოქის ფრაგმენტები. მისი ყელი შუაში სალტეთია გადაკეცილი, რითაც დავიწროებულია პირი ყური. ბრტყელია, განიერი (2,5 სმ), შუაში ჩადარული. მსგავსი დოქის პირი განჯისკარშია აღმოჩენილი.

მოუჭიქავი ჭურჭელი – წითელკეციანი

წერნაქიანი ჭურჭელი – გვიანფეოდალური ხანის, მრავალგვარი დანიშნულების. გამოიყოფა სუფრის ჭურჭელი, როგორც წითელკეციანი, ისე, თეორკეციანი.

წითელკეციან ნაწარმს შორის წერნაქიანი ჭურჭელი გვხვდება. ასეთი ჭურჭელი მცირერიცხოვანია. ძირითადად ფრაგმენტებითაა წარმოდგენილი. წერნაქი მდარე ხარისხისაა და უმეტესად გადაცლილია. გვხვდება ჭურჭლის ძირ-გვერდის, მუცლის, ყელისა და გვერდის ნატეხები. ერთ ნატეხზე ყურის ნაშთია შემორჩენილი.

ფრაგმენტების მიხედვით ჩანს, რომ ეს სუფრის ჭურჭელი უნდა იყოს. აღსანიშნავია, კოკები და ხელადები, გვხვდება წერნაქიანი ჯამები, დოქები, კულა, მილნისკარტიანი დოქები, მინიატურული ჭურჭლები.

წერნაქიანი ჭურჭლის შესამკობად გამოყენებული ორნამენტი მარტივია – წვრილი ღარები მუცლის ირგვლივ. ორ ხაზს შორის ნაჭდევებითაა შემკული კოხტად გამოყვანილი ხელადის ყელისა და გვერდის ფრაგმენტები, რომელსაც ყელს ქვემოთ რელიეფური ზოლი მოჰყვება.

აღსანიშნავია, რომ ამ ფრაგმენტზე, ისე როგორც ჯამებზე, წერნაქი დადებულია ფუნჯით, ვერტიკალური ზოლების სახით, არათანაბრად. წერნაქის შემკობის ეს ხერხი, როგორც ჩანს, ამ კერიდან მომდინარე წერნაქიანი ჭურჭლისათვის არის დამახასიათებელი. მთელი ეს მასალა ანალოგიურია თბილისის დედაციხეზე აღმოჩენილი XVII–XVIIIსს. წერნაქიანი ჭურჭლისა, რომელსაც თავის მხრივ, მრავალრიცხოვანი ანალოგი აქვს საქართველოს ამავე ხანის ძეგლებზე [არჩვაძე 1974 A: 174–178].

სადა წითელკეციან კერამიკულ ნაწარმს შორის აღსანიშნავია ჯამები, ლანგრის ფრაგმენტები, დოქის ნატეხები და მათი სხვადასხვაგვარი ფორმის ყურები [№2-2008:45, №2-2008: 55-71].

არის მილნისკარტიანი დოქებიც. საინტერესოა მინიატურული ჭურჭლის ფრაგმენტები. საგანგებოდ შევჩერდებით ფრაგმენტზე, რომელიც კულას მიეკუთვნება, იგი ერთადერთია. ჩვენამდე მოღწეულია ამ ჭურჭლის ზედა ნაწილი, მაგრამ მისი ფორმის აღდგენის საშუალებას პარალელური მასალა იძლევა. კულა უყურო, ყელმაღალი ჭურჭელია. მას მრგვალი მუცელი, მაღალი, გამოყვანილი და პირისაკენ შევიწროებული ყელი აქვს. პირი მცირედ გადმოკეცილია. ყელის გაფართოებულ ნაწილში ნახვრეტია. როგორც ჩანს, ღვინის დალევის გასაადვილებლად [№2–2008: 37, ტაბ. I სურ. 2].

მოთეთრო თიხისაგან დამზადებული ჭურჭელი

განათხარ მასალაში ცალკე ჯგუფს მოთეთრო თიხისაგან დამზადებული ჭურჭელი ქმნის. მათი ფრაგმენტები საკმაოდ მრავალრიცხოვანია. აღნიშნული ჭურჭელი კეცში სხვადასხვა ელფერისაა – მოვარდისფრო, მომწვანო, მორუხო და ჩალისფერი. ცხადია, ყველა შემთხვევაში, ხელოსნის მიზანი იყო თეთრი ჭურჭლის დამზადება, თუნდაც მისი იმიტაციის შექმნა. მოთეთრო კერამიკულ ნაწარმს შორის უმრავლესობა ფრაგმენტებია – გვერდის, ძირის, ყურის. გვხვდება საკმაოდ სქელკედლიანი და დიდი მოცულობის ჭურჭლის ნიმუშებიც. ზოგ მრგვალმუცლიან ჭურჭლის გვერდებზე ყურის ნაშთია შემორჩენილი.

ჩვენამდე შედარებით სრული სახით სულ რამდენიმე ნიმუშმა მოაღწია. ერთ ჭურჭელს ბრტყელი, ოდნავ გამოყოფილი ძირი, გამობერილი მუცელი და მაღალი, პირგადაშლილი ყელი აქვს. პირისა და მუცლის ზედა ნაწილში მიძერწილია ოვალურგანიკვეთიანი, პირის ზემოთ ამაღლებული ყური, რომელსაც თავზე კოპი აზის. მუცელზე სითხის გადმოსასხმელი მილია მიძერწილი. ამ მილის მხოლოდ ნაწილია შემორჩენილი. იგი ბოლოში შევიწროებული უნდა ყოფილიყო. მხარი შემკულია უხეში ორნამენტით – კონცენტრულ წრეხაზებს შორის მოქცეული ტალღისებური ზოლით. [№2–2008: 104, ტაბ. III, სურ. 3].

ჭინჭილა ბრტყელძირა და მრგვალმუცლიანია. მცირედ დაქანებული გვერდი გადადის ვიწრო, ქვედა ნაწილში რელიეფურად გამოყოფილ ყელში, რომელიც პირისაკენ თანდათან ფართოვდება [№2–2008: 103, ტაბ. III, სურ. 1]. საყურადღებოა ჯამის მცირე ზომის პირ-გვერდის ფრაგმენტი. იგი ჩალისფერი თიხისაა. სწორი პირი გარედან შესქელებულია და ნაჭდევებითაა შემკული. გვერდი დაშტამპული ორნამენტით არის დამშვენებული. ორნამენტი პირს ქვემოთ იწყება და სავარაუდოა, რომ ჯამის მთელ ზედაპირზე იყო განფენილი. ეს გახლავთ რელიეფური, ირგვლივ მწკრივებად განლაგებული ხუოქიმიანი ვარსკვლავისებური ფიგურები [№2–2008: 41, ტაბ. III, სურ. 2].

მოთეთრო, სხვადასხვა ელფერის თიხისაგან დამზადებული ჭურჭელი, როგორც ჩანს, ადრეფეოდალურ (IV–VIსს.) და შუაფეოდალურ (XI–XIIIსს.) ხანაში იყო გავრცელებული [მიწიშვილი, 1979 25–30, ტაბ. 1,2].

ადრეულ ხანის კერამიკული ნიმუშები სინატიფით გამოირჩევა. ისინი თხელკედლიანია, ზედაპირგაპრიალებული, შემკულია ორნამენტითა და კოპებით. განვითარებული შუა საუკუნეების ამგვარი კერამიკის ნიმუშებიც, აგრეთვე თხელკედლიანი და პრიალაა. ხასიათდება გოფრირებული ზედაპირით და სხვა მხატვრული გაფორმებით. ვფიქრობთ, რომ ამ კერამიკამ განვითარების მწვერვალს XI–XIIIსს. მიაღწია.

ამრიგად, განხილული მასალის შესწავლის შედეგად, შესაძლებელია დასკვნის გამოტანა: ორმოებში გამოვლენილი მოთეთრო კერამიკული ნაწარმი თვისობრივად განსხვავდება ზემოაღნიშნული, ადრეული ტიპის კერამიკისაგან. იგი მეტ-ნაკლებად სქელკედლიანია, აქვს უხეში კეცი, არ არის მაღალმხატვრული, გაპრიალებული ნიმუშები იშვიათობაა და გაპრიალების ხარისხიც დაბალია. შემკულობის ის სახეები,

რომლებიც ადრეული ხანის ნიმუშებისთვისაა დამახასიათებელი, არ ჩანს. ჩნდება ახალი ფორმები და ორნამენტიკა (ჯამების შემკულობა). დამახასიათებელი ნიშნებისა და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ჯამები XVII–XVIIIსს. მასალების შემცველ კომპლექსშია აღმოჩენილი, საფუძველს გვაძლევს ნაწარმი გვიანი ხანით, XVII–XVIIIსს. დათარიღებისა.

ამრიგად, თეორი თიხისაგან ჭურჭლის დამზადების ტრადიცია გვიანფეოდალურ ხანაშიც გრძელდება. ამასთან, ეს ნაწარმი განსხვავებული ფორმებითა და შემკულობა-ორნამენტირებით წარმოგვიდგება.

სამეურნეო დანიშნულების ჭურჭელი

გამოვლენილ მასალაში უამრავია მეტ-ნაკლებად სქელკედლიანი სამეურნეო ჭურჭლის ფრაგმენტები, რომელთა მიხედვით ჭურჭლის ფორმის დადგენა არ ხერხდება (დერგები, ქოცოები, ქვევრები). ძირის დიამეტრის გათვალისწინებით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ისინი სხვადასხვა ზომისა იყო. ყველა ძირი ბრტყელია, პირი შესქელებული, ჰორიზონტული ან შიგნით დაქანებული. ზოგიერთი ჭურჭლის ყელი გამოყვანილია. ორნამენტირებული ფრაგმენტები იშვიათია. გვხვდება მარტივი წიბოები – ყელს ქვემოთ, ერთ ადგილას კი ირიბად დაჭდეული და წრიული ღარები. გამქრალია XII–XIII სს-თვის დამახასიათებელი წერნაქით მოხატული დერგები, დეკორატიული სარტყლით შემკული ნიმუშები და სხვ. ყოველივე ეს იმის მიმანიშნებელია, რომ საქმე გვაქვს გვიანშუასაუკუნეების თიხის ნაწარმთან, რომელიც უფრო დაბალი ხარისხისაა, ვიდრე წინამორბედი ხანის მსგავსი ჭურჭელი [არჩვაძე 1969: 126–130].

დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი ჯამები, ჭურჭლის ყურები, სხვადასხვაგვარი ჭრაქი, სარქველი. ჭრაქები ნიჟარისებურ ტიპს მიეკუთვნება, მაგრამ ფორმით მკვეთრად განსხვავდება შუა საუკუნეების ნიჟარისებური ჭრაქებისაგან. მთელი ეს მასალა, ანალოგიების მიხედვით, XV–XVII სს. თარიღდება [არჩვაძე 1974 B: 175–183].

განვითარებულ ფეოდალურ ხანაში მეტად გავრცელებულია წითელკეციანი მოუჭიქავი ჭურჭელი. გრემში ბევრი ისეთი ჯამია აღმოჩენილი, რომელიც ლითონის თასების ფორმებს იმეორებს [ჭილაშვილი, 1980, 120].

ბევრი ჯამი და მოუჭიქავი ჭურჭელია აღმოჩენილი ქვემო ქართლის კლდის ძეგლებზეც [ბახტაძე, 2007, 151], ნოსტეშიც.

ჭურჭლის ყურები სხვადასხვაგვარია: არის ყურები, რომლებიც უშუალოდ უერთდება პირს. ზოგი წითლადაა გამომწვარი, ზოგი – შავად. ფართო ყურები უმეტესად ჩაღარულია. ისინი ერთმანეთისაგან ფორმითაც განსხვავდება. არის მრგვალგანიკვეთიანი, ოვალურგანაკვეთიანი, ბრტყელი ყურები, ერთი მათგანი ღრუა [№2–2008:97, ტაბ.I I, სურ. 1].

ერთი ყური სამკუთხედის მოყვანილობისაა, ნაკლული, არათანაბრად გამომწვარი თიხისა. ზემოდან ამოღარული ორნამენტითაა შემკული (ე.წ. „გობისებური ჭურჭლის“ ყური) [№3 – 2008: 97, ტაბ. III, სურ 4].

სხვადასხვა ზომისა და ფორმის ყურების ასეთი მრავალფეროვნება მიუთითებს იმაზე, რომ იმ პერიოდის საქართველოში, სხვადასხვა სახის ყურებიანი ჭურჭელი იყო გავრცელებული.

სარქვლები აგურისფრად გამომწვარი თიხისაა. ისინი მრგვალია, სოკოს ფორმისა, ბრტყელი, შუაში ვერტიკალური შემაღლებული სახელურით. სახურავებს ირგვლივ ღარიანი წრეები შემოუყვება. ზოგი მათგანის ნაპირი დაკბილულია. სახელურები მრგვალია, მოკლე ყელით, თავები ზემოდან ჩაზნექილიც გვხვდება და მომრგვალებულიც. ხუფის ერთი ნატეხი ზემოდან ანგობირებულია. სარქვლები ანალოგიების გათვალისწინებით, XII–XIII სს. თარიღდება [ჯაფარიძე, 1956, 18; ჭილაშვილი, 1958, 101; ლომთათიძე, 1955.].

სამშენებლო კერამიკა

სამშენებლო კერამიკა წარმოდგენილია აგურისა და კრამიტის ფრაგმენტებით. აგური წითლად გამომწვარი თიხისაა, სადა, სწორი, ბრტყელი (23 X 13 X 3,5 სმ). აგურის ერთ-ერთი ნატეხი ამოღარული წრეებითაა შემკული [№2 – 2008:97, ტაბ. II, სურ. 3].

კრამიტი აღმოჩენილია მხოლოდ ბრტყელი, გვერდებშეკეცილი. თიხა წითლადაა გამომწვარი. ღარისებური კრამიტი არ ჩანს. ამგვარი კრამიტი ნაპოვნია ამ პერიოდის თითქმის ყველა ნასახლარზე. გვიანფეოდალური ხანის კრამიტი ზომითა და მოყვანილობით, ძირითადად, ჩვენში არსებული შუა ფეოდალური ხანის კრამიტების მსგავსია [გრძელიშვილი, ტ. IX, №9-10; ჯღამაია, 1969. გვ.].

ფაიანსი

ფაიანსის ნაწარმი სულ რამდენიმე მცირე ზომის ფრაგმენტითაა წარმოდგენილი. ყველა იმპორტულია. სამი მათგანი ჩინური სელადონის მინაბაძია და XVII ს. თარიღდება. ერთი ფრაგმენტი ლუსტრით არის მოხატული. ნატეხი მცირე ზომისაა და ორნამენტული სახე გაურკვეველია. ვფიქრობთ, რომ ეს ფრაგმენტი სეფიანთა ირანის დროინდელი უნდა იყოს. მართალია, პირდაპირი პარალელები ჩვენთვის ცნობილი არ არის, მაგრამ ყარაღაჯში ნაპოვნი ლუსტრიანი ფაიანსის მიხედვით, იგი XVIIს. II ნახევრით უნდა დათარიღდეს [მამაიაშვილი 1976A: 91–93]. ფაიანსის ნაწარმს შორის ერთი ფრაგმენტი კობალტით მოხატული თასის ძირ-ქუსლის ნატეხია.

ერთი თასი შიგნით და გარეთ უფერო, მომწვანო ელფერის გამჭვირვალე ჭიქურის სქელი ფენითაა დაფარული.

ჭურჭლის ფორმისა და მთლიანი მოხატულობის წარმოდგენა არ ხერხდება. როგორც ჩანს, ორნამენტი ძირს მთლიანად ფარავდა. ცენტრში გამოსახულია ტალღური წრით შემოფარგლული ვარდულისებური ჩარჩო, რომლის შიგნით ლურჯი საღებავით სტილიზებული მცენარეული ორნამენტია შესრულებული. ორნამენტისათვის მკვეთრი სახის

მისაცემად ლურჯი საღებავის გარდა, შავი საღებავით შესრულებული დეტალებია გამოყენებული. არსებობს კიდევ ექვსი ანალოგიური ფრაგმენტი [№2–2008: 257, ტაბ. I, სურ. 4].

საქართველოში აღმოჩენილი სეფიანთა ირანიდან მომდინარე ნაწარმში განსაკუთრებით დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი ლურჯი საღებავით მოხატული, უფერო გამჭვირვალე ჭიქურით დაფარული ჭურჭელი. ისინი ჩინური ფაიფურის მინაბაძებია [მამაიაშვილი, 1976, 68–86]. ყარადაჯში თავად ძეგლის თარიღის მიხედვით, ეს ნაწარმი საკმაოდ კონკრეტულად, XVIIს. II ნახევრით თარიღდება. ამ თასის ანალოგიებად შეიძლება დავასახელოთ თბილისის შიდაციხესა და ყარადაჯში აღმოჩენილი ნიმუშები, რომლებიც ტალღური კონცენტრული შემოფარგლული ვარდულითა და შიგ მოთავსებული მცენარეული პეიზაჟით ხასიათდება [მამაიაშვილი, 1976B: 79]. მთელი ეს ჭურჭელი სეფიანთა ირანიდან მომდინარე იმპორტული ნაწარმია და ანალოგიების მიხედვით XVIIს-ის II ნახევარს მიეკუთვნება.

ლითონის ნაწარმი

ლითონის ნაწარმი მოკალული თეფშისა და ჯამის სახითაა წარმოდგენილი. მცირე ზომის სპილენძის თეფში გადაშლილია, აქვს პატარა, ვიწრო ბაკო. თხელკედლიანი ჭურჭელი ჩარხზეა დამუშავებული. თეფში დაზიანებულია [№2-2002: 236, ტაბ. V, სურ 2]. ჯამს დაბალი გამოყვანილი ქუსლი, სწორი გვერდი და ოდნავ შესქელებული პირი აქვს. პირს გარედან ორი პარალელური ხაზი მიჰყვება. ტანი ერთი ფურცლისაგანაა დამზადებული. ქუსლი ტანთან მოგვიანებით მიურჩილავთ. ჯამი ძლიერ დაზიანებულია [№2-2002: 237, ტაბ.V, სურ1].

თეფშიცა და ჯამიც გვიანი შუასაუკუნეების ხანის საქართველოს ყოფის (XVIII ს.) ნაწილია. ლითონის ჭურჭელი, ქართული საოჯახო მეურნეობის აუცილებელ ატრიბუტად ითვლება. ამის დამადასტურებელია განვითარებულ შუა საუკუნეებსა და მომდევნო ხანაში გათხრებისა თუ განძის სახით აღმოჩენილ-მოპოვებული სპილენძისა და ვერცხლის ჭურჭელი. ხშირად მათზე მაღალი საზოგადოების წარმომადგენელთა სახელებს ვხვდებით, მაგ. ეროვნული მუზეუმის შუასაუკუნეების არქეოლოგიის დეპარტამენტის ფონდებში დაცულია „ვახტანგ მეფის,“ “მეფე ბაქარის,“ „ვახუშტი ბატონიშვილის,“ „გიორგი სააკაძის,“ „თეკლა ბატონიშვილისა“ და სხვათა სახელზე დამზადებული სპილენძის ჭურჭელი [კიკნაძე, ხელნაწერი].

სპილენძის ჭურჭლის ნაგვის ორმოში მოხვედრა იშვიათი შემთხვევაა. ტრადიციულად, დაზიანებული ჭურჭლის გადადნობა ხდებოდა შემდეგ კი, მისგან თავიდან ამზადებდნენ ჭურჭელს.

მინის ნაწარმი

გამოვლენილი მინის ნაწარმი, ძირითადად ფრაგმენტებითაა წარმოდგენილი. გვაქვს ორი სამაჯურის ფრაგმენტი. ერთი მათგანი ფირუზისფერია. მისი ზედაპირი ინკრუსტირებულია მოყავისფრო, თეთრი და შავი ირიბად გამოსახული სხვადასხვა ზომის ზოლებით. შემკობის ეს სახე არ ახასიათებს განვითარებული შუასაუკუნეების სამაჯურებს, მისი აღმოჩენა გვიანფეოდალური ხანის მასალების შემცველ კომპლექსში საფუძველს გვაძლევს იგი რომ გვიანფეოდალური ხანით დავათარიღოთ.

მინის ნაწარმს შორის ოთხი ფრაგმენტი ბოთლის ტიპის ჭურჭლის პირ-ყელისაა, ბევრია ცალკე ყელისა და ძირის ფრაგმენტი. ზოგი მათგანი აშკარად დიდი ზომის ჭურჭელს მიეკუთვნება. ამაზე ჭურჭლის ძირებიც მიუთითებს. ისინი ძირშედრეკილი და სქელკედლიანია. საინტერესოა თხელკედლიანი, თეთრი, გამჭვირვალე მინის ჭურჭლის ფრაგმენტები. მათ ტალღური ზედაპირი აქვს [№2-2008: 250, 251, №2–2008: 238–258, 264].

საგანგებოდ ვამახვილებთ ყურადღებას სასმისზე, რომელიც სხვა მასალისაგან განსხვავებით ადრეულ, XII–XIII სს. მიეკუთვნება. იგი მთლიანად ჩამსხვრეულია, მაგრამ ძირის, პირისა და კოპებით შემკული გვერდის ფრაგმენტების მიხედვით შესაძლებელია მისი ფორმის წარმოდგენა. სასმისი თხელკედლიანია, თეთრი, გამჭვირვალე მინის, ძალზე ირიზებული.

ანალოგიური სასმისები, უმთავრესად ფრაგმენტების სახით, აღმოჩენილია შუაფეოდალური ხანის ძეგლებზე – რუსთავში, თბილისში, ერეკლე II სახ. მოედანზე, დმანისში, გუდარეხში, უჯარმაში. სომხეთსა და აზერბაიჯანში ამ ტიპის სასმისების პირდაპირი ანალოგიები არ არის მიკვლეული. მისი შორეული ანალოგიები გვხვდება აღმ. და დას. სხვადასხვა ქვეყანაში, მაგრამ „საქართველოში ისინი იმდენად თავისებური, განსხვავებული, დახვეწილი ფორმისაა, გემოვნებით შესრულებული და ისე მრავლადაა წარმოდგენილი (70-მდე), რომ იგი ქართულ ტიპად და შუაფეოდალური ხანის ქართული წარმოების დამახასიათებლადაა მიჩნეული. ამასთან, საზეიმო და ძნელადმისაწვდომი, ე.ი. შეძლებულ მოქალაქეთათვის განკუთვნილი“ [ჩხატარაშვილი, 1970: 38–40].

საყურადღებოა მინის, ე.წ. დეკორატიული ჭურჭლის ფრაგმენტები. ისინი მდიდრულადაა მორთული ლურჯი მინის, ერთ ადგილას კი, მისივე ფერის ძაფებით დაკეჭნილი ვერტიკალური ზოლებით. მინა, რომლისგანაც ეს ჭურჭლებია დამზადებული, მაღალი ხარისხისაა, თხელკედლიანი [№2 – 2008: 258–264] [№2 – 2008: 261, ტაბ. IV, სურ. 2].

ჭურჭლის ყელის ერთ ფრაგმენტზე შერჩენილია ლურჯი მინით შესრულებული ყური, რომელიც თავსა და ბოლოში შეკეცილ-შესქელებულია. მის გვერდით, ვერტიკალურად, ლურჯივე ძაფით შესრულებული დაკეჭნილი ზოლია გამოსახული. მეორე ჭურჭლის ყელისა და გვერდის ფრაგმენტი, აგრეთვე შემკულია ვერტიკალურად დატანილი დაკეჭნილი ზოლებით. ამ ტიპისაა რამდენიმე ფრაგმენტი. ეს ორნამენტი ჭურჭელს ეფექტურ, დეკორატიულ ელფერს აძლევს [№ – 2008: 258, 2–2008: 259,

ტაბ. IV, სურ. 1].

დეკორატიული ლურჯი და თეთრი მინით მოოთული ჭურჭელი ცნობილია საქართველოს გვიანფეოდალური ხანის ძეგლებიდან [ჩხატარაშვილი, 1978, 38–40]. ეს არის ახალი, შუაფეოდალური ხანის ჭურჭლისაგან გამორჩეული სახე, რომელიც XVI–XVIII საუკუნეებისთვისაა დამახასიათებელი. [ჩხატარაშვილი, 1978, 53–58].

ძვალი

ორმოებში აღმოჩენილ მასალებს შორის გვხვდება სხვადასხვა ცხოველის ძვლები (ნეკნები, კოჭები და სხვ.). აღმოჩენილი ძვლების მიხედვით ცხადი ხდება, რომ ორმოებში ჩაყრილი იყო წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონლის ნარჩენები.

ნახევარფაბრიკატები და წუნდებული პროდუქცია

განათხარ მასალაში მცირე რაოდენობით ნახევარფაბრიკატები და წუნდებული პროდუქციაა აღმოჩენილი. ნიმუშებიდან ჩანს, რომ ნაწარმს ანგობს უსვამდნენ, რომელზედაც ორნამენტი ამოკაწვრით გამოჰყავდათ. შემორჩენილია ამოკაწრული გეომეტრიული ორნამენტი. ნახევარფაბრიკატებში შორენკეცებიც შეინიშნება. მათ, ცალ მხარეს, ანგობი აქვს წასმული.

აღმოჩენილი იყო ცუდად გამომწვარი ჭურჭელი და კერამიკული წუნი. ასევე, არასწორად გამომწვარი, შედუღებული, დეფორმირებული ჭურჭელი და სხვ. არის ანგობირებული დოქი, სარქველი. მიუხედავად განხილული მასალისა, აქვე ახლოს კერამიკული სახელოსნოს არსებობის შესახებ ვერაფერს ვიტყვით, რადგან სხვა მასალა (სოლები, კავები, სამფეხები) არ მოგვეპოვება და ნივთებიც ცოტაა.

როგორც აღვნიშნეთ, ორმოებში ნაპოვნი არქეოლოგიური მასალა ქრონოლოგიური ხარვეზებითაა წარმოდგენილი: IXს, XII–XIII სს. და XVII–XVIIIსს. როგორც ჩანს, ეს ქრონოლოგიური ხარვეზები ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ მდგომარეობასთან არის დაკავშირებული, ანუ პერიოდულად, საქალაქო ცხოვრების, კერძოდ ამ უბნის დაცემა-აღორძინებასთან.

განხილული მასალა საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ „გარეთუბანი“ თბილისის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი იყო. ამაზე მიანიშნებს განათხარ მასალაში IXს. მაღალხარისხიანი, დახვეწილი, თავისებური ფორმის, განსაკუთრებული სიპრიალითა და ფერებით გამორჩეული მოჭიქული ჯამების ნიმუშების არსებობა. ეს უბანი XII–XIII სს. დაწინაურებული ჩანს, ვინაიდან, ქალაქური ტიპის მოჭიქულ და მოუჭიქავ ჭურჭელთან ერთად, აქ აღმოჩნდა მინის ჭურჭლის ფრაგმენტები, რომლებიც სოციალურად შეძლებული მოქალაქეების კუთვნილებად არის მიჩნეული. ამ თვალსაზრისით, უნდა აღინიშნოს

XVII–XVIII სს. მონაპოვარი, რომელიც მაღალხარისხოვანი ნივთებით გამოირჩევა. პირველ რიგში, ეს მინის ნაწარმია და მაღალმხატვრული, ლურჯი მინით გაწყობილი სხვადასხვაგვარი ჭურჭელი. იგივე ითქმის ლითონისა და მოთეთრო თიხისაგან დამზადებულ საოჯახო-სახმარ ჭურჭელზეც. ეს ნივთიერი მასალა იმის მაჩვენებელია, რომ XVII–XVIII სს. „გარეთუბანი“ თბილისის ერთ-ერთი პრესტიჟული რაიონი იყო.

XVIII ს. გარეთუბანში წვრილ ვაჭართა, ხელოსანთა და სხვათა ერთსართულიან სახლებთან ერთად, თავად-აზნაურთა კარმიდამოები და ბაღები იყო გაშენებული. უშუალოდ ამჟამინდელი ეროვნული მუზეუმის შენობის ადგილას, საიდანაც არქეოლოგიური მასალა მომდინარეობს, დიდი ფეოდალის, არაგვის ერისთავის სამოსახლო იყო [ბერიძე, 1977, 27].

ამრიგად, 1986 წ. ეროვნული მუზეუმის ახალი კორპუსის მშენებლობის დროს შემთხვევით აღმოჩენილი ნივთიერი მასალა საკმაოდ მეტყველი და მრავლისმთქმელი აღმოჩნდა. მან ეროგვარი წარმოდგენა შეგვიქმნა თბილისის ამ განაპირა უბანთან დაკავშირებით და ერთგვარად გააცოცხლა თბილისის ეს განაპირა უბანი.

ARCHAEOLOGY

TINATIN KERESELIDZE*, RUSUDAN DOLABERIDZE*

*Georgian National Museum, Rustaveli Avenue 3, 0105 Tbilisi, Georgia

ARCHAEOLOGICAL MATERIAL DISCOVERED DURING THE CONSTRUCTION OF A NEW MUSEUM BUILDING

SUMMARY

Some cesspools - pieces of ceramic, glass, metal and porcelain dishes were discovered when extracting the foundation during construction of a new building of the museum.

The special archaeological research has not been carried out in this old part of Tbilisi; that is why it is so important to examine the archaeological material discovered in that place. This will give us an opportunity to clear up the history of the old part of Tbilisi, which was called``Garetubani`` (outer district) in the late Middle Ages.

We can assume that ``Garetubani`` was one of the important parts of Tbilisi as discovered material contains delicate samples of hight quality basins of different shapes dating back to the 9th century. The 17th-18th cc. materials are also very important as they represent different kinds of blue glass dishes of high quality.

Thus, the archaeological material discovered accidentally during the construction of a new building of the museum is very expressive and eloquent. It dates back to the 9th-18th cc. and we can say this discovery revitalizes the image of one of the important outskirts of Tbilisi.

ბიბლიოგრაფია

1. **არჩვაძე თ. 1974:** თბილისის დედაციხეზე აღმოჩენილი წერნაქიანი ჭურჭელი, ფეოდალური ხანის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი.
2. **არჩვაძე თ. 1969:** მოუჭიქავი თიხის ჭურჭლის წარმოების ისტორიისათვის, თბილისი.
3. **ბერიძე თ. 1977:** ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია, თბილისი.
4. **ბერიძე თ. 1977:** „და აღმოცენდა თბილისი," თბილისი.
5. **ბახტაძე ნ.** 2007: კლდის ხუროთმოძღვრების გენეზისი და განვითარების გზები საქართველოში.
6. **გრძელიშვილი ი, ტყეშელაშვილი ო. 1961:** თბილისის მატერიალური კულტურის ძეგლები, თბილისი.
7. **გრძელიშვილი ი.** საქართველოს აგურის დათარიღების ცდა, თბილისი.
8. **კიკნაძე გ. ხელნაწერი.**
9. **ლომთათიძე გ. 1960:** თბილისის არქეოლოგიური შესწავლისათვის. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, V ნარკვევი, თბილისი.
10. **ლომთათიძე გ. 1955:** არქეოლოგიური გათხრები თბილისში 1948 წლის ზამთარში, მასალები საქ. და კავკასიის არქეოლოგიისათვის, I თბილისი.
11. **მინდორაშვილი დ. 2009:** არქეოლოგიური გათხრები ძველ თბილისში, თბილისი.
12. **მიწიშვილი მ. 1969:** მოჭიქული ჭურჭელი ძველ საქართველოში IX–XVIII სს. თბილისი.
13. **მამაიაშვილი ნ. 1976:** ფაიანსი შუასაუკუნეების საქართველოში, თბილისი.
14. **სინაურიძე მ.** უჯარმის ადრეფეოდალური ხანის კერამიკა (ხელნაწერი).
15. **ჩხატარაშვილი მ. 1970:** მინის ჭურჭელი შუასაუკუნეთა საქართველოში. თბილისი.
16. **ჭილაშვილი ლ. 1958:** რუსთავი, თბილისი.
17. **ჭილაშვილი ლ. 1980:** კახეთის ქალაქები (XIV–XVII სს.) თბილისი.
18. **ჯაფარიძე ვ. 1956:** XI–XIII სს. ქართული კერამიკა. თბილისი.
19. **ჯღამაია ჯ. 1969:** სამშენებლო კერამიკის წარმოება ფეოდალური ხანის საქართველოში, ფეოდალური ხანის არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი.
20. **Pope (editor). 1938:** A Survey of Persian Art, New-York, London, pl. 568-570.

ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I
სურ. 1. მოჭიქული ჯამის ფრაგმენტი (№ 2-2008:73).
სურ. 2. მოჭიქული ჯამის ფრაგმენტი (№ 2-2008:74).
სურ. 3. მოჭიქული ჭრაქი (№ 2-2008:4).
სურ. 4. ფაიანსის ჭურჭლის ფრაგმენტი (№ 2-2008: 257).

ტაბ. II
სურ. 1. ჭურჭლის ყური (№2-2008:97).
სურ. 2. დოქი (კულა) (№2-2008: 37).
სურ. 3. აგურის ფრაგმენტი. (№2-2008:97).
სურ. 4. მოხატული ჭურჭლის ფრაგმენტი.

ტაბ. III
სურ. 1. ჭინჭილა. (№2-2008:103).
სურ. 2. ჯამის ფრაგმენტი. (2-2008:41).
სურ. 3. მილიანი ჭურჭელი. (2-2008:104).
სურ. 4. ჭურჭლის ყური. (2-2008:97).

ტაბ. IV
სურ. 1. მინის ჭურჭლის ფრაგმენტი. (2-2008:258).
სურ. 2. მინის ჭურჭლის ფრაგმენტი (2-2008:261).

ტაბ. V
სურ. 1. ლითონის ჯამი (2-2008:237).
სურ. 2. ლითონის თეფში (2-2008: 236).

LIST OF ILLUSTRATIONS

Pl. I
Fig. 1. Fragment of a glazed bowl (№ 2-2008:73).
Fig. 2. Fragment of a glazed bowl (№ 2-2008:74).
Fig. 3. Glazed wick lamp (№ 2-2008:4).
Fig. 4. Fragment of a pottery vessel (№ 2-2008: 257).

Pl. II
Fig. 1. Handle of a vessel (№2-2008:97).
Fig. 2. Jar (№2-2008: 37).
Fig. 3. Fragment of a brick (№2-2008:97).
Fig. 4. Fragment of a painted vessel .

Pl. III
Fig. 1. Jar (№2-2008:103).
Fig. 2. Fragment of a bowl (2-2008:41).

Fig. 3. Piping vessel (2-2008:104).
Fig. 4. Handle of a vessel (2-2008:97).

Pl. IV
Fig. 1. Fragment of a glass vessel (2-2008:258).
Fig. 2. Fragment of a glass vessel (2-2008:261).

Pl. V
Fig. 1. Metal bowl (2-2008:237).
Fig. 2. Metal plate (2-2008: 236).

ტაბ. **I** Pl.

ტაბ. **II** Pl.

ტაბ. **III** Pl.

ტაბ. **IV** Pl.

ტაბ. **V** Pl.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია №1 (46-B), 2010, 175-208
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences №1 (46-B), 2010, 175-208

არქეოლოგია

ეკატერინე ჯანდიერი

საქართველოს ეროვნული მუზეუმი, რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო

ჯავახეთის ახალქალაქის ძველი ნამოსახლარები

ჯავახეთი – სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთი უძველესი კუთხე და ფიზიკურ-გეოგრაფიული ერთეულია. იგი ახალგაზრდა ვულკანური წარმონაქმნია და აგებულია ანდეზიტურ-დაციტური, ბაზალტური და დოლერიტული ლავებით. მის მძლავრ ვულკანურ კვარცხლბეკზე სამსრის ქედის ვულკანური კონუსების მწკრივია აზიდული. ზეგნის უმაღლესი მწვერვალებია ჩამქრალი ვულკანები – დიდი (3303მ.) და პატარა (2800 მ.) აბული (სურ.1). მაღალმთიან ზეგნებში ჩაჭრილია მდინარეთა ღრმა კანიონები – თავფარავნისწყალი, მურჯახეთისწყალი და სხვ. მხარე მდიდარია ტბებით – თავფარავანი, ტაბაწყური, საღამო, ხანჩალი. ლავური პლატო ალპური მდელოებით გადაფენილი შავმიწიანი, ნაყოფიერი ველია. გამოყოფილია ორი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული: ახალქალაქისა (სურ. 2) და ნინოწმინდის (ყოფ. ბოგდანოვკის) რაიონები. თანამედროვე რაიცენტრი – ახალქალაქი დაგეგმარებული და აშენებულია 1830-1870-იან წლებში მდ. თავფარავნისწყალსა და მურჯახეთისწყალს მდინარეთაშუა ვრცელ და სუსტად დანაწევრებულ პლატოზე, ზღ. დ. 1700 მ. სიმაღლეზე, თბილისიდან 270კმ. მანძილზე (ქ. ახალციხის გარშემოვლით). ავტოქტონური ქართული მოსახლეობის გარდა, აქ ცხოვრობენ 1829 წლის შემდეგ ერზრუმიდან და ბაიაზეთიდან (თურქეთიდან) გადმოსახლებული სომხები, აგრეთვე რუსები (დუხობორები), ბერძნები, ქურთები, ყარაფაფახელი თათრები და სხვ. ეთნიკური ქართულენოვანი მოსახლეობა, XIX საუკუნის პოლიტიკური კატაკლიზმების გამო, საგრძნობლად შემცირებულია, თუმცა ტერიტორიული ერთეული თავისუფალი საქართველოს შემადგენლობაში რჩება და ქართული სახელმწიფო წყობილების იურისდიქციას ექვემდებარება.

მხარის ისტორიული წარსულის შესწავლასა და მატერიალური ძეგლების აღწერილობას ფასდაუდებელი ღვაწლი დასდეს XVIII-XIX სს-ის ქართველმა ისტორიკოსებმა და მკველვარ-მოგზაურებმა. მნიშვნელოვანია XX ს-ის მეცნიერთა შრომები და გამოკვლევები, აგრეთვე, თანამედროვე არქეოლოგიური (გათხრითი, დაზვერვითი, აზომვითი) სამუშაოები, რომლებიც ჯავახეთში 1950-1970-იან წლებში

განხორციელდა – ვარძიაში, ვანის-ქვაბებში, წუნდა-ნაქალაქევში, ხერთვისსა და ჯავახეთის შუასაუკუნეთა ეპოქის პოლიტიკურ ცენტრში – ახალქალაქში.

თანამედროვე ახალქალაქის ძველი ისტორიული უბნებია: 1) „ამირანის გორა“ – ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის გორა-ნამოსახლარი, რომელიც ქალაქის სამხრეთ განაპირას ბუნებრივ ნახევარსფერულ გორად აზიდულა; 2) ძველი-შუასაუკუნეების ციხე-ქალაქი – ისტორიული სახელწოდებით „ახალქალაქი ჯავახეთისაჲ,“ რომლის სამკვიდრო ქალაქის ჩრდილო-დასავლეთ გარეუბანში, ორმდინარეთა შესართავს შორის აზიდულ სამკუთხა ქარფოვან კონცხზე ყოფილა გაშლილი (ზღ. დ. 1663-1669 მ.) (სურ. 3).

სწორედ ეს ძველი უბანი გახდა 1960-1991 წწ-ში, თანამედროვე მეცნიერული კვლევის ობიექტი. აქ გეგმიურ არქეოლოგიურ გათხრებს (წყვეტილად) აწარმოებდა საქ. მეცნ. აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი (დირექტორი აკად. ო.ლორთქიფანიძე), თავდაპირველად, ცნობილი არქეოლოგის გიორგი ლომთათიძის, შემდეგ კი ჩვენი ხელმძღვანელობით (სურ.4).[10]

***

ჯავახეთის ახალქალაქის შუასაუკუნეთა ხანის ნაქალაქარზე წლების განმავლობაში ჩატარებულმა არქეოლოგიურმა კვლევებმა უძველეს ნამოსახლართა კვალი გამოავლინა (სურ. 4). ამათგან ზოგი ნაშთი (მშენებლობის წესისა და მონაპოვარი მასალის განფენების მიხედვით) განეკუთვნება იმ ძველ სამოსახლოს, რომელიც რამდენადმე წინ უსწრებდა XI ს-ის 40-იან წლებში აღზევებულ, ანუ ზღუდე-გალავნით გარშემორტყმულ ციხე-ქალაქის წარმოქმნას. სწორედ ამ განვითარებული შუასაუკუნეების ხანის (XI-XIII სს.) ქალაქის უბნებში გამოვლინდა ის უძველესი ნაშთები, რომელთაგან ზოგი წინაქრისტიანული (ენეოლით-ადრებრინჯაოს) ხანიდან შემორჩენილ ნაშთებად ჩავთვალეთ, ზოგი კი, უზღუდო ქალაქის ეტაპის (IX ს-დან – ვიდრე XI ს-ის I მეოთხედამდე) ნაშენობად. ეს უკანასკნელნი, როგორც გამოირკვა, უზღუდო ახალქალაქის სამოსახლოს ნაშთებია. შენობების უმრავლესი ნაწილი კი იმ დიდ ქალაქს ეკუთვნის, რომელმაც XI-XIII სს-ში ზღუდე-გალავნით განმტკიცებული ახალქალაქის ჯავახეთის პოლიტიკურ, ადმინისტრაციულ და ეკონომიკურ ცენტრად დაწინაურება განაპირობა. ძველი ქალაქის უბნები სამხრეთიდან დაცულია სამი სამსართულიანი კოშ-

[10] ახალქალაქის ციხე-ნაქალაქარზე 1960 წელს საველე-არქეოლოგიური სამუშაოები შეასრულეს (გ. ლომთათიძის ხელმძღვანელობით) და განათხარ უბანთა ანგარიშები წარმოადგინეს არქეოლოგებმა: თ.არჩვაძემ, თ. იმნაძემ, ც. ჩიკოიძემ, მ. ჩხარტიშვილმა, ე. ჯანდიერმა, ჯ. ჯღამაიამ, არქიტექტორია – თ. ჯაფარიძე. 1968-1991 წწ-ში (ე. ჯანდიერის ხელმძღვანელობით) მონაწილეობდნენ არქეოლოგები: ჯ. ამირანაშვილი, ვ. ნიკოლაიშვილი. ძეგლი აზომეს არქიტექტორებმა: კ. მელითაურმა, ს. ჯანდიერმა, ტოპოგრაფებმა –ჰ. მიქაბერიძემ, ს. მგდესიანმა. ფოტოსამუშაოები შეასრულეს: მ. კოზლოვსკიმ, ვ. ალიაბინმა, ნ. არჩვაძემ. სამხატვრო სამუშაოები – ნ. თოფურიძემ, ც. მჩითავიშვილმა. რაიონებში ძეგლები აღწერეს – კ. ჯავახიშვილმა, ნ. ოჩიაურმა, ნ. კასრაძემ.

კით, ორი ყრუ ბურჯით, ფართო კარიბჭითა და მიწისქვეშა გვირაბებით, ქარვასლის კამაროვანი კაპიტალური კედლითა და დასავლეთიდან შემოსასვლელი კოშკით გამაგრებული ციტადელით. ასეთია ორი ფართო ეზოს მქონე ქალაქის დამცველი ციხე (სურ.9).

მეგალითურ სამოსახლოთა კვალი ნაქალაქარზე

ნაქალაქარის NO და NW ბოლოში, ნასახლარებში II, III, VI გამოირჩა უძველეს ნასადგომართა კვალი – მეგალითური არქიტექტურის ნაშთები, რომელთაც ფრაგმენტული, მაგრამ დამახასიათებელი მასალაც ახლავს.

III ოროთახიანი ნასახლარი გათხრილია NW ჭიშკრის უბანში (სურ. 5; ტაბ. I-1; II-1). ამ ნასახლარის №1 ოთახის ჩრდ. და აღმ. კედლების ძირები აგებულია მეგალითებით, დიდრონი, ფლეთილი, დაუმუშავებელი ლოდებით. ისინი კლდეზეა დაყრდნობილი (სიგრძე=6 მ., სიმაღლე=2 მ., სიგანეს ქმნის ორი ლოდის ბრტყელი ზედაპირი=1,1 მ.); (ტაბ.II-1,2). ამ წყობაში არსად ჩანს ქვის თუნდაც მცირედ დამუშავების კვალი. ორივე კედელი აშკარად „ციკლოპურია“ – ხსნარის გარეშე, მშრალად ნაგები, ერთმანეთზე მორგებული ლოდებით. მომდევნო საუკუნეებში, ქალაქის უბნების დაგეგმარებისას, მშენებლებს ჩაუთვლიათ, რომ შესაძლებელი იყო ეს ლოდოვანები კი არ დაენგრიათ, არამედ ხელახლა გამოეყენებინათ, ფართო ოთახში ჩართვით (ახლად აგებულ კედელთა გვერდით). კლდოვან ქანზე მოძიებულია მცირე, მაგრამ ეპოქის დამახასიათებელი არქაული კერამიკა – შავპრიალა და ვარდისფერსარჩულიანი ქოთნის ნატეხები (ტაბ.V-1,2), ქვის წახნაგოვანი ჭურჭლის ფეხის ნატეხი, ძვლის სადგისები, საკიდები წითლად შეღებილი და გაპრიალებული, თავბოლო წაკვეთილი ეშვის ნიმუში და სხვა საგნები. გ. ლომთათიძე და ტ. ჩუბინიშვილი მათ ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანას მიაკუთვნებდნენ [ლომთათიძე: 1961]. ადვილი წარმოსადგენია, ახალქალაქის ნაქალაქარზე ამ უძველესმა ნაშთებმა საუკუნეთა განმავლობაში რაოდენი რღვევა-გადაკეთება განიცადა, ამიტომ აქ წრიული ან ოვალური გეგმის მქონე სადგომების კვალი თითქმის წაშლილია. მაგრამ ჯავახეთის ზეგანზე სოფლების (ვარევანი, ვარდისციხე, თეთრობი, დუმეილა, კარწახი და სხვ.) განაპირას ასეთი ლოდოვანები და ხარო-დარნები დღემდე ჩანს. მათი მსგავსი შენიშნულია ქვემო ქართლში და სომხეთში (სევანის ტბის აუზში), რომლებსაც მკვლევარნი, აგრეთვე ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანას აკუთვნებენ.

დარნული ტიპის ნახევარმიწური ან ოვალურ-მრგვალი გეგმის მქონე საცხოვრებელ-სამალავები და ლოდოვანები, ზეგანს გარდა, შემონახულია ჩამქრალი ვულკანების დიდი და პატარა აბულის მთის წვერსა და კალთებზე. ეს არის ჯავახეთის ცნობილი „ციკლოპური“ ციხესიმაგრეები, რომელთა წრიული სადგომები, როგორც ჩანს, შუა საუკუნეებშიც სახიზარ-სამალავებად იყო გამოყენებული [Ростомов: 1898, 35-38].

უზღუდო ახალქალაქი (IX-X სს)

საქართველოს გაქრისტიანების შემდეგ (IV ს.), ჯავახეთი მუდმივად მონაწილეობდა ქვეყნის თითქმის ყველა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. გეოპოლიტიკური ვითარების გამო, ეს მენ-აპირე მხარე არაერთხელ გამხდარა მტრის სათარეშო ასპარეზი, მანამ, სანამ ბაგრატ III-მ (1008 წ-დან) იგი ცენტრალურ ხელისუფლებას არ დაუქვემდებარა [ჯავახიშვილი: 1965, 131].

მიუხედავად საუკუნეობრივი ქარტეხილებისა, IX-X სს-დან ქართული სამეფო გაძლიერდა: დადგა განვითარებისა და აღმავლობის ხანა, ინტენსიურად მიმდინარეობდა ძველ, დარბეულ ნასოფლართა და დამცრობილ ნაქალაქართა აღორძინება და ახალი ქალაქების შენება-გამაგრება. აქედანვე იწყება მზარდი სამშენებლო მოღვაწეობა, ეკონომიკისა და კულტურის განვითარება: იგება ქარვასლა-ფუნდუკები, ხიდები, ეკლესიები.

წერილობითი წყარო არაპირდაპირ ცნობას გვაწვდის იმის შესახებ, რომ ჯავახეთის ახალი ცენტრი ანუ **ახალი ქალაქი** (რომელმაც შეცვალა ძველი, ანტიკური ხანის წუნდა) იმ დრომდე (ე.ი. XI ს-ის 40-იან წწ-მდე) **ჯერ კიდევ უზღუდო ყოფილა** [მატიანე ქართლისა: 1955, 298]. აკად. ნ. ბერძენიშვილს მართებულად მიაჩნია, რომ ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის შედეგად, ამ ეპოქაში ჩნდება და იზრდება ქალაქები უციხოდ, უზღუდოდ; „ახალქალაქი“ უზღუდო იყო და ეს სახელი კი ერქვა“ [ბერძენიშვილი: 1964, 50-51].

არქეოლოგიური გათხრების შედეგად, ახალქალაქის ნაქალაქარზე ჩვენ აღმოვაჩინეთ ადრეული შუასაუკუნეების ხანის მიწურულ ეტაპზე, ანუ IX-X სს-ში დაწინაურებული ვრცელი სამოსახლოს ნაშთები. ამ უკანასკნელის სტრატიგრაფიული განფენა, მონაპოვარი საყოფაცხოვრებო მასალის თანდართვით, ნასახლართა გეგმარება და სამშენებლო ხერხების გაანალიზება გვაფიქრებინებს, რომ IX-X სს-თვის ახალქალაქის ვრცელი სამოსახლო ჯერ კიდევ უზღუდო და უგალავნო იყო, რომელიც ჩრდილო-აღმოსავლეთიდან და მდინარეთა ხეობებიდან მიუდგომელ კლდოვან კონცხს უნდა დაეცვა.

გთავაზობთ ნაქალაქარზე არქეოლოგიური გათხრებით გამოვლენილი სამოსახლოების სამშენებლო წესითა და სტრატიგრაფიით დათარიღებული ნაშთების ანალიზს.

თითქმის ყველა ნასახლარის კედლების ქვედა რიგები ზედა კედლებისგან განსხვავებულია, ანუ – ქვის განსხვავებული წყობითაა ნაგები. აქვეა სხვადასხვა დონეების თიხატკეპნილი იატაკებიც, თავიანთი დროისა და ტექნოლოგიის შესაბამისი საყოფაცხოვრებო ნივთებითა და კერამიკით. ამ იატაკებზე აღმოჩენილი მონეტები, ნაშთების დათარიღებას სარწმუნოს ხდის. 2-4 ოთახიან ნასახლარებში ზოგი კედლის ძირები შერეული წყობითაა ნაგები: დიდრონი, უხეშად, მაგრამ მაინც გათლილი ლოდების ჰორიზონტალური მწკრივები ნიველირებულია ვერტიკალურად ჩადგმული მომცრო ქვებით, ღრიჭოები შევსებულია ნატეხი პატარა ქვის სოლებითა და თიხის მცირე ხსნარითაა შეკავშირებული. მშენებლობის ამგვარი წესი ჯავახეთის

და ქვემო ქართლის ბევრ სხვა ძეგლზედაცაა შენიშნული; მათ გ. ლომთათიძე „ფსევდოციკლოპურ“ წყობას უწოდებდა.

ამ მხრივ, ყველაზე მეტყველი სურათი ეკლესიის უბანში გათხრილმა ნასახლარებმა გვაჩვენა. მათგან აღსანიშნავია კორიდორული სისტემის მქონე სამსენაკიანი **ნასახლარი I** (სურ. 6; ტაბ. I-3). მისი ყველა სენაკის ქვედა დონის კედელთა წყობა ფსევდოციკლოპურია, ხოლო გაუქმებული ორმოები შეიცავს IX-X სს–ის მასალას (სურ. 6; ტაბ. I-7,8; V-4,8; VII-2,3,8,9). აქ ძველი წყობის შემორჩენილი ნაშთები ხელახლა გამოიყენება განვითარებული შუასაუკუნეების ხანის სამსენაკიან „ბანურ სახლში" XI-XIII სს-ში. №2 სენაკის შესქელებულ კუთხეებში კი, როგორც პოსტამენტში, ჩადგმულია ბაზალტის ქვის სტელა, რომელზედაც დაბალი რელიეფით ნაკვეთი ღერძდაგრძელებული „ჯვარია" გამოსახული (ტაბ. I-6). ამ დეტალის სტილისტური ანალიზი მის ადრინდელ წარმოშობაზე მეტყველებს. ჯვრის ღერძის დაგრძელება დაახლოებით VII ს-დან იწყება. სტელის ჩადგმა საგანგებო პოსტამენტებში კი, შესაძლოა ამ სენაკის განსაკუთრებული ფუნქციით აიხსნას: მას ამ სახლობის მფარველი შინასამლოცველოს დანიშნულება უნდა ჰქონოდა. №3 სენაკის თიხატკეპნილ იატაკში ჩაჭრილი თონეები, ორმოები და მარცვლეულის შესანახი ხაროები დახშული და გაუქმებულია ნასახლარის ზედა დონის იატაკით (XI-XIII სს-ში). გაუქმებულ ხაროთა ფსკერზე კი ადრინდელი შუა საუკუნეების ხანის მიწურული ეტაპისთვის დამახასიათებელი ჯავახური კერამიკის ნიმუშები მოვიძიეთ: ბაკოდამრეცი და ნაწილობრივ წაბლისფერი წერნაქით დაფარულ-გაპრიალებული ჯამები, სამტუჩა პირგანიერი ტოლჩები, დოქები, კოჭბები (ტაბ. I-8; V-4; VI-2,3,4; VII-2,3,5), ხრათითი და სხვ. აგრეთვე, სამკუთხაგანივკვეთიანი (ქედიანი) ლურჯი მინის სამაჯურები (ტაბ. V-8). (ამ დროის მასალაში სრულიად არ ჩანს მრავალფერად მოხატულ-მოჭიქული გამოსახულებიანი ჭურჭელი). მცირეა, მაგრამ ჯავახური კერამიკისათვის დამახასიათებელია ღვიძლისფერჭიქურიანი ჯამები. მსგავსი ნიმუშები საქართველოს სხვა ნაქალაქარებზე (რუსთავი, თბილისი, თელავი, კვეტერა, დმანისი) მკვლევართა მიერ დათარიღებულია IX-X სს-ით. უმრავლეს შემთხვევაში ადგილობრივი ჯავახური კერამიკა მუქი ლეგა და მოშავო, არცთუ წმინდად განლექილი თიხისგანაა გამომწვარი და ამიტომაც იყო აუცილებელი სუფრის ჭურჭლის „გალამაზება," მისი მუქი წითელი ან წაბლისფერი წერნაქით დაფარვა და გაპრიალება. ამ დროს ახალქალაქის კერამიკაში მოუჭიქავი, მაგრამ შედებილი ჭურჭელი ჭარბობს (IX-X სს).

ახალქალაქის ამ ნასახლარებში გამორჩეული ქვედა დონის ფენების დათარიღების სიზუსტეზე მიგვანიშნებს აქვე აღმოჩენილი ბიზანტიური სპილენძის მონეტაც – იოანე ციმისხისა, მოჭრილი X ს-ში (ტაბ. VIII-1).

* * *

უზღუდო ახალქალაქის ძველი სამოსახლოს თანადროულია თითქმის ტოლმკლავა **„ჯვრის" გეგმის** მქონე ცენტრალურგუმბათიანი **ეკლესიის** ნანგრევი ნაშთი კონცხის N ბოლოში. გათხრების დაწყებისას ეკლესია

საძირკვლამდე იყო აფეთქებული (სურ.7; ტაბ. IV-1) (გამოხრელი ჯ. ჯღამაია),მაგრამ მის დათარიღებას IX-Xსს-ით,გეგმის მონახაზის გარდა, აქვე აღმოჩენილი რამდენიმე ქვის დეტალის სტილისტური ანალიზი უწყობს ხელს. გეგმარებით იგი მსგავსი და თანადროულია ორიალეთის ახალქალაქის ეკლესიისა (მკვლევარ-არქიტექტორი ლ. რჩეულიშვილი). ახალქალაქის ეკლესიის საძირკველში ჩაყოლებული აღმოჩნდა ძველი სალოცავი სტელების ცალკეული დეტალები. ასეთებია: V-VI სს სტელის ბაზა (ფოსოამოღებული, ქვის სვეტის ჩასადგმელად), ირგვლივ ამოკვეთილი ფოთლოვანი ორნამენტით შემკული (ტაბ. IV-2). აგრეთვე, ამოკვეთილი, კონცენტრული ღარების მქონე პილიასტრის თეთრი ქვა; არის რამდენიმე ქვის ნატეხი ვარდულების მწკრივით; გეომეტრიულ-რომბული ორნამენტის მქონე მოგრძო ქვა და სხვ. (VIII-IX სს) (ტაბ. IV-3).

ირკვევა, რომ სამოსახლოს განაპირას, კონცხის ქიმზე ადრევე ყოფილა ქვაჯვარა – ქრისტიანობის პირველი სიმბოლო, მანამ, სანამ აქ IX-X სს-ში ტოლმკლავა ჯვრის გეგმის ეკლესია აშენდებოდა. საფიქრებელია, რომ ეს პირველი ეკლესია XI საუკუნეში სელჩუკთა შემოსევისას დაინგრა, რადგან მეორედ შენების დროს (XII-XIII სს-ში), ნანგრევთან ერთად პირველადი ქვაჯვარას ბაზებიც საძირკველში აღმოჩნდა ჩადგმული (თუმცა, აშკარაა, ვერც მეორედ აშენებული ეკლესია გადარჩენია XVI ს-ში „დიდ ოსმალობის" რისხვას).

ციხე-ქალაქი - „ახალქალაქი ჯავახეთისაჲ" (XI-XIII სს)

ქვეყნის ეკონომიკისა და მეურნეობის დაწინაურების, სავაჭრო გზაჯვარედინებზე ვაჭარ-ხელოსანთა ინტენსიური მიმოსვლისა და მეზობელ ქვეყნებთან კულტურული კავშირების ძიების გამო, XI ს-ის დასაწყისშივე გარდაუვალი გახდა სანაპირო რეგიონებში ქალაქური ტიპის დიდი დასახლებების ციხესიმაგრეებითა და გალავნებით დაცვა-გამაგრება.

სწორედ ამ რეალობამ გადააქცია IX-X სს-ის უზღუდო ახალქალაქი **ციხე-ქალაქად** – XI ს-ის 40-იან წლებში ბაგრატ IV-ის დროს (1027-1072), როდესაც „. . . იწყეს ახალქალაქისა ზღუდეთა შენებად, რამეთუ მას ჟამსა უზღუდო იყო" [მატიანე ქართლისაჲ: ქ.ც. I, 1955, 298]. ამგვარად, ახალქალაქის ძველი სამოსახლო ბურჯებით გამაგრებულ გალავანში მოექცა (სურ.4), ხოლო NW-დან ქალაქის უბნებში შემოსასვლელი საურმე გზა ჭიშკრით გამაგრდა (ტაბ. I-1). მის ფრთაზე ამოიტვიფრა ქართული ასომთავრული დაქარაგმებული წარწერა: „ქ˜ე შ˜ე მ˜მ" („ქრისტე შეიწყალე მარიამ" – ბაგრატ IV-ის დედა; XI ს. (ტაბ. I-2). ახალქალაქს გარდა, ამ დროს ჯავახეთში სხვა მცირე ქალაქებიც წარმოიქმნა,კერძოდ გოკია და ბარალეთი. შუასაუკუნეთა საქართველოს ქალაქების მკვლევარი აკად. ლ. ჭილაშვილი ამ ეტაპს **ახალქალაქობის ხანის** დასასრულად მიიჩნევს [ჭილაშვილი: 1970, 95-113].

ისტორიულად ცნობილია, რომ ახალქალაქის ციხე-გალავანი აგებიდან ოცი წლის შემდეგაც არ ყოფილა დასრულებული, ისე

განადგურებულა 1065 და 1068 წწ.-ში სელჩუკიანი სულთნის ალ-ფარსლანის შემოსევათა შედეგად [მატიანე ქართლისაჲ: ქ.ც. I, 1955, 305]. მაგრამ, როგორც ჩანს, ციხესიმაგრის შენება XII ს-შიც გრძელდებოდა და რამდენადმე შეცვლილა კიდეც (სანამ XIII ს-ში მონღოლებმა არ გაანადგურეს).

ახალქალაქის სამოსახლო უბნების ირგვლივ გარშემორტყმულ გალავანს (პერიმეტრზე) 11 მომცრო ყრუ ბურჯი აქვს შემორჩენილი. ზოგ ადგილას კლდის მასივი გალავან-ბურჯებს ცვლის.

ქალაქის დამცველი მთავარი ციტადელი კი აგებულია სამხრეთით, ადვილად მისადგომი კონცხის ყელთან. მისი ორი ფართო ეზო შემოფარგლულია სამხრეთი ფასადის სამი დიდი კოშკით (კუთხის ორი კოშკი ოთხსართულიანია) (სურ. 8, 9) [ჩიკოიძე, ლომთათიძე: 1960, უბნის ანგარიში]. მათ შორის ჩართულია ციხის მთავარი კარიბჭე, რომელიც ტეხილი სავალით ორივე მიმართულებით ხსნის გზას – დასავლეთით ქარვასლისა და აღმოსავლეთით ციტადელის ეზოებისაკენ. ციხეს აქვს „ცოტაკარის" საშუალებით მდინარესთან გასასვლელი მიწისქვეშა კიბეებიანი გვირაბი (XIს). დასავლეთით გაშლილ ეზოს კი ქარვასლის კამაროვანი შენობა ფარგლავს (XIIს) (სურ. 9; ტაბ. III, 3).

ამ შენობების არქიტექტურული და არქეოლოგიური ანალიზი გვაჩვენებს, რომ თითქმის ყველა კოშკის, ბურჯისა თუ კედლის ძირში შემორჩენილია XI ს-ის მშენებლობის კვალი – დიდრონი შავი ბაზალტის ბლოკებით ნაგებია არა მარტო საძირკვლები და კედლები, არამედ ზღურბლები და წირთხლებიც. ზოგი შენობა გეგმაშეცვლილია და სათავსოები აქვს დამატებული ან გამოყოფილია კორიდორული სისტემით. ციხის კარიბჭეც გაფართოებული და გამაგრებულია.

ნაქალაქარზე საცხოვრებელ ბანიან სახლებში კედლები მეტწილად აგებულია ქვის ჰორიზონტალური წყობით და თიხის ხსნარითაა შეკავშირებული. XI ს-ის ჭიშკრიდან ქალაქის სამოსახლოებთან და ეკლესიასთან მისასვლელი საურმე გზა ვიწრო შუკით იხსნება (ტაბ. I-1), რომლის ორივე მხარეზე კორიდორული სისტემის, ნახევრად მიწური ბანიანი სახლებია ჩარიგებული. აქ სამოსახლო და სამეურნეო კომპლექსები ურთიერთთან მჭიდრო განლაგებით, ყრუ კედლით არის ერთმანეთთან მიჯრილი, რაც, შიშიანობის დროს, ადამიანებს ურთიერთკავშირისა და უკეთ დაცვის საშუალებას უქმნიდა. სახლების ამგვარი განლაგება, როდესაც ერთი მოსახლის კარ-მიდამო მეორის მოსაზღვრე იყო, ურთიერთმოკავშირე პატარა „ციხესიმაგრეთა" ჯგუფს ქმნიდა და მოსახლეობაც უკეთ უმკლავდებოდა მომხდურს. ამას ხელს უწყობდა შიდა ეზოებში სახლების ოთახების ერთმანეთთან ტეხილი კორიდორული სისტემით დაკავშირებაც (სურ. 6, 10; ტაბ. I-3,7); აგრეთვე, თიხატკეპნილ იატაკებში ჩაჭრილი სამეურნეო ხაროების თავდაცვის მიზნით სამალავებად გამოყენებაც (დარნული სისტემა) (სურ. 10; ტაბ. II-7). დაბალ შენობებს ნაქალაქარზე ბანური (მიწით დაფარული ძელური) გადახურვა აქვს, კედელთა ძირებში, თიხატკეპნილ იატაკზე ორი-სამი ბრტყელი ფილაქვაა დაწყობილი – ხის ბოძების დასაყრდენად და ბანიანი სახურავის დასაჭერად (ტაბ.I-5). არქეოლოგიური ანალიზის შედეგად ნასახლართა შორის ორი სამშენებლო ეტაპი გამოიკვეთა: IX-XI სს

და XII-XIII სს. კლასიფიკაციას საფუძვლად დაედო საცხოვრებელ-სამეურნეო სენაკთა შემადგენელი კედლების წყობის ანალიზი და აქვე აღმოჩენილი კერამიკის, მინისა და სხვა მასალის სტრატიგრაფიული განფენება, რასაც აქვე ნაპოვნი ზოგი მონეტაც ადასტურებს. განვითარებული შუასაუკუნეების ხანის თითო სამოსახლო კომპლექსი 3-4 ოთახს მოიცავს, აქვს დამხმარე სამეურნეო სათავსოებიც (ბეღელი, ბაგა, სამზარეულო). საცხოვრებელ სენაკთა ფართი გაცილებით დიდია, ვიდრე დამხმარე სენაკებისა. ე.წ. „დარბაზში," ჰორიზონტალურად წყობილ ქვის კედელთა გასწვრივ სასვეტე საყრდენი „ბალიშების" გარდა, შუაში ბაზალტის მასიური მრგვალი ბაზა დგას (სურ. 6, 10; ტაბ. I-7; II-2). დიდი ოთახის ხუთკუთხიანი კედლები აგებულია ქვის ჰორიზონტალური წყობით და თიხის ხსნარით არის შეკავშირებული. ოთახს სხვა სათავსოებში და კორიდორში გასასვლელი ორი ან მეტი კარი აქვს (XIII ს-ის შემდეგ ამოქოლილია) (ტაბ. II-3). ხუთი კუთხე და შუაში სასვეტე ბაზის არსებობა გვაფიქრებინებს, რომ მთავარი ოთახი „დარბაზულად" არის გადახურული. აწ დანგრეული და გაცამტვერებულია „ჯავახური დარბაზის" შუასაუკუნეების (XII-XIII სს) ნიმუში და მხოლოდ შემორჩენილი საძირკვლებით ვვარაუდობთ „დარბაზული" გეგმის არსებობას (ტაბ. I-7). დამხმარე სამეურნეო სწორკუთხა სათავსოებს კი ბანური გადახურვა აქვს. ირგვლივ, თიხატკეპნილ იატაკში ამოჭრილია ყურიანი კერები (სურ. 6),ჩადგმულია საქარიანი თონეები (სურ. 10; ტაბ. II-6), სათბურები – კერამიკული „ხრათითი" (ცილინდრული, თავბოლოღია, ყურიანი თიხის ჭურჭელი, ირგვლივ ტანდახვრეტილი – ნაკვერჩხლის შესანახია) (სურ. 11).

ქვის დოლაბით ხაროებია დახურული (ტაბ.II-7),კედლებში ჩართულია ბრტყელი ფილაქვებით შედგენილი ბუხარი (ტაბ. I-4). XII-XIII სს სამეურნეო ორმოები ქვედა დონის ორმოებს ფარავს (რომლებშიც X-XI სს ჭურჭელი ჭარბობდა) (ტაბ. I-8). თიხატკეპნილ იატაკზე მოვიძიეთ ეპოქის დამახასიათებელი მოჭიქული და მოუჭიქავი ჭურჭლის ნიმუშები: ანგობით მოხატული ან ამოკაწრულორნამენტიანი ერთფერჭიქურიანი (ღვიძლისფერი, მწვანე, ცისფერი) ჯამების, ქილების, სამარილეებისა და სხვა ნივთთა ნატეხები (XI ს) (ტაბ. V-5, 6, 7; VI-1, 5). მაგრამ ასეთი ჭურჭელი აქ შედარებით მცირეა. უფრო მეტია წაბლისფერწერნაქიანი გაპრიალებული და მოუჭიქავი სამზარეულო ჭურჭელი (ქოთნები, კოჭბები, დერგები) (ტაბ.VII-1,3,4,6,7). I, III, IV ნასახლარებში ეს ფენა დათარიღებულია XI-XII სს ბიზანტიური სპილენძის მონეტის მიხედვით (მოჭრილი კონსტანტინეპოლში იმპ. კონსტანტინესა და ევდოკიას დროს) (ტაბ. VIII-3). იმავე ნასახლარების ზედა ფენა კი XII-XIII სს-თვის დამახასიათებელ წარმოების ნიმუშებს შეიცავს: არსებობს ანგობზე ამოკაწრვის ტექნიკით მიღებული (ფრინველის, ცხოველის) გამოსახულებიანი და მრავალფერად მოხატულ-მოჭიქული ჯამების, ქილების ნატეხები (ტაბ. V-11, 13-17); აგრეთვე, წითელი და წაბლისფერწერნაქიანი დოქების, კოკების ნიმუშები (ტაბ. VII-1,4,7); მრავლად არის ლეგა ყავისფერი, მსხვილმარცვლოვანი თიხის გამურული ქოთნების, სარქვლების, დერგების ნატეხები (ტაბ.VII-10); ასევე, ნახევარფაბრიკატებიც (ადგილობრივი წარმოების ნიშანი). ფენას

ათარიღებს ლაშა გიორგის დროინდელი (1213-1223 წწ.) სპილენძის ნახევარმონეტა „ჯავახთუფლის" ზედწერილით (ტაბ.VIII-5); III ნასახლარში კი ასეთივე ფენა დათარიღებულია რუსუდან დედოფლის დროს 1125 წელს მოჭრილი სპილენძის მონეტით (ტაბ.VIII-6).

* * *

როგორც ჩანს, ქალაქის მოსახლეობის ნაწილი, მებოსტნეობასა და მცირე მიწათმოქმედებას მისდევდა – ჩრდილო-აღმოსავლეთ ზღუდის გარეთ, ფერდობის კალთების გასწვრივ, მდ. თავფარავნისწყლისპირა ჭალებში. მეორე ნაწილი კი, ხელოსნობას. ამის გამო, ეს უბანი ცალკე იყო გამოყოფილი. W ზღუდის გარეთ, კლდოვან ფერდობზე გაითხარა სელის **ზეთსახდელი ნაგებობა** (წერტი №9) (სურ. 4; ტაბ. III-1,2),რომლის აგებულება სელის წნეხვის კარგად განვითარებულ საქმიანობაზე მიუთითებს (XII-XIIIსს) [იმნაძე, ლომთათიძე: 1960, უბნის ანგარიში]. აქვე გათხრილია სახაბაზო (თონეებით, წერტი №5) [ჯანდიერი, ლომთათიძე: 1960, უბნის ანგარიში]. ირგვლივ მიმობნეული კერამიკული წუნები, დეფორმირებული, გადამწვარი ჭურჭლის ნატეხები გვაფიქრებინებს, რომ სამომხმარებლო ჭურჭელი და საგნები ადგილობრივ მზადდებოდა. ქალაქის საცხოვრებელ უბნებში კი აქაური ხელოსნები და მეურნეები სახლობდნენ. როგორც ჩანს, ხელოსნებსაც და მოვაჭრეებსაც კავშირი ჰქონდათ ახალქალაქის ქარვასლასთან,რომლის კამაროვანი შენობა და ფართო ეზო კარგად იყო დაცული S-ით მდგარი ციტადელის კოშკებით (ტაბ. III-3, 5). აქ გათხრილ სათავსოთა აღნაგობა და მონაპოვარი მასალა XII-XIII სს-ის ფენას განეკუთვნება [არჩვაძე, ჩხატარაშვილი, ლომთათიძე: 1960, უბნის ანგარიშები].

* * *

XII ს-ის მეორე ნახევრიდან მომხდარა ჯვრის ეკლესიის „მეორედ შენება", რაც ციხე-ქალაქის ცხოვრების კვლავ გამოცოცხლებასთან უნდა იყოს დაკავშირებული. ამის შესახებ იუწყება ახალქალაქის ცნობილი ასომთავრული წარწერა, რომელსაც პალეოგრაფიული ნიშნებისა და მასში მოხსენიებულ პირთა მიხედვით, ვ. ცისკარიშვილი ამგვარად აღადგენს: „სახელითა ღმრთისაჲთა აღვაშენე ესე წმიდაი ეკლესიაი, მეფობასა დავითისასა და ამირსპასალარობასა ავაგისა, გამრეკლის ძეთა: კახას, ასიბას და ლიპარიტის პატრონობასა შინა. . . სალოცავად სულისა და. . . ისდიაგს შეუნდვენ ღმერთმან, ამინ" (ტაბ. IV-4). მკვლევარი მას XII-XIII სს წარწერად მიიჩნევს (არა უადრეს XII ს-ის II ნახევრისა). მოხსენიებულია მეფე დავითი ლაშასძე (დავით ულუ) და ამირსპასალარი ავაგ ზაქარია შანშესძე. მკვლევარის აზრით, აქ არ იხსენიება რატი სურამელი, რომელსაც, როგორც ჩანს, იმ დროს არც ჯავახეთზე ჰქონდა გავლენა და არც მიწების მფლობელი იყო ახალქალაქის რაიონში. ახალქალაქის ეკლესიის მეორედ მაშენებელი კი ისდიაგი ყოფილა [ცისკარიშვილი: 1959, 52-60].

XIII ს-ში მონღოლთა შემოსევის შემდეგ ძველი ახალქალაქის უბნები ეკლესიითურთ აღარ განახლებულა. ქალაქმა შეწყვიტა ინტენსიური ცხოვრება და გაუდაბურდა. ჯვრის ეკლესია ამის შემდეგაც (ქალაქთან ერთად) არაერთხელ დანგრეულა: ისდიაგის მიერ აღდგენილ ქრისტიანულ საყდარს თურქ-ოსმალნი ციხე-ქალაქის აღებისას და სამცხე-ჯავახეთის მხარის დიდი ხნით დაპყრობის შედეგად (XVI-XVIIIსს), ცხადია, აღარ დატოვებდნენ და ამიტომაც ასე საძირკვლამდე დაქცეულმა (აფეთქებულმა) მოაღწია ჩვენამდე (ტაბ. IV-1).

ამიერიდან, „ცხოვრებას“ აგრძელებს ქარვასლა-ციტადელის მხარე, სადაც დამპყრობელ ოსმალთა მეციხოვნე ჯარი ჩადგა (XVI-XVIIIსს).

„რაბათ-ყალ’ ა’ – აკ შეჰირი“ გურჯისტანის ვილაიეთში (XVI-XVIII სს)

1590 წ-დან სამცხე-ჯავახეთში ოსმალობა დამყარდა. ოსმალური ადმინისტრაციული დაყოფით, ახალქალაქის ლივაში შევიდა „აკ-შეჰირის,“ ომოგვისა და ნიალისყურის ნაჰიიები. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის მიხედვით, ცალკე საგადასახადო ერთეულადაა აღნუსხული აკ-შეჰირის ნაჰიიე [ჯიქია: დავთარი, III, 1958, 15, 303]; ეს არის, სახელდობრ, ახალქალაქის ციხის ტერიტორია, ანუ გამაგრებული ციტადელი – ორი შემოფარგლული ეზოთი, 6 კოშკით, ყრუ ბურჯებით, ციხის მთავარი კარიბჭით, ცოტაკარით, გადაკეთებული და გამაგრებული ქარვასლით, მეჩეთითა (აიგო 1725 წელს) და დილეგით. ამიერიდან, ახალქალაქის ციტადელში დამპყრობელ ოსმალთა ჯარი დგას. ოსმალობის დამყარება სამცხე-საათაბაგოში, რომელშიც ჯავახეთ-ახალქალაქის მხარეც შედიოდა, დიდი მარცხი იყო შუასაუკუნეების საქართველოსთვის. ყოველივე ამას ლეკთა დამარბეველი თარეშიც ერთვოდა, და მხარე თავისი ძველი ქალაქით ერთიანად გაპარტახდა.

ციტადელში დამკვიდრებულმა ოსმალურმა ადმინისტრაციამ თავისი დროის შესაბამისი ტექნიკით დაიწყო XI-XII სს-ის კუთვნილი კოშკების გადაკეთება: ახლა ისინი ოთხსართულიანია, ჭარბი დუღაბით დაკავშირებული, თლილი ქვით ნაშენი (სურ. 8, 9) [ჩიკოიძე, ლომთათიძე: 1960, უბნის ანგარიში]. მათ წყობაში და გალავნის ზოლშიც ხშირად დანგრეული ძველი შენობებიდან მოტანილი ჩუქურთმიანი ქვებია ჩართული (თავდაყირა ჩადგმული). ცეცხლსასროლი იარაღის გაჩენამ განაპირობა კოშკების სართულებზე სათოფურების გამოჭრა და O გალავანში „ცოტაკარის'' გვერდით საზარბაზნე ამბრაზურის გაჭრა (სურ. 9). სათოფურებია გამოჭრილი ქარვასლის კამაროვან შენობაზედაც [არჩვაძე, ლომთათიძე: 1960, უბნის ანგარიში]. საყარაულო პუნქტად უქცევიათ ნაქალაქარზე XI ს-ის ჭიშკრისგვერდა III ნასახლარიც. მის ძველ ფართო ოთახებში დროებითი სადგომები ჩაუშენებიათ, ზოგი ნალისებური გეგმისა, რომლის ქვეშ ოთახში მდგარი შუაბოძის საყრდენი მრგვალი ბაზალტის ბაზა მოქცეულა (სურ. 5; ტაბ. II-2), ხოლო გვერდით არსებული ოთახის ფარგლებში ფილაქვებით მოგებულ იატაკზე მომცრო სწორკუთხა სადგომი ჩაუშენებიათ (საყარაულო პუნქტი (სურ. 5; ტაბ. II-4, 5). აქ სტრატიგრაფიულად არის გამორჩეული

გვიანი შუა საუკუნეების ხანის ნაგებობათა ნაშთები და მათი კუთვნილი მასალა. საკმაოდ დაუდევრად არის გამომწვარი კეცზე უანგობოდ და უხარისხო (მწვანე, ყვითელი) ჭიქურით დაფარული ქილები, ჯამები; უხეში ყავისფერი თიხისგანაა გამოძერწილი ცალყურა ქოთნები. სამაგიეროდ, ძალზე ლაზათიანად ნაკეთებია ორნამენტიანი, წითელ-წაბლისფერპრიალა ნაყალიბევი თურქული ჩიბუხები (სურ.12; ტაბ.VII-11) და ფერადყვავილოვანი (ტაბ.VII-12), აგრეთვე კვიცის გამოსახულებიანი და ოაზისის პეიზაჟით მოხატული ფაიანსის ფიალები (ტაბ. VII-13), ფინჯნები და სხვა ჭურჭელი.

ეს უკანასკნელი ციტადელის ეზოში, ცოტაკარიდან გაყვანილი გვირაბის კიბეებზე ვიპოვეთ (XVI-XVIII სს). სტრატიგრაფიის გარდა, ფენებს სარწმუნოდ ათარიღებს სულთან სულეიმან I-ის (1520-1566) დროს მოჭრილი სპილენძის მონეტა (ტაბ.VIII-9). აგრეთვე, ციტადელის მხარეზე მოძიებული კონსტანტინეპოლში მოჭრილი თურქული ვერცხლის აყჩეები (ტაბ. VIII-10, 11).

რუსული ყაზარმა ახალქალაქის ციტადელში (XIXს)

1828 წელს რუსთა და ქართველთა არმიების შეერთებული ძალებით ოსმალთა 300 წლოვანი ბატონობისაგან ჯავახეთ-ახალქალაქის მხარის გათავისუფლება მოხერხდა [ლომსაძე: 1975, 342; 474-476]. ამის შემდეგ ახალქალაქის ციტადელში რუსთა ჯარი ჩადგა და მანაც დატოვა თავისი მშენებლობის კვალი: კოშკებს ეზოების მხრიდან ოთხივე სართულზე კიბეებიანი ტალანები მიაშენეს. 1830-იან წლებში ქარვასლა-ციტადელის ეზოების გასაყარზე ჩაიდგა 50 მ. სიგრძის ყაზარმის ორსართულიანი კაპიტალური შენობა, რომელსაც ორი დიდი კოშკი და მრავალი კარ-ფანჯარა ჰქონდა, მაგრამ, ამჟამად, საპირე ვარდისფერი ქვებისგან შენობა მთლიანად გაფცქვნილია (ერზრუმიდან ჩამოსახლებულ სომხებს აქედან გაჰქონდათ ქვა თავიანთი სახლების ასაშენებლად) [ჩხატარაშვილი, ლომთათიძე: 1960, უბნის ანგარიში]. აფეთქებული ქართული ეკლესიის ნანგრევებთან დაღუპული რუსი ოფიცრები დაუმარხავთ; ზოგს ეპოლეტებთან ერთად („ XP”) ძვლის პატარა გულსაკიდი ჯვარიც ჰქონდა.

* * *

რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრებისა და სამცხე-ჯავახეთის ოსმალთა ბატონობისგან განთავისუფლების შემდეგ, ძველი ახალქალაქიდან და ჯავახეთის სოფლებიდან გამაჰმადიანებულ ქართველთა თურქეთში ძალით, მასიური გასახლება მოხდა. სამაგიეროდ, ყარსისა და ბაიაზეთის ოლქებიდან ჩამოსახლებული ქრისტიანი სომხებისთვის ციხის გალავანს გარეთ, S-კენ ახალი ქალაქი (დღევანდელი ადმინისტრაციული ცენტრი) აშენდა [ლომსაძე: 1975, 342-364; 471-478]. ძველი ახალქალაქი კი გაუდაბურდა. ზედაპირზე მიმოფანტული სომხური ხაჩქარების ქვეშ ძვლოვანი ნაშთები არ აღმოჩნდა. ისინი სხვა ადგილი-

დან არიან აქ მოტანილი და ძველ ქართულ ნასახლარებში ზემოდან ჩაყრილი. ამიტომ არა აქვთ მათ მეცნიერული ღირებულება.

* * *

ამგვარად, განათხარი ნაშთების სტრატიგრაფიული ანალიზის საფუძველზე, დადგინდა ძველი ახალქალაქის ცხოვრების ხუთი უმთავრესი ქრონოლოგიური პერიოდი, გამოიყო რამდენიმე ქვეეტაპიც: I – ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის, II – ადრე შუასაუკუნეების ხანის (IX-Xსს), III – განვითარებული შუასაუკუნეების ხანის (XI-XIIIსს), რომელიც დაიყო ორ სამშენებლო ეტაპად: XI-XII და XIII სს. IV– გვიან შუასაუკუნეების ხანის (XVI-XVIII სს) და V–XIX ს-ის I ნახ.-კუთვნილი ნაშთები.

ARCHAEOLOGY

EKATERINE JANDIERI

Georgian National Museum, Rustaveli Avenue 3, 0105 Tbilisi, Georgia

ANCIENT SETTLEMENTS OF AKHALKALAKI OF JAVAKHETI

SUMMARY[11]

The present paper is dedicated to the history of the medieval city-fortress – Akhalkalaki of Javakheti (South-East Georgia) in archaeological context. It comprises the period from ancient times up to the beginning of the 19 th century. The research is based on complex analysis of written sources, constructional systems of buildings and excavated material.

Archaeologically we have found the remains of a fenceless settlement, which was formed on southern crossroads in the 9th-10th centuries and we studied the conditions of its transformation into a city-fortrerss; since 1044-1047 it is named as city-fortress – ,,Akhalkalaki of Javakheti'', as an administrative and political center of Javakheti. This is the period of king Bagrat IV's (1027-1072) reign when ``they began to build up the fence around Akhalkalaki, since by time it was fenceless`` [source: ``Matiane Qartlisai``, Qartlis Tskhovreba (The Life of Georgia), I, 1955: 298, ed. S. Khaukhchishvili]. The North-Western part of the fence is decorated with the inscription written in ``asomtavruli``: ``Christ, forgive Mariam`` (= Queen Mariam, mother of Bagrat IV).

Since this time the city-fortress of Akhalkalaki turned into administrative,

11. The auther is thankful to I. Japaridze for translation of the summary and illustrations.

economic and one of the political centres of centralized Georgian state. The type of the city-fortress of the 11th-13th cc. is established with its fortification system, urban townships, trading and workshop posts, sanctuaries, burials. The crossfom church is dated from the 9th-10th and 11th-12th cc. In its blown-up ruins we have found the base of a stone-cross (V-VI cent.) – the first symbol of Christianity here; and several stones decorated with ornaments (7 th-11 th cc.) and a big stone with the inscription in ``asomtavruli`` (mentioning historical persons) – informing the rebuilding of the church of ``Jvari`` (sec. half of the 12th-13th cc.) [Tsiskarishvili V., 1959: 52-60].

We have studied the layout of buildings and building technique, culture and economy of the city. Household items are classified in chronological and typological order (clay, faience, glass, metal artefacts). The reasons of development (the 9th-10th and 11th-13th.) and fall (the 16th-18th cc.) of urban life during the Medieval period are considered.

In the 16th-18th cc. South Georgia was occupied by the Turks and the fortress of Akhalkalaki was named as ,,Rabat' - Khal' A' - Ak Shehir''. By that time old Akhalkalaki ceased its urban life, the majority of population was almost vanished, those who survived were forced to pay heavy taxes to the Turks and change their faith. After the fall of the city the southern part of the citadel continued to function, 5-6 towers have been changed (they had 3-4 floors with embrasures). The,,Jvari'' church was blown up and the Turkish mosque was built behind the towers (in the yard of caravanserai) in 1725; the fortress of Akhalkalaki was occupied by the Turkish troops.

Only in 1829, by means of Georgian-Russian joint military forces the fortress of Akhalkalaki was released and returned back to Georgia. Thereafter the Turkified Georgians were forcibly evicted to Turkey and Christian Armenians (as well as the Greeks, Russian Dukhobors and others) were settled and populated on the ancient Georgian territory. Now villages of Javakheti are abandoned. Therefore nowadays the Armenian population dominates in Akhalkalaki.

1960-1991 archaeological excavations on the territory of the city-fortress of Akhalkalaki confirmed the above-mentioned five historical-chronological periods. Large amount of material is collected and analysed, the remains of ancient buildings and the examples of local and imported production are distinguished and dated stratigraphically: the Neolithic-Early Bronze Age; the 9th-10th cc. belong to the fenceless city; remains of the developed city-fortress of the 11th-13th; the role of the fixed but Turkyfied hostile citadel in the 16th-18th cc. and remains of of the 19th cc. buildings.

ბიბლიოგრაფია

1. ბერძენიშვილი დ. 1998: „ახალქალაქი ჯავახეთისად“,ჟურნ. „არტანუჯი,” თბ.

2. ბერძენიშვილი დ. 2005: ახალქალაქი ჯავახეთისა; ნარკვევები, თბ. რედაქტორები: გ. ჭეიშვილი, ნ. ვაჩეიშვილი.

3. ბერძენიშვილი ნ. 1964: ჯავახეთის 1933 წლის ექსპ. დღიური, საქ. ისტ. საკითხები, I თბ.,

4. ბატონიშვილი ვახუშტი. 1973: „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“

(აღწერა საჩინოთა ადგილებთა სამცხე-საათაბაგოსი), ქართლის ცხოვრება IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ.

5. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი: ტ. I – ტექსტი. 1947: ტ. II – თარგმანი, 1941; ტ. III – ხელნაწერის აღწერილობა, შენიშვნები ტექსტის გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, 1958. – გამოკვლევა აკად. ს. ჯიქიასი.

6. ლომთათიძე გ. 1961: ჯავახეთ-ახალქალაქის არქეოლოგიური ექსპედიციის პირველი (1960წ.) კამპანიის შედეგები, მოხსენების მოკლე ანგარიში სამეცნ. სესიაზე, თბ.

7. ლომსაძე შ. 1975: სამცხე-ჯავახეთი (XVIII-XIX სს.), თბ.

8. „მატიანჱ ქართლისაჲ“, ქართლის ცხოვრება I. 1955.: ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ.

9. მიწიშვილი მ. 1969: მოჭიქული ჭურჭელი ძველ საქართველოში (IX-XIII სს.).

10. ცისკარიშვილი ვ. 1959: ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, ტბ..

11. ჭილაშვილი ლ. 1970: ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, II, თბ.

12. ჯავახიშვილი ივ. 1967: ქართველი ერის ისტორია, III, თბ.

13. ჯავახეთი, ისტორიულ-ხუროთმოძღვრული გზამკვლევი, „საქართველოს მეგზური,“ I, 2000: თბ. რედაქტორი დ. თუმანიშვილი.

14. ჯანდიერი ე. 1969: ჯავახეთის ახალქალაქის ისტორიისათვის, კრებ. ფეოდალ. საქართველოს არქეოლ. ძეგლები, I, თბ. რედაქტ. გ. ლომთათიძე.

15. ჯანდიერი ე. 1972: IX-X სს. შეღებილი ჭურჭელი ჯავახეთის ახალქალაქის ნამოსახლარებიდან, სამეცნ. ژონფერენციის თეზისები, თბ.

16.ჯანდიერი ე. 1974: ჯავახეთის ახალქალაქი გვიანფეოდალურ ხანაში, „ფსაძ,“ II.

17. ჯანდიერი ე. 1976: „ახალქალაქი ჯავახეთისაჲ,“ ჟურნ. „ძეგლის მეგობარი,“ №40, თბ.

18. ჯანდიერი ე. 1978: ჯავახეთის ახალქალაქის განათხარ ნაგებობათა თარიღისათვის, „ფსაძ,“ III, რედაქტ. ვ. ჯაფარიძე.

19. ჯანდიერი ე. 1978: უზღუდო ქალაქის გეგმარება და მშენებლობის წესი ადრეფეოდალური ხანის ჯავახეთის ახალქალაქში; „ძეგლის მეგობარი,“ №47, თბ.

20. ჯანდიერი ე. 1983: ჯავახეთის ახალქალაქი (ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა), საკანდიდატო დისერტაცია ქართულ (264გვ., 56 ტაბ.) და რუსულ (150გვ.,56 ტაბ.) ენებზე, ხელნაბეჭდი, თბ., ავტორეფერატი რუსულ ენაზე (27 გვ.), თბ., 1983 (ხელმძღვანელი გ. ლომთათიძე, ვ. ჯაფარიძე; რედაქტორი: ი. გაგოშიძე).

21. Ростомов И. П. 1898: Ахалкалакский уезд в археологическом отношений. Сборник памятников для описания местностей и племён Кавказа, под ред. гр. П. Уваровой, бып. XXV, Тифлис.

ილუსტრაციების აღწერილობა

სურ. 1. ჯავახეთის ზეგანი. დიდი აბული (3303 მ).

სურ. 2. ახალქალაქის რაიონი.

სურ. 3. ახალქალაქის ძველი ციხე-ნაქალაქარი კონცხზე – აღმ. ფერდი, ხედი თავფარავნისწყლის ხეობიდან. მარცხნივ – ციტადელი, მარჯვნივ – ნაქალაქარი. ფოტო ნ. არჩვაძისა.

სურ. 4. ჯავახეთის ახალქალაქი. ციხე-ნაქალაქარის ტოპოგეგმა. მარცხნივ – ციტადელი (XI-X).

სურ. 5. ჭიშკრისგვერდა ნასახლარი III ნაქალაქარზე. გეგმა. ანაზომი ს. ჯანდიერისა.

IX სს), მარჯვნივ – ნაქალაქარი (IX-XIII სს).

სურ. 6. ახალქალაქის ნაქალაქარი კონცხზე. კორიდორული სისტემის სამოთახიანი ნასახლარი I (IX-XIII სს). გეგმა. ანაზომი კ. მელითაურისა.

სურ. 7. ახალქალაქის „ჯვრის“ გეგმის ეკლესიის საძირკველი (IX-X სს) ნაქალაქარზე (კონცხის NO ქიმზე). მეორედ აღშენებული XII-XIII სს, აფეთქებული XVI ს-ში. გეგმა. ანაზომი თ. ჯაფარიძისა.

სურ. 8. ახალქალაქის ციტადელი. სამხრეთი ფასადის საერთო ხედი სამი კოშკით და მთავარი კარიბჭით (XI-XIX სს). მარცხნივ, კოშკის უკან ჩანს მეჩეთის გუმბათი (1725წ).

სურ. 9. ახალქალაქის ციტადელი (XI-XIX სს). გეგმა. ზემოთ – ქარვასლის ეზო; ქვემოთ – მარცხნივ ციტადელის ეზო; შუაში რუსული ყაზარმა (XIX ს.). ანაზომი კ. მელითაურისა.

სურ. 10. ახალქალაქის ნაქალაქარი ოროთახიანი ნასახლარი IV (XII-XIII სს) საქარიანი თონეებითა და სამალავი დარნით. გეგმა. ანაზომი კ. მელითაურისა.

სურ.11. „ხრათითი” – ნაკვერჩხლის შესანახი კერამიკული ჭურჭელი (XII-XIII სს).

სურ.12. თიხის ჩიბუხები ახალქალაქიდან (XVI-XVIII სს).

ტაბ. I

1. ჯავახეთის ახალქალაქი. ნაქალაქარის ძველი ჭიშკარი (XI ს.) კონცხის NW კიდეში, შემოსასვლელი საურმე გზით შუასაუკუნეების ახალქალაქის საცხოვრებელ და სამეურნეო უბნებში (X-XIII სს.). 2. ქართული ასომთავრული წარწერა ნაქალაქარის ჭიშკარზე: „ქრისტე, შეიწყალე მარიამ” (ბაგრატ IV-ის დედა) – XI ს. 3. კორიდორული სისტემის მქონე, სამოთახიანი ნასახლარი I, ნაქალაქარზე (IX-XIII სს.). საერთო ხედი NO-დან. 4. I ნასახლარის №1 ოთახი, თიხატკეპნილი იატაკით და ბუხრით. ხედი S-დან. 5. იგივე ოთახის S კედელი, იატაკზე სვეტების სადგარი ფილაქვებით. უკან №2 ოთახი ჩანს. ხედი NW-დან. 6. I ნასახლარის №2 ოთახის O კუთხეში ჩადგმული „ჯვრიანი” ქვის სტელა (VII-VIII სს.). 7. I ნასახლარის №3 ოთახი, შუაში სასვეტე მრგვალი ქვის ბაზითა და სამეურნეო ხაროებით. ხედი NO-დან. 8. იგივე ოთახში მოწყობილი თონე, ქვეშ – სამეურნეო ხაროში ჩადგმული წაბლისფერწერნაქიანი სამტუჩა კოჭობი (IX-X სს.) და სხვა კერამიკა ჩანს.

ტაბ. II

1. ნასახლარი III, ნაქალაქარის ჭიშკრის O გვერდზე. საერთო ხედი S-დან. ფოტო ჯ. ამირანაშვილისა. (XI-XVIII სს. ნასახლარში N და O კედლების სახით, ჩართული და ხელახლა გამოყენებულია უძველესი ციკლოპური ნაგებობის ნაშთი). 2. III ნასახლარის №1 ოთახი, შუაში სასვეტე მრგვალი ქვის ბაზით (X-XIII სს.),რომელზედაც გადადის XVII-XVIII სს-ში ოთახის ფარგლებში ჩაშენებული ნალისებური სადგომის ნაშთი. ხედი O-დან. 3. III ნასახლარის №1 ოთახი, თიხატკეპნილი იატაკით (X-XIII სს.). O კუთხეში ჩანს №2 ოთახში გასასვლელი (აწ ამოქოლილი) კარი. მარცხნივ O კედლად გამოყენებულია უძველესი ციკლოპური სადგომის ნაშთი. ხედი N-დან. 4. III ნასახლარის №2 ოთახის ფარგლებში (XI-XIII სს.) ჩაშენებული გვიანი შუასაუკუნეების სადგომი, ფილაქვებით მოგებული იატაკით (XVII-XVIII სს.). უკან ჩანს XI ს-ის, ნაქალაქარში შემოსასვლელი ჭიშკარი. ხედი O-დან. 5. III ნასახლარში ჩაშენებული სადგომის ფილაქვიანი იატაკი (XVII-XVIII სს.). 6. IV ნასახლარში მოწყობილი საქარიანი თონე (XI-XIII სს.). ხედი W-დან. 7. IV ნასახლარში, №2 ოთახში მოწყობილი მარცვლეულის შესანახი ხარო ქვის გვარლით, გამოყენებულია სამალავად (XI-XIII სს.). ზედხედი S-დან.

ტაბ. III

1. ხელოსანთა უბანი ახალქალაქის ძველი ნაქალაქარის W კლდოვან ფერდზე. საერთო ხედი W-დან. 2. ზეთსახდელი გელაზი, დოლაბით, ზეთის საწრეტი ღარითა და დერგით (წერტი №9) ნაქალაქარის გარეთ, W ფერდზე, ხელოსანთა უბანში. ხედი W-დან (XI-XIII, XVII-XVIII სს.). 3. ქარვასლის კამაროვანი შენობა, ციტადელის ეზოში (XI-XIII სს., გადაკეთებული XVII-XIX სს.-ში). საერთო ხედი SW-დან. 4. ქარვასლის კამარების მოსაპირკეთებელი ჩუქურთმიანი ქვა (XI-XII სს., გამოყენებული XVII-XIX სს.-ში). 5. ნასახლარი №1, ქარვასლის კამარებთან.; შუაში კარნიზის ქვებით შედგენილი ბუხარი (XVIII-XIX სს.) ჩანს. ხედი S-დან. 6. ქარვასლის №2 ოთახში (W ზღუდესთან) აღმოჩენილი, შეისრულთაღიანი და „ვარდულებიანი" ბუხარი (XVII-XVIII სს.).

ტაბ. IV

1. „ჯვრის" გეგმის ეკლესიის საძირკველი (IX-X სს.), ახალქალაქის ნაქალაქარზე (კონცხის NO ქიმზე), მეორედ აღშენებული (XII-XIII სს.), აფეთქებული XVI ს-ში. 2. ქვაჯვარას ბაზა ფოთლოვანი ორნამენტით (V-VI სს.),ჩადგმული ეკლესიის საძირკველში. 3. რომბულორნამენტიანი ქვა – აფეთქებული ეკლესიიდან (XII-XIII სს.). 4. ქართული ასომთავრული წარწერა (XII ს.), „ჯვრის" ეკლესიის კუთვნილი, ახალქალაქის ნაქალაქარზე.

ტაბ. V

კერამიკა ახალქალაქის ნამოსახლარებიდან:

1. ჯამის პირის ნატეხი, ლეგა ნაცრისფერპრიალა; 2. დოქის ყელის ნატეხი, ნაცრისფერპრიალა (ჭიშკრისგვერდა III ნასახლარიდან; ადრებრინჯაოს ხანა); 3. კოჭობი ეკლესიის ნანგრევებიდან (V-VI სს.); 4. ჯამის პირის ნატეხი, წაბლისფერპრიალა (IX-X სს.); 5-6. ჯამის პირ-კედლის ნატეხები, კეცზე ანგობით მოხატული და ცისფრად მოჭიქული (X-XI სს.); 7. ჯამის ძირქუსლის ნატეხი, მწვანედ მოჭიქული (XI-XII სს.); 8. ლურჯი მინის სამაჯურის ნატეხი, სამკუთხაგანივკვეთიანი (IX-X სს.); 9. შავი მინის სამაჯურის ნატეხი, მრგვალგანივკვეთიანი (XI-XIII სს.); 10. ჯამის პირის ნატეხი, ანგობზე ფერადი ზოლებით ფუნჯით მოხატული (X-XI სს.); 11. ჯამის პირის ნატეხი, მრავალფერად მოხატულ-მოჭიქული (XII-XIII სს.); 12. ჯამის პირის ნატეხი, ყვავილოვანი ორნამენტით მოხატული, ორმხრივ მოჭიქული, გარედან მწვანედ (XI-XII სს.); 13. ჯამის პირის ნატეხი, ამოკაწრულორნამენტიანი, მრავალფერად მოხატული ზოლებით, მოჭიქული (XII-XIII სს.); 14. ჯამის ნატეხი, ლომის თათებით მოხატული მრავალფერად და მოჭიქული (XII-XIII სს.); 15. ჯამის ძირ-ქუსლის ნატეხი, ჭადრაკულად მრავალფერად მოხატული და მოჭიქული (XII-XIII სს.); 16-17. ჯამის ძირ-ქუსლის ნატეხები ფრინველის ფრთის გამოსახულებით, მრავალფერად მოხატულ-მოჭიქული (XII-XIII სს.).

ტაბ. VI

ახალქალაქის მოჭიქული ჭურჭელი მკრთალი ამონაკაწრებით, ხალებითა და ნაღვენთებით შემკული (X-XI სს.): 1. ჯამი „სხივებით" მოხატული, ღვიძლისფერჭიქურიანი; 2-3. ჯამის ნატეხები მრავალფერად მოხატული ნაღვენთებით, ხალებით, ვარდისფერჭიქურიანი; 4. საწურავი, „ანგობისყვავილებიანი" მწვანედმოჭიქული; 5. სამარილე მწვანედმოჭიქული.

ტაბ. VII – სამზარეულო ჭურჭელი: 1-2. ჯამების ნატეხები ნიშნიანი, წაბლისფერპრიალა (IX-X სს.); 3. ბადიის პირის ნატეხი (X-XI სს.); 4. ხელადის ყელის ნატეხი, ნაჭდევებით შემკული, წერნაქიანი (XI-XII სს.); 5. ხელადის ყურ-კედლის ნატეხი, თხელკედლიანი, კოპებით შემკული და გაპრიალებული (X-XI სს.); 6. ბადიის გადმოსაღვრელი „ტუჩი," კოპებიანი (XI-XII სს.); 7. ქოთნის კედლის ნატეხი, ტალღოვანი ორნამენტით; 8-9. კოპიანი ქოთნის ნატეხები (IX-X სს.) 10. ცალყურა ქოთანი (XII-XIII სს.); 11. თიხის ჩიბუხები წერნაქიანი, ორნამენტიანი (XVI-XVIII სს.); 12. ფაიანსის ფიალის ნატეხი, ორმხრივ ცისფერი ყვავილებითა და პალმებით მოხატული და მოჭიქული (XVII-XVIII სს.); 13. ფაიანსის ქუსლიანი ჯამი, ორმხრივ მოხატული და მოჭიქული: ფსკერზე – ,კვიცის გამოსახულებით, გარე კალთებზე – „ოაზისი" პალმებითა და შროშანა ყვავილებით შემკული (XVII-XVIII სს.).

ტაბ. VIII

ახალქალაქის მონეტები: ბიზანტიური (სპილენძი): 1. იოანე ციმისხი (969-976 წწ.); 2. რომანოზ III (1028-1034 წწ.); 3. კონსტანტინე და ევდოკია (1059-1067 წწ.); **4. XI-XII სს. ქართული და საქართველოში მოჭრილი (სპილენძი):** 5. „ჯავახთუფალი", გიორგი IV ლაშა (1210-1223 წწ.); 6.

რუსუდან დედოფალი (1227 წ.); 7. „დავით, ძე გიორგისა" (დავით VII ულუ,XIII ს.-ის 50.იანი წწ.); **8. ქართულ-ჰულაგუიდური (XIII ს.-ის 80-იანი წწ.); თურქული:** 9. სულთან სულეიმან I (1520-1566 წწ.),სპილენძი; 10. აყჩე, ჰ.-1143 (=1730-1731 წწ.), კონსტანტინეპოლი, ვერცხლი; 11. აყჩე, სულთანი აბდ-ალ-ჰამიდ I,ჰ.-1187 (=1773 წ.),მისრი, ვერცხლი; 12. სულთანი მაჰმუდ II, ჰ. 1223 (=1808-1809 წწ.), კონსტანტინეპოლი, სპილენძი; 13. „ქართული თეთრი," აბაზიანი (1813 წ.), ტფილისი, ვერცხლი მოოქრული; 14. იმპ. ალექსანდრე I (1817 წ.), რუსეთი, სპილენძი. მონეტები განსაზღვრა და დაათარიღა ისტ. მეცნ. დოქტ. ირ. ჯალაღანიამ.

LIST OF ILLUSTRATIONS

Fig.1. Highland of Javakheti. Greater Abul (3303 m.).
Fig.2. Akhalkalaki region.
Fig.3. Ancient town-fortress of Akhalkalaki on the cape – Eastern slope, overview from Tavpharavnistskali gorge. Left – citadel, right-ancient city. Photo by N. Archvadze.
Fig.4. Akhalkalaki of Javakheti. Topoplan of the ancient town. Left-citadel.
Fig.5. Settlement III nearby the gate. Plan. Measurements by S. Jandieri.
Fig.6. Citadel of Akhalkalaki on the cape. Three- room settlement I with corridor system (9th-13th cc.). Plan. Measurements by K. Melitauri.
Fig.7. Foundation of crossform church of Akhalkalaki (9th-10th cc.) (on NO side of the cape). Rebuilt in 12th-13th cc, exploded in 16th c. Plan. Measurements by T. Japaridze.
Fig.8. Citadel of Akhalkalaki. General view of the south façade with three towers and main gate (11th-19th cc.). The dome of a mosque is visible on the left behind the tower (1725).
Fig.9. Citadel of Akhalkalaki (11th-19th cc.). Plan. Above –caravanserai yard, below – on the left, citadel yard.
Fig.10 . Ancient city of Akhalkalaki. Settlement IV with 2 rooms (12th-13th cc.), Tones (Gerogian oven for baking bread) and hiding places. Plan. Measurements by K. Melitauri.
Fig.11. ,,Khratiti'' – Special pottery for preserving coals (12th-13th cc.).
Fig.12. Clay pipes from Akhalkalaki (16th-17th cc.)
Table I
1. Akhalkalaki of Javakheti. Ancient gate of the settlement (XI c.) in NW edge of the cape, with a cart road from the entrance through the mediaeval dwelling and economic parts of Akhalkalaki (X-XIIIcc. A.D.). 2. An inscription written in ``asomtavruli`` on the gate of the settlement: ``Christ, forgive Mariam`` (Queen Mariam, mother of Bagrat IV) -11th c. 3. Three-room settlement I with a corridor system (9th-13th cc.). Overview from NO. 4. Room №1 of the settlement I with a rammed clay-floor and a fireplace. Viw from NO. 5. S wall of the same room with tile-stones for columns on the floor. Room №2 is visible behind. View from NW. 6. ,,Cross'' stone stele (7th -8th c.) put in the O corner of room №2 of the settlement I. 7. Room №3 of the settlement I with a round stone base for column and holes for keeping food in the middle. View

from NO. 8. Tone (Georgian oven for baking bread) located in the same room with a clay pot and other ceramics underneath (9th-10th cc.).

Table II

1. Settlement III, on the O side of the gate. Overview from S. Photo by J. Amiranashvili. (In the settlement of 11th-18th cc. the remain of ancient cyclopean construction is included and reused by means of N and O walls). 2. Room №1 of the settlement III, with round stone column base in the middle (10th-13th cc.) and the remain of horseshoe-shaped dwelling of 17th -18th cc. over it. Vew from O. **3**. Room №1 of the settlement III with a rammed clay-floor (10th-13thcc.). The entrance to room №2 is visible in O corner (now closed up). The remain of ancient cyclopean dwelling is used as O wall on the left. View from N. 4. Dwelling of late medieaval period built in room №2 (11th-13th cc.) of the settlement III with a tile floor (17th-18th cc.). The gate (9th c.) of the site is visible behind. View from O. 5. Tile floor (17th -18th cc.) of dwelling built in the settlement III. 6. ,,Tone'' (11th-13th cc.) located in the settlement IV. Vew from W. 7. Hole for cereal in room №2 of the settlement IV used as a hiding place. Top vew from S.

Table III

1. Artsans' area on W rocky side of Akhalkalaki. Overview from W. 2. Creamery with a millstone, an oil drainage channel and a big vessel (point №9) outside the site, on W side, in artisans' area. View from W (11th-13th, 17th-18th cc.). 3. A vaulted building of caravanserai in the citadel yard (11th-13th cc., rebuilt in 17th-19th cc.). Overview from SW. 4. Fretwork stone (11th-12th cc. used in 17th-19th cc.) for facing the citadel vaults. 5. Settlement №1 nearby the citadel vaults; a fireplace is visible in the middle (18th-19th cc.). View from S. 6. A fireplaace with ogive and ``rosettes``, found in room №2 (near the W fence) of the citadel.

Table IV

1. Foundation of the the cruciform church (9th-10th cc.) in the Akhalkalaki settlement (on NO side of the cape), rebuilt (in 12th-13th cc.), exploded in the 16th c. 2. Stone-cross base with leaf ornament (5 th-6th cc.) put in the church foundation. 3. Stone with rhomb shaped ornaments from the exploded church (12th-13th cc.). 4. Georgian ``asomtavruli`` inscription (12th c.) belonging to the church on Akhalkalaki site.

Table V

Ceramics from Akhalkalaki settlements: 1. Piece of a grey basin; 2. Piece of a grey jug neck (from the settlement III; the Early Bronze Age); 3. Small pot from the ruins of the church (5th-6th cc.); 4. Piece of a basin (9th-10th cc.); 5-6. Piece of a basin with blue glaze (10th-11th cc.); 7. Piece of a basin with green glaze (11th-12th cc.); 8. Piece of a blue glass bracelet with triangular cross-section (9th-10th cc.); 9. Piece of a black glass bracelet with circular cross-section (11th-13thcc.); 10. Piece of a basin decorated with color stripes (10th-11th cc.); 12. Piece of a basin, decorated with flower ornaments, double-sided glaze; outer side in green (11th-12thcc.); 13. Piece of a basin with carved ornaments, decorated with polychromic stripes, glazed (12th-13th cc.); 14. Piece of a basin decorated with polychromic lion paws and glazed (12th-13th cc.); 15. Piece of a basin decorated with polychromic checkerboard pattern and glazed (12th-13th cc.); 16-17. Pieaces of a basin with the polychromic image of a bird wing,

glazed (12th-13th cc.).

Table VI

Glazed vessels from Akhalkalaki with dim carvings (10th-11th cc.): 1. Basin decorated with ``rays``; 2-3. Pieces of a basin with polychromic decoration; 4. Colander with green glaze; 5. Saltcellar with green glaze.

Table VII

Cookware: 1-2. Pieces of basins with marks, chesnut-colored (9th-10th cc.); 3. Piece of a big basin (10th-11th cc.); 4. Piece of a jug (11th-12th cc.); 5. Piece of a jug (10th-11th cc.); 6. Upper part of a big basin (11th-12th cc.); 7. Piece of a pot with a wavy ornament; 10. Pot (12th-13th cc.); 8-9. Pieces of a pot (9th-10th cc.); 11. Decorated clay pipes (16th-18th cc.); 12. Peace of a faience bowl decorated with light blue flowers and palms from both sides, glazed (17th-18th cc.); 13. Faience basin decorated with foals, palms and flowers, glazed (17th-18th cc.).

Table VIII

Coins from Akhalkalaki. Byzantine (coppers): 1. Iohn I Zimisces (969-976); 2. Romanuz III (1028-1034); 3. Constantine and Evdokia (1059-1067); 4. 11th-12th cc.
Georgian and minted in Georgia coins (coppers): 5. Giorgi IV Lasha (1210-1223) ``Javakhtuphali``; 6. Queen Rusudan (1227); 7. ``David, son of Giorgi`` (David VII Ulu, 50-ies of 13th c.); 8. Georgian-Hulaguid (80-ies of the 13th c.);
Turkish: 9. Sultan Sulayman I (1520-1566), copper; 10. Akche, AH 1143 (AD 1730-1731), Constantineple, silver; 11. Akche, Sultan Abd-al-Hamid I, AH 1187 (AD 1773), Misri, silver; 12. Sultan Mahmud II, AH 1223 (AD 1808-1809), Constantineple, copper; 13. ``,Kartuli tetri`` (Georgian Tetri) (1813), Tbilisi, gilded silver; 14. Alexander I (1817), Russia, copper. Coins were idetinfied and dated by Dr. Ir. Jalaghania.

სურ. 1 Fig.



სურ. 2 Fig.

სურ. 3 Fig.



სურ. 4 Fig.



სურ. 5 Fig.



სურ. 6 Fig.



სურ. 7 Fig.

სურ. 8 Fig.



სურ. 9 Fig.



სურ. 10 Fig.



სურ. 11 Fig.



სურ. 12 Fig.

ტაბ. I Tab.

სურ. 1 Fig.



სურ. 2 Fig.

სურ. 3 Fig.

სურ. 4 Fig.

სურ. 5 Fig.

სურ. 6 Fig.

სურ. 7 Fig.



სურ. 8 Fig.

ტაბ. II Tab.

სურ. 1 Fig.

სურ. 2 Fig.

სურ. 3 Fig.

სურ. 4 Fig.

სურ. 5 Fig.

სურ. 6 Fig.

სურ. 7 Fig.

ტაბ. III Tab.

სურ. 1 Fig.

სურ. 2 Fig.

სურ. 3 Fig.

სურ. 4 Fig.

სურ. 5 Fig.

სურ. 6 Fig.

ტაბ. IV Tab.

სურ. 1 Fig.

სურ. 2 Fig.



სურ. 3 Fig.



სურ. 4 Fig.

ცხრ. V Tab.



ᲒᲐᲑ. **VI** Tab.



ტაბ. VII Tab.



ცხრ. VIII Tab.



საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია №1 (46-B), 2010, 209-218
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences №1 (46-B), 2010, 209-218

არქეოლოგია

მარგალიტა ჩემია

საქართველოს ეროვნული მუზეუმი, რუსთაველის გამზირი 3, 0105,
თბილისი, საქართველო, ელ.ფოსტა: marichemia@gmail.com

შუა საუკუნეების ირანული მხატვრული კერამიკა საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციებიდან

საქართველოს ეროვნული მუზეუმის, ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის „ძველ და მიმდინარე" ფონდში დაცული ირანული მხატვრული კერამიკის კოლექციიდან ე.წ. მინაის ტექნიკით დამზადებული ფაიანსის ნაკეთობანი ცალკე ჯგუფად გამოიყოფა. ნივთები 1913–1917 წლებშია მოპოვებული შამილ მალაიანის მიერ, რომელიც არქეოლოგიურ გათხრებს ირანის შუა საუკუნეების კერამიკული წარმოების ცნობილ ცენტრებად აღიარებულ უძველეს ქალაქებში (რეი, სულთანაბადი, ჰამადანი) ახორციელებდა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ტიპის ნაკეთობანი აღიარებულია ირანული მხატვრული კერამიკის თვითმყოფად და საინტერესო სახეობის ნაწარმად, აღნიშნული კოლექცია საფუძვლიანი კვლევის საგანი დღემდე არ გამხდარა. ამდენად, მუზეუმში დაცული ექსპონატების ისტორიულ-ტიპოლოგიური კლასიფიკაცია განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. ჩვენი კვლევის საგანი მუზეუმში დაცული, მინაის ტექნიკით დამზადებული ჭურჭლის ნიმუშებია.

განსახილველი მასალის დიდი ნაწილი ქ. რეიში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად არის მოპოვებული. შუა საუკუნეების ირანის ერთ-ერთი დაწინაურებული პოლიტიკური და კულტურული ცენტრი – ქალაქი რეი, XII საუკუნის ირანის მეთუნეობის მთავარი კერა იყო. ამ ფაქტს ნაქალაქარის ტერიტორიაზე აღმოჩენილი მრავალფეროვანი და მდიდრული კერამიკა ადასტურებს [Lane 1947: 38]. 1221 წელს ქალაქი მონღოლებმა გაანადგურეს. მონღოლთა თარეშის შემდეგ ქ. რეიმ წარსული სიდიადე ვეღარ დაიბრუნა. ამ საკითხთან დაკავშირებით, სხვა ვერსიაც მოიაზრება – ქ. რეი მონღოლების შემოსევების შემდეგაც განაგრძობდა არსებობას და მხოლოდ XVII საუკუნეში იქნა მიტოვებული [Кубе 1923: 21].

პირველი არქეოლოგიური გათხრები რეის ნაქალაქარზე 1930-იან წლებში ერიხ შმიდტის მიერ განხორციელდა. ნაქალაქარის ტერიტორიაზე რამდენიმე კერამიკული სახელოსნო გამოვლინდა, რომლებშიც სხვადასხვა ტიპის ნაწარმი მზადდებოდა. განსაკუთრებული სახეო-

ბა კი მინაის ტექნიკით დამზადებული პოლიქრომული ჭურჭელი იყო [Treptow 2007: 24].

მინაის კერამიკის მეორე მნიშვნელოვანი ცენტრი არის ქაშანი, რომელიც, აგრეთვე, ირანის მეთუნეობის ერთ-ერთი ძირითადი კერა იყო. ქაშანში დამზადებული მინაის კერამიკის მხატვრული შემკულობა ყოველთვის რთული კომპოზიციით ხასიათდება; კერამიკაზე გამოყვანილია ადამიანების ფიგურები – მრგვალი სახეებითა და ნუშისებრი თვალებით.

ჩ. ვილკინსონის მოსაზრებით, აღნიშნული ტიპის ფაიანსი მხოლოდ ქაშანში მზადდებოდა; საკუთარ მოსაზრებას ქაშანში მოპოვებული, 1186 წლით დათარიღებული ჯამით ადასტურებს, რომელიც აბუ-ზაიდის მიერ იყო დამზადებული [Wilkinson 1963:226].

ცნობილია, რომ სელჯუკების მმართველობის ხანა ირანში ხელოვნების განვითარების ეპოქად არის მიჩნეული [Ettingchausen 1970: 61]. მათი მმართველობის პერიოდში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ გამოყენებით ხელოვნებას, პრიორიტეტული იყო მხატვრული კერამიკის განვითარება. ძირითად მიღწევად აღიქმება ირანული მხატვრული ტრადიციების წარმატებული დამკვიდრება კერამიკულ ნიმუშებზე [Миллер 1972: 12], რომლის ყველაზე ნათელი მაგალითი სწორედ მინაის ტექნიკით დამზადებული ჭურჭელი გახლავთ.

სახელწოდება „მინაი" სპარსულიდან მომდინარეობს და „მინანქარს," „მინისებურ" ჭურჭელს ნიშნავს. მისი დამახასიათებელი ნიშანია ჭიქურს ზემოთ სხვადასხვა ფერის საღებავით შესრულებული მოხატულობა. მხატვრული მოტივები უაღრესად მრავალფეროვანია და, ხშირ შემთხვევაში, მეტად რთული კომპოზიციით ხასიათდება. შეინიშნება მოხატულობის გარკვეული სტილისტური კავშირი ეგვიპტურ და სირიულ მინის ნაწარმთან [Encyclopedia Iranica].

მინაის ტექნიკით ჭურჭლის შესამკობად შვიდი ფერის – კობალტის ლურჯის, ფირუზისფრის, წითლის, ყავისფრის, ოქროსფრის, შავისა და თეთრის კომბინაცია გამოიყენებოდა. ხშირად, მოხატულობას „ჰაფტ რანგს," ანუ შვიდფეროვანს უწოდებდნენ.

ძირითადად კი, კობალტის ლურჯი, ფირუზისფერი, მწვანე და თეთრი ფერები გამოიყენებოდა. მოხატვის შემდეგ ჭურჭელს ჭიქურის თხელი ფენით ფარავდნენ და გამოსაწვავად ქურაში ათავსებდნენ. შემდეგი ეტაპი ნივთის დამატებითი მოხატვა იყო, რისთვისაც შავი, ყავისფერი, წითელი და ოქროსფერი საღებავები გამოიყენებოდა. ჭურჭელს საღებავს ფენა-ფენა ფუნჯით ადებდნენ. საბოლოო პროცესი კი ჭურჭლის ღუმელში ხელმეორედ გამოწვა იყო [Кверфельд 1947: 69-71].

როგორც აღვნიშნეთ, კოლექციაში მინაის ტექნიკით დამზადებული ჭურჭელი ძირითადად ჯამების ფრაგმენტების სახით არის წარმოდგენილი, კერძოდ:

1. ჯამის ძირ-გვერდის ფრაგმენტი, გამოყვანილი ქუსლით. (№2148) (ტაბ. I, სურ. 1) – ღია ნაცრისფრად გამომწვარი, წმინდამარცვლოვანი თიხისა, შიდაპირი დაფარულია ლურჯი კობალტის საღებავით, გადავლებული აქვს უფერო ჭიქური. ჯამის შიდაპირზე, ცენტრში, ექვსფურცლა ყვავილის გამოსახულებაა. ცენტრალური ორნამენტის ირგვლივ

ელიფსური ფორმის მცენარეული ორნამენტია გამოყვანილი. ძირითადი მცენარეული ორნამენტის კონტურები შავია. დეკორი შექმნილია ოთხი ფერის კომბინაციით. ჯამის შიდაპირის ლურჯ ფონზე ორნამენტის ცალკეული დეტალები ფირუზისფერი, შავი და წითელი საღებავებით არის შესრულებული (ქუსლის d - 7,5 სმ.)

განვითარების პირველ ეტაპზე, XII საუკუნის II ნახევარში, მინაის ტექნიკით დამზადებული ჭურჭელი სქელკედლიანი იყო. ორნამენტის ყველაზე პოპულარული სახეობა კი მცენარეულ-გეომეტრიული დეკორი გახლდათ. ოდნავ მოგვიანებით ფიგურალური კომპოზიციები გაჩნდა [Jenkins 1983:22].

განვითარების შემდეგ ეტაპზე გარკვეული ფიგურალური კომპოზიციების ორნამენტულ კარტუშში მოთავსების ტრადიცია დამკვიდრდა, რაც ირანული მინიატურული მხატვრობის ზეგავლენით იყო განპირობებული [Lane 1947:37].

აღნიშნული ნიმუში, სტილისტური ანალიზის საფუძველზე, მინაის ტექნიკის განვითარების ადრეულ პერიოდს უნდა მიეკუთვნებოდეს.

2. ჯამის ძირ-გვერდის ფრაგმენტი გამოყვანილი, ვიწრო ქუსლით (№2164). (ტაბ. I, სურ. 2) ღია ნაცრისფრად გამომწვარი, წმინდამარცვლოვანი თიხისა. ძირი დაფარულია ფირუზისფერი საღებავით, ზემოდან გადავლებული აქვს უფერო ჭიქური. ჯამის ცენტრალურ ნაწილში სიცოცხლის ხეა გამოსახული, მის ორივე მხარეს კი, ადამიანთა ფიგურებია.

თავდაპირველად, რეიში წარმოებულ ფაიანსის ჭურჭელზე გამოსახული ფიგურები დიდი ზომისა იყო. თანდათანობით, სპარსული ესთეტიკის პრინციპებმა აღნიშნული ტრადიცია შეცვალა, ირანული მინიატურული მხატვრობის ტენდენცია გაძლიერდა, ფიგურები უფრო დახვეწა და ფორმათა მოდელირებაც მეტად ნატიფი გახდა [Lane 1947: 37].

აღნიშნულ ნიმუშზე, ჩვენი ვარაუდით, გამოსახულნი არიან სხვადასხვა ფერის სამოსში გამოწყობილი ქალი და მამაკაცი. ორივე ფეხმორთხმულად არის წარმოდგენილი. სამწუხაროდ, ჭურჭლის დაზიანებისა და ფრაგმენტის სიმცირის გამო ფიგურები მხოლოდ ნაწილობრივ იკითხება.

ფეხმორთხმული ადამიანის ფიგურის გამოსახვა XII–XIII საუკუნეების ირანულ კერამიკაში მეტად გავრცელებული მოტივი იყო [Bloom, Blair 1997: 266].

3. ჯამის ძირ-გვერდის ფრაგმენტი, გამოყვანილი, მაღალი ქუსლით (№2149) (ტაბ. I, სურ. 3), ღია ნაცრისფრად გამომწვარი, მსხვილმარცვლოვანი თიხისაა, ჯამის შიდაპირი დაფარულია თეთრი საღებავით, რომელზეც გადავლებულია უფერო ჭიქური. ცენტრში, ისე, როგორც მეორე ფრაგმენტზე, გამოსახულია სიცოცხლის ხე, რაც მინაის კერამიკის თითქმის ყოველი ნიმუშის ძირითადი ატრიბუტია. ხის ორივე მხარეს ლურჯი და წითელი ფერის ცხენებია. ლურჯ ცხენზე შემორჩენილია ადამიანის, სავარაუდოდ, ქალის გამოსახულება. ცხენის კისრიდან წითელი ყვავილებითა და ლურჯი ფოთლებით შექმნილი მცენარეული ორნამენტია ამოზრდილი (ძირის d-9სმ).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მინაის ტექნიკის არსებობის განმავლობაში, ირანელი ოსტატების საყვარელი თემატიკა მხედრებისა ან ფეხმორთხმული ადამიანების ფიგურების გამოსახვა იყო. ხშირად ვხვდებით ჟანრულ სცენებს „შაჰნამედან" (შაჰნამე – „მეფეთა წიგნი," სპარსული ეპოსი) [Oliver 2004: 363].

სიმბოლურ დატვირთვას იძენს მრავალფეროვანი მცენარეული თუ გეომეტრიული მოტივები. „სიცოცხლის ხემ" კი, მინაის ტიპის კერამიკაზე განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრა.

მინაის ტექნიკით შესრულებულ ნიმუშთა ზოგად სტილისტიკაში თავსდება, აგრეთვე, ჩვენ მიერ ქვემოთ განხილული ჯამების ფრაგმენტები:

4. ჯამის ძირ-ქუსლის ფრაგმენტი, გამოყვანილი ქუსლით, (№2165). (ტაბ. II, სურ. 4), ღია ნაცრისფრად გამომწვარი, წმინდამარცვლოვანი თიხისა, ცენტრში გამოსახულია ფეხმორთხმული, ტახტზე მჯდომი ქალის ფიგურა, რომლის სახე თითქმის წაშლილია. ქალის ფიგურას თავზე შარავანდედი ადგას. ფიგურის ქვემოთ, ფრინველების, სავარაუდოდ, ბატების გამოსახულებებია, მათი ტანი და თავი წითელია, ფრთები კი ლურჯი. ფრინველებს შორის თევზის სტილიზებული გამოსახულებაა (ძირის d-7,5 სმ).

ბატი იმ ფრინველთა რიცხვს განეკუთვნება, რომლებიც სიმბოლურად მზესთან იყვნენ დაკავშირებულნი. ამ შემთხვევაში მისი სახისმეტყველებითი ატრიბუტიკა ძალზე ემსგავსება გედისას. საზოგადოდ, სიმბოლური სახეები ხშირად ენაცვლება ერთმანეთს [აბზიანიძე, ელიაშვილი 2006: 35-36].

აღნიშნული სახეები ისევე ტიპიურია მინაის კერამიკისათვის, როგორც ფეხმორთხმით მსხდომი ადამიანების, სიცოცხლის ხისა და სხვა გამოსახულებანი. თუმცა, აქვე დავძენთ, რომ კომპოზიციის ამგვარი დატვირთვა, გამდიდრებული ზოომორფული თემატიკით, მინაის კერამიკის განვითარების მეორე ეტაპზეა შესამჩნევი, ადრეულ ეტაპზე ორნამენტიკა უფრო სადა და ლაკონიურია.

5. ჯამის ძირ-გვერდის ფრაგმენტი მაღალი, გამოყვანილი ქუსლით, წმინდამარცვლოვანი თიხისა, თხელკედლიანი, ღია ნაცრისფრად გამომწვარია (№2166) (ტაბ. II, სურ. 5). შიდაპირი თეორი საღებავითაა დაფარული. ცენტრში გამოსახულია სიცოცხლის ხე, რომელიც წრითა და ლურჯი ფოთლოვანი ორნამენტით სრულდება. ორნამენტს წითელი ყვავილები ამშვენებს. ხის ორივე მხარეს ქალის პატარა ზომის ფეხმორთხმული ფიგურებია. მარჯვნივ გამოსახული ქალის სამოსი ვერტიკალური ლურჯი ხაზებითაა დაფარული. მარცხნივ გამოსახული ქალის სამოსი კი - წითელი ხაზებით. ამ მინიატურული ფიგურების სახის ნაკვთები მათი „მოდელების" ირანულ ეთნიკურ წარმომავლობაზე მეტყველებს [Encyclopedia Iranica].

ეს ორნამენტული მოტივი სპარსული ილუსტრირებული ხელნაწერებიდან მომდინარეობს [Liefkes, Young 2008: 40].

6. ჩვენ მიერ მეორე ჯგუფად განხილული ჭურჭლის ანალოგი საქართველოშიც აღმოჩნდა – დმანისის ნაქალაქარზე [მამაიაშვილი 1979:

54]. ეს ნიმუში ეროვნული მუზეუმის შუა საუკუნეების დმანისის ფონდშია დაცული (№61-64:787). ჭურჭელი წმინდამარცვლოვანი თიხისაა, შიდაპირი დაფარულია თეთრი საღებავით, გადავლებული აქვს უფერო ჭიქური. ფრაგმენტზე შემორჩენილია ქალის თავის გამოსახულება. ქალს წითელი ფერის ქუდი ახურავს, დეკორში ცისფერი საღებავის კვალიც შეინიშნება.

მინაის კერამიკის ყველაზე ცნობილი მკვლევარების, ლეინისა და პოპის მოსაზრებით, მისი წარმოების ძირითადი ცენტრები რეი, ქაშანი და სავა იყო [Pope 1939: 676]. ლეინი, სტილისტური ანალიზის საფუძველზე, რეიში წარმოებულ მინაის ტექნიკით დამზადებულ ნაწარმს შემდეგნაირად ახასიათებს: ჭურჭლის ძირითადი დეკორი არ არის გადატვირთული, ცენტრალურ ნაწილში ადამიანის ერთი ან ორი ფიგურაა გამოსახული; ასევე გვხვდება ფრინველებისა და ცხოველების გამოსახულებები. ორნამენტები ერთმანეთისაგან ხაზით არის გამოყოფილი, ხშირია „სიცოცხლის ხის" თემაც, რომელიც ჭურჭელს თითქოს ორ ნაწილად ჰყოფს.

XII საუკუნის II ნახევარში ირანელმა მეთუნეებმა ნათლად გააცნობიერეს, რომ უნდა შეექმნათ განსაკუთრებული ტიპის ჭურჭელი, რომელიც მხოლოდ მაღალი წრის წარმომადგენელთათვის იქნებოდა განკუთვნილი [Ceza 1998: 40].

დღეს უკვე უდავოა, რომ მინაის ნაწარმი, ყველაზე გამორჩეული კერამიკაა, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, ირანში, სელჯუკების მმართველობის პერიოდში წარმოიშვა და მხოლოდ ორი საუკუნის განმავლობაში იწარმოებოდა. მინაის დახვეწილ და სრულყოფილ ტექნიკაში, სრულად გამოვლინდა ირანელი მეთუნეების დიდი შესაძლებლობანი და ინივიდუალიზმი.

აბულ-კასიმი 1300 წლით დათარიღებულ ცნობილ ტრაქტატში წერს, რომ მინაის ტექნიკით დამზადებული ჭურჭელი ირანში მონღოლების შემოსევის შემდეგ აღარ ჩანს. აქედან გამომდინარე, სამეცნიერო წრეებში მიღებულია ის აზრი, რომ მინაის ტექნიკის გამოყენება მხოლოდ XII–XIII საუკუნეებს მოიცავს [Oliver 2004: 364].

ჩვენი კოლექციის განხილულ ფრაგმენტთა კეცი, ერთი მხრივ, სხვადასხვა ფერისა და სტრუქტურისაა, მეორე მხრივ, მხატვრული დეკორი, ადამიანთა ფიგურები, მხედრები, მცენარეული ორნამენტი, ფრინველთა გამოსახვა ჭურჭელზე და ფერთა დამახასიათებელი პალიტრა, განხილულ კერამიკულ ნაწარმს ერთ საერთო სტილისტურ-ტიპოლოგიურ ჯგუფში აერთიანებს, თუმცა, პირველი სამი ნიმუში, კომპოზიციის აგების სიმარტივით, ფორმათა სტილიზაციით, მინაის კერამიკის ადრეულ ეტაპს უნდა მივაკუთვნოთ. მეორე ჯგუფის ნივთები და მათთან ერთად დმანისში აღმოჩენილი ფრაგმენტი, მინაის კერამიკის განვითარების შემდგომ ეტაპზე მიუთითებს და მათი მხატვრული დეკორის გათვალისწინებით, ცალკე ჯგუფად შეგვიძლია გამოვყოთ. მეორე ჯგუფის ფრაგმენტებზე შემორჩენილი მხატვრული ორნამენტიკა, კომპოზიციის სირთულით, ახალი მხატვრული ელემენტების სიმრავლით გამოირჩევა. მეტად დახვეწილია ფორმათა მოდელირება, ტანსაცმლის გაფორმებაშიც კი მეტი სირთულე შეინიშნება.

ვფიქრობთ, რომ მინაის ტექნიკით შესრულებული ჭურჭლის ფრაგმენტები საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციიდან ირანის ქალაქ რეის კერამიკულ სახელოსნოს ნაწარმს უნდა მივაკუთვნოთ და, სავარაუდოდ, XII საუკუნით დავათარიღოთ.

კვლევის ამ ეტაპზე პრიორიტეტად მივიჩნიეთ კოლექციაში დაცული ჯამის ფრაგმენტების ატრიბუტიკის მხატვრულ-სტილისტური ანალიზი. ნიმუშთა უფრო ღრმა სტრუქტურული კვლევა, ჭურჭლის კეცისა და ჭიქურის ქიმიური შემადგენლობის განსაზღვრა, მომდევნო ეტაპია, რაც კიდევ უფრო მეტად ცხადყოფს მინაის ჯგუფის მხატვრული კერამიკული ნაწარმის განვითარების ისტორიას.

ARCHAEOLOGY

MARGALITA CHEMIA

Georgian National Museum, Rustaveli Avenue 3, 0105 Tbilisi, Georgia,
Email:marichemia@gmail.com

MEDIEVAL PERSIAN ARTISTIC POTTERY FROM THE COLLECTIONS OF THE GEORGIAN NATIONAL MUSEUM

SUMMARY

The Minai ceramics represents a separate group of the Persian ceramic collection preserved in the Georgian National Museum. It is kept in the ``Ancient and Modern`` depositories of the medieval section.

The materials were found between 1913-1917 years by Shamil Malaiani during archaeological excavations conducted in the ancient cities of Iran: Rayy, Kashan, Sultanabad, which are recognized as the famous centres of medieval ceramics.

The above- mentioned material has not been the subject of any research till nowadays, that is why the historical and topological classification of these things is particularly important.

The fragments of Minai ware preserved in the Georgian National Museum, reflect the early stage of technique. There are dishes painted with geometric and figurative ornaments as well.

Our research shows that the fragments of the Minai bowl from the collection of the Georgian National Museum were produced in the ceramic workshop in Rayy and they date from the second half of the 12th century. From an artistic and stylistic viewpoints, they are the best samples of this type of work.

ბიბლიოგრაფია

1. **აბზიანიძე ზ., ელიაშვილი ქ. 2006:** სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია. თბილისი.
2. **მამაიაშვილი ნ. 1979:** ფაიანსი შუასაუკუნეთა საქართველოში. თბილისი.
3. **Кубе А. 1923:** История фаианса. Берлин.
4. **Кверфельдт, Э. 1947:** Керамика Ближнего востока. Ленинград.
5. **Миллер Ю. 1972:** Художественная керамика Турции. Ленинград.
6. **Bloom J and Sheila B. 1997:** Islamic Art. London.
7. **Ceza F. 1998:** Pottery of the Islamic World. (In the Tareo Rajab museum) .Kuwait.
8. **Ettingchausen R. 1970.** The flowering of Seljuq Art. New York University.
9. **Hobson R. 1932:** A Guide to the Islamic Pottery of the Near East. British Muzeum.
10. **Jenkins M. 1983:** Islamic pottery . A Brief History. The Metropolitan Museum of Art.
11. **Lane A. 1947 :** Early Islamic pottery. London.
12. **Liefkes R. , Young H. 2008:** Masterpieces of world ceramic in the Victoria and Albert Museum. London.
13. **Oliver W. 2004:** Ceramic from Islamic lands. (The Al-Sabah collection). The Kuwait National Museum.
14. **Pope A. 1939:** Ceramic Art in Islamic Times. Survey of Persian Art, New-York.
15. **Redford S. 2005 :** Agrammar of Rum Seljuk ornament.
16. **Treptow T. 2007:** Daily life Ornamented, The Medieval Persian City of Rayy. Chicago.
17. **Wilkinson Ch. 1963:** Iranian ceramics . New York.
18. Islamic Art and Geometric Dessign . 2004: The Metropolitan Museum of Art. New -York.
19. The Institute of Ismaili Studies Ceramics Fahmida Suleman 2007: Medieval Islamic civilization.
20. **Zaimehe S. 2005:** Foundation for science Technology and civilisation Rayy . Editor L. Ball.
21. **Zaimeche S. 2005:** Rayy Foundation for Science Technology and Civilisation. Manchester.
22. www. Oi.unchicago.edu, 2007 : Chicago the Oriental Institute. Rayy pottery.
23. www. Encyclopædia Iranica. Iran pottery.

ილუსტრაციების აღწერილობა

სურ. 1. ჯამის ძირ-გვერდის ფრაგმენტი. ირანი, ქ. რეი.
სურ. 2. ჯამის ძირ-გვერდის ფრაგმენტი. ირანი, ქ. რეი.
სურ. 3. ჯამის ძირ-გვერდის ფრაგმენტი. ირანი, ქ. რეი.
სურ. 4. ჯამის ძირ-ქუსლის ფრაგმენტი. ირანი, ქ. რეი.
სურ. 5. ჯამის ძირ-გვერდის ფრაგმენტი. ირანი, ქ. რეი.
სურ. 6. ჭურჭლის ფრაგმენტი. დმანისის ნაქალაქარიდან.

LIST OF ILLUSTRATIONS

Fig. 1. Fragment of a bowl. Iran, Rayy (12th century).
Fig. 2. Fragment of a bowl. Iran, Rayy (12th century).
Fig. 3. Fragment of a bowl. Iran, Rayy(12th century).
Fig. 4. Fragment of a bowl. Iran, Rayy (12th century).
Fig. 5. Fragment of a bowl. Iran, Rayy (12th century).
Fig. 6. Fragment of a vessel. From Dmanisi (12th century).

სურ. 1 Fig.

სურ. 2 Fig.



სურ. 3 Fig.



სურ. 4 Fig.

სურ. 5 Fig.

სურ. 6 Fig.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია №1 (46-B), 2010, 219-231
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences №1 (46-B), 2010, 219-231

არქეოლოგია

ლუიზა გვრიტიშვილი

საქართველოს ეროვნული მუზეუმი, რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო, ელ.ფოსტა: luiza.gvritishvili@posta.ge

შუა საუკუნეების მოჭიქული ჭურჭლის ერთი განსაკუთრებული სახეობის შესახებ

1979 წ. ზაფხულის კამპანიის დროს, ჟინვალის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი რ. რამიშვილი) ქალაქის გარეუბანში მრავალფეროვანი კერამიკული მასალა გამოავლინა, რომლის თვალსაჩინო მონაპოვარია მოჭიქული ჯამი მოცეკვავე ქალის გამოსახულებით [Рамишвили1982:113, ტაბ. LXXXVI- I]. იგი ამჟამად ეროვნული მუზეუმის "მიმდინარე" ფონდში ინახება (საინვენტარო №71-985: 35.).

ეს ჯამი, ნაქალაქარზე აღმოჩენილ მოჭიქული ჭურჭლის სხვა ნიმუშებთან ერთად, გ. რჩეულიშვილმა შეისწავლა და მისი თანმხლები სელჯუკური მონეტის მიხედვით XIII ს. I ნახევრით დაათარიღა, გარდა ამისა, დაადგინა, რომ ჯამი ადგილობრივ კერამიკულ სახელოსნოშია დამზადებული და მისი დეკორის მოკლე სტილისტური ანალიზი შემოგვთავაზა. მან აღნიშნა, რომ გამოსახულებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული კოსტიუმისა და ქორეოგრაფიის შესწავლის საქმეში [რჩეულიშვილი 1985: 124-129].

ზემოხსენებული ჯამის შესახებ მცირე ინფორმაციას მ. მარგველაშვილის სადისერტაციო ნაშრომიც გვაწვდის. აქ აღნიშნულია, რომ ჯამი ყურადსაღებ მასალას იძლევა ქართველი ქალის ჩაცმულობისა და ცეკვის ისტორიასთან დაკავშირებით [მარგველაშვილი 1999: 71, ტაბ. XCVI-1].

ინსბრუკის თეფშის დეკორის შესწავლის დროს ჟინვალის ჯამს ამერიკელმა მეცნიერმა სკოტ რედფორდმაც მიაქცია ყურადღება. მკვლევარი, პარალელების საფუძველზე, საინტერესო დასკვნამდე მივიდა. მან ინსბრუკის თეფშის წარმომავლობის ერთ-ერთ სავარაუდო ადგილად საქართველო დაასახელა [Redford 1990:129-130].

წინამდებარე ნაშრომში ყურადღებას გავამახვილებთ ძირითადად ჯამის დეკორზე და მისი მონაცემების გათვალისწინებით შევეცდებით იმ საკითხების გაშუქებას, რომელთა შესწავლის საჭიროების შესახებ ზემოხსენებულმა ავტორებმა ისაუბრეს, კერძოდ, ქართულ ეროვნულ კოსტიუმსა და ხალხურ ცეკვასთან დაკავშირებულ ასპექტებზე.

ჯამი წითლად არის გამომწვარი, სწორპირიანია, შიგნით დაქანებული ბაკოთი, გამობურცული ძირითა და წრიული ქუსლით. იგი ორ ნაწილად ყოფილა გატეხილი, ამჟამად რესტავრირებულია. პირი რამდენიმე ადგილას მცირედ ჩამოტეხილი აქვს. პირის დიამეტრი 19 სმ-ია, სიმაღლე – 7,8 სმ. ქუსლის დმ. – 8 სმ. შიდაპირი დაფარულია მოთეთრო ანგობით. ანგობის ნაღვენთები გარეპირზეც არის შერჩენილი. ამოკაწვრის ტექნიკით ორნამენტია გამოყვანილი: ცენტრში მოცეკვავე ქალის ფიგურა. ოსტატის მთავარი აქცენტი ამ ფიგურაზეა გადატანილი და სივრცე დამხმარე სახეებით არ არის გადატვირთული. ქალის სილუეტის აქეთ-იქით XI-XIII სს. ფართოდ გავრცელებული მცენარეული რტო-ყლორტებია გამოყვანილი. მათ სიუჟეტური დატვირთვა არ გააჩნია, უბრალოდ, ცარიელი სივრცის შესავსებადაა გამოყენებული. ფეხების მარჯვნივ მცირე ზომის კონცენტრული რგოლებია. ჯამი მოხატულია მწვანე და მოყვითალო-მოყავისფრო საღებავით. ზემოდან გადავლებული აქვს უფერო გამჭვირვალე ჭიქური.

ქალის სახის ოვალი მოგრძოა, ელფერი თეთრი. სახეზე მკაფიოდ იკითხება შავი ხაზებით გამოყვანილი ნაკვთები: სქელი, გადაბმული წარბები; ფართოდ გახელილი, კიდეებში წაგრძელებული თვალები; ვერტიკალური, ბოლოში მარჯვნივ მოხრილი ერთი ხაზით გამოყვანილი ცხვირი; წყვილი მოკლე რკალით შედგენილი პირი. თვალის გუგები ოსტატს შავი წერტილებით გამოუხატავს. პირის მარჯვნივ და ცხვირს ზემოთ ასეთივე შავი ხალებია დადებული. ფიგურას თავზე მწვანე ქსოვილის თავსაბურავი ახურავს. ტანთ აცვია კოჭებამდე გრძელი, მკერდდახშული, წელში გამოყვანილი, გრძელსახელოებიანი, ბოლოგანიერი მოყვითალო-მოყავისფრო კაბა. ფეხსაცმელი მწვანე ფერისაა, უქუსლო და წვეტიანი.

ორნამენტის შესრულების დონის მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ ჯამი არ არის უზადო ნამუშევარი. ამოკაწრული ხაზები ხშირად არასწორად არის გავლებული. ერთ ადგილას ხაზი მარცხენა მკლავის სილუეტს სცილდება, მეორე ადგილას – მარცხენა მხრის ხაზი კაბის სახელოს ზემოდან არის გავლებული, მარჯვენა წარბის ბოლო ხაზი თავსაბურავზეა გაგრძელებული და სხვ. გ. რჩეულიშვილი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ჯამი გაუწაფავი, დამწყები ოსტატის ნამუშევარია [რჩეულიშვილი 1985:126]. თუმცა, თვალშისაცემია ტანსაცმლის ფერთა ჰარმონია. მწვანე თავსაბურავი, მწვანე სახელოებიანი მოყვითალო კაბა და მწვანე ფეხსაცმელები გემოვნებით არის ერთმანეთთან შეხამებული. ოსტატმა, მიუხედავად დეკორის შესრულებისას დაშვებული უზუსტობისა, მაინც შექმნა ესთეტიკური ეფექტი.

როგორც ვხედავთ, სახეზეა ქალის ჩაცმულობის სრული სურათი. თავსაბურავისა და ფეხსაცმლის ჩათვლით. თუ რამდენად ეხმიანება იგი XII-XIII სს. საქართველოში არსებულ ჩაცმის სტილს, ამის გარკვევას იმდროინდელი ისტორიული წყაროებისა და მატერიალური კულტურის ძეგლების მონაცემების მიხედვით შევეცდებით.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამგვარად ორნამენტირებული ჯამი მხოლოდ სუფრის დასამშვენებლად არ გამოიყენებოდა. იგი მისი მფლობელის მატერიალურ მდგომარეობასა და გემოვნებაზეც მეტყველებს,

იმავდროულად კი, იმ ეპოქის მოდასა და სტილზე, რომელიც თავის მხრივ, მეზობელი ქვეყნების მოდის ტენდენციების გავლენას განიცდიდა.

ქართული წერილობითი წყაროები და სახვითი ხელოვნების ძეგლები, უპირატესად, მეფე-მთავართა და წარჩინებულთა სამოსლის – საზეიმო კოსტუმების შესახებ გვაწვდის ცნობებს. მოსახლეობის ფართო მასების ჩაცმულობის შესახებ კი საკმაოდ მწირი ინფორმაცია გვაქვს. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია დადგენილი, მადალი წოდების წარმომადგენლები პოლიტიკური ორიენტაციის გათვალისწინებით იმოსებოდნენ – ხან ბიზანტიურ სტილს მიმართავდნენ, ხან სპარსულს [ციციშვილი 1954:109], ანუ მეზობელი ქვეყნების გაბატონებული კლასების ჩაცმულობის გავლენას განიცდიდნენ [ჩიტაია 2000: 275], საშუალო და დაბალი ფენები კი ეროვნულ ჩვევებსა და ქართული ჩაცმულობის ტრადიციებს არ ღალატობდა [ციციშვილი 1954:109; ჩიტაია 2000: 275].

დაბალი სოციალური ფენების სამოსლის შესახებ არსებული მწირი ინფორმაციის ფონზე ჟინვალის ჯამის დეკორის მონაცემები ისტორიული წყაროს მნიშვნელობას იძენს.

ცნობილია, რომ თიხის ჭურჭელი ძირითადად მოსახლეობის ფართო მასებისთვის მზადდებოდა, რადგან სამეფო ოჯახისა და ფეოდალური არისტოკრატიის სუფრა ძვირფასი ლითონებისაგან დამზადებული ჭურჭლით იყო გაწყობილი. მათ ეს ჭურჭელი ლაშქრობებისა და მოგზაურობების დროსაც კი თან დაჰქონდათ. ამის მკაფიო მაგალითია დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მიერ აღწერილი მეფე გიორგი II-თან დაკავშირებული ერთი ეპიზოდი: როცა ყველში მდგომ გიორგი მეორეს თავს დაესხნენ თურქთა მოთარეშე რაზმები და დაამარცხეს იგი, ნადავლის სახით ხელში ჩაიგდეს: „საჭურჭლენი დიდნი და სამსახურებელნი სამეფოთა ტაბლათანი ოქროსა და ვეცხლისანი, ბაგრატეულნი სასმურნი და სამწდეონი პატიოსანნი" [ქართლის ცხოვრება 1955: 319].

თიხის ჭურჭლის ოსტატები, ბუნებრივია, ითვალისწინებდნენ მომხმარებლის მხატვრულ -ესთეტიკურ მოთხოვნილებებს. ამიტომ, ლოგიკურია ჟინვალის მოჭიქულ ჯამზე გამოსახული ფიგურის კოსტიუმში ხალხური ჩაცმულობის ელემენტების არსებობა. მისი ზუსტი პარალელი ვერ მოვიძიეთ, თუმცა ცალკეული დეტალების (თავსაბურავი, კაბის სილუეტი, კაბის სახელოები, ფეხსამოსი) მსგავსება ქართული სამოსის შემადგენელ ნაწილებთან ეჭვს არ უნდა იწვევდეს. განვიხილოთ ეს დეტალები.

თავსაბურავი სადა მწვანე მსუბუქი ქსოვილისაა. იგი ორი ნაწილისგან შედგება. ერთი – თავზე შემოხვეული ვიწრო და გრძელი ნაჭერი, რომელიც საყბეურის მსგავსად ნიკაპქვეშ არის ამოტარებული და მარჯვენა ყურთან ბაფთისებურად შეკრულია. მეორე – ზემოდან გადაფარებულია, მარჯვენა ყურთანვე დამაგრებული, ბოლოები კი თავისუფლად ჩამოშვებული აქვს. ერთი თავსაკრავი უნდა იყოს, მეორე – ზემოდან მოსახვევი. მსგავსი თავსაბურავი შუა საუკუნეების ფრესკებზეც არის გამოსახული და ეთნოგრაფიულ ყოფაშიც შემორჩენილია. მას ნ. ჩოფიკაშვილი V-XIV სს. ქართულ წყაროებში მოხსენიებულ "კუბასტს" უწოდებს [ჩოფიკაშვილი 1964:129,135-136]. სულხან-საბა ორ-

ბელიანის განმარტებით კუბასტი იგივე ლეჩაქია [ორბელიანი 1949:182]. იგი ჯერ კიდევ VII ს. კატაულას სტელაზე არის დადასტურებული [ჩოფიკაშვილი 1964:129].

ჩვენს ხელთ არსებული თანადროული მასალიდან მოცეკვავე ქალის თავსაბურავს ყველაზე მეტად დმანისის ნაქალაქარზე აღმოჩენილ ჯამის ფრაგმენტზე გამოსახული ფიგურის თავსახვევი მოგვაგონებს (ეროვნული მუზეუმი, №დმ. 1013), რომელიც ფიგურას მთელ თავზე აქვს შემოხვეული ისიც მწვანე მსუბუქი ქსოვილის ვიწრო ნაჭერია. შუბლს ზემოთ ჰორიზონტალური ფორმისაა, ამოტარებულია ნიკაპქვეშ. ოდონდ ქსოვილის ბოლოები ბაფთისებურად კი არ არის შეკრული, არამედ მარჯვენა ყურთან ერთმანეთზეა დამაგრებული.

ანალოგიურია ანისში აღმოჩენილ მოჭიქულ ჯამზე გამოსახული ქალის მწვანე თავსაბურავიც. ამ შემთხვევაშიც თავი მთლიანად დაფარულია თავსახვევით. ზედა ნაწილის სწორხაზოვანი ფორმა ქმნის შთაბეჭდილებას, რომ მოსახვევი შუბლსაკრავის ზემოდან არის შემოხვეული [Шелковников 1957:16; მაისურაძე 1953: 27-28, ტაბ.V; 1 ჩიკოიძე 1969: ტაბ.VI; ჭილაშვილი 1975:30-32, ტაბ.-XXXIII-1].

აღსანიშნავია, რომ ბ. შელკოვნიკოვი ანისის ფიგურის თავსაბურავის ანალოგიად აღიქვამს დმანისის ჯამზე (დმ. 1054) გამოსახული მამაკაცის ქუდს, თუმცა მისი ზედა ნაწილი სამი შვერილისაგან შედგება. ასეთი სამშვერილიანი თავსაბურავები, აგრეთვე, ხერსონესში, გავაზში და თელავშია დადასტურებული [Шелковников 1957:16; მაისურაძე 1953: 27-28, ტაბ. 5; ჩიკოიძე 1969: ტაბ. 6; ჭილაშვილი 1975: 30-32, ტაბ. XXXV; Якобсон 1950: ტაბ. XXXIII-.I].

როგორც აღვნიშნეთ, ამგვარი თავსაბურავი შემორჩენილია ქართველი ხალხის ეთნოგრაფიულ ყოფაშიც. ასეთია ხევსური ქალის "სათაურა" [ოჩიაური 1953:128], კახელი ქალის თავსაკრავი და "ლეჩაქი" ანუ "ჩიქილა" [ბოჭორიშვილი 1947:211], თუში ქალის თავსაკრავი და მანდილი [ბეზარაშვილი 1974:68] საზოგადოდ, როგორც ც. ბეზარაშვილი აღნიშნავს, მანდილ-თავსაკრავის გამოყენების წესი მთელ საქართველოში ძველი დროიდანვე ყოფილა გავრცელებული [ბეზარაშვილი 1974: 68-69]. ჟინვალის ჯამის მოცეკვავე ქალის თავსაბურავი კიდევ ერთხელ ვიზუალურად ადასტურებს თავსაკრავისა და მანდილის საშუალებით, ყელახვევით დაბურვის ძველებურ წესს.

კაბა მსუბუქი, სადა, მოყავისფრო-მოყვითალო ქსოვილისგან არის დამზადებული, ყელთან მრგვლად ამოჭრილია, მკერდდახშული, წელში დავიწროებული, ბოლოგანიერი და ტერფებამდე ჩამოგრძელებული. გვერდებზე და ქობაზე შემოვლებული აქვს ვიწრო თეთრი ზოლი, ასეთივე ზოლი წინა კალთაზეა ჩამოშვებული. მოსართავებითა და სამკაულებით არ არის გადატვირთული. მისი ერთადერთი სამშვენისი მკლავების ზედა ნაწილში სახელოებზე შემოვლებულ ორ თეთრ ზოლს შორის მოთავსებული სახიანი არშიაა. მიუხედავად ამისა, კაბა მაინც სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს. ასეთივე სილუეტით გამოირჩევა გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცულ ჯამის ფრაგმენტზე გამოსახული ადამიანის ტანსაცმელი (შერჩენილია მხოლოდ ნაწილი) [მაისურაძე 1953:27, ტაბ.V].

მოცეკვავე ქალის კაბის მსგავსი სილუეტი შესაძლებელია შეგვხვდეს იმდროინდელი სახვითი ხელოვნების ძეგლებზე გამოსახული ადამიანების ჩაცმულობაში. საკმარისია დავასახელოთ XIII ს. ბეთანიის ფრესკაზე დავით წინასწარმეტყველის კაბა, მაცხვარიშის მაცხოვრის ეკლესიის ფრესკაზე დემეტრე I-ის სამოსი, საფარის მონასტრის წმ. სამების ტაძრის კედლებზე გამოსახული ჯაყელების კოსტიუმი და სხვ. [ქართული ქრისტიანული ხელოვნება 2008:176, 181, 205].

ქართული სამოსლის მკვლევარმა ნ. ჩოფიკაშვილმა, X-XIV სს. ისტორიული წყაროებისა და სახვითი ხელოვნების ძეგლების მონაცემების მიხედვით, მამაკაცთა კოსტიუმის სამი ძირითადი თარგი დაადგინა. ერთ-ერთი წელში დავიწროებული, ბოლო განიერი, გრძელი ან მოკლე სამოსია [1ჩოფიკაშვილი 1964:40]. მასალის სიმწირის გამო მან ქალის კოსტიუმის დახასიათება ვერ მოახერხა. ამ ხარვეზს ჟინვალის მოცეკვავე ქალის ჩაცმულობა ავსებს. იგი ვიზუალურად ადასტურებს, რომ ქალის კაბის ძირითადი სილუეტიც მამაკაცთა ზემოხსენებული სამოსის თარგის მსგავსი იყო, ანუ – წელში დავიწროებული, ბოლოგანიერი და ტერფებამდე ჩამოგრძელებული. კაბის ამგვარი ფორმა საკმაოდ დახვეწილია და კარგად გამოკვეთს სხეულის სილამაზეს.

როგორც აღვნიშნეთ, მოცეკვავე ქალის კაბის სახელოები ხელებს მტევნებიანად ფარავს და თითქმის მუხლებამდე გრძელდება. ზედა ნაწილი მოყვითალო-მოყავისფროა, შემკულია არშიით. იდაყვს ქვემოთ კი მწვანე ქსოვილისაა, ბოლოში გაგანიერებული.

გრძლადდაშვებული, დეკორატიულსახელოებიანი მოსასხამები მცხეთის ჯვრის მონასტრის რელიეფებზეა დადასტურებული (VI-VII სს მიჯნა). მხედველობაში გვაქვს ქტიტორ ერისმთავართა წამოსასხამების დეტალები [Чубинашвили 1948:21],ასევე,ატენის სიონის (VII ს.) ქტიტორების ტანსაცმლის წვივებამდე დაგრძელებული სახელოები [Чубинашвили 1948:53]. ლ. მუსხელიშვილის აზრით "გრძელსახელოიანი ხალვათ წამოსასხამი ერთ დროს, უძველეს ქრისტიანულ ხანაში ვიდრე X საუკუნემდე, ძალიან გავრცელებული ყოფილა" [მუსხელიშვილი 1949:23]. სახვითი ხელოვნების ძეგლთა მონაცემებით კი, ამ ტიპის სამოსს XI ს. შემდგომ პერიოდშიც ატარებდნენ, რასაც თვალსაჩინოდ ადასტურებს ბეთანიის ღვთისმშობლის შობის ეკლესიის ფრესკაზე გამოსახული სჯულის კიდობნის წინ მოცეკვავე დავით წინასწარმეტყველის კაბის სახელოები [ქართული ქრისტიანული ხელოვნება: 181], XIII ს. მინიატურის მოცეკვავის სამოსი და სხვ. [გვარამაძე 1957:86]. ამგვარ სახელოებიანი ტანსაცმელი გვიან საუკუნეებშიც ჩანს. არქანჯელო ლამბერტის "სამეგრელოს აღწერის" მიხედვით, იგი მეგრელთა სადღესასწაულო სამოსის ატრიბუტი იყო. მოგზაური წერს: "მეგრელები წვეულებებსა და დღესასწაულებში იცვამენ კიდევ ერთნაირ ტანისამოსს, რომელიც ფეხებამდის გრძელია და ყურომაჯები მიწამდის უწვდება" [ლამბერტი 1938: 38-41].

სხვადასხვა ვარიაციით ამგვარი ჩაცმულობის არსებობა ეთნოგრაფიულ ყოფაშიც დასტურდება. ამის მაგალითებია: თუშური საქალო თბილი სამოსელი "ტყავ-კაბა," ხევსურული წამოსასხამი, ფშაური "ქათიბი," რაჭული კაბა "კაფთარა" [ბეზარაშვილი 1974: 45, 47-48], კახ-

ური ქათიბი [ბოჭორიშვილი 1947:205]. აღსანიშნავია, რომ გრძლადაშ-ვებულსახელოებიანი ჩაცმულობა საქართველოს მეზობელ ქვეყნებშიც საყოველთაო მოდად ყოფილა აღიარებული [ბეზარაშვილი 1974:103]. ასეთივე სამოსი აცვია ინსბრუკის თეფშზე გამოსახულ მოცეკვავე ქალსაც. ამ ფაქტისა და სხვა დეტალების გათვალისწინებით, სკოტ რედფორდი თეფშის დამზადების სავარაუდო ადგილად საქართველოს მიიჩნევს [Redford 1990:123, 127, სურ. 7, 21].

ფეხსაცმელი უქუსლოა,როგორც ჩანს,რბილი ტყავისგან არის დამზადებული. თითებთან ვიწროვდება და წვეტიანია. XI-XIV სს. ფრესკებსა და რელიეფებზე, ძირითადად ასეთი ტიპის ფეხსაცმელებია გამოსახული. განსხვავებულია მხოლოდ ფერი [ჩოფიკაშვილი 1964:141]. მოცეკვავე ქალის ფეხსაცმლის ზედა ნაწილი კაბით არის დაფარული და ამდენად, მისი ფორმისა და შემკულობის შესახებ ვერაფერს ვიტყვით.

როდესაც მოცეკვავე ქალის ტანსაცმლის შესახებ ვსაუბრობდით, ვითვალისწინებდით ჩვენამდე მოღწეულ მამაკაცისა და ქალის კოსტიუმებს, როგორც წარჩინებულთა ისე მდაბიოთა ჩაცმულობის ნიმუშებს. რადგან, როგორც დავინახეთ, ზოგადი ტენდენციები: სილუეტი, სახელოების სიგრძე, ფეხსაცმლის ფორმა, ძირითადად, ერთნაირი იყო.

სხვადასხვა სოციალური ფენის ჩაცმულობაში, ცხადია, დიდი იყო განსხვავება ქსოვილის ხარისხისა და აქსესუარების თვალსაზრისით. ფეოდალური არისტოკრატიის სამოსი დამზადებული იყო ძვირფასი და მდიდრულად ორნამენტირებული მასალისგან [Mepisashvli, Tsintsadze 1979:234], მეტწილად იმპორტული ქსოვილით, სხვადასხვა სამშვენისით მორთულ-მოკაზმული. ჟინვალის მოცეკვავე ქალის სამოსი კი მარტივი და სადაა, თუმცა ისიც საკმაოდ ნატიფია.

როგორც ჯამის დეკორის აღწერისას აღვნიშნეთ, ქალის ფიგურა მოძრავ, საცეკვაო პოზაშია გამოსახული. თავი არის en face, ტანი წელში ოდნავ მარჯვნივ იხრება, მხრები და თავი კი მარცხნივ. ხელები განზეა გაშლილი, იდაყვები მოღუნული. მარჯვენა მკლავი სხეულისკენაა მიმართული და შემობრუნებული მტევნით ქვემოთ ეშვება. მარცხენა კი ზეაწეულია. მეტისმეტად გრძელი სახელოების ბოლოები ქვემოთ ჩამოშვებულია და თავისუფლად ფრიალებს მოძრაობის საპირისპიროდ, ანუ მარჯვნივ. ფეხები მიბრუნებულია მარცხნივ, თითქოს ნარნარა, სრიალა სვლაა გამოსახული. მზერაც მარჯვნივ არის მიმართული. ფიგურაში იგრძნობა საცეკვაო ლირიკული განწყობილება და ექსპრესიულობა. ამრიგად, მხატვარმა საცეკვაო მოძრაობის გამოსახატავად ფიგურის წელი ერთ მხარეს გადახარა, ფეხის ტერფები კი საპირისპიროდ მიმართა, თავად ქალი პროფილში დახატა, კაბის გრძელი სახელოები მოძრაობის საწინააღმდეგოდ ააფრიალა. მოძრაობის ასახვის ასეთი ხერხი ირანულ ხელოვნებაშია ცნობილი. მეტროპოლიტენ მუზეუმში დაცულ მე-12 ს. მოჭიქულ ქილაზე მცენარეული მოტივის ფონზე ექვსი მოცეკვავე ქალის ფიგურაა გამოსახული, გადახრილი ტანით, ტერფების ერთი მიმართულებითა და თავსაბურავიდან გრძლად ჩამოშვებული აფრიალებული ბაფთებით [Hanaa Adly 2007: ტაბ. 1].

ცნობილია, რომ წინარექრისტიანულ ხანაში წარმართული სადღესასწაულო რიტუალები ცეკვების თანხლებით სრულდებოდა. ამის

დამადასტურებელ არაერთ ცნობას გვაწვდის საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა: ბრინჯაოს სარტყლებზე გამოსახული მოცეკვავეთა ფიგურები [კუხიანიძე 2005:56-57; გვარამაძე 1957:5-6], ორიალეთის ვერცხლის თასი [ამირანაშვილი 1944: 72-76; ურუშაძე 1982:8] და სხვ. მისი ანარეკლი ჩვენამდე ეთნოგრაფიულ ყოფასაც შემოუნახავს "ბერიკაობისა" და "ყეენობის" სახით, რომლებიც საკულტო ცერემონიალებისა და წარმართული მისტერიების გადმონაშთებს შეიცავს [ჯანელიძე 1983: 305-306, 360].

ქრისტიანული რელიგიის დამკვიდრების შემდეგ, გარკვეული დროის განმავლობაში სახვითი ხელოვნების ძეგლებზე მოცეკვავეთა გამოსახულებებს ვერ ვხვდებით. ეს არც უნდა იყოს გასაკვირი, რადგან ქრისტიანული რელიგია კრძალავდა ყოველგვარ "სახიობას," რომლის ერთ-ერთ დარგად ცეკვა მოიაზრებოდა. იგივე ხდებოდა საქართველოშიც. ეკლესია-მონასტრებში ნიადაგ გაისმოდა იოანე ოქროპირის შეგონება "ვსწყევდეთ მას, რომელმან თეატრონი აღაშენა ქალაქთა შინა და სახიობანი შეამზადნა," "განიშორენით მემღერენი, მოკიცხვარნი და ხუმარანი და მგოსანნი და მროკვალნი ვითარცა ვეშაპი" [ჯანელიძე 1983:325]. სხვა მდგომარეობაა XI-XIII სს. – ქართული სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური აღმავლობის ხანაში, მაშინ, როდესაც უაღრესად განვითარებული იყო ხელოვნების სხვადასხვა დარგი, გაძლიერებული იყო ინტერესი ანტიკური კულტურისადმი. ქართული თეატრის ისტორიის მკვლევარის დიმიტრი ჯანელიძის აზრით, თამარ მეფის მიერ ღვთისმშობლისადმი მიძღვნილ იამბიკოში დავით წინასწარმეტყველის ღვთისადმი ცეკვით აღვლენილი ქების მოხსენიებას გარკვეული დატვირთვა ჰქონდა, თამარ მეფე ცეკვას (როკვას) ღმერთისგან მოწონებულ ხელოვნებად აცხადებდა და ამით ამართლებდა სამეფო კარის ხელოვნების ამ დარგისადმი მფარველობასა და ხელშეწყობას [ჯანელიძე 1983: 422-423].

XI საუკუნიდან ცეკვამ საღვთო წერილის დასურათებასა და ტაძრების მოხატულობაში შეაღწია. იგი დაიტვირთა ქრისტიანული იდეოლოგიის ნიშნებით. მხატვრების რეპერტუარში გაჩნდა სჯულის კიდობნის წინ მოცეკვავე დავით წინასწარმეტყველისა [ჯანელიძე 1983:423; ქართული ქრისტიანული ხელოვნება 2008:181] და მოცეკვავე სალომეს [გვარამაძე 1957:8; ჯანელიძე 1983:427,სურ.69-71; Джанелидзе 1959:160] თემები. მოცეკვავე ქალიშვილების გამოსახულებები გვხვდება, აგრეთვე, XIV ს. ზარზმისა და წალენჯიხის ეკლესიების მოხატულობაში, სვეტიცხოვლის კათედრალური ტაძრის სამხრეთ კედელზე გამოსახულ XVII ს. კომპოზიციაში ფსალმუნის თემაზე "ყოველი სული აქებდეთ უფალსა" [გვარამაძე 1957: 107, სურ. 39; ჯანელიძე 1983:514-515] და სხვ. ყოველ მათგანზე ქართული ყოფის ნიშნებია აღბეჭდილი, ქართული ეროვნული ტანსაცმელი და ქართული ცეკვებისთვის დამახასიათებელი მოძრაობების გამომხატველი სურათები.

რაც შეეხება საერო თემების ვიზუალურ მასალას, იგი, შეიძლება ითქვას, ჩვენამდე არც არის მოღწეული. ამ თვალსაზრისით უნიკალურია განსახილველი ჯამის დეკორი. იგი ჯერჯერობით ქართველ მხატვარ-დეკორატორთა რეპერტუარში მოცეკვავე ფიგურის გამოსახვის

ერთადერთი შემთხვევაა. მნიშვნელოვანია იმითაც, რომ ძალიან ჰგავს რელიგიურ თემებზე შექმნილი კომპოზიციების მოცეკვავე ფიგურებს, როგორც სამოსლით, ისე საცეკვაო მდგომარეობით.

შუა საუკუნეებში ისლამურ დეკორატიულ ხელოვნებაში მოცეკვავე ფიგურებით საყოფაცხოვრებო ნივთების შემკობა ფართოდ იყო გავრცელებული. ლითონისა თუ თიხის ჭურჭელი: სასანთლეები, დოქები, ჯამები, თეფშები და სხვ. მოცეკვავე ფიგურებით (სხვა სახის ორნამენტთან ერთად), უხვად იყო შემკობილი. დეკორის ასეთი სახე ფართო გეოგრაფიულ არეალს მოიცავდა და შუა საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა. გთავაზობთ ჟინვალის მოცეკვავე ქალის გამოსახულებასთან საერთო ნიშნების მქონე რამდენიმე მაგალითს: X ს. ნიშაპურის მოჭიქულ ჯამზე გამოსახულია ფიგურა საცეკვაო მდგომარეობაში – გაშლილი ხელებით, მუხლებში მოღუნული ფეხებითა და მარჯვნივ მიბრუნებული თავით [Watson 2005:248]; XI-XII სს. მოჭიქულ თეფშზე გამოსახულნი არიან მოცეკვავენი თავსაბურავითა და გრძელი, აფრიალებული სახელოებით [Pope 1967]. ფატიმიდური ხელოვნების ნიმუშია ფლორენციის მუზეუმში დაცული XII ს. სპილოს ძვლის ფირფიტაზე გამოსახული მოცეკვავე ქალი შარფით [Ettinghausen, Grabar, Marilyn Jenkins-Madina 2001:202-203, სურ. 318]. თურქი მეცნიერის ელიფ გოკჩიგდემის მიერ შესწავლილ სპილენძის სასანთლეებზე ამოკაწრულია გუნდური ცეკვა გადაჯვარედინებული ხელებით [Gokcigdem 1998:67, ტაბ. 4-5], ანალოგიურია XII ს. ფირუზისფრად მოჭიქული ქილისა [Adly 2007: ტაბ.1] და XIII ს. დოქის დეკორიც [Gokcigdem 1998: სურ. 6]. ფიგურების საცეკვაო პოზა, ტანის თავისა და ფეხების მდგომარეობა ჟინვალის მოცეკვავისას ჰგავს. გრძელსახელოებიანი კაბით მოსილი მოცეკვავე ფიგურა ბრიტანეთის მუზეუმში დაცულ XII ს. სირიულ სასმისზეა გამოსახული [Grube, Johns 2005: ტაბ. 359] ისლამური ფაიანსის დოქი მოცეკვავე ხელებგადაჯვარედინებული ფიგურებით საქართველოს ეროვნულ მუზეუმშიცაა დაცული (საინვ. № 81-65:1252).

მოცეკვავე ფიგურების გამოყენება ორნამენტიკაში ბიზანტიური დეკორატიული ხელოვნებისთვისაც არ იყო უცხო. ამის მაგალითია ბუდაპეშტის ეროვნულ მუზეუმში დაცული კონსტანტინე მონომახის გვირგვინზე გამოსახული მოცეკვავე ქალიშვილები [Redford 1990:126, სურ. 19], XII ს. ვერცხლის თასზე მოთავსებული ასეთივე გამოსახულებანი პეტერბურგის ერმიტაჟიდან [Redford 1990:125, სურ. 13, 14]. პალერმოს კაპელა პალატინას ჭერზე გამოსახული მოცეკვავე ფიგურები [Grube, Johns 2005: ტაბ.34-1;6] და სხვ. ჟინვალის ფიგურას ყველაზე მეტად, ინსბრუკის თეფშის მოცეკვავე ქალი ჰგავს, როგორც საცეკვაო პოზით, ისე კოსტიუმის ცალკეული დეტალებით, კერძოდ, გრძლად დაშვებული და თავისუფლად აფრიალებული სახელოებით. სკოტ რედფორდი მსგავსების სხვა დეტალებზეც საუბრობს – სახის ნაკვთების გამოსახვის სტილზე, სახელოების არშიებზე, თავსაბურავზე [Redford 1990:129], თუმცა, ეს მსგავსება გადაჭარბებულად გვეჩვენება.

ის ფაქტი, რომ საყოფაცხოვრებო ნივთებზე მოცეკვავე ფიგურების გამოსახვა ისლამურ სამყაროში უფრო ფართოდ გავრცელებული ჩანს, ვიდრე სხვაგან, გვაფიქრებინებს, რომ ქრისტიანული ქვეყნების გამოყ-

ენებით ხელოვნებაში ამ მოტივის დანერგვა ისლამური კულტურის გავლენის შედეგია. თუმცა, გამოსახვის მხატვრული გააზრება ინდივიდუალურია და ადგილობრივ ტრადიციებს ეყრდნობა. ამის თვალსაჩინო მაგალითია ჩვენ მიერ განხილული ფიგურა ქართული ჩაცმულობითა და ქართული ქორეოგრაფიისთვის დამახასიათებელი გამომსახველობითი ფორმებით. აღსანიშნავია, რომ პალერმოს კაპელა პალატინას ჭერზე გამოსახული სიუჟეტური სცენები მოცეკვავე ფიგურებთან ერთად, ერნსტ ჯ. გრუბემ ისლამური კულტურის გავლენის შედეგად მიიჩნია [Grube, Johns 2005:25].

რაც შეეხება იმ საკითხს, ქართული ცეკვის რომელი სახეობაა გამოსახული ჟინვალის ჯამზე, ვფიქრობთ, ეს "მთიულური" უნდა იყოს. სწორედ ამ სახელწოდებით აერთიანებს ქართული ქორეოგრაფიის ისტორიის მკვლევარი ლ. გვარამაძე ფშავურ, მოხევურ და ხევსურულ ქალთა ცეკვებს, ყველა მათგანისათვის დამახასიათებელი საერთო ნიშნების გამო. ესენია: ფეხების შენაცვლებითი სრიალა მოძრაობა, განზე გაშლილი ხელები მოღუნული იდაყვებითა და დაშვებული მტევნებით [გვარამაძე 1957:110.]. "მთიულურის" პოზაში მოცეკვავის გამოსახვა ლოგიკურიცაა. ჯამი ხომ ჟინვალის კერამიკულ სახელოსნოშია დამზადებული. ქალაქი ჟინვალი კი მთელი არაგვის ხეობის პოლიტიკური, კულტურული, სტრატეგიული და სავაჭრო-სატრანზიტო ცენტრი იყო, სადაც მთიელთა ტრადიციების დაახლოება და ურთიერთზეგავლენაც ხდებოდა.

დასასრულს, დასკვნის სახით გვინდა აღვნიშნოთ, რომ განხილული ჯამის დეკორს თავისთავადი მხატვრული ღირებულების გარდა, მრავალმხრივ საყურადღებო ისტორიული წყაროს მნიშვნელობაც აქვს. იგი გვაძლევს გარკვეულ დამატებით ვიზუალურ მასალას XII-XIII სს. ქართული ქორეოგრაფიისა და დაბალი სოციალური ფენის ჩაცმულობის შესახებ. დეკორზე ასახულია ის განსაკუთრებული ნიშნები, რომლებიც დღემდე არის შემორჩენილი. ესენია: ცეკვის დროს ხელებისა და ფეხების განლაგება, თავისა და ტანის მიმოხრითი პოზა, ტანსაცმლის დეტალები – სახელოები, კაბის სილუეტი, თავსაბურავი და სხვ. ჟინვალის ჯამის დეკორი ქართული ქორეოგრაფიისა და ეროვნული ჩაცმულობის განვითარების გარკვეულ სტადიას ასახავს.

LUIZA GVRITISHVILI

Georgian National Museum, Rustaveli Avenue 3, 0105 Tbilisi, Georgia,
Email: luiza.gvritishvili@posta.ge>

ABOUT A UNIQUE TYPE OF A MEDIEVAL GLAZED BOWL

SUMMARY

This study attempts to explore a decorative motive of the early 13th c. glazed bowl. It was discovered by the Zhinvali archaeological expedition in 1979. A dancing woman is incised on it. The messages conveyed by it provide us with valuable information for the Georgian national costume and choreography in the 12th-13th c. Therefore the bowl besides its artistic importance, has a considerable value as a historical documental source.

The function of such ornamented bowl was not limited to the use of a table accessory. It also demonstrates the welfare and a good taste of its owner, the period and the style as well, which was influenced by the fashion of neighbouring countries.

Decoration of the household utensils with dancing figures was mostly typical for the Islamic decorative art. In the Georgian context, the Zhinvali bowl is the unique case and we should consider it as an influence of Islamic culture. However, the artistic idea of the image is individual and is based on the local traditions. As it is visible, decoration of the Zhinvali bowl demonstrates development of Georgian choreography and national dressing.

ბიბლიოგრაფია

1. **ამირანაშვილი შ. 1944:** ქართული ხელოვნების ისტორია, თბილისი.
2. **ბეზარაშვილი ც. 1974:** ქალის სამოსელი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. თბილისი.
3. **ბოჭორიშვილი ლ. 1947:** კახური ჩაცმა-დახურვა – ს. ჯანაშია (რედაქტორი), "ანალები" (ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები), 1, გვ. 199-214. თბილისი.
4. **გვარამაძე ლ. 1957:** ქართული ხალხური ქორეოგრაფია. თბილისი.
5. **კუხიანიძე ც. 2005:** სარიტუალო ცეკვის კომპოზიცია წარმართული პერიოდის ქართულსა და ეტრუსკულ ხელოვნებაში = ნადარაია ნ. (რედაქტორი). "ნარკვევები," X, გვ. 56-67. თბილისი.

6. **ლამბერტი არქანჯელო. 1938:** სამეგრელოს აღწერა. თბილისი.
7. **მაისურაძე ზ. 1953:** ქართული მხატვრული კერამიკა. თბილისი.
8. **მარგველაშვილი მ. 1995:** ქალაქი ჟინვალი (ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა), დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი.
9. **მუსხელიშვილი ლ. 1941:** არქეოლოგიური ექსკურსიები მაშავრის ხეობაში. თბილისი.
10. **ორბელიანი სულხან-საბა. 1949:** თბილისი.
11. **ოჩიაური თ. 1953:** ხევსური ქალის თანამედროვე ჩაცმულობა = "მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის," VI, გვ. 35-54. თბილისი.
12. **რჩეულიშვილი გ. 1985:** ჟინვალის ნაქალაქარის მოჭიქული ჯამები = რამიშვილი რ. (რედაქტორი), "არქეოლოგიური ძიებანი" (ახალგაზრდა მკვლევართა IV დაV სამეცნიერო სესიის მასალები), გვ. 124-129. თბილისი.
13. **ურუშაძე ნ. 1982.** ქართული თეატრის ამბავი. თბილისი.
14. ქართლის ცხოვრება 1. 1955: თბილისი.
15. ქართული ქრისტიანული ხელოვნება. 2008: თბილისი.
16. **ჩიტაია გ. 2000:** მასალები ქართული ჩაცმულობის ისტორიისათვის = მეტრეველი რ. (რედაქტორი), "შრომები," 11, გვ. 269-279. თბილისი.
17. **ჩიკოიძე ც. 1969:** ქალაქ თელავის ისტორიისთვის = გ. ლომთათიძე (რედაქტორი). "ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები," 1, გვ. 27-45, თბილისი.
18. **ჩოფიკაშვილი ნ. 1964:** ქართული კოსტიუმი (VI-XIV სს) თბილისი.
19. **ციციშვილი ივ. 1954:** მასალები ქართული ჩაცმულობის ისტორიისათვის. თბილისი.
20. **ჭილაშვილი ლ. 1975:** ძველი გავაზი. თბილისი.
21. **ჯანელიძე დ. 1983:** ქართული თეატრის ისტორია. თბილისი.
22. **Джанелидзе Д. 1959:** Грузинский театр, Тбилиси.
23. **Рамишвили Р., Джорбенадзе В. 1982:** Жинвальская экспедиция, полевые археологические исследования 1979 года (Краткие сообщения). Лордкипанидзе О. Микеладзе Т., Джалагания И. (редакционная коллегия), стр. 106-117. Тбилиси.
24. **Чубинашвили Г. 1948:** Памятники типа Джвари. Тбилиси.
25. **Шелковников Б. 1957:** Поливная керамика из раскопок города Ани. Ереван.
26. **Якобсон А. 1950:** Средневековый Херсонес. Артамонов М. (редактор), **"**Материалы и исследования по археологии СССР``, 17, стр. 5-255, М.Л.
27. **Ettinghausen R., Grabar O., Jenkis-Madina M. 2001:** Islamic Art and Architecture 650-1250, Yale University Press, Pelica History of Art, New Haven - London.
28. **Gokcigdem Elif. 1998:** A Thematic Approach to Seljuk Figural Imagery: Dancing Figures Found on a group of Candlestick, "Sanat Tarihi Defterleri", 2,

Istanbul.
29. Grube E. J., Johns J. 2005: The Painted Ceilings of the Capella Palatina, The East-West Foundation, New-York.
30. Hanaa M. Adly. 2007: A Study on Islamic Human Figure Representation in Light of a Dansing Scene, Halvan University, Egypt.
31. Mepisashvili R., Tsintsadze V. 1979: The Arts of Ancient Georgia, New-York.
32. Pope A. U.1967: A Survey of Persian Art , v. IV, London- New-York.
33. Redford Scott. 1990: How Islamic is it? The Insbruck Plate and its Setting, "Muqarnas", v,7.
34. Watson O. 2005: Ceramics from Islamic Lands,Thames and Hudson, New-York.

ილუსტრაციების აღწერილობა

სურ. 1. ჟინვალის მოჭიქული ჯამის ზედხედი.
სურ. 2. ჟინვალის მოჭიქული ჯამის გვერდხედი.

LIST OF ILLUSTRATIONS

Fig. 1. Glazed bowl from Zhinvali (inner side).
Fig. 2. Glazed bowl from Zhinvali (view from side).

სურ. 1 Fig.

სურ. 2 Fig.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია №1 (46-B), 2010, 232-240
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences №1 (46-B), 2010, 232-240

ნუმიზმატიკა

თინათინ ქუთელია

საქართველოს ეროვნული მუზეუმი, რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო

იყალთოს განძი

იყალთოს მონასტრის არქეოლოგიური გათხრების დროს, 2008 წელს მონასტრის გარეთ, დასავლეთი კარიბჭის ჩრდილო-დასავლეთი ბურჯიდან თხუთმეტიოდე სმ-ის დაშორებით ვერცხლის 12 მონეტა აღმოჩნდა, რომლებიც არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელმა კ.წერეთელმა განსასაზღვრავად გადმომცა. მისივე ნებართვით ვაქვეყნებ ამ მონეტებს.

გაირკვა, რომ 12 მონეტიდან 11 მოჭრილია ირანის ჰულაგუიდი მმართველის, სულთან აბუ სა'იდის (1317-1335) სახელით, ერთი კი ე.წ. "ყაანური" მონეტაა: ასეთ ფულს 1261-1280 წლებში თბილისის ზარაფხანა ამზადებდა.

საქართველოს ტერიტორიაზე ამ დრომდე დაფიქსირებული იყო აბუ-სა'იდის მონეტების აღმოჩენის 16 შემთხვევა და ამ აღმოჩენათა უმეტესობა თითო-ოროლა ეგზემპლარს ითვლის. მხოლოდ ერთ შემთხვევაში, ჯანდარაში (მარნეულის რაიონი) ნაპოვნ განძში აბუ სა'იდის შვიდი მონეტა დაფიქსირდა [ღვაბერიძე 1986, 70]. ამდენად, იყალთოს განძი ჩვენამდე მოღწეულ განძთა შორის აბუ სა'იდის მონეტების ყველაზე დიდ რაოდენობას შეიცავს – 11 ცალს.

იყალთოს განძის ყველაზე ადრეული მონეტა, როგორც უკვე ითქვა, ე.წ. ყაანური დირჰემია, რომელსაც თბილისში მონღოლთა დიდი ყაენის, მანგუს (1251-1259) სიკვდილის შემდეგ ჭრიდნენ, ჰიჯრის 660-678 წლებში, რაც ქრისტიანული წელთაღრიცხვით 1261-1280 წლებს შეესაბამება. ეს მონეტები ანონიმურია. მათზე ყაენის სახელი დაფიქსირებული არ არის, მხოლოდ ზოგადად იხსენიება ყაენი ეპითეტითურთ: "ყაენი სამართლიანი." ყაანური დირჰემები, სამონეტო ზედწერილის თავისებურებათა საფუძველზე, ორ ჯგუფად იყოფა. ერთი ჯგუფის მონეტებზე მოჭრის თარიღის თვე და რიცხვი რევერსის სამონეტო არეზე, სეგმენტებშია განლაგებული. ამ ჯგუფს I ტიპის ყაანურს უწოდებენ და მათი ემისია ხორციელდებოდა ჰიჯრის 660-663 წლებში, რაც 1261-1265 წლებს შეესაბამება. მეორე ჯგუფის დირჰემებზე, რომელთაც II ტიპის ყაანურს უწოდებენ, მოჭრის თარიღი მონეტის ცენტრში, რევერსის ზედწერილის პირველ და მეორე სტრიქონებს შორის არის განთავსებული. II ტიპის ყაანურებს თბილისში ჭრიდნენ ჰიჯრის 664-678 წლებში, რაც 1265-1280

წლებს შეესაბამება [Пахомов 1970, 147-150; Джалаганиа 1958, 47-50].

იყალთოს განძის მონეტა II ტიპის ყაანური დირჰემია. მონეტა გაცვეთილია, მაგრამ ზედწერილი მაინც იკითხება, ასევე მოჭრის თარიღიც.

გთავაზობთ ამ მონეტის აღწერილობას [Пахомов 1970, 150; ლომოური 2005, 67; Джалаганиа 1958, 50].

№1. ყაანური დირჰემი, II ტიპი. ვერცხლი. წონა: 2,80 გ. ზომა: 20-22 მმ.

Av. ერთმანეთში გადაწნული ორი სამკუთხედისგან შედგენილი ექვსქიმიანი ვარსკვლავი, ე.წ. სოლომონის ბეჭედი. მისი გვერდები ორ ხაზს შორის ჩამწკრივებული წერტილებისაგან შედგება. ცენტრში მოთავსებულია არაბული წარწერა ორ სტრიქონად: قان العادل („ყანი სამართლიანი”).

Rv. ფიგურულ ოთხბუდიან ხაზოვან-წერტილოვან ჩარჩოში ჩასმულია არაბული წარწერა – რელიგიური სიმბოლო, სამ სტრიქონად: لا اله الا الله وحد لا شريك له (“არ არის ღმერთი, გარდა ალაჰისა მხოლოისა და არ ჰყავს მას თანაგამზრახი”). წარწერის პირველსა და მეორე სტრიქონებს შორის წვრილი ასო-ნიშნებით მოჭრის თარიღი წერია – თვე და წელი ۶

ჰიჯრით 670 წლის შავალის თვე, რაც ჩვენი წელთაღრიცხვით 1272 წლის მარტს შეესაბამება. ისე, როგორც ზოგიერთ სხვა მონეტაზე [Пахомов 1970, 155, ტაბ.XIX, №56], ამ მონეტაზეც .

(“სამოცდაათი”) შემოკლებით არის დაწერილი: ٦

იყალთოს განძის დანაჩენი 11 მონეტა მოჭრილია სულთან აბუ სა’იდის სახელით. 8 მონეტაზე ზარაფხანის სახელი – “თბილისიც” იკითხება, სამზე ზარაფხანის სახელი წაშლილია, მაგრამ, სავარაუდოა, რომ ისინიც თბილისური ემისიაა, რადგან თერთმეტივე მონეტის წარწერები სხვა მხრივ სავსებით ერთნაირია.

იყალთოს განძის აბუ სა’იდის მონეტების წონა 2,85 და 3,40 გრამს შორის მერყეობს (საშუალო წონა 3,24 გ), რაც გვაუწყებს, რომ თერთმეტივე მონეტა ორიანი დირჰემი, ანუ ორდირჰემიანი ნომინალია. ცნობილია, რომ ირანის ჰულაგუიდმა მმართველმა, ილხანმა ყაზან ყაენმა 1296 წელს ფულის რეფორმა განახორციელა, რომლის მიზანი იყო ფულის ძირითადი ერთეულის – დირჰემის წონის, ლითონის სინჯისა და ზედწერილის უნიფიცირება. რეფორმით დადგენილი სტანდარტი სავალდებულო იყო ჰულაგუიდთა მფლობელობაში შემავალი ყველა სახელმწიფოსათვის, მათ შორის, ცხადია, საქართველოსთვისაც. ასე, რომ რეფორმა თბილისის ზარაფხანასაც შეეხო. ყაზან ყაენმა დირჰემის წონად 2,15 გ დაადგინა, მაგრამ რეფორმით შემოღებულმა სტანდარტმა დიდხანს ვერ გაძლო და ყაზან ყაენის მომდევნო მმართველების დროს მონეტის წონამ სისტემატური კლება დაიწყო ისე, რომ აბუ სა’იდის მმართველობის დასასრულს, ჰიჯრის 733 წელს (=1332/33 წ.) დირჰემის წონა 1,40 გ-მდე დაეცა [Сейфеддини 1981. ყველა ეს ცვლილება თბილისის ზარაფხანის პროდუქციაზეც აისახა [Пахомов 1970, 176; ღვაბერიძე 1986, 28]. იყალთოს განძში მოხვედრილი, აბუ სა’იდის სახელით თბილისის ზარაფხანაში მოჭრილი 11 მონეტის მონაცემებით, დირჰემის

საშუალო წონა ჰიჯრის 727 წელს (=1326/27წწ.), როდესაც მოჭრილია განძის თერთმეტივე მონეტა (იხ. ქვემოთ), 1,58 გ ყოფილა.

სულთანი აბუ სა'იდი ჰულაგუიდთა დინასტიის უკანასკნელი გამოჩენილი წარმომადგენელი იყო. მისი მმართველობა ცენტრალურ ხელისუფლებასა და სამხედრო-მომთაბარე არისტოკრატიას შორის პერმანენტული დაპირისპირებით აღინიშნა [Сейфеддини М. 1981, 9]. აჯანყებულებთან ერთ-ერთი შეტაკების შემდეგ, რომელიც სულთნისა და მის კარზე დაწინაურებული ემირის, ჩობანის გამარჯვებით დასრულდა, ჰიჯრის 722 წელს, ანუ ჩვენი წელთაღრიცხვით 1322/23 წელს, აბუ სა'იდმა "გამარჯვებული ხანის" بهادر خان ("ბაჰადურ ხანის") ტიტული მიიღო [Пахомов 1970, 180].

იყალთოს განძის თერთმეტივე მონეტის ავერსზე აბუ სა'იდის სახელს ეს ეპითეტი ახლავს, რაც იმის მაუწყებელია, რომ ყველა ეს მონეტა 1322/23 წლის შემდეგ უნდა იყოს მოჭრილი. მართლაც, განძის აბუ სა'იდის სახელით აღბეჭდილი 11 მონეტიდან 10-ზე მოჭრის თარიღი კარგად იკითხება, ჰიჯრის 727 წელი (=1326/27წწ.), მაგრამ მეთერთმეტე მონეტაც (იხ. სიით №2), რომელზეც მხოლოდ თარიღის ასეულისა და ათეულის აღმნიშვნელი ციფრებია შერჩენილი, ეჭვგარეშეა, რომ იმავე წელს არის მოჭრილი, ამის შესახებ მეტყველებს მონეტის ტიპი. საქმე ის არის, რომ დაწყებული სულთან ოლჯაითუს (ჰიჯ.703-717წწ.=1304-1317წწ.) დროიდან ჰულაგუიდური მონეტების ტიპი პერიოდულად იცვლებოდა და ეს პროცესი აბუ სა'იდის დროსაც გაგრძელდა, როდესაც ერთმანეთისაგან განსხვავებული სიქებით მოიჭრა მონეტები ჰიჯრის 717-718, 719-722 და 723-726 წლებში. ჰიჯრის 727 წელს მონეტის ტიპი კიდევ ერთხელ შეიცვალა. ამ ტიპმა მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში იარსება და ჰიჯრის 728 წელს ისევ შეიცვალა. ჩვენი სიის №9 მონეტაც ჰიჯრის 727 წლის სიქით არის მოჭრილი. სამონეტო სიქების ცვალებადობის დადგენამ თავის დროზე ე. პახომოვს საშუალება მისცა აბუ სა'იდის სახელით მოჭრილ თბილისურ მონეტებზე ერთმანეთისაგან განესხვავებინა დაუდევრად დაწერილი ციფრების سبع تسع (შვიდიანისა და ცხრიანის) აღმნიშვნელი სიტყვები [Пахомов 1970, 180].

გთავაზობთ განძის ყველაზე უკეთ დაცული №3 მონეტის აღწერილობას [Пахомов Е. 1970, 184; ლომოური თ. 2005, 103; ღვაბერიძე ც. 1986, 31].

№8. ორი დირჰემი, ვერცხლი. აბუ სა'იდი, თბილისი, ჰიჯრის 727 წ. (=1326/27წწ.), წონა 2,85 გ, დიამეტრი 23 მმ.

Av. წერტილოვან-ხაზოვან რკალში მოთავსებულია რვა ურთიერთგადამკვეთი რკალისაგან შედგენილი ჩარჩო (ბუდე), რომელშიც ჩასმულია არაბული ზედწერილი სამ სტრიქონად:

السلطان الاعظم ابو سعيد بهادرخان خلد الله ملكه

("სულთანი უზენაესი, აბუ სა'იდ, ბაჰადურ ხანი. ხანგრძლივ ჰყოს ალაჰმა მეფობა მისი").

ჩარჩოს გარეთ სეგმენტებში არაბული წარწერაა:

("იჭედა თბილისში, წელსა შვიდას ოცდაშვიდს"). ضرب تفليس في سنة سبع و عشرين و سبعماية

Rv. წერტილოვან-ხაზოვან რკალში რვა ურთიერთგადამკვეთი რკალისაგან შედგენილი ბუდეა მოთავსებული. რკალები ავერსისაგან განსხვავებით, მონეტის გარეპირისაკენ არის გაზნექილი და მათი გადაკვეთის ადგილებზე ცენტრში წერტილიანი რგოლაკებია ჩასმული. ბუდეში სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილი – რელიგიური სიმბოლო

لااله الا الله محمد رسول الله

("არ არის ღმერთი გარდა ალაჰისა, მუჰამედი მოციქულია მისი"), ხოლო სიმბოლოს გარშემო ოთხი მართლმორწმუნე ხალიფას სახელია ابوبكر عمر عثمان علئ (აბუბექრი, ომარი, ოსმანი, ალი) მოთავსებული.

გთავაზობთ განძის შემადგენელი მონეტების სიას.

№	მმართველი	თარიღი	ზარაფხანა	წონა	ზომა	ნომინალი
01	ანონიმური ყაანური II ტიპი	670 ჰ. (=1272)	თბილისი	2,60 გ	20-22მმ	დირჰემი
02	აბუ-სა'იდი	727 ჰ. (=1326/7)	თბილისი	3,38 გ	22-23მმ	ორი დირჰემი
03	აბუ-სა'იდი	727 ჰ. (=1326/7)	თბილისი	2,85 გ	23 მმ	ორი დირჰემი
04	აბუ-სა'იდი	727 ჰ. (=1326/7)	თბილისი	3,05 გ	24 მმ	ორი დირჰემი
05	აბუ-სა'იდი	727 ჰ. (=1326/7)	თბილისი	3,13 გ	22-24მმ	ორი დირჰემი
06	აბუ-სა'იდი	727 ჰ. (=1326/7)	თბილისი	3,30 გ	23-25მმ	ორი დირჰემი
07	აბუ-სა'იდი	727 ჰ. (=1326/7)	თბილისი	3,20 გ	22-23მმ	ორი დირჰემი
08	აბუ-სა'იდი	727 ჰ. (=1326/7)	თბილისი	3,18 გ	23-24მმ	ორი დირჰემი
09	აბუ-სა'იდი	727 ჰ. (=1326/7)	თბილისი	3,06 გ	23-24მმ	ორი დირჰემი
10	აბუ-სა'იდი	727 ჰ. (=1326/7)	თბილისი	3,30 გ	23 მმ	ორი დირჰემი
11	აბუ-სა'იდი	727 ჰ. (=1326/7)	[თბილისი]	3,20 გ	23 მმ	ორი დირჰემი
12	აბუ-სა'იდი	727 ჰ. (=1326/7)	[თბილისი]	3,10 გ	23-24მმ	ორი დირჰემი

NUMISMATICS

TINATIN KUTELIA

Georgian National Museum, Rustaveli Avenue 3, 0105 Tbilisi, Georgia

THE IQALTO HOARD

SUMMARY

Twelve silver coins were discovered near the North-West gate of the church at the Iqalto monastic complex (Telavi district) during the archaeological excavations in 2008. It was apparently a hoard donated to the church.

Eleven coins of the hoard were minted in Tbilisi in AH 733 (=AD1332/33) in the name of the Hulaguid ruler of Iran Abu Sa'id, while one coin is anonymous, the so - called *Kaannik II* type, which was minted in Tbilisi in the month of Shaval AH 670 (=March AD 1272).

ბიბლიოგრაფია

1. **კაპანაძე დ. 1969:** ქართული ნუმიზმატიკა, თბილისი.
2. **ლომოური თ. 2005:** ფულის მიმოქცევის ისტორიისათვის შუასაუკუნეების საქართველოში, თბილისი.
3. **ღვაბერიძე ც. 1986:** საქართველოს ურთიერთობა ილხანთა ირანთან და ჯელაირთა სახელმწიფოსთან, თბილისი.
4. **Джалаганиа И. 1958:** Из истории монетного дела в Грузии XIII века, Тбилиси.
5. **Пахомов Е. 1970:** Монеты Грузии, Тбилиси.
6. **Сейфеддини М. 1981:** Монетное дело и денежное обращение в Азербайджане XII-XV вв. Книга II, XIV- XV вв., Баку.

ილუსტრაციების აღწერილობა

სურ. 1. ანონიმური. ყაანური II ტიპი. თბილისი. ჰიჯრის 670, შავალი (=1272, მარტი).
სურ. 2-11. აბუ სა'იდი. თბილისი. ჰიჰრის 727 (=1326/27).

LIST OF ILLUSTRATIONS

Fig. 1. Anonymous. Kaannik II type. AH 670, Shaval (=March AD 1272).
Fig. 2-11. Abu Sa'id. Tbilisi. AH 727 (=AD1326/27).

სურ. 1 Fig.

სურ. 2 Fig.

სურ. 2 Fig.

სურ. 3 Fig.

სურ. 4 Fig.

სურ. 5 Fig.

სურ. 6 Fig.

სურ. 7 Fig.

სურ. 8 Fig.

სურ. 9 Fig.

სურ. 10 Fig.

სურ. 11 Fig.

სურ. 12 Fig.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია №1 (46-B), 2010, 241-254
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences №1 (46-B), 2010, 241-254

ნუმიზმატიკა

ციალა ღვაბერიძე

საქართველოს ეროვნული მუზეუმი, რუსთაველის გამზირი 3, 0105,
თბილისი, საქართველო

ყარადაჯის განძი

1940 წელს სოფელ ყარადაჯში (სიღნაღის რაიონი) 190 ჰულაგუიდური ვერცხლის მონეტა აღმოაჩინეს [Пахомов Е. 1959; №1160]. მოქალაქე მ. გუკასიანის დახმარებითა და სიძველეთა დაცვის კომიტეტის მეშვეობით, განძი ერევნის ისტორიულ მუზეუმს გადაეცა. იგი ამავე მუზეუმში ინახება და გატარებულია ნომრით №№11627-11816. განძზე მუშაობისას განვსაზღვრეთ და დავათარიღეთ მონეტები, მივაკუთვნეთ რიგითი ნომრები. ამ განძის ნაწილია 24 ჰულაგუიდური ვერცხლის მონეტა,(საქართველოს ეროვნული მუზეუმის განძების ფონდი №№5549-5572) აღმოჩენილი რომელიც აღმოჩნდა მიწის სამუშაოების მიმდინარეობის დროს სოფ. ყარადაჯში. ამრიგად, განძი 214 ვერცხლის მონეტისაგან შედგება.

სოფ. ყარადაჯი საქართველოს უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში, მდინარეების ალაზნისა და ივრის წყალგამყოფზე მდებარეობს. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით ყარადაჯი XIII ს-ის 60-იან წლებში ბერქა ყაენს ლაშქრობის დროს აუოხრებია [ქართლის ცხოვრება 1973: 541]. მიუხედავად ამისა, ყარადაჯს მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობის გამო, არც მომდევნო პერიოდში დაუკარგავს მნიშვნელობა. დროდადრო იგი კახეთის ადმინისტრაციული ცენტრიც კი ყოფილა. ასე მაგალითად, XVII ს-ში კახეთის მაჰმადიანი ხანები ყარადაჯში ისხდნენ [ქართლის ცხოვრება 1973: 599, 604-606]. ყარადაჯზე მნიშვნელოვანი სავაჭრო-საქარავნო გზა გადიოდა, რომელიც შაქსა და შირვანს, სიღნაღ-თელავის, ახმეტა-თიანეთ-ჟინვანისა და დარიალის ხეობის გავლით, ჩრდილოეთ კავკასიასთან აკავშირებდა [ცინცაძე 1976: 57]. ამრიგად, ამ ქალაქის დაწინაურებას სავაჭრო-სატრანზიტო გზის არსებობამ შეუწყო ხელი.

ილხანები საქართველოში მონეტებს, თბილისისა და ახალციხის გარდა, ყარადაჯშიც ჭრიდნენ. (ჰ.737; 738; 740-758 წწ). ამერიკის ნუმიზმატიკურ საზოგადოებაში დაცული, ილხან ოლჯაითუ სულთნის (1304-1317) სახელით ჰ. 711 წ. (1311-1312) ყარადაჯში მოჭრილი დირჰემის შესახებ ინგლისელმა ორიენტალისტმა დ. ლანგმა გამოთქვა მოსაზრება – ეს ზარაფხანა მცირე აზიაში კოიულ ჰისარის მახლობლად მდებარე ყარადაჯი უნდა იყოს. ხოლო უკანასკნელი ილხანების (მუ-

ჰამედი, სულეიმანი, ანუშირვანი) სახელით მოჭრილ მონეტათა გამოქვეყნებისას ავტორი ადასტურებს, რომ ეს ზარაფხანა საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე ყარადაჯია, რადგან ამ დროისათვის ილხანთა იმპერია დაშლილი იყო, იგი შემოიფარგლებოდა აზერბაიჯანით, არრანით, მუღანით, საქართველოთი, ერაყით, აჯამითა და ქურთისტანით [Lang 1955: 71-72]. დ. კაპანაძე უკანასკნელი ილხანების დროს ყარადაჯის სახელწოდებით სახელწოდებით გამოშვებულ მონეტებს ქართულ ზარაფხანად მიიჩნევს [კაპანაძე 1944: 145].

1296 წ. ილხანთა ირანში სამონეტო რეფორმა განხორციელდა, რომელიც ყაზან ყაენის (1295-1304) რეფორმის სახელითაა ცნობილი. შემოღებულ იქნა ახალი სამონეტო სისტემა, რასაც საფუძვლად დაედო ვერცხლის დირჰემი. დირჰემის წონითი სტანდარტი 2,13 გრამით განისაზღვრა და ნახევარ მისხალს უდრიდა. არაბული სამონეტო სისტემის ძირითადი ნომინალი – ვერცხლის დირჰემი შეიცავდა 4 დანგ ვერცხლს. დანგი – არამეულად – მარცვალი, ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებსა და საქართველოში ფულისა და წონის ეროეული იყო. შუა საუკუნეებში ქართულ წონით სისტემაში დანგი დრამის მეოთხედს უდრიდა, ან მისხლის 1/6 ნაწილს და 0,71 გრამს იწონიდა[1]. XIII ს-ში, საქართველოში დირჰემები, იგივე დრამები, ამ სისტემით იჭრებოდა. ყაზან ყაენის სამონეტო სისტემაში კი ძირითადი ეროეული დირჰემი შემცირდა და სამი დანგის წონისა გახდა. ამ ძირითად ეროეულზე დაყრდნობით, ილხანთა სამფლობელოში ვერცხლის მონეტების სხვადასხვა ნომინალს აწარმოებდნენ: ნახევარ დირჰემს, დირჰემს, ორიან დირჰემსა და ექვსიან დირჰემს, ანუ დინარს. ყაზან ყაენის მიერ შემოღებული სამონეტო სისტემა ილხანთა ირანში შემავალი ყველა ქვეყნისათვის, მათ შორის საქართველოს სამეფოსთვის, რომელიც ილხანთა ვასალად ითვლებოდა, სავალდებულო იყო. საქართველოში სამონეტო ტერმინი „დრამა," რომელიც ოთხი დანგის წონის დირჰემს შეესაბამებოდა, ამიერიდან შეიცვალა ტერმინით „თეთრი". (სამი დანგის წონის სამონეტო ეროეული)

ყაზანის ფულადი რეფორმით დაკანონებული დირჰემის წონამ განსაზღვრა საქართველოს ზარაფხანებში (თბილისი, ახალციხე, ყარადაჯი) მოჭრილი ვერცხლის მონეტების წონაც. აღნიშნული ნომინალებიდან საქართველოს სამეფოს ზარაფხანებში იჭრებოდა: ნახევარი დირჰემი, დირჰემი და ორიანი დირჰემი. მართალია, ჯერჯერობით, ექვსიანი დირჰემი (დინარი) არ გვხვდება, მაგრამ საქართველოს ზარაფხანებში მისი ემისია არ არის გამორიცხული. მონღოლთა სამფლობელოში დირჰემი ძირითადი ფულადი ეროეული გახდა.

იმისთვის, რომ საქართველო არ მოქცეულიყო ეკონომიკურ ბლოკადაში, არ მოწყვეტილიყო იმდროინდელ სავაჭრო-ეკონომიკურ ცენტრებს, საქართველოს ზარაფხანაში ილხანების სახელით მოჭრილი მონეტების ემისია არ შეწყვეტილა. მიუხედავად მონღოლური ფულადი-წონითი სისტემის დამკვიდრებისა საქართველოში, ჩვენს საისტორიო წყაროებში არაბული და ქართული სამონეტო ტერმინოლოგიის თა-

[1]საქართველოში დანგი დრამის ან თეთრის შემადგენელი ნაწილია

ნაარსებობა არ ჩანს. XIII-XIV სს ქართულ საკანონმდებლო ძეგლებსა და დოკუმენტებში გადახდის კანონიერ საშუალებად ვერცხლის ფული ქართული სახელწოდებით „თეორია“ დადასტურებული. იგი კონკრეტული ფულადი ერთეულის აღმნიშვნელია და ღირებულებით თანადროულ მონღოლურ დირჰემს შეესაბამება, რომლის წონაც დროთა განმავლობაში იცვლებოდა [ღვაბერიძე 1986: 101-107].

ძველ ქართულ იურიდიულ ძეგლებში (ბექა მანდატუროუხუცესის სამართალი, რომელიც დაიწერა 1295-1304 წწ. შორის, გიორგი ბრწყინვალეს „ძეგლის დადება,“ რომელიც შეიქმნა 1334-1335 წწ. და ათაბაგ აღბუღას სამართალი, რომელიც 1381-1386 წწ. განეკუთვნება) აღნიშნულია, რომ დაწესებული სახდაურის გადახდა ილხანების სახელით მოჭრილი მონეტებით ხდებოდა. ეს მონეტები ქართულ წყაროში „თეორით“ არის მოხსენიებული. ილხანთა ირანში „დირჰემი“ ოფიციალური სამონეტო ტერმინი იყო. მაგრამ, როგორც დასახელებული სამი ქართული იურიდიული ძეგლი გვიჩვენებს, საქართველოში ოფიციალურ სამონეტო ტერმინად მხოლოდ „თეორია“ დამოწმებული. ამრიგად, შუა საუკუნეების ქართულ წერილობით წყაროებში ჰულაგუიდური დირჰემი „თეორით“ იხსენიება.

საქართველოს ზარაფხანებში მოჭრილი მონეტები, ილხანთა ირანის ზარაფხანების პროდუქციისაგან მხოლოდ ზარაფხანის სახელწოდებით განსხვავდებიან. ყარადაჯის განძის ძირითად ნაწილს ანუშურვან ჰულაგუიდის (1344-1356) სახელით მოჭრილი მონეტები წარმოადგენს, ხოლო რამდენიმე მონეტა სულეიმან ხანს (1339-1344) ეკუთვნის. განძის ყველა მონეტა ორიანი დირჰემია (იგივე ორი თეორი), მხოლოდ ერთი მონეტაა წარმოდგენილი დირჰემის სახით. ეს ფული აღმოსავლეთ საქართველოში მიმოქცევაში იყო გიორგი V ბრწყინვალისა (1318-1346) და დავით IX-ის (1346-1360) დროს. იგი გადახდის ძირითადი კანონიერი საშუალება გახდა.

ყაზან ყაენის შემდეგ დირჰემის გაუფასურება აღნიშნულია როგორც ქართულ, ისე უცხოურ ისტორიულსა და ნუმიზმატიკურ ლიტერატურაში. თუ ყაზანის დროს დირჰემის წონა იყო 2,13 გრამი, ილხან ანუშირვანის დროისათვის იგი მხოლოდ 0,7 გ იწონიდა. ეს მოვლენა წინა აზიის ქვეყნებზე თანაბრად ისახებოდა. წონაში კლებულობდა და ანალოგიურ ცვლილებას განიცდიდა ილხანების სახელით საქართველოს ზარაფხანებში გამოშვებული ფულიც. დირჰემის წონის დაქვეითება ილხანთა ირანის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ყოველივე ამან კი, ქვეყნის მძიმე ფინანსური კრიზისი და ილხანთა სახელმწიფოს დაცემა გამოიწვია.

ყარადაჯის განძის მონეტები მოჭრილია შემდეგ ზარაფხანებში: თბილისი (14 ცალი), ყარადაჯი (3 ც), ბაზარი (17 ც), თავრიზი (32 ც), ანისი (3 ც), კარჯინი (2 ც), ალაგირი (1 ც), შირვანი (5 ც), ბარდა (4 ც), განჯა (5 ც), ყარაბადი (5 ც), სულტანიე (2 ც), შირაზი (2 ც), სალმასი (2 ც), ქაშანი (2 ც), მარაღა (2 ც), არჯიში (11 ც), მარდინი (1 ც), მოსული (1 ც), ყაზვინი (1 ც), ბაბი (1 ც). მონეტების ნაწილზე ზარაფხანის სახელი გადასულია

საინტერესო სურათს იძლევა განძის მონეტების ზარაფხანების სია. აღ-

სანიშნავია ის ფაქტი,რომ იგი მოიცავს არა მარტო ილხანთა სახელმწიფოს ცენტრალური რეგიონის ზარაფხანების პროდუქცია,არამედ სხვა შორეული ქალაქების დირჰემებსაც. განძში მოხვედრილია ახალი ზარაფხანის – „კარჯინის“ (ჩრდილოეთ ოსეთი) სახელწოდება. ერთი მონეტა საქართველოს ეროვნული მუზეუმის კუთვნილებაა,ხოლო ამავე განძის მეორე მონეტა,რომელიც ერევნის მუზეუმშია დაცული,იგივე ზარაფხანის აღმნიშვნელია. კარჯინის ზარაფხანის აღმოჩენა საინტერესოა, როგორც დამადასტურებელი ფაქტი საქართველოსა და ოსეთს შორის ტრადიციული კულტურულ-ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობისა,რომელიც ხორციელდებოდა დარიალის გზით [ღვაბერიძე 1986: 90-101].

განძის ქრონოლოგიური დიაპაზონი 15 წლით განისაზღვრება ჰ. 740-755 წწ. (1339-1355). მისი დაფლვა XIV ს-ის მესამე მეოთხედში უნდა მომხდარიყო.

ვიძლევით ყარაღაჯის განძის ძირითადი სამონეტო ტიპების აღწერილობას.

ტაბულა I №1[2].

ქ. ერევნის ისტორიული მუზეუმის ფონდი №№11627-11816. №183. სულეიმანი, თავრიზი ჰ. 740 წ. (1339-1340) ორი თეთრი.

წონა – 1,43 გ. ზომა – 18/19 მმ.

Av. სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილი მოთავსებულია წრეში, რომელიც გარე არშიასთან ოთხი რგოლით არის დაკავშირებული. შუაში:

السلطان სულთანი

العـدل ســـــليمان სამართლიანი სულეიმანი

خلد ملكه خان ხანი განიგრძოს მეფობა მისი

სეგმენტებში ზარაფხანა და თარიღი:

ضرب تبريز في سنة اربعين و سبعماية

მოიჭრა თავრიზს 740 წ. لا اله الا الله محمد رسول الله

Rv. წრეში ჩასმულია ექვსკუთხედი, შუაში სამ სტრიქონზე სუნიტუ-

[2] ტაბულაზე მოთავსებული მონეტების ზომა გადიდებულია ორჯერ.

რი რწმენის ფორმულა: أبــو بكـــر ,عمر ,عثمــان ,علــي

არ არის ღმერთი გარდა ალლაჰისა მუჰამედი მოციქულია მისი სეგმენტებში ოთხი პირველი ხალიფას სახელი:

აბუ ბაქრი, ომარი, ოსმანი, ალი.

ტაბულა I №2.

ქ. ერევნის ისტორიული მუზეუმის ფონდი №№11627-11816. №149. სულეიმანი, ალაგირი, ჰ. 741 წ. (1340-1341) ორი თეთრი.
წონა – 1,38 გ. ზომა – 16/17 მმ.
Av. წრეში მოთავსებულია რვა რკალისაგან შედგენილი ჩარჩო, შუაში სამ სტრიქონზე არაბულად:

السلطان სულთანი

خلد ملكه განიგრძოს მეფობა მისი

მეორე ხაზზე უიღურულად „სულეიმანი“.
გარშემო:

ضرب الاكير في سنة احد اربعين و سبعماية

მოიჭრა ალაგირს, 741 წელს.

Rv. წრეში მოთავსებულია რვა რკალისაგან შედგენილი ჩარჩო, შუაში სამ სტრიქონზე არაბულად:

لا اله الا الله محمد رسول الله

არ არის ღმერთი გარდა ალლაჰისა მუჰამედი მოციქულია მისი
გარშემოწერილში – ოთხი პირველი ხალიფას სახელი.

ტაბულა I №3.

ქ. ერევნის ისტორიული მუზეუმის ფონდი №№11627-11816. №182. სულეიმანი, თბილისი, ჰ. 741 წ. (1340-1341) ორი თეორი.

წონა – 1,41 გ. ზომა – 17/18 მმ.

Av. ხაზოვან წრეში მოთავსებულია რვა რკალისგან შედგენილი ჩარჩო. შუაში:

السلطان — სულთანი

العادل سليمان — სამართლიანი სულეიმან

خان خلد ملكه — ხანი ხანგრძლივი იყოს მეფობა მისი

გარშემო:

ضرب تفليس في سنة احد اربعين و سبعماية

მოიჭრა თბილისში 741 წელს.

Rv. წრეში მოთავსებულია რვა რკალისაგან შედგენილი ჩარჩო, შუაში:

لا اله الا الله محمد رسول الله

არ არის ღმერთი გარდა ალლაჰისა მუჰამედი მოციქულია მისი
გარშემოწერილში – ოთხი პირველი ხალიფას სახელი.

ტაბულა I № 4.

ქ. ერევნის ისტორიული მუზეუმის ფონდი №№11627-11816. №189. სულეიმანი, ანისი, ჰ. 743 წ. (1342-1343) ორი თეორი.

წონა – 1,37 გ. ზომა – 18/19 მმ.

Av. წრეში მოთავსებულია ფიგურული ელიფსი, შუაში არაბულად:

السلطان — სულთანი

خلد ملكه — განიგრძოს მეფობა მისი

მეორე ხაზზე უიღურულად „სულეიმანი“.

გარშემოწერილში:

ضرب اني في سنة ثلاث اربعين و سبعماية

იჭედა ანისში 743 წელს.

Rv. წრეში სამ სტრიქონზე:

لا اله الا الله محمد رسول الله

არ არის ღმერთი გარდა ალლაჰისა მუჰამედი მოციქულია მისი
გარშემოწერილში – ოთხი პირველი ხალიფას სახელი.

ტაბულა I №5.
ქ. ერევნის ისტორიული მუზეუმის ფონდი №№11627-11816. №187. ანუშირვანი, თბილისი, ჰ. 745 წ. (1344-1345) ორი თეთრი.
წონა – 1,36 გ. ზომა – 17/18 მმ.
Av. შუაში ოთხ სტრიქონზე:

ضرب — მოიჭრა

السلطان العادل — სამართლიანი სულთნის

انوشروان — ანუშირვანის მიერ

خلد ملكه — ხანგრძლივ იყოს მეფობა მისი

გარშემო ექვს ოვალურ წრეში:

ضرب تفليس في سنة خمسين اربعين و سبعماية

იჭედა თბილისს 745 წელს.

Rv. წრეში მოთავსებულ თაღისებურ ჩარჩოში რწმენის სუნიტური ფორმულა: لا اله الا الله محمد رسول الله

არ არის ღმერთი გარდა ალლაჰისა მუჰამედი მოციქულია მისი
გარშემოწერილში – ოთხი პირველი ხალიფას სახელი.

ტაბულა I №6.
საქართველოს ეროვნული მუზეუმის განძების ფონდი №№5567. ანუშირვანი, ბაზარი, ჰ. 748 წ. (1347-1348) ორი თეთრი.
წონა – 1,42 გ. ზომა – 16/17 მმ.
Av. ხაზოვან წრეში:

السلطان — სულთანი

العــدل انوشروان — სამართლიანი ანუშირვანი

خلد ملكه — განიგრძოს მეფობა მისი

بازار — იჭედა ბაზარს

Rv. ხაზოვან წრეში სუნიტური რწმენის ფორმულაა:

لا اله الا الله محمد رسول الله

არ არის ღმერთი გარდა ალლაჰისა მუჰამედი მოციქულია მისი

გარშემოწერილში – ოთხი პირველი ხალიფას სახელი.

ტაბულა I №7.
საქართველოს ეროვნული მუზეუმის განძების ფონდი №№5554. ანუშირვანი, თბილისი, ჰ. 750 წ. (1349-1350) ორი თეთრი.
Av. წრეში მოთავსებულია ფიგურული ელიფსი. შუაში არაბულად ორ ხაზზე:

خلد ملكه — სულთანი

السلطان — ხანგრძლივი იყოს მეფობა მისი

მეორე ხაზზე უიღურულად „ანუშირვანი". გარშემოწერილში:

ضرب تفليس في سنة خمسين اربعين و سبعماية

იჭედა თბილისს 750 წ.

Rv. წრეში ჩასმულ კვადრატში მოთავსებულია რწმენის სუნიტური ფორმულა. გარშემო ოთხი პირველი ხალიფას სახელი.

ტაბულა I №8.
საქართველოს ეროვნული მუზეუმის განძების ფონდი №№5556. ანუშირვანი, თბილისი, ჰ. 752 წ. (1351-1352) ორი თეთრი.
წონა – 1,03 გ. ზომა – 16 მმ.
Av. წრეში მოთავსებულია ექვსსხივიანი ვარსკვლავი. შუაში:

السلطان العادل — სულთანი სამართლიანი

انوشروان — ანუშირვანი

خلد ملكه — ხანგრძლივი იყოს ღმერთმა მეფობა მისი

ქვემოთ

ضرب تفليس في — „იჭედა თბილისს“

გარშემო:

في سنة اثنى و خمسين سبعماية — 752 წელს.

Rv. შუაში სამ სტრიქონზე რწმენის სუნიტური ფორმულა. გარშემო ოთხი პირველი ხალიფას სახელი.

ტაბულა I №9.
საქართველოს ეროვნული მუზეუმის განძების ფონდი №№5563. ანუშირვანი, შირვანი, ჰ. 753 წ. (1352-1353) ორი თეთრი.
წონა – 0,98 გ. ზომა – 14 მმ.
Av. წრეში პირველ და მეხუთე სტრიქონზე:

ضرب تفشروان იჭედა შირვანს

მეორე, მესამე და მეოთხე სტრიქონზე:

السلطان სულთანი

انوشروان ანუ შირვანი

خلد ملكه ხანგრძლივი იყოს მეფობა მისი

გარშემოწერილში თარიღი:

في سنة ثلاث و خمسين سبعماية

753 წელს.

Rv. წრეში მოთავსებულ კვადრატულ ჩარჩოში კვადრატულად ჩაწერილია რწმენის სუნიტური ფორმულა. სეგმენტებში კი ოთხი პირველი ხალიფას სახელი.

TSIALA GVABERIDZE

Georgian National Museum, Rustaveli Avenue 3, 0105 Tbilisi, Georgia

THE QARAGAJI HOARD

SUMMERY

In 1940 the hoard of silvar Hulaguid coins (190 specimens) was found in v. Karagaji (Signagi d-t).

Thanks to citizen M. Gukasyan and the Committee for Protection of Cultural Monuments the hoard was given to the Erevan Historical Museum. A part of this hoard is the hoard, containing 24 Hulaguid silver coins, which was unearthed during agricultural works in v. Karagaji.

The main part of the hoard consists of dirhams minted in the name of Anushirvan Hulaguid (1344-1356), few coins belong to Sulayman Khan (1339-1344). The Il-khans struck their coins in Tbilisi, Akhaltsikhe and Karagaji as well. Dirham standart of coins minted in Georgian mints was based on the monetary reform of Ghazan

(1295-1304). Georgian state was a country under the influence of the Ilkhans.

In the first half of the 14th c coins minted in the names of Ilkhans had a prominent role in economic life of East Georgia. The list of mints of the Karagaji hoard is of a special interest. Dirhams were minted not only in the towns of the Ilkhans central region, but in far towns as well. The coins were mostly spread in East Georgia, where finding of many hoards is quite natural, as this part of Georgia was connected with a big trade route.

The hoard might be chronologically dated from AH 740-755=AD1339-1355 and it should have been buried in the third quarter of the 14th century.

ბიბლიოგრაფია

1. კაპანაძე დ. 1944: ზარაფხანათა და მონეტთა გამომშვები ცენტრების ლოკალიზაციისათვის ძველ საქართველოში. – სმამ, XXIII №4, 137-150.

2. ქართლის ცხოვრება. 1973: ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV. თბილისი.

3. ღვაბერიძე ც. 1976: კარჯინის ზარაფხანა. – სსმმ XXXII – B, 196-206.

4. ღვაბერიძე ც. 1986: საქართველოს ურთიერთობა ილხანთა ირანთან და ჯელაირთა სახელმწიფოსთან, თბილისი.

5. ცინცაძე ზ. 1973: გვიანფეოდალური ხანის ქართლ-კახეთის ადმინისტ-რაციული-ტერიტორიული დაყოფის რუკა. მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სესია. №2. 196-206.

6. Пахомов Е. А.1959: Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа. Вып. IV. Баку.

7. Lang D. 1955: Studies in the Numismatic History of Georgia in Transcaucasia. New York.

ილუსტრაციების აღწერილობა

ტაბ. I

სურ. 1. სულეიმანი, თავრიზი ჰ.740წ. (1339-1340) ორი დირჰემი, წონა – 1,43გ. ზომა – 18/19მმ.

სურ. 2. სულეიმანი, ალაგირი, ჰ.741წ. (1340-1341) ორი დირჰემი, წონა-1,38გ, ზომა – 16/17მმ.

სურ. 3. სულეიმანი, თბილისი, ჰ.741წ. (1340-1341) ორი დირჰემი, წონა-1,41გ, ზომა – 17/18მმ

სურ. 4. სულეიმანი, ანისი, ჰ.743წ. (1342-1343) ორი დირჰემი, წონა-1,37გ, ზომა – 18/19მმ.

სურ. 5. ანუშირვანი, თბილისი, ჰ.745წ. (1344-1345) ორი დირჰემი, წონა-

1,36გ, ზომა-17/18მმ.

ტაბ. II

სურ. 6. ანუშირვანი, ბაზარი, ჰ.748წ. (1347-1348) ორი დირჰემი, წონა-1,42გ, ზომა- 16/17მმ.

სურ. 7. ანუშირვანი, თბილისი, ჰ.750წ. (1349-1350) ორი დირჰემი, წონა-1,44გ, ზომა-15/16მმ.

სურ. 8. ანუშირვანი, თბილისი, ჰ.752წ. (1351-1352) ორი დირჰემი, წონა-1,03გ, ზომა-16მმ.

სურ. 9. ანუშირვანი, შირვანი, ჰ.753წ. (1352-1353) ორი დირჰემი, წონა-0,98გ, ზომა-14მმ.

LIST OF ILLUSTRATIONS

Tab I

Fig. 1 Sulayman, Tavriz, AH 740=AD1339-1340, double dirham,weight-1,43gm. size-18/19mm.

Fig. 2 Sulayman, Alagir, AH 741= AD 1340-1341, double dirham,weight-1,38gm. size-16/17mm.

Fig. 3 Sulayman, Tbilisi, AH 741= AD 1340-1341, double dirham,weight-1,41gm. size-17/18mm.

Fig. 4 Sulayman, Anis, AH 743= AD 1342-1343, double dirham,weight-1,37gm. size-18/19mm.

Fig. 5 Anushirvan, Tbilisi, AH 745= AD 1344-1345, double dirham,weight-1,36gm. size-17/18mm.

Tab II

Fig. 6 Anushirvan, Bazar, AH 748= AD 1347-1348, double dirham,weight-1,42gm. size-16/17mm.

Fig. 7 Anushirvan, Tbilisi, AH 750= AD 1349-1350, double dirham,weight-1,44gm. size-15/16mm.

Fig. 8 Anushirvan, Tbilisi, AH 752= AD 1351-1352, double dirham,weight-1,03gm. size-16mm.

Fig. 9 Anushirvan, Shirvan, AH 753= AD 1352-1353, double dirham,weight-0,98gm size-14mm.

ტაბულა №1

1

1

2

2

3

3

4

4

5

5

ᲪᲐᲑᲣᲚᲐ №2

6

6

7

7

8

8

9

9

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია №1 (46-B), 2010, 255-260
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences №1 (46-B), 2010, 255-260

ᲒᲚᲘᲞᲢᲘᲙᲐ

ქეთევან ჯავახიშვილი*, მედეა შეროზია*

* საქართველოს ეროვნული მუზეუმი, რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო

ახალი აღმოჩენა დაბა ახალგორში

2006 წლის 4 აპრილს დაბა ახალგორის მცხოვრებმა ილია ჩარაშვილმა საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნუმიზმატიკის კაბინეტში ორი ნივთი წარადგინა: ოქროს მასიური, მაღალთვალბუდიანი, მხრებდაკუთხული ბეჭედი (ტაბ. I, სურ. 1) და რომაული აურეუსის მინაბაძი (ტაბ. I, სურ. 3). ილია ჩარაშვილმა განაცხადა, რომ ეს ნივთები მისი ოჯახის საკუთრებაა, ისინი საკარმიდამო ნაკვეთის დამუშავების დროს იპოვეს. მათ ამ ნივთებთან ერთად სხვა მასალაც აღმოაჩინეს, მაგრამ სხვა მასალით არ დაინტერესდნენ. ილია ჩარაშვილის მონათხრობიდან ჩანს, რომ საქმე სამარხეულ ინვენტართან უნდა გვქონდეს. სამწუხაროდ, პატრონმა ნივთების მუზეუმისათვის მიყიდვა არ ისურვა.

მხრებდაკუთხული ბეჭდის (წონა 12 გრამი) მაღალ თვალბუდეში მოთავსებულია ოვალური ფორმის გემა-ინტალიო ლუქისებრი იასპისა, რომლის ბრტყელ პირზე დაბალ უზურგო ტახტზე მჯდომი ზევსია გამოსახული. ზევსი მარცხენა ხელით (ანაბეჭდის მიხედვით) კვერთხს ეყრდნობა. წინ გაწვდილ მარჯვენა ხელში თასი (?) უჭირავს. ღვთაების ფეხებთან არწივია გამოსახული. ზევსის წინ ფრთოსანი ნიკე დგას, რომელიც ღვთაებას მარჯვენა ხელით გვირგვინს აწვდის, მარცხენა ხელში კი პალმის ტოტი უჭირავს. ნიადაგის ზოლი წვრილი ხაზით არის გადმოცემული.

გამოსახულება სქემატურია, ოსტატობით არ გამოირჩევა (ტაბ I, სურ. 2). მსგავსი სიუჟეტები ძალიან გავრცელებულია რომაული გლიპტიკის ძეგლებზე. ახალგორის გემაც რომაულია, სავარაუდოდ, მესამე საუკუნის. იგი უფრო გვიანდელ, მეოთხე საუკუნის ბეჭედშია ჩასმული.

მაღალთვალბუდიანი მხრებდაკუთხული ბეჭდები ადგილობრივი, იბერიული ოქრომჭედლობის ნიმუშად ითვლება. საქართველოს საზღვრებს გარეთ ამ ტიპის მხოლოდ ორი ვერცხლის ბეჭედია ნაპოვნი მეზობელი სომხეთის ტერიტორიაზე [Манукян А. 1984: 90]), საქართველოში კი, ძირითადად ძველი იბერიის ტერიტორიაზე, დღეისათვის ორმოცდაათამდე ამგვარი ბეჭედია აღმოჩენილი (არმაზისხევის მდიდრულ ნეკროპოლში [მცხეთა I. 1955: 112, №224, ტაბ. XIII, სურ. 6; 117, №241, ტაბ. XIV, სურ.1; 118, №242, ტაბ. XIV, სურ.4 და სხვ; 202-203], სამთავროს სამაროვანზე [Максимова М. 1950: 242, №4-1; 264, № 67. ტაბ. 4],

ახალგორში [ლომთათიძე გ. 1973: 194], მოდინახეზე [ნადირაძე ჯ. 1975: 63], ადაიანში [მირიანაშვილი ნ. 1983: 91] და სხვ.).

ამ ბეჭდების უმრავლესობა (ოთხის გარდა) ოქროსია და ახ. წ. IV საუკუნის მესამე მეოთხედით თარიღდება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ბეჭედთან ერთად წარმოდგენილი იყო ოქროს მონეტა, რომელიც რომაული აურეუსის უკიდურესად უხეში ადგილობრივი, იბერიული მინაბაძია (წ. 3.55 გრ. ზ. 18 მ.მ.).

შუბლზე გამოსახულია მარცხნივ მიმართული წვერულვაშიანი მამაკაცი, დიდი კეხიანი ცხვირით, თავზე დიადემით, რომლის ბოლოები თავს უკან დაბლა ეშვება. მხარზე ტანისამოსის ნაკეცები მოჩანს, ირგვლივ კი, გაურკვეველი ლათინური წარწერაა. ასოები დიდი ზომისა და სქემატურია. იმპერატორისTგამოსახულების რომაულ პორტრეტთან მსგავსება სრულიად დაკარგულია. იგი თითქოს პართელ მეფეს უფრო ჰგავს. ირგვლივ ხაზოვანი რკალი შემოუყვება.

ზურგზე გამოსახულია მკერდდაკუნთული, შიშველი, თავსაბურავიანი მამაკაცის ფიგურა (იუპიტერი?),რომელიც მარცხენა ხელით კვერთხს ეყრდნობა,გაწვდილ მარჯვენაში კი ელვა უჭირავს. გამოსახულება იმდენად უხეშია, განსაკუთრებით მისი წელს ქვედა ნაწილი,რომ იგი ცხოველს უფრო ჰგავს, ვიდრე ადამიანს. ირგვლივ ლათინური წარწერის ძალზე სქემატური იმიტაციაა. გამოსახულებას ხაზოვანი რკალის ფრაგმენტები მიჰყვება.

შუბლის გამოსახულების მიხედვით შეუძლებელია ვიმსჯელოთ იმის შესახებ, თუ რომელი იმპერატორის მონეტაა გამოყენებული პროტოტიპად, ზურგის გამოსახულება კი გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ ეს საფასი დიოკლეტიანეს (284-305წ.წ.) აურეუსის მინაბაძია.

ცნობილია, რომ იუპიტერი დიოკლეტიანეს მთავარ მფარველ ღვთაებად ითვლებოდა. იმპერატორი ატარებდა ტიტულ იოვიუსს (Iovius) – "წარმოშობილი იუპიტერისაგან" [Машкин Н.1950: 597]. ამიტომ დიოკლეტიანეს საფასებზე, უმეტეს შემთხვევაში, იუპიტერია გამოსახული.

აურეუსი, რომელიც, შესაძლებელია, ჩვენი მინაბაძის პროტოტიპად გამოყენებულიყო, ამგვარად გამოიყურება:

შუბლი: დაფნის გვირგვინით შემკული, აბჯარასხმული იმპერატორის დრაპირებული მარცხნივ მიმართული გამოსახულება, ხელში სკიპტრითა და არწივით. ირგვლივ: DIOCLETIANVS AVG COS IIII P P.

ზურგი: იუპიტერი მარცხენა ხელით სკიპტრას ეყრდნობა, მარჯვენაში ელვა უჭირავს. ფეხებთან მიწაზე – არწივი. ირგვლივ: IOVI VLTORI [Depeirot G. 1995:138, 5\1, ტაბ. 20, 5\1] (იხ. ტაბ. I, სურ. 4).

მონეტა 290 წელს, ანტიოქიის ზარაფხანაში მოიჭრა, შესაბამისად, მისი მინაბაძი III საუკუნის მიწურულზე - IV საუკუნის დასაწყისზე ადრე ვერ შეიქმნებოდა.

დიოკლეტიანეს აურეუსის აღმოჩენა საქართველოს ტერიტორიაზე ორჯერ არის დაფიქსირებული: 1967 წელს ერწოს ველზე, სოფელ თრანში №8 სამარხში [რამიშვილი რ. 1979: 48] (განძების ფონდი №12198) და 1974 წელს კასპის რაიონის სოფელ ოკამში, პირველ აკლდამაში [Рамишвили К. Шатберашвили З. 2000: 99] (განძების ფონდი №14593). რაც შეეხება წარმოდგენილ მინაბაძს, იგი ჯერჯერობით ერთადერთია.

ამ ორი ნივთის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საქმე უნდა გვქონდეს IV საუკუნის სამარხეულ ინვენტართან. მსგავსი მასალის აღმოჩენა ახალ-

გორის რაიონის ტერიტორიაზე მოულოდნელი არ არის.

Ketevan Javakhishvili*, Medea Sherozia*

*Georgian National Museum, Rustaveli Avenue 3, 0105 Tbilisi, Georgia

A New Discovery in Akhalgori Borough

Summary

On April 4, 2006 Ilia Charahsvili from Akhalgori Borough presented two things to the Numismatic Department of the Georgian National Museum - a golden ring and a coin that appeared to be a local imitation of the Roman aureus.

An oval-shaped jasper gem-intaglio is put into a high setting with corners. Zeus is sitting on a low couch without a back. His left hand is on the scepter. He is holding a cup in his right hand, an eagle is at his legs. The image of Nike with wings is depicted in front of Zeus. The Goddess is handing over the crown to him with her right hand and is holding a branch of the palm tree in her left one. The ground is depicted in the form of a thin line. A golden ring is considered to be of a local Iberian origin and it dates from the second half of the 4 th century .

The golden coin presented to the museum represents a very barbarian imitation of the Roman aureus. The reverse image gives a ground to conclude that the given coin is a local Iberian imitation of Diocletian's aureus. These two things from Akhalgori might belong to the 4 th century grave inventory.

ბიბლიოგრაფია

1. **ლომთათიძე გ. 1973:** ქართული კულტურა IV-V საუკუნეებში. – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II. თბილისი, გვ. 198-211.
2. **მირიანაშვილი ნ. 1983:** შიდა ქართლის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. თბილისი.
3. მცხეთა I. **1955:** თბილისი.
4. **ნადირაძე ჯ. 1975:** ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი.
5. **Максимова М.И. 1950:** Геммы из некрополя Мцхеты Самтавро. თთმმ XVI- B.
6. **Манукян А.Б.1984:** Гемма из Армении с изображением храма Афродиты Пафосской. ВДИ №4 ст.90-96.
7. **Машкин Н. А. 1950:** История древнего Рима. Москва.

8. Рамишвили К., Шатберашвили З. И. 2000: Памятник раннесредневековой эпохи из села Оками. Археология и этнография Кавказа. III. Баку.

9. Depeyrot G.1995: Les monnaies d'or de Diocletien a Constantin I (284-337).Wetteren.

ილუსტრაციების აღწერილობა

სურ. 1. ბეჭედი ოქროსი.
სურ. 2. ლუქისებრი იასპის გემა-ინტალიო – ზევსის გამოსახულებით.
სურ. 3. რომაული აურეუსის ბარბაროსული მინაბაძი.
სურ. 4. რომის იმპერატორ დიოკლიტიანეს (284-305) აურეუსი.

LIST OF ILLUSTRATIONS

Fig. 1. Golden ring.
Fig. 2. Oval - shaped jasper gem-intaglio with Jupiter's image.
Fig. 3. Barbarian imitation of Roman aureus .
Fig. 4. Aureus of Roman emperor Diocletian (284-305.).

სურ. 1 Fig.

სურ. 2 Fig.

სურ. 3 Fig.

სურ. 4 Fig.

სურ. 5 Fig.

სურ. 6 Fig.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია №1 (46-B), 2010, 261-276
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences №1 (46-B), 2010, 261-276

ეთნოგრაფია/ეთნოლოგია

როზეტა გუჯეჯიანი*, ნოდარ შოშიტაშვილი*

* საქართველოს ეროვნული მუზეუმი, რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო

ქრისტიანობა და ტრადიციული ქართული ეთნიკური კულტურა

ქართული ეთნიკური კულტურის შესახებ საუბარი შეგვიძლია უძველესი დროიდან დავიწყოთ. ტრადიციული კულტურის ესა თუ ის ელემენტი (მატერიალური, სულიერი და სოციალური ყოფის მთავარი ნიშნები და ლოკალური თავისებურებები) შემონახულია როგორც უცხოურ წერილობით წყაროებსა და მითოლოგიურ გადმოცემებში, ისე ადგილობრივ არქეოლოგიურ მასალაში, ხოლო IV საუკუნიდან უკვე ქართულ წერილობით ძეგლებშიც.

ისტორიული ტრადიციით,ქართული ეთნოსი ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის IV–III საუკუნეთა მიჯნაზე არსებობდა. საქართველოს ტერიტორიაზე უძველეს ხანაშივე დაფიქსირდა ხანგრძლივი არსებობის განმავლობაში ისტორიულად ჩამოყალიბებული ერთობა: ქართველი ერი – ერთიანი ტერიტორიით, ენით, კულტურითა და თვითშეგნებით, ერთიანი ყოფისა და კულტურის ყველა ძირითადი მახასიათებლით (ეთნოსის საკუთარი სახელი – ეთნონიმი (ქართველი), ეთნიკური ტერიტორია, ეთნიკური ენა (ქართული) და ეთნიკური კულტურის მრავალი მყარი ელემენტი). ასევე, არქეოლოგიური მასალა, ეთნომუსიკა, წინარექრისტიანული და ქრისტიანული რელიგია, რიტუალები, ქცევის ნორმები, სამართალი, ნათესაური სისტემები, საცხოვრებელი, თავდაცვითი და სამეურნეო ნაგებობები, ხალხური ტრანსპორტი, სამეურნეო და ბრძოლის იარაღები, ტანსაცმელი, საკვები, ხალხური მედიცინა და სხვ. ქართველთა ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის საკვანძო საკითხებთან დაკავშირებით ეთნოგენეზის საბჭოური თეორიის მიხედვით დამკვიდრებული შეხედულება ობიექტურ ისტორიულ საფუძვლებს მოკლებულია (ალასანია 2003, თოფჩიშვილი 2008).

საბჭოური თეორია ტენდენციურია – ქართველების ერად ჩამოყალიბების ხანად XI ან XIX საუკუნეს ადიარებს ქართული ეთნიკური კულტურა მდიდარი მასალითაა წარმოდგენილი, მშენებლობის უწყვეტად განვითარებადი ტრადიციებით – ქრისტიანობამდელი საკულტო ნაგებობებითა და მატერიალური ძეგლებით, რომელთა ანალიზის შედეგად

საქართველოს მოსახლეობის სოციალური და სულიერი ყოფის ერთიანი მახასიათებლებია აღდგენილი, მაგალითად, ქრისტიანობამდელი რელიგიის სხვადასხვა ელემენტი თუ პასაჟი. ეს მასალა ისტორიულ საქართველოში ერთიანი წარმართული სისტემის (ღვთაებათა იერარქია და პანთეონი) არსებობას ადასტურებს (ივ. ჯავახიშვილი, ვ. ბარდაველიძე, ო. ლორთქიფანიძე...). ტრადიციულ ყოფაში ფრაგმენტული სახით შემონახული არქაული ხანიდან მომდინარე წეს-ჩვეულებების რეკონსტრუირებით გამოვლენილია სულიერი ყოფის, სიმბოლოებისა და სარიტუალო პრაქტიკის მრავალი უძველესი პასაჟი, ეს პასაჟები ერთიანია ყველა ქართული ისტორიულ-ეთნოგრაფიული თემისათვის (ი. ჯავახიშვილი, გ. ლომთათიძე, გ. ჩიტაია, ვ. ბარდაველიძე, რ. ხარაძე, მ. გეგეშიძე, ო. ლორთქიფანიძე, ჯ. რუხაძე, მ. ხიდაშელი, ს. ჭანტურიშვილი, რ. თოფჩიშვილი, ნ. მინდაძე, ნ. აბაკელია და სხვ.). მაგალითად, გიორგი ჩიტაია ნაშრომით "სიცოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში" (ჩიტაია 1941) ასაბუთებს ქართველ ერში დასაბამიდანვე ერთიანი ქართული მსოფლმხედველობის არსებობას. იგი ქართველთა რწმენა-წარმოდგენებისა და სიმბოლოების სიცოცხლისუნარიანობის დამადასტურებელ უთვალსაჩინოეს ნიმუშად ლაზურ და სვანურ მასალას წარმოადგენს (ჩიტაია 1941).

ცხადია, ერთიანი ქრისტიანობამდელი სარწმუნოებისა და ეთნიკური კულტურის არსებობამ დიდად განაპირობა ისტორიულ საქართველოში ახალი მონოთეისტური რელიგიის შედარებით ადვილად გავრცელება. ცნობილია, რომ ქართული ეთნიკური კულტურა, როგორც ცოცხალი და განვითარებადი ორგანიზმი დიდი მდგრადობითა და, იმავდროულად, მობილობით გამორჩეული ფენომენია. ქართული ეთნიკური კულტურა სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში მხოლოდ ამ ეპოქისათვის დამახასიათებელ კულტურულ ფასეულობებს ქმნიდა. მათი უდიდესი ნაწილი იმ დროის მრავალი ხალხის კულტურასა და ლოკალურ-ეთნიკურ ძეგლებსაც ეკუთვნის, რომლებიც მხოლოდ ქართული ეთნიკური კულტურის მონაპოვარია და მსოფლიო საგანძურშია შეტანილი. ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადებისთანავე ახალი ქართული კულტურის – ქრისტიანული კულტურის შექმნა და განვითარება იწყება (ჯაფარიძე 2009; ალასანია 2003).

ახალ რელიგიასა და, შესაბამისად, ახალ ქრისტიანულ კულტურას, ადგილობრივი დიდი ქართული ეთნიკური კულტურის ტრადიციები დახვდა და ჯერ კიდევ უძველეს ქართულ (კოლხურ) კულტურაზე დამყარებული ელინისტური ხანის ტრადიციები ბუნებრივად შეერწყა ახალ – ქრისტიანულ რომაულ-ბიზანტიურ, სირიულ კულტურის ელემენტებს. რის შედეგადაც ორიგინალური ქართული ქრისტიანული კულტურა შეიქმნა, რომელიც ბუნებრივია, განსხვავებულია წარმართული ქართული კულტურისაგან. ამ დროიდან ყოფისა და კულტურის ყოველი ელემენტი თვისობრივად იცვლება, მათი გადააზრება და განვითარება ახალი რელიგიის შესაბამისად ხდება (ბიჭვინთის IV–V საუკუნეების ქრისტიანული ტაძრის მოზაიკა, ქრისტიანული დაკრძალვის წესი, სამთავროს სამაროვანი, სამარხთა უმრავლესობა წებელდიდან და სხვ. IV–VI საუკუნეებში პოლიტიკური და სამხედრო-სტარტეგიული

მნიშვნელობის ახალი ქალაქები ჩნდება: არტანუჯი, უჯარმა, თბილისი, ჭერემი... საგულისხმოა, რომ თუკი V–VI საუკუნეებში ეკლესიის მხოლოდ ბაზილიკური ტიპი გვხვდება, VI საუკუნიდან უკვე ქართული – გვირგვინიან-დარბაზული მშენებლობის ტრადიციიდან მომდინარე ცენტრულ-გუმბათოვანი საეკლესიო მშენებლობა იმარჯვებს და სხვ.).

IV საუკუნიდან უკვე არსებობს ქართული დამწერლობის ძეგლები. ეს კი ქართული ყოფის ელემენტების აღდგენისა და გამოვლენის მეტ შესაძლებლობებს იძლევა.

ისტორიული მასალით დასტურდება ადრეული შუა საუკუნეების ქართული კულტურის კიდევ ერთი მახასიათებელი – ქართველ ერს, ცხადია, ძველთაგანვე ჰქონდა ეთნიკურ-ეროვნული ერთიანობისა და სხვა ეთნოსთაგან კულტურული განსხვავებულობისა და თავისებურებების შეგრძნება, მაგრამ საქართველოში მხოლოდ ბიოლოგიურ ერთიან წარმომავლობაზე არასდროს მახვილდებოდა ყურადღება – ქართველად და ქართული კულტურის შემქმნელად მოიაზრებოდა ყველა, ვინც ამ კულტურის წევრად და ქართული სახელმწიფოს შვილად თვლიდა თავს, მიუხედავად ეთნიკური წარმომავლობისა (ალასანია 2001, თოფჩიშვილი 2008, ბერაძე 2008). იმავდროულად, ქართველი ერისთვის ყოველთვის იყო დამახასიათებელი ტოლერანტობა. მისთვის უცხო იყო სხვა ეთნოსებისა თუ კონფესიებისადმი შეუწყნარებელი დამოკიდებულება (ალასანია 2001: 18-27). ამგვარი მენტალური ეთნიკური მახასიათებლის მუდმივად არსებობა, უთუოდ, მართლმადიდებელი ქრისტიანული სწავლების შედეგია და, იმავდროულად, ქართველი ერის ეროვნულ მარკერად წარმოგვიდგება.

ქართული ყოფის მრავალი ელემენტი, რომელიც თვით ადრეულ განათხარ მასალებსა თუ წერილობით წყაროებშია დაფიქსირებული უკვე ეთნიკური ტრადიციაა და ზოგიერთი დღევანდელ ყოფაშიც შემორჩენილია. მაგალითად, ასეთია „შუშანიკის წამების“ ერთი პასაჟი („პურობა“ და „პურის ჭამა“). ცნობილია, რომ დასავლეთ საქართველოს მთიანეთში, ქართლში... სამგლოვიარო და საქორწინო სუფრასთან დედაკაცები და მამაკაცები ამჟამადაც ცალ-ცალკე სხდებიან. უფრო ადრე კი, ტრადიციულ ქართულ საცხოვრებელ ნაგებობებში საკაცებო და საქალებო მხარეები ერთმანეთისგან გამოყოფილი იყო და ა. შ. აგიოგრაფიული ძეგლები გვაწვდის ინფორმაციას ტრადიციული ქართული საოჯახო ყოფის, ნათესაური კავშირების, სტუმარ-მასპინძლობის წესების, მუსიკისა და გართობა-სანახაობების, საცხოვრებელი ნაგებობებისა და მათი ინტერიერის, ტანსაცმლის სახეობების, სამეურნეო საქმიანობისა და სხვ. დამახასიათებელი ნიშნების შესახებ. ეს ნიშნები ტრადიციულად ახასიათებს ქართულ ყოფასა და კულტურას ადრეული შუა საუკუნეებიდან დღემდე (ლომთათიძე 1955; ჭანტურიშვილი 1984). ამავე კონტექსტში წარმოგვიდგება ტრადიციული ქართული მსოფლაღქმის კიდევ ერთი ელემენტი – მნიშვნელოვანი მენტალური ღირებულებების მთავარი სიმბოლო – “მეფე.” ცნობილია, რომ ხსოვნა მირონცხებული, ანუ ღვთით მოვლენილი და ქვეყნისათვის თავდადებული მეფეებისა საუკუნეთა განმავლობაში ქართველთა ტრადიციული მენტალობის მთავარი მარკერია. ფოლკლორული მასალიდან ყველაზე

არქაული ვახტანგ გორგასალთან დაკავშირებული ლექსია:

“ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა
ციდან ჩამოესმა რეკა,
იალბუზზე ფეხი შედგა,
დიდმა მთებმა იწყეს დრეკა.”

როგორც ჩანს, მენტალობის ამ ელემენტს საფუძველი ადრეული შუა საუკუნეებიდანვე ჩაეყარა (ან შესაძლოა, იგი თვით ფარნავაზ მეფის დროიდან მომდინარეობს), რადგან ვახტანგ გორგასალს უდიდესი წვლილი მიუძღვის საქართველოს გაერთიანებისა და კულტურული აღმშენებლობის საქმეში. უკვე ამ პირველივე ფოლკლორულ სიუჟეტურ ქარგაში თავმოყრილია ქართული ტრადიციული კულტურის მნიშვნელოვანი მენტალური ფასეულობები: მეფე ღვთისგან ნაკურთხია, მირონცხებულია, შესაბამისად კი, სასწაულებრივი ძალის მქონეა და, რაც მთავარია, მეფე ერისათვის, ქვეყნისათვის თავდადებულია. ცხადია, ამგვარი მენტალური პასაჟები უხსოვარი დროიდან არსებობს, ბიბლიური მოტივებიდან მომდინარეობს და განმტკიცებულია ისტორიული ტრადიციით.

ადრეული შუა საუკუნეებიდანვე ეკლესია-მონასტრები განათლებისა და კულტურის მძლავრი კერები იყო,სადაც ქართული კულტურის უმნიშვნელოვანესი შედევრები იქმნებოდა (იწერებოდა ორიგინალური აგიოგრაფიული და ჰიმნოგრაფიული თხზულებები, ვითარდებოდა მთარგმნელობითი სკოლები, იქმნებოდა საგალობლები, იწერებოდა ხატები...), საეკლესიო იერარქიის წარმომადგენელთა ღვაწლით შენდებოდა და იხატებოდა ეკლესიები, მონასტრები; საეკლესიო კანონმდებლობის ძირითადი პოსტულატებით რეგულირდებოდა ქართული სამართლის ნორმები, ქართველთა საოჯახო ყოფა, ყალიბდებოდა ტრადიციული ქართული მენტალიტეტი და სხვ. საერთოდ, ტრადიციული ცხოვრების წესი, ტრადიციული საზოგადოების მორალი, ზნეობა და ღირებულებები სწორედ ქრისტიანული მსოფლმხედველობით იყო გაჯერებული, რაც ეთნოგრაფიული მასალითაც დასტურდება. ქართული ეთნიკური კულტურის შემადგენელი ტრადიციული ღირებულებების (ცხოვრების წესი, რელიგიური, ზნეობრივი და სოციალური ნორმები, ნათესაობის სისტემა, სამართალი, ხალხური დღესასწაულები, ქორწინებისა და დაკრძალვის წესები...) კვლევის შედეგად დასტურდება ქრისტიანული რელიგიის უდიდესი და წარმმართველი როლი ქართული კულტურის განვითარების საქმეში.

მართლმადიდებელი საქართველოს ისტორია, გამომდინარე გეოპოლიტიკური მდებარეობიდან, უმრავლეს შემთხვევაში, ქრისტიანობისადმი მტრულად განწყობილ, საქართველოს დაპყრობის მოსურნე ქვეყნებთან ურთიერთობის ამსახველია. მუსლიმურ სამეფო-სამთავროთა გარემოცვაში მოქცეული ქართველებისათვის მართლმადიდებელი ქრისტიანობის შენარჩუნება სახელმწიფოებრიობისა და ეროვნული თვითმყოფადობის – ქართველობის შენარჩუნების ტოლფასი იყო.

ტრადიციულად, ქრისტიანული რელიგია არეგულირებდა ყოველდღიურ ყოფასაც. საეკლესიო კალენდარი დიდად განსაზღვრავდა საოჯახო ცხოვრებისა და სამეურნეო ყოფის დაგეგმარებას. ცნობილია,

რომ ტრადიციულ საზოგადოებაში დრო კონკრეტულად მხოლოდ რიცხვებით კი არ გამოიხატებოდა, არამედ ამ რიცხვების განმმარტავი ქრისტიანული კალენდრით, რომელიმე წმინდანის სახელის ხსენებითა და დღესასწაულით. "ანალების" სკოლის ისტორიკოსთა დაკვირვებით, ქრისტიანობამ კულტურისა და იდეოლოგიის ყველა სფეროზე მოახდინა გავლენა და ეკლესიის უპირატესობა დროზეც გაავრცელა. ანუ, დროის დაგეგმარება სოციალური კონტროლის ეროგვარ მექანიზმად იქცა. შუა საუკუნეებში კი დროის კონტროლი ეკლესიის პრეროგატივა იყო (Ле Гофф 2005). ხალხური კალენდარი საქართველოშიც კანონიკური კალენდრის ვარიაციას წარმოადგენდა და დრო აქაც საეკლესიო კალენდრის მიხედვით ნაწილდებოდა. კულტურულ-სამეურნეო ყოფის ყოველი ნიუანსი საეკლესიო კალენდარს შეესაბამებოდა. ქართველთა ყოველდღიური ყოფა-ცხოვრება საეკლესიო მარხვისა და ხსნილის გათვალისწინებით მიმდინარეობდა. ეს ეხებოდა არა მარტო ტრადიციული კვებითი კულტურის მოწესრიგებას, არამედ ქორწინებისა და საოჯახო ურთიერთობების ფორმებს, დაკრძალვის წესებს და ა. შ. მაგალითად, მარხვის დროს არ შეიძლებოდა ქორწინება, ხსნილით კვება და სხვ.

ბუნებრივია, საუფლო დღესასწაულები, სხვადასხვა წმინდანის მოხსენიების დღეები, საეკლესიო, სათემო დღეობები და ა. შ. ხშირად უქმეები იყო და ცხადია, ასეთ დროს სამეურნეო საქმიანობა არ შეიძლებოდა. საქართველოს ტრადიციულ ყოფაში მკაცრად იკრძალებოდა კვირა დღის უქმის დარღვევაც. მთაში ამგვარ მკრეხელობას მთელი თემი ებრძოდა, კვირისა და დიდი საუფლო დღესასწაულების უქმეებს ამჟამადაც იცავენ.

მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის ღერძი რელიგიური მსოფლმხედველობაა და იგი თვალნათლივ ვლინდება ტრადიციულ ქართულ დღესასწაულებში. XX საუკუნის 30-იან წლებში ვ. ბარდაველიძემ სვანეთის მხოლოდ ერთ ნაწილში (ზემო სვანეთი) რელიგიური წეს-ჩვეულებებით "აღჭურვილი" 160 დღე დააფიქსირა, რაც მკვლევარის დაკვირვებით, "თავისთავად ააშკარავებს, თუ რაოდენ დიდი ადგილი ეჭირა ძველად სვანის ცხოვრებაში სარწმუნოებრივ წეს-ჩვეულებებს" (ბარდაველიძე 1939: X). თანამედროვე ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, ამ მხარეში დაახლოებით 70-მდე რელიგიური დღეობა მოქმედია და მეტ-ნაკლებად კვლავაც აღინიშნება.

ქართულ ხალხურ დღეობათა ნაწილი, სამწუხაროდ, უკვე გამქრალია, რაც ეთნიკური კულტურის დიდი დანაკლისია. ტრადიციულ ქართულ დღეობათა კალენდარში ოფიციალური საეკლესიო კალენდრის ცვალებადობის კვალი ჩანს. ცნობილია, რომ წარმართულ საქართველოში ახალი წელი აგვისტოში იწყებოდა. ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ კი ახალი წელი სექტემბერში დგებოდა. IX საუკუნეში ახალი წელი მარტში აღინიშნებოდა. XI საუკუნიდან ახალი წლის დასაწყისად იანვარი დამკვიდრდა. იგი თანაარსებობდა საეკლესიო (სექტემბერი) წელთა აღრიცხვასთან. XVII საუკუნეში ახალი წლის დასაწყისად საერო კალენდრითაც იანვარი იქნა მიღებული. კვლავ I სექტემბერია „გვირგვინი წელიწადისა" და ამ დღეს იწყება ინდიქტიონი. გასაბჭოების შემდეგ მართლმადიდებლებს აიძულებდნენ ათეისტურ

კალენდარსა და ხელოვნურად შექმნილ საბჭოურ დღესასწაულებს შეგუებოდნენ, მაგრამ დღესაც კი, ახალ წელს ქართულ სოფლებში უფრო მასშტაბურად ძველით ახალ წელს – 14 იანვარს ზეიმობენ, ისე, როგორც ქრისტიანული კალენდრის მიხედვით დაწესდა. საგულისხმოა, რომ ისტორიული საქართველოს ზოგიერთ მხარეში – პარხლისწყლის ხეობა, ზედა მაჭახელი, იმერხევი (თანამედროვე თურქეთი) – ეთნიკურად ქართულ, შუახნის მოსახლეობას დღემდე ახსოვს ახალი წლის 14 იანვარს აღნიშვნის წესი: "დილას კარგი მლოცავი კაც მოვიყვანთ, არ დაიძახებდა, მარჯვენა ფეხ შემოადგამდა, ღმერთმა ლამაზად გამყოფათ-ო იტყოდა. ის კაი ფეხის გამოგვიდგებოდა, იმაჲ შექერს მივცემდით, თაფლ, კაკალს მივართმევდით. ახორს შემოუვლიდა, დალოცვიდა" (რ.გუჯეჯიანი, 2008) ამ ტექსტში ახალი წლის აღნიშვნის ყველა მთავარი ელემენტია ასახული და ეს ელემენტები სხვადასხვა ვარიაციით გვხვდება საქართველოს მხარეებში.

ტრადიციულ ხალხურ კალენდარში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ბარბარობის აღნიშვნის წესს. ბარბარობა მთელ საქართველოში უქმე დღე იყო. დასავლურ ქართული ტრადიციით, ბარბარობა "დღესასწაულთა თავად" ითვლებოდა. ბარბარობა მარხვის პერიოდს ემთხვეოდა და სადღესასწაულო შესაწირავიც სამარხვო იყო. ბარბარობის აღნიშვნის ტრადიციაში სინკრეტიზმის ნიშნების პარალელურად ამ დღეობის ქრისტიანული არსიც გამოვლენილია (მინდაძე 2008).

ტრადიციულ ქართულ დღეობათა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა წმიდა გიორგისადმი მიძღვნილი დღეობები. წმიდა გიორგის ხატებას გამორჩეული ადგილი უჭირავს ტრადიციულ ქართულ კულტურაში. ქართული საზოგადოებისათვის მთავარმოწამე წმიდა გიორგის სახელი IV-V საუკუნეებშივე ხდება ცნობილი. გადმოცემით, წმიდა გიორგის სახელობის პირველი ეკლესია საქართველოში ჯერ კიდევ IV საუკუნეში აუგიათ, შემდეგ კი წმიდა გიორგის სახელობის იმდენი ტაძარი აშენებულა, რამდენი დღეცაა წელიწადში. ვახუშტის ცნობით, "არ არის ბორცვი, ანუ მაღალნი გორანი, რომელსა ზედა არ იყოს შენნი ეკლესიანი წმინდისა გიორგისანნი" (ქართლის ცხოვრება 1973: 40). "არც ერთი წმიდანის სახელობაზე არ მოიპოვება იმდენი ტაძარი საქართველოში, რამდენიც წმიდა გიორგის სახელობაზეა აშენებული" (ჯავახიშვილი 1979: 88). წმიდა გიორგი კაბადოკიელის წამების ამსახველი თხზულების ქართული თარგმანი X საუკუნიდან შემოგვრჩა, არსებობს გიორგი მთაწმინდელის (XI ს.) მიერ შესრულებული თარგმანიც და ა. შ. (კეკელიძე 1945; გაბიძაშვილი 1991; ლექსიკონი 2007: 204-205). წმიდა გიორგის ფრესკული გამოსახულებები კი უკვე ადრექრისტიანული ხანიდანაც შემოგვრჩა (წებელი, მარტვილი...). წმიდა გიორგისადმი თაყვანისცემამ განსაკუთრებული მასშტაბები საქართველოში IX საუკუნიდან მიიღო.

ქართული ეკლესია მთავარმოწამე წმიდა გიორგისადმი მიძღვნილ ორ დიდ დღესასწაულს ზეიმობს. ნოემბრის გიორგობას – წმიდა გიორგის ბორბალზე დაკვრის დღეს, მთელი მართლმადიდებელი სამყარო არ აღნიშნავს, იგი მხოლოდ საქართველოში აღინიშნება. საგულისხმოა ისიც, რომ ნოემბრის თვეს ქართველებმა გიორგობისთვე შეარქვეს.

წმიდა გიორგის წმიდა ნაწილები და სასწაულთმოქმედი რელიქვიები (მშვილდი, ისრები, ჯაჭვი...) საქართველოს ეკლესია-მონასტრებში ინახებოდა.

მთავარმოწამე წმიდა გიორგის ქართველებმა საქართველო და ქართული მხედრობა შეავედრეს და ჩვენი ქვეყნის მფარველად შერაცხეს. წმიდა გიორგისადმი მიძღვნილი რიტუალები და საერთოდ,ტრადიციული მენტალური მახასიათებლები, საქართველოს ყველა მხარეში ერთიანია და წმიდა გიორგისთან დაკავშირებული უძველესი ქართული საეკლესიო თუ საისტორიო თხზულებებიდან მომდინარე პლასტების სახით არის შემონახული. საყოველთაოდ ცნობილი საისტორიო გადმოცემით, დიდგორის ბრძოლაში წმიდა გიორგი განცხადებულად და ყოველთა სახილველად დავით აღმაშენებელსა და ქართულ მხედრობას წინ მიუძღოდა: "რამეთუ პირველსავე ომსა იოტა ბანაკი მათი და ივლტოდა, რამეთუ ჴელი მაღლისა შეეწეოდა, და ძალი ზეგარდმო ფარვიდა მას, და წმიდა მოწამე გიორგი განცხადებულად და ყოველთა სახილველად წინაუძღოდა მას და მკლავითა თჳსითა მოსრვიდა ზედამოწევნულთა უსჯულოთა მათ წარმართთა, რომელ თჳთ იგი უსჯულონი და უმეცარნი მოღმართ აღიარებდეს და მოგჳთხრობდეს სასწაულსა ამას მთავარმოწამისა გიორგისსა" (ქართლის ცხოვრება 1955: 341). ტრადიციულ ყოფაში ამ დიდი სასწაულის მრავალი ხალხური ვარიანტია შემონახული. სწორედ წმიდა გიორგი მოჩანს ქართველთა შემწედ და მფარველად საქართველოს ყველა მხარეში. ამასთან დაკავშირებით უამრავი გადმოცემაა შემორჩენილი. შემონახულია ის ეკლესიებიც, რომელთა მახლობლად სასწაულები მომხდარა – "თაორების" შემოსევებისას ქართველ მეომრებს წინ განცხადებულად მიუძღოდა წმიდა გიორგი, მისი შემწეობით დაუმარცხებიათ ქართველებს მტერი და ერთ-ერთი ასეთი დიდი გამარჯვების აღსანიშნავად მადლიერ სვანებს წმიდა გიორგისადმი მიძღვნილი ხალხური დღესასწაული ლამპრობა/ლიჩედურალი დაუწესებიათ. წმიდა გიორგის უკავშირდება "წმიდა გიორგი მოისარისადმი" მიძღვნილი მოისარობის დღესასწაული ("მეისარაბ"), რომელიც მთელ დასავლეთ საქართველოში ცნობილია (აბაკელია 1985; სვანური... 1978: 89). წმიდა გიორგის ეძღვნება მრავალი დღეობა აღმოსავლეთ საქართველოს მთაშიც. ამის ნათელი მაგალითია თუნდაც ხევსურული ხახმატის ჯვარი, სადაც ძირითადად ლოცულობდნენ „გიორგი ნაღვარმშვენიერისა და სამძიმარ ყელდილიანის" სახელზე. ამ ხატის დაარსების ისტორიაც წმინდა გიორგის ცხოვრების ერთ-ერთი ეპიზოდის გახალხურებული ვარიანტია (ოჩიაური 2001: 60).

გარდა ოფიციალური საეკლესიო გიორგობის ორივე დღესასწაულისა, ქართველები სხვა დროსაც ზეიმობენ წმიდა გიორგისადმი მიძღვნილ დღეობებს: როგორც წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიების სატაძრო, ისე სხვადასხვა სათემო დღესასწაულს. ასეთ დღეებში მოელი ხევი, თემი, სოფელი ან გვარი წმიდა გიორგის საყდრების გარშემო იყრის თავს და ტრადიციული ლოცვა აღვლინდება. წმიდა გიორგისადმი მიძღვნილი სასულიერო საგალობელი "ჯგირაგი" სვანეთში დღესაც სრულდება. ცოცხალია ფშაური საფერხულოც: "დღესამ დღეობა ვისია? წმიდისა გიორგისია" (ბარდაველიძე 1938: 39-40) და სხვ. საქართველოში

დღემდე შემონახულია წმიდა გიორგის ეკლესიებისათვის შეწირული საეკლესიო და სახატო მიწები და ტყეები.

ქართულ დღეობათა კალენდარში დიდი ადგილი უჭირავს ელიაობის/ილიაობის დღეობებს. ელია/ილია წინასწარმეტყველისადმი მიძღვნილ დღეობებში ძირითადად დარ-ავდრის გამოთხოვნა მოიაზრება. ასეთ დღეობებში საერთო შემოწირულობები იკრიბებოდა, რითაც სამსხვერპლო საკლავს ყიდულობდნენ. "სეტყვის გამგებლისა და ღრუბელთწინამძღვარი ელიას შესახებ წარმოდგენებს საფუძვლად დაედო "დაბადებაში" და "სახარებაში" აღწერილი ილია წინასწარმეტყველის სახე" (სურგულაძე 2003: 278). ელიაობას/ილიაობას საეკლესიო კალენდარი 20 ივლისით (2 აგვისტო) ათარიღებს.

არსებობენ წმინდანები, რომელთა ხსენების დღეც საქართველოს მხოლოდ ამა თუ იმ ლოკალურ ერთეულშია შემონახული, ასეთია ათენგენობის სადღესასწაულო რიტუალები. ათენგენობა/ათინიგენობა წმ. ათინოგენის სახელს უკავშირდება. წმ. მღვდელმოწამე ათინოგენი და მისი 10 მოწაფე ქ. სებასტიაში ქრისტიანთა დევნისას ქრისტესთვის ევნენ. ხევსურეთში ათენგენობის სადღეობო ციკლი 13 (26) ივლისს იწყება და ერთი კვირის განმავლობაში გრძელდება. თუშეთში ათინიგენობის პირველი ნაწილი შუა ივლისში იწყება და 2 კვირა გრძელდება. მეორე ნაწილის აღნიშვნის დრო აღდგომისა და ლაშარობის დღესასწაულების თარიღების მიხედვით გამოითვლება. ხევში ათენგენობას 16 (26) ივლისს აღნიშნავენ. ფშავში ათენგენობა ძველი სტილით ივლისის პირველი რიცხვებიდან იწყება და სერობასა და საღმერთობასთან ერთად მთელი თვის განმავლობაში გრძელდება.

ბუნებრივია, საქართველოს მთიანეთში ძველი ქართული ტრადიციული ღირებულებები მეტად არის შემონახული, ვიდრე ბარში. მთის იმ მხარეებშიც კი, სადაც ქრისტიანობა შედარებით ნაკლებად იყო გავრცელებული, ქრისტიანობის გავლენა ყოფის ყველა სფეროზე ვლინდება.

სპეციფიკური და ურთულესი ისტორიულ-გეოგრაფიული პირობებიდან გამომდინარე, ქართველი მთიელი ხშირად მოკლებული იყო სახელმწიფო და რელიგიური ინსტიტუტების ყურადღებას. ქვეყნის ერთიანობის დაშლის შემდეგ საქართველოს მთიანეთის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული რეგრესი იწყება და თანდათანობით კანონიკურ ღვთისმსახურებას, სასულიერო პირთა არარსებობის გამო, ე. წ. ხალხური ღვთისმსახურება ენაცვლება. შესაბამისად კი, ამ მხარეების რელიგიურ რწმენა-წარმოდეგენებს სინკრეტიზმის ნიშნები ახლავს, მაგრამ აქაც ვლინდება ქრისტიანობის დიდი გავლენა და თვით ისეთ ხალხურ დღესასწაულთა (ათენგენობა, ლაშარობა...) თუ ე. წ. ღვთაებათა (კვირია, ლაშარის ჯვარი...) გენეზისის კვლევის დროს, რომელთაც თითქოსდა წარმართული ხასიათი აქვს, სიღრმისეული ანალიზი კონკრეტულ ქრისტიანულ მსოფლაღქმის შრეებს ავლენს: "ხევსურულ კურთხევათა ტექსტებს აშკარად ატყვია ქრისტიანული რელიგიის ბეჭედი. ისინი უნდა წარმოადგენდნენ დროთა ვითარების გამო ხევსურეთში ზეპირგადმოცემით შერყვნილ ქრისტიანულ ტექსტებს" (ბარდაველიძე 1938: 5).

ობიექტური მიზეზების გამო ქართველი ეთნოლოგები ხანგრძლივი დროის განმავლობაში (საბჭოთა რეჟიმი) მოკლებულნი იყვნენ კვლევის თავისუფლებას. მათ არ ჰქონდათ ქართველი ერის ისტორიაში ქრისტიანობის უმნიშვნელოვანესი როლის დაფიქსირების უფლება. მეცნიერების ეს დარგი ისე, როგორც ყველა სხვა მომიჯნავე დისციპლინა საბჭოური, ათეისტური იდეოლოგიის გავლენის ქვეშ იძულებით იყო მოქცეული და ცხადია, ამა თუ იმ დღესასწაულისა და რწმენა-წარმოდგენის გენეზისის კვლევის დროს ქრისტიანული მსოფლმხედველობის წინა პლანზე წამოწევა იზღუდებოდა. შედეგად კი თვით აბსოლუტურად კანონიკური მსახურებისა და საუფლო დღესასწაულების აღწერის დროსაც ქრისტიანული მოტივები მხოლოდ ზედაპირულ "დაფენებად" მიიჩნეოდა, მაგრამ ქართველ ეთნოლოგთა დიდი ნაწილი საბჭოთა რეჟიმის პირობებშიც ახერხებდა საზოგადოებისათვის არტეფაქტების ობიექტური ანალიზის მიწოდებას. მაგალითად, ნ. მინდაძის დაკვირვებით, ღვთაება ბარბარ//ბაბარ-ისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში "ვერა ბარდაველიძემ შესავალშივე ჩამოაყალიბა თავისი აზრი ქართველთა სარწმუნოებრივი სისტემის სინკრეტული ხასიათის შესახებ და დააზუსტა, რომ რელიგიური გადმონაშთები ყველაზე მეტად ქრისტიანულ ელემენტებთან არის შერწყმული. ეს გარემოება უთუოდ იმით აიხსნება, რომ ქრისტიანობა ჩვენში ძლიერად ფეხმოკიდებული რელიგია იყო" (ბარდაველიძე 2006: 4).

ცნობილია, რომ ხატი საკრალურთან ურთიერთობის გზად და საშუალებადაა მოაზრებული. საქართველოში მტკიცედ იცავდნენ ხატის თაყვანისცემის ტრადიციას, ქართული ეკლესია მუდამ ეროგული იყო წმინდა სახეთა შესახებ არსებული მართლმადიდებელი სწავლებისა. ეს მენტალური პასაჟი დღესაც განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოს მთიან მხარეებში, სადაც ეკლესიას, ჯვარსა და ხატს უდიდესი სულიერი და, იმავდროულად, სოციალური ფუნქციაც აქვს და ქართული ჩვეულებითი სამართალწარმოება რელიგიურ მსოფლაღქმასთან აქტიურადაა დაკავშირებული.

ქართული ეთნიკური კულტურის მნიშვნელოვანი მონაპოვარია ზედაშის კულტურა. იგი ხალხურ დღეობათა კალენდარსა და რწმენა-წარმოდგენებთანაა გადაჯაჭვული. ზედაშე ანუ შესაწირავი ღვინო (სულხან-საბა 1991: 278) ცნობილია საქართველოს თითქმის ყველა მხარეში. საქართველოს ტრადიციულ ყოფაში შემონახულია ზედაშის, როგორც ბეგრის, გაღებისა და შეწირვის წესი, რაც თვალნათლივ ჩანს სადღეობო რიტუალებში. კონკრეტული მაგალითებით დასტურდება სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ „ხალხურ სარწმუნოებაში დამოწმებულ საზედაშე ღვინოს საერთო სახელთან ერთად, შორეული მსგავსება უჩანს ფეოდალურ საქართველოს ეკლესია-მონასტრებისა და აღაპებისათვის დახარჯული ღვინის ზედაშესთან" (თოფურია 1963: 113). ზედაშის მომდინარეობას კულტურისა და მასთან დაკავშირებული რელიგიური თუ ყოფითი წეს-ჩვეულებების კანონიკური სწავლებიდან და ფეოდალური საქართველოს სამართლებრივი ნორმებიდან ადასტურებს ვ. ბარდაველიძის მიერ ლატალში აღწერილი ე. წ. თანღი თარგლეზერის სადღეობო რიტუალიც (ბარდავ-

ელიძე 1939: 65-67). ამ აღწერილობით გამოვლენილია წმიდა ზიარების გახალხურებული ვარიაცია და ზედაშის, როგორც ბეგრის შეწირვის წესი. ბუნებრივია, ზედაშის შეწირვის ტრადიცია არქაული ხანიდან მომდინარეობს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ახალი რელიგიის – ქრისტიანობის გავრცელების შემდგომ, ადამიანთა ცნობიერებაში ხდება ყოველი თემის, სიმბოლოსა და სარიტუალო ატრიბუტიკის ქრისტიანული მსოფლმხედველობის შესაბამისად გადააზრება და მათ, ახალი – ქრისტიანული მოძღვრებიდან მომდინარე მნიშვნელობა, აზრობრივი და რიტუალური დატვირთვა ეძლევა. გაქრისტიანების შემდგომ შესაწირავ ღვინოს უაღრესად მნიშვნელოვანი აზრობრივი დატვირთვა მიეცა: მაცხოვარმა საიდუმლო სერობაზე წირვის (ძვ. ჟამისწირვის) დაწესებით სისხლიანი მსხვერპლი უსისხლო მსხვერპლით – სეფისკვერითა და შავი (წითელი) ღვინით შეცვალა, რის შედეგადაც ღვინო ლიტურგიკული პრაქტიკის განუყოფელ ნაწილად იქცა.

საქართველოში შემონახული და ცოცხალია სათემო, სასოფლო, საგვარეულო თუ კერძო ინდივიდუალური ზედაშის შეწირვის წესები.

ქართული ტრადიციული მენტალობის უმთავრესი ელემენტები, მათ შორის ქრისტიანული მოტივებიც, ხშირად შენიღბული, მაგრამ მაინც არსებული და თუნდაც გაუცნობიერებელ დონეზე შემონახული, ლეიტმოტივად მიჰყვება გვიან შუასაუკუნეებიდან გამუსლიმებული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფას. მუსლიმ ქართველთა მენტალობაში შემონახულია ქრისტიანული კულტურის არაერთი ელემენტი – ქრისტიანული სიმბოლიკა საცხოვრებლებზე და სამეურნეო ნაგებობებზე, ავეჯსა და თვით არაქრისტიანულ საკულტო ნაგებობათა ინტერიერშიც; ზოგიერთი ქრისტიანული დღეობისა და წეს-ჩვეულების ანარეკლის არსებობა (აღდგომა, ბზობა/"გზობა" ლაზარობა/"ნაზარიობა," მარიობა, ფერიცვალება, "ზიარეთობა"); ხალხურ მედიცინაში შემონახული გადმოცემა – სამკურნალო მცენარეულობის ბაღჩის სახელი – "მარიამის ბაღჩა;" დაფიქსირებულია ეთნოგრაფიული ფაქტები – უკვე გამუსლიმებული ქართველი ქალები მამაკაცების მალულად ჯვარს ატარებდნენ, კეცებზე ჯვრებს ღარავდნენ და სააღდგომოდ სასაფლაოებზე წითელი კვერცხები მიჰქონდათ (კახიძე 1975: 153). ქართული კულტურის მნიშვნელოვანი მონაპოვრის, დამპყრობლისაგან დევნილი – ვაზისა და მისი პროდუქტის ღვინის მონატრების ტრადიციულ რელიგიასთან და მეურნეობის დარგთან იძულებით გაწყვეტილი კავშირის ტკივილიანი მოტივები ჩანს მთელ აჭარაში გავრცელებულ ლექს-სიმღერაში:

"ჩაღმა ჩაყრილო ვენახო,
სად წადი და რომელ მხარეს,
მამა-პაპურო ვენახო,
სად წადი და სად მოგნახო?
მოგნახე და აგაყვავე,
შენს ძირ-ფესვებს ვენაცვალე."

ამავე კონტექსტშია გააზრებული ხეზე კვეთილობისა და მოხატულობების ნიმუშებში, მუსიკალურ ფოლკლორში, აგრეთვე, სხვა ყოფით პასაჟებში გამოვლენილი ფსიქოლოგიური და ესთეტიკური მოტივები, რომლებიც ძველი ქართული ქრისტიანული სარწმუნოებისადმი პა-

ტივისცემის გამოძახილია და ამ მასალის ფიქსირების დროისათვის (XIX–XX საუკუნეთა მიჯნა) უკვე მიმქრალი რელიგიური შეხედულებების ეროგვარი რეკონსტრუქციის შესაძლებლობასაც იძლევა.

მართლმადიდებელმა ქრისტიანობამ გავლენა მოახდინა ნათესაურ ურთიერთობებზეც. საქართველოში ნათესაობის ოთხი ძირითადი სახეა ცნობილი: მამის ხაზით ნათესაობა (აგნატიკური), დედის ხაზით ნათესაობა (კოგნატიკური), სულიერი ნათესაობა (ნათელ-მირონი) და ხელოვნური ნათესაობის ტიპები. ტრადიციულად, ნათესაური ორგანიზაციები ეგზოგამიურია. ნათესაურ ჯგუფებს შიგნით ქორწინების აკრძალვა თითქმის ყველა ქართულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ თემს/ჯგუფს ახასიათებს. გენეალოგიურ ჯგუფებს შიგნით ქორწინების აკრძალვა ძირითადად შვიდ-თორმეტ თაობას მოიცავდა, რადგან მინიმალურ და მედიალურ ლინიჯთა გენეალოგია და, შესაბამისად, "სისხლით" ნათესაური ურთიერთობები დაახლოებით ამდენივე თაობას მოიცავდა (მგელაძე 2004). ზოგადად მოგვარეთა დაქორწინება კი იშვიათ გამონაკლისთა გარდა, საერთოდ მიუღებელი და აკრძალული იყო. გვარსშიდა ეგზოგამია ირღვეოდა, როდესაც გვარი იმდენად იზრდებოდა და ვითარდებოდა, რომ "სისხლით" ნათესაობის ნიშნებს კარგავდა, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც გვარში შემოერთებული იყო სხვა, არა სისხლით ნათესავი გვარი. ტრადიციული ქართული ნათესაური ურთიერთობის სისტემა ეროგვარად შეცვლილია არამართლმადიდებელ ქართველთა შორის. კათოლიკე და მუსლიმი ქართველებისთვის ნათესავთა ქორწინება დაშვებულია.

მართალია, ქრისტიანული ეკლესია ქორწინებას მოგვარეებში მეშვიდე თაობის შემდეგ ნებას რთავდა, მაგრამ ქართველები მტკიცედ იცავდნენ უძველეს ადათ-წესს – მოგვარეზე ქორწინებას მიუღებლად და მკრეხელობად მიიჩნევდნენ. რაც შეეხება ქორწინების აკრძალვას დედისეული ნათესავების მხრიდან, იგი მკაცრად იყო დაცული IV-VI თაობებამდე, შემდეგ VII თაობის ჩათვლით ქართველები ცდილობდნენ ნათესაობის დაცვას, მაგრამ ეს უფრო გაძნელებული იყო, ვინაიდან VII თაობის შემდეგ ნათესაობის დადგენა უკვე რთულდებოდა. ქართული ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით ქორწინება აკრძალული იყო არა მხოლოდ მოგვარეთა შორის, არამედ დედისა და ბებიების მოგვარეებთანაც, ხოლო ხევში, სვანეთსა და ხევსურეთში და ზოგიერთ სხვა კუთხეში უფრო შორეული წინაპრების მოგვარეებთანაც კი აკრძალული იყო ქორწინება ნათელ-მირონითა და ხელოვნური გზით დანათესავებულთა შორის.

ქართული ქრისტიანული ძეგლები ტერიტორიულად ბევრად უფრო ვრცელ არეალშია განფენილი, ვიდრე დღევანდელი საქართველოა. გარდა იმ ვრცელი ქართული ისტორიულ-ეთნოგრაფიული ერთეულებისა, რომლებიც საქართველოს წაართვეს რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიებმა (მესხეთის დიდი ნაწილი, ტაო, კლარჯეთი, ლაზეთი, ჰერეთი, დვალეთი. ლორე-ტაშირი...), ძლიერი ქართული მონარქიის არსებობის პერიოდებში ქართული ქრისტიანული კულტურა მთელ კავკასიაში ვრცელდებოდა. ისტორიული გადმოცემით ცნობილია, რომ ძირძველი კავკასიელები ერთმანეთის მონათესავენი არიან (ქართლის ცხოვრება

1955). შესაბამისად, ერთიანობის გრძნობა კავკასიელ ხალხთა შორის ხშირად იჩენდა თავს და ასეთ დროს მეზობელ ხალხებს კულტურულ-პოლიტიკურ მფარველობას სწორედ საქართველო უწევდა. მაგალითად, ცნობილია ის დიდი წვლილი, რაც ქართველებმა შეიტანეს სომეხი ერის გადარჩენის საქმეში. ჩრდილო კავკასიაში, მაგალითად, დაღესტანში, ინგუშეთსა და ოსეთში ქართული კულტურის არაერთი ძეგლია დაფიქსირებული (ღამბაშიძე 1987; მუსხელიშვილი 2004; თოფჩიშვილი 2007), ბალყარეთის, ყარაჩაისა და ყაბარდოს მთიანეთში კი, ქართული ძეგლები განსაკუთრებულად მრავლად გვხვდება, ვინაიდან ქართველები (სვანები) XIX საუკუნის 30-40-იან წლებამდე ამ მხარეებში ცხოვრობდნენ და საქართველოს ერთ-ერთი რეგიონი (სვანეთის სამთავრო და სვანეთის ცალკეული ე. წ. ბალსზემო თემები) 1834-1835 წლებამდე ყუბანისა და თერგის სათავეებში მდებარე ქართველთა ისტორიულ მიწებზე გარკვეულ გავლენას ინარჩუნებდა. ამ მხარეებში ქართული ქრისტიანული კულტურის კვალი XX საუკუნის შუახანებამდე ფიქსირდებოდა. მაგალითად, 1849 წელს ბეზინგში (ბეზინგი – ხულამის აზაუ) ქართული ქრისტიანული ეკლესია აიწერა. ტაძარი ქვით ნაგები (კედლების ზომა 5,25X3,25 არშინი, სიმაღლე – 4,25 არშინი) და მოხატული ყოფილა. ფრესკებით შემკულ ტაძარს ამშვენებდა ქართული წარწერები, რომლებიც ლ. ლავროვის აზრით, ქართველი მშენებლების შესრულებული უნდა ყოფილიყო (Лавров 1950). ეს ეკლესია XX საუკუნის 60-იან წლებში მთლიანად დანგრეულ იქნა. საყურადღებოა, რომ ჩრდილო კავკასიამაც შემოინახა ხსოვნა საქართველოს დიდი მეფის წმიდა თამარის შესახებ. ყარაჩაიში დაფიქსირებული გადმოცემით, თამარ მეფე ამ მხარეში ხშირად იმყოფებოდა. ხუმარაში შემონახულია ტოპონიმი „თამარის მთა.“ მთაზე ციხე მდგარა („თამარის ციხე“). „თამარის მთის“ ჩრდილოეთით კლდეში გამოჭრილია ექვსი, ხოლო აღმოსავლეთის მხარეს – 30 სენაკი. გადმოცემით, ამ სენაკებში თამარ მეფის ჯარი ბანაკდებოდა. მთხრობლებს თამარის საფლავი იქვე, ყუბანის ხეობის სათავეში ეგულებათ. ხუმარას მომიჯნავე მთის კალთებზე სამი მეტრი სიმაღლის ქვაჯვარია აღმართული, მას „თამარის ჯვარს“ უწოდებდნენ. იქვე ქრისტიანული სასაფლაო ყოფილა, მსგავსი ჯვრები მრავლად მდგარა, ზოგ ჯვარზე წარწერაც ყოფილა ამოკვეთილი. ხუმარაშივე თ. მიბჩუანმა უზარმაზარი ოთხკუთხა ლოდი დააფიქსირა, ე. წ. „თამარის ქვა“. გადმოცემით, ამ ქვასთან მდგარი თამარი მიმართავდა ჯარს, იქვე აბამდა თავის რაშსაც, რომლის ანაბეჭდებად ლოდის აღმოსავლეთ კედელზე არსებულ ჩაღრმავებებს მიიჩნევენ (მიბჩუანი 1977: 29-31).

თანამედროვე ყოფის ამსახველი მასალის ანალიზის შედეგად აშკარა ხდება, რომ ქრისტიანული რელიგიით ნასაზრდოები ტრადიციული ქართული ღირებულებების სისტემა, ისტორიულ ჭრილში განხილვისას ჩვენი დროისთვისაც კი მყარი და სიცოცხლისუნარიანია. ტრადიციულ ღირებულებათა სისტემა, თავის მხრივ, ასახულია ქართული ცხოვრების წესსა და მენტალობაში. თანამედროვე ეთნოგრაფიული მასალა სულიერი და სოციალური კულტურის ტრადიციული ელემენტების შედარებით სტაბილურ და დროში გამძლე ხასიათს წარმოაჩენს. ინოვაციები და ცვლილებები ტრადიციულ ცხოვრების წესზე მხოლოდ

დროის დიდი მონაკვეთის გავლის შემდეგ ვლინდება. აშკარაა, რომ ტრადიციული ქართული კულტურის ერთ-ერთ უმთავრეს ელემენტად დღემდე მართლმადიდებელი რელიგია გვევლინება.

ცხადია, ცხოვრების ტრადიციულ წესსა და მენტალობას მრავალი მომენტი და დროის ხანგრძლივი პერიოდი აყალიბებს. ცხოვრების წესი და მენტალობა კულტურის მუდმივად ცვალებადი (ნელი ტემპით) ელემენტებია, რომლებიც განსაკუთრებული მდგრადობით გამოირჩევა. ასეთი მთავარი ღირებულება დღესაც, დღევანდელ ქართველთა უდიდესი ნაწილისათვისაც კვლავ რელიგიურობაა. პოლიეთნიკურ გარემოში და დღევანდელი გლობალიზაციის ფონზე ტრადიციულად მოაზროვნე ადამიანი საკუთარ თავს ეროგვარად „დაკარგულად“ აღიქვამს. ამ დროს აქტიურდება რელიგიის როლი და ეს თვალნათელია, თუნდაც საქართველოს მაგალითზე. “ფასეულობათა სისტემიდან რელიგია ერთადერთია, რომელსაც შეუძლია უპასუხოს ადამიანთა ობიექტურ ფსიქოლოგიურ და ზნეობრივ მოთხოვნებს. ამიტომ რელიგია მთელი ორი ათასწლეულის მანძილზე იკავებს ცენტრალურ ადგილს საზოგადოებრივი ცხოვრების სტრუქტურებში“ (გურევიჩი 2001: 130). გურევიჩის ეს განზოგადებული შენიშვნა ქართველთა თანამედროვე ყოფასაც ესადაგება. კულტურის ამ უმთავრესი ელემენტის (რელიგიურობის) მდგრადობასა და სიცოცხლისუნარიანობას საზოგადოების მოთხოვნა განაპირობებს. ამასთანავე, ქართული ეთნიკური კულტურის მობილობა და დიდი პოტენციალი თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე კულტურულ პროცესებთან სრულ შესაბამისობაშია. მსოფლიო სწორედ მრავალფეროვნებით არის ფასეული, ამ მრავალფეროვნებაში კი ქართულ ეთნიკურ კულტურას სპეციფიკურად თვითმყოფადი – ქართული ტონალობები შეაქვს. ქართულ კულტურას კი ერის მცირერიცხოვნობიდან გამომდინარე, განსაკუთრებულად სათუთი მოპყრობა და გაფრთხილება სჭირდება.

Rozeta Gujejiani*, Nodar Shoshitashvili*

*Georgian National Museum, Rustaveli Avenue 3, 0105 Tbilisi, Georgia

Christianity and Traditional Georgian Ethnic Culture

Summary

Any elements of the Georgian ethnic culture (main signs and local peculiarities of material, spiritual or social life) have been preserved in the ancient foreign written sources and mythological legends as well as in local archaeological material, and from the 4th c. in the Georgian written monuments.

According to historical tradition the Georgian ethnic group still existed at the turn of the 4th-3th cc B.C. Historically established union, the Georgian nation, has been fixed on the territory of Georgia through long life since the ancient era with single territory, language, culture and self-consciousness, with all main characteristics of the single mode of life and culture. This material proves existence of a single pagan system in Georgia (hierarchy of deities and pantheon). As soon as Christianity was declared the state religion, formation and development of the new Georgian – Christian – culture starts. Since that time, each element of mode of life and culture has essentially changed and their apprehension and development went on according to the new religion.

The historical material proves existance of different makers of the early medieval Georgian culture: in Georgia all those who considered themselves members of this culture and representatives of the Georgian state, despite their ethnic origin, were apprehended as the Georgians and creators of the Georgian culture. The Georgian nation has always been considered tolerant. Not to be tolerant towards other ethnic groups or confessions was alien for the Georgians and permanent existence of such mental ethnic traits among the Georgian nation, was represented as the result of Orthodox Christian teaching and, at the same time, national characteristic features of the nation.

Since early Middle Ages churches and monasteries have been powerful centers of culture and education; through hard work of church hierarchs churches, monasteries were built and painted; main postulates of the church legislation regulated standats of the Georgian law, Georgian family life, relations between relatives, annual economic calendar; traditional Georgian mentality was formed, etc. In general, the traditional mode of life, traditional moral of the society, ethics, and values were full of Christian world outlook, which is proved most clearly by the ethnographic material. In result of research of component traditional values of Georgian ethnic culture (mode of life, religious, moral, and social norms, system of relation, law, folk celebrations, marriage and burial rules), the strongest and leading role of Christian religion is proved

from the viewpoint of the Georgian culture development. At the same time, for the Georgians, surounded by Muslim kingdoms and principalities, preserving Orthodox Christianity was adequate in maintaining statehood and national peculiarities – being the Georgians.

The analysis of the material on contemporary mode of life clearly shows that the system of traditional Georgian values, nourished by the Christian religion, displays flexibility and vitality for our time as well. The system of traditional values, in its turn, is represented in the Georgian mode of life and mentality. Modern ethnographic material reveals comparatively stable and time-resistant character of traditional elements of the spiritual and social culture, and Orthodox religion has been one of the main elements of traditional Georgian culture up to the present day. Flexibility and vitality of this major element (religiousness) is nourished and conditioned by the demand of the society. Mobility and great potential of Georgian ethnic culture is in full compliance with the cultural processes of the modern world. The world is valuable for its diversity, into which the Georgian ethnic culture brings specific peculiar – Georgian – tonalities which deserve delicate approach and care.

ბიბლიოგრაფია

1. **აბაკელია ნ., 1985:** ქრისტიანული წმინდანები დასავლურ-ქართულ რწმენა-წარმოდგენებში (წმინდა გიორგი),– მაცნე ისტორიის, სერია, №3, თბ.

2. **ალასანია გ., 2003:** ოვითიდენტიფიკაცია შუა საუკუნეების საქართველოში, კრ., ქართველური მემკვიდრეობა, VII, ქუთაისი.

3. **ალასანია გ., 2001:** „რელიგიური შეუწყნარებლობა" და ეთნიკური ტოლერანტობა შუა საუკუნეებში (საქართველოს მაგალითზე), კრ. ქართველური მემკვიდრეობა, V, ქუთაისი.

4. **ბარდაველიძე ვ.,** 1938: აღმოსავლეთ საქართველოს ქართველი მთიელების სასულიერო ტექსტები,– მსე, ნაკვ. I, ტფ.

5. **ბარდაველიძე ვ., 1968:** სიცოცხლისა და სიუხვის ხე ქართველთა სარწმუნოებაში, მსე, 14, თბ.

6. **ბარდაველიძე ვ., 2006:** ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, ღვთაება ბარბარ-ბაბარ, თბ.

7. **ბარდაველიძე ვ. 1939:** ქართულ (სვანურ) ხალხურ დღეობათა კალენდარი, I, ახალწლის ციკლი, ტფ.

8. **ბერაძე თ., 2008:** ქართული იდენტობის ძირითადი ეტაპები, ეთნოლოგიური კრებული, I, თბ.

9. **გუჯეჯიანი რ., 2008.** საველე-ეთნოგრაფიული დღიური კლარჯეთი 2008.

10. **თოფურია ნ., 1963:** ღვინის ზედაშეები, მსე, XII-XIII, თბ.

11. **თოფჩიშვილი რ., 2007:** კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია, თბ.

12. **თოფჩიშვილი რ., 2008:** საქართველოს ეთნოლოგია, თბ.

13. **კახიძე ნ., 1975:** ხელოსნობა მაჭახლის ხეობაში,– სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, III, თბ.

14. ლომთათიძე გ., 1955: საქართველოს მოსახლეობის სოციალური და კულტურული დახასიათებისათვის ახალი წელთაღრიცხვის I–III საუკუნეებში,– ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. I, თბ.

15. მიბჩუანი თ., 1977: თამარ მეფის ნაკვალევზე, ჟ. რიწა, სოხუმი.

16. მინდაძე ნ., 2008: წმინდა ბარბარე სვანეთის ტრადიციულ კულტურაში,– კრ., სვანეთი ქართული კულტურის სავანე, თბ.

17. მუსხელიშვილი დ., 2004: ჩრდილო კავკასიაში ქრისტიანობის გავრცელების საკითხისათვის, ჟ. ლოგოსი, II, თბ.

18. ოჩიაური თ., 2001: ხახმატის ჯვარი. კრ. ქართველური მემკვიდრეობა, V, ქუთაისი.

19. ორბელიანი სულხან-საბა. 1991: ლექსიკონი ქართული, I, თბ.

20. სურგულაძე ი. მითოსი, 2003: კულტი, რიტუალი საქართველოში, თბ.

21. ქართლის ცხოვრება, 1955: ტ. I, ტექსტი, ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით დაადგინა ს. ყაუხჩიშვილმა, თბ.

22. ქართლის ცხოვრება, 1973: ტ. IV, ტექსტი, ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით დაადგინა ს. ყაუხჩიშვილმა, თბ.

23. ღამბაშიძე, გ. 1987: შუა საუკუნეების საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა კულტურულ-ისტორიულ ურთიერთობათა საკითხისათვის, კრ.: ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, V, თბ.\

24. ჭანტურიშვილი ს., 1984: ყოფა და კულტურა V-X საუკუნეების საქართველოში, თბ.

25. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, 2009: საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, თბ.

26. Жак Ле Гофф, 2005: Цивилизация средневекового запада, Екатеринбург.

27. Гуревич П. С. 2001: Философия культуры. Учебник для высшей школы «NOTA BENE», М.

28. Лавров, Л. 1950: Расселение сванов на северном Кавказе до XIX в., Краткие сообщения ИЭАНССР, X, М-Л.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია №1 (46-B), 2010, 277-289
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences №1 (46-B), 2010, 277-289

ეთნოგრაფია/ეთნოლოგია

გულიკო კვანტიძე

საქართველოს ეროვნული მუზეუმი, რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო

მეფედ კურთხევის რიტუალისათვის საქართველოში (ქართული საისტორიო მწერლობისა და კედლის მხატვრობის მიხედვით)

მეფე მონარქიული სახელმწიფოს მმართველი, ქვეყნისა და ხალხის უზენაესი ხელისუფალია. ძალაუფლება მემკვიდრეობით უფროს ვაჟს გადაეცემოდა. ქართველ მეფეთა ტიტულებია: "მეფეთა-მეფე," "მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა".

მეფეს "ღვთივკურთხეულს," "გვირგვინოსანსაც" უწოდებდნენ, რადგან ყოველი ახალი ხელისუფალი ქვეყნის მართვას ტახტზე ასვლითა და კურთხევით იწყებდა. გვირგვინი კურთხევის უმთავრესი ნიშანი იყო. დაგვირგვინების თემა ანტიკური სამყაროდან მომდინარეობს. თავდაპირველად, მასში განდიდება, გლორიფიკაცია მოიაზრებოდა. მოგვიანებით ამ თემას განდიდებასთან ერთად სხვა აზრიც შეემატა. იგი ზეციური წყალობის, ღვთისაგან ბოძებული მეფობის უფლების ნიშნად იქცა და მეფედ კურთხევის აღმნიშვნელი გახდა.

სამწუხაროდ, ქართულ და უცხოურ წერილობით წყაროებში ცნობა იმის შესახებ, თუ როდის შემოიღეს საქართველოში მეფედ კურთხევის ტრადიცია, ან ვინ იყო პირველი, მირონცხებული ხელისუფალი არ მოიპოვება.

ბაგრატიონთა სამეფო გვარის მემატიანე საინტერესო ცნობას გვაწვდის დავით კურაპალატის ძის – ადარნასეს ქართველთა "მეფედ დასმის" შესახებ. მის კურთხევაზე კი არაფერს ამბობს [თაყაიშვილი 1890: 59].

სომეხთა ისტორიკოსის, იოანე კათალიკოსის გადმოცემით, საქართველოში ადარნასე, სომეხთა მეფე სმბატმა გაამეფა და "მეფობის წესისაებრ," მშვენიერი სამკაულებით გაწყობილი ძვირფასი გვირგვინი დაადგა თავზე და იარაღით მორთო" [Marr 1934: 38].

როგორც ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, იოანე კათალიკოსის "ტექსტში ორი უზუსტობაა. პირველი ქრონოლოგიურია და სმბატ I-ის

სამეფო ტახტზე ასვლის თარიღის ცდომილებას ეხება – სმბატი 891 წელს გამეფდა, ხოლო ბაგრატონიანთა საგვარეულოს ისტორიკოსი, ადარნასეს მეფედ "დასმის" თარიღად 888-889 წლებს მიუთითებს. ამ პერიოდში კი სომხეთში აშოტი მეფობდა. საინტერესოა აგრეთვე, ბიზანტიის კეისრის დაუკითხავად და ნებადაურთველად სმბატ I-მა როგორ მოახერხა ადარნასეს გამეფება, სომხეთი ხომ არაბთა ხალიფის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა, ხოლო საქართველო ბიზანტიისა. მეფობის უფლების მიღებას კი ორივე ქვეყნის თანხმობა სჭირდებოდა [ჯავახიშვილი 1984: 150].

მართალია, იოანე კათალიკოსის ცნობას სრულს და სარწმუნოს ვერ ვუწოდებთ, მაგრამ დამაფიქრებელია მისი სიტყვები – "გვირგვინის დადგმა," "იარაღით მორთვა," "მეფეთა წესისაებრ." გვირგვინი და იარაღი მეფის ხელისუფლების ნიშანია, რაც შეეხება, "მეფეთა წესისაებრს," იგი პირდაპირ კორონაციაზე მიგვანიშნებს. შესაძლებელია მეფედ კურთხევის წესი ჯერ კიდევ დაუხვეწელი იყო, მაგრამ უკვე არსებობდა. ამ პირდაპირი ცნობით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საქართველოში IX საუკუნეში ქართველი ხელისუფალნი მეფედ ეკურთხებოდნენ.

"მოქცევაი ქართლისაის" მიხედვით, გიორგი II რუისში ეკურთხა. სამწუხაროდ, მემატიანე არც ამ შემთხვევაში იძლევა მეფედ კურთხევის სრულ აღწერილობას, იგი მხოლოდ აღნიშნავს, რომ "მოიყუანეს საყდარსა რუისსა, აკურთხეს მეფედ"[თაყაიშვილი 1890:1].

შედარებით მეტი მასალაა მოცემული დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებაში – "ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი," სადაც მოთხრობილია დავითის მიერ დემეტრეს "მეფედ დასმის" ამბავი: "თვისი ხელითა დასუა საყდარსა თვისსა ძე თვისი დიმიტრი. . . და დაადგა თავსა შუენიერი გვირგვინი ქუათაგან პატიოსანთა. . . შეარტყა წელთა ძლიერთა მახვილი რაბამ სვიანად ხმარებული და შემოსა პორფირი მკლავთა ლომებრთა და ტანახოვანსა და დაულოცა ცხორება წარმართებული" [ცხოვრება მეფეთ მეფესი დავითისი 1955: 363].

დემეტრე I-ის გამეფებას დავით აღმაშენებელი თავის ანდერძშიც გვიამბობს: "წარუძღუანე წმიდა ძელი ცხორებისა და მივეც დროშა ჩემი სვიანი, აბჯარნი ჩემნი სამეფონი და საჭურჭლენი ჩემნი ზემონი და ქუემონი" [დოლიძე 1965: 19].

არაფერია ნათქვამი არც თამარის პირველ გამეფებაზე, ხოლო მეორედ მეფედ კურთხევა შედარებით ვრცლადაა გადმოცემული მისი ისტორიკოსის თხზულებაში: "მოიღეს გვირგვინი, აღიღეს ხმა მგალობელთა და ძლევით გვირგვინოსნობისა და მძლედ-მფლობელობისა მოახსენეს. . . ამას ესევითარსა შესხმასა და გალობასა შინა." "ვინაითგან ლიხთიმერთაგან იყო წესი დადგმად გვირგვინისა თავსა სამეუფოსა," თამარს გვირგვინი ქუთათელმა ანტონ საღირისძემ დაადგა. ამავე წესის თანახმად, სასულიერო რიტუალის დასრულების შემდეგ ლიხთიმერელი დიდებულები: კვირიკესძე კახაბერი ერისთავი რაჭისა და თაკუერისა, სუიანთა და დიდებულთა ვარდანისძეთა, საღირისძეთა და ამანელისძეთა საჭურველს მიართმევენ თამარს, ნიშნად ძლიერებისა და ძალაუფლების გადაცემისა [ისტორიანი და აზმანი 1959].

მეფედ კურთხევას სამივე მემატიანე ერთნაირი თანამიმდევრობით

აღწერს. ტაძარში შესულ მეფეს ჯერ ტახტზე სვამდნენ, შემდეგ სამეფო გვირგვინი შემოჰქონდათ. კურთხევის წესის თანახმად, მეფეს გვირგვინს ლიხთიმერელი კათალიკოსი ადგამდა და მირონსაც ის სცხებდა. მირონცხებით სრულდებოდა კურთხევის საეკლესიო ნაწილი და საერო იწყებოდა. საერო ნაწილში, ისევ ლიხთიმერელი დიდებულები ფიგურირებდნენ. ისინი მეფეს წელზე ხმალს შემოარტყამდნენ. წელზე ხმლის შემორტყმის რიტუალი დიდებულების მხრიდან მეფისათვის ძლიერებისა და ძალაუფლების გადაცემის სიმბოლო იყო.

თამარის მეფედ კურთხევის აღწერისას, ისტორიკოსი წელზე ხმლის შემორტყმის ნაცვლად "ხრმალის მოღებასა" და "დადებაზე" საუბრობს. ივანე ჯავახიშვილის აზრით, თამარს, როგორც ქალს, არ შეშვენოდა წელზე ხმლის შემორტყმა, ამის გამო მას სამეფო ნიშნები ამგვარად გადასცეს [ჯავახიშვილი 1984: 150].

შემდგომ საუკუნეებში, წესი, რომლითაც ეკურთხნენ დემეტრე და თამარი, შეიცვალა. ვახუშტი ბატონიშვილის გადმოცემით: "გვირგვინსა დაადგმიდა ქუთათელი მეფეთა ქუთათისის ტახტისათვის, ხოლო შემდგომად განყოფისა, იმერეთს-კათალიკოზი იმერთა, ქართლს-კათალიკოზი ქართლისა და კახეთს-ბოდბელი" [ვახუშტი 1941: 19].

ვახუშტის გადმოცემის თანახმად, ერთიანი საქართველოს დაშლის შემდეგ, ქართველ მეფეთა კურთხევის არსებული ძველი წესი ახლით შეცვლილა. კურთხევის ახალი წესის აღწერილობა დაცულია XIII საუკუნეში შედგენილ საისტორიო თხზულებაში – "წესი და განგებაი მეფედ კურთხევისა" [დოლიძე 1965: 50]. ძეგლს ივ. ჯავახიშვილი, ს. კაკაბაძე და ნ. ბერძენიშვილი XIII საუკუნით ათარიღებენ. მაგრამ საუკუნის მონაკვეთის დადგენამ მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ივანე ჯავახიშვილი და ნიკო ბერძენიშვილი ვარაუდობენ, რომ ტექსტი შედგენილია XIII ს. ბოლოსათვის. ისიდორე დოლიძის აზრით, ის I ნახევარს ეკუთვნის. თინათინ ვირსალაძე კი თვლის, რომ საფუძველი ამ ახალი წესის შექმნისათვის თამარის მეფობაში უნდა წარმოშობილიყო. რადგან მამის ხელით გვირგვინდადგმული ხელისუფალი დიდებულებმა მეფედ არ სცნეს და საჭირო გახდა კურთხევის ხელმეორედ ჩატარება. სწორედ ეს ფაქტი მოჰყავს თ. ვირსალაძეს ძველი წესის ახლით შეცვლის ბიძგად.

"წესი და განგებაი მეფედ კურთხევისა"-ს მიხედვით, კურთხევის წინა საღამოს, მეფის სასახლეში კათალიკოსის მიერ არჩეული მთავარეპისკოპოსი მიდიოდა. მას წინ მღვდელ-დიაკვნები მიუძღოდნენ კელაპტრებით ხელში. ისინი გალობით შედიოდნენ სასახლეში და სამეფო რეგალიებს (გვირგვინი, სკიპტრა, პორფირი და ბისონი) ფეშხუმზე დებდნენ და წარსაფენს აფარებდნენ. კათალიკოსს სამეფო ნიშნები ტაძრის საკურთხეველში შეჰქონდა და ტრაპეზზე დებდა.

მთელი ღამის განმავლობაში მწუხრის ლოცვა მიმდინარეობდა. გათენებისას მრევლი სახლში ბრუნდებოდა. მრევლს წირვის დაწყებას იმავე დღეს, ძელზე სამჯერ შემოკვრით აუწყებდნენ. მღვდელ-დიაკვანნი და კათალიკოსი კურთხევისათვის შესაფერისი სამოსით იმოსებოდნენ, მეფის ჯვრისმტვირთველი კი "ძელი ცხორებით" ხელში სასახლეში მიდიოდა.

კურთხევის წესის თანახმად, სამეფო პალატში შესული ჯვრისმტ-ვირთველი თავმოდრეკით ეუბნებოდა მეფეს: “გაკურთხენ წმიდაო და თვითმპყრობელო მეფეო, მრავალმცა არიან წელნი მეფობისა თქუენისანი.” იგივე სიტყვებს წარმოთქვამდნენ ლაშქრის წევრები, რაინდები და დიდებულები. ამის შემდეგ, ჯვრისმტვირთველი ლაშქარს ისევ თავმოდრეკილი მიმართავდა: “და თქუენცა გიხაროდენ ძლიერნო და უძლეველნო და დამამხობელნო მტერთა სამეფოთანო. ჟამი არს წინამდებარისა საქმისა აღსრულებად.” და ყველა ეკლესიისაკენ მიე-მართებოდა. წინ მიჰქონდათ: “ზარი მეფეთა,” დროშა და შუბი. ამალას უკან მთავარდიაკონი, ჯვრისმტვირთველი და მანდატურთუხუცესი მი-ჰყვებოდნენ. მათ კი წინ მეფე და ლაშქარი მიუძღოდა.

კურთხევის წესის თანახმად ტაძარში მიმავალ მეფეს მარჯვნივ ამირსპასალარი მიჰყვებოდა, რომელსაც სამეფო ხმალი “ორთავე ხელთა ზედა ეტვირთვის.” ამირსპასალარს ამილახორი და მეჯინი-ბეთუხუცესი მისდევდნენ. მეფეს მარცხნივ ჭყონდიდელი, ათაბაგი და მთავრები ედგნენ. ეზოთუხუცესს, ჩუხჩარეხსა და მეაბჯრეთუხუცესს სამეფო ფარი, ლახტი და ქარქაში მიჰქონდათ.

ეკლესიის კართან მისულ მეფეს კათალიკოსი ეგებებოდა და თავ-მოდრეკით მიმართავდა: “კურთხეულ არს მოსვლა თქუენი და დამტ-კიცებაი მეფეთა-მეფედ სამეფოსა ამას თქუენსა ზედა” მისალმებაზე დამსწრენი პასუხობდნენ: “ამინ” [დოლიძე 1965: 51].

მეფე კათალიკოსს უსიტყვოდ სცემდა თაყვანს, მისი მარჯვენა ხელი კათალიკოსს ეჭირა, მარცხენა იშხნელს ან მთავარეპისკოპოსს და ასე მიაცილებდნენ “სამეფოსა ადგილსა”.

წირვის დაწყებამდე ამირსპასალარი ჯვრისმტვირთველს სამეფო ხმალს გადასცემდა, რომელსაც საკურთხეველში “ძელი ცხორების” გვერდით დებდა. საკურთხევლის კარების ორივე მხარეს დროშა და შუბი ეჭირათ.

სანამ კათალიკოსი წირვას დაიწყებდა, მთავარეპისკოპოსს საკურთხ-ევლიდან ბისონი გამოჰქონდა და თავმოდრეკილი მეფე “ორთავე მუხ-ლთა ზედა დაფენით” კათალიკოსთან მიჰყავდა. მეფე კათალიკოსს კურთხევას სთხოვდა, კათალიკოსი ჯვარს გადაწერდა და იტყოდა: “კურთხეულ-არს მეფობაი თქუენი დასასრულამდე. . .” ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ კათალიკოსი საკუთარი ხელით აცმევდა მეფეს ბისონს და ისევ ჯვარს გადაწერდა. ბისონშემოსილი მეფე თავის ადგ-ილს უბრუნდებოდა.

სახარების წაკითხვის შემდეგ მეფე სამგზის სცემდა თაყვანს საკურთხეველს და ეპისკოპოსებს იგი საკურთხეველში შეჰყავდათ, სა-დაც კათალიკოსის წინაშე მუხლს იყრიდა. კათალიკოსი მეფეს თავზე ომფორს ადებდა, ჯვარს გადაწერდა და საღვთო სიტყვებს სამგზის იმეორებდა. ამის შემდეგ კათალიკოსი აიღებდა გვირგვინს, ჯვარს გა-დასახავდა და დაადგამდა მეფეს. შემდეგ პორფირს გადაწერდა ჯვარს და ჩააცმევდა, შემდეგ სკიპტრას გადაწერდა ჯვარს და მარჯვენა ხელ-ში აძლევდა.

სამეფო ნიშნებით შემკულ მეფეს ტრაპეზის მარჯვენა ორხოაზე აყენებდნენ. მგალობლები მას მრავალჟამიერს უმღეროდნენ. იწყებოდა

ზიარება. მღვდელთ-მოძღვართა შემდეგ მეფეს აზიარებდნენ. ზიარებით მთავრდებოდა მეფედ კურთხევის ცერემონიის საეკლესიო ნაწილი და იწყებოდა საერო.

საერო ნაწილი ხმლის წელზე შემორტყმას გულისხმობდა. ახალი წესის თანახმად, ამ რიტუალს ამირსპასალარი ასრულებდა. სამეფო ტანსაცმლითა და წელზე ხმალშემორტყმული მეფე სასახლეში მიდიოდა. კათალიკოსი და ჭყონდიდელი მას ტახტთან მიაცილებდნენ და უკან ბრუნდებოდნენ. მხოლოდ ჯვარისმტვირთველი იდგა მეფის მარჯვნივ, მას "ძელი ცხორებისა" ეჭირა ხელში მანამ, სანამ მეფეს "ლაშქარი სცემდა თაყვანს" და "ძღვნობა და პურობა" დამთავრდებოდა.

დგებოდა მილოცვების დრო. პირველად მეფეს დედოფალი ულოცავდა, შემდეგ კათალიკოსი, ჭყონდიდელი, ათაბაგი, მანდატურთუხუცესი, ამირსპასალარი, მეჭურჭლეთუხუცესი, მსახურთუხუცესი და ბოლოს მთელი დარბაზი. კურთხევიდან სამი დღის განმავლობაში, სამეფო რეგალიებით შემოსილი მეფე ტახტზე უნდა მჯდარიყო.

ამგვარი იყო XIII საუკუნეში შედგენილი მეფედ კურთხევის "განგება," რომელიც საკმაოდ განსხვავდება IX-XIII I ნახევარში მოქმედი წესისაგან.

თუკი თამარის გამეფების დროს, "კურთხევის წესისაებრ," აუცილებელი იყო მეფისთვის გვირგვინი ლიხთიმერელ კათალიკოსს დაედგა, ხოლო იარაღი ლიხთიმერელ დიდებულებს მიერთმიათ, ან თუნდაც სამეფო ხმალი შემოერტყათ წელზე, XIII საუკუნის ახალი წესი მათ არც გვირგვინის დადგმას და აღარც წელზე ხმლის შემორტყმას ავალებდა.

მიუხედავად იმისა, რომ წელზე სამეფო ხმლის შემორტყმის წესი კვლავ ძალაში რჩებოდა, მას აღარ ჰქონდა ძველი სიმბოლური დატვირთვა. ამ წესის შესრულება ამირსპასალარს დაევალა, რომელიც თავად იყო მეფის ხელისუფლების წარმომადგენელი. ეს ცვლილება ფეოდალთა ძალაუფლების შესასუსტებლად და მეფის ხელისუფლების განსამტკიცებლად განხორციელდა.

სწორედ ამ ცვლილების გამო, ქუთათელი იოვანე, ბრალს დებს აფხაზეთის კათალიკოსს მეფედ კურთხევის უფლების მითვისებაში – "აწ ორჯელ-სამჯერ ჩემს საყდარსა შიგან ორნი [სამნი] მეფენი დალოცვილან და არ მემართლები, გვირგვინი ანუ სკიპტრა ჩემს საყდარსა შიგან არ დასდვა" [ხელმწიფის კარის გარიგება 1993: 26 (XXVII)].

მართალია, ქუთათელი გამართლდა და აფხაზეთის კათალიკოსმა მას სამეფო სკიპტრა დამსწრეთა თვალწინ გადასცა, მაგრამ ფაქტია, რომ გამარჯვება ბოლომდე ვერ შეინარჩუნა, რადგან მეფედ კურთხევა მაინც ახალი წესის მიხედვით ხდებოდა საქართველოში შემდგომ საუკუნეებში.

"მეფედ კურთხევის განგებაში" არაფერია ნათქვამი მირონის ცხებაზე. თუმცა, სასულიერო ნაწილის ერთ-ერთი აუცილებელი რიტუალია. სწორედ ამიტომ, მეფეს მირონცხებულსაც უწოდებდნენ. შესაძლოა, ავტორს კურთხევის ეს ნაწილი გამორჩა, ან ძეგლის გადამწერის დაუდევრობის გამოა გამორჩენილი.

ქართულ წერილობით წყაროებში მეფედ კურთხევის წესის შესახებ

კიდევ ერთი ცნობაა დაცული. ეს გახლავთ, XVIII საუკუნის ისტორიკოსის, პაპუნა ორბელიანის თხზულება – "ამბავნი ქართლისანი", სადაც ავტორი თეიმურაზ II-ის მეფედ კურთხევას გადმოგვცემს. საინტერესოა, კურთხევის რომელი წესი შეარჩია ანტონ კათალიკოსმა – ახალი (XIIIს.) თუ ძველი (IX-XIII I ნახ), ზედმიწევნით დაიცვა "მეფეთა წესი" თუ, რაიმე ცვლილება შეიტანა მასში.

კურთხეული, მირონცხებული მეფის ყოლა ყველა ქრისტიანული სახელმწიფოსთვის დიდმნიშვნელოვანი იყო. მაგრამ XVIII საუკუნის ქართლისათვის თეიმურაზ II-ის კურთხევა განსაკუთრებულ, დიდ მოვლენას წარმოადგენდა. "რადგან რამდენი წელიწადი გარდასულიყო ჟამთა ვითარებისაგან და ცხებული მეფე ქართლში არა მჯდარიყო."

როგორც ცნობილია, XVIII საუკუნის შუა ხანებში, საქართველო სამეფო-სამთავროებად იყო დაქუცმაცებული. აღმოსავლეთ საქართველო ყიზილბაშთა ორასწლიან ბატონობას ებრძოდა. ნადირ-შაჰი არ ენდობოდა ქართლ-კახეთის მეფეებს – ერეკლესა და თეიმურაზს, ამის გამო ნადირი მათ ირანში იბარებდა და სხვადასხვა სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობას აიძულებდა.

ქართველი ხალხი არ ნებდებოდა ყიზილბაშებს, რამაც ნადირ-შაჰი აიძულა დათმობაზე წასულიყო. მან ქართლს გადასახადები შეუმსუბუქა, ხოლო თეიმურაზ მეფეს წყალობა მისცა ქრისტიანული წესით კურთხეულიყო. გახარებულმა თეიმურაზმა "იწყო მზადება კურთხევისა და მოიწვივნა ყოველგნით დასნი სამღვდელონი" [ორბელიანი 1981: 100].

როგორც პაპუნა ორბელიანი გადმოგვცემს, მეფედ კურთხევის წესის შესრულება ანტონ კათალიკოსს დაევალა, რომელიც "ასაკით იყო მცირე, მაგრამ სოლომონისა სიბრძნესა არარად კლებულ ექმნებოდა." მან საგულდაგულოდ მოიძია არსებული წყაროები კურთხევის შესახებ და ყოველივე მეფის საკადრისად განაგო.

დაიწყო მზადება კურთხევისათვის. მეფემ ისეთი დროშების გაკეთება ბრძანა, "ვითარცა ძველად რიგი ყოფილიყო, [დროშა ოთხი ჯვარითა მოცული." ერთი ქაიხოსრო ორბელიანს უბოძა,] მეორე – მუხრან ბატონ კონსტანტინეს, მესამე – დიმიტრი ამილახვარს, მეოთხე კი "ბატონის კერძო ვლიდა." ყველანი თავ-თავიანთი დროშების ქვეშ გაერთიანდნენ, მათ სამეფო ოჯახი შეუერთდა და მცხეთისაკენ გაემართნენ.

მცხეთაში ჩასული მეფე საგანგებოდ მისთვის გამართულ სეფაში დაბინავდა. მეფე სეფასთან დადგმულ "სევანზე" დაბრძანდა, დიდებულები მის ირგვლივ, "დარბაზობის წესით" განლაგდნენ "ვინა ჯდა, მისა ღირსი იყვნეს, ვინა დგომისა."

მეფეს კურთხევისათვის შესაფერის სამოსში გამოწყობილი მთავარეპისკოპოსი არსენი ეახლა, ჯვრისმტვირთველსა და მთავარ დიაკვანთან ერთად. წინ მათ მგალობელთა დასი მიუძღოდა. სასახლეში მისულები მეფეს მიეახლნენ, თაყვანი სცეს და წესის მიხედვით სამეფო შესამოსელი და იარაღი ტაძარში წააბრძანეს.

დაიწყო მწუხრის ლოცვა, მობრძანდა მეფე ეკლესიაში და ლოცვას დაესწრო. მწუხრის შემდეგ დაიწყო ლოცვა ღამისთევით. რადგან მეფედ კურთხევა სვეტიცხოვლობას დაემთხვა, ანტონ კათალიკოსმა "ყოველივე სრულიად გარდაიხადა პურის კურთხევით, სანთლის გაყ-

ოფით, ზეთის ცხებით და ყოვლისავე წესითა განაბრწყინვა ეკლესია.”

წირვის შემდეგ, მეფეს მოფარდაგებული სეფა გაუმართეს, დროშები სეფის წინ აღმართეს და ყველა ისევ თავიანთი დროშების ქვეშ გაერთიანდნენ.

ამის შემდეგ, მეფეს ეახლნენ: კარის დეკანოზი “ხატი პატიოსანით,” ჯვრისმტვირთველი ჯვრით, მთავარდიაკონნი საკმევლის კმევით და მდვდლები, “დიდრონი ლამპარებით” ხელში. მთელი ამალა მეფის წინაშე წარსდგა, ხოტბა შეასხეს და ყველანი ტაძრისკენ გაემართნენ.

მეფეს წინ მანდატურთუხუცესი დიმიტრი და ზაალ ორბელიანები მიუძღოდნენ. ზაალს მეთოფეთა წინამძღოლობა ებარა. მეფეს მარჯვენა მხარეს, სარდალი ქაიხოსრო ორბელიანი ედგა, მარცხნივ – მუხრან-ბატონი კონსტანტინე. უკან დიდებულები მიჰყვებოდნენ, მეფის იარაღი თ მიჰქონდათ.

ეკლესიასთან მისულმა მეფის ამალამ, დროშები ეკლესიის კართან დააწყო, ხოლო სამეფო იარაღი ჯარმა ტაძარში შეიტანა. თეიმურაზის დროშას, რომელიც სამეფო ბეჭდის მცველ-მორდალ დავითს ეჭირა, აღსავლის კართან მიუჩინეს ადგილი.

ტაძრად მისულ მეფეს პატრიარქი და ეპისკოპოსები გამოეგებნენ და თაყვანი სცეს. შემდეგ პატრიარქი ერთ მხარეს ამოუდგა, ეპისკოპოსი მეორე მხარეს, სამღვდელო დასი კი წინ გაუძღვა გალობით.

ეკლესიაში შესული მეფე აღსავლის კართან დააყენეს. პატრიარქმა სარწმუნოება ჰკითხა და აღთქმის ეპისტოლე წაუკითხა. ეკლესიის ცენტრალურ ნაწილში ორი სელი იდგა, ერთზე მეფე დასვეს, მეორეზე პატრიარქი დაჯდა. მათ აქეთ-იქით მთავარეპისკოპოსი და ალავერდელი დაუდგნენ. დანარჩენი ექვსი ეპისკოპოსი კი იქვე, წესის მიხედვით, დადგა.

ამის შემდეგ, მოიტანეს სამეფო ნიშნები და მეფეს ბისონი ჩააცვეს.

დაიწყო წირვა,“ოდეს ჟამი,” პატრიარქი შებრძანდა საკურთხეველში. მალევე, სარდალმა ქაიხოსრომ და მუხრან-ბატონმა მეფე საკურთხეველთან მიაცილეს. აღსავლის კართან მეფეს მთავარეპისკოპოსი და ალავერდელი მიეგებნენ და საკურთხეველში შეიყვანეს: “სცხეს საცხებელი შუბლთა, ბეჭთა და გულთა ჯვრის სახედ.” პატრიარქმა საღვთო მადლი წარმოთქვა და ბისონზე მეფეს დიადემა გადააცვა, პორფირი წამოასხა, თავზე გვირგვინი დაადგა, მარჯვენა ხელში სკიპტრა დააჭერინა, მარცხენაში კი სფერო.

დადგა ზიარების დრო. პირველად სამღვდელოება ეზიარა, შემდეგ პატრიარქმა მეფე აზიარა. ზიარების შემდეგ სკიპტრა რევაზ ორბელიანს გადასცეს, სფერო კი მეითარ ზურაბს. მირონცხებული მეფე საკურთხევლიდან გამობრძანდა, ერთ მხარეს პატრიარქი ედგა, მეორე მხარეს მთავარეპისკოპოსი. მიიყვანეს და მარჯვნივ მდგარ სამეფო ტახტზე დასვეს. ამირსპასალარმა ქაიხოსრო ორბელიანმა ხმალი მოიტანა და მეფეს წელზე შემოარტყა.

საერო ცერემონიალის დასრულების შემდეგ, მეფეს სასულიერო პირები ეამბორნენ ხელზე, შემდეგ დარბაისელნი ეახლნენ. მირონცხებული და წელზე ხმალშემორტყმული მეფე ეკლესიიდან გამოვიდა და “შეიქნა სროლა ზარბაზანთა ანუ თოფთა, სცემდნენ ქოსთა და

სპილენძ-ჭურთა.”

დაიწყო მილოცვები. პირველად მეფეს დედოფალმა მიულოცა, შემდეგ უფლისწულებმა, მათ შემდეგ კი დიდებულებმა.

მილოცვების შემდეგ მეფე მისთვის გამართულ კარავთან დაბრუნდა და ოქსინო გადაფარებულ სევანზე დაბრძანდება.

აღსრულდა მეფედ კურთხევა და გახარებულმა ქართველებმა მოილხინეს. ადიდებდნენ და მადლობას უძღვნიდნენ უფალს, რადგან “დიდი ხანი გარდაცვლილიყო, ქრისტიანი მეფე არა სჯდომოდათ, მერე კურთხევით გვირგვინოსანი მეფე არ ეხილათ.”

როგორც ზემოთ განხილული ტექსტიდან ჩანს, ანტონ კათალიკოსს, მართლაც საგულდაგულოდ უძებნია მეფედ კურთხევის წესი და არჩევანი XIII საუკუნეში შედგენილ “მეფედ კურთხევის განგებაზე” შეუჩერებია.

თეიმურაზის მეფედ კურთხევის პროცესი ზედმიწევნითი განმეორებაა განგებაში გადმოცემული წესისა: როგორიცაა სამღვდელო პირთაგან სამეფო ნიშნების ტაძარში მიტანა, ეკლესიაში მისულ მეფესთან კათალიკოსის გამოგებება, ტაძრად მიყვანების სცენა, სამეფო ტანსაცმლით შემოსვა, გვირგვინის დადგმა და სხვ. ყოველივე კურთხევის ახალი წესზე მიგვანიშნებს.

თუმცა, ტექსტში ვხვდებით მცირეოდენ განსხვავებებსაც. მაგალითად, მირონცხების რიტუალი. თუკი კურთხევის ახალ წესში მასზე არაფერია ნათქვამი, პაპუნა ორბელიანი ამ პროცესის ვრცელ აღწერილობას გვაწვდის: “შეიყვანეს საკურთხევლად, სცხეს საცხებელი შუბლთა, ბეჭთა და გულთა ჯვარის სახედ.” ეკლესიიდან გამოსულ მეფეს მემატიანე მირონცხებულად მოიხსენიებს.

ინტერესს იწვევს სვეტიცხოველის ცენტრალურ ნაწილში მოთავსებული მეფისა და კათალიკოსისათვის განკუთვნილი ორი სელი. რა სიმბოლური დატვირთვა უნდა ჰქონოდა ტაძარში განლაგებულ სელებს მეფედ კურთხევის ცერემონიალში, ჯერჯერობით გაურკვეველია.

გარდა ამისა, პაპუნა ორბელიანთან მეფედ კურთხევის რიტუალში ჩნდება ახალი სამეფო რეგალია – სფერო. როგორც ისტორიული წყაროებიდან ირკვევა,“ძელი ცხორებისა,” გვირგვინი, პორფირი, ბისონი, სკიპტრა (კვერთხი), ტახტი, (საყდარი) ხმალი (მახვილი) და დროშა ქართველი მეფეების სამეფო ნიშნები იყო. თეიმურაზ II-ის სამეფო ინსიგნიათა შორის კი სფეროსაც ვხვდებით. სფერო ქართველ მეფეთა ხელისუფლების ნიშანი არ ყოფილა. იგი მთელი სამყაროს მფლობელობის სიმბოლოა და ბიზანტიის იმპერატორთა სამეფო ინსიგნიებში შედიოდა. სფეროს, როგორც სამეფო რეგალიას, ვხვდებით აგრეთვე ვახტანგ VI-ის დროშაზე (ნივთი დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში საინვენტარო № 19-2008/35). სფერო, როგორც ქართველ მეფეთა სამეფო რეგალია მოგვიანებით ჩნდება ქართულ ისტორიულ დოკუმენტებში და ფრესკულ მხატვრობაში.

როგორც ჩანს, ანტონ კათალიკოსმა ქართული წყაროების გარდა, უცხოურ, ბიზანტიურ წყაროებსაც გადახედა და წესის სრულყოფის მიზნით, თეიმურაზ II-ის ინსიგნიათა რიცხვს სფეროც შემატა. ან, შესაძლებელია, ეს ყოფილიყო გამოძახილი საქართველოს მაშინდე-

ლი პოლიტიკური მდგომარეობისა–კათალიკოსმა გადაწყვიტა თეიმურაზისთვის გადაეცა სფერო, როგორც სიმბოლოდ ქვეყნის გამთლიანების სიმბოლო.

ამგვარად, პაპუნა ორბელიანი თავის საისტორიო თხზულებაში – "ამბავნი ქართლისანი," მეფედ კურთხევის წესის საფუძვლიან აღწერილობას გვაწვდის. ჩვენთვის უკვე ცნობილია, რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა XVIII საუკუნეში ქრისტიანული წესით კურთხეულ გვირგვინოსნის ყოლას, მაშინ როდესაც ოსმალებსა და ყიზილბაშებს საქართველოს სრული გინადგურდება ჰქონდათ გადაწყვეტილი.

შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ანტონ კათალიკოსმა შექმნა სინთეზი სასულიერო და საერო კურთხევის ახალი წესისა, რასაც თან დაუროო ერთი დეტალი ბიზანტიელ იმპერატორთა კურთხევის წესიდან.

ქართულ საისტორიო ძეგლებში დაცულ ცნობებს მეფედ კურთხევის შესახებ პარალელები კედლის მხატვრობაში მოეძებნება. ჩვენთვის ცნობილია მეფედ კურთხევის ოთხი, სხვადასხვა დროს შესრულებული კომპოზიცია. მათგან ყველაზე ადრეული სვანეთში, მაცხვარიშის ტაძრის მოხატულობაშია დაცული (1140წ.), (სურ. №2), მეორე კომპოზიცია ვარძიაშია, ანანაურის ეკლესიაში (XIIIს.), მესამე ალავერდის ტაძრის სამხრეთ მკლავში და მეოთხე გელათში, (მთავარი ტაძრის ჩრდ. ეკვდერის ცენტრალური სათავსი) (XV-XVIსს.) (სურ. №3). ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ ორ კომპოზიციას: მაცხვარიშის, რადგან მასში გამოსახული კურთხევის სცენა ძველი წესის მიხედვითაა შესრულებული და ანანაურის, რომელშიც მეფედ კურთხევის ახალი წესია ასახული.

მაცხვარიშის მეფედ კურთხევის კომპოზიცია, შესრულებული უნდა იყოს დემეტრეს გამეფებიდან 15 წლის თავზე – 1140 წელს, მიხეილ მაღლაკელის მიერ. ამას ადასტურებს წარწერაც: "მოიხატა საყდარი ესე მეფობასა დემეტრესა წელსა იე ხელითა მიქაელ მაღ(ლ)აკელისათა" [ვირსალაძე 2007: 148].

ფრესკაზე გამოსახულია დავით აღმაშენებლის ძის, დემეტრე I-ის მეფედ კურთხევა. კომპოზიცია აცოცხლებს კურთხევის ძველ წესს, რომელიც სიმბოლურად წელზე ხმლის შებმითაა წარმოდგენილი. იქვეა წარწერა: "ხრმ(ალსა) აბმე(ნ) დავითისს(ა) ერისთავნ(ი)".

ფრესკაზე გამოსახულია მეფედ კურთხევის ორი ნაწილი. სასულიერო ნაწილში, დემეტრე მლოცველის პოზაში დგას, მარჯვნივ გამოსახულია ქრისტე მაკურთხებელი მარჯვენით, მარცხნივ მთავარანგელოზი გაბრიელია, რომელიც გვირგვინს ადგამს მეფეს.

საერო ნაწილში გამოსახულია მეფის მარცხნივ მდგარი ერისთავი-ერისთავი, რომელიც ოდნავ წინ არის გადახრილი და მონარქის ქამრის ბოლო უჭირავს ხელში. მარჯვნივ მდგარი ერისთავი თითქოს ეშველება მას მეფისათვის სარტყელის შებმაში [ვირსალაძე 2007: 149]. სარტყელზე ჩამოკიდებული ხმალი საკმაოდ დიდი ზომისაა.

მეფე სახეიმო, ალუბლისფერ, ენიან კაბაშია გამოწყობილი და თავზე ძვირფასი თვლებით დამშვენებული გვირგვინი ადგას.

ამგვარად, სვანეთში, მაცხვარიშში, წარმოდგენილი მეფედ კურთხევის კომპოზიცია კარგად ასახავს კურთხევის ძველ წესს. იგი კედლის მხატვრობაში სიმბოლურად, წელზე ხმლის შებმის ფრაგმენტით აისახა.

რაც შეეხება კურთხევის ახალ, XIII საუკუნეში შედგენილ წესს იგი წარმოდგენილია ვარძიაში, ანანაურის ეკლესიის დას. ეკვდერში მეფე-დედოფლის კურთხევის სცენაში. მოხატულობა XIII ს. თარიღდება. ფრესკაზე გამოსახული მეფე სამეფო სამოსშია გამოწყობილი. ანგელოზი მას თავზე გვირგვინს ადგამს, ხელში კი სკიპტრას აწვდის. შესაძლებელია, აქ წარმოდგენილი მეფედ კურთხევის კომპოზიცია ასახავდეს მხოლოდ სასულიერო ნაწილს, რადგან მაცხვარიშისაგან განსხვავებით, საერო ნაწილის არსებობაზე არცერთი სიმბოლო არ მიგვანიშნებს.

როგორც ა. კლდიაშვილი აღნიშნავს, ანანაურის ფრესკაზე გადმოტანილია კურთხევის ახალი წესის მხოლოდ ორი ფრაგმენტი – გვირგვინის დადგმა და კვერთხის ბოძება [კლდიაშვილი 1991: 167]. ხმლის გადაცემა კი მაცხვარიშისგან განსხვავებით არ ფიქსირდება. თითქოს მხატვარი განგებ იკავებს თავს ფრესკაზე საერო ნაწილის გამოსახვისგან.

ამრიგად, კურთხევის საერო ნაწილი ხმლის გადაცემის რიტუალს მოიცავს, ეს კი გარკვეულწილად დიდებულთა ძლიერებაზე და მეფის ძალაუფლების შესუსტებაზე მეტყველებს. XIII საუკუნეში შედგენილ მეფედ კურთხევის წესში ეს რიტუალი შეცვლილი სახით იქნა შეტანილი. რამაც ხმლის გადაცემის რიტუალს დაუკარგა პირვანდელი მნიშვნელობა და იგი კურთხევის ახალი წესის ნაწილად აქცია. კედლის მხატრობამ შემოინახა მეფედ კურთხევის რიტუალის საეკლესიო ფორმა.

ამგვარად, ქართულ ისტორიულ ძეგლებში დაცული ცნობების მიხედვით, ირკვევა, რომ საქართველოში მეფედ კურთხევის ორი წესი არსებობდა. პირველი – ძველი წესი, რომლის მიხედვითაც ქართველი ხელისუფალნი ეკურთხებოდნენ IX-XIII I ნახევრამდე და ახალი, XIII საუკუნეში შედგენილი.

კურთხევის ძველი წესით, გვირგვინი მეფისათვის ლიხთიმერელ კათალიკოსს უნდა დაედგა და იარაღი ლიხთიმერელ ფეოდალს გადაეცა. არსებობდა წელზე ხმლის შემორტყმის ტრადიცია, რომელიც დიდებულების მხარდაჭერაზე, მათ პრივილეგიებზე მიუთითებდა.

ახალ წესში ხმლის გადაცემის ტრადიცია შეიცვალა. დიდებულების ფუნქცია ამირსპასალარმა შეითავსა. ეს ცვლილება ფეოდალთა ძალაუფლების შესასუსტებლად და მეფის ძალაუფლების განსამტკიცებლად მოხდა.

მეფედ კურთხევა ორი – საეკლესიო და საერო ნაწილისაგან შედგებოდა. საეკლესიო ნაწილი გულისხმობდა: მირონცხებას, მეფის სამეფო ტანსაცმლით (პორფირი, ბისონი) შემოსვასა და გვირგვინის დადგმას.

საერო ნაწილში სრულდებოდა წელზე ხმლის შემორტყმის რიტუალი.

ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით, ქართველ მეფეთა სამეფო რეგალიებია: "ძელი ცხორებისა," გვირგვინი, პორფირი, ბისონი, სკიპტრა (კვერთხი), ტახტი, (საყდარი) ხმალი (მახვილი), და დროშა. XVIII საუკუნეში ჩნდება სფერო, რომელსაც ვხვდებით პაპუნა ორბელიანის საისტორიო თხზულებაში "ამბავნი ქართლისანი."

Guliko Kvantidze

Georgian National Museum, Rustaveli Avenue 3, 0105 Tbilisi, Georgia

Concerning the Coronation Ritual in Georgia (According to historical Sources and murial paintings)

Summary

The Georgian historical writings give the information about coronation rites in Georgia. There were two ways of coronation in Georgia. The first, so-called the old rite was in force in the 9th-the first part of the 13th cc. The second, the new one, was set up in the 13th c. According to the old rite kings were crowned only by noblemen from the west Georgia. They submitted them by handing weapons and girding with the royal sabres which were the manifestation of noblemen`s support .

A new rite had modified tradition of girding. Instead of the noblemen Amirspasalar (an official equal to the suprime military minister) girded kings with the royal sabre. This act was introduced for weakening nobility and strengthening of the royal power.

The coronation ceremony consisted of two parts: an ecclesiastic and secular. The ecclesiastic part consisted of dressing of kings with royal garments, crowning, etc. During the secular ceremony kings were girded with the royal sabre. The royal regalia of Georgian kings consisted of the "Dzelitskhoveli" (the altar cross), the crown, porphyry, sceptre, throne sabre and flag. In the 18th century the globe was added to the Georgian royal regalia.

ბიბლიოგრაფია

1. **დოლიძე ი. 1965:** – "წესი და განგებაი მეფეთ კურთხევისა," = ი. დოლიძე (რედ.) ქართული სამართლის ძეგლები. ტ II. გვ.50-54 თბილისი.
2. **დოლიძე ი. 1965:** – "ანდერძი დავით აღმაშენებლისა [1125წ]"= ი. დოლიძე (რედ.) ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II. გვ.18-20., თბილისი.
3. **ვახუშტი 1941:** "აღწერა სამეფოსა საქართველოსა," თბილისი.
4. **თაყაიშვილი ექვთ. 1890:** – "ცხოვრება და უწყება ბაგრატიონ-

თა," = ექვთიმე თაყაიშვილი (რედ.) სამი ისტორიული ქრონიკა ტფილისი, გვ. 41-79.

5. **თაყაიშვილი 1890:** – "მოქცევაი ქართლისაი," = ექვთიმე თაყაიშვილი (რედ.) სამი ისტორიული ქრონიკა ტფილისი გვ.1-39.

6. "ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი" 1959: = ს. ყაუხჩიშვილი (რედ) ქართლის ცხოვრება, ტ. II თბ. გვ 1-114.

7. **კლდიაშვილი ა. 1991:** "მეფედ კურთხევის გამოსახულებისათვის ქართულ კედლის მხატვრობაში," თბილისი.

8. **მამაიაშვილი ი. 2000:** "მეფე-დედოფლის კურთხევის კომპოზიცია გელათის მონასტრის მთავარი ტაძრის ჩრდ. კარიბჭეში," თბილისი.

9. **ორბელიანი პ. 1981:** "ამბავნი ქართლისანი," თბილისი.

10. "ცხოვრება მეფეთ მეფესი დავითისი" 1955: = ს. ყაუხჩიშვილი (რედ), ქართლის ცხოვრება, ტ. I თბ. გვ.318-364.

11. **ჯავახიშვილი ივ. 1984:** – "მეფის კურთხევის წესი, ვითარცა მეფის ხელისუფლების სივრცის გამომხატველი," = ისიდორე დოლიძე (რედ), თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ.VII, თბილისი.

12. **Вирсаладзе Т . 2007.** "Фресковая роспись художника Микаела Маглакели в Мацхвариши",Грузинская средневековая монументальная живопись, Тб. стр, 145-224ю

13. **Марр Н 1934**: О раскопках и работах в Ани ТРАГФ, წიგნი X, გვ. 38.

ილუსტრაციების აღწერილობა

სურ. 1. სვანეთი, მაცხვარიში. მეფედ კურთხევის სცენა. XIIს.

სურ. 2. გელათი. მთავარი ტაძრის ჩრდ. ეკვდერის ცენტრალური სათავსი. XV-XVIსს.

LIST OF ILLUSTRATIONS

Fig. 1. Svaneti, Matskhvarishi, Coronation scene. 12th c.

Fig. 2. The Gelati Monastery. North (ekvderi)central part of the main building. 15th-16th cc.

სურ. 1 Fig.



სურ. 2 Fig.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია №1 (46-B), 2010, 290-303
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences №1 (46-B), 2010, 290-303

ეთნოგრაფია/ეთნოლოგია

მარინა ბოკუჩავა

საქართველოს ეროვნული მუზეუმი, რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო

მონოქრომული და ლურჯ-თეთრი ჩინური ფაიფური (საფონდო მასალების მიხედვით)

მონოქრომულია ფაიფური, რომლის დეკორში რომელიმე ერთი ფერი ან ერთი ფერის სხვადასხვა ტონია გამოყენებული.

დაწყებული სუნის ხანიდან, მონოქრომებს თითქმის ყველა პერიოდში ამზადებდნენ. განსაკუთრებით მრავლად კი იმპერატორების – იუნ ჩჟენისა (1723 – 1735) და ცზიან ლუნის (1736 – 1795) მმართველობის ხანაში. იმპერატორი ცზიან ლუნი, სუნისა და მინის პერიოდების საუკეთესო ნიმუშებს პირადი კოლექციიდან, ცინდეჩჟენში აგზავნიდა, რათა იქ მონოქრომები ამ ნივთების მიხედვით დაემზადებინათ [Кречетова. Вестфален. 1947: 20].

განსხვავება სხვადასხვა პერიოდის მონოქრომებს შორის ძნელად შესამჩნევი იყო. საქმე ის არის, რომ მინის ხანაში მონოქრომული ფაიფურის დამზადებისას სუნის პერიოდში დამკვიდრებული დეკორატიული ხერხები გამოიყენებოდა და ეს ხერხები იხვეწებოდა.

ცინის ხანაში შექმნილი მონოქრომები კი, მინის ტრადიციებზე იყო დაფუძნებული და ძალიან ჰგავდა მინის პერიოდის პროტოტიპებს.

ჩინურ მონოქრომულ ფაიფურს შორის სუნის პერიოდის თეთრი თხელკედლა ფაიფური იყო განოქმული, რომელიც შემკული იყო გრავირებული ან მსუბუქი რელიეფური ორნამენტით. იგი გამოირჩეოდა განსაკუთრებული დახვეწილობითა და სინატიფით. ამზადებდნენ ფერად მონოქრომებსაც. ფერადი ჭიქურებისთვის, რომლებიც მონოქრომებში გამოიყენებოდა, დამახასიათებელია ინტენსიური კაშკაშა ფერები. განსაკუთრებით ჭარბობდა მოყვითალო და ფირუზისფერი. ამ მონოქრომებს ხშირად მსუბუქი დეკორატიული ბზარებითაც ამკობდნენ.

ერთი ფერის ჭიქურით დაფარულ მონოქრომებში ხშირად გვხვდება წინააზიური (ირანი, არაბეთი) ბრინჯაოს ჭურჭლიდან გადმოტანილი ფორმები, კერძოდ, ლომის თავების ფორმის მქონე სახელურები, ლომებს პირით რგოლი უჭირავთ. ბრინჯაოდანაა გადმოტანილი აგრეთვე "მეანდრი" და სხვა გეომეტრიული ორნამენტები, რომლებიც მონოქრომულ

ფაიფურზე გრავირებული ან რელიეფური სახით არის გამოხატული.

ძალიან პოპულარული იყო ე.წ. "გიზგიზა" ჭიქურებით დაფარული მონოქრომები – მინის პერიოდში შექმნილი წითელი ჭიქური, რომელიც ცინის პერიოდში დანერგილი გამოწვის განსაკუთრებული მეთოდის გამოყენებით მზადდებოდა. ჭიქური ერთ ნივთზე წითელი ფერის სხვადასხვა ვარიაციას იძლეოდა – მოიისფრო წითლიდან მოვერცხლისფრო ან მონაცრისფრო წითლამდე. ამგვარ ჭიქურებს ევროპაში "გიზგიზა" ჭიქურებს უწოდებდნენ.

დიდი პოპულარობით სარგებლობდა კაშკაშა წითელი ჭიქურით დაფარული მონოქრომული ფაიფურიც, რომელიც "ხარის სისხლის" სახელით იყო ცნობილი.

სუნის პერიოდის (X–XIIIსს.) მონოქრომებიდან გამოირჩეოდა ღია ცისფერი, განსაკუთრებით ფასობდა ბაცი მწვანე, ნეფრიტისფერი ფაიფური, რომელიც რელიეფური ან გრავირებული ორნამენტით, საკმაოდ მძიმე წონითა და მონაცრისფრო-მოყავისფრო კეცით ხასიათდება. ეს ფაიფური ევროპაში სელადონის სახელით არის ცნობილი. სელადონები გამძლეობისა და მაღალი მხატვრული ღირსებების გამო პოპულარული იყო როგორც ჩინეთში, ისე მის ფარგლებს გარეთ, კერძოდ, ევროპასა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში.

სუნის პერიოდის ფაიფური, განსაკუთრებით კი სელადონები, ხშირად პატარა, მსუბუქი ბზარებით არის დაფარული, თუმცა ესეც დეკორირების ხერხია, რომელსაც "კრაკლეს" ან "ცეკს" უწოდებენ. თავდაპირველად, ეს ბზარები ჭიქურზე შემთხვევით აღმოჩნდა. ეს იყო დეფექტი, რომელიც გამოწვის დროს გაჩნდა. შემდეგ "კრაკლეს" მიღების ტექნოლოგია აითვისეს და ბზარები ფაიფურის დეკორირების ერთ-ერთი ხერხი გახდა [Кречетова . Вестфален . 1947: 30].

სელადონები დახვეწილი, სადა და მშვენიერია. მათი ფორმა, ორნამენტი, დამზადების ტექნიკა ტრადიციულია, რაც სელადონების ზუსტ დათარიღებას აძნელებს (სელადონებს ამზადებდნენ, როგორც სუნის, ისე მინისა და ცინის ხანაშიც). საუკეთესო სელადონები სუნის ეპოქაში (970-1279) ლუნციუანის სახელოსნოებში მზადდებოდა. თუმცა XIV საუკუნის მეორე ნახევარსა და XV საუკუნეში შექმნილი სელადონებიც არაფრით ჩამოუვარდებოდა სუნის ეპოქის სელადონებს. ფორმის მიხედვით მინის ხანის სელადონები საკმაოდ მრავალფეროვანია: სასაკმევლეები, თასები, ლარნაკები, თეფშები, მაგრამ ყველაზე ხშირად სელადონისგან ლანგრებს ამზადებდნენ [Арапова 1977: 20-21].

საქართველოს ეროვნული მუზეუმის, ს. ჯანაშიას სახელობის მუზეუმის ფაიფურის ფონდში წარმოდგენილ მონოქრომული ჭურჭლის სახეობათა შორის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სელადონის ორი ნივთი: თეფში №15-26/6 და ლანგარი №15-26/8 [სურ. 1]. ორივე ნივთი, ყველა მახასიათებლით, ჩინური სელადონების კლასიკური ნიმუშია: სქელკედლიანი, ღია მწვანე ფერის, გრავირებული მცენარეული ორნამენტით, მოწითალო კეცითა და მძიმე წონით. ზედაპირი კი დეკორატიული ბზარებით აქვს დაფარული. ძირზე უკანა მხრიდან ორივეს მოუჭიქავი მოწითალო რგოლი აქვს. მიუხედავად იმისა, რომ სელადონების დათარიღება ძნელია, ზოგ შემთხვევაში, ტექნიკური თავისებურებებიდან

გამომდინარე, დათარიღება (კეცისა და ჭიქურის ფერი და სხვ.) მაინც ხერხდება. ჩვენი ფონდის სელადონების ანალოგიურია ერმიტაჟისა და არდებილის მეჩეთის XIV-XV სს-ის სელადონები. ძირითადი მახასიათებელი, ისინი სელადონები XIV-XV სს-ით დათარიღდა, არის ძირზე არსებული მოუჭიქავი მოწითალო ფერის რგოლები [Арапова 1977: 21; Pope 1956: 121-122]. იმის გამო, რომ ჩვენს საკვლევ სელადონებს ასეთივე მოუჭიქავი მოწითალო რგოლი აქვს, ისინიც მინის ხანით, კერძოდ XIV-XV სს-ით უნდა დათარიღდეს [სურათი 2].

მონოქრომული კერამიკის ჯგუფს განეკუთვნება, აგრეთვე, ფიალა №33-26/41 [სურათი 3-4]. იგი გარედან ღია სალათისფერი ჭიქურითაა დაფარული, მისი შიდა მხარე კიდევ უფრო ღია სალათისფერია. ძირზე გარედან ოთხკუთხა ნიშანი აქვს – იეროგლიფი. ეს იეროგლიფი (სამეცნიერო ლიტერატურის გათვალისწინებით), ფიალას XVIII საუკუნით ათარიღებს [Виноградова 1962: 30].

ფაიფურის ფონდში მრავლად არის თეორ ფონზე ლურჯი კობალტით მოხატული ჭურჭელი, ე.წ. ლურჯ-თეორი ფაიფური. ჩინური ფაიფურის ხელოვნების განვითარებაში უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო ჭიქურსქვედა ლურჯი კობალტის საღებავით მოხატული ფაიფურის შექმნა. კობალტი ჩინეთში იუანის დინასტიის მმართველობის პერიოდში (1279 – 1368) ჩნდება და მკვიდრდება. იგი ირანიდან შემოვიდა და მუსლიმანურ საღებავს უწოდებდნენ. თავდაპირველად კობალტი არაბ და ირანელ ვაჭრებს შემოჰქონდათ და ძალიან ძვირად ფასობდა. შემდეგ ადგილობრივი, ჩინური კობალტის გამოყენება დაიწყეს. კობალტი ჩინეთის რამდენიმე რეგიონში მოიპოვებოდა. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით კი ცინდენჩჟენში. იმპორტული (ირანული) კობალტისგან განსხვავებით, რომელიც მუქი ლურჯი ფერისა იყო, ჩინური კობალტი ღია ლურჯი ფერისა ან მონაცრისფროა. კობალტით შემკული მონოქრომული ფაიფური მინისა და ცინის ხანაშიც მზადდებოდა.

ფაიფური ლურჯი ჭიქურსქვედა მოხატულობით ძალიან პოპულარული იყო, როგორც ჩინეთში, ისე მის ფარგლებს გარეთ. საექსპორტო ფაიფურის დიდი ნაწილი სწორედ ლურჯად მოხატული ფაიფურისგან შედგებოდა. ლურჯი კობალტით შემკული ჭურჭლის მოხატვის თემატიკა საკმაოდ მრავალფეროვანია: დრაკონი, ცილინი, ფენიქსი, სხვადასხვა ცხოველი, ფრინველი, თევზი და სხვ. ხშირად გამოსახავდნენ პეიზაჟებსაც. ჩინური ფერწერის პეიზაჟი ევროპულისაგან განსხვავდება. ჩინელი მხატვრები პეიზაჟს, ევროპელების მსგავსად, ნატურიდან კი არ "წერდნენ," არამედ ნანახს თავიანთი აღქმის "პრიზმაში" ატარებდნენ და ისე გადმოჰქონდათ ტილოზე, ფაიფურზე, აბრეშუმზე და სხვ. ფაიფურზე გამოსახული პეიზაჟები კარგადაა შეხამებული ფაიფურის ნივთის ფორმასთან. XVIII საუკუნის ნაწარმში, პეიზაჟი ზოგჯერ დაწახნაგებული ნივთის ერთ ან რამოდენიმე სიბრტყეზეა მოთავსებული, ხშირად რომელიმე სხვა თემასთან მონაცვლეობით, ეს „სხვა თემა" უმეტესად ყვავილები ან წარწერებია. პეიზაჟების თემატიკა საკმაოდ მრავალფეროვანია: ადამიანთა ჯგუფური სცენები სასახლის ცხოვრებიდან, ისტორიული და მითოლოგიურ სიუჟეტები და სხვა. (Garner 1965:50).

ფაიფურის ფონდში დაცული კობალტით მოხატული ჭურჭლიდან ყველაზე ადრეულია ლანგარი №17-42/32 [სურ. 5]. იგი მოთეთრო მონაცრისფრო ჭიქურითაა დაფარული, მოხატულია ურჩხულებითა და ე.წ. ჩინური ღრუბლებით. ცენტრში გამოსახულია ურჩხული ღრუბლებსა და ოთხ მცენარეულ მედალიონში. ლანგარი მარკირებულია – ძირზე, გარედან, გამოსახულია მარკა – სამმაგ ოთხკუთხა ჩარჩოში ჩასმული იეროგლიფები, რომლებიც დიდი ორმაგი წრითაა შემოფარგლული [სურ. 6]. თუ გავითვალისწინებთ ლანგრის ფორმას, კეცის სისქეს, ფერსა და მოხატულობას, ლანგარი ადრეული ან შუა მინის ხანით უნდა დათარიღდეს. მარკა კი გვაფიქრებინებს, რომ იგი კერძო საწარმოშია დამზადებული.

ჩინელებმა ფაიფურის მარკირება მინის ეპოქიდან დაიწყეს. როგორც წესი, მარკა ექვსი იეროგლიფით გამოისახებოდა. მარკაში მოცემული იყო დინასტიის დასახელება და მმართველი იმპერატორის დევიზი. ადრეულ და შუა მინის (1368-1521) ხანაში ამ ექვს იეროგლიფს ორმაგ წრეში სვამდნენ. გვიანი მინის ხანისთვის (1522-1644), ასევე ექვსნიშნა დამდაა დამახასიათებელი, ოღონდ იგი არ არის წრეში ჩასმული. მარკა ლურჯი ჭიქურსქვედა კობალტით იწერებოდა. ცინის დინასტიის მმართველობის დასაწყისში მარკირებული ფაიფური შედარებით ნაკლებად მზადდებოდა. ამის მიზეზი 1667 წლის ბრძანებულება იყო, რომლის ძალითაც კერძო საწარმოებს თავიანთ ნაწარმზე მმართველი იმპერატორის დევიზის ამსახველი მარკის გამოსახვა აეკრძალათ. ამიტომ კერძო საწარმოები ჭურჭლის ძირზე მარკის ნაცვლად "რვა ძვირფასეულობიდან" ერთ-ერთს გამოსახავდნენ, უფრო ხშირად ათასფურცელას ფოთოლს ან რომბს. XVIს-ის დასასრულიდან XVIII ს-ის პირველ ნახევრამდე ფაიფურზე ისეთი მარკებიც გვხვდება, რომლებიც კეთილი სურვილების გამომხატველი შინაარსის მქონე წარწერებითაა დამშვენებული. ზოგჯერ მარკა ინფორმაციას იძლეოდა ნივთის დანიშნულების შესახებ, აგრეთვე იმ ადგილისა და სახელოსნოს შესახებ, სადაც ნივთი იყო დამზადებული. მაგრამ ფაიფურის დამამზადებელი ოსტატის სახელი მარკაში ძალიან იშვიათად იყო ასახული. მარკებს ცინის პერიოდშიც ხშირად მინის იმპერატორების დევიზით გამოსახავდნენ [Виноградова 1962: 42;. Hobson 1923: 24]; [8].

წურწუმას №33-26/136, [სურ. 7] გადავლებული აქვს თეთრი ჭიქური და მოხატულია ლურჯი კობალტით. წურწუმას მუცელი რვა რელიეფური სეგმენტისგან შედგება. სეგმენტები ყვავილებითაა მოხატული. მოხატულობა ჭიქურსქვედაა. წურწუმას ყელი, რომელსაც პირზე თითბრის სალტე აქვს შემოვლებული, მცენარეული ორნამენტითაა შემკული. წურწუმას ძირზე გამოსახულია ლურჯი კობალტის ჭიქურსქვედა მარკა– ორმაგ წრეში ჩასმული ოთხი იეროგლიფი [სურ. 8]. წურწუმას ყველა მახასიათებელი იძლევა იმის საფუძველს, რომ იგი ადრეული ან შუა მინის ხანით დავათარიღოთ.

ფაიფურის ფონდში არის მცირე ზომის ლარნაკი №17-42/40, [სურ. 9], რომელზეც თეთრ ფონზე ლურჯი კობალტით გამოსახულია რამდენიმე სამურაი. მოხატულობა ჭიქურსქვედაა. ფაიფურის კეცი საკმაოდ თხელია და მადალი ხარისხის. სასმისს ძირზე მინის პერიოდის მარკა

აქვს [სურ. 10]. იგი ცზინდეჩუენის საიმპერატორო ქარხანაშია დამზადებული. ამის შესახებ მეტყველებს ნივთის სილამაზე, ფაიფურის კეცის, ჭიქურისა და მოხატულობის მაღალი ხარისხი და საიმპერატორო ქარხნის მარკა. სასმისის მარკა ექვსნიშნაა და წრეში არ არის ჩასმული, ანუ იგი გვიანი მინის ხანისაა. სასმისზე სამურაები მუქი ლურჯი, მოიისფრო კობალტითაა გამოსახული. მოიისფრო კობალტიც გვიანი მინის ხანისთვისაა დამახასიათებელი. ყოველივეს გათვალისწინებით საკვლევი სასმისი გვიანი მინის ხანით შეიძლება დათარიღდეს [Pope 1956: 38].

ნარგილე №40-02 [სურ. 11] ყელმომტვრეულია, დაწახნაგებული მუცელი (რვა წახნაგი) აქვს, მოხატულობა ჭიქურსქვედაა. თეთრ ფონზე მონაცრისფრო კობალტით მცენარეული ორნამენტია გამოსახული. ნარგილე მარკირებულია – ძირზე, გარედან ორმაგ ჩარჩოში ჩასმული ოთხი იეროგლიფია გამოსახული [სურ. 12]. ამ ტიპის დამღებით ფაიფურის მარკირება XVIII საუკუნეში ხდებოდა.

XVIII საუკუნეში უნდა იყოს დამზადებული აგრეთვე ფიალა №33-26/42 [სურ. 13]. მოხატულობა ჭიქურსქვედაა, თეთრ ფონზე ლურჯი კობალტით სტილიზებული მცენარეული ორნამენტია გამოსახული.-ფიალას ძირზე ოთხკუთხა დამღა აქვს [სურ. 14], რომელიც მას XVIII საუკუნეს მიაკუთვნებს.

წურწუმა №43-02 [სურ. 15] დაწახნაგებული გვერდებით (რვა წახნაგი) გამოირჩევა. მოხატულობა ჭიქურსქვედაა. თეთრ ფონზე ლურჯი კობალტით ერთმანეთის მონაცვლეობით სტილიზებული მცენარეული ორნამენტები და პაგოდებია (ჩინური სახლი) გამოსახული. წურწუმას ძირზე მარკა აქვს – რამდენიმე იეროგლიფი წრისა და ჩარჩოს გარეშე [სურ. 16]. ამ ტიპის ჭურჭელი (იგულისხმება ფორმა, სქელი კეცი, მოხატულობა და მარკა) XVIII საუკუნის ჩინეთში მზადდებოდა, ასე რომ წურწუმა XVIII საუკუნით უნდა დათარიღდეს.

ლანგარი №17-42/5 [სურ. 17], ასევე ლურჯი კობალტითაა მოხატული. ლანგარზე კლასიკური ჩინური პეიზაჟია გამოსახული – წყალი, ნაპირი, პაგოდა, ფიჭვი, სტილიზებული მცენარეული ორნამენტი და სხვ. ლანგარს უკანა მხრიდან ჭიქურსქვედა მარკა აქვს – ოთხი იეროგლიფი [სურ. 18]. ლანგარი გვიანი მინის ხანას უნდა ეკუთვნოდეს. მარკა კი, სავარაუდოდ, კერძო საწარმოს მიმანიშნებელია, შესაბამისად, ლანგარიც კერძო საწარმოშია დამზადებული.

ზუსტად ერთნაირი, ოღონდ სხვადასხვა ზომის ექვსი ფიალაც №33-26/86, №33-26/87, №33-26/88, №33-26/89, №33-26/90, №33-26/91 [სურ. 19] კობალტის საღებავითაა მოხატული. მოხატულობა ჭიქურსქვედაა. ფიალებზე ადამიანები და მცენარეებია გამოსახული. ფიალების ნაპირები ტალღოვანია. ფაიფურის კეცის მაღალ ხარისხსა და მოხატულობის სტილს თუ გავითვალისწინებთ, ფიალები გვიანი მინის ხანით უნდა დავათარიღოთ. ის ფაქტი, რომ ისინი არ არის მარკირებული, მეტყველებს იმაზე, რომ დამზადებულია ცინდეჩუენის კერძო საწარმოში [Кречетова М. Вестфален Э. 1947: 46].

ფაიფურის დოქი №66-14/1 [სურ. 20] მოხატულია ღია ლურჯი ფერის კობალტის საღებავით და სტილიზებული მცენარეული ორნამენტითაა

შემკული. მოხატულობა ჭიქურსქვედაა. მსგავსი ჭურჭელი სამეცნიერო ლიტერატურაში XVIII საუკუნითაა დათარიღებული, ამიტომ ეს დოქიც XVIII ს-ით უნდა დათარიღდეს.

ლარნაკს №57-09 [სურ. 21] გვერდები და პირი ტალღოვანი აქვს. თეთრ ფონზე ლურჯი ჭიქურსქვედა კობალტით მცენარეული და გეომეტრიული ორნამენტებია გამოსახული. ლარნაკის ფორმა და მოხატულობის სტილი მისი XVII ს-ით დათარიღების საშუალებას იძლევა.

საკეს ხუთი ჭურჭელი №54-02/1, №54-01/2, №54-02/3, №54-04, №54-02/5 [სურ. 22] გარეგანი ფორმითა და მოხატულობის თემატიკით იდენტურია. მოთეთრო ფონზე ლურჯი კობალტით ტრადიციული ჩინური პეიზაჟია გამოსახული – ნავები წყალზე, ხმელეთი, პაგოდა, მცენარეები და სხვ. მოხატულობის ეს თემატიკა იუანის, მინისა და ცინის პერიოდების ფაიფურისთვისაა დამახასიათებელი. საკეს ეს ჭურჭლები XVIII ს-ის ბოლოს ან XIX საუკუნეში უნდა იყოს შექმნილი, რადგან ისინი საკმაოდ დაბალი ხარისხის ფაიფურისგან არის დამზადებული. ცნობილია, რომ XVIII-XIX სს-ში ჩინური ფაიფურის წარმოებამ გარკვეული ვარდნა განიცადა. მიუხედავად ამისა, ძალიან მაღალი ხარისხის ფაიფური მცირე რაოდენობით მაინც მზადდებოდა [Стужина 1970:56].

ლარნაკები №12-16 და №17-42/42 ფორმითა და მოხატულობის სიუჟეტით იდენტურია, განსხვავება მხოლოდ ზომებშია. ანალოგიური მოხატულობა აქვს ძალიან მცირე ზომის ლარნაკს №17-42/68 [სურ. 23], მხოლოდ მისი ფორმაა ოდნავ განსხვავებული. ლარნაკები მონოქრომულია. მოხატულობა ჭიქურსქვედა. სამივე ლარნაკზე ლურჯი კობალტით ჩინური პეიზაჟია გამოსახული – წყლის ფონზე ნავი, ხმელეთი, მეთევზის სილუეტი, პაგოდები და მცენარეები. ფაიფურის კეცი, რომლისგანაც ლარნაკებია დამზადებული სქელია და საკმაოდ დაბალი ხარისხის. ასე რომ, ეს ლარნაკებიც XVIIIს-ის დასასრულით ან XIX საუკუნით უნდა დათარიღდეს.

ლურჯ-თეთრი ფაიფურის თეფშის №33-26/106 [სურ 24] მოხატულობა ჭიქურსქვედაა, მოთეთრო ფონზე ლურჯი კობალტით პეიზაჟია გამოსახული – წყალი, ხმელეთი, პაგოდა, ფიჭვი და სხვა მცენარეები, მათ ფონზე კი ორი ადამიანი ჩანს, ადამიანები თითქოსდა ესაუბრებიან ერთმანეთს. ფაიფურის კეცი საკმაოდ თხელია. კეცის ხარისხისა და მოხატულობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ თეფში XVII-XVIII სს-ით შეიძლება დათარიღდეს.

თეფში №8-34/5 [სურ. 25] ღრმაა, კუწუბებიანი ნაპირით, ლურჯი ჭიქურსქვედა კობალტით მოხატული. თეფშის ცენტრში რეზერვითა და ლურჯი კობალტით ლომია გამოსახული. ლომის გარშემო ყვავილებია. ლომი და ყვავილები გეომეტრიულ ჩარჩოშია ჩასმული. თეფშის ბორტზე, კარტუშებში პიონებია გამოსახული. უკანა მხრიდან თეფშის კედლები ძალიან მუქი ლურჯი კობალტითაა დაფარული. ლომის გამოსახულებას ჩინურ სახვით-გამოყენებით ხელოვნებაში რამდენიმე ახსნა შეიძლება ჰქონდეს. უფრო ხშირად მას ბუდიზმის გავრცელებას უკავშირებენ – ლომი ბუდას ტახტის მცველად ითვლება. გარდა ამისა, ლომი მამაცობისა და ძლიერების სიმბოლოდ მოიაზრება. ლომის გამოსახულება ამოქარგული იყო მეორე რანგის სამხედრო მოხელეე-

ბის სადღესასწაულო სამოსზე. დროთა განმავლობაში ლომის გამოსახულებას სხვა მნიშვნელობაც მიაწერეს, კერძოდ – წარმატებული სამსახურებრივი კარიერა [Виноградова 1962: 42].

ლურჯ-თეთრი ფაიფურის ჯგუფს განეკუთვნება ფაიფურის ბადია №33-26/13 და ლანგარი №33-26/15 [სურ. 26]. ეს ჭურჭელი თეთრ ფონზე ლურჯი ჭიქურსქვედა კობალტის საღებავითა და ოქროს ვარაყითაა მოხატული. ლანგრის ცენტრში ოქროს ქანდით შესრულებულია წარწერა: «ბრძანება მისი აღმატებულება ხაყანისა, ქვეშევრდომთა სანდო პირისა». ფაიფური ძალიან მაღალი ხარისხისაა, ასევე მაღალი ხარისხისაა თეთრი ჭიქური და მუქი ლურჯი კობალტის საღებავი. ამგვარი ტიპის ფაიფურის ჭურჭელი ცინის დინასტიის მმართველობის ხანაში, განსაკუთრებით კი კანსი-იუნჩუენის პერიოდში (1644-1735) მზადდებოდა, ასე რომ ეს ბადია და ლანგარიც ამავე პერიოდით უნდა დათარიღდეს. წარწერა კი იმის შესახებ მეტყველებს, რომ ისინი მუსლიმანებისთვის იყო განკუთვნილი. ძნელია ზუსტად თქმა ვისთვის მზადდებოდა ეს ჭურჭელი – ადგილობრივი მუსლიმანი ჩინელებისთვის, თუ სპარსეთში გასატანად. «ხაყანად» ჩინეთის იმპერატორს მოიხსენიებდნენ, როგორც ჩინელი მუსლიმანები, ისე ირანელები. აღნიშნული წარწერა დაუმთავრებელია. როგორც ჩანს ჩინელმა ოსტატმა, რომელმაც ეს წარწერა გამოიყვანა, სპარსული დამწერლობა და ენა არ იცოდა. მან წარწერა გამოსახა მხოლოდ იმისთვის, რომ ლანგარსა და ბადიას სპარსული ელფერი მისცემოდა. ალბათ, ოსტატს ხელში ირანულ ენაზე დაწერილი ტექსტი ეჭირა, საიდანაც იმ რაოდენობის ასოები გადმოწერა, რამდენიც დეკორის სილამაზის უზრუნველსაყოფად ჩათვალა საჭიროდ.

ჩინურ ფაიფურზე ირანული ფორმებისა და მოტივების გაჩენა არ არის გასაკვირი. ჩინეთს ოდითგანვე ჰქონდა სავაჭრო ურთიერთობები უცხოეთის ქვეყნებთან. ჯერ კიდევ ტანის ხანაში ჩინეთის სამხრეთში უცხოელ ვაჭართა (არაბთა, ირანელთა, ბერძენთა, ებრაელთა) კოლონიები აღმოცენდა. განვითარებული იყო, როგორც საზღვაო ისე სახმელეთო ვაჭრობა. ირანში სახმელეთო საქარავნო გზის "დიდი აბრეშუმის გზის" მეშვეობით დიდი რაოდენობით ჩინური საქონელი შემოდიოდა. "დიდი აბრეშუმის გზა" თავრიზის გავლით ჩინეთს დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან აკავშირებდა. ჩინელი თუ ირანელი ვაჭრები, რომლებსაც ჩინეთიდან ირანში ფაიფური შეჰქონდათ, ირანელი დიდებულებისაგან შეკვეთებსაც კი იღებდნენ და საგანგებოდ მათთვის ამზადებდნენ ფაიფურს.

როგორც ვხედავთ, კერამიკის ფონდში დაცულია კლასიკური სელადონების ორი ძალიან საინტერესო ეგზემპლარი. ისინი არდებილის მეჩეთისა და ერმიტაჟის სელადონების ანალოგიაა და, შესაბამისად, XIV- XVსს-ით თარიღდება.

ფონდში წარმოდგენილ ლურჯ-თეთრ ფაიფურთაგან განსაკუთრებულად საინტერესოა დიდი ზომის ლანგარი №17-42/32, რომელიც შუა მინის ხანით თარიღდება.

ლურჯ-თეთრი ფაიფურის უმეტესობა "სუფთა ჩინურია," მაგრამ არის ისეთი ჭურჭელიც, რომელიც უცხო კულტურების (იაპონური, ირანული) ელემენტებს შეიცავს. სავარაუდოდ, ეს ჭურჭელი საექსპორტო იყო.

კობალტით მოხატული ჭურჭელი მოიცავს მარკირებულ და არა-მარკირებულ ნივთებს. ნივთები მარკირებულია რამდენიმე ტიპის მარ-კით: ექვსნიშნა – საიმპერატორო ქარხნის მარკა შუა მინის პერიო-დისა, ოთხნიშნა ორმაგ წრეში ან სამმაგ ოთხკუთხა ჩარჩოში ჩასმული, ოთხკუთხა, რომბი და სხვ. მარკების ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ ზოგი ნივთი საიმპერატორო ქარხანაშია დამზადებული, ზოგი კი კერძო საწარმოში.

ETHNOGRAPHY/ ETHNOLOGY

MARINA BOKUCHAVA

Georgian National Museum, Rustaveli Avenue 3, 0105 Tbilisi, Georgia

CHINESE MONOCHROMATIC " BLUE AND WHITE" PORCELAIN (BASED ON DEPOSITORY MATERIALS)

SUMMARY

The material presented in the porcelain depository of the S. Janashia Georgian National Musum gives us opportunity to observe development of the Chinese porcelain during the 15th-19th centuries, which is quite a long period of time. A part of this porcelain, namely monochromatic and painted with blue cobalt, so - called "blue and white" porcelain are examined in this article. Among monochromatic porcelain covered with one coloured glaze which is kept at the depository, two china-wares , made of celadonite , are exceptionally interesting. These are: plate №15-26/6 and dish № 15-26/8. Both represent classic chinaware, they are quite heavy, having quite thick walls which are made of greyish material. They have engravings of plant motives, light greenish tone of glaze and red circle at the bottom without glaze. These celadonite porcelain have analogous at Ardebile mosque and the Hermitage Museum (light greenish tone of glaze and red circle at the bottom without glaze) dated from the 14 th-15 th centuries. Thus, our porcelain made of celadonite also might be dated from the 14 th-15 th centuries.

Among "blue-white" porcelain kept at the depositary, the oldest one is plate №17-42/32. It is covered with greyish-white glaze and is painted with blue cobalt beneath glaze. A popular theme in ancient China – a dragon in clouds is depicted on it. At the bottom of the plate a stamp is depicted; four hieroglyphs are in triple four squared frame limited with double circle and painted with blue glaze cobalt.

Most of the presented "blue and white" porcelain is "purely" Chinese. But at the same time, there is something that shows traits of the foreign cultures (Iran, Japan). It

seems that these porcelain things were destined either for export or for local Chinese Muslims.

Part of the porcelain presented in the article is marked with the blue subglaze cobalt. Several types of marks are presented there – marks with six numbers of the emperor porcelain factory of the middle Min period and marks of private china productions: some with four numbers depicted in the triple square frame, fenced with double circle, square, rhomb, etc.

ბიბლიოგრაფია

1.Арапова Т. 1977: Китайский фарфор в Собрании Эрмитажа, конец XIV – первая треть XVIII в. [Каталог]. Ленинград.
2.Виноградова Н. 1962: Искусство средневекового Китая. Москва.
3..Кречетова М. Вестфален Э. 1947: Китайский фарфор (история развития). Москва.
4.Стужина Э. 1970: Китайское ремесло XVI-XVIII вв. Москва.
5.Garner H. 1956: Oriental Blue and White, London.
6.Hobson H. 1923: The wares of the Ming Dinasty, London.
7. Pope J. 1956: Chinese Porcelains from the Ardebil Shrine, Washington.
8. apodarok.ru/info/sel/?181.

ილუსტრაციების აღწერილობა

სურ. 1. სელადონის თეფში და ლანგარი.
სურ. 2. თეფშისა და ლანგრის ძირი.
სურ. 3. ფიალა.
სურ. 4. ფიალის დამდა.
სურ. 5. ლანგარი.
სურ. 6. ლანგრის დამდა.
სურ. 7. წურწუმა.
სურ. 8. წურწუმას დამდა.
სურ. 9. ლარნაკი.
სურ. 10. ლარნაკის დამდა.
სურ. 11. ნარგილე.
სურ. 12. ნარგილეს დამდა.
სურ. 13. ფიალა.
სურ. 14. ფიალის დამდა.
სურ. 15. წურწუმა.
სურ. 16. წურწუმას დამდა.
სურ. 17. ლანგარი.
სურ. 18. ლანგრის დამდა.
სურ. 19. ფიალები.
სურ. 20. დოქი.
სურ. 21. ლარნაკი.

სურ. 22. საკეს ჭურჭელი.
სურ. 23. სამი ლარნაკი.
სურ. 24. თეფში.
სურ. 25. თეფში.
სურ. 26. ბადია და ლანგარი.

LIST OF ILLUSTRATIONS

Fig. 1. Celadon Plate and Dish.
Fig. 2. Basement of the plate and the Dish.
Fig. 3. Jar.
Fig. 4. Stamp of the Jar.
Fig. 5. Dish.
Fig. 6. Stamp of the Dish.
Fig. 7. Jar (Tsurtsuma).
Fig. 8. Stamp of the Jar (Tsurtsuma).
Fig. 9. Vase.
Fig. 10. Stamp of the Vase.
Fig. 11. Smoking pipe (Nargille).
Fig. 12. Stamp of the Pipe (Nargille).
Fig. 13. Bowl.
Fig. 14. Stamp of the Bowl.
Fig. 15. Jar (Tsurtsuma).
Fig. 16. Stamp of the Jar (Tsurtsuma).
Fig. 17. Dish.
Fig. 18. Stamp of the Dish.
Fig. 19. Bowls.
Fig. 20. Jug.
Fig. 21. Vase.
Fig. 22. Jug for “Sake”.
Fig. 23. Three Vases.
Fig. 24. Plate.
Fig. 25. Plate.
Fig. 26. Jar and dish.

სურ. 1 Fig.

სურ. 2 Fig.

სურ. 3 Fig.

სურ. 4 Fig.

სურ. 5 Fig.



სურ. 6 Fig.



სურ. 7 Fig.

სურ. 8 Fig.

სურ. 9 Fig.

სურ. 10 Fig.

სურ. 11 Fig.

სურ. 12 Fig.

სურ. 13 Fig.

სურ. 14 Fig.

სურ. 15 Fig.



სურ. 16 Fig.

სურ. 17 Fig.



სურ. 18 Fig.

სურ. 19 Fig.

სურ. 20 Fig.

სურ. 21 Fig.

სურ. 22 Fig.

სურ. 23 Fig.

სურ. 24 Fig.

სურ. 25 Fig.

სურ. 26 Fig.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია №1 (46-B), 2010, 304-327
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences №1 (46-B), 2010, 304-327

ეთნოგრაფია/ეთნოლოგია

მამუკა ქაფიანიძე

საქართველოს ეროვნული მუზეუმი, რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო, ელ.ფოსტა: mamukaqapianidze@yahoo.com

ქართული ხმლების ტიპოლოგიისათვის

(საქართველოს ეროვნული მუზეუმის იარაღის ფონდში დაცული მასალების მიხედვით)

საქართველო ყოველთვის იყო განთქმული საუკეთესო ფოლადის – „ბულატის" წარმოებით. XIXს თბილისში „ბულატის" ფოლადის მწარმოებლები – ეფრემ და ყარამან ელიზარაშვილები ცხოვრობდნენ. მათი მამა გიორგი, იგივე იაგორი, ხმლის განთქმული ოსტატი ყოფილა. ეს ხელობა თავად მასაც მემკვიდრეობით მიუღია და შემდეგ შვილებისათვის გადაუცია [ჩოლოყაშვილი 1956:16].

საუკეთესო ფოლადის წარმოების მექანიზმი გასაიდუმლოებული იყო. მიუხედავად ამისა, გიორგის ერთ-ერთმა შვილმა ყარამანმა 1828 წელს, ქართველი ხალხის მიერ საუკუნეების განმავლობაში გამომუშავებული ქართული ფოლადის – ხმლის დამზადების საიდუმლოება რუსებს გაუმხილა. ელიზარაშვილების ხმლის დამზადების ოსტატობის შესასწავლად რუსეთიდან თბილისში ზლატოუსტის ქარხნის ორი მოწინავე ოსტატი (მუშებთან ერთად) გამოგზავნეს. გენერალი პოტო აღნიშნავდა: „ზლატოუსტის ქარხნის მიერ გამოშვებულ საუკეთესო ხმლებად რუსეთის კავალერიაში ყოველთვის ითვლებოდა ის ხმლები, რომლებზედაც აღნიშნულია 1832-33-34 წლები." საგულისხმოა, რომ ეს პერიოდი, როგორც პ. გუგუშვილი მიუთითებს: „ყარამანის შეგირდების მოღვაწეობის პირველ წლებს ემოხვევა" [გუგუშვილი 1962: 139].

საქართველოში ინდური (ვუნცა), სპარსული (ტაბანი, ყარატაბანი, ხორასნული), სირიული (დამასკური) და საკუთრივ ქართული ფოლადისაგან შექმნილი ცივი იარაღები მზადდებოდა.

ცივი იარაღების მრავალფეროვნება ტერმინოლოგიაშიც აისახა, მაგალითად: ჭოლაური//ლეკური, დავითფერული, დედალი ფრანგული, მამალი ფრანგული, მისრული, გველისპირული, ჭარული, მგლის

დამღიანი, დაშნა, გორდა, კალდიმი, ცნობილი იყო თბილისური ხმალიც, ქართული ხმალი ირანული ტიპის, კაბიანი ხმალი და სხვ. ჩვენ, შეძლებისდაგვარად, განვიხილავთ ქართული ხმლის ათამდე სახეობას. ხმლების ეს სახეობები დიდხანს გამოიყენებოდა ყოფაში, დღესდღეობით კი, საქართველოს ეროვნული მუზეუმის. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმ-შია დაცული. ესენია: გორდა, კალდიმი, კაბიანი, დავითფერული, ფრანგული (მგლის დამღიანი), ხევსურული, ლეკური (შაშკა), უნგრული, თბილისური და ირანული ტიპის ქართული ხმლები. მიუხედავად იმისა, რომ ხმლის ამ ტიპებს, დროთა განმავლობაში, სხვადასხვა პრაქტიკული მოსაზრებებისა თუ მოდური გატაცებების გამო, უცხო ქვეყნებში წარმოებული ხმლების ცალკეული დეტალები დაემატა, ისინი იმდენად კარგად გადმოსცემენ ადგილობრივი წარმოების ხასიათს, რომ მათ ჩვენ „ქართული ხმლების" კატეგორიას დაუბრკოლებლად მივაკუთვნებთ.

სულხან-საბა, განმარტავს რა ტერმინ „ხრმალს," აღნიშნავს – „ესე ხრმალნიცა მრავალგვარნი არიან სხვადასხვა თემთა ქმნილთაებრ და რომელიც(ა) ხრმალი ძველი, გრძელი, განხრილი, მზეველი, მკვეთელი და სრულია, გლუვი იყოს თუ გამოფერდილი, ანუ ღაროსანი, გორდა თუ კალდიმი, – ამას ქართველნი ჰყვარობენ. ფრანგნიცა ესეთსა და სხვარიგთაცა ახალსა არა ჰრიდებენ; არაბნი სხვარიგსა, სპარსნი სხვასა, თემითი-თემად, რომელიმე დრეკილსა, რომელიმე შვეტთა, სხვანი ბასრთა, სხვანი რბილთა; არამედ ბრძენნი და გამოცდილნი, ღვაწლისა მძლენი მხედარნი საქებურად ამას დასდებენ, რომელი გვარიანიცა იყოს, ძველი და არა ღვარჭნილი, არცა სადა მცირედი სიმრუდე ჰქონდეს, არც მაღალ-დაბლობა აჩნდეს ცახეთაცა ოდენი, ლიბრი იყოს, და არა თეთრ, ზომიერ სიგრძით და სიბრტყითა, წინა კერძო მცირედ განხრილი და არა საშუალ, ძვალთა და რკინათა მკვეთელ და თვით უვნებელ, ადრე არა დამბლაგველ, უტალ-უნაფრცხენო, ყუა-ზრქელ, განდე-სწორე, შაშარ-მოკლე. თუცა ესრე სრული ვერა ჰპოო, ერთისა და ორის კლებისათვის ნუ დაიწუნებთ, – სრული გვიან საპოვნარია" [სულხან-საბა 1993: 443].

როგორც ვხედავთ სულხან-საბა საუკეთესო თვისებების მქონე ხმლების დახასიათებისას, მხოლოდ და მხოლოდ, ხმლის ორ სახეობას – გორდასა და კალდიმს ასახელებს.

გორდა ხმალი დიდი პოპულარობით სარგებლობდა მთელ კავკასიაში, განსაკუთრებით საქართველოში, ჩეჩნეთსა და დაღესტანში. გორდას დამღაა – ორი დაკბილულზედაპირიანი ნახევარმთვარის ფორმის ზურგშექცეული რკალები, შუაში განთავსებული წარწერით – „გენუა." ამ დამღის ისტორია, ერთ-ერთი ვერსიით, XIV ს. გენუის ქალაქ-სახელმწიფოს უკავშირდება, ხოლო სხვა ვერსიით, მას კავკასიური წარმომავლობა აქვს [Аствацатурян 2004: 54].

საბას განმარტებით – „გორდა ხმალია ეროგვარი" [სულხან-საბა 1991: 41]. დ. ჩუბინაშვილს „გორდახმალი" ერთ სიტყვად აქვს გაერთიანებული [ჩუბინაშვილი 1984: 32]. ალექსი ჭინჭარაული იმოწმებს კუპლეტს ხალხური პოეზიიდან:

„დაგვლივნა თურმანაულმა
ჯურხამა ვეფხვმა მწკლითაო,

ხირჩლამა ბაბურაულმა
გორდა ფრანგული ხმლითაო”
[ჭინჭარაული 2005: 227].

გ. გასიტაშვილი „გორდაფრანგულს” „ჯიშიანი” ანუ საუკეთესო ხმლების კატეგორიაში განიხილავს [გასიტაშვილი 1957: 88]. ს. მაკალათიას ცნობით კი, უკანასკნელ ხანს, „გორდა” – 4-5 ძროხა ღირებულა [მაკალათია 1984: 147]. ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით, გორდა ეს არის იგივე სპარსული „ქარდ” ანუ „ქორდ,” რაც დიდ დანას ნიშნავს. მისივე განმარტებით: „მოყვანილობის მიხედვით გორდა დრეკილ, მოხრილ ხმალს აღნიშნავს” [ჯავახიშვილი 1962: 254]. უნდა ითქვას ისიც, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილ ხმალთაგან, დიდი დანის აღმნიშვნელია ჩერქეზული „შაშკაც” (ქართული ინტერპრეტაციით „ლეკური”), რომელიც, ასევე უვადაჯვრო ხმალია. სპარსული ხმალი „ქორდ,” ანუ „გორდა” და ჩერქეზული ხმლის ტიპი „შაშკა” უვადაჯვრო ხმლებია და შესაძლოა ერთ ტიპად აღვიქვათ.

ვიზუალურად გორდა „მოკლე, უვადო, მოხრილი და დრეკადი ხმალია, რომელსაც შუაში ერთი ფართო, ხოლო ყუისკენ დამატებით ორი ვიწრო ღარი გასდევს. ხმლის ყუაზე გამოყვანილი ტალღოვანი რკალები ან ხმლის პირზე ორი მოპირდაპირე, დაკბილული პატარა ნახევარრკალი წარმოადგენს მის დამღას. რკალის ბოლოები სამმარცვლოვანი ნიშნებით აქვს დაწინწკლული (გადმოცემის თანახმად, ბრძოლებში მონაწილეობის ან მოკლული მტრის რაოდენობის აღსანიშნავად). ასეთი დამღა დამახასიათებელია აღმოსავლური, კავკასიური თუ ევროპული წარმომავლობის ხმლის პირებისათვის. გვიანფეოდალურ საქართველოში გორდა ფართოდ იყო გავრცელებული. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში შემოინახა როგორც ადგილობრივი, ისე XVI–XVII სს. ცნობილ იტალიელ ოსტატთა ნახელავი გორდა ხმლები, რომლებიც გენუელ ვაჭრებს შემოჰქონდათ საქართველოში. ჩვენში დამზადებულ ხმლის პირებს სადამღო რკალები ყუაზე მიჯრით ჰქონდა გამოყვანილი” [ქსე 1978].

ეს განმარტება გარკვეულწილად სწორია, როდესაც საუბარია გენუელ ვაჭრებზე, მაგრამ გორდა ხმლის ტარისა და პირის ფორმის გადაწყვეტა და ერთმნიშვნელოვნად განცხადება, რომ ეს ხმალი უვადაჯვრო კატეგორიას მიეკუთვნება, არ უნდა იყოს მართებული.

როგორც აღვნიშნეთ, ერთ-ერთი ვერსიით, გორდას დამღა XIV ს-ის გენუელ ოსტატებს ეკუთვნოდათ, რომელთა მიერ გამოჭედილი ხმლის პირები საქართველოში გენუელ და ვენეციელ ვაჭრებს შემოჰქონდათ. ცნობილია, რომ მათ გორსა და თბილისში სავაჭრო ფაქტორიები ჰქონდათ გახსნილი [კუტალეიშვილი 1987: 189]. მეორე ვერსიით, ევროპელებმა გორდას დამღიანი ხმლები ჩვენგან გაიტანეს და ხმლებს სწორედ ამის შემდეგ ხვდა წილად საერთო ევროპული აღიარება. ლეგენდის მიხედვით, სოფელ გორდაში ქართველი ოსტატი ცხოვრობდა, რომელიც მაღალი ღირსების ხმალს ჭედავდა, სწორედ ამიტომ (ანუ, ადგილის გამო) ხმალსაც გორდა ხმალი ეწოდა, მაგრამ ამ მოსაზრების მეცნიერული დასაბუთება არ მოგვეპოვება. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ გორდა დღევანდელ ქართულ რეალობაშიც კარგად დამკვიდრებული

სახელწოდებაა: დღესაც არსებობს სოფ. გორდი, სახელი გორდა, გვარები – გორდაძე, გორდიაშვილი და ა.შ.

XIV საუკუნის შემდეგ გორდას დამღა იმდენად პოპულარული გახდა, რომ ამ ნიშანს დამღად XVII-XVIIIს-ის ავსტრიისა და გერმანიის ის ხელოსნებიც იყენებდნენ, რომლებიც მიზანმიმართულად აღმოსავლეთისათვის მუშაობდნენ. დღესაც მუზეუმის კოლექციებში (შესაძლოა სხვაგანაც) შეიძლება ნახოთ ევროპულდამღიანი ხმლის პირები, მაგრამ სამწუხაროდ, ვერსად შეხვდებით შუასაუკუნეების ნამდვილ ქართულ ან თუნდაც იტალიურ პირებს. ამ საკითხთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „არც საქართველოს მუზეუმის კოლექციებში და არც სხვაგან,მთლიანად იმდროინდელი XI–XIII სს. ჯავშანი და თორი უკვე აღარ მოიპოვება. მხოლოდ ბერლინის ცოიგჰაუზის (იარაღის) მუზეუმში ნახავს ადამიანი საქართველოდან (ხევსურეთიდან) XIXს. გატანილს,მანიკენზე ჩამოცმულს,XIII ს. რაინდისა და ცხენის ორს მთლიანს საუცხოო ანაკრებს. ოქროს ზარნახშით უხვად შემკული მშვენიერი მუზარადიც არსებობს, მაგრამ არც ის არის საქართველოში” [ჯავახიშვილი 1937]. აღნიშნული აღჭურვილობა ბერლინში კ. გამსახურდიასაც უნახავს. მისივე გადმოცემით მსგავსი ქართული საჭურველი ქ. მიუნხენში მცხოვრებ მანტოლდის ოჯახში აღმოჩნდა. ამ ოჯახისთვის იგი ნიუნიგოროდის პოლკის „კომანდირს ბაგრატიონს” უჩუქებია. საჭურველს კ. გამსახურდია ამგვარად აღწერს: „სავსებით უზადოდ შენახულიყო, როგორც ჯაჭვის პერანგი, ისე თორი, ჯაჭვის პერანგი თვალმრგვალი იყო და სამფეროსანი. ჩაბალახის ორიოდ ადგილას თვალი ამოვარდნოდა.” მუზარადზე ქართული ასოებით – „ჩსნგ” ე.ი. 1253 წ. აღნიშნულია ნივთის თარიღი. იქვე გამოფენილი ყოფილა: „ხევსურული დავითფერული, ფრანგული, ქართული ვადაჯვრიანი ხმლები” [ჩოლოყაშვილი 1989: 76]. როგორც ჩანს, მეცხრამეტე საუკუნის ქართველი და არა მარტო ქართველი (გ. ჩიტაიას დაკვირვებით,ბერლინის ცოიგჰაუზში,ქართული აღკაზმულობა, მუზეუმის იმდროინდელი დირექტორის გ.რადეს მეშვეობით უნდა მოხვედრილიყო) მოღვაწეები შუა საუკუნეების ქართული იარაღით ევროპის მუზეუმებსა და კერძო კოლექციებს ამარაგებდნენ, ამიტომ ჩვენს ქვეყანაში დღესდღეობით, ამ პერიოდის ქართული საჭურველი აღარ არსებობს. საფიქრებელია, რომ ბერლინის მუზეუმში გაგზავნილ „ორ საუცხოო ანაკრებს” შორის უსათუოდ იქნებოდა ქართული ხმლები და შესაძლოა თვით ქართული გორდა ხმალიც.

ქართული გორდა ხმლების პირები, როგორც აღვნიშნეთ, (ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით), ევროპიდან შემოდიოდა, მაგრამ, რასაკვირველია, ადგილობრივადაც მზადდებოდა. ევროპიდან შემოტანილი ხმლების საერთო სახელად „ფრანგული” იყო მიღებული. განასხვავებდნენ დედალ და მამალ ფრანგულს. ავსტრიიდან და გერმანიიდან შემოტანილ ხმლებს დედალ ფრანგულს უწოდებდნენ, ხოლო იტალიიდან მოწოდებულს – მამალ ფრანგულს [ჯალაბაძე 1979: 17]. რასაკვირველია, დედალი ფრანგული დაბალი ღირსების ხმლად არ მოიაზრებოდა, მაგრამ დიფერენციაცია მაინც არსებობდა. როგორც ჩანს, ავსტრიიდან და გერმანიიდან შემოტანილი გორდას დამღიანი ხმლის პირები „დედალ

ფრანგულ” ხმლების კატეგორიაში გადიოდა. საინტერესოა ისიც, რომ ადგილობრივი ქართველი ხელოსნები ამ დამღას არ იყენებდნენ საიმისოდ, რომ თავიანთი ნახელავი ევროპულად გამოეცხადებინათ. ისინი უბრალოდ ამ პოპულარულ დამღას აფიქსირებდნენ მათ მიერ შექმნილ ხმლებზე, მაგრამ ფოლადის დამზადების ტექნოლოგია, ტარისა და ქარქაშის მორთულობა აბსოლუტურად ქართული იყო და უმაღლესი ხარისხის გახლდათ.

გორდა ხმალთან მრავალი ლეგენდაა დაკავშირებული. ერთ-ერთი ლეგენდის მიხედვით, ხმლის ყუის გაყოლებაზე ყოველი მოკლული მტრის აღსანიშნავად თითო რკალს ასვამდნენ. როდესაც რკალთა რაოდენობა ასამდე ადიოდა ხმალს მცირე ხნით მიწაში მარხავდნენ.

გორდა ხმლის წარმომავლობასთან დაკავშირებით აღსანიშნავია კავკასიური ლეგენდებიც. როგორც აღვნიშნეთ, გორდა ხმალი მთელ კავკასიაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა, აქედან გამომდინარე, მთიანი კავკასიის თითქმის ყველა ეთნოსის წარმომადგენელს უჩნდებოდა პრეტენზია ხმლის წარმომავლობა საკუთარ რეგიონთან დაეკავშირებინა. ერთ-ერთი ლეგენდის მიხედვით, ხმლის ორი ოსტატი წაკამათებულა – ვისი ხმალი იყო საუკეთესო. პირველმა, ხმლის მაღალი ღირსების დასამტკიცებლად ცხვარი ერთი მოქნევით გაკვეთა შუაზე, მეორემ მაინც არ აღიარა მოწინააღმდეგის უპირატესობა. გაცეცხლებულმა პირველმა მჭედელმა დაიღრიალა – გურ-და (რაც ერთ-ერთ კავკასიურ დიალექტზე, სავარაუდოდ ჩეჩნურზე, „შეხედეს” ნიშნავს) და „ურწმუნო” ოსტატი თავის ხმლიანად შუაზე გაკვეთა. ამ ინციდენტის შემდეგ მოკლულის ნათესავებმა, ტრადიციულად, სისხლის აღება გადაწყვიტეს, მაგრამ უხუცესებმა საუკეთესო ოსტატი სასიკვდილოდ ვერ გაიმეტეს. უხუცესთა კრებამ განაჩენი გამოიტანა: ოსტატს ყველა მოსისხლესათვის ასეთივე ხმალი უნდა დაემზადებინა. მჭედელმა შეასრულა დავალება, მხოლოდ ადრინდელ დამღას, რომელზედაც გამოსახული იყო ზედა და ქვედა ყბა (სქემატურად ზურგშექცეული დაკბილული რკალები, ნიშნად იმისა, რომ ხმალი ისე კვეთდა რკინას, როგორც კბილები ძვალს), გარშემო წერტილები – სიმბოლურად სისხლის წვეთები შემოავლო, იმის აღსანიშნავად, რომ ეს ხმლები დაღვრილი სისხლის საფასური იყო [Аствацатурян 2004: 143]

იგივე ლეგენდას გადმოგვცემს ე. ლენცი, რომელიც განმარტავს, რომ აღნიშნული ვერსია იმეორებს სკანდინავიურ და გერმანულ თქმულებას ზღაპრულ მეიარაღე ვილანდზე, რომელმაც მისი მოწიანააღმდეგე მჭედელი ემილია შუაზე გაკვეთა. თქმულების მიხედვით ცნობილია, რომ ვილანდმა მჭედელობა კავკასიაში ისწავლა. ლენცის აზრით ეს ლეგენდა ამ კუთხითაც მეტად საინტერესოა. [Ленц 1911: 13]. ალბათ, ეს საკითხიც უფრო სიღრმისეულ შესწავლას მოითხოვს.

ლენცი გორდას დამღასთან დაკავშირებითაც აკეთებს კომენტარს: „არ ვიცი ნამდვილად აღნიშნავს თუ არა ადგილობრივ ენებზე სიტყვა „გურდა” – „შეხედეს,” მაგრამ ასეც რომ იყოს, ვერ ვხედავ საჭიროებას ხმლის პირის სახელწოდება დავუკავშიროთ ამ სიტყვას, მით უმეტეს, რომ უფრო ახლოს დგას და უფრო ბუნებრივად გამოიყურება „გურდას”

წარმომავლობა ძველსპარსული „ქარდ,” ახალსპარსული „ქურდიდან,” რაც ნიშნავს ხმალს, დიდ დანას” [Ленц 1911: 14]. როგორც ვხედავთ ლენციც, ივ. ჯავახიშვილის მსგავსად, „გორდას” სპარსულ „ქარდს” უკავშირებს [ჯავახიშვილი 1962: 254].

ქართული გორდა ხმალი არსებობს, როგორც ვადაჯვრიანი, ისე უვადაჯვრო. მას აქვს სწორი პირი, რომელიც წვერისკენ გახრილია. პირი ორდარიანიც აქვს და სამდარიანიც. ტარი – ტიპიური ქართული ვადაჯვრიანია. იგი მოხრილი ბოლოთი „ვაშლით” სრულდება. ვაშლთან ტარი შედარებით ვიწროა, ვადაჯვართან კი შესამჩნევად ფართოვდება. ხეტარები ძირითადად პატარა ვერცხლის გობაკებით ან სალტეებითაა შეჭედილი. გორდა ხმალს, აგრეთვე ახასიათებს ე.წ. „ლეკური” ხმლის ტარები – უვადაჯვრო, ბოლოში ორად გაყოფილი.

ს.ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის იარაღის ფონდში ორმოცდაათზე მეტი გორდა ხმალია დაცული, რომელთაგან გამორჩეულია ბაგრატიონებისეული გორდა:

სურ. 1. ქართული გორდა ხმალი №6-24/1. ნივთი ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმში შეტანილია 1924წელს, შეძენილია ივ. სუმბათაშვილისგან. გადმომცემის ცნობების მიხედვით, ხმალი ბაგრატიონთა ოჯახიდანაა. გაურკვეველია მისი მფლობელის კონკრეტული ვინაობა.

ხმლის სიგრძე – 90სმ-ია. ხმლის პირის სიგრძე – 79სმ-ია. პირი დამზადებულია ფოლადისაგან, ოდნავ გახრილია, ცალლესული. აქვს 15სმ. სიგრძის შაშარი (ორლესული წვერი). პირის ორივე მხარეს ბრტყელი ღარია, რომელიც პირს ტარიდან შაშარამდე მიჰყვება. პირის მეორე მხარეს ტარიდან 6-7სმ. დაშორებით გამოსახულია გორდას დამდა (ზურგშექცეული დაკბილული რკალები). დამდის შუაში სამი გაურკვეველი ნიშანია. რკალების ბოლოებში განთავსებულია ჩაჭდეული წრეები, რომლებიც წარმოსახვით სამკუთხედის კუთხეებს ქმნის. პირის ამავე მხარეს ასეთივე წრეები გვხვდება, ერთი ვადაჯვართან ახლოს და მეორე მისგან 15სმ-ის დაშორებით. ხმლის ტარი და ვადაჯვარი დამზადებულია ფოლადისაგან. ისინი მთლიანად დაფარულია ოქროზარნიშით შესრულებული მცენარეული და გეომეტრიული ორნამენტებით. ვადაჯვრის ორივე მხარეს ოქროზარნიშითვე ორ-ორი წყვილი ფრინველია (ჩიტები) გამოსახული, რომლებიც განთავსებულია წაგრძელებული დაფანჯრული მართკუთხედის მოპირდაპირე გვერდებზე. ჩიტების წყვილ ფიგურებს ტარის ბოლოში მოხრილ ადგილზეც (ვაშლზე) ვხვდებით. (ასეთი ჩიტების გამოსახვა ძალზე დამახასიათებელია თბილისური სკოლის ოქრომჭედლობისათვის, რაც კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ხმალი ნამდვილად ქართულია). ტარის ორივე მხარეს შეინიშნება (ერთ მხარეს 6, მეორე მხარეს-7) მცირე ზომის დიამეტრის ნახვრეტები და ღრმულები, რაც სავარაუდოდ, ძვირფასი ქვებისათვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი.

ქარქაში დამზადებულია ხისგან, რომელზეც შავი ტყავია გადაკრული. ქარქაში ბუნიკითა და ორი სალტითაა მორთული. ბუნიკზე დაფანჯრული მართკუთხედები და რომბებია, რომელთა გარშემოც ოქროზარნიშით ყვავილოვანი ორნამენტები და ჩიტებია გამოყვანილი.

ბუნიკის უკანა მხარე დაზიანებულია, ოქროზარნიში კი შელახული. ბუნიკი თითბრის პატარა სალტით ბოლოვდება.

ქარქაშის სალტეებიც ფოლადისგანაა დამზადებული. მათ ოვალური ფორმა აქვს და თასმის გასაყრელი შებრტყელებული რგოლებით ბოლოვდება. სალტეებზე ორივე მხარეს დაფანჯრული მართკუთხედებია გამოხატული, რომელთა მოპირდაპირე გვერდებზე წყვილი ოქროზარნიშით შექმნილი ჩიტები სხედან.

აღწერილი ხმალი ქართული გორდა ხმლების ერთ-ერთი ჯგუფის, ვადაჯვრიანი გორდების კატეგორიას განეკუთვნება. ხმალზე დასმული „გორდას" ევროპული დამღა ქართული მინაბაძია, რაც უცხოურისთვის ხარკის გადახდის თავისებური წესი გახლავთ. თავად ხმლის, არც ხარისხსა და არც ფორმას არაფერი აქვს საერთო ევროპულ „გორდასთან." იგი უდავოდ ადგილობრივად დამზადებული საბრძოლო იარაღია.

ქართული ხმლების ტიპებიდან კალდიმის შესახებაც ვისაუბრებთ. სულხან-საბას მიხედვით ქართველების მეორე საყვარელი ხმალი კალდიმი იყო,რომელიც გორდას მსგავსად დიდი პოპულარობით სარგებლობდა მთელ კავკასიაში, განსაკუთრებით ჩეჩნეთში. საყურადღებოა, რომ ჩეჩენი მეცნიერი ისა ასხაბოვი კალდიმს ჩეჩნურ, ვაინახურ წარმომავლობის ხმლად მიიჩნევს და განმარტავს, რომ შესაძლოა „კალდამ" არის დავიწყებული ვაინახური სახელწოდება „კხუელა და," „კხუელა დაი," რაც „ბედის განმკარგავს," „ბედის გამსაზღვრელს" ნიშნავს. XVII–XVIII საუკუნეებიდან, კალდიმი ხმარებიდან განდევნა კავკასიაში ძალზედ პოპულარულმა ე.წ. „შაშკამ." ჩეჩნებისგან განსხვავებით კი – განაგრძობს ავტორი – ხევსურეთში თითქმის XX საუკუნის დასაწყისამდე დიდი პოპულარობით სარგებლობდა ე.წ. „პალაშები" [Асхабов 2001: 76]. აღსანიშნავია, რომ სხვა პალაშებთან ერთად კალდიმიც უკანასკნელ დრომდე ხევსურეთმა შემოინახა. ეს ფაქტი დასტურია იმისა, რომ კალდიმი იმდენად ქართული წიაღიდან წარმოქმნილი ხმალი იყო, რომ ხევსურებმა ჩეჩნებისაგან განსხვავებით, ადვილად ვერ დაივიწყეს იგი. საინტერესოა ისიც, რომ ბატონ ასხაბოვს თავის წიგნში „ჩეჩნური იარაღი," კალდიმის ქვეთავთან გორდა ხმლის სურათი აქვს დაბეჭდილი და არა კალდიმისა, რაც იმის მიმანიშნებელი უნდა იყოს, რომ ავტორს კალდიმის ხმლის, თუნდაც სამუზეუმო ექსპონატის მოძიება არ ხელეწიფებოდა. ისა ასხაბოვი აღნიშნავს, რომ ჩეჩნები და ხევსურები მეზობლები არიან და კალდიმის წარმომავლობას ჩეჩნებისა და ინგუშების მუსლიმანობამდელ პერიოდს უკავშირებს [Асхабов 2001: 78].

კალდიმის შესახებ ინფორმაციას გვაწვდის იარაღების კარგი მცოდნე გენერალი ვ. ა. პოტო, რომელიც აღნიშნულ იარაღს „კალდინს" უწოდებს, – „კალდინი უპირატესად გვხვდება მთიან დაღესტანში, ხოლო ხევსურებთან ის განსაკუთრებული იარაღია. კალდინი ფართოა და ერთ მხარეს აქვს ჯვრის გამოსახულება წრეზე, ხოლო მეორე მხარეს – მორბენალი მგელი" [Аствацатурян 2004: 145]. აქვე უნდა ითქვას, რომ ხევსურულ კალდიმებზეც უფრო ხშირად მგლის დამღებია, ვიდრე გორდას ნიშნები. კალდიმს ახასიათებს ალექსი ჭინჭარაულიც

და განმარტავს, რომ „კალდიმი – შედარებით უხარისხო ხმალია ეროგვარი” და ხალხური პოეზიიდან იმოწმებს ფრაგმენტებს:

„ძაღლიკავ ხიმიკაურო,
ლიქოკის ზღურბლო, ზღუდეო,
ბევრს ააგლიჯე კალდიმი,
თეძოზე დაიკიდეო.”

ან

„[ლუხუმს] ხმალი ახხადეს ფრანგული,
კალდიმ გადუგდეს სხვისაო”
[ჭინჭარაული 2005: 455].

კალდიმის უხარისხობაზე საუბარი ცოტა საეჭვო უნდა იყოს,რადგან ძნელი დასაჯერებელია სულხან-საბას უხარისხო ხმალი „ქართველთა საყვარელ” ხმლების რანგში აეყვანა. იმის დასამტკიცებლად, რომ კალდიმი ნამდვილად ქართული წარმომავლობის ხმალია და არა სხვა რომელიმე კავკასიური ეთნიკური ჯგუფისა, გთავაზობთ ეროვნულ მუზეუმში დაცული კალდიმის აღწერილობას:

სურ. 2. კალდიმი (ხევსურული) – №2958. მოლიანი სიგრძე – 90სმ. პირის – 78სმ.

ხმლის პირი დამზადებულია ფოლადისაგან, ცალლესულია, ეროღარიანი,ოდნავ გახრილი. აქვს 10სმ სიგრძის შაშარი (ორლესული წვერი). პირს ორივე მხარეს ტარიდან 20სმ სიგრძემდე თითო ფართო ღარი მიჰყვება. ვადაჯვართან ორივე მხარეს ღარებში გამოსახულია ნიშნები 1414, რაც გერმანული ხმლის პირებზე არსებული ნიშნების მინაბაძია,(გერმანული განმარტებით ეს არის მაგიური ნიშნები). ღარის ბოლოში ერთ მხარეს გამოსახულია „სამეფო სფეროს” (სამეფო რეგალია) სტილიზებული გამოსახულება (დამღა) – 1,5სმ დიამეტრის წრე, რომელსაც ზემოდან ჯვარი ადგას. პირის მეორე მხარეს კი მორბენალი მგელია წარმოდგენილი.

ხმალზე დაგებულია ლითონის ვადაჯვარი, რომლის ზედაპირი მორთულია თითბრის ზარნიშით. ვადაჯვრის ზედაპირზე, ცენტრში განთავსებულია ერთი ჩიტი, რომელსაც გარშემო ყვავილოვანი ორნამენტი აქვს შემოვლებული. ვადაჯვრის უკანა მხარე მთლიანად დაფარულია ოთხფურცლიანი ყვავილოვანი ორნამენტით. ხმლის ტარი დამზადებულია ხისაგან, რომელზეც მონაცვლეობით ლითონის სალტეებია (4 ცალი) გადაკრული და ლითონისავე პატარა გობაკები ამშვენებს. ტარის მოხრილი ბოლოც (ვაშლი) ლითონის გობაკით სრულდება. ხმლის ქარქაში დამზადებულია ხისაგან, რომელზეც გადაკრულია მოყავისფრო ტყავი. ტყავზე ზემოდან გადაკრულია თითბრის 22სმ. სიგრძის ბუნიკი, ასევე თითბრის სალტეები და საცვეთები (გვერდებზე ჩაყოლებული თითბრის გრძელი ფირფიტები). ქარქაშზე მოცემულია ფოლადის სალტეებიც (2ცალი) თასმის გასაყრელი რგოლებით. ზედა სალტე მორთულია თითბრის ზარნიშით შესრულებული ყვავილოვანი ორნამენტებით, ხოლო ქვედა სალტეზე ერთ მხარეს – მოზარნიშებული ჩიტია, მეორე მხარეს კი, ყვავილოვანი ორნამენტი. ფოლადის სალტეებს შორის გადაკრულია მოყავისფრო ფერის ტყავი, რომელიც გადაკერილია და ფოჩებით ბოლოვდება.

აღწერილი ხმალი ტიპური ხევსურული ხმალია, უფრო ზუსტად კი ხევსურული კალდიმი.

ერთ-ერთი ვერსიით, ამ ხმლის წარმომავლობა იმ ჯვაროსნებს უკავშირდება, რომლებიც ჯვაროსნული ლაშქრობების პერიოდში თითქოსდა კავკასიაში დარჩნენ. ხმლის ჯვაროსნებთან დაკავშირება განაპირობა კალდიმის დამღამ – სფეროზე (წრეზე) დასმული ჯვარი. ხმლის მეორე მხარეს კი, როგორც აღვნიშნეთ, გამოსახულია ე.წ. „მგლის" დამღა, რომელიც, სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, გერმანული წარმომავლობისაა. თავდაპირველად, ეს დამღა (მგლის სტილიზებული გამოსახულება) XIV ს-ის პასაუელ ხელოსნებს ეკუთვნოდა, ხოლო XVI-XVII სს-დან ამ ნიშანს ზოლინგენის ხელოსნები იყენებდნენ [Аствацатурян 1982: 6]. აღსანიშნავია, რომ ევროპულ ხმლებზე მგლის გამოსახულება სტილიზებულად არის წარმოდგენილი – 9-11 შტრიხით, ხოლო ქართული და კავკასიური მგლები გამოსახულია მთელი ტანით, აქცენტირებულია კიდურები, თავი და ბალანიც კი. მგლის დამღა ძალიან პოპულარული და სახასიათო იყო ქართული და კავკასიური ხმლებისათვის. სრულებით არ არის გასაკვირი, რომ იგი კალდიმზეა გამოსახული.

აღსანიშნავია, რომ XVI-XVII საუკუნეების ზოლინგენის დამღებზე სამეფო რეგალიის (სამეფო სფერო) დამღასაც ვხვდებით. მაგ. პეტერ მუნიხი,რომელიც XVII საუკუნის დასაწყისში ზოლინგენში მოღვაწეობდა დამღად საკუთარ სახელთან ერთად სამეფო სფეროს იყენებდა, ხოლო ხმლის მეორე მხარეს, მგლის დამღას სვამდა [Muller 1984: 212]. აქედან გამომდინარე, მანამ, სანამ ჩვენ არ გაგვაჩნია აღნიშნული დამღების უფრო ძველი ქართული ნიმუშები, უნდა ვივარაუდოთ, რომ კალდიმის დამღაც ევროპიდან, გერმანიიდანაა შემოსული, ანუ იმპორტირებული სადამღო ნიშანი იყო, რომელიც ხევსურულ რეალობაში, სავარაუდოა, „დედალ ფრანგულად" მოინათლა.

ქართული კალდიმის დამღა (სამეფო სფერო), აბსოლუტურად განსხვავდება გერმანული ვარიანტისგან,ისე,როგორც ქართული მგელი გერმანული მგლისგან. მაგალითად,პეტერ მუნიხის მიერ შესრულებული „სამეფო სფეროს" დამღა არის წრე, რომელსაც ორქიმიანი (პატარა და დიდი ქიმი) ჯვარი აზის. ჯვრის ვერტიკალურ ღერძზე რელიეფური წერტილებია გამოსახული. წრე შუაზე იკვეთება ჰორიზონტალურად გავლებული ქორდით,რომელსაც შუა წერტილზე ჯვრის ვერტიკალური ღერძი უერთდება [Muller 1984: 212]. ხევსურული კალდიმის „სფერო" შემდეგნაირია: გამოსახულია წრე, რომელსაც ჩვეულებრივი ჯვარი აზის. წრე შუაზე გაყოფილია ჰორიზონტალური ხაზით, რომელსაც შუა წერტილში ჯვრის ვერტიკალური ღერძი უერთდება.

დამღებზე დაკვირვებით ნათელი ხდება, რომ ორივე შემთხვევაში სამეფო რეგალიის, „სამეფო სფეროს" დამღად გამოყენებასთან გვაქვს საქმე. დასადგენია რომელი უფრო ადრინდელია – ქართული თუ გერმანული ვარიანტი? ევროპული დამღა ქართულ დამღასთან შედარებით გაცილებით მეტად დახვეწილია და მაღალ დონეზე შესრულებული. ქართულ სამეფო რეგალიებში, როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, XVIII ს-მდე „სფერო" საერთოდ არ ფიგურირებს

[კლდიაშვილი 1991: 178], (ამ ნიშანს ვხვდებით მხოლოდ ვახტანგ VI დროშაზე და თეიმურაზ II-ის მეფედ კურთხევისას [ორბელიანი 1981: 100]), ხოლო ევროპაში ის ერთ-ერთი მთავარი ინსიგნიაა. ამიტომ უფრო ლოგიკურია ამ ნიშნის ხმალზე დამღად გამოხატვა ევროპელი მონარქების სურვილი იყო და არა ქართველი მეფეებისა. ზემოთქმულიდან გამომდინარე, აღნიშნული დამღა ევროპიდან შემოსულად უნდა მივიჩნიოთ. იგი პოპულარული გახდა საქართველოში და ამგვარი დამღიანი ხმლების დამზადება ჩვენს ქვეყანაშიც დაიწყეს. აქვე, კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ქართველი მეიარაღეები მხოლოდ ევროპულ პოპულარულ დამღებს იყენებდნენ, ხმლის პირის, ტარისა და ქარქაშის დამზადება კი, ადგილობრივი წესებით, საკმაოდ წარმატებულად ხდებოდა.

ასევე ქართული ხმალია, ე.წ. იმერული „კაბიანი ხმალი," რომელსაც კალდიმის პირი აქვს, მაგრამ ორიგინალური ქარქაშითა და ტარის ფორმა-მოყვანილობით გამოირჩევა:

სურ. 3. კაბიანი ხმალი (კაბიანი კალდიმი) – №28-10. მთლიანი სიგრძე – 88სმ. პირის სიგრძე– 74,5სმ. ნივთის წარმომავლობა – იმერული.

ხმლის პირი დამზადებულია ფოლადისაგან, ცალლესული, ცალღარიანი, სწორი. აქვს მკვეთრად დაქანებული 6სმ. სიგრძის შაშარი (ორლესული წვერი). პირის ორივე მხარეს შუაში 15სმ სიგრძის თითო ღარია მოცემული. ზედა მხარეს ღარში გამოსახულია დამღა „სამეფო სფეროს" სტილიზებული გამოსახულება – 1სმ დიამეტრის წრე, რომელსაც ჯვარი ახის, ჯვრის ვერტიკალური ღერძი სფეროს შუაზე კვეთს. დამღა შესრულებულია სპილენძის ზარნიშით. პირის მეორე მხარეს, ღარში მორბენალი მგლის დამღაა გამოსახული. მგლის ფიგურაზე კარგად იკითხება, თათები, სახე და ბალანიც კი (რაც ადასტურებს ხმლის ქართულ და არა ევროპულ წარმომავლობას). ტარი დამზადებულია ხისგან, რომელზეც გადაკრულია ვერცხლის ორნამენტირებული ფირფიტები და ვერცხლის დაცვარული მავთული (მავთული დაზიანებულია). ფრიად საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ტარი პირთან მიმართებაში 30 გრადუსიანი კუთხის დაქანებითაა დაგებული. ტარი ბოლოვდება ნისკარტისებური ფორმით, რომელზეც გადაკრულია ორნამენტირებული ვერცხლის ფირფიტები.

ქარქაში დამზადებულია ხისაგან. მასზე გადაკრულია ყავისფერი ტყავი. ქარქაშს აქვს რკინის ბუნიკი და რკინის ორი ბრტყელი სალტე. ზედა სალტეს სიგრძე 12სმ-ია. იგი მორთულია რელიეფურად შესრულებული ყვავილოვანი ორნამენტებით, რომლებიც ერთმანეთისაგან ჰორიზონტალური, რელიეფური ხაზებითაა გამოყოფილი. სალტის უკან მირჩილულია თასმის გასაყრელი რგოლი. მის გვერდით მეორე სალტეა მოთავსებული, ამ სალტის ზედაპირი დაფანჯრულია, ხოლო უკანა მხარეს, მასზეც მირჩილულია თასმის გასაყრელი რგოლი. სალტეების ქვემოთ კი ქარქაშს „აცვია კაბა," ანუ ქარქაშზე მიმაგრებულია ქალის კაბის „ქვედა ტანის" ფორმის ორმაგი ტყავი. ტყავი ძალზე დაზიანებულია. გახეულია გვერდზე, საიდანაც კარგად ჩანს, რომ ქარქაშის „კაბიანი" მონაკვეთი მხოლოდ „კაბითაა" დაფარული და მასზე სხვა ტყავი არ არის გადაკრული. „კაბა" ხმლის უკანა მხარეს ლითონის

სამსჭვლებითაა (დაზიანებული) შეკრული.

აღწერილი ხმალი ქართული კაბიანი ხმალია, რომელიც დას. საქართველოში, კერძოდ, იმერეთში იყო გავრცელებული. კაბიანი ხმალი მხოლოდ ქართულ რეალობაში დადასტურებული ექსპონატია და უფრო სიღრმისეულ შესწავლას მოითხოვს. ამ ხმლისათვის, ასევე დამახასიათებელია მოხრილი ტარი, რომელიც ქართულ რეალობას შეესაბამება და მთელ კავკასიაში ანალოგი არ აქვს. რაც შეეხება დამღას, იგი კალდიმისაა (რომელიც უკვე დავახასიათეთ). აღწერილი ხმალი ქართული კაბიანი კალდიმია.

საქართველოში დადასტურებულია „დავითფერულიც." არსებობს ამ ტერმინის წარმომავლობის სხვადასხვა ვარიანტი. ერთ-ერთი ვერსიით, „დავითფერულის" ხმალს, დიდ ქართველ მეფეს დავით აღმაშენებელს უკავშირებენ [აბაშიძე 1978: 35]. მეორე ვერსიით კი, XVI საუკუნის იტალიელ მეიარაღე ოსტატებს,ძმებს – ანდრეა (1530-1583) და ჯანდონატო (1560-იანი წლები) ფერარებს. კ. ჩოლოყაშვილის განმარტებით „დავითფერული – სწორი, პირბასრი, დრეკადი, სამღარიანი ხმალია. ამზადებდნენ საუკეთესო ფოლადისაგან. ფერად „ლიბრი" (მოლურჯო) იყო. გორდასთან ერთად ერთ-ერთ საუკეთესო, „ძვალთა და რკინათა მკვეთელ და თვით უვნებელ" ხმლად ითვლებოდა მთელს საქართველოში და ძვირად ფასობდა" [ქსე 1978]. ს. მაკალათია „დავითფერულის" ფასს 25 ძროხით განსაზღვრავს [მაკალათია 1984: 147]. აღნიშნულ ხმალზე ყურადღებას ამახვილებს ალ. ჭინჭარაულიც: დავითფერული – ხმალია ერთგვარი (ამბობენ, გენუელი იარაღის მრეწველის, დავიდ ფერარას სახელს უკავშირდება) და მოჰყავს მაგალითები ხალხური პოეზიიდან:

„არ გაჭრა დავითფერულმა
ჯაჭვი, ჩაჩქანი ტიალი."

„ვერ ვათამაშებ თქვენზედა
დავითფერულსა ხმალსაო."

„შუ-მითხოს დაუცვეთიან
დავითფერულის ვადანი."

„ხმალი მაქვ დავითფერული,
ვიბომ სიცრუით ტანზედა."

„წელზე გრტყავ დავითფერული,
ვერცხლისანი ხქონ ვადანი..."

როგორც ჩანს „დავითფერული ხმლის" მოტივები ქართულ ხალხურ პოეზიაში ჭარბობს, რაც მთიელთა ყოფაში მისი მყარად დამკვიდრების შესახებ მეტყველებს.

უკვე აღვნიშნეთ, რომ ევროპული ხმლის პირები ძალზედ ინტენსიურად შემოჰქონდათ ჩვენს ქვეყანაში. საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცულია ანდრეა ფერარას დამღიანი (როგორც ორიგინალი, ასევე

მინაბაძი) ქართული ხმლები, რომლებიც ქართულ ეთნორეალობაში „დავითფერულის" სახელწოდებით იყო ცნობილი.

სურ. 4. დავითფერული – №10-27/60; №2037. მთლიანი სიგრძე – 94სმ, პირი – 80სმ. ნივთი მუზეუმში შემოტანილია ზ. კობიაშვილის კოლექციიდან (კერძო კოლექცია მუზეუმმა 1926 წლის 20 ივნისს შეიძინა).

ხმალი დამზადებულია ფოლადისაგან. ერთღარიანი, ცალლესული. შუა წელზე ოდნავ გახრილია. აქვს 10-11სმ. სიგრძის შაშარი (ორლესული წვერი). ვადაჯვრიდან 20-21სმ სიგრძეზე, პირის ორივე მხარეს თითო ღარი დაჰყვება. პირის ერთ მხარეს,ღარში გამოსახულია პატარა ჯვრები, შუაში ლათინური წარწერით FERARA. ღარის ბოლოში კი მორბენალი მგელია ამოკაწრული. მგელს უჩანს თვალი,პირი,წინწკლებით ბალანია გამოხატული; მგელი მიმართულია პირისკენ. ხმლის მეორე მხარეს, ასევე პატარა ჯვრებში ჩაწერილია ლათინური წარწერა ANDREA და მგელია გამოსახული. მგლის გამოსახულებები თითქმის იდენტურია. პირზე დაგებულია ლითონის ვადაჯვარი, რომლის მთლიანი ზედაპირი მორთულია ოქროზარნიშით შესრულებული ყვავილოვანი ორნამენტებით. ხის ტარზე გადაკრულია ყვითელი ხავერდი, რომელიც დაზიანებულია. ტარი შეჭედილია სამი ორნამენტული ვერცხლის სალტით და ბოლოში მოხრილ ადგილზე გადაკრულია ვერცხლისავე ფირფიტა, რომელიც პატარა რგოლით სრულდება. ტარისა და ვადაჯვრის შეერთების ადგილზე ორნამენტირებული ორი გობაკია. ქარქაში დამზადებულია ხისაგან და გადაკრული აქვს ყვითელი ფერის ხავერდი (დაზიანებულია). ქარქაშს აქვს ორი სალტე და ბუნიკი. სალტეები ორივე მხარეს ოქროზარნიშით შესრულებული ყვავილოვანი ორნამენტებითაა მორთული. ერთ მხარეს თასმის გასაყრელი ოვალური ფორმის რგოლები აქვს. ბუნიკი 18სმ. სიგრძისაა, მის ორივე მხარეს ოქროზარნიშით შესრულებული ყვავილოვანი ორნამენტით მორთული წაგრძელებული ჩარჩოებია გამოსახული.

აღნიშნული ხმალი ფერარების ხმლების ქართული მინაბაძია, რომელიც უკანასკნელ დრომდე შემონახული „დავითფერული" ხმალი უნდა იყოს.

ჩვენ შევეცდებით, შეძლებისდაგვარად, წარმოგიდგინოთ ქართული ხმლების სხვადასხვა სახეობის აღწერილობები, შემოგთავაზოთ მოკლე კომენტარები.

სურ. 5. მგლის დამღიანი ხმალი. „ფრანგული" – №141. უტარო, უქარქაშო. მთლიანი სიგრძე – 89.5 სმ, პირის – 81.5 სმ. ხმლის პირი დამზადებულია ფოლადისაგან, ცალლესულია, ცალღარიანი, ოდნავ გახრილი, აქვს 6-7 სმ. სიგრძის შაშარი (ორლესული წვერი). პირის ორივე მხარეს სატარედან 20სმ. სიგრძეზე თითო ღარი მოჰყვება. პირის მთლიანი ზედაპირი კოროზირებული უბნებითაა დაფარული. ერთ მხარეს ღარში ოქროზარნიშით ჩაწერილია ქართული წარწერა: „ხმალი ვარ... გურგასლანისა მძლ...ელი ...არაყამისა." აღნიშნული წარწერა ცალკე კვლევის საგანია. ხმლის მეორე მხარეს, ასევე ღარში გამოსახულია მგელი,(ამოკაწვრის ტექნიკაა გამოყენებული). მგელი ხმლის პირისაკენ არის მიმართული. მგლის ფიგურაზე კარგად იკითხება თავი და

გადმოგდებული ენა. აღნიშნული ხმლის პირები XVII-XVIII საუკუნეებს მიეკუთვნება. ამ პერიოდში ძალზე დიდი პოპულარობით სარგებლობდა გერმანული წარმოების მგლის გამოსახულებიანი დამღები კავკასიაში და სწორედ ამ ტიპის ხმლების გავლენა შეინიშნება ქართულ ხმალზეც, რომელიც გერმანული დამღის ქართული მინაბაძია. თავად ხმალი კი დამზადებულია საქართველოში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ევროპული ხმლის პირები (ასევე, მათი ქართული მინაბაძებიც), ხევსურეთში „ფრანგულის" სახელწოდებით იყო ცნობილი [გასიტაშვილი 1957: 89]. აღწერილი ხმლის პირი ამ კატეგორიას უნდა მიეკუთვნებოდეს.

სურ. 6. ხევსურული ხმალი – 14-50/1. მთლიანი სიგრძე – 91.5 სმ. პირის – 80სმ. ნივთი 1950 წელს მ.ი. ჭინჭარაულისაგან არის შეძენილი.

ხმლის პირი დამზადებულია ფოლადისაგან, ცალლესულია, ორდარიანი, ოდნავ გახრილი, აქვს 15 სმ სიგრძის შაშარი (ორლესული წვერი). ყუასთან ახლოს წარმოდგენილია ორი ვიწრო ღარი, რომელიც ვადადან შაშარამდე მიჰყვება. ტართან ახლოს, ორივე მხარეს ღარებში გამოსახულებები მოჩანს: ერთ მხარეს ზედა ღარში ლათინური ასოებია – INN, MINI, ხოლო ქვედა ღარში X-ის მსგავსი რვა ნიშანი. მეორე მხარეს ზედა ღარში – IEN, MINI და ქვედა ღარში X-ის ფორმის ნიშანი. ტარზე დაგებულია ვადაჯვარი, რომელიც მორთულია თითბრის ზარნიშით. ვადაჯვრის ზედაპირზე გამოსახულია კუდაწეული „ლომის" ფიგურა, რომელიც გეომეტრიული ორნამენტებით მორთულ სივრცეშია ჩასმული. ვადაჯვრის უკანა მხარეც მორთულია თითბრის ზარნიშიანი ხაზებით. ტარი დამზადებულია ხისაგან, რომელზეც გადაკრულია შავი ფერის ტყავი. ტყავზე შეჭედილია ორი ვერცხლის სალტე, ოთხი ორნამენტირებული გობაკი, ტარის მოხრილ ადგილზე (ვაშლზე) გადაჭიმულია ვერცხლის ფირფიტა. ტარის ტყავი დაზიანებულია. ქარქაში დამზადებულია ხისაგან და მასზე გადაკრულია მოყვითალო ფერის ტყავი (ტყავი დაზიანებულია). ქარქაში შეჭედილია თითბრის სალტეებით, საცვეთებით და 16 სმ. სიგრძის ბუნიკით. ექვს სალტეზე გამოსახულია რელიეფურად შესრულებული ვარდულები. ორ ბრტყელ სალტეზე (ერთი ქარქაშის თავში, მეორე თითქმის შუა წელზე) მიმაგრებულია ტყავის სამხარიღლიე („ყაწიმი"), რომლის მთლიანი ზედაპირი მორთულია ხევსურული იარაღისთვის დამახასიათებელი ორნამენტირებული დეტალებით. ცალკე აღებულ ერთ დეტალს „ჯიხვის რქების" ფორმა აქვს, რომლებიც ერთმანეთზე მიჯრითაა მიწყობილი და მთლიანობაში სამხარიღლიეს მორთულობასა და ჯავშანს წარმოადგენს. აღწერილი ხმალი ტიპური ხევსურული ხმალია, რომლის მსგავსი ნიმუშები საქართველოს ეროვნულ მუზეუმში მრავლადაა დაცული.

საქართველოში ცნობილი იყო, აგრეთვე ხმალი „ლეკური." საბა განმარტავს: „ლეკური უვადო ხმალია, გინა ლეკეთისა. უვადო ხმალია საკიდარი." [სულხან-საბა 1991: 411]. ამ ხმლის შესახებ კ. ჩოლოყაშვილი გვაუწყებს: „უვადო ხმალი, რომელსაც ტარზე „ხმლის ჯვარედი" არ ჰქონდა (ამ ჯვარს არც წარმომავლობით და არც დანიშნულებით ჯვრის გამოსახულებასთან საერთო არა აქვს). ლეკურს ამზადებდნენ უმთავრესად ლეკი მეიარაღე-ხელოსნები. ხმლის სხვა ცნობილ სახეო-

ბებთან ერთად ლეკური გავრცელებული იყო მეტწილად ჩრდილოეთ კავკასიაში, ნაწილობრივ საქართველოში (იმერეთში). უვადო ხმალი, როგორც მკვეთელი იარაღი, თავისი საბრძოლო თვისებებით, ვადიან ხმალზე ნაკლებად ფასობდა" [ქსე 1978].

საფიქრებელია, რომ საქართველოში ცნობილი ხმალი „ლეკური" უნდა იყოს კავკასიაში ძალზედ გავრცელებული ხმლის სახეობა ე.წ. „შაშკა." მისი სახელწოდება ჩერქეზულიდან მომდინარეობს და „დიდ დანას" ნიშნავს. სავარაუდოდ, მისი სამშობლოც ჩერქეზეთია. წერილობით წყაროებში „შაშკა" პირველად 1625 წელს იტალიელ მოგზაურს ჯოვანი დე ლუკას აქვს მოხსენიებული ჩერქეზების აღწერილობაში [Аствацатурян 2004: 50].

დაწყებული XVIIს-დან თითქმის მთელ კავკასიაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა შაშკა. ხან გირეი აღნიშნავდა, რომ „შაშკებს ატარებენ ცეცხლსასროლ იარაღთან ერთად, ვისაც ქონდა იარაღი, მას აუცილებლად ჰქონდა შაშკაც..." აქედან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ შაშკა კავკასიელი მეომრის აკაზმულობის უცილობელ ატრიბუტად იქცა.

შაშკები საქართველოშიც მზადდებოდა და ისე, როგორც მთელ კავკასიაში, ჩვენთანაც იყო ცნობილი. ეს ტერმინი (შაშკა) ქართულ ტერმინოლოგიაში არ დამკვიდრდა, მას როგორც „უვადო ხმალს" ანუ „ლეკურს" ისე მოიხსენიებდნენ.

შაშკა შედგება ტარისა და ოდნავ მოხრილი პირისაგან. ტარი ჰქონდა ძვლის, რქის, მთლიანად ლითონისა, ან ნახევრადკომბინირებული. ტარი ბოლოში მასიურია, ზემოდან ჩაჭრილია სოლისებურად, ანუ ორკაპა ფორმა აქვს. შაშკის პირი ოდნავ მოხრილია, შეიძლება იყოს ერთი, ორი ან სამღარიანი. პირზე სხვადასხვა ადგილობრივი ან ევროპული ფალსიფიცირებული დამღებია გამოსახული. ქართული შაშკების გამოყოფა მთლიანი კავკასიური ვარიანტებიდან შესაძლებელია ლითონზე შესრულებული ორნამენტების, დამღებისა და ქარქაშის მორთულობის მიხედვით. კავკასიური შაშკის ტარი ქარქაშში თითქმის ბოლომდე იფარება. ამიტომ იგი სხვა ტიპის ხმლებისგან ადვილი გამოსარჩევია.

სურ. 7. „ლეკური" ხმალი – 16-59/1. მთლიანი სიგრძე – 97 სმ. პირის სიგრძე – 83,5 სმ. ნივთი 1959 წელს ნ.ი. თულაშვილისაგან არის შეძენილი.

პირი დამზადებულია ფოლადისაგან, ცალლესულია, ორღარიანი, მოხრილი. აქვს 22,5 სმ-იანი შაშარი (ორლესული წვერი). პირზე ყუასთან ახლოს მოცემულია ორი – ერთი შედარებით ფართო და მეორე ძალზე ვიწრო ღარი, რომლებიც ვადადან შაშარის შუაწელამდე მიჰყვება. პირის ერთ მხარეს შტამპით შესრულებული დამღაა. დამღას კვადრატული ფორმა აქვს, ზედა მხარეს გუმბათისებურად ბოლოვდება, გუმბათზევე სამეფო გვირგვინის ფორმის ნიშანია დასმული. დამღის გუმბათში გამოსახულია ქართული ასოები „გ" და მის მუცელში ჩასმულია „ვ". დამღის ინიციალები ჯერჯერობით გაშიფრული არ არის, მაგრამ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ იგი ქართველ ოსტატს ეკუთვნის. დამღის კვადრატულ ნაწილში ორ მწკრივად რუსული

წარწერაა; ზედა მწკრივში "ТИФ," ხოლო ქვემოთ „ЛИС." ვინაიდან, დამღაზე რუსული წარწერაა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დამღა ქართველი ოსტატის მიერ 1801 წლის შემდეგ არის შესრულებული. ხმლის პირზე დაგებულია ფოლადის ტარი, რომლის მთლიანი ზედაპირი დაფარულია ოქროზარნიშით შექმნილი ყვავილოვანი ორნამენტებით. ასეთი ორნამენტი თბილისური სკოლისათვის არის დამახასიათებელი. ტარის ბოლოს გაფართოებული ნაწილი ჩაჭრილია სოლისებურად და ორკაპა სახე აქვს.

ქარქაში დამზადებულია ხისაგან, რომელზეც გადაკრულია მოყავისფრო – მოშავო ფერის ტყავი. ქარქაშზე თავთან სამკუთხედად წაწვეტებული ოქროზარნიშით მორთული სალტეა, შუაში ორი ორსანტიმეტრიანი სიგანის სალტე, ბოლოში კი სამკუთხედად წაწვეტებული ბუნიკი. ქარქაშის სალტეები და ბუნიკი მორთულია ოქროზარნიშით შესრულებული ყვავილოვანი ორნამენტებით, რომლებიც ტარის მორთულობას იმეორებს. ქარქაშის შუა სალტეებზე მირჩილულია მართკუთხა ფორმის თასმის გასაყრელები, რომლებშიც გაყრილია ტყავის თასმები, ხოლო ამ უკანასკნელზე ოქროზარნიშით მორთული გობაკებით ტყავის ვიწრო ქამარია დამაგრებული. ტყავის ქამარზე მიმაგრებულია ენიანი ბალთა, გობაკები და ხიდები, სულ 14 ნაწილი. ყველა ეს დეტალი მორთულია ოქროზარნიშით შესრულებული ყვავილოვანი ორნამენტებით. ხმალი ქარქაშში ეგება ტარის ბოლოში მოხრილ ადგილამდე. აღწერილი ნივთი ქართული შაშკა ხმლების ანუ „ლეკურის" ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოში ინტენსიურად მზადდებოდა შაშკის ტიპის ხმლები, რომლებიც, შეიძლება ითქვას, XIX საუკუნის ქართველი ჩოხოსნის, ქართული კოსტიუმის უცილობელ ატრიბუტს წარმოადგენდა – მოვერცხლილ ან მოოქრულ ქამარ-ხანჯალთან ერთად. ამ პერიოდის საქართველოში, კერძოდ თბილისში, უკვე არსებობდა ძვირფასი ლითონების სასინჯი პალატა, რომელიც შესაბამის დამღას კვეთდა კეთილშობილი ლითონისგან დამზადებულ ნივთებზე. ამ დამღების არსებობით დგინდება ზოგიერთი ხმლის წარმომავლობა. სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როდესაც საუბარია შაშკის ტიპის „უნგრულ" ხმალზე.

სურ. 8. „უნგრული" ხმალი – 24-978/3. მთლიანი სიგრძე – 94 სმ; პირის სიგრძე – 78,5 სმ. ნივთი 1978 წელს გ. გ. ცქიტიშვილისაგან არის შეძენილი.

პირი დამზადებულია ფოლადისაგან, ორღარიანია, ცალლესული, მოხრილი. აქვს 20 სმ. სიგრძის შაშარი (ორლესული წვერი). პირზე ვადადან წვერამდე ორი ფართო ღარი მიჰყვება. პირის ერთ მხარეს შუა წელზე გამოსახულია ხმალამოწვდილი ჰუსარი, ქვემოთ კი ორმწკრივად წარწერაა: PRO DEO ET PATRIA (ღმერთისა და მამულისათვის). წარწერის ქვემოთ ორქიმიანი ჯვარია, განშტოებებზე რგოლებით. ჯვრის ქვემოთ წარწერა სამ მწკრივად – PRO PATRIA ET LIBERTAT VITAM (სიცოცხლე მამულისა და თავისუფლებისათვის). წარწერის ქვემოთ გამოსახულია მოფრიალე ლენტი გაკრული წარწერით – „E.Luckhau." ხმლის მეორე მხარეს შემდეგი გამოსახულებებია: შუა

წელზე ღრუბლებში მდგომი ღვთისმშობელი ყრმით, ქვემოთ წარწერა (P)ATRONA UNGARIA ...RCO MARIA (უნგრეთის მფარველი ქალწული მარიამი). ამ წარწერის ქვემოთ გამოსახულია გერბი სამეფო გვირგვინით. ამ უკანასკნელის ქვემოთ კი მოცემულია ასევე მოფრიალე ლენტი გაკრული წარწერით „Eisenhauer“ (ზოლინგენში არსებული ერთ-ერთი საიარაღო ქარხნის ნიშანი). აღნიშნული დამღები უნგრული წარმომავლობისაა, მაგრამ XIX საუკუნეში ისინი ზოლინგენში არსებულ ქარხნებში გამოიყენებდა. საყურადღებოა, რომ საქართველოში უნგრული ხმლები XVII-XVIII საუკუნეებიდანვე ცნობილი იყო და დიდი პოპულარობითაც სარგებლობდა. შემდეგ უკვე XIX საუკუნეში გერმანიაში დაიწყეს უნგრულ დამღიანი ხმლების დამზადება,რომლებიც, ასევე დიდი პოპულარობით სარგებლობდა საქართველოში და მთელ კავკასიაში. აღწერილი პირი გერმანული ვარიანტია. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ საქართველოში ამ დამღის ქართული მინაბაძებიც არსებობდა.

ხმალზე დაგებულია ვერცხლის ტარი, რომლის მთლიანი ზედაპირი სევადით გამოყვანილი ორნამენტებითაა მორთული. ტარის შუა ნაწილზე სამ ადგილას ცვრიანი მავთულია გადახვეული. ტარის გაფართოებული ბოლო ზემოდან სოლისებურად ჩახსნილია. ამ ადგილზე არის სევადით შესრულებული ვარდული, რომელიც თითქოს წრიულ ჩარჩოში ზის. ქარქაში დამზადებულია ხისაგან,რომლის ზედა ნაწილზე გადაკრულია 2/3-ზე წითელი ტყავი, ხოლო ქვედა ნაწილზე – მწვანე და შავზოლიანი ქსოვილი. ქარქაშზე მოცემულია 2 სალტე, ერთი 11 სმ. სიგრძისა – ქარქაშის თავთან და მეორე 3 სმ. სიგანისა – ქარქაშის ტყავისა და ქსოვილის შეერთების ადგილას. ორივე სალტე მორთულია სევადით შესრულებული ყვავილოვანი ორნამენტებით. ზედა სალტეზე ისეთივე მოსევადებული ვარდულია, როგორიც ხმლის ტარზე იყო გამოსახული. ქარქაშს აკლია ბუნიკი. დაზიანებულია ქსოვილი. ხმალი ქარქაშში ეგება ტარის გაფართოებულ ადგილამდე.

ქარქაშის ზედა სალტეზე კიდესთან ახლოს მოცემულია დამღა – მცირე მართკუთხედში ჩასმული წმინდა გიორგი, რომელიც გველეშაპს გმირავს, შემდეგ, ასევე მართკუთხედში ჩასმულია ციფრი – 84 (ვერცხლის სინჯი). მართკუთხედშივე ორმწკრივად ასოები – E.B. (ე.ი. ბლუმბერგი, სასინჯი პალატის კონტროლიორი) და თარიღი 1863 წელი. ასეთ დამღებს თბილისის ოლქის სასინჯი პალატა 1843-1886 წლებში იყენებდა [Аствацатурян 1982: 18]. თბილისური დამღის არსებობა საშუალებას იძლევა აღნიშნული ხმალი მივაკუთვნოთ ქართველ, კერძოდ თბილისელ ოსტატებს და აღვნიშნოთ, რომ დაწყებული XVII-XVIII საუკუნეებიდან უნგრული ხმლები იმდენად პოპულარული იყო, რომ XIX საუკუნის თბილისელი ოსტატებიც კი, აქტიურად ამზადებდნენ ამ ხმლებს, რათა დაეკმაყოფილებინათ ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნილებები.

გარდა დახასიათებული „უნგრული” ხმლებისა, რომელთა პირებიც გერმანიიდან იყო შემოტანილი, თბილისში ადგილობრივი, ქართული ხმლის პირები მზადდებოდა. აღსანიშნავია, რომ XVIII-XIX საუკუნეებში საქართველო იარაღის გამავრცელებელი კერა ყოფილა.

პოლკოვნიკ ბურნაშოვის ცნობით, XVIII საუკუნის თბილისის შესახებ აღნიშნულია, რომ „კავკასიის ყველა მთის ხალხებსა და მახლობელ ირანელ მეზობლებს სხვა ნივთებთან ერთად „ხმლებსა და ხანჯლებს" თბილისიდან აწვდიდნენ" [ჩოლოყაშვილი 1956: 15]. ჩამოთვლის რა თბილისურ საბრძოლო იარაღის სახეებს, იოანე ბატონიშვილიც მიუთითებს: „იხილეს მუნ მეჩახმახეები, მეთოფეები და ხმლის მკეთებლები..." მხატვარ გაგარინის მიერ შესრულებულ თბილისის ბაზრის წინა პლანზეც სწორედ ხმლებით ვაჭრობაა ასახული. ნახატის ამხსნელ ტექსტში კი, გაგარინი აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ „თბილისის ბაზრის ქუჩებში ნახავთ იარაღის ოსტატებს, რომლებიც ხმლებს ჭედავენ" [ჩოლოყაშვილი 1956: 16]. თბილისში საიარაღო საქმის ასეთი აყვავება არც იყო გასაკვირი, რადგან თბილისი იმ დროს კავკასიის დედაქალაქი იყო და დამკვეთიც და შემსრულებელიც ერთ ადგილას იყრიდა თავს. აქ მოღვაწეობდნენ,როგორც ქართველი ისე,არაქართველი თბილისელი ოსტატები, რომელთა ნახელავი ცივი იარაღი შესაძლოა „თბილისური ხმლების" კატეგორიაში გაერთიანდეს.

სურ. 9. თბილისური ხმალი – 32-41/3. უქარქაშო. მთლიანი სიგრძე – 95 სმ, პირის – 81,5 სმ. ნივთი 1941 წელს აგრაფინა ჭეიშვილისაგან არის შეძენილი.

ხმლის პირი დამზადებულია დამასკური ფოლადისაგან. ცალლესულია, ორღარიანი, ოდნავ მოხრილი, აქვს 21 სმ. სიგრძის შაშარი (ორლესული წვერი). პირის ორივე მხარეს ყუასთან ახლოს ვადადან შაშარამდე ორ-ორი ღარი მიჰყვება. ზედა შედარებით ვიწრო, ხოლო მეორე ფართო. ხმლის ღარებში ვიზუალური დაკვირვებით კარგად ჩანს დამასკური ფოლადის სტრუქტურა, რომელიც ხმალს თითქოს ორნამენტად მიუყვება. პირის ზედა მხარეს შტამპით რვაწახნაგიანი დამღაა შესრულებული. აღნიშნული ტიპის დამღები იმ თბილისელ ოსტატებს ეკუთვნოდა, რომლებიც XIX საუკუნის I ნახევარში მოღვაწეობდნენ. [Аствацатурян Э. Г. 1982:11] დამღიდან გამომდინარე ასეთი ხმლები თბილისური ხმლების კატეგორიაში ერთიანდება.

ხმალზე დაგებულია ფოლადის ვადაჯვარი, რომლის ზედაპირზე თითბრის ზარნიშით შესრულებული ორნამენტის კვალი ჩანს, იკითხება გეომეტრიული ფიგურებიც. ტარი დამზადებულია ხისგან, რომელზეც გადაკრული უნდა ყოფილიყო შავი ტყავი, ტყავი დაზიანებულია. ტყავს ზემოდან გადაკრული აქვს დაბალი სინჯის ვერცხლის ორნამენტირებული სამი ფირფიტა, ვერცხლის ფირფიტითაა დაფარული ტარის მოხრილი ადგილიც (ვაშლი). „ვაშლის" ბოლო ორკაპაა და პირდაღებულ ცხოველს მოგვაგონებს. ტარის ზედაპირი, სალტეების გარშემო შეჭედილია 12 გობაკით. ასეთი ტარები ქართული ხმლებისათვისაა დამახასიათებელი.

ირანული ტიპის ქართული ხმალი. საერთოდ, საქართველოსა და მისი მეზობელი ქვეყნების ურთიერთობა ავად თუ კარგად ყოველთვის აისახებოდა ქართულ რეალობაზე – ყოფა-ცხოვრებაზე,კულტურასა თუ სამხედრო ხელოვნებაზე. გვიანფეოდალური საქართველოს სამხედრო შეიარაღებაში მრავლად შეინიშნება სპარსული მომენტები, რომელნიც ქართულ გემოვნებას მიესადაგა და ადგილიც დაიმკვიდრა ქართულ

შეიარაღებაში. ამ კუთხით შეიძლება განვიხილოთ ირანული ტიპის ქართული ხმლებიც.

სურ. 10. ირანული ტიპის ქართული ხმალი – 12-26/50. მთლ. სიგრძე – 91,5სმ, პირის – 77 სმ. ნივთი მუზეუმში შემოტანილია კაფაროვის კოლექციიდან.

ხმლის პირი ფოლადისაა, შუა წელზე მკვეთრად მოხრილია, ცალლესული, უღარო. ასეთი ტიპის ირანული ხმლები უმრავლეს შემთხვევაში ბულატის ფოლადისაგანაა დამზადებული. აღნიშნულ ხმალზე ვიზუალური დაკვირვებით ბულატის ფოლადის სტრუქტურა არ შეინიშნება. პირის ზედა მხარეს ვადაჯვართან ახლოს დიაგონალურად წაგრძელებული მართკუთხედია გამოსახული, რომელიც წინწკლებით და რკალებითაა მორთული. ამ ფიგურისაგან მოშორებით ამოკაწრულია ოვალური ფორმის ყვავილოვანი ორნამენტი, რომელიც ასევე წინწკლებითა და მცირე ზომის რკალებითაა მორთული. ასეთი ორნამენტი დამახასიათებელია XVII-XVIII სს. სპარსული ხმლების მორთულობისათვის, რომლებზეც ძირითადად იწერებოდა ყურანიდან ნაწყვეტები, ხოლო ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ირანული ხმლის პირის ქართულ მინაბაძთან, სადაც გადმოტანილია ორნამენტის მხოლოდ ფორმა, შესრულების დონე კი საკმაოდ დაბალია.

ხმალზე დაგებულია ფოლადის ვადაჯვარი, რომელიც ზედა მხარეს თითბრით მოზარნიშებული ყვავილოვანი ორნამენტით არის მორთული, ხოლო უკანა მხარეს თითბრის ზარნიშით მხოლოდ გეომეტრიული კლაკნილი ხაზებია გამოყვანილი, რომლებიც მთლიანობაში თითქოსდა ოთხგვირგვინიან ფიგურას ქმნის. ტარი დამზადებულია ხისგან და მასზე გადაკრულია შავი ტყავი. ტარზე სამი ვერცხლის სალტეა. ვერცხლის ფირფიტა გადაკრულია ასევე ტარის მოხრილ ადგილას (ვაშლზე). ვაშლის ვერცხლის ფირფიტაზე დამაგრებულია ვერცხლის ძეწკვი ორნამენტირებული ბურთულით, რომელიც ვადაჯვარს უერთდება. სალტეების შუა ადგილებში ტარი რვა ვერცხლის გობაკითაა შეჭედილი. ტარის ფორმა ვაშლთან შედარებით ვიწროა და ვადაჯვარისკენ ფართოვდება. ტარის ასეთი მოყვანილობა ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია ქართული ვადაჯვრიანი ხმლებისა.

ქარქაში დამზადებულია ხისაგან, რომელზეც გადაკრულია მოყავისფრო-მოშავო ფერის ტყავი. ქარქაშზე დამაგრებულია ორი სალტე და ბუნიკი. სალტეების ზედაპირზე თითბრის ზარნიშით შესრულებულია მწოლიარე ლომის სტილიზებული გამოსახულება, რომელიც ოვალურ ჩარჩოშია ჩასმული. თითბრის ზარნიშითაა მორთული ბუნიკიც, რომელზეც კუდაწეული ლომის ფიგურა და დაკლაკნილი გველია გამოსახული. ლომსა და გველს შორის არსებული სივრცე შევსებულია გეომეტრიული ორნამენტებით.

აღნიშნული ხმალი ირანული ტიპის ქართულ ხმლებს მიეკუთვნება. ამ ფაქტს ადასტურებს ტარისა და ვადაჯვრის ფორმა-მოყვანილობა, ასევე პირის მორთულობის არადამაკმაყოფილებელი ცოდნა. ასეთი ტარები ქართულ ხმლებს ახასიათებს.

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ხმლებში აღინიშნება ამ ტიპის უცხოური საბრძოლო იარაღის გარკვეული ნიშნები, ისინი იმდენად

ინარჩუნებენ ინდივიდუალიზმს, რომ მათი ადგილობრივ, ქართულ ნიადაგზე აღმოცენება ეჭვგარეშეა.

ნაშრომში განხილული ხმლები ქართული მატერიალური კულტურის საგანძურს განეკუთნება. ცხადია, წარმოდგენილი მასალა სრულად არ მოიცავს ქართული ხმლების ყველა სახეობას. აქ შეძლებისდაგვარად გადმოცემულია მუზეუმში დაცული ცივი იარაღების ამსახველი ტერმინები, მათი განმარტება აღწერილობები, რაც, ვფიქრობთ გარკვეულ წვლილს შეიტანს ქართული ხმლების ისტორიის შემდგომი შესწავლის საქმეში.

ETHNOGRAPHY/ETHNOLOGY

MAMUKA KAPIANIDZE

Georgian National Museum, Rustaveli Avenue 3, 0105 Tbilisi, Georgia, Email: mamukaqapianidze@yahoo.com

FOR TYPOLOGY OF GEORGIAN SWORDS (ACCORDING TO THE ARMS DEPOSITORY OF THE GEORGIAN NATIONAL MUSEUM)

SUMMARY

Georgian weapons and armament, especially Georgian sabres, played an important role during difficult periods of the country's history. They served in preserving Georgian statehood. In spite of this fact, ``Georgian sabres`` have not been the subject of scientific study. The present article is the first attempt for studying the late feudal period ,``Georgian sabres``.

The article spcifies and explains the names and origin of Georgian sabres. More than ten sabres are named: ``gorda``, ``kaldimi``, ``davitperuli``, ``kabiani``, ``mglisdamgiani``, ``lekuri`` (Shashka), ``khevsuruli``, ``hungarian``, ``tbilisuri`` and Iranian type Georgian sabres. It should be mentioned that it is not the full enumeration of sabres.

Each sabre has its own stamp or peculiar shape. As it is known from the scientific literature, the origin of brands of that period are connected, for the most part, with European stamps. Though, Georgian masters used popular European brands, they manufactured steel and decorated handles and sheeths themselves.

Irspite of the fact that Georgian sabres have some features of foreign ormaments, they preserve their individuality and their Georgian origin is out of question.

ბიბლიოგრაფია

1. **აბაშიძე ბ.1978:** მითოლოგიის საკითხები ქართულ ზეპირსიტყვიერებაში. თბილისი.
2. **გასიტაშვილი გ. 1957:** „ხევსურული აბჯარი.” მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. ტ. IX. გვ. 79-108. თბილისი.
3. **გუგუშვილი პ. 1962:** საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში. ტ.V.
4. **კლდიაშვილი ანი 1991:** „მეფედ კურთხევის გამოსახულებისათვის ქართულ კედლის მხატვრობაში.” ლიტერატურა და ხელოვნება №3. 161-186.
5. **კუტალეიშვილი ზ. 1987:** ნაოსნობა საქართველოში. თბილისი.
6. **მაკალათია ს. 1984:** ხევსურეთი. თბილისი.
7. **ორბელიანი პ. 1981:** ამბავნი ქართლისანი. თბილისი.
8. **სახოკია თ. 1950:** მოგზაურობანი (გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი). თბილისი.
9. **სულხან-საბა 1991:** ლექსიკონი ქართული ტ.I თბილისი.
10. **სულხან-საბა 1993:** ლექსიკონი ქართული. ტ.II. თბილისი.
11. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია 1978: ტ. III.
12. **ღლონტი ა. 1984:** ქართული კილო-თქმათა სიტყვის კონა. თბილისი.
13. **ყეინაშვილი ი. 2002:** რაინდულო საქართველოვ, აღსდექ! ქართველთა საბრძოლო სისტემები, ტრადიციები და ისტორია. თბილისი.
14. **ჩოლოყაშვილი კ. 1954:** „ქართული საბრძოლო იარაღები. ფარი.” აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. სახელმწ. მუზეუმის მოამბე, ტ. XVIII-Б. 227-253.
15. **ჩოლოყაშვილი კ. 1956:** „ბულატის თბილისელი ოსტატები,” ჟურ. მეცნიერება და ტექნიკა N5, 15-17.
16. **ჩოლოყაშვილი კ. 1989:** „დავით აღმაშენებლისდროინდელი საჭურვლისათვის,” ჟურ. „ჯვარი ვაზისა” №2.
17. **ჩუბინაშვილი დ. 1984:** ქართულ-რუსული ლექსიკონი. თბილისი.
18. **ჭარელიშვილი ლ. 1998:** „ქართული იარაღის ისტორიიდან. ხმალი,” კრებული, კვალი ნათელი (მიხეილ გეგეშიძის ხსოვნას) 81-88. თბილისი.
19. **ჭინჭარაული ალ. 2005:** ხევსურული ლექსიკონი. თბილისი. **20.**
20. **ჯავახიშვილი ივ. 1937:** შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის გამოფენა, გაზ. „კომუნისტი” №55.
21. **ჯავახიშვილი ივ. 1962:** მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, ტ. III-IV თბილისი.
22. **ჯალაბაძე გ. 1979:** საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიული ფონდების გზამკვლევი. თბილისი.
23. **Аствацатурян Э. Г. 2004:** Оружие народов кавказа. Санкт-Петербург.
24. **Аствацатурян Э. Г. 1982:** Указатель клейм и имен кавказских мастеров оружейного и серебрянного дела. Москва.
25. **Асхабов И. 2001:** Чеченское оружие. Москва.

26. **Горелик М.З. 1987:** Ранний Монголъский Доспех (IX-первая половина XIVв) Новосибирск.
27. **Елашвили В.И. 1956:** Парикаоба (Хевсурское фехтование). Тбилиси.
28. **Ленц Е. Е. 1911:** О клеймах мастеров на оружии. Санкт-Петербург.
29. **Трубников Б.Г. 2004:** Защитное Вооружение. Санкт-Петербург.
30. **Muller H. , Kolling H. 1984:** Europaische Hieb und Stichwaffen. Berlin.

ილუსტრაციების აღწერილობა

სურ. 1. გორდა ხმალი. XVIII-XIX სს.
სურ. 2. კალდიმი. XVIII-XIX სს.
სურ. 3. „კაბიანი“ ხმალი. XVIII-XIX სს.
სურ. 4. დავითფერული. XVIII-XIX სს.
სურ. 5. მგლის დამღიანი (ფრანგული). XVII-XVIII სს.
სურ. 6. ხევსურული ხმალი. XVIII-XIX სს.
სურ. 7. „ლეკური“ ხმალი. XIX ს.
სურ. 8. „უნგრული” ხმალი. XIX ს.
სურ. 9. თბილისური ხმალი. XIX ს.
სურ. 10. ირანული ტიპის ქართული ხმალი. XVIIIს.

LIST OF ILLUSTRATIONS

Fig. 1. ``Gorda``. XVIII-XIX cc.
Fig. 2. ``Kaldimi``. XVIII-XIX cc.
Fig. 3. ``Kabiani`. XVIII-XIX cc.
Fig. 4. ``Davitperuli``. XVIII-XIX cc.
Fig. 5. ``Mglisdamgiani`` (pranguli). XVII-XVIII cc.
Fig. 6. ``Khevsuruli``. XVIII-XIX cc.
Fig. 7.``,Lekuri``. XIX c.
Fig. 8. ``Ungruli``. XIX c.
Fig. 9. ``Tbilisuri``. XIX c.
Fig.10. Iranian type Georgian sabres. XVIII c.

სურ. 1 Fig.

სურ. 2 Fig.

სურ. 3 Fig.

სურ. 4 Fig.

სურ. 5 Fig.

სურ. 6 Fig.

სურ. 7 Fig.

სურ. 8 Fig.

სურ. 9 Fig.

სურ. 10 Fig.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია №1 (46-B), 2010, 328-340
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences №1 (46-B), 2010, 328-340

ეთნოგრაფია/ეთნოლოგია

თამარ გელაძე*, თებრო ნადირაძე*

* საქართველოს ეროვნული მუზეუმი, რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო

კავკასიის ხალხთა კოსტიუმების შესწავლის ისტორიიდან (უცნობი კოლექცია)

1852 წელს დაარსდა თბილისში რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების მუზეუმი, რომელიც 1865 წელს დამოუკიდებელ დაწესებულებად ჩამოყალიბდა.

კავკასიის მუზეუმი მნიშვნელოვანი სამეცნიერო და საგანმანათლებლო ცენტრი იყო. მუზეუმის სამეცნიერო არეალი სამხრეთ, ჩრდილოეთ კავკასიასა და მის მომიჯნავე ტერიტორიებს მოიცავდა. კავკასიის მუზეუმმა უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა კავკასიის რეგიონის ბუნების ისტორიის შესწავლაში, ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური მასალის მოძიებაში. მუზეუმში მოღვაწეობდნენ ცნობილი მეცნიერები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ ექსპონატთა განსაზღვრის, მათი კომპლექტაციისა და მეცნიერული შესწავლის საქმეში [ჩხაიძე 2003: 29].

1907 წელს მეფისნაცვალი ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი იმპერატორ ნიკოლოზ მეორეს კავკასიის მუზეუმის შესახებ წერდა: "მსგავსი დაწესებულება არ მოგვეპოვება რუსეთში" [ჭილაშვილი 2002: 33].

კავკასიის მუზეუმის ცხოვრებაში მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენდა კავკასიის ხალხთა კოსტიუმების ატლასის შექმნის შესახებ გადაწყვეტილების მიღება. იდეა ატლასის შექმნისა ალექსანდრე ნიკოლოზის ძე კაზნაკოვის სახელს უკავშირდება. იგი მუზეუმის პირველი დირექტორის გუსტავ რადეს გარდაცვალების შემდეგ (1903 წ.) კავკასიის მუზეუმის დირექტორად აირჩიეს და იმ დროიდან ინტერესი ეთნოგრაფიული მასალის მიმართ განსაკუთრებულად გაიზარდა [Матиасевич А.С. 1912: 1051]. მასალის მოსაძიებლად კავკასიის სხვადასხვა რეგიონში მრავალი ექსპედიცია მოეწყო.

1909 წელს ა. კაზნაკოვმა კავკასიის მეფისნაცვალ ი. ვორონცოვ-დაშკოვს ვრცელი მოხსენებითი ბარათით მიმართა. წერილში გამახვილებული იყო ყურადღება ეროვნული კოსტიუმების ისტორიულ მნიშ-

ვნელობასა და მათი შენარჩუნების აუცილებლობაზე. ა. კაზნაკოვი მეფისნაცვალს სთხოვდა, კავკასიის გუბერნიებისა და ოლქების ხელმძღვანელთათვის დაევალებინა მათდამი დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე ეროვნული კოსტიუმების ნიმუშთა შეგროვებაში დახმარებოდნენ მას [Мелкадзе Н., Гогичаишвили А. 2003: 372]. მთავარმართებელმა თხოვნა შეასრულა. მის მოწოდებას მალე გამოეხმაურნენ გუბერნიებისა და ოლქების ხელმძღვანელები და მუშაობა ამ მიმართულებით მეტად გააქტიურდა [ეროვნული მუზეუმის არქივი [Главный инвентарь Кавказского Музея 1910. საბუთი №1383]. კოლექციების სწრაფად შესავსებად კავკასიის სხვადასხვა კუთხეში სამეცნიერო ექსპედიციები მოეწყო, რომელთა შედეგები იმდენად წარმატებული აღმოჩნდა, რომ 1910 წელს ა. კაზნაკოვმა ატლასის გამოცემა რეალურად მიიჩნია.

1912 წელს ატლასზე სამუშაოდ ცნობილი გერმანელი მხატვარი და მსოფლიოს ხალხთა კოსტიუმების ისტორიის მკვლევარი მაქს ტილკე მიიწვიეს [Vollmer H. 1939]. ა. კაზნაკოვის თხოვნით კავკასიის ოლქის შტაბიდან მუზეუმში სამუშაოდ გადმოიყვანეს აღმოსავლური ენების საუკეთესო მცოდნე, მხატვრული გემოვნებით გამორჩეული პიროვნება, მოყვარული არქეოლოგი ალექსანდრე სტეფანეს ძე მატიასევიჩი [Мелкадзе Н., Гогичаишвили А. 2003: 379]. ატლასის შედგენაზე, ასევე მუშაობდნენ ნ. დრახენფელსი და ნ. კელჩევსკი. ამ საქმეში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა იადვიგა ერნესტის ასულმა ფონ-დრახენფელსმა (იგი 1917 წლამდე კავკასიის მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების გამგე იყო). მათ ფონდებში დაცული კოსტიუმების ჩახატვა დაევალათ. იმისათვის, რომ ჩანახატები ნატურიდან (უშუალოდ ბუნებაში) შეექმნათ, ისინი ექსპედიციებშიც უნდა გამგზავრებულიყვნენ. ამგვარი მუშაობა შემოქმედებითად მეტად საინტერესო იყო, მაგრამ პრაქტიკულად ძნელად განსახორციელებელი. ამიტომ მუზეუმში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება – ეროვნულ კოსტიუმში ჩაცმული ყოველი მოდელისთვის ფოტოსურათი გადაეღოთ, შემდეგ მუზეუმს ეს კოსტიუმი უნდა შეეძინა და კამერულ პირობებში (მუზეუმის სახელოსნოში) ტიპაჟის სრული რეკონსტრუქცია უნდა განხორციელებულიყო. აღსანიშნავია, რომ მხატვრები, არათუ თავიანთ ძირითად საქმიანობას ასრულებდნენ, აგრეთვე, იწერდნენ კოსტიუმთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიას ადგილობრივ ენასა თუ დიალექტზე და, იმავდროულად, აქტიურად იყვნენ ჩართულნი მუზეუმისათვის ექსპონატების შეძენის საქმეში.

კავკასიის ხალხთა კოსტიუმის ატლასის შექმნას პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ შეუშალა ხელი. ა. კაზნაკოვი ფრონტზე წავიდა, ხოლო მაქს ტილკე გერმანიაში დაბრუნდა. ამ უკანასკნელმა საკუთარი ნამუშევრების ნაწილი თან წაიღო, ხოლო ნაწილი მუზეუმის ფონდებში დატოვა. საქართველოდან წაღებული ნამუშევრები მაქს ტილკემ 1923 წელს ბერლინში გამოაქვეყნა. გამოიცა წიგნი სათაურით – "Orientalische Kostüme in schnit und Farbe" (აღმოსავლური კოსტიუმი, მისი დიზაინი და ფერები). ავტორი შესავალში ყურადღებას ამახვილებს კოსტიუმის ისტორიის შესწავლის მნიშვნელობაზე კაცობრიობის კულტურის ისტორიის შესწავლის საქმეში. წიგნში წარმოდგენილია 128 ტაბულა.

რომლის დიდი ნაწილი მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმსა და კერძო კოლექციაში დაცულ აღმოსავლეთ ევროპის, აფრიკისა, და აზიის (მაროკო, ალჟირი, ტუნისი, სუდანი, ბორნეო, აბისინია, ეგვიპტე, ახლო აღმოსავლეთი, არაბეთი, იემენი, სირია, მესოპოტამია, პალესტინა, თურქეთი, მცირე აზია, ბალკანეთის ნახევარკუნძული, სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპა, ქურთისტანი, სპარსეთი, ავღანეთი, აზერბაიჯანი, ინდოეთი, ბირმა, ტიბეტი, ჩინეთი, იაპონია, სახალინი) ხალხთა კოსტიუმებია, ხოლო 40 ტაბულა (№44-83) მაქს ტილკეს მიერ საქართველოშია შესრულებული, ძირითადად კავკასიის მუზეუმში, მცირე ნაწილი კი - სტავროპოლის მუზეუმსა და თბილისის ნაციონალური თეატრის კოსტუმების განყოფილებაში დაცული მასალის მიხედვით. წარმოდგენილნი არიან: ქართველები, დაღესტნელები, სომხები, უდები, თათრები, შემახელები, ნუხის მცხოვრებნი, აგრეთვე კასპიის სტეპების მკვიდრნი – ყალმუხები, ნოღაელები, თურქმენები.

მაქს ტილკეს ის ნამუშევრები, რომლებიც მან კავკასიის მუზეუმში დატოვა, 2005 წელს თბილისში გამოქვეყნდა, ბატონ ლევან ჭილაშვილის რედაქტორობით [გელაძე, ნეიფე-სმიტი, ნადირაძე. 2005].

ეს არის აკვარელით შესრულებული 83 ნახატი. ნაწილი ასახავს კავკასიის ცალკეული ეთნოსებისა და ეთნოგრაფიულ ჯგუფთა ტიპაჟს შესაბამის კოსტიუმებში, ხოლო ნაწილი – კოსტიუმის ცალკეულ ელემენტებს. ნახატებში წარმოდგენილნი არიან: ქართველები (ქართლელი, მესხი, ჯავახები, სვანები, ხევსურები, აჭარლები, ინგილოები), დაღესტნელები (ავარიელები, ანდიელები, ყაპუჭელები, ჯურმუდელები, დიდოელები, კუბაჩელები, ლეკები, ტინდიელები), ებრაელები (ძირითადად ყუბიდან), ქურთები (საქართველოსა და სომხეთიდან), სომხები (სომხეთიდან, საქართველოდან, მთიანი ყარაბაღიდან), ბერძნები (წალკიდან), ნოღები (ყარანოღაიდან), თურქები (ყარაფაფახები), თათრები (ახალქალაქიდან, ბორჩალოდან, ნუხიდან), თურქმენები (ჩრდილო კავკასიიდან), უდები (ნუხიდან), სპარსელები (არდებილიდან).

მიუხედავად იმისა, რომ კავკასიის ხალხთა კოსტიუმების ატლასის შექმნა ვერ მოხერხდა, ეს იდეა კვლავ არსებობდა. კავკასიის მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების გამგე იადვიგა ერნესტის ასული ფონ-დრახენფელსი და მოწვეული თანამშრომლები (ა. მატიასევიჩი, ნ. დრახენფელსი, ნ. კელჩევსკი) ამ მიმართულებით მუშაობას აგრძელებდნენ.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის, ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის კოლექციების სამეცნიერო დამხმარე ფონდში დაცულია ამ მხატვრების მიერ 1913-1915 წწ. და 1926 წელს შესრულებული აკვარელები (კავკასიის ხალხთა ტიპები ეროვნულ კოსტიუმებში და კოსტიუმის ცალკეული ელემენტები), ტუშით შესრულებული ნახატები და ნახაზები (კოსტიუმის თარგები, სამკაულები). წარმოდგენილნი არიან: ქართველები (ხევსურები, ფშავლები, თუშები, სვანები, აჭარლები, ინგილოები), დაღესტნელები (ავარიელები, ანდიელები, კუბაჩელები, ლეკები), ებრაელები, თათრები (ახალქალაქიდან, ბორჩალოდან, ნუხიდან), ქურთები, იეზიდები (საქართველოსა და სომხეთიდან), თურქები (ყარაფაფახები), თურქმენები (სტავროპოლიდან), ყარანაღაელები, სომხები (სომხეთიდან, საქართველოდან, მთიანი ყარაბაღიდან), სპარსელები, ბალ-

ყარელები, უდები. სულ – 65 ტაბულაა.

ამ ნამუშევართა არც ერთი ნიმუში გამოქვეყნებული არ ყოფილა. ამდენად, ისინი საქართველოს ეროვნული მუზეუმის „უცნობ კოლექციებს“ განეკუთვნება.

კავკასიის ხალხთა კოსტიუმების შესწავლისათვის მეტად მნიშვნელოვანია ექსპედიციებში მოძიებული მონაცემების საფუძველზე, კავკასიის მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში შედგენილი კავკასიის ხალხთა კოსტიუმებთან დაკავშირებულ ტერმინთა ლექსიკონის ხელნაწერის არსებობა.

მეტად საყურადღებოა მუზეუმის ფონდში დაცული იადვიგა ერნესტის ასულ ფონ-დრახენფელსის დაუმთავრებელი სამეცნიერო ნაშრომი კავკასიის ხალხთა კოსტიუმების შესახებ. (პლანშეტები და ფურცლები სულ 157 ეროეულია). ნაშრომი შესრულებულია რუსულ და გერმანულ ენებზე. კოსტიუმის ელემენტებთან ერთად აღწერილია მათი ხმარების წესები.

მუზეუმის სამეცნიერო დამხმარე ფონდში დაცული ეს უნიკალური მასალა, კავკასიური კოსტიუმების კატალოგებთან ერთად, სათანადო სამეცნიერო შესწავლის შედეგად მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს კავკასიის ხალხთა კოსტიუმების შესწავლის საქმეში.

კატალოგი[1]

1. 62-13/1. ა. ს. მატიასევიჩი. სომეხი ქალის კოსტიუმის სამკაულები. მუყაო, ტუში. 48.5X32.5 .
2. 62-13/2. ა. ს. მატიასევიჩი. ავარიელი ქალის სამკაული, ფოტო. 42X30.5
3. 62-13/3. ა. ს. მატიასევიჩი. ავარიელი ქალის კოსტიუმის ელემენტები. მუყაო, აკვარელი. 65X48.5
4. 62-13/7. ა. ს. მატიასევიჩი. ავარიელი ქალის კოსტიუმის სამკაულები. ქაღალდი, აკვარელი. 58X46.
5. 62-13/11. ა. ს. მატიასევიჩი. ქისტი ქალის სამკაულები. მუყაო, აკვარელი და ტუში. 65X47.5, სურათი 1
6. 62-13/12. ა. ს. მატიასევიჩი. ქურთული ფარი ერევნიდან. მუყაო, აკვარელი. 48.5X33, სურათი 2
7. 62-13/13. ა. ს. მატიასევიჩი. იეზიდი ქალის კოსტიუმის სამკაულები. ქაღალდი, აკვარელი. 59X43.
8. 62-13/14. ა. ს. მატიასევიჩი. იეზიდი ქალის კოსტიუმის სამკაულები. ქაღალდი, აკვარელი. 52X40, სურათი 3

---

[1]კატალოგი წარმოდგენილია ქრონოლოგიის მიხედვით . თითოეული ნამუშევრის აღწერილობა შემდეგნაირად არის აგებული: რიგითი ნომერი, სახელწოდება, მასალა, ტექნიკა, ზომა. ხელმოწერა და თარიღი მითითებულია მხოლოდ ხელმოწერილ და დათარიღებულ ნამუშევრებთან. ეთნოგრაფიის განყოფილების საინვენტარო დავთრებისა და მუზეუმის არქივის მონაცემების შეჯერების შედეგად გაირკვა ზოგიერთი ნამუშევრის ავტორის ვინაობა.

9. 62-13/15. ა. ს. მატიასევიჩი. ყარანოღაელი ქალისა და ბავშვის კოსტიუმის ნაწილები. მუყაო, აკვარელი და ტუში. 57.5X40,

10. 62-13/18. ა. ს. მატიასევიჩი. უდი ქალის კოსტიუმის ელემენტები და სამკაულები. მუყაო, აკვარელი. 62X48.5

11. 63-13/1. ნ. დრახენფელსი. ავარიელი ქალის კოსტიუმის ელემენტები, თარგები. ქაღალდი, ტუში, 42X31. ხელმოწერილია

12. 63-13/2. ნ. დრახენფელსი. ავარიელი ქალის კოსტიუმის ელემენტები, თარგები. ქაღალდი, ტუში, 42X31, ხელმოწერილია

13. 105-13/27. ა. ს. მატიასევიჩი. ახალგაზრდა ხევსური. ქაღალდი მუყაოზე, აკვარელი, 43X32, სურათი 4

14. 105-13/28. ა. ს. მატიასევიჩი. მოხუცი ხევსური. ქაღალდი მუყაოზე, აკვარელი. 32.5X27. ხელმოწერილია, სურათი 5

15. 61-14/1. ნ. ვ. კელჩევსკი. ქისტი მამაკაცი. ქაღალდი მუყაოზე, აკვარელი. 43X33, სურათი 6

16. 61-14/2. ნ. ვ. კელჩევსკი. ქისტი ქალი. ქაღალდი მუყაოზე, აკვარელი, 43X33, სურათი 7

17. 61-14/3. ნ. ვ. კელჩევსკი. ფშაველი ქალი. ქაღალდი მუყაოზე, აკვარელი, 41.5X31, სურათი 8

18. 61-14/4. ნ. ვ. კელჩევსკი. თათარი ქალი ეჩმიადინიდან. ქაღალდი მუყაოზე, აკვარელი, 42.5X32.5, სურათი 9

19. 61-14/5. ნ. ვ. კელჩევსკი. თათარი ქალი ს. ყარაჯალიდან (კახეთი). ქაღალდი მუყაოზე, აკვარელი, 44.5X33.5, სურათი 10

20. 62-14/2. ა. ს. მატიასევიჩი. ქისტი ქალის კოსტიუმი. ქაღალდი მუყაოზე, აკვარელი, 42X33.5.

21. 62-14/3. ა. ს. მატიასევიჩი. ქურთების რიტუალური კოსტიუმის ელემენტები. ქაღალდი მუყაოზე, აკვარელი, 41.5X31.5

22. 62-14/4. ა. ს. მატიასევიჩი. თუში ქალის კოსტიუმი. ქაღალდი მუყაოზე, აკვარელი, 36.5X31.5

23. 62-14/5. ა. ს. მატიასევიჩი. მთიელი თათარი ქალი (ბაქსანი, ნალჩიკის ოლქი) ქაღალდი მუყაოზე, აკვარელი, 43X31.5. ხელმოწერილია, სურათი 11.

24. 62-14/6. ა. ს. მატიასევიჩი. თათარი ქალის (ს. ყარაჯალა, კახეთი) კოსტიუმის ელემენტები. ქაღალდი მუყაოზე, აკვარელი, 42X33.5,

25. 62-14/8. ა. ს. მატიასევიჩი. აფხაზური ქუდები. ქაღალდი მუყაოზე, აკვარელი, 41X31.5, სურათი 12

26. 62-14/9. ა. ს. მატიასევიჩი. ვერცხლის ფიალები სვანური სამარხიდან. ქაღალდი მუყაოზე, აკვარელი, 42X31.5

27. 63-14/1. ი. ე. დრანხენფელსი. აჭარელი მამაკაცის კოსტიუმის ელემენტები, თარგები, ქაღალდი, ტუში, 42.5X31

28. 63-14/2. ი. ე. დრახენფელსი. აჭარელი ქალის კოსტიუმის ელემენტები, თარგები. ქაღალდი, ტუში. 42.5X31.5

29. 63-14/3. ი. ე. დრახენფელსი. ებრაელი ქალის კოსტიუმი. თარგები, მუყაო, ტუში, 41.5X33

30. 63-14/4. ი. ე. დრახენფელსი. იეზიდი მამაკაცის კოსტიუმი. თარგები. მუყაო, ტუში. 42X32.5

31. 63-14/5. ი. ე. დრახენფელსი. იეზიდი ქალის კოსტიუმი, თარგები.

მუყაო, ტუში, 41.5X31

32. 63-14/6. ი. ე. დრახენფელსი. იეზიდი ქალის კოსტიუმი, თარგები. მუყაო, ტუში. 41X30.5

33. 63-14/7. ი. ე. დრახენფელსი. ყარანოღაელი მამაკაცის კოსტიუმი. თარგები. ქაღალდი, ტუში. 40X30

34. 63-14/8. ი. ე. დრახენფელსი. ყარანოღაელი ქალის კოსტიუმი, თარგები. ქაღალდი, ტუში. 41.5X31.5

35. 63-14/9. ი. ე. დრახენფელსი. ყარანოღაელი ქალის კოსტიუმი. თარგები. ქაღალდი, ტუში. 41.5X31.5

36. 63-14/10. ი. ე. დრახენფელსი. ყარაფაფახი ქალის კოსტიუმი, თარგები. ქაღალდი, ტუში. 41.5X31

37. 63-14/11. ი. ე. დრახენფელსი. ყარაფაფახი ქალის კოსტიუმის თარგები. ქაღალდი, ტუში. 41X31.5

38. 63-14/12. ი. ე. დრახენფელსი. ახალციხელი თათარი ქალის კოსტიუმი, თარგები. ქაღალდი, ტუში. 41.5X32.5

39. 63-14/13. ი. ე. დრახენფელსი. ახალციხელი თათარი ქალის კოსტიუმი, თარგები. ქაღალდი, ტუში, 41X33

40. 63-14/14. ი. ე. დრახენფელსი. ბორჩალოელი თათარი ქალის კოსტიუმი. თარგები. ქაღალდი, ტუში. 41X32.5

41. 63-14/15. ი. ე. დრახენფელსი. ბორჩალოელი თათარი ქალის კოსტიუმი, თარგები. ქაღალდი, ტუში. 41.5X33

42. 41. 63-14/16. ი. ე. დრახენფელსი. თათარი ქალის კოსტიუმი. თარგები, ქაღალდი, ტუში. 59X31

43. 63-14/17. ი. ე. დრახენფელსი. თათარი ქალის კოსტიუმი, თარგები. ქაღალდი, ტუში, 41.5X33

44. 63-14/18. ი. ე. დრახენფელსი. თათარი ქალის კოსტიუმი. თარგები. ქაღალდი, ტუში. 41.5X31.5

45. 63-14/21. ი. ე. დრახენფელსი. ხევსური ქალის კოსტიუმი, თარგები. ქაღალდი, ტუში. 40X30

46. 63-15/1. ი. ე. დრახენფელსი. სტავროპოლელი თურქმენი მამაკაცისა და ბიჭის კოსტიუმები. თარგები. ქაღალდი, ტუში. 42X31

47. 63-15/2. ი. ე. დრახენფელსი. თურქმენი ქალისა და გოგონას კოსტიუმები, თარგები. ქაღალდი, ტუში. 42X31

48. 63-15/3. ი. ე. დრახენფელსი. ანდიელი ქალის კოსტიუმის ელემენტები. თარგები. ქაღალდი, ტუში. 42X31

49. 63-15/4. ი. ე. დრახენფელსი. სომეხი მამაკაცის კოსტიუმის ელემენტები. თარგები. ქაღალდი, ტუში. 42X31

50. 63-15/5. ი. ე. დრახენფელსი. სვანი მამაკაცის კოსტიუმი. თარგები. ქაღალდი, ტუში. ტ. 42X31

51. 63-15/6. ი. ე. დრახენფელსი. ინგილო ქალის სამუშაო კოსტიუმის ელემენტები. თარგები. ქაღალდი, ტუში. 42.5X31

52. 63-15/8. ი. ე. დრახენფელსი. ერევნელი ქურთი მამაკაცის კოსტიუმი, თარგები. ქაღალდი, ტუში. 42.5X31

53. 63-15/9. ი. ე. დრახენფელსი. ერევნელი ქურთი მამაკაცის კოსტიუმი, თარგები. ქაღალდი, ტუში. 42.5X31

54. 63-15/10. ნ. დრახენფელსი. ფშაველი ქალის კოსტიუმის ელე-

მენტები, 1915 წ. ქაღალდი, აკვარელი. 41.5X31. ხელმოწერილია

55. 63-15/11. ნ. დრახენფელსი. სპარსელი მამაკაცის კოსტიუმის ნაწილები, 1915 წ. ქაღალდი, აკვარელი, 42.5X32.5. ხელმოწერილია

56. 52-26/55. ა.ს. მატიასევიჩი. ავარიელები. მუყაო, აკვარელი. 66X54

57. 52-26/70. კოსტიუმის ნაწილები. ქაღალდი, აკვარელი. 42.5X32.5

58. 52-26/71. ბალყარული კოსტიუმის ნაწილები, ქაღალდი, აკვარელი. 41X32

59. 52-26/72. ყარაჯალელი (კახეთი) თათარი ქალის კოსტიუმის ელემენტები. მუყაო, აკვარელი. 41.5X33

60. 52-26/73. ა.ს. მატიასევიჩი. თათარი მამაკაცის კოსტიუმის ნაწილები. მუყაო, აკვარელი. 40.5X32.5.

61. 52-26/74. ნ. დრახენფელსი, კუბაჩელი მამაკაცის კოსტიუმის ელემენტები და იარაღი, ქაღალდი, აკვარელი. 40X30. ხელმოწერილია, სურათი 13

62. 52-26/76. ართვინელი სომეხი ქალი. ქაღალდი, აკვარელი. 27.5X21

63. 52-26/77. ა.ს. მატიასევიჩი. ყარაჯალელი (კახეთი) თათარი ქალი. ქაღალდი, აკვარელი. 27X21, სურათი 14

64. 52-26/96. ჩაბანი. ქაღალდი, აკვარელი. 20X35

65. 52-26/97. ქალი. მუყაო, აკვარელი. 42.5X29.

ETNOGRAPHY/ETNOLOGY

TAMAR GELADZE*, TEBRO NADIRADZE*

* Georgian National Museum, Rustaveli Avenue 3, 0105 Tbilisi, Georgia

ON THE HISTORY OF STUDYING OF THE CAUCASIAN PEOPLES' COSTUMES (AN UNKNOWN COLLECTION)

SUMMARY

In 1910 the decision about edition of the Atlas of costumes of the peoples of the Caucasus was accepted in the Caucasian Museum.

In 1912 Max Tilke- a well- known artist and expert in national suits was invited to work at the Atlas. A. Matiasevich, N. Kelchevski, N. Drahenfels and the head of Etnography department Y. Drahenfels also participated.

The artists did drawings from the costumes stored in the Museum, they took part in ethnographic expeditions; each model was dressed in national clothes, the photoes were taken, sketches were done and the picture was finished at the Museum's studio.

World War I prevented decision of publication of the Atlas as Director of the Caucasian Museum A. Kaznakov- a manager of this business, left for the front. M.

Tilke returned to Germany.

Drawings of M. Tilke are published in the following books:

1) Max Tilke. “Orientalishe Kostume in Schnitt and Farbe”. Berlin, 1923.

2) Tamar Geladze, Bonnie Naifeh Smith. “National costumes of the Caucasian peoples” ,Tbilisi, 2005.

In the present article works of A. Matiasevich, N. Kelchevski, N. Drahenfels and N. Drahenfels, who continued working over the Atlas, are presented.

These paintings are in water color and ink (types, elements of suits, adornments, and also drawings, patterns of separate parts of suits).

There are 65 plates presented.

The Georgians (Khevsurs, Pshavs, Tushs, Svans, Ajarians, Ingilos), Daghestanians (Avars, Andis, Kubachins, Lezghins), Jews, Tatars (from Akhalkalaki, Borchalo, Nukha), Kurds, Yezids (from Georgia and Armenia), Turks (Karabakhi), Armenians (from Armenia, Georgia, Karabakh), Persians, Balkarians are presented in the catalogue.

This material will enrich the information on suits of the peoples of the Caucasus and it will bring the certain contribution into studying of history of suits.

ბიბლიოგრაფია

1. **გელაძე თ., ნეიფე-სმიტი ბ., ნადირაძე ე. 2005:** მაქს ტილკე. კავკასიის ხალხთა კოსტიუმები. თბილისი.
2. **ჩხაიძე გ. 2003:** საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი. თბილისი
3. **ჭილაშვილი ლ. 2002:** საუკუნე ნახევრის გადასახედიდან – სსმმ, 44. გვ. 29-67.
4. Главный инвентарь Кавказского музея 1910. док. № 1383.
5. **Матиасевич А.С. 1912:** Кавказский музей – Исторический вестник. с. 1047-1066
6. **Мелкадзе Н., Гогичаишвили А. 2003:** Александр Казнаков – директор Кавказского музея и Тифлисской публичной библиотеки (1903-1917) – სსმმ, 45 с. 368-394
7. **Tilke M. 1923:** Orientalische Kostüme in Schnit und Farbe. Berlin.
8. **Vollmer H. 1939:** Allegemeines Lexikon der Bildenden Künstler. Leipzig.

ილუსტრაციების აღწერილობა

სურ. 1. ა.ს. მატიასევიჩი, ქისტი ქალის სამკაულები. სსმ. 62-13/11.
სურ. 2. ა.ს. მატიასევიჩი, ქუროული ფარი ერევნიდან. სსმ 62-13/12.
სურ. 3. ა.ს. მატიასევიჩი, იეზიდი ქალის სამკაულები. სსმ. 62-13/14
სურ. 4. ა.ს. მატიასევიჩი, ახალგაზრდა ხევსური. სსმ. 105-13/27.
სურ. 5. ა.ს. მატიასევიჩი, მოხუცი ხევსური. სსმ. 105-13/28.
სურ. 6. ნ. კელჩევსკი, ქისტი მამაკაცი. სსმ. 61-14/1.
სურ. 7. ნ. კელჩევსკი, ქისტი ქალი. სსმ. 61-14/2.
სურ. 8. ნ. კელჩევსკი, ფშაველი ქალი. სსმ. 61-14/3.

სურ. 9. ნ. კელჩევსკი, თათარი ქალი. სსმ. 61-14/4.

სურ. 10. ნ. კელჩევსკი, თათარი ქალი ს. ყარაჯალადან (კახეთი). სსმ. 61-14/5.

სურ. 11. ა.ს. მატიასევიჩი, მთიელი თათარი ქალი ბაქსანიდან (ნალჩიკის ოლქი). სსმ. 62-14/5.

სურ. 12. ა.ს. მატიასევიჩი, აფხაზური ქუდები. სსმ. 62-14/8.

სურ. 13. ნ. დრახენფელსი, კუბაჩელი მამაკაცის კოსტიუმის ელემენტები და იარაღი. სსმ. 52-26/74.

სურ. 14. ა.ს. მატიასევიჩი, ყარაჯალელი თათარი ქალი. სსმ. 52-26/76.

LIST OF ILLUSTRATIONS

Fig. 1. A.S. Matiasevich – Adornments of the Qist woman. GNM. 62-13/11.

Fig. 2. A.S. Matiasevich – Kurdish armour from Erevan. GNM. 62-13/12. . 62-13/15.

Fig. 3. A.S. Matiasevich – Adornments of a Yezid woman 62-13/14

Fig. 4. A.S. Matiasevich – A young Khevsure. GNM. 105-13/27.

Fig. 5. A.S. Matiasevich – An old Khevsure. GNM. 105-13/28.

Fig. 6. N. Kelchevski – A Qiste man. GNM. 61-14/1.

Fig. 7. N. Kelchevski – A Qiste woman. GNM. 61-14/2.

Fig. 8. N. Kelchevski – A Pshav woman. GNM. 61-14/4.

Fig. 9. N. Kelchevski – A Tatar woman. GNM. 61-14/3.

Fig. 10. N. Kelchevski - A Tatar woman from Karajala (Kakheti).GNM. 52-26/76.

Fig. 11. A.S. Matiasevich – A Tatar woman from Baqsan. (Nalchik district). GNM. 62-14/5.

Fig. 12. A.S. Matiasevich – Abkhazian hats. GNM. 52-26/74.

Fig. 13. N. Drahenfels –Costume elements and arms of a Kubach man. GNM. 62-14/8.

Fig. 14. A.S. Matiasevich - A Tatar woman from Karajala. GNM. 61-14/5.

სურ. 1 Fig.

სურ. 2 Fig.



სურ. 3 Fig.

სურ. 4 Fig.

სურ. 5 Fig.

სურ. 6 Fig.

სურ. 7 Fig.

სურ. 8 Fig.

სურ. 9 Fig.

სურ. 10 Fig.

სურ. 11 Fig.



სურ. 12 Fig.

სურ. 13 Fig.

სურ. 14 Fig.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. სახოგადოებრივ მეცნიერებათა სერია №1 (46-B), 2010, 341-354
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences №1 (46-B), 2010, 341-354

ეთნოგრაფია/ეთნოლოგია

მანანა ხიზანაშვილი

საქართველოს ეროვნული მუზეუმი, რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო, ელ.ფოსტა: etnomanana@yahoo.com

სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმის (უშგული) ეთნოგრაფიული კოლექციების შესწავლისათვის

სვანეთი საუკუნეების განმავლობაში ჩვენი ქვეყნის განძსაცავს წარმოადგენდა. მატერიალური კულტურის ძეგლებით განსაკუთრებით მდიდარი უშგულის თემი იყო. "თავისუფალი სვანეთის" ეს განაპირა მხარე, კავკასიონის მთავარი ქედის, შხარას ძირში, მდ. ენგურის სათავეშია გაშლილი (ზღვის დონიდან 2300მ). იგი ყველაზე უკეთ დაცული ადგილი იყო სვანეთისა. აქ, მცირე ზომის ეკლესიებში ქართული თუ უცხოური ხელოვნების საუკეთესო ნიმუშები ინახებოდა. უშგულში თვალისჩინივით უფრთხილდებოდნენ მამა-პაპათა ნაანდერძევ განძს და თაობიდან თაობას გადასცემდნენ.

სვანეთის ეკლესიებში შესვლა და იქ დაუნჯებული განძის ნახვა რთული იყო, როგორც მეცნიერებისთვის, ისე მოგზაურთათვის. ექვთიმე თაყაიშვილის ცნობით "ეკლესიაში იშვიათად თუ ვინმეს უშვებდნენ, არა თუ საერო, არამედ სამღვდელო პირსაც, ცნობილია, რომ გაბრიელ ეპისკოპოსს დიდი დავიდარაბა დასჭირდა, რომ ეკლესიაში შეეშვათ" [თაყაიშვილი 1933: 184]. მიუხედავად სირთულეებისა, დაწყებული X1X საუკუნის მეორე ნახევრიდან, ცალკეულმა მკვლევარებმა ზემო სვანეთში იმოგზაურეს და რამდენიმე მნიშვნელოვანი სამეცნიერო ექსპედიციაც განხორციელდა. რის შედეგადაც ეკლესიებში თავმოყრილი უნიკალური ნივთების ნაწილი აღირიცხა და ფოტოფირზე იქნა გადატანილი. 1936 წელს, სვანეთში დაუნჯებული საგანძურის დაცვის მიზნით, მესტიაში, სეტის წმ. გიორგის ეკლესიაში დაცული სიძველეების ბაზაზე დაარსდა სვანეთის მუზეუმი.

ნივთიერი მასალის მრავალფეროვნება, მათი გაბნეულობა სხვადასხვა ეკლესიასა და ოჯახში დაუყოვნებლივ მოითხოვდა რიგი საკითხების გადაწყვეტას – სასწრაფოდ უნდა დაწყებულიყო ნივთების

სრულყოფილი აღრიცხვა, მათი მეცნიერული, კომპლექსური შესწავლა და დაცვის ეფექტური ღონისძიებების გასატარებლად რეკომენდაციების შემუშავება. 1972 წელს ამ მისიის შესრულება ითავა ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სვანეთის სამეცნიერო-კომპლექსურმა ექსპედიციამ, ბატონ მიხეილ ჩართოლანის ხელმძღვანელობით. ექსპედიცია მეცნიერების სხვადასხვა დარგის გამოცდილი სპეციალისტებისაგან შედგებოდა. მათი მუშაობის შედეგების განხილვის შემდეგ საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება – "სვანეთის მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლთა აღრიცხვისა და დაცვის მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ." დადგენილებაში შეტანილი იქნა საგანგებო მუხლი ნივთების ადგილზე დაცვის თაობაზე. ჩამოყალიბდა ძეგლთა დაცვის ზონალური სისტემა. შეიქმნა 6 ზონა (საგუშაგოებით), მათ შორის ერთი უშგულში. დადგენილებაში დასმული იყო საკითხი უშგულის თემის სოფელ ჩაჟაშში (1996 წლიდან იუნესკოს მიერ აღიარებულია მსოფლიო კულტურის საგანძურად) გამოფენის მოწყობის შესახებ. ამ მიზნით კულტურის სამინისტროს მიერ შესყიდული იქნა ძველი ციხე-სახლი, რომლსაც უნდა ჩატარებოდა რეკონსტრუქცია და მომზადებულიყო საგამოფენო დარბაზები. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის, ბ-ნ ლევან ჭილაშვილისა და ბ-ნ მიხეილ ჩართოლანის დიდი ძალისხმევის მიუხედავად ეს ღონისძიება იმ დროს ვერ განხორციელდა [ჩართოლანი 1976: 23].

უნდა აღინიშნოს, რომ წლების განმავლობაში სვანეთის სამეცნიერო კომპლექსური ექსპედიცია კვლავ აგრძელებდა მუშაობას სვანეთის თითქმის ყველა თემში. მან მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩაატარა სიძველეების დაცვა-აღრიცხვის, მათი მეცნიერული შესწავლის საქმეში, რამაც ასახვა ჰპოვა სამეცნიერო პუბლიკაციებში. რამდენიმე წლის განმავლობაში პერიოდულად ქვეყნდებოდა ექსპედიციის მუშაობის ანგარიშები, იბეჭდებოდა ექსპედიციის წევრთა შრომები, სამეცნიერო კრებულები (სვანეთი I და სვანეთი II), მესტიასა და თბილისში ჩატარდა სამეცნიერო სესიები. აღნიშნული ღონისძიებების ჩატარებაში დიდი წვლილი ბატონ ლევან ჭილაშვილს მიუძღოდა.

გადიოდა დრო, საგანძური კვლავ სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდა. ჩაჟაშის მაცხოვრის ეკლესიაში (7მ². ფართ.) 2800 ნივთი ინახებოდა და მათი დაცვის არანაირი პირობები არ არსებობდა. 1987 წელს, საქართველოს მთავრობის უშუალო ჩარევის შემდეგ უშგულის ციხე-სახლში სარემონტო სამუშაოები დაიწყო. სამუშაოებს ხელმძღვანელობდა ბ-ნ ლევან ჭილაშვილი და ბ-ნ ალექსანდრე ჯავახიშვილი. (მიუხედავად მათი დიდი მცდელობისა, ციხე-სახლის შეკეთება მაინც ბევრი ხარვეზით დასრულდა). სამივე სართულის დარბაზი ოპერატიულად მომზადდა საექსპოზიციოდ, გაიმართა საგამოფენო ვიტრინები. სამუშაოებში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ მესტიის მუზეუმის დირექტორი და თანამშრომლები, აგრეთვე, სვანეთის სამეცნიერო-კომპლექსური ექსპედიციის წევრები მ. ჩართოლანის ხელმძღვანელობით. 1988 წლის 15 ივნისს, ევროპის ერთ-ერთ მაღალმთიან სოფელ უშგულში გაიხსნა მუზეუმი, რომლის

კოლექციებიც ქართული კულტურული მემკვიდრეობის უნიკალურ და ფასდაუდებელ ნიმუშებს წარმოადგენს (სურ№1).

2005 წელს ეროვნული მუზეუმის შესაბამისმა კომისიამ ჩაატარა უშგულის კოლექციათა აღრიცხვა,ახალი ფონდის მცველისთვის გადაბარების მიზნით (ჩაბარების აქტი № 1. 2005. 1 სექტემბერი).

2008-2009 წწ-ში ეროვნული მუზეუმისა და იუნესკოს ერთობლივი პროექტის – "სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმის ექსპონატების ინვენტარიზაციის" ფარგლებში კოლექციათა დიგიტალიზაცია განხორციელდა,არსებული დოკუმენტაციის გათვალისწინებითა და ექსპონატების იდენტიფიკაციის საფუძველზე შეჯერებითი სამუშაოები ჩატარდა, შეიქმნა მესტიისა და უშგულის კოლექციათა საინვენტარო ნუსხები, მოხდა ფოტოფიქსაცია. შემუშავდა სააღრიცხვო ბარათისა და დაცულობის აქტის ფორმა,რომელიც საფუძვლად დაედო კოლექციათა მონაცემების ციფრულ ფორმატში გადატანას. ექსპოზიცია საცავში არსებული ექსპონატებით განახლდა. ამავე პროექტის ფარგლებში 2009 წელს,სამუშაო ჯგუფმა მოამზადა და გამოსცა სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმის (მესტია, უშგული) გზამკვლევი. ჩატარებული სამუშაოები წინგადადგმული ნაბიჯია სვანეთის კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-აღრიცხვისა და კვლევის საქმეში, თუმც ამ მიმართულებით კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

უშგულის საგანძურში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეთნოგრაფიულ ექსპონატებს უჭირავს. კოლექცია მეტად მრავალფეროვანია. ექსპონატების უმრავლესობა (ცალკეული გამონაკლისის გარდა), შეუსწავლელი და გამოუქვეყნებელია. ციხე-სახლის პირველ სართულზე წარმოდგენილია ხის ძველებური სკივრები, საკარცხული, სატრაპეზო მაგიდა – ფიჩქი, სპილენძის დიდი ქვაბები (კარდალ), რკინის ოთხფეხა კერა და სასანთლე (ლამტვარალ), მშვილდი (ცხემად), საკრავი ჩანგი. აქვე, ხის პატარა ზარდახშებში (სატრ) ინახება სამკაულები ლითონის ჭურჭელი (სპილენძისა და ვერცხლის თეფშები, ჯამები, სასმისები), სამღვდელო შესამოსელი, ქსოვილის ფრაგმენტები, ნაქარგობის საუკეთესო ნიმუშები, (სხვადასხვა ფორმისა და ზომის ქისები, შუბლსაკრავები, სარტყლები), შეწირული ისრის პირები, სამკურნალო და საკულტო დანიშნულების ქვები. კოშკის მესამე სართულზე ვიტრინებში გამოფენილია სარიტუალო დანიშნულების ნივთები, ვერცხლის სამკაულები, სპილენძის ორი დოქი. ამ ნივთების უმრავლესობა უშგულის ეკლესიებისადმია შეწირული. შესაწირი, სარწმუნოებრივი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, იგი ღვთის მიმართ მადლიერებასა და თაყვანისცემას, ადამიანის შიშსა და მოკრძალებას გამოხატავს. შეწირვის რიტუალი უძველეს რწმენა-წარმოდგენებს უკავშირდება, იგი რელიგიის ყველა საფეხურისთვის იყო დამახასიათებელი და ტრანსფორმირებული სახით ჩვენს დროშიც გრძელდება.

უშგულის ეთნოგრაფიული ექსპონატები ერთი მხრივ, მატერიალური კულტურის ობიექტებია, (ზოგი მათგანი ხალხური ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშია), მეორე მხრივ, ისინი კვალიფიცირდება, როგორც რელიგიური ცერემონიალების აუცილებელი ატრიბუტები. ხალხური რწმენა-წარმოდგენებით მათ ღვთაებრივი ძალა, საწესო-სარიტუალო

დანიშნულება მიეწერებათ. კოლექციათა ფუნქციონალური მრავალგვა-
რობა განაპირობებს უშგულის მუზეუმის სპეციფიკურობას.

შეწირულ ნივთებს შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი სამკაულების კოლექციაა. მხატვრულ-ესთეტიკური ღირებულების გარდა სამკაულებს სარწმუნოებრივი დატვირთვაც გააჩნდა. მათ იყენებდნენ ამულეტებად, ატანდნენ მიცვალებულებს. სვანეთში არსებობდა ჩვეულება, გარდაცვლილ, გათხოვილ ქალს საყურის გარეშე არ კრძალავდნენ – გველი გაუძვრება ყურში და შეაწუხებსო [ე. კოჟევნიკოვა, 1926: 23]. ცნობილია რომ, ქართულ მითოსურ აზროვნებაში საკრალური გველი ხთონური არსებაა. მასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები მიცვალებულთა სამყაროს უკავშირდება [აბაკელია 1997: 12]. ვერცხლის სამკაული, საფერხავ ტაბლაზე წერექუსა (ბალახი წივანა, რომელიც სვანეთში გამრავლებისა და ნაყოფიერების სიმბოლოდ ითვლებოდა) და საუფლო კვერთან ერთად ერთ-ერთი სამეკვლეო საგანი იყო. ტაბლის (ფიჩქ) საშუალებით მიმდინარეობდა "ხელის ახსნის" რიტუალი ახალი წლის დღესასწაულზე [ბარდაველიძე 1953: 79]. საკულტო დანიშნულებისა უნდა იყოს სამაჯურებისა და სასაფეთქლე რგოლების საკმაოდ დიდი კოლექცია (მარტო სამაჯური 400 ერთეულია), რომელიც უშგულშია დაცული. ამ ნივთებს ყოფაში არ ჰქონდა პრაქტიკული გამოყენება, მათ სპეციალურად ხატისთვის უკვეთავდნენ. ამაზე მათი ვიზუალური მხარეც მეტყველებს (ლითონის ნაკეთობანი, ერთნაირი, მრგვალი ფორმის, სხვადასხვა ზომის,ბოლოგახსნილი). (სურ. №2). ადგილზე დაფიქსირებული ცნობების მიხედვით,ამგვარი შესაწირი ლემზირებთან ერთად, ქალებს წმ. ლამარიისა და წმ. ბარბარეს სალოცავში მიჰქონდათ და ჯანმრთელებას და გამრავლებას შესთხოვდნენ (მოხრ. ფ. ნიჟარაძე, 1982). როგორც ჩანს განხილული ნივთების მრგვალი ფორმა მათ საკულტო დანიშნულებას ანიჭებდა. სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ წრისა და დისკოს მოყვანილობის საგნები (ფიქალის მრგვალი ქვები, თეთრი კენჭები, კვირისტავები) ქალური ბუნების ამსახველი მზის ღვთაების ემბლემა იყო და წმ. ბარბარეს ეწირებოდა [ბარდაველიძე,2003 21]. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ირ. სურგულაძის მოსაზრება. მისი აზრით ადრესამიწათმოქმედო ტომებში წელსაბამი, ისე როგორც ყელსაბამი, სამაჯური, მკლავსაბამი, ბეჭედი და სხვ. გამომდინარეობს წელის, ყელის, მაჯის, მკლავის კოჭის... რელიგიურ-მითოსური გააზრებიდან. ისინი, როგორც გარემომცველი წრე, მზის მოძრაობას, დედამიწის წლიურ ციკლს აღნიშნავდა. ამდენად ასტრალურ და ნაყოფიერების კულტებს უკავშირდება. ამ აზრის დასასაბუთებლად იგი განიხილავს საქართველოში აღმოჩენილ გვიანბრინჯაო-ადრერკინის პერიოდის ანთროპომორფულ და ითიფალურ მცირე ქანდაკებებს, აქცენტირებული წელის სარტყლით ან ყელსაბამით. ავტორი თვლის,რომ ამ ნივთებმა სოციალური აქსესუარების მნიშვნელობა მოგვიანებით შეიძინა [სურგულაძე 2003: 201].

არქაული რიტუალის სახეცვლილი გადმონაშთი უნდა იყოს ერთი ძველსვანური ჩვეულება, რომლის დროსაც ქალები სალოცავს სწი-
რავდნენ თავსაფრებს, ჭრელი ქსოვილის ნაჭრებს. 80-იან წლებში სამეცნიერო-კომპლექსური ექსპედიციის წევრებმა კალის წმ. კვირიკესა და უშგულის ეკლესიებში დიდი რაოდენობით შეწირული ქსოვილი

აღრიცხეს. მათი მდგომარეობა ჯერ კიდევ მაშინ იყო სავალალო. ახლა კი ბევრი მათგანი ფრაგმენტების სახითღაა შემორჩენილი. დიდი ზომის (1 მეტრამდე) ნაჭრები შეწირული იყო „ხატის პერანგად," „ხატის ფატნად." ამგვარი შესაწირავის სალოცავში მიტანის ტრადიცია დღემდე გრძელდება.

მანდილების, თეთრი, წითელი ქსოვილის ნაჭრების სხვადასხვა მიზნით ხატში შეწირვა გავრცელებული იყო მთელ საქართველოში. ქართლში, ხატში მიმავალი მლოცველი ქალები წელზე ნაჭრის გრძელ ქამრებს ირტყავდნენ და მოლოცვის შემდეგ იქვე ტოვებდნენ. [ბარდაველიძე 2003: 23]. ივრის ფშაველები თეთრ ნაჭრებს სალოცავში ბავშვის ავადმყოფობის დროს ტოვებდნენ. სვანეთში, სოფ. ჰადიშში წმ. გიორგის, "ჯგრაგ ლიჩანიშის" დღესასწაულზე სათავსაფრე ქსოვილის "დურშაის" შეწირვა იყო მიღებული. ყველა, ვისაც ვაჟი შეეძინებოდა იმ წელს ვალდებული იყო წმ. გიორგის სალოცავში გრძელ ჭოკზე წამოცმული დურშაითა და საკლავით მისულიყო.

ვ. ბარდაველიძემ ქსოვასა და რთვასთან დაკავშირებული ინვენტარის სალოცავში შეწირვა ქალღვთაებებს დაუკავშირა [ბარდაველიძე 2003: 18]. მსგავს აზრს ავითარებდა გ. ჩაჩაშვილი. ძაფისა და ქსოვის პრობლემების შესწავლისას მან განიხილა მათი კავშირი ლამარიასთან და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ წმ. ლამარიას სვანები რთვისა და ქსოვის მფარველად თვლიდნენ.[ჩაჩაშვილი 1972: 18]. უძველეს დროში, საკრარული ძალა ცხოველის ძვლებს, ბეწვსა და ტყავს მიეწერებოდა. განსაკუთრებული ზებუნებრივი ძალის პატრონებად ითვლებოდნენ მთის ნადირები, რომელთაც თეთრი, ჭრელი ან ხალებიანი ქურქი ებურათ. ბეწვის ფერადოვნების გამო ისინი ბუნების აღორძინების ძალებთან იყვნენ დაკავშირებულნი. ამასთან დაკავშირებით საინტერესო ცნობებს იძლევა ქართული ეთნოგრაფიული მასალა და ხალხური სიტყვიერება. ამ მასალებით ირკვევა ტყავისა და ქსოვილის ურთიერთკავშირიც. "ქსოვილი იმეორებს ტყავის მოქნილ ფაქტურასა და ფერადოვნებას" (მფრინავი ხალიჩა, ჯადოსნური სუფრა) [სურგულაძე 2003: 150]. ტყავს რომ ქსოვილი ჩაენაცვლა ამის საუკეთესო დადასტურებაა სვანურ დღესასწაულზე აშანგელო//შაშანგელო მგლის მოკვლა და მისი ტყავის ჭოკზე ჩამოკიდებული ტარება, რაც წინა საფეხურია ქსოვილისაგან შეკერილი და ტარზე საგანგებოდ დამაგრებული დროშა ლემისა. წმ. გიორგისადმი მიძღვნილ დღესასწაულზე "ჰულიშობას" მხედარი ამ დროშით ხელში ჯირითში მონაწილეობდა, დროშა ჰაერით იბერებოდა და ცხოველის ფიგურას ემსგავსებოდა. [Бардавелидзе 1957: 57] აშკარაა რომ, ქსოვილის ნაჭრების შეწირვა მეორადი მოვლენაა და ტყავის სიმბოლიკას უკავშირდება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ უშგულის ციხე-სახლში ნაქარგობის საუკეთესო ნიმუშები ინახება – ოქრომკედით ნაქარგი სარტყლები და შუბლსაკრავები. აქვე დაცულია სხვადასხვა ზომისა და ფორმის შეწირული ქისები, რომელთაგან ზოგიერთი საკმაოდ ძველი და უნიკალურია. ამ კოლექციიდან აღსანიშნავია ოთხკუთხა ფორმის თეთრი ტილოს ორი ცალი ქისა, მათზე ფერადი ძაფებით, საკმაოდ წმინდად ამოქარგულია ცხოველების (ლომი, ვეფხვი) და ალმოდებული გულის გამოსახულება. ორივე ქისაზე ნაქარგობით გამოყვანილია მხედრული

წარწერა. დღემდე საქართველოში მსგავსი ქისების ორად ორი ნიმუშია ცნობილი და გამოქვეყნებული [სილოგავა 1988: 461]. ორივე უშგულიდანაა და ამიტომ სამეცნიერო ლიტერატურაში ისინი უშგულის ქისების სახელით არის ცნობილი. ერთი, რომელიც ინახება ეროვნული მუზეუმის ძველი ქართული ნაქარგობის კოლექციაში ექვთიმე თაყაიშვილს ჩამოუტანია სვანეთიდან 1910წელს, ხოლო მეორე 1972 წელს აღმოაჩინა სვანეთის სამეცნიერო - კომპლექსურმა ექსპედიციამ და დაცულია მესტიის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში. ვ.სილოგავამ ქისებზე ამოქარგული სტრფიალო ხასიათის ლექსის წარწერა და შესაბამისად ქისებიც მე-13 საუკუნის მეორე ნახევრით დაათარიღა. შესაძლოა, უშგულის მუზეუმში დაცული ორი ქისა თანადროული იყოს. ზუსტი დათარიღებისთვის საჭიროა მათი შემდგომი შესწავლა.

უშგულის მუზეუმში კიდობნების საუკეთესო და იშვიათი ნიმუშებია წარმოდგენილი. სვანეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში სხვადასხვა დანიშნულების კიდობანი დასტურდება. ტანსაცმლის შესანახი – ლაბარგ კიბდონ, ფქვილის შესანახი – ლაფაქ, დიდი კიდობანი – ბაღ, მოულოდნელი ხარჯებისთვის – გადადგმული კიდობანი. ბედელში კიდევ ერთი კიდობანი იდგა, რომელშიც საუფლო დღესასწაულებისთვის საუკეთესო ფქვილს ინახავდნენ. ამ კიდობანს წმინდას ანუ გვიზ, ან ლამარია ტაბლაშს უწოდებდნენ. ამ ტიპის კიდობანებს სვანეთში მოწიწებით ეპყრობოდნენ. ავი თვალისაგან დაცვის მიზნით მათში პატარა თეთრ კენჭებს, ნახშირს ყრიდნენ ან თხილის ტოტს დებდნენ. დიასახლისი შობა დღეს, ლამარია ტაბლაშ კიდობანთან მთელ რიგ საწესო რიტუალს ასრულებდა. საფიქრებელია, რომ ეკლესიებს სწორედ ეს სკივრები ეწირებოდა. ეთნოგრაფიული მონაცემებით ცნობილია, რომ ადგილობრივი ხელოსნები უფრო ხშირად ასეთი კიდობნების ფასადებს ამკობდნენ სარწმუნოებრივი სიმბოლოებით დატვირთული ორნამენტებით, ჭრელებით. მათგან განსაკუთრებით გამოირჩევა ჩაჟაშის მაცხოვრის ეკლესის კიდობანი, რომელიც პირველად სვანეთის სამეცნიერო კომპლექსური ექსპედიციის წევრებმა დააფიქსირეს. მის ფასადზე, ანალოგიური სკივრებისგან განსხვავებით, გეომეტრიული ორნამენტის გარდა, ადამიანთა და ცხოველების სქემატური გამოსახულებანიც გვხვდება (სურ №4). ეს არის ლიტერატურაში ცნობილი არქაული ჭრელების ანალოგიური მხედრისა და ადამიანთა გამოსახულების მწკრივი, რომელიც ფერხულში ჩაბმულ მოცეკვავე მამაკაცებს გამოხატავს. სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ფერხულის სცენები ნაყოფიერების კულტს უკავშირდება [ბედუკიძე 2004: 221]. ასეთი სიუჟეტური სცენები ლიფანალის მხატვრობის ანალოგიურია. აქვე გამოსახული კონცენტრირებული წრეები, სპირალი დასტურდება სვანურ ყოფაში გავრცელებულ პურის საჭრელზე, რომელიც ვ. ბარდაველიძის მიერ ახსნილია, როგორც მთვარის სახით აღბეჭდილი რიტუალური კვერი. ამდენად, სვანური კიდობნების ფუნქციური დატვირთვა და მათზე მოცემული სიმბოლური ნიშნების შინაარსი ერთმანეთის თანხვედრია. უდავოა, რომ ფქვილის კიდობნები, რომლებზეც უძველესი რელიგიური მსოფლმხედველობის შემცველი ორნამენტებია მოცემული საკულტო ხასიათს ატარებდა, რომელიც

სვანთა ქრისტიანულ სარწმუნოებას თითქმის დღემდე შემორჩა. ეს ნივთები რომელიმე წმინდანს (წმ. ლამარია, წმ. ბარბარე) ეწირებოდა ბარაქისა და დოვლათის, მოსავლისა და საქონლის გამრავლების მიზნით. ამასთანავე, ისინი გამოყენებული იყო ეკლესიაში დაცული წმინდა ნივთების (ხატები, ჯვრები, სამოსი) შესანახად.

სვანეთში ექსპედიციაში ყოფნისას გ.ჩიტაიას წმ. ლამარიისა და მაცხოვრის ეკლესიებში ერთად დაგროვილი "მცირე ხელყუთები" უნახავს, რომლებშიც სამკაული და მძივები ინახებოდა [ჩიტაია 200: 140]. ეს ხელყუთები, კიდობანის კონსტრუქციის ყუთებია – "სატრ" (სურ. №5). მსგავსი ნიმუშები აჭარიდან და რაჭა-ლეჩხუმიდან ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ხის ფონდში ინახება. ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით სვანური სატრი ტანსაცმლის კიდობანში (ლაბარგ კიბდენ), შიგნიდან მარჯვენა მხარეს მაგრდებოდა და მისი განუყოფელი ნაწილი იყო. ქალები მასში ნემსსა და ძაფს, ხელსაქმესა და ფერუმარილს ინახავდნენ. უშგულის სატრები საყურადღებოა მათზე გამოსახული მხატვრული სემანტიკის თვალსაზრისით. უმრავლეს მათგანზე შავი და წითელი ფერის საღებავებით სამკუთხედები, კვადრატები, წრე, სპირალი, წერტილები, ზიგზაგი და ტეხილი ხაზებია მოცემული. მსგავსი ორნამენტიკა გვხვდება თუშურ და ხევსურულ კულტურის ძეგლებზეც. ქართულ მითოსურ აზროვნებაში ეს გეომეტრიული ნიშნები ასტრალურ-კოსმოგენურ რწმენებსა და ნაყოფიერების კულტს უკავშირდება. ამ კუთხით საინტერესოა უშგულის მუზეუმში დაცული გვიანბრინჯაოს ხანის დისკოსებური გულსაკიდი, რომლის მხატვრული სემანტიკა სატრებზე გამოსახული ნიშნების ანალოგიური უნდა იყოს. გულსაკიდზე გამოსახული რელიეფური ორნამენტის შინაარსი ახსნილია, როგორც მზის მოძრაობის ციკლურობა, წლიური ცვალებადობა [ჩართოლანი 1996: 116]. მტკვარ-არაქსის კერამიკაზე გამოსახული ასეთი ნიშან-სიმბოლოები გააზრებულია, როგორც უზენაესი ღვთაების სიმბოლოები, რომლებიც განაგებს, როგორც ზეცას, ისე ქვესკნელს. მათ პარალელები მოეძებნებათ უძველეს (შუმერულ, ეგვიპტურ) დამწერლობებთან [ნ. შანშაშვილი, 1999:13].

განსხვავებული და უჩვეულო შემკულობით გამოირჩევა ყუთი, რომლის გვერდებსა და სახურავზე შავი საღებავით სტილიზებული ანიმალისტური ნახატებია შესრულებული. (სურ. №6). მათი კონტურები ამოკაწვრით არის გამოყვანილი. ყუთზე გამოსახული ცხოველები უნდა იყოს ლაგამ-ავშრით მორთული ცხენები. ცნობილია, რომ ძველ აღმოსავლეთსა და ანტიკურ ხანაში ცხენს მზის საკულტო ცხოველად მიიჩნევდნენ. მას დიდი პრაქტიკული გამოყენება ჰქონდა, გამწევი და ტვირთმზიდი ძალა იყო. საქართველოში ცხენის კულტის გავრცელების ფაქტს ადასტურებს არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და ენობრივი მონაცემები [ბრეგაძე 1969: 248]. ცხენი მიცვალებულის კულტს უკავშირდება. მიცვალებულისადმი მიძღვნილ დღესასწაულ ლიფანალის მხატვრობაში სვანი მანდილოსანი, სხვა ცხოველებთან ერთად, ცხენისა და მხედრის ჭრელებსაც ხატავდა. იგი წარმოსახავდა ცხოველს, რომელსაც ადამიანები სულეთში მიჰყავდა. [ბარდაველიძე 1963: 64]. მთაში გავრცელებული იყო ჩვეულება მამაკაცის დაკრძალვის

დროს ე.წ. სულის ცხენის ჭენება მანამდე, სანამ იგი არ დაიღლებოდა და საფლავთან სულს არ დალევდა. სულის ცხენს საუკეთესოდ რთავდნენ და ალამაზებდნენ. ყურადღებას იქცევს ის, რომ უშგულის ყუთების მოსახატავად ორი ფერის საღებავია გამოყენებული – შავი და წითელი, რომელთაც მაგიურ-აპოტროპიული მნიშვნელობა მიეწერება. წითელი და შავი ფერი საქართველოში გლოვის ფერიც იყო. სვანეთში ქალებს ბოლო დრომდე სცოდნიათ სამგლოვიარო სამოსად მუქი წითელი ფერის თავსაბურავის გამოყენება. შავი ფერის ტანისამოსს ქალები ზოგჯერ წითელსაც გაურევდნენ ხოლმე [ბეზარაშვილი, 1970: 186]. ძველსვანურ ეპოსში – ბეთქილ, კარგად არის აღწერილი გლოვის სვანურ წესთან დაკავშირებული რიტუალი და სამგლოვიარო წითელი თავსაბურავის გამოყენების ფაქტიც. რაც შეეხება სატრს, ე. კოჟევნიკოვას მიერ ბალსქვემოთ ჩაწერილი მასალის მიხედვით ახალგაზრდა მიცვალებული ქალის სულის მაგიდაზე, სხვა ნივთებთან ერთად აუცილებლად უნდა ყოფილიყო ხელსაქმისა და სამკაულების შესანახი მცირე ზომის ყუთი. ყოველივე აღნიშნული მეტყველებს იმაზე, რომ უშგულის ეკლესიებში შეწირული სამკაულის ყუთები საკრალური სიმბოლოებით, მიცვალებულის სულის შესაწირი უნდა ყოფილიყო.

უშგულის ციხე-სახლის მესამე სართულზე ექსპოზიციაში ბევრი სარიტუალო დანიშნულების ნივთია გამოფენილი. მაგალითად,ავგაროზი დუა (სურ. №7). იგი ლითონის ბუდეა, რომელშიც შესალოცი ქაღალდია ჩადებული. ბ. ნიჟარაძის ნაწერების მიხედვით სვანები ავი თვალის აცილებისთვის ბალყარეთიდან გადმოტანილ, ტყავის ბუდეში ჩასმულ შელოცვილ ქაღალდს – დუას იყენებდნენ. მას ან ყელზე ჩამოკიდებულს ატარებდნენ, ან ტანსაცმლის მარჯვენა მხარეს იღლიასთან იკერებდნენ [ნიჟარაძე 1964: 54). მსგავსი ამულეტები (ზოგი ტყავისა და ზოგიც ლითონის ბუდეში ჩასმული) ს. ჯანაშიას საქართველოს მუზეუმის აღმოსავლურ ფონდშიც არის დაცული. საინტერესოა ის ფაქტი,რომ შესალოც ქაღალდზე არაბულად ყურანის ლოცვაა დაწერილი. ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში მსგავსი ფაქტები მრავლად მოიპოვება. მაგალითად,ბორჩალოელი თათრები ავი თვალის ასაცილებლად ქართულ ლოცვაჩაკერებულ ავგაროზებს ატარებდნენ. გ. ჩურსინს XX საუკუნის დასაწყისში აღწერილი აქვს გიორგობის დღესასწაული ალავერდის ტაძარში, სადაც სამსხვერპლო ცხოველს (ცხვარი) სწირავდა აზერბაიჯანელი, მუსლიმანი მოსახლეობა. მათვე მიჰქონდათ ხატში შესაწირად წმ.გიორგის გამოსახულებიანი შანები [Чурсин 1925: 13]. როგორც ჩანს ხატის სიძლიერე,შესალოცი ტექსტისა და მაგიური სიტყვების ძალა იმდენად ძლიერი იყო,რომ სარწმუნოებრივი და ენობრივი სხვაობა მათთვის ნაკლებად მნიშვნელოვანი ხდებოდა.

მუზეუმის კოლექციებში ისრების, ისრის პირების, ტყვიების, საპირისწამლის, დანების არსებობა კულტის ობიექტად იარაღის გამოყენებაზე მიუთითებს. იარაღის საკულტო ნივთად გამოყენების ფაქტი მრავლად დასტურდება, როგორც ეთნოგრაფიული, ისე არქეოლოგიური მონაცემებით [ჩართოლანი 1998 : 286].

სვანეთის სალოცავები მორწმუნეებს იზიდავდა არა მარტო სვანეთის თემებიდან, არამედ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდანაც. ამის შესახებ მეტყველებს ის შესანიშნავი ძვირფასი ჭურჭელი, რო-

მელიც უშგულის მუზეუმშია დაცული. ზოგიერთ მათგანზე მოცემული წარწერა უადრესად მნიშვნელოვანია, რადგან მათში დასახელებულია სრულიად გარკვეული ისტორიული პირები. ამ მხრივ საყურადღებოა იასონ ერისთავის მიერ შეწირული სპილენძის ორი თეფში, თეფშები აღნაგობა-მოყვანილობითა და ზომებით XVII ს-ის საქართველოში გავრცელებული თეფშების მსგავსია [კიკნაძე 1974: 24]. თეფში არის უქუსლო, გადაშლილი პირითა და ბრტყელი ძირით, რომლის ცენტრში წრიული ხაზებია გამოყვანილი. თეფშს გვერდზე ამოღარული აქვს მხედრული წარწერა: "ქ. იასონ. ერისთვსა." ამ პიროვნების შესახებ სარწმუნო ცნობებს გვაძლევს ვახუშტი ბატონიშვილი. როგორც ირკვევა, იგი მეფე ვახტანგ V შაჰნავაზის თანამედროვე იყო. 1660 წელს მონაწილეობდა ზაალ არაგვის ერისთავის მკვლელობაში, რის სანაცვლოდაც მეფემ მას ქსნის ერისთავობა და დედოფლის სახლთუხუცესობა უბოძა [ქართლის ცხოვრება, 1975; 448] (სურ.№8). XVII საუკუნის ლითონის ჭურჭელთა ჯგუფს მიეკუთვნება ბეჟან ლორთქიფანიძის მიერ შეწირული ვერცხლის ჯამი, უქუსლო, ღრმა, მრგვალმუცლიანი, ძირისკენ ოდნავ შევიწროებული. გვერდზე პირის გარშემო მიუყვება წარწერა: "ქ: ეს: ჯამი ბეჟან: ლორთქიფანიძის:" ბეჟან ლორთქიფანიძე ერთ-ერთი მონაწილე ჩანს იმ გაუთავებელი შუღლისა და ბრძოლებისა, რომლებსაც ადგილი ჰქონდა XVII–XVIIIს-ის დასაწყისში დასავლეთ საქართველოში. იგი შოშიტა რაჭის ერისთავთან ერთად იბრძოდა ალექსანდრე მეფის წინააღმდეგ (სურ..№9) [ქართლის ცხოვრება 1974: 847].

სვანეთის ეკლესიები შეწირული ცხოველების რქებით და მათგან დამზადებული ყანწების სიმრავლით გამოირჩეოდა. ყანწების დამზადებისა და შეწირვის სარწმუნოებრივი ტრადიცია მთელ საქართველოში იყო გავრცელებული. იგი უძველესი დროიდან მომდინარეობს და უწყვეტად დღემდე გრძელდება. ყანწებს რიტუალური დანიშნულების გარდა პრაქტიკული გამოყენებაც ჰქონდა. რელიგიური, სათემო დღესასწაულების დროს ისინი სასმისებად გამოიყენებოდა. მესტიის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმის ექსპოზიციაში წარმოდგენილია იენაშის იონა წინასწარმეტყველის ეკლესიის XI ს. ყანწი. მასზე მოცემული ასომთავრული წარწერა გვამცნობს, რომ იგი წმინდა იონა წინასწარმეტყველისთვის შეუწირავს ვინმე არონას [ვ.სილოგავა, 1988, 261]

უშგულის დედა ღვთისმშობლისთვის შეუწირავს ჯიხვის ყანწი რაჭის ერისთავს მერაბ წულუკიძეს. ყანწი ვერცხლის ჭედური ფირფიტებითა და ვერცხლისავე ძეწკვით არის შემკული. მასზე მოცემულია მხედრული წარწერა: „ქ: ღმრთის: მადლს ამ: ვარდს: შავი: ყირმიზი: ღვინო: ხელთ: მეჭიროს: ვარდი: თავს: მერჭოს: ამ ვარდს: ვერ: ხედავ: დალიე: ღმრთის: მადლს:

ქ: ესე: ქარახსი: წულუკიძის: მერაბის: არის.."

მერაბ წულუკიძე ცხოვრობდა მე-18 საუკუნის დასაწყისში. იგი რაჭის ერისთავთა საუკეთესო წარმომადგენელი იყო. უშგულში არსებობდა გადმოცემა, რომლის მიხედვითაც თავად მერაბ წულუკიძეს ლამარიას ეკლესიისთვის ემართა შესაწირი-ყოველწლიურად 18 კასრი ღვინო. ამის დამადასტურებელი სიგელიც კი არსებობდა. ერთხელ თურმე მის მოპარვასა და წულუკიძისთვის გადაცემას აპირებდნენ თავადის

ახლობელი რაჭველები, თუმც უშგულელებმა დროზე შეიტყვეს და ეს სიგელი უკან დააბრუნეს (ბ.ნიჟარაძე, 1964.გვ.92).

ეს დიდებული თავადი გამოსახულია ხოტევის მაცხოვრის ეკლესიის ფრესკაზე. დასავლეთ კარის მხედრული წარწერა გვამცნობს, რომ ეკლესია აღაშენა წულუკიძე მერაბმა და მისმა თანამეცხედრემ ჩიჯავაძის ქალმა [ბოჭორიძე 1933: 25] ამ ეკლესიის ისტორიულ ფრესკებს ახლავს ლექსი, რომელშიც მერაბ წულუკიძე სიამაყით მოიხსენიებს თავის აღმზრდელს, ოდიშის მმართველს ლევან II დადიანს: "ქ. მე: დადიანმა: გამზარდა: ლევან: მღვთივ: დოვლათიანმა: სრულ: მას: მონებდა: ქვეყანა: დაიპყრო: მრავალყმიანმა:.." სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში ლევან II დადიანის საოქრომჭედლო სახელოსნოს რამდენიმე ძვირფასი ნივთია დაცული. ორი ვერცხლის ჯამი კი უშგულის მუზეუმში ინახება. წარწერიანი ჭურჭელი მუზეუმის კოლექციებიდან ადასტურებს, რომ მას ისინი საგანგებოდ შეუწირავთ უშგულის სალოცავებისადმი.

მუზეუმის საცავსა და ექსპოზიციაში XVIII–XIX სს. ქართული თუ უცხოური ჭურჭელიც არის დაცული. ყოველივე მეტყველებს იმაზე, რომ სვანეთი არასოდეს ყოფილა დედასაქართველოსგან მოწყვეტილი. იგი მთელი ისტორიის განმავლობაში ქვეყნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ და კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა.

და ბოლოს აღვნიშნავთ, რომ მატერიალური კულტურის ძეგლები, რომლებიც ამ ისტორიულ მხარეშია შემონახული შემდგომ დაცვასა და მეცნიერულ შესწავლას მოითხოვს. მათი პუბლიკაცია კი სვანეთის მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის წარმოჩინებასა და პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს

ETHNOGRAPHY/ETHNOLOGY

MANANA KHIZANASHVILI

Georgian National Museum, Rustaveli Avenue 3, 0105 Tbilisi, Georgia,
Email:etnomanana@yahoo.com

CONCERNING THE STUDY OF THE ETHNOGRAPHICAL COLLECTIONS OF THE SVANETI MUSEUM OF HISTORY AND ETHNOGRAPHY (Ushguli)

SUMMARY

Svaneti , one of the most beautiful regions of Georgia, is a real treasure of cultural heritage. Ushguli is especially wealthy with material values. In 1988 one of the branches of the Svaneti Museum of History and Ethnography (this complex is

inscribed on the World Heritage List by UNESCO from 1996) in village Chazhash (Ushguli community) was established in a tower-house.

In the establishment of this branch a great service was performed by Mr. Levan Chilashvili who was Director of the S. Janashia Georgian National Museum in that time. The new museum was founded on the basis of the heritage preserved in the churches.

In 2008-2009 a comprehensive list of collection inventory was created and digitalization was carried out with the contribution of UNESCO of the collections. For each collection inventory cards and forms of condition reports were created as well.

In this article ethnographical collections of the Ushguli Museum are examined, which are examples of the material culture used in daily life and at the same time they had cult-ritual meanings.

These are precious metal vessels, silver jewelry, ritual accessories, ornamented chests, metal vessels with inscriptions, purses. Majority of artifacts are donations for churches.

The collections kept in the Ushguli Museum bear Georgian traditions and individual originality that are characteristic for ethnoculture of Svaneti.

The artifacts from Svaneti are worth of future scientific study that will help to appretiate Georgian material heritage.

ბიბლიოგრაფია

1. **აბაკელია ნ. 1997:** სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში. თბილისი.

2. **ბარდაველიძე ვ. 1953:** ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები. თბილისი.

3. **ბარდაველიძე ვ. 2003:** ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან ღვთაება ბარბარ-ბაბარ. თბილისი.

4. **ბარდაველიძე ვ. ჩიტაია გ. 1933:** ქართული ხალხური ორნამენტი 1, ხევსურეთი. თბილისი.

5. ბეთქილ, 1967: სვანური ეპოსი, თბილისი.

6. **ბრეგაძე ნ. 1968:** მთის მიწათმოქმედება დასავლეთ საქართველოში. თბილისი.

7. **თაყაიშვილი ე. 1933:** ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში, 1910 წელს. პარიზი.

8. **კიკნაძე გ. 1974:** ლითონის ჭურჭლის კატალოგი. თბილისი.

9. **ნიჟარაძე ბ. 1964:** ისტირიულ–ეთნოგრაფიული წერილები. თბილისი.

10. **სილოგავა ვ. 1988:** სვანეთის წერილობითი ძეგლები. თბილისი

11. ქართლის ცხოვრება 1975: თბილისი.

12. **შანშაშვილი ნ. 1999:** ნიშნები და სიმბოლოები მტკვარ-არაქსის კერამიკაზე. თბილისი.

13. **ჩართოლანი შ. 1996:** ძველი სვანეთი. თბილისი.

14. **ჩიტაია გ. 2000:** სვანური "საკურცხილ". თბილისი.

15. **ბეზარაშვილი ც. 1970:** სვანი ქალის სამოსი = სსმმ., მ.

ჩართოლანი (რედ) თბილისი გვ. 156- 193.
16. ბედუკიძე ლ. 2004: სვანური კიდობანი = სსმმ.,ლ. ჭილაშვილი (რედ) თბილისი. გვ. 219-224.
17. ბოჭორიძე გ. 1933: რაჭის ისტორიული ძეგლები = სსმმ., ჯანაშია ს. (რედ) თბილისი გვ. 193-200.
18. ჩართოლანი მ. 1976: 1972 წლის სვანეთის სამეცნიერო ექსპედიციის ანგარიში. = სსმმ., ჭილაშვილი ლ. (რედ) თბილისი გვ. 252-280.
19. ჩართოლანი მ. 1977: სვანეთი, ჯალაბაძე გ. (რედ) თბილისი. გვ 5-9.
20. Чурсин Г. 1925: Амулеты и талисманы Кавказских народов. Тбилиси.

ილუსტრაციების აღწერილობა

სურ. 1. ჩაჟაშის ციხე-სახლი.
სურ. 2. შეწირული სამაჯურები და სასაფეთქლეები.
სურ. 3. შეწირული ქისები.
სურ. 4. კიდობანი.
სურ. 5. ყუთი “ სატრი”.
სურ. 6. ყუთი “სატრი”.
სურ. 7. ამულეტი “დუა”.
სურ. 8. იასონ ერისთავის მიერ შეწირული თეფში.
სურ. 9. ბეჟან ლორთქიფანიძის მიერ შეწირული ჯამი.
სურ. 10. მერაბ წულუკიძის მიერ შეწირული ყანწი.

LIST OF ILLUSTRATIONS

Fig. 1. Tower-house in village Chazchash.
Fig. 2. Donative bracelets.
Fig. 3. Donative purses.
Fig. 4.Wooden chest.
Fig. 5. Box “satr”.
Fig. 6. Box “satr”.
Fig. 7. Amulet “dua”.
Fig. 8. Dish donated by Iason Eristavi.
Fig. 9. Cup donated by Bezhan Lortqifanidze.
Fig. 10. Bowl donated by Merab Culukidze.

სურ. 1 Fig.



სურ. 2 Fig.

სურ. 3 Fig.

სურ. 4 Fig.

სურ. 5 Fig.

სურ. 6 Fig.

სურ. 7 Fig.

სურ. 8 Fig.

სურ. 9 Fig.

სურ. 10 Fig.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. სოციალურ მეცნიერებათა სერია №1 (46-B), 2010, 355-375
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences №1 (46-B), 2010, 355-375

ისტორია

თეიმურაზ ბერიძე

საქართველოს ეროვნული მუზეუმი, რუსთაველის გამზირი 3, 0105,
თბილისი, საქართველო

თბილისური სამეფო სასახლეების ისტორიისათვის

ქართულ საისტორიო წყაროებში თბილისი პირველად IV საუკუნის მეორე ნახევარში, კერძოდ 368 წელს მოიხსენიება, მაშინ როდესაც ქართლში ირანის შაჰმა მოხელე-პიტიახში წარგზავნა – „და მაშინ მოვიდა ქრამ ხუარბორზარდ, სპარსთა მეფისა პიტიახში, ტფილისად ქალაქად, ციხედ, და ქართლი მისსა ხარკსა შედგა...“ (მოქცევაჲ ქართლისაჲ“ 1979: 325).

XI საუკუნის ისტორიკოსი მოგვითხრობს: „მოვიდეს სპარსნი პირველად სომხითს, და მოაოჭრეს, და შემოვიდეს ქართლს, და აღაშენა ერისთავმან სპარსთამან ტფილისი კართა შორის ციხედ მცხეთისა“ (ლეონტი მროველი, 2008: 147).

ამგვარად, პირველ შემთხვევაში პიტიახში მოდის „ტფილისად ქალაქად, ციხედ.“ წყაროს მიხედვით, თბილისი ციხე-ქალაქია, ხოლო მეორე შემთხვევაში კი სპარსმა მოხელემ თბილისი „აღაშენა... კართა შორის ციხედ მცხეთისად.“

აღშენება,ძველ ქართულში ნიშნავდა როგორც ახლის აგება-აშენებას, ისე ძველის, არსებულის აღდგენა-შეკეთებას. ამ შემთხვევაში, „აღაშენა“ უკვე არსებული ციხის აღდგენა-გამაგრებას უნდა ნიშნავდეს და არა ახალი ციხის აგება-აშენებას.

უკვე აღვნიშნე, რომ ირანის პიტიახში ქართლის დაპყრობისთანავე იწყებს თბილისის ციხის აღშენება-შეკეთებას ან უფრო მეტად გამაგრებას. ამჯერად, ვრცელ ამონარიდს დავიმოწმებ. მას შემდეგ, რაც ირანის პიტიახშმა, მიხედა თბილისის ციხეს (შეაკეთა, გაამაგრა), ქართლის მეფე ვარაზ-ბაქარ მირდატ მეფის ძე დამპყრობელს „ეზრახა შევრდომით და ითხოვა მშჯდობაჲ,“ პიტიახში ქართლის მეფეს „ჰრქუა... მომეც რანი და მოვაკანი, რამეთუ საზღვართა სპარსეთისაგანი არს...“ ქართლის მეფემ, უყოყმანოდ შეასრულა პიტიახშის მოთხოვნა „ხოლო მან ერისთავმან მისცა ციხე ტფილისისაჲ და წარვიდა“ (ლეონტი მროველი, 2008: 148).

თითქოსდა დიდი არაფერი მომხდარა, მაგრამ თუ დავაკვირდებით, ისტორიკოსი მეტად მნიშვნელოვან ამბავს გვიამბობს, რომელიც თვალნათლივ ადასტურებს IV საუკუნეში თბილისის ციხის, როგორც მნიშვნელოვანი სტრატეგიული ობიექტის არსებობას.

ამ ფაქტის კიდევ ერთი დასტურია მეფე ვახტანგ გორგასლის გადაწყვეტილება სამეფო ტახტის მცხეთიდან თბილისში გადმოტანის შესახებ.

ქართლის მეფე იწყებს თავისი განზრახვის განხორციელებას, თბილისი შენდება. მემატიანე გვიამბობს: „ვახტანგ აშენებდა ქალაქსა ტფილისსა, და საფუძველი ოდენ დაედვა“ (ჯუანშერი, 2008: 216).

მაგრამ, ვახტანგ გორგასლის განზრახვა ვერ განხორციელდა.

502 წელს უჯარმის მახლობლად დარფაკთან ირანელებთან გამართულ ბრძოლაში სასიკვდილოდ დაიჭრა.

მამა-მეფის მიერ დაწყებული საქმე მეფე დაჩიმ დაასრულა. მან „განასრულნა ზღუდენი ტფილისისანი, და ვითარ ებრძანა ვახტანგს, იგი შექმნა სახლად სამეფოდ“ (ჯუანშერი, 2008: 221).

ბუნებრივია, სამეფო-სატახტო ქალაქში მეფეს ნაგებობა-სასახლე ექნებოდა, მაგრამ, ქალაქის რომელ ნაწილში?

VI ს. 30-იან წლებში ირანი ქართლში მეფობას აუქმებს.

და ქვეყნის გამგებლად თავის მოხელეს მარზაპანს (მარზპანს) ნიშნავს.

VI საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ქართლის ერისთავთა ერისთავია გუარამის ძე სტეფანოზ I.

„...მოკუდა გუარამ კურაპალატი. და დაჯდა ძე მისი სტეფანოზ, მეფობისა სახელი ვერ იკადრა სპარსთა და ბერძენთა შიშისაგან, არამედ ერისთავთა მთავრად ხადოდეს.“

X საუკუნის სომეხი ისტორიკოსი გვიამბობს VII ს. ქართველთა და სომეხთა განხეთქილების შესახებ. იგი თბილისის სამეფო სასახლესაც მოიხსენიებს – „ხოლო მერე წავიდა კირონთან შესახვედრად ქალაქს, რომელსაც ეწოდება თბილისი (ტფდის-თ.ბ.)... იგი წმიდა სიონის ფარეხში იყო, რომელიც სამეფო სასახლის ახლოს მდებარეობდა,“ (უხტანესი, 1975: 43).

მონათხრობიდან ვიგებთ, რომ სიონის ფარეხი-ეზო, სადაც კათალიკოსი კირონი ბრძანდებოდა, სამეფო სასახლესთან ახლოს მდებარეობდა.

სარგის კაკაბაძე წერდა: „როგორც ზოგი ცნობიდან ჩანს, სასახლე იყო ახლოს სიონის ტაძართან, მაშასადამე უფრო სიონის ტაძარსა და ხიდს (მეტეხის-თ.ბ.) შორის“ (კაკაბაძე, 1959: 32). ამონარიდი გვაუწყებს მეცნიერის ვარაუდს, რომ სამეფო სასახლე (VI-VII სს.) უნდა მდგარიყო, სიონის საყდრის სამხრეთით – მტკვრის მარჯვენა ნაპირთან ახლოს – მეტეხის ხიდსა და სიონს შორის. პირადად მე ამ მოსაზრებას არ ვეთანხმები, რამეთუ უხტანესი სამეფო სასახლის ადგილმდებარეობაზე ზოგად ცნობას გვაწვდის, ამდენად, სავარაუდოა, რომ სამეფო სასახლე შეიძლებოდა მდგარიყო როგორც საყდრის სამხრეთით, ისე დასავლეთით და ჩრდილოეთითაც.

ვფიქრობ, რომ წყაროში მოხსენიებული სამეფო სასახლე გუარამის ძე ერისთავთა ერისთავს სტეფანოზ პირველს ეკუთვნოდა, რომელმაც „მეფობისა სახელი ვერ იკადრა სპარსთა და ბერძენთა შიშით.“

ახლა რაც შეეხება სამეფო სასახლის ადგილსამყოფელს.

ჩემი ვარაუდით, სამეფო სასახლე სიონის ტაძრიდან სამხრეთ-დასავლეთით უნდა მდგარიყო. ასეთი მოსაზრების გამოთქმის უფლებას მა-

ძლევს „აბო თბილელის წამებაში“ იოვანე საბანის ძის მონათხრობი: „...ხოლო მსახურთა მათ გამოიყვანეს გარეშე კართა, ეზოსა მას ტაძრისასა...“ აბო ამირას სასახლის შორიახლოს მდებარე საყდართან მიიყვანეს „სადა-იგი მოჰკვეთეს თავი წმიდასა მას მოწამესა, კართა ზედა იყო წმიდისა ეკლესიისათა, რომელი სახელად წმიდათა ორმეოცეთა დაფუძნებულ იყო“ (იოვანე საბანისძე, 1957: 464-465). ამგვარად, აბო სიკვდილით დაუსჯიათ, ამირას სასახლის ეზოსთან ახლომდებარე წმიდა ორმეოცეთა ეკლესიასთან. ცნობილია, რომ იგი მდებარეობდა ბოტანიკური ბაღის ასასვლელის და სამღებროს ქუჩის შესაყარზე, სადაც გვიან შუა საუკუნეებში წმ. მთავარანგელოზის საყდარი იდგა (დღეს იქ უკვე წმიდა ორმეოცეთა მართლმადიდებლური საყდარი ფუნქციონირებს). ყოველივე თქმული, ხილულს ხდის საკვლევ საკითხს, რაც უფლებას მაძლევს ვთქვა, რომ VIII საუკუნეში აღნიშნულ ადგილას თბილისის ამირას სასახლე იდგა, რომელიც წინა საუკუნეების ტრადიციას იმეორებდა და იგი 607 წელს ეპისტოლეთა წიგნში მოხსენიებული სიონის ეკლესიის სიახლოვეს მდგარი სამეფო სასახლე უნდა იყოს.

VIII საუკუნის დასაწყისიდან თბილისი საამიროს ადმინისტრაციული და პოლიტიკური ცენტრი გახდა, სადაც ხალიფას მიერ ხელდასხმული ამირა იჯდა. X საუკუნის შუახანებში თბილისს ეწვია არაბი გეოგრაფი, მოგზაური და ვაჭარი იბნ ჰაუკალი, რომელიც ქალაქ თბილისის ბაზრების, აბანოების, წისქვილების შესახებ მეტად საინტერესოდ გვიამბობს. ასევე, აღწერს თბილისის ამირას კარზე მის პატივსაცემად გამართულ მეჯლისს – „მაშინ მოწვეულ იქნა ჩემთვის მეჯლისი... ქალაქის ამირას კარზე.“ ეჭვგარეშეა, მოგზაურის „ამირას კარზე“ მიწვევა და იქ მეჯლისის გამართვა, ამირას სასახლეში ხდებოდა.

თბილისის ამირას სასახლის შესახებ, ცნობას ვხვდებით, აგრეთვე „მატიანე ქართლისაჲში.“ ისტორიკოსი გვიამბობს 1045 წელს ქალაქის ბერების მოწვევით მეფე ბაგრატ მეოთხის თბილისში შემოსვლის ამბავს. „შეიყვანეს და მოავლეს ქალაქი, ასხმიდეს დრამასა და დრაჰკანსა, და მოართუნეს კლიტენი ქალაქისანი და შეიყვანეს საამიროსა დარბაზსა”. (მატიანე ქართლისაჲ, 2008: 283). აქაც, ამირას დარბაზი, ამირას სასახლეა. მივყვეთ ისტორიკოსის თხრობას. ამის შემდეგ, დაიწყო ქალაქ თბილისის დამცველი ციხე-კოშკების აღება-დაკავება, ჯერ „აღიღო ციხე ქალაქისა დარიჯელი“ (ქალაქის მთავარი ციხე – „კალა“), შემდეგ „ორნივე კოშკნი წყალყინისანი“ (აღნიშნული ორივე კოშკი, დღესაც ბოტანიკური ბაღის შესასვლელთან დგას, წავკისისწყლის მარცხენა ნაპირზე), შემდეგ დაიკავა და აიღო წავკისის წყლის მარჯვენა ნაპირზე ქალაქ თბილისის სამხრეთის მხრიდან დამცველი ციხე თაბორი.

ბაგრატ მეფემ მტკვრის მარცხენა ნაპირზე გადასვლა და ისნის ციხის აღება ვერ მოახერხა, რამეთუ „ისნელთა ჩააგდეს ჴიდი.“

ქრონიკის ცნობა ყურადსაღებია იმით, რომ ჯერ კიდევ XI საუკუნის შუახანებში ამირას (სამეფო) სასახლე ქალაქის დამცველ არც ერთ ციხეში არ იდგა.

იყო 1184 წელი.

გარდაიცვალა საქართველოს მეფე გიორგი მესამე (1156-1184 წწ.). მეფის გარდაცვალების ამბავი თამარ მეფეს თბილისში ისნის ციხეში ყოფნისას აუწყეს. მემატიანე მეტად მხატვრულად და ემოციურად გადმოგვცემს ამ ამბავს – „ესერა ესევითარი საგოდი და მოსაწევარი მოსაწევართა... ესმა... მეფეთმეფისაგან მეფედ ქმნულსა თამარს ქალაქსა შინა ტფილისსა, საჯდომსა მათსა ციხესა ისანს, ყოვლითურთ სამოთხის მსგავსი სამყოფი იქმნა მსგავს ჯოჯოხეთისა... და წარსრულმან პატრიარქმან და დიდებულთა კმასაყოფელთა წარმოიყვანეს სამშვილდით... და მეფისა, დედოფალი რუსუდან თანა გაზრდილისა მისის... ცრემლითა, შევიდეს ტაძარსა სამეუფოსა“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. 2008: 399:400).

თხზულებიდან მოყვანილი ამონარიდი გვიჩვენებს, რომ XII საუკუნეში ქალაქ თბილისში, სამეფო სასახლე მტკვრის მარცხენა ნაპირზე ისნის ციხეში იდგა.

1195 წელს ქართველთა ჯარმა შამქორში ილაშქრა.

შამქორის ომში ქართველთა გამარჯვების ამბავი, ტაბახმელაში მყოფ თამარ მეფეს მანდატურთუხუცესმა ჭიაბერმა ახარა – „მაშინ წარმოგზავნეს მახარობლად მანდატურთ-უხუცესი ჭიაბერ. და მოვიდა ტაბაჭმელასა და ჰკადრა თამარს საქმე აღსავსე სიხარულითა გამოუთქმელითა.“ ამ ამბის გაგების შემდეგ, თამარ მეფე თბილისში გამოემგზავრა. ისტორიკოსი აგრძელებს თხრობას – „და ქალაქს სლვისა გამომრჩეველნი მივიდეს სრასა. და მოვიდა მეფე და მის წინაშე ლაშქარნი, სავსენი წყალობითა ღმრთისათა...“

დრო გადიოდა.

იყო 1226 წელი, თბილისს აურაცხელი ჯარით შემოესია, ხორეზმის სულთანი ჯალალ ედ–დინი. საქართველოს მეფე რუსუდანი გახლავთ.

რუსუდან მეფემ „ვითარ ცნა... მოსვლა სულტანისა, აიყარა და წარვიდა ქუთათისს,“ მეფემ ქალაქის დაცვა ბოცოს ძეთ მემნას და ბოცოს დაავალა. მემნა ქალაქის ზღუდესთან ერთ-ერთი ბრძოლის დროს მოკლეს განძის (განჯის-თ.ბ.) კართან” შინაგამცემლების წყალობით, ირანელ მეციხოვნეთა დახმარებით ჯალალ ედ – დინმა აიღო ქალაქის მთავარი დამცველი კალას ციხე და მტკვრის მარჯვენა მხარეს მდებარე ქალაქს დაეპატრონა. ბოცოს ძე დარჩენილი ჯარით მტკვრის მარცხენა ნაპირზე გადავიდა და „შედგეს ისანთა.“

სულთანმა ქალაქში საშინელება დაატრიალა – „ყვირილთა ზახილთა და ვაებათა საზარელთა ხმათაგან იძვროდა ქალაქი ყოველი.“

ბოცოს ძემ „...გაამაგრა ისანი და ქმნა ძლიერი ომი.“ ჟამთააღმწერელი აგრძელებს „ვინმე ბერი მღვდლის“ ნაამბობს, რომ ქუთაისში მყოფმა „წარმოავლინა მეფემან რუსუდან კაცნი ბოცოსა და სხუათა მცველთა ქალაქისათა, რათა დაუტევონ ისანი და წარვიდენ.“

დამოწმებული ამონარიდი, საინტერესოა იმით, რომ მეფის ბრძანება, ბოცომ „დაუტევონ ისანი და წარვიდენ“ მიგვანიშნებს იმაზე, რომ ბოცოს ისანი უბრძოლველად დაუტოვებია.

ამასობაში, მონღოლები ბრძოლით მოიწევდნენ დასავლეთისაკენ და სულ უფრო და უფრო მეტ ქვეყანას იპყრობდნენ. სულთანს მოახსენეს საქმის ვითარება, მონღოლთა მიერ განძის (განჯის) აღება, ქალაქის

სულ ერთიანად აოხრება, „...ამისი მცნობელი სულტანი მსწრაფლ აიყარა დედაწულითა.“ სულთანმა მიატოვა თბილისი და „ივლტოდა საბერძნეთად.“ გზადაგზა მას შემოეცალნენ თანმხლებნი, ყველასაგან მიტოვებული, გზად მიმავალი მარტოდ დარჩენილი ჯალალ ედ-დინი მოკლა მავანმა კაცმა „...სულტანი მარტო დაშთა. სადა-იგი მიიწია სოფელსა რომელსამე შეურაცხსა (უცხო, უცნობ-თ.ბ.), იხილა იგი კაცმან ვინმე შეურაცხმან და მოაკუდინა“ (ჟამთააღმწერელი, 2008,: 546).

მეფე რუსუდანმა მიატოვა ქუთაისი და თბილისში დაბრუნდა, მაგრამ, თბილისში ყოფნა დიდხანს არ დასცალდა. 1235 წელს ქვეყანას მონღოლები მოადგნენ. რუსუდან მეფე იძულებული იყო მიეტოვებინა თბილისი და ქუთაისში გადასულიყო. ამჯერად, თბილისი მუხას ძეს ჩააბარა, მეფემ დაუბარა „რომელ უკუეთუ მოვიდენ თათარნი, რომელ მოწუას ტფილისი, თვინიერ პალატისა და ისანთა.“ რათა მონღოლებს ხვარაზმელების დარად, არ გაეხადად იგი თავიანთ სამყოფელად – „რომელ არღარა იპყრან სახლად ვითარ ხუვარაზმელთა.“ მუხას ძემ მეფის ბრძანება პირნათლად შეარულა, როგორც კი მონღოლები მოუახლოვდნენ ქალაქს „მოწუა სრულიად ქალაქი თჳთ პალატი და ისანნი, და ესრეთ მოოჴრდა ქალაქი ტფილისისა.“

მონღოლებმა გადამწვარი, განადგურებული თბილისი დაიპყრეს.

რუსუდან მეფე 1245 წელს გარდაიცვალა.

1248 წელს მონღოლეთის ყაენის მიერ ხელდასხმული საქართველოს მეფეები, დავით VII ულუ გიორგი ლაშას ძე და დავით VI ნარინი რუსუდან მეფის ძე მონღოლეთიდან თბილისში დაბრუნდნენ. „დასხდეს ტახტსა მამათა მათთასა ტფილისს დავით და დავით, – ორნივე“ – გვაუწყებს მემატიანე. ორმეფობა ბიძაშვილ, მამიდაშვილის სახელმწიფოს ერთობლივი მართვა-გამგებლობა დიდხანს არ გაგრძელებულა, XIII საუკუნის 50-იან წლებში დავით VI ნარინი გადადის ლიხს იქეთ „და მეფე-იყვეს დავით აფხაზთა ვიდრე ლიხთამდე“.

მსურს ზემოთქმულს დავუბრუნდე, მას შემდეგ რაც მუხას ძემ თბილისი ერთიანად გადაწვა და ააოხრა, მონღოლებმა „ქალაქი ტფილისი მათვე დაიჭირეს და იწყეს შენებად.“ ისტორიკოსი არას ამბობს თუ რა სახის საამშენებლო სამუშაოები ჩაატარეს მონღოლებმა, რა აღადგინეს დანგრეულ ქალაქში.

ისტორიკოსის მონათხრობი „იწყეს შენებად,“ ეხება თუ არა, სამეფო სასახლეს – ისანში მდებარე „პალატს?“

მეფე დავით მეშვიდე (ულუ) დიდი პატივით სარგებლობდა ყაენის კარზე.

ჟამთააღმწერელი წერს, რომ ბათო ყაენმა მეფე დავით მეშვიდეს საგანგებოდ გამოუგზავნა ელჩი „და მოუწოდა მეფესა დავითს.“ დავით ულუმ გამგზავრების დროს ქვეყანა ჩააბარა დედოფალ ჯიგდა-ხათუნს და მესტუმრე ჯიქურს, რომელიც მეფის „ეროგული მეფეთა უმეტეს ყოველთა კაცთასა იყო.“ „რომელმან აღაშენა ისანთა პალატი განგებითა დიდითა“ (ჟამთააღმწერელი, 1987: 110:111). მესტუმრე ჯიქურის მეფის კარზე აღზევება და დიდება დიდხანს არ გაგრძელებულა. 1251 წ. დედოფალი ჯიგდა-ხათუნი გარდაიცვალა. მეფე დავით მეშვიდემ რაჭის ერისთავის კახაბერის ძის ასულზე, ავაგ ათაბაგის ქვრივ გვანცაზე იქორ-

წინა. ისტორიკოსი მოგვითხრობს: „ამის გუანცას დედოფლობა მძიმედ უჩნდა მესტუმრესა ჯიქურს, რამეთუ მტერ იყვნეს.“ გუანცა დედოფალს მესტუმრე ჯიქური სძულდა, დედოფალ ჯიგდა-ხათუნთან სიახლოვისა და ერთგულების გამო. ძირძველი ქართველი დიდგვაროვანნი კი შურით იყვნენ აღვსილნი ჯიქურისადმი მეფე დავითის კეთილგანწყობის გამო. ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ, რომ ეს დამოკიდებულება გაუარესებულიყო, ურთიერთობა შეწყვეტილიყო. ასეთი დროც დადგა. ურდოდან დაბრუნებულ მეფე დავითთან მესტუმრე-ჯიქური დააბეზღეს, ვითომდა იგი, მეფის უჩუმრად ყაენს არასწორ ცნობებს აწვდიდა. დამბეზღებლებმა იცოდნენ, რომ მეფე დავით ულუ მალემრწმენი იყო, მეფის სწორედ ამგვარი ხასიათის გამო გამოიყენეს მათ ეს ხრიკი. აღნიშნული „ბრალდების“ მოსმენის შედეგად განრისხებულმა მეფე დავითმა ბრძანა მესტუმრე ჯიქურის მასთან მიყვანა „და წარადგინეს წინაშე მეფისა ჯიქური დამით, რამეთუ მეფე ჯდა ისანთა მხედველი. მტკუარსა, და არა სიტყუა-ყო მის თანა, არამედ განუკითხავად ბრძანა შთაგდებად მტკუარისა“ (ჟამთააღმწერელი, 1987: 170). მეორე დღეს გამთენიისას „იხილეს ჯიქურ რიყესა ზედა განგდებული წყლისაგან...“ ქალაქის გლახაკნი და ობოლ-დავრდომილნი „ევედრეს მეფესა“ მესტუმრე ჯიქურის გვამის დაკრძალვის უფლება მიეცა მათთვის. დავით ულუმ გამოიჩინა „სულგრძელობა“ მათი თხოვნა-ვედრება შეისმინა და დაკრძალვის უფლება მისცა. ჯიქურის გვამი „მრავალითა გოდებითა წარიღეს ეკლესიასა წმიდისა ქალწულისა ქრისტიანასსა, რომელი ხუარაზმელთაგან დარღუეული ახლად აღშენებულ იყო, და მუნ დაფლეს დიდითა პატივითა...“ ვახუშტის მიხედვით, მესტუმრე ჯიქური სიკვდილით 1256 წელს დასაჯეს.

მემატიანეს ნაამბობიდან ვიგებთ, რომ სამეფო სასახლე ისანში კბოდე კლდის პირას, მტკვრის მარცხენა ნაპირზე იდგა და მდინარეს გადმოჰყურებდა. ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს XIII ს. უცნობი ავტორის მიერ სპარსულენოვანი გეოგრაფიული თხზულებიდან – „სამყაროს საკვირველებათა“ /„აჯაიბ ად-დუნია“/ ამონარიდი – „თბილისი დიდი, გამაგრებული ქალაქია, ძნელად მისავალ ხეობაში მდებარეობს, მდინარეზე, ქალაქს შუაზე რომ ჩაუდის, დიდი ერომალიანი ხიდია გადებული. ხიდთან ბევრი სავაჭროა მოწყობილი (მთხრობელი მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირას მეიდანს – მოედანს გულისხმობდა, რამეთუ მარცხენა ნაპირზე ხიდთან სავაჭროები არ იყო მოწყობილი). ქალაქის პირდაპირ კეთილმოწყობილი ციხეა (ისანი-თ.ბ.). მეფეთა სასახლეები ციხეშია აგებული. ციხეს ბევრი გოდოლი აქვს დატანებული. წყალი ციხეს ძალიან ახლოს ჩაუდის, ასე რომ, რასაც სარკმლებიდან გადმოაგდებენ და გადმოყრიან, წყალში (მტკვარში-თ.ბ.) ცვივა.” („სამყაროს საკვირველებათა“ ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, 1978: 28).

ჩემ ხელთაა (XVII საუკუნის 30-იანი წლებიდან, ქართლში დაწყებული როსტომ მეფის მეფობიდან (1632-1658 წწ.), XVIII საუკუნის მიწურულამდე). საისტორიო წყაროები როგორც ქართული, ისე უცხოენოვანი, ასევე გვიანი შუასაუკუნეების თბილისის გრაფიკული გამოსახულებები, რომელთა დახმარებითაც ნათელი ხდება თბილისის სამეფო

სასახლეთა ისტორია, რასაკვირველია, მეტ-ნაკლები სისრულით.

XVII საუკუნის 20-იან წლებში ქართლში მკვეთრად გამოიკვეთნენ სამეფო ტახტის მოსურნენი – თეიმურაზ პირველი და გიორგი სააკაძე.

და აი, 1626 წელს ბაზალეთის ტბასთან ფიცხელი ბრძოლა გაჩაღდა. ფარსადან გორგიჯანიძე წერს – „ბოლო გამარჯვება თეიმურაზს დარჩა."

„ქართლი და კახეთი ბატონს თეიმურაზს დარჩა."

მეფე თეიმურაზის კეთილმყოფელობამ დიდხანს არ გასტანა. 1629 წელს გარდაიცვალა შაჰ აბას I. ირანის ტახტზე დაჯდა შაჰ სეფი, რომელმაც ქართლის მეფედ ირანიდან გამაჰმადიანებული როსტომ (ხოსრო მირზა) დაუდ ხანის ძე გამოგზავნა.

XVI-XVII სს. (შეიძლება უფრო ადრეც) ქალაქ თბილისში მტკვრის მარცხენა და მარჯვენა ნაპირზე მდებარე ციხესიმაგრეებში (ისნისა და ზემო ციხეში – ნარიყალაზე) იდგა სამეფო სასახლეები. მაგრამ ისინი ტიპობრივად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. ისანში იდგა ჰორიზონტალური, ერთ რიგად ერთმანეთის გვერდიგვერდ მიჯრით განლაგებული ოთახებიანი სასახლე (შეიძლება, სასახლე ორ ან სამ სართულიანი ყოფილიყო). სასახლის ასეთი განლაგება განპირობებული იყო რელიეფის თავისებურებით. რაც შეეხება მაღლა ციხეს, ტერიტორიის სიმცირემ (ზემო ციხეში იდგა დარბაზული ტიპის გუმბათოვანი წმ. ნიკოლოზის საყდარი) აქ კოშკური ტიპის სასახლის აშენება განაპირობა.

ვახუშტი წერს, რომ „მაღალს ციხეში არს ეკლესია გუმბათიანი წმიდისა ნიკოლოზისა და სასახლე მეფისა, პალატნი დიდი-დიდნი და შუენირნი... „და თავისა თვისისათვის სამეფოდ აღაშენა სიონსა და ანჩისხატს შუა სასახლე, მტკურის გარდაკიდებით, ყიზილბაშთა რიგისა" და კიდევ „კუალად დაუტევა სასახლე ისნის ციხისა და ჰყო მტკურის კიდესა ზედა ანჩისხატსა და სიონის ეკლესიათა შორის და მისცა – ციხე სრულიად ყიზილბაშთა..." (ვახუშტი, 1973: 334, 439). როსტომის მიერ სასახლის აშენების შესახებ, ბერი ეგნატაშვილი მცირეოდენი განსხვავებით გვიამბობს: „და მაშინ მეფეთა ქართლისათა სასახლე იყო ციხესა შიგან, სადა დგას საყდარი წმიდისა ნიკოლოზისა, და ამან როსტომ დაუტევა და მუნ დასუა მიმბაში ყიზილბაშისა, თჳთ გამოვიდა და დასახლდა პირსა მტკურისასა ანჩის საყდარსა და სიონს შუა." და „გაარიგა რიგი სახლისა თჳსისა ყიზილბაშურად და განაწესა მოჭელენი და გამრიგენი თათარნი..." „ამან აღაშენა სახლი ყიზილბაშური, კეკლუცად და ტურფად ნაგები..." (ბერი. 1959: 418, 424).

როდის უნდა აეშენებინა, როსტომ მეფეს სამეფო სასახლე მტკვრის პირას ანჩისხატისა და სიონის საყდრებს შორის?

გამაჰმადიანებული როსტომი 1632 წ. შაჰ სეფიმ ქართლის მეფედ დანიშნა. რასაკვირველია, ამ ამბავმა ქართლის დიდგვაროვანთა უმრავლესობის უკმაყოფილება გამოიწვია. შედეგმაც არ დააყოვნა, მათ როსტომის ტახტიდან ჩამოგდება შეთქმულებითა და ღალატით გადაწყვიტეს.

ფარსადან გორგიჯანიძე გვიამბობს: „ქართლის თავადნი მეფეს როსტომს შემოეხვეწნენ და მოციქული მიუგზავნეს: ... რომ შვილი, ძმა და ახლო ნათესავნი არა გყვანანო და თქვენს საბოლოს ვერა ხედვენო.

ამისთვის მალე აიშლებიან და სხვას ბატონს ეძებენო. მამუკა ბატონიშ-ვილის სიკეთე თქვენც მოგხსენებიაო, თავად ბაგრატიონი და მერე მე-ფის შვილი და თქვენი ნათესავი არისო ახალციხით ჩამოაყვანინეთო, იშვილეთო და თქვენც მოისვენეთ და საქართველოც მოასვენეთო და ქვეყანა დაწყნარდებაო. თუ ღმერთმან თქვენ ყმაშვილი მოგცესო (ამ დროს როსტომ მეფე სამოცდაათ წელს მიღწეული იყო-თ.ბ.), ეს თა-ვის სამკვიდროზე გააბატონეთო... თქვენად შვილად აკურთხეთო და ღმერთმან დიდს ხანს გაცოცხლოსო, თქვენ უკან მაგას ვიბატონებთო“ (გორგიჯანიძე, 1925: 246).

მამუკა ბატონიშვილი იმერეთის მეფის ალექსანდრე III ძმა იყო. (ალექსანდრე III-ს ცოლად ჰყავდა ტახტის მაძიებელი მეფე თეიმურაზ I-ის ასული ნუგზარ არაგვის ერისთავის ცოლყოფილი ნესტან-დარე-ჯანი). ვგონებ, თეიმურაზ I როსტომ მეფის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში ქმედით მონაწილეობას იღებდა. გორგიჯანიძე აგრძე-ლებს თხრობას: „მოატყუეს მეფე როსტომ, მამუკა ბატონიშვილი ჩამოი-ყვანეს თავისის ჯარითა და მეფე ნამეტნავად კარგად დახვდა ...აწე შექნეს ეშმაკივით რჩევა და ღმერთი ჰგმეს და პატრონ ყმობა სწვალეს და მეფის როსტომის სიკვდილი გაჰბედეს და მამუკა ბატონის შვი-ლის გამეფება მოინდომეს ქართლშია და მეფეს როსტომს ქალაქის სასახლის აბხანაში მოღალატები ჩაუსხეს, რომ როსაც მეფე შევიდეს, მოკლან და მამუკა გააბატონონ. იქნა სამართლისათვის მეფე როსტომ მღთისაგან დაცულ დაფარული, ერთი მერიქიფეთ უხუცესის ყმა აბხა-ნაში შევიდა, ბატონი ეგონათ, წამოუშინეს ღამით, დასჭრეს. მაგრამე ხმით იცნეს, რომ მეფე არ იყო, მოკვლა აღარ მოიცადეს და მტკვარში გარდასცვიდეს და ცურვით გავიდნეს და დაკოდილი კაცი მეფეს მიჰ-გვარეს...“ (გორგიჯანიძე, 1925: 246).

თხზულებიდან ვრცელი ამონარიდი საგანგებოდ დავიმოწმე, რათა მეჩვენებინა, როგორი პოლიტიკური ატმოსფერო სუფევდა XVII საუკუ-ნის 30-იან წლებში საქართველოში.

შემოთავაზებული ამონარიდიდან ვიგებთ, რომ მეფის მკვლელე-ბი ჩასაფრებულნი არიან „ქალაქის სასახლის აბხანაში.“ ამგვარად, სამეფო სასახლე, მდებარეობდა არა ციხეში, არამედ ქალაქში, მტკვრის პირას, რამეთუ ღალატის ჩაშლის შემდეგ, მკვლელები „მტკვარში გარ-დასცვივდეს და ცურვით გავიდნენ.“ ეს მოხდა XVII საუკუნის 30-იან წლებში (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1973: 328). ის, რომ თითქოს მეფე როსტომი „მღთისაგან დაცულ დაფარულ“ იყო და ამან გადაარჩინა, არ უნდა იყოს სწორი, ვეჭვობ, რომ მეფემ წინასწარ იცოდა შეთქმულების ამბავი და „აბხანაში“ თავად კი არ შევიდა, არამედ „მე-რიქიფეთ უხუცესის ყმა“ შეუშვა, რაც როსტომ მეფის გამჭრიახობასა და სიჭკვიანეზე მიგვანიშნებს.

მას შემდეგ რაც შეთქმულება „ჩაიშალა,“ მეფე როსტომი ფრთხი-ლობს, „...როსტომ მეფეს... ვერსად მოახელეს, ფრთხილობდა და იყო ქა-ლაქის ციხეშია. მაშინდა ერთგულად მოუდგნენ რომელნიმე წვრილნი კაცნი ქართველნი, ციხეში იჯდა და ვერა უმტერებდენ“ (ბერი ეგნატაშ-ვილი: 1959: 419).

1645 წ. 20 ივნისს როსტომ მეფე, წყალობის წიგნს აძლევს: „მოქა-

ლაქე იავანგულანთ ფოკარ ფარყუზათა შვილს მუშრიბს – (სამეფო კარი მწერალს – თ.ბ.) – სულხანს, მის ძმას „ვექილ-ხარჯს“ – (სამეფო კარის მოხელე, მეფის ხორაგის მნე, შემოსავალ-გასავლის მოსაქმე) რამაზსა და მათ შთამომავლებს... „მას ჟამს, ოდეს... ყაენმან ჩვენი სამკვიდრო ქართლი ჩვენ გვიბოძა, მოვედით ქალაქსა და სასახლის აშენებას ხელი მივყავით და თქვენი ნასყიდი სახლები და ადგილები ბევრი გამოგართვით.“ მეფემ ისმინა მათი თხოვნა – „უბოძა“ აბანოების იქით „სამეფო-სახასო“ საიონჯეთ დაჭერილი ნაიონჯარი, იქით გვერდი ძველს გალავნამდინ, ზემოთ შარამდინ (ეს უნდა იყოს, განჯისკენ მიმავალი შარა-გზა, დღევანდელი იოსებ გრიშაშვილის ქუჩა), აქათ მოურავის მეითარ (სასახლის ხელშინაური მოხელე – თ.ბ.) მანუჩარის და ბეჰბუდანთ ვენახევის სამძღვრამდინ...“ (დოკუმენტები: 1962: 12).

აღნიშნული ტერიტორია, დღეს ამგვარად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ: დასავლეთიდან იოსებ გრიშაშვილისა და აღმოსავლეთიდან ვახტანგ გორგასლის ქუჩებს შორის მოთავსებული, 300 არაგველის სახელობის ბაღი. ისტორიული სეიდაბადი. რაც შეეხება ძველ გალავანს, მისი ნანგრევები, მორღვეული ორი ბურჯით დღესაცაა შემორჩენილი.

1658 წელს როსტომ მეფე გარდაიცვალა.

ღრმად მოხუცებულმა როსტომ მეფემ 1658-1676 წწ. მუხრანელ ბაგრატიონთა შთამომავალი თეიმურაძის ძე ვახტანგ V (შაჰნავაზი) იშვილა.

მეფე როსტომის სასახლე ქება-დიდებით აქვს მოხსენიებული XVII საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე პოეტ ფეშანგი ფაშვიბერტყაძეს, ისტორიულ პოემაში „შაჰნავაზიანი,“ რომელიც 1658-1664 წლების ქრონიკაა და მასში სხვა მოვლენებთან ერთად აღწერილია ვახტანგ V-ის შაჰნავაზიანისა და მარიამ დედოფლის (როსტომ მეფის ქვრივის) თბილისში გადახდილი ქორწილი.

„ხემწიფის ტახტი საკადრად დგას ქალაქს შუაგულოსა; სრა და ოთაღთა სიკეთე კაცმა ვით განიგულოსა;” (სტფ. 183)

„სახლი სალხინოდ ნაგები, მტკუარს ადგა ტურფა თალარი.[1*]

ფრანგთ ოსტატთაგან ნაგები, მათგანვე განათალარი,

ჰკრეს მათნი ხელოვნებანი, მომართეს ამო თალარი...“ (185)

„იგ ბაღსა შუა სალხინოდ მოროვით დგას აინახანები; (სარკიანი ოთახი-სახლი-თ.ბ.).

მისსა მნახველსა სარჩლა აქუს, გულო ნუ ხელობ, ხან ები.” (186)

„წყალი დის, ავზი სავსეა, მებაღე ვარდსა რწყუიდისა;

რა გაზაფხული მოვიდის, სადენლად არ დასწყუიტისა” (189) (ფეშანგი, 1935: 35).

დამოწმებულ 185-ე სტროფი მიგვანიშნებს, რომ სასახლის მშენებლობაში მონაწილეობა მიუღიათ „ფრანგ ოსტატებს,” რაც მაფიქრებინებს, რომ სასახლეს მშენებელთა შორის ეთნიკური „ფრანგი“ კი არ იგულისხმება, არამედ „ფრანგში“ თბილისში XVII საუკუნეში ჩამოსული კათოლიკე მისიონერები მოიაზრებოდნენ. რამეთუ მათ საისტორიო წყაროები „ფრანგებათ“ მოიხსენიებს. თუ რანაირ მონაწილეობას იღებდნენ ისინი მშენებლობაში ძნელი სათქმელია.

[1] თალარი (ფანჩატური, დეფერანი, საზაფხულო სადგომი” – საბა).

ქართლში მეფობდა ვახტანგ V შაჰნავაზი (1658-1676 წწ.), როდესაც თბილისს ეწვია ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი (1673 წ.), მან ბევრ სხვა ცნობასთან ერთად იმდროინდელი თბილისის აღწერა და მისი თანმხლები მხატვარ გრელოს მიერ გრაფიკულად შესრულებული ქალაქის ხედი დაგვიტოვა.

აღსანიშნავია, რომ თვით შარდენი თავის თხზულებაში, იმ ადგილას, სადაც ქალაქის აღწერას იწყებს, ყურადღებას ამახვილებს ჩვენთვის მეტად საჭირო დეტალზე – „ვიდრე იმის თხრობაზე გადავიდოდე, თუ რა შემემთხვა თბილისში, საჭიროა აღვწერო იგი, თუმცა თანდართული ნახატი საკმაო წარმოდგენას იძლევა ამ ქალაქის შესახებ“ (სურათი 1).

ამის შემდეგ მოგზაური იწყებს ქალაქის აღწერას, იგი ქება-დიდებით ამკობს თბილისს, ხოლო მეფის სასახლის შესახებ ამბობს, რომ „მთავრის სასახლე, უდავოდ, თბილისის ერთ-ერთი მშვენებაა. მას აქვს დიდი დარბაზები, რომლებიც მდინარესა და სასახლის უზარმაზარ ბაღებს გადასცქერიან... ამ სასახლის წინ კვადრატული მოედანია, სადაც ათასამდე ცხენი დაეტევა. მას გარს არტყია დუქნები და ბოლოვდება გრძელი ბაზრით, რომელიც სასახლის კარიბჭის პირდაპირაა. ბაზრის ზემოდან საუცხოო სანახავია მოედანი და სასახლის ფასადი...“ ცნობილია, რომ ჟან შარდენი ვახტანგ V-ის სასახლეში გამართულ ნადიმზე იყო მიწვეული. როგორც ჩანს, ამ ბედნიერმა შემთხვევამ შემოგვინახა სასახლის დარბაზის აღწერა, „...მთავარი ბრძანდებოდა დარბაზში, რომლის სიგრძე ას ათ ფუტს, ხოლო სიგანე ორმოც ფუტს შეადგენს. იგი გაშენებულია მდინარის პირას და მთლიანად ღიაა ამ მხრიდან” (ჟან შარდენი, 1975: 322: 328).

რასაკვირველია, ძნელია და არც შეიძლება გრაფიკულ ნამუშევრებს სურათის შექმნისა თუ სიუჟეტის ნატურალისტურად გადმოცემა მოეთხოვოს. ალბათ, გრაფიკაში მხატვრის ფანტაზია ფიგურირებს, მაგრამ, სავარაუდოა, რომ ძირითადად, გადმოგვცემს იმჟამინდელი თბილისის მდგომარეობას, ქალაქის გარეგან სახეს. ხოლო, რაც შეეხება მეფის სასახლესა და მისი მიმდებარე განაშენიანების აღწერას, იგი ზუსტი ილუსტრაციის შთაბეჭდილებას ტოვებს.

მეფე თეიმურაზ მეორის ნაწარმოები ქართლ-კახეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მდიდარ და მრავალფეროვან მასალას მოიცავს. თავდაპირველად, განვიხილავთ ლექსს, რომელიც გაბაასების სახით არის დაწერილი და „ქება სრისა“ ეწოდება. მეფე-პოეტი როსტომ მეფის სასახლეს, რომელიც მას თავად ჰქონდა ნანახი, ამგვარად გვიხატავს:

„როსტომ მეფისგან ნაგები საწოლი სახელიანი,
ნახატი სურათებითა, ყვავილი ფერადიანი,
თვით როსტომ ფალავანი და დევნი ეხატა რქიანი,
და შაემკო დიდად, დაედვა სახელად როსტომიანი.“

ქართლის მეფე თეიმურაზ მეორე გადმოგვცემს, რომ თბილისში XVII-XVIII სს. ქართლის სამ მეფეს აუგია სამეფო სასახლე. დამოწმებული სტროფი ამათგან პირველს, მეფე როსტომს (1632-1658 წწ.) ეხება, რომლის სასახლეც აღწერილი აქვს შარდენს, გრაფიკულად გამოსახული კი მხატვარ გრელოს.

ჟან შარდენის შემდეგ თბილისის გრაფიკული გამოსახულება, რომელ-

მაც ჩვენამდე მოაღწია, ფრანგი მოგზაურის, ბოტანიკოს ტურნეფორის თანმხლებ მხატვარ ობრიეს მიერ შესრულებული ნახატია.

ტურნეფორმა ჩვენში XVIII საუკუნის დასაწყისში იმოგზაურა, იგი თბილისში 1701 წელს ჩამოსულა. ქართლის მეფე იყო თეიმურაზ I-ის შვილიშვილი დავითის ძე ერეკლე I ნაზარ ალიხანი (1688-1703 წწ.). მოგზაური აღტაცებულა ქართლის მეფის სასახლით, რომელსაც ტურნეფორი ამგვარად აღწერს – „მთავრის სასახლე, რომელიც მდებარეობს ციხის ქვემოთ, ძალიან ძველი და ასეთი პატარა ქვეყნისათვის იგი კარგა გამოიყურება. სასახლის წინ სასახლის ბაღია, საბაზიერო... მოედანი და ბაზარი, რომელიც იმსახურებს ყურადღებას.

„ერთი სრა მამის ჩემისა, მეფის ერეკლეს გებული,
ხელმწიფეთ საკადრისი და ქვეყნისგან მოწონებული,
სარკით და ოქროს ვარაყით შემოხვევით განათებული,
და მეფეთ და დარბაისელთთვის სალხინოდ დამზადებული“.

ე.ი. მეფე ერეკლე I-ს როსტომ მეფისდროინდელი სასახლის გვერდით ახალი სასახლე აუგია.

ყაენმა მეფე ერეკლე I-ის გარდაცვალების (1703 წ.) შემდეგ ქართლის მეფობა გიორგი XI-ს გადასცა, რომელიც 1709 წელს ავღანთა ბრძოლაში დაიღუპა. 1703-1711 წლებში ქართლის სამეფოს გამგებელია გიორგი XI-ის ძმის ლევანის ძე ვახტანგ VI, რომელმაც „აღაშენა და განავსო ქართლი.“

მემატიანე სეხნია ჩხეიძე მოგვითხრობს, რომ ვახტანგ VI-მ „...აღაშენა ქალაქსა სახლი პატიოსანი მიჭურიტნისა და ოქროსა ვარაყითა შეთხზული, მზე-მან, ამისას, უმშვენიერესი სახლი არც ერანს შიგან მინახავს...“ (ჩხეიძე, 1913:25). ამის თაობაზე ვახუშტი გვიამბობს: „ჟ-დ მეფემან ვახტანგ აღაშენა სახლი შუენიერი, სრულიად სარკითა და მოოქროვილი, დიდ მხატვრობითა. ლაჟვარდითა და მარმარილოს კედლითა, შემუსრეს ოსმალთა“ (ვახუშტი, 1973: 335).

ასე რომ, XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში სიონისა და ანჩისხატის ეკლესიათა შორის, ერთმანეთის გვერდით სამი სასახლე დგას. ანუ, იმ ადგილას, სადაც XVII ს-ის 30-იან წლებში როსტომ მეფემ ააგო სასახლე. ასეთი ვარაუდის გამოთქმის უფლებას მაძლევს ჩემ მიერ უკვე არაერთგზის დამოწმებული მეფე თეიმურაზ II-ის ლექსი – „ქება სრისა:“

„უწინ, სიყრმის დროს, მენახა ნაშენი უცხოებითა,
სამნი მორთულნი სახლები ვარაყით, სარკეებითა,
მეფეებისგან ნაშენი კვეხნით და დაქადებითა,
და თითოსა თითო აეგო დიდ ხარჯით და ფასებითა.“

მეფე ვახტანგ VI-ს სასახლეს ამგვარად აღწერს თეიმურაზ მეორე:

„სრა ერთი მეფის ვახტანგის უცხოულობით ნაგები,
საკვირველი და საქები, მას უხდებოდა სარკები,
შუაზე შანიშინი და აუზით შადრევნები,
და ფერად-ფერადის ჯამებით შეხამებული ფანჯრები.
ერთიცა სახლი, უზეშოე ერანშიც არ ნახულა-და!

იმ სრისა ქება, სიკეთე ქვეყანას ხმა განთქმულა-და,
როგორც მას ჰფერობს ქებანი, შესხმა არ ძალმიც სრულადა,
და სხვებს სრებსა ყველას ის სჯობდა, მისებრივ არ დადგმულა-და“.

ვახუშტი ბატონიშვილი მოგვითხრობს – „მეფე ვახტანგ VI-ის სასახლე შემუსრეს ოსმალთა.“ ეს მომხდარა 1725 წელს.

1747 წლამდე ქართველებს მხოლოდ ქალაქი ეკავათ, ხოლო თბილისის დამცველი ციხეები – მეტეხი, თაბორი და ნარიყალა ყიზილბაშ მეციხოვნეებს ეპყრათ. ამის გამო ყიზილბაშებს საშუალება ჰქონდათ ქალაქელები შიშსა და ძრწოლაში ჰყოლოდათ. და, აი, საჭირო გახდა ამ ციხეების გათავისუფლება, პაპუნა ორბელიანი, მოგვითხრობს, რომ ნარიყალაში მყოფი მაჰმადიანები „...სიონის მონასტერს ზარბაზნებს ესროდნენ და მეფის საჯდომი სასახლე ყუნბარით აავსეს და ზარბაზნით დაამტვრივეს...“ 1748 წელს, თბილისის დამცველი სამივე ციხე-სიმაგრე გათავისუფლდა ყიზილბაშთაგან, მეფე ერეკლე მეორემ ნარიყალასა და მეტეხის ციხეებში კახი მეციხოვნენი ჩააყენა.

XVIII საუკუნის პირველი ნახევრის დასასრულისათვის დიდი ყურადღება ექცევა საქალაქო ცხოვრების განვითარებას. ბევრ იმ ღონისძიებას შორის, რომლებიც ამ მიმართულებით ჩატარდა, აღსანიშნავია ქალაქის გარეგანი სახის შეცვლა. 1750 წელს თეიმურაზ II-ის ბრძანებით აიღეს, მოშალეს ქალაქისა და ციხის გამყოფი კედელი, რომელიც აგებული იყო XVII საუკუნის 30-იან წლებში შაჰ აბას მეორის დროს. ამის შედეგად ქალაქი და ქვემო ციხე გაერთიანდა.

მეფის ახალი სასახლის შესახებ ცნობას გვაწვდის პაპუნა ორბელიანი, როდესაც მეფე ერეკლე მეორისა და დარეჯან დადიანის ქორწილის შესახებ საუბრობს. იმერეთიდან წამოსულ დარეჯან დადიანს მეფე ერეკლე II სურამში დახვდა და იქიდან წამობრძანდნენ „...მზა ექმნა რიგი ქორწილისა მეფეს თეიმურაზს ცხებულს და შეიქნა ქორწილი და სახლსა ახალსა, რომელი აღეგო მეფეს თეიმურაზს მტკვრის პირს, მშვენიერი და შემკული ყოვლით კერძო” (ორბელიანი, 1981: 180).

ეს მოხდა ქრისტეს აქეთ 1751 წელს.

სამწუხაროდ, ქართულ საისტორიო ლიტერატურაში, ეს ერთადერთი ნიმუშია, სადაც გვხვდება მეფე თეიმურაზ II-ს მიერ თბილისში სასახლის აგების ცნობა. ბუნებრივია, იბადება კითხვა, როდის უნდა აეგო ქართლის მეფეს თავისი სასახლე? ცნობილია, რომ 1747 წელს ნადირ შაჰის მოთხოვნით, მეფე ირანს გაემგზავრა, საიდანაც 1749 წელს დაბრუნდა, ხოლო ერეკლე II-მ დარეჯან დადიანზე 1751 წელს იქორწინა. ანუ, სასახლე უნდა აგებულიყო 1749-1751 წლებს შორის.

„სანამ საწოლი სარკითა, ვარაყით შეიმკობოდა,
ორისა წლითა უწინვე სრა ესე აშენდებოდა,
თებერვალისა თვეშია თამამად შესრულდებოდა,
და მას ჟამსა ქორონიკონი უნ მანი ანი ჯდებოდა“.

ამგვარად, მეფე თეიმურაზ მეორეს თავისი სასახლის მშენებლობა „თამამად“ დაუსრულებია ქორონიკონს უმა (441), ე.ი. ქრისტეს აქეთ 1753 წელს. კიდევ ერთხელ გავიხსენებ უკვე აღნიშნულს – მეფე ერეკლე

II-მ დარეჯან დადიანზე იქორწინა 1751 წელს და ქორწილი გადაიხადა მეფე თეიმურაზ მეორის მიერ თბილისში, მტკვრის პირას ახლად აგებულ სასახლეში, მაგრამ, როგორც დამოწმებული ლექსის ბოლო სტროფის პირველი პწკარი გვამცნობს, სრა-სასახლე ორი წლით ადრე აშენებულა ოდონდ, იგი არ ყოფილა შემკული ყოველი სიკეთით. სრა-სასახლეს დასრულებული სახე 1753 წელს მიუღია.

ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა სამეფოსა საქართველოსას“ იმ ადგილას, სადაც მოგვითხრობს ქართლის მეფე ვახტანგ VI-ის მიერ თბილისში სამეფო სასახლის აგებისა და თურქთა მიერ მისი შემუსვრის შესახებ, სიმონ ყაუხჩიშვილს – იმავე გვერდზე, სქოლიოში დამოწმებული აქვს საინტერესო ცნობა, რომელიც ვახუშტის თხზულების ერთ-ერთი ხელნაწერის გადამწერს მღვდელ დავით ინანაშვილს ეკუთვნის: „შემდგომად აღაშენა 96 მეფემან ირაკლი მეორემან 1783 სასახლენი მშვენიერი. და შემუსრა აღამაჰმადხან ყაენმან...“ (ქართლის ცხოვრება IV, 1973, 335).

დავით ინანაშვილის მიერ მოწოდებული ცნობა კიდევ ერთი ახალი ფურცელია XVIII საუკუნის ქალაქის ისტორიიდან.

თბილისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდებში დაცულია XVIII ს. თბილისის მეტად საინტერესო ნახატის ფოტოსურათი, რომელიც 1972 წელს აკადემიკოს გიორგი ძოწენიძეს პროფესორმა ფელიქს ჰერნმა ვენიდან გამოუგზავნა. წერილში ვკითხულობთ: „ძვირფასო პროფესორო ძოწენიძე, რამოდენიმე დღის წინ ძველ ნივთებში შემთხვევით აღმოვაჩინე ძველი თბილისის ორი ჩანახატი. ორივეს გიგზავნით, ერთს თქვენ და მეორეს პროფ. თვალჭრელიძეს იმ იმედით, რომ ისინი მცირეოდენ სიამოვნებას მოგანიჭებენ...“

სამწუხაროდ, ნახატის ფოტოასლზე არსებული წარწერები არას გვამცნობს, როგორც ნაწარმოების ავტორის ვინაობის შესახებ, ისე ნახატის შესრულების თარიღზე. აღნიშნულ რეპროდუქციაზე აღბეჭდილი თბილისი სრულიად განსხვავდება ჩემ ხელთ არსებული XVII-XVIII საუკუნეების თბილისის სხვა ნახატებისაგან, რაც მაძლევს უფლებას გამოვთქვა მოსაზრება, რომ აღნიშნული ნახატი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში უნდა იყოს შესრულებული.

პლატონ იოსელიანი, რომელსაც თავად არ უნახავს თბილისში მდგარი მეფის სასახლე, გადმოგვცემს თვითმხილველთა ნაამბობს: „საკუთრივ სასახლეს სიგრძე ჰქონია 65 საჟენი (დაახლოებით 137 მეტრი – თ.ბ.), აგურისაგან ნაშენი სქელი კედელი, რომელიც მტკვრის ნაპირიდან ამოდიოდა, მდინარის კლდოვან ნაპირს ეყრდნობოდა და სასახლის ბალავარს, საძირკველს წარმოადგენდა. პირველი ბნელი სართული, რომელიც პირდაპირ კლდეზე იყო ნაგები, მთლიანად აგურისაგან ნაშენი კამარებით იყო დაფარული და გამოყენებული იყო სასახლის საყინულედ და სარდაფებად, ასევე, მეორე სართული კამარებითა და მაღალი ფანჯრებით მიმართული იყო აღმოსავლეთისაკენ, ვითარცა დიდი მღვიმეები, რომელთა კედლებიც დაფარული იყო ნიჟარებით, სარკეებით, ხის მხატვრული რტოებით, აქ ინახებოდა სასახლის სიმდიდრე, ნოხები და სხვა მრავალი რამ. ამიტომ, მას ეწოდებოდა სალარო. ყველაზე მთავარი, მესამე სართული განკუთვნილი იყო მეფის, დედოფლისა და ბა-

ტონიშვილებისათვის, შეიცავდა დიდი და პატარა ზომის 32 დარბაზსა და ოთახს. ერთ-ერთი დარბაზთაგანი თბებოდა ღუმელით, რომელიც გააკეთეს რუსმა ხელოსნებმა, მეფე ერეკლე მეორის დროს და მას რუსული სიტყვის „ფეჩის“ მიხედვით „ფეჩის ოთახი“ ეწოდებოდა. მტკვრისაკენ მიმართულ დარბაზებს მაღალი ფანჯრები ჰქონდა, რომელთა აწევ-დაწევა შეიძლებოდა მოთხოვნილებისამებრ, იმის მიხედვით, ცხელოდა თუ ციოდა. ასევე, მათ ეწოდებოდა „რუსული,“ უთუოდ იმის გამო, რომ ისინი რუსი ხელოსნების მიერ იყო გაკეთებული. აღნიშნული შენობის გვერდით იდგა ორ-ორ სართულიანი, სარდაფებით, ორი მცირე ზომის სახლი (ფლიგელი). თითოეულში ოც-ოცი ოთახით, რომლებიც განკუთვნილი იყო მეფისა და დედოფლის მსახურთათვის და მოახლეთათვის. მეფის საჯინიბე ჩრდილოეთიდან ეკვროდა კედელს, რომელიც თავისი საძირკვლით ეხებოდა მდინარის კლდოვან ნაპირს”.

პლატონ იოსელიანის ნაშრომიდან დამოწმებული მონაკვეთი, სასახლის დასათარიღებელ რაიმე კონკრეტულ ცნობას არ შეიცავს, ამ საკითხთან დაკავშირებით, ყურადსაღები ის არის, რომ მეფე ერეკლე II-მ თავისი მამის თეიმურაზ II-ის სასახლეს იერსახე შეუცვალა, ან მის ადგილას ახალი ააგო. დავით ინანაშვილისა და პლატონ იოსელიანის მონათხრობთა შეჯერების შედეგად, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ მეფე ერეკლე II-ს თბილისში სასახლე მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც უნდა გადაეკეთებინა.

აღა-მაჰმად ხანის შემმუსვრელ შემოსევას თბილისში მდგარი ბევრი საერო და საკულტო დანიშნულების ხუროთმოძღვრული ძეგლი შეეწირა. ვერც მეფის სასახლე გადარჩა, დამპყრობელმა ისიც დაანგრია და გაძარცვა.

კრწანისის ბრძოლის შემდეგ (1795 წ. 11 სექტემბერი) მეფე ერეკლე II ჯერ ანანურს მიბრძანდა, ხოლო შემდეგ კი ახმეტის გავლით თელავში ჩავიდა. კახეთში მყოფი ქართლ-კახეთის მეფე ყურადღებასა და მცდელობას არ აკლებდა თითქმის მთლიანად ნანგრევებად ქცეული თბილისის აღდგენასა და ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში გახიზნული და ტყვედ წასხმული მოსახლეობის დაბრუნებისა და გამოსყიდვის საქმეს.

დაუშრეტელი შრომის შედეგად თბილისი აღდგა, მისი მოსახლეობა ქალაქს დაუბრუნდა. მაგრამ გადამწვარი და კედლებდაქცეული მეფის სასახლის აღდგენითი სამუშაოები ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული. აღსანიშნავია, რომ ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II, 1795 წლის სექტემბრის შემდეგ თბილისში ჩამობრძანებისას ავლაბარში, დარეჯან დედოფლის სასახლეში ცხოვრობდა. მეფე ერეკლე II ისე გარდაიცვალა (1798 წ. 10 იანვარი), რომ თბილისში მდგარი მეფის სასახლის აღდგენა ვერ მოასწრო.

ქართლ-კახეთის სამეფო ტახტზე ერეკლე მეორის პირმშო გიორგი XII ავიდა (1798-1800წწ.) რომელსაც მემკვიდრეობით პოლიტიკურად და ეკონომიკურად დაქვეითების გზაზე მდგარი ქვეყანა ერგო.

მეფე გიორგი XII მძიმე სენით იყო დაავადებული, რაც ხელს უშლიდა სახელმწიფოს მართვაში. ამას ერთვოდა სეირის მაყურებელთა როლში მყოფი, სამეფო ტახტის მაძიებელ მრავალრიცხოვან ბატონიშ-

ვილთა საერთო, სახელმწიფო საქმეებიდან განდგომა და შინაშფოთი.

გიორგი XII-ს ბედმა არგუნა, არა მხოლოდ მძიმე მეფობის ხვედრი, არამედ ეპითეტიც – „უკანასკნელი."

მეფე ერეკლე II-ის ბრძანებით, გიორგი XII ხელმძღვანელობდა დანგრეული თბილისის აღდგენით სამუშაოებს. თბილისს აკლდა მეფის სასახლე, რისთვისაც საჭირო იყო დამატებითი სახსრები. სამეფო ხაზინა დაცარიელებული იყო. თავისი განზრახვის განსახორციელებლად მეფე გიორგი XII-ს აღუწერია ქართლ-კახეთის სამეფო და მოსახლეობა დაუბეგრავს საკომლო გამოსაღებით, კომლზე ექვსი შაურით. მაგრამ, ამ გადაწყვეტილებას, ისე, როგორც ბევრ სასიკეთო ეროვნულ საქმეს, განხორციელება არ ეწერა.

უკვე აღვნიშნე, რომ როსტომ მეფემ სიონისა და ანჩისხატის საყდრებს შორის სასახლის აგებისას მიატოვა, როგორც ზემოციხეში, ისე ისნის ციხეში მდგარი მეფის სასახლეები. სამწუხაროდ, გვიანი შუასაუკუნეების ქართულ საისტორიო ლიტერატურაში, თუ წერილობით წყაროებში აღნიშნულ სასახლეთა შესახებ არავითარი ცნობა არ არის შემორჩენილი, გარდა იმ მცირეოდენი მონათხრობისა, რომელიც ნაშრომში უკვე დავიმოწმე.

ამ ხარვეზს ავსებს ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის ცხოვრების აღმწერი პლ. იოსელიანი, რომელმაც შემოგვინახა ისნის ციხეში მდგარი სასახლის ისტორიის შესახებ მეტად საინტერესო ცნობა: „დიდ-მარხვის 5 კვირიაკისა, მწუხრად მიბრძანდა მეტეხსა, დღესასწაულობისა გამო ტაძრისა დაუჯდომლობისა. მოიხილა ადგილი გარემო ტაძრისა და ძელნი ნეშტნი ძველთა მეფეთა სასახლისა. თვით ამოწმებდა საძირკველთა დანაშთენთა იმგვრგვლივ კლდოვანისა მის ადგილისა, რომელსა ზედაც ვახტანგ გორგასლანისა დროიდგან როსტომ მეფისა დრომდე (455-1630) იყო სასახლე საქართველოჲსა მეფეთა, და თვით ეკკლესია ვითარცა კარის საყდარი.

ბრძანა და განაჩინა დაფუძნება მუნ სასახლისა და განწმენდა ადგილისა მცხოვრებთაგან, რომელთაცა აქვნდათ მუნ სადგურად დროებითად მიცემული, ანუ ეკკლესიისა მსახურთა, ანუ ეკკლესიისა ყმათა, ანუ სასახლისადმი მიწერილთა მოხელეთა და მხლებელთა.

განსაკვირვებელად მეფისა და ქალაქისა მცხოვრებთა პასექისა შემდგომად, ოდეს, განსწმედდენ ადგილისა აღშენებისათვის ჯერეთ ახლოს ეკკლესიისა 30 ჯაზანდრისა ადგილისა სიგრძეზედ, მტკვრისა მხარეს, პლანისამებრ ანუს სახისა, ხატულისა მეფესთან მყოფისა ნემეცისა დეიტრიხისა (?), დაეცა მეხი თვით ადგილსა მას. შეშინებულმან მეფემან შეაყენა შენობა მუნ თავისდა სასახლისა". (იოსელიანი, 1978: 182).

საოცარია, საკვირველია, მისტიკურია თითქოს... რასაკვირველია, გიორგი XII-მ არ იცოდა, და არც შეიძლება სცოდნოდა, რომ იგი ქართლ-კახეთის სამეფოს უკანასკნელი მეფე იყო, რომ მის სიკვდილთან ერთად ქართლ-კახეთის სამეფო ისტორიის კუთვნილება გახდებოდა... მეფე გიორგი XII-ს მცდელობა, სურვილი, ნანგრევებიდან აღედგინა თბილისში მდგარი მეფის სასახლე, უშედეგოდ მთავრდებოდა...

1800 წლის 28 დეკემბერს გარდაიცვალა ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე გიორგი XII. თბილისში მეფის სასახლის აღდგენა-აშენები-

სათვის აღარავის ეცალა.

ნანგრევებად ქცეული მეფის სასახლის საადმშენებლო მასალა XIX საუკუნის დასაწყისშივე რამდენიმე საუწყებო შენობის აგებას მოხმარდა.

და ბოლოს, მსურს გაუწყოთ, წერილს თანდართული აქვს ზემოთ დამოწმებული – გრელოს (1673 წ.) (სურათი 1), ობრიეს (1701 წ.) (სურათი 2), ვახუშტისა (1735 წ.) (სურათი 3) და XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ანონიმური ავტორის მიერ შესრულებული (სურათი 4) თბილისის ნახატები და გეგმები. ოვალსაჩინოების მიზნით აღნიშნულ ავტორთა თბილისის გრაფიკული გამოსახულებებიდან საგანგებოდ ფოტოზე გავადიდებინეთ მეფის სასახლის ხედი, რის შედეგადაც მივიღეთ ერთმანეთისაგან განსხვავებული სურათი, რაც თავისთავად საშუალებას გვაძლევს ოვალი გავადევნოთ იმ ცვლილებას, რომელიც განიცადა, ან უფრო ზუსტად განუცდია თბილისში მდგარ მეფეთა სასახლეს მოცემული ხანის, ასორმოცდაათი წლის (1635-1795 წწ.) განმავლობაში. ასევე, იმას, თუ რამდენად ესადაგება დამოწმებული ფოტოსურათები (სასახლეთა) მოგზაურთა და ისტორიკოსთა მიერ სასახლის აღწერას.

History

Teimuraz Beridze

Georgian National Museum, Rustaveli Avenue 3, 0105 Tbilisi, Georgia

Concerning the History of Tbilisi Royal Palaces

Summary

The article reviews history of Tbilisi royal palaces starting from the 6th c. Strategic importance of the town is examined as well as interests of Iran towards this town. The article deals with the 5th-6th cc. urban constructions, the difficulties which they underwent during the 8th-13th cc. that were expressed in their often complete destructions. Description of Tbilisi royal palaces is given according to Georgian and French sources of that time and graphic depictions as well.

ბიბლიოგრაფია

1. **ბაგრატიონი თ. 1983:** ახალი ისტორია. თბილისი.
2. **ბაგრატიონი ვ. 1975:** აღწერა სამეფოსა საქართველოსა. (ქ-ა, ცხ-ა. ტ. IV) თბილისი.
3. **ბერიძე ვ. 1983:** XVI-XVIII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება. ტ. I. თბილისი.
4. **გორგიჯანიძე ფარ. 1925:** ისტორია. სარ. კაკაბაძე (რედ.) გვ. 198-316. საისტორიო კრებული. წ. II. თბილისი.
5. **ეგნატაშვილი ბერ. 1959:** ახალი ქართლის ცხოვრება. 326-442. პირველი ტექსტი. სიმ. ყაუხჩიშვილი (რედ.), ქართლის ცხოვრება II. თბილისი
6. **თეიმურაზ მეორე. 1939:** თხზულებათა სრული კრებული – 104-108. რაჟ. გვეტაძე (რედ.). თბილისი.
7. **იოსელიანი პლ. 1978:** ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. თბილისი.
8. ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. 2008 – ქართლის ცხოვრება. 377-482 – როინ მეტრეველი (რედ.) თბილისი.
9. **ლეონტი მროველი. 2008:** ცხოვრება ქართველთა მეფეთა – 25-150 – ქართლის ცხოვრება – როინ მეტრეველი (რედ.) თბილისი.
10. მატიანე ქართლისა. 2008: ქართლის ცხოვრება – 253-300. როინ მეტრეველი (რედ.). თბილისი.
11. მოქცევაჲ ქართლისაჲ. 1979: შატბერდის კრებული I საუკუნისა. 320-350. მზექალა შანიძე (რედ.) თბილისი.
12. **ჟამთააღმწერელი. 1987:** ასწლოვანი მატიანე. თბილისი.
13. **საბანისძე იოვანე. 1987**: ჰაბოს წამება – ქართული მწერლობა – 441-472. ტ. I. რევაზ სირაძე (რედ.). თბილისი.
14. **უხტანესი. 1975:** ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან. თბილისი.
15. სამყაროს საკვირველებათა (ცნობები საქართველოს შესახებ). 1978: თბილისი.
16. **ფეშანგი. 1935:** შაჰნავაზიანი. თბილისი.
17. **შარდენი. 1974:** მოგზაურობა. თბილისი.
18. **ჩხეიძე სეხნია. 1913:** ცხოვრება მეფეთა – 1-52 – საქართველოს ისტორია. ჭიჭინაძე ზ. (რედ.). თბილისი.
19. **ჯუანშერი. 2008:** ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა – 141-246 – ქართლის ცხოვრება. როინ მეტრეველი (რედ.). თბილისი.

ილუსტრაციების აღწერილობა

სურ. 1. თბილისი. 1673წ. მხატვარი გრელო.
სურ. 2. სამეფო სასახლე. დეტალი. 1673წ. მხატვარი გრელო.
სურ. 3. თბილისი. 1701წ. მხატვარი ობრიე.
სურ. 4. სამეფო სასახლე. დეტალი. 1701წ. მხატვარი ობრიე.
სურ. 5. ვახუშტი. თბილისის 1735 წლის გეგმა.
სურ. 6. ვახუშტი. სამეფო სასახლე. დეტალი.
სურ. 7. თბილისი. XVIII ს 80-იანი წლები. უცნობი მხატვარი.
სურ. 8. სამეფო სასახლე. დეტალი. XVIII ს 80-იანი წლები. უცნობი მხატვარი.

LIST OF ILLUSTRATIONS

Fig. 1. Tbilisi. 1673. Artist Grelo.
Fig. 2. Royal Palase. Detail. 1673. Artist-Grelo.
Fig. 3. Tbilisi. 1701. Artist Obrie.
Fig. 4. Royal Palace. Detail. 1701. Artist Obrie.
Fig. 5. Vakhushti. Plan of Tbilisi. 1735.
Fig. 6. Vakhushti. Royal Palace. Detail.
Fig. 7. Tbilisi. 80's of the 18th c.An unknown artist.
Fig. 8. Royal Palace. Detail. 80's of the 18th c.Unknown artist.

სურ. 1 Fig.

სურ. 2 Fig.



სურ. 3 Fig.

სურ. 4 Fig.



სურ. 5 Fig.



სურ. 6 Fig.



სურ. 7 Fig.



სურ. 8 Fig.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია №1 (46-B), 2010, 376-386
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences №1 (46-B), 2010, 376-386

ისტორია

ივანე მენთეშაშვილი

საქართველოს ეროვნული მუზეუმი, რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო

ნაპოლეონის ცხენოსანი ეგერები. იმპერატორის ხმალი საქართველოს ეროვნულ მუზეუმში

საქართველოს ეროვნული მუზეუმის საცავებში შენახულ ექსპონატებს შორის დაცულია ნივთი, რომელიც მსოფლიო ისტორიის კუთვნილებაა. ეს გახლავთ ხმალი, რომლის ორივე პირზე ფრანგულენოვანი წარწერაა ამოტვიფრული. ერთ მხარეზე ვკითხულობთ: „Au grand Napoleon I[er] Empereur des Francais et Roi d'Italie.[1*]" მეორეზე: „Pour I'honneur et la Patrie, le I[er] Reg. Chasseur a cheval.[2*]" ხმალი 70 წელია, რაც აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმში ინახება. იგი საქართველოში XIX ს. ჩამოიტანა აშელ მიურატმა, ნაპოლეონის მარშლის იოაჰიმ მიურატის ძმის შვილიშვილმა. აშელ მიურატმა დავით დადიანისა და ეკატერინე ჭავჭავაძის ქალიშვილი სალომე ითხოვა ცოლად და საქართველოში დასახლდა.[3*] მან საფრანგეთიდან საქართველოში ნაპოლეონის სახელთან დაკავშირებული ნივთები ჩამოიტანა, რომელთა შორის ზემოაღნიშნული ხმალიც იყო. რისი თქმა შეიძლება ხმლის პირზე გაკეთებული წარწერების მიხედვით?

პირველი წარწერიდან გამომდინარე, ხმალი უნდა დათარიღდეს არა უადრეს 1805 წ. მაისის თვით. 1804 წ. 2 დეკემბერს ნაპოლეონმა პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში იმპერატორის გვირგვინი დაიდგა და ფრანგთა იმპერატორის წოდება მიიღო. მაგრამ იმ დროს საფრანგეთის დაქვემდებარებაში იმყოფებოდა იტალიის მნიშვნელოვანი ნაწილი, აპენინის ნახევარკუნძულის თითქმის ნახევარი. ამ ტერიტორიის დასავლეთი ნაწილი უშუალოდ საფრანგეთის შემადგენლობაში შედიოდა, ხოლო აღმოსავლეთი ნაწილი კი, იტალიის რესპუბლიკის სახით ფორმალური დამოუკიდებლობით სარგებლობდა. მისი მეთაური ნაპოლეონი იყო, რომელიც იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტის წოდებას ატარებდა.

[1*] დიდ ნაპოლეონ I, ფრანგთა იმპერატორს და იტალიის მეფეს.

[2*] მამულის საპატივსაცემოდ, ცხენოსან ეგერთა I პოლკი

[3*] ამ საკითხზე სრულ ინფორმაციას გვაძლევს მ. პაჭკორიას წიგნი „დადიანები და მიურატები". ზუგდიდი. 1996.

ბუნებრივია, იმპერატორად გამოცხადების შემდეგ ნაპოლეონი ვედარ დარჩებოდა იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტად. ფრანგთა იმპერატორს იტალიაში შესაბამისი სამფლობელო და წოდება ესაჭიროებოდა. ამიტომაც 1805 წ. 15 მარტს იტალიის რესპუბლიკა სამეფოდ გარდაიქმნა, რომლის მეფედაც ნაპოლეონი გამოცხადდა. იმავე წლის 26 მაისს, მილანის საკათედრო ტაძარში ნაპოლეონის იტალიის მეფედ კურთხევის ცერემონიალი შედგა და იმპერატორმა ლანგობარდების მეფეთა რკინის გვირგვინი დაიდგა. ამით მან საკუთარი თავი ადრეული შუასაუკუნეობრივი ლანგობარდი მეფეებისა და კარლოს დიდის სამართალმემკვიდრედ გამოაცხადა. ნაპოლეონმა თავისი გერი, 24 წლის ეჟენ დე ბოჰარნე მეფისნაცვლად დანიშნა.

ამგვარად, ფრანგთა იმპერატორმა და იტალიის მეფემ ცხენოსან ეგერთა I პოლკისაგან სახსოვრად მიიღო ხმალი, რამაც უკვდავყო აღნიშნული სამხედრო შენაერთის სახელი. რა შეიძლება ითქვას ნაპოლეონის ცხენოსანი ჯარის, ეგერებისა და კერძოდ, ცხენოსან ეგერთა I პოლკის შესახებ?

„კავალერია ბრძოლას ამშვენებს“ [http: //www.openlibrary. orgworks/ OL87846W/Napoleon's maxims-of-war] – ასეთი იყო ნაპოლეონის გამონათქვამი ჯარის ამ სახეობასთან დაკავშირებით. რევოლუციის ქაოსიდან აღმოცენებული ამ გენიოსის მიერ გადადგმული თითოეული ნაბიჯი ესთეტიკის, მშვენიერების აღქმისა და მისი განსაკუთრებულად განჭვრეტის შედეგად იყო გადადგმული [2. Вершитель. 2004: 10]. ამიტომ ბრძოლის იმ მონაკვეთებს, რომლებშიც კავალერია მონაწილეობდა იგი სილამაზის ჭრილში განიხილავდა.

რას წარმოადგენდა ნაპოლეონის კავალერია?

რევოლუციამ, რომელმაც საფრანგეთში 1789 წ. იფეთქა ბევრი დიდგვაროვანი აიძულა დაეტოვებინა ქვეყანა. ამან მნიშვნელოვნად დაასუსტა ფრანგული კავალერია, რადგან, ტრადიციულად, დიდგვაროვანთა უმრავლესობა სწორედ ცხენოსან ჯარში მსახურობდა. მდგომარეობა ნაპოლეონის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ გამოსწორდა. მან ეს საჯარისო სახეობა კვლავ ქმედითუნარიანად აქცია. მისი მეცადინეობის წყალობით, ფრანგული კავალერია იმ ძალად ჩამოყალიბდა, რომელიც ტოლს არ უდებდა ნებისმიერი მოწინააღმდეგის ცხენოსან ჯარს. ნაპოლეონის ხანის ფრანგული კავალერია, პირველ რიგში, გამოირჩეოდა არაჩვეულებრივი უნარით – მის ყველა წევრს შეეძლო ერთნაირად ემოქმედა, ასევე განსაკუთრებული მანევრირებითა და ორგანიზებულობით. ყოველივე ამის წყალობით ჯარი სწორუპოვრად ითვლებოდა. მაგრამ ეს ძლიერება ერთობ თავისებური თვისებებით ხასიათდებოდა.

საზოგადოდ, ფრანგი ცხენოსნები, როგორც მოჯირითეები და მოფარიკავეები პოლონელ, პრუსიელ ან ავსტრიელ ცხენოსნებთან შედარებით სუსტნი იყვნენ. სამხედრო საქმის სპეციალისტებს უკვირდათ, რომ ფრანგული კავალერია, რომელიც ესოდენ ძლიერი იყო ნაკლებად დახელოვნებული ცხენოსნებითა და მოფარიკავეებით იყო დაკომპლექტებული. ეს იყო საყოველთაო შეხედულება. აი, რას წერდა XIX ს. ცნობილი სამხედრო თეორეტიკოსი გენერალი ჟომინი: „როდესაც მე ვლაპარაკობ ბრწყინვალე ფრანგულ კავალერიაზე მე პირველ რიგში

მხედველობაში მაქვს ფრანგების უნარი უცებ აღივსონ სიმამაცით. მაგრამ ცხენოსნობაში ან ცხენების მოვლაში ისინი ვერ შეედრებიან გერმანელებს ან რუსებს“ [3. xhttp://www.napolun com /mirror/web2.airmail. net/ napoleon/ cavalry-Napoleon. html#frenchchasseurs].

დაახლოებით ასეთივე აზრის იყო ავსტრიელი უფლისწული,ერცჰერცოგი კარლი, რომელიც 1809 წ. სამხედრო კამპანიაში ავსტრიის ჯარს სარდლობდა და საკმაოდ კარგ სარდლად ითვლებოდა. იგი ამბობდა, რომ: „საერთო ჯამში, ფრანგული კავალერია უხეირო იყო ცხენოსნობაში და გაუწაფავი ცხენოსნებისაგან შედგებოდა. მაგრამ საკმარისი იყო საბრძოლო წყობით განლაგებულიყვნენ, საყვირს კი შეტევის ნიშანი მიეცა და მათ წინ ვერავინ დაუდგებოდა“ [3. xhttp://www.napolun com /mirror/web2.airmail.net/ napoleon/ cavalry-Napoleon. html#frenchchasseurs].

ფრანგული კავალერიის ძლიერებას არ უარყოფდნენ არც ნაპოლეონის თანამედროვე ბრიტანელი სამხედროები. ცნობილი სარდალი გენერალი ჩარლზ ნეპიერი აღიარებდა ფრანგული კავალერიის უპირატესობას ინგლისურზე. ამ შეხედულებას იზიარებდა ნაპოლეონის წინააღმდეგ მებრძოლი, ინგლისის ჯარების მთავარსარდალი ფელდმარშალი არტურ უელსლი, ჰერცოგი ველინგტონი, მას მიაჩნდა, რომ: „ჩვენი (ბრიტანული) კავალერია ბევრად ჩამორჩება ფრანგულს საბრძოლო წყობის თვალსაზრისით. ჩვენი ერთი ესკადრონი გაუმკლავდება ორ ფრანგულს, მაგრამ არ ვისურვებდი, რომ ოთხი ბრიტანული ესკადრონი ოთხ ფრანგულს დაპირისპირებოდა. მებრძოლ მხარეთა რაოდენობის ზრდასთან ერთად მატულობს საბრძოლო წყობის დაცვის აუცილებლობაც და ამ შემთხვევაში ჩვენი შენაერთები ხიფათში აღმოჩნდებიან, თუკი მათ რიცხვობრივი უპირატესობა არ ექნებათ“ [3. http://www.napolun com /mirror/web2.airmail.net/ napoleon/ cavalry-Napoleon. html#frenchchasseurs]. ამრიგად, ცხენოსანთა დიდი შენაერთების შეტაკებისას ჰერცოგი ველინგტონი წარმატების მოპოვებას მხოლოდ რიცხვობრივი უპირატესობის წყალობით იმედოვნებდა.

ვსაუბრობთ რა ფრანგული კავალერიის თვისებების შესახებ და იმ მიზეზებზე, რომლებმაც მისი უპირატესობა განაპირობა, ყველაზე მრავლისმოქმელი, ალბათ თავად ნაპოლეონის განსჯა იქნება, რომელიც დროთა განმავლობაში რაოდენობრივი ზრდის თვისობრივ უპირატესობაში გადასვლის სიმბოლოდ იქცა. ნაპოლეონი წერდა: „ორი მამლუქი დაამარცხებდა სამ ფრანგ ცხენოსანს, 100 ფრანგი ცხენოსანი არ შეუშინდებოდა 100 მამლუქს, ხოლო 1000 ფრანგი ცხენოსანი დაამარცხებდა 1500 მამლუქს“ [3. http://www.napolun com /mirror/web2.airmail.net/ napoleon/ cavalry-Napoleon. html#frenchchasseurs]. ეს გახლდათ დისციპლინის, მანევრირების, მწყობრად და დიდი მასით მანიპულირების უნარის შედეგი. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია პოლონელი ოფიცრის, ვინმე კლაპოვსკის მოგონება, რომელიც ნაპოლეონის ჯარში მსახურობდა: „უნგრელმა ჰუსარებმა (რომლებიც ავსტრიის ჯარში მსახურობდნენ-ივ. მ.) სამჯერ თუ ოთხჯერ შემოგვიტიეს და შეტევის შემდეგ სრულიად დეზორგანიზებულები უკუიქცნენ. თავის მხრივ, ფრანგებმა მოიგერიეს რა მტრის შეტევა გაცილებით სწრაფად მოაწესრიგეს თავისი საბრძოლო წყობა და შეინარჩუნეს იგი მთელი კონტრშეტევის

განმავლობაში, რომელიც მათ განახორციელეს უნგრელი ჰუსარების წინააღმდეგ [3. http://www.napolun com /mirror/web2.airmail.net/ napoleon/ cavalry-Napoleon. html#frenchchasseurs]. სწორედ ამ პრინციპებისა და თვისებების განზოგადებაა ნაპოლეონის ერთ-ერთი მაქსიმა, რომელიც, იმავდროულად, ამ გენიალური ადამიანის განსწავლულობასა და მეცნიერებისადმი პატივისცემაზე მიუთითებს – „ისევე როგორც ძალა მექანიკაში, ჯარის ძლიერება უდრის მასისა და აჩქარების ნამრავლს“ [4. http: //www.openlibrary. orgworks/OL87846W/Napoleon's maxims-of-war].

თავად ნაპოლეონი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ცხენოსან ჯარს. „კავალერია უნდა მოქმედებდეს ბრძოლის ყველა მონაკვეთში, დასაწყისში, შუა ბრძოლაში და მის დასასრულს“ – წერდა იგი. ნაპოლეონი ხაზგასმით აღნიშნავდა კავალერიის ბრძოლაში გაბედულად ჩაბმისა და მის მაღალ დონეზე წვრთნის აუცილებლობას.

რა შეიძლება ითქვას ნაპოლეონის ცხენოსან ეგერებზე და რას წარმოადგენდა ეგერთა საჯარისო შენაერთები? სიტყვა ეგერი მომდინარეობს გერმანულიდან Jager [jaige], რაც ნიშნავს მონადირეს. ეგერთა შენაერთები პირველად 1674 წ. ბრანდენბურგის ჯარში გამოჩნდა, ასე უწოდებდნენ სნაიპერებს. XVIII ს. შუახანებიდან პრუსიის ჯარში რაზმები შეიქმნა, რომლებიც მონადირეებისა და მეტყევეებისაგან შედგებოდა. ეგერები გაფანტული წყობით იბრძოდნენ, კარგად იყენებდნენ ბუნებრივ საფარებს, ზუსტად ისროდნენ მიზანში, შემოვლითი მანევრების დროს ცხენოსან ჯარს ზურგს უმაგრებდნენ. ეგერები შეიარაღებულნი იყვნენ თოფებით, ხანჯლებითა და სანადირო დანებით.

ეგერთა შენაერთები ევროპის სხვა ქვეყნების ჯარებშიც გავრცელდა. საფრანგეთში მათ ეწოდებოდა chasseur, რაც ფრანგულად მონადირეს ნიშნავს. ეგერთა შენაერთები ორგვარი იყო, ქვეითი და ცხენოსანი, ანუ როგორც ეს ფრანგულად გამოითქმოდა chasseurs a pied და chasseurs a cheval. რევოლუციამდელი ფრანგული არმია თავისი არსით კლასობრივი იყო, თუმცა კი მდაბიო წარმოშობის სამხედრო მოსამსახურეებს, წარჩინებული სამსახურის შემთხვევაში, არ ჰქონდათ გზა გადაკეტილი მეტ-ნაკლებად მაღალი წოდების მისაღებად [6. http://www.flipkart.com/ author/edward-j-lawell].

მდგომარეობა შეიცვალა ლუი XVI მეფობის ბოლო ათწლეულში. 1781 წ. შემუშავდა კანონი, რომლითაც II ლეიტენანტის წოდება მიენიჭებოდა მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც თავიანთი კეთილშობილი წარმოშობის დამადასტურებელ საბუთს წარმოადგენდნენ (დაწყებული მეოთხე თაობიდან – წოდების მაძიებლის ჩათვლით). კანონი ვრცელდებოდა ცხენოსან ჯარზე, კერძოდ, მსუბუქად შეიარაღებულ ცხენოსნებზე, დრაგუნებსა და ცხენოსან ეგერებზე [6. http://www.flipkart.com/ author/edward-j-lawell]. ამით ჯარში წინსვლის შესაძლებლობა დაეხშო მესამე წოდების წარმომადგენლებს, ანუ, მათ, ვინც ეკონომიკური თვალსაზრისით საზოგადოების უმნიშვნელოვანეს ფენას წარმოადგენდა.

რევოლუციამ, რომელიც ნაპოლეონისავე თქმით, „საუკეთესო პირობებს უქმნის სამხედრო მოსამსახურეებს წარმატებული კარიერისათვის“ [4. http: //www.openlibrary. orgworks/OL87846W/Napoleon's maxims-of-war] მდგომარეობა ძირფესვიანად შეცვალა. ჯარში მასობრივი გაწვე-

ვის შემოღებამ და არმიიდან თავად-აზნაურობის გადინებამ მაღალი წოდებებისაკენ გზა გაუხსნა ბევრ „უგვარო," მაგრამ ნიჭიერ ადამიანს. მათ შორის იყვნენ ნაპოლეონის ჯარის მომავალი მარშლებიც, მაგ. ყოფილი კონტრაბანდისტი ანდრე მასენა, მედუქნის ვაჟი იოაჰიმ მიურატი, მეკასრის შვილი მიშელ ნეი. სწორედ კავალერისტი, ლეიტენანტი მიურატი, რომელიც ნაპოლეონის ხელქვეით პირველად 13 ვანდემიერის როიალისტური ამბოხის ჩახშობის დროს იბრძოდა (1795 წ. 5 ოქტომბერი) და რომელმაც მეთაურის ბრძანებით, უმალ გადმოზიდა მისთვის ესოდენ საჭირო ზარბაზნები, შემდგომში გენერალი და ბოლოს მარშალი გახდა. მიურატს, ნაპოლეონის ცხენოსანი ჯარის სარდალს, „იმპერიის პირველ ხმალს" უწოდებდნენ, სიმამაცისა და საბრძოლო შემართების გამო.

აი, ასეთი ადამიანი სარდლობდა ნაპოლეონის კავალერიას, რომლის შემადგენლობაში ცხენოსანი ეგერებიც შედიოდნენ. ეს იყო კავალერიის მსუბუქად შეიარაღებული ნაწილი. მათი მოქმედების სპექტრი ერთობ ფართო იყო. ეგერები ასრულებდნენ დაზვერვით ფუნქციებს ქვეითი და ცხენოსანთა სხვა ნაწილებისათვის, გარკვეულწილად ახერხებდნენ მოწინააღმდეგის პროვოცირებას, მონაწილეობდნენ ყველა საბრძოლო მონაკვეთში სხვა ტიპის ცხენოსანთა შენაერთებთან ერთად. ფრანგულ კავალერიაში სამი სახეობის მსუბუქად შეიარაღებული ცხენოსნების შენაერთი იყო: ჰუსარები, ულანები და ეგერები. ამათგან ჰუსარები გარკვეულწილად უნგრელ ჰუსარებს, ხოლო ულანები პოლონელ ულანებს ჰგავდნენ. გამონაკლისს ეგერები წარმოადგენდნენ, რომლებიც თავიანთი ხასიათით წმინდა ფრანგული საჯარისო შენაერთის წევრები იყვნენ.

რაოდენობრივად ეგერთა შენაერთები საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო. 1804 წ. ნაპოლეონის კავალერია ეგერთა 23 პოლკს აერთიანებდა, 1811 წ. კი 31-ს. 1815 წელსაც კი, ნაპოლეონის ბოლო სამხედრო კამპანიის დროს, მისი კავალერია ეგერთა 15 პოლკს ითვლიდა. 8 პოლკი ე.წ. ჩრდილოეთის არმიის შემადგენლობაში იყო. ეს პოლკები ვატერლოოსთან იბრძოდნენ და რაოდენობით მხოლოდ კირასირთა და დრაგუნთა შენაერთებს ჩამოუვარდებოდნენ. რით იყო გამოწვეული ნაპოლეონის სწრაფვა ცხენოსან ეგერთა მრავალრიცხოვანი პოლკების შექმნისა? ორ მიზეზს ასახელებენ. პირველი – კირასირებისაგან და ჰუსარებისაგან განსხვავებით, ეგერთა ჩაცმა-აღჭურვა უფრო იაფი ჯდებოდა. მათ ეცვათ მწვანე ფერის ქურთუკები და შარვლები. თავზე ცილინდრისმაგვარი ქუდები ეხურათ, რომლებსაც შაკოს უწოდებდნენ. ქუდი კი შემდეგნაირად იყო შემკული: ელიტარული ქვედანაყოფების წევრები ბეწვის ქუდებს ატარებდნენ, რომლებიც წითელი ბუმბულით იყო გალამაზებული, ხოლო დანარჩენი ქვედანაყოფების წარმომადგენელთა ქუდებს, შაკოს შესაბამისად, წითელი, მწვანე, ლურჯი და ნარინჯისფერი პომპონი ამშვენებდა. ეგერები შეიარაღებულები იყვნენ ხმლებითა და კარაბინებით.

მაგრამ ეგერთა პოლკების ესოდენ დიდი რაოდენობის შექმნა განპირობებული იყო არა მხოლოდ იაფი ჩაცმა-აღჭურვით. ცხენოსანი ეგერები ძალზე ფართო დიაპაზონის საჯარისო შენაერთი იყო. გარდა

იმისა, რომ მათ ფუნქციებში შედიოდა დაზვერვა, მეტოქის ძალების მოსინჯვა, მისი პროვოცირება, ისინი სხვა შენაერთებისაგან განსხვავებით, ბრძოლის ყველა ეტაპში მონაწილეობდნენ. მაგ. კირასირები, ანუ, მძიმედ შეიარაღებული ცხენოსნები ბრძოლაში მხოლოდ გადამწყვეტ მომენტში ებმებოდნენ. კირასირები, მოწინააღმდეგის ყველაზე სუსტ ადგილს უტევდნენ, რათა მტრის რიგები გაერღვიათ, დაექსაქსათ და ამით პრაქტიკულად ბრძოლისათვის საბოლოო წერტილი დაესვათ.

მაგრამ ცხენოსან ეგერებს ერთი უპირატესობა ჰქონდათ. მათ შეეძლოთ ჩამოქვეითება და ქვეითად ბრძოლა უსწორმასწორო ტერიტორიაზე, რაც გამორიცხული იყო კირასირებთან და ულანებთან მიმართებაში. კირასირები შეიარაღებულნი იყვნენ გრძელი, მძიმე მახვილებით, თავზე ლითონის ჩაჩქნები ეხურათ, ტანზე კი ლითონის ფირფიტებისა და ტყავის ჯავშანი ეცვათ. ულანების მთავარი იარაღი შუბი იყო. ბუნებრივია, ამგვარი აღჭურვილობის ცხენოსნები ქვეითად ვერ იბრძოლებდნენ. ეგერებს სწორედ ამ მხრივ ენიჭებოდათ უპირატესობა.

აღჭურვილობის განსხვავება კიდევ ერთ თავისებურებას განაპირობებდა, რაც ეგერებს სხვა შენაერთებისაგან განასხვავებდა, კერძოდ კი კირასირებისაგან. მძიმე აღჭურვილობა კირასირებისაგან და მათი ცხენებისაგან შესაბამის ფიზიკურ მონაცემებს მოითხოვდა. კირასირის მინიმალური სიმაღლე უნდა ყოფილიყო 173 სმ, ხოლო მისი ცხენისა კი 155-160 სმ. ამიტომაც კირასირებს უწოდებდნენ: „ზორბა კაცები ზორბა ცხენებზე“ [3. http://www.napolun com /mirror/web2.airmail.net/ napoleon/ cavalry-Napoleon. html#frenchchasseurs]. ამ მხრივ, ეგერთა და მათი ცხენების მონაცემები უფრო მოკრძალებული იყო და შესაბამისად უდრიდა 165 სმ და 149-155 სმ.

ეგერები და განსაკუთრებით ამ შენაერთის ახალგაზრდა ცხენოსნები მონდომებით გამოირჩეოდნენ. ისინი ჰუსარებზე მეტად იყვნენ დისციპლინირებულები, უკეთ უვლიდნენ იარაღსა და სხვა აღჭურვილობას. ცხენოსანი ეგერები, ტრადიციულად, ულვაშებს ატარებდნენ. მათ რიგებში ეს ძალზე ფასობდა. ამიტომ გასაგებია მე-20-ე პოლკის ახალგაზრდა ეგერის შარლ პაკენის წუხილი: „სამართებლის ხშირი ხმარებისდა მიუხედავად, ჩემდა სამწუხაროდ ულვაში არ ჩქარობს ამოსვლას“ – ამბობდა იგი [3. http://www.napolun com /mirror/web2.airmail.net/ napoleon/ cavalry-Napoleon. html#frenchchasseurs].

მიუხედავად იმისა, რომ ეგერები დისციპლინირებულები იყვნენ ზოგი მათგანი უფრო მეტ სიმამაცეს ავლენდა, ვიდრე საჭირო იყო და ეს სიმამაცე, ხშირად სიკვდილით მთავრდებოდა. მაგ. 1809 წ. ავსტრიელებთან ბრძოლაში მე-20-ე პოლკის ერთ-ერთ მებრძოლი ავსტრიელთა რიგების წინ ამაყად გამოიჭიმა და შედეგმაც არ დააყოვნა. ეგერი ავსტრიელთა ჭურვმა შეიწირა.

ცხენოსან ეგერთა და საერთოდ ნაპოლეონის ცხენოსანი ჯარის საორგანიზაციო სტრუქტურა შემდეგნაირი იყო: კავალერიის საწყის შენაერთს ესკადრონი წარმოადგენდა. ესკადრონს კავალერიაში ნაპოლეონი იგივე მნიშვნელობას ანიჭებდა, რასაც ბატალიონს ქვეით ჯარში. თეორიულად ერთი ესკადრონი 200-300 ცხენოსანს ითვლიდა, მაგრამ იყო შემთხვევები, როდესაც მათი რაოდენობა 80-დან 250-მდე

მერყეობდა. 3-4 ესკადრონი პოლკს შეადგენდა. თეორიულად პოლკში 800-1200 ცხენოსანი იყო. მაგრამ აქაც ცვალებადობას ჰქონდა ადგილი, ეს რიცხვი ხუთასსა და სამასს შორისაც მერყეობდა ხოლმე. მაგალითად, 1805 წ. ნოემბერ-დეკემბერში აუსტერლიცის ბრძოლის წინა პერიოდში და უშუალოდ ბრძოლის დროს.

ორი-სამი პოლკი ბრიგადას ქმნიდა. იმავე რაოდენობის ბრიგადები დივიზიაში ერთიანდებოდა, ხოლო ორი-სამი დივიზია კორპუსს შეადგენდა. ნაპოლეონს მიაჩნდა, რომ კავალერია ქვეითი ჯარის 1/6 უნდა ყოფილიყო [3. http://www.napolun com /mirror/web2.airmail.net/ napoleon/ cavalry-Napoleon. html#frenchchasseurs]. მაგრამ ეს შეფარდება ყოველთვის დაცული არ იყო. მაგ. 1805 წ. აუსტერლიცთან 58 650 ქვეითზე 11 280 ცხენოსანი ფიქსირდებოდა. 1812 წ. ბოროდინოსთან ეს ციფრები შესაბამისად უდრიდა 88 350 და 28, 500, ხოლო 1815 წ. ვატერლოოსთან კი 53 400 და 15 600.

ესკადრონს კაპიტანი მეთაურობდა, პოლკს კი პოლკოვნიკი. ყველა პოლკში იყო ელიტარული ქვედანაყოფი,რომელიც შედგებოდა ყველაზე მამაცი,გამოცდილი და დახელოვნებული მეომრებისაგან,რომლებიც შავ ცხენებზე იყვნენ ამხედრებულები. ყველა პოლკს თავისი შტანდარტი, არწივი ჰქონდა. ეს იყო ბრინჯაოსაგან დამზადებული არწივის ფიგურა, რომელიც 1.85 კგ-ს იწონიდა და დროშის ტარის თავზე მაგრდებოდა. ფიგურის სიმაღლე უდრიდა 310 მმ-ს, ხოლო სიგანე 225 მმ-ს.

ცხენოსან ეგერთა I პოლკიც, როგორც იმ დროის ფრანგული არმია, რევოლუციის პირმშო იყო. პოლკი შეიქმნა 1791 წ. და დაწყებული შექმნის დღიდან, რევოლუციურ ბრძოლებსა და ნაპოლეონის ყველა ომში მონაწილეობდა. პოლკმა საბრძოლო ნათლობა 1792 წ. ვალმის ლეგენდარულ ბრძოლაში მიიღო, სადაც რევოლუციური საფრანგეთის ჯარმა პირველად უკუაგდო ანტიფრანგული კოალიციის ჯარი, რომელსაც ბრაუნშვაიგის ჰერცოგი სარდლობდა. ეს ჯარი ფრიდრიხ II-ის მიერ გამოწვრთნილი შენაერთებისაგან შედგებოდა. პოლკი მონაწილეობდა ბრძოლებში: 1794 წ. – ფლერიუსი, 1800 წ. – ჰოჰენლინდენი, 1805 წ. – ულმი და აუსტერლიცი, 1806 წ. – აუერშტადი, 1809 წ. – ვაგრამი, 1812 წ. – მოგილევი, სმოლენსკი, ბოროდინო, 1814 წ. – მობეჟის დაცვა, 1815 წ. – კატრ-ბრა. აქედან პოლკმა ოთხ ბრძოლაში გამოიჩინა თავი. ჰოჰენლინდენთან, აუსტერლიცთან, ვაგრამთან და ბოროდინოსთან [5. http://www.nfpoleon-series.org/military/organization/c-chasseurshtml]. ამ დროის განმავლობაში პოლკს მეთაურობდნენ პოლკოვნიკები და ბრიგადის უფროსები: 1791 წ. – ფილიპ მიურატი, 1799 წ. – ჟან-ბატისტ დიუბუა-კრანსე, 1800 წ. – კარიე დე ბუასი, 1800 წ. – მონბრიუნი, 1805 წ. – ეკსელმანი, 1807 წ. – მედა, 1812 წ. – უბერი, 1814 წ. – ლაბუსი, 1814 წ. – სენ-შამანი, 1815 წ. – სიმონო.

1805-1815 წწ. ამ პოლკის ოფიცერთაგან ბრძოლაში დაიღუპა – 11, ჭრილობებისაგან გარდაიცვალა – 5 და დაიჭრა – 82. პოლკის ხუთმა ოფიცერმა ბრიგადისა და დივიზიის გენერლის წოდება მიიღო. ესენი იყვნენ: სუბუკი – დივიზიის გენერალი, იმპერიის ბარონი; კარიე დე ბუასი – ბრიგადის გენერალი, იმპერიის გრაფი, საპატიო ლეგიონის ორდენის დიდი ოფიცერი, მონბრიუნი – დივიზიის გენერალი, იმპე-

რიის გრაფი, საპატიო ლეგიონის ორდენის დიდი ოფიცერი, დაიღუპა ბოროდინოს ბრძოლაში, ეკსელმანი – ბრიგადის გენერალი, იმპერიის გრაფი [5. http://www.nfpoleon-series.org/military/organization/c-chasseurshtml].

პოლკის ნაპოლეონის ეპოპეაში მონაწილეობის დამამთავრებელი ეტაპი კატრ-ბრას ბრძოლა იყო, რომელიც 1815 წ. 16 ივნისს გაიმართა. ამ ბრძოლაში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ საფრანგეთის ე.წ. ჩრდილოეთის არმიისა (Armee du Nord) და ინგლის-ჰოლანდიური არმიის შენაერთები. ფრანგებს მარშალი ნეი მეთაურობდა, ინგლის-ჰოლანდიის არმიას ჰერცოგი ველინგტონი, ცხენოსან ეგერთა I პოლკი ბრძოლაში დასასრულს ჩაება, როდესაც ნეის ბრძანებით, კირასირთა ბრიგადამ გენერალ კელერმანის მეთაურობით მოწინააღმდეგეს შეუტია. ამ შეტევაში კირასირებთან ერთად ზემოხსენებული I პოლკიც მონაწილეობდა. კირასირებმა და ეგერებმა ისე მძლავრად შეუტიეს ინგლისელთა გვარდიას, რომ ამ უკანასკნელმა 500 ადამიანი დაკარგა, თავად კი გაქცევით უშველა თავს. ინგლისელებმა ტყეს შეაფარეს თავი. მაგრამ ნეის ქვეითი ნაწილები აღარ ჰყავდა, რათა ბრძოლა წარმატებით დაეგვირგვინებინა და ფრანგები იძულებულნი გახდნენ ადრინდელ პოზიციებზე დაბრუნებულიყვნენ [3. http://www.napolu6 com /mirror/ web2.airmail.net/ napoleon/ cavalry-Napoleon. html#frenchchasseurs]. ფრანგებმა უკუაგდეს მოწინააღმდეგე, მაგრამ ვერ განახორციელეს მთავარი ამოცანა, რაც ნაპოლეონის მთავარი მიზანი იყო – ვერ გაანადგურეს ველინგტონი.

პრაქტიკულად იგივე განმეორდა მეორე ბრძოლაში ლინისთან, რომელიც იმავე დღეს გაიმართა. ლინისთან ნაპოლეონმა დაამარცხა მარშალი ბლიუხერი, მაგრამ ვერ მოახერხა მისი განადგურება. ფრანგების ეს არასრული წარმატება განაპირობა მარშალ ნეისა და გენერალ დ'ერლონის შეუთანხმებელმა მოქმედებამ. ამან საშუალება მისცა ველინგტონსა და ბლუხერს 18 ივნისს ვატერლოოსთან გამართულ ბრძოლაში მის დამამთავრებელ, გადამწყვეტ ეტაპზე გაერთიანებულიყვნენ, რამაც ნაპოლეონს წაართვა უკვე თითქმის მოპოვებული გამარჯვება.

ნაპოლეონის ეპოპეა დასრულდა. მასთან ერთად დასრულდა ცხენოსან ეგერთა I პოლკის საბრძოლო გზაც. გენიალურმა მხედართმთავარმა და მისმა მამაცმა მხედრებმა საკუთარი სახელები უკვდავყვეს. ხმლის პირზე გაკეთებულმა წარწერამ კი დრო და მანძილი გადალახა და მათი საბრძოლო დიდების ამბავი შორეულ საქართველოში ჩამოიტანა. სწორედ იქ, საიდანაც თავად იმპერატორი 1812 წ. მორიგი, ძლევამოსილი აღმოსავლური ლაშქრობის დაწყებას აპირებდა [1. Безотосный В. 1982:94]. ამიტომ, მართებული იქნება გავიხსენოთ ნაპოლეონის ერთ-ერთი გამონათქვამი – გენიალური ადამიანები იმისთვის იბადებიან, რათა მეტეორებივით დაიწვან და თავისი საუკუნე გაანათონ.

მხოლოდ საუკუნე? ალბათ უფრო მეტიც?!...

Ivane Menteshashvili

Georgian National Museum, Rustaveli Avenue 3, 0105 Tbilisi, Georgia

Napoleon's Chasseurs a Cheval.

The Emperor's Sabre in the Georgian National Museum

Summary

There is a sabre in Georgian National Museum which has inscriptions on the both sides of the blade. On one side it is written ,,Au grand Napoleon Ier Empereur de Francais et Roi d' Italie". On the another: ,,Pour I'honneur et la Patrie, le Ier Reg. chasseur a cheval". The atricle sheds lustre on these inscriptions, particularly their date, gives the information about Napoleonic cavalry, history of chasseurs and especially the first regiment of chasseurs a cheval.

ბიბლიოგრაფია

1. **Безотосный В.** 1982: Разведка Наполеона в России перед 1812 г. Журн. «Вопросы истории». № 10. стр. 86-94.

2. Вершитель роковой безвестного веления. К 200-летию коронации Наполеона Бонапарта. Исторические и художественные ценности наполеоновской эпохи. 2004: Ред. Е. Калло. Москва.

3. http://www.napolun.com/mirror/web2.airmail.net/napoleon/cavalry-Napoleon.html#frenchchasseurs.

4. http: //www.openlibrary. orgworks/OL87846W/Napoleon's maxims-of-war.

5. http://www.nfpoleon-series.org/military/organization/c-chasseurshtml.

6. http://www.flipkart.com/author/edward-j-lawell.

ილუსტრაციების აღწერილობა

სურ. 1. ნაპოლეონის ხმალი.
სურ. 2. ნაპოლეონი არკოლეს ხიდზე. მხატვარი ა. გრო.
სურ. 3. ნაპოლეონი იტალიის მეფის ჩაცმულობაში. მხატვარი ა. აპიანი.
სურ. 4. ნაპოლეონის ცხენოსანი ეგერი. მხატვარი კ. ვერნე.

LIST OF ILLUSTRATIONS

Fig. 1. Napoleon's sabre.
Fig. 2. Napoleon at Arcola bridge. Painting by A. Gros.
Fig. 3. Napoleon in clothes of King of Italy. Painting by A. Appiani.
Fig. 4. Napoleon's Chasseur a Cheval. Painting by C. Verna

სურ. 1 Fig.

სურ. 2 Fig.

სურ. 3 Fig.



სურ. 4 Fig.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია №1 (46-B), 2010, 387-400
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences №1 (46-B), 2010, 387-400

ისტორია

გურამ ჩხაიძე*, სალომე ჩანტლაძე*

საქართველოს ეროვნული მუზეუმი, რუსთაველის გამზირი 3, 0105,
თბილისი, საქართველო, ელ.ფოსტა: schantladze@museum.ge

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმი

XIX საუკუნის 80-იან წლებში, ქართული ინტელიგენციის წინაშე დადგა საკითხი – შექმნილიყო ეროვნული სამუზეუმო დაწესებულება, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევდა ეროვნული მნიშვნელობის მქონე ნივთების მოძიებასა და თავმოყრას.

ქართული საზოგადოების სახელით სერგეი მესხი, საუბრობდა რა შიომღვიმის მონასტრიდან ძველი ხელნაწერებისა და წიგნების თბილისის სასულიერო სემინარიაში გადმოტანისა და მათი დაკარგვის საშიშროების შესახებ, განსაკუთრებულად ამახვილებდა ყურადღებას ეროვნული სამუზეუმო დაწესებულების შექმნის აუცილებლობაზე. იგი თავის სტატიაში "ხალხის სახსოვრის დაცვა" წერდა: "ჩვენი წინაპართა სახსოვარი შეიძლება ხვალ ვეღარ გადარჩეს. ამის გამო ძალიან კარგი იქნება, ჩვენმა საზოგადოებამ (რადგან ეს საქმე უეჭველია მთელ ხალხს შეეხება) მოიგონოს ისეთი რამ საშუალება, რომ მუდამ ამ ეჭვებში და შიშში არ იყოს. ამისთანა საშუალება, ჩვენი აზრით, იქნება არხეოლოგიური მუზეუმის დაარსება. ამ არხეოლოგიურ მუზეუმში, რომლის გამგებლად და წევრებად, რასაკვირველია მხოლოდ ისეთი პირები იქმნებიან, რომელთაც ნამდვილად შესტკივათ გული საქართველოს ისტორიისა და ხალხისათვის, შეიძლება შეინახოს და დაიცვას კაცმა ყველაფერი, რაც შენახვისა და დაცვის ღირსი რამ დაუტოვებიათ ჩვენთვის ჩვენ წინაპართა. აქ, ამ მუზეუმში შეგროვდება როგორც ძველი ხელნაწერი წიგნები, აგრეთვე ძვირფასი ნივთები, ძველი ტანისამოსები, იარაღები და სხვა ყველა ნივთები" [17, გაზ. "დროება" 1879, 29/IX].

ქართული ინტელიგენციის მეცადინეობით, ერთ-ერთი ასეთი დაწესებულება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან ჩამოყალიბდა. ამ საზოგადოების დამაარსებელნი იყვნენ – ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ცხვედაძე, დიმიტრი ყიფიანი, რაფიელ ერისთავი, ბესარიონ ღოღობერიძე და სხვ. მათ 1878 წლის 20 ივნისს, მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსს გენერალ-ლეიტენანტ დიმიტრი სტაროსელსკის 123 დამფუძნებელი პირის სახელით საზოგადოების წესდების პროექტი წარუდგინეს,

რომელიც მრავალგზის განხილვის შემდეგ, 1879 წლის 31 მარტს დამტკიცდა.

1878 წლის 15 მაისს თბილისის გუბერნიის საადგილმამულო ბანკის შენობაში, 45 დამფუძნებელი წევრის თანდასწრებით, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (აბრევიატურა – **ქ.შ.წ.კ.)** პირველი საერთო კრება ჩატარდა, რომელმაც საზოგადოების თავმჯდომარედ დიმიტრი ყიფიანი აირჩია, თავმჯდომარის მოადგილედ (ამხანაგად) ილია ჭავჭავაძე, საზოგადოების მდივნად ალ. სარაჯიშვილი, ხაზინადარად რ. ერისთავი. საზოგადოების გამგეობის პირველ წევრებად დასახელდნენ – ნ. ცხვედაძე, ალ. სარაჯიშვილი, ი. გოგებაშვილი. რ. ერისთავი, ი. მაჩაბელი.

ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების შექმნის მთავარი ინიციატორი, ორგანიზატორი და ხელმძღვანელი ილია ჭავჭავაძე გახლდათ. იგი 1879-1885 წლებში საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილის (ამხანაგის) მოვალეობას ასრულებდა, ხოლო 1885 წლის მაისიდან გარდაცვალებამდე მისი თავმჯდომარე იყო. 1896 წლიდან კი, ილია ჭავჭავაძეს ქ.შ.წ.კ. საზოგადოების საპატიო წევრის ტიტული მიანიჭეს. იგი აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოების მიერ განხორციელებულ ყველა ღონისძიებაში. ილიამ საკუთარი ქონება და ბიბლიოთეკა ანდერძით ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელ საზოგადოებას გადასცა, ხოლო საგურამოში იმ სახლში, სადაც ილია ცხოვრობდა საზოგადოებამ სკოლა გახსნა.

ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელ საზოგადოებას ხელმძღვანელობდა გამგეობა, რომლის წევრებსაც სამი წლის ვადით ირჩევდნენ. სხვადასხვა დროს გამგეობის წევრები იყვნენ: თ. ჟორდანია, ი. მეუნარგია, ი. ბაგრატიონი, გ. წერეთელი, ი. გამყრელიძე, დიმ. ბაქრაძე, ეკატ. გაბაშვილი, გ. ქართველიშვილი, ა. ფურცელაძე, ზ. ჭიჭინაძე, ექ. თაყაიშვილი, მ. ჯანაშვილი, დ. კარიჭაშვილი, გ. თუმანიშვილი, ვ. თულაშვილი, ს. ფირცხალავა, ი. ლორთქიფანიძე, გ. ყაზბეგი, ალ. ჭყონია. გ. უთურგაული, ივ. ზურაბიშვილი, გრ. ყიფშიძე, გ. იოსელიანი ვ.ლ.მიქელაძე და სხვ.

საზოგადოება შედგებოდა დამფუძნებელი, საპატიო, ნამდვილი და დამხმარე წევრებისაგან.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სამოქმედო მიზანი გაცხადებული იყო მის წესდებაში: "ხელი შეეწყოს წერა-კითხვისა და დასაწყისის განათლების გავრცელებას კავკასიის სანამესტნიკოს მკვიდრ ქართველთა შორის" [15,2]. ამ მიზნის განსახორციელებლად საზოგადოება "გახსნიდა ახალ სკოლებს, დახმარებას გაუწევდა მოქმედ სასწავლო დაწესებულებებს, გამართავდა საკითხავს ხალხისათვის და სახალხო სამკითხველოებს" [16,5], მას შეეძლო აგრეთვე დაებეჭდა სახელმძღვანელოები და წიგნები.

შესწორებული, მეორედ მიღებული წესდების "ე" პუნქტის მიხედვით, ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოება "აარსებს მუზეუმს და ბიბლიოთეკას საყოველთაო სარგებლობისათვის" [16,5].

საზოგადოებამ თავიდანვე ენერგიული მუშაობა გააჩაღა ქართული სკოლებისა და სამკითხველოების შესაქმნელად. 1880 წლის 5 აპრილს გამგეობამ მიიღო გადაწყვეტილება საზოგადოების კანცელარიასთან, სამწიგნობროს (ბიბილიოთეკის) დაარსების შესახებ, სადაც ძველი ქა-

რთული ხელნაწერები და ნაბეჭდი წიგნები უნდა განთავსებულიყო.

ქართულმა საზოგადოებრიობამ გულთან ახლოს მიიტანა ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების ეს გადაწვეტილება და აქტიურად დაუჭირა მხარი. ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლები უსასყიდლოდ გადასცემდნენ საზოგადოებას ძველ ხელნაწერებს, წიგნებსა თუ ისტორიული ღირებულებების მქონე ნივთებს.

პირველსავე წლებში ბიბლიოთეკას ივანე ალექი-მესხიშვილმა 55 ძველი ხელნაწერი შესწირა, "რომელთა რიცხვში ძვირფასი არქეოლოგიური და საისტორიო განძი ურევია" – წერდა "ივერია" [21, გაზ. "ივერია" 1883, 7/VIII].

საზოგადოების ბიბლიოთეკისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ნიკო დადიანისგან მეტად მდიდარი მასალების მიღებას. ამ შემოწირულობაში 169 მნიშვნელოვანი ხელნაწერი და 10 ნაბეჭდი წიგნი ირიცხებოდა. მათ თბილისში ჩამოსატანად სამეგრელოში, სოფელ გორდში დადიანების საზაფხულო რეზიდენციაში, თვით ილია ჭავჭავაძე და იონა მეუნარგია ჩავიდნენ. ამავე წელს, საზოგადოებამ ზაქარია ჭიჭინაძისაგან ძველი ნაბეჭდი წიგნები შეიძინა.

ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების წევრები საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში დიდი ენთუზიაზმით აგროვებდნენ ძველ ხელნაწერებსა და წიგნებს. მათ შესწავლა - დამუშავებაში მონაწილეობა მიიღეს, თავდაპირველად, დიმ. ბაქრაძემ და ნ. მთვარელიშვილმა, შემდეგ კი, ექ. თაყაიშვილმა და დ. კარიჭაშვილმა.

ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების სამწიგნობრო (ბიბლიოთეკა) სწრაფად იზრდებოდა. ხელნაწერებისა და წიგნების უმრავლესობა შემოწირულობების სახით იქნა მიღებული. პირველ შემომწირველთა შორის საზოგადოების ანგარიშებში მოხსენიებულნი არიან: ვასილ ოქონელი, მიხეილ სარაჯიშვილი, ვასილ სულხანიშვილი, ნიკო მაჭავარიანი, ლუკა ისარლიშვილი, გიორგი საძაგლიშვილი, კონსტ. ბაგრატიონ-მუხრანსკი, მიხ. თამამშევი, ასლან წულუკიძე, კირილე ლორთქიფანიძე და სხვ. [1, ხუნდაძე ტ., 1960, 65].

1885 წელს ქ,შ.წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების წიგნსაცავთან (ბიბლიოთეკასთან) საფუძველი ჩაეყარა მუზეუმსაც. "წიგნსაცავ-მუზეუმი, სადაც იკრიბება ყოველნაირი ნაშთი ჩვენის წარსულის ცხოვრებისა," სწრაფად იქცა საზოგადოების კეთილშობილი მიზნების განხორციელების ერთ-ერთ მნიშვნელოვან რგოლად, ყურადღებისა და ზრუნვის საგნად.

ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების წევრები ბეჯითად და საქმის სიყვარულით შეუდგნენ ისტორიული მნიშვნელობის მქონე ხელნაწერების, ნივთების, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, და ნუმიზმატიკური მასალათა შეგროვებას. თავიანთი შემოწირულობებით მათ დიდ დახმარებას უწევდნენ მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენლები.

ქართული საზოგადოებრიობა დიდად იყო დაინტერესებული, რომ სწორედ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკა-მუზეუმში მოეყარა თავი ქართველი ხალხის კულტურულ მემკვიდრეობას. ისინი პრესის საშუალებით მოუწოდებდნენ მოსახლეობას ისტორიული მნიშვნელობის მქონე ნივთები საჩუქრად გადაეცათ მუზეუ-

მისათვის და იგი ეროვნული საგანძურის საცავად გადაექციათ.

ერთ-ერთი პირველი საყურადღებო ექსპონატი, რომელიც მუზეუმში განთავსდა ერეკლე მეფის თოფი იყო. მის შესახებ ილიასეული "ივერია" წერდა: "მეფე ირაკლის თოფი, რომელიც კახეთის თავადაზნაურობამ 2000 მანეთად იყიდა და განსვენებულს კავკასიის გმირსა და მთავარმართებელს თავად ბარიატინსკის მიართვა, როცა მან შამილის წინააღმდეგ ლაშქრობა დაამთავრა, დღეს ამ თოფის მფლობელს განუზრახავს ისევ საქართველოს დაუბრუნოს და საყვარელი მეფის ნაქონი ნივთი ისევ საქართველოს შვილთ ინახულონ ხოლმე სასწავლებლად და საგულისხმიეროდ... უმჯობესი იქნება, რომ ამგვარი წმინდა ქართულის მნიშვნელობის მქონე ძველი სახსოვარი შეწირულ ექნეს წ/კ გამავრცელებელ საზოგადოებას და ბიბლიოთეკას" [18, გაზ., "დროება" 1884, 3/VII].

1885 წელს ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა მადლობას უცხადებდა: დიმ. ბაქრაძეს, გ. საძაგლიშვილს, რაფ. ერისთავს და პ. კარბელაშვილს სამუზეუმო სიძველეთა შემოწირვისათვის. ამ ნივთებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავი ყოფილა გიორგი საძაგლიშვილის მიერ გადმოცემული მინის სურა, რომლის შესახებაც გაზეთი "დროება" წერდა: „პატარა ვიტრინაში, რომელიც სავსეა სხვადასხვა შესანიშნავის და იშვიათის ხელნაწერებით ძველი ისტორიულისა და არხეოლოგიური მნიშვნელობის ნივთებიც იკრიფება და გროვდება. ამ დღეებში ამ მუზეუმს მოსვლია ერთი ვერცხლის სურის გვარი მინის ჭურჭელი, რომელიც ოქროს ვარაყით არის შემკული. ვარაყი წარმოადგენს ვაზის ფოთლებს და ერთ ალაგს სურას ვარაყით აწერია: მეფისძე იულონი" [19, გაზ. "დროება," 1884წლის 26/VIII]. რაფიელ ერისთავს შეუწირავს დავით რექტორის (ალექსი-მესხიშვილის) მემორიალური ნივთი საწერი მოწყობილობის კომპლექტი და ნუმიზმატიკური კოლექცია [20, გაზ. "დროება" 1884, 12/IX].

საზოგადოების მუზეუმი განსაკუთრებით ნუმიზმატიკური მასალით მდიდრდებოდა. აღსანიშნავია, 1887 წელს ი. ბართოლომეის მიერ მუზეუმისათვის შემოწირული მდიდარი ნუმიზმატიკური კოლექცია, რომელიც დიღომში აღმოჩნდა. მასში ირიცხებოდა 474 მონეტა. ამის შესახებ გაზეთი "ივერია" წერდა: "ამ ფულში 67 არის მეფის გიორგის დროისა, 204 თამარ მეფისა, 170 გიორგი ლაშისა და 23 ადერბეიჯანის სხვადასხვა მაჰმადიან მფლობელთა დროისაა" [22, გაზ. "ივერია" 1887, 23/V].

სულ რამდენიმე წელიწადში საზოგადოების მუზეუმში უკვე იმდენი ექსპონატი დაგროვდა, რომ 1887 წელს დაისვა საკითხი ნუმიზმატიკური კაბინეტის ცალკეულ უჯრედად ჩამოყალიბების შესახებ.

1890-1891 წლებში ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმისთვის მნიშვნელოვანი ნუმიზმატიკური და არქეოლოგიური მასალა შეუწირავს გრიგოლ გურიელს. კოლექციაში შედიოდა: 6 ვერცხლისა და ბაქარის დროს მოჭრილი მონეტა, 10 ჟეტონი, რამდენიმე ბრინჯაოს ცული, ისრის პირები, თიხის ჭურჭელი, ძველებური კრიალოსანი და რკინის შუბი, რომელიც გადმოცემის მიხედვით, მურვან ყრუს ეკუთვნოდა. გიორგი ტატიშვილმა მუზეუმს ბერძნული ანტიკური ხანის მონეტები შესწირა, კონდ. ინასარიძემ – თეიმურაზ II-ის დროს მოჭრილი მონეტა,

ბესარიონ ნიჟარაძემ კი, სვანეთში აღმოჩენილი ისრის პირები [3,25].

1891 წელს რაფიელ ერისთავმა საზოგადოებას თავისი მდიდარი ბიბლიოთეკა გადასცა. ბიბლიოთეკა ათასამდე წიგნისგან შედგებოდა.

მომდევნო წელს საზოგადოების წიგნსაცავსა და მუზეუმს მ. ამირაძემ 26 ხელნაწერი შესწირა; ალ. როინიშვილმა – ძველებური ვერცხლის სურა, ძველი სიგელ-გუჯრები და დოკუმენტები; გ. საძაგლიშვილმა – ხელნაწერები, მონეტები და მცხეთაში აღმოჩენილი ანტიკური ხანის სარდიონის ქვა, აფროდიტეს გამოსახულებით; ოლღა ჭავჭავაძემ – მხატვარ გაგარინის მიერ შესრულებული შოთა რუსთაველის პორტრეტი; მ. საბინინმა – სამი ისტორიული ხელნაწერი; ქ. ზარაფოვმა – შუა საუკუნეების ქართული და სპარსული მონეტები; თედო სახოკიამ – ორი ძველებური სიგელი; ვ. ყიფიანმა კი ძველი ქართული ისტორიული დოკუმენტები და სხვ. [4,20].

1893 წელს დავით ჩუბინაშვილის მემკვიდრეებმა საზოგადოების წიგნსაცავი მეცნიერის ბიბლიოთეკით (282 ეროეული წიგნი) გაამდიდრეს.

ამავე წელს ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების ინიციატივით, განჯიდან დიდი ქართველი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტი გადმოასვენეს. 1895 წელს მისივე ძალისხმევით აღინიშნა კრწანისის ბრძოლის 100 წლისთავი და რაფიელ ერისთავის 50 წლის იუბილე.

1896 წელს წ/კ გამავრცელებელი საზოგადოების წიგნსაცავს პლატონ იოსელიანის ქვრივმა დიდი ისტორიკოსის ბიბლიოთეკა შესწირა. გარდა ამისა, მეუღლის სხვადასხვა ნაწერი "მეტად ძვირფასნი საქართველოს ისტორიისათვის." ალავერდის ეპისკოპოსმა ალექსანდრემ წიგნსაცავი მნიშვნელოვანი არქეოლოგიური და ნუმიზმატიკური ნივთებით გაამდიდრა. ჩამოთვლილი პორების გარდა ამ წელს შემომწირველთა შორის მოიხსენებიან: მთავარი დიაკვანი ნ. ოქრომჭედლიშვილი, რაფიელ ერისთავი, ანტ. ფურცელაძე, ი. მაჭავარიანი, კ. თავართქილაძე, ნ. ასათიანი, ქრ. მამაცაშვილი, დ. პავლიაშვილი, სპ. ბასილაშვილი, ა. თულაშვილი და ს. გამრეკელი.

შეწირულობათა გაღებაში აქტიურად ყოფილან ჩართულნი მანდილოსნებიც: ნინო ორბელიანი, მარიამ ლეონიძე, ელენე მირიანაშვილი, ნინო ნიჟარაძე და სხვ. [5,28].

1897 წელს საზოგადოების წიგნსაცავ-მუზეუმს, საქართველოს ისტორიისათვის მეტად საყურადღებო დოკუმენტები, ძველი სიგელ-გუჯრები და ნუმიზმატიკური მასალა შესწირეს – ელ. ყაზბეგმა, ლ. რაზიკაშვილმა, ალ. ყიფშიძემ, გრ. ჯავახიშვილმა, ალ. დოდაშვილმა, ვ. ბარნოვმა, პ. მორიანაშვილმა, მიხ. საბინინმა, კიტა აბაშიძემ, ბარნ. ფურცელაძემ, თედო რაზიკაშვილმა, ა. თარხან-მოურავმა, ტ. მომცემლიძემ, ს. დალაქიშვილმა, იასე ციციშვილმა და მიხ. ზედგენიძემ [6,38].

1898 წელს გარდაიცვალა ალ. როინიშვილი და მთელი "მისი არქეოლოგიური და ნუმიზმატიკური კოლექცია, როგორც სხვა ყოველივე მისი შეძლება, შეიქმნა საკუთრებად წ/კ საზოგადოებისა." ეს იმდენად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რომ ფაქტის საზოგადოებამ თავის ერთერთ ანგარიშში აღნიშნა: ''ამის გამო წიგნთსაცავი გადაიქცა ნამდვილ მუზეუმად.''

ამავე წელს მნიშვნელოვანი, ისტორიულად ღირებული ხელნაწერების შემომწირავთა შორის დასახელებულნი არიან: კირიონ ეპისკოპოსი, თედო სახოკია, ფილიპე გურიელი, იონა გვარამაძე, გრ. დიასამიძე, მ. გეხტმანი, ი. კალანდაძე, პ. ტატიშვილი, ვ. კალატოზიშვილი, ელ. ჩერქეზიშვილი, გ. დარჩიაშვილი, დ. ჯანდიერი და დ. მიქელაძე [7,45].

ისტორიულ ნივთთა და ძველი მონეტების შემოწირვისათვის წ/კ. გამავრცელებელი საზოგადოება მადლიერებით იხსენიებდა ან. ფურცელაძეს, ნ. მათიკაშვილს, ზ. ჩხიკვაძეს, ნ. ნაზროვს, ფ. ლაღიაშვილს, გ. ყაჯარდუხოვს და ბ. ვარდიაშვილს.

ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა პერიოდულად, პრესის საშუალებით მოუწოდებდა მოსახლეობას მუზეუმისადმი შეწირულობათა გაღებისაკენ, როგორც წესი, მიღებულ მასალათა შესახებ, სისტემატურად აქვეყნებდა ცნობებს თავის ანგარიშებში და მადლობას უხდიდა შემომწირველებს.

1899 წლის შემოწირულობებიდან განსაკუთრებულად საინტერესო იყო თედო ჟორდანიას მიერ საზოგადოებისთვის გადაცემული იმერეთის მეფის სოლომონ მეორის 19 წერილი, იოსებ მერკვილაძისაგან მიღებული იაპონური სამურაის ხმალი, კოტე ყიფიანისაგან – ალბომი მარი ბროსეს საქართველოში მოგზაურობის შესახებ, ვასილ კალატოზიშვილისგან – 1796 წლის სიგელი, აგრეთვე გრ. ბასილაშვილის, სპ. დავაძის, თ. ყიფშიძის, მ. ჯავახიშვილის, ნ. ლომოურის, ქაიხ. ხერხეულიძისა და ანასტ. წერეთლის მიერ შემოწირული სამუზეუმო მასალა [8,63].

ახალი საუკუნის დამდეგს საზოგადოების მუზეუმში შეტანილი მასალიდან მნიშვნელოვანი იყო რაჟდენ ბარამიძის, ევ. ბერიძის, ი. საყვარელიძის, თამარ ჯორჯაძის, გრიგოლ ყიფშიძის, თ. დადეშკელიანის და პ. მირიანაშვილის მიერ გადმოცემული ექსპონატები [9,44].

1903 წელს ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელმა საზოგადოებამ შეიძინა ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძის ძვირფასი ბიბლიოთეკა, რომელშიც 720 ეგზემპლარი ხელნაწერი და წიგნი ითვლებოდა.

ამავე პერიოდში დ. გაბრუაშვილმა და ვ. ბექარაულმა მუზეუმს სპარსული მონეტების კოლექცია გადასცეს. ნუმიზმატიკური მასალით მუზეუმის ფონდები გაამდიდრეს ა. ანდრონიკაშვილმა, ი. სონღულაშვილმა და შ. ხუნდაძემ. ძველი იმელ-გუჯრები, ლოცვანი, ისტორიული დოკუმენტები და სხვა ხელნაწერები მუზეუმს ქ. ქავთარაძემ, ი. გიუნაშვილმა, ე. ციციშვილმა, ე. ხუციშვილმა და პ. მასხარაშვილმა გადასცეს [10,23].

1907 წელს ილია ჭავჭავაძის ანდერძით წ/კ. გამავრცელებელ საზოგადოებას ილიას ქონება, პირადი მემორიალური ნივთები და უმდიდრესი ბიბლიოთეკა გადაეცა.

ამავე დროს საზოგადოების ბიბლიოთეკასა და მუზეუმში დიდი მუშაობა მიმდინარეობდა ნივთების შესწავლისა და მოწესრიგების მიმართულებით. დ. კარიჭაშვილის ავტორობით დაიბეჭდა საზოგადოების წიგნსაცავის კატალოგი. წიგნსაცავის ცალკეულ ფონდებში განთავსდა ხელნაწერი წიგნები, სიგელ-გუჯრები, ისტორიული დოკუმენტები და ნაბეჭდი გამოცემები.

ამგვარად, თანდათან იზრდებოდა და მდიდრდებოდა ბიბლიოთეკა-მუზეუმი. მუზეუმის ფონდების ზრდასთან ერთად, მეტად პრობლემატური ხდებოდა ფართის საკითხი. საფონდო და საექსპოზიციო ფართის უქონლობის გამო ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმის კუთვნილი ექსპონატები შესანახად გადაეცა სხვადასხვა პირსა და ორგანიზაციას, რომელთა სამყოფელიც განთავსებული იყო ქალაქის სხვადასხვა უბანში. დიდი ზომის მხატვრული სურათები ინახებოდა ალ. როინაშვილის ბინაში. 1887 წელს, ძველი ხელნაწერები და არქეოლოგიური ექსპონატების ნაწილი სარაჯიშვილის სარდაფებსა და არწრუნის ქარვასლაში მოათავსეს. ნუმიზმატიკური მასალა კი 1886 წლიდან საადგილმამულო ბანკის სეიფებში განთავსდა.

სამუზეუმო ნივთების სხვადასხვა ადგილზე გადატანა და გაფანტვა, რასაკვირველია, უარყოფითად მოქმედებდა მათ დაცვაზე. ამის შედეგი იყოს ის, რომ 1912 წელს რამდენიმე ძვირფასი ექსპონატი დაიკარგა: ახალ ბინაში ნივთების გადატანის დროს კარადაში მოთავსებული ნუმიზმატიკური კოლექციის შეჯერებისას, ადგილზე არ აღმოჩნდა 8 ოქროს მონეტა და ალ. როინაშვილის მიერ შემოწირული ოქროს საბურნუთე. გამგეობის სხდომაზე აღინიშნა, რომ "ეს პატარა შკაფი ძველ ბინაზე დაუკეტავად ინახებოდა. ასევე დაუკეტავად, მხოლოდ თოკით შეკრული გადატანილი იქნა იგი ახალ ბინაზე. ცხადია ბოროტმოქმედს ეს შეუმჩნევია და ამოუღია, რაც მას ძვირფასად მიაჩნდა. გამგეობამ ამის შესახებ მკაცრი გამოძიება მოახდინა, მაგრამ უშედეგოდ" [11,7].

1910 წლის მაისიდან მუზეუმის ექსპონატების ძირითადი ნაწილი სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობის (დღევანდელი თბილისის უნივერსიტეტის შენობის) მეორე სართულზე ინახებოდა. აქვე, ქართული გიმნაზიის შენობაშივე იყო ილია ჭავჭავაძის კაბინეტი და მისი მემორიალური ნივთები: ტანსაცმელი, სურათები, წიგნები და სხვ.

ამ შენობაშიც, სამუზეუმო ნივთების კონსერვაცია და შენახვა საკმაოდ ძნელი ყოფილა. ექვთიმე თაყაიშვილი 1911 წლის 21 აპრილს საზოგადოების სხდომაზე აღნიშნავდა: "სამუზეუმო ნივთები, რომელნიც გიმნაზიაშია გადატანილი და ყუთებში არის ჩალაგებული, თუ ასე დარჩა დიდხანს, გაფუჭდება და შემდეგ გამოუსადეგარი გახდება, ამიტომ საჭიროა მათი ხშირი გამზეურება" [12,102]. სინესტის გამო, ასევე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ის ნივთები, რომლებიც სათავადაზნაურო ბანკის სეიფებში ინახებოდა.

ქ/კ. გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმი, როგორც აღვნიშნეთ, სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობაში მდებარეობდა. მუზეუმი ღია იყო დილის 10 საათიდან შუადღის 3 საათამდე. ექსპონატებს ბევრი დამთვალიერებელი ჰყავდა. ხალხმრავლობა იყო წიგნსაცავშიც.

ქ/კ. გამავრცელებელი საზოგადოება ხშირად ითხოვდა ბიბლიოთეკისა და მუზეუმისათვის სათანადო შენობის აშენებას. ამ მოთხოვნას ფართო საზოგადოებაც უჭერდა მხარს, მაგრამ ყველა მცდელობა უშედეგოდ მთავრდებოდა.

ჯერ კიდევ 1885 წელს, ილია ჭავჭავაძემ მოითხოვა წიგნსაცავ-მუზეუმისათვის ვერაზე მდებარე ნიკო ბერძენიშვილის ორსართულიანი სახლის ყიდვა. იაკობ გოგებაშვილმა კი გამგეობის 1889 წლის

იანვრის სხდომაზე წამოაყენა წინადადება, რომ ლორის მელიქოვის ქუჩაზე სათავადაზნაურო ბანკის მახლობლად, მუზეუმისათვის ახალი შენობა აეშენებინათ. ამავე სხდომაზე დაიწყეს ხელმოწერების შეგროვება შენობის ასაგები შეწირულობის შესაკრებად.

1893 წელს, ერთ-ერთ სხდომაზე ქ.შ.წ.კ. საზოგადოების გამგეობა აღნიშნავდა: "ძველ ნივთებს და ფულებს აგროვებს და ინახავს იმ იმედით, რომ მოვა დრო, როცა საზოგადოება მოახერხებს საკუთარი მუზეუმი ააშენოს და იქ დააწყოს, როგორც წესი და რიგია, როგორც წიგნები, ისე სხვა არხეოლოგიური ნივთები და ძველი ფულები" [13,32].

1894 წელს საზოგადოების გამგეობამ, გამგეობის წევრს ნიკო ცხვედაძეს 200 მანეთი გადასცა და დაავალა უმოკლეს ვადებში შეემუშავებინა ბიბლიოთეკისა და მუზეუმის შენობის პროექტი. პროექტი არქიტექტორმა კ. ტატიშჩევმა უსასყიდლოდ შეადგინა. საქმეც თითქოს უნდა დაწყებულიყო, მაგრამ მალე გაირკვა, რომ გამგეობას საზოგადოების წესდების მიხედვით, არ ჰქონდა უფლება მიწის ნაკვეთისა და უძრავი ქონების შეძენის. საკითხი 1907 წლამდე გადაიდო, ანუ იმ დრომდე, სანამ წესდებაში სათანადო კორექტივები არ იქნა შეტანილი.

ამ პერიოდისათვის წიგნსაცავ-მუზეუმის შენობის პრობლემა იმდენად აქტუალური და მძიმე გახდა, რომ საზოგადოების 1907 წლის დეკემბრის საერთო კრებაზე გამოითქვა აზრი, რომ წიგნსაცავ-მუზეუმი საქართველოს საისტორიო კრებაზე საზოგადოებას გადასცემოდა. ამ წინადადებამ დიდი ვნებათა ღელვა გამოიწვია. უმრავლესობას მიაჩნდა, რომ: "ეს ბიბლიოთეკა წ/კ. საზოგადოების მოღვაწეობის ნაყოფია, ეს ძვირფასი ხელნაწერები მისი შრომით და მოღვაწეობით არის აქ შეგროვილი. ეს განძი საუკეთესო ფურცელია ჩვენი საზოგადოების ისტორიაში. ეს ბიბლიოთეკა წ/კ. საზოგადოების სულიერი საკუთრებაა, მისი ძალაა, მისი საუკეთესო ტრადიცია, ძველის მოგონება და გამამხნევებელი იმპულსი მომავალი მოღვაწეობისათვის. წ/კ. საზოგადოებამ გააკეთა დიდი საქმე, რომ ეს ხელნაწერები და წიგნები შეიძინა. და ეს გაკეთებული საქმე ავალებს მას შემდეგშიაც უპატრონოს და არ გადასცეს სხვა რომელიმე დაწესებულებას, მით უმეტეს, რომ ეს სხვა არ გვაძლევს საფუძველს, რომ ის უკეთესად უპატრონებს ამ ძვირფას განძს" [1, ხუნდაძე. ტ., 1960, 123].

საკითხის გადასაწყვეტად საზოგადოების კრებამ შექმნა კომისია ექვთიმე თაყაიშვილის თავმჯდომარეობით. დიდი კამათის შემდეგ კრებამ დაადგინა, რომ "ბიბლიოთეკა და მუზეუმი ჯერჯერობით დარჩეს ისევ წერა-კითხვის საზოგადოებას და არ გადაეცეს საისტორიო საზოგადოებას, რადგან უკანასკნელს ჯერჯერობით არ შესწევს ძალა უკეთესად უპატრონოს ბიბლიოთეკასა და მუზეუმს" [11, 62].

1909 წელს საზოგადოების გამგეობამ იაკობ და ლევან ზუბალაშვილებს სასტუმრო "ლონდონის" მახლობლად მიწის ნაკვეთის შეძენა და იქ მუზეუმის შენობისათვის მშენებლობის დაწყება სთხოვა. ორი წლის შემდეგ ზემოხსენებულმა კომისიამ წარმოადგინა მოხსენება, სადაც ხაზგასმით იყო აღნიშნული: "მუზეუმის აშენება შეიქმნა საზოგადოების გამგეობის ოცნებად და სანატრელად ამ უკანასკნელ 15 წელიწადში." კომისიის დასკვნების გათვალისწინებით გამგეობამ შესთავაზა საერ-

თო კრებას, რომ წიგნსაცავ მუზეუმი მთელი თავისი ფონდებით, დროებით გადატანილიყო ილიასეულ სახლში თბილისში, რომელიც მანამდე შესაფერისად უნდა შეკეთებულიყო. მაგრამ 1910 წლის 20 დეკემბრის კრებაზე ი. გოგებაშვილმა უარყო ეს მოსაზრება, ვინაიდან, ილიას სახლის შეკეთება ძალიან ძვირი დაჯდებოდა. გამგეობამ კრების წევრებს ურჩია, მუზეუმისათვის ახალი შენობის ასაგებად საჭირო თანხის მოსაგროვებლად, ყველა შემოწირულობისა და ფულადი ფონდის გაერთიანება, სპეციალური სამუზეუმო ფონდის დაარსება. ამ საქმის ხელმძღვანელობისთვის კრებამ სამუზეუმო კომისია ჩამოაყალიბა, რომლის წევრებადაც აირჩიეს: ს. კლდიაშვილი, დ. ჯორჯაძე. ნ. ელიავა, ვ. მუსხელიშვილი, დ. კარიჭაშვილი, ა. ყიფშიძე და პ. სურგულაძე. მოგვიანებით, კომისიის თავმჯდომარედ ექვთიმე თაყაიშვილი იქნა არჩეული. ცნობილმა ქართველმა მრეწველმა და მეცენატმა დავით სარაჯიშვილმა, მუზეუმისათვის სათანადო მიწის ნაკვეთის გამოყოფის შემთხვევაში, შენობის ასაშენებელი თანხის გაღება ითავა.

კომისიამ მუზეუმისათვის საჭირო მიწის ნაკვეთად შეარჩია ადგილი ფრეილინის ქუჩაზე, რომელიც თბილისის თავადაზნაურობას ეკუთვნოდა. მაგრამ მფლობელებმა უარი განაცხადეს მიწის ამ ნაკვეთის დათმობაზე, სამაგიეროდ, საზოგადოების სასარგებლოდ გაიღეს შეწირულობა 50000 მანეთის ოდენობით, რომელიც 5 წლის განმავლობაში უნდა გაცემულიყო [11,63].

1911 წელს გარდაიცვალა დავით სარაჯიშვილი. მაგრამ სიკვდილის წინ, მან ანდერძით უზრუნველყო წ/კ. საზოგადოების წიგნსაცავ მუზეუმისათვის ახალი შენობის მშენებლობის ხარჯების გასტუმრება. მან 100 000 მანეთი უანდერძა საზოგადოებას, ხოლო მისმა მეუღლემ ამ თანხას 60 0000 მან. დაუმატა. საზოგადოების მიერ შექმნილი კომისია ენერგიულად განაგრძობდა მუზეუმის შენობისათვის შესაფერისი ადგილის ძებნას. ბოლოს, არჩევანი ვერაზე ე.წ. "ფიქრის გორაზე" მდებარე მიწის ნაკვეთზე შეაჩერეს.

საზოგადოების საერთო კრებაზე, 1911 წლის 11 სექტემბერს, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ მუზეუმის შენობის ასაგებად, 60000 მანეთად შეეძინათ 4656,75კ.ვ. საჟენის მოცულობის მიწის ნაკვეთი "ფიქრის გორაზე." 1912 წელს ეს გადაწყვეტილება სისრულეში იქნა მოყვანილი.

მაგრამ საზოგადოების მუზეუმის მშენებლობის დაწყება სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ მოხერხდა: დ. სარაჯიშვილის უძრავი ქონების გაყიდვა, რომლის შემდეგაც ანდერძის მიხედვით უნდა გამოყოფილიყო შენობის ასაგები თანხა, ძალზე გაჭიანურდა. ამას დაემატა პირველი მსოფლიო ომის პერიოდის საერთო სამეურნეო ნგრევა და ანარქია.

ამავე პერიოდში გამოითქვა მოსაზრება, რომ წ/კ. გამავრცელებელი და საისტორიო საზოგადოებების მუზეუმები გაერთიანებულიყო და მათ ბაზაზე ჩამოყალიბებულიყო ე.წ. "ქართული მუზეუმი" [14,23]. ამის შესახებ წ/კ. გამავრცელებელი საზოგადოების 1912 წლის საერთო კრებაზე სათანადო დადგენილებაც მიიღეს. "მას აქეთ, რაც ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების გარდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებასთან დაარსდა მუზეუმი, დაიბადა აზრი ამ ორი მუზეუმის შეერთებისა, ეს აზრი დაფუძნებულია იმ ჭეშ-

მარიტებაზე, რომ ერთის კარგის მუზეუმის მოწყობა თავისთავად დიდ სიძნელეს წარმოადგენს, ხოლო ორის კარგის მოწყობა, უფრო ძნელია და ჩვენის ერისთვის თითქმის შეუძლებელიც არის. ამიტომ თუ გვინდა, რომ ქართველებს ერთი ღირშესანიშნავი მუზეუმი გვქონდეს, საჭიროა შეერთებულ იქნეს ერთ მუზეუმში ყველა ის სამუზეუმო ნივთები, რომელნიც კი ქართველების ხელთ არიან" [14,32] – ნათქვამი იყო საზოგადოების გამგეობის მოხსენებაში. მაგრამ, შემდგომში განვითარებული მოვლენების გამო ეს ინიციატივა ვერ განხორციელდა.

მიუხედავად ამისა, საზოგადოების მუზეუმის ფონდები მაინც იზრდებოდა. 1912 წელს მუზეუმის 22 განყოფილებაში დაცულმა ნივთებმა 925 ერთეული შეადგინა, ნუმიზმატიკურ განყოფილებაში იყო 2510 ვერცხლის, 2655 სპილენძის მონეტა და 12 ქაღალდის ბანკნოტი, მხატვრული სურათების კოლექცია 1714 ექსპონატს ითვლიდა, ძველი ხელნაწერების რიცხვი 1835 ეგზემპლარს აღწევდა [12,101].

ამავე წელს, ი. გოგებაშვილმა მთელი თავისი ქონება და ბიბლიოთეკა წ/კ. გამავრცელებელ საზოგადოებას უანდერძა.

1911-13 წლებში მუზეუმის ფონდები თავიანთი შემოწირულობებით გაამდიდრეს მარი ბროსემ, პ. კოკოჩაშვილმა, რაფ. ნებიერიძემ, გ. აბაშიძემ, პ. გერმანაშვილმა, ალ. მაჩაბელმა მ. ნიჟარაძემ, გ. რატიშვილმა, მ. კიკნაძემ, ი. მაჭავარიანმა ბ. ახოსპირელმა, მ. მელიქსეთბეგმა და სხვ.

1913 წელს ნიკოლოზ ღოღობერიძემ საზოგადოებას 45000 მანეთი უანდერძა. 1913 წლის შემოწირულთაგან განსაკუთრებულად აღსანიშნავია პროფ. პ. მელიქიშვილის მიერ გაღებული შემოწირულობა, რომელიც "დიდი მეცნიერული განძი" იყო.

1914 წელს მუზეუმი და წიგნსაცავი განცალკევდა. სამუზეუმო ნივთები ცალკე დარბაზში განლაგდა, შეკეთდა კარადები და ვიტრინები. ქრონოლოგიურად დალაგდა სიგელ-გუჯრები. ამ წელს მუზეუმმა მოსე თოიძის მიერ ეთნოგრაფიულ თემაზე შესრულებული 4 მხატვრული ტილო შეიძინა.

საზოგადოების მუზეუმმა მონაწილეობა მიიღო ლაიფციგის საერთაშორისო გამოფენაზე. გერმანიაში ექსპოზიციაზე გაიგზავნა საუკეთესო ექსპონატები: სურათები, ხელნაწერები და მინიატურები.

ამ წლებში მუზეუმში სამუზეუმო ნივთთა რაოდენობა ამგვარად შეიძლება წარმოვიდგინოთ[1]:

წლები	1912	1913	1914	1915
ისტორ. ნივთები	925	940	975	985
ხელნაწერები	1835	1916	1940	1956
ნუმიზმატიკა	5177	5300	5340	5371
სიგელ-გუჯრები	1264	1303	1341	1363
სურათები	1714	2706	3011	3087
წიგნები	6880	8684	10723	11916
სულ	17795	20849	23330	24678

[1] ცხრილი შედგენილია საზოგადოების ანგარიშების მიხედვით.

1915 წელს ნუმიზმატიკურ კოლექციაში ითვლებოდა 2625 ვერცხლისა და 2734 სპილენძის მონეტა. ამ მონეტათა შორის 1511 იყო ქართული, 397 რუსული, 881 ბერძნულ-ბიზანტიური, 194 ევროპული და 2 388 აზიური [14,139].

ამ პერიოდში მუზეუმის ფონდები ისტორიული ნივთების შეწირვით გაამდიდრეს: დ. სონღულაშვილმა, ი. ხმალაძემ., მ. დადიანმა, დ. კარიჭაშვილმა, რ. ყირმიზაშვილმა, შ. ჩაგუნავამ, ი. ჯორჯაძემ, ზ. გელაშვილმა, ლ. ბოცვაძემ, დ. ვაჩნაძემ, ა. ჯაყელმა და თ. ფორაქიშვილმა.

მუზეუმისთვის ნუმიზმატიკური მასალების გადმოცემით: – მ. სიხარულიძემ, გ. გეგეჭკორმა, ი. ყიფიანმა, გ. ფოფხაძემ, შ. ვარდაძემ, ა. პატარაიამ, ბ. ცინცაძემ, ა. ავალიშვილმა, ა. ხერხეულიძემ, თ. ნაცვლიშვილმა, მ. მაყაშვილმა, ს. ხმალაძემ, გ. ნათიშვილმა, ს. ჯაფარიძემ და მ. ბურდულმა.

ძველი სიგელებისა და ხელნაწერების შემოწირვით: შ. თუხარელმა, მ. საყვარელიძემ, ა. კახაბერმა, ი. ქანანოვმა, ი. თაქთაქიშვილმა, ი. დედაბრიშვილმა, ს. რცხილაძემ, ი. ციციშვილმა, კ. აბაშიძემ და ი. ბათიაშვილმა.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გაჩაღებულმა სამოქალაქო ომებმა და რევოლუციებმა ძალზე უარყოფითად იმოქმედა ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობაზე.

ეკონომიკის კატასტროფულ დაქვეითებასა და ანარქიას მთავრობისა და საზოგადოების ყურადღების მოდუნება მოჰყვა. უსახსრობამ, უბინაობამ და საერთო ნგრევამ ძალზე შეაფერხა ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების მოღვაწეობა.

1915 წლიდან შემცირდა, ხოლო შემდეგ საერთოდ შეწყდა მუზეუმისთვის ექსპონატების გადაცემა. მუზეუმის საქმიანობა დაუნჯებული ხელნაწერებისა და სამუზეუმო ნივთების დაცვით, კონსერვაციითა და სხვა საფონდო სამუშაოებით შემოიფარგლებოდა. ამ პერიოდში ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოება მხოლოდ საგამომცემლო სამუშაოებს აწარმოებდა.

1919 წელს დაიწყო წ/კ. გამავრცელებელი საზოგადოების ადგილობრივ განყოფილებათა ლიკვიდაცია. მათი ქონება და ფუნქციები ერობებსა და ქალაქების ადგილობრივ თვითმმართველობებს გადაეცა.

1920-იანი წლების დამდეგისათვის ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელ საზოგადოებას ფუნქციონირება თითქმის შეწყვეტილი ჰქონდა. 1922 წლის 8 იანვარს მისი სახელწოდება შეიცვალა და ეწოდა "წიგნების გამომცემელი და გამავრცელებელი ქართველთა საზოგადოება." იგი განათლების სახალხო კომისარიატს დაექვემდებარა.

1925 წლის ბოლოს განათლების სახალხო კომისარიატის დადგენილებით, წ/კ. გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმი, ბიბლიოთეკა და არქივი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გადაეცა. ნაწილი ექსპონატებისა, განსაკუთრებით კი, ეთნოგრაფიული მასალები საისტორიო და ეთნოგრაფიულ საზოგადოებას გადაეცა.

თბილისის უნივერსიტეტმა ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოებისაგან მიიღო:

ა. ხელნაწერი წიგნები	2.214 ც.
ბ. სიგელ–გურჯები და სხვა დოკუმენტები	1.600 ც.
გ. ქართული ნაბეჭდი წიგნები	5.286 ც.
დ. რუსული და სხვა ენებზე ნაბეჭდი წიგნები	6.348ც
ა. სამუზეუმო ნივთი არქეოლოგიური	851 ც
ბ. ეთნოგრაფიული	199 ც.
გ. ნუმიზმატიკური	5.518 ც
დ. მხატვრული სურათი	155 ც
ე. ფოტოგრაფიული სურათი	3.303 ც. [1, ხუნდაძე. ტ, 1960,157

მთავრობის დადგენილებით, 1926 წლის ბოლოს წ/კ. გამავრცელებელ საზოგადოებას ჩამოერთვა იურიდიული პირის უფლება. 1927 წლის დასაწყისში შეიქმნა სალიკვიდაციო კომისია, რომელმაც ამავე წლის 20 ივნისს დაამთავრა საქმიანობა და მოახდინა წ/კ. გამავრცელებელი საზოგადოების ლიკვიდაცია. საზოგადოების დარჩენილი ქონება საქართველოს მწერალთა კავშირს გადაეცა.

ამრიგად, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ პირნათლად მოიხადა მამულიშვილური ვალი ქართველი ხალხის წინაშე. ქართული სკოლების, ბიბლიოთეკების, მუზეუმის გახსნითა და მშობლიურ ენაზე წიგნების გამოცემით. მას ცოდნა და განათლება შეჰქონდა მოსახლეობაში და აღვივებდა ინტერესს ქართული კულტურული მემკვიდრეობისადმი.

ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმმა ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების ამაღლებაში, მან ქართველ ხალხში სამშობლოს სიყვარული გააღვივა, მაშინ, როდესაც ეძებდა, კრებდა, ინახავდა და ამზეურებდა ჩვენი საზოგადოების სულიერების უძვირფასეს განძს: ძველ ხელნაწერებს, წიგნებს, სიგელ – გუჯრებს, ისტორიულ ნივთებს, არქეოლოგიურ და ნუმიზმატიკურ მასალას. მან გადაარჩინა და შთამომავლობას შემოუნახა ძვირფასი საგანძური. წ/კ. საზოგადოების მიერ შეგროვილმა და მის მუზეუმში დაცულმა ბევრმა ექსპონატმა შემდგომში საქართველოს მუზეუმის ფონდები გაამდიდრა.

Guram Chkhaidze*, Salome Cantladze*

*Georgian National Museum, Rustaveli Avenue 3, 0105 Tbilisi, Georgia,
Email: schantladze@museum.ge

The Museum of the Society for Spreading Literacy among the Georgians

Summary

.

In 1885 the Museum of the Society for spreading Literacy among the Georgians was established, the purpose of which was to collect and save items of national value, to study the historical heritage of the nation.

From the very beginning members of the Society began to work throughout Georgia to collect old manuscripts, books and items for the museum. The great patriots - I. Chavchavadze, I. Gogebashvili, E. Takaishvili and others also took an active part in the studies. As the result of their huge labour, a great number of sources necessary for studying of Georgian history were gathered in the museum repositories. A great deal of important issues and problems became clear after they had been studied and analyzed.

In spite of the fact that the museum did not posses its own building, its repositories were increasing. By 1912 the number of items housed in the 12 departments of the museum reached approximately thousand units, and the number of the manuscripts exceeded 1,800. Besides, more than 5 thousand coins and the collection of about 1,300 old manuscripts were kept there. The museum existed till 1925. After its cancellation the collections were delivered to the Tbilisi University and the Georgian Museum.

During its existence the Museum of the Society for spreading Literacy among the Georgians was trying to fulfill its obligation to the homeland honestly. By means of collecting and studying items of the national heritage it helped people to get education and stired their interests towards the ancient culture.

ბიბლიოგრაფია:

1. **ხუნდაძე. ტ. 1960:** ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, თბ.
2. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების 1891წ. ანგარიში.
3. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების 1891წ. ანგარიში
4. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების 1892წ. ანგარიში
5. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების 1896წ. ანგარიში
6. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების 1897წ. ანგარიში
7. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების 1898წ. ანგარიში
8. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების 1899წ. ანგარიში
9. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების 1900წ. ანგარიში
10. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების 1907წ. ანგარიში
11. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების 1911წ. ანგარიში
12. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების 1912წ. ანგარიში
13. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების 1913წ. ანგარიში
14. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების 1915წ. ანგარიში
15. წესდება კავკასიის სამესტნიკო მკვიდრ ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელი ტბილისის საზოგადოებისა, ტფ., 1904
16. წესდება კავკასიის სამეფისნაცვლოს ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოებისა, ტფ., 1907
17. გაზეთი "დროება," 1879წ. 29 სექტემბერი
18. გაზეთი "დროება," 1884წ. 3 ივნისი
19. გაზეთი "დროება," 1884წ. 26 აგვისტო
20. გაზეთი "დროება," 1884წ. 12 სექტემბერი
21. გაზეთი "ივერია," 1883წ. 7 აგვისტო
22. გაზეთი "ივერია," 1887წ. 23 მაისი

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. სოციალურ მეცნიერებათა სერია №1 (46-B), 2010, 401-413
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences №1 (46-B), 2010, 401-413

ისტორია

ქეთევან მუშკუდიანი

საქართველოს ეროვნული მუზეუმი, რუსთაველის გამზირი 3, 0105,
თბილისი, საქართველო

დიმიტრი ჩოლოყაშვილი[1]

(1868-1938)

საქართველოს ეროვნული მუზეუმის, სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმის ახალი ისტორიის (XIX ს. – 1921 წ.) ხელნაწერთა ფონდში ინახება დ. ჩოლოყაშვილის მოღვაწეობის ამსახველი მასალა, რომელიც ძირითადად პერიოდული გამოცემებითაა წარმოდგენილი. მასალაში ასახულია თვითმმართველობის, განათლების, სოფლის მეურნეობის (მევენახეობა, მეთამბაქოეობა,) საბანკო საქმის, ვაჭრობის, სამიმოსვლო გზების, მიგრაციისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. განსაკუთრებით ფართოდაა წარმოდგენილი საქართველოსთვის თვითმმართველობის, ე.წ. "ერობის" მნიშვნელობა, მოცემულია კახეთის რკინიგზის ვრცელი სტატისტიკური და ეკონომიკური გამოკვლევები.

დიმიტრი ჩოლოყაშვილი მისი დროის საქართველოს მოწინავე საზოგადოების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია რომლის მოღვაწეობა მაგალითია იმისა, თუ რა ცვლილებები და ევოლუცია განიცადა თავადაზნაურობამ კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარებისას და მისი პროგრესული ნაწილი როგორ იღწოდა ამ ურთიერთობათა გასამყარებლად.

ფეოდალური ხანის საქართველოში ჩოლოყაშვილთა საგვარეულო საკმაოდ დაწინაურებული და სამეფო კართან დაახლოებული იყო. მათი გვარი სხვადასხვა სიგელ-გუჯარსა და აქტშია დასახელებული. ძველ საბუთებში ისინი არა მხოლოდ თავადებად, არამედ მთავრებადაც მოიხსენიებიან [Иоселиани П. 1866 : გვ. 9-12].

XIX ს-ის განმავლობაში ჩოლოყაშვილთა გვარის წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობდნენ ქვეყნისათვის მრავალი სასიკეთო საქმის განხორციელებაში: როგორიც იყო: სოფლად დაწყებითი სკოლების გახსნა; საავადმყოფოების, ეკლესიების აგება; თეატრალური საზოგა-

[1] ნაშრომი შესრულებულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის, ს. ჯანაშიას სახ. მუზეუმის ეთნოლოგიისა და ახალი ისტორიის ხელნაწერთა ფონდის მასალების საფუძველზე.

დოების დახმარება და ზოგადად, თეატრის აღორძინება; ისინი ითვალისწინებდნენ რა გლეხთა მდგომარეობას, ეხმარებოდნენ მათ; დააარსეს სავაჭრო ამხანაგობები და სხვადასხვა საქველმოქმედო საქმიანობას ეწეოდნენ. მათ ოჯახებში სამეფო სახლის არაერთი ნივთი ინახებოდა აგრეთვე – "ვეფხისტყაოსნის" უძველესი ხელნაწერები და ა.შ. ["დროება" 1877 : 36, "ივერია" 1893 : 17 1, 25 3, 12 5, 6 10; 1895 : 11 5; 1896 : 14 1; 1897 : 27 8; 1898 : 10 2; 1899 : 23 4, 8 9, 14 10, 21 10].

დიმიტრის პაპა, კავკასიის ომების მინაწილე, გენერალ-მაიორი ზაალ ჩოლოყაშვილი კახეთში, სიღნაღში – ჭიაურის დიდ მამულებს ფლობდა. მისი ვაჟიშვილი, დიმიტრის მამა – ერასტი ზაალის ძე საკმაოდ წარმატებული მეურნე იყო. მის მიერ გამოგონებულმა საცეხვე მანქანამ, რომელიც 1875 წლის 10 ოქტომბერს, თბილისის აკლიმატიზაციის ბაღში გამოიცადა, სპეციალისტთა დიდი მოწონება დაიმსახურა. ამ მანქანამ კავკასიის მემამულეთა ყურადღება მიიპყრო, რადგან მისი საშუალებით შესაძლებელი იყო ცეხვის დაჩქარებაც და გაიაფებაც ["დროება" 1875 : 19 10, 24 10].

ერასტი კარგად იყო გათვითცნობიერებული ქვეყნის ეკონომიკის საკითხებში. მან ჯერ კიდევ XIX ს. 70-იან წლებში კახეთში რკინიგზის გაყვანის საკითხი წამოჭრა მისი მნიშვნელობის შესახებ 1873 წ. გამოაქვეყნა ბროშურა სათაურით "რკინიგზის აშენების საქმე ამიერკავკასიაში." ამავე პერიოდიდან სწრაფად ვითარდებოდა რუსეთის სარკინიგზო ქსელი. ამ საქმეში ორჯერ მეტი თანხა იყო დაბანდებული, ვიდრე მძიმე მრეწველობაში. კერძო სარკინიგზო საზოგადოებები მთავრობის მხარდაჭერით იქმნებოდა. სწორედ ამ გარემოებების გათვალისწინებით წამოიჭრა რკინიგზის გაყვანის საკითხიც.

"სახალხო გაზეთი" იუწყებოდა: "მასალა, რომელიც გამოუქვეყნებია განსვენებულს – ერასტი ჩოლოყაშვილს 40 წლის წინად, იმდენად საყურადღებო და საინტერესოა, რომ ყოველი არასპეციალისტიც კი ბევრ საინტერესოს ნახავს ამ წიგნში. გარდა ამისა, წიგნში ჩართულია ბევრი სასტატისტიკოსო-საეკონომიო საბუთი და ცნობები. ავტორს გაუთვალისწინებია ის გარემოება, თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებაში კახეთის რკინიგზას" ["სახალხო გაზეთი" 1913 : 11 11].

კახეთის რკინიგზის გაყვანის საქმე, მართალია, დიდი ხნით გადაიდო, მაგრამ იგი საბოლოოდ მაინც განახორციელა ერასტის ვაჟიშვილმა – დიმიტრი ჩოლოყაშვილმა.

მან ძლიერი და შრომისმოყვარე ოჯახის გავლენითა და მეშვეობით საფუძვლიანი განათლება მიიღო. 1886 წ. თბილისის რეალური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სწავლა მოსკოვის პეტროვო-რაზუმოვსკის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში განაგრძო, რომელიც 1893 წელს წარმატებით დაამთავრა. იგი ნიჭიერებითა და აქტიურობით გამოირჩეოდა. დიმიტრიმ აკადემიის სტუდენტების სახელით, 1892 წ. 14 აგვისტოს საერთაშორისო ზოოლოგიურ კონგრესზე მიწვეული უცხოელი სტუმრების წინაშე ფრანგულ ენაზე, მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა. მან საყოველთაო მოწონება და სტუმრების მადლობა დაიმსახურა.

1892 წ. 17 ივლისს მოსკოვში საზეიმოდ გაიხსნა სრულიად რუსე-

თის ბოტანიკური გამოფენა. იგი 1-18 აგვისტოს არქეოლოგიური, ანტროპოლოგიური და ზოოლოგიური დარგების განხრით კონგრესის ჩატარებას დაუკავშირეს. დიმიტრი ჩოლოყაშვილმა კონგრესზე რეფერატი წაიკითხა. ამავე დროს, მან მოსკოვის ბოტანიკური სააკლიმატიზაციო ბაღის გამოფენასთან დაკავშირებით ვრცელი სტატიები დაწერა, რომლებიც მაშინვე გამოქვეყნდა [“Русские ведомости” 1892 : 158; “Новое обозрение” 1892 : 22-23 9].

რუსეთიდან დაბრუნებული, მეცნიერული ცოდნით აღჭურვილი დიმიტრი ჩოლოყაშვილი, მამაპაპისეული მამულის ევროპულ ყაიდაზე გარდაქმნა-მოწყობას შეუდგა და საკუთარი მამული რაციონალურად გამოიყენა, ანუ ჩამორჩენილი, ჭაობიანი ადგილის ნაცვლად საუკეთესო საჩვენებელი მამული შექმნა. გააშენა ვრცელი ხეხილის ბაღები და ვენახები, ნამყენებისათვის ამერიკული ჯიშის ვაზის სანერგე მოაწყო, გახსნა სკოლა, ააგო მშვენიერი, კაპიტალური, ორსართულიანი სასახლე დამხმარე ნაგებობებით. ააშენა და მოაწყო ორი დიდი წისქვილი, რომელიც მუხის ტყით იყო გარშემორტყმული. წისქვილებისთვის ახალი მანქანა-დანადგარები ჩამოიტანა. ამ წისქვილებით მთელი მახლობელი სოფლების მოსახლეობა სარგებლობდა. ყველას სურდა, რომ სხვა მემამულეებსაც დიმიტრისთვის მიებაძათ, მაგრამ ამას ხელისუფლების მხრიდან შექმნილი მრავალი დაბრკოლება ეღობებოდა. ერთ-ერთ ასეთი დაბრკოლებას წარმოადგენდა ადგილობრივ მკვიდრ მცხოვრებთა ნაცვლად, გარედან მოსული პირების მფარველობა.

ჯერ კიდევ 1896 წელს დ. ჩოლოყაშვილმა სასტიკად გააკრიტიკა “კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების” მოქმედება, რადგან ამ საზოგადოებამ მთელი 40 წლის განმავლობაში თამბაქოს სასაქონლო წარმოების ხელშესაწყობად არაფერი გააკეთა. საზოგადოება მფარველობდა ვაჭარ მრეწველებს: ენფიანჯიანცსა და ბოზარჯიანცს და მათ სასარგებლოდ პუბლიკაციებს აქვეყნებდა. ამ დროს მათი პლანტაციები მხოლოდ 5 დესეტინა ფართობს მოიცავდა, მაშინ როდესაც მკვიდრი მოსახლეობის კუთვნილება 250 დესეტინა პლანტაციას შეადგენდა. დ. ჩოლოყაშვილმა ამხილა ეს მონოპოლისტები. ისინი 1 ფუთ თამბაქოს ჩალის ფასად – 2 მანეთად ყიდულობდნენ. ამ დროს, ამ მხარეში, თამბაქოს წარმოება ყოველწლიურად კლებულობდა.

თამბაქოს მომყვან გლეხთა ინტერესების დასაცავად დ. ჩოლოყაშვილს საჭიროდ მიაჩნდა: 1. თამბაქოს მწარმოებლებისათვის კრედიტის გახსნა; 2. ბაზრებთან მჭიდრო კავშირის უზრუნველყოფა; 3. “კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების” მიერ თბილისის თამბაქოს საწყობებზე კონტროლის დაწესება.

მან თავიდანვე ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ ქიზიყის თამბაქოს საუკეთესო ხარისხის მიუხედავად, მისი გაყიდვა ძნელდებოდა და ამის მიზეზი კი უგზოობა და ბაზრის სიშორე გახლდათ. გლეხების ნაშრომ-ნაჯაფს ბოზარჯიანც-ენფიანჯიანცების აგენტები ძალზე იაფად ყიდულობდნენ. ამ საკითხის შესახებ გაზეთი “კოლხიდა” წერდა: “ისინი ჩალის ფასად ეზიდებიან ხალხის ნაწვავ-ნადაგს. სწორედ ამ დროს გამოუგზავნა ქიზიყელებს მფარველ ანგელოზად თავადი დიმი-

ტრი ჩოლოყაშვილი, ეს დიდი მოამაგე ჩვენი ხალხისა.” დიმიტრი ჩოლოყაშვილმა თავისი ხარჯითა და ბანკის კრედიტით, კოოპერაციულ საწყისზე, ქიზიყელებისათვის საკუთარ მამულში თამბაქოს საწყობი გახსნა. აქ ეზიდებოდა მთელი გლეხობა თავის ნაშრომსა და თამბაქოს საბოლოო გაყიდვამდე მის ნახევარ ფასს იღებდა. ეს ამბავი ვაჭარ-მონოპოლისტებს არ მოეწონათ, მაშინვე გაგზავნეს გლეხებში აგიტაციის გასაწევად საკუთარი აგენტები და ამავე დროს, თამბაქოს შესასყიდი ფასიც გაზარდეს. მათმა მცდელობამ შედეგი გამოიღო, გლეხები ამხედრდნენ. ამის შედეგად დ. ჩოლოყაშვილი იძულებული გახდა თამბაქო რუსი მეპატრონისათვის იაფად მიეყიდა და საწყობიც გაეუქმებინა [“კოლხიდა” – 1911 : 6 10].

1907 წ. ამ მდგომარეობამ თამბაქოს საწყობის საბოლოო ლიკვიდაცია გამოიწვია და ვალის დასაფარავად მამული ბანკს გადაეცა.

1918 წ. დეკრეტის მიხედვით ჭიაურის მამული სახელმწიფო საკუთრებაში გადავიდა. იმდროინდელი პრესა გვამცნობს: “მთელი ქიზიყი ამ ჭიაურში ფქვავს თავისას და გასაყიდ სარჩოს... აქვეა ჩოლოყაშვილისეული ხეხილის ბაღი, მშვენიერი სასახლე, წისქვილიც მისი ყოფილა... დიდ გონიერ შრომას პატრონისას და აქაურ ბედნიერ და უხვ ბუნებას ყოველივე სიკეთით დაუჯილდოვებია ეს მიდამო.” 1927 წელს აქ უკვე აღმასრულებელი კომიტეტი მოქმედებდა და ამასთან ერთად ვაშლოვანში 3500 დესეტინა მუხის ტყის ნაკრძალს და მის სანადირო ადგილებს დაეპატრონა [“Заря востока” 1927: 11 12].

საახალშენო სამმართველომ არა მარტო დ. ჩოლოყაშვილის მამულს, არამედ მთელ ადგილობრივ მოსახლეობას დიდი საფრთხე შეუქმნა. მისმა დაუდევარმა და მავნებლურმა მოქმედებამ ლაგოდეხი დააზარალა.

1906 წლიდან სადგურ ჭიაურიდან ლაგოდეხის ტყეებამდე, საფოსტო გზის გასწვრივ 15 ვერსის მანძილზე აღმოცენდა სოფლები: ვორონცოვკა, ილარიონოვკა, გრაფსკაია, ალექსეევკა, დაშკოვა და ა.შ. ძალიან მალე რუსების ეს დასახლებანი სატყეოში შეიჭრა, რადგან ახალმოსახლეთა კომლების რაოდენობა სწრაფად იზრდებოდა.

დ. ჩოლოყაშვილი ცოდნასა და ენერგიას არ იშურებდა ადგილობრივი გლეხობის დასაცავად. სათანადო ორგანოებში სიტყვით გამოსვლისას თუ პრესაში ფაქტებით მდიდარი და არგუმენტირებული მონაცემების საფუძველზე, მუდმივად აშუქებდა გლეხთა მძიმე მდგომარეობას, რომლებიც მთავრობის უკანონო მოქმედებამ თითქმის ტყის გარეშე დატოვა. იგი ამტკიცებდა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჭიაურის დაბლობის ტყეების დაცვას. ეს ტყეები ადგილობრივი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების, მათი მეურნეობის სასიცოცხლო წყარო იყო. ადრე მათ უფლება ჰქონდათ ტყიდან საჭირო რაოდენობის ხე-ტყე გამოეტანათ. ამჯერად, მთავრობა, ციებ-ცხელებით შეპყრობილივით, უმოწყალოდ ჩეხდა ტყეს და იქმნებოდა ახალ-ახალი სოფლები. სამმართველო რეალობას მალავდა, მისი მონაცემები არაზუსტი იყო – მის მაჩვენებელთან შედარებით 3-ჯერ მეტი ტყის ფართობი იჩეხებოდა. საუკეთესო შემთხვევაში გლეხები თავიანთი სოფლებიდან 60-70 ვერსის სიშორეზე, კავკასიის ქედის მწვერვალებისაკენ ურმებით უნდა

წასულიყვნენ, რათა ოჯახისთვის ერთი ურემი ხე-ტყე მაინც მოეტანათ. დ. ჩოლოყაშვილმა მკაცრად გააკრიტიკა სიღნაღის მაზრაში მოქმედი ვინმე მარკოვის მიწათმოწყობის პარტია, რომელსაც პირველ რიგში, გლეხებისათვის ნადელების გამოყოფა ევალებოდა და საამისოდ არაფერს აკეთებდა. იგი ხმამაღლა აცხადებდა არ ჩაესახლებინათ მშიერი, შემცივნებული გადმოსახლებული ხალხი იქ, სადაც მალარია იყო გავრცელებული, არ ჩაესახლებინათ იქ, სადაც არ იყო თავისუფალი მიწები და ამით ხელოვნური ანტაგონიზმი არ შეექმნათ, ეს მოვლენა ხალხის უკმაყოფილებას გამოიწვევდა.

ახალმოსახლეებმა ჩოლოყაშვილის წისქვილებსაც დიდ ზიანი მიაყენეს. გარდა იმისა, რომ ისინი მკვიდრი მოსახლეობის კონკურენტები გახდნენ, არ თაკილობდნენ წყლის მოპარვას და წისქვილები ხშირად უწყლოდ რჩებოდა.

დ. ჩოლოყაშვილმა ქიზიყელი გლეხების სავალალო მდგომარეობის შესახებ არაერთხელ განაცხადა, მაგრამ უშედეგოდ, მის განცხადებებს მთავრობის ქმედითი დახმარება არ მოჰყოლია [“Закавказская речь” 1913 : 17 12].

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, რუსეთის ხელისუფლებამ, როგორც საეკლესიო, ისე მემამულეთა მიწები მიისაკუთრა და სახაზინო უწყებაში განუკითხავად ჩარიცხა. ამ დროს მიწების დიდი ნაწილის გაუმიჯნაობის გამო გაუთავებელი სადავო საკითხები წამოიჭრა. გამრავლდა სადავო მიწები. ამგვარ გაურკვევლობაში ხელისუფლება ყოველგვარი წესების დაცვის გარეშე მემამულეებს დიდ გადასახადებს უწესებდა, გადაუხდელობის მიზეზით კი ბანკები მიწისმფლობელებს მამულებს ართმევდა. მეტწილად არასწორად დაკისრებული 2%-იანი გადასახადების გამო წლების განმავლობაში ვალები იზრდებოდა. არც ერთმა მემამულემ არ იცოდა თუ რამდენი უნდა გადაეხადა. ხაზინასთან საერთო მფლობელობის მამულები ჰქონდათ როგორც ჩოლოყაშვილებს, ისე ვაჩნაძეებს, ციციშვილებს, ანდრონიკაშვილებს, ფალავანდიშვილებსა და სხვ.

1910 წელს დ. ჩოლოყაშვილმა მკაცრად გააკრიტიკა და დაგმო მთავარმართებელ გოლიცინის მიერ გატარებული საგადასახადო რეფორმა, რომელმაც კომისიაზე ზეწოლის შედეგად, მიწის ყოველგვარი კადასტრის გარეშე, ეკონომიკური ფაქტორების გაუთვალისწინებლად, ყველა ზემდგომი ინსტანცია სწრაფად გადალახა და 1900 წელს მიღებულ კანონში აისახა.

1901 წ. 1 იანვრიდან კანონი ძალაში შევიდა. ამ აქციის ძალით, ამიერიდან საკომლო გადასახადის ნაცვლად, სახელმწიფო, მიწისა და საერობო გადასახადები დაწესდა. რეფორმა დაჩქარდა მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ყოველგვარი შესწავლა-აღრიცხვის გარეშე. მიწის საშუალო შემოსავალი, სრულიადაც არ იყო გათვალისწინებული. დ. ჩოლოყაშვილი რეფორმის სრულ უვარგისობაზე მიუთითებდა. მოსახლეობას საერთოდ არ უნდა გადაეხადა პოლიციის შენახვის ხარჯები, რომელიც ყოველწლიურად 2 ნახევარ მილიონ მანეთს შეადგენდა. ამ ხარჯების დაფარვა სახელმწიფოს ვალდებულება იყო. ამ და სხვა საჭირბოროტო საკითხების გადასაჭრელად დ. ჩო-

ლოყაშვილი მუდმივად იბრძოდა საერობო სამმართველოს სხდომებზე. მოსახლეობას აღარ შეეძლო დაგროვილი გადასახადების გადახდა, რომლებიც სრულიად არ შეესაბამებოდა არც მათ შემოსავალს და არც სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებს. იგი აღნიშნავდა, რომ "საგადასახადო სისტემა დამოკიდებულია ქვეყნის ტოპოგრაფიულ და კლიმატურ პირობებზე, მოსახლეობის მატერიალურ უზრუნველყოფაზე, მისი სამფლობელოს გარკვეულობაზე, ინტენსიური მეურნეობის წარმართვის შესაძლებლობებზე, პროდუქტების გასაღების პირობებზე, მიწის სიდიდეზე, საგზაო მიმოსვლის განვითარებაზე, სათანადო ბაზრებზე და ცხადია, ყველა ერთად აღებულ ეკონომიკურ ფაქტორებზე." რეფორმა უნდა მორგებოდა მიწის რეალურ შემოსავალს. იგი აღნიშნავდა, რომ საერობო გადასახადი სწრაფად იზრდებოდა, დაწყებული 1894 წლიდან 1910 წლამდე, 5 კაპიკიდან 10 მანეთამდე გაიზარდა. არსებულ პირობებში, უსისტემოდ გაზრდილ გადასახადებს მოსახლეობა ვერ გადაიხდიდა. მან ილიას სიტყვები მოიშველია: "დიახ, სწორი იყო განსვენებული თავადი ილია ჭავჭავაძე, როცა 1899 წ. საქართველოში ჩამოსულ პოპულარულ რუს მწერალს მარკოვს უთხრა: „ჩვენ არ გვიცნობენ. ჩვენ გვიყურებენ, მაგრამ ვერ გვხედავენ. ჩვენ გვისმენენ, მაგრამ ჩვენი არ ესმით" ["Закавказье" 1910 : 17 10].

დიმიტრი ჩოლოყაშვილი, თავდაპირველად თელავ-თიანეთის, 1903 წლიდან კი სიღნაღის მაზრის თავადაზნაურთა საზოგადოების წინამძღოლი იყო. თელავის საზოგადოებამ მას გულთბილი გამოსათხოვარი საღამო მოუწყო. აღინიშნა მისი შრომის შედეგები, რომ იგი მუდმივად ქვეყნისთვის საჭირბოროტო საკითხების გადაჭრის გზებს ეძებდა. სხდომებზე ყველას თავისუფლად შეეძლო საკუთარი აზრის გამოთქმა, ამიტომ თავყრილობებს მრავალრიცხოვანი საზოგადოება ესწრებოდა და ყოველთვის ნაყოფიერი იყო. შემდგომ იგი თბილისის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლად აირჩიეს. 1915 წლიდან – "ქართლ-კახეთის მარშლის" თანამდებობის აღმასრულებლად. იგი გახლდათ "ქართველი მუშაკი, მოღვაწე, პატიოსანი მამულიშვილი, ყველგან და ყოველთვის დამცველი ქართული ინტერესებისა." დიმიტრი ჩოლოყაშვილს ქართველების სახელის მცველს უწოდებდნენ ["საქართველო" 1915 : 9 6]. ქვეყნის ეკონომიკური პრობლემების მოსაგვარებლად, როგორიც იყო სოფლის მეურნეობის, რკინიგზის, ერობის, განათლების საკითხები და ა.შ. მას ხშირად უხდებოდა ადგილობრივ და რუსეთის სამთავრობო სტრუქტურებთან თანამშრომლობა.

1915 წელს მან სასტიკად გააკრიტიკა თავადაზნაურთა საზოგადოების საქმიანობა. იგი გულგრილობაში და ინერტულობაში დაადანაშაულა. ჩოლოყაშვილმა განაცხადა: "ვსარგებლობთ რა დიდი პრეროგატივებით, ჩვენ, როგორც გუბერნიის მოწინავე წოდება კანონის ძალით ვალდებულნი ვართ მოვემსახუროთ სახელმწიფოს და მოსახლეობის ინტერესებს, ვიზრუნვოთ ზემოთ ჩამოთვლილი და ცხოვრების მიერ ახლად წამოჭრილი შემდგომი საკითხების დროული გადაჭრისათვის. საჭიროა პროექტები. საჭიროა მათი წინასწარი დამუშავება. ჩვენ გავიყინეთ და ამაში დამნაშავეა არა ისტორია, არამედ კეთილი, ძველი დროის ჩვეულებანი" ["Закавказская речь" 1915 : 21 5].

დ. ჩოლოყაშვილი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა განათლებას. მას მიაჩნდა, რომ სოფლის მეურნეობის ხელშესაწყობად სკოლები უპირველესად პროვინციებში უნდა გაეხსნათ. ამ პრობლემასთან დაკავშირებული დებატები წლების განმავლობაში მიმდინარეობდა. ბოლოს დ. ჩოლოყაშვილმა გაიმარჯვა და 1910 წ. გორსა და თელავში ვაჟთა პროგიმნაზიები ანუ დაწყებითი სასწავლებლები გაიხსნა. დ. ჩოლოყაშვილს იმედი მიეცა იმისა, რომ მომავალში სასკოლო ქსელი კიდევ უფრო გაფართოვდებოდა. მას საჭიროდ მიაჩნდა პირველ რიგში სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო მიმართულების სკოლების გახსნა – "იქ სადაც ვენახი ხარობს, სადაც სპილენძი თავის გამოყენებას ელოდება" ["Закавказье" 1910 : 17 8].

წლების განმავლობაში დ. ჩოლოყაშვილი მთავრობისაგან მოითხოვდა საერობო შემოსავლებიდან გამოყოფილი თანხით კახეთში მევენახეობა-მეღვინეობის სასწავლებლის დაარსებას.

თავადაზნაურთა საზოგადოება ყოველწლიურად 9 ათას მანეთს უნაწილებდა თელავისა და გორის ვაჟთა დაწყებით სკოლებს, სიღნაღის ქალთა სკოლას, გორის საქალებო გიმნაზიას, თელავისა და თბილისის წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლებს, მაგრამ სასკოლო ქსელის გაფართოებისთვის ეს არ იყო საკმარისი. სკოლები ძირითადად სახელმწიფოს უნდა დაეფინანსებინა, კერძოდ კავკასიის საერობო სალაროდან, რომლის გასავლის ყოველწლიური ბიუჯეტი 7 მილიონ მანეთზე მეტს შეადგენდა. გარდა ამისა, მეფის მოადგილის კანცელარიაში არსებობდა სათადარიგო საერობო თანხა (210 000 წლიურად), აგრეთვე თავისუფალი ფული, რომელიც დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის გარეშე, სხვადასხვა საჭიროებისათვის იხარჯებოდა ["სახალხო ფურცელი" 1915 : 25 2].

დ. ჩოლოყაშვილი საკუთარი სახსრებითაც ეხმარებოდა სკოლებს. ლაგოდეხის სკოლას, რომლის მზრუნველიც იყო, ამარაგებდა წიგნებით, ხე-ტყის მასალით, ეხმარებოდა სოფ. მატანის სკოლასა და ა.შ. ["ივერია" 1898 : 18 3, 16 2; 1899 : 20 5].

1911 წ. დ. ჩოლოყაშვილმა თბილისში "ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება" შექმნა ["Закавказье" 1911 : 20 12], რომელმაც 1922 წლამდე იარსება. მიუხედავად იმისა, რომ უკვე არსებობდა "კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება," მან აღნიშნული საზოგადოების ჩამოყალიბება საჭიროდ ჩათვალა, რათა ყურადღების ცენტრში ყოფილიყო ადგილობრივი მოთხოვნები და შესაძლებლობები მათი დაკმაყოფილებისა.

საზოგადოების მოღვაწეობა ფართო სპექტრს გულისხმობდა: ქართლში მებაღეთა, გორში მეხილეთა, კახეთში მეღვინეთა საზოგადოებების დაფუძნებას; სოფლის მეურნეობის შესწავლას; პროვინციებისათვის აგრონომთა კადრების შექმნას; სოფლის მეურნეობის დაწყებითი სკოლების გახსნას; მთიან ადგილებში კუსტარული სახელოსნოების შექმნას, მეცხოველეობაში ინსტრუქტორთა მუშაობას; სასოფლო-სამეურნეო იარაღების, თესლების, სასუქის საწყობების გახსნას; პროდუქტების გაყიდვის ხელშეწყობას; სოფლად წყალგაყვანილობისათვის საგანგებო ტექნიკური სექციების მოწყობას; კოოპერაციული ამხანა-

გობების ხელმძღვანელობას; ბიბლიოთეკის გახსნას; პერიოდული სასოფლო-სამეურნეო ჟურნალის გამოცემას, კოოპერაციის შესახებ ლიტერატურის შედგენასა და გამოცემას; ფილიალების გახსნას; დაწესებულებებისათვის, საზოგადოებებისათვის, ამხანაგობებისათვის, კერძო პირებისათვის დახმარების გაწევასა და ა.შ.

დ. ჩოლოყაშვილი მუშაობდა ალაზნის სარწყავად "თამარის არხის" გამოყენების მიზნით, მისი განახლებისა და სოფლად წყაროების გამოყვანის პრობლემებზე.

1912 წელს მან დააფუძნა საკრედიტო საზოგადოება. აქტიურად მონაწილეობდა თბილისის გუბერნიის მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტის მუშაობაში.

1914 წელს ფალსიფიცირებული ღვინის წარმოების წინააღმდეგ შემუშავებულ კანონთან დაკავშირებით და, იმავდროულად, ფასების ზრდის ფონზე, მოუწოდებდა მევენახეებს აღნიშნული კანონი თავის სასარგებლოდ გამოეყენებინათ.

დ. ჩოლოყაშვილის მიერ დასახული მიზნები, ცხადია არსებულ მძიმე ვითარებაში სრულად ვერ განხორციელდებოდა, მაგრამ მისი მოღვაწეობა ნაწილობრივ მაინც იყო შედეგიანი, რასაც იმ დროს დიდი სასიკეთო მნიშვნელობა ჰქონდა.

დაწყებული XIX ს. 60-იანი წლებიდან, ქართველი საზოგადოება გამუდმებით მოითხოვდა ადგილობრივი თვითმმართველობის – "ერობის" შემოღებას, რომელიც რუსეთის შიდა გუბერნიებში მოქმედ დაწესებულებათა მსგავსად უნდა დაფუძნებულიყო. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს რეფორმა სრულყოფილი სახით რუსეთშიც არ გატარებულა. 1881 წელს ილია ჭავჭავაძე ერობის შესახებ წერდა: "თუ ერობის საქმე ისეა მოწყობილი, რომ იგი მართლა ერობდეს, უკეთესის ნატვრა, ჯერ ამ ხანად მაინც, მეტისმეტი წადილი იქნება" [ჭავჭავაძე ი. 1987 : 201].

დიმიტრი ჩოლოყაშვილს საქართველოში ერობის დაფუძნება პროგრესულ, ძალზე მნიშვნელოვან მოვლენად მიაჩნდა. მას იმდროინდელ პრესაში ამ თემასთან დაკავშირებით უამრავი მასალა აქვს გამოქვეყნებული. იგი ფიქრობდა, რომ საერობო თვითმმართველობა იქნებოდა ინტერესთა ერთიანობის, სოლიდარობის, საკუთარი კუთხის თვითმზრუნველობის საფუძველი. მიაჩნდა, რომ მეღვინეობით განოქმულ ჩვენს ქვეყანას, ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ უნდა ეწარმოებინა მაღალი ხარისხის, გადამუშავებული პროდუქტი, მაგრამ ამისთვის საჭირო იყო სწავლა-განათლება, სკოლები, საცდელი მეურნეობა, ტექნიკა, სამეურნეო აღრიცხვა, სწორი სტატისტიკა, რაც არ არსებობდა. ყოველივე ერობას უნდა შეექმნა, იგი უნდა დახმარებოდა ქვეყნის წინსვლა-განვითარებას. დიმიტრი ჩოლოყაშვილი ფიქრობდა, რომ დიდ ვალდებულებებთან ერთად სათანადო უფლებებსაც მიიღებდნენ, ხოლო უფლებები კი დიდ პასუხისმგებლობას მოითხოვდა.

1913 წლისათვის მან უკვე კარგად დაინახა, რომ რუსეთის ხელისუფლებას ცრუ დაპირებებით მხოლოდ დრო გაჰყავდა და ქვეყნისათვის ამ მეტად საჭირო რეფორმის გატარებას არ აპირებდა. წერილში "კახელების საყურადღებოდ," მან ხალხს მიმართა: "გულს ნუ გავიწყალებთ ჩვენში ერობის დაწესების ლოდინით და ჯერჯერობით ვიმუშაოთ იმ

ორგანიზაციებში, რომლებიც ასრულებენ ჩვენში საერობო ორგანიზაციების ფუნქციას.”

მან, როგორც საერობო ხარჯის გამღებთა წარმომადგენელმა, მეფის მოადგილის საბჭოში, კახეთის გარშემო წამოჭრა მთელი რიგი საკითხებისა, რომელიც საერობო თანხების მეშვეობით უნდა განხორციელებულიყო: 1) კახეთში მევენახეობა-მეღვინეობის სკოლის გახსნა; 2) რკინიგზის სადგურებთან მისასვლელი გზების გაყვანა; 3) მევენახეთა დასახმარებლად თანხის გამოყოფა; 4) სიღნაღში ხიდის აგება.

იგი თავის თანამემამულეებს მოუწოდებდა გამოეყენებინათ არსებული ვითარება: 1) რუსეთის იმპერიაში კუსტარული წესით დამზადებული არყითა და სპირტით ვაჭრობის აკრძალვა; 2) ღვინოზე ბაჟის დადება, კანონი ფალსიფიცირებული ღვინის აკრძალვის შესახებ; 3) რკინიგზის გაყვანის ფაქტორი; 4) ფილოქსერის გამძლე ამერიკული ვაზის ძირებზე ახალი ვენახების გაშენების აუცილებლობა; 5) მეღვინეობის სკოლის გახსნის აუცილებლობა.

იგი კახელებს მოუწოდებდა არსებული რეალობა კარგად აღექვათ, მისთვის სერიოზული ანგარიში გაეწიათ – აღჭურვილთ ცოდნით, კაპიტალით, შრომითა და შეთანხმებული თანამშრომლობით [“Закавказье” 1910 : 27 7; “სახალხო ფურცელი” 1913 : 20 3].

1916 წლის ბოლოს, როდესაც რუსეთის ხელისუფლებამ ამიერკავკასიაში ერობის შემოღების საკითხი საბოლოოდ დაასამარა, დ. ჩოლოყაშვილი შეეცადა თავისი ქვეყნის სასიკეთოდ სხვა გზა გამოენახა. იგი პეტროგრადში გაემგზავრა, როგორც სახელმწიფო საბჭოს ერთ-ერთი ამომრჩეველთაგანი, წარდგენილი თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საზოგადოების მიერ [“Закавказская речь” 1916 : 20 11].

მან 1916 წ. 24 ოქტომბერს ვრცელი სიტყვა წარმოთქვა და საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. დაასაბუთა ამიერკავკასიის მნიშვნელოვანი როლი მთელი ქვეყნის მეურნეობისა და საერთოდ, ეკონომიკის დაწინაურების საქმეში. ვინაიდან, მის ქვეყანაში არ არსებობდა საერობო თვითმმართველობა, ამის გამო ქართველებს სახელმწიფო საბჭოში წარმომადგენელი არ ჰყავდათ. ამ მოტივით მან უმაღლეს საკანონმდებლო საბჭოში მეორე სავარძელი მოითხოვა და მიაღწია იმას, რომ თავადაზნაურთა საერთო კრებაზე ხმათა დიდი უმრავლესობით სახელმწიფო საბჭოს წევრად აირჩიეს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი კ. აფხაზი. თუმცა ყველაფერი უკვე ამაო იყო, რადგან რევოლუცია ახლოვდებოდა.

დ. ჩოლოყაშვილი კახეთის რკინიგზის გაყვანის ინიციატორი და ერთ-ერთი დამფუძნებელი იყო. მისი აქტიური მოღვაწეობით თბილისის თავადაზნაურთა საზოგადოებამ შექმნა “კახეთის რკინიგზის სააქციო საზოგადოება,” რომლის წესდება 1910 წ. დამტკიცდა. დ. ჩოლოყაშვილთან ერთად მისი დამფუძნებლები იყვნენ: ი. ანდრონიკაშვილი და გ. თუმანიშვილი. ამ საკითხებს მან მრავალი წერილი და ნაშრომი მიუძღვნა, მათ შორის კახეთის რკინიგზის შესახებ დაწერილი გამოკვლევა “განსაკუთრებული აზრი” (1913 წ.).

დ. ჩოლოყაშვილის მიერ შედგენილ რკინიგზის ტვირთბრუნვის ეკონომიკურ და სტატისტიკურ მონაცემებს სპეციალისტები მეტად მნიშვ-

ნელოვნად თვლიდნენ. იგი არაერთხელ განიხილებოდა პეტერბურგის უმაღლეს სამთავრობო ინსტანციებში.

კახეთის რკინიგზის მშენებლობა 1911-1912 წ.წ დაიწყო და 1916 წელს დამთავრდა. ამ ფაქტს ქართველი საზოგადოება დიდი სიხარულით შეხვდა. მისი საშუალებით კახეთის ბარაქიანი მხარე ამიერკავკასიისა და რუსეთის რკინიგზის მაგისტრალებს დაუკავშირდა, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კახეთის სამეურნეო-ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო დარგების განვითარებისათვის [მირიანაშვილი მ., მუშკუდიანი ქ. 2001 : გვ. 46-50].

1909 წ. კახეთის რკინიგზის შესახებ ეკონომიკური ხასიათის ჩანაწერებში დ. ჩოლოყაშვილმა მიუთითა ახტალის, როგორც მომავალი კურორტის მნიშვნელობაზე და მისი ევროპულ დონეზე მოწყობის აუცილებლობაზე ["Закавказская речь" 1915 : 18 6].

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, როდესაც ყოველგვარი წოდებრიობა გაუქმდა, დიმიტრი ჩოლოყაშვილის კერძო საკუთრება, რასაც მრავალი წლების შრომა და ენერგია შეალია), მთლიანად სახელმწიფოს გადაეცა ["Заря востока" 1927 : 11 12]. მიუხედავად ამისა, მას თავისი ქვეყნის კეთილდღეობაზე ფიქრი და ზრუნვა არ შეუწყვეტია. 1930 წელს გაზეთ "Заря востока"-ში გამოაქვეყნა წერილი ["Заря востока" 1930 : 3 3], რითაც გამოეხმაურა გაზეთის შენიშვნას. სათაურით "საქართველოს ნავთობი", საუბარი ეხებოდა წნორის წყლიდან წითელწყარომდე გზის სასწრაფოდ გაყვანას, რათა ადგილზე ჩაეტანათ ნავთობსაბურღი იარაღები და საჭირო ტექნიკა. ამის საპირისპიროდ, როგორც ადგილობრივი ტოპოგრაფიის კარგმა მცოდნემ, დიმიტრი ჩოლოყაშვილმა შემდეგი მოსაზრება გამოთქვა: საბურღი მოწყობილობები და საბურღი მასალები თბილისიდან წითელწყარომდე უნდა მიეტანათ არა შემოვლითი გზით ე.ი. სადგურ წნორის წყლიდან, არამედ სადგურ მელაანიდან. ეს გზა გაცილებით უკეთესი იყო, რადგან 35 კმ-ის მანძილზე არც განსაკუთრებული აღმართ-დაღმართი და არც მდინარეები იყო გადასალახავი და საჭაპანე გზით გადაზიდვა მარტივად მოხდებოდა და ხარჯიც ნაკლები იქნებოდა. ამ პატარა მაგალითიდანაც კარგად ჩანს დიმიტრი ჩოლოყაშვილისთვის დამახასიათებელი გულისხმიერება, კეთილმოსურნეობა და ზრუნვა საკუთარ სამშობლოზე.

დ. ჩოლოყაშვილი რუსულ ენაზე თარგმნიდა და აქვეყნებდა ი. ჭავჭავაძის, მ. ჯავახიშვილის, ე. ნინოშვილისა და სხვათა ნაწარმოებებს. 1907 წ. როდესაც ი. ჭავჭავაძის ნეშტი საგურამოდან თბილისში გადმოასვენეს, მან ილიას "გლახის ნაამბობის" ახალი თარგმანი გამოაქვეყნა ["Закавказье" 1907 : 183; 1908 : 51].

ამგვარად, თავადმა დიმიტრი ჩოლოყაშვილმა, თავადაზნაურთა საზოგადოების წინამძღოლმა, რუსეთის საიმპერატორო კარის კამერგერმა, განათლებით აგრონომმა კახეთში – ჭიაურში საფუძველი ჩაუყარა კაპიტალისტურად მოწყობილ საჩვენებელ მამულს, რომელიც ენერგიული და დაუღალავი შრომის შედეგად შექმნა.

მისი მოღვაწეობა მრავალმხრივი იყო:

1. რუსეთის იმპერიის არსებობის განმავლობაში, გამუდმებით იბრძოდა საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის, ე.წ. "ერობის" შე-

მოღებისათვის.
2. 1910-1914 წ.წ. კახეთის რკინიგზის გაყვანის ინიციატორი და მისი სააქციო საზოგადოების ერთერთი დამფუძნებელი გახლდათ.
3. 1911-1922 წ.წ. მოქმედებდა მის მიერ დაფუძნებული "ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება." იგი იყო "საკრედიტო საზოგადოების" თავმჯდომარე, აგრეთვე "მევენახეობა-მეღვინეობის საბჭოს" წევრი.
4. დიდ ყურადღებას აქცევდა განათლებისა და განსაკუთრებით პროფესიული განათლების საკითხებს. მისი ინიციატივით 1910 წ. გორსა და თელავში ვაჟთა დაწყებითი გიმნაზიები გაიხსნა; ეხმარებოდა სკოლებს ფინანსურად, წიგნებითა და ხე-ტყის მასალით.
5. სხვადასხვა დროს თელავის, თიანეთის, თბილისის თავადაზნაურთა საზოგადოების წინამძღოლი იყო. ბოლოს კი თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლის მოვალეობას ასრულებდა.
6. რუსულ ენაზე თარგმნიდა და აქვეყნებდა ი. ჭავჭავაძის, მ. ჯავახიშვილის, ე. ნინოშვილისა და სხვათა ლიტერატურულ ნაწარმოებებს.
7. აქტიურად ეხმაურებოდა საქართველოსთვის მნიშვნელოვან საკითხებს. პერიოდულ გამოცემებში აქვეყნებდა სხვადასხვა სახის მასალას. ძირითადად, სტატისტიკურ ანგარიშებს, ეკონომიკური ხასიათის რჩევებს, გამოკვლევებსა და ლიტერატურულ თარგმანებს.
მრავალი დაბრკოლებების მიუხედავად, დიმიტრი ჩოლოყაშვილი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე საქართველოს წინსვლასა და კეთილდღეობაზე ზრუნავდა.

ბიბლიოგრაფია

მირიანაშვილი მ., მუშკუდიანი ქ. – კახეთის რკინიგზა (1910-1916 წ.წ.), კავკასიის მაცნე, №4 2001, თბილისი.

ჩოლოყაშვილი დ. – ფილოქსერა და მასთან ბრძოლა 1916, თბილისი.

ჭავჭავაძე ი. – პუბლიცისტური წერილები ტ. 5 1987, თბილისი.

Иоселиани П. – Род князей Челокаевых и Мученик св. Бидзина Челокаев 1866, Тифлис.

გაზეთები

დროება –	1875 №№119, 121; 1877 №109
ივერია –	1893 №№ 11, 65, 98, 213; 1895 №104; 1896 №10; 1897 №176; 1898 №30; 1899 №№85, 184, 221, 227.
კოლხიდა –	დაბა-სოფლები. ქიზიყი 1911, №153.
საქართველო –	1915 №14.
სახალხო გაზეთი –	ბიბლიოგრაფია 1913, №990.

სახალხო ფურცელი –	ჩოლოყაშვილი დ., კახელების საყურადღებოდ 1913, №239; 1915 №219.
Закавказье –	Перенесение останков И. Чавчавадзе. Из повести Ильи Чавчавадзе «Рассказ нищего» (в новом переводе Д. Челокаева) 1907, №183; 1908, №51. Челокаев Д. – Филоксера и природа в Кахетии 1910, №167.
Челокаев Д. –	Переселенческое управление на Кавказе и 50 тысячное население Кизикии 1910, №218.
Челокаев Д. –	К истории возникновения в Телави и Гори прогимназий 1910, №178.
Челокаев Д. –	Податное обложение и действительные причины накоплении и недоимок поземельного налога в Закавказье 1910, №234.
Челокаев Д. –	В грузинском сельско-хозяйственном обществе 1911, №234.
Закавказская речь –	Цинамдзгваров А – По Грузии, гор. Закатали 1913, №285.
Челокаев Д. –	К дворянскому собранию 1915, №99.
Челокаев Д. –	Целебные грязи Ахталы 1915, №148. Наши выборщики в Петрограде 1916, №262.
Заря востока –	В дебрях Кизикии 1927, №1649.
Челокаев Д. –	Каким путем везти грузы к Мирзаанским буровым 1930, №56.
Новое обозрение –	Челокаев Д. – Ботаническая акклиматизационная выставка в Москве 1892, №№3006, 3007.
Русские ведомости –	1892 №224.

Ketevan Mushkudiani

Georgian National Museum, Rustaveli Avenue 3, 0105 Tbilisi, Georgia

Dimitri Choloqashvili

(1868-1938)

Summary

The Cholokashvilis were rather prominent and one of the closest family names to the Georgian Royal court during the Georgian feudal period.

Dimitri Cholokashvili, Marshal of the Nobility society and a nobleman in attendance at the Russian Court, was an agriculturist by education. He owned a well-equipped and demonstrative patrimony in Kakheti,in village Chiauri that was established thanks to his energetic and tireless work.

Cholokashvili's activities were of diverse character:

1. During the existence of Russian Empire in Georgia he permanently fought for the establishment of local self-governance "Eroba".
2. In 1910-1914 he was an initiator of a railway construction in Kakheti, and one of the founders of its joint-stock company.
3. The Georgian Agro-Industrial Society, established by him, was operating during 1911-1922 years. He also served as a Chairman of Credit Society, as well as a Board Member of Viticulture and Wine-Making Committee.
4. He was paying a big attention to educational issues and especially, to vocational education. In 1910 he initiated an opening of boys' elementary schools in Gori and Telavi; he supported those schools financially, with books and wood materials.
5. He was Marshal of Telavi, Tianeti and Tbilisi Nobility societies in various periods of time. Finally, he was Acting Marshal of Tbilisi Province.
6. He translated into Russian and published literary works of I. Chavchavadze, M. Javakhishvili, E. Ninoshvili and others.
7. He published various materials in periodicals such as: main statistical reports, advice of economic character, researches and translations of literary works.

Despite many obstacles D. Cholokashvili was focused on the development and prosperity of his motherland till the end of his life.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია №1 (46-B), 2010, 414-422
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences №1 (46-B), 2010, 414-422

ისტორია

ოთარ ჩიქოვანი

საქართველოს ეროვნული მუზეუმი, რუსთაველის გამზირი 3,0105,
თბილისი, საქართველო

სომხეთ-საქართველოს 1918 წლის ომი

ცნობილი მიზეზების გამო უკანასკნელ დრომდე სომხეთ-საქართველოს 1918 წლის დეკემბრის ომი ტაბუირებული თემა იყო და მის შესახებ ბევრი რამ არ იყო ცნობილი. საბჭოთა იმპერიის დაშლისა და საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღდგენის შედეგად მსგავსი საკითხების შესწავლა და ჭეშმარიტების დადგენა შესაძლებელი გახდა. ჟურნალ "კავკასიის მაცნეში" გამოქვეყნებულ სტატიებში[1] ჩვენ განვიხილეთ საკითხები, რომლებიც წინ უძღოდა და რომელთა შეუფასებლობამაც განაპირობა სომხეთთან 1918 წლის ომი: სომეხთა ტერიტორიული პრეტენზიები საქართველოსადმი უძველესი დროიდან მე-20 საუკუნემდე; სომეხთა საქართველოში ჩამოსახლების მოკლე ისტორია; გადმოსახლებულ სომეხთა საქმიანობა; რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ სომეხთა კომპაქტური დასახლებების შექმნა საქართველოში და სხვ.

სომხეთის ტერიტორიულ პრეტენზიებს საქართველოს მიმართ დიდი ხნის ისტორია აქვს. სომხეთი საუკუნეების განმავლობაში კავკასიაში პირველობის მოსაპოვებლად იბრძოდა. ამის მისაღწევად კი, პირველ რიგში, მისი ჰეგემონობა საქართველოზე უნდა გავრცელებულიყო. ამიტომ ჩვენი სასაზღვრო ტერიტორიები ხშირად ქიშპობის მიზეზი ხდებოდა და იმ ქვეყნის მფლობელობაში გადადიოდა, რომელიც ძლიერი იყო. ს. ჯანაშიას მიხედვით, არაქსის ჩრდილოეთით მდებარე რაიონები იბერიამ ტიგრან II-ის დროს დაკარგა, როდესაც სომხეთის პოლიტიკური საზღვრები ყველა მიმართულებით ფართოვდებოდა [ს.ჯანაშია, 1952:257]. ახალ წელთაღრიცხვამდე IV საუკუნეში სომხეთი დასუსტდა და 387 წელს იგი ორ სამეფოდ გაიყო. ამ დროს ქართველებს სომხების მიერ მიტაცებული ქართული ტერიტორიები – გუგარეთი, გარდაბანი და კარწახი უკან დაუბრუნებიათ [ჯავახიშვილი, 1996:15].

XI საუკუნის შუა ხანებიდან ახლოაღმოსავლეთში განვითარებულმა მოვლენებმა სომხური სახელმწიფოს დაცემა განაპირობა. შინაგანი წინააღმდეგობებით დასუსტებულმა სომხეთმა ვერ გაუძლო ბიზანტიის

[1]ჟურნალი "კავკასიის მაცნე," 2004წ. №10; 2005წ. №11; 2008წ. №17

შემოტევას და 1054 წ. ბიზანტიამ სომხეთის დედაქალაქი ანისი დაიპყრო. იმავე ხანებში სომხეთი დაიპყრეს თურქ-სელჩუკებმა. დაწყებული ამ დროიდან, 1918 წლამდე სომხური სახელმწიფო არსებობას წყვეტს.

XI საუკუნიდან იწყება სომხური მოსახლეობის ემიგრაცია საზღვარგარეთის ქვეყნებში. ისინი მასობრივად გადასახლდნენ მცირე აზიაში, ოქროს ურდოში, ყირიმში, პოლონეთში, უკრაინაში, საქართველოში, ბიზანტიაში, სირიაში, ლიბანში.

XIV საუკუნის მეორე ნახევარში სომხეთი გაანადგურა თემურ-ლენგმა. შემდეგ იგი დაიპყრეს თურქმანთა მომთაბარე ტომებმა. მათ თარეშს მოჰყვა ნგრევა და მოსახლეობის მასობრივი ხოცვა-ულეტა, რაც მომდევნო საუკუნეებშიც გაგრძელდა. XV-XVIII საუკუნეებში სომხეთიდან მოსახლეობის აყრამ და სხვა ქვეყნებში გადასახლებამ ფართო მასშტაბები მიიღო. ამ პერიოდში საქართველოშიც უამრავი სომეხი დასახლდა, სომხეთის მოსაზღვრე რაიონებში, ძირითადად ქვემო ქართლში.

რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ იწყება სომხების მასობრივი ჩამოსახლება და კომპაქტური დასახლება საქართველოში. მეფის რუსეთს შორს გამიზნული ანტიქართული ზრახვები ამოძრავებდა. რუსეთს სომხები აპოლიტიკურ ხალხად, ხოლო ქართველები კი არასაიმედოდ მიაჩნდა. ამიტომ, საზღვრისპირა ტერიტორიებზე ერთგული სომხების მასობრივი ჩასახლება მისთვის სასურველი იყო. სომეხთა საქართველოში მიგრაციას ხელი შეუწყო XIX საუკუნის მეორე ნახევარში წარმოებულმა რუსეთ-თურქეთის ომებმაც.

ომების შემდეგ საქართველოში ჩამოსახლებულ სომეხთა რიცხვი განუხრელად იზრდებოდა და მაქსიმუმს XIX–XX საუკუნეების მიჯნაზე მიაღწია. სომეხთა რაოდენობის ზრდის სურათი XIX საუკუნის მეორე ნახევარში ამგვარია: 1865წ. საქართველოში ცხოვრობდა 122.6 ათასი სომეხი, 1886წ. – 172.9 ათასი, 1897წ. – 197 ათასი [ჯაოშვილი, 1984 : 112]. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ 1915-1916 წლებში თურქეთში მცხოვრები სომხების გენოციდის შედეგად, კიდევ 100 ათასი სომეხი დამკვიდრდა საქართველოში. აღსანიშნავია, რომ საქართველოში სომეხთა ჩამოსახლებას დროებითი ხასიათი არ ჰქონია, ისინი სხვაგან წასვლას აღარ აპირებდნენ, მათი მიზანი საქართველოში დამკვიდრება იყო. ზემოთქმულიდან ნათელი ხდება, თუ რაოდენ დიდი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა ახლად შექმნილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა.

მიუხედავად მრავალი პრობლემისა, რომელსაც სომეხთა საქართველოში ჩამოსახლება ქმნიდა, ქართველი ხალხი მისთვის დამახასიათებელი სტუმართმოყვარეობით ხვდებოდა ჩამოსახლებულ სომხებს და რითაც კი შეეძლო ეხმარებოდა მათ. დასანანია, რომ ჩამოსახლებულებმა მალევე დაივიწყეს ჩვენი ხალხის სტუმართმოყვარეობა და უკეთურ საქმიანობას მიჰყვეს ხელი – დაიწყეს ჩვენი ტერიტორიების მითვისება, ჩვენი ეკლესიების სომხურად გამოცხადება, ქართული მოსახლეობის ძალდატანებითი გასომხება და სხვ.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე (1918წ. 26. V) მრავალ სხვა პრობლემასთან ერთად, დღის წესრიგში დადგა მეზობელ ქვეყნებთან საზღვრების გამიჯვნის სასწრაფოდ

გადაჭრის საკითხი, რადგან ამ ქვეყნებმა საქართველოს ტერიტორიული პრეტენზიები წამოუყენეს.[2]

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა რეგიონში მშვიდობის შენარჩუნებისკენ მიისწრაფოდა და ყველაფერს აკეთებდა მეზობელ სომხებთან სადავო საკითხების მშვიდობიანი გზით გადაჭრისათვის. ამაზე მიუთითებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის გამოსვლა საქართველოს პარლამენტში 1918 წლის 26 ოქტომბერს. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს დემოკრატიულ მთავრობას ყოვლად შეუძლებლად მიაჩნდა საზღვრების საკითხის იარაღის საშუალებით გადაჭრა. იგი მოუწოდებდა საქართველოსა და სომხეთს შორის არსებული სასაზღვრო დავის შეთანხმების გზით გადაჭრისაკენ [საქართველოს პარლამენტის სტენოგრაფიული ანგარიში, 1918: 5-7].

როგორც ითქვა, საქართველოს მთავრობა თავიდანვე ცდილობდა ამიერკავკასიის ერთა შორის სოლიდარობის დამყარებას და სადავო საკითხების ურთიერთშეთანხმებით გადაჭრას. საქართველოს მთავრობის ინიციატივით, 1918წ. 10 გიორგობისთვეს, თბილისში მოწვეულ იქნა ამიერკავკასიის ხალხთა და სახელმწიფოების წარმომადგენელთა კონფერენცია, რომელზედაც სომხებთან ერთად მოწვეულნი იყვნენ აზერბაიჯანისა და კავკასიის მთიელთა წარმომადგენლები. კონფერენციაზე განსახილველ საკითხთა შორის უმთავრესი იყო ტერიტორიებისა და საზღვრების საკითხი. სომხებმა თავიდან თანხმობა განაცხადეს კონფერენციაში მონაწილეობაზე, მაგრამ შემდეგ სხვადასხვა საბაბის მომიზეზებით არ ჩამოვიდნენ და კონფერენცია ჩაიშალა; ამგვარად, სადავო საკითხები გადაუწყვეტელი დარჩა. ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ სომხებს არ აწყობდათ სადავო საკითხების მშვიდობიანად მოწესრიგება. მათი მიზანი იყო საქართველოს ტერიტორიების მიტაცება და დაპყრობა. სომხეთის მთავრობა ეძებდა მიზეზს საქართველოსთან ომის გასაჩაღებლად და ქართული ტერიტორიების მისატაცებლად. საბაბის მოძებნა სომხებს არ გასძნელებიათ. მათ ამისათვის გამოიყენეს 1918 წლის დასაწყისში გენერალ მაყაშვილის მეთაურობით ქართული ჯარის შესვლა ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში, რაც ჩათვლილი იქნა სომხეთის "განუყოფელი" ნაწილის ხელყოფად; ე.ი. ქართული მიწების დასაკუთრება ქართველების მიერ სომხებმა აბსოლუტურად უკანონოდ მიიჩნიეს.

სომხებმა ისარგებლეს საქართველოს ხელისუფლების გულუბრყვილობითა და დაუდევრობით (ხელისუფლება რატომღაც დარწმუნებული იყო, რომ სომხები საქართველოსთან ომს ვერ გაბედავდნენ) და 1918 წლის დეკემბრის დასაწყისში ომის გამოუცხადებლად, მუხანათურად, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე თავს დაესხნენ საზღვრებზე მდგარ ჩვენს სამხედრო რაზმებს. 7 დეკემბერს სომხეთის ჯარმა დაიკავა სანაინისა და ალავერდის ახლო მდებარე მთები; 8 დეკემბერს სროლა აუტეხეს ჩვენს ჯავშნიან მატარებელს, დააზიანეს რკინიგზა; 9 დეკემბერს სოფელ უზუნლიარში იერიში მიიტანეს ქართულ სასაზღვრო რაზმზე, შემდეგ კი თავს დაესხნენ და დიდი ზიანი მიაყენეს კობერსა

[2] ამ საკითხზე ვრცლად იხილეთ – ო. ჩიქოვანი, ნ. ჯიქია, ისტორიის მტკივნეული ფურცლები (სომხეთ-საქართველოს 1918 წ. ომი) "კავკასიის მაცნე," 2004წ. №10

და ქორინჯში განლაგებულ ჩვენს სამხედრო რაზმებს.

საქართველოს მთავრობა კი სათანადო ზომების მიღებას აგვიანებდა, საზღვრებზე არ გზავნიდა საჭირო რაოდენობის ჯარებს, მიაჩნდა რა, რომ სომხეთთან ურთიერთობის მოგვარება მხოლოდ მშვიდობიანი გზით იქნებოდა შესაძლებელი.

სომხეთის ჯარის თავდასხმები სულ უფრო ფართო ხასიათს იღებდა. 9 დეკემბერს სოფელ სანაინთან სომხებმა მოკლეს ხუთი და დაჭრეს შვიდი ქართველი ჯარისკაცი. 12 დეკემბერს სადგურ აირუმში ტყვედ აიყვანეს გენერალ წულუკიძის დასახმარებლად მატარებლით გაგზავნილი ორი ასეული – 250 კაცი; 13 დეკემბერს კი სომხეთის ჯარებმა დაიწყეს შეტევები სოფლებზე – ვორონცოვკაზე, კამენკასა და პრივოლნოეზე. 16 და 20 დეკემბერს სომხებმა შეტევა განახორციელეს ახალქალაქის მაზრაზეც, გამოიყენეს არტილერია; ბრძოლაში სომხები დამარცხდნენ და გაიქცნენ – მოკლული იქნა მტრის 3 ოფიცერი და ასი ჯარისკაცი. გააფთრებული ბრძოლები გრძელდებოდა ბორჩალოს ფრონტზეც. მალე ნათელი გახდა, რომ გვეომებოდნენ არა სომეხთა ბრბოები, როგორც საქართველოს მთავრობას ეგონა, არამედ სომხეთის რეგულარული ჯარის მეოთხე პოლკის შენაერთები, პოლკოვნიკ ტერნიკოგოსოვის მეთაურობით.

სომხეთის არმიამ ომის დასაწყისში ბრძოლის ველზე უპირატესობა მოიპოვა, რაც ძირითადად მოულოდნელი თავდასხმის ფაქტორით იყო განპირობებული. ამას როგორც ზემოთაც ითქვა საქართველოს მთავრობის დანაშაულებრივმა უმოქმედობამაც შეუწყო ხელი, რომელიც გენერალ მაზნიაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, რატომღაც დარწმუნებული იყო, რომ სომხები ომს ვერ გაბედავდნენ, ყოველ დღე წერდა მათ დიპლომატიურ ნოტებს, თავის დასაცავად კი არავითარ ზომებს არ იღებდა [მაზნიაშვილი 2002 : 118].

ბოლოს და ბოლოს დარწმუნდა რა სომხეთთან ომის გარდაუვალობაში, 1918 წლის 17 დეკემბერს, საქართველოს ხელისუფლებამ საყოველთაო მობილიზაცია გამოაცხადა. იმავე დღეს სომხეთის წინააღმდეგ მოქმედი ლაშქრის სარდლად დაინიშნა გენერალი გიორგი მაზნიაშვილი, სამხედრო შტაბის უფროსად კი გენერალი გიორგი კვინიტაძე.

საქართველოს რესპუბლიკის სახელით 1918 წლის 16 დეკემბერს ე. გეგეჭკორმა უცხოეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლებს მიმართა და ამცნო მათ, რომ 1918 წლის დეკემბრის დასაწყისში სომხეთის რეგულარული ჯარის ნაწილები მუხანათურად, მოულოდნელად თავს დაესხა საზღვარზე განლაგებულ ჩვენს სამხედრო ნაწილებს და დაიწყო საომარი მოქმედებები, რომ სომხეთის მთავრობამ უარი განაცხადა ამიერკავკასიის კონფერენციაში მონაწილეობის მიღებაზე, სადაც მშვიდობიანი გზით უნდა გადაწყვეტილიყო სადავო საკითხები. ამიტომ საქართველოს მთავრობა მთელი მსოფლიოს წინაშე აცხადებს ენერგიულ პროტესტს სომხეთის მთავრობის მოქმედების გამო და პასუხისმგებლობა მთლიანად, მთელი თავისი სიმძიმით სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას ეკისრება – ნათქვამი იყო მიმართვაში [Сборн. Документы и материалы. 1919: 469–470].

გატარებული ღონისძიებების შედეგად 1918 წლის დეკემბრის მეო-

რე ნახევრიდან, საომარი ვითარება საქართველოს სასარგებლოდ შეიცვალა. შექმნილმა საფრთხემ ჩვენი ხალხის კონსოლიდაცია და შეკავშირება განაპირობა. წარმოუდგენელია ისეთი ამაღლებული სულისკვეთება, როგორიც ამ ომის დროს გამოვლინდა. საქართველოს ყველა კუთხიდან მოემართებოდნენ მოხალისეები მტერთან საბრძოლველად. დაიწყო მაშველი ჯარების ჩასვლა ბრძოლების რაიონებში. 18 დეკემბერს თელავიდან ჩამოვიდა მე-6 მსროლელი ლეგიონის ათასეული და სახალხო გვარდიის რამდენიმე რაზმი; 20 დეკემბერს დაემატა 2 ცხენოსანი ლეგიონი; 24 დეკემბერს თბილისში ჩამოვიდა ფშავ-ხევსურთა ხუთასკაციანი რაზმი, ქიზიყიდან 2 რაზმი და ა.შ. გორში კი ერთი ოჯახიდან 9 მამა-შვილი ჩაეწერა მოხალისედ. საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში, საწარმოებსა და დაწესებულებებში იმართებოდა მრავალრიცხოვანი კრებები, რომლის მონაწილენიც ხელისუფლებას აღუთქვამდნენ ყოველგვარ დახმარებას ქვეყნის დაცვის საქმეში. ქართული ჯარისათვის მთელ საქართველოში დაიწყო შემოწირულობათა შეგროვება. შემოწირულობებს აგროვებდნენ ქართველი ებრაელებიც. მთელი ისტორიის განმავლობაში ჩვენ, ქართველი ებრაელები ყოველთვის ჩვენს ქრისტიან ძმებთან ვიყავით და ვიქნებით – აცხადებდნენ ისინი. ამასთან დაკავშირებით გენერალი გ. კვინიტაძე შენიშნავს: "აღსანიშნავია, რომ ბათუმის ეპოპეისას მის დაცვას უმთავრესად დასავლეთ საქართველო გამოეხმაურა, სომხებთან ომს კი მთელი საქართველო. ომი ერთობ პოპულარული გამოდგა. თბილისთან მტრის სიახლოვე და ჩვენი ხელმოცარვა მხოლოდ აღაგზნებდა და გულს უნოებდა ხალხს" [კვინიტაძე 1998:75]. სომხეთთან ომში ქართველ ხალხს სრულ სოლიდარობას უცხადებდა ბორჩალოს მაზრის მუსლმანობა. ვთვლით რა ჩვენს თავს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეებად, ყოველი ძალღონით მოვალე ვართ დავეხმაროთ ჩვენს მთავრობას – აცხადებდნენ ისინი. აზერბაიჯანის პარლამენტმა 1918 წლის 20 ქრისტეშობისთვის, საგანგებო სხდომაზე პროტესტი გამოუცხადა სომხეთის მთავრობას და მოუწოდა შეეწყვიტა სისხლისღვრა, ყველა სადავო საკითხი კი ამიერკავკასიის კონფერენციაზე გადაჭრილიყო [გაზ."საქართველო", 1918:25.XII, №246; გაზ. "ერთობა", 1918:21, 22, XII, №266, 267]. უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ეკატერინენფელდთან და შულავერთან ბრძოლებში გამარჯვებებს. 29 დეკემბერს სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ ქართული ჯარი შულავერში შევიდა. შულავერის ბრძოლა გადამწყვეტი აღმოჩნდა. მასში მონაწილეობდა სომხეთის თითქმის მთელი შეიარაღებული ძალები, და ჩვენი შეიარაღებული ძალების მხოლოდ მესამედი. გენერალი გ. კვინიტაძე შენიშნავს: "თუ ჩვენი ძალების მცირე ნაწილით დავამარცხეთ თითქმის მთელი სომხური ჯარი, ომი რომ გაგრძელებულიყო, გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდით, ვიდრე სომხები და ერევნამდე ისე გავიდოდით, რომ წინააღმდეგობას აღარავინ გაგვიწევდა" [კვინიტაძე 1998: 93].

შულავერთან სომხეთის ჯარების განადგურების შემდეგ მთავარსარდლობამ გადაუდებლად ჩათვალა სანაინის გათავისუფლება, საიდანაც გზა ერევნისაკენ იხსნებოდა. 1918 წლის 31 დეკემბრისათვის ქარ-

თულ არმიას უკვე დაკავებული ჰქონდა სანაინის მისადგომები. 1 იანვარს ჩვენს ჯარს იერიში უნდა მიეტანა და სანაინი და ალავერდი უნდა აეღო.

ამ დროისათვის სომხეთის შეიარაღებული ძალების ძირითადი ნაწილი უკვე განადგურებული იყო და აშკარა შეიქნა, რომ სომხეთი მარცხდებოდა, მაგრამ ამ მომენტში გამოჩნდნენ და საქმეში ჩაერთნენ პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებულ სახელმწიფოთა წარმომადგენლები. მათ საქართველოსა და სომხეთის მთავრობებს მოსთხოვეს საომარ მოქმედებათა შეწყვეტა და დროებითი ზავის დადება. საზავო პირობების მიხედვით ჩვენი ჯარი უნდა შეჩერებულიყო იქ, სადაც აღმოჩნდებოდა 1918 წლის 31 დეკემბრის ღამის 12 საათზე; სომხეთის ჯარი ცლიდა ბორჩალოს მაზრას და უბრუნდებოდა თავის საზღვრებს; შუაში დარჩენილი ტერიტორია ნეიტრალურ ზონად ცხადდებოდა და მას ინგლისელთა პიკეტები იკავებდა. R.ე.ი. უნდა აღდგენილიყო ომამდელი მდგომარეობა – "სტატუს ქვო" (მაშინ "სტატუს ქვო" არ აღდგენილა, რადგანაც ლორეს რაიონი გამოცხადდა ნეიტრალურ ზონად და იქ ჩვენი ჯარი არ შესულა. 1920 წლის ნოემბერში კი საქართველომ დაიბრუნა ნეიტრალური ზონა ლორეს ოლქი, რასაც სომხეთიც დაეთანხმა); რაც შეეხება ახალქალაქის მაზრას, იქ ქართული ადმინისტრაცია რჩებოდა და მას მეთვალყურეობას გაუწევდა ანტანტის წარმომადგენლობის კომისია. საბოლოოდ, საზღვრების საკითხი კავკასიის სახელმწიფოთა შორის, პარიზის საზავო კონფერენციას უნდა გადაეწყვიტა. საქართველოს ხელისუფლება იძულებული გახდა ანგარიში გაეწია და დათანხმებოდა ანტანტის ქვეყნების მიერ წამოყენებულ ულტიმატუმს. 1918 წლის 31 დეკემბრის ღამის 12 საათზე საქართველო-სომხეთის ომი შეწყდა.

ომის შედეგად საქართველომ დიდი მატერიალური ზარალი განიცადა. მტერმა ნადავლის სახით ხელში ჩაიგდო ასეულობით რკინიგზის ვაგონი, 3 ჯავშნიანი მატარებელი, 16 ზარბაზანი, 10 ოროქმავალი, 35 ტყვიამფრქვევი და სხვ. ტყვედ აიყვანეს 100 ოფიცერი და 1200 ჯარისკაცი [журн. Отечественные архивы 1992: 59-161].

ზემოაღნიშნული პირობებით სომხეთთან საომარ მოქმედებათა შეჩერებამ და დროებითი ზავის დადებამ ქართული საზოგადოების გულისწყრომა და აღშფოთება გამოიწვია. უკმაყოფილო იყო ქართული გენერალიტეტიც. გენერალი გ. კვინიტაძე აღნიშნავდა: "მერედა რას მივაღწიეთ ამ უეჭველად მოგებული ომით? უნდა ვაღიაროთ, რომ დავომეთ ის, რაც ომამდე ჩვენი საკუთრება გახლდათ. ის, რაც ჩვენს განუყოფელ ტერიტორიად მიგვაჩნდა სადავო გავხადეთ მაშინ, როცა იარაღით ვაიძულეთ მოწინააღმდეგე უარი ეთქვა თავის მოთხოვნებზე. საკუთარი ტერიტორიის დათმობა ან სადაოდ ქცევა უომრადაც შეიძლებოდა, დიპლომატიური გზით. რისთვისღა ვიღებდით იარაღს, რისთვისღა ვღვრიდით სისხლს?" [კვინიტაძე 1998:93]. სპირიდონ კედიამ კი საქართველოს პარლამენტის 1919 წლის 4 იანვრის სხდომაზე განაცხადა, რომ ომში ფაქტობრივად ჩვენმა ჯარმა გაიმარჯვა, მაგრამ საზავო შეთანხმების პირობებით დამარცხებულები აღმოვჩნდით. საზავო ხელშეკრულება გვართმევს სუვერენულ უფლებას

ტერიტორიის ერთ ნაწილზე და ამიტომ იგი მიუღებელია. "მთავრობამ ვერ დაიცვა ჩვენი ერის ღირსება, მოგვცა ზავი არა გამარჯვებულის, არამედ დამარცხებული ჯარის პატრონი სახელმწიფოსი. ამით სამშობლოს ღირსება გაუტეხა და პრესტიჟი დაუკარგა... ამ მიზეზების გამო მთავრობის მოქმედება უნდა იქნას გაკიცხული და მიუღებელი იმ ზავის პირობა, რომელიც მან დასდო მოწინააღმდეგესთან" – განაცხადა სპირიდონ კედიამ [გაზ. საქართველო 1919: 2-3].

ალბათ, სავსებით სამართლიანია ამ ადამიანების გულისწყრომა და აღშფოთება საომარ მოქმედებათა აღნიშნული პირობებით შეჩერებასთან დაკავშირებით, მაგრამ როგორც მასალებიდან ირკვევა, შექმნილ სიტუაციაში საქართველოს მთავრობას სხვა გამოსავალი არ რჩებოდა. იგი იძულებული გახდა გაეთვალისწინებინა არსებული ვითარება და დამორჩილებოდა გამარჯვებულ მოკავშირეთა ნებას.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ საკითხის ამგვარი ხედვაც არსებობს: სომხებმა ომი ინგლისის წაქეზებით დაიწყეს და ამიერკავკასიაში ინგლისის ფავორიტები სწორედ ისინი იყვნენ. ცნობილია, რომ ამ მოსაზრებას იზიარებდნენ ქართველი პოლიტიკოსებიც, ინტელიგენციაც, გენერალიტეტიც და საზოგადოებრიობას სხვა წარმომადგენლებიც. ნოე ჟორდანიას აზრით, ინგლისელებმა წააქეზეს სომხები ქართველთა წინააღმდეგ, შემდეგ კი მათვე აიძულეს საქართველო ომი შეეჩერებინა და მათ მოთხოვნებს დამორჩილებოდა [ჟორდანია 1990: 92–93]. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი კი მიუთითებდა, რომ სომხებთან ანგარიშის გასწორება მაშინ მოგვიხდა, როდესაც ამიერკავკასიაში ფეხი შემოდგეს გამარჯვებულმა სახელმწიფოებმა, რომელთა სიმპათია სომხეთისკენ იხრებოდა... ინგლისელებთან ომი კი ვერ გავბედეთ [გაზ. სახალხო საქმე 1919: 2-3]. არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც ინგლისის იმდროინდელი პროსომხური განწყობილება გადამწყვეტი არ ყოფილა და უფრო დიდი როლი ამ საქმეში რუსეთმა ითამაშა[3]. საქართველოს ყოფილი სამხედრო მინისტრის გრ. ლორთქიფანიძის შეფასებით, ეს იყო ომი რუსეთისა საქართველოს წინააღმდეგ და იმავე სომხეთის წინააღმდეგაც; ეს იყო პროვოკაცია, გამიზნული საიმისოდ, რომ რუსეთს ამიერკავკასია დაებრუნებინა თავისი მფლობელობის ქვეშ. დ. ჭუმბურიძე შენიშნავს, რომ ინგლისზე დიდი როლი ამ რაიონის დაკარგვასა და სომხეთის აგრესიის მხარდაჭერაში რუსეთმა ითამაშა. ვფიქრობთ, არც ერთი მოსაზრება არ არის ჭეშმარიტებას მოკლებული და ორივე მათგანს აქვს არსებობის უფლება. ყოველ შემთხვევაში, ის ფაქტი, რომ საქართველოს ხელისუფლებას ანგარიში უნდა გაეწია გამარჯვებული ანტანტის ქვეყნებისათვის, ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

სამწუხაროდ, ტერიტორიალური გამიჯვნისა და საზღვრების დადგენის პრობლემები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში დღესაც ძალზედ აქტუალურია. კიდევ უფრო დაძაბა და გაართულა ვითარება 2008 წელს

[3] იხ. დ. ჭუმბურიძე, საქართველო-სომხეთის ურთიერთობა 1918-1921წ.წ. და ქართული საზოგადოებრივი აზრი, თბილისი, 1999წ. გვ. 6
გრ. ლორთქიფანიძე, ფიქრები საქართველოზე, თბილისი, 1995წ. გვ. 149-150

რუსეთის საქართველოში შემოჭრამ და ჩვენი ტერიტორიების 20 პროცენტის ოკუპაციამ. მთიანი ყარაბახის საკითხი აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონისა საქართველოში – ეს გახლავთ დღევანდელობის უმნიშვნელოვანესი პრობლემები, რომლებიც გადაწყვეტას მოითხოვს.

History

Otar Chikovani

Georgian National Museum, Rustaveli Avenue 3, 0105 Tbilisi, Georgia,

The 1918 Year Armenian-Georgian War

Summary

At the beginning of the war armenian Army obtained advantage on the battlefield that was mainly resulted by unexpected factor and inactivity of Georgian Government. As a result of the pursued activities from the second half of December 1918 situation changed in favor of the Georgians. The victories at the Ekaterinenfeld (Bolnisi) and Shulaveri were decisive where the key forces of the Armenian army were destroyed. It was obvious that Armenia was defeated. But the states that won in World War were involved in that matter and they forced the Georgian Government to agree with the ultimatum of the Entente countries. At midnight in December 31, the 1918 year Armenian-Georgian War stopped (with unfavorable conditions for Georgia and it caused discontent of Georgian society). As a result of the War Georgia experienced a great material damage.

Unfortunately, the problems connected with territorial drawing boundaries are rather urgent today in south Caucasia. The situation became rather complicated after Russia's invasion into Georgia in 2008 that ended with occupation of Georgian territories.

The main problems of today that should be settled are questions connected with Karabakh, between Azerbaijan and Armenia, Abkhazia and Tskhinvali regions in Georgia.

ბიბლიოგრაფია

1. **კვინიტაძე გ. 1998:** მოგონებები. საქართველოს დამოუკიდებლობის წლები, 1917-1921, თბილისი.
2. **მაზნიაშვილი გ. 1927:** მოგონებანი, 1917-1925, ტფილისი.
3. გაზ. "ერთობა," 1918, 21,22 დეკემბერი, №266, 267.
4. გაზ. "საქართველო," 1918, ქრისტეშობისთვის 25, №246.
5. გაზ. "საქართველო," 1919: იანვრის 12, №8. გვ. 2-3.
6. გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა," 18 ნოემბერი, 2005, №268. გვ. 2.
7. გაზ. "სახალხო საქმე," 1919: იანვრის 11, №428. გვ. 2.
8. **ჯავახიშვილი ივ. 1996**: საქართველოს საზღვრები, თბილისი.
9. **ჯანაშია ს. 1952:** შრომები, II, თბილისი.
10. **ჯაოშვილი ვ. 1984:** საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეში, თბილისი.
11. საქართველოს პარლამენტის სტენოგრაფიული ანგარიში, №52, 1918, ტფილისი.
12. **ჟორდანია ნ**. 1990: ჩემი წარსული, თბილისი.
13. Сборн. - Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, 1919 , Тифл. Стр. 469-470.
14. Журн. - Оттечественные Архивы, Москва, 1992, №1, Ред. С. И. Кузмин, стр. 59-61.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია №1 (46-B), 2010, 423-432
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences №1 (46-B), 2010, 423-432

ეპიგრაფიკა

გიორგი გაგოშიძე

საქართველოს ეროვნული მუზეუმი, რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო, ელ.ფოსტა: **g_gagoshidze@yahoo.com**

სოფელ კლდუს წარწერა (“ჭელი”)

1978 წელს შიდა ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელმა იულონ გაგოშიძემ და ძველი ქართული ხუროთმოძღვრების სპეციალისტმა ნიკო ჩუბინაშვილმა მდ. ძამის ხეობაში მდებარე სოფ. კლდუს მოსახლის ეზოდან წარწერიანი ქვათლილი ჩამოიტანეს, რომელიც დღეს ს.ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის “ქვის” ფონდშია დაცული (სსმ – 18-2010/1). ეს წარწერიანი კვადრი სოფელ კლდუს განაპირას მდებარე ღმრთისმშობლის (ადგილობრივი მოსახლეობა მას წმ. მარიამს უწოდებს) ეკლესიის კედლის წყობის ქვაა (სურ. 1).

პატარა სოფელი კლდუ – ქარელის მუნიციპალიტეტში, კეხიჯვრის თემში მდებარეობს. იგი ორიალეთის ქედის განშტოებაზე, ხრიკას მთის ჩრდილო კალთაზე, ზღვის დონიდან 870 მეტრის სიმაღლეზეა გაშენებული [ქ.ს.ე. 1980: 554]. იოანე ბაგრატიონის ქართლ-კახეთის აღწერაში, რომელიც 1794-1799 წლებშია შედგენილი, ძამის ხევის – საციციანოს (ფანასკერტელ-ციციშვილთა სამფლობელო) სოფლებს შორის სოფ. კლდეცაა დასახელებული [იოანე ბაგრატიონი 1986: 9, 32]. ეჭვგარეშეა, რომ ეს იგივე სოფელი კლდუა. ტოპონიმი კლდუ – კლდედანაა წარმომდგარი, მაგრამ სახელწოდება კლდუთი ეს დასახლება, უფრო ძველ – 1658-1675 წწ-ის დოკუმენტშია ფიქსირებული: აქ (კლდუში გ.გ.) ცხოვრობდა იესეს ერთი კომლი ყმა... [ალექსიძე, ბურჯანაძე 1964: 125]. სოფ. კლდუ აღნიშნულია 1745 წელს ვახუშტის მიერ გამოქვეყნებულ რუკაზე [ვახუშტი 1745], მაგრამ საციციანოს აღწერისას სწავლულ ბატონიშვილს სოფ. კლდუ ნახსენები არ აქვს [ვახუშტი 1941: 58]. წერილობითი წყაროებით უცნობია, XVIII საუკუნემდე სოფ. კლდუ ეკუთვნოდა თუ არა ფანასკერტელ-ციციშვილთა მამულს [Гвасалия 1991: 109]; XV საუკუნის სამოციანი წლებიდან კი ეს ფეოდალური სახლი კლდუს მახლობელ სოფ. კეხიჯვარს ნამდვილად ფლობს [Гвасалия 1991: 107, 108].

1986 წლის 4 აგვისტოს სოფ. კლდუს ეკლესია დავათვალიერე. მცენარეებით დაფარული ნანგრევის მხოლოდ დუღაბის ნაწილებიღა მოჩანდა... ნანახით მიღებული შთაბეჭდილება ზედაპირულია და ეკლესიის აღწერაც ვერ იქნება ზუსტი. აშკარაა, რომ არქეოლოგიური

გათხრების გარეშე შეუძლებელია შენობის ზუსტი გეგმის დადგენა და მისი დათარიღება (ეს ნანგრევი არ არის შეტანილი საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობაში [ს.ი.კ.ძ.ა. 1990]. შემორჩენილი ფრაგმენტებიდან ჩანს, რომ იგი დარბაზული ეკლესია ყოფილა, სამი მხრიდან გარსშემოსავლელით. ნახევარწრიული აფსიდის ჩრდილოეთით, სწორკუთხა სათავსის მონახაზი იკვეთება, მას შესასვლელი, სავარაუდოდ, საკურთხევლის მახლობლად, დარბაზული ეკლესიის ჩრდილოეთ კედელში ექნებოდა. საკურთხევლისა და ჩრდილო სათავსის აღმოსავლეთ კედლებში არსებული დიდი ღიობები მიგვანიშნებს, რომ აქ სარკმლები იყო. საკურთხეველში კედლიდან 30 სმ-ის დაცილებით ტრაპეზის ქვაა. კედლის დუღაბის შემორჩენილ ნაწილებზე ქვათა სწორხაზოვანი წყობის ანაბეჭდები მოჩანს, რაც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ეკლესიის თარიღთან დაკავშირებით, სავარაუდოა, რომ იგი აშენდა X საუკუნის ფარგლებში, ან უფრო ადრე...

ქვათლილი (ზომები: 1,00X0,40 მ), რომელზეც თოთხმეტსტრიქონიანი ნუსხური წარწერაა ჩაჭრილი, იმთავითვე დაზიანებული ყოფილა; ზედა მხრიდან მის შუა ნაწილზე ღრმა ჩანაკვეთი ჩანს. ამის გამო წარწერის პირველი შვიდი სტრიქონი სვეტადაა ნაწერი და ჩაკაწრული ხაზით ზემოდან და გვერდიდან თითქოს მოჩარჩოებულიცაა; ბოლო შვიდი სტრიქონი კვადრის მთელ სიგანეს იკავებს. წარწერის ქვედა ნაწილი ადგილ-ადგილ სრულიად გადაფხეკილია. ასო-ნიშნები მცირე ზომისაა (უდიდესი გრაფემა – 3,5 სმ, უმცირესი – 0,6 სმ), ე.ი. ქვათლილი, ეკლესიის კედელში ადამიანის სიმაღლეზე, ახლოდან წასაკითხ მანძილზე უნდა ყოფილიყო ჩადგმული. ქარაგმა მოკლე, სწორი ან კიდურებგახრილი ხაზია. წარწერაში განკვეთილობის ნიშნები არ გვხვდება და სიტყვებიც არ არის ერთმანეთისგან ინტერვალებით დაშორებული; რიცხობრივი მნიშვნელობის გრაფემები ორივე მხრიდან ორწერტილითაა გამოყოფილი (სურ. 2).

წარწერა ამგვარად იკითხება:

1 [ს]ახელითა ღ(მრ)თისაჲთა
2 ესე ჴელი მე ვაჩე და
3 ვწერე ცქლნ და შევწ
4 ირე წმიდასა ღ(მრ)თ(ი)ს
5 მშობელსა: ჭალასთ
6 უალსა შიგნით სათ
7 იბი და ს[ალ]ერწმე,
8 კ(ლ)დ(უ)ს გოგიური საგლეხო :ა: მიწითა...
9 [ს]აყან[ურ]ი :ა: . წ(აუ)ღ(ე) წყ(ა)ლი აკმაროს ღ[მერთმან]...
10 ...გნ დავიდევ დღე ჟ(ამის) წ(ირვ)ჲ(ს)თ(უი)ს მ(ღვდელ)მ(ა)ნ ლოცვ[ა] ყოს... [წ]
11 მიდისაჲ სალხ[ი]ნებელად სულისა ჩ(უენის)ა სალოცველა
12 დ შვილთა ჩ(ემთათუ)ის მიუ(?). ვ(ი)ნ შეცვალ[ო]ს შემცაჩუ(ე) ნებულა. წ(მიდის)ა
13 ღ(მრ)თ(ი)სმშობ[ე]ლ(ი)სა ესე ჴელიცა ჩ(ემით)ა დამ(ი)წერია. მტკ(ი)ცე არს დ(ა)
14 უ[ც]ვ(ა)ლ(ე)ბ(ე)ლ წ(მიდა)ო ღ(მრ)თ(ი)ს(მშო)ბ(ე)ლო. ა(მე)ნ

წარწერა ნუსხურია, თუმცა ასომთავრული გრაფემებიც შეინიშნება, მაგალითად მე-8, მე-12 და მე-14 სტრიქონებში ასო-ბგერა "უ" ერთი ნიშნითაა (ⴓ) გამოსახული, მე-12 სტრიქონში კი იგივე ხმოვნის აღსანიშნავად ორი ასომთავრული გრაფემაა გამოყენებული – "Ⴓⴔ." განსხვავებულია ასო "ა"-ს მოხაზულობაც. წარწერაში ამ გრაფემის უმეტესობას მახვილი კუთხის ფორმა აქვს (<), ხოლო მე-12 და მე-13 სტრიქონებში ასომთავრული "ა" გრაფემა (⊂) რამდენჯერმეა გამოყენებული. "ო" გრაფემაც, როგორც ნუსხურად, ისე ასომთავრულადაც არის ნაკვეთი. ორ-ორ ვარიანტადაა წარმოდგენილი ასო-ნიშნები "ბ," "დ," "ც," "წ..." მსგავსი რამ შეინიშნება სოფ. დირბის ღმრთისმშობლის მიძინების ეკლესიის წარწერებშიც (957-967 წწ.). ისინიც ნუსხურისა და გაკუთხოვნებული ასომთავრულის ნაზავს წარმოადგენს [გაგოშიძე, ჩიხლაძე 2006: 38, ნახ. 12; 41, ნახ. 13; 41, ნახ. 14; 45, ნახ. 15; 49, ნახ. 17], ასევეა სოფ. კარბის სამების (X ს-ის II ნახ.) წარწერაშიც [სხირტლაძე, ჩიტიშვილი 2008: 98, სურ. 10, 11], რომელებიც გრაფემათა მოხაზულობით ძალიან ჰგავს დირბის წარწერებს.

კლდუს წარწერის ასო-ნიშანთა მოყვანილობა X ს-ის მეორე ნახევრისა და X-XI სს-ის მიჯნის ხუცურით შესრულებულ ხელნაწერთა გრაფემებს გვაგონებს [აბულაძე ილ. 1973: XII-3, 4]. ვფიქრობ, ისინი X საუკუნის მეორე ნახევრით უნდა დათარიღდეს.

კლდუს წარწერა – "ჴელი" მნიშვნელოვანი იურიდიული დოკუმენტია. "ჴელი" ძველი ქართული ტერმინია, რომელსაც სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდა [ბერძენიშვილი 1966: 135-232], ჩვენს შემთხვევაში აღნიშნავს საბუთს – დოკუმენტს. ამგვარი მნიშვნელობით ტერმინი "ჴელი" პირველად მეჯუდის ხეობის წარწერაშია (Xს-ის ოციანი წწ.) დაფიქსირებული [შოშიაშვილი 1980: 144]; "ჴელი" გომეწრის წარწერაცაა, რომელიც X ს-ში მუშალა გოგლეურის მიერ არის "დაწერი-

ლი” [შოშიაშვილი 1980: 147,148.], ხოლო სოფელ კრიხის მოსახლეებს “დაუწერიათ ჭელი” (XI ს.) ზემო კრიხის ეკლესიის სამხრეთი მინაშენის კედელზე [სილოგავა 1980: 84, 85.].

ამგვარად, კლდუს წარწერით, ვინმე ვაჩეს კლდუს ღმრთისმშობლის ეკლესიისთვის დაუწერია “ჭელი,” ე.ი დაუმტკიცებია დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც შეუწირავს ეკლესიისთვის სასოფლო-სამეურნეო მიწები: სათიბი, სალერწმე, საგლეხო ერთი (:ა:) მიწა, ასევე გადაუცია ერთი (:ა:) საყანური – ყანის ადგილი [სულხან საბა ორბელიანი 1949: 580], სახნავ-სათესი მიწა, ეკლესიისთვის გამოუყვანია წყალი (“წაუღე წყალი”). სანაცვლოდ ვაჩეს სულის სალხინებლად და შვილების სალოცველად ჟამისწირვის დღე აურჩევია, თუმცა კონკრეტულად რომელი დღე, წარწერის დაზიანების გამო გაურკვეველია; წარწერა მათი წყევლით მთავრდება, ვინც ამ განწესებას არ შეასრულებს.

წარწერა მნიშვნელოვანია იმით, რომ დასტურდება შიდა ქართლის ცენტრალური რაიონის მეათე საუკუნის ტოპონიმები: სოფლის სახელი – კლდუ, სადაც მდებარეობდა გოგიური მიწა; ადგილი – ჭალასთუალი, სადაც სათიბია და სალერწმე (?). აქ ნახსენები ტერმინი საგლეხო – გლეხთა შესაფერის ადგილ-მამულს ნიშნავს [ფუტკარაძე 1984: 615], ერთი (:ა:) მიწა კი, ერთ დღეში დასამუშავებელი მიწის ფართობია [მეგრელაძე 1991: 49-51].

წარწერის მესამე სტრიქონში არსებული დაქარაგმებული ოთხი ასო-ნიშანი “ცქლნ,” ვაჩეს გვარი, ან მეტსახელია, რომელიც მოთხრობით ბრუნვაშია, მსგავსად გომეწრის წარწერისა – “ჭელი” – “ესე ჭელი მე მუშალა დავწერე **გოგლეურმან**...” [შოშიაშვილი 1980: 148]; გაურკვეველია, რომელი დაქარაგმებული სახელია ასოთშეთანხმება – “ცქლნ.” რომ ეს ქარაგმა გაიხსნას, როგორც – “ცოქალმან,” თუმცა ცოქალი დედაკაცის მეტსახელია. ასე ერქვა მეთორმეტე საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე ქართველ დიდგვაროვან მანდილოსანს – რატი ერისთავთ-ერისთავის დედას ხუაშაქს (ხუაშაქი ცოქალი) [ქ.ც. 1959: 32] და ამდენად, კლდუს წარწერის ვაჩესთან მიმართებაში მიუღებელია. ვაჩე “ცქლნი” აშკარად გამორჩეული პირი ჩანს და, სავარაუდოდ, ადგილობრივი ფეოდალი უნდა იყოს, თუმცა მისი იდენტიფიცირება გვარსახელის მიხედვით ჩემს ხელთ არსებული მასალით შეუძლებელია. X საუკუნის ათიანი წლებიდან ამავე საუკუნის სამოცდაათიანი წლების მიწურულამდე, შიდა ქართლს აფხაზთა მეფეები განაგებდნენ და ამ რეგიონს აფხაზთა მეფის დასმული ქართლის ერისთავი მართავდა, რომლის რეზიდენცია უფლისციხე იყო. სოფ. კლდუს მახლობლად, მდ. ძამის ხეობის ქვედა წელზე არსებული სამწევრისის ტაძრის (VII ს.) კედელზე ამოკვეთილ წარწერაში (912/913 წ.) აფხაზთა მეფე კონსტანტინეს (893-922 წწ.) მოხსენიებაც [შოშიაშვილი 1980: 222, 223] ამ ისტორიული ვითარების ამსახველი ფაქტია. X საუკუნის მეორე ნახევარში ძამის ხეობის ცენტრი ძამის ციხე [ს.ი.კ.ძ.ა. 1990: 382, 383] – ძამელი მთავრის ადარნასეს რეზიდენციაა. “მატიანე ქართლისას” ცნობით, ადარნასე მთავარმა, აფხაზთა მეფე დემეტრე III-ის (967-975 წწ.) ძმა, აჯანყებული თეოდოსი (შემდგომში, 975-978 წწ-ში აფხაზთა მეფე თეოდოსი III) ძამის ციხეში შეიფარა, დემეტრე მეფის ლაშქარი

მიადგა ციხეს და სამი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა ბრძოლა. ბოლოს მეციხოვნეებმა დემეტრესგან უსაფრთხოების გარანტია მიიღეს, თეოდოსი კი დავით კურაპალატთან გაიქცა [ქ.ც. 1955: 270,271]. აშკარაა, რომ ძამელი მთავარი ადარნასე სეპარატისტულად იყო განწყობილი და აფხაზთა მეფეების საქართველოს გაერთიანების მცდელობას ეწინააღმდეგებოდა. სავარაუდოდ, ამ ხანებშია შესრულებული კლდეს წარწერაც და ვაჩე, ალბათ, ძამელი მთავრის ვასალი იყო. ვფიქრობ, წარწერაში სუზერენის მოუხსენიებლობა, X საუკუნის მეორე ნახევარში, ქართლის ამ მხარეში, გაურკვეველი და პოლიტიკურად არამყარი ვითარებით უნდა აიხსნას.

P.S.

1985 წლის 16 სექტემბერს, ატენის სიონის მუდმივმოქმედ ექსპედიციაში ყოფნის დროს, ექსპედიციის ხელმძღვანელსა და ჩემს მასწავლებელს, აწ გარდაცვლილ ბ-ნ გურამ აბრამიშვილს ვესაუბრე კლდეს წარწერისა და იქ მოხსენიებული ვაჩეს შესახებ. მან მიმითითა ატენის სიონის ინტერიერში, სამხრეთი აფსიდის ჩრდილოეთი პილასტრის იატაკიდან მესამე ქვაზე ამოკაწრულ, გამოუქვეყნებელ ცხრასტრიქონიან ნუსხურ წარწერაზე, რომელშიც ასევე ვაჩე იყო დასახელებული და მითხრა, რომ ეს წარწერები ერომანეთისთვის პალეოგრაფიულად შემედარებინა. ბ-ნ გურამმა უფლება მომცა ამ წარწერის გამოქვეყნებისა და წარწერის ასლი იმ დღესვე გადმოვიღე (სურ. 3). წარწერის ფართობი: 14,5X13,5 სმ., უდიდესი ასო-ნიშანი – 1,7 სმ, უმცირესი ასო-ნიშანი – 0,3 სმ. წარწერა ამგვარად იკითხება:



ს(ა)ხ(ე)ლ(ი)ო[ა] ღ(მრთ)ისაჲთა
ესე მე დავწერე ვაჩე
დღესა ბზობასა

ქრონიკონი იყო – რი
[ვ]ინ ⵣაიკითხოთ ლო
[ცვ]ასა მომიჴსენეთ და
ო(ქვე)ნცა მკითხველო
ღ(მერ)ო(მ)ა შეგიწყალე
ნ

ეს მინაწერი იმით არის საინტერესო, რომ ზუსტად თარიღდება და ერთ-ერთი ძველი ნუსხური წარწერათაგანია: ქორონიკონი "რი"(110) = (780+110) **890 წ.** 890 წელს აღდგომამ 12 აპრილს მოუწია, შესაბამისად, ბზობა – 5 აპრილს უნდა ყოფილიყო, ე.ი. ეს მინაწერი 890 წლის 5 აპრილს, ბზობასაა ამოკვეთილი. (უძველესი, 835 წ-ით დათარიღებული ნუსხური წარწერა ატენის სიონშივე, ბათქაშზეა ამოკაწრული) [აბრამიშვილი 1976: 170, 171].

ატენის სიონის 890 წლის აღნიშნული წარწერა ასო-ნიშანთა მოხაზულობით არ ჰგავს კლდუს წარწერის გრაფემებს და ამ უკანასკნელზე თითქმის საუკუნით ხნიერია. შესაბამისად, ატენის სიონის წარწერაში მოხსენიებული ვაჩეც, ვერ იქნება კლდუს წარწერაში დამოწმებული, იგივე სახელის მქონე პიროვნება.

EPIGRAPHICS

GEORGE GAGOSHIDZE

Georgian National Museum, Rustaveli Avenue 3, 0105 Tbilisi, Georgia,
Email:g_gagoshidze@yahoo.com

INSCRIPTION FROM VILLAGE OF KLDU

SUMMARY

In 1978 the Head of the Shida Kartli archaeological expedition Iulon Gagoshidze and a specialist of ancient Georgian architecture Niko Chubinashvili brought a quadrum with an inscription (size: 1.00 x 0.4 m) from village Kldu (Kareli district) to the expedition base. The stone was built into the wall of a household construction by a local inhabitant. It was a dressing stone of the ruined church of the Virgin situated on the outskirt of the village.

The stone, which had a 14-line inscription carved in ``nuskhuri`` (ecclesiastical letters)is preserved at the stone depository of the Janashia State Museum of the Georgian National Museum (SSM-18-2010/1).

According to paleographic features the inscription dates from the second half of the 10th century. It is an important document. It mentions a certain Vache, who donated a meadow, a plot of arable and a crop field to the church of the Virgin of village Kldu. He arranged a running water at the church and etc. In return, Vache and his children were granted a day for the mass. The inscription is particularly important for the fact that it confirms the 10th century place-names of the central region of Shida Kartli such as village Kldu, places called Chalastuali and Gogiuri.

ბიბლიოგრაფია

1. **აბულაძე ილ. 1973:** ქართული წერის ნიმუშები, პალეოგრაფიული ალბომი. თბილისი.
2. **აბრამიშვილი გ.1976:** ატენის სიონის უცნობი წარწერები, მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია, №1, გვ. 170-176.
3. **ალექსიძე ზ. ბურჯანაძე შ. 1964:** მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, წიგნი I. თბილისი.
4. **ბაგრატიონი ი. 1986:** ქართლ-კახეთის აღწერა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თ. ენუქიძემ და გ. ბედოშვილმა. თბილისი.
5. **ბერძენიშვილი ნ. 1966:** მიწათმფლობელობის ფორმებისათვის ფეოდალურ საქართველოში – საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბილისი. გვ. 135-232.
6. **გაგოშიძე გ., ჩიხლაძე ნ. 2006:** დირბის ღმრთისმშობლის მიძინების მონასტერი. თბილისი.
7. **ვახუშტი. 1941:** აღწერა სამეფოსა საქართველოსა – თ. ლომოური და ნ. ბერძენიშვილი (რედ.), თბილისი.
8. **ვახუშტი. 1745:** ატლასი. "ქარტა ქართლისა მტკვრის სამხრეთის კერძოსი – სომხით-საბარათიანოსი და მეფის დროშისა...".
9. **მეგრელაძე დ. 1991:** საქართველოს გლეხობა XIII-XIV საუკუნეებში, თბილისი.
10. **სილოგავა ვ. 1980:** ლაპიდარული წარწერები, II; დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკვ. I (IX-XIII სს.), თბილისი.
11. **სულხან საბა ორბელიანი. 1949:** სიტყვის კონა, თბილისი.
12. ს.ი.კ.ძ.ა. **1990:** 5, თბილისი.
13. **სხირტლაძე ზ., ჩიტიშვილი ნ. 2008:** კარბის წმ. სამების ეკლესია – საქართველოს სიძველენი, 12, თბილისი, გვ. 76-100.
14. **ფუტკარაძე ი. 1984:** საგლეხო – ქ.ს.ე., 8, თბილისი.
15. ქ.ს.ე. **1980:** 5, თბილისი.
16. ქ.ც. **1955:** I, თბილისი.
17. ქ.ც. **1959:** II, თბილისი.
18. **შოშიაშვილი ნ. 1980:** ლაპიდარული წარწერები, I; აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.), თბილისი.
19. **Гвасалия Дж. 1991:** Историческая география восточной Грузии (Шида

Картли). Тбилиси.

შემოკლებათა სია:

ს.ი.კ.ძ.ა. – საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა.
ქ.ს.ე. – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.
ქ.ც. – ქართლის ცხოვრება.

ილუსტრაციების აღწერილობა:

სურ. 1. კლდუ. წარწერიანი ქვათლილი.
სურ. 2. კლდუ. წარწერის მონახაზი.
სურ. 3. ატენის სიონი. წარწერის მონახაზი.

LIST OF ILLUSTRATIONS

Fig. 1. Kldu. Ashlar with an inscription.
Fig. 2. Kldu. Drawing of the inscription.
Fig. 3. The Ateni Sioni. Drawing of the inscription.

სურ. 1 Fig.



სურ. 2 Fig.



სურ. 3 Fig.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია №1 (46-B), 2010, 433-462
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences №1 (46-B), 2010, 433-462

ხელოვნებათმცოდნეობა

ნანა ბურჭულაძე

საქართველოს ეროვნული მუზეუმი, რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო, ელ.ფოსტა: nanaburchuladze@yahoo.com

ქართული ხატწერის სახელოსნო სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტერში

(XI-XIII სს.)[1]

სინას მთა და წმ. ეკატერინეს მონასტერი ქართველთა სასულიერო ცხოვრების ერთ-ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი კერაა (სურ. 1). ჩვენი წინაპრების შემოქმედებითი მოღვაწეობის კვალი ამ წმინდა ადგილს განსაკუთრებულად ღრმად შემორჩა. ვგულისხმობთ წმ. ეკატერინეს მონასტერში დაცულ ასობით ხელნაწერ წიგნს[2] და ხატებს, რომელთა მიახლოებითი რაოდენობაც კი ჯერ-ჯერობით უცნობია; თუმცა, მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ სინაზე ქართული ხატების რიცხვი უთუოდ დიდია.

მართალია სინას მონასტერში არსებული ქართული ხატების შესახებ ამ დროისათვის საკმაოდ მწირი ცნობები გაგვაჩნია, მაგრამ, ისიც კი, რაც უკვე ცნობილია, საფუძველს იძლევა ვივარაუდოთ, რომ მათ, წმ. ეკატერინეს მონასტრის საგანძურში გამორჩეული ადგილი ეკავათ და უკავიათ.

ჩვენი გამოკვლევა პირველი მცდელობაა სინას წმინდა მთასთან დაკავშირებული ქართული ხატების შესახებ არსებული ინფორმაციის შეკრებისა და შეჯერებული ანალიზისა. ამასთან ერთად, ეს არის მცდელობა სინას საგანძურში ქართველ ბერ-მონაზონთა მიერ შექმნილი კიდევ სხვა ხატების გამოვლენისა და XI-XIII საუკუნეებში წმ. ეკატერინეს მონასტერში ქართული სახელოსნოს არსებობის შესახებ

[1]ნაშრომის თავდაპირველი, მოკლე ვარიანტი 2008 წელს, ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილ I საერთაშორისო სიმპოზიუმზე იქნა წაკითხული და ინგლისურ ენაზე გამოქვეყნდა [Burtchuladze 2009]

[2] სინაზე ქართულ ხელნაწერთა ერთი ნაწილის კატალოგი რამდენიმე წლის წინ გამოიცა [The New Finds of Mount Sinai. 2005]. იგი შეიცავს როგორც ადგილობრივ შექმნილ ხელნაწერებს, ისევე იმ ხელნაწერებს, რომლებიც იქ ქართველებს სამშბლოდან ან საზღვარგარეთ არსებულ სამოღვაწეო ადგილებიდან (იერუსალიმი, ანტიოქია, ათონი, კვიპროსი და ა.შ) საუკუნეების მანძილზე მიჰქონდათ.

საკითხის დასმისა.

ობიექტური მიზეზების გამო, წინამდებარე ნაშრომი ჯერ მხოლოდ წინასწარი განაცხადია ამ სერიოზული და ღრმად საკვლევი თემისა და ამიტომ, იგი ჩვენთვის საინტერესო მასალას სრულად ვერ მოიცავს. მასში განხილულია ძირითადად ის ხატები, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი და ნაწილობრივ ისინიც, რომელთა ნახვის შესაძლებლობა რამდენიმე წლის წინ, წმ. ეკატერინეს მონასტერში ხანმოკლე ვიზიტის დროს მოგვეცა – ვგულისხმობთ იმ ხატებს, რომლებიც მთავარ ტაძარში და მუზეუმში ინახება. რაც შეეხება მონასტრის დახურულ საცავში დაცულ ძეგლებს, ისინი ქართველი მკვლევარებისთვის ჯერ-ჯერობით მიუწვდომელია.

* * *

სინას მთის ხატების შესახებ პირველი სამეცნიერო ინფორმაცია დაკავშირებულია XIX საუკუნის რუსი სიძველეთმაძიებლების – არქიმანდრიტ პორფირი უსპენსკისა და ალექსანდრე მურავიოვის სახელებთან [Успенский 1852; Муравьёв 1872]. ნიშანდობლივია, რომ პ. უსპენსკის სინაზე მოგზაურობისადმი მიძღვნილ პირველივე პუბლიკაციაში თავი იჩინა ქართულმა მასალამ და თანაც უაღრესად მნიშვნელოვანმა. ნათქვამში იგულისხმება პირველყოვლისა XI-XII სს-ის ხატი, რომელზეც წმინდა გიორგის გვერდით მდგარი დიდი ქართველი მეფე დავით აღმაშენებელი გამოუსახავთ (სურ. 2). ამ ხატს მოგვიანებით ყურადღება დაუთმეს ვ. ბენეშევიჩმა [Бенешевич 1912: 62-64], მ. და გ. სოტირიუებმა [Sotiriou 1958: 132], დ. მურიკმა [Mouriki 1999: 111-112, 384 -385] და ე. კონსტანდინიდისმა [Konstandinides 1997]. მათგან მხოლოდ ბენეშევიჩმა მიიჩნია ხატზე წარმოდგენილი მეფე დავით აღმაშენებლად, სხვათა მიერ კი იგი გიორგი III-დ, გიორგი ლაშად და გიორგი ბრწყინვალედაც კი ჩაითვალა. საბოლოოდ, მეფის იდენტიფიკაციის საკითხს ნათელი მოჰფინა დ. კლდიაშვილმა [კლდიაშვილი 1989].

თავის დროზე პ. უსპენსკიმ არა მარტო მოინახულა სინას მთა და აღწერა მისი სიძველეები, არამედ იქიდან გარკვეული რაოდენობის ხელნაწერები და ხატები ჩამოიტანა. ამ ხატების ნაწილი დღეს კიევშია, ნაწილი კი მეორე მსოფლიო ომის დასასრულს უკვალოდ დაიკარგა. მნიშვნელოვანია, რომ პ. უსპენსკი სინადან ჩამოტანილ ხატებს შორის კიდევ რამდენიმეს მიიჩნევდა ქართულად. სამწუხაროდ, ისინიც 1945 წელს გაუჩინარდა; თუმცა, ამ მასალის აღწერილობა, შეფასება და ფოტოები მაინც შემოგვრჩა. რამდენიმე წლის წინ ისინი სათანადო კომენტარებით ო. ეტინგოფმა გამოსცა [Этингоф 2005: 631-671].

ო. ეტინგოფმა გამაქვეყნა ის ხატებიც, რომლებიც ოდესღაც ა. მურავიოვის კოლექციას ეკუთვნოდა და კიევში ინახებოდა. მათ შორისაა ფრაგმენტი ზამთრის თვეების წმინდანებისა და დღესასწაულების კალენდარული რიგით, რომელსაც ბერძნული და ქართული წარწერები ახლავს. ეს იყო ერთი ფრთა ოთხხატიანი მენოლოგიონისა, რომლის დანარჩენი ნაწილები დღესაც სინაზე იმყოფება (სურ. 4). ისინი 1956-

58 წლებში გამოსცეს გ. და მ. სოტირიუებმა და ამის შემდეგ სინას საგანძურის უცნობილეს ხატებს შორის მოიხსენიება [Sotiriou 1956; 136-143, 146-151; 1958: 121-123, 125-130].

ბერძენმა მკვლევარებმა სინას ხატების პირველ ფუნდამენტურ კატალოგში ცალკე გამოყვეს XI-XII საუკუნეების ის ნიმუშები, რომელთაც ორენოვანი, ბერძნულ-ქართული წარწერები ახლავს. მათი აზრით, ხატების ეს ჯგუფი არა მარტო ქრონოლოგიურად, არამედ ტიპოლოგიურადაც ძალზე მნიშვნელოვანია. საქმე ეხება კალენდარულ ოთხკარედს და მასთან დაკავშირებულ კიდევ ორ ხატს, რომელთაგან ერთზე გამოსახულია კონსტანტინოპოლის ღვთისმშობლის ხუთი წმინდა სახე იესო ქრისტეს ვნებებთან და სასწაულებთან ერთად (სურ. 5), მეორეზე კი – "დღე განკითხვისა". როგორც ცნობილია, ექვსივე ეს ხატი სინას მთაზე ქართველ ბერ-მონაზონს, იოანე თოჭაბს დაუხატავს [სხირტლაძე 1998]. [3]

ხატების აღნიშნული ჯგუფი XI-XII საუკუნეებით თარიღდება და სინაზე არსებულ სამხატვრო სახელოსნოში კონსტანტინოპოლური ხელოვნების ტრადიციების მიხედვით შექმნილად ითვლება. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე მოღწეულ კალენდარულ ხატებს შორის ეს ტეტრაპტიქი ყველაზე ძველია. აღსანიშნავია ისიც, რომ ოთხკარედსა და მასთან დაკავშირებულ ზემოთ ნახსენებ კიდევ ორ ხატზე მოცემული იოანე თოჭაბის საავტორო წარწერები და ავტოპორტრეტები შუა საუკუნეების ბიზანტიურ ხელოვნებაში ამ ტიპის ტექსტებისა და გამოსახულებების უადრეს ნიმუშებად მიიჩნევა [Mouriki 1999: 100,103].

ცხადია, იოანე თოჭაბის ხატების ქართული განმარტებითი წარწერები მოწმობს, რომ ისინი სინაზე მოღვაწე ქართველი ბერებისთვის შეიქმნა – სხვა შემთხვევაში მათი საჭიროება უბრალოდ აზრს დაკარგავდა. რაც შეეხება ბერძნულ წარწერებს, ისინი იმ გარემოზე მიგვანიშნებს სადაც ქართველთა საძმო მოღვაწეობდა – სინას წმინდა მთის ამ მონასტერში იმხანად ბერძნული ენა და ბერძნულენოვანი მსახურების წესი დომინირებდა, რასაც ბუნებრივია, რომ ქართველ მოწესეთა საძმოც ანგარიშს უწევდა.

როგორც აღვნიშნეთ, პ. უსპენსკი საკუთარ კოლექციაში კიდევ რამდენიმე ხატს მიიჩნევდა ქართულად. მათ შორის მრავალკარედის (სურ. 6) ფრთას, რომლის ზურგზე გამოსახული იყო წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულები, ხოლო ზედაპირზე – "ვედრება". მეორე ფრთა ამ ხატისა, რომელზეც წარმოდგენილია მოსე წინასწარმეტყველის მიერ შეუწველი მაყვლის ბუჩქის ხილვა, სჯულის ფიცრების მიღება და წინასწარმეტყველის წინაშე მუხლმოდრეკილი კტიტორი – ამჟამად წმ. ეკატერინეს მონასტერში ინახება [Этингоф 2005: 400-401, კატ. 35].

მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, იგი XII-XIII ს-ისაა და მისი პარალელები კონსტანტინოპოლში და წმინდა მიწაზე შექმნილ ძეგლებს შორის იძებნება. მეორე მხრივ, მისი ყველაზე ახლო ანალოგები

[3] ზ. სხირტლაძის გამოკვლევაში სრულადაა წარმოდგენილი ამ ხატების ბიბლიოგრაფია, რასაც ბოლო დროს კიდევ ერთი პუბლიკაცია დაემატა (იხ. – Lidova 2009: 226-233). აღსანიშნავია, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ანსამბლი ხან ექვსკარედად, ხან კი ხუთკარედად მოიხსენიება. ჩვენ მას ოთხკარედს ვუწოდებთ საკტიტორო წარწერის თანახმად.

ქართული ხელნაწერი წიგნების, ვანისა და გელათის ოთხთავის მინიატურებია, რაც უდავოდ აახლოებს ამ ხატს და სინაზე დაცულ მის ფრთას ერთი მხრივ კონსტანტინოპოლურ, მეორე მხრივ კი – ქართულ ხელოვნებასთან. და ეს ბუნებრივიცაა, რადგან ამ დროისთვის ქართული ხელოვნების ოფიციალური, "სამეფო" ნაკადი უმჭიდროეს კავშირს ავლენს ბიზანტიური ხელოვნების ძეგლებთან.

და მართლაც, გელათის ოთხთავის მინიატურები მაცხოვრისა და ოთხი მახარებლის გამოსახულებით და "ვედრება" საგრძნობლად ჰგავს უსპენსკისეული ხატის "ვედრებას". ფიგურათა პროპორციები, პოზები, ჟესტები, სამოსის ნაკეცების წყობა, აღმოსავლური ტიპის სახეები და ექსპრესიული გამომეტყველება, კოლორიტი და ფერით დამუშავება იმდენად მსგავსია, რომ ისინი შესაძლოა ერთ სახელოსნოში განსწავლული მხატვრების მიერ შეიქმნა. ამაზე მიუთითებს ისეთი დეტალიც, როგორიც იესო ქრისტეს პულპიტი – საიმპერატორო ფეხსადგამია, რომლის სპეციფიური, გუმბათისებრი ფორმა და ქვედა კიდეზე შემოვლებული მარგალიტების ორი მწკრივი თანადროულ კონსტანტინოპოლური ხელოვნების ძეგლებშიც გვხვდება.

ბიზანტიური და ქართული ხელნაწერების ცნობილი მკვლევარის, ა. სამინსკის აზრით, ქართველი ოსტატების მიერ გადაწერილი და შესანიშნავი მინიატურებით შემკული გელათის, ვანისა და მათთან ერთად ლაბსყალდის ოთხთავების მხატვრული დეკორი და ცალკეული მინიატურები კონსტანტინოპოლში შექმნილი XII ს-ის ბერძნული ხელნაწერების მინიატიურების მსგავსია. ა. სამინსკი თვლის, რომ სკრიპტორიუმში, სადაც ისინი შეიქმნა და შეიმკო, კიდევ სხვა, გამორჩეულად მაღალი ხარისხის ქართულ და ბერძნულენოვანი დასურათებული წიგნები დაუმზადებიათ. ხელნაწერთა ამ ჯგუფის საფუძვლიანი შესწავლის შედეგად მკვლევარი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ XII-XIII საუკუნეებში კონსტანტინოპოლის ამ საუკეთესო სამწიგნობრო სახელოსნოში წამყვანი ადგილი ქართველ ოსტატს ან ოსტატებს ეკავათ და ისინი ასრულებდნენ როგორც ბიზანტიის საიმპერატორო, ისევე საქართველოს სამეფო კარის წარმომადგენელთა დაკვეთას [Саминский 1989: 184-216].

აღნიშნული გარემოება, რა თქმა უნდა, მეტად მნიშვნელოვანია შუა ბიზანტიური ხანის კონსტანტინოპოლური ხელოვნების არსისა და მასთან ქართული ხელოვნების მიმართების გასარკვევად, რაც ცალკე შესწავლის საგანია და აუცილებლად მოითხოვს საგანგებო კვლევას.

პ. უსპენსკის კოლექციაში შედიოდა ერთი ნაწილი სხვა მრავალკარედი ხატისაც, რომელზეც წარმოდგენილი იყო უფლის ნათლისღებისა და ეშმაკის მიერ უდაბნოში იესო ქრისტეს ცდუნების მცდელობის ამსახველი ძალზე მრავალფიგურიანი კომპოზიცია (სურ. 7). ამ მრავალკარედის მეორე ნაწილს წარმოადგენს წმ. ეკატერინეს მონასტერში დაცული XII ს-ის ცნობილი ხატი, რომელზეც გამოსახულია ასევე მრავალფიგურიანი "უფლის შობის" სცენა.

ო. ეტინგოფის ინფორმაციით, ნათლისღების ხატს ქართული წარწერები ჰქონია [Этингоф 2005: კატ. 27]. მართალია, "შობის" ხატთან დაკავშირებით ანალოგიური ინფორმაცია არ გაგვაჩნია, მაგრამ მათი

დაფების ფორმის, ზომების, იკონოგრაფიული სქემის შედგენის პრინციპის და მხატვრული სტილის ნიშნების მსგავსების გამო მიჩნეულია, რომ ორივე ფრთა ერთი ძეგლის ნაწილია და თუ მის ერთ ფრთას ქართული წარწერები ახლდა, უნდა ვიფიქროთ, რომ "შობის" ხატის ავტორიც ქართველია.

ქართულად თვლიდა პ. უსპენსკი აგრეთვე მცირე ზომის ხატს წმ. თევდორე სტრატილატისა და წმ. თევდორე ტირონის გამოსახულებით, რომელშიც განსაკუთრებულ, აღმოსავლურ იკონოგრაფიულ დეტალებს ხედავდა. მისი აზრით, ეს ხატი სტილით XIII ს-ს ეკუთვნის და აღმოსავლურ, კერძოდ კი ქართულ ნამუშევარს ჰგავს [Этингоф 200: კატ. 37].

XIII ს-ით განსაზღვრა დ. მურიკიმ წმ. თევდორესა და წმ. დიმიტრის ხატი (სურ. 3), რომელიც იმ ოსტსტს მიაკუთვნა, ვინც წმ. გიორგის გვერდით მდგარი ქართველი მეფის (დავით აღმაშენებლის – ნ. ბ.) ხატი დაწერა [Mouriki 1999: 111-112]. მართლაც, მათ შორის ისეთი მსგავსებაა, რომ შესაძლოა წყვილ მეომართა ხატი და დავით აღმაშენებლის გამოსახულებიანი ხატი ერთ სახელოსნოში დაიწერა.

XIII საუკუნით ათარიღებენ მკვლევარები [Konstandinides 1997: 77-104] სინას მთის კოლექციაში დაცულ წმ. გიორგის დიდი ზომის ჰაგიოგრაფიულ ხატს, რომელზეც კტიტორის, ქართველი მღვდელ-მონაზონი იოანეს პორტრეტი და მისი სახელისა და სავედრებელი ლოცვის შემცველი ბერძნული წარწერა შემოინახა (სურ. 8).

ამ ხატთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ იგი მონასტრის გალავნის ჩრდილოეთ ნაწილში არსებულ წმ. გიორგის იმ სამლოცველოს ეკუთვნოდა, რომელიც სინაზევე დაცული ქართული ხელნაწერების ცნობებით ქართველთა სალოცავს წარმოადგენდა. მართალია, ხატზე წარწერები მხოლოდ ბერძნულია, მაგრამ დ. მურიკისა და ე. კონსტანდინიდისის აზრით მისი იკონოგრაფია და სტილი ახლოსაა ქართულ ხელოვნებასთან [Konstandinides 1997].

დ. მურიკის ვარაუდით შესაძლოა ქართველი იყო წმ. იოანე ნათლისმცემლის XIII ს-ის ჰაგიოგრაფიული ხატის შემკვეთი ტონზურიანი ბერიც, ვისი თეთრითმოსილი ფიგურა მოთავსებულია წმინდანის ფეხებთან (სურ. 9). მკვლევარი თვლის, რომ კტიტორის აღმოსავლური გარეგნობის მიუხედავად, ხატში კონსტანტინოპოლური სამხატვრო სკოლის ნიშნები იჩენს თავს [Mouriki 1999: 115-116].

სინაზე არსებულ ქართულწარწერიან ხატთა შორის საყურადღებოა XIV საუკუნის პოლიპტიქი "ვედრებისა" და წმინდანთა ნახევარფიგურული გამოსახულებით, რომელსაც ბერძნული წარწერები საერთოდ არ ახლავს (გარდა მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ინიციალებისა). ამ მრავალკარედის ოთხი ფრთა (სურ. 10), რომლებზეც გამოსახულებები სამ-სამ რიგადაა განაწილებული ამჯერად მონასტრის მთავარი ტაძრის დასავლეთ ნარტექსში ინახება [Mouriki 1999: 384]. აქედან ერთი ფრთა სიგრძეზეა ჩამოტეხილი, ისე რომ მას შუა სამი წმინდანის გამოსახულება ნაწილობრივ, განაპირა სამისა კი სრულად აკლია როგორც ირკვევა, ეს დაკარგული ფრაგმენტიც პ. უსპენსკის წამოუღია სინადან და დღეს მისგან მხოლოდ შავ-თეთრი ფოტო და მოკლე აღწერილობა

შემორჩა [Петров 1912: 11; Бенешевич 1925: ტაბ. 22-23].

პოლიპტიქზე "ვედრების" გამოსახულების არსებობა და ფრთებზე წარმოდგენილ წმინდანთა ცენტრისკენული ორიენტაცია გვაფიქრებინებს, რომ ეს მრავალკარედი თავის დროზე ხუთი დაფისგან მაინც შედგებოდა. განსხვავებით იოანე თოხაბის მენოლოგიონისგან, მის პროგრამაში მსოფლიო ეკლესიის წმინდანთა დასში ქართველებს განსაკუთრებული ადგილი ეთმობათ. აქ გამოსახულია წმ. დავით გარეჯელი, წმ. შიო მღვიმელი, წმ. ილარიონ ქართველი, წმ. დიმიტრი ქართველი, წმ. კონსტანტინე კახი და მათთან ერთად ათონელი დიდი მამები: იოანე, ექვთიმე და გიორგი, რომელთაც წარწერების მიხედვით "მნათობნი ქართველთა" ეწოდებათ. წმინდანებს შორის არიან მღვდელმთავარი პეტრე, რომელიც შესაძლოა პირველი ქართველი კათოლიკოსი ან V ს -ის ცნობილი ქართველი მოღვაწე პეტრე იბერია და მაქსიმე აღმსარებელი, ვისი საფლავიც საქართველოშია.

სტილის მიხედვით ეს ვირტუოზული ნამუშევარი უდავოდ XIV საუკუნისაა (Mouriki 1999: 384). ისიც უეჭველია, რომ იგი პალეოლოგოსთა პერიოდის კონსტანტინოპოლური ფერწერის უახლეს ტენდენციებს კარგად დაუფლებული მხატვრის ნახელავია. უნდა ვიფიქროთ, რომ ქართველ ბერ-მონაზვნებისთვის განკუთვნილი ეს ხატიც სინაზე შეიქმნა. ამას მოწმობს წმინდანთა წრიულად გაპრიალებული შარავანდები და VII საუკუნის ცნობილი სინელი მამის, "სათნოების კიბის" ავტორის, იოანე კლემაქსის გამოსახულებაც.

განსაკუთრებულად გვინდა აღვნიშნოთ ამ ხატზე, წმინდანთა შორის, წმ. იოანე კალიბიტის პორტრეტის ჩართვაც. როგორც ცნობილია, მას ოჯახისა და ახლობლების მონატრების შემთხვევაში მიმართავენ და ევედრებიან, რათა დაიცვას ნოსტალგიისგან. და თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს,რომ სინაზე შემორჩენილ ქართული ხელნაწერების მინაწერებიდან აშკარავდება იქ მოღვაწე ბერების მხრივ სამშობლოზე გამუდმებული ფიქრი, დარდი და მისი ძლიერი მონატრება,[4] გასაგები გახდება, თუ რატომაა ჩართული ამ ხატის პროგრამაში წმ. იოანე კალიბიტის გამოსახულება.

* * *

ამრიგად, ჩვენი ნაშრომის პირველ ნაწილში მიმოვიხილეთ სინას მთის საგანძურის ის მასალა, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ამა თუ იმ თვალსაზრისით საქართველოსთან ან ქართველ ბერ-მონაზვნებთან კავშირში განიხილება. თუმცა, აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ავტორთა ერთ ნაწილს მათზე მსჯელობისას ძალზე უჭირს იმის წარმოდგენა, რომ ქართველებს სინაზე ხატები შესაძლებელია თვითონ შეექმნათ.[5]

---

[4]როგორც ირკვევა, სინელი ქართველი ბერების ლოცვები უპირველესად აღევლინებოდა საევდრებლად "უფროს ყოველთა ქართველთა". ისინი გულმხურვალედ შესთხოვდნენ უფალს "ქართლისა მშვიდობას, საზღვართა განმაგრებას, მეფეთა და მთავართა დაწყნარებას, მტერთა გარემიქცევას, ტყუეთა მოქცევას, ჟამთა დაწყნარებასა და ქრისტეანობის გამტკიცებას" [მენაბდე 1980: 50].

[5] მაგალითად, ნ. შევჩენკოს იოანე თოჭაბის მენოლოგიონზე არსებული ქართული წარწერები გვიან მიწერილი ჰგონია [Ševčenko 2002].

უცნაურია, რომ მკვლევარები წმ. ეკატერინეს მონასტრის ხატების ატრიბუციის დროს ადვილად აკუთვნებენ მათ კონსტანტინოპოლურ, კრეტულ, კვიპროსულ, იერუსალიმურ თუ სხვა სახელოსნოებს, ხოლო რაც შეეხება იმავე კონტექსტში ქართულ სახელოსნოს – ეს მცნება დღემდე ტაბუირებულია.

ვფიქრობთ, შუა საუკუნეების ქრისტიანული ხელოვნების შემსწავლელთათვის, ვინც იცნობს ქართულ ხუროთმოძღვრებას, კედლის მხატვრობას, ტიხრულ მინანქარსა თუ ლითონზე და ქვაზე კვეთის ხელოვნებას, ცხადი უნდა იყოს, რომ ბიზანტიური ხელოვნების არეალში ქართული ხელოვნების ადგილი და როლი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია. იგი, შინაარსისა და ფორმის მხრივ რა თქმა უნდა, ძირითად პარამეტრებში მისდევს ზოგადმართლმადიდებლურ კანონიკას, მაგრამ, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა ხალხის ხელოვნებას, მასაც საკუთარი სახე გააჩნია.

ამასთან, ქართველთა სამოციქულო ეკლესიის კონტაქტები საქრისტიანოს წამყვან კერებთან ისეთი ძველი და ინტენსიურია, ხოლო შუა საუკუნეების ქართული საეკლესიო ხელოვნების დონე ისეთი მაღალია, რომ ცხადია ჩვენ წინაპრებს არა მხოლოდ მიუღიათ იმპულსები კონსტანტინოპოლიდან და წმ. მიწიდან, არამედ ბიზანტიური ხელოვნების ფორმირებასა და განვითარებაში იმაზე მეტი წვლილი შეუტანიათ, ვიდრე ეს დღეს ბევრ მკვლევარს წარმოუდგენია.

აქვე გვინდა გავიხსენოთ საყოველთაოდ ცნობილი ის ელემენტარული ჭეშმარიტება, რომ ხატი მხატვრული სახეებით ღვთისმეტყველებაა და მისი შექმნის პროცესი იგივეა, რაც უფლისადმი ლოცვის აღვლენა. ხატის ქმნის პროცესში ადამიანი განსაკუთრებულ სულიერ მდგომარეობაში იმყოფება და სამონასტრო გარემო დიდად უწყობს ხელს ამგვარი განწყობის შექმნას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ ქართველ ღვთისმსახურებს, სინას წმინდა მთის საკრალურ, მისტიკურ გარემოში ხატები მრავლად უნდა ეწერათ. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ, რომ სინას მთაზე ქართველების ყოფნის შესახებ უძველესი ცნობა VI საუკუნისაა, X-XI სს-ში წმ. ეკატერინეს მონასტერში ქართველ ბერ-მონაზონთა რაოდენობა ყველა სხვას აღემატებოდა [ალექსიძე 1998: 6-7], მათ იქ საკუთარი ეკლესია-მონასტრები ჰქონდათ, ხოლო XI საუკუნიდან მოყოლებული მშობლიურ ენაზე ნაწერ-ნათარგმნი მრავალრიცხოვანი წიგნების კატალოგიზირებული ბიბლიოთეკაც გააჩნდათ [მენაბდე 1980: 48-50, 58-64], ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ ქართველებს სინაზე სამხატვრო სახელოსნოც უნდა ჰქონოდათ, რომლის ნაწარმიც ალბათ არა მარტო საკუთრივ მათ, არამედ სხვა ეროვნების ღვთისმსახურთა სულიერ მოთხოვნილებესაც აკმაყოფილებდა.

სწორედ ამ საკითხს უკავშირდება მეორე ნაწილი ჩვენი გამოკვლევისა, რომელშიც პირველ რიგში განვიხილავთ სინას საგანძურში არსებულ განსაკუთრებული კატეგორიის ხატებს, რომლებსაც ეპისტილიონები ან ტემპლონები ეწოდება. ეს არის ხის არქიტრავები, რომლებიც კანკელს ზემოთ თავსდებოდა და რომლებზეც ათორმეტი დღესასწაული (დოდეკაორტონი) ან "ვედრების რიგი" გამოისახებოდა.

როგორც ცნობილია, ამ ტიპის ხატები ბიზანტიაში ხატმებრძოლეობის შემდეგ ჩნდება [Weitzmann 1986: 66] და მათ კანკელის ევოლუციის პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი განეკუთვნება.

სამწუხაროდ, შუა ბიზანტიური პერიოდის ეპისტილიონებმა ჩვენ დრომდე საკმაოდ მცირე რაოდენობით მოაღწია. ნიშანდობლივია, რომ მათი ძირითადი ნაწილი წმ. ეკატერინეს მონასტერში ინახება, რამდენიმე – ათონის მთაზეა, ნაწილი კი (XII-XIV სს.) საქართველოს ეკლესია-მონასტრებს შემორჩა (სურ. 11, 12). ასევე მნიშვნელოვანია, რომ ქართული საისტორიო წყაროები უძველესია მათ შორის, რომლებშიც ამ ტიპის ძეგლები, ხატი-არქიტრავები მოიხსენიება [მთაწმინდელი 1946: 22, 23; დაწერილი მელქისედეკ კათალიკოსისა . . . 1986: 22; შანიძე 1971: 118-119].[6]

სინურ ეპისტილიონებს საგანგებო გამოკვლევა უძღვნა კ. ვაიცმანმა. მან შეისწავლა მათი პროგრამები სტილურ ნიშნებთან ერთად და გამოთქვა მოსაზრება, რომ უდიდესი უმრავლესობა ამ ხატებისა ერთ სახელოსნოში შეიქმნა, რომელიც XII საუკუნეში სინაზე კვიპროსელ მხატვრებს ეკუთვნოდათ [Weitzmann K. 1986: 66].

ჩვენი მოსაზრება ამ ხატების წარმომავლობის თაობაზე განსხვავდება ღრმად პატივცემული მეცნიერის შეხედულებისგან. ვფიქრობთ, რომ სინას მთის ეპისტილიონების გარკვეული ნაწილი, იმ დროისათვის წმ. ეკატერინეს მონასტერში უკვე არსებულ, ქართველთა სახელოსნოში დაიწერა.

ნათქვამს ადასტურებს იკონოგრაფიულ-სტილური ნიშნები, რომლებიც ამ ნამუშევრებს აახლოებს ქართული ხელოვნების ძეგლებთან. მაგრამ, ვიდრე მათ შევეხებოდეთ, ის უნდა ითქვას, რომ მკვლევართა მიერ ყველაზე ძველ და ყველაზე შესანიშნავ ნამუშევრად მიჩნეულ ეპისტილიონზე [Gerstel 2007: 171] ბერძნულ განმარტებით ტექსტებთან ერთად ძალზე მნიშვნელოვანი ქართული წარწერაც შემოინახა.[7]

საქმე ეხება კ. ვაიცმანის მიერ წმ. გიორგის ქართველთა ეკლესიის კანკელზე ნანახ ეპისტილიონის დაფებს დოდეკაორტონის სცენებით, სადაც "ხარების" სცენაში ასომთავრული ასოებით მიწერილია ერთი სიტყვა – "ეშეკოპლა" (სურ. 15). მართალია ლამაზი კალიგრაფიით ნაწერი ამ სიტყვის შინაარსი გაუგებარია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ შუა საუკუნეების ქართულ ხელნაწერთა მინაწერებში ისეთი გვარებისა თუ წოდებების სიმრავლეს როგორებიცაა "მარცლა", "ლახტარა", კოჭიკაი", "მუჰვცაი", "კოპანაი", "სხალთგაწვე", "გოხაზი" და ა.შ. [სხირტლაძე 1998: 68], შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაშიც ეს უცნაური სიტყვა მხატვრის ავტოგრაფია.

ის რომ, მხატვარი ქართველია ჩვენთვის სრულიად აშკარაა. ამაში

---

[6] ნ. შევჩენკო ამ ტიპის ხატების არსებობის შესახებ უძველეს წყაროდ მიიჩნევს კონსტანტინოპოლელი ისტორიკოსის მიქაელ ატალეიტისის 1077წლით დათარიღებულ ნაშრომს „დიატახისს" [Ševčenko 1992: 57, 61], მაშინ, როცა ქართველი ათონელი მამების მიერ წმინდა მთის მონასტრებისთვის ხატი არქიტრავების შეწირვის შესახებ ინფორმაცია X ს-ის მიწურულისაა, ხოლო მელქისედეკ კათალიკოსის მიერ სვეტიცხოვლისთვის დაწერილი სიგელი XI ს-ის 30-იან წლებით თარიღდება.

[7] ეს წარწერა ბატონმა ირაკლი ცინცაძემ ეპისტილიონის ერთ-ერთ რეპროდუქციაზე შენიშნა [იხ. – The Monastery of St. Catherine on Mount Sinai. 1985: fig. 114].

გვარწმუნებს სტილის ის ნიშნები, რაც XI-XIII სს-ის ქართული ხელოვნებისთვის განსაკუთრებით ნიშანდობლივია. ესაა სახვითი საშუალებების ზომიერი გამოყენება, მხატვრული ფორმის სისადავე, კომპოზიციური წყობის სიმარტივე და გამართულობა, სივრცის თავისუფალი ორგანიზება, აღმოსავლური ტიპის სახეების კეთილშობილური გამომეტყველება, მათზე აღბეჭდილი გრძნობათა სიღრმე, მოკრძალებული მზერა, მოძრაობის სიდინჯე, პოზების მოხდენილობა, მოქნილი კონტურული ნახატი, ფაქიზი ფერწერული დამუშავება და ა.შ. ნიშანდობლივია ტიხრული მინანქრის ნაკეთობებთან მსგავსება – ოქროს ფონის ლითონისებური სიპრიალე, გამოსახულებათა სილუეტების მკაფიო შემოწერილობა და ინტენსიური, კაშკაშა ფერებით შედგენილი კოლორიტი, რაც ამ სტილის ხატებს აახლოებს აგრეთვე XI-XIII სს-ის ბიზანტიურ და ქართულ ხელნაწერთა მინიატურებთან.

მართალია, აღნიშნული მხატვრული ნიშნებით ხასიათდება საერთოდ ამ პერიოდის კონსტანტინოპოლური ხელოვნებაც, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ქართული ფერწერა სწორედ ამ დროს ავლენს განსაკუთრებულ სიახლოვეს ე.წ. ბიზანტიის საიმპერატორო კარის ხელოვნებასთან, რაც თავის მხრივ X ს-ის მეორე ნახევრიდან დაწყებული ბიზანტია-საქართველოს შორის უმჭიდროვესი პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობების ჩამოყალიბებით აიხსნება.

ამასთან, ჩვენი აზრით, "ეშეკოპლას" ეპისტილიონზე წარმოდგენილი "ხარების" უახლოეს იკონოგრაფიულ პარალელს წარმოადგენს XI ს-ის დასაწყისის ზარზის ღვთისმშობლის ჭედური ხატის "ხარება" [Чубинашвили 1959: 194-195, ფოტო 203]. თუ დავაკვირდებით ამ ორ გამოსახულებას (სურ. 13, 14), ვნახავთ, რომ მათზე ღვთისმშობლის სხეულის სილუეტი, ხელებისა და ფეხების პოზიცია და კაბის ქობის ნაკეცი თითქმის იდენტურია (სურ. 16, 17). ორივე სცენაში გამოსახული არქიტექტურული ნაგებობებიც მსგავსია. ორივეგან კედლის ფასადი იარუსებიანია, ფარდა მარცხენა სვეტზეა შემოხვეული და სახურავის მარცხენა მხარეს კრამიტების წყობაც ერთნაირად "დაკბილულია". ასევე მსგავსია ღვთისმშობლის უზურგო ტახტის, მასზე დაფენილი ქსოვილისა და ფეხსადგამის ფორმა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ ორივეგან ღვთისმშობელს მარცხენა ხელით ორი თითისტარი უკავია!

ასევე ჰგავს ეპისტილიონის მეორე სცენა – "შობა" – XI ს-ის მიწურულის ქართული მონუმენტური მხატვრობის ერთ-ერთი შედევრის, ატენის სიონის მოხატულობის "შობას", სადაც, სხვათა შორის, გამოქვაბულის ძირთან შეუწველი მაყვლის ბუჩქის ტოტები მოჩანს.[8] ატენის მხატვრობაში ამ იკონოგრაფიული დეტალის ჩართვით სწორედ სინას მთაზე მოსე წინასწარმეტყველის მიერ ხილული უდიდესი სასწაული მიგვენიშნება, რაც, თავის მხრივ, უბიწო ჩასახვისა და განკაცების დოგმატებს უკავშირდება.

ეპისტილიონის შემდეგი სცენა, "მირქმა" (სურ. 20) ძალზე ახლოსაა XII ს-ის "მირქმის" კომპოზიციებთან, რომელთაგან ერთი სინაზევე დაცულ ათორმეტ დღესასწაულიან ოთხკარედზეა გამოსახული (სურ.

[8] ეგზეგეტთა ინტერპრეტაციით შეუწველი მაყვალი ღვთისმშობლის ერთ-ერთი ბიბლიური წინასახეა.

18, 19), მეორე კი ამკობს გელათის ოთხთავს (სურ. 21). კომპოზიციური სქემა, ცალკეული ფიგურების აღნაგობა და ჟესტიკულაცია, ფერადოვანი გამა, სივრცისა და არქიტექტურული ფონების გადაწყვეტა, ტრაპეზის სალხინებლისა და სვეტების სპეციფიკურად მსუბუქი ფორმები იმის მანიშნებელია, რომ სინას ეპისტილიონი და ოთხკარედი ერთ სახელოსნოში შეიქმნა; ამ სახელოსნოს კი ახლო კავშირი ჰქონია კონსტანტინოპოლის საიმპერატორო სკრიპტორიუმთან, რომლის მხატვრულ პროდუქციად, მსოფლიოს სხვადასხვა საცავებში დაცულ საუკეთესო ბერძნულ ხელნაწერებთან ერთად, ლაბსყალდის, გელათისა და ვანის ქართული ოთხთავებიც გვევლინება [Саминский 1989].

ზემოთ აღნიშნული ტეტრაპტიქის "მირქმაში" ერთი დეტალიც იქცევს ყურადღებას. ესაა იატაკის ფერადი ზიგზაგებით გაფორმება. ამ დეკორატიულ მოტივთან ახლო დგას იატაკის ნახატი გელათის ოთხთავის "მირქმის" სცენაში და რაც განსაკუთრებით საინტერესოა, იატაკის გაფორმება ისეთ ცნობილ სინურ ხატზე როგორიცაა ღვთისმშობელი "ბემატერისა". როგორც ვიცით, ეს სინას მონასტრის სასწაულმოქმედი ხატია და დღემდე მთავარი ტაძრის საკურთხეველში იმყოფება [Mouriki 1999:112, ილ. 54, 55].

ხატი სამკარედია (სურ. 26). მის ცენტრალურ ნაწილზე გამოსახულია ღვთისმშობელი ყრმით და ანგელოზები, ფრთებზე კი განაწილებულია ღვთისმშობლის ცხოვრების აპოკრიფული ტექსტის 12 სცენა. ცენტრალურ გამოსახულებას ახლავს ლათინურ ენაზე შესრულებული წარწერა.

ეს არის ამ პერიოდისთვის უიშვიათესი შემთხვევა, როდესაც ხატზე ასეთი ვრცელი, ნარატიული ციკლი თავსდება. მსგავსი მაგალითი მხოლოდ საქართველოში, უბისის მონასტრის XIV ს-ის დასაწყისის ღვთისმშობლის დიდ ტრიპტიქზე გვხვდება [ბურჭულაძე 2002: 84-86; 2006: 112-113]. „ბემატერისა" წარმოშობით ჯვაროსანთა სახელოსნოს უკავშირდება [Mouriki 1999:112]. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მისი ცენტრალური ნაწილის მხატვრობა პოსტბიზანტიურ ხანაში გაუახლებია მხატვარს, რომელიც დასავლეთევროპული ხელოვნების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა [Лидов 1999: 102-105]. ვფიქრობთ შესაძლებელია, რომ ამ რესტავრაციის დროს გაჩენილიყო მასზე ლათინური წარწერაც.

ასეთი შეხედულების გამოთქმის საფუძველს გვაძლევს ის გარემოება, რომ ცენტრალური და გვერდითი ნაწილების გამოსახულებების სტილი ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება – ფრთების მხატვრობა ყველა კომპონენტით XIII საუკუნეზე ადრეულსა ჰგავს. საინტერესოა, რომ მას XII ს-ის დოდეკაორტონიან ტეტრაპტიხთან აახლოებს არა მარტო იატაკის ნახატი, არამედ მღვდელმთავრის სამოსისა და ავეჯის ნაწილების მარგალიტების მწკრივებით ისე მორთვა, როგორც ამას ტეტრაპტიხის "ხარებისა" და "ამაღლების" ანგელოზთა წითელი წაღების გაფორმებაში ვხედავთ (სურ. 28, 29).[9] ეს კი სტილის სხვა ნიშნებთან და დეტალებთან ერთად გვაფიქრებინებს, რომ ეშეკოპ-

[9] მარგალიტებით მორთული წითელი წაღები და სამოსის დეტალები ბიზანტიური სამეფო კოსტუმისთვის დამახასიათებელი ნიშნებია.

ლას ეპისტილიონი, "ბემატერისას" ფრთები და ტეტრაპტიხი შესაძლოა ერთ სახელოსნოში დაიწერა.

აქ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ღვთისმშობლის ცხოვრების აპოკრიფულ ტექსტზე შექმნილი ციკლების უძველესი ნიმუშები სწორედ საქართველოში შემოინახა. ესენია XI ს-ის დასაწყისის ზარზმის ღვთისმშობლის ზემოთ ნახსენები ხატი და XI ს-ის ბოლოთი დათარიღებული ატენის სიონის მოხატულობა. ნათქვამიდან გამომდინარე, შესაძლებელია, რომ ბემატერისას ხატიც (ყოველ შემთხვევაში მისი ფრთები მაინც) XII ს-ში წმ. ეკატერინეს მონასტერში მოღვაწე ქართველ ოსტატს მოეხატა. არც ისაა გამორიცხული, რომ ამ ტრიპტიქზე ქართველ და ევროპელ ხატმწერებს ერთადაც ემუშავათ.

ჩვენთვის საინტერესო ეპისტილიონთან დაკავშირებით იმასაც ვიტყვით, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული შეხედულებით, მისი და XII ს-ისავე კიდევ სხვა, წმ. ევსტრატიოსის სასწაულების ამსახველი ეპისტილიონის ავტორი ერთი და იგივე პიროვნება, კვიპროსელი ბერძენია [Weitzmann 1986: 67-68; Mouriki1990, 152-153; Ševčenko 2007: 175]. მაგრამ, როგორც უკვე ვნახეთ, ამ ხატებიდან ერთ-ერთზე ქართველი მხატვრის წარწერაა, რაც საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ წმ. ევსტრარიოსის ჰაგიოგრაფიული ხატიც ქართველი მხატვრის ნახელავია.[10]

კ. ვაიცმანი თავის გამოკვლევაში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ეპისტილიონს, რომელიც რამდენიმე ფრაგმენტის სახით შემორჩა (სურ. 22). იგი მას სამი ოსტატის ეპისტილიონს უწოდებს და თვლის, რომ პირველი ოსტატი ტრადიციონალისტი, მეორე – ნოვატორი, მესამე კი – მანერისტია. მათგან მთავარს (ნოვატორს) იგი მიაკუთვნებს ძელის ცენტრალურ ნაწილს და მისი სტილის დახასიათებისას განსაკუთრებულად გამოყოფს "ნარინჯისფერი" მთების ფორმას (სურ. 24), ფერადოვნებასა და მწვერვალების სითეთრეს, რაც მისი აზრით გასაოცრად ეფექტურია [Weitzmann 1986: 7].

ამასთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, რომ ამ "ნარინჯისფერ"-წითელი მთის პროტოტიპი საქართველოს წმინდა მთა – მყინვარწვერია (სურ. 23). ჯერ ერთი, ორივე თითქოს ორი მასისგან შედგება, რომელთა შორის ღრმა ღარია და ორივე ორწვერიანია; და მეორე – მყინვარწვერი ერთადერთი ყინულოვანი მთაა, რომლის ქანები წითელი ფერის ვულკანურ ანდეზიტს შეიცავს [Схиртладзе 1958].

მყინვარწვერი ფერადი მთაა, რომელიც წელიწადისა და დღის სხვადასხვა დროს იცვლის შეფერილობას. ამასთან, მას მრავალი სასწაული უკავშირდება. ისტორიული წყაროებისა და საეკლესიო გადმოცემის მიხედვით ამ, 5000 მ სიმაღლის მთის ძირში თავის დროზე წმ. ანდრია მოციქულს აღუმართავს ჯვარი. X-XI სს-ში იქ, 4100 მ-ის სიმაღლეზე მონასტერი ფუნქციონირებდა. მთის წვერთან დღესაც არ-

[10]სინას მთაზე დაცული X ს-ის ერთ-ერთი ქართული ხელნაწერის მინაწერი გვამცნობს, რომ კვიპროსზე მოღვაწე ქართველ ბერებს, სინელი ქართველებისთვის, კვიპროსზევე ნათარგმნი რამდენიმე ქართული ხელნაწერი მიუტანიათ [Gagoshidze 2009: 255], რაც იმას მოწმობს, რომ იმ დროს კუნძულზე უკვე არსებობდა ქართველთა მონასტერი, რომელსაც სკრიპტორიუმი (და შესაძლოა სამხატვრო სახელოსნოც) ჰქონია.

სებობს ჯაჭვის კიბით ასასვლელი გამოქვაბული ეკლესია – "ბეოლემი", რომელშიც გადმოცემის თანახმად უძვირფასესი რელიქვიები – აბრაამის კარვი და უფლის აკვანი ინახებოდა [მარგველაშვილი 1979].[11]

სინურ ეპისტილიონზე გამოსახული წითელი მთის იდენტიფიკაციისთვის მნიშვნელოვანია ისიც, რომ ხატმწერს მასზე მაყვლის მსგავსი მუქი ფერის კენკროვანი მცენარე გარკვევით, მაგრამ საკმაოდ უცნაურად, ესკიზურად მიუხატავს, რითაც, ჩვენი აზრით, მას ერთი მხრივ სინას მთა, მეორე მხრივ კი ბეოლემის გამოქვაბული და მყინვარწვერი მიუნიშნებია.

* * *

დასასრულს კიდევ ერთხელ უნდა გავიხსენოთ, რომ:

ქართველი ბერ-მონაზვნები სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის უძველესი ბინადრები არიან; ქართველთა სამწერლობო საქმეს მონასტერში უკვე IX-X სს - დან ძალზე ინტენსიური ხასიათი ჰქონია; სინას მთაზე ქართველების მსახურებას დიდად უწყობდნენ ხელს ჩვენი მეფეები და მათ შორის, დავით აღმაშენებელი, რომელსაც იქ მონასტრები დაუარსებია [მენაბდე 1980; კლდიაშვილი 2008].[12]

X ს-ის ბოლოდან დაწყებული XIII ს-ის ათიანი წლების ჩათვლით საქართველოს პოლიტიკური და საეკლესიო ცხოვრება არაჩვეულებრივ აღმავლობას განიცდიდა; იგი ახლო აღმოსავლეთის უძლიერესი ქვეყანა იყო, რაც ევროპული და აღმოსავლური საისტორიო წყაროებითაც დასტურდება.

ამავე პერიოდში განსაკუთრებით ინტენსიურია საქართველოს კულტურული ინტეგრაციის პროცესი ბიზანტიასთან. ქართველები აქტიურად მოღვაწეობენ მართლმადიდებელი საქრისტიანოს ყველაზე მნიშვნელოვან ცენტრებში – კონსტანტინოპოლში, ათონზე, კვიპროსზე, იერუსალიმში, ანტიოქიაში, კაპადოკიაში – სადაც მათ მონასტრებთან არსებული სასულიერო სასწავლებლები, სკრიპტორიუმები და სამხატვრო სახელოსნოებიც ჰქონდათ (მაგ. ხორა – კონსტანტინოპოლში, ივირონი ათონზე, ღალია კვიპროსზე, კალიპოსი ანტიოქიაში, ჯვრის და აღდგომის მონასტრები იერუსალიმში და სხვ.). ოქროს ხანა ედგა ქართულ სახვით ხელოვნებასაც.

ამ დროს ბიზანტიის საიმპერატორო კარზე მოღვაწე ქართველების როლიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. საკმარისია გავიხსენოთ X ს-ის ბოლოს და XI ს-ის I ნახევარში ბიზანტიის ჯარების სარდლები, ქართველი დიდებულები – თორნიკე ერისთავი და გრიგოლ ბაკურიანის ძე, ვისაც იმპერატორთა მხრივ დიდი პატივი და წყალობა ჰქონდათ. არანაკლები პატივით სარგებლობდნენ იმდროინდელ სამეფო და საეკლესიო წრეებში ქართველი ბერ-მონაზვნებიც – იოანე, ექვთიმე,

[11] ითვლება, რომ წმ. ილია მართლის (ჭავჭავაძის) პოემა "განდეგილში"აღწერილი გამოქვაბული სწორედ მყინვარწვერის "ბეოლემია".

[12] ცნობილია, რომ ტაო-კლარჯეთს ქართულ სინას უწოდებდნენ და წმ. ეკატერინეს მონასტერს საქართველოში მეტოქეობენი ჰქონია [მენაბდე 1980: 49-50].

გიორგი მთაწმინდელები და სხვ.; ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობების გაღრმავებისთვის დიდად მნიშვნელოვანი იყო მატრიმონიალური (ქორწინებითი) კავშირებიც.

განსაკუთრებით გვინდა შევეხოთ ერთ ასეთ კავშირს. საქმე ისაა, რომ 1071 წელს ბიზანტიის დედოფალი ქართველთა მეფის ბაგრატ IV–ის ქალიშვილი მართა-მარიამი გახდა (სურ. 30).[13] ეს ულამაზესი და უჭკვიანესი ქალი, ათი წლის განმავლობაში განაგებდა მსოფლიოს უდიდეს იმპერიას ჯერ მიქაელ VII დუკა პარაპინაქოთან, შემდეგ კი ნიკიფორე ბოტანიატესთან ერთად [Культура Византии 1989: 252, 341, 540, 597; ნოდია: 1978]. როგორც ცნობილია, მან კომნენოსთა დინასტიის გამეფებაშიც დიდი როლი შეასრულა. ბიზანტიური საისტორიო წყაროების მიხედვით, მარიამ დედოფალი ("ტკბილი მარიამი") განსაკუთრებული ღვთისმოსაობითა და საუკეთესო განათლებით გამოირჩეოდა და ბიზანტიაშიცა და საქართველოშიც დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა.[14]

ცხადია, რომ დედოფალი მარიამი ქართველებს საიმპერატორო კარზეც და მონასტრებშიც ყოველმხრივ მფარველობას გაუწევდა და რა თქმა უნდა, მათ შემოქმედებით საქმიანობაშიც ხელს შეუწყობდა [Mikaberidze 1998; სიმონიშვილი 2003: 202-204]. ამის გამოცაა, რომ XI-XII საუკუნეების ქართული ხელოვნების ძეგლები უმჭიდროვეს კავშირს ავლენს ბიზანტიურ და კერძოდ, კონსტანტინოპოლურ ძეგლებთან, რაც ნათლად ეტყობა ამ პერიოდის კედლის მხატვრობას, ხატწერას და მინიატურას (ძალზე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ამ მხრივ სინური ხელნაწერების მინიატურების შესწავლაც).

საინტერესოა, რომ იოანე თოჯაბის მენოლოგიონის შესწავლისას ნ. შევჩენკომ ივარაუდა მისი კავშირი კონსტანტინოპოლის საიმპერატორო კართან [Ševčenko N. 2000]. ამ კარზე კი, იმ დროს სადედოფლო ტახტი მარიამს ეპყრა. მარიამს უნდა უკავშირდებოდეს კონსტანტინოპოლის საიმპერატორო სკრიპტორიუმში ქართველი ოსტატების დამკვიდრებაც. ეს ის სკრიპტორიუმია, სადაც მის დროსაც და მოგვიანებითაც – საქართველოში თამარის მეფობისას, ბრწყინვალე ქართული და ბერძნულენოვანი ხელნაწერები იწერებოდა და იხატებოდა [Саминский А. 1989: 213-214]. სხვათა შორის, ამ სკრიპტორიუმში შექმნილად მიიჩნევენ ბალტიმორის ბიბლიოთეკაში დაცულ, XII ს-ის ცნობილ ბიზანტიურ ხელნაწერს, რომლის ერთ-ერთი მინიატიურის, "ლაზარობის" მთა საოცრად ჰგავს სინას სამი ოსტატის ეპისტილიონის ნარინჯისფერ მთას [The Glory of Bizantium . . . 1997: 97].

ისე რომ, XI–XIII სს-ში ქართველების შემოქმედებით აქტივობას კონსტანტინოპოლში და სინაზეც საკმაოდ მყარი პოლიტიკური საფუძველი გააჩნდა. ეს აქტივობა კი საკუთრივ ქართული ხელოვნების განვითარებაზეც დადებითად მოქმედებდა.

---

[13] საინტერესოა, რომ ბიზანტიური ხელნაწერის ამ მინიატიურაზე აღბეჭდილ დედოფალს საგრძნობლად ჰგავს სინას მთის მონასტრის პატრონის, წმ. ეკატერინეს "ცხორებიან" ხატის გამოსახულება (სურ. 31), თუმცა ეს ხატი XIII ს-ის დასაწყისით თარიღდება (?!).

[14] ტიხრული მინანქრის ტექნიკით შესრულებული მისი და მიქაელ VII -ის გამოსახულება (სურ. 32) იმგვარადაა მოთავსებული ხახულის ღვთისმშობლის კარედი ხატის "ცაზე", რომ ხატის ფრთების დახურვის შემთხვევაში ეს საიმპერატორო პორტრეტი მაინც მოჩანს.

ამასთან დაკავშირებით, საინტერესო იქნება შევეხოთ ზემო სვანეთში დაცულ, დღემდე უცნობ ორ ხატს, რომლებიც ნათელს ჰფენს იმას, რაც ზემოთ ითქვა[15]. ისინი ძლიერაა დაზიანებული, მაგრამ მაინც აშკარად ეტყობათ, რომ უახლოეს ანალოგებს წარმოადგენენ სინური ხატებისა. პირველი მათგანი (სურ. 34) იმდენად მსგავსია სინას ტეტრაპტიხისა (სურ. 33), რომ ვფიქრობ ისინი ერთი მხატვრის მიერ დაიწერა. მეორე, სამკარედი ხატიც (სურ. 27) საკმაოდ ჰგავს "ბემატერისას". მის ცენტრალურ ნაწილზეც ჩვილედი ღვთისმშობელი ოქროს ფონზე, წელამდეა გამოსახული, და ფრთებზეც დედა ღვთისას ცხოვრების აპოკრიფული ციკლის სცენების ფრაგმენტები მოჩანს . . . [16]

ART CRITICISM

NANA BURTCHULADZE

Georgian National Museum, Rustaveli Avenue 3, 0105 Tbilisi, Georgia, Email: nanaburchuladze@yahoo.com

ICON-PAINTING WORKSHOP OF THE GEORGIANS AT THE MONASTERY OF ST.CATHERINE ON MOUNT SINAI

(11th -13th CC) [17]

SUMMARY

The monastery of St. Catherine on Mount Sinai is among the most important sites of the spiritual life of the Georgians. Traces of our forefathers' cultural activities most explicitly have been preserved there. The monastery houses hundreds of manuscripts and some icons, the exact number of which is still to be specified. However, on the basis of many known factors, their number is rather big.

But now we do not have much information about Georgian icons of St. Catherine's Monastery, though those ones that have already been published allow us to assume that they belonged (and still do) to the most distinguished icons of the monastery treasury.

This research is our first attempt to collect all the available information about

[15] ამ ხატების შესახებ საგანგებო პუბლიკაცია მზადდება.

[16] ღვთისმშობლის ცხოვრების სცენების ფრაგმენტები ხატის გამაგრება-გაწმენდის შემდეგ გამოჩნდა. იქამდე მარცხენა ფრთაზე თითქოს მოსე წინასწარმეტყველი ჩანდა მაყვლის ბუჩქთან [Burtchuladze 2009].

[17] The first version of this paper was published in English [Burtchuladze 2009].

Georgian icons at St. Catherine's monastery. At the same time we try to discover other icons at the monastery treasury that were created by Georgian monks; this proves the fact that there existed a Georgian icon-painting workshop during the 11 th-13 th cc.

For a number of objective reasons, this paper is only a draft work on this very important topic but the facts that have already come to light are so interesting that they deserve publishing as a preliminary article.

ბიბლიოგრაფია

1 ალექსიძე ზ. 1998: ალბანური მწერლობის ძეგლი სინას მთაზე და მისი მნიშვნელობა კავკასიოლოგიისთვის. თბილისი.

2. ბურჭულაძე ნ. 2001: ქართული ხატების სინური პარალელები (ნაწ.2). – "საქართველოს სიძველენი", № 1, თბილისი, გვ. 78-98

3. ბურჭულაძე ნ. 2006: უბისის მონასტრის ხატები და კედლის მხატვრობა. თბილისი.

4. დაწერილი მელქისედეკ კათალიკოსისა მოხსენებული მცხეთის საყდრისადმი (1031-1033 წწ) = თ. ენუქიძე, ვ. სილოგავა, ნ. შოშიაშვილი (შემდგენლები). მცხეთის ისტორიული საბუთები IX-XIII საუკუნეები. თბილისი, გვ. 20-31.

5. კლდიაშვილი დ. 1989: სინას მთის წმ. გიორგის ხატი დავით აღმაშენებლის გამოსახულებით – "მრავალთავი", № 15, თბილისი, გვ. 117-135.

6. კლდიაშვილი დ. 2008: სინას წმ. მთის მონასტრის ქართველთა ეკლესიის სულთა მატიანე. თბილისი.

7. მარგველაშვილი პ. 1979: ბეთლემი, სტეფანწმინდა-სამონასტრო კომპლექსი – "ძეგლის მეგობარი", № 52, გვ. 17-23.

8. მენაბდე ლ. 1980: ძველი ქართული მწერლობის კერები. წ. 2, თბილისი.

9. მთაწმინდელი გ. 1946: ცხორებაჲ იოვანესი და ეფთვიმისი. თბილისი.

10. ნოდია ი. 1978: მარიამ დედოფალი XI ს-ის მეორე ნახევრის ბიზანტიის პოლიტიკურ ცხოვრებაში. თსუ შრომები, № 183, თბილისი, გვ. 143-153.

11. სიმონიშვილი ნ. 2003: ნიკოპეს ტიპის ღვთისმშობლის გამოსახულებისა და კტიტორთა ჯგუფური პორტრეტის ურთიერთმიმართების საკითხისათვის ატენის სიონის მოხატულობაში. "ხელოვნებათმცოდნეობა", № 5, გვ. 189-234.

12. სხირტლაძე ზ. 1998: იოანე თოჭაბი–სინაზე მოღვაწე ქართველი მხატვარი – "ლიტერატურა და ხელოვნება", № 3, გვ. 64-68.

13. სხირტლაძე ზ. 2000: სინას მთის საწელიწდო ხატები = ნ. ჯაბუა (რედ) თსუ სამეცნიერო შრომების კრებული, გვ. 197-222.

14. ქავთარია ნ. 2007: გელათის ოთხთავი. "საქართველოს სიძველენი", № 11, თბილისი, გვ. 59 -77.

15. ქართლის ცხოვრება 1955: = ს. ყაუხჩიშვილი (რედ.), ტ, 1, თბილისი

16. შანიძე ა. 1971: ქართველთა მონასტერი ბულგარეთში. თბილისი.

17. Бенешевич В. 1912: Изображение грузинского царя ДавидаСтроителя на Синайской иконе _ “Христианский Восток”, № 1, стр. 62-64

18. Бенешевич В. 1925: Памятники Синая_ археологические и палеографические. Ленинград.

19. Культура Византии 1989: Второя половина VII- XII вв. Москва.

20. Лидов А. 1999: Византийские иконы Синая. Москва-Афины.

21. Муравьёв А. 1872: Описание предметов древности и святыни собранных по святым местам. Киев.

22. Петров А. 1912: Альбом достопримечательностей церковно-археологического музея при киевской духовной академии, т. 3, Киев.

23. Саминский А. 1989: Мастерская грузинской и греческой книги в Константинополе XII- начало XIII века _ “Музей” стр. № 10 184-216.

24. Схиртладзе Н. 1958: Казбекский вулканический масив. Тбилиси.

25. Успенский П. 1856: Первое путешествие в Синайский монастырь в 1845 г. СПб.

26. Успенский П. 1856: Второе путешествие в Синайский монастырь в 1850 г. СПб.

27. Чубинашвили Г. 1959: Грузинское чеканное искусство, т. 1, 2. Тбилиси.

28. Этингоф О. 2005: Византийские иконы VI первой половины XIII века в Росии. Москва.

29. Burtchuladze N. 2009: Georgian Icons at St. Catherine’s Monastery on Mount Sinai (on Georgian- Byzantine Cultural interrelations) = P. Skiner, D. Tumanishvili, A. Shanshiashvili (editors). Georgian Art in the Context of European and Asian Cultures. Proceedings of V.Beridze 1st International Symposium of Georgian Culture. Tbilisi, pp. 234-240.

30. Gagoshidze G. 2009: Georgian Monastery in Gialia Cyprus = P.Skiner, D. Tumanishvili, A. Shanshiashvil (editors). Georgian Art in the Context of European and Asian Cultures. Proceedings of V. Beridze 1st International Symposium of Georgian Culture. Tbilisi, pp. 254-255

31. Gerstel Sh. 2007: Epistyle with Twelve Fest Scenes= M. Greenberg (editor). Holy Image + Hallowed Ground. Icons from Sinai. Catalogue “Holy Space”. Los Angeles, pp. 170-173, kat.№ 20.

32. Konstandinides E. 1997: Une icone historique de saint Georges du XIIIe siècle au monastere de St. Catherine du Mont Sinai= O. Этингоф (ред.). “Древнерусское исскуство “, СПб. стр. 77-104.

33. Lidova M. 2009: Creating a Liturgical Space: The Sinaic complex of Icons by Ioannes Tohabi = P.Skiner, D. Tumanishvili, A. Shanshiashvili (editors). Georgian Art in the Context of European and Asian Cultures. Proceedings of V.Beridze 1st International Symposium of Georgian Culture. Tbilisi, pp. 226-233.

34. Mikaberidze A. 1998: Maria-Martha Bagrationi in Byzanz und Georgien. “Caucasica”, Vol. 1, pp. 124-150.

35. Mouriki D. 1999: Icons from the 12th to the 15th Century. Sinai. Treasures of the Monastery of St. Catherine. Athenon, pp. 102-123.

36. Sotiriou G. et M. 1956, 1958: Icones du Mont Sinaï. T. 1, 2. Athenes

37. Ševčenko N. 1992: Vita Icons And “Decorated” Icons of the Comnenian Pe-

riod, in: Four icons in the menil collection= Davezac (editor) The Menil Collection Monographs, Houston, pp. 56-69.

38. Ševčenko N. 2002: Making Holy Time: The Bizantine Calendar Icons. Bizantine Icons; Art, Technique, Technology= M. Vassilaki (editor), Heraklion, pp. 56-62.

39. Ševčenko N. 2007: Epistily with the Miracles of Saint Eustratios = M. Greenberg (editor). Holy Image + Hallowed Ground. Icons from Sinai. Catalogue "Holy Space". Los Angeles, pp. 174-177, kat.№ 21.

40. The Glory of Bizantium. Art and Culture of the Middle Bizantine Era, A.D. 843-1261. New- York.

41.The Monastery of St. Catherine on Mount Sinai. 1985.

42. The New Finds of Mount Sinai. 2005: Catalogue of Georgian Manuscripts, Athenon.

43.Weitzmann K. 1986: Icon programs of the 12th and 13th centuries at Sinai. *ΔΧΑΕ* per. 4,12, 1984, Athenon, pp. 64-86.

ილუსტრაციების აღწერილობა

სურ. 1. სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტერი.

სურ. 2. ხატი წმ. გიორგისა და დავით აღმაშენებლის გამოსახულებით. XI-XII სს. სინას მთა.

სურ. 3. ხატი წმ. გიორგისა და წმ. თევდორეს გამოსახულებებით. XIII ს. სინას მთა.

სურ. 4. საწელიწდო ოთხკარედი ხატის პირველი ფრთა. XI-XII სს. მხატვარი იოანე თოჯაბი. სინას მთა.

სურ. 5. ხატი ღვთისმშობლის ხუთი სასწაულთმოქმედი ხატის გამოსახულებით. XI-XII სს. მხატვარი იოანე თოჯაბი. სინას მთა.

სურ. 6. მრავალკარედი ხატი "ვედრებით" და მოსე წინასწარმეტყველის გამოსახულებით. XII ს. სინას მთა.

სურ. 7. მრავალკარედი ხატი "უფლის შობით" და "ნათლისღებით". XII ს. სინას მთა.

სურ. 8. წმ. გიორგის "ცხორებიანი" ხატი ქართველი ქტიტორის, იოანე ხუცეს-მონაზონის გამოსახულებით. XII-XIII სს. სინას მთა.

სურ. 9. წმ. იოანე ნათლისმცემლის "ცხორებიანი" ხატი სავარაუდოდ ქართველი ქტიტორის გამოსახულებით. XII-XIII სს. სინას მთა

სურ. 10. მრავალკარედი "ვედრებით" და ქართველ წმინდანთა გამოსახულებებით. XIV ს. სინას მთა.

სურ. 11. ხატი-არქიტრავი სოფ. ხეს წმ. ბარბარეს ეკლესიაში. XII-XIII სს. ზემო სვანეთი.

სურ. 12. ხატი-არქიტრავი ლატალის მაცხოვრის ეკლესიაში. XIII-XIV სს. ზემო სვანეთი.

სურ. 13. "ხარება". ხატი-არქიტრავის დეტალი ქართველი მხატვრის, ეშეკოპლას წარწერით. XII ს. სინას მთა.

სურ. 14. "ხარება". ზარზმის მონასტრის ღვთისმშობლის ხატის დეტალი. XI ს. საქართველოს ეროვნული მუზეუმი.

სურ. 16. მხატვრის ავტოგრაფი. ხატი-არქიტრავის ფრაგმენტი. XII ს. სინას მთა.

სურ 17. ღვთისმშობლის გამოსახულებები სინას მთის ხატ-არქიტრავზე და ზარზმის ღვთისმშობლის ხატზე. XI-XII სს.

სურ. 18-1,2,3. ოთხკარედი ხატი საუფლო დღესასწაულების სცენებით. XII ს. სინას მთა.

სურ. 19, 20, 21. "უფლის მირქმის" სცენა სინას მთის ოთხკარედზე, ეშეკოპლას ხატ-არქიტრავზე და გელათის ოთხთავში. XII ს. სინას მთა – საქართველო.

სურ. 22. "სამი ოსტატის" ხატი-არქიტრავის ფრაგმენტები. XII ს. სინას მთა.

სურ. 23. მყინვარწვერი.

სურ. 24. "ლაზარს აღდგინება". "სამი ოსტატის" ხატი-არქიტრავის დეტალი. XII ს. სინას მთა.

სურ. 25. "ლაზარს აღდგინება". ათონის მთის ხელნაწერი წიგნის მინიატიურა. XII ს. ბალტიმორის მუზეუმი.

სურ. 26. ღვთისმშობელი-ბემატერისა. კარედი ხატი. XIII ს-ის დასაწყისი. სინას მთა.

სურ. 27. ღვთისმშობლის კარედი ხატი. XIII ს. ზემო სვანეთი.

სურ. 28. სცენები "ბემატერისას" ფრთებიდან. XIII ს-ის დასაწყისი. სინას მთა.

სურ. 29. "ხარებისა" და ნათლისღების" ფრაგმენტები. ოთხკარედი ხატი საუფლო დღესასწაულთა სცენებით. XII ს. სინას მთა.

სურ. 30. ბიზანტიის იმპერატორი ნიკიფორე ბოტინიატე და დედოფალი მარიამი. მინიატიურა იოანე ოქროპირის ჰომილიებიდან. XI ს-ის ბოლო. პარიზის ეროვნული ბიბლიოთეკა.

სურ. 31. წმ. ეკატერინეს ჰაგიოგრაფიული ხატი. XIII ს-ის დასაწყისი. სინას მთა.

სურ. 32. ბიზანტიის იმპერატორი მიქაელ VII დუკა და დედოფალი მარიამი. ხახულის ღვთისმშობლის ხატის ტიხრული მინანქრის ფირფიტა. XI ს-ის ბოლო. საქართველოს ეროვნული მუზეუმი.

სურ. 33. ოთხკარედი საუფლო დღესასწაულთა სცენებით. ცენტრალური ნაწილი. XII ს. სინას მთა.

სურ. 34. ოთხკარედი ხატი საუფლო დღესასწაულთა სცენებით. ცენტრალური ნაწილი. XII ს. ზემო სვანეთი.

LIST OF ILLUSTRATIONS

Fig. 1. Monastery of St. Chaterine. Mount Sinai.

Fig. 2. Icon of St. George and Georgian King David the Builder. 11th -12th cc. Sinai.

Fig. 3. Icon of St. George and St. Theodore. 13th c. Sinai.

Fig. 4. The First Panel of Tetraptych Menology, painted by Georgian Monk Ioane Tokhabi. 11th -12th cc. Sinai.

Fig. 5. Icon with Five Miraculous Images of the Virgin, painted by Georgian

Monk Ioane Tokhabi. 11th -12th cc. Sinai.

Fig. 6. Poliptych with the Deesis and St. Moses before the Burning Bush. 12th c. Sinai **.**

Fig. 7. Poliptych with the "Nativity of Christ" and the "Baptism". 12th c. Sinai

Fig. 8. Hagiographical Icon of St. George with the image of Georgian donator -Monk and Prist Ioane. 12th -13th cc. Sinai.

Fig. 9. Hagiographical Icon of St. John the Baptist with the image of probable Georgian donator. 12th -13th cc. Sinai.

Fig. 10. Poliptych with Deesis and Images of Georgian Saints. 14th c. Sinai.

Fig. 11. Altar-beem (epistily) of St. Barbara's Church at Village Khe. 12th -13th . Upper Svaneti, Georgia.

Fig. 12. Altar-beem of the Savior Church at Latali. 13th -14th. Upper Svaneti, Georgia.

Fig. 13. "Annunciate". Fragment of the scene of the altar-beem with the Georgian painter's inscription. 12th c. Sinai.

Fig. 14. "Annunciate". Fragment of the scene of the Virgin and Child's Icon from the Zarzma Monastery. 11th c. Georgian National Museum, Tbilisi.

Fig. 15. The Georgian painter's autograph. Fragment of the Altar-beem. 12th c. Sinai.

Fig. 16-17. Images of the Virgin on the Eshekopla's altar-beem and the Zarzma Icon. 11-12 cc. Sinai - Georgia.

Fig. 18. Tetraptych with the Dodekaorton. 12th c. Sinai.

Fig. 19, 20, 21. "Presentation of Christ in the Temple". Scenes of the Sinai Tetraptych, Eshekopla's Altar-beem and the Gelati Gospel. 12th c. Sinai _ Georgia.

Fig. 22. Fragments of the "Three Masters' Altar-beem". 12th c. Sinai.

Fig. 23. Mountain "Icy-Peak". Georgia.

Fig. 24. "Raising of Lazarus". Detail of the "Three Masters' Altar-beem". 12th c. Sinai.

Fig. 25. "Raising of Lazarus". Miniature of the Gospel from Mount Athos. 12th c. The Baltimor Museum.

Fig. 26. Triptych of the Virgin "Bematerissa". Beginning of the 13th c. Sinai.

Fig. 27. Triptych of the Virgin. 13th c. Upper Svaneti, Georgia.

Fig. 28. Scenes of the Wings of the "Bematerissa". Beginning of the 13th c. Sinai.

Fig. 29. Fragments of the scenes of "Baptism" and "Nativity". Tetraptych with the Great Feasts. 12th c. Sinai.

Fig. 30. Byzantine Imperor Nikephoros III Botaneiates and Empress Mariam. Miniature of the Homilies of St. John Chrysostom. End of the 11th c. The National Library of Paris.

Fig. 31. Hagiographical Icon of St. Cathaterine. Beginning of the 13th c. Sinai.

Fig. 32. Byzantine Imperor Michael VII Dukas and Empress Mariam. Cloisonnè Enamel Plaque of the Khakhuli Virgin Triptych. 12th c.The Georgian National Museum, Tbilisi.

Fig. 33. Tetraptych with scenes of the Great Feasts. 12th c. Sinai.

Fig. 34. Central wings of Tetraptych with scenes of the Great Feasts. 12th c. Upper Svaneti, Georgia.

სურ. 1 Fig.

სურ. 2 Fig.

სურ. 3 Fig.

სურ. 4 Fig.

სურ. 5 Fig.

სურ. 6 Fig.

სურ. 7 Fig.

სურ. 8 Fig.

სურ. 9 Fig.

სურ. 10 Fig.

სურ. 11 Fig.

სურ. 12 Fig.

სურ. 13 Fig.

სურ. 14 Fig.

სურ. 15 Fig.

სურ. 16 Fig.

სურ. 17 Fig.



სურ. 18 Fig.

სურ. 19 Fig.

სურ. 20 Fig.

სურ. 21 Fig.

სურ. 22 Fig.

სურ. 23 Fig.



სურ. 24 Fig.

სურ. 25 Fig.

სურ. 26 Fig.

სურ. 27 Fig.





სურ. 28 Fig.

სურ. 29 Fig.

სურ. 30 Fig.

სურ. 31 Fig.



სურ. 32 Fig.

სურ. 33 Fig.

სურ. 34 Fig.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. სახოგადოებრივ მეცნიერებათა სერია №1 (46-B), 2010, 463-476
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences №1 (46-B), 2010, 463-476

ხელოვნებათმცოდნეობა

ნინო ჩიხლაძე

საქართველოს ეროვნული მუზეუმი, რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო, ელ.ფოსტა: nino_chikhladze@yahoo.com

შუა საუკუნეების ქართული სახელმწიფოს კულტურულ-პოლიტიკური მიზანდასახულობის ერთი ასპექტი სახვითი წყაროების მიხედვით

ძველი საქართველოს ეკლესია-მონასტრების მოხატულობები, როგორც ჩვენი ისტორიის სახვითი წყაროები, ხშირად, განსაკუთრებით კი შუა საუკუნეების ქართული სახელმწიფოს ძლიერების ხანაში, სტრატეგიული, მიზანდასახულობისა და შესაბამისად, სახელმწიფო პროპაგანდის შემცველ საგულისხმო ცნობებს გვაწვდის. ამ მხრივ, განსაკუთრებით საინტერესოა მე-6 მე-11 საუკუნეების განმავლობაში ტრაპიზონის არეალში ლოკალურად გავრცელებული და შემდგომ ტრაპიზონის იმპერიის მფარველი წმ. ევგენის ქართულ მოხატულობებში შემორჩენილი ყველაზე ადრეული (მე-12 ს.) გამოსახულების შექმნის კონტექსტი.

დღეს, როგორც ქართული, ისე უცხოური წერილობითი წყაროების შეჯერების შედეგად, ჩვენშიც და საზღვარგარეთის სამეცნიერო წრეებშიც აღიარებულია, რომ 1204 წელს ტრაპიზონის იმპერია ქართული სახელმწიფოს ხელშეწყობითა და სამხედრო აქტიურობის საშუალებით დაარსდა [გაბაშვილი, 1998: 142; Eastmond, 2004: 18-21; მაჭარაშვილი, 2009: 85-86]. შუა საუკუნეების ქართული და ბერძნული წყაროებიდან დასტურდება, რომ თამარ მეფის უშუალო ძალისხმევით, "გულმოდგინებითა და ღვაწლით" ტრაპიზონის მეფე ბაგრატიონთა ნათესავი, ქართულ სამეფო კარზე აღზრდილი, ბიზანტიის იმპერატორთა შთამომავალი ალექსი I კომნენოსი (1204-1222) გახდა [ბასილი ეზოსმოძღუარი, 1959: 142-3; მიქელ პანარეტოსი, 1960: 16]. ეს კი უთუოდ საქართველოს სამეფოს საჯარისო დანაყოფებისა და ბიზანტიის სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის აბორიგენი ქართველური ტომების, ლაზურ-ჭანური მოსახლეობის წარჩინებულთა დასის მხარდაჭერით განხორციელდა, რომელიც მოცემულ რეგიონში მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევი

ძალა იყო [Bryer, 1966: 179]. ტრაპიზონის იმპერიის სახით საქართველოსადმი ვასალური დაქვემდებარების სახელმწიფო შეიქმნა და ქართული სახელმწიფოს გავლენის სფერო სამხრეთ-დასავლეთითაც გავრცელდა. ქართველი ისტორიკოსები თვლიან, რომ ეს იყო საქართველოს სამეფო კარის საგარეო პოლიტიკის "ხანგრძლივი და ფრთხილი მოფიქრების შედეგი" [შენგელია, 1979: 332], თუმცა მე-20 საუკუნის დასაწყისის ემიგრანტი მკვლევრის ზურაბ ავალიშვილის აზრით: "სამწუხაროდ, ქართულ საისტორიო ძეგლებში არ არის შენახული იმ მისწრაფების, იმ ანგარიშის და იმ აზროვნების კვალი, რომლითაც ამ მნიშვნელოვან ვითარებაში – სახელდობრ, ტრაპიზონის სამეფოს 1204 წელს დაარსებაში – იმ დროის ქართველი მოღვაწენი ხელმძღვანელობდნენ" [ავალიშვილი, 1989: 52]. არსებობს მხოლოდ ისტორიკოსთა ვარაუდი, რომ ტრაპიზონის მხარის საქართველოს გავლენის სფეროში მოქცევის მცდელობა, რაც ქართული სახელმწიფოს დასავლეთისკენ გაფართოებასა და შავი ზღვის აუზის კონტროლს გულისხმობდა, თამარის ეპოქაში ერთბაშად ჩამოყალიბებული სამოქმედო გეგმა არ იყო. საფიქრებელია, რომ ამ მიმართულებით მუშაობა ტრაპიზონის მხარეში განხორციელებული ლაშქრობით ჯერ კიდევ დავით აღმაშენებელმა დაიწყო. ტრაპიზონთან დაკავშირებული ქართული სახელმწიფოს სამომავლო მიზნებიდან გამომდინარე, შესაძლოა გარკვეული მოლაპარაკება-შეთანხმება გიორგი III-საც ეწარმოებინა ბიზანტიიდან დევნილ, საქართველოში ოჯახით ჩამოსულ ანდრონიკე კომნენოსთან, რომელიც შემდგომში, მართალია მცირე ხნით (1183-1185 წწ.), მაგრამ მაინც, ბიზანტიის იმპერატორი გახდა [გაბაშვილი, 1998: 146; გაბაშვილი, 2007, №2(28): 43].

ამდენად, შუა საუკუნეების ქართული სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ამ უმნიშვნელოვანესი ეტაპის – ტრაპიზონის იმპერიის დაარსების მოსამზადებლად ჩატარებული მრავალწლიანი სამუშაოს შესახებ ისტორიკოსთა ვარაუდები, ცხადია, უსაფუძვლო არ არის და წერილობით წყაროებში მოძიებულ მტკიცებულებებთან ერთად, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანი უნდა იყოს ქართულ ეკლესიათა მოხატულობებში დადასტურებული სახვითი წყაროებიც, რომლებიც სახელმწიფო პოლიტიკის გამომხატველ მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს.

განვიხილავთ საქართველოში შემორჩენილ წმ. ევგენი ტრაპიზონელის გამოსახულებებს. რომლებიც ტრაპიზონსა და მის მიმდებარე რეგიონშიც არ არის ბევრი, ხოლო მათი მე-12-13 საუკუნეების დანამდვილებით იდენტიფიცირებული გამოსახულებები, შეიძლება ითქვას, არც შემორჩენილა.

ვინ არის წმ. ევგენი ტრაპიზონელი და როგორია მისი კულტის განვითარების ეტაპები? ეს "ადგილობრივი" წმინდანია, რომელიც ტრაპიზონის მიდამოებში ადრეშუასაუკუნეებშივე გახდა პოპულარული. მისი მარტვილობის ეპიკური ბერძნული ტექსტი, რომელიც სავარაუდოდ, შეიქმნა არა უადრეს მე-6 საუკუნისა, მოგვითხრობს მე-3 საუკუნეში რომის იმპერატორების, დიოკლეტიანესა და მაქსიმიანეს ხანაში ტრაპიზონის არეალში მოღვაწე ქრისტიანობის გამავრცელებელ წმ. ევგენისა და მისი სამი თანამოაზრის შესახებ – კანდიდზე, ვალერიანესა და აკვილაზე (ოთხივეს ხსენების დღე – 21 იანვარია). უკანასკნელი

სამი ერთად შეიპყრეს, აწამეს და სიკვდილით დასაჯეს, წმ. ევგენის კი, რომელიც თავს აფარებდა ტრაპიზონის მიდამოების იმ ადგილს, რომელსაც "ეკლოვანს" უწოდებდნენ, ოდნავ მოგვიანებით მიაგნეს. სხვადასხვაგვარი წამების შემდეგ მასაც ისე, როგორც მის თანამოაზრეებს თავი მოჰკვეთეს [Rosenqvist, 2003: 194-195].

ერთი მხრივ, ეჭვგარეშეა, რომ მოცემულ რეგიონში წმ. ევგენი ადრეშუასაუკუნეებშივე იყო პოპულარული. მკვლევართა აზრით, ამაზე მიანიშნებს თუნდაც მე-14 საუკუნის 60-იან წლებში მოღვაწე ტრაპიზონის მიტროპოლიტ იოანე ლაზაროპულოსის მიერ შეგროვებულ წმ. ევგენის სასწაულების ნაკრებში დაცული ლეგენდა კონსტანტინეპოლში მომხდარი სასამართლო პროცესის შესახებ. საქმეში მოწმედ მოყვანილი სამი ტრაპიზონელი ვაჭარი სიმართლის დასამტკიცებლად მხოლოდ წმ. ევგენის იმოწმებდა, თანაც სამთავეს ევგენი ერქვა, რის გამოც მოსამართლეს გაუჩნდა კითხვა, თუ რატომ უხმობს ტრაპიზონელი უამრავ წმინდანთა შორის მხოლოდ წმ. ევგენის და რატომ ჰქვიათ მათ ეს სახელი? მოგვიანებით, თუნდაც ტრაპიზონის იმპერიის ხანაში ევგენის სახელის პოპულარობასთან დაკავშირებული სურათი შეცვლილია, ამიტომაც ლეგენდაში აღწერილ ამბავს უფრო ადრეულ პერიოდს უკავშირებენ [Rosenqvist, 2003: 199-200; Успенский, 1929:13], თუმცა, პოპულარობისდა მიუხედავად, ადრეშუასაუკუნეებში წმ. ევგენის კულტის ჩამოყალიბება მაინც ვერ მოხერხდა. იგულისხმება წმინდანის კულტის განვითარების რამდენიმე წინაპირობა. მარტვილობის ტექსტში არ იყო განსაზღვრული გარდაცვალების დღე, არ იყო დაზუსტებული დაკრძალვის ადგილი და ბუნდოვანი იყო წმინდანის სახე, მისი სოციალური სტატუსი თუ გარეგნული ნიშნები [Rosenqvist, 2003: 195]. მეტიც, კულტის განვითარების თვალსაზრისით, ბევრი რამ არც XI საუკუნეში, წარმოშობით ტრაპიზონელი ბერძენი მწერლის იოანე ქსიფილინოსის მიერ შესრულებულ მარტვილობის ახალ ვერსიაშია გაცხადებული, აქედან გამომდინარეობს დასკვნა: მე-11 ს. დასაწყისისთვის წმ. ევგენის ეკლესია და მონასტერი ტრაპიზონის განსაკუთრებული სამომლოცველო ცენტრი არ იყო [Rosenqvist, 2003: 197]. ამგვარ სამლოცველოდ იგი გვევლინება მხოლოდ ტრაპიზონის იმპერიის დაარსების შემდეგ, როდესაც წმინდანის კულტის განვითარების მასშტაბები იზრდება. სახელმწიფოს ხელშეწყობით წმინდანი მმართველი კეისრის, ქალაქ ტრაპიზონისა და მთელი იმპერიის პატრონად ცხადდება [Rosenqvist, 2003: 197-9; A. Eastmond, 2004: 146]. მის გამოსახულებას ასახავენ მმართველი დინასტიის, კომნენოსთა გერბსა და საბეჭდავებზე, ტრაპიზონში მოჭრილ ვერცხლის მონეტებზე – ასპრებზე. წმ. ევგენის ტაძარი, ღმრთისმშობელი ქრიზოკეფალოსისა ("ოქროსთავიანის") და წმ. სოფიას ეკლესიებთან ერთად, ქალაქისა და, შესაბამისად, ტრაპიზონის იმპერიის სამ უმნიშვნელოვანეს სიწმინდეთა შორის სახელდება [Успенский, 1929: 14].

ბაზილიკური ტიპის ტაძარს, რომელიც ტრაპიზონის მეორე იმპერატორის, ანდრონიკე გიდონის მეთაურობით 1223 წელს სელჯუკ მელიქზე გამარჯვების შემდეგ გუმბათიან ეკლესიად გადააკეთეს, განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობიან, ვინაიდან გამარჯვება წმ. ევგენის სას-

წაულებრივ მფარველობას უკავშირდებოდა [Eastmond, 2004: 51-53; Bryer, 2002, part 2: 90]. წმ. ევგენის მონასტრის ტიპიკონში აღწერილი წმინდანის ხსენების დღესთან დაკავშირებული ხალხმრავალი, საზეიმო რიტუალის აღწერა, რომელიც ერთი დღით ადრე, 20 იანვარს იწყებოდა, ნათლად წარმოაჩენს იმპერიის პატრონის სტატუსის მქონე წმინდანის საგანგებო თაყვანისცემის ღონისძიების პომპეზურობას [Rosenqvist, 2003: 200]. ტრაპიზონის იმპერიის არსებობის განმავლობაში წმ. ევგენის კულტის თაყვანისცემა ამ მიმართულებით იშლება. იგი მტერთან ბრძოლისას ტრაპიზონელთა შემწეა და იმავდროულად, სახელმწიფოს დამოუკიდებლობის, პირველ რიგში კი მასზე პრეტენზიის მქონე ბიზანტიისგან დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარების სიმბოლოდაც აღიქვება. ალბათ ესაა მიზეზი იმისა, რომ წმ. ევგენი კულტის განვითარების ყველა ეტაპზე ლოკალური მნიშვნელობის წმინდანად დარჩა და მას, იშვიათი გამონაკლისის გარდა, თაყვანს სცემდნენ მხოლოდ ტრაპიზონის მიდამოებში [Rosenqvist, 2003: 200-201, 210].

1461 წელს ტრაპიზონის იმპერიის დაცემის შემდეგ წმ. ევგენის კულტის მნიშვნელობა ნელ-ნელა კლებულობს. საგულისხმოა, რომ წმ. ევგენის სახელთან დაკავშირებული არქიტექტურისა თუ სახვითი ხელოვნების არც ერთი ძეგლი არ გვხვდება პონტოს მხარის ისტორიისა და კულტურის შემსწავლელ მეცნიერთა – ე. ბრაიერის, დ. ვინფილდის, ს. ბალანსისა და ჯ. ისააკის მიერ თავმოყრილ პოსტბიზანტიური პერიოდის (მე-15 ს. მეორე ნახევარი – მე-19 ს.) ნიმუშებს შორის [A. Bryer, 2002]. მე-20 საუკუნის დასაწყისისთვის კი რუსი მკვლევარი ფ. უსპენსკი გაოცებულია იმით, რომ ქალაქის მფარველი წმინდანი ადგილობრივ მართლმადიდებელ ბერძნებს შორის დავიწყებასაა მიცემული და მიუხედავად იმისა, რომ მან არაერთ ღვთისმსახურს მიმართა, წმ. ევგენის გამოსახულებას თვით ძველ ხატებს შორისაც ვერ მიაგნო [Успенский, 1929: 113, 42]. ამ მხრივ, საინტერესო ცნობას ვხვდებით ქართლის მთავარეპისკოპოსისა და ქუთაისის მიტროპოლიტის ტიმოთე გაბაშვილის "მიმოსვლაში," რომელიც 1755-1759 წლებში წმინდა ადგილთა მოსალოცად მოგზაურობის დროს ტრაპიზონის მხარესაც ესტუმრა. ქალაქ ტრაპიზონის "თურქთაგან დაპყრობილი" სამი დიდი სიწმინდიდან, რომელთა შორის წმ. ევგენის მონასტერიც იყო, იგი მხოლოდ წმ. სოფიას ახსენებს [ტიმოთე გაბაშვილი, 1983: 456-457], ხოლო საკუთრივ წმ. ევგენის კულტის შესახებ ამბობს: "და მიერითგან მივიწიენით ქალდეას (აწ უხმობენ გუმიშხანას), სადა ეწამნენ წმიდანი ევგენი, კანდიდოს, ვალერიანე. და მიერითგან განვიხილენით ეკლესიანი და იყო აღშენებული ქართველთაგან. და ვიკითხევდი რა, იგინი მეტყოდენ, ვითარმედ: გუმიშხანა საქართველოსა მეფეთი არისო, რამეთუ ვერცხლი გამოსავალი აქაური საქართველოთი ყოფილაო. ჭოროხის წყლის სათავე – ეს არისო სამძღვარი საქართველო" [ტიმოთე გაბაშვილი, 1983: 561]. ქართველებში, ცხადია, ქალდეას ადგილობრივი მკვიდრნი იგულისხმებიან, რადგან გუმიშხანა, თანამედროვე გიუმუშენე, რომელიც ტრაპიზონის მახლობლად, მთებში მდებარეობს, შუა საუკუნეების ციხესიმაგრითურთ ჭანების სამოსახლოს ცენტრი იყო. ჭანები ციხესიმაგრიდან ზიგანას მნიშვნელოვან უღელტეხილს აკონტროლებდნენ

[Жордания, 2002: 14]. ტექსტის ამ ამონარიდიდან საინტერესო, ვფიქრობთ, ის არის, რომ იმპერიის მფარველი წმინდანის კულტი მე-18 საუკუნისთვის საკუთრივ ტრაპიზონში აღარ ჩანს და მისი ლოკალიზება ქალდეაში, ქართველურ ტომთა სამოსახლოში ხდება.

ამდენად, წმ. ევგენის კულტის განვითარების ეტაპების მიმოხილვის შედეგად შესაძლებელია გარკვეული დასკვნის გამოტანა – ტრაპიზონის მხარეში ქრისტიანობის გამავრცელებელი და თანამოაზრე სამ მოწამესთან ერთად აქვე წამებული წმ. ევგენი, ადგილობრივ მოსახლეობაში ადრეშუასაუკუნეებშივე იყო პოპულარული, მაგრამ მისმა კულტმა ვერ მიიღო დასრულებული სახე მე-11 საუკუნეშიც კი, როდესაც მისი მარტვილობისა და სასწაულების ნაკრებით შევსებული მეტაფრასული ტექსტი შეიქმნა. წმ. ევგენის კულტის გაძლიერების მომდევნო და ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი ტრაპიზონის იმპერიის დაარსებასთან ერთად იწყება, მაშინ როდესაც ხალხში პოპულარული წმინდანი ბრძოლებში შემწედ, იმპერიის მფარველ პატრონად იქცევა. უკანასკნელი ფაზა კი ტრაპიზონის იმპერიის დასასრულთან ერთად, მოცემულ მხარეში წმინდანის კულტის ნელ-ნელა გაქრობის ტენდენციას გვიჩვენებს. ამასთან, გასათვალისწინებელია ის ცნობა, რომ მე-18 საუკუნისთვის წმ. ევგენის კულტი, როგორც ჩანს, ცოცხალია მხოლოდ ქართველური მოდგმით დასახლებულ ტერიტორიაზე, მაშინ, როდესაც თავად ტრაპიზონში, რომლის მფარველ წმინდანადაც ის ითვლებოდა, წმინდანის თაყვანისცემის ტრადიციის კვალი ფაქტობრივად გამქრალია.

წმ. ევგენის გამოსახულებათა გაჩენა და მისი იკონოგრაფიული ტიპის დადგენაც კულტის განვითარების ეტაპების პარალელურად ვითარდება. ადრეულ პერიოდში, მე-10–11 სს.-დან 1204 წლამდე შუალედით დათარიღებულ წმ. ევგენის რამდენიმე გამოსახულებაზე, რომელთა შორისაა, როგორც ბასილი II-ს მენოლოგიუმის მინიატურა წმინდანის თავისკვეთის სცენით, ისე წარჩინებულ პირთა ორიოდ საბეჭდავი წმ. ევგენის მხოლოდ სავარაუდო ფიგურებით, მისი იკონოგრაფია ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული [Rosenqvist, 2003: 207-208].

გამოსახულებანი ტრაპიზონის იმპერიის დაარსების შემდგომი პერიოდიდან მრავლდება. ამავე ხანიდან წმინდანის მკაფიოდ გამოკვეთილი ორი იკონოგრაფიული გამოსახულება ვრცელდება. პირველი და მეტად გავრცელებულია წმ. ევგენი-მოწამე, მდიდრულად შემოსილი კარისკაცის სახით. იგი შუახნის მამაკაცია მაღალი შუბლით, უკან გადავარცხნილი, კისრამდე დაშვებული მუქი თმითა და მოკლე წვერით. შემოსილია საოლველებითა და ძვირფასი ქვებით გაწყობილი გრძელი ტუნიკითა და სახიანი ქსოვილის მანტიით. ერთ ხელში გრძელ ბუნზე დამაგრებული ჯვარი უპყრია, მეორე ხელით კი, როგორც წესი, მოსასხამის ნაოჭაყრილი კიდე უჭირავს. მსგავსი გამოსახულებები ტრაპიზონის წმ. ევგენის მონასტრის გამოქვაბულ ეკლესიაში, მაცუკას ხეობის სარმაშიკლის ზედა ეკლესიაში, ტრაპიზონის აია სოფიას კოშკის კაპელის მოხატულობაში გვხვდება [Bryer and Winfield, 1985: 224, 273, fig.83, 236, fig.73]. ყველა ეს გამოსახულება მე-14 მე-15 საუკუნეებისაა. ამ ტიპის წმ. ევგენის გამოსახულებებიდან ერთ-ერთ საუკეთესო და

შედარებით კარგად შემორჩენილ მაგალითად ითვლება ათონის მთის დიონისიუს მონასტრის 1374 წლით დათარიღებული ორმხრივი ხატი, რომლის ერთ მხარეს წარმოდგენილია ტრაპიზონის იმპერატორი ალექსი III კომნენოსი იოანე ნათლისმცემელთან ერთად **(სურ. 1)**, მეორე მხარეს კი წმ. კანდიდი, წმ. ევგენი, წმ. ვალერიანე და წმ. აკვილა [Tsigaridas, 1997: 96-97) **(სურ. 2)**. იგივე იკონოგრაფიული ტიპია წმ. ევგენის მონასტრის 1346 წლის ტიპიკონის მინიატურაზეც [Rosenqvist, 2003:209]. მსგავსი იკონოგრაფიული ვარიანტის გამოსახვა ტრაპიზონულ ასპრებზეც დამკვიდრდა [Rosenqvist, 2003: 208], თუმცა გვხვდება წმინდანის ცხენზე ამხედრებული გამოსახულებებიც [Bryer, 2002, part 2: 91], რაც ამავე პერიოდში გავრცელებული მეორე იკონოგრაფიული ტიპის სახეობაა. ეს არის მეომარი წმ. ევგენი შემოსილი აბჯრითა და მოსასხამით, რომლის ატრიბუტია გრძელი მახვილი. მაგალითად შეიძლება დასახელდეს მე-20 ს. 70-იან წლებამდე ჯერ კიდევ არსებული წმ. ელიას კაპელის მე-13 მე-14 საუკუნეების მიჯნის მოხატულობა ვაზელონის მონასტრიდან მაცუკას ხეობაში ან ტრაპიზონის აწ დაღუპული საიმპერატორო სასახლის მოხატულობა [Bryer and Winfield, 1985: 292, 225, 215, fig. 55].

წმ. ევგენის კულტის განვითარებისა და იკონოგრაფიული სახის ჩამოყალიბების განხილულ თავისებურებათა გათვალისწინებით, ცხადია, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება ქართულ მოხატულობებში დაცული წმ. ევგენის გამოსახულებები. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ორი მათგანი ყველა შემორჩენილ ნიმუშზე ადრეულია. ერთი გამოსახულება ტიმოთესუბნის მოხატულობაშია **(სურ. 3)**, რომელიც ბორჯომის ხეობაში მდებარეობს. ჯვარ-გუმბათოვანი ტაძრის დასავლეთი მკლავის დასავლეთ კედელზე, შესასვლელი კარის მარჯვენა მხარეს კიდეში გამოსახულია რუხ აბჯარსა და წითელ მოსასხამში გამოწყობილი წმ. მეომარი ერთ ხელში მახვილითა და მეორეში გრძელი შუბით, რომელსაც ასომთავრული წარწერა განმარტავს: ევგენი ტრაპიზონე[ლი] [Привалова, 1980: 100]. მოხატულობა საფუძვლიანადაა გამოკვლეული მე-20 ს. 70-იან წლებში ცნობილი ხელოვნებათმცოდნის ეკატერინე პრივალოვას მიერ, რომელიც მიიჩნევს, რომ იგი 1205-1215 წლებში თორელთა გვარის წარმომადგენლის, სავარაუდოდ თამარ მეფის კარის უმაღლესი მოხელის, მანდატურთუხუცეს შალვა თორელიახალციხელის დაკვეთით შესრულდა. მეტიც, პრივალოვა ითვალისწინებს და იზიარებს ჯერ კიდევ მე-20 ს. 30-იან წლებში მკვლევარ დიმიტრი გორდეევის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას,რომ ტრაპიზონელი წმინდანის გამოსახვა, მხატვრობის შექმნის დროზე მიანიშნებს, ანუ იმ პერიოდზე, როდესაც ყველაზე მჭიდრო იყო საქართველო-ტრაპიზონის ურთიერთობები. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ტრაპიზონული სამხედრო კამპანიის უშუალო მონაწილენი შეიძლება ყოფილიყვნენ ძმები შალვა და ივანე ახალციხელები,წმ. მეომრებს შორის ჩართული წმ. ევგენის გამოსახულება კი ტრაპიზონში ქართული სახელმწიფოს პოლიტიკური და სამხედრო გამარჯვების მიმანიშნებელია. თუმც იქვე აღნიშნულია, რომ წმ. ევგენი ტრაპიზონელის გამოსახულება ტიმოთესუბნის გარდა ქართულ ძეგლებში სხვაგან არსად გვხვდება [Привалова, 1980:

121-122]. არა და, უფრო საინტერესოა მეორე მაგალითი. ესაა ვარძიის ღმრთისმშობლის მიძინების ეკლესიაში გიორგი III-სა და თამარ მეფის საქტიტორო კომპოზიციაში ჩართული წმ. მოწამის გამოსახულება, რომელიც ზუსტად იმეორებს წმ. ევგენის დადგენილ იკონოგრაფიულ ტიპს.

ვარძიის ეკლესიის კომპოზიციურად ყველაზე მნიშვნელოვან ჩრდილოეთ კედელზე აღმოსავლეთი და დასავლეთი ნაწილის მაღალი თაღოვანი ნიშები საქტიტორო კომპოზიციებს ეთმობა. კედლის თაღოვანი ფორმით დასრულებულ აღმოსავლეთ ნიშაში მონაცრისფრო ვარსკვლავებით გადავსებული, დღესდღეობით გადარეცხილი ლურჯი ცისა და, ასევე გაცრეცილი მოყავისფრო-ნაცრისფერი მიწის ფონზე სამეფო ოჯახის წარმომადგენელთა აღმოსავლეთისკენ სამი მეოთხედით შებრუნებული ფიგურები ტახტზე დაბრძანებული ჩვილედი ღმრთისმშობლისა და მის ქვეშ გამოსახული ერთადერთი მოწამის წინაშე დგანან **(სურ. 4)**. შარავანდმოსილ გიორგი III-სა და მის ასულს, თამარს გიორგი მეფის თავთან მფრინავი ანგელოზი დედაღმრთისასა და მასთან მდგომი წმინდანის წინაშე წარადგენს. ტახტზე დაბრძანებული ჩვილედი ღმრთისმშობელი წინ გაწვდილი ხელით მიანიშნებს კვერთხზე, რომელიც ანგელოზს ისე უჭირავს, თითქოს გიორგი III-ს ვედრებად გაწვდილ ხელებში აწვდის ღვთივკურთხეული ხელისუფლების წარმოსაჩენად. თამარ მეფე მამის უკან დგას და ვარძიის ეკლესიის მოდელი უჭირავს. გიორგი მესამესა და თამარის თავთან გაშლილი თანმდევი ასომთავრული წარწერები გვამცნობს: **ყ[ოვ]ლისა აღმოსავ-ლეთისა მეფეთა / მეფე გ[იორგ]ი ძე დე[მე]ტრე / მეფეთა მეფისაჲ** [მელითაური, შოშიაშვილი, ხანთაძე, ჯამბურია, 1955: 66-67, სურ. 19], **ყ[ოვ]ლისა აღმოს[ა]ვლეთისა / მეფეთა მეფე შვი / ლი გ[იორგ]ისა თამარ რ[ომე]ლი მრ[ა]ვ[ა]ლ / ჟ[ა]მეულობსმცაჲ** [მელითაური, შოშიაშვილი, ხანთაძე, ჯამბურია, 1955: 66-67, სურ. 20]. მოწამე, რომელსაც ჩვილედ ღმრთისმშობელთან ერთად ევედრებიან "ყოვლისა აღმოსავლეთისა მეფენი" შუახნის მამაკაცია, კისერთან მოკვეცილი დამახასიათებელი თმის ვარცხნილობითა და მუქი წვერით. ტანთ მოსავს მდიდრულად მოქარგული საოლველებით მორთული წითელი ტუნიკა და ტაბლიუმით გაწყობილი მოსასხამი, რომლის ნაოჭაყრილი კიდე მარცხენა ხელით უჭირავს, მარჯვენათი კი გრძელ ბუნზე დამაგრებული ჯვარი უპყრია. შარავანდთან დღეს თითქმის გადაშლილ ბერძნულ წარწერას კი თ. ყაუხჩიშვილი აღადგენს, როგორც "წმ. ევგენი ტრაპეზუნტელი" [ყაუხჩიშვილი, 2004: 236], რასაც წმინდანის იკონოგრაფიული ტიპიც ადასტურებს **(სურ. 5)**. ვარძიის მოხატულობაზე ასახული ახალგაზრდა, ჯერ კიდევ გაუთხოვარი თამარ მეფის ასაკის მიხედვით, გამოსახულება ზუსტად არის დათარიღებული – 1184-1185 წლებით [ბერძენიშვილი, ელიზბარაშვილი, ვაჩეიშვილი, ჩაჩხუნაშვილი, 2000: 118). გამოდის, რომ ტრაპიზონის მხარის ლოკალურ წმინდანს საქართველოს მეფენი შესთხოვენ იმ უმნიშვნელოვანესი სამომავლო მიზნების მფარველობას, რომლის განხორციელება თითქმის 20 წლის შემდეგ გახდება შესაძლებელი, ანუ 1204 წელს, როდესაც თამარ მეფის ჯარის საშუალებით ტრაპიზონის იმპერიის დაფუძნება მოხდება. ამ კონტექსტში

რამდენადმე სხვაგვარად წარმოჩნდება თავად ვარძიის ციხე-ქალაქის დაარსების იდეაც. თამარის ეპოქის საისტორიო თხზულებაში „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ ვარძიის შესახებ ნათქვამია: „ესე ვარძია პირველად დაეწყო სანატრელსა მამასა მისსა გიორგის გარნა ვერ სრულ ექმნა და დაეტევა, რომელმან დიდმან აღასრულა და შეამკო ყოვლითურთ და შესწირნა მრავალნი და დიდრონი სოფლები“ [ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, 1959: 91]. საფიქრებელია, რომ ვარძია არა მხოლოდ ამ განაპირა რეგიონის დასაცავად, არამედ სამომავლოდ, იქნებ ტრაპიზონის ტერიტორიის ეფექტურად გაკონტროლებისთვისაც შეიქმნა. რაც შეეხება, ვარძიის წმ. ევგენი ტრაპიზონელს, რომლის გამოსახულებაც შემორჩენილ გამოსახულებათა შორის არა მხოლოდ ყველაზე ადრეულია, არამედ წინ უსწრებს ტრაპიზონის იმპერიის დაარსებას, ბუნებრივად სვამს კითხვას, საქართველოს სამეფო კარი წმინდანის კულტის საქართველოში ჩამოყალიბებაშიც ხომ არ იღებდა მონაწილეობას? ზოგადად ბიზანტიაში არაპოპულარული და ტრაპიზონის მხარეში გავრცელებული წმინდანის კულტის საქართველოში განვითარების ხელშეწყობით, საფიქრებელია, რომ ქართული სახელმწიფოს მმართველები დიდხანს და საფუძვლიანად ამზადებდნენ ქვეყნის შემდგომი გაძლიერებისა და წინსვლის გეგმას [Chikhladze, 2009: 60-67]. ისინი, როგორც ჩანს, იდეოლოგიურ ნიადაგსაც ქმნიდნენ გენეტიკურად მონათესავე ქართველური ტომების ერთი სკიპტრის ქვეშ გაერთიანების ამ პერიოდში კვლავ წინ წამოწეული იდეისათვის [მაჭარაშვილი, 2009: 90] და იმედს მხოლოდ სამხედრო ძალით გამარჯვებაზე არ ამყარებდნენ.

წმ. ევგენი ტრაპიზონელთან დაკავშირებით არსებობს კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ვარძიის მოხატულობაშივე გამჟღავნდა. აქ არ გამოისახებიან წმ. ევგენისთან ერთად მოხსენიებული წმინდანები – კანდიდი, ვალერიანე და აქვილა. სამაგიეროდ, მასთან კონტექსტში ერთიანდება და ვარძიაშივე, ჩრდილოეთ კედლის დასავლეთ ნაწილში, თამარ მეფის კარის დიდმოხელის, რატი სურამელის მავედრებელ ფიგურასთან ერთად გამოისახებიან ტრაპიზონის გეოგრაფიულ არეალში წარმოშობილი მოწამეები წმ. ავქსენტი, წმ. მარდარი, წმ. ევსტრატი, წმ. ორესტი წმ. ევგენი (ხსენების დღე 13 დეკემბერი), რომელთა პოპულარობა არა მხოლოდ მნიშვნელოვნად აღემატებოდა წმ. ევგენი ტრაპიზონელისა და მასთან ერთად მოხსენიებული სამი მოწამის პოპულარობას, არამედ მიჩნეულია, რომ ევგენი ტრაპიზონელის სახე უშუალოდ ხუთეულში შემავალი მოსახელე წმინდანის ლიტერატურულ-“ისტორიული” სახიდან განვითარდა [Rosenqvist, 2003: 194]. ზოგ შემთხვევაში კი, როგორც ჩანს, მათი აღრევაც ხდებოდა, რასაც, ვფიქრობთ ისიც ადასტურებს, რომ წმ. ევგენი ტრაპიზონელის, წმ. კანდიდის, წმ. ვალერიანესა და წმ. აკვილას მარტვილობის ტექსტის ქართული თარგმანი არ ჩანს, მაშინ, როდესაც ხუთი წმ. მოწამის მარტვილობის ტექსტი საქართველოში მე-8 მე-9 საუკუნიდანაა ცნობილი, ხოლო მე-11 ს. დასაწყისში ექვთიმე ათონელს კიდევ ერთხელ უთარგმნია [კეკელიძე, .I, 1980: 133-134, 183]. წმ. ხუთეულის მოწამეთა გამოსახულებები ტიმოთესუბანშიც გვხვდება და უფრო გვიანი ხანის მოხატულობებშიც. მათ

შორის კი, პირველ რიგში, ისეთ ძეგლებში, რომელთა სიახლოვე ტრაპიზონის მხატვრულ სამყაროსთან დადასტურებულია (თუნდაც მე-13 ს. მიწურულის მოხატულობა აჭის წმ. გიორგის ეკლესიაში) [Иосебидзе, 1990: 31, 49, 61, 77-78], ან სავარაუდოა (ჯუმათის მთავარანგელოზის ეკლესიის მე-14 ს. მხატვრობა).

უფრო გვიანი ხანის ქართულ მოხატულობებში წმ. ევგენის გამოსახულებების გაჩენას განსხვავებული ისტორიული ვითარება განაპირობებს. ყველა ცალკეულ შემთხვევაში კი წმ. ევგენისა და მასთან დაკავშირებულ მოწამეთა გამოსახულებების შესწავლა, ვფიქრობთ, მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის ქართული სახელმწიფოს პოლიტიკისა და კულტურის ისტორიის შესახებ, რაც შემდგომი კვლევის საგანია.

ART CRITICISM

NINO CHIKHLADZE

Georgian National Museum, Rustaveli Avenue 3, 0105 Tbilisi, Georgia,
Email:nino_chikhladze@yahoo.com

ONE ASPECT OF POLITICAL AIM OF THE MEDIEVAL GEORGIAN STATE ACCORDING TO VISUAL SOURCES

SUMMARY

According to Georgian and foreign sources it is believed that the Trebizond Empire was created with the help of Georgian kingdom. This political event is revealed not only in the written sources, but also in mural paintings of Georgian churches. In particular this refers to the presence of St. Eugenios of Trebizond. The fact is that St. Eugenios was a local saint and his presence is very seldom seen outside the Trebizond area. That is why the representations of St. Eugenios in Georgian churches are important, even more if we realize the fact that appearing of images was the part of Georgian politics of those days.

The oldest Greek text of *passio* of St. Eugenios and his companions – Valerianos, Kanidios and Akylas, is dated from the 6th century. To the same period belongs popularization of the cult of St. Eugenios, but it has gained completely new power after 1204 year, when St. Eugenios officially was regarded as a patron of the Trebizond Empire. The image of St. Eugenios as a holy soldier, which we see on the murals of the 13th and 14th centuries, as well as on the coins of Trebizond and seals of Grand Komnenoi, was supposingly created at that period of time. The other type of St. Eugenios is a courtier with dark hair, bearded and with a tall cross in his hand.

Considering the peculiarities of the evolution of the cult of St. Eugenios and the formation of the respective iconographic type, the images of St. Eugenios preserved in Georgian murals acquire particular relevance. Furthermore, two of them are the earliest images among those that survived to the present day. One of the images is at Timotesubani church (1205-1215) where St. Eugenios is represented as a warrior saint with a sword in one hand and a long spear, in the other. There is the inscription in ``asomtavruli`` (ancient Georgian majuscule) script, which reads as 'Evgeni Trapizoneli' (Eugenios of Trebizond). Another image of this saint can be seen on the mural painting of the church in Vardzia (1184-1185). On the northern wall in the composition of royal donators, King Giorgi III and Queen Tamar venerate for the Virgin with a Child and St. Eugenios of Trebizond, which can be proved by the iconographical type of martyr and fragments of Greek inscription. The image of St. Eugenios of Trebizond at Vardzia, which is not only the earliest of the surved images of the saint, but also precedes the foundation of the Empire of Trebizond, raises a question if the Georgian royal court could play a role in the evolution of the cult of this saint and the formation of its iconographic type. It is possible that Vardzia was founded not only for defending the southern region of Georgia, but also for ensuring effective control of the neighbourhood area of Trebizond.

The later representations of St. Eugenios in Georgian murals express different political situations. The research of every single representation of St. Eugenios and martyrs related to him supplies cultural and political history of Georgia with the new information.

ბიბლიოგრაფია

1. **ავალიშვილი ზ. 1989:** ტრაპიზონის საქმე. – ჯვაროსანთა დროიდან, ოთხი საისტორიო ნარკვევი, თბილისი. გვ. 52-95.

2. **ბასილი ეზოსმოძღუარი. 1959:** ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი. – ქართლის ცხოვრება, II = ს. ყაუხჩიშვილი., (რედ), გვ.115-150.

3. **ბერძენიშვილი დ., ელიზბარაშვილი ი., ვაჩეიშვილი ნ., ჩაჩხუნაშვილი ც. 2000:** ჯავახეთი, ისტორიულ-ხუროთმოძღვრული გზამკვლევი = დ. თუმანიშვილი (რედ), I, თბილისი.

4. **გაბაშვილი მ. 1998:** ტრაპიზონი ქართული წყაროების მიხედვით. – აღმოსავლეთმცოდნეობა,ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები = ა. გვახარია (რედ), თბილისი. გვ. 141-154.

5. **გაბაშვილი მ. 2007:** თამარ მეფის აღმოსავლური და დასავლური პოლიტიკა მხატვრული ნაწარმოებების მიხედვით. ჟურნალი "ჩვენი მწერლობა" = რ. ჩხეიძე (რედ.), №2(28), გვ. 38-45; №3(29), გვ. 30-38.

6. **ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. 1959:** ქართლის ცხოვრება, II = ს. ყაუხჩიშვილი, (რედ), გვ.1-114.

7. **კეკელიძე კ. 1981:** ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბილისი.

8. **მაჭარაშვილი ტ. 2009:** ნარკვევები საქართველოსა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების ურთიერთობების ისტორიიდან (X-XIV საუკუნეებში), I, თბილისი.

9. **მელითაური კ., შოშიაშვილი ნ., ხანთაძე შ., ჯამბურია გ. 1955:**

ვარძია, გზამკვლევი, თბილისი.

10. მიქელ პანარეტოსი. 1960: ტრაპიზონის ქრონიკა, თარგმანი, შესავალი წერილი, შენიშვნები და საძიებელი ალ. გამყრელიძის. – მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვთ. 33 = მ. დუმბაძე, თ. ყაუხჩიშვილი (რედ), თბილისი. გვ. 3-98.

11. ტიმოთე გაბაშვილი. 1983: მიმოსვლა. – ქართული პროზა, V = შემდგენელნი: გვერდწითელი გ., ებრალიძე ნ., თვარაძე რ., თბილისი. გვ. 455-561.

12. ყაუხჩიშვილი თ. 2004: საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი, თბილისი.

13.შენგელია ნ. 1979: საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი თამარის მეფობაში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები = ზ. ანჩაბაძე, ვ. გუჩუა (რედ.), III, თბილისი. გვ. 316-339.

14.Иосебидзе Дж. Г. 1989: Роспись Ачи. Памятник грузинской монументальной живописи конца XIII века, Тбилиси.

15.Успенский Ф. И. 1929: Очерки из истории Трапезунтской Империи, Ленинград.

16.Привалова Е. Л. 1980: Роспись Тимотесубани, Тбилиси.

17.Жордания Э. Г. 2002: Картвельское население Понта в XIII-XV вв., автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук, Москва.

18.Bryer A., 1966: Some Notes on the Laz and Tzan (I). Bedi Kartlisa, revue de Kartvelologie, vol. XXI-XXII, №50-51, Paris, p.174-195.

19.Bryer A., Winfield D.1985: The Byzantine Monuments and Topography of the Pontos (Dumbarton Oaks Studies, 20), vol. I, II (plates), Washington, D.C.

20.Bryer A., Winfield D., Balance S., Isaac J. 2002: The Post-Byzantine Monuments of the Pontos, A Sourse Book (Variorum Collected Studies Series: CS707).

21.Eastmond A. 2004: Art and Identity in Thirteenth-Century Byzantium: Hagia Sophia and the Empire of Trebizond, Birmingham.

22.Gaprindashvili G. 1975: Vardzia. Ancient Monuments of Georgia, History, Architecture, Wall Painting, Applied Arts, Leningrad.

23.Rosenqvist J. O. 2003: Local Worshipers, Imperial patrons: Pilgrimage to St. Eugenios of Trebizond. Dumbarton Oaks Papers, №56, =Talbot Alice-Mary (Editor), Washington, D.C., pp. 193-212.

24.Tsigaridas N., 1997: The Double-Sided Icon 2.29. Catalogue of Exhibition: Tresures of Mount Athos, = Karakatsanis A. A. (Managing Editor), Thessaloniki, pp.95-100.

25.Chikhladze N., 2009: Images of St.Eugenios in Georgia and Cultural and Political Ties with the Empire of Trebizond._Caucasus Journal of Social Sciences, Volume 2, Issue 1,=J.Andghuladze (Editor in chief), The University of Georgia, Tbilisi, pp.59-70.

ილუსტრაციების აღწერილობა

სურ. 1. ორმხრივი ხატი. 1374 წ. ტრაპიზონის იმპერატორი ალექსი III კომნენოსი და წმ. იოანე ნათლისმცემელი. გამოფენის კატალოგი *Tresures of Mount Athos, Tessalonike, 1997*-ის მიხედვით.

სურ. 2. ორმხრივი ხატი. 1374 წ. წმ. კანდიდი, წმ. ევგენი, წმ. ვალერიანე, წმ. აკვილა. გამოფენის კატალოგი *Tresures of Mount Athos, Tessalonike, 1997*-ის მიხედვით.

სურ. 3. ტიმოთესუბანი. 1205-1215 წწ. მეომარი წმ. ევგენი (მარჯვენა მხარეს განაპირა გამოსახულება), გ. მინდორაშვილის ფოტო.

სურ. 4. ვარძია. 1184-1185 წწ. მეფე გიორგი III და მეფე თამარი ჩვილედი ღმრთისმშობლისა და წმ. ევგენი ტრაპიზონელის წინაშე, დ. გაგოშიძის ფოტო.

სურ. 5. ვარძია. 1184-1185 წწ. წმ. ევგენი ტრაპიზონელი (დეტალი, ასლი ტ. შევიაკოვასი, 1973 წ.). საქართველოს ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმი.

LIST OF ILLUSTRATIONS

Fig. 1. Double-Sided Icon. 1374. The Emperor of Trebizond Alexios III and St. John the Baptist (by the Catalogue of the Exhibition: Treasures of Mount Athos, Thessaloniki, 1997, 2.29).

Fig. 2. Double-Sided Icon. 1374. St. Candidos, St. Eugenios, St. Valerianos, St. Acylas (by the Catalogue of the Exhibition: Treasures of Mount Athos, Thessaloniki, 1997, 2.29).

Fig. 3. Timotesubani. 1205-1215. St. Eugenios the Warrior (the last image on the right). Photograph by G. Mindorashvili.

Fig. 4. Vardzia. 1184-1185. King Giorgi III and Queen Tamar before the Virgin and Child and St. Eugenios of Trebizond. Photograph by D. Gagoshidze.

Fig. 5. Vardzia. 1184-1185. St. Eugenios of Trebizond (detail, copy by T. Sheviakova). The Georgian National Museum, Sh. Amiranashvili Museum of Fine Arts.

სურ. 1 Fig.

სურ. 2 Fig.

სურ. 3 Fig.

სურ. 4 Fig.

სურ. 5 Fig.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია №1 (46-B), 2010, 477-503
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences №1 (46-B), 2010, 477-503

ხელოვნებათმცოდნეობა

ნინო დათუნაშვილი

საქართველოს ეროვნული მუზეუმი, რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო, ელ.ფოსტა: nino.datunashvili@yahoo.com

ნეკრესის ღმრთისმშობლის მიძინების ტაძრის მხატვრობა

ყვარლის რაიონში, ალაზნის ველის ზედაწელში მდებარე ნეკრესის სამონასტრო კომპლექსი მრავალმხრივ საინტერესო და მნიშვნელოვანი ძეგლია.

კომპლექსი სხვადასხვა დროისა და დანიშნულების ნაგებობებს მოიცავს, მათ შორის VII საუკუნის ღმრთისმშობლის მიძინების სახელობის სამეკლესიან ბაზილიკას, რომელიც მოგვიანებით განახლდა და ფრესკული მხატვრობით შეიმკო.

ტაძრის მხატვრობა ლევან კახთა მეფის (1520-1574 წწ) სახელს უკავშირდება. მ. ვაჩნაძე ფერწერას ლევან მეფის ქტიტორული პორტრეტის მიხედვით 1550-1551 წწ-ით ათარიღებს [ვაჩნაძე 1992: 153].

ბაზილიკის ცენტრალური ეკლესიის მხატვრობა ფუნდამენტური კვლევის საგანი დღემდე არ გამხდარა, რის გამოც სამეცნიერო ლიტერატურაში ძალზე მწირი ინფორმაცია მოიპოვება.

1917 წელს კახეთში მივლინებული დ. გორდეევი მოხატულობას ზოგადად აღწერს [Гордеев 1919:22]. გ. გაგარინმა კი ცალკეული ფრესკების ჩანახატები შემოგვინახა [Gagarine 1847: Pl. XLVIII].

მხატვრობის გაცნობის საშუალებას ძირითადად მარინა ვაჩნაძის შრომები იძლევა, სადაც იგი ზოგადად მიმოიხილავს კახეთისა და ათონის ფერწერულ სკოლათა შორის არსებულ კავშირს [Вачнадзе 1977].

ქრონოლოგიურად ნეკრესის ტაძრის მხატვრობა თანხვდება ქრისტიანულ აღმოსავლეთში ხელოვნების აღმავლობის პერიოდს, რომლის მხატვრული შემოქმედების ცენტრსაც ათონის მთა წარმოადგენდა.

წინა პერიოდისაგან განსხვავებით მნიშვნელოვნად გაიზარდა გამოსახულებათა რაოდენობა, გაჩნდა ახალი იკონოგრაფიული თემები, განსაკუთრებით გამოიკვეთა ცალკეულ წმიდანთა – წმ. მოწამეების, წმ. მეომრების, ეკლესიის მამების თუ მეუდაბნოეთა გამოსახულებები. ყოველივე ამან გამოიწვია რეგისტრთა რაოდენობის ზრდა, რომელ-

თა ზომებიც არაერთგვაროვანი გახდა. [Вачнадзе 1977: 9; Покровский 1890:81]

ათონის მთის სკოლის ტრადიციებმა საქართველოშიც ჰპოვა გავრცელება, რის ნათელ მაგალითსაც XVI საუკუნის კახეთის მთელ რიგ ძეგლთა შორის ნეკრესის ტაძრის მხატვრობა წარმოადგენს.

ნეკრესის ტაძრის ინტერიერი (შუა ეკლესია) მთლიანად ფრესკული მხატვრობით იყო შემკული, რომელიც საკურთხეველში ხუთ, დასავლეთ კედელზე ოთხ, სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლებზე კი 3 რეგისტრად არის განაწილებული.

სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლებზე კომპოზიციური წყობა ერთიმეორის მსგავსია და თითოეული რეგისტრი ოთხ სცენას მოიცავს. ცალკეულ სცენათა ზომები განსხვავებულია.

მხატვრობამ ძალზე ნაკლული სახით მოაღწია ჩვენამდე. ცალკეული სცენები და ფიგურები სრულიად წარხოცილია, ნაწილი კი მხოლოდ ფრაგმენტულად იკითხება, რის გამოც იკონოგრაფიული პროგრამის სრული სახით აღდგენა შეუძლებელია და ცალკეულ გამოსახულებებზე მხოლოდ მიახლოებით შეიძლება მსჯელობა. განსაკუთრებით ძლიერი დაზიანება ჩრდილოეთ კედლის მხატვრობამ განიცადა.

საკურთხეველში იშლება წმ. ევქარისტიასთან დაკავშირებული სცენები, დასავლეთ კედელზე ღმთისმშობლის ცხოვრების აპოკრიფული ციკლის სცენები, ხოლო სამხრეთ და ჩრდილოეთ კედელთა ზედა ორი რეგისტრი „საუფლო დღესასწაულთა“ ციკლს ეთმობა, ქვედა რეგისტრი კი წმ. მეომრების, წმ. დედების, წმ. მეუდაბნოე მამების, წმ. მოწამეთა, წმ. მღვდელმთავართა და ქტიტორთა ცალკეულ ფიგურულ და ნახევარფიგურულ გამოსახულებებს.

საღვთო ისტორიის თხრობა ლიტურგიულ-ისტორიული თანმიმდევრობით დასავლეთ კედელზე ღმრთისმშობლის აპოკრიფული ცხოვრების სცენებით იწყება, შემდეგ მონაცვლეობით, საათის ისრის მიმართულებით სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლებზე გადადის და კვლავ დასავლეთ კედელზე „ღმრთისმშობლის მიძინების“ კომპოზიციით სრულდება.

სცენების ისტორიული თანმიმდევრობა მხოლოდ ერთ შემთხვევაში ირღვევა – მაცხოვრის „ჯვარცმის“ კომპოზიციის დასავლეთ კედელზე განთავსებით.

ორფეროვან – ლაჟვარდისფერ-მოლურჯო და მწვანე მიწის აღმნიშვნელ ფონზე გაშლილი სახარებისეული სცენები თუ ცალკეულ წმინდანთა გამოსახულებები თეორ კონტურებს შორის მოქცეული წითელი ფერის ჩარჩოთია შემოსაზღვრული.

სცენებისა და გამოსახულებების სახელმდები, თეორი საღებავით გამოყვანილი წარწერების უმეტესი ნაწილი ასომთავრულია, ნაწილი კი ბერძნული. შავი საღებავითაა შესრულებული წმინდანთა გრაგნილებზე გამოყვანილი ყველა ბერძნული წარწერა.

ბერძნული წარწერის შესრულებით მხატვარს თითქოს საგანგებოდ სურს ცალკეული სცენებისა თუ წმინდანების გამოყოფა და აქცენტირება (მაგ: საკურთხევლის კონქში, კამარაში, დასავლეთ კედელზე მაცხოვრის ჯვარცმისა და ღმრთისმშობლის მიძინების სცენებისა და

სამხრეთ კედელზე წმ. მამებისა).

ტაძარი ბაზილიკური ტიპისაა და მხატვარმა შესაბამისად გუმბათისათვის დამახასიათებელი იკონოგრაფიული პროგრამა ტაძრის კამარაში გადაიტანა.

მხატვრული ტრადიციის თანახმად XVI საუკუნის ძეგლებში გუმბათის კამარა ქრისტე ყოვლისმპყრობელის მკერდამდე გამოსახულებას ეთმობოდა, ხოლო გუმბათის ყელი ზეციური ძალებით მოცული ღმრთისმშობლისა და იოანე ნათლისმცემლის ფიგურებსა და წინასწარმეტყველებს.

ნეკრესის ტაძარში კამარა პილასტრის საშუალებით ორ ნაწილად იყოფა (სქემა. 1[1]). მთელ სიგრძეზე, გამოსახულებათა შორის კი საშუალო ზომის, ღვინისფერ სარჩულზე ნაცრისფერი კონტურით გამოყვანილი სტილიზებული მცენარეული ორნამენტის ზოლი მიუყვებოდა.

კამარის აღმოსავლეთ მონაკვეთში ცენტრალური ადგილი წითელი კონტურით შემოსაზღვრულ მედალიონში ჩაწერილ ქრისტე პანტოკრატორის გამოსახულებას ეთმობა, რომლისგანაც ამჟამად მხოლოდ ცალკეული უმნიშვნელო ფრაგმენტების გარჩევაა შესაძლებელი. მედალიონს შემოუყვებოდა ბერძნული წარწერა, რომლის მცირე ფრაგმენტი – „ΕΠΕΒΛΨΕ[V] “ „ჰხედვიდა...“ ნაწყვეტი ტექსტისა – „ზეცით ჰხედვიდა უფალი“ შემორჩა [ყაუხჩიშვილი 2009: 332]. მედალიონის ორსავე მხარეს, კამარის ჩრდილოეთ და სამხრეთ ქანობზე აქეთ-იქით ორ-ორი მთავარანგელოზი და მათ შორის თითო ქერუბიმი თუ სერაბიმი უნდა ყოფილიყო გამოსახული. ჩრდილოეთ ქანობზე მთავარანგელოზთა შარავანდი და მკერდზედა ნაწილი იკითხება, მათ შორის, ქვემოთ კი, ორი შიშველი ტერფი და ფრთების მცირე ფრაგმენტი. სამხრეთ ქანობზე ერთი მთავარანგელოზის შარავანდი და ქერუბიმისა თუ სერაბიმის ფრთებია დარჩენილი.

გუმბათის ყელისთვის დამახასიათებელი წინასწარმეტყველების გამოსახულებებიდან მხატვარმა წწ. დავითი – „ПРО ΔΔ“ ბემის თაღის მარჯვენა, წწ. მოსე – „ ω CHC“ [ყაუხჩიშვილი 2009: 331] კი, მარცხენა კალთაზე გამოსახა. ტაძრის სივრცეში, პილასტრებზეც, ჩვენი აზრით, წინასწარმეტყველები უნდა იყვნენ გამოსახულნი. იქ, ერთიმეორისადმი თავშექცევით გამოსახული ფიგურების მცირე ფრაგმენტებიღა შემორჩა და აღარც სახელმდები წარწერები იკითხება.

საკურთხევლის კონქში აღსაყდრებული ჩვილედი ღმრთისმშობელია გამოსახული მთავარანგელოზთა თანხლებით (სურ.1; სქემა. 2). ქვემოთ კი წმინდა ევქარისტიასთან დაკავშირებული – „ზეციური ლიტურგიისა“ და „ზიარების სცენები“ იშლება და ბემასაც მოიცავს.

ბემის თაღის ცენტრში ესაიასა და მალაქიას წინასწარმეტყველებებში განცხადებული მაცხოვრის წინასახე – „დიდისა ზრახვისა ანგელოზის“ გამოსახულებაა მოცემული, განმარტებითი ბერძნული წარწერით – „IC XC MANOΥΗ“ – „იესო ქრისტე ემანუელი“ [ყაუხჩიშვილი 2009: 331].

[1] სქემების შემსრულებელი ე. დათუნაშვილი.

გამოსახულება ნაწილობრივ გაფერმკრთალებულია. აღარ იკითხება მაცხოვრის სახის ნაკვთები, ფრთების ბოლოები და მარჯვენა ხელის მტევანი. კარგად განირჩევა მაცხოვრის ღვინისფერი ქიტონი და მოყვითალო ელფერის ჰიმატიონი.

იოანე ოქროპირის განმარტებით „დიდისა ზრახვისა ანგელოზი“ ეწოდების ძესა ღმრთისასა ყოველთა მათ სწავლათათვის რომელ ასწავა და პირველად, რომელ მამა უქადაგა კაცთა.“ [ჩიხლაძე, 2002,118-125].

მაცხოვრის ამგვარი იკონოგრაფიული ტიპი ბიზანტიაში, პალეოლოგოსთა ეპოქაში ყალიბდება. კედლის მხატვრობაში მისი პირველი გამოსახულება ოქრიდში, ღმრთისმშობელ პერილეპტას სახელობის ტაძარში გვხვდება (1295 წ). XIV საუკუნეში ეს გამოსახულება არ ჰპოვებს დიდ გავრცელებას, XVI საუკუნიდან კი მისადმი ინტერესი ძლიერდება და ფართოდ ვრცელდება, როგორც საბერძნეთში (ათონზე, მეტეორაში), ისე ბალკანეთში. [Луковникова 66-77].

საქართველოშიც XVI საუკუნის ძეგლებში „დიდისა ზრახვისა ანგელოზის“გამოსახულება გვხდება – ახალი შუამთის ტაძრის პასტოფორიუმში, გრემის ტაძრის საკურთხევლისა და სამხრეთ და ჩრდილოეთ კედელთა კონქებში, ხობის ღმრთისმშობლის ტაძრის ჩრდილოეთი მკლავის კამარის ცენტრალურ მონაკვეთზე. [ხუსკივაძე 2005: 261].

საკურთხევლის კონქში ტრადიციულად ღმრთისმშობლის დიდების კომპოზიცია იშლება. მდიდრულ ტახტზე აღსაყდრებული კვიპროსის ტიპის ჩვილედი ღმრთისმშობელი მთავარანგელოზთა თანხლებით წარმოგვიდგება (სურ.1).

ღმრთისმშობლის სახელმდები ბერძნული წარწერა თავის დონეზე ორივე მხარეს ნაწილდება – ΜΗΠ ΘΥ – „დედაᲲ ღმრთისაᲲ“[2]. აქვე იკითხება მთავარანგელოზთა თავს ზემოთ დატანილი სახელმდები წარწერებიც – ΑΡΧ [ΑΨΨΕΛΟζ] ΜΙΧΑΡΕΗΛ (მთავარანგელოზი მიქაელი), ΑΡΧ [ΑΨΨΕΛΟζ] ΓΑΒΡΙΛ (მთავარანგელოზი გაბრიელი) [ყაუხჩიშვილი 2009: 331].

ღმრთისმშობლისა და მაცხოვრის ფიგურები ტრადიციული სამოსით არის მოსილი. ორივე შემთხვევაში სამოსის ზედაპირს ოქროს ასისტი ეფინება.

ღმრთისმშობელს მარჯვენა მუხლთან მიდებული თეორი ფერის ხელსახოცი უჭირავს.

ლორატული სამოსით მოსილი მთავარანგელოზები გაშლილი გრაგნილებითა და კვერთხით ხელში წარმოგვიდგებიან. მარჯვნივ მდგომ, ფირუზისფერი ქიტონით შემოსილ გაბრიელ მთავარანგელოზის გრაგნილზე იკითხება ბერძნული წარწერის ხუთი სტრიქონი – „ΠΗΑΝCΙ | ΕΠ΄ ΑΞΕΙ| ΟΝΟΑΙ | ΥΥΜΕ |ΤΕΡΑ“ „სახელი შენი ჩვენო“. საგრძნობლად დაზიანებული, ღვინისფერი სამოსით მოსილ მიქაელ მთავარანგელოზის გრაგნილზე კი სამი სტრიქონი – „ΠΑΡΘΕ|ΟΚΑΙΜ|ΑΗΤΡΙΤ“ „ქალწულსა და დედასა (?ღმრთისასა)“ [ყაუხჩიშვილი 2009: 331].

---

[2] ი. პომიალოვსკის მიხედვით ღმრთისმშობელთან კიდევ ჩანდა ასოები. თუ ეს მართლაც ასე იყო თ. ყაუხჩიშვილის აზრით, აქ იქნებოდა ღმრთისმშობლის რომელიმე ეპითეტი, მაგ. – „მოწყალე“, მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდია [ყაუხჩიშვილი 2009: 331. შენ. 65].

მსგავსი გამოსახულება XVI საუკუნის კახეთის ყველა ტაძარს ამშვენებდა. ბერძნული ძეგლებიდან განსაკუთრებული მსგავსება კი მეტეორას მოხატულობასთან ვლინდება (სურ.3).

საკურთხევლის დანარჩენ ნაწილში ხაზგასმულია მსხვერპლის თემა, რომელსაც დაწყებული XIII საუკუნიდან, საკურთხევლის მოხატულობათა იდეურ პროგრამებში წამყვანი მნიშვნელობა ენიჭება.

„ზეციური ლიტურგი“-ის კომპოზიციის ცენტრში, სალხინებლის აქეთ-იქით მღვდელმთავრის სამოსით მოსილი მაცხოვრის ფიგურაა წარმოდგენილი.

აფსიდის მარცხენა მხარეს ანგელოზთა დასის მსვლელობა ბემის პილასტრიდან მაცხოვრისკენ მიემართება, მარჯვენა მხარეს კი საპირისპიროდ. აფსიდის მარცხენა არე ძლიერ არის დაზიანებული. ლორატული სამოსით მოსილ ბოლო ორ ანგელოზს ხელში ბარძიმი უჭირავს. ზოგიერთი ანგელოზის სამოსს მხრიდან ძირამდე მეწამულისფერ არშია მიჰყვება ბერძნული წარწერით – „ΑΓΙΟϹ ΟΡΟϹ ΑΓΙΟϹ ΟΡΟϹ“ (წმიდა არს, წმიდა არს). მარჯვენა მხარეს, შედარებით სრულად, მაცხოვრის ახლოს მდგომი სამი და ბემაზე გამოსახული ერთი ანგელოზის გამოსახულება შემორჩა. მაცხოვარს მის წინ თავმოდრეკით მდგომი ანგელოზის თავს ზემოთ, ფეშხუმზე დადებული ვარსკვლავი უჭირავს. ანგელოზთა დანარჩენი ფიგურები მაცხოვრისაკენ ზურგშექცევით, ბემისკენ მიემართება. პირველ მათგანს ხელში ბარძიმი უჭირავს, მომდევნოს კი ორი სამწერობელი. შემდეგი სამი ფიგურა, როგორც ჩანს, არდაგზე დასვენებულ მაცხოვარს მიაბრძანებდა. საკურთხევლის ბემაზე გამოსახულ, მსვლელობის დამასრულებელ ანგელოზს მარცხენა ხელში ბარძიმი, მარჯვენა ზეაღმართული ხელით კი დაფარნით გადაფარებული ბარძიმი უჭირავს.

ორი ნაწილისაგან შემდგარი „ზიარების“ კომპოზიცია სარკმლის აქეთ-იქით ნაწილდება. მარჯვნივ გამოსახულია „ზიარება პურით“, მარცხნივ კი „ზიარება ღვინით“. ორივე შემთხვევაში სალხინებლის ქვეშ მდგომი, მღვდელმთავრის სამოსით მოსილი მაცხოვარისაკენ ექვს-ექვსი მოციქული მიემართება.

კომპოზიცია საგრძნობლადაა დაზიანებული. აღარც სცენის თანმხლები ბერძნული წარწერები შეიმჩნევა [ყაუხჩიშვილი 2009: 331]. ქართულად შესრულებული ზოგიერთი მოციქულის სახელის გარჩევა კი ახლაც შესაძლებელია.

ი. პომიალოვსკის მოყვანილი აქვს მოციქულთა სახელმდები ბერძნული წარწერები. სისხლით ზიარების სცენაში – წმ. პეტრე, წმ. იოანე ღვთისმეტყველი, წმ. ლუკა, წმ. ანდრია, წმ. იაკობი, წმ. თომა. პურით ზიარების სცენაში კი – წმ. პავლე, წმ. მათე, წმ. მარკოზი, წმ. სიმონი, წმ. ბართლომე, წმ. ფილიპე. [ყაუხჩიშვილი 2009: 332] ამ უკანასკნელთაგან წმ. მათესა და წმ. ფილიპეს გარდა ყველა ფიგურა გაირჩევა თამხლები ასომთავრული წარწერებით – „ⲞⲨ (პავლე), „ⲤⲨⲘ“ (სიმონ), „ϪⲈⲔⲀⲢⲞⲘⲨ“ (ბართლომე).

სისხლით ზიარების სცენიდან ხუთი მოციქულის ფიგურა გაირჩევა, სახელმდები წარწერის რამდენიმე გრაფემა კი მეორე ფიგურასთან – „ⲞⲨ“.

ფრაგმენტულად იკითხება „პურით ზიარების“ სცენის განმარტებითი წარწერაც – „ⲆⲦⲚ.....ⲤⲆⲦⲄ. ⲚⲤⲚ : ⲈⲰ.... ⲒⲨ.....ⲆⲦ “

საკურთხევლის სარკმლის წირთხლებს თითო ექვსფრთედის გამოსახულება ამშვენებს, კვერთხით ხელში.

ქვედა რეგისტრი, ტრადიციულად, მღდელმთავართა გამოსახულებებს ეთმობა. ამჟამად, მხოლოდ საკურთხევლის მარცხენა მონაკვეთში არსებული სამი მღვდელმთავრის ფრაგმენტული ფიგურა და ერთი მათგანის სახელმდები ასომთავრული წარწერის რამდენიმე გრაფემა გაირჩევა. ამ პერიოდის სხვა ძეგლთა მსგავსად, შესაძლოა აქაც „მსხვერპლის თაყვანისცემა“ ყოფილიყო გამოსახული.

დამასრულებელი რეგისტრის ფრაგმენტი მხოლოდ საკურთხეველში შემორჩა. დეკორატიული „ქსოვილის“ ფარდა. გ. გაგარინის ჩანახატის მიხედვით, ტაძრის მთელ ინტერიერს შემოუყვებოდა [Gagarine 1847:Pl. XLVIII].

საღვთო-ისტორიული სცენების თხრობა, როგორც აღვნიშნეთ დასავლეთი კედლის ქვედა რეგისტრში, ერთიმეორის გვერდით განთავსებული ღმრთისმშობლის აპოკრიფული ცხოვრების ორი – „ღმრთისმშობლის შობისა“ და „ღმრთისმშობლის ტაძრად მიყვანების“ სცენებით იწყება (სურ. 2; სქემა. 3).

„ღმრთისმშობლის შობის“ სცენის უმეტესი ნაწილი გაფერმკრთალებულია, ნაწილი კი წარხოცილი. შედარებით სრულად სცენის მარჯვენა მხარეს, უკანა პლანზე არსებული მხატვრობა შემორჩა. მიუხედავად ამისა, კონტურის დონეზე თითქმის ყველა დეტალის აღდგენაა შესაძლებელი.

კომპოზიცია ნაგებობათა ფონზე იშლება. ცენტრში მეწამულისფერ, ზურგშემაღლებულ სარეცელზე ნახევრად წამომჯდარი წმინდა ანას გაფერმკრთალებული ფიგურა, მოვადისფრო სტოლათი და მეწამულისფერი მაფორიუმითაა მოსილი. სარეცლის უკან, მარჯვენა მხარეს ძღვნის მაგიდაა გამოსახული, მის უკან კი წმ. ანასკენ მიმართული სამი მსახურისა თუ მესაჩუქრე ქალის ფიგურა.

წმ. ანას ახლოს მდგომ, თეთრი კაბით მოსილ მსახურს მარცხენა ხელი მისკენ გაუწვდია, მის უკან მდგომი, მუქი ღვინისფერი კაბით მოსილი კი, ოქროსფერ ჭურჭლის მსგავს ძღვენს მიართმევს. ოდნავ მოშორებით, წინ გაწვდილი მარჯვენა ხელითა და მარცხენა ხელში ოქროსფერი დოქით გამოსახული ფიგურაა მოცემული.

წმ. ანას სარეცლის ქვედა კიდესთან ჩვილის განბანვის სცენიდან ამჟამად დაბალ სკამზე ჩამომჯდარი, წითელი კაბით მოსილი მხევალი და მის წინ სავარაუდოდ, ემბაზის მკრთალი მონახაზი განირჩევა.

კომპოზიციის მარჯვენა მხარეს, წმ. ანას სარეცლის უკან შემორჩენილი ფიგურის შარავანდისა და მწვანე ჰიმატიონის მცირე ნაშთი აქ წმ. იოაკიმეს გამოსახულების არსებობას გვაფიქრებნებს.

წმ. იოაკიმესა და ძღვნის მაგიდის გამოსახვის ტრადიცია XIV ს-ის შემდეგ დამკვიდრდა. ეს ორი იკონოგრაფიული მოტივი გვხვდება მაგალითად ზარზმის მოხატულობაში, უბისის კარედ ხატზე, ათონურ მხატვრობაში კი „ღმრთისმშობლის ტაძრად“ მიყვანების სცენა ტრადიციული იკონოგრაფიითაა წარმოდგენილი, სადაც მღვდელმთავარ ზაქა-

რიას მიერ მარიამის კურთხევის ძირითად კომპოზიციას ანგელოზის ხელიდან მარიამის დაპურების ეპიზოდიც ერთვის.

ძირითადი სცენა არქიტექტურული კულისების ფონზე იშლება. კომპოზიციის ცენტრში სალხინებლის წინ მდგომი წმ. ანა და წმ. იაკობი ყრმა ღმრთისმშობელს მარცხენა მხარეს მდგომ წმ. ზაქარია მღვდელმთავარს წარუდგენენ, რომელიც ღმრთისმშობელისაკენ გადახრილი მას გაწვდილი ხელებით ეგებება. ცალი ფეხი იმ ოთხკუთხა სადგარს ეყრდნობა, რომელზეც მარიამი დგას. იგი კოჭებამდე სიგრძის ლურჯი ფერის, ქობაზე ოქროსფერი საოლველით დამშვენებული ფესვედითაა მოსილი, რომლის ზემოთაც მუხლამდე სიგრძის მეწამულისფერი სამოსი მოსავს. მხრებზე მოსხმული ოქროსფერი საოლველით დამშვენებული წითელი ფერის მანტია მკერდზე ფიბულითაა შეკრული. თავზე წინასწარმეტყველთათვის დამახასიათებელი მცირე ზომის წითელი ქუდი ახურავს.

წმ. ზაქარია მღვდელმთავრის უკან წმიდა წმიდათაში აღმავალი კიბე მოჩანს, რომლის ზედა საფეხურზე დაბრძანებულია მისი დამპურებელი ანგელოზისკენ ხელგაწვდილი მარიამი.

წმ. იოაკიმესა და წმ. ანას უკან გოგონების ჯგუფი მოჩანს სანთლებით ხელში. იოაკიმეს უკან მდგომი გოგონა თეთრი სამოსით გამოირჩევა, მის უკან, წინა პლანზე მდგომთ კი მწვანე და მეწამულისფერი სამოსი მოსავთ. უკანა პლანზე, რამოდენიმე რიგად განთავსებული გოგონების მხოლოდ თავები მოჩანს. მათ თავებს ზემოთ, ლაჟვარდისფერ ფონზე დატანილი კომპოზიციის განმარტებითი ასომთავრული წარწერა ნაწილობრივ იკითხება: „ᲔᲭ. Ტ : ᲠᲝᲡᲦ..... Ꭱ /+ᲑᲬᲦᲡᲠ...“

ეს კომპოზიცია დიდ მსგავსებას ავლენს მეტეორას ტაძარში არსებულ „ღმრთისმშობლის ტაძრად მიყვანების“ სცენასთან. მსგავსება ფაქტიურად ყველა დეტალში ვლინდება.

სახარებისეული სცენების თხრობა სამხრეთი კედლის აღმოსავლეთი ნაწილის ზედა რეგისტრში „ხარების“ სცენით გრძელდება (სქემა.4).

ხარების კომპოზიციას საგრძნობლად მცირე ადგილი ეთმობა. მარჯვენა მხარეს შემორჩენილი არქიტექტურული კულისების ფონზე გამოსახულია თავმოდრეკილი ქალწული მარიამის მკერდსზედა ფიგურა, მის წინ მოძრაობაში კი, მახარებლის მუხლს ქვედა ნაწილი – ჰიმატიონის ფრაგმენტები და ლურჯი ქიტონის ძირი.

„ხარებ“-ის სცენა საქართველოში ადრეულ შუასაუკუნეებშივე მხოლოდ ერთიანი კომპოზიციის სახით გამოისახებოდა. XIV საუკუნიდან კი საკურთხევლის აფსიდის მიმდებარე კედლებზე ნაწილდებოდა. მაგ. წალენჯიხის მხატვრობაში. კომპოზიციის მსგავსი განაწილება ძირითადად ათონური მოხატულობისთვისაა დამახასიათებელი. ნეკრესში ტაძრის არქიტექტურიდან გამომდინარე ხარების სცენის საკურთხევლის პილასტრებზე განთავსება შეუძლებელი იყო, რის გამოც მხატვარმა იგი ერთიანი კომპოზიციის სახით საკურთხევლთან ახლოს განათავსა.

ნეკრესის თანადროულ ძეგლებში მსგავსი სახით ეს სცენა წარმოდგენილია ალვანში, გელათის მთავარ ტაძარში, მატანის დარბაზულ ეკლესიასა და ანანაურში.

„შობის“ კომპოზიციას შედარებით დიდი ადგილი ეთმობა. მას ერთის მხრივ, სარკმელი არღვევს, მეორე მხრივ კი, პილასტრი. მხატვრობის უმეტესი ნაწილი ბათქაშიანადაა ჩამოცვენილი, ნაწილი კი გაფერმკრთალებულია.

კლდოვანი მთების ფონზე წაგრძელებული მართკუთხედი ფორმის ბაგაში მწოლიარე სახვევებში გახვეული ჩვილი მაცხოვრის ფიგურა განირჩევა. მის წინ კი, ღმთისმშობლის მეწამულისფერი სარეცლის მცირე მონაკვეთი და ღმრთისმშობლის შარავანდის მოხაზულობა.

მარცხენა ზედა კუთხეში ერთმანეთის უკან მდგომი შარავანდმოსილი ხუთი ანგელოზის ფიგურა უნდა ყოფილიყო გამოსახული, რომელთაგანაც ორს ხელები წინ აქვს გაწვდილი.

კომპოზიციის მარცხენა კიდესთან ბუნების პეიზაჟი – კლდოვანი მთის კალთა და მცენარეები შეინიშნება. მარჯვენა ქვედა კუთხეში, სარკმლის გვერდით და პილასტრის ქვემოთ დარჩენილი მცირე ადგილი მაცხოვრის განბანვის სცენას ეთმობა. განბანვის ეპიზოდში ორი ქალი მონაწილეობს. მარჯვნივ მჯდომ, სალომეას ჩვილი კალთაში უზის, მარჯვენა ხელი კი წყალში აქვს. იგი თეთრი უმკლავებო კაბითა და მეწამულისფერი მოსასხამითაა მოსილი. მის წინ მოწითალო კაბით მოსილი, ფეხზე მდგომი ფიგურა კი წყალს ასხამს ემბაზში.

მომდევნო ორ – მირქმისა და ნათლისღების კომპოზიციას ერთმანეთისგან სარკმელი გამოყოფს.

„მირქმის“ კომპოზიციის არსებობაზე რამდენიმე გადარჩენილი ფრაგმენტი მიგვითითებს. შედარებით სრულად მარჯვენა კიდესთან სვიმეონ მიმრქმელის მეწამულისფერი ნაოჭაყრილი სამოსით მოსილი ფიგურა განირჩევა წინ გაწვდილი ხელებით.

წელში ოდნავ მოხრილი მოხუცი სვიმეონის თავის არე სრულიად წარხოცილია. ხელები პალიუმით აქვს დაფარული. სავარაუდოდ, ხელში ჩვილი მაცხოვარი უნდა სჭეროდა, ისე როგორც მის თანადროულ ძეგლებში (ხაშმი, გრემი).

იოსების წინ ტრადიციულად მდგომი ღმრთისმშობლის გამოსახულებიდან მხოლოდ ლურჯი სტოლის ძირის მცირე ნაწილი შემორჩა. მის უკან, ოდნავ მოშორებით მდგომი კიდევ ერთი ფიგურის, ნაოჭაყრილი, აფრიალებული მეწამულისფერი სამოსის ცალკეული ფრაგმენტები განირჩევა. რთულია იმის თქმა, იყო თუ არა ღმრთისმშობელსა და იოსებს შორის ანა წინასწარმეტყველის ფიგურა გამოსახული, ისე, როგორც ეს მის თანადროული ძეგლებისთვის (ხაშმი, გრემი) იყო დამახასიათებელი.

ფიგურათა შორის და კომპოზიციის მარცხენა კუთხესთან არქიტექტურული ფონის მცირე ფრაგმენტებიც ჩანს.

მომდევნო „ნათისღების“ კომპოზიცია სამხრეთ კედლის დასავლეთ მონაკვეთში, სარკმელსა და პილასტრს შორის არეზე იშლება.

კომპოზიციის ცენტრალური ღერძიდან ოდნავ მარცხნივ გამოსახულია კლდის დატეხილ კლდოვან ნაპირებს შორის მოქცეულ მდინარე იორდანეში მდგომი მაცხოვარი, მის თავს ზემოთ ცის გახსნილი ოთხკუთხედი სეგმენტიდან გადმოსული ვერტიკალურად დაშვებული სხივით. სცენის მარცხნივ, კლდის შემაღლებულ ფერდობზე მდგომი

იოანე ნათლისმცემელი მაცხოვრისკენ საგრძნობლადაა გადახრილი და მის თავს ზემოთ მარჯვენა ხელი კურთხევად მიუმართავს. მოპირდაპირე მხარეს კი მაცხოვრისკენ მიმართული ანგელოზთა გუნდია გამოსახული. ოთხი, ერთიმეორის უკან მდგომი ანგელოზისგან ამჟამად სამი გაირჩევა, ერთის კი მხოლოდ შარავანდის მონახაზი. ტრადიციულად, ყველაზე მაღლა მდგომი ანგელოზი ზემოთ, გახსნილი ცის სეგმენტისკენ, დანარჩენები კი მაცხოვრისაკენ იყურებიან.

XIV-XVII სს-ის მოხატულობებში ანგელოზთა რიცხვი ხუთამდე და ზოგჯერ ექვსამდეც იზრდება. ოთხი ანგელოზია გამოსახული ხაშმის, ახალი შუამთისა და მეტეორას ტაძრებშიც.

დაზიანებათა გამო გაურკვეველია იყო თუ არა გამოსახული წყლის პერსონიფიკაციები.

აღსანიშნავია, რომ ამ დროის ათონურ მოხატულობებში ნათლისღების სცენა უფრო გავრცობილი რედაქციით გადმოიცემა.

საუფლო ციკლის მომდევნო „ფერისცვალების“ კომპოზიცია აღარსად განირჩევა. თ. ყაუხჩიშვილის მიხედვით, კამარის დასავლეთ ნაწილის ცენტრში შემორჩენილი მედალიონის ფრაგმენტზე ბერძნული წარწერა – „ფერისცვალება“ იკითხება [ყაუხჩიშვილი 2009: 332]. მედალიონის ახლოს, კამარის სამხრეთ ქანობის ზედა მონაკვეთში, შარავანდის ნაწილი, თმისა და კვერთხის მცირე ფრაგმენტი შემორჩა, მარჯვნივ, ქვედა კიდესთან კი ლორატული სამოსის ოქროსფერი არშიით მოოლვილი ქობა. შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით აქ კამარის აღმოსავლეთი მონაკვეთის მსგავსად ანგელოზები უნდა ყოფილყვნენ გამოსახულნი, შესაბამისად შემორჩენილი წარწერის ფრაგმენტი მცირე ამონარიდია თავდაპირველად არსებული ტექსტისა და არა ფერისცვლების კომპოზიციის სახელმდები წარწერისა.

„ფერისცვალება“, შესაძლოა, ჩრდილოეთი კედლის ზედა რეგისტრში, ამჟამად სრულიად წარხოცილ არეზე ყოფილიყო გამოსახული. აღარც მის გვერდით არეზე არსებული უმნიშვნელო ფრაგმენტები იძლევა კომპოზიციის აღდგენის შესაძლებლობას.

მომდევნო სცენის უდიდესი ნაწილიც წარხოცილია, მაგრამ მარჯვენა კიდესთან შემორჩენილი მცირე ფრაგმენტი – ღია სარკოფაგში მდგომი შეგრაგნილი ფიგურის ნაწილი და გვერდით მიდებული სარკოფაგის სახურავის ფილა, აქ „ლაზარეს აღდგინების“ კომპოზიციაზე მიგვანიშნებს.

მომდევნო სცენა ისტორიული თანმიმდევრობით „იერუსალიმში შესვლას“ უნდა ასახავდეს. ყველაზე მკვეთრად ზედა კიდესთან არსებული კლდოვანი მთების, გუმბათიანი შენობისა და გალავნის ფრაგმენტი გაირჩევა, ქვემოთ ცენტრში კი ბალახოვანი საფარის ფრაგმენტი, მეწამულისფერი მონასმი და ორი ფიგურის ტერფისა და სამოსის მცირე ნაწილი. მეწამულისფერი ლაქოვანი მონასმი მაცხოვრის წინ დაფენილ სამოსის არსებობას გვაფიქრებინებს.

თხრობა კვლავ სამხრეთ კედელზე „საიდუმლო სერობ“-ის სცენით გრძელდება. ნეკრესის თანადროულ ძეგლებში, მაგალითად გრემში, შუამთასა და მატანის მთავარ ეკლესიაში ეს სცენა, XVI საუკუნეში არსებული ტრადიციისამებრ საკურთხეველშია განთავსებული. ნეკრე-

სის მხატვარმა ეს სცენა „ხარების“ კომპოზიციის მსგავსად, საკურთხევლის სიმცირის გამო, მის სიახლოვეს განათავსა.

კომპოზიცია არქიტექტურული კულისების ფონზე იშლება. ოვალური ფორმის ტრაპეზის მარჯვენა კიდესთან, შემაღლებულ ტახტზე მაცხოვარია დაბრძანებული, მაგიდის ირგვლივ კი მოციქულებს მოუყრიათ თავი. მაცხოვრის გვერდით იოანე ღვთისმეტყველია გამოსახული. იუდა კი მთელი სხეულით, ქრისტესთან ახლოს მდგარი დიდი ზომის ოქროსფერი ჭურჭლის ასაღებად გადახრილა. დანარჩენი ფიგურები ორ-ორადაა დაწყვილებული და თითქოს ერთმანეთს ესაუბრებიან. თითქოსდა მხატვარმა მაცხოვრის მიერ წარმოთქმული სიტყვების – „ამენ გეტყვით თქვენ: ერთმან თქუენგანმან მიმცეს მე“ (მათ.26,21; მრკ.14,18; იოან. 13,21) შემდგომი მომენტი ასახა.

მსგავსი ტიპის კომპოზია გვხვდება სტავრონიკიტას მოხატულობაში. [www.sankire.narod.ru]

მომდევნო სცენა „იუდას ამბორს“ ასახავს. კომპოზიციის ცენტრში მეწამულისფერი ქიტონითა და თეთრი ჰიმატიონით მოსილ მაცხოვარს იუდა ეამბორება. მათ ირგვლივ უამრავ ხალხს მოუყრია თავი. ზოგ მათგანს ხმლები მოუმართავთ. მაცხოვის მარცხნივ კი პეტრე მოციქულის მიერ ყურის მოკვეთის ეპიზოდია ასახული. მსგავსი სიუჟეტი გვხვდება სტავრონიკიტას მოხატულობაში [www.sankire.narod.ru].

შემდეგი – „ჯვარცმის“ სცენა მხატვარმა საგანგებოდ დასავლეთი კედლის ზედა რეგისტრში გამოსახა. ამ კომპოზიციამაც საგრძნობლად ნაკლული სახით მოაღწია ჩვენამდე, თუმცა სრული სურათის აღდგენა მეტნაკლებად მაინც შესაძლებელია (სურ. 2).

ჯვარცმული მაცხოვარი ავაზაკების თანხლებით არის წარმოდგენილი. ცენტრალური ღერძიდან ოდნავ მარჯვნივ ჯვარცმული მაცხოვრის თეძოსზედა არე და მიმსჭვალული ტერფები განირჩევა ფეხთფიცართან და ჯვრის ძირთან ერთად. მაცხოვრის აქეთ-იქით გამოსახულ ჯვარცმულ ავაზაკებს ხელები ჯვრის უკან აქვთ შეკრული. მათი გამოსახულებებიც ფრაგმენტულად შემორჩა. მარჯვენა ავაზაკის ქვედატანი, მეორისა კი თეძოსზედა ნაწილი.

მაცხოვრის მარჯვენა მხარეს ღმრთისმშობლისა და მის უკან მდგომი წმინდა დედის ორი ფრაგმენტული ფიგურა განირჩევა, მოპირდაპირე მხარეს კი – მწუხარე იოანე ღვთისმეტყველისა და ლონგინოზის ფიგურები. იოანე ღვთისმეტყველის შარავანდს ზემოთ სახელმდები წარწერის ორი გრაფემა იკითხება –„Ιω“ იოანე (ღვთისმეტყველი) [ყაუხჩიშვილი 2009: 333]

მაცხოვრის ჯვრის ძირში ადამის თავისქალის გაფერმკრთალებული მონახაზი მოჩანს.

ჯვარცმის სცენა იკონოგრაფიულად ადრეული ხანის სირიულ-პალესტინური ტრადიციისთვის დამახასიათებელ დეტალს შეიცავს. გ. დე ჟერფანიონის მიხედვით, ავაზაკების ჯვრის მკლავებს უკან გადაწეული ხელებით გამოსახვა ადრეული ხანის ნიმუშებისთვისაა დამახასიათებელი [G.de Jerphanion 1932: 288]. საქართველოში მსგავსი სახის ადრეული გამოსახულება გვხვდება საბერეების V ეკლესიის სამხრეთით გამოკვეთილი სამლოცველოს მოხატულობაში (IXს) [სხირტლაძე

1985: 27], თუმცა კი ასეთი სახის გამოსახულება, როგორც ჩანს, კვლავ იჩენს თავს XVI საუკუნის ათონური წრის ძეგლებში. მსგავსი გამოსახულება მოცემულია ათონის მთის ლავრის, პანტოკრატორისა და სტავრონიკიტას მოხატულობებში [www.sankire.narod.ru].

ჯვარცმის შემდეგ თხრობა კვლავ სამხრეთი კედლის მეორე რეგისტრში „მაცხოვრის საფლავად დადების“ კომპოზიციით გრძელდება.

კომპოზიციის ცენტრში აღმართული ჯვრის წინ ღვინისფერ „მარმარილოს“ ქვაზე გარდაცვლილი მაცხოვრის სხეულია დასვენებული. სხეული მოკლე არდაგითაა შემოსილი. მაცხოვარს თავთან ღმრთისმშობელი უზის. იქვე, ქვის მეორე მხარეს, კდოვანი მთის ფონზე ორი მწუხარე ქალის ფიგურაა გამოსახული. ერთს ხელები ზეცისკენ აღუპყრია, მეორეს კი, ორივე ხელი სახესთან აქვს მიტანილი. სახის არის დაზიანების მიუხედავად, მისი ფიგურა ძალზე ემოციურია და დრამატიზმითაა აღსავსე. მაცხოვარს მარცხენა ხელზე იოანე ღვთისმეტყველი ეამბორება, მის ფეხთით წვეროსანი მამაკაცის ფიგურა განირჩევა, სავარაუდოდ იოსებ არიმათიელისა. უკანა პლანზე არქიტექტურის ფონზე კიდევ ორი ფიგურის სილუეტი იკვეთება. „დატირების“ კომპოზიცია გრემის მოხატულობაშიც შემორჩა. ათონურ ძეგლთაგან დიდი მსგავსება ვლინდება ლავრის [Millet. G 1916:Fig. 560] მოხატულობაში.

შემდეგი სცენიდან – „მენელსაცხებლე დედანი მაცხოვრის საფლავთან“ მხოლოდ ერთი ნაწილი შემორჩა. კომპოზიციის ცენტრში სარკოფაგის ფილაზე ჩამომჯდარი ანგელოზი ღია ოქრისფერი ქიტონითა და თეთრი ჰიმატიონითაა მოსილი. მარცხენა ხელში კვერთხი უპყრია, მარჯვენათი კი მაცხოვრის ცარიელ საფლავზე მიუთითებს. კლდოვან გამოქვაბულში მართკუთხედი ფორმის სარკოფაგი მოჩანს, უფლის არმენაკითა და თავსახვევით.

საფლავის გამოსახულების სარკოფაგის გამოსახულებით შეცვლა და სარკოფაგის სახურავზე მჯდომი ანგელოზის გამოსახვა XIV საუკუნიდან მკვიდრდება დასავლეთის იკონოგრაფიის გავლენით [Millet 1916: 517; 529-530].

კომპოზიციის შემორჩენილი ფრაგმენტი სიახლოვეს ხაშმისა და მეტეორას ტაძრის გამოსახულებებთან ავლენს [Xadzidakis 1990:].

საუფლო დღესასწაულთა ციკლის მომდევნო სცენები ჩრდილოეთი კედლის მეორე რეგისტრზე გრძელდება (სქემა.5). ერთიმეორის გვერდით ოთხი სცენა – „ჯოჯოხეთის წარმოტყვევნა“, „თომას რწმუნება“, „ამაღლება“ და „სულიწმიდის მოფენაა“ გამოსახული.

„ჯოჯოხეთის წარმოტყვევნის“ შესახებ მხოლოდ ნიკოდიმეს აპოკრიფული სახარება მოგვითხრობს.

მრავალფიგურიანი კომპოზიციის ცენტრს კლდოვანი მთის ნაპირებს შორის მოქცეული ჯოჯოხეთის ჩამუქებული უფსკრული წარმოადგენს. უფსკრულზე დიაგონალურად გადებულ ჯოჯოხეთის დამსხვრეულ კარიბჭეზე მდგომი ნათებით მოცული მაცხოვარია გამოსახული. მისი მეწამულისფერი ქიტონისა და ლურჯი სტოლას ზედაპირი ოქროსფერი ასისტითაა დამუშავებული.

„ჯოჯოხეთის“ მარჯვენა მხარეს, მართალთა შარავანდმოსილი ფიგურების ჯგუფია წარმოდგენილი, მარცხნივ კი ცოდვილთა.

უფსკრულში აქეთ-იქით თითო სარკოფაგია გამოსახული,მათ შორის გულაღმა მწოლიარე სატანა განირჩევა. ფერადოვანი ფენის გაფერკრთალების გამო აღარ იკითხება კომპოზიციისათვის აუცილებელი ისეთი დეტალები,როგორიცაა მიმოფანტული ჯოჯოხეთის კარიბჭის სამაგრები და გასაღები.

ცოდვილთა ჯგუფისკენ ოდნავ გადახრილ მაცხოვარს მარჯვენა ხელი უფსკრულის გადაღმა მდგომი ადამისთვის ჩაუვლია, რომელიც ცალ მუხლზეა დაყრდნობილი და თითქოს წამოდგომას ცდილობს. მაცხოვრის მარცხენა ხელი აღარ გაირჩევა. ნ. ჩიხლაძე მის ხელში გრაგნილს ასახელებს [ჩიხლაძე 19 :75] ადამის გვერდით მაცხოვრისკენ ხელგაწვდილი,წითელის ჰიმატიონით მოსილი ევა დგას. მის უკან ექვსკაციანი ჯგუფია.

„ჯოჯოხეთს წარმოტყვევნის“ კომპოზიცია XVI საუკუნის თითქმის ყველა ძეგლზე გვხვდება,ადრეული პერიოდისაგან განსხვავებული დეტალებით. მაგალითად, თანადროულ ძეგლებში თითქმის ყველგან მაცხოვარს ხელში ძლევის ჯვრის ნაცვლად გრაგნილი უპყრია (ბიჭვინთის ეკვდერი,გელათის მთავარი ტაძარი). ადამისა და ევას ფიგურები სარკოფაგების ნაცვლად კლდის ნაპირზე ცოდვილთა ჯგუფის წინ გამოისახება,ცარიელი სარკოფაგები კი „ჯოჯოხეთის“ უფსკრულში.

მომდევნო – „თომას რწმუნების“ სცენა ტრადიციული იკონოგრაფიული სქემითაა გადმოცემული, რომელსაც ადრეული პერიოდისაგან განსხვავებით მნიშვნელოვანი ცვლილებები არ განუცდია.

კომპოზიციის ცენტრში, დახშული კარიბჭის წინ, საფეხუროვან შემაღლებაზე მდგომი მაცხოვარია გამოსახული მარჯვენა,განზე გაწვდილი ზეაღმართული ხელით. მის ორსავე მხარეს არქიტექტურული კულისების ფონზე მოციქულთა ჯგუფი ნაწილდება. მარცხენა ჯგუფიდან გამოიყოფა ქრისტესკენ ფეხგადადგმული თომას ფიგურა, რომელსაც მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი მაცხოვრის ფერდთან აქვს მიტანილი. თომა მოციქულის ლურჯი ქიტონისა და აგურისფერი ჰიმატიონის ზედაპირი, სხვებისგან განხვავებით, უხვადაა დაფერილი თეორას მონასმებით.

ლევან მეფის პერიოდის ძეგლებზე მსგავსი კომპოზიცია ხაშმში, ალვანსა და გრემში შემოგვრჩა. ბერძნულ ძეგლებშიც მსგავსი სქემა მეორდება (მაგ: მეტეორა).

„ამაღლების“ კომპოზიცია სახარებისეულ თხრობას ეფუძნება და მუქი ლურჯი ცისა და კლდოვანი მთების ფონზე იშლება. კომპოზიციის ცენტრში წრიულ მანდორლაში მაცხოვარს ორი ანგელოზი ამაღლებს. ქვემოთ,დატეხილი კლდოვანი მთების სახით გადმოცემული ელეონის მთის ფონზე მოციქულებით გარემოცული ღმრთისმშობელი წარმოგვიდგება. ცენტრში მდგომ ღმრთისმშობელს მარჯვენა ხელი ვედრებად მიუმართავს, მარცხენა ხელს კი მაფორიუმი უფარავს. მის უკან მარჯვენა ხელში კვერთხითა და მაცხოვრისკენ მიმანიშნებელი ზეაწეული მარცხენათი ორი ანგელოზია გამოსახული.

მოციქულთა უშარავანდო ფიგურები სხვადასხვა პოზაში წარმოგვიდგებიან. ზოგი მათგანი ზეაწეული თავებითა და მაცხოვრისკენ მიმანიშნებელი ხელით გამოისახება, ზოგი კი გვერდზე მდგომისკენ

მიმართული მზერით.

XVI საუკუნის ძეგლებში „ამაღლების“ კომპოზიცია ტრადიციულად „ათორმეტ დღესასწაულთა ციკლშია ჩართული და არ გამოიყოფა საუფლო ციკლის ძირითადი სცენებისაგან. მსგავსი კომპოზიცია გვხდება ახალი შუამთის, ალვანისა და მატანის დარბაზულ ეკლესიში.

„სულიწმიდის მოფენის“ კომპოზიცია საგრძნობლადაა დაზიანებული. ნახევარწრიულ ტრიკლინიუმში მჯდომი თორმეტი მოციქულის გამოსახულება არქიტექტურის ფონზე იშლება. კომპოზიციის ერთგვარი მომაჩარჩოებელია კიდეებში აზიდული ვიწრო სწორკუთხა ნაგებობა, მაღალი სარკმლით.

მოციქულთა მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები გაირჩევა. ტრიკლინიუმის ქვეშ, ცენტრში გვიანი შუასაუკუნეების ბიზანტიური ტრადიციის მიხედვით, გვირგვინოსანი მოხუცის „კოსმოსის“ გამოსახულებაა ნაჩვენები, რომელსაც გაშლილი ხელებით ქსოვილში ჩალაგებული თორმეტი გრაგნილი უჭირავს.

ლევან მეფის პერიოდის ძეგლებში მსგავსი კომპოზიცია ალვანში, ათონურ მხატვრობაში კი, პროტატონის მოხატულობაში მოგვეპოვება.

ათორმეტ დღესასწაულთა რიგის დამასრულებელ „ღმრთისმშობლის მიძინების“ კომპოზიციას მხატვარი ტრადიციულად დასავლეთ კედელზე წარმოგვიდგენს და როგორც ტაძრის სახელმდებ სცენას, ტაძრის სივრცეში საგანგებოდ ყველაზე დიდ ადგილს უთმობს.

ფერადოვანი ფენა ნაწილობრივ წარხოცილია. დაზიანებამ ძირითადად გვერდითა კიდეები მოიცვა. კომპოზიცია ვრცელი რედაქციით არის წამოდგენილი. ტრადიციულ იკონოგრაფიას „იოფანიას დასჯის“ ეპიზოდიც ერთვის, რაც XIII საუკუნის შემდგომი ძეგლებისთვისაა დამახასიათებელი.

საუფლო სცენის განმარტებითი ბერძნული წარწერა – „ІНКОІМ НСІС ТНС“ „ღმრთისმშობლის მიძინება“ – კომპოზიციის ცენტრში, მანდორლაში გამოსახული მაცხორის აქეთ-იქით ნაწილდება. მას მკერდის გასწვრივ, სახვევებში გამოკრული ღმრთისმშობლის „ჩვილი“ სულის გამოსახულება უპყრია და მზერა მდიდრულ, მეწამულისფერ სარეცელზე დასვენებული ღმრთისმშობელსკენ მიუმართავს. მაცხოვრის თავს ზემოთ სერაბიმი, აქეთ-იქით კი ორ-ორი ანგელოზია განთავსებული.

ღმრთისმშობლის თავთან და ფეხთით წმ. მოციქულები, წმ. დედები და მღვდელმთავარები – წმ. იაკობი და წმ. დიონისე არეოპაგელი არიან გამოსახულნი. ყველა ფიგურა ღმრთისმშობლისკენ არის მიმართული. მაცხოვრის წინ, აქეთ-იქით და ღმრთისმშობლის ფეხთით თითო თავმოდრეკილი მოციქულია წარმოდგენილი. თავთან პეტრე მოციქული უკმევს. აქვე მდგომი მღვდელმთავრის გადაშლილი წიგნის თითოეულ გვერდზე იკითხება ხუთ სტრიქონიანი ბერძნული წარწერა – „ΟΙΝ|ΠΗΟ|ΝΟΟ|ΠΜΙ|ΟΠ |ΟΝΝΨ|ΝΜ ( ) Ι|ΝΜΠ|Α |ΟΜΠ...“ „რომელი სვამს ღვინოს, ხოლო რომელი არ სვამს, აწ... “ [ყაუხჩიშვილი 2009: 333][3].

ღმრთისმშობლის სარეცლის ფარდაგს მთელ სიგანეზე გასდევს

[3] თ. ყაუხჩიშვილის მიხედვით წაკითხვა საეჭვოა.

ერთსტრიქონიანი, ორ ადგილას შეწყვეტილი ბერძნული წარწერა – „ΔΗΟΓΙ|ΙΠΓΟΓΟΗΝΚΚΟΟΙΛ|ΠΟΨΙΨΨΚΟΧΟΝΟΓΝΨΨΧΧ“. თ. ყაუხჩიშლის მიხედვით, წარწერა არ იშიფრება და შესაძლოა ერთგვარი ორნამენტის ფუნქციას ასრულებდეს [ყაუხჩიშვილი 2009: 333].

სარეცლის წინ, ცენტრში ოქროსფერ სადგამზე ოქროსფერი ბარძიმის მსგავსი დიდი ზომის ჭურჭელია განთავსებული, მის აქეთ-იქით კი თითო მაღალი შანდალია დანთებული კელაპტრით, რომელიც აპოკრიფული გადმოცემის თანახმად, თავად ღმრთისმშობელმა აანთო მიცვალების უწყების ჟამს. კელაპტრის გამოსახვა XIV საუკუნის შემდგომ გვხვდება. ბარძიმსა და შანდლებს შორის „იოფანიას დასჯის“ ეპიზოდია გადმოცემული.

თანადროულ ძეგლებში „იოფანიას დასჯის“ ეპიზოდი მოცემულია ალვანში, ბერძნული ძეგლებიდან კი მეტეორას და სტავრონიკიტას ტაძარში [www.sankire.narod.ru]. მსგავსება ამ ძეგლებს შორის ანგელოზთა რაოდენობის მხრივაც ვლინდება. ოთხი ანგელოზია გამოსახული ახალ შუამთაშიც.

ძალზე საინტერესოდ გვეჩვენება დასავლეთ კედელზე განთავსებულ სცენათა ურთიერთმიმართება და იდეური არსი.

„მიძინების“ კომპოზიციათა დასავლეთ კედელზე გამოსახვით მხატვარი ერთის მხრივ, სცენათა განთავსების ტრადიციას იცავს, მეორე მხრივ კი, მიწიერი სიცოცხლის საწყისისა და მარადიული სასუფევლის დამკვიდების იდეას აერთიანებს.

„შობამან შენმან ღმრთისმშობელო ქალწულო, სიხარული აუწყა ყოველსა სოფელსა, რამეთუ შენგან აღმოგვიბრწყინდა მზე სიმართლისა, ქრისტე ღმერთი ჩვენი დახსნა წყევა და მოგვმადლა კურთხევა და განაქარვა სიკვდილი და მოგვანიჭა ჩვენ ცხოვრება საუკუნო“.

საგულისხმოა, რომ საღვთო ისტორიული სცენების თხრობაც სწორედ დასავლეთ კედელზე იწყება და აქვე სრულდება.

„მაცხოვრის ჯვარცმისა“ და „ღმრთისმშობლის მიძინების“ სცენების ერთად განთავსების მაგალითს მეტეორას ტაძრის მოხატულობაში ვხვდებით (სურ.4).

ათონური წრის ძეგლებში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობოდა წმ. მოწამეების, წმ. მეომრების, ეკლესიის მამებისა და მეუდაბნოეთა გამოსახულებებს. ნეკრესის მომხატველს არც ამ მხრივ დაურღვევია ათონური ტრადიცია და ქვედა რეგისტრში სწორედ ამ წმინდანთა გამოსახულებები წარმოგვიდგინა.

სამხრეთი კედლის შემთხვევაში ქვედა რეგისტრი წმ. მეომართა და ქტიტორთა გამოსახულებებს ეთმობა. წმ. მეომრის ხუთი ფიგურა დამოუკიდებელ თაღს ქვეშაა მოქცეული.

სახელმდები წარწერა მხოლოდ ორ მათგანს – წმ. დემეტრესა „ϦϹ. ⲑⲏⲙⲏⲧ:“ და წმ. თევდორესთან „ϦϢ. ⲑⲉ:“ იკითხება. პირველი ფიგურა კანკელის უკანაა მოქცეული. პირველი ორი მეომრის თავის არე ფაქტიურად მთლიანადაა წარხოცილი, დამასრულებელი ფიგურის კი მხოლოდ სახის არე. შარავანდმოსილ ფიგურებს მეომართათვის დამახასიათებელი მუხლამდე სიგრძის კაბები, ჯავშანი, სამკერდე სარტყლები, მუზარადები (მხოლოდ მესამე ფიგურის მარცხენა მხართან

განირჩევა) და მხრებზე მოსხმული მოსასხამები მოსავთ. ფეხსამოსი დაზიანებათა გამო არ გაირჩევა. მარჯვენა ხელში გრძელი შუბები უპყრიათ, მარცხენაში კი მეორე ფიგურის გარდა, ფარები უჭირავთ. პირველ ფიგურას მკლავის დონეზე,დანარჩენებს კი სხეულის მარცხნივ, მიწაზე ვერტიკალურად დადებული. პირველ ორ ფიგურასთან ხმლებიც გაირჩევა.

წმ. თევდორეს წელსზედა გამოსახულება კედელში გაჭრილი ნიშის ზემოთაა მოქცეული, რომელშიც ქრისტე პანტოკრატორის ფიგურაა გამოსახული.

მეორე და დამასრულებელი მეომრის ფიგურას წითელი ფერის მოსასხამები აქვთ მოსხმული, რაც გარკვეუწილად აცოცხლებს წმ. მეომართა რიგს, ხაზს უსვამს მათ წაგრძელებულ პროპორციებსა და ერთგვარად შემოსაზღვრავს რეგისტრს.

წმ. მეომართა მსგავსი გამოსახულებები გვხვდება ალვანში, ხაშმში, მეტეორასა [Xadzidakis 1990] და სტავრონიკიტას მოხატულობებში [www.sankire.narod.ru].

წმ. მეომართა გამოსახულებებს დასავლეთ ნაწილში ტრადიციისამებრ, ქტიტორთა მავედრებელი ფიგურები ენაცვლება. ტაძრის განმაახლებელი და მხატვრობის დამკვეთი ლეონ მეფე ტაძრის მოდელით ხელში, მეუღლესთან და მემკვიდრესთან ერთად წარმოგვიდგება.

გამოსახულებათა თავს ზემოთ დატანილია ორ სტრიქონიანი დაზიანებული ბერძნული წარწერა :

...CΡΠΟC ΕΝΧΡΙCΟΤΟΘΟΠΙCΟCΑΦΕΝΤΙC ...Ι ΟΙΙ.ΙΗΟΙΙCΟΤωΘΕω...|ΠΑ CΙCΨΒΕΠΙ| Α ΟΑΦΕΝ... ΨΒΕΡΙΑ..

„ქრისტე ღმრთისა მიერ მორწმუნე პატრონი... ღმრთის მიერ მორწმუნე ყოვლისა იბერიისა“[4] [ყაუხჩიშვილი 2009: 333].

ფიგურები მთელი ტანით სამ-მეოთხედში არიან გამოსახულნი. დედოფალსა და შუაში მდგომ ლეონ მეფეს მზერა ტაძრის მთავარი შესასვლელისკენ, დასავლეთისაკენ მიუპყრიათ, მათ მემკვიდრეს კი აღმოსავლეთისაკენ.

სამივე ფიგურა შარავანდმოსილია, მეფე-დედოფალს სამეფო გვირგვინები ამშვენებს, უფლისწულს კი საერო თავსაბურავი. ტანთ ერთიმეორის მსგავსი საერო სამოსი – გრძელსახელოიანი ფესვედი და ფართო, უმკლავებო კაბა მოსავთ. ყველა შემთხვევაში ფესვედის ყოშებსა და კაბის ქობას ოქროსფერი საოლველი შემოუყვება. განსხვავება ძირითადად სამოსის ფერთა გამაშია. ლევან მეფეს ლურჯი ფესვედი და შუაში გადახსნილი გულისპირის მქონე მეწამულისფერი სახიანი კაბა ამშვენებს. დედოფალს ღვინისფერი ფესვედი და მწვანე კაბა, უფლისწულს კი მწვანე ფესვედი და ღვინისფერი კაბა მოსავს. დედოფლის კაბის ირიბად ჩაჭრილ, ერთმანეთზე გადაფენილ გულისპირის კიდეს თეთრი საოლველი შემოუყვება.

ჩრდილოეთ კედლის დამასრულებელი რეგისტრი თაღებქვეშ ჩაწერილ წმ. მამათა რვა გამოსახულებას ეთმობოდა. პირველი სამი გამოსახულება ფაქტიურად მთლიანადაა წარხოცილი. მეორე ფიგურიდან

[4] ტექსტის აღდგენა პირობითია.

მხოლოდ სამოსის რამდენიმე უმნიშვნელო ფრაგმენტი, მესამისა კი მაკურთხეველი მარჯვენა ხელის მტევანი შემორჩა.

შედარებით სრულად მოაღწია ჩვენამდე აღმოსავლეთ მონაკვეთში, კარის ღიობის მარცხნივ არსებულმა გამოსახულებებმა. სახელმდები ბერძნული წარწერებიც მხოლოდ კარის ღიობის თავზე „წმ. ანტონი“-სა – „ANTON“ და მის გვერდით მდგომ – „წმ. საბას „ΣΑββΑζ “ -თან იკითხება.

წმ. მამები მთელი ტანით, ბერმონაზვნული სამოსითა და ხელში გაშლილი გრაგნილებით წარმოგვიდგებიან. გრაგნილის ბერძნულენოვანი ტექსტი წმ. ანტონის, წმ. საბასასა და მის გვერდით მდგომი ფიგურის შემთხვევაში ნაწილობრივ გაირჩევა. წმ. ანტონის გრაგნილზე უმნიშვნელო ფრაგმენტი შემორჩა – „ΓΙΔΟΙ“ წმ. საბასთან იკითხება – „ΓΑCΡΟC |K..TωN |KΡΑΤΗCΟΝ |ΙCΧΥΙΝ“ („მძლეველი კუჭისა დაეუფლე ყოვლითა ძალითა“), მომდევნო ფიგურის გრაგნილზე კი – „ ... ΔΕΦ |ΠΗ΄ΑΕΧ |ΝΜ“ („ძმებო, საჭურველია მონაზვნის”). წარწერის მიხედვით ტექსტი ეკუთვნის წმ. ექვთიმეს. [ყაუხჩიშვილი 2009: 334].

ჩრდილოეთ კედელში გაჭრილი კარის ტიმპანს ღმრთისმშობლის გამოსახულება ამშვენებს, კარის თაღს კი ორი ახალგაზრდა, უწვერული წმ. მოწამის გამოსახულება.

მარცხენა წირთხლში – წმ. სერაფიონი იყო გამოსახული, ბერძნული წარწერით – „CΕΡΑ..|...Ο...“, მარჯვენა წმინდანის სახელმდები წარწერა კი აღარ იკითხება. ორივე მათგანს გულზე შეკრული მოსასხამები მოსავთ, თავს დიადემები უმშვენებთ.

დასავლეთი კარის თაღს წმ. მეუდაბნოე მამათა – წმ. ონოფრესა და წმ. მაკარის ფიგურა ამკობს.

წმ. ონოფრეს გამოსახულება ფაქტიურად სრულად შემორჩა, წმ. მაკარის გამოსახულებიდან კი მხოლოდ შარავანდის რკალის ძალზე მცირე ფრაგმენტი და სახელმდები წარწერა – „Ⲙⲁⲕⲁⲣⲓ“ (მაკარი).

წმ. ონოფრე მუხლებამდე სიმაღლით, მკერდის წინ ვედრებად მიმართული ხელებით, წარმოგვიდგება. მისი დასუსტებული სხეულის სამოსი, ამჟამად, გაფერმკრთალებული მწვანე ფერის თეძოსახვევია.

წმ. მეუდაბნოე ჭაღარა, მხრებზე დაფენილი ხვეული თმითა და გრძელი, ბოლოში დავიწროებული წვერითაა გამოსახული. სახელმდები წარწერა თავს ზემოთ ორივე მხარეს ნაწილდება – „ⲂⲈ. Ⲟⲛⲟⲫⲣⲓ“ (წმ. ონოფრე).

კარის ტიმპანში შემორჩენილი შარავანდის, თავისა და ფრთის მცირე მონახაზი აქ „დიდისა ზრახვისა ანგელოზის“ გამოსახულებას გვაფიქრებინებს.

დასავლეთი კედლის ქვედა რეგისტრი წმ. დედის ოთხ გამოსახულებას ეთმობოდა. შედარებით სრულად ჩრდილო-დასავლეთ კუთხესთან გამოსახული წმ. ბარბარეს ფიგურა შემორჩა. სახელმდები წარწერაც მხოლოდ მასთან იკითხება – „ⲄⲈⲣⲃⲁⲣⲁ“. სახის არე მიზანდასახულად დაუზიანებიათ.

მას წითელი სამკლავებით გამშვენებული გაფერმკრთალებული ლურჯი ფერის მოსასხამი ამშვენებს, გულზე შეკრული ოქროსფერი ფიბულით. თავს თეთრი, მხრებზე დაფენილი მანდილი ამშვენებს, შუ-

ბლზე ოქროსფერი დიადემით.

წმ. ბარბარეს გვერდით და კარის დიობის მეორე მხარეს, გამოსახული პირველი ფიგურიდან მხოლოდ შარავანდისა და მარცხენა მკლავის ნაწილი შემორჩა. მეოთხე ფიგურის შემთხვევაში კი, სილუეტი კონტურის დონეზე გაირჩევა.

ამრიგად, ნეკრესის ტაძრის მხატვრობის იკონოგრაფიული სქემის შესწავლამ ნათლად წარმოაჩინა ის ძირითადი წყარო, რითიც საზრდოობდა ტაძრის მომხატველი. ნათელია, რომ ნეკრესის ოსტატი კარგად იცნობდა ათონური სკოლის ნიმუშებს. დიდი მსგავსება გამოვლინდა არამარტო ცალკეულ კომპოზიციათა იკონოგრაფიაში, არამედ სცენათა განთავსების იმ ზოგად პრინციპშიც, რაც პოსტბიზანტიური პერიოდის მხატვრობისთვისაა დამახასიათებელი.

ამ საკითხის შემდგომი კვლევა, ვფიქრობ კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩენს ნეკრესისა და მისი თანადროული ძეგლების კავშირს ათონური წრის ძეგლებთან.

ART CRITICISM

NINO DATUNASHVILI

Georgian National Museum, Rustaveli Avenue 3, 0105 Tbilisi, Georgia,
Email: nino.datunashvili@yahoo.com

MURALS OF THE NEKRESI CHURCH OF THE HOLY VIRGIN

SUMMARY

The Nekresi Church of the Dormition of the Virgin – a three-church basilica - belongs to the 7 th century. In the 16th c the basilica was decorated with fresco paintings.

The mural paintings are connected wiht Levan, King of the Kakhs. They are dated from 1550-1551 years according to the portraits of Donors depicted on the walls of the church.

Chronologically these wall paintings coincide with the period of great development of Eastern Christian art with the centre on Athon Mountain.

The traditions of Athon Mountain School were spread in Georgia in the 16th century. Among them are the monuments in Kakheti region represented by the Nekresi Church murals.

The Nekresi church interior (middle church) was fully decorated with murals distributed in apse and west walls in 4 registries and in east and north walls –in 3 registries. The murals are very much damaged and it is impossible to follow the full iconographic programme of these paintings therefore only separate depictions may

be roughly discussed. Frescos on the north wall are especially spoiled.

Typical murals in the dome are distributed among the church vault and pilasters.

The apse is comprised with the Eucharist scenes, and the west wall represents the apocryphal scenes from the Virgin's life. Two upper registries of the east and north walls are covered with the scenes of Great Feast, meanwhile lower registries express half and full-sized depictions of the Saints, including Holy Warriors, Saint Mothers, Holy Hermit Fathers, Holy Martyrs, Holy Bishops and Donors as well.

The Gospel scenes in their historical sequence are represented in clockwise direction. Such historical sequence is changed only in one case – Crucifixion is depicted on the western wall.

Sacrifice represents ideological mainstream of the mural programme, through which Passions and Easter scenes are purely emphasized.

Iconographic Programme of Nekresi murals, study of its particular scenes and depictions clearly reveal its artistic connections with the monuments of the groups or the monuments stipulated by the tendencies of the late Middle Ages Orthodox art, specifically Athon art school tendencies.

ბიბლიოგრაფია

1. ახალი აღთქმა . 2001: თბილისი.

2. დათუნაშვილი ნ. 2006: გრემის მთავარანგელოზთა ტაძრის მოხატულობის იკონოგრაფიული პროგრამა. სადიპლომო ნაშრომი. თბილისი.

3. დეკანოზი ზაქარია მაჩიტაძე, მ. ბუკია, მ. ბულია (შემდგენელი). 2001: წმინდანთა ცხოვრება, ტ. I; II; III; IV. თბილისი.

4. ვაჩნაძე მ., 1992: ლევან კახთა მეფე და მისი შვიდი პორტრეტი-კახეთსა და საბერძნეთში – ლიტერატურა და ხელოვნება №5-6 = (რედ) გვ. 131-159.

5. სხირტლაძე ზ. 1985: საბერეების ფრესკული წარწერები. თბილისი.

6. ფირალიშვილი ო. 1952: ბობნევის მოხატულობა. თბილისი.

7. ყაუხჩიშვილი თ. 2009: ბერძნული წარწერები საქართველოში. თბილისი.

8. ჩიხლაძე ნ. 1993: მხატვრულ-სტილისტიკური ტენდენციები გვიან ფეოდალური პერიოდის კედლის მხატვრობაში (გელათის წმ. გიორგის ეკლესიის XVI საუკუნის მოხატულობის მაგალითზე). სადისერტაციო ნაშრომი.

9. ჩიხლაძე ნ., 2002: მაცხოვარი – „დიდისა ზრახვისა ანგელოზის" გამოსახულებები ქართულ ხელოვნებაში – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამეცნიერო შრომების კრებული, №3 = ი.არსენიშვილი (თავჯდომარე), ნ. ზაქარაია, ი. ჭიჭინაძე, თ, ურუშაძე, ხ. კაპანაძე, ნ. ჯაბუა (რედ). გვ.118-125.

10. ჩოფიკაშვილი ნ. 1964: ქართული კოსტუმის ისტორია (VI-XIV სს). თბილისი.,

11. ხუსკივაძე ი., 2005: ხობის ტაძრის XVII საუკუნის მოხატულობა – საქართველოს სიძველენი VII-VIII. = ნ. ვაჩეიშვილი, ი. ხუსკივაძე, მ.

ჯანჯალია (რედ). გვ. 261-305.

12. Вачнадзе М. 1977: Некоторые особенности и хронологическая последовательность группы кахетинских росписей XVI века. II Международный симпозиум по грузинскому искусству. Тб.

13. Вачнадзе М. 1977: Кахетинская школа живописп XVI века и ее связь с Афонской живописью. II Международный симпозиум по грузинскому искусству. Тб.

14. Гордеев Д. П. 1919: Краткий отчет о командировках в Кахетию и гориский уезд летом 1917 г.,Известия Кавкаского отделения Московского археологического обшества, Вып. V, Тифлис.

15. Кондаков Н. П. 1998: Иконография Богоматери, Т.I. Москва

16. Лордкипанидзе И. 1992: Роспись в Цаленджиха. Тб.

17. Луковникова Е. А., Образ Христа – ангела великого совета из церкви Богородицы перивлепты в охриде. развитие иконографии и особенности образа. ст. 66-77.

18. Никольский Л. Д. 1908: Афонские стенописцы. Их технические приёмы и образцы работ. Иконописный сборник. вып. II, СПБ.

19. Покровский Н. В. 1937: Иконография Евангелия. Труды 8-го археологического съезда в москве. Т.I.

20. Покровский Н. 1890: Стенные росписи древних храмах греческих и русских. Москва.

21. Шевякова Т. С., Монументальная живопись раннего средневековья Грузии. Тб., 1983.

22. Gagarine Le Caucase pittoresque. 1847: Paris.

23. Lafontain-Dosogne J. 1964: Ikonographie de l'enfance de laVierge dans l'empire byzantien eten Occident, Bruxelles.

24. Millet. G. 1916: Recherches sur l Iconographie de l Evangile aux XIV, XV at XVI siecles. Paris.

25. G.de Jerphanion.1932: Les eglises rupestres de Cappadoce, t. I. fasc. 1, Paris.

26. Xadzidakis m. 1990: To megalo Meteoro. Greece.

27. www.sankire.narod.ru.

ილუსტრაციების აღწერილობა

სქემა 1. ნეკრესი. ღმრთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი. კამარა.
სქემა 2. ნეკრესი. ღმრთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი. საკურთხეველი.
სქემა 3. ნეკრესი. ღმრთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი. დასავლეთი კედელი.
სქემა 4. ნეკრესი. ღმრთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი. სამხრეთი კედელი.
სქემა 5. ნეკრესი. ღმრთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი. ჩრდილოეთი კედელი.
სურ. 1. ნეკრესი. ღმრთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი. საკურთხევლის მოხატულობა.
სურ. 2. ნეკრესი. ღმრთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი. დასავლეთ კედლის მოხატულობა.
სურ. 3. მეტეორას ტაძარი. საკურთხევლის მოხატულობა.
სურ. 4. მეტეორას ტაძარი. დასავლეთი კედლის მოხატულობა.

LIST OF ILLUSTRATION

Scheme 1. Nekresi. Vault.
Scheme 2. Nekresi. Apse.
Scheme 3. Nekresi. West wall.
Scheme 4. Nekresi. South wall.
Scheme 5. Nekresi. North wall.
Fig. 1. Nekresi. The Church of the Dormition of the Virgin. Apse murals.
Fig. 2. Nekresi. The Church of the Dormition of the Virgin. Western wall.
Fig. 3. Church in Meteora. Apse murals.
Fig. 4. Church in Meteora. Westerrn wall.



სქემა 1 Scheme



სქემა 2 Scheme



სქემა 3 Scheme



სქემა 4 Scheme



სქემა 5 Scheme

სურ. 1 Fig.

სურ. 2 Fig.

სურ. 3 Fig.

სურ. 4 Fig.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია №1 (46-B), 2010, 504-524
Bulletin of the Georgian National Museum. Series of Social Sciences №1 (46-B), 2010, 504-524

ხელოვნებათმცოდნეობა

თამარ ბაკურაძე*, ნანა ბურჭულაძე*,
ვახტანგ ხოშტარია*, ია ახვლედიანი**

* საქართველოს ეროვნული მუზეუმი, რუსთაველის გამზირი 3, 0105,
თბილისი, საქართველო, ელ.ფოსტა: tamar_bakuradze@yahoo.com
nanaburchuladze@yahoo.com
** ტექნიკური უნივერსიტეტი, კოსტავას ქ.№77
ელ.ფოსტა: akhvlediani@yahoo.com

ჯვარი "უფლის ჯვარცმით" ქვათახევის მონასტრიდან (კვლევა, კონსერვაცია)

ქართველი ერის კულტურული მემკვიდრეობის საგანძურში შუა საუკუნეების საეკლესიო ხელოვნებას უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს. ჩვენ წინაპართა მიერ საქართველოსა თუ მის ფარგლებს გარეთ არსებულ ეკლესია-მონასტრებში უამრავი ხელნაწერი წიგნი, ხატი, ჯვარი და მრავალი სხვა სახეობის საეკლესიო სიწმინდე შექმნილა. ქვეყნის ისტორიული ბედუკუღმართობის გამო მათმა ნაწილმა ჩვენამდე ვერ მოაღწია, მაგრამ ისიც, რაც შემოინახა კაცობრიობის სულიერი საუნჯის უძვირფასესი განძია.

როგორც ცნობილია, XXს-ის 20-იან წლებში საეკლესიო სიძველეები, გადარჩენის მიზნით სახელმწიფო საცავებში (მუზეუმები, ინსტიტუტები, არქივები) დაბინავდა. მათი მცირე ნაწილი კი, რომელიც უმნიშვნელოდ ჩაითვალა, გაუქმებულ ეკლესია-მონასტრებში დარჩა.[1] სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის 2002 წელს გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე, სატაძრო-სამონასტრო ნაგებობები და მათი ძველი და ახალი ქონება საქართველოს ეკლესიის ისტორიულ მემკვიდრეობად გამოცხადდა და მათზე ზრუნვა ერსა და ბერს ერთობლივად დაევალა.

საქართველოს ეროვნული მუზეუმი ამ მიმართულებით აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს საპატრიარქოსთან. ამის მაგალითია

[1]ამ მხრივ გამონაკლისია სვანეთში, ეკლესიებსა და ოჯახებში დატოვებული უძველესი და უძვირფასესი ხელნაწერები და ჯვარ-ხატები, რომლებიც დღესაც თავდპირველ სამყოფელშია. როგორც ცნობილია, სვანეთის საგანძურის ძირითადი ნაწილი მთელი ამ დროის განმავლობაში ჯერ ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის დაცვა-აღრიცხვისა და მზრუნველობის ქვეშ იმყოფებოდა, ამჟამად კი საქართველოს ეროვნული მუზეუმის ექსპონატებია.

ის რამდენიმე პროექტი, რომელიც შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში ბოლო წლების განმავლობაში განხორციელდა, რის შედეგადაც თბილისსა და ეპარქიებში არსებული ეკლესია-მონასტრების კუთვნილი მნიშვნელოვანი სიწმინდეების მდგომარეობა თვალნათლივ გაუმჯობესდა.[2]

მუზეუმში "ნამკურნალებ" საეკლესიო ნივთთა შორისაა ქაშვეთის ტაძრის ჩვილედი ღვთისმშობლისა და წმ. ნიკოლოზის XIX ს-ის ფერწერული ხატები, რომლებიც 2009 წელს რესტავრატორების – ნუნუ მანაგაძისა და ზეინაბ ჯაშის მიერ გამაგრდა და გაიწმინდა.

2009-2010 წლებში, მუზეუმში გამაგრდა და გაწმინდა ხის დიდი ჯვარი (2,55 X 1,80 X 3 სმ) ქვათახევის მონასტრიდან (სურ. 1), რომელიც გვიან შუა საუკუნეების ქართული საეკლესიო ხელოვნების ძალზე მნიშვნელოვანი ძეგლი აღმოჩნდა.

ჯვრის მუზეუმში ჩამობრძანება ქალბატონი მარიამ ჩხაიძის ინიციატივით, სამთავისისა და გორის მიტროპოლიტ ანდრიას (გვაზავას) კურთხევითა და ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორის, ბ-ნ დავით ლორთქიფანიძის ხელშეწყობით მოხდა.

დაზიანებული ჯვრის კონსერვაციასა და რეაბილიტაციას ერთ წელიწადზე მეტი დრო დასჭირდა. ამ ხნის მანძილზე რესტავრატორ თამარ ბაკურაძისა და სხვა და სხვა დარგის სპეციალისტთა მიერ მისი კვლევაც მიმდინარეობდა. ჯვრის ფერწერული ნაწილი თამარ ბაკურაძესთან ერთად ლაბორატორიულად შეისწავლა მინეროლოგმა ია ახვლედიანმა, ხის საფუძველი გამოიკვლია რესტავრატორმა ვახტანგ ხოშტარიამ, ხელოვნებათმცოდნეობითი ანალიზი კი მუზეუმის ფერწერული ხატების ფონდის უფროსმა კურატორმა, ნანა ბურჭულაძემ ჩაატარა.

წინამდებარე პუბლიკაცია ამ სპეციალისტთა კომპლექსური შრომის შედეგია. მისი მიზანია დაინტერესებულ მკითხველს გააცნოს შუა საუკუნეების ქართული საეკლესიო ხელოვნების ერთი უნიკალური ძეგლი – მისი კვლევისა და საკონსერვაციო სამუშაოების შედეგები, რაც თავის მხრივ, ამ ძეგლის ატრიბუციის საფუძველს იძლევა.

* * *

ქვათახევის მამათა მონასტერს პირველად გვიან შემოდგომაზე ვეწვიეთ. სუსხიანი ამინდი იყო, ტაძარში ძლიერ ციოდა და ბნელოდა,

[2] სარესტავრაციო პროექტების გარდა მუზეუმში ერთობლივი გამოფენებიც ეწყობა. მათგან ბოლო, "ძველი და ახალი საეკლესიო ხელოვნება" – 2010 წლის იანვარ-აპრილში გაიმართა და სრულიად საქართველოს პატრიარქს, ილია II-ს მიეძღვნა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ჩვენი სასულიერო-სახვითი ხელოვნების უძველ-
სი და უძვირფასესი ნიმუშებიც (მუზეუმის კოლექციებიდან) და ის ნამუშევრებიც, რომლებიც დღეს საეკლესიო ხელოვნების სფეროში იქმნება. გამოფენამ ცხადყო, თუ როგორ გრძელდება საქართველოში ძველი ტრადიციების განვითარება – როგორია თანამედროვე ხელოვნების დონე, რა პრობლემები დგას ახლანდელ ოსტატთა წინაშე და სხვ. მუზეუმისა და საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრის ხელოვნების დეპარტამენტის მიერ გამოფენის დღეებში საგანმანათლებლო ლექციების კურსიც ჩატარდა, რომლის მომხსენებლები საეკლესიო ხელოვნების სხვადასხვა დარგის წამყვანი სპეციალისტები იყვნენ, აუდიტორია კი ძირითადად საერო და სასულიერო სასწავლებლების სტუდენტებისგან შედგებოდა.

რაც აძნელებდა ჩრდილოეთ კედელზე, საკმაოდ მაღლა დაკიდებული ჯვრის დანახვას. მიუხედავად ამისა, ადვილი მისახვედრი იყო, რომ საქმე გვქონდა ძალზე ოსტატურად შესრულებულ, მაგრამ უმძიმეს მდგომარეობაში მყოფ შუა საუკუნეების საეკლესიო ხელოვნების ფრიად საყურადღებო ძეგლთან, რომელსაც სასწრაფო რესტავრაცია სჭირდებოდა (სურ. 2).

როგორც გაირკვა, ჯვრის ცენტრალურ ნაწილზე გამოსახული იყო ჯვარცმული მაცხოვარი, მკლავების ბოლოებზე კი წრეში ჩაწერილი ოთხი მახარებლის სიმბოლოები – ანგელოზი, არწივი, ლომი და ხარი. ვინაიდან ტაძარში ჯვარი საუკუნეების განმავლობაში ძალიან მაღალი ფარდობითი ტენიანობის პირობებში იმყოფებოდა, გრუნტიცა და ფერწერის ფენაც მნიშვნელოვნად იყო დაზიანებული და ნაკლული ადგილებიც მრავლად აღინიშნებოდა (სურ. 4). ფაქტობრივად აღარ არსებობდა მაცხოვრის სახის შუა არე, მკლავები, ფეხების ქვედა ნაწილი, გოლგოთა და მახარობელთა გამოსახულებები. შედარებით უკეთ იყო შემორჩენილი მხოლოდ წმ. იოანე მახარებლის სიმბოლო – არწივი. ამდენად, საერთო მდგომარეობა მეტად მძიმე იყო – ფერწერის 1/3-ზე მეტი აღარ არსებობდა.

2009 წლის დასაწყისში სამთავისისა და გორის ეპარქიის მიტროპოლიტმა ანდრიამ თხოვნით მიმართა ეროვნული მუზეუმის დირექტორს, ბ-ნ დავით ლორთქიფანიძეს, რომ ჯვრის რესტავრაცია მუზეუმის ბაზაზე ჩატარებულიყო. სიფრთხილის გამო გადაწყდა, რომ ჯვრის ჩამობრძანება თბილისში გაზაფხულზე, ხელსაყრელი კლიმატური პირობების დროს მომხდარიყო.

2010 წლის გაზაფხულზე, მონასტერში, დაზიანებული ფერწერის შესანარჩუნებლად ჯვრის ზედაპირი ქაღალდის პროფილაქტიკური ფენით დაიფარა (სურ. 5.). სიცივე და ნესტი ართულებდა ამ სამუშაოს და თანაც, ჯვრის დიდი ზომის გამო საფრთხილო იყო მისი გადაადგილებაც. მაგრამ, საბედნიეროდ ამ მხრივ ყველაფერი კარგად მოგვარდა.[3]

მუზეუმში, ორი კვირის განმავლობაში, ჯვარზე მუშაობა არ დაწყებულა, რადგან აუცილებელი იყო გარკვეული პერიოდი, რათა იგი ახალ გარემოს შეგუებოდა. ეს დრო გამოყენებულ იქნა მისი დაწვრილებითი აღწერისათვის და ანალიზების გასაკეთებლად. აღიწერა და შესწავლილ იქნა, როგორც ხის საფუძველი, ისე გრუნტი და ფერწერის ფენა, რაც ვიზუალური და ლაბორატორიული კვლევის მეთოდების გამოყენებით განხორციელდა.

ხის საფუძვლის შესწავლამ დაგვანახა, რომ ჯვარი შედგება მრავალნაწილიანი, შესახსრებული ხის ფიცრებისგან (სურ. 7, 8). ანათალების მიკროსკოპულმა ანალიზმა დაგვიდასტურა ხის ჯიში – კაკალი. აღმოჩნდა რომ, ბოჩკოების მდგომარეობა მდგრადია, არ შეინიშნება ძლიერი ეროზია, თუმცა სახეზე სიძველის ტიპიური სურათია (სურ. 10, 11). შესახსრებისთვის გამოყენებულია, კაკლის ხისავე სოგმანები და

[3]დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ მონასტრის იღუმენს – დამიანეს, ბერ-მონაზვნებს, ეროვნული მუზეუმის რესტავრატორ თემურ ფარჯანაძესა და შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის კონსერვატორ გიორგი მარსაგიშვილს, ვისი დახმარებითაც უსაფრთხოდ მოხერხდა ჯვრის მუზეუმის სარესტავრაციო ლაბორატორიაში ჩამოტანა (სურ. 3, 6).

ლურსმნები. ჯვრის ძირითადი ნაწილი ორი ერთმანეთში ჩამჯდარი, გადაჯვარედინებული ფიცრისგან შედგება. მისი სამი მკლავის ბოლო სამყურა ფოთლის ფორმისაა. მათგან ცენტრალური, ძირითადი ფიცრისგანვე ნათალი ფოთლები დიდია, გვერდითი – გაცილებით მცირე ზომისა. სამივე შემთხვევაში გვერდითი ფოთლების შესახსრებისთვის სოგმანები გამოუყენებიათ.

ჯვრის დამზადების დროს მხოლოდ ხის, სხვადასხვა ზომის ლურსმნები უხმარიათ. საყურადღებოა, რომ თავიდან ქვედა მკლავი ზომით დანარჩენების მსგავსი ყოფილა – ისე, თითქოს ჯვარი ტოლმკლავა ტიპისად ჩაუფიქრებიათ. მაგრამ შემდგომში, მისთვის ოსტატს გვერდებიდან თხელი, ტრაპეციისებრი ლარტყები დაუმატებია, რის შედეგადაც მკლავს სწორხაზოვანი ფორმა მიუღია. ამასთან, მისი ბოლოს დასაგრძელებლად, ორკაპა სახსრითა და ხის ლურსმნებით დამატებითი ფიცარი მიუმაგრებიათ (იქვე, ჯვრის ზედაპირზე ორი პატარა ლარტყიც მოჩანს)[4]. ქვედა მკლავის ბოლოც დანარჩენების მსგავსად მოუმრგვალებიათ და იგი დამატებით, სწორკუთხა შვერილით დაუსრულებიათ, რომელიც გათვალისწინებული იყო ჯვრის რაიმე ტიპის სადგამში ჩასამაგრებლად.

საგულისხმოა, რომ ჯვრის წინა მხარეს, მთელ ზედაპირზე საშუალოდ 0,5 სმ სიღრმის "კიდობანი" ამოუთლიათ, ისე, როგორც ეს საერთოდ ხატებზე კეთდება.

ჯვრის თანადროული უნდა იყოს ზურგის ცენტრალურ ნაწილზე მიბმული ლითონის ორი რგოლი, რომლებიც რკინისავე სამაგრებით დაუმაგრებიათ. მათი გაღუნული ბოლოები ჯვრის სისქეში ღრმადაა ჩამჯდარი და გრუნტს უშუალოდ ეხება. ვინაიდან, რკინის სამაგრისგან განსხვავებით, ხის ფიცარი ანიზოტროპულია და დროთა განმავლობაში ფორმას იცვლის (სხვადასხვა მიმართულებით „იწელება"), აღნიშნულ მონაკვეთებზე შეინიშნება გრუნტისა და ფერწერის ფენის აცვენა.

ჯვრის მარჯვენა მკლავის ზედაპირზე მოგვიანებით 10 სმ სიგრძის ნაჭედი ლურსმანი ჩაუმაგრებიათ, რომელიც ზურგის მიმართულებით ირიბად გადიოდა. ლურსმნის წვერის ადგილას კარგად ჩანდა საფუძვლის ღრმა ანატკეჩი. ლურსმნის ანალოგიური კვალი აღინიშნებოდა ჯვრის მეორე მკლავზეც – სიმეტრიულად. რესტავრაციის დროს ლურსმანი ამოღებულ იქნა რკინის გირაგის თანდათანობითი მოჭერით, ისე რომ ფერწერის ფენა არ დაზიანებულა (სურ. 8). ამონატკეჩების ქვეშ, მთელ სიღრმეზე ამოიწმინდა და ანტისეპტიკური ხსნარით დამუშავდა მექანიკური ნადები, რის შემდეგაც ანატკეჩების ნაპირები, შეძლებისდაგვარად, საწყის ადგილზე დაფიქსირდა.

ხის საფუძველს მთელ ზედაპირზე ორივე მხრიდან ჰქონდა მცირე ზომის დანაკარგები. განსაკუთრებით შესამჩნევი იყო მკლავების გადაჯვარედინების ადგილზე ამომტვრეული კიდე, რომლის პროტეზირება აუცილებელი გახდა მთლიანი კონსტრუქციის გასამყარებლად. პროტეზირებულ ადგილზე დაწებდა ავტორისეული შუალედური ტილო, რომელიც საფუძველს თითქმის მთლიანად იყო მოცილებული და "ბე-

[4]ხის ლურსმნები დიდი რაოდენობით ჩაურჭვიათ ზურგის მხრიდანაც.

წვზედა” ეკიდა. ჯვრის ზურგი კატამინიანი სპირტით გაიწმინდა.

რაც შეეხება მხატვრობის ტექნიკურ კვლევას – იგი გრუნტის შესწავლით დაიწყო. ჯვარზე ბინოკულარით დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ მონაცრისფრო თეთრი ფერის გრუნტი სამი შრისგან შედგება. პირველი მათგანი უხეშია და ხის საფუძვლის არათანაბარი ზედაპირის გამო სხვადასხვა სისქისაა; მეორე – 2 მმ-იანი ფენა უფრო წმინდაა; ხოლო მესამე, ზედა ფენა, იმის გამო, რომ მასზე უშუალოდაა დადებული ფურცლოვანი ოქრო (მხატვრობის ფონი) საგულდაგულოდ გაუპრიალებიათ. ქვედა ფენები გაფხვიერებულია, რაც მიკროორგანიზმების ცხოველქმედების შედეგია. ზედა თხელი ფენა ქვედა ფენებისგან განსხვავებით ფხვიერი არ არის, რაც მის შემადგენლობაში ტყვიის თეთრას არსებობაზე მიგვანიშნებს. ვიზუალური კვლევის შედეგები ლაბორატორიული ანალიზითაც დადასტურდა.

მიკრობიოლოგიური დაზიანების დასადგენად მუზეუმის თანამშრომელმა, ბიოლოგ-რესტავრატორმა ნათია ძიგუამ აიღო სინჯები (სურ. 9), რომელთა კვლევა მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის ბაზაზე განხორციელდა. სინჯები აღებული იყო სხვადასხვა მასალიდან და მონაკვეთიდან (საფუძველი, გრუნტი, ფერწერის ფენა). ანალიზის პასუხებით პენიცილიუმისა და მუკორების სახეობები გამოიკვეთა (სურ. 12,13).

ამ მონაცემების საფუძველზე სპირტსა და წებოს ხსნარებს, რომლითაც შესრულდა გრუნტისა და ფერწერის გასამაგრებელი პროცესები, ანტისეპტიკ-დეზინფექტანტი კატამინი “A” დაემატა, რომელიც მოქმედების ფართო სპექტრით გამოირჩევა, ნაკლებ შხამიანია და არ იწვევს ფერების დაზიანებას [Воронина 1968].

ამის შემდეგ ჩატარდა კვლევა გრუნტისა და მინერალური საღებავების შემადგენლობის დასადგენად. წარმოდგენილი ნიმუშები ჯერ ლუპით, ხოლო შემდეგ ბინოკულარით იქნა შესწავლილი. დადგინდა გრუნტის შრეების რაოდენობა, შემადგენლობა და საღებავების ფენების ურთიერთდამოკიდებულება (სურ. 14). ფაზების მინერალური შემადგენლობის დასადგენად ჩატარდა რენტგენოფაზური ანალიზი (რ. ახვლედიანი), და გამოყენებულ იქნა რენტგენოფლუორესცენტული ანალიზატორი ”ELVA-X” (ი. ხარისჩირაშვილი), რის შედეგადაც დადგინდა, რომ ჯვრის ხის საფუძველი უწყლო თაბაშირის – ანჰიდრიტის ფენით არის დაფარული. ამის შესახებ ერომნიშვნელოვნად მეტყველებს, როგორც რენტგენოსტრუქტურული ანალიზის შედეგები, ისე საღებავის ორი შერჩეული ნიმუშის მიკროქიმიური ანალიზის დროს გამოვლენილი კალციუმი, სტრონციუმი და გოგირდი (სურ. 15). ეს ფაქტი კი იმით აიხსნება, რომ საღებავის სინჯებს სარჩულად ანჰიდრიტი აყოლიათ.

საყურადღებოა გრუნტის შემადგენლობაში კალციუმის წყლიანი სულფატის – თაბაშირის არსებობა. შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ უწყლო ანჰიდრიტის უკუგადასვლა წყლიან თაბაშირში ნესტის შედეგი და გრუნტის დაშლის დაწყების მიზეზია. თეთრი საღებავი რენტგენოსტრუქტურული ანალიზით განისაზღვრა როგორც ტყვიის თეთრა და მისი არსებობა გრუნტის ზედა ფენაში დადასტურდა. წინააღმდეგ შემთხვევაში აუხსნელი რჩებოდა ფერადი პიგმენტების თხელი

ფენების ანალიზის დროს გამოვლენილი ტყვიის მაღალი შემცველობა. რაც შეეხება ფერად მინერალურ საღებავებს მათი შემადგენლობა ასე გამოიყურება –

კაშკაშა წითელის შემადგენლობაშია სინგური (რენტგენო-სტრუქტურული ანალიზის შედეგები);

მუქი წითელის – უმთავრესად ჰემატიტი და ლიმონიტი, ე.წ. "ფრანგული ოქრა" (რენტგენო-სტრუქტურული და რენტგენოფლუორესცენტული ანალიზი);

"შოკოლადისფერი" იგივე "შავი" ფერი მუქი წითელი საღებავის ტონირების შედეგი უნდა იყოს Mn^{4+} ჟანგებით ან რომელიმე სხვა, მანგანუმის შემცველი პიგმენტებით;

მოცისფრო-მწვანე საღებავი რკინის შემცველი პიგმენტია (რენტგენოფლუორესცენტული ანალიზის შედეგები); რომლის ტონალობიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს გლაუკონიტია;

ოქროსფერი საღებავი თითქმის სუფთა ოქროს შენადნობისგან დამზადებული თხელი ფურცელი, ანუ ოქროს კილიტაა. ამის შესახებ მეტყველებს ერთი მხრივ, მისი მწვანე საღებავთან ურთიერთგანლაგება და მეორე მხრივ, ანალიზის დროს გამოვლენილი ვერცხლისა და სპილენძის მცირე შემცველობა, რაც ცხადყოფს შენადნობის არსებობას.

გრუნტისა და ფერწერის გასამაგრებელი პროცესებისათვის გამოყენებულ იქნა თევზის წებოს ხსნარის სხვადასხვა პროცენტული შემადგენლობის ინექციები (2%,4%, და 8%). 8%-იანი ხსნარს ვიყენებდით იმ მონაკვეთებში, სადაც შუალედური ტილო საფუძველს მოცილებული იყო. დამაგრების პროცესი დიდხანს მიმდინარეობდა – ყველა ცალკეული ადგილი პრესის ქვეშ შრებოდა. პროფილაქტიკური ფენის მოცილების შემდეგ ფერწერის ზედაპირს წებოს ნარჩენები და მექანიკური ნადები მოშორდა. გამუქებული ლაქის ფენა სქელი არ იყო, ამიტომ სპირტიანი ტამპონებით ადვილად გაიწმინდა. დასასრულ, ფერწერა დამარის ლაქის თხელი ფენით დაიფარა.

განხილული კვლევის შედეგები გამოყენებული იქნა, როგორც საკონსერვაციო პროცესისთვის, ისე შემდგომი, სარეკონსტრუქციო სამუშაოსთვის, ვინაიდან სამთავისისა და გორის ეპარქიის მღვდელმთავრის თხოვნით ფერწერის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ადგილები (მაცხოვრის გამოსახულებაზე) შექცევადი მასალით აღდგა (სურ. 16). [5]

რესტავრირებული ჯვარი ამჟამად გორში, მღვდელმთავრის რეზიდენციაშია დაბრძანებული, სადაც მის შესანახად სპეციალური კიოტი დამზადდება.

* * *

"ქრისტეს ყველა საქმე და სასწაულთქმედება უდიდესია, საღვთოა და საკვირველი, მაგრამ ყველაზე უფრო საკვირველია მისი პატიოსანი ჯვარი, რადგან სხვა არაფრის მიერ არ შემუსვრილა სიკვდილი,

[5]რესტავრაცია-რეკონსტრუქციის პროცესის მეთოდებისა და მიმდინარეობის გაშუქებას ცალკე ვგეგმავთ.

არ გაუქმებულა წინამამის შეცოდება, არ წარტყვევნილა ჯოჯოხეთი, არ მონიჭებულა აღდგომა, არ მოგვცემია ძალა იმისა, რომ უგულებელგვეყო ამჟამინდელი და თვით სიკვდილიც; არ განხორციელებულა დასაბამიერი ნეტარებისკენ ზეასვლა, არ განხმულა სამოთხის კარი, არ დამჯდარა ჩვენი ბუნება ღვთის მარჯვნივ, არ გავმხდარვართ ღვთის შვილები და მემკვიდრეები, თუ არა ჩვენი უფლის იესო ქრისტეს ჯვრის მიერ, რადგან ეს ყოველივე ჯვრისაგან განხორციელდა" [წმ. იოანე დამასკელი 2000: 431-432].

ჯვრისადმი მიძღვნილი ეს სადიდებელი სიტყვები ნათლად მოწმობს თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მას ქრისტიანული ეკლესია. და მართლაც, ღვთის განგებით, რომის იმპერიაში ავაზაკთა და ყაჩაღთა დასასჯელად დაკანონებული, ხისგან გამოთლილი საწამებელი იარაღი კაცობრიობის ერთი ნაწილისთვის ხსნის უპირველეს სიმბოლოდ და უწმინდეს რელიქვიად იქცა.

ჯვარი, როგორც საკრალურ-მისტიკური ნიშანი წინაქრისტიანულ ხანაშიც არსებობდა [Энциклопедический словарь 1895: 655; Богословско-литургический словарь 1983: 725], მაგრამ ხსნის დოგმატთან მისი დაკავშირების შემდეგ ჯვრის მნიშვნელობა და გავრცელების არეალი განსაკუთრებულად გაიზარდა. ორი ათას წელზე მეტი ხნის განმავლობაში ჯვრის დიდებას, მისი არსის ახსნას მრავალი საღვთისმეტყველო ნაშრომი და საგალობელი მიეძღვნა, მის სახელზე მრავალი ეკლესია-მონასტერი აშენდა და იგი ხელოვნების ყველა დარგში ძალზე ფართოდ აისახა.

ჯვრის ტიპები დანიშნულების მიხედვით სხვადასხვაგვარია. მათ შორის ყველაზე გავრცელებულია მკერდზე სატარებელი, საპროცესიო-საწინამძღვრო, ტრაპეზის, სამღვდელო (სამთხვევი, საკურთხებელი, სანათლავი), კანკელისა და საკურთხევლის წინ აღსამართი ჯვრები [Энциклопедический словарь 1895: 658; Богословско-литургический словарь 1983: 726-727], რომელთა ნაირსახეობა შუა საუკუნეების საქართველოს ეკლესიის საგანძურში სრული სპექტრით გვხვდება [Чубинашвили: 1959; Шмерлинг 1962; ამირანაშვილი 1968; Кения 1978; საყვარელიძე 1980]. მათი ზედაპირები ზოგჯერ სადაა, ზოგჯერ კი ჯვარცმული მაცხოვარი და თანამდგომები გამოისახებიან.

ქვათახევის მონასტრის "ჯვარცმა" ზემოხსენებული ტიპებიდან ორს უკავშირდება. თავის დროზე იგი ან საკურთხევლის წინ, სპეციალურ სადგამზე, ან კანკელზე იდგა. ამას მოწმობს როგორც ჯვრის ზომა, ასევე მისი ძირი. როგორც უკვე აღინიშნა, იგი გათლილია რაიმე ტიპის ბაზაში ღრმად ჩასამაგრებლად.

იმის დაზუსტებაში, თუ სად უნდა ყოფილიყო ქვათახევის ჯვარი აღმართული, მისი მკლავების გვერდით წახნაგებზე არსებული საგანგებო ხვრელები გვეხმარება. საქმე ის არის, რომ ზოგი მათგანი ცალმხრივი ღრმულია, ზოგი კი გამჭოლი, რაც გვაფიქრებინებს, რომ ღრმულები განკუთვნილია ჯვრის შესამკობი ხისავე დეკორაციული სამშვენისების ჩასამაგრებლად, გამჭოლი ხვრელები კი, ამ დიდი და მძიმე ნივთის გარკვეულ კონსტრუქციაზე მისამაგრებლად.

ამასთან გასათვალისწინებელია, რომ ჯვრის ზურგი საკმაოდ მოუხ-

ეშავადაა გათლილი. მას აშკარად ეტყობა სადურგლო იარაღის კვალი. ეს კი, იმ შემთხვევაში, თუ ჯვარი საკურთხევლის წინ იქნებოდა აღმართული, ვერ მოახდენდა სასურველ შთაბეჭდილებას. აქედან გამომდინარე, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენთვის საინტერესო ჯვარი განსაზღვრული იყო საკმაოდ მაღლა, კანკელზე ან იკონოსტასზე შემოსადგმელად.

ამგვარი დასკვნის გამოტანის საფუძველს გვაძლევს იმ მდიდარი მასალის გაცნობა, რაც ქრისტიანული ქვეყნების ხელოვნების საგანძურებში შემოინახა და საკმაოდ ვრცელი სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც ამ საკითხს ეხება.

როგორც ირკვევა, ამ ტიპის ჯვრები, თავდაპირველად, საქრისტიანოს დასავლეთ ნაწილში გავრცელებულა. მათგან ზოგზე, ისე, როგორც ქვათახევის ჯვარზე, ჯვარცმულ მაცხოვართან ერთად მოცემული ყოფილა ოთხი მახარებლის გამოსახულება.

ე. ციგარიდასის მოსაზრებით, ამ კატეგორიის ჯვრების შექმნა XIII-XIV სს-სა და ვენეციის სამხატვრო სკოლას უკავშირდება, ხოლო იქიდან ისინი XVI-XVII სს-ში, ჯერ კ. კრეტაზე, შემდეგ კი ათონის მთასა და სხვა მართლმადიდებელ ქვეყნებშიც გავრცელებულა [Tsigaridas 1997: 125-126]. მკვლევარის ინფორმაციით, ათონზე ამ ტიპის ჯვრებს შორის უძველესი (1525 წ.) ივირონის მონასტრის კუთვნილებაა; ქრონოლოგიურად მისი მომდევნო ძეგლები კი დიდი ლავრის (1535 წ.), დიონისიუს (1542 წ.), სტავრონიკიტასა (1546 წ.) და კუტლუმუშის მონასტრებში ინახება [Tsigaridas 1997: იქვე].

ამასთან, ე. ციგარიდასი აღწერს ათონზევე, პანტოკრატორის მონასტერში დაცულ ასეთივე ჯვარს (184 X 134 სმ), რომელიც 1360-1380 წწ-ით თარიღდება [Tsigaridas 1997: 82-84]. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, მკვლევარი არ მიიჩნევს მას იკონოსტასის ჯვრებს შორის უძველესად; ალბათ იმ მიზეზით, რომ ამ უკანასკნელის იკონოგრაფიული პროგრამა განსხვავებულია – მასზე არ არის გამოსახული მახარებლები, ისინი მხატვარს ღვთისმშობლის, წმ. იოანე მახარებლის, ანგელოზებისა და ჰეტიმასიის ("საყდარი გამზადებული") გამოსახულებებით ჩაუნაცვლებია. ამ უკანასკნელს ადამი და ევა მუხლმოდრეკით სცემენ თაყვანს.

ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ საზოგადოდ, "ჯვარცმის" გამოსახულებიანი ხის დიდი, ფერწერული ჯვრები, საქრისტიანოში უფრო ადრეც გავრცელებულა [Gamulin 1983]. ისინი XII-XIII სს-ის ფლორენციის, პიზის, სპოლეტოსა და აღმოსავლეთ ევროპის ქალაქების ბევრ ტაძარში გვხვდება. [6] მათზე, ისე, როგორც პანტოკრატორის მონასტრისა თუ ზადარის ტაძრის ჯვარზე, მაცხოვრის გვერდით დედა ღვთისა და იოანე მახარებელი გამოისახებოდა (სურ. 18); მოგვიანებით კი, ისინი ოთხი მახარებლის სიმბოლოებით – არწივით (იოანე), ანგელოზით (მათე), ფრთოსანი ლომით (მარკოზი) და ფრთოსანი ხარით (ლუკა) იცვლება (სურ. 17, 19). როგორც ცნობილია, ეს გამოსახულებები წმ. იოანეს "გამოცხადებაში" აღწერილ აპოკალიფსურ ცხოველებს

[6] ასეთ ჯვრებს ხატავდნენ ისეთი ცნობილი მხატვრები, როგორებიც იყვნენ ჯოტო, ჩიმაბუე, ვენეციანო და სხვ. ზოგჯერ ჯვარი "ჯვარცმით" ტაძრის ჭერში იკიდებოდა, ისე, თითქოს ჯვარცმული მაცხოვარი საკურთხევლის სიახლოვეს "ზეციდან" ეშვებოდა,

უკავშირდება და ამით მაცხოვრის ჯვარცმა ესქატოლოგიურ პრიზმაში, მეორედ მოსვლის კონტექსტში წარმოგვიდგება. ამიტომ, ჯვრის ზედა მკლავს ხშირად ახლავს წარწერა "მეუფე დიდებისა."

ქვათახევის ჯვარზეც სწორედ ამგვარი იკონოგრაფიითაა მოცემული "ჯვარცმა," იმ განსხვავებით, რომ მას ასომთავრული დამწერლობით იესო ქრისტეს ინიციალები აწერია.

რაც შეეხება ღვთისმშობელსა და იოანე მახარებელს ისინი ცალკე, ჯვრის გვერდით აღმართულ შედარებით მცირე ზომის წაგრძელებულ ხატებზე ე.წ. ლიპერებზე გამოისახება, რითაც ერთი მხრივ, ჯვარცმის სცენის გავრცობა ხდება, მეორე მხრივ, კი მისი კომპოზიცია ერთგვარი სამკუთხედის ფორმით მყარად იკვრება. ამის ნათელი მაგალითებია მაგ. დუბროვნიკის ბენედიქტელთა ორდენის ტაძრის (XIV ს.), სინას წმ. ეკატერინეს მონასტრის (XV ს.), ათონის პროტატონის მონასტრის "ჯვარცმები" (1611 წ.) და სხვ. (სურ, 17, 20, 21, 22).

პროტატონის მონასტერთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მისი "ჯვარცმა" (310X205 სმ) ორგანული ნაწილია დიდი ანსამბლისა, რომელიც თავის მხრივ, ხის იკონოსტასისგან, მასზე დასადგმელი ვედრების, საუფლო დღესასწაულთა ხატებისა და აღსავლის კარისგან შედგება. მთელ ამ ანსამბლს ერთი არქიტექტორი (ბერი ნეოფიტე) ჰყავს, რომელიც ვატოპედის მონასტრის მთავარი ტაძრის იკონოსტასის ავტორიცაა [Vassilaki 1977, 178].

ის ფაქტი, რომ მაღალი ხის იკონოსტასები არქიტექტურულ ანსამბლებად მოიაზრებოდა და მათი დამაგვირგვინებელი ჯვრების კონსტრუქციას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა კარგად ჩანს ქ. დუბროვნიკის ბიბლიოთეკაში დაცულ ნახაზზე [Gamulin 1983, 33; ტაბ. 42]. მასზე გარკვევით მოჩანს არა მარტო ჯვარი, არამედ ლიპერებიც, დეკორაციული ელემენტებიცა და დამატებითი გამოსახულებებიც (მაგ. ყოვლადწმინდა სამება, სამწერობლებიანი ანგელოზები) და აგრეთვე ის, თუ როგორ, რა მექანიზმებით უნდა დამაგრებულიყო მყარად ეს რთული, მასშტაბური კონსტრუქცია (სურ. 20, 21).

დუბროვნიკის ბიბლიოთეკის ნახაზზე გამოსახულ და ბენედიქტელთა ტაძარში აღმართულ "ჯვარცმებს" (412X318 სმ) სინას წმ. ეკატერინეს მონასტერში დაცული იკონოსტასის ჯვარცმაც ჰგავს (სურ. 22). აქაც ჯვრის ჰორიზონტალურ საყრდენად გამოყენებულია დამატებითი ძელი, რომელიც ფსიდის სიგანისაა და მის კედლებში იჭედება [Gamulin G.1983, 36; tab. 49].

ამგვარადვე უნდა მდგარიყო იკონოსტასზე ქვათახევის მონასტერში დაცული ჯვარიც, რომლისთვისაც, როგორც ზემოთ ითქვა, საამისოდ გვერდითი ხვრელებიც გაუკეთებიათ და ზურგიდან ცენტრში რკინის რგოლებიც მიუმაგრებიათ.

ხვრელების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ქვათახევის ჯვარცმას მისი ტიპის ჯვრების (სურ. 17, 19, 21, 22) მსგავსი დეკორატიული მოროულობაც ჰქონია. საინტერესოა, რომ ასეთ მოროულობას სახისმეტყველებითი დატვირთვაც აქვს. ამგვარად შემკული, "აყვავებული" ჯვარი იდეურად "ხე ცხოვრებისას" ანუ უკვდავების ხეს უკავშირდება და წარმოგვიდგება. დაკარგულ-დასაბრუნებელ სამოთხეზე მიმანიშ-

ნებელ ხატად. აღსანიშნავია, რომ ზოგ იკონოსტასზე ჯვარი ხისგან გამოკვეთილ გველებს ან დრაკონებს ადგას [Nikonanos: 302-304 ill. 4], რაც მიმანიშნებელია უფლის მაცხოვნებელი მსხვერპლით უკეთური ძალის დათრგუნვისა და პირველყოფილი ცოდვის გამოსყიდვისა.

სიმბოლურია ამგვარი "ხის" იკონოსტასზე აღმართვაც, ვინაიდან, იკონოსტასი, როგორც ტაძრის საკურთხეველსა და დარბაზს შორის გავლებული ზღვარი თავისთავად ზეცისა და მიწის, სასუფეველისა და ამა სოფლის გამყოფ-შემაერთებელ კედლად გვევლინება [Священник Павел Флоренский 1917: 96, 97].

ამჟამად, ქვათახევის ეკლესიაში XIX ს-ში აღმართული რუსული იკონოსტასი დგას (სურ. 23), რომელიც მცირე ზომის ჯვარით ბოლოვდება. იყო თუ არა ეს ჯვარი იმთავითვე ქვათახევის მონასტრის კუთვნილება? ამ კითხვაზე პასუხი ჯერჯერობით არ გაგვაჩნია. უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენთვის საინტერესო დიდი ჯვარი, თავდაპირველად თავზე ედგა სხვა, უფრო ძველ იკონოსტასს.

რაც შეეხება თავად ჯვრის თარიღსა და წარმომავლობას, წინასწარ უნდა ითქვას, რომ იგი, ჩვენი აზრით, XVI-XVII საუკუნისაა და ათონურ ჯვრებს უკავშირდება. როგორც ჩანს, მისი მხატვარი კარგად იცნობდა ამ პერიოდის წმინდა მთის სამხატვრო სკოლისთვის დამახასიათებელ იკონოგრაფიულ-სტილურ სიახლეებს, რასაც საკუთარ შემოქმედებაში წარმატებულად იყენებდა.

სამწუხაროდ, ქვათახევის ჯვრის ხელოვნებათმცოდნეობითი ანალიზის შედეგებზე უფრო ფართო მსჯელობა წინამდებარე სტატიის ფორმატში ვერ ხერხდება. ვიმედოვნებთ, რომ ამის საშუალება უახლოეს მომავალში მოგვეცემა.

Tamar Bakuradze*, Nana Burtchuladze *

Vakhtang Khoshtaria*, Ia Akhvlediani**

*Georgian National Museum, Rustaveli Avenue 3, 0105 Tbilisi, Georgia,
Email: tamar_bakuradze@yahoo.com
nanaburchuladze@yahoo.com
** The Technical University, Kostava street 77.
Email: akhvlediani@yahoo.com

The Chancel Screen Cross with the " Crucifixion " from the Kvatakhevi Monastery (Study and Conservation)

Summary

The present publication is dedicated to the research and conservation work performed in the Restoration Department of Georgian National Museum in 2009-2010 on the wooden painted cross (2,50X1, 80 cm) from the Kvatakhevi Monastery.

The conservation work has been implemented by Ms. Mariam Chkhaidze's initiative, with the blessing of Metropolitan of Samtavisi and Gori eparchy Andria Gvazava and by the consent of the Museum General Director – David Lortkipanidze.

The cross was in poor condition at the time of its arrival from the monastery – wooden bazis and painted layer were considerably damaged. However, it was clear that the cross was an especially important monument of the Medieval Georgian Art and it was in urgent need of being rescued.

The research and conservation work was performed by painting restorer Tamar Bakuradze together with Vakhtang Khoshtaria (wood restorer), Ia Akhvlediani (Associate Professor of chair of mineralogy, petrology and geochemistry at Technical University) and Nana Burtchuladze (art historian). The cross was subjected to biological, X-ray dimension, X-ray fluorescent studies. The cross was also treated with antiseptic; its structural integrity was restored.

Art analysis revealed that it belongs to the type of crosses which are placed on the iconostasis – with the "Crucifixion". Its closest analogies are found among typologically similar monuments of the 16th-17th centuries that are kept in monasteries of Mount Athos.

ბიბლიოგრაფია

1. ამირანაშვილი ჯ. 1968: ადრეფეოდალური ხანის ქართული არქიტექტურისა და რელიეფური ქანდაკების ძეგლები. თბილისი.

2. წმ. იოანე დამასკელი. 2000: მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა. თბილისი.

3. საყვარელიძე თ. 1980**:** XII საუკუნის ქართული ოქრომჭედლობის ისტორიიდან. თბილისი.

4. Богословско-литургический словарь. 1983: Настольная книга священнослужителя. т. 4. Москва, Издание Московской Патриархии, стр. 725-729.

5. Воронина Л. 1968: Меры борьбы с плесневыми грибами на произведениях живописи.=Л. Волкова (ред.). Сообщения № 20, Москва, стр. 57-65.

6. Кения Р. 1980: Предалтарные кресты верхней Сванетии. Средневековое искусство _ Русь, Грузия. Москва, стр. 219-236.

7. Священник Павел Флоренский. 1917: Иконостас. Богословские труды, вып. 9, Москва, стр. 83-148.

8. Чубинашвили Г. 1959: Грузинское чеканное искусство. тт. 1, 2. Тбилиси

9. Шмерлинг Р. 1962: Малые формы в архитектуре средневековой Грузии. Тбилиси.

10. Энциклопедический словарь 1895 = Ф. Брокгауз, И. Ефронь (ред.), т. 16/а, С.- Петербург, стр. 654-658.

11. Gamulin G. 1983: Slikana raspela u hrvatskoj. Zagreb.

12. Nikonanos N. 2001: Woodcarving. The Treasury of the Protaton. Mount Athos, pp. 129-146, 301-304.

13. Tsigaridas E. 1997: Portable Icons. Treasury of Mount Athos. Thessaloniki, pp. 49-151.

14.Vassilaki M. 2004: Icons of the Seventeenth Century (Part one). The Treasury of the Protaton II, pp. 155-199.

ილუსტრაციების აღწერილობა

სურ. 1. ქვათახევის მამათა მონასტერი. XII-XIII ს.
სურ. 2. ჯვარი ტაძრის ჩრდილოთ კედელზე. 2009 წ.
სურ. 3 .ჯვრის ჩამოხსნის პროცესი.
სურ. 4. ფერწერის მდგომარეობა
სურ. 5 . ტაძარში მუშაობის პროცესი.
სურ. 6. ჯვრის წამობრძანება.
სურ. 7. ჯვრის ზურგის მხარე (დეტალი).
სურ. 8. ლურსმნის ამოღების პროცესი.
სურ. 9. ბიოლოგიური სინჯების აღება.
სურ. 10-11 საფუძვლის ბოჭკოს ანათალები.
სურ. 12-13 პიგმენტების კვლევის გრაფიკული სქემები.
სურ. 14. პიგმენტების ნიმუშები.
სურ. 15. პიგმენტების შემადგენლობის ცხრილი.
სურ. 16. ქვათახევის ჯვარი რესტავრაციის შემდეგ.
სურ. 17. იკონოსტასის ჯვარი, ათონის მთის პროტატონის მონასტერი. XVII ს.
სურ. 18. იკონოსტასის ჯვარი. ზადარის მონასტერი. ავტორი – ჯაკობელო დი ბონომო. 1380-1390 წწ.
სურ. 19. იკონოსტასის ჯვარი. კორჩულას მონასტერი. 1400 წ.
სურ. 20. დუბროვნიკის ტაძრის იკონოსტასზე დამაგრებული ჯვრის

ნახაზი. 1350-1355 წწ. დუბროვნიკის ბიბლიოთეკა.

სურ. 21. იკონოსტასზე აღმართული ჯვარი. დუბროვნიკის ტაძარი. 1350-1355 წწ.

სურ. 22. იკონოსტასის ჯვარი, სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტერი. XV ს.

სურ. 23. ქვათახევის მონასტრის დღევანდელი იკონოსტატი. XIX ს.

სურ. 24. სამთავისისა და გორის მიტროპოლიტი ანდრია ეროვნულ მუზეუმში ეცნობა ჯვრის რესტავრაციის პროცესს. 2010 წ.

DESCRIPTION OF THE ILLUSTRATIONS

Fig. 1. The Kvatakhevi Monastery. 12th – 13th cc.

Fig. 2. The Cross on the north wall of the Kvatakhevi church. 2009.

Fig. 3. Taking off the Cross.

Fig. 4. Condition of the paiting.

Fig. 5. Working process in the Monastery.

Fig. 6. Carrying of the Cross.

Fig. 7. Backside of the Cross (detail).

Fig. 8. Taking off the nail.

Fig. 9. Taking of the biological simples.

Fig. 10-11. Shapened fibbers of a base.

Fig. 12-13. Graphic schemes of pigment research.

Fig. 14. Samples of pigments.

Fig. 15. Table of pigment compositions amples of pigments.

Fig. 16. Kvatakhevi cross after restoration.

Fig. 17. Iconostasis cross of the Protaton monastery. Mount Athos. 17th c.

Fig. 18 . Iconostasis cross of the Zadar Monastery. Painted by Jakobelo di Bonomo. 1380-1390.

Fig. 19 . Iconostasis Cross of the Korchula Monastery. 1400.

Fig. 20. Scheme of the Dubrovnik cross, attached to iconostasis. 1350-1355. The Dubrovnik library.

Fig. 21. Iconostasis Cross of the Dubrovnik Monastery. 1350-1355.

Fig. 22. Iconostasis Cross of the St. Catherine Monastery. Mount Sina.

Fig. 23. Present Iconostasis of the Kvatakhevi Monastery. 19th c.

Fig. 24. The Bishop of Samtavisi and Gori Eparchy Andria (Gvazava) is getting acquainted with the restoration process of the Kvatakhevi cross. 2010,

სურ. 1 Fig.

სურ. 2 Fig.

სურ. 3 Fig.

სურ. 4 Fig.

სურ. 5 Fig.

სურ. 6 Fig.



სურ. 7 Fig.



სურ. 8 Fig.

სურ. 9 Fig.



სურ. 10 Fig.



სურ. 11 Fig.





სურ. 12 Fig.

სურ. 13 Fig.



სურ. 14 Fig.

რენტგენო-ფლუორესცენტული ანალიზის შედეგები

საღებავის ფერი	საღებავში შემავალი ძირითადი ელემენტები და საღებავის დასახელება	დამატებითი ფაზა		
		გრუნტი I შრე	გრუნტი II შრე	საღებავის მინარევი
შოკოლადისფერი ნიმუში N 3 	წითელი ოქრა Fe	ანჰიდრიტი Ca, Sr	ტყვიის თეთრა Pb	მანგანუმის ნაერთი Mn
 მწვანე და ოქრო ნიმუში N 5	გლაუკონიტი Fe	ანჰიდრიტი Ca, Sr	ტყვიის თეთრა Pb	–
	ოქრის კილიტა Au			Cu, Ag

სურ. 15 Fig.

სურ. 16 Fig.

სურ. 17 Fig.

სურ. 18 Fig.

სურ. 19 Fig.



სურ. 20 Fig.



სურ. 21 Fig.



სურ. 22 Fig.

სურ. 23 Fig.

სურ. 24 Fig.

თემურ შარიქაძე

ლევან ჭილაშვილის საგამოფენო საქმიანობა 1973-2004 წლებში

2010 წელს საქართველოს ეროვნული მუზეუმი აღნიშნავს ცნობილი ქართველი ისტორიკოს-არქეოლოგის, ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის დირექტორის (1973-2004 წწ), სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, პროფესორ ლევან ჭილაშვილის დაბადების 80 წლისთავს.

ადრე თუ გვიან ცხოვრების არენიდან მიდიან პიროვნებები, რომლთა მიერ დატოვებული ღირსეული საქმეები დროთა მსვლელობას უძლებენ და უკვალოდ არ ქრებიან. ჩვენ კარგად ვიცით, რომ შეუძლებელია წარსულის დაბრუნება, მხოლოდ მისი გახსენებაა შესაძლებელი და ამიტომაც ტკბილად ვიგონებთ საქართველოზე და მუზეუმზე შეყვარებული პიროვნების – ბატონი ლევანის განცდების, მღელვარების, გამარჯვებისა და რწმენის განვლილ წლებს. უკვე ექვსი წელია, რაც ბატონი ლევანის გარეშე აღვნიშნავთ ყოველ თვრამეტ და ოცდაორ მაისს – მუზეუმების საერთაშორისო და ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის საიუბილეო თარიღებს, ასევე ყოველი წლის ჩვიდმეტ აგვისტოს, სევდითა და სანთლებით ვხვდებით საფლავზე მის დაბადების დღეს.

მრავალმხრივი და მნიშვნელოვანია ბატონ ლევან ჭილაშვილის მოღვაწეობა ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში, სადაც მან 1957 წლიდან ღირსეულად განვლო დიდი სამეცნიერო გზა უმცროსი მეცნიერ თანამშრომლიდან - მუზეუმის დირექტორის თანამდებობამდე და მთელი თავისი მოღვაწეობა ქვეყნის – საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის საკითხების კვლევას მიუძღვნა.

ამჟამად, ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება გვინდა დავუთმოთ ბატონი ლევანის საგამოფენო საქმიანობას, რომელიც არის იმ ტრადიციების გაგრძელება, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებასთან არსებულ მუზეუმში და, რომელიც შემდგომ წარმატებით გაგრძელდა კავკასიისა და საქართველოს მუზეუმებში.

ბატონი ლევანი, როგორც მუზეუმის ისტორიის კარგი მცოდნე ყოველთვის სიამაყით იხსენებდა და დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა XIX ს-ის 50-იანი წლებიდან მუზეუმის ძალებით ადგილზე თუ საქართველოს ფარგლებს გარეთ მოწყობილ არქეოლოგიურ, ეთნოგრაფიულ და საბუნებისმეტყველო გამოფენებს.

ბატონი ლევან ჭილაშვილის მრავალმხრივი სამუზეუმო მოღვაწეო-

ბიდან გამოვყოფთ საგამოფენო საქმიანობას, მის პირველ ეტაპს (1957-1973 წწ.), რომელიც მოიცავს პერიოდს მისი მუზეუმში მოსვლიდან – დირექტორობამდე.

ბატონი ლევან ჭილაშვილი მუზეუმის შუა საუკუნეების ისტორიის განყოფილებაში მოსვლის დღიდანვე, აქტიურად ჩაება სამუზეუმო ცხოვრებაში. იგი სისტემატიურად მონაწილეობდა არქეოლოგიურ ექსპედიციებში, ღრმად ჩაწვდა და შეისწავლა საფონდო საქმიანობა, ასევე განყოფილების თანამშრომლებთან ერთად არაერთი გამოფენის უშუალო მონაწილე გახდა. კერძოდ, მონაწილეობა მიიღო: „შუა საუკუნეების IV-XIII სს. მატერიალური კულტურის“ ამსახველი გამოფენის მოწყობაში (ხელ. პ. ზაქარაია, მხატვარი ა. ვარაზი); საქართველოს ახალი ისტორიის (1958-1967) და საბჭოთა საქართველოს ისტორიის (1967) ექსპოზიციების გამართვაში.

საგამოფენო საქმიანობის მეორე ეტაპი (1973-2004 წწ.) იწყება მას შემდეგ, რაც იგი ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის დირექტორად დაინიშნა. მუზეუმის ისტორიის ცოდნამ, ადრე მოწყობილი გამოფენებიდან მიღებულმა გამოცდილებამ, ბატონ ლევანს ახალი პერსპექტივები დაუსახა შემდგომი საგამოფენო მოღვაწეობისათვის.

საგამოფენო საქმიანობაში განსაკუთრებით წარმატებულად ითვლება 1979 წელი, როდესაც ლევან ჭილაშვილმა ბატონ ალექსანდრე (ლალი) ჯავახიშვილთან ერთად მოაწყო გამოფენა – “საქართველოში ოქრომჭედლობის განვითარების ისტორია. მასში სრულიად ახლებურად იყო გადაწყვეტილი ექსპონატების შერჩევისა და მხატვრული გაფორმების მხარე. ექსპოზიციამ მოკლე ხანში საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. ასევე, ბატონი ლევანის აქტიური მხარდაჭერით განახლდა საბჭოთა საქართველოს (1981წ.) და საქართველოს ახალი ისტორიის (1983წ.) პერიოდის გამოფენები, ხოლო 1983 წელს მისი უშუალო ხელმძღვანელობით მუზეუმში მოეწყო ფეოდალური ხანის მატერიალური კულტურის ისტორიის ამსახველი განახლებული ექსპოზიცია (IV-XIII სს.).

მუზეუმში არსებული მძიმე პირობების მიუხედავად, ლევან ჭილაშვილმა 2000 წლის 26 მაისს, ძვირფასი ლითონების ორ საგამოფენო დარბაზში, საზოგადოებას წარუდგინა ოქრომჭედლობის შუა საუკუნეებისა და ეთნოგრაფიული კოლექციების შესანიშნავი ნიმუშები (IV-XIX სს.), როგორც არქეოლოგიური გამოფენის გაგრძელება. 2002 წელს ბატონი ლევანი კიდევ ერთხელ წარსდგა საზოგადოების წინაშე შუა საუკუნეების ისტორიისა და მატერიალური კულტურისა ამსახველი განახლებული გამოფენით.

ბატონ ლევანს, როგორც მუზეუმის ხელმძღვანელს კარგად ესმოდა, რომ საგამოფენო მუშაობა წარმოადგენდა სამუზეუმო ცხოვრების სახეს. მისი აზრით აუცილებელი იყო საქართველოს ხელოვნებისა და კულტურის ამსახველი გამოფენების მოწყობა საზღვარგარეთ, რათა წარმოჩენილიყო ქვეყნის კულტურული სიმდიდრე, ჩვენი მიღწევები, მონაპოვარი, მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა, დამყარებულიყო მჭიდრო კონტაქტები უცხოელ კოლეგებთან, მეცნიერებთან, შემუშავებულიყო ერთობლივი პროექტები, რაც დაწესებულებას საერთაშორისო

იმიჯს შუქმნიდა.

სწორედ ამის გათვალისწინებით, ბატონმა ლევან ჭილაშვილმა მოსკოვიდან უსულგულო დამოკიდებულებისა და ხელოვნურად შექმნილი დაბრკოლებების მიუხედავად, მაინც შესძლო 1982 წელს, პარიზში გაეტანა ეროვნული კულტურის ნიმუშები. გემოვნებით და მადალი პროფესიონალიზმით შერჩეულ ექსპონატების გაცნობას დიდი გამოხმაურება მოჰყვა, რამაც ჩვენს ქვეყანას დიდი სიკეთე და წარმატება მოუტანა – საქართველო ევროპის ყურადღების ცენტრში მოექცა. შესაბამისად, ფრანგები ვერ მალავდნენ აღტაცებას „გრან-პალეში“ წარმოდგენილი ძველი ქართული შემოქმედების ხილვის გამო, ხოლო პრესა იუწყებოდა გამოფენების დიდ წარმატებებზე.

გამოფენაზე „ქართული ხელოვნება უძველესი დროიდან XVII საუკუნემდე“, ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ექსპონატებთან ერთად წარმოდგენილი იყო, შ. ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების მუზეუმისა და კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის საუკეთესო შედევრები, რის გამოც საქართველო მსოფლიოს ერთ-ერთ უძველეს ცივილიზაციად იქნა აღიარებული. ამან კიდევ უფრო გაზარდა ინტერესი ქართული სიძველეებისადმი, რასაც განაპირობებდა უცხოეთში მოწყობილი გამოფენების წარმატებები. მუზეუმმა მჭიდრო კავშირები დაამყარა მსოფლიოს დიდ სამეცნიერო ცენტრებთან.

ვანის, ახალგორის და მცხეთის არქეოლოგიური კოლექციების შესანიშნავი ნიმუშები იქნა გამოფენილი 1985 წელს იაპონიაში (ტოკიო, ოსაკა) გამოფენაზე – „დასავლეთი და აღმოსავლეთი ქვეყნების კულტურული კავშირები ძველად და შუა საუკუნეებში“, რამაც კვლავ საერთაშორისო აღიარება და წარმატება მოუტანა ქართულ კულტურას.

ყოველი გამოფენის უცხოეთში ორგანიზებულად მოწყობის პასუხისმგებლობას ბატონი ლევანი პირადად ითავისებდა, რომლის უკანაც იდგა თავდაუზოგავი შრომა, სიძნელეები, საქმის ცოდნა და სიყვარული.

1990-2002 წლები ერთ-ერთი მძიმე პერიოდი იყო მუზეუმის ცხოვრებაში. ამ დროს მუზეუმის დირექტორს თანამშრომლებთან ერთად, ხანძრის კერების ლიკვიდაცია მოუხდა. მის გაბედულებას, სიმამაცეს და უნარიან ხელმძღვანელობას უნდა ვუმადლოდეთ, რომ სამოქალაქო დაპირისპირების დროს მუზეუმი გადაურჩა განადგურებასა და გაძარცვას. ბატონმა ლევანმა მუზეუმის ეს ყველაზე ტრაგიკული ფურცელი შესანიშნავად დაგვისურათა მცირე ფორმატიან წიგნში – „თხუთმეტი მძიმე დღე მუზეუმის ცხოვრებიდან“.

ამ პერიოდში საქართველოში არსებული მძიმე ვითარების მიუხედავად, ისრაელის ქ. თელ-ავივში, ებრაელთა დიასპორის მუზეუმში გაიხსნა ქართველ-ებრაელთა ისტორიის, ყოფისა და კულტურის ამსახველი გამოფენა (1992წ.) - „ოქროს საწმისის ქვეყანაში-ქართველი ებრაელები, მათი ისტორია და კულტურა“. გახსნის ცერემონიას დაესწრო მრავალი საპატიო სტუმარი, საქართველოდან წასული ქართველი ებრაელები. გამოფენამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა დამთვალიერებლებზე და იგი ფართოდ გაშუქდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

გერმანიის ქალაქებში (ზაარბრიუკენი, მიუნხენი, დრეზდენი) (1995-1996

წწ.) მოეწყო დიდი არქეოლოგიური გამოფენა „ოქროს საწმისის გზებით – არქეოლოგიური აღმოჩენები საქართველოდან“, სადაც წარმოდგენილი იქნა ქართული კულტურის ისტორიის თვალსაჩინო მონაკვეთი ნეოლითიდან – გვიან ანტიკურ ხანამდე. წარმატებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ გახსნამდე გერმანულმა მხარემ ჩაატარა ექსპონატების გაწმენდა და რესტავრაცია, რაც ადგილობრივ პირობებში ჩვენთან შეუძლებელი იყო. გამოფენა აღიარებული იქნა ორ ქვეყანას შორის მეგობრული ურთიერთობის გამოხატულებად. გამოფენების ფუნქციონირების პერიოდში ბატონმა ლევან ჭილაშვილმა ბონის უნივერსიტეტის არქეოლოგიის ინსტიტუტში და დრეზდენის არქეოლოგიურ მუზეუმში წაიკითხა ლექციები საქართველოს არქეოლოგიის საკითხებზე.

წარმატება მოიტანა გერმანიის ქალაქებში (ბონი, შტუტგარტი, ბრაუნშვაიგი) ისტორიული ტროას გათხრებისადმი მიძღვნილ გამოფენაში „ტროა – მითი და რეალობა“ ჩვენი მუზეუმის მონაწილეობამ (2001, 2004 წწ.), რომლითაც კიდევ ერთხელ დადასტურდა ძვ.წ. III-II ათასწლეულში ეგეოსის კულტურასთან ჩვენი ძეგლების ურთიერთკავშირი.

უცხოეთში მოწყობილი გამოფენებით მრავალმა ქვეყანამ გაიცნო დიდი ისტორიული ტრადიციების მქონე საქართველო, გზა გაეხსნა ქართული კულტურის ფართოდ წარმოჩენას და საქართველო ჩაერთო მსოფლიო კულტურულ პროცესებში.

1999 წელს ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიური კოლექციების ჩვენებით გაიხსნა ლონდონში მუდმივმოქმედი გამოფენა „ღვინის ქალაქი – ვინოპოლისი“, რომელიც ვაზის და ღვინის ისტორიას მიეძღვნა. გამოფენაზე, სადაც წარმოდგენილი იყო მსოფლიოს ყველა კუთხის მევენახეობა-მეღვინეობის ამსახველი მასალები, საქართველო აღიარეს ღვინის აკვნად, ქვეყნად, სადაც ადამიანმა პირველად მოაშინაურა გარეული ვაზი, დაწურა ყურძენი და დააყენა ღვინო. სწორედ ამიტომ, ვაზის მოვლა-პატრონობასთან, ღვინის დაყენებასთან, დაძველებასა თუ დაწურვასთან მიმართებაში სხვაგან იმდენი სახის საღვინე ჭურჭელი, საწური საშუალებები, იარაღები და ტერმინები არ არსებობს, როგორც საქართველოშია. ქართულმა ღვინოებმა არნახული დაინტერესება გამოიწვია. დამთვალიერებელმა კიდევ ერთხელ იხილა ქართველი არქეოლოგების მიერ ძვ.წ. VI ათასწლეულის ნამოსახლარებზე აღმოჩენილი, ვაზის ტოტებზე შემოხვეული ვერცხლის გარსაკრავები და ყურძნის წიპწები, რომლებიც ჯერჯერობით უძველესია მსოფლიოში. ერთ სტენდში მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ექსპონატების მოუთავსებლობის გამო, მთელი მასალა გამოქვეყნებული იქნა წიგნ-ალბომი – „ვენახი, ღვინო და ქართველები (იდეის ავტორები - ლევან გაჩეჩილაძე, თამაზ კანდელაკი, ტექსტის ავტორი ლევან ჭილაშვილი, 2004 წ.).” შეიქმნა შესანიშნავი ნაშრომი, სადაც საქართველო წარმოჩნდა, როგორც მევენახეობისა და მეღვინეობის ჩასახვის კერა, რომლის ისტორიასა და ყოფაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მევენახეობისა და ღვინის კულტურას.

ბატონი ლევანის მიზანი იყო საქართველოს მუზეუმის მონაწილეობა იტალიის ქ. ტრიესტში (1999-2000წწ.) დაგეგმილ საერთაშორისო

გამოფენაში – „მართლმადიდებლური სამყარო კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ“, რომელიც მნიშვნელოვან როლს შეასრულებდა საქართველო-იტალიის თანამშრომლობის საქმეში. სამწუხაროდ, გამოფენაში ქართული მხარის მონაწილეობა არ შედგა. ბატონი ლევანი ასევე დიდად განიცდიდა სხვადასხვა მიზეზებით გამოფენის ჩაშლას ამერიკაში (2000 წ.), რომლის სამახსოვროდ მხოლოდ მაღალ დონეზე გამოცემული კატალოგი დაგვრჩა.

ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიული პროცესების კვალად, სულ მალე მუზეუმოლოგიის სფეროშიც მოხდა საერთაშორისო ნდობის აღდგენა. 2004 წელს წამყვანი მუზეუმების გაერთიანების საფუძველზე, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით შეიქმნა საქართველოს ეროვნული მუზეუმი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა რეფორმატორული ხელმძღვანელობა. დმანისისა და ვანის ბოლოდროინდელმა, უნიკალურმა აღმოჩენებმა გაამდიდრა მუზეუმის ფონდები, ხოლო საგამოფენო პოლიტიკა გახდა ერთ-ერთი ხელისშემწყობი ფაქტორი იმისა, რომ საქართველომ დასავლურ სივრცეში თანდათანობით შესძლო მაღალი კულტურის ქვეყნის იმიჯის მოპოვება. ათობით ათასმა დამთვალიერებელმა ინახულა ქართული კულტურის ამსახველი გამოფენები ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში – საქართველო კიდევ ერთხელ აღიარებული იქნა უძველესი კულტურის ქვეყნად.

Museology

Levan Chilashvili's exhibition activity in 1973-2004 Years

Summary

Mr. Levan Chilashvili would have been 80 years old this year. He has achieved dignity and fame through his career starting from the junior scientist (1957) to the Director of the museum (2004). During his long and prolific career Mr. Levan gained recognition in the society as a great medieval history researcher, supervisor of the Nekresi archeological expedition, lecturer of the Tbilisi State University, an active participant of the symposiums, business meetings, conferences held both in Georgia and abroad, He was an expert in museum activity, a supporter and organizer of exhibitions in Georgia and abroad as well.

Since 60's staff and visitors expressed their satisfaction towards the exhibitions held and renewed in the museum upon his initiative. He exhibited remarkable samples of Georgian cultural heritage in leading countries-France (Paris, 1982), Japan (Tokyo, Osaka, 1985), Israel (Tel Aviv, 1992), Germany (Saarbrucken, Munich, Dresden: 1995-1996; Bonn, Stuttgart, Braunschweig: 2001, 2004), London (1999), which gained wide international recognition.

Our country became tightly tied to the world civilization thanks to the exhibitions of Vani excavations and in other parts of Georgia. During 2007-2010 years thousands of visitors saw exhibitions reflecting Georgian culture in Germany, France, the USA, Greece, England, Sweden, Holland, Spain.

Temur Sharikadze

აკადემიკოს ლევან ჭილაშვილის ნაშრომების ბიბლიოგრაფია:

მ ო ნ ო გ რ ა ფ ი ე ბ ი

1. ქალაქი რუსთავი (ისტორიულ-არქეოლოგიური ნარკვევი), თბილისი, 1958
2. ნაქალაქარი ურბნისი (ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა), თბილისი, 1964
3. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, თბილისი, 1968
4. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, II, თბილისი, 1970
5. ძველი გავაზი (ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა), თბილისი, 1975
6. კახეთის ქალაქები (XIV-XVII სს), თბილისი, 1980
7. მეზეუმმცოდნეობა და სამუზეუმო საქმის საფუძვლები, თბილისი, 1984
8. მსოფლიოს დიდი სამუზეუმო ცენტრები, I, თბილისი, 1985
9. მსოფლიოს დიდი სამუზეუმო ცენტრები, II, თბილისი, 1985
10. საქართველოს IV-XVIIIსს. მატერიალური კულტურა, თბილისი, 1990
11. არეში (ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა), თბილისი, 1991
12. ნეკრესის წარმართული სამლოცველოები, თბილისი, 2000
13. ტოპონიმიკური შენიშვნები, თბილისი, 2001
14. თხუთმეტი მძიმე დღე, თბილისი, 2002
15. ვაზი, ღვინო, ქართველები, თბილისი, 2004
16. ნეკრესის უძველესი ქართული წარწერები და ქართული დამწერლობის ისტორიის საკითხები, თბილისი, 2004
17. The vine, wine and the Georgians (translated by Arrian Chanturia), Tbilisi, 2004
18. Виноградная лоза, вино и грузины. (перевод с грузинского Шота Самушиа), Тбилиси, 2004

სტატიები

1. ფეოდალური საქრთველოს ზოგიერთი პუნქტის ლოკალიზაციისათვის, ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა VI კონფერენციის მასალები., თბილისი., 1955
2. ქალაქი რუსთავი (ისტორიულ-არქეოლოგიური ნარკვევი), თბილისი, 1958 (ავტორეფერატი)
3. ადრეფეოდალური ხანის სამაროვანი ბეთანიასთან, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის "მოამბე," XXII-B, თბილისი, 1961 (ი. კიკვიძის თანაავტორობით)
4. რუსთაველი "თეფალე" – ქართლის პატრიკიოსის მოციქული, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის "მოამბე," XXII-B, თბილისი, 1961
5. ლოჭინის ნასოფლარის არქეოლოგიური გათხრები, საქართველოს

სახელმწიფო მუზეუმის “მოამბე,” XXIII-B, თბილისი, 1962 (რ. აბრამიშვილის თანაავტორობით)
6. ურბნისის ნაქალაქარის სტრატიგრაფიისათვის, საქართველოს სახელმწიფო მეზეუმის IX სამეცნიერო სესია, თბილისი, 1962
7. ურბნისის არქეოლოგიური შესწავლის რამდენიმე მომენტი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის “მოამბე,” XXIII-B, თბილისი, 1963
8. ქალაქური ტიპის უძველესი ნასახლარები გურჯაანის რაიონში, გურჯაანის მუზეუმისა და ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია, 1965
9. ფეოდალური საქართველოს ქალაქები, თბილისი, 1967 (სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი)
10. არქეოლოგიური გათხრები სამშვილდის ნაქალაქარზე, 1968 წლის არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში. თბილისი, 1969
11. არქეოლოგიური გათხრები ახალსოფელში, კრ. არქეოლოგიური აღმოჩენები სსსრკ-ში 1969 წელს, მოსკოვი 1970 (რუსულ ენაზე)
12. გავაზის არქეოლოგიური ექსპედიციის 1969 წლის მუშაობის შედეგები, არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში, 1969. თბილისი, 1971
13. გავაზის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები, კრ. არქეოლოგიური აღმოჩენები სსრკ-ში 1970 წელს, მოსკოვი, 1971 (რუსულ ენაზე)
14. არქეოლოგიის უახლესი მიღწევები შუა საუკუნეების საქართველოში, საველე სამუშაოებისადმი მიძღვნილი საკავშირო სესია, თბილისი, 1971 (გ. ლომთათიძის თანაავტორობით)
15. გავაზის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები, კრ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, II, თბილისი, 1972
16. ჯამი სპარსული წარწერებით გრემიდან კრ. “აღმოსავლური ფილოლოგია” თბილისი, 1972 (ჯ. გიუნაშვილის (თანაავტორობით)
17. ბაზარ-ზაგემის ლოკალიზაციისათვის, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის XXI სამეცნიერო სესია, თბილისი, 1973
18. ახალსოფლის არქეოლოგიური ექსპედიცია (1970-1971წწ.), საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, III, თბილისი, 1973
19. გავაზის არქეოლოგიური ექსპედიცია, კრ. არქეოლოგიური აღმოჩენები სსსრკ-ში 1972წელს. მოსკოვი, 1973 (რუსულ ენაზე)
20. ერთი სავაჭრო გზის შესახებ, აღმოსავლეთის მეზეუმის II სამეცნიერო კონფერენცია, მოსკოვი, 1973 (რუსულ ენაზე)
21. ქართული მხატვრული კერამიკის ერთი ქრონოლოგიური ჯგუფის შესახებ, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი XXII სამეცნიერო სესია, თბილისი, 1973
22. არეშის ექსპედიცია, კრ. არქეოლოგიური აღმოჩენები სსსრკ-ში 1974წელს, მოსკოვი, 1975 (რუსულ ენაზე)
23. არეშის ნაქალაქარის არქეოლოგიური დაზვერვები, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, IV, თბილისი, 1975

24. არეშის ნაქალაქარის გათხრები, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, V, თბილისი, 1977

25. რეცენზია მ. მიწიშვილის ნაშრომზე "ძველი საქართველოს მოჭიქული კერამიკა", საბჭოთა არქეოლოგია, III, თბილისი, 1977

26. არეშის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, VI, თბილისი, 1978 (ბ. მჭედლიშვილის, ნ. აფხაზავას თანაავტორობით)

27. არეშის არქეოლოგიური ექსპედიცია, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, VII, თბილისი, 1980 (გ. კიკნაძის, ნ. აფხაზავას, ნ. ბახტაძის თანაავტორობით)

28. არეშის ექსპედიციის შედეგები, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, VIII, თბილისი, 1985

29. საბჭოთა მუზეუმების გამოფენა იაპონიაში (1985წ.) საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის "მოამბე", №39, თბილისი, 1987

30. გიორგი ნიორაძე, არქეოლოგიის დაბადების 100 წლისთავის გამო (1886-1986წწ.) საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის "მოამბე", №40, თბილისი, 1989

31. ნეკრესის არქეოლოგიის დასაწყისი, კრ. "დავით აღმაშენებელი", თბილისი, 1990

32. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი 145 წლისაა, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის "მოამბე," №42, თბილისი, 1997

33. "ღმერთი," სახელის განმარტებისათვის მეფე ფარნავაზი – მეფე ღმერთი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის "მოამბე," №42. თბილისი, 1997

34. თბილისის კერამიკული სახელოსნოს დანგრევის თარიღისათვის, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის "მოამბე," №43. თბილისი 1999

35. ნეკრესის სამლოცველო, კრ. ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, თბილისი, 1999

36. წინაქრისტიანული ხანის ქართული წარწერა ნეკრესიდან, ჟურნალი "ქართველოლოგი," თბილისი, №7, 2000

37. წარწერა ქვევრის პირზე ნეკრესიდან, ჟურნალი "ქართველოლოგი," თბილისი, №8, 2001

38. წინაქრისტიანული ხანის ქართული წარწერა ნეკრესიდან, "ბურჯი ეროვნებისა" №3-4, თბილისი, 2001

39. Държавият Музей на Грузия, Музей и Паметници на културата, София, 1983, №1

40. Es Staatliche Museum Georgiens, Unter wegs zum Goldenen Vlies, Saarbrücken, 1995.

41. Geschichtlicher Abris Georgiens, Dresden, 1996.

42. Shortly about Georgia, München, 1995.

43. En Eski Gürcü Hazienesi, Art Decor, 1998, № 3, Istanbul.

44. A.Brief History of Georgia, National Treasures of Georgia, London, 2000 (with cooperation of N. Lomouri).

45. Breve Sintesi Della Storia Della Georgia Dal 1400 Al 1801. Cristian, D'orienk, 1999, Milano

საგაზეთო სტატიები

1. გრემის ისტორიიდან, გაზეთი "კომუნისტი," 11.01.1967
(პ. ზაქარაიას თანაავტორობით)
2. ეროვნული განძი, გაზეთი "კომუნისტი", 03.06.1977
3. განვითარების პერსპექტივები,გაზეთი "ვეჩერნი თბილისი",29.07.1980
4. ქართული კულტურის საგანძური, გაზეთი "მოლოდიოჟ გრუზიი", 21.05.1977
5. ეროვნული კულტურის საგანძური,გაზეთი "კომუნისტი",23.05. 1982
6. ჩვენი კულტურის უქრობი კერა, გაზეთი "კომუნისტი", 12.07. 1986
7. მუზეუმის საპატიო მისია, გაზეთი "ზარია ვასტოკა", 12.07. 1985
8. ისევ საინგილოს შესახებ, გაზეთი "ლიტერატურული საქართველო", 13.01.1989
9. ნეკრესიც ალაპარაკდა, გაზეთი "ლიტერატურული საქართველო", 28.06.1991
10. მუზებისათვის განკუთვნილი ადგილი. ჟურნალი "საქართველოს კომუნისტი," №7, 1989
11. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის საიუბილეო "მოამბე" №44, თბილისი, 2002

სტატიები ქართული ენციკლოპედიისათვის

1. ანგობი
2. ბეთანიის სამაროვანი
3. გავაზი
4. განჯისკარი
5. გრემი
6. თბილისის არქეოლოგიური ძეგლები
7. ლოჭინის ნასოფლარი
8. ნაჭავჭავები
9. ურბნისი
10. რუსთავი

ლუიზა გვრიტიშვილი, რუსუდან დოლაბერიძე,
თინა კერესელიძე

საქართველოს ეროვნული მუზეუმი 2005-2010

პროექტები

№	დასახელება	თარიღი	მონაწილე ქვეყნები, ადგილი	ხელმძღვანელი
1.	არუხლოს ნამოსახლარი	2004-2015	საქართველო-გერმანია	ს. ჰანსენი, გ. მირცხულავა
2.	Final Lower Paleolithic and Early Maddle Paleolithic and Middle to Upper Paleolithic Transition in Southern Caucasus	2006	საქართველო-საფრანგეთი	ნ. თუშაბრამიშვილი
3.	ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიული ფონდების გზამკვლევი	2006	საქართველო	ე. ნადირაძე
4.	უფლისციხის არქეოლოგიურ-არქიტექტურული მუზეუმის ექსპოზიციის მოწყობა	2006	საქართველო	ნ. ხუნდაძე
5.	გურული მხედრები საქართველოში	2006	საქართველო	ს. ყანჩელი
6.	შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმის ნაქარგობისა და ქსოვილების კოლექციის კონსერვაცია-პრეზერვაცია	2006-2008	საქართველო	მ. გველესიანი
7.	ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი	2006-2008	საქართველო	ე. ნადირაძე
8.	SKOPE-ს სამეცნიერო ფონდის მიერ განხორციელებული სამეცნიერო პროექტი: „ნოქალაქევი ძვ. წ. I ათასწლეულში”	2006-2008	საქართველო	დ. ლომიტაშვილი
9.	კვიპროსის ქართული მონასტრის არქეოლოგიური გათხრები	2006-2010	საქართველო-კვიპროსი	ი. გაგოშიძე
10.	„შოვქარგე ესე დიდება”-ქართული ნაქარგობა XII-XIX ს.	2007	საქართველო	ი. მელიქიშვილი
11.	ბანიანი სახლების სარეაბილიტაციო პროექტი	2007 გრელდება	საქართველო-ნორვეგია	ე. ფოლკი დ. ჟვანია

12.	სენაკის რაიონის უძრავი ძეგლების პასპორტიზაცია და დაცული ზონების ფორმირება.	2007-2008	საქართველო	დ. ლომიტაშვილი
13.	ძვ. წ. VIII - I სს კოლხური კერამიკა ვანის ნაქალაქარიდან	2007-2008	საქართველო (ვანი)	დ. კაჭარავა
14.	ორიალეთის არქეოლოგიური ძეგლები	2007-2008	საქართველო (წალკის რ-ნი)	გ. ნარიმანიშვილი
15.	ყობანის კოლექცია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში	2007-2008	საქართველო	ნ. სულავა
16.	ქართლის ცხოვრება – ტოპოარქეოლოგიური კვლევები	2007-2008	საქართველო	გ. გამყრელიძე
17.	ვანის ნაქალაქარის სატაძრო კომპლექსის ფორტიფიკაცია	2007-2008	საქართველო (ვანი)	დ. კაჭარავა
18.	კულტურულ-ისტორიული პროცესი, პალეოეკოლოგიური პირობები და ადამიანის საქმიანობის გავლენა პალეოლანდშაფტზე ორიალეთში	2007-2008	საქართველო	ნ. შანშაშვილი
19.	აღმოსავლეთ საქართველო კავკასიის ადრესამწათმოქმედო კულტურათა სისტემაში	2007-2008	საქართველო	გ. მირცხულავა
20.	ტახტი-ფერდას მრავალფერიანი ნამოსახლარი	2007-2009	საქართველო-გერმანია	კ. ფიცხელაური, ი. მოცენბეკერი
21.	უძველესი ოქრო საქართველოში	2007-2010	საქართველო-გერმანია	ირ. ღამბაშიძე
22.	ბავშვთა სახლის აღსაზრდელების საზოგადოებასთან ინტეგრირება	2008	საქართველო	ე. სულხანიშვილი
23.	დასავლეთ საქართველოს ზედა პალეოლითი, მისი წარმოშობის და განვითარების გზები და პირობები.		საქართველო-აშშ	თ. მეშველიანი
24.	დასავლეთ საქართველო მონადირე-შემგროვებლობიდან მწარმოებლურ მეურნეობამდე		საქართველო	თ. მეშველიანი
25.	სამთავროს სამაროვნის ოქრომჭედლობის ნიმუშები	2008	საქართველო	ც. დავლიანიძე

26.	სამთავროს სამაროვანზე ნაშალ ფენაში გამოვლენილი არქეოლოგიური მასალის კატალოგის მომზადება	2008	საქართველო	ც. დავლიანიძე ვ. სადრაძე
27.	არქეოლოგიური მასალების: ლითონი, კერამიკა, მინა, ძვლის პირველადი დახმარება ნედლი ნავთობით დაბინძურების შემთხვევაში	2008	საქართველო	ნ. ქებულაძე
28.	არქეოლოგიური აღმოჩენების პირველადი დახმარება-ტრეინინგი	2008	საქართველო	ნ. ქებულაძე
29.	„ არქეოლოგიური აღმოჩენების პირველადი დახმარება", დ. ვატკინსონის და ვ. ნილის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს „First aid for finds" თარგმანი	2008	საქართველო	ნ. ქებულაძე
30.	აფხაზეთობა	2008	საქართველო	ნ. ბერძენიშვილი ეროვნული მუზეუმის თანამონაწილეობით
31.	თუშეთის დღეები მუზეუმში	2008	საქართველო	მ. მამარდაშვილი ნ. შოშიტაშვილი ნ. დიდოიძე
32.	ხელოსნობის განვითარება საქართველოში	2008	საქართველო-ნორვეგია	ი. ბაქრაძე
33.	სამთავროს ველი	2008-2009	საქართველო-ავსტრალია	ა. საგონა, ვ. ნიკოლაიშვილი
34.	არქეოლოგიური გათხრები სოფელ ხოვლეში	2008-2009	საქართველო-აშშ (კასპის რ-ნი)	ვ. შატბერაშვილი
35.	Response of Humans to abrupt Environmental Transitions	2009	საქართველო	R. Pinhasi, D.Adler, Ch. Stringer
36.	Pagan Cults of Pre-Christian (Ainina-Danina, Zaden), Carnegie Research Fellowship; The National Council for Eurasian and East European Research, Carnegie Foundation;	2009.	აშშ. ჩიკაგო	მ. გველესიანი
37.	აფხაზეთის ოდა სახლის აკვასკას სარეაბილიტაციო პროექტი	2009	საქართველო-ნორვეგია	დ. ჟვანია ვლ. გიორგაძე
38.	შიდა ქართლი ადრებრინჯაოს ხანაში	2009-2010	საქართველო-იტალია	მ. ფუოურიძე

39.	ქართული საერო ნაქარგობა XVIII-XX სს	2010	საქართველო	ი. მელიქიშვილი
40.	„რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა" შემეცნებითი პროექტი თბილისის საჯარო სკოლების მოსწავლეთათვის	2010	საქართველო	ნ. გოგელია
41.	The Evolutionary History of Neanderthals and Their Potential Interface with Early Modern Humans in the Southern and Northern Caucasus	2010	ირლანდია-საქართველო	ნ. თუშაბრამიშვილი
42.	რენუის სახლის პრეზენტაცია	2010	საქართველო	დ. ჟვანია
43.	ეგრისის სამეფოს ციხეების კვლევა	2010	საქართველო	ნ. მურღულია

ექსპედიციები

№	დასახელება	თარიღი	ქვეყანა, ადგილი	ხელმძღვანელი
1	1992 წ-დან რიონ-ყვირილას აუზის ძველი ქვის ხანის შემსწავლელი არქეოლოგიური ექსპედიცია	1992-2010	საქართველო	ნ.თუშაბრამიშვილი
2	რიონ-ყვირილას აუზის ძველი ქვის ხანის შემსწავლელი საერთაშორისო არქეოლოგიური ექსპედიცია	1996-2010	საქართველო	ნ.თუშაბრამიშვილი
3	ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიცია	2006	საქართველო	გ. მახარაძე
4	ულუმბოს მონასტერი	2006-2008	საქართველო	ა. დავითაშვილი
5	ნოქალაქევის ქართულ-შვეიცარული საერთაშორისო ექსპედიცია	2006-2008	საქართველო-შვეიცარია	დ. ლომიტაშვილი
6	ნეკრესის ნაქალაქარის შემსწავლელი არქეოლოგიური ექსპედიცია	2006-2009 წწ.	საქართველო	ნ. ბახტაძე
7	ნოქალაქევის ქართულ-ინგლისური საერთაშორისო ექსპედიცია	2006-2009	საქართველო-ინგლისი	დ. ლომიტაშვილი
8	ბაქო-სუფსა-გულეიკარი	2006-2009 (არაგეგმიური)	საქართველო, სამტრედიის რ-ნი	ნ. ჩუბინიშვილი

9	წალკის რ-ნის სოფ. დარაკოვის ქვიშის კარიერის ტერიტორია	2006-2009 (არაგეგმიური)	საქართველო, წალკის რ-ნი	გ. ნარიმანიშვილი
10	ყულევი	2006-2009 (არაგეგმიური)	საქართველო, ხობის რ-ნი	რ. პაპუაშვილი
11	ვანის ნაქალაქარი	2006-2009 (არაგეგმიური)	საქართველო, ვანის რ-ნი	დ. კაჭარავა
12	ორძოც მოწამეთა ტაძრის შემოგარენი თბილისში	2006-2009 (არაგეგმიური)	საქართველო, თბილისი	გ. ღამბაშიძე
13	დილიკაური	2006-2009 (არაგეგმიური)	საქართველო, თერჯოლის რ-ნი	ზ. ბრაგვაძე
14	ბაგრატი, გელათი	2006-2009 (არაგეგმიური)	საქართველო, ქუთაისი	ო. ლანჩავა
15	არქეოლოგიური ექსპერტიზა სამთო მოპოვების სამუშაოებისათვის	2006-2009 (არაგეგმიური)	საქართველო, ახმეტის რ-ნი	ს. ხარაბაძე
16	ნაქულბაქევი, არქეოლოგიური ექსპერტიზა	2006-2009 (არაგეგმიური)	საქართველო, თბილისი	მ. აბრამიშვილი
17	არქეოლოგიური ექსპერტიზა მარნეულისა და გარდაბნის რაიონებში ტრასის დაპროექტებისთვის	2006-2009 (არაგეგმიური)	საქართველო, მარნეულისა და გარდაბნის რ-ნი	გ. მინდიაშვილი
18	წითელი ხიდი წალკა-ალასტანის გაზსადენის არქეოლოგიური ექსპერტიზა	2006-2009 (არაგეგმიური)	საქართველო, წალკა-ალასტანი	ალ. ორჯონიკიძე
19	ქუთაისი-სოხუმის მაგისტრალური გაზსადენის არქეოლოგიური ექსპერტიზა	2006-2009 (არაგეგმიური)	საქართველო, ქუთაისი-სოხუმი	გ. ჩიქოვანი
20	წავკისის ველის არქეოლოგიური ექსპერტიზა	2006-2009 (არაგეგმიური)	საქართველო, წავკისი	ლ. ჯიბლაძე
21	არქეოლოგიური ექსპერტიზა ახალქალაქი-კარწახის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობასთან დაკავშირებით	2006-2009 (არაგეგმიური)	საქართველო, ახალქალაქი-კარწახი	კ. კახიანი
22	არქეოლოგიური ექსპერტიზა ქუთაისის დასვენების პარკის რეაბილიტაციის სამუშაოებისათვის	2006-2009 (არაგეგმიური)	საქართველო, ქუთაისი	რ. ისაკაძე

23	არქეოლოგიური ექსპერტიზა კოდისა და ახალქალაქის შემოსავლელი გზების მშენებლობისათვის	2006-2009 (არაგეგმიური)	საქართველო, კოდა-ახალქალაქი	ალ. ორჯონიკიძე
24	მესტიის რ-ის სოფ. ჭუბერში ნენსკა ჰესის მშენებლობის ექსპერტიზა	2006-2009 (არაგეგმიური)	საქართველო, მესტიის რ-ნი	ლ. ჯიბლაძე
25	ყაზახ-რუსთავის მაგისტრალური გაზსადენის გარდაბანი-ნავთლუღის 32 კმ-იანი მონაკვეთის არქეოლოგიური ექსპერტიზა	2006-2009 (არაგეგმიური)	საქართველო	გ. მინდიაშვილი
26	თბილისი, შენობის ექსპერტიზა	2006-2009 (არაგეგმიური)	საქართველო, თბილისი, რუსთაველის №42	მ. აბრამიშვილი
27	ყარადაღ-თბილისის მაგისტრალური გაზსადენის 1,5 კმ-იანი მონაკვეთის ექსპერტიზა	2006-2009 (არაგეგმიური)	საქართველო	ს. ხარაბაძე
28	სოფ. ჩხარისა და ძევრის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე მანგანუმის საბადოს ტერიტორიის ექსპერტიზა	2006-2009 (არაგეგმიური)	საქართველო, სოფ. ჩხარი და ძევრი	ზ. ბრაგვაძე
29	თბილისი, პუშკინის სკვერისა და ხელოვნების მუზეუმს შორის მდებარე ტერიტორიის ექსპერტიზა	2006-2009 (არაგეგმიური)	საქართველო, თბილისი	დ. მინდორაშვილი
30	„გუდაბერტყა", ექსპერტიზა	2006-2009 (არაგეგმიური)	საქართველო, გორის რ-ნი	გ. მინდიაშვილი
31	„იგოეთი", ექსპერტიზა	2006-2009 (არაგეგმიური)	საქართველო, კასპის რ-ნი	რ. დავლიანიძე
32	მდ. ცხენისწყალზე, მდ. ჩივზე, მდ. ჭანისწყალზე, ექსპერტიზა სახიდე გადასასვლელებზე	2006-2009 (არაგეგმიური)	საქართველო, სოფ. ოპიტარა, სოფ. ახუთი, სოფ. ნაზარენი	გ. ჩიქოვანი
33	„გეოლოგების დასახლება", ექსპერტიზა	2006-2009 (არაგეგმიური)	საქართველო, ბოლნისი	ბ. მურვანიძე
34	ციხის უბანი, ექსპერტიზა	2006-2009 (არაგეგმიური)	საქართველო, თბილისი, ორპირის ქუჩის მიმდებარე ტერიტორია	გ. გოგოჭური
35	მარაბდა-ახალქალაქი-ყარსის რკინიგზის ხაზის წინწყარო–სამშვილდის გადასარბენი, ექსპერტიზა	2006-2009 (არაგეგმიური)	საქართველო	გ. ნარიმანიშვილი

36	თბილისი, ექსპერტიზა	2006-2009 (არაგეგმიური)	საქართველო, მდ. ხევძმარას მიმდებარედ, გაუქმებული ნაგავსაყრელიდან სოფ. ორიოს შესასვლელამდე ტერიტორიაზე	ელ. ღლიღვაშვილი
37	„ჩრდილოეთ კავკასია-ამიერკავკასიისა“ და „ყაზახ-საგურამოს“ მაგისტრალური გაზსადენების ექსპერტიზა	2006-2009 (არაგეგმიური)	საქართველო, დუშეთი-მცხეთის მონაკვეთი	გ. გოგოჭური
38	ექსპერტიზა დიდმის მასივის მიქელაძისა და გამსახურდიას ქუჩების გადაკვეთაზე	2006-2009 (არაგეგმიური)	საქართველო, თბილისი	მ. აბრამიშვილი
39	ექსპერტიზა მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის ხაზის თეთრიწყარო-ნადარბაზევის გადასარბენზე	2006-2009 (არაგეგმიური)	საქართველო, ახალქალაქი-თეთრიწყაროს რ-ნი	ვ. შატბერაშვილი
40	მაგისტრალური გაზსადენის ექსპერტიზა	2006-2009 (არაგეგმიური)	საქართველო, წალკის რაიონში – მონაკვეთი „დმანისი-წალკა”, ახალქალაქის რაიონში – მონაკვეთი „ახალქალაქი-წალკა-ალასტანი”, სამტრედიის რაიონში – მონაკვეთი „ქუთაისი-სოხუმი”, ოზურგეთის რაიონში სოფ. ძიმითთან მდ. სუფსის გადაკვეთაზე, საგარეჯოს რაიონში „რუსთავი-თელავის” საგარეჯოს განშტოება	კ. კახიანი
41	მაგისტრალური გაზსადენის ექსპერტიზა	2006-2009 (არაგეგმიური)	საქართველო, ახალციხისა და ასპინძის რ-ნი	კ. კახიანი
42	მაგისტრალური გაზსადენის „საგურამო–ნავთლუღის“ მონაკვეთის საპროექტო ტრასის ექსპერტიზა	2006-2009 (არაგეგმიური)	საქართველო, მცხეთისა და გარდაბნის რ-ნი	კ. კახიანი

43	თბილისი, ექსპერტიზა	2006-2009 (არაგეგმიური)	საქართველო, დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის ტერიტორია	ნ. ახვლედიანი
44	თბილისი, ექსპერტიზა	2006-2009 (არაგეგმიური)	საქართველო, თბილისი, რუსთაველის გამზ. №7	დ. მიხდორაშვილი
45	რუსთაველის გამზ. №24/რუსთაველის გამზ. №20, ექსპერტიზა	2006-2009 (არაგეგმიური)	საქართველო, ქუთაისი	რ. ისაკაძე
46	რუსთაველის გამზ. №35/ლადიძის ქ. №2-ის ტერიტორია ექსპერტიზა	2006-2009 (არაგეგმიური)	საქართველო, ქუთაისი	რ. ისაკაძე
47	ორბელიანის ქუჩის №8 და №10-ის ტერიტორია, ექსპერტიზა	2006-2009 (არაგეგმიური)	საქართველო, თბილისი	დ. მიხდორაშვილი
48	ბედენის პლატო, ექსპერტიზა	2006-2009 (არაგეგმიური)	საქართველო, თეორიწყაროს რაიონი	გ. მირცხულავა
49	მარნეულის ექსპედიცია, „გადაჭრილი გორა”	2007-2008	საქართველო, მარნეული	მ. ჯალაბაძე
50	ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიცია	2008	საქართველო	გ. მახარაძე
51	ეროვნული მუზეუმის პრეისტორიის შემსწავლელი ექსპედიცია სამცხე-ჯავახეთში.	2009	საქართველო	მ. ბუხსიანიძე

გამოცემები
წიგნები და კატალოგები:

№	ავტორი	დასახელება	გამომცემლობა	გამოცემის წელი
1.	საქართველოს ეროვნული მუზეუმი	ოქრომრავალი კოლხეთი		2005
2.	ლომიტაშვილი დ. ლორთქიფანიძე ბ.	ციხეგოჯი – (ბროშურა)		2005
3.	გელაძე ო., სმიტი ბ.ნ, ნადირაძე ე.	მაქს ტილკე (კატალოგი)		2005
4.	პატარიძე მ., ჯანჯღავა გ.	ტრაპიზონის იმპერიის იშვიათი მონეტები	„არტანუჯი”	2006
5.	გამყრელიძე გ. თოდუა თ.	რომის სამხედრო-პოლიტიკური ექსპანსია საქართველოში		2006
6.	სადრაძე ვ. ამირანაშვილი ჯ., ძნელაძე მ.	გურიის კულტურული მემკვიდრეობა, დიმიტრი ბაქრაძე და თანამედროვეობა		2006

7.	ჯაფარიძე ოთ.	ქართველი ერის ეთნოგენეზის სათავეებთან		2006
8.	ჯაფარიძე ვ.	ეგრისის ახ. წ. I–VII სს. მატერიალური კულტურის ძეგლები (არქეოლოგიური გათხრები, გამოკვლევა),		2006
9.	ბურჭულაძე ნ.	უბისის მონასტრის XIV საუკუნის ხატები და კედლის მხატვრობა		2006
10.	ჩიხლაძე ნ.	დირბის ღვთისმშობლის მიძინების მონასტრის მხატვრობა – (მონოგრაფია)		2006
11.	ახალკაცი ნ.	საქართველოს ეროვნული მუზეუმის უცნობი კოლექციები, XVIII-XX სს. ხალიჩა -ფარდაგები		2006
12.	წიწუაშვილი ლ.	საქართველოს ეროვნული მუზეუმის უცნობი კოლექციები, შალომ კობოშვილი		2006
13.	საქართველოს ეროვნული მუზეუმი	საქართველოს ეროვნული მუზეუმი (ბროშურა-გზამკვლევი)		2006
14.	ფირბარი დ, ფაშაევა ლ, ნადირაძე ე.	ქართული სიძველენი საქართველოს ეროვნული მუზეუმიდან- (კატალოგი)		2007
15.	კაკაბაძე ც.	სპილენძის ქართული ჭურჭელი - საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფონდების მიხედვით, (კატალოგი)	„მეცნიერება”	2007
16.	Sherozia M, Doyen J-M	Les Monnaies Parthes Du Musee De Tbilissi (Georgie)	Moneta , Wetteren	2007
17.	ბახტაძე ნ.	კლდის ძეგლების ხუროთმოძღვრების გენეზისი და განვითარების გზები საქართველოში	„ნეკერი”	2007
18.	ლანჩავა ო.	ქუთაისის არქეოლოგია		2007
19.	რამიშვილი ქ.	აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მცირე პლასტიკის ძეგლები		2007
20.	რუსიშვილი ნ.	ვაზის კულტურა საქარველოში პალეოეთნობოტანიკური მონაცემების საფუძველზე		2007

21.	სადრაძე ვ. კახიანი კ. ღლიღვაშვილი ელ. სადრაძე თ.	მტკვრისა და არაგვის ხერთვისის ენეოლიო-ბრინჯაოს ხანის ძეგლები		2007
22.	ჯიბლაძე ლ.	„კოლხეთის დაბლობის ძვ.წ. III-II ათასწლეულების ნამოსახლარები”		2007
23.	კავლელაშვილი ე.	მონოგრაფია, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა. აფხაზეთი. ტ. I		2007
24.	ხუნდაძე ნ.	უფლისციხე -(კატალოგი)		2007
25.	მარსაგიშვილი გ.	ზარზმინ მონასტრის არქიტექტურა – (მონოგრაფია)	„ზარზმა”	2007
26.	მახარაძე გ, წერეთელი მ.	საირხე		2007
27.	ბურჭულაძე ნ.	ალავერდის ეპარქიის ისტორიის ფურცლები №1		2007
28.	გაგოშიძე გ.	საადგომო მეგზური, იერუსალიმი-საქართველო		2007
29.	გამყრელიძე გ.	საქართველოს ისტორია, IX კლასის სახელმძღვანელო	„ლოგოს პრესი”	2008
30.	გამყრელიძე გ.	მასწავლებლის წიგნი, საქართველოს ისტორიაში	„ლოგოს პრესი”	2008
31.	გუჯეჯიანი რ.	ქართველ მოიელთა მენტალობის ისტორიიდან	„უნივერსი”	2008
32.	მინდორაშვილი დ.	უფლისციხე შუა საუკუნეებში		2008
33.	ძნელაძე მ.	აბულმუგის ანტიკური ხანის სამაროვანი (ძვ. წ. IV-III სს.)		2008
34.	საქართველოს ეროვნული მუზეუმი	ქაროულ-ესპანური თანამშრომლობის ქრონიკა		2008
35.	წიწუაშვილი ლ.	მარადიული ცეცხლი, ქართველ ებრაელთა კულტურა და ყოფა		2008
36.	გედევანიშვილი ნ.	ევოლუციური გენდერი		2008
37.	საქართველოს ეროვნული მუზეუმი	სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (კატალოგი)		2008
38.	საქართველოს ეროვნული მუზეუმი	სიღნაღის მუზეუმი (გზამკვლევი)		2008

39.	საქართველოს ეროვნული მუზეუმი	პიკასო საქართველოში, ზერვოსის მუზეუმის კოლექცია (კატალოგი)	„სეზანი”	2009
40.	Jakeli N, Matskevichi Z, Meshveliani T. Kvavadze E, Bar-Yosef O, Belfer-Cohen A, Boaretto E.	30 000-Year-Old Wild Flax Fibers	SCIENCE	2009
41.	კაკაბაძე ც.	საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფონდები, სპილენძის სპარსული ჭურჭელი (1902 წლის კოლექცია), კატალოგი	„საუნჯე”	2009
42.		საქართველოს ეროვნული მუზეუმის საგანძურიდან (კატალოგი) – რედ. ზ. სხირტლაძე		2009
43.	აბულაშვილი თ.	ბორის კუფტინი და საქართველოს არქეოლოგია		2009.
44.	ბარამიძე მ.	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა– აფხაზეთი		ტ. II, თბ., 2009
45.	გამყრელიძე გ.	История Грузии, (თანაავტორი)	„ლოგოს პრესი”	2009
46.	გამყრელიძე გ.	ქართული არქეოლოგიის კვალდაკვალ	ეროვნული მუზეუმის გამოცემა	2009
47.	დუნდუა გ.	ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი (თანაავტორი)		2009
48.	ნარიმანიშვილი გ.	სიახლენი თრიალეთის კულტურაში	„თრიალეთი”	2009
49.	ნიკოლაიშვილი ვ.	ბელტისციხე-ბებრისციხე		2009
50.	სადრაძე ვ.	ბუკისციხე		2009
51.	სადრაძე ვ., ხოხობაშვილი თ., კახიანი კ. დვლიდვაშვილი ელ., სადრაძე თ.	წინაპართა გზავნილი		2009
52.	ჯაფარიძე ოთ.	შიდა ქართლის უძველესი წარსულიდან	თბილისის უნივერსიტეტი და საქართველოს მუზეუმის გამოცემა	2009
53.	გაგოშიძე გ.	მონოფიზიტური ძეგლები საქართველოში		2009
54.	საქართველოს ეროვნული მუზეუმი	სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი – მესტია, უშგული (კატალოგი)	“სეზანი”	2009

55.	საქართველოს ეროვნული მუზეუმი	ხალხური რეწვის დღეები (ბროშურა)		2009
56.	საქართველოს ეროვნული მუზეუმი	ივანე ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმი		2009
57.	საქართველოს ეროვნული მუზეუმი	უძველესი თბილისი (ბროშურა)		2009
58.	ბურჭულაძე ნ.	შუა საუკუნეების ქართული საეკლესიო ხელოვნება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (კატალოგი)		2009
59.	Arsenishvili I.	"Georgian Easel Painting, the Second half of the 18 century to the 1920's"	"Nova Science Publishers"	2009
60.	გუჯეჯიანი რ., თოფხიშვილი რ., ხუციშვილი ქ.	თეორიული ეთნოლოგია	„საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი"	2010
61.	აფხაზავა ნ.	ადრეული ეპოქის აფხაზეთის ეთნიკური სიტუაცია	„არტანუჯი"	2010
62.	მუშკუდიანი ქ.	იმერეთის ეპარქიის სამრევლო სკოლები (სიხერის საწინამძღვრო ოლქი XIX ს. –XXს დასაწყისი)	„მერიდიანი"	2010
63.	ახალკაცი ნ.	მეისენის ფაიფური	„ფაუნტეინ ჯორჯია"	2010
64.	ბურჭულაძე ნ.	ძველი და ახალი ქართული საეკლესიო ხელოვნება		2010

კრებულები:

№	კრებულის დასახელება	წელი, ნომერი,	რედაქტორი
1.	Археология Кавказа	კრებ. I, თბ., 2006	კ. ფიცხელაური
2.	გურია	კრებ. V, თბ., 2007	ვ. სადრაძე
3.	საქართველოს არქეოლოგიის ისტორიის საკითხები	კრებ., თბ., 2007	ან. ჭყონია
4.	საქართველოს შუასაუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები	კრებ. 2007 ტ. I	დ. მინდორაშვილი
5.	საქართველოს ეროვნული მუზეუმის ეთნოგრაფიული ძიებანი	კრებ. III, თბ., 2007, „მერიდიანი"	ე. ნადირაძე
6.	საქართველოს შუასაუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები	კრებ. 2008 ტ.II	დ. მინდორაშვილი
7.	სიახლენი უძველეს კოლხეთზე	კრებ. 2010	გამომცემელი: კატერინ მასერი; დ. ლომიტაშვილი

პერიოდული გამოცემები:

№	გამოცემების დასახელება	დასახელება	გამოცემის წელი	რედაქტორი
	საქართველოს ეროვნული მუზეუმი	საგანმანათლებლო ცენტრის მაცნე	2006-07 წწ., №1-4.	მ. წერეთელი
1	იბერია-კოლხეთი	საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრის ჟურნალი	2007, №3	გ. გამყრელიძე
2	იბერია-კოლხეთი	საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრის ჟურნალი	2008, №4	გ. გამყრელიძე
3	აია-არქეოლოგია	საქართველოს ეროვნული მუზეუმის სამეცნიერო-პოპულარული ალმანახი	2008, №1	გ. გამყრელიძე
4	იბერია-კოლხეთი	საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრის ჟურნალი	2009, №5	გ. გამყრელიძე
5	ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში	საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრის ჟურნალი	2010, №19	ბ. მაისურაძე, გ. კვირკველია

დისერტაციები
მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი მოიპოვეს:

№	გვარი	თემის დასახელება	წელი
1	ნიორაძე გ.	ადრეული ჰომინიდების ადგილსამყოფელი დმანისში, მისი ქვის ინდუსტრია და ადგილი ძვ. სამყაროს ძირითად ადრეპლეიტოცენის ძეგლთა შორის.	2006
2	ისაკაძე რ.	ქუთაისი XV-XVII საუკუნეებში (არქეოლოგიური მასალებისა და ისტორიული წყაროების მიხედვით).	2006
3	ბერძენიშვილი ირ.	ქრისტიანობის გავრცელების საკითხი აფხაზეთში არქეოლოგიური მასალების მიხედვით (IV-VIII სს)	2006
4	პაჭიკაშვილი ნ.	ქალაქ რუსთავის სამაროვნები - IV-IX სს დამდეგი	2006
5	კალანდაძე ნ.	კოლხეთის გვიანბრინჯაო-ადრერკინის გრავირებული და ინკრუსტირებული ბრინჯაოს ნაწარმი (ტიპოლოგიურ-ტექნოლოგიური გამოკვლევა).	2006
6	თორთლაძე გ.	დასავლეთ საქართველოს „ღია" ტიპის ზედაპალეოლითური ნამოსახლარები	2006

მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მოიპოვეს:

№	გვარი	თემის დასახელება	წელი
1	სულავა ნ.	კავკასიის ფიბულები (ტიპოლოგია, ქრონოლოგია, გენეზისი)	2006
2	ნარიმანიშვილი გ.	თრიალეთი ძვ. წ. II ათასწლეულში (არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით).	2006
3	კავლელიშვილი ე.	მხერის ეკლესიის კედლის მხატვრობა ზემო სვანეთში	2008
4	ჯაფარიძე ნ.	საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ტორევტიკისა და საჭურვლის სპარსული წარწერები (XVI-XIX)"	2009
5	ბარათაშვილი გ.	ქართულ დაფარნათა იკონოგრაფიული თავისებურებანი	2009
6	გოგელია ნ.	ახალი შუამთის მონასტრის საწელიწადო ხატები	2009
7	ღლიღვაშვილი ელ.	ტაშირის ბრინჯაოს ხანის ყორღანების ქრონოლოგია-პერიოდიზაცია (ძვ.წ. III-II ათასწლ.)	2009
8	ხარაბაძე ს.	ვანის ქვეყნის არქეოლოგიური რუკა (ძვ.წ. VIII-ახ.წ. III სს.)	2009
9	კვაჭაძე მ.	შიდა ქართლის მატერიალური კულტურა ძ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში (კავთურის ხეობის არქეოლოგიური მასალის მიხედვით).	2009
10	კახიანი კ.	მაშავერას ხეობის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლები.	2009
11	კვირკვაია რ.	ბორჯომის ხეობა რკინის ფართო ათვისების ხანაში (ძ.წ. VIII-VII სს).	2009

სამეცნიერო კონფერენციები, სესიები, საუბრები:

- ოთ. ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიის კვლევის ცენტრის არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი მიძღვნილი ყოველწლიური სამეცნიერო სესია (2006-2009 წწ.):
- არქეოლოგიის კვლევის ცენტრის 30 წლისთავისადმი მიძღვნილი სესია (2006 წ.);
- არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დამაარსებლის, აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 75 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია (2007 წ.).
- ცენტრის სამეცნიერო საბჭოს ყოველკვირეული ღია სხდომა-სემინარები – "არქეოლოგიური საუბრები" (ოთხშაბათობები); (2006-2010)
- ქრისტიანული არქეოლოგიის მუდმივმოქმედი სემინარები (2006-2009 წწ.);
- კონფერენცია – "არქეოლოგია, ეთნოლოგია, ფოლკლორისტიკა"; (2006-2009)
- უფლისციხის არქოლოგიური ექსპედიციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია. (14.11.2007).

ადგილობრივი გამოფენები

№	გამოფენის დასახელება	ჩატარების ადგილი	თარიღი
1.	„ოქრომრავალი კოლხეთი – მითი და რეალობა”	ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი	11.03-12.10. 2005
2.	დმანისის ჰომინიდების განახლებული ექსპოზიცია	ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი	23.05-20.12.2005
3.	„ეკოტოპია.დემო – ექსპოზიცია”თანამედროვე ხელოვნება და ბუნება კავკასიაში.	ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი	26.10-10.11.2005
4.	„ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის” მილსადენის ამშავების დღისადმი მიძღვნილი გამოფენა	ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი	11.12.2005
5.	მხრუნველობა მოკლებულ ბავშვთა სახლების “ბედურებისა” და “ცისარტყელას” მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა	შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი	05.04.2005
6.	“თექის სამყარო” რუსუდან ბერიძე	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	15.02-01.03.2005
7.	”ისლამური კოლექციები ხელოვნების მუზეუმიდან”	შ.ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი	05-12.06.2005
8.	„ხელოვნების მუზეუმის ფონდებიდან” (რუსული ფერწერის კოლექცია)	შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი	09.07.2005
9.	თენგიზ ქართველიშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა	შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი	22.11-14.12.2005
10.	„დაბრუნებული შედევრები“ ლუკას კრანახი და იაკობ რეის-დალი	შ.ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი	20.12.2005-25.01.2006
11.	“თბილისი 1850-1950”ხელოვნების სახ. მუზეუმისა და თბილისის ისტორიის მუზეუმის ფერწერული და გრაფიკული საფონდო მასალის გამოფენა	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	23.12.2004 - 10.02.2005
12.	“ქვილთი”	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	24.02-01.03.2005
13.	„ქსოვილზე ხატვა”.	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	09-24.03.2005
14.	“ნარინჯისფერი რეპორტაჟი”	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	24-27.03.2005

15.	რუსეთის ფედერაციის კულტურის დღეები საქართველოში. ფოტო, ქვილთი, ინსტალაცია.	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	18-25.04.2005
16.	ევროპის საბჭოს სამხატვრო გამოფენების 50-ე წლისთავი. პლაკატი	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	13-17.05.2005
17.	"რა განძი გვქონია" მუზეუმების ასოციაცია	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	18-22.05.2005
18.	"როიტერის 2004 წლის საუკეთესო ფოტო". როიტერი	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	19-29.05.2005
19.	100 პლაკატი თამაზ ვარვარიძე და სამხატვრო აკადემიის დაზგური გრაფიკის პლაკატის სახელოსნო	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	30.05.2005
20.	ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი გამოფენა	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	01.06.2005
21.	"სპეციალურად მარტივი" გერმანული დიზაინის გამოფენა. იფას პროექტი	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	05.06-05.07.2005
22.	ნორჩ მეცნიერთა და გამომგონებელთა I რესპუბლიკური კონკურსი	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	10-12.06.2005
23.	"ჩოლოო" ლალი დანილუკი	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	15-16.06.2005
24.	სონია ვალის პერსონალური გამოფენა (გერმანია)	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	07.07-10.07.2005
25.	"სოლიდარობა" ფოტოგამოფენა	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	31.08- 10.09.2005
26.	გერმანიის კუნსტზამლუნგის გამოფენა. იულიუს ბისიერი.	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	09.09-05.10.2005
27.	მხატვრული ტექსტილის მეხუთე საერთაშორისო სიმპოზიუმი	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	26.09- 05.10.2005
28.	"ცოტა რამ საქართველოზე"	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	6-9.10.2005
29.	"მაქს ტილკეს აკვარელი"	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	3-25.10.2005
30.	მიხეილ ჩხენკელის პერსონალური გამოფენა	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	18-25.10.2005
31.	თბილისობა 2005	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	21-23.10.2005
32.	ეკა არსენიძე, პერსონალური გამოფენა	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	28-04.11.2005
33.	ალექსანდრე დანოვი, პერსონალური გამოფენა	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	15-29.11.2005

34.	"კავკასია ჩვენი საერთო სახლი"	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	13-12..11.2005
35.	"ქართული მოდერნიზმი 1910-1930"	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	21.12.2005 -13.11.2006
36.	გამოფის გახსნა და პროექტის პრეზენტაცია „გურული მხედრები ამერიკაში"	გ. ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი	10.06-10.08.2005
37.	ეროვნული მუზეუმის უცნობი კოლექციები – ხალიჩა-ფარდაგების გამოფენა	ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი	2.05-12.2006
38.	მიუსაფარ ბავშვთა ნამუშევრების გამოფენა	შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი	26.01-14.02.2006
39.	გენდერი და ხელოვნება	შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი	2-3.03.2006
40.	„პეიზაჟი მუზეუმის ფონდებიდან"	შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი	14.05-16.06.2006
41.	ნიკო ფიროსმანი	შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი	13.07-20.09.2006
42.	გია ბუღაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა	შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი	24.09-12.10.2006
43.	ალავერდის ეპარქიის ისტორიის ფურცლები X-XI სს. ქართული საეკლესიო ხელოვნება	შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი	14.11.2006
44.	გიგო გაბაშვილის ნამუშევართა გამოფენა	შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი	23.12.2006
45.	პიერ ლუიჯი პრატურლონი ფოტო-გამოფენა	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	14-25.03.2006
46.	ემილ შუმახერი, ფრედ ტილერი, ბერნალდ შუტცე	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	15.04-10.05.2006
47.	ფეხბურთის ფედერაცია	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	11-19.05-2006
48.	ბორის რიმანოვსკი	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	3.23.05-2006
49.	ქართული ქორეოგრაფიის ისტორიიდან: „რომანტიული ფოტო-მატიანე"	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	11-24.2006
50.	ძველი კავკასია იტალიურ და ქართულ ფოტოგრაფიაში	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	18-25.2006
51.	შალომ კობოშვილი	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	19.07.2006

52.	ოპტიკური გამოსახულების ინსტიტუტის ფოტო-გამოფენა	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	14-22.07.2006
53.	ულრიხ ვურსტი, ანდრიას როსტი ფოტო-გამოფენა. "მთლიანი ქალაქი"	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	19.09-10.10.2006
54.	ფოტო-გამოფენა "ქართული ემიგრაცია"	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	29.09-03.10.2006
55.	ჩინური ფაიფური	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	29.09.2006
56.	სტამბოლის კულტურის დღეები	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	19-23.09.2006
57.	კლაუს უიკრატი ფოტო-გამოფენა"ხუთი მიმართულება"	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	12.10.2006
58.	"ევროპის მეშკვიდრეობის დღეები" ფოტო-გამოფენა	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	28-31.10.2006
59.	ლატვიელ, რუს და ქართველ მხატვართა ჯგუფური გამოფენა: "მონოლოგი დროულად"	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	11-20.10.2006
60.	"ევროპელი არქიტექტორები თბილისში" მაია მანია	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	31.09-10.10.2006
61.	ფირსმანი და თანამედროვე ხელოვნება	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	26.10-1.11.2006
62.	"ფერთა ხეიმი" ავტორი: პაატა ყუფარაძე	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	5-10.11.2006
63.	იენ ჯოისი "მთვარეული"	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	10-20.11.2006
64.	ფოტო-კონკურსი"ქოლგა"	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	25-28.12.2006
65.	მაქს ერნსტი. გრაფიკა, წიგნის ილუსტრაცია	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	06.12.2006-10.01.2007
66.	XII-XIX სს. ქართული ნაქარგობა	შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი	22.06-3.08.2007
67.	"წელიწადის დრონი" ელენე ახვლედიანის შემოქმედებაში	შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი	24.12.2007
68.	ანჯელო ფრონტონი რომის "ჩინემა ჰოუსე"-ის ფოტოგამოფენა	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	24.01-25.02.2007
69.	ყველა თაობის ქუჩის აბრები	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	02.02-16.02.2007
70.	ჯუმბერ ლეჟავას ფოტო-გამოფენა	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	14.02–28.02.2007
71.	ქართული ბალეტის სამი წელი	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	16.01-24.01.2007
72.	Onto the streets	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	15.03-27.03.2007

73.	გერჰარდ რიხტერი	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	2.05-19.05.2007
74.	მეგობრები და კოლეგები ელენე ახვლედიანი და ვასილ შუხაევი	ე. ახვლედიანის სახლ-მუზეუმი	18.05-08.06.2007
75.	XII-XIX სს ქართული ნაქარგობა	შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი	22.06-03.08.2007
76.	ანსელმო პერი "სინათლის გზა"	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	08.05-23.05.2007
77.	ალექსანდრე რაინაშვილის გამოფენა და მეორე წიგნის პრეზენტაცია	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	20.06–09.08.2007
78.	„ბაუჰაუზის ფოტოგრაფია"	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	02.10.2007
79.	ქართული ხელოვნება მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	05.10.2009
80.	სიღნაღის მუზეუმის გახსნა	სიღნაღის მუზეუმი	27.10.2007
81.	პეტრე ოცხელის პერსონალური გამოფენა	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	02.12.2007
82.	მაქს ერნსტი	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	06.12.2006–11.01.2007
83.	შობის პოლონური ტრადიციები	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	15.12.2007
84.	ფესტივალი "ჩვენებურები"	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	24.12.2007
85.	წელიწადის დრონი, ელენე ახვლედიანი ნამუშევრების გამოფენა	შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი	27.12.2007
86.	ევოლუციური გენდერი ვიზუალურ კულტურაში XX ს.ის დასასრულსა და გასაბჭოების შემდგომი პერიოდის საქართველოში	შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი	14.03.2008
87.	ქართული პლაკატი	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	29.03.2008
88.	მედეა ჩიხლაძის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	12.04.2008
89.	მარადიული ცეცხლი – ქართველ ებრაელთა კულტურა და ყოფა	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	09.05.2008
90.	ქართული მულტიპლიკაციის ისტორია	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	16.05.2008
91.	ჩინური ბრინჯაო	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	09.07.2008

92.	შეშლილი სურნელი	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	24.09.2008
93.	ფრანგული პეიზაჟი	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	02.12.2008
94.	ირაკლი გოგიას გამოფენა	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	22.12.2008
95.	ეროვნული მუზეუმის იუბილე - გ. ბუმბიაშვილის გამოფენა	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	30.12.2008
96.	ჩეხეთის მარგალიტები	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	25.01.2009
97.	უილიამ ოზგულდ ფილდი, XX საუკუნის 20-30 –იანი წლების საქართველო	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	30.01.2009
98.	XX საუკუნის ფრანგული არქიტექტურა	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	24.02.2009
99.	ანა შალიკაშვილის გამოფენა	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	12.03.2009
100.	იტალიური სტილი	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	27.03..2009
101.	ჯონ ვურდემანის ნამუშევრების გამოფენა	სიღნაღის მუზეუმი	17.05.2009
102.	ნიკო ფიროსმანი	შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი	18.05.2009
103.	დუმილი თანხმობის ნიშანია	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	20.05.2009
104.	მარიონეტების გამოფენა	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	18.05.2009
105.	"პიკასო საქართველოში"	სიღნაღის მუზეუმი	30.05.2009
106.	ქვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები. ჯურხა ნადირაძის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა და სამეცნიერო კონფერენცია	შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი	24.06.2009
107.	ტექსტილი ინტერიერში	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	26.06.2009
108.	"პიკასო საქართველოში"	შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი	28.06.2009
109.	მილსადენის მშენებლობა და არქეოლოგიური აღმოჩენები	ივ. ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმი	02..07.2009
110.	არქეოლოგიური გამოფენა მილახვრიანთ კარის სასახლეში	მილახვრიანთკარი	07.07.2009
111.	პეტრე ალვარიძის ნამუშევრების გამოფენა	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	10.09.2010

112.	"ევროპაში", ქართველ და გერმანელ შემოქმედთა ერთობლივი გამოფენა	შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი	20.09.2009
113.	განახლებული დმანისის მუზეუმის გახსნა	დმანისის მუზეუმი	24.09.2009
114.	შალვა ამირანაშვილის დაბადებიდან 110 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო გამოფენა.	შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი	06.10.2009
115.	კირილე და ილია ზდანევიჩების ნამუშევრების გამოფენა	შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი	08.10.2009
116.	ირაკლი აბაშიძის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	22.10-02.11.2009
117.	იაპონური თოჯინების გამოფენა	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	23.10-01.11.2009
118.	1989-2009: ცვალებადი სამყარო დროის ანარეკლი	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	11.11.2009
119.	გამოფენა "უძველესი თბილისი"	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	12.11.2009
120.	"ძველი და თანამედროვე ქართული საეკლესიო ხელოვნება"	შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი	04.01.2010
121.	ფოტო-გამოფენა "სადღესასწაულო მომენტები"	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	21-31.01.2010
122.	„მომიჯნავე ტაძრები და საკრალური არქიტექტურა"	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	12.02.2010
123.	ბრიტანეთის საბჭოს და საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოძრავი გამოფენა "დარვინი დღეს"	საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორია	22.03.2010
124.	აბრაამ (ალეკო) ბათიაშვილის გამოფენა-აქცია " უძველესი ისტორია	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	24.03.2010
125.	„ერთი ოჯახის კულტურული მემკვიდრეობა" ვახტანგ ელიოზიშვილი-ერისთავის ოჯახის. კოლექციის გამოფენა	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	30.03.2010
126.	მხატვარ გოგი ჩაგელიშვილის პროექტი „ცხრა აპრილის შემდეგ"	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	8.04.2010

127.	ქართულ-ჰოლანდიური გამოფენა სახელწოდებით „საზღვრებს მიღმა”	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	28.04.2010
128.	მინა, განთება, არქიტექტურა	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	14-25.04.2010
129.	“საზღვრებს მიღმა”	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	28.04-05.06.2010
130.	ციალა კანდელაკის საიუბილეო გამოფენა.	შ. ამირანაშვი ლის სახელობის ხელოვნების მუზეუმი	16.04.2010.
131.	უკრაინის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის კოლექციების გამოფენა “არტვოიაჟი”	შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი	30.04.2010.
132.	იური მეჩითოვის ფოტო-გამოფენა „წამებად ქცეული წლები”	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	10.05.2010
133.	“ქართული ეროვნული ნაქარგობა და შესამოსელი”.	შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი	25.05.2010.
134.	33 -ე მსოფლიო ღვინის კონგრესისადმი მიძღვნილი გამოფენა	შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი	17.06.2010.
135.	პირველი ევროპელი მოზარდის მულაჟის პრეზენტაცია	დმანისის მუზეუმი	27.06.2010
136.	“ქართველი ებრაელები. ისტორია და კულტურა”.	შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი	04.06.2010.
137.	“ძველი ლიტვა. მსტისლავ დობუჟინსკი”.	შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი	06.06.2010.
138.	გოგი ოქროპირიძის ნამუშევრების გამოფენა “შინისაკენ და უკან”	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	08.08-20.07.2010
139.	გიორგიწმინდას დარბაზული სახლის გახსნა	გ. ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი	09.07.2010
140.	ფოტო-გამოფენა “ომის აპოთეოზი”	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	23.07-20.08.2010
141.	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული ფოტოკორესპონდენტის ალექსანდრე კლიმჩუკის და ჟურნალისტ გიგა ჩიხლაძის ნამუშევრების გამოფენას	ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი	28.07-25.08.2010

საერთაშორისო გამოფენები

№	გამოფენის დასახელება	ჩატარების ადგილი	თარიღი
1.	ნიკო ფიროსმანის ნამუშევრების გამოფენა	უკრაინის ეროვნული სამხატვრო გალერეა, უკრაინა	05.04-14.06.2006
2.	„საქართველო ღვინის სამშობლო''	ვინოპოლისი, ლონდონი, დიდი ბრიტანეთი	23.05.06
3.	პირველი ევროპელის თავის ქალა გამოფენაზე"კაცობრიობის ფესვები"	რაინის სამხარეო მუზეუმში, გერმანია.	8.07-11.11.2006
4.	„საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის შედევრები" ფოტო-გამოფენა	სტრასბურგი, ევროსაბჭო	04.12.2006
5.	"შედეას ოქრო – ახალი აღმოჩენები საქართველოდან"	ბერლინი, სახელმწიფო მუზეუმების ანტიკური კოლექციების ალტეს მუზეუმი	14-30.05.2007
6.	"ოქროს საწმისის ოქრო - საქართველოს საგანძური"	ნიცა, კენზოს მუზეუმი	15.06-02.09.2007
7.	"ოქროს საწმისის ოქრო - საქართველოს საგანძური"	პარიზი, ფულის მუზეუმი	12.09-07.11.2007
8.	ნიკო ფიროსმანის ნამუშევრების გამოფენა	ქ. მინსკში, ბელორუსიის რესპუბლიკის ეროვნული სამხატვრო მუზეუმი, ბელორუსია	10.06-27.08.2008
9.	ნიკო ფიროსმანის ნამუშევრების გამოფენა	ქ. ვეხლეს ზერვოსის მუზეუმი, საფრანგეთი	22.09-07.11.2008
10.	ნიკო ფიროსმანის ნამუშევრების გამოფენა	ვილნიუსი, ეროვნული სამხატვრო მუზეუმი, ლიტვა	31.12-02.05.2008
11.	"ღვინის კულტი და მსხვერპლთშეწირვა - ანტიკური ვანის ოქროს სამარხები"	ვაშინგტონი, არტურ მ. საკლერის გალერეა (სმითსონის ინსტიტუტი), აშშ.	01.12 -24.02.2008
12.	"ღვინის კულტი და მსხვერპლთშეწირვა - ანტიკური ვანის ოქროს სამარხები"	ნიუ-იორკის უნივერსიტეტის ანტიკური სამყაროს კვლევის ინსტიტუტი, აშშ.	12.03 -1.06.2008
13.	"ღვინის კულტი და მსხვერპლთშეწირვა - ანტიკური ვანის ოქროს სამარხები"	კემბრიჯის ფიცვილიამსის მუზეუმი, დიდი ბრიტანეთი	4.10.2008-2009
14.	"ღვინის კულტი და მსხვერპლთშეწირვა - ანტიკური ვანის ოქროს სამარხები"	ჰიუსტონის ხელოვნების მუზეუმი, აშშ.	21.07. -1.09.2008
15.	"შედეას ოქრო – ახალი აღმოჩენები საქართველოდან"	აოენი, ბენაკის მუზეუმი, საბერძნეთი	20.01- 06.04.2009
16.	"ანტიკური ვანის ოქროს სამარხები"	ლოს ანჟელესი, პოლ გეტის მუზეუმი, აშშ	16.07-05.10.2009

17.	"ანტიკური კოლხეთის აღმოჩენები"	სტოკჰოლმი, ხმელთაშუაზღისპირეთის მუზეუმი, შვედეთი	20.10.2009 14.02.2010
18.	ვ. კანდინსკის ნამუშევრების გამოფენა	პომპიდუს ცენტრი, საფრანგეთი	08.04-10.08.2009
19.	ვ. კანდინსკის ნამუშევრების გამოფენა	ნიუიორკი, სოლომონ რ. გუგენჰაიმის მუზეუმში, აშშ	18.09.2009 13.01.2010
20.	"The face of human evolution"	ბუნების ისტორიის მუზეუმი, ჰოლანდია	08.12.2009 28.02.2010
21.	"ანტიკური კოლხეთის აღმოჩენები"	ჰოლანდია - დრნესტ მუზეუმი	25.03-26.06.2010
22.	"არგონავტების ოქრო"	სევილიის არქეოლოგიის მუზეუმი, ესპანეთი	04.05-20.06.2010
23.	"Vinum Nostrum - ხელოვნება, მეცნიერება და მითები ღვინის შესახებ ხმელთაშუა ზღვის ანტიკურ ცივილიზაციაში"	ფლორენციის პიტის სასახლის ხელოვნების მუზეუმი, იტალია	19.07.2010- 15.05.2011

2005 წლის ღონისძიებები:

- „დ. ერმაკოვის ფოტოარქივის კონსერვაციის პროექტის" მიმდინარე ანგარიში – 6.05.2005 – ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი.
- ეროვნული მუზეუმის ვებ-გვერდის პრეზენტაცია 23.05.2005 – ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი.
- სმითსონიანის ინსტიტუტის ექსპერტთა მიერ ჩატარდა სემინარი თემებზე: მუზეუმის ადმინისტრირება, კოლექციების მართვა, პროექტების მენეჯმენტი, გამოფენის დაგეგმვა და განვითარება, საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინირება და მართვა. –11-14.10.2005 – ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი.
- გუდიაშვილის ქუჩის სარეკონსტრუქციო პროექტების საკონკურსო გამოფენა – 18-29.10.2005 – შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი.
- ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების და მოსწავლე–ახალგაზრდობის,მზრუნველობას მოკლებული ბავშვების მონაწილეობით. „საქართველო და მსოფლიოს ეთნიკური მრავალფეროვნება" – 01.06.2005 – გ. ჩიტაის სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ.
- „მიდსომარი" – შვედური ფოლკლორული დღესასწაული –18.06.2005 – გ. ჩიტაის სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ.
- „რეწვის ფესტივალი ეთნოგრაფიულ მუზეუმში" – 20-27.06.2005 – გ. ჩიტაის სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ.
- ასოციაცია „ანიკა"-სთან ერთად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა ღონისძიება საქართველოს ეთნოგრაფიის გაცნობის მიზნით11.07.2005 – გ. ჩიტაის სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ.
- "პრეისტორიის დღე" – 14.08.2005 – დმანისის მუზეუმი.

2006 წლის ღონისძიებები:

- ფინანსთა სამინისტროს მიერ ეროვნულ მუზეუმს გადაეცა IV-VI ს. მონეტები გადმოცემა – 20.01.2006 – ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი.
- იუნესკოს ექსპერტთა შეხვედრა ეროვნული მუზეუმის თანამშრომლებთან – 11.02.2006 – ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი.
- ქართული ღვინის ეროვნული კონკურსი – "საქართველო ღვინის სამშობლო" – 11.05.2006 შერატონ მეტეხი პალასი.
- მუზეუმების საერთაშორისო დღე – 18.05.2006 – ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი.

- ლუვრის მუზეუმის ექსპერტის კრისტიანე ნაფას სემინარი თემაზე: სარესტავრაციო ცენტრის შექმნა, კოლექციების აღრიცხვა-შეფასება და გადატანა – 28-31.07.2006 – ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი.
- სმითსონიანის ინსტიტუტის ექსპერტების სემინარი თემაზე: მუზეუმის დიზაინი, გამოფენების მოწყობა,საგანმანათლებლო პროგრამები – 14-16.10.2006 – ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი.
- გამოფენა-კონკურსი "თბილისი, ზემელის უბნის რეკონსტრუქცია" – 17.10-27.10.2006 – შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმი.
- კონფერენცია „ისპაჰანური სკოლა" – 20.05.2006 – შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმი.
- კონფერენცია „ალავერდის ეპარქიის ისტორიის ფურცლები" – 14-16.11.2006 – შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმი.
- კინოთეატრის გახსნა – 17.06.2006 – გ. ჩიტაის სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი.
- არტ-გენი – 14-23.07.2006 – გ. ჩიტაის სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი.
- აფხაზური დღე – 12.11.2006 – გ. ჩიტაის სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი.
- პრეისტორიის დღე – 12.09.2006 – დმანისის მუზეუმი.

2007 წლის ღონისძიებები

- ეროვნული მუზეუმის აუდიტორიის გახსნა – 20.02.2007.
- ჯაზის დღეები საქართველოს ეროვნულ მუზეუმში. გახსნა – 18.06.09 – ეროვნული მუზეუმის აუდიტორია.
- ჯაზის დღეები საქართველოს ეროვნულ მუზეუმში. ჯ. ტეფტის ლექცია – 28.04.2007- ეროვნული მუზეუმის აუდიტორია.
- ნობელის პრემიის ლაურეატის, პროფესორ ჰარტმუტ მიშელის ლექცია, 25.06.2007 - ეროვნული მუზეუმის აუდიტორია.
- ფლორენციის უნივერსიტეტის პროფესორის ლორენცო რუკის ლექცია, 2.10.2007 - ეროვნული მუზეუმის აუდიტორია.
- გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმის ღია ცის ქვეშ, 40 წლის იუბილე, 12-13.10.2007 – ეროვნული მუზეუმის აუდიტორია, გ. ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ.
- ლექცია თემაზე: „ახალი აღმოჩენები დმანისში", 26.10.2007 - ეროვნული მუზეუმის აუდიტორია.

2008 წლის ღონისძიებები:

- ფიროსმანის და პიკასოს გამოფენების შესახებ ხელშეკრულებაზე საზეიმოდ ხელმოწერის ცერემონია – 6.02.2008 – ეროვნული მუზეუმის აუდიტორია.
- UNESCO –ს ექსპერტები ეროვნულ მუზეუმში – 22.04.2008.
- ესპანეთის სამეფოს პირველი ოფიციალური წარმომადგენლობის გახსნა, 1.05.2008 – ეროვნული მუზეუმის აუდიტორია.
- ქართული ღვინის ეროვნული კონკურსი – "საქართველოს ღვინის სამშობლო" – 02.06.2008 – სიღნაღის მუზეუმი.
- გაზაფხულის დღესასწაული, 4.05.2008 – ეთნოგრაფიული მუზეუმი.
- ეროვნული გალერეის რეაბილიტაციის პროექტის პრეზენტაცია, 13.10.2008 – ეროვნული მუზეუმის აუდიტორია.
- ალექსანდრე (ლალი) ჯავახიშვილის იუბილე, 30.05.2008 – ეროვნული მუზეუმის აუდიტორია.
- თანამშრომლობის მემორანდუმი ნორვეგიის მაიჰაუგენის მუზეუმთან, 3.06.2008 – აუდიტორი.
- თუშეთის დღე, 28.06.2008 – ეთნოგრაფიული მუზეუმი.
- თეორი უდაბნოს ფრესკები, 10.07.2008 – ეროვნული მუზეუმის აუდიტორია.

- პატრიკ მაკ გოვერნის ლექცია - 3.10.2008 – ეროვნული მუზეუმის აუდიტორია.
- ანალიზა ზარატის ლექცია, 16.12.2008 – ეროვნული მუზეუმის აუდიტორია.

2009 წლის ღონისძიებები:

- კოლექციათა ზუსტი ასლების წარმოება და სამუზეუმო ქსელის განვითარება - 17.01.2009 – ეროვნული მუზეუმის აუდიტორია.
- ეროვნული გალერეეს რეაბილიტაციის გეგმის პრეზენტაცია - 23.02.2009– ეროვნული გალერეა.
- პიკასო საქართველოში, შეხვედრა პარტნიორებთან - 11.03.2009 – საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო.
- ქაშვეთის ღვთისმშობლის ხატის გადაბრძანება - 24.03.2009 – შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი.
- მუზეუმის კვირეული, მუზეუმის საერთაშოროსო დღე - 18.05.2009 – ეროვნული მუზეუმის აუდიტორია.
- მუზეუმის კვირეული, პროექტის: მუზეუმები, როგორც სიცოცხლის მანძილზე სწავლის სივრცეები კულტურათშორისო დიალოგისათვის", პრეზენტაცია, 18.05.2009 – ეროვნული მუზეუმის აუდიტორია.
- მუზეუმის კვირეული, ხალხური რეწვის დღეები - 23-24.05.2009 – გ. ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი.
- ფიროსმანის ნამუშევრების ვილნიუსიდან დაბრუნება - 05.06.2009
- აშშ-ს საელჩოს ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტების პრეზენტაცია, შეხვედრა ჯ. ტეფტთან - 31.08.2009 - ეროვნული მუზეუმის აუდიტორია.
- ძუძუანას აღმოჩენა, პირველი ძაფის ბოჭკო - 16.09.2009 – ეროვნული მუზეუმის აუდიტორია.
- განახლებული დმანისის მუზეუმის გახსნა - 24.09.2009 – დმანისის მუზეუმი.
- სემინარი სამუზეუმო პედაგოგიკაში - 28.09.2009 – ეროვნული მუზეუმის აუდიტორია.
- საერთაშორისო კონფერენცია მუზეუმების მენეჯმენტში - 1-2.10.2009 – ეროვნული მუზეუმის აუდიტორია.
- საქართველოს ეროვნული მუზეუმის და "ჯიპიაი ჰოლდინგის თანამშრომლობის მემორანდუმის" გაფორმება – 8.12.2009 – ეროვნული მუზეუმის აუდიტორია.

2010 წლის ღონისძიებები:

- წიგნის პრეზენტაცია "ქართული დაზგური ფერწერა XVIII ს-ის II ნახევარი 20-იანი წლები" – 26.01.2010 – ეროვნული მუზეუმის აუდიტორია.
- 2007 წელს ვანში აღმოჩენილი განძის ტექნიკური კვლევის პირველადი შედეგების პრეზენტაცია – 02.03.2010 – ეროვნული მუზეუმის აუდიტორია.
- კონკურსი სკოლის მოსწავლეთათვის "საქართველო-რუსეთის ურთიერთობები საუკუნეთა მიჯნაზე" – 02.03.2010 – ეროვნული მუზეუმის აუდიტორია.
- დარბაზული სახლის გიორგიწმინდას აღდგენითი სამუშაოების დათვალიერება – 30.04.2010 - გ. ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი.
- ქართული ღვინის ეროვნული კონკურსი – "საქართველო ღვინის სამშობლო" – 6-7.05.2010 – "ქართიარდ მარიოტი".
- მუზეუმების საერთაშორისო დღეა – 18.06.2010 - ეროვნული მუზეუმის აუდიტორია.
- საგანმანათლებლო პროგრამა "მულტიკულტურული საქართველო – მითების სამყარო" – 21.05.2010 - გ. ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი.
- რენდგენო ფლურისტული სპექტრომეტრი პრეზენტაცია – 21.05.2010 – ეროვნული მუზეუმის აუდიტორია.
- ეთნოგრაფიული მუზეუმის სასწავლო ცენტრის პრეზენტაცია – 22.02.2010 - გ. ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი.
- ეროვნული გალერეის განახლებული საგამოფენო სივრცეების და მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გაცნობა – 01.06.2010 – ეროვნული გალერეა.

- ქართულ-გერმანული დაძმობილების პროექტის "საქართველოს ეროვნული მუზეუმის ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობა" პრეზენტაცია – 22.06.2010 – ეროვნული მუზეუმის აუდიტორია.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის საგანმანათლებლო ცენტრის მიერ განხორციელებული პროგრამები:

- სალექციო კურსი თემაზე "კრანახის და რეიზდალის შემოქმედება".
- საზაფხულო ბანაკი დმანისში/
- "ქართული მოდერნიზმი 1910-1930".
- "ფაიფურის წარმოშობის ისტორია".
- "პეტრე ოცხელი".
- "მულტიპლიკაცია"- /თეორიულ-პრაქტიკული/
- პირველი მობილური სამუზეუმო ღონისძიება „ფიროსმანის თბილისი".
- ლექციათა ციკლი "საუბრები ოპერაზე".
- ტრეინინგი – "ტენდენციები უმაღლეს განათლებაში".
- ხის რესტავრაციის ვორკშოპი.
- მაგნუმის ფოტოგრაფების ლექციების კურსი.
- გამოფენის "ქრისტიანული ხელოვნება საქართველოში" თანმხლები ლექციები.
- ლექციების ციკლი არქეოლოგიაზე ქართველი და უცხოელი არქეოლოგების მონაწილეობით;
- ძმები ზდანევიჩების გამოფენის თანმხლები ლექციები.
- ტრეინინგი საქართველოს ეროვნული მუზეუმის საგანმანათლებლო დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის თემაზე – "გამოფენის თანმხლები საგანმანათლებლო პროგრამები".
- ტრეინინგი აღმოსავლეთ საქართველოს მუზეუმების მენეჯერებისათვის.
- ტრეინინგი საქართველოს ეროვნული მუზეუმის საგანმანათლებლო დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის.
- ტრეინინგი საქართველოს ეროვნული მუზეუმის მენეჯერებისთვის - დეპარტამენტების ხელმძღვანელებისთვის; საგანმანათლებლო დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის თემაზე – "სწავლა სიცოცხლის მანხილზე მუზეუმებში".
- ტრეინინგი საქართველოს ეროვნული მუზეუმის ახალციხის მუზეუმის მენეჯერებისთვის- საგანმანათლებლო დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის.
- ტრეინინგი ახალციხის მასწავლებლებისთვის თემაზე – "მუზეუმი და სკოლა".
- საჯარო ლექცია თემაზე "21–ე საუკუნის მუზეუმები".
- ტრეინინგი ეროვნული მუზეუმის თანამშრომლებისთვის – "სამუზეუმო პედაგოგიკა".
- ნიკო ფიროსმანის გამოფენის თანმხლები საგანმანათლებლო პროგრამა.
- თავსატეხის საიდუმლოება.
- პიკასოს გამოფენის თანმხლები პროგრამა.
- ეროვნული მუზეუმის საზაფხულო სკოლა.
- კავკასიის ხალხთა სამოსი მაქს ტილკეს ნამუშევრების მიხედვით.
- ქართული ეროვნული შესამოსელი კავკასიური კოსტუმის კონტექსტში.
- ქართული საეკლესიო ნაქარგობა და მისი თავისებურებანი.
- "მარიონეტი".
- „უძველესი თბილისი".
- დმანისის მუზეუმ-ნაკრძალი, საველე არქეოლოგიური მუზეუმი.
- მოგზაურობა კულტურის სამყაროში.
- საგანმანათლებლო პროგრამა სამაჩაბლოდან დევნილი მოზარდებისათვის "მუზეუმი თქვენთან სტუმრად"
- კავკასიის ხალხთა სამოსი მაქს ტილკეს ნამუშევრების მიხედვით.
- ეროვნული გალერეის გახსნასთან დაკავშირებით პროფესიული განვითერების პროგრამები სკოლის მასწავლებლებისთვის და გიდი-პედაგოგებისთვის.
- ეროვნულ გალერეაში გახსნილი გამოფენის თანმხლები ლექცია-პრეზენტაციები და შეხვედრები მხატვრებთან და ლექციები (საგამოფენო სივრცეში).

- გამოფენის ”საქართველოს ეროვნული მუზეუმის საგანძურიდან – დასავლეთ ევროპის ხელოვნება XVI-XIX სს-ში”. საგანმანათლებლო პროგრამა მოსწავლეთათვი.
- რას მოგვითხრობს არქეოლოგია ქვის ხანის შესახებ.
- საბრძოლო იარაღის ისტორია.
- ნუმიზმატიკის ისტორია.
- არქეოლოგიური კლუბის,პროგრამები - ქართული საეკლესიო და საერო ნაქარგობა, ეკო სისტემა, სახალისო არქეოლოგია, ფიროსმანი და მისი ეპოქა და სხვა.
- საგანმანათლებლო პროექტი „ძველი თბილისი და ფიროსმანი“.

შემდგენელები: ანა ვერულაშვილი
ვახტანგ ცინცაძე

აკადემიკოს ლევან ჭილაშვილის გახსენება

ლევან ჭილაშვილმა და მე დაახლოებით ერთ დროს დავიწყეთ მოღვაწეობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში – ლევანმა, როგორც სტუდენტმა, მე კი როგორც ახალბედა ლექტორმა. ომის შემდგომი პირველი წლები იყო. ყველა საბჭოთა რესპუბლიკაში საგარეო საქმეთა სამინისტრო დაარსდა. საბჭოთა კავშირი იმედოვნებდა, რომ მას ბევრი წარმომადგენელი ეყოლებოდა გაეროში. ამიტომ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე გამოცხადდა მიღება დიპლომატიის სპეციალობის შესწავლის მსურველთათვის. აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე შესანიშნავმა ახალგაზრდობამ მოიყარა თავი, რომელთაგან მომავალში არაერთი ცნობილი მოღვაწე გახდა – ჩანს, ცდუნებას ვერც ლევან ჭილაშვილმა გაუძლო და მან სწავლა აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე განაგრძო.

1949 წ. ამ ფაკულტეტზე არქეოლოგიის საფუძვლები ისწავლებოდა. ამ კურსის წაკითხვა მე დამევალა. მართლაც გამორჩეული სტუდენტობა იყო, საქმიანი, სწავლას მოწყურებული, მეცადინე. ისინი წარმატებით ეუფლებოდნენ საკმაოდ შრომატევად, რთულ სპეციალობას, დიდი დრო მიჰქონდა აღმოსავლური ენების შესწავლას. ჩემსა და სტუდენტებს შორის, იმთავითვე, საკმაოდ ახლო ურთიერთობა დამყარდა. განსაკუთრებულად დავუახლოვდი ლევან ჭილაშვილს. გარდა იმისა, რომ გარკვეული საქმიანი ურთიერთობა გვაკავშირებდა, ჩვენ ერთ გუნდში ვთამაშობდით ფრენბურთს. ლევანი მართლაც შესანიშნავი ფრენბურთელი იყო, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წამყვანი მოთამაშე.

საბჭოთა კავშირს არ გაუმართლა და გაეროში მხოლოდ სამი რესპუბლიკა გაწევრიანდა – რუსეთი, უკრაინა და ბელორუსია. ამიტომ სხვა რესპუბლიკებში საგარეო საქმეთა სამინისტროებმა მხოლოდ ფორმალური ფუნქციები შეინარჩუნა. ქართველი დიპლომატები აღარავის სჭირდებოდა. მომავალ დიპლომატებს იმედი გაუცრუვდათ და საკმაოდ რთულ ვითარებაში აღმოჩნდნენ. ზოგმა მათგანმა სწავლა ასპირანტურაში განაგრძო. მათ ისტორიის სხვადასხვა დარგის შესწავლას მიჰყვეს ხელი. ლევანი საგონებელში ჩავარდა, ერთხანს გურჯაანში დაბრუნებას აპირებდა და იქ მასწავლებლად მუშაობას. მე ვურჩევდი, რომ არქეოლოგიაში ეცადა ბედი, მაგრამ უარს ამბობდა – ტყუილად შევალიე ამდენი დრო არაბულის შესწავლასო. ვუხსნიდი, რომ მას არაბულის ცოდნა შუა საუკუნეების არქეოლოგიაში მუშაობის დროს გამოადგებოდა. ბოლოს, როგორც იქნა, დავიყოლიე და, ვგონებ, არაფერი წააგო. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორმა, აკად. ნ. ბერძენიშვილმა საგანგებოდ დაუშვა ადგილი ასპირანტურაში ფეოდალური არქეოლოგიის განხრით. ლევან ჭილაშვილმა წარმატებით გააგრძელა სწავლა. აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა არქეოლოგიურ ექსპედიციაში. თავდაპირველად

რიგითი წევრი იყო, შემდეგში კი არაერთი არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი. მართალია, ლევანს დიდებული წინამორბედები ჰყავდა, მაგრამ ყველაზე სრულად ფეოდალური ხანის ძეგლები მან გამოიკვლია.

ასპირანტურის დამთავრების შემდეგ ლევან ჭილაშვილმა მოღვაწეობა ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმს დაუკავშირა. თავდაპირველად რიგითი მეცნიერ თანამშრომელი, ამ დიდებული დაწესებულების ხელმძღვანელი გახდა და მას 30 წლის განმავლობაში ედგა სათავეში. მან უდიდესი ამაგი დასდო ქართული კულტურის ამ უმდიდრეს საცავს. ცნობილია, თუ რა დიდი დრო და ენერგია სჭირდება სამუზეუმო საქმეს. ლევან ჭილაშვილი მრავალმხრივი მოღვაწე იყო, რომელიც გამოირჩეოდა უდიდესი პასუხისმგებლობით, კეთილსინდისიერებით, ღრმა ერუდიციით. მუზეუმში მძიმე და რთულ საქმიანობასთან ერთად, მეცნიერულ მოღვაწეობას განაგრძობდა. შესანიშნავი საველე მუშაკი იყო. ველად ყოფნა ლევანს დიდ სიამოვნებას გვრიდა. მან ფეოდალური ხანის არაერთი ნაქალაქარი გათხარა და შეისწავლა. ბოლო დრომდე არქეოლოგის ნიჩაბი ეჭირა და დიდი მონდომებით, ინტერესით იკვლევდა კახეთის ნაქალაქარ ნეკრესს. განსაკუთრებული გატაცებით სწავლობდა აქ აღმოჩენილ წარწერებს, რომლებიც, მისი აზრით, საუკუნეების სიღრმიდან მოდიოდა. სწორედ ამ საკითხს ეძღვნება მისი ბოლო ნაშრომი, რომლის გამოქვეყნებასაც ვეღარ მოესწრო. მართებულია თუ არა რიგ საკითხებთან დაკავშირებით მისი ნააზრევი, ამას მომავალი გვიჩვენებს, თავად ეჭვი არ ეპარებოდა საკუთარი მოსაზრებების სისწორეში. საგანგებოდ აღვნიშნავ, რომ ლევან ჭილაშვილი ვალად არასოდეს რჩებოდა, ყველა შესწავლილი ძეგლის შესახებ ამომწურავ ინფორმაციას ფუნდამენტურ მონოგრაფიებში აქვეყნებდა.

უთუოდ საგულისხმოა ლევან ჭილაშვილის საექსპოზიციო საქმიანობასთან დაკავშირებული მოღვაწეობა. მისი ხელმძღვანელობით მოეწყო ფეოდალური ხანის საქართველოს ამსახველი გამოფენა. ეს ამ ხანის პირველი გამოფენა იყო, რუსთაველის ეპოქის გამოფენის შემდეგ. ექსპოზიციაში სრულად იყო წარმოდგენილი საქართველოს შუა საუკუნეების კულტურა. ეს შთამბეჭდავი გამოფენა წლების განმავლობაში ამშვენებდა მუზეუმის დარბაზებს. ლევან ჭილაშვილის მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით არაერთი გამოფენა მოეწყო საზღვარგარეთ. ამ გამოფენების საშუალებით, ჩვენს უძველეს და უმდიდრეს კულტურას უცხოეთშიც ეზიარნენ.

და კიდევ, არ შეიძლება საგანგებოდ არ აღინიშნოს ლევან ჭილაშვილისა და მუზეუმის თანამშრომელთა თავდადება,გმირობა. თბილისში ავბედითი ომის დროს, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი უშუალო საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. რომ არა პირადად ლევან ჭილაშვილისა და მისი გუნდის წარმოუდგენელი თავგანწირვა,მამაცური ბრძოლა,შესაძლებელია დიდად დაზიანებულიყო მუზეუმი, საქართველოს საუნჯე.

სამეცნიერო და სამუზეუმო საქმიანობასთან ერთად ლევან ჭილაშვილი პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა. იგი იყო ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. ის-

ტორიის ფაკულტეტზე ფეოდალურ არქეოლოგიის კურსს კითხულობდა, მუზეუმმცოდნეობასა და სხვ. მან არაერთ ახალგაზრდას გაუღვივა ინტერესი საქართველოს სიძველეებისადმი. მისი მოწაფეები და უკვე მოწაფეთა-მოწაფეები წარმატებით სწავლობენ უძველეს ქართულ კულტურას, მოღვაწეობენ მუზეუმებში და სხვ. მან მეტად საჭირო სახელმძღვანელო მიუძღვნა „მუზეუმმცოდნეობას."

ლევან ჭილაშვილის სიცოცხლე უეცრად შეწყდა. არავინ ელოდა ასეთ დასასრულს. თითქოს არაფერი ეტყობოდა... მაგრამ სიკვდილი ულმობელია, კარგისა და ცუდის გარჩევა არ იცის და შემოქმედების აღმავლობის ჟამს ლევანი წუთისოფელს გამოასალმა. მას კიდევ ბევრი სიკეთის მოტანა შეეძლო. თავისი მრავალწლიანი მოღვაწეობით უთუოდ დიდი ღვაწლი შეიტანა ქართული კულტურის შესწავლის საქმეში და ბევრი ახალი ფურცელი შემატა საკუთარი ქვეყნის წარსულს.

ლევან ჭილაშვილი უდიდესი მონდომებით იკვლევდა ქართულ მიწას ამოფარებულ ფეოდალური ხანის ძეგლებს, უტყუარ მოწმეებს ჩვენი უმძიმესი წარსულისა.

აკადემიკოსი ოთარ ჯაფარიძე

კვალნათელი

თბილისს მცხუნვარე ზაფხული კვლავ ესტუმრა. უმაღლეს სასწავლებლებში საბაკალავრო და სამაგისტრო გამოსაშვები გამოცდებისათვის კვლავ ემზადებიან. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის ისტორიის მიმართულების (კათედრის) წევრები სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მრავალგზის თავმჯდომარეს, ბატონ ლევან ჭილაშვილს, აი უკვე 6 წელია ამაოდ ელიან; მაგრამ კვლავ ოცნებობენ, რომ გაიღება საპროფესორო დარბაზის კარი და შემოვა მომღიმარი ნათელი კაცი, შემოვა და მისთვის განკუთვნილ სავარძელში ჩაბრძანდება. დაიწყება არა მკაცრი და დაუნდობელი გამოცდა (ხშირად, სამწუხაროდ, ასეც ხდება!), არამედ ცოდნის ზეიმი, რომლის მთავარი მოქმედი პირი, დიპლომანტებთან ერთად, ბატონი ლევანი იქნება...

ასე იყო 1997-2003 წლებში, როდესაც ბატონ ლევანს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტის სიძველეთა და სახვითი ხელოვნების ნიმუშთა ტექნიკური ექსპერტიზის სპეციალობის სტუდენტთა და მაგისტრანტთა გამოსაშვებ გამოცდებზე სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარედ ვიწვევდით. ხოლო იგი მოუცლელობის მიუხედავად, ხალისით თანხმდებოდა ამ საკმაოდ შრომატევადი, მრავალსაათიანი პროცედურის ჩატარებას, სადიპლომო ნაშრომების, ხელოვნების ისტორიისა და სიძველეთა, სახვითი ხელოვნების ნიმუშთა ტექნიკური ექსპერტიზის სასწავლო დისციპლინებში ჩვენ მიერ მომზადებული ახალგაზრდების მიუკერძოებელ შეფასებას.

პირველივე ასეთი შეხვედრის შემდეგ,კათედრის წევრებმა ერთსულოვნად დავასკვენით, რომ სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარის უფრო უკეთეს და ღირსეულ კანდიდატურას ვერც ვინატრებდით. იგი იმდენჯერ იქნებოდა თავმჯდომარე, რამდენჯერაც ამის ნებას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა იძლეოდა (რასაკვირველია, თუ თავადაც თანხმობას განაცხადებდა!).

მომავალი გამოცდებისათვის, ბატონ ლევანთან ხელახალი შეხვედრისათვის, არა მხოლოდ გამოსაშვები კურსის სტუდენტები და მაგისტრანტები ემზადებოდნენ, არამედ ჩვენც, მათი პედაგოგები. გამოცდის პროცესში ბატონი ლევანის შეკითხვებსა და ხშირად ამ შეკითხვებზე მისსავე, ძალზე საინტერესო და საყურადღებო კომენტარებს დიპლომანტებიც და ჩვენც მონუსხულებივით ვუსმენდით. დროის შეგრძნება უკვალოდ ქრებოდა. სამუშაო დღე შეუმჩნევლად იწურებოდა. ერთმანეთთან განშორება გვიჭირდა...

ბატონ ლევანს მოსმენის დახვეწილი კულტურა განგების მიერ ჰქონდა მინიჭებული. კითხვებს მისთვის ჩვეული სიდინჯით, ხშირად ღიმილით, სვამდა. დიპლომანტებს შენიშვნებს უდიდესი ტაქტით აძლევდა. ცალკეულ შემთხვევაში მომავალი სამუშაო გეგმების შესახებაც ესაუბრებოდა. მათ სულიერ სამყაროში ღრმად შეღწევა განსაკუთრებული

ოსტატობით ხელეწიფებოდა, თანაც ამას დროის საკმაოდ მცირე მონაკვეთში ახერხებდა. ხშირად პედაგოგებსაც აქებდა. მაგრამ ჩვენთვის ყველაზე დიდი ქება მაინც ის იყო, რომ ყოველი გამოცდის დამთავრების შემდეგ ბატონი ლევანი ჩვენს საუკეთესო კურსდამთავრებულებს აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში სამუშაოდ იწვევდა, ნიჭიერებას, შრომისმოყვარეობას, ცოდნის გაღრმავების სურვილს, მომავლის კარს ფართოდ უღებდა! სწორედ ბატონი ლევანის არჩევანს უნდა ვუმადლოდეთ, რომ დღეს საქართველოს ეროვნულ მუზეუმში ქართულ კულტურულ მემკვიდრეობას 20-ზე მეტი ჩვენი კურსდამთავრებული ერთგულად ემსახურება.

2003 წელს აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში გამართული ერთ-ერთი სამეცნიერო კონფერენციის შემდეგ მიღებაზე მიმიწვიეს. დარბაზის კუთხეში ათიოდე ნაცნობი შევნიშნე. ბატონი ლევანი მომიახლოვდა და გაღიმებულმა წარმოთქვა: „აი, შენი ყოფილი სტუდენტები. ახლა ისინი ჩემი თანამშრომლები არიან. საქმეს თავს კარგად ართმევენ, ზოგი საკანდიდატო დისერტაციას ამზადებს, ზოგიც უკვე მზადაა საჯარო პაექრობისათვის.” მუზეუმსა და ჩვენს კათედრას შორის ბატონი ლევანის მიერ დიდი სიყვარულით გადებული ხიდი ქართული ეროვნული მეცნიერების წინსვლის, წინა თაობების მიერ დიდი შრომითა და გარჯით შექმნილ ფასეულობათა დაცვისა და განვითარების საწინდარია! მჯერა, რომ ჟამთა სვლა ამ ხიდს ბურჯებს ვერასოდეს გამოაცლის, ისე როგორც ქართველთა მეხსიერებიდან ვერ წაშლის ბატონ ლევან ჭილაშვილის სახელს, რომელმაც ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობით, აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის 30 წლიანი წარმატებული წინამძღოლობით, ზნეკეთილობით, კაცურკაცობით სამარადისო ძეგლი სიცოცხლეშივე დაიდგა!

პროფესორი ნანა ხაზარაძე

ხსოვნა – რომელიც ჩვენთანაა

შეიძლება წლების განმავლობაში გიხდებოდეს ურთიერთობა ადამიანთან და ისე დამთავრდეს ეს ურთიერთობა, რომ ამ ადამიანის ნამდვილი ბუნება ვერ შეიცნო. ლევან ჭილაშვილის დირექტორობის დროს მუზეუმში ოცდაათი წელი ვიმუშავე და ჩვენი ურთიერთობა უმცროს-უფროსობის ჩვეულებრივი ეტიკეტით მიმდინარეობდა. ვინ იყო იგი ჩემთვის? პირველ ყოვლისა ადმინისტრაციული ხელმძღვანელი, რომელსაც ყოველთვის უნდა მოერიდო, დისტანცია უნდა დაიცვა. თუმცა, ერთხელ, შენიშვნა მივეცი მისი მოხსენების ერთ საკითხთან დაკავშირებით. შენიშვნა – სრულიად უადგილო, ახალგაზრდული გაბედულობით წამოსროლილი იყო. კეთილად გამიღიმა და საჩვენებელი თითით მანიშნა – "ჭკვიანად იყავი."

მას შემდეგ უფრო დაკვირვებულად ვიქცეოდი და ვცდილობდი, ნაკლებად მოვხვედროდი თვალში. იგი არ გახლდათ მკაცრი დირექტორი, ადმინისტრაციული შეცდომების ჩამკირკიტებელი და ჩამძიებელი. თანამშრომლების თავისუფლებას არ ზღუდავდა და იოლად ითავისებდა მათ პრობლემებს.

გადიოდა დრო, იცვლებოდა მდგომარეობა, ვიღაც წავიდა მუზეუმიდან, ვიღაც მოვიდა... ზოგიერთმა, ჩვენი თაობიდან, თანამდებობა მიიღო, მე ვიყავი და ვიყავი ისევ ძველებურად, არც არაფერს მთავაზობდნენ, არც არაფრით მაწუხებდნენ. ვეჭვობდი, ალბათ ის ჩემი უადგილო შეკითხვა ვერ დაივიწყა-თქო. 1991 წელს, როდესაც რუსთაველზე ომი დაიწყო და მუზეუმი შუაგულ ქარცეცხლში აღმოჩნდა, ლევან ჭილაშვილი საცხოვრებლად საკუთარ კაბინეტში გადავიდა და მას გვერდიდან არ მოსცილებია მეუღლე, ქალბატონი ელენე (ცუცა), რომელიც გამბედაობის გასაოცარ მაგალითს აძლევდა ყველას. ცოლ-ქმრის ასეთმა დამოკიდებულებამ ჩვენც აღგვაფრთოვანა და ერთიანობაც საოცრად განამტკიცა. ახლა, რომ ფრანგული კულტურის ცენტრია, იქ ერთ ბნელ სარდაფში, ვათევდით ბიჭები ღამეს, ქვემეხების გრგვინვით შეშფოთებული ვირთხები ლამის საძილე ტომრებში გვიძვრებოდნენ. ისროდნენ განუწყვეტლივ, მანათობელი ტყვიები დასრიალებდა თბილისის ჩაშავებულ ცაზე, მუზეუმი კაცივით დადუმებულიყო... ბრმა ტყვიები წივილით ეხლებოდა კედლებს და წითელი აგურის ნაფშვნებს აქეთ-იქით ისროდა, რაც გვაიძულებდა ხოხვით გადავსულიყავით ერთი ადგილიდან მეორეზე. იწვოდა მხატვრის სახლი, პირველი სკოლა, სასტუმრო "თბილისი," პარლამენტის შენობის კედლებს ქვემეხის ჭურვები ასკდებოდა და ფეურცელაძის ქუჩის კუთხეში ღამეული მგზავრის საკანალიზაციო ჭაზე დამხობილი გვამი სიკვდილის შიშით გვთანგავდა.

ერთ დღეს ვიღაცის სასოწარკვეთილმა ხმამ ჰაერი გააპო: – მუზეუმი იწვის! მუზეუმი იწვის!.. გიჟებივით გამოვცვივდით ეზოში, კვამლი და ცეცხლი ბურბურით გამორბოდა ეთნოგრაფიისა და ფეოდალური ხანის სართულებს შორის, დასავლეთ ფლიგელის ჩამსხვრეული ფანჯრიდან. ვინ ცეცხლმაქრს მივარდა, ვინ წყლიან სათლს და ვინ სახანძრო

ფარს. ერთი ჯგუფი მთავარ შესასვლელს ეცა, ჩვენ კი ახალი კორპუსიდან მოვინდომეთ ძველში შეღწევა. პანიკური ყვირილი მეორდებოდა – "მუზეუმი იწვის!" ტვინში ზარივით რეკავდა რაღაც, საფეოქლებში ჩაქუჩებს მირტყამდნენ თითქოს: "მუზეუმი იწვის, მართლა რომ დაიწვას, მიშველე ღმერთო!" შეშლილივით ვიმეორებდი ერთი და იგივეს და ბიჭებთან ერთად ვანგრევდი გაუქმებულ კარებს. დარბაზში მეორე ჯგუფმა შემოაღწია, ჯგუფს ლევან ჭილაშვილი და ჯემალ შანიძე მოუძღოდნენ. ცეცხლი ფანჯრის ღიობში მანათობელ ტყვიას გაუჩენია, წითელი ალი ავად მოიწევდა და საკმარისი იყო ერთი ნაპერწკალი დარბაზისაკენ გადმოვარდნილიყო ათწლეულებით გაფიცხებული ხის მასალა და ექსპონატები კვარივით აბრიალდებოდა. დროულად ვიმოქმედეთ, წყალი, ქვიშა, ცეცხლმაქრები, ქვისა და აგურის ნამტვრევები ერთბაშად დავაყარეთ და თითქმის 15 წუთში ცეცხლი ჩაქრა. პირველმა ელდამ გადაიარა, განსაცდელი ავიცდინეთ. ყველანი ძირს დავვარდით. მუზეუმი გადარჩა. გარედან ზარბაზნების ზალპების ხმა ისმოდა და კედლებს ზრიალი გაჰქონდა, დროდადრო მანათობელი ტყვია შემოიჭრებოდა და ავის მომასწავებლად დაგვწუოდა თავზე. დავხოხავდით იატაკზე და ახლა ვაცნობიერებ, რომ ცეცხლის ჩაქრობისას ყველანი ფეხზე ვიდექით, რაც იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერ წამს ნებისმიერი ჩვენგანი შესაძლოა ბრმა ტყვიის მსხვერპლი გამხდარიყო.

იმ ღამით, ლევან ჭილაშვილმა და მისმა მეუღლემ საერთო გამარჯვების აღსანიშნავად პატარა პიკნიკი მოგვიწყვეს. ბატონი ლევანი მადლობას გვიხდიდა. იგი ხომ საერთოდ ძალზე სიმპათიური კაცი იყო, მაგრამ ახლა რაღაც გმირული სული დასადგურებულიყო მასში. ეს იყო გამარჯვების მშვენიერება, რაც უფრო მეტია ვიდრე ნებისმიერი სახის სილამაზე.

2002 წელს, როგორც საქართველოს პარლამენტის წევრი, ერთ საკითხთან დაკავშირებით, მუზეუმის ინტერესებს ვიცავდი. გამოკვეთილად არ გვესხმოდნენ თავს, მაგრამ კანონპროექტის საპარლამენტო განხილვას მუდამ იმდენი კერძო ინტერესი ახლავს, თუ ყურადღებით არ იქნები, აუცილებლად მოტყუვდები. ამიტომ საკითხის განხილვა, ინტერესთა კონფლიქტის გამო, გაგრძელდა. პარლამენტში ყოფნისას ერთი წუთითაც არ გამიწყვეტია მუზეუმთან კავშირი, ეს ბატონმა ლევანმა კარგად იცოდა და თუ რამე არსებითი მოვლენა ხდებოდა, აუცილებლად დამიძახებდა და გამომკითხავდა ხოლმე. ამჟამადაც მიხმო. შევედი მის გრილ კაბინეტში, ჩამოვჯექი ხის სკამზე და მოვუყევი ყველაფერი რაც კანონპროექტის საკითხთან იყო დაკავშირებული. მისმენდა ყურადღებით, მძიმედ, მდუმარედ, დაძაბული მეჩვენა. მონოლოგი რომ დავასრულე, ერთხანს ხმა არ ამოუღია. შემდეგ წინ წამოიწია, მაგიდას იდაყვებით დაეყრდნო და ჩაძიებით ჩამეკითხა: "კი მაგრამ, რა უნდათ... ეს ხომ ჩვენი საზოგადო საქმეა. ეს ხომ ჩვენი კულტურისთვისაა საჭირო, ჩვენი მომავლისათვის, ხვალინდელი დღისათვის." შემდეგ პაუზა... და ძალიან ჩუმად, მაგრამ გამოკვეთილად თქვა: "არ მეგონა, ნამდვილად არ მეგონა, ასეთი ნაძირალები თუ არსებობდნენ ამქვეყნად." სახის ნაკვთები ოდნავადაც არ შერხევია, ისე ჩამოუგორდა ლოყაზე ცრემლი. მე გამაოცა ამ ცრემლმა, გამაოცა ბატონი ლევანის

ჩემთვის აქამდე უცნობმა ხასიათმა, რომლის გამომჟღავნება ასაკობრივი გულჩვილობით კი არ იყო გამოწვეული, არამედ ადამიანთა უმადურობით, სამშობლოს სახელს მუდამ საკუთარ კეთილდღეობას რომ ანაცვალებენ...

ბატონმა ლევან ჭილაშვილმა მთელი თავისი ცხოვრება, ნიჭი და შემოქმედება, სამშობლოს კეთილდღეობას მიუძღვნა. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის სამუზეუმო ცხოვრების, ქართული მეცნიერების განვითარების საქმეში, პირადად ჩვენი ყოველდღიური ყოფის ჩამოყალიბებაში. წავიდა და დაგვიტოვა კეთილი ხსოვნა, რომელიც მანამ ვარსებობთ ჩვენთან იქნება.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
ელდარ ნადირაძე

აკადემიკოს ლევან ჭილაშვილის ხსოვნას

საქართველოს ეროვნული მუზეუმი რომ ჩვენი ქვეყნის აღიარებული სამეცნიერო და კულტურული ცენტრია, ფართოდ არის ცნობილი საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ.

მეამაყება, რომ ამ დაწესებულებაში 35 წლის განმავლობაში (1970-2005) მუზეუმის ზოოლოგიურ განყოფილებას ვხელმძღვანელობდი, ამჟამად, როგორც კონსულტანტს მუზეუმთან კვლავ მჭიდრო შემოქმედებითი კონტაქტები მაქვს. სწორედ მუზეუმის ჭერქვეშ გატარებულმა წლებმა, დირექციის, სამეცნიერო საბჭოს, თანამოაზრეების მხარდაჭერით წარმართულმა საქმიანობამ მომცა შესაძლებლობა განმეხორციელებინა დასახული მიზნები. მე და ჩემმა უახლოესმა კოლეგებმა და მეგობრებმა ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის ყველა ლანდშაფტურ ეროეულში უპრეცედენტო საველე ექსპედიციები (1970-1990 წწ.) ჩავატარეთ.

მუზეუმში მოღვაწეობისას, გარდა კავკასიისა, შესაძლებელი გახდა ყოფილი საბჭოთა კავშირის ბუნებრივი თვალსაზრისით ყველაზე საინტერესო რეგიონების (შუა აზია, ციმბირი, შორეული აღმოსავლეთი) ბიოგეოგრაფიული ხასიათის გამოკვლევა, დედამიწის ხუთი კონტინენტის ყველა ბიომის შესწავლა. გარდა ამ კვლევებზე გამოქვეყნებული ათობით მონოგრაფიისა და შრომებისა,ჩემს პირად ფოტო და დიაპოზიტივების არქივში თავმოყრილია 40 წლის განმავლობაში გადაღებული, უნიკალური მეცნიერული (ფლორა, ფაუნა, პალეონტოლოგია, ისტორიული გეოლოგია, ანთროპოლოგია), კულტურულ-აღმზრდელობითი და ესთეტიკური შინაარსის ათასობით კადრი. ეს არის უმდიდრესი ფონდი, რომლის გამოყენება შეიძლება მორიგ, მსგავს მონოგრაფიებში, წიგნალბომებში თუ მუზეუმის მომავალ გამოფენებში.

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: მსგავსი მასშტაბური შემოქმედებითი საქმიანობის ჩაფიქრება და განხორციელება შეიძლებოდა მხოლოდ და მხოლოდ ს.ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში!

როდესაც ამ თემაზე ამგვარად კატეგორიულად ვწერ (ცხადია, კონკრეტული ფაქტების გათვალისწინებითა და შედარებითი ანალიზის საფუძველზე), მხედველობაში მაქვს ორი ფენომენი.

პირველი და არსებითი: საქართველოს ეროვნული (ყოფილი კავკასიის) მუზეუმი უძველესი (დაარსებიდან 158 წელი) და უპირველესი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებაა რეგიონში (კავკასია) და ერთ-ერთი პირველი თვით ყოფილი რუსეთის იმპერიაში;

მეორე: იგი მრავალპროფილიანი დაწესებულებაა, ათეული წლების განმავლობაში წარმოდგენილი სათანადო ინტელექტუალური პოტენციალითა და მსოფლიოში აღიარებული მეცნიერ-კოლექტორებით, მათ მიერ კავკასიასა და მეზობელ რეგიონებში მოპოვებული საბუნებისმეტყველო და სხვა სახის მასალებისაგან შექმნილი უნიკალური,უდიდესი მეცნიერული ღირებულებისა და საგანმანათლებლო ხასიათის ფონდებით. მე ეს არაერთხელ განმიცხადებია და ამისახავს მსოფლიო დო-

ნის კონგრესებზე, მონოგრაფიებში, მათ შორის 2009 წელს გერმანიაში დაბეჭდილ წიგნში – iomes of the Caucasus (Arnold Gegechkori, Hans Joosten, eds., 169 pp.).

სამნახევარი ათეული წლის განმავლობაში აქტიური სამეცნიერო და ზოგადსამუზეუმო საქმიანობისა, წილად მხვდა პატივი მეღვაწა შესაშური თვისებებით გამორჩეული ადმინისტრაციის ხელმძღვანელობით. უწინარესად, ესენი იყვნენ დაწესებულების დირექტორი, აკადემიკოსი ლევან ჭილაშვილი და მისი მოადგილე სამეცნიერო დარგში, აკადემიის წ/კ., წევრ-კორესპონდენტი, ლალი (ალექსანდრე) ჯავახიშვილი.

ბატონი ლალის ნათელ სახელსა და პიროვნებას რამდენიმე წერილი მივუძღვენი (მათ შორის მსხვილტანიან მონოგრაფიაში – „ბუნება შემოქმედია" სათაურით – „ინტელიგენტი." 2009 წელს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კორპუსში მოეწყო ჩემი ფოტოგამოფენა სათაურით – „ეს არის საქართველო." გამოფენა მიეძღვნა დედამიწაზე სიცოცხლის შენარჩუნების პრობლემას (სტოკჰოლმი, 2010). გამოფენა იწყებოდა ტეტრადათი – „მამული, ენა, სარწმუნოება, უნივერსიტეტი." მთავარი კორპუსის („ალმა-მატერი") ფოტოსურათის გვერდით, ივანე ჯავახიშვილის სურათის მაგივრად გამოვფინე ჩემ მიერ გადაღებული, ბატონი ლალის სურათი. აქ იგი საოცრად ჰგავს დიდ ივანე ჯავახიშვილს. გამოფენის პრეზენტაციაზე ეს ფაქტი დამსწრე საზოგადოებამ აღიქვა, როგორც თაობების ღირსეული ცვლა (სახელოვანი მამის ღირსეული მემკვიდრე).

...სიტყვა გამიგრძელდა: აღნიშნული მიმოხილვა საჭირო იყო ბატონ ლევან ჭილაშვილზე აუცილებლის სათქმელად.

ბატონი ლალი და ბატონი ლევანი იშვიათად ავსებდნენ ერთმანეთს. ბატონი ლევანის დირექტორობისას მუზეუმში ბევრი რამ გაკეთდა, იგი მრავალი სასიკეთო წამოწყების ორგანიზატორი და მხარდამჭერი იყო. მუზეუმის ყოველწლიური ანგარიში, რომელიც აკადემიის პრეზიდიუმზე მოისმინებოდა, როგორც წესი, დიდ ინტერესს იწვევდა. თავმდაბალმა და სათნო ადამიანმა, ბატონმა ლევანმა შეუპოვარი შრომით დიდ წარმატებებს მიაღწია, განსაკუთრებული იყო ნეკრესში ჩატარებული გამოკვლევები, რომელმაც საყოველთაო აღიარება მოიპოვა.

ბატონი ლევანის ხელმძღვანელობით თანამშრომლები უაღრესად კომფორტულად გრძნობდნენ თავს. იგი იყო დაწესებულების მთავარი ადმინისტრატორი, რომლის ხმამაღალი სიტყვა, სხვას რომ თავი დავანებოთ, არავის გაუგია. თანამშრომლებიც სათანადოდ მიაგებდნენ პასუხს, აბსოლუტური უმრავლესობა მას ლამის „შენობით" ელაპარაკებოდა, მაგრამ სუბორდინაციას არავინ არღვევდა. ერთი სიტყვით, ამ ადამიანის თავკაცობით მუზეუმი მთელ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში დემოკრატიის ერთ-ერთ თითით საჩვენებელ ოაზისად იყო ქცეული.

ბატონი ლევანი ერთ-ერთი პირველი იყო, რომელსაც თავისი თანამშრომლების წარმატება უხაროდა, სწორედ ის იძლეოდა ტონს და სათანადო მანიპულაციების შემდეგ აწერდა ხელს მუზეუმის მეცნიერთა ქვეყნის უმაღლეს ჯილდოზე, ტიტულზე წარსადგენად, იქნებოდა ეს მთავრობის ჯილდო, სახელმწიფო ან სახელობითი პრემია, ეროვნული

აკადემიის წევრობა.

ბატონი ლევანი შესანიშნავი მეოჯახე გახლდათ. მისი დამოკიდებულება მეუღლის, ვაჟების მიმართ სამაგალითო იყო. ოჯახის წევრებიც სათანადოს მიაგებდნენ. გასული საუკუნის 90-იან წლებში, როდესაც საქართველოში უბედურება დატრიალდა და ბრმა ტყვიები ჩვენს შენობასაც ხვდებოდა, ეროვნული განძისა და ნებისმიერი ფონდის, უწინარესად, ხანძრისაგან დასაცავად თანამშრომლებმა მორიგეობა შემოვიღეთ. რიგ შემთხვევაში ბატონ ლევანთან ერთად მისი მეუღლეც ათევდა მუზეუმში ღამეებს.

როდესაც ასაკში შედიხარ, ადამიანის ფსიქოლოგიაში ჩაწვდომა გიადვილდება. ყოველთვის მიკვირდა, თუ როგორ იყო ბატონი ლევან ჭილაშვილი თავისუფალი ადამიანთა ერთი ნაწილისათვის დამახასიათებელი ნეგატიური თვისებებისგან. არ ვლაპარაკობ მზაკვრობაზე, ბოროტებაზე, მლიქვნელობაზე, უზურპატორობაზე, გაუტანლობაზე; არა, ბატონ ლევანს ვინმესადმი, ელემენტარულად, არაკორექტულად მოქცევაც კი არ შეეძლო.

რამდენიმე წლის წინ, როდესაც დირექტორის ადგილზე მისი ხელახლა არჩევნების დრო დადგა, შეიქმნა კომისია. მის შემადგენლობაში იყვნენ ეროვნული აკადემიის წარმომადგენლები და მუზეუმის თანამშრომლები (სულ 5-6 ადამიანი), მათ შორის მეც ვიყავი დასახელებული. ყველამ თქვა თავისი სათქმელი, ჯერი ჩემზე რომ მიდგა, განვაცხადე: „ჩემგან მთლად კორექტული არ იქნება საუბარი დამეწყო ბატონი ლევანის მეცნიერულ დამსახურებაზე, მასზე ყურადღებას გავამახვილებ, როგორც ადმინისტრატორზე. როდესაც ბატონი ლევანის თანამშრომელს შეუძლია იღვაწოს გარემოში, სადაც ინტრიგების ქსელში მოხვედრას არ შეუშინდება, სადაც კაცი კაცს, ჯგუფი ჯგუფს ვერ დაუპირისპირდება, როდესაც შენი წარმატების გარანტი შენივე დირექტორია, და ბოლოს, თვით შენ რომ ვერ აღმოჩნდე მასთან მთლად კორექტული, იგი ამისათვის კი არ, არამედ ვერ გადაგიხდის სამაგიეროს, ასეთი კაცის დირექტორად ხელახლა არჩევა უფრო იმიტომ იქნება საჭირო, ბევრი სხვა დაწესებულებისათვის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი რომ გახდეს სამაგალითო.” ასე დავამთავრე ჩემი სათქმელი. თვალებში ყველას სითბო ჩაეღვარა, მათ შორის აკადემიის ჩინოვნიკებსა და თვით ხელახლა არჩეულ დირექტორს. წინამდებარე წერილის წამკითხველი, ალბათ, დარწმუნდება, რომ ეს არ იყო თანამდებობით უფროსისადმი მიძღვნილი ქებათა-ქება, ფეხით ტერფამდე სწორედ ასეთი იყო ბატონი ლევანი და მეც ვისარგებლე შემთხვევით, გავიხსენე რა ცნობილი სენტენცია: „კარგს თუ კარგი არ ვუთხარი, ცუდს სახელად რა დავარქვა.”

გმადლობთ, რომ შესაძლებლობა მომეცა კიდევ ერთხელ გამომეხატა კეთილი დამოკიდებულება და მადლიერების გრძნობა მუზეუმისადმი, ცხადია, პიროვნებისადმი, რომელიც ასე მოულოდნელად გამოაკლდა ქართულ კულტურას, ეროვნულ მუზეუმს, მის ოჯახს.

პროფესორი არნოლდ გეგეჭკორი

ამერიკელი და რუსი ენტომოლოგები სტუმრად მუზეუმში
(სუფრის თავში ლ. ჭილაშვილი, სადღეგრძელოს ავტორი - არნ. გეგეჭკორი)

სარჩევი
CONTENTS

ზურაბ თვალჭრელიძე, თეიმურაზ ბერიძე
ლევან ჭილაშვილი – 80 7

Zurab Tvalchrelidze, Teimuraz Beridze
Levan Chilashvili – 80

არქეოლოგია
Archaeology

ნიკოლოზ თუშაბრამიშვილი
ზემო იმერეთის მღვიმეები და ზედა პალეოლითელ ადამიანთა სამეურნეო საქმიანობა..... 19

Nikoloz Tushabramishvili
Caves of Zemo Imereti and the Agricultural Activities of Upper Paleolithic People

თენგიზ მეშველიანი, ოფერ ბარ-იოზეფი, ანა ბელფერ-კოენი, ზინოვი მაცკევიჩი, ერეკლე ქორიძე, ნინო ჯაყელი
ზოომორფული ფიგურა კოტიას კლდის მღვიმიდან 38

Tengiz Meshveliani, Ofer Bar-Yosef, Anna Belfer-Cohen, Zinovi Matskevich, Erekle Koridze, Nino Jakeli
Zoomorphic Figurine from Kotias Klde Cave

ზიზი თორთლაძე
საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი უძველესი კერები და მათი ფუნქციური დატვირთვა..... 46

Zizi Tortladze
The Oldest Hearths Discovered in Georgia and their Functional Purpose

მანანა წერეთელი
მეტალურგიული წარმოების ზოგიერთი საკითხი
(საირხის არქეოლოგიური მასალების მიხედვით) 70

Manana Tsereteli
Some Aspects of Metallurgical Production (According to the Sairkhe Archaeological Material)

დავით ლომიტაშვილი
სოციალ-პოლიტიკური ვითარება IV-VI სს.
სამხრეთ-დასავლეთ კავკასიაში 82

David Lomitashvili
The Socio-Political Situation in the South-West Caucasus in the 4th-6th cc.

ზურაბ თვალჭრელიძე, ზაზა სხირტლაძე
მონასტრები და დასახლებები ივრისპირა გარეჯში.
ქვაბები 94

Zurab Tvalchrelidze, Zaza Skhirtladze
Monasteries and Settlements in the Iori Area Gareja Desert. Kvabebi

ნოდარ ბახტაძე
ნეკრესის მონასტრის მემორიალური სამლოცველოს
არქეოლოგიური კვლევის შედეგები 116

Nodar Bakhtadze
The Results of Archaeological Research of the Nekresi Monastery Memorial Chapel

იულონ გაგოშიძე
ღალიას ღვთისმშობლის მონასტერი – ქართული სავანე
კვიპროსზე 139

Iulon Gagoshidze
The Monastery of the Holy Virgin in Ghialia – Georgian Haven on Cyprus

თინათინ კერესელიძე, რუსუდან დოლაბერიძე
არქეოლოგიური მასალა მუზეუმის ახალი კორპუსის მშენებლობიდან 158

Tinatin Kereselidze, Rusudan Dolaberidze
Archaeological Material Discovered During the Construction of a New Museum Building

ეკატერინე ჯანდიერი
ჯავახეთის ახალქალაქის ძველი ნამოსახლარები 175

Ekaterine Jandieri
Ancient Settlements of Akhalkalaki of Javakheti

მარგალიტა ჩემია
შუა საუკუნეების ირანული მხატვრული კერამიკა საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციებიდან 209

Margalita Chemia
Medieval Persian Artistic Pottery from the Collections of the Georgian National Museum

ლუიზა გვრიტიშვილი
შუა საუკუნეების მოჭიქული ჭურჭლის ერთი განსაკუთრებული სახეობის შესახებ 219

Luiza Gvritishvili
About a Unique Type of a Medieval Glazed Bowl

ნუმიზმატიკა
Numismatics

თინათინ ქუთელია
იყალთოს განძი 232

Tinatin Kutelia
The Iqalto Hoard

ციალა ღვაბერიძე
ყარაღაჯის განძი 241

Tsiala Gvaberidze
The Qaragaji Hoard

გლიპტიკა
Glyptics

ქეთევან ჯავახიშვილი, მედეა შეროზია
ახალი აღმოჩენა დაბა ახალგორში 255

Ketevan Javakhishvili, Medea Sherozia
A New Discovery in Akhalgori Borough

ეთნოგრაფია/ეთნოლოგია
Ethnography/Ethnology

როზეტა გუჯეჯიანი, ნოდარ შოშიტაშვილი
ქრისტიანობა და ტრადიციული ქართული
ეთნიკური კულტურა 261

Rozeta Gujejiani, Nodar Shoshitashvili
Christianity and Traditional Georgian Ethnic Culture

გულიკო კვანტიძე
მეფედ კურთხევის რიტუალისათვის საქართველოში
(ქართული საისტორიო მწერლობისა და
კედლის მხატვრობის მიხედვით) 277

Guliko Kvantidze
Concerning the Coronation Ritual in Georgia
(According to Historical Sources and Mural Paintings)

მარინე ბოკუჩავა
მონოქრომული და ლურჯ-თეთრი ჩინური ფაიფური
(საფონდო მასალების მიხედვით) 290

Marina Bokuchava
Chinese Monochromatic Blue and White Porcelain
(Based on Depository Materials)

მამუკა ჭაფიანიძე
ქართული ხმლების ტიპოლოგიისათვის
(საქართველოს ეროვნული მუზეუმის
იარაღის ფონდში დაცული მასალების მიხედვით) 304

Mamuka Kapianidze
For Typology of Georgian Swords (According to the Arms Depository
of the Georgian National Museum)

თამარ გელაძე, თებრო ნადირაძე
კავკასიის ხალხთა კოსტიუმების შესწავლის
ისტორიიდან (უცნობი კოლექცია) 328

Tamar Geladze, Tebro Nadiradze
On the History of Studying of the Caucasian Peoples' Costumes
(An Unknown Collection)

მანანა ხიზანიშვილი
სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმის
(უშგული) ეთნოგრაფიული კოლექციების
შესწავლისათვის 341

Manana Khizanishvili
Concerning the Study of the Ethnographical Collections
of the Svaneti Museum of History and Ethnography (Ushguli)

ისტორია
History

თეიმურაზ ბერიძე
თბილისური სამეფო სასახლეების ისტორიისათვის 355

Teimuraz Beridze
Concerning the History of Tbilisi Royal Palaces

ივანე მენთეშაშვილი
ნაპოლეონის ცხენოსანი ეგერები. იმპერატორის ხმალი
საქართველოს ეროვნულ მუზეუმში 376

Ivane Menteshashvili
Napoleon's Chasseurs a Cheval. The Emperor's Sabre

in the Georgian National Museum
გურამ ჩხაიძე, სალომე ჩანტლაძე
ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი
საზოგადოების მუზეუმი 387

Guram Chkhaidze, Salome Chantladze
The Museum of the Society for Spreading Literacy
Among the Georgians

ქეთევან მუშკუდიანი
დიმიტრი ჩოლოყაშვილი (1868-1938) 401

Ketevan Mushkudiani
Dimitri Choloqashvili (1868-1938)

ოთარ ჩიქოვანი
სომხეთ-საქართველოს 1918 წლის ომი 414

Otar Chikovani
The 1918 year Armenian-Georgian War

ეპიგრაფიკა
Epigraphics

გიორგი გაგოშიძე
სოფელ კლდუს წარწერა 423
(“ველი”)
George Gagoshidze
Inscription from the Village of Kldu

ხელოვნებათმცოდნეობა
Art Criticism

ნანა ბურჭულაძე
ქართველთა ხატწერის სახელოსნო სინას მთის
წმ. ეკატერინეს მონასტერში (X-XIII სს.) 433

Nana Burchuladze
Icon-painting Workshop of the Georgians at the Monastery
of St. Catherine on Mount Sinai (11th-13th cc.)

ნინო ჩიხლაძე
შუა საუკუნეების ქართული სახელმწიფოს
კულტურულ-პოლიტიკური მიზანდასახულობის
ერთი ასპექტი სახვითი წყაროების მიხედვით 463

Nino Chikhladze
One Aspect of Political Aim of the Medieval Georgian
State According to Visual Sources

ნინო დათუნაშვილი
ნეკრესის ღმრთისმშობლის მიძინების ტაძრის
მხატვრობა 477

Nino Datunashvili
Murals of the Nekresi Church of the Holy Virgin

**თამარ ბაკურაძე, ნანა ბურჭულაძე, ვახტანგ ხოშტარია,
ია ახვლედიანი**
ჯვარი „უფლის ჯვარცმით" ქვათახევის მონასტრიდან
(კვლევა, კონსერვაცია)..... 504

Tamar Bakuradze, Nana Burchuladze, Vakhtang Khoshtaria,
Ia Akhvlediani
The Chancel Screen Cross with the "Crucifixion" from the
Kvatakhevi Monastery (Study and Conservation)

სამუზეუმო საქმე
Museology

თემურ შარიქაძე
ლევან ჭილაშვილის საგამოფენო საქმიანობა
1973-2004 წლებში 525
.
Temur Sharikadze
Levan Chilashvili's exhibition activity in 1973-2004 Years

ბიბლიოგრაფია
Bibliography

აკადემიკოს ლევან ჭილაშვილის
შრომების ბიბლიოგრაფია 530

Bibliography of
Academician Levan Chilashvili's works

ქრონიკა
Chronicle

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
2005-2010 წლებში 534

The Georgian National Museum in
2005-2010 years

მოგონებები
Memories

ოთარ ჯაფარიძე
აკადემიკოს ლევან ჭილაშვილის გახსენება 562

Otar Japaridze
Remembering of Academician Levan Chilashvili

ნანა ხაზარაძე
კვალნათელი 565

Nana Khazaradze
A Rediant Imprint

ელდარ ნადირაძე
ხსოვნა – რომელიც ჩვენთანაა 567

Eldar Nadiradze
Memory that Remains With Us

არნოლდ გეგეჭკორი
აკადემიკოს ლევან ჭილაშვილის ხსოვნას 570

Arnold Gegechkori
In Memory of Academician Levan Chilashvili

კორექტორ-ლიტერატურული რედაქტორი: მაია ჩოლოყაშვილი
Proof-reader, copy-editor: Maia Cholokashvili

ტექნიკური მდივანი: ნინო დათუნაშვილი
Technical secretary: Nino Datunashvili

კომპიუტერული გრაფიკა, დიზაინი: ვერა ფხაკაძე, მაგდა ცოცხალაშვილი, ირაკლი ხუციშვილი.
Computer and graphic design: Vera Pkhakadze, Magda Tsotskhalashvili, Irakli Khutsishvili.

ტექნიკური ჯგუფი: გურამ ბუმბიაშვილი, კაკო გოგიჩაიშვილი, ჯემალ შანიძე, სალომე ჩანტლაძე, ლაშა ხუტიაშვილი

Technical stuff: Guram Bumbiashvili, Kako Gogichaishvili, Jemal Shanidze, Salome Chantladze, Lasha Khutiashvili

ISSN 1512-1895